ია ხარაზი, ქეთინო ხარაზი

საბაჟო სამართალი

დამხმარე სახელმძღვანელო

მეორე ნაწილი

თბილისი
2022

UDC(უაკ)339.543:34(075.8)
ხ-253

ია ხარაზი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომატიისა და სამართლის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, სამართლის აკადემიური დოქტორი - თავი I; თავი III; თავი IV; თავი VIII; ქვეთავი VIII1; ქვეთავი VIII2; თავი VIII3; თავი VIII4; თავი VIII5; თავი VIII6; თავი VIII7.

ქეთინო ხარაზი, შპს „ლეგი“-ს მთავარი იურისტი - თავი II; თავი V; თავი VI; თავი VII.

სამეცნიერო რედაქტორი: *გიორგი გოგიაშვილი, პროფესორი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე*

© გამომცემლობა „გეორგიკა“, ია ხარაზი, ქეთინო ხარაზი, საბაჟო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, მეორე ნაწილი, 2022.

ISBN 978-9941-8-5196-4

წინასიტყვაობა

საბაჟო სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, სამი ნაწილისაგან შედგება. 2021 წლის ნოემბრის მდგომარეობით საბაჟო კოდექსის და მასთან დაკავშირებული კანონქვემდებარე ნორმატული აქტების და სხვა დამხმარე სამართლებრივი აქტების ანალიზის საფუძველზე მომზადებულ დამხმარე სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში (რომელიც უკვე შეთავაზებულია საბაჟო სამართლით დაინტერესებული პირებისათვის), შესულია ისეთი საბაჟოსამართლებრივი ინსტიტუტები, როგორიცაა: საბაჟო სამართლის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები; საბაჟო სამართლის საგანი, სტრუქტურა, წყაროები; საბაჟო სამართალი, როგორც ქართული სამართლის დარგი; საბაჟო-სამართლებრივი ურთიერთობები და საბაჟო სამართლის ნორმები; საქართველოს საბაჟო ორგანოები და მათი ფუნქციები; ვადები საბაჟო სამართალში; საქართველოს ტარიფები და საქონლის კლასიფიკაცია; გადასახადების სახეები; იმპორტის გადასახადი; საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები; „ოქროს სია"; საბაჟო კონტროლი და საბაჟო ზედამხედველობა; საბაჟო დავა; ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებები, საქონლის საბაჟო ღირებულება; საბაჟო ვალდებულება და იმპორტის გადასახდელის გადახდის უზრუნველყოფის გარანტია; საბაჟო ვალდებულების შესრულება და ა.შ.

რაც შეეხება საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანას, საქონლის საბაჟო სტატუსს,საქონლის საბაჟო პროცედურაში მოქცევას, საბაჟო დეკლარაციის შემოწმებას,საქონლის გაშვებასა და საბაჟო ორგანოს მიერ საქონლის განკარგვას, საქონლის საბაჟო პროცედურაში მოქცევას, საბაჟო დეკარაციებს, საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებასა და იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლების განსაკუთრებულ შემთხვევებს, სპეციალურ პროცედურებს, - მოცემულია დამხმარე სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში, რა შეეხება საქონლის გატანასთან დაკავშირებულ საბაჟო ფორმალობებს, ექსპორტისა და რეექსპორტის პროცედურებს, საბაჟო სამართალდარღვევას და პასუხისმგებლობას, საბაჟო ვალდებულებისგან გათავისუფლებას და საბაჟო სამართლისა თუ საბაჟო საქმის აქტუალურ საკითხებს, შემოგთავაზებთ საბაჟო სამართლის მესამე ნაწილში.

საბაჟო სამართლის დამხმარე სახელმძღვანელოს მეორე ნაწილი ამასთანავე პრაქტიკული დანიშნულებისაა, რამეთუ თანამედროვე ევროპული (და მათ შორის გერმანული) სახელმძღვანელოები სწორედ ამგვარი მიდგომით იქმნება. დამხმარე სახელმძღვანელოში თავები ჩაშლილია პარაგრაფებად, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტებისა და საბაჟო სამართლითა და საქმით დაინტერესებული პირებისათვის მოცემულია დასამახსოვრებელი ფუნდამენტური დებულებები, კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის, ტესტები და კაზუსები, გამოყენებული ლიტერატურა, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, ფორმულარები და ა.შ.

საბაჟო სამართლის დამხმარე სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი (ავტ. ია ხარაზი), რომელიც გამოვიდა 2021 წელს და აღნიშნული სახელმძღვანელო (საბაჟო სამართლის მეორე ნაწილი, რომელიც თანაავტორობით შეიქმნა), პირველი ცდაა ქართულ საბაჟოსამართლებრივ სივრცეში დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნისა. საბაჟო სამართლის პირველი ნაწილი და მეორე ნაწილიც ქართული საბაჟო სამართლის გამოკვლევის ერთ-ერთი პირველი ცდაა, ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული სასამართლო პრატქიკაც ამ კუთხით და ბუნებრივია რთული იქნებოდა საბაჟო სამართლის დამხმარე სახელმძღვანელოზე მუშაობა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში არც თუ მდიდარია შექმნილი მონოგრაფიები ამ კუთხით.

საბაჟო სამართლის დამხმარე სახელმძღვანელოს მეორე ნაწილი შეესაბამება სასწავლო დისციპლინით აპრობირებულ პროგრამას. იგი საქართველოში ახალი საბაჟო კოდექსის ამოქმედების შემდეგ პირველი ცდაა სტუდენტებსა და საბაჟო სამართლითა თუ საბაჟო საქმით დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს ინფორმაცია საბაჟო მანიპულაციების შესახებ.

საბაჟო კანონმდებლობა ბუნებრივია ამოქმედების შემდეგ უამრავ ცვლილებებს განიცდის, დახვეწისა და ჩამოყალიბების პროცესშია. ამიტომ ცხადია ნაშრომს ვერ ექნება სრულყოფილების პრეტენზია და ალბათ ხარვეზებისგანაც ვერ იქნება დაცული. ავტორი ყველა საქმიან შენიშვნასა და წინადადებას სიამოვნებით გაიზიარებს სამომავლოდ საბაჟო სამართლის გადამუშავებულ დამხმარე სახელმძღვანელოზე მუშაობისას.

პროფესორი: *ია ხარაზი*

სტრუქტურა

წინასიტყვაობა 3

თავი I. საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა 13

1. საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის ძირითადი პრინციპები 13

A. დასამახსოვრებელი დებულებები! 19

B. კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის 19

C. გამოყენებული ლიტერატურა 19

D. საკანონმდებლო აქტები 20

E. კანონქვემდებარე აქტები 20

2. საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაცია 20

A. დასამახსოვრებელი დებულებები! 52

B. კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის 52

C. ტესტები 53

D. გამოყენებული ლიტერატურა 54

E. საერთაშორისო აქტები 55

F. საკანონმდებლო აქტები 55

G. კანონქვემდებარე აქტები 55

თავი II. საქონლის შემოტანა და დროებითი შენახვა 57

1. საქონლის შემოტანა და დროებითი შენახვა. საზღვაო ან საჰაერო ხომალდის შემოსვლის შესახებ შეტყობინება 57

2. საბაჟო ზედამხედველობა 63

3. საქონლის განსაზღვრულ ადგილზე გადაზიდვა/გადატანა 67

4. დაუძლეველი ძალის მოქმედების დროს განსახორციელებელი ღონისძიებები 97

5. საქონლის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენა 100

6. საქონლის გადმოტვირთვა და გახსნა. საქონლის დათვალიერება. სინჯის ან ნიმუშის აღება 108

7. უცხოური საქონლის დროებით შენახვა და დროებით შენახვის დეკლარაცია 115

8. დროებით შენახვის დეკლარაციაში ცვლილების შეტანა ან მისი ბათილად ცნობა 124

9. საქონლის დროებით შენახვასთან დაკავშირებული პირობები და მოვალეობები 133

10. საქონლის დროებით შენახვის დასრულება. საბაჟო პროცედურის არჩევა 139
A. დასამახსოვრებელი დებულებები! 140
B. კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის 141
C. ტესტები 142
D. გამოყენებული ლიტერატურა 146
E. საერთაშორისო აქტები 146
F. საკანონმდებლო აქტები 147
G. კანონქვემდებარე აქტები 147
H. ვებრესურსი 149

თავი III. საქონლის საბაჟო სტატუსი, საქონლის საბაჟო პროცედურაში მოქცევა, საბაჟო დეკლარაციის შემოწმება, საქონლის გაშვება და საბაჟო ორგანოს მიერ საქონლის განკარგვა 150
1. საქონლის საბაჟო სტატუსი 150
1.1. საქართველოს საქონლის საბაჟო სტატუსი 150
1.2. საქართველოს საქონლის მიერ საბაჟო სტატუსის დაკარგვა 177
A. დასამახსოვრებელი დებულებები! 180
B. კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის 181
C. ტესტები 181
D. გამოყენებული ლიტერატურა 182
E. სამართლებრივი აქტები 182
F. ვებრესურსი 182
2. საქონლის საბაჟო პროცედურაში მოქცევა 183
2.1. საბაჟო დეკლარაცია და საქართველოს საქონლის მიმართ საბაჟო ზედამხედველობის განხორციელება 183
2.2. საბაჟო ფორმალობების განხორციელების დრო და ადგილი 250
2.3. სტანდარტული საბაჟო დეკლარაცია და მისი თანმხლები დოკუმენტები 263
2.4. გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია. დამატებითი საბაჟო დეკლარაცია 315
2.5. საბაჟო დეკლარაციის წარდგენა. საბაჟო დეკლარაციის წინასწარი წარდგენა 325
2.6. საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაცია. რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანა. რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაციის გაუქმება 335
2.7. იმპორტის გადასახადის სხვადასხვა განაკვეთით დასაბეგრი საქონლისთვის საბაჟო დეკლარაციის გამარტივებულად შედგენა 348
2.8. საქონლის ცენტრალიზებული გაფორმება 356
2.9. დეკლარანტის ჩანაწერებში მონაცემების ასახვა 388

2.10. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის მიერ იმპორტის გადასახადის ოდენობის გაანგარიშება 390
A. დასამახსოვრებელი დებულებები! 427
B. კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის 429
C. ტესტები 430
D. კაზუსები 438
E. სიტუაციური სახელმძღვანელო 439
F. სამართლებრივი აქტები 439
G. გამოყენებული ლიტერატურა 443
H. სამეცნიერო ნაშრომები 444
I. ლექსიკონი 445
J. ვებრესურსები 445

თავი IV. რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაციის შემოწმება და საქონლის გაშვება 447
1. რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაციის შემოწმება 447
2. საქონლის დათვალიერება, სინჯის ან/და ნიმუშის აღება. საქონლის ნაწილობრივი დათვალიერება და საქონლის ნაწილიდან სინჯის ან/და ნიმუშის აღება 478
3. საბაჟო დეკლარაციის შემოწმების შედეგები 485
4. საბაჟო იდენტიფიფაკიის საშუალება 490
5. საქონლის გაშვება 509
A. დასამახსოვრებელი დებულებები! 546
B. კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის 547
C. ტესტები 548
D. კაზუსი 551
E. სამართლებრივი აქტები 552
F. გამოყენებული ლიტერატურა 555
G. სამეცნიერო ნაშრომები 555
H. ვებრესურსები 556

თავი V. საქონლის განკარგვა 557
1. საქონლის განადგურება 557
2. საქონლის განკარგვის ღონისძიებები 563
3. საქონლის სახელმწიფოსთვის ან/და მუნიციპალიტეტისთვის გადაცემა 573
A. დასამახსოვრებელი დებულებები! 574
B. კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის 574
C. ტესტები 574

D. კაზუსი 576
E. სამართლებრივი აქტები 577
F. გამოყენებული ლიტერატურა 579
G. ვებრესურსები 580

თავი VI. საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება 581
1. საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება. მოქმედების სფერო და მიზანი 581
2. ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებების გამოყენება 600
A. დასამახსოვრებელი დებულებები! 605
B. კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის 605
C. ტესტები 606
D. კაზუსი 607
E. სამართლებრივი აქტები 608
F. გამოყენებული ლიტერატურა 611
G. ლექსიკონი 612
H. ვებრესურსები 612

თავი VII. იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლების განსაკუთრებული შემთხვევები 613
1. დაბრუნებული საქონელი 613
2. საზღვაო თევზჭერის პროდუქტები და ზღვის სხვა პროდუქტები 623
3. თავისუფალი ვაჭრობის პუნქტი 627
A. დასამახსოვრებელი დებულებები! 650
B. კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის 651
C. ტესტები 651
D. სამართლებრივი აქტები 653
E. გამოყენებული ლიტერატურა 656
F. ლექსიკონი 657
G. ვებრესურსები 657

თავი VIII. სპეციალური პროცედურები 658
1. ზოგადი დებულებები სპეციალური პროცედურებისთვის 658
1.1. სპეციალური პროცედურები 658
1.2. ავტორიზაცია 678
1.3. აღრიცხვა 683
1.4. სპეციალური პროცედურის დასრულება. პროცედურის მფლობელის უფლებებისა და მოვალეობების გადაცემა 689
1.5. საქონლის გადაადგილება. საქონლის მიმართ დასაშვები ქმედებები 692

1.6. ეკვივალენტური საქონელი 694
A. დასამახსოვრებელი დებულებები! 697
B. კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის 699
C. ტესტები 699
D. სამართლებრივი აქტები 702
E. გამოყენებული ლიტერატურა 704
F. სამეცნიერო ნაშრომები 705
G. ლექსიკონი 705
H. ვებრესურსები 705

ქვეთავი VIII1. ტრანზიტის პროცედურა 706
1. ტრანზიტის პროცედურის გამოყენება. ტვირთის უფლებამოსილი მიმღები 706
2. ტრანზიტის პროცედურის მფლობელის, გადამზიდავისა და საქონლის მიმღების ვალდებულებები 732
3. გამარტივებული ტრანზიტის პროცედურა 737
A.დასამახსოვრებელი დებულებები! 741
B. კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის 742
C. ტესტები 742
D. სამართლებრივი აქტები 745
E. გამოყენებული ლიტერატურა 748
F. სამეცნიერო ნაშრომები 749
G. ლექსიკონი 749
H. ვებრესურსები 749

ქვეთავი VIII2. საბაჟო საწყობის პროცედურა 750
1. საბაჟო საწყობის პროცედურის გამოყენება. საბაჟო საწყობის პროცედურის ვადა 750
2. საბაჟო საწყობი, საბაჟო ორგანოს საწყობი და საქონლის შენახვის სხვა ადგილი 768
3. საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვა 775
4. საბაჟო საწყობისპროცედურაში მოქცევის გარეშე საქონლის საბაჟო საწყობში მოთავსება 789
5. საბაჟო საწყობის მფლობელისა და საბაჟო საწყობის პროცედურის მფლობელის ვალდებულებები 791
A. დასამახსოვრებელი დებულებები! 795
B. კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის 795
C. ტესტები 795

D. სამართლებრივი აქტები 799
E. გამოყენებული ლიტერატურა 801
F. სამეცნიერო ნაშრომები 802
G. ლექსიკონი 803
H. ვებრესურსები 803

თავი VIII3. თავისუფალი ზონის პროცედურა 804
1. თავისუფალი ზონის არსი. თავისუფალი ზონის შექმნა 804
2. თავისუფალი ზონის პროცედურის ვადა 833
3. თავისუფალ ზონაში საბაჟო კონტროლის განხორციელება 834
4. თავისუფალ ზონაში ნებადართული საქმიანობა 836
5. თავისუფალ ზონაში საქონლის წარდგენა და დეკლარირება... 841
6. თავისუფალი ზონიდან საქონლის გატანის პირობები და თავისუფალი ზონიდან გატანილი საქონლის საბაჟო სტატუსი .. 845
7. საქონლის საბაჟო სტატუსი. თავისუფალი ზონის საქმიანობის შეწყვეტა 846
8. საბაჟო ვალდებულების სპეციალური წესით გაანგარიშება. თავისუფალ ზონაში მოთავსებული საქონლის აღრიცხვა 847
9. თავისუფალი ეკონომიკური ზონები საქართველოს ტერიტორიაზე .. 854
10. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს მიერ დაქირავებულისათვის გადახდილი ხელფასის დაბეგვრის წესის დამტკიცების შესახებ 877
11. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს საგადასახადო ანგარიშგება. თზ-ის საწარმოს მიერ განხორციელებულ დასაბეგრ ოპერაციებზე გადასახადის გაანგარიშების შევსება 881
A.დასამახსოვრებელი დებულებები! 894
B. კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის 895
C. ტესტები 895
D. სამართლებრივი აქტები 899
E. გამოყენებული ლიტერატურა 903
F. სამეცნიერო ნაშრომები 904
G. ლექსიკონი 905
H. ვებრესურსები 906
თავი VIII4. დროებით შემოტანის პროცედურა 907
1. დროებით შემოტანის პროცედურის გამოყენება. დროებით შემოტანის პროცედურის გამოყენების პირობები 907
2. საქონლის დროებით შემოტანის ვადები 929
3. ნაწილობრივ გათავისუფლებით დროებით შემოტანილ

საქონელზე იმპორტის გადასახადის ოდენობა 933
4. დროებით შემოტანის პროცედურის დასრულება 934
A. დასამახსოვრებელი დებულებები! 937
B. კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის 938
C. ტესტები 939
D. სამართლებრივი აქტები 942
E. გამოყენებული ლიტერატურა 945
F. სამეცნიერო ნაშრომები 946
G. ლექსიკონი 947
H. ვებრესურსები 947

თავი VIII5. მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურა 948
1. მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურის გამოყენება 948
A. დასამახსოვრებელი დებულებები! 964
B. კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის 965
C. ტესტები 965
D. სამართლებრივი აქტები 966
E. გამოყენებული ლიტერატურა 969
F. სამეცნიერო ნაშრომები 970
G. ლექსიკონი 971
H. ვებრესურსები 971

თავი VIII6. შიდა გადამუშავების პროცედურა 972
1. შიდა გადამუშავების პროცედურის გამოყენება 972
2. შიდა გადამუშავებისას გამოსავლიანობის ნორმის განსაზღვრა ... 993
3. შიდა გადამუშავების პროცედურაში მოსაქცევი საქონლის იდენტიფიკაცია 999
4. შიდა გადამუშავების პროცედურის გამოყენების პირობები 1004
5. შიდა გადამუშავების პროცედურის ვადა (ლიცენზიის მოქმედების ვადა). მონაცემების აღრიცხვა 1006
6. საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავება 1012
7. გადამუშავების პროცედურით გათვალისწინებული სამართლებრივი შეღავათები 1013
8. შიდა გადამუშავების პროცედურის დასრულება 1018
A. დასამახსოვრებელი დებულებები! 1026
B. კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის 1027
C. ტესტები 1028

D. კაზუსები 1031
E. სამართლებრივი აქტები 1032
F. გამოყენებული ლიტერატურა 1035
G. სამეცნიერო ნაშრომები 1036
H. ლექსიკონი 1037
I. ვებრესურსები 1037

თავი VIII7. გარე გადამუშავების პროცედურა 1038
1. გარე გადამუშავების პროცედურის გამოყენება. გარე გადამუშავების პროცედურის გამოყენებასთან დაკავშირებული შეზღუდვები 1038
2. გარე გადამუშავების პროცედურის გამოყენების პირობები ... 1046
3. გარე გადამუშავების პროცედურის ვადა 1052
4. მონაცემების აღრიცხვა საქონლის გარე გადამუშავებისას 1053
5. სტანდარტული გაცვლის სისტემა საქონლის გარე გადამუშავებისას 1055
6. შემცვლელი საქონლის წინასწარ შემოტანა 1056
7. გარე გადამუშავების პროცედურის დასრულება 1058
8. გარე გადამუშავებისათვის საგადასახადო კანონმდებლობით დაწესებული პრეფერენციები 1061
A. დასამახსოვრებელი დებულებები! 1063
B. კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის 1063
C. ტესტები 1064
D. კაზუსები 1066
E. სამართლებრივი აქტები 1067
F. გამოყენებული ლიტერატურა 1070
G. სამეცნიერო ნაშრომები 1071
H. ლექსიკონი 1072
I. ვებრესურსები 1072

თავი I. საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა

1. საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის ძირითადი პრინციპები

საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთაში იგულისხმება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების ნებისმიერი წესით შემოტანა და ამ ტერიტორიიდან მათი გატანა, მათ შორის გადაგზავნა საერთაშორისო საფოსტო გზავნილით, მილსადენი ტრანსპორტის და ელექტრო-გადამცემი ხაზების გამოყენებით. სახელმწიფო უზრუნველყოფს საზღვრის დაცვას სპეციალური პროცედურების გამოყენებისას საქონლისა და სატრანსტორტო საშუალებების, ან მგზავრთა მიერ სახელმწიფო და საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას[1].

სახელმწიფო საზღვრის დაცვისას საბაჟო სამსახურები ემსახურებიან საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის და უსაფრთხოების დაცვას, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტიმულირებას და შიდა ბაზრის ინტერესებს. საქართველოს საბაჟო და სახელმწიფო საზღვრის დაცვის კანონმდებლობა განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვისა და სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის ცნებებს, საზღვრის დადგენის, აღნიშვნისა და გადაკვეთის პირობებსა და წესებს, რომლებიც საფუძვლად უდევს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას. კანონმდებლობის მიხედვით ეს დებულებები მოიცავენ:

- **საქართველოს სახელმწიფო საზღვარი** არის ხაზი და მასზე გამავალი ვერტიკალური სიბრტყე, რომელიც საქართველოს ტერიტორიის ხმელეთს, წყალს, საჰაერო სივრცეს გამოყოფს მოსაზღვრე სახელმწიფოს ტერიტორიისაგან; საქართველოს საზღვრების

[1] ია ხარაზი, საბაჟო სამართალი, მესამე გადამუშავებული გამოცემა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, https://www.sou.edu.ge, თბილისი, 2019, 258

ფარგლებში არსებულ ტერიტორიაზე ვრცელდება საქართველოს სრული უზენაესობა და სუვერენიტეტი[2].

- **საქართველოს სახელმწიფო საზღვარი დგინდება:** ხმელეთზე - რელიეფის დამახასიათებელი წერტილებისა და ხაზების ან თვალსაჩინო ორიენტირების მეშვეობით; ზღვაზე - საქართველოს ტერიტორიული წყლებისა და მათი მიმდებარე ზონის მიხედვით; სანაოსნო მდინარეებზე - მთავარი ფარვატერის ან ტალვეგის შუაში; არასანაოსნო მდინარეზე და ნაკადულზე - შესაბამისად მდინარის ან ნაკადულის ან/და მისი მთავარი ტოტის შუაში; ტბაზე, ხელოვნურ წყალსატევებსა და წყალსაცავებზე სწორ ხაზზე, რომელიც საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ტბაზე, ხელოვნურ წყალსატევებსა და წყალსაცავებზე გავლის წერტილებს ერთმანეთთან აერთიანებს; ხელოვნურ წყალსატევებზე ან წყალსაცავებზე - მის შევსებამდე არსებული საქართველოს სახელმწიფო ხაზის შესაბამისად; სასაზღვრო ზოლში მდებარე სარკინიგზო და ავტოსაგზაო ხიდებზე, კაშხალებსა და სხვა ჰიდროტექნოლოგიურ ნაგებობებზე - მათი გეგმის განივი ღერძის ან ნაგებობის შუაში, მიუხედავად იმისა, თუ სად გადის საქართველოს სახელმწიფო საზღვარი წყალზე; საქართველოს სახელმწიფო საზღვარი ადგილზე აღინიშნება დასანახი ნიშნებით.
- **საქართველოს სახელმწიფო დაცვის რეჟიმი ადგენს:** პირისა და ტრანსპორტის მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის და მათი შემოწმების წესს; სახელმწიფო საზღვარზე პირის გადაადგილების, ქონების ნივთების, ვალუტის, ძვირფასი ლითონების და ქვების, ფასიანი ქაღალდების გადატანის, ცხოველთა გადაყვანის წესს; გამტარ პუნქტში პირის და ტრანსპორტის შესვლის, ყოფნის და იქედან გამოსვლის, საქონლის შემოტანა-გატანის წესს; საქართველოს შიდა წყლებში, პორტებსა და ტერიტორიულ საქართველოს და სხვა სახელმწიფოების სანაოსნო საშუალებათა შესვლის, გადაადგილებისა და და ყოფნის, აგრეთვე იქედან გამოსვლის წესს; საქართველოს საჰაერო სივრცეში საჰაერო ხომალდისა და სხვა საფრენი

[2] იქვე

აპარატების მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის წესს; სახელმწიფო საზღვარზე სარეწი და სხვა საქმიანობის, სხვადასხვა სამუშაოთა წესს.

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე სარკინიგზო, საავტომობილო, საზღვაო, სამდინარო და საჰაერო მიმოსვლა ხდება სასაზღვრო გამტარი პუნქტების მეშვეობით. სასაზღვრო გამტარი პუნქტია საერთაშორისო მიმოსვლისათვის ნებადართული გზატკეცილის ან გზის მონაკვეთი, რკინიგზის სადგური, პორტის, ნავსადგურის, აეროპორტის (აეროდრომის) ტერიტორიის ნაწილი, სადაც ხორციელდება საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული სასაზღვრო, საბაჟო და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა სახის კონტროლი.

საქართველოს საბაჟო საზღვართან მდებარე საბაჟო კონტროლის ზონები – საბაჟო გამშვები პუნქტებია:

• ა) „წითელი ხიდი“ – მარნეულის რაიონი, სოფელი კირაჰმედლანლო;

• ბ) „სადახლო-საავტომობილო“ – მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფელი სადახლო;

• გ) „სადახლო-სარკინიგზო“ – მარნეულის მუნიციპალიტეტი სოფელი სადახლო – სადგურის დასახლება;

• დ) „გარდაბანი“ – გარდაბნის მუნიციპალიტეტი, ქ. გარდაბანი, კოსტა ხეთაგუროვის №9;

• ე) „მტკვარი“ – გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი ვაბტანგისი;

• ვ) „აბკერპი“ – მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფელი აბკერპი;

• ზ) „გუგუთი“ – დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი გუგუთი;

• თ) „ლაგოდები“ – ლაგოდების მუნიციპალიტეტი, სოფელი მაწინი;

• ი) „სამთაწყარო“ – დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი სამთაწყარო;

• კ) „ყაზბეგი“ – ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, დარიალის ხეობა;

• ლ) „ვალე“ – ადიგენის მუნიციპალიტეტის მიმდებარე ტერიტორია;

• მ) „ნინოწმინდა“ – ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფელი სამებას ტერიტორია;

• ნ) „სარფი“ – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სარფი;

• ო) „ბათუმის აეროპორტი“ – ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი №220;

• პ) „ქუთაისისა და სენაკის აეროპორტები და ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული და ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონები":

• პ.ა) ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი, სამტრედიის მუნიციპალიტეტი, დაბა ჯიხაიში;

• პ.ბ) ქ. ქუთაისი, ყოფილი ავტოქარხნის ტერიტორია, ავტომშენებლის №88;

• ჟ) „თბილისის აეროპორტი და თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა":

• ჟ.ა) კახეთის გზატკეცილი, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი;

• ჟ.ბ) ქ. თბილისი, გლდანის რ-ნი, ბიზანიშვილის ქ. №264ა;

• რ) „ბათუმის პორტი" – ქ. ბათუმი, ბაქოს ქ. №15;

• ს) „ფოთისა და ყულევის პორტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა":

• ს.ა) ქ.ფოთი, აღმაშენებლის ქ.52;

• ს.ბ) ბობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყულევი;

• ს.გ) ქ.ფოთი, ჭავჭავაძის ქ. №545;

• ტ) „კარწახი-ახალქალაქი სარკინიგზო":

• ტ.ა) ახალქალაქის რაიონი, სოფელი კარწახი (მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში, შემოსავლების სამსახურის სააჟიო დეპარტამენტის თანხმობით განსაბორციელებელი სააჟიო ფორმალობებისა და სააჟიო კონტროლისათვის);

• ტ.ბ) ქ. ახალქალაქი, წინოწმინდის გზატკეცილი, რკინიგზის სადგური;

უ) „კარწახი" – ახალქალაქის რაიონი, სოფელი კარწახი.

<u>საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სამი საერთაშორისო აეროპორტი, რომლებშიც განთავსებულია სასაზღვრო გამტარი პუნქტები.</u>

თბილისის საერთაშორისო აეროპორტი	ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი	ქუთაისის საერთაშ. აეროპორტი

<u>საქართველოში უცხოეთის გემებისათვის განკუთვნილი ღია ნავსადგურებია:</u>

• ბათუმის საზღვაო ნავსადგური

- *სუფსის საზღვაო ნავსადგური*
- *ფოთის საზღვაო ნავსადგური*
- *ყულევის საზღვაო ნავსადგური*

<u>საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მონაკვეთზე არსებული სასაზღვრო გამტარი პუნქტებია:</u>

- *განთიადი (სარკინიგზო)*
- *განთიადი (საავტომობილო)*
- *როკი (საავტომობილო)*
- *სოხუმი (საზღვაო პორტი)*
- *ოჩამჩირე (საზღვაო პორტი).*

საქართველოს ტერიტორიიდან აფრენა, აგრეთვე, საქართველოს საჰაერო სივრცეში შემოსვლის შესახებ მიწაზე დაფრენა იმ საჰაერო ხომალდისა, რომელმაც საქართველოს სახელმწიფო საზღვარი უნდა გადაკვეთოს, ხდება საერთაშორისო ფრენისათვის განკუთვნილ აეროპორტში (აეროდრომზე), სადაც არის სასაზღვრო გამტარი პუნქტი, საბაჟო დაწესებულება და სხვა შესაბამისი სამსახურები. საქართველოს ან მის საზღვარზე სახელმწიფო ტერიტორიაზე საშიშ ინფექციურ დაავადებათა გავრცელების საფრთხის შემთხვევებში, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე შეიძლება დროებით შეწეყდეს მიმოსვლა ან შემოღებულ ქნას კარანტინი სახელმწიფო საზღვრის გადამკვეთისათვის.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დამრღვევად ჩაითვლება: პირი ან ტრანსპორტი, რომლებმაც გადაკვეთა ან ცდილობდა გადაეკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი სასაზღვრო გამტარი პუნქტის გაუვლელად, ან/და სასაზღვრო გამტარი პუნქტის გავლით, მაგრამ მისი გადაკვეთისათვის დადგენილი წესების დარღვევით; უცხო სახელმწიფოს არასამხედრო ან სამხედრო გემი, რომელმაც საქართველოს ტერიტორიულ და შიდა წყლებში შემოსვლისას დააარღვია დადგენილი წესები; საჰაერო ხომალდი, რომელმაც საქართველოს სახელმწიფო საზღვარი გადაკვეთა შესაბამისი ნებართვის გარეშე ან დაარღვია საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაფრენის წესი.

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გამტარ პუნქტებში საბაჟო დაწესებულებების სამსახურებრივი საქმიანობის პირობების

შექმნის მიზნით წესდება რეჟიმი, რომელიც აწესებს ამ პუნქტებში პირთა და სატრანსპორტო საშუალებათა ყოფნის და შემოსვლის წესებს.

შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 2 ივნისის #2742 ბრძანების - „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ - დამტკიცდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის დებულება, რომლის თანახმად, დეპარტამენტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს: საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვას და გადაადგილებაზე კონტროლს; საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას სამგზავრო დოკუმენტებში შესაბამისი აღნიშვნების განხორციელებას; „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მონიტორინგს დაქვემდებარებული ნაღდი ფულის, ჩეკებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების გადამაადგილებელი პირების იდენტიფიკაციას; საბაჟო-გამშვები პუნქტებიდან სტაციონალური მონიტორების მიერ რადიაციული განგაშის დაფიქსირების შემთხვევაში, კანონმდებლობით განსაზღვრული ღონისძიებების გატარებას; სანიტარულ-საკარანტინო, ვეტერინალურ სასაზღვრო-საკარანტინო, ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ა.შ. კონტროლს[3].

---

[3] დაწვრ. იხ. შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება (#2742, 2011 წლის 2 ივნისი) - „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“, https://matsne.gov.ge/ka/document/view/13685?publication=163;
ასევე, შემოსავლების სამსახურის #270 11/02/2019 – „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ - შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის #2742 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“; ხარაზი ია, საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2021, 137-138

A. დასამახსოვრებელი დებულებები!

საქართველოს სახელმწიფო საზღვარი არის ხაზი და მასზე გამავალი ვერტიკალური სიბრტყე, რომელიც საქართველოს ტერიტორიის ხმელეთს, წყალს, საჰაერო სივრცეს გამოყოფს მოსაზღვრე სახელმწიფოს ტერიტორიისაგან; საქართველოს საზღვრების ფარგლებში არსებულ ტერიტორიაზე ვრცელდება საქართველოს სრული უზენაესობა და სუვერენიტეტი.

<u>საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სამი საერთაშორისო აეროპორტი, რომლებშიც განთავსებულია სასაზღვრო გამტარი პუნქტები.</u>

თბილისის საერთაშორისო აეროპორტი	ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი	ქუთაისის საერთაშ. აეროპორტი

<u>საქართველოში უცხოეთის გემებისათვის განკუთვნილი ღია ნავსადგურებია:</u>

- *ბათუმის საზღვაო ნავსადგური*
- *სუფსის საზღვაო ნავსადგური*
- *ფოთის საზღვაო ნავსადგური*
- *ყულევის საზღვაო ნავსადგური*

B. კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის:

რა იგულისხმება საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთაში?

განმარტეთ სახელმწიფო საზღვრის ცნება

საქართველოს სახელმწიფო დაცვის რეჟიმი ადგენს.....

ვინ ჩაითვლება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დამრღვევად?

რამდენი საერთაშორისო აეროპორტი ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე?

G. გამოყენებული ლიტერატურა:

ხარაზი ია, საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2021, 137-138

ხარაზი, ია საბაჟო სამართალი, მესამე გადამუშავებული გამოცემა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, <u>https://www.sou.edu.ge</u>, თბილისი, 2019, 258

D. საკანონმდებლო აქტები:

საქართველოს საბაჟო კოდექსი,
https://www.matsne.gov.ge/document/view/4598501?publication=5

E. კანონქვემდებარე აქტები:

შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება (#2742, 2011 წლის 2 ივნისი) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“, https://matsne.gov.ge/ka/document/view/13685?publication=163; ასევე, შემოსავლების სამსახურის #270 11/02/2019 – „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ - შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის #2742 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

2. საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაცია

ზოგადი დეკლარაციის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები ძირითადად მოცემულია **საბაჟო კოდექსის 66-68 მუხლებში, ასევე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“, ინსტრუქციაში „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ“ (დანართი №5),** რომელიც საქონლის საბაჟო ორგანომდე ან სხვა ადგილამდე მიტანის წესის, ვადების, საბაჟო მარშრუტის წარდგენის წესებს და ზოგადი დეკლარირების განხორციელების სხვა წესებს შეეხებიან.

„ზოგადი დეკლარირება ნიშნავს პირის მიერ საქონელზე იმ ზოგადის მონაცემების წარდგენას, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი სპეციალური ოპერაციების შერჩევამდე მისი იდენტიფიკაციის, საბაჟო ზედამხედველობის და საბაჟო კონტროლის განხორციელებისათვის“[4].

[4] ნაგულისხმევია: ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია (დანართი #5) „საქონლის შემოტანისა და ზოგადი

საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე საბაჟო ორგანოს უნდა წარედგინოს საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაცია[5].

საქონლის ზოგადი დეკლარაციის წარდგენას არ ექვემდებარება: მილსადენით ან ელექტროგადამცემი ხაზით საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონელი; საჰაერო ან საზღვაო სატრანსპორტო საშუალება და ამ სატრანსპორტო საშუალებით საქართველოს ტერიტორიული წყლების ან საქართველოს საჰაერო სივრცის გავლით, გაჩერების გარეშე გადაზიდული საქონელი; საქონელი, რომელზედაც წარდგენილია საბაჟო დეკლარაცია; საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული საქონელი.[6]

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის ზოგადი დეკლარირება ხორციელდება საბაჟო გამშვებ პუნქტში, სასაზღვრო კონტროლის განხორციელების დასრულებიდან არაუგვიანეს **3 სამუშაო დღისა,** გარდა ქვემოთ ჩამოთვლილი გათვალისწინებული შემთხვევებისა, კერძოდ: გაფორმების ეკონომიკური ზონის დანიშნულებით სხვა სატრანსპორტო საშუალებით (მათ შორის, კონტეინერით) გადაადგილებული, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავას შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან 8716 სასაქონლო პოზიციით

დეკლარაციის წარდგენის შესახებ, ასევე დამატ. იხ. ხარაზი, ი; საბაჟო სამართალი, მესამე გადამუშავებული გამოცემა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, https://www.sou.edu.ge, თბილისი, 2019, 486.

[5] საბაჟო კოდექსი, მ. 66, ნ.1.

[6] საბაჟო კოდექსი, მ. 66, ნ.2; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე “, ინსტრუქცია „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ“ (დანართი №5); მ.1; პ. 1.

გათვალისწინებული[7] მისაბმელის და ნახევრადმისაბმელის, აგრეთვე ამ სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებული, კანონმდებლობით განსაზღვრულ დაუბეგრავ მინიმუმზე მეტი რაოდენობისა და ღირებულების საქონლის ზოგადი დეკლარირება ხორციელდება გაფორმების ეკონომიკური ზონის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ სატრანსპორტო საშუალების შესახებ ინფორმაციის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ასახვისას, მაგრამ **არაუგვიანეს 60 კალენდარული დღისა**, რომელიც აითვლება აღრიცხვის მოწმობის რეგისტრაციის ან სპეციალური ელექტრონული კონტროლის საშუალებით. კონტეინერის რეგისტრაციის ან საბაჟო საწყობის მიერ საბაჟო ორგანოსათვის საბაჟო საწყობში წარდგენილი, კონტეინერით გადაადგილებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ზოგადი დეკლარირება ასევე შესაძლებელია განხორციელდეს საბაჟო ორგანოსათვის ინსტრუქციის **„საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ“** მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის ელექტრონულად მიწოდების მომენტიდან, კერძოდ: „საბაჟო საწყობში წარდგენილი, კონტეინერით გადაადგილებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ზოგადი დეკლარირება ასევე შესაძლებელია განხორციელდეს საბაჟო ორგანოსათვის შესაბამისი საბაჟო საწყობის მიერ აღნიშნული ინსტრუქციის **(„ზოგადი დეკლარირების ფორმები“)** მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების საფუძველზე ელექტრონულად მიწოდებული ინფორმაციის გამოყენებით.

ინსტრუქციის მე-3 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტების შესახებ, მოგვიანებით, ამავე პარაგრაფში იქნება საუბარი, იქ, სადაც ზოგადი დეკლარაციის ფორმებზე ვისაუბრებთ.

აქვე აღვნიშნავდით, რომ: 2022 წლის 19 სექტემბრიდან ფუნქციონირება დაიწყო ახალმა, „ელექტრონული გაფორმების ეკონომიკურმა ზონამ

---

[7] სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული საქონლის შესახებ იხ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის #275 ბრძანება „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3

„eGez“. „eGez“ უზრუნველყოფს შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებგვერდის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდიდან წარდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების საფუძველზე საქონლის (თავისუფალ ზონაში შესატანი ან თავისუფალი ზონიდან გასატანი საქონლის გარდა) დეკლარირების მომსახურების გაწევასა და მასთან დაკავშირებული საბაჟო ფორმალობების განხორციელებას. მიმდინარე წლის 19 სექტემბრიდან, იზღუდება (ალარ განხორციელდება) წინასწარი დეკლარირების მიზნით საბაჟო პროცედურის (გარდა თავისუფალი ზონის პროცედურისა) განსაზღვრისათვის დოკუმენტების მატერიალური ფორმით მიღება (გაფორმების ორგანოში ვიზიტით). წინასწარი დეკლარირება, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოსატან და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატან საქონელზე, საბაჟო ორგანოს მიერ განხორციელდება მხოლოდ ელექტრონული მომართვით, შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებგვერდის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის მეშვეობით განცხადების წარმოდგენის საფუძველზე.

აქვე შემოგთავაზებთ ელექტრონულად გამოგზავნილი დოკუმენტების საფუძველზე დეკლარაციის შევსების მოთხოვნას (მობმარების სახელმძღვანელო):

სერვისებით სარგებლობის ინსტრუქცია

დეკლარაციის ელექტრონული გზით რეგისტრაციის სერვისით სარგებლობისათვის თანმიმდევრობით განსახორციელებელი პროცედურებია:

- დაინტერესებული პირის მიერ მისი **ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის** აქტივაცია (WWW.RS.GE);
- აპლიკაციებში გადასვლა, დოკუმენტაციის არეში არსებულ მოდულში „განცხადებების“ არჩევა;
- „განცხადებების“ მოდულში ახალი განცხადების გააქტიურების შედეგად გამოსულ ფანჯარაში ძებნის ველის გამოყენებით სასურველი სერვისის არჩევა;
- განცხადების სრულყოფილად შევსება, შესაბამის ველებში თანდართული დოკუმენტების ატვირთვა და განცხადების გადაგზავნა (გაგზავნილ განცხადებას ავტომატურად ენიჭება ნომერი და შტრიხკოდი (მაგ., ID 11024404/3127466));

თუ წარდგენილი დოკუმენტაცია შეიცავს ხარვეზებს, დაინტერესებულ პირს ეცნობება ელექტრონულად და მიეცემა ხარვეზის გამოსწორების 30 კალენდარული დღე.

თუ სრულდება კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, რეგისტრირდება დეკლარაცია, რის შესახებაც ასევე ელექტრონული ფორმით ეცნობება დაინტერესებულ პირს.

შენიშვნა: რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაცია შესაძლებელია იხილოთ ავტორიზირებული მომხმარებლის გვერდზე, ზოგადი ინფორმაციის არეში არსებულ საბაჟო ოპერაციების ჩანართში.

ინფორმაციისათვის: ელექტრონულად გამოგზავნილი დოკუმენტების საფუძველზე დეკლარაციის შევსების სერვისით სარგებლობისთვის დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მაგალითის სახით წარმოდგენილია წინასწარი დეკლარირება იმპორტი - სერვისის მხარდაჭერის სახელმძღვანელო,

https://rs.ge/ServicesCatalog?elservices&guid=E5E238FD2C16455EE0537A0214ACC564).

ინსტრუქციის **„საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ“** მიზნებისათვის, სამუშაო დღე ემთხვევა კალენდარულ დღეს, გარდა შაბათისა, კვირისა და საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული უქმე დღეებისა. თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ვადა გრძელდება შემდეგი სამუშაო დღის დამთავრებამდე. **ზოგადი დეკლარირება** ნიშნავს საქონელზე იმ ზოგადი მონაცემების წარდგენას, რომლებიც აუცილებელია საბაჟო ზედამხედველობის, საბაჟო კონტროლისა და საბაჟო ფორმალობების განხორციელებისათვის.

ზოგად დეკლარირებას აბორციელებს: საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემომტანი ან საქონლის ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელი პირი; საქონლის მესაკუთრე/მიმღები ან მისი წარმომადგენელი; პირი, რომელსაც შეუძლია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის საბაჟო გამშვებ პუნქტში წარდგენა ან რომელმაც წარადგინა იგი აღნიშნულ პუნქტში.

საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაცია გადამზიდავმა[8] უნდა წარადგინოს. გადამზიდავის ვალდებულების მიუხედავად,

[8] საქონლის გადაზიდვის შესახებ დამატ. იხ. სამოქალაქო კოდექსის 668-708-ე მუხლები, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=116; ასევე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, სახელშეკრულებო სამართალი,

საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაცია შეიძლება წარადგინოს იმპორტიორმა, ტვირთის მიმღებმა ან სხვა პირმა, რომლის სახელითაც მოქმედებს გადამზიდავი, ან ნებისმიერმა სხვა პირმა, რომელსაც შეუძლია ამ საქონლის საბაჟო გამშვებ პუნქტში წარდგენა ან რომელმაც წარადგინა იგი აღნიშნულ პუნქტში.

საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაცია უნდა შეიცავდეს იმ მონაცემებს, რომლებიც დაცულობისა და უსაფრთხოების მიზნით რისკის ანალიზისთვისაა საჭირო.

თუ საქონლის შემოტანისათვის საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული მონაცემების გადამზიდავის, იმპორტიორის, ტვირთის მიმღებისაგან, ან სხვა პირისაგან, რომლის სახელითაც მოქმედებს გადამზიდავი ან კიდევ ნებისმიერი სხვა პირისაგან, რომელსაც შეუძლია ამ საქონლის საბაჟო გამშვებ პუნქტში წარდგენა, ან რომელმაც წარადგინა საქონელი საბაჟო გამშვებ პუნქტში - შეუძლებელია, - საბაჟო ორგანოს შეუძლია ეს მონაცემები მოსთხოვოს სხვა პირს, რომელსაც აქვს მათი გაცემის უფლება.

საბაჟო ორგანომ შეიძლება დაუშვას საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის შესავსებად სავაჭრო, საპორტო ან სატრანსპორტო საინფორმაციო სისტემის გამოყენება, თუ ეს სისტემა შეიცავს ამ დეკლარაციისთვის საჭირო მონაცემებს და ეს მონაცემები ხელმისაწვდომია აღნიშნული დეკლარაციის წარდგენისთვის დადგენილ პერიოდში.

მგზავრთა გადამყვან სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებებზე ზოგადი დეკლარირება ხდება საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას.

საბაჟო კოდექსის 66-ე მუხლის მე-7 ნაწილი დასაშვებად მიიჩნევს საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის ნაცვლად შეტყობინების წარდგენას, თუ საბაჟო ორგანოსთვის ხელმისაწვდომია ზოგად დეკლარირებასთან დაკავშირებული შესაბამისი მონაცემები, რომლებიც ზოგადი დეკლარირების განმახორციელებელი პირის კომპიუტერულ სისტემაშია განთავსებული.

---

http://www.gccc.ge/წიგნი-მესამე/კერძო-ნაწილი/კარი-i-სახელშეკრულებო-სამ/თავი-xii-გადაზიდვა-გადაყვან/i-გადაზიდვის-ხელშეკრულება.

საბაჟო გამშვებ პუნქტზე საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის ან კიდევ ზოგადი დეკლარაციის ნაცვლად შეტყობინების საფუძველზე დაცულობისა და უსაფრთხოების მიზნით რისკის ანალიზის ვადა განისაზღვრება **საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის #644 ბრძანებით „სახელმწიფო სექტორში რისკის მართვის სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე“**, რომლის მიხედვითაც, რისკი განისაზღვრა, როგორც იმ შედეგის დადგომის ალბათობა, რომელიც წარმოადგენს გადახრას დაგეგმილი/მოსალოდნელი შედეგიდან და უარყოფითად მოქმედებს დაწესებულების მიზნების მიღწევაზე.

აღნიშნული ბრძანების 4.2.-ის მიხედვით: „რისკის ანალიზი ხორციელდება იდენტიფიცირებული რისკების ალბათობისა და გავლენის შესწავლის მიხედვით, რათა განისაზღვროს, თუ როგორ უნდა იმართონ ისინი. შედეგად, რისკის ანალიზი გულისხმობს იმ ფაქტორების იდენტიფიკაციას, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ რისკის მოხდენის ალბათობაზე და შედეგებზე. საწყის ეტაპზე ხორციელდება წინასწარი ანალიზი, რომელიც გულისხმობს მსგავსი რისკების დაჯგუფებას, გაერთიანებას და დაბალი გავლენის მქონე რისკების გამორიცხვას (აღსანიშნავია, რომ გამორიცხვა არ გულისხმობს უგულებელყოფას, ვინაიდან მათი აღრიცხვა განხორციელდა რისკების იდენტიფიკაციის ეტაპზე.). რისკის დონე შესაძლებელია მისაღები იყოს დაწესებულებისთვის და მას **„რისკის მადა“** ეწოდება.

რისკის ანალიზი შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა გზით, რაც დამოკიდებულია კონკრეტულ რისკზე, ანალიზის მიზანზე, ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე, მონაცემებზე, რესურსებზე და სხვ.

რისკის ანალიზი შეიძლება იყოს:

• ***რაოდენობრივი ანალიზი*** - იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს რაოდენობრივი მონაცემები რისკის მოხდენის ალბათობის და გავლენის შესახებ, მაშინ საუკეთესო გზას წარმოადგენს რისკის რაოდენობრივი ანალიზის განხორციელება. არარაოდენობრივი შეფასება ნაკლებად საიმედოა, განსაკუთრებით რისკის მოხდენის ალბათობის შეფასებისას.

• ***ხარისხობრივი*** - *ფართოდ არის გავრცელებული სახელმწიფო სექტორში, სადაც ანგარიშვალდებულების და საზოგადოებაზე გავლენის*

შედეგი მეტად მნიშვნელოვანია, რაც ხშირ შემთხვევაში შეუძლებელს, ან მეტად ხარჯიანს ხდის რისკების რაოდენობრივი სახით გამოსახვას. ასეთი ანალიზი ეყრდნობა სუბიექტურ შეფასებას და ასეთ დროს გადაწყვეტილებები მიიღება ხელმძღვანელთა გამოცდილების, ცოდნის, განსჯის და ინტუიციის საფუძველზე. ანალიზის ეს ტიპი სიტყვიერად აღწერს რისკის მოხდენის ალბათობას და გავლენის მასშტაბს.

• *კომბინირებული - მოიცავს ზემოთ მოცემულ ორივე სახეს[9].*

რისკის ანალიზის შედეგების საფუძველზე მიღებული უნდა იქნეს შესაბამისი ზომები.

საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენის წესი და ვადა, შემთხვევები, როდესაც საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის წარდგენა არ ხდება, აგრეთვე დეკლარირებისთვის საჭირო მონაცემების სხვა პირებისთვის მოთხოვნის წესი და შემთხვევები და აღნიშნული პირების ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანებით „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე".

ზოგადი დეკლარირების ფორმები. ზოგადი დეკლარირება ხორციელდება ელექტრონულად ან წერილობით.

საქართველოს საბაჟო კოდექსის გარდამავალი დებულებების **213-ე მუხლის მე-9 ნაწილში** საუბარია იმის შესახებ, რომ: 2023 წლის 1 იანვრამდე საბაჟო კოდექსის საკომენტარო **66-ე მუხლით („საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის წარდგენა")** გათვალისწინებული საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის წარდგენად მიიჩნევა საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის შემთხვევაში საბაჟო გამშვებ პუნქტში დეკლარანტის ან მისი წარმომადგენლის მიერ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების საბაჟო ორგანოსთვის წარდგენა.

---

[9] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის #644 ბრძანება „სახელმწიფო სექტორში რისკის მართვის სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე",
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1546971?publication=0

საქონლის შემოტანისას ზოგადი დეკლარირება ხორციელდება ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტის წარდგენით:

- ა) სატრანსპორტო დოკუმენტი:
  - ა.ა) საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – სატრანსპორტო ზედნადები ან TIR-წიგნაკი.

„აბრევიატურა TIR (Transports International Routiers) ნიშნავს - საერთაშორისო საგზაო გადაზიდვებს"... 1993 წლის 2 დეკემბერს საქართველომ მიმართა გაეროს TIR - კარნეტის კონვენციასთან მიერთების შესახებ, ხოლო 10994 წლის 24 სექტემბრიდან საქართველო მიუერთდა ამ კონვენციას (რატიფიცირების გარეშე). ეს კონვენცია აწესრიგებს წევრ ქვეყნებს შორის საერთაშორისო საგზაო გადაზიდვებს, როგორც საბაჟო, ასევე ტექნიკური პროცედურების ასპექტებით. კერძოდ, კონვენციის დებულებები ითვალისწინებენ და ამარტივებენ საბაჟო გაფორმების პროცედურებს მონაწილე ქვეყნებში საავტომობილო ტრანსპორტით საქონლის გადაზიდვების დროს. ეს ეხება, როგორც საქონლის დათვალიერებას, დოკუმენტების შემოწმებას, ასევე, განსაკუთრებით საბაჟო გადასახდელების გადახდის საგარანტიო უზრუნველყოფას"[10]. TIR-კარნეტის სისტემა შედგება ოთხი ძირითადი სტრუქტურული ერთეულისაგან: 1. საბაჟო გადასახდელებზე საერთაშორისო გარანტიები; 2. TIR-კარნეტის შესაბამისი წიგნაკი (კარნეტი); 3. საბაჟო კონტროლის პრინციპების ურთიერთცნობა; 4. სატრანსპორტო საშუალებების (კონტეინერების) სტანდარტულობა და უსაფრთხოება. „TIR წიგნაკი მხოლოდ ერთ გადაზიდვაზეა მოქმედი. ამასთან შესაძლებელია, რომ TIR-ის წიგნაკის სატვირთო მანიფესტში დაფიქსირებული და კონტეინერებში რეალურად არსებულ საქონელს შორის იყოს უმნიშვნელო განსხვავება, რაც არ ითვლება TIR-კარნეტის პრინციპების დარღვევად. ამდენად ეს მომენტი საბაჟო ორგანოს მხრიდან არ უნდა იქცეს საბაჟო გაფორმების შეფერხების საფუძვლად (ან TIR-ის ოპერაციების დარღვევების საფუძვლად'[11].

როგორი ვალდებულებები ეკისრება გადამზიდველს TIR-კარნეტით სარგებლობისას?

---

[10] ურიდია გონერ, რუხაია ფრიდონ, არახამია მერაბ, საბაჟო გაფორმება TIR და ATA (CPD) კარნეტის პრინციპებით, თბილისი, 2004, 8-9; ასევე იხ. ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა", თბილისი, 2021, 657.

[11] ურიდია, რუხაქია, არახამია, დასახ. ნაშრ. 26.

TIR - კარნეტის გამოყენებით გადამზიდველი პასუხისმგებლობას იღებს წარუდგინოს ტვირთი საბაჟო ორგანოს დანიშნულების პუნქტში, ან გადაიხადოს ტვირთთან დაკავშირებული ყველა გაჟი, გადასახადი, პენია და ჯარიმა, თუ კარნეტი სწორად არ არის დახურული. მიუხედავად იმისა, რომ TIR-კარნეტების დიდი უმრავლესობა ყოველგვარი პრობლემის გარეშე გამოიყენება, მაინც არსებობს ფინანსური რისკი მფლობელისთვის და ამიტომ TIR ოპერაციებში მონაწილე პირებმა აუცილებელია იცოდნენ რამდენად მნიშვნელოვანია პროცედურების სწორად შესრულება და ტვირთზიდვების ზუსტად აღრიცხვის წარმოება.

ინსტრუქციის „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ" მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, TIR წიგნაკით გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შემთხვევაში გამგზავნი საბაჟო ორგანო ან სისტემაში დაშვებული პირი უზრუნველყოფს TIR წიგნაკის შესახებ მონაცემების ელექტრონულად შეტანას მოწმობის ელექტრონულ ფორმატში. წიგნაკის შესაბამის (თეთრ და მწვანე) ფურცლებზე და ყუაზე აღინიშნება „eCustoms"-ის მიერ მინიჭებული „D" ნომერი. საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი, მონაცემთა დადატურების მიზნით, აწერს ხელს, მიუთითებს შევსების თარიღს და სვამს პირადნომრიან ბეჭედს ან საბაჟო დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის/ქვედანაყოფის მრგვალ ბეჭედს. იმ შემთხვევაში, როდესაც TIR წიგნაკით გადაადგილებული საქონლის გაშვება არ ხორციელდება საბაჟო გამშვები პუნქტიდან, გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების TIR წიგნაკის შესახებ მონაცემები კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიტანება ელექტრონულ ბაზაში და ა.შ[12].

- ა.ბ) საზღვაო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – კონოსამენტი;

კონოსამენტი - ხელწერილი, რომელსაც გასცემს გემის მფლობელი ტვირთის მფლობელზე (გამგზავნზე) იმის დასადასტურებლად, რომ ტვირთი მიღებულია საზღვაო გზით გადასაზიდად. იგი სამართლებრივ საქონელთან

[12] სრულად TIR წიგნაკის შესახებ იხ. ურიდია გონერ, რუხაია ფრიდონ, არახამია მერაბ, საბაჟო გაფორმება TIR და ATA (CPD) კარნეტის პრინციპებით, თბილისი, 2004; ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021, 657-663.

და ხელშეკრულებებთან ერთად შეიძლება გახდეს ბირჟაზე ვაჭრობის საგანი და იქცეს საქონელგანმანაწილებელ დოკუმენტად[13].

- ა.გ) საჰაერო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – ავიაზედდებული (AWB) – *ავია ზედდებული არის დოკუმენტი, რომელიც თან ახლავს საერთაშორისო გადამზიდავის მიერ გადაზიდულ ტვირთს, მოიცავს ინფორმაციას გზავნილის შესახებ და გვაძლევს გზავნილის თვალყურის დევნების საშუალებას. ზედდებულს გააჩნია მრავალობითი ასლები, რათა გადაზიდვაში ჩართულმა მხარეებმა შეძლონ მისი დოკუმენტირება.*
- ა.დ) სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – სარკინიგზო ზედნადები;

სარკინიგზო ზედნადები - ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებით. ზედნადების არსებობა გამგზავნს აძლევს უფლებას მოითხოვოს გადაზიდული საქონლის უსაფრთხოება, გამოყენებული ტარიფების სისწორე, გამოთვლების სანდოობა და ასევე საშუალებას გაძლევთ განაცხადოთ პრეტენზიები და შეიტანოთ პრეტენზიები უფლებების დაუცველობის შესახებ. ტვირთგამგზავნი ადგენს დოკუმენტს. ის ასევე პასუხისმგებელია ამ ინფორმაციის სისწორეზე. რკინიგზას უფლება აქვს შემთხვევითად შეამოწმოს გამგზავნის მიერ წარმოდგენილი მონაცემები. გადაზიდვის ხელშეკრულება დადებულად ითვლება ზედნადების ჩაბარებისა და ტვირთგამგზავნისთვის საქონლის მიღების შემდეგ.საქონლის მიღების დადასტურება არის ბეჭედი, რომელიც დატანილია ზედნადებში.

- ბ) საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულების ან ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისი), ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტის დედანი ან ასლი (გარდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქონლის ზოგადი დეკლარირების შემთხვევისა);

---

[13] საქართველოს კანონი „სასაქონლო ბირჟებისა და საბირჟო ვაჭრობის შესახებ“, მ.2. ტერმინთა განმარტება, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/11854?publication=6, ასევე იხ. საზღვაო კოდექსი, https://www.matsne.gov.ge/document/view/29908?publication=34.

საგადასახადო კოდექსის მითითებულ 199-ე მუხლის „დ.დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულია იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლება: უცხოეთში ყოველ 6 თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ საქართველოში შემოსული ფიზიკური პირის მიერ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე–97-ე ჯგუფების (გარდა 87-ე ჯგუფისა)[14] შესაბამისი 15 000 ლარის ღირებულების საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის, ხოლო საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობიდან ან საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამოწვეული დიპლომატიური თანამდებობის პირისათვის – დამატებით მის მიერ პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის (ოჯახზე თითო სატრანსპორტო საშუალების, მცივარის, კომპიუტერისა და ტელევიზორის) იმპორტისა; ხოლო საგადასახადო კოდექსის „.დ.ე" ქვეპუნქტი იმპორტის გადასახადისაგან ათავისუფლებს პირს, საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლისას (რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით გაცემული შესაბამისი დოკუმენტით) საქონლის (მათ შორის, ავეჯის, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის, ოჯახზე ერთი სატრანსპორტო საშუალების) იმპორტისას, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის.

- გ) საფოსტო გზავნილების დეკლარაცია ან საფოსტო გზავნილების ნუსხა – საფოსტო გზავნილებით შემოტანილი საქონლის შემთხვევაში;

პირის წარმომადგენლობას საფოსტო გზავნილის შემთხვევაში ახორციელებს საფოსტო გადამზიდავი, რომელიც საფოსტო გზავნილების ნუსხის შევსებისას სარგებლობს პირის მიერ წარდგენილი მონაცემებით. საფოსტო გზავნილების ნუსხის წარდგენა ნიშნავს საფოსტო გზავნილის ზოგად დეკლარირებას.

ფიზიკურ პირს დეკლარირების ვალდებულება წარმოექმნება: ეკონომიკური საქმიანობისათვის განკუთვნილი საქონლის შემოტანისას/გატანისას; საფოსტო გზავნილით საქონელის შემოტანისას, რომელიც იბეგრება

---

[14] სასაქონლო ნომენკლატურების შესახებ იხ. საქართველოს ფინანსთა მინიტრის 2020 წლის 18 ნოემბრის #275 ბრძანება „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე", https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3

არ არის გათავისუფლებული იმპორტის გადასახდელისაგან; როცა საქონლის შემოტანა შეზღუდულია ან/და საქონლის შემოტანისათვის საჭიროა ნებართვა ან ლიცენზია; საქართველოს მოქალაქის მიერ უცხოეთში ყოველ 6 თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ საქართველოში შემოსვლისას, განსაზღვრული საქონლის შემოტანისას, როცა მისი ღირებულება არ აღემატება 15000 ლარს. საქართველოში მუდმივ საცხოვრებლად შემომსვლელი პირის მიერ არაკომერციული დანიშნულების საქონლის (მათ შორის, ავეჯი, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელი, ოჯახზე ერთი სატრანსპორტო საშუალება) შემოტანა.

გასათვალისწინებელია, რომ: საფოსტო გზავნილით შემოტანილ ან გასატან საქონელზე საბაჟო დეკლარაციას ავსებს საფოსტო გზავნილის გადამზიდავი, რომელიც არის ფიზიკური პირის (გზავნილის მიმღების / გამგზავნის) წარმომადგენელი, საბაჟო დეკლარაციას/რექსპორტის დეკლარაციას ავსებს საბაჟო ორგანო პირის მოთხოვნის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საქონელი ექვემდებარება დეკლარირებას, ზოგადი დეკლარირებიდან:

- *საფოსტო გზავნილით შემოტანისას-არა უგვიანეს 90 კალენდარული დღისა;*
- *აქციზურ ალკოჰოლურ სასმელებზე ან/და თამბაქოს ნაწარმზე - არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა. დ) ATA წიგნაკი.*

ATA-კარნეტი გამოიყენება საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო პროცედურის პირობებში (აგრეთვე ტრანზიტის დროსაც). „ATA-კარნეტი, ანუ დროებითი შემოტანის დოკუმენტი წარმოადგენს ისეთ საერთაშორისო დოკუმენტს, რომელიც გათანაბრებულია სატვირთო-საბაჟო დეკლარაციასთან. ეს იმას ნიშნავს, რომ ATA - კარნეტის წარმოდგენის დროს საბაჟო საბაჟო ორგანოს უფლება არ აქვს მოითხოვოს სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია. ATA-კარნეტი გამოიყენება საქონლის დროებითი შემოტანის დროს, რაც შეეხება სატრანსპორტო საშუალების დროებით შემოტანას - გამოიყენება CPD-კარნეტი (აბრევიატურა CPD (Carnet de passages en douane), ფრანგ. ნიშნავს - საზღვრის გავლის წიგნაკს). საბაჟო საწყობში წარდგენილი, კონტეინერით გადაადგილებული მექანიკური სატრანსპორ-

ტო საშუალების ზოგადი დეკლარირება ასევე შესაძლებელია განხორციელდეს საბაჟო ორგანოსათვის შესაბამისი საბაჟო საწყობის მიერ საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში[15].

ინსტრუქციის „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, „საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ სტამბოლის 1990 წლის 26 ივნისის კონვენციის ან „საქონლის დროებითი შემოტანისათვის ATA წიგნაკის შესახებ“ ბრიუსელის 1961 წლის 6 დეკემბრის საბაჟო კონვენციის (ATA კონვენცია) შესაბამისად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის ტრანზიტის ან იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან სრულად გათავისუფლებით უცხოური საქონლის დროებით შემოტანის ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ამ საქონლის რეექსპორტის განხორციელების მიზნით ATA წიგნაკის წარდგენის შემთხვევაში საბაჟო ორგანო ან სისტემაში დაშვებული პირი უზრუნველყოფს ATA წიგნაკის შესახებ მონაცემების ელექტრონულად შეტანას მოწმობის ელექტრონულ ფორმატში (გარდა ფიზიკური პირის მიერ ATA წიგნაკის გამოყენებით საქონლის საქართველოს საბაჟო საზღვარზე ბარგით ან/და ხელბარგით გადაადგილებისა, რა დროსაც ATA წიგნაკის შესახებ მონაცემები ელექტრონულად აისახება ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციაში[16]).

საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ“ სტამბოლის 1990 წლის 26 ივნისის კონვენციის ან „საქონლის დროებითი შემოტანისათვის ATA წიგნაკის შესახებ“ ბრიუსელის 1961 წლის 6 დეკემბრის საბაჟო კონვენციის (ATA კონვენცია) შესაბამისად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქართველოს საქონლის დროებით დაბრუნების პირობით გატანისა (ექსპორტის პროცედურის გამოყენების) და ამ საქონლის უკან დაბრუნების მიზნით ATA წიგნაკის წარდგენის შემთხვევაში, ATA წიგნაკის შევსება და მის შესახებ მონაცემების ელექტრონულად შეტანა საბაჟო დეკლარაციაში ხორციელდება ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექს-

---

[15] ურიდია გონერ, რუხაია ფრიდონ, არახამია მერაბ, საბაჟო გაფორმება TIR და ATA (CPD) კარნეტის პრინციპებით, თბილისი, 2004, 34.

[16] ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021, 664.

პორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ" ინსტრუქციისა (დანართი №8) და „ექსპორტის პროცედურის შესახებ" ინსტრუქციის (დანართი №15) შესაბამისად[17].

ATA კარნეტის გამოყენება ნაკლებ ადმინისტრაციულ სამუშაოს გულისხმობს, რაც თავისთავად გულისხმობს ფინანსური სახსრების დაზოგვას ბიუჯეტის სასარგებლოდ, ქვეყნის საბაჟოების უსაფრთხოების გარანტორია, რამეთუ იმპორტის საბაჟო გადასახდელების საქონლის დროებითი შემოტანისათვის გარანტირებულია გარანტი ასოციაციების მიერ, რომელიც არის IBCC/ATA საგარანტიო ჯაჭვის წევრი. ასეთი გარანტია ავტომატურია და არ საჭიროებს შემდგომ ადმინისტრაციულ შემოწმებას საბაჟოს მიერ.

რა მიზანია აქვს ATA კარნეტის სისტემას?

მისი მიზანი უპირველესად, საქონლის დროებითი შემოტანის პროცედურების გამარტივებაა, კერძოდ, ქვეყნის ტერიტორიაზე საქონლის დროებითი შეტანის დროს საბაჟო დეკლარაციების გაფორმება და ნებისმიერი საბაჟო გადასახადების ამოღების უზრუნველყოფა, იმ შემთხვევისათვის, თუკი საქონელი, რომელიც დროებით შემოდის ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე კანონით გათვალისწინებულ ვადებში არ დატოვებს მას; ATA კარნეტის სისტემა პრაქტიკულ უპირატესობას ანიჭებს საბაჟო წარმომადგენლებს და მეწარმეებს, ცვლის რა ადგილობრივ საბაჟო დეკლარაციას, არ ავალდებულებს პირებს ყველა საბაჟოზე საბაჟო დოკუმენტის გაფორმების აუცილებლობაზე და ა.შ[18].

საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენის წესი და ვადა, შემთხვევები, როდესაც საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის წარდგენა არ ხდება, აგრეთვე დეკლარირებისთვის საჭირო მონაცემების სხვა პირებისთვის მოთხოვნის წესი და შემთხვევები და აღნიშნული პირების ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების

---

[17] ხარაზი ი; დასახ. ნაშრ; 665

[18] ATA კარნეტის სისტემის შესახებ სრულად იხ. ხარაზი ია, საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა", თბილისი, 2021, 663-667; ურიდია გონერ, რუხაია ფრიდონ, არახამია მერაბ, საბაჟო გაფორმება TIR და ATA (CPD) კარნეტის პრინციპებით, თბილისი, 2004.

თაობაზე", ინსტრუქცია „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ" (დანართი №5).

ზოგადი დეკლარირების ფორმები. ზოგადი დეკლარირება ხორციელდება ელექტრონულად ან წერილობით.

საბაჟო კოდექსის გარდამავალი დებულებების **213-ე მუხლი** ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც 2023 წლის 1 იანვრამდე ამავე კოდექსის საკომენტარო **66-ე მუხლით** გათვალისწინებული საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის წარდგენად მიიჩნევა საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის შემთხვევაში საბაჟო გამშვებ პუნქტში დეკლარანტის ან მისი წარმომადგენლის მიერ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების საბაჟო ორგანოსთვის წარდგენა, ხოლო ინსტრუქციის „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ" (დანართი #5) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი მიუთითებს ზემოთ აღნიშნული საბაჟო კოდექსის **213-ე მუხლის მე-9 ნაწილის** გამოყენებაზე, რომლის შემთხვევაშიცაა შესაძლებელი საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის განხორციელება ქვემოთ ჩამოთვლილი შემდეგი დოკუმენტების წარდგენით:

- ა.ა) სატრანსპორტო დოკუმენტი: .ა) საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – სატრანსპორტო ზედნადები ან TIR-წიგნაკი; [19]
- ა.ბ) საზღვაო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – კონოსამენტი[20];
- ა.გ) საჰაერო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – ავიაზედნადები;
- ა.დ) სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – სარკინიგზო ზედნადები;

---

[19] TIR-წიგნაკის შესახებ საუბარი იყო საბაჟო სამართლის დამხმარე სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში (ავტ. ხარაზი ი;) და ასევე საბაჟო კოდექსის საკომენტარო 66-ე მუხლში ზემოთ და მის განვრცობას აქ აღარ შევეცდებით.

[20] კონოსამენტის შესახებ ამავე პარაგრაფში ზემოთ გვქონდა საუბარი.

• გ) საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულების ან ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისი), ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტის დედანი ან ასლი (გარდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქონლის ზოგადი დეკლარირების შემთხვევისა)[21];

• გ) საფოსტო გზავნილების დეკლარაცია ან საფოსტო გზავნილების ნუსხა – საფოსტო გზავნილებით შემოტანილი საქონლის შემთხვევაში[22];

• დ) ATA წიგნაკი[23].

რაც შეეხება საბაჟო საწყობში[24] წარდგენილი, კონტეინერით გადაადგილებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ზოგადი დეკლარირებას, იგი ასევე შესაძლებელია განხორციელდეს

---

[21] საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტებზე საუბარი ამავე პარაგრაფში ზემოთ გვქონდა საუბარი.

[22] ამონარიდი სეულის მსოფლიო საფოსტო კონვენციიდან საბაჟო საკითხებზე: თავი: 4 („საბაჟო საკითხები“): **მუხლი 31. საბაჟო დათვალიერება** (მიწოდების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციას და დანიშნულების ქვეყნის საფოსტო ადმინისტრაციას მათი კანონმდებლობის შესაბამისად აქვთ უფლება წარადგინონ წერილობითი კორესპონდენციის გზავნილები საბაჟო დათვალიერებაზე); **მუხლი 32 („საბაჟო გზავნილების წარდგენის ტარიფი“);** 1. მიწოდების ან დანიშნულების ქვეყანაში საბაჟო დათვალიერებაზე წარდგენილ გზავნილებზე, გარემოების მიხედვით, შეიძლება აღებულ იქნეს ფოსტის სასარგებლოდ სპეციალური ტარიფი მაქსიმუმ 2. 61 სსუ-ს ოდენობით ეს ტარიფი აიღება მხოლოდ იმ გზავნილებების საბაჟო წარდგენისა და საბაჟო დათვალიერებისათვის, რომლებიც იბეგრება საბაჟო საურავით ან ასეთივე ხასიათის სხვა ნებისმიერი ანაკრებით; **მუხლი 33 („საბაჟო ბაჟი და სხვა ანაკრებები“):** 1. საფოსტო ადმინისტრაციები უფლებამოსილნი არიან აიღონ გზავნილების გამგზავნის ან ადრესატებისაგან, გარემოების მიხედვით ბაჟი და ყველა სხვა შესაძლო ანაკრებები.

[23] ATA წიგნაკის შესახებ საბაჟო სამართლის დამხმარე სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში (ავტ. ხარაზი ი;) იყო ვრცელი განმარტება და ასევე საბაჟო კოდექსის 66-ე მუხლის კომენტარისას ამავე პარაგრაფში.

[24] საბაჟო საწყობის შესახებ საუბარი იქნება სპეციალური ოპერაციების თავში.

საბაჟო ორგანოსათვის შესაბამისი საბაჟო საწყობის მიერ სატრანსპორტო დოკუმენტების წარდგენით და ასევე საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულების ან ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისი), ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტის დედნის ან ასლის (გარდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქონლის ზოგადი დეკლარირების შემთხვევისა) საფუძველზე ელექტრონულად მიწოდებული ინფორმაციის გამოყენებით.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საზღვაო ტრანსპორტით შემოტანილი, კონტეინერით გადაადგილებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ინსტრუქციის „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ადგილზე (საუბარია: საერთაშორისო ნაოსნობისათვის გახსნილ საზღვაო პორტებში – სატვირთო მანიფესტის წარდგენით, ხოლო კონტეინერით გადაადგილებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების შემოტანისას – აგრეთვე საბაჟო ორგანოს მიერ შერჩეულ საბაჟო კონტროლის ზონაში (საბაჟო გამშვები პუნქტი, გაფორმების ეკონომიკური ზონა, საბაჟო ორგანოს საწყობი, ხოლო ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საბაჟო საწყობი) საქონლის ფაქტობრივი განთავსებით) წარდგენისას, საბაჟო ორგანოს მიერ ხორციელდება საქონლის სავალდებულო დათვალიერება/ექსპერტიზა (საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დათვალიერება) საჭიროების შემთხვევაში, ასეთი საქონლის ექსპერტიზა შეიძლება განხორციელდეს სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერაც.

საქონლის დათვალიერება შესაძლებელია საბაჟო კონტროლის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე და მისი მიზანია: საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიკაცია, აკრძალული საქონლის შემოტანა/გატანის ან/და ფარულად გადაადგილების ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა, საქონლის მიმართ სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების გატარება, დეკლარირებული საქონლისთვის მინიჭებული სეს ესნის კოდის სისწორის განსაზღვრა. საქონლის დათვალიერება ხორციელდება საბაჟო კონტროლის ზონაში: ტექნიკური საშუალების – რენტგენული ინსპექტირების სისტემის (სკანერის) გამოყენებით (შემდგომში – სკანირება) ან/და ლუქების, შტამპებისა და იდენტიფიკაციის სხვა საშუალებების

მობსნითა და სატრანსპორტო საშუალებების, მათი სატვირთო სათავსების, საქონლის შეფუთვის გაბსნით და დათვალიერებით. დეკლარანტის მოთხოვნით და საბაჟო ორგანოს თანხმობით, საქონლის დათვალიერება შესაძლებელია განბორტიელდეს საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე, თუ: საქონელი გაგზავნილია ერთი მიმღების მისამართით, განკუთვნილია იმპორტის ან შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციისათვის და დანიშნულების ადგილზე მიტანის ვადის გასვლამდე დეკლარანტის მიერ შეივსო და დარეგისტრირდა სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია; საქონელი განკუთვნილია ექსპორტის სასაქონლო ოპერაციისათვის.

დათვალიერებისას საბაჟო ორგანოს თანამშრომელს უფლება აქვს: ა) მოსთხოვოს დეკლარანტს საქონლის და სატრანსპორტო საშუალების წარდგენა დათვალიერების ადგილზე და დახმარების აღმოჩენა (საქონლის ტრანსპორტირების, აწონვის, საქონლის რაოდენობის განსაზღვრის, გადმოტვირთვა/დატვირთვის, გადატვირთვის, შეფუთვების გაბსნისა ან ხელმეორედ შეფუთვის უზრუნველყოფა, ასევე შენობების, საცავების და სხვა ადგილების გახსნა, სადაც შესაძლებელია იმყოფებოდეს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალებები); ბ) მიიღოს ინფორმაცია დათვალიერებაში მონაწილე პირთაგან; გ) ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დადგენილი წესით, საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელის თანხმობით გაზარდოს დათვალიერების მოცულობა და/ან გამოიყენოს დათვალიერების უფრო დეტალური ფორმა; დ) კანონმდებლობის შესაბამისად მოიწვიოს ექსპერტები და სპეციალისტები; ე) აიღოს საქონლის სინჯი და/ან ნიმუში. დათვალიერებისას საბაჟო ორგანოს თანამშრომელი ვალდებულია: ა) არ მიაყენოს არამართლზომიერი ზიანი საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებებს; ბ) დაიცვას დეკლარანტისა და დათვალიერებაში მონაწილე სხვა პირთა უფლებები; გ) საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების სკანირებისას: გ.ა) სკანირების მეშვეობით მიღებული სურათი დადგენილი წესით ასახოს მოწმობის ელექტრონულ ბაზაში, ხოლო როცა მოწმობა არ ივსება – შეინახოს დოკუმენტების შენახვისათვის საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით; გ.ბ) თუ სკანირების მეშვეობით მიღებული სურათი შეიცავს მონაცემებს სამართალდარღვევის ნიშნების თაობაზე, რეაგირებისთვის გადასცეს საბაჟო დეპარტამენტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს; დ) განახორციელოს დათვალიერება გონივრულ ვადაში, დათვალიერებული ობიექტის, საქონლის სახეობის, რაოდენობის, დათვალიერების მოცულობისა და სხვა პირობების გათვალისწინებით; ე) სამარ-

თალდარღვევის ფაქტის გამოვლენისას, დათვალიერების შედეგები ელექტრონულად ასახოს საბაჟო დეკლარაციის ინსპექტირების აქტში ან დათვალიერების აქტში და შეადგინოს სამართალდარღვევის ოქმი; ვ) დანაშაულის ნიშნების აღმოჩენისას, დათვალიერების შედეგები ელექტრონულად ასახოს დათვალიერების აქტში. იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულის ნიშნები აღმოჩენილია დეკლარაციის შემოწმებისას – აგრეთვე ინსპექტირების აქტში.

დათვალიერებას ესწრებიან: ა) საბაჟო ორგანოს (საბაჟო დეპარტამენტის) უფლებამოსილი თანამშრომელი; ბ) დეკლარანტი – თავისი სურვილით ან საბაჟო ორგანოს მოთხოვნით; გ) საქონლის და/ან სატრანსპორტო საშუალების მიმართ სხვა უფლებამოსილი პირები ან მათი წარმომადგენლები საბაჟო ორგანოს მოთხოვნით; დ) საბაჟო საწყობ ის ან თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის პასუხისმგებელი პირი, როცა საქონელი ინახება აღნიშნულ საწყობში ან პუნქტში; ე) ტექნიკური პერსონალი, რომლებიც აუცილებლობიდან გამომდინარე ახორციელებენ საქონლის დატვირთვა-გადმოტვირთვის ან დათვალიერებასთან დაკავშირებულ სხვა სამუშაოებს; ვ) სახელმწიფო მაკონტროლებელი ან/და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები – საბაჟო ორგანოს უფროსის გადაწყვეტილებით, შესაბამისი წერილობითი მომართვის საფუძველზე; ზ) მოწვეული ექსპერტები, სპეციალიტები.

საქონლის დათვალიერება შესაძლებელია საბაჟო კონტროლის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე და მისი მიზანია: საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიკაცია, აკრძალული საქონლის შემოტანა/გატანის ან/და ფარულად გადაადგილების ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა, საქონლის მიმართ სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების გატარება, დეკლარირებული საქონლისთვის მინიჭებული სეს ესნის კოდის სისწორის განსაზღვრა.

საქონლის დათვალიერება ხორციელდება საბაჟო კონტროლის ზონაში: ა) ტექნიკური საშუალების – რენტგენული ინსპექტირების სისტემის (სკანერის) გამოყენებით (შემდგომში – სკანირება) ან/და ბ) ლუქების, შტამპებისა და იდენტიფიკაციის სხვა საშუალებების მოხსნითა და სატრანსპორტო საშუალებების, მათი სატვირთო სათავსების, საქონლის შეფუთვის გახსნით და დათვალიერებით. დეკლარანტის მოთხოვნით და საბაჟო ორგანოს თანხმობით, საქონლის დათვალიერება შესაძლებელია განხორციელდეს საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე, თუ: ა) საქონელი გაგზავნილია ერთი მიმღების მისამართით, განკუთვნილია იმპორტის ან შიდა გადამუშავების საბაჟო ოპერაციისთვის და დანიშნულების ადგილზე მიტანის ვადის გასვლამდე დეკლარანტის მიერ შეივსო

და დარეგისტრირდა სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია; ბ) საქონელი განკუთვნილია ექსპორტის სასაქონლო ოპერაციისათვის.

დათვალიერებისას საბაჟო ორგანოს თანამშრომელს უფლება აქვს: ა) მოსთხოვოს დეკლარანტს საქონლის და სატრანსპორტო საშუალების წარდგენა დათვალიერების ადგილზე და დაბმარების აღმოჩენა (საქონლის ტრანსპორტირების, აწონვის, საქონლის რაოდენობის განსაზღვრის, გადმოტვირთვა/დატვირთვის, გადატვირთვის, შეფუთვების გახსნისა ან ხელმეორედ შეფუთვის უზრუნველყოფა, ასევე შენობების, სავალების და სხვა ადგილების გახსნა, სადაც შესაძლებელია იმყოფებოდეს საბაჟო კონტროლის დაქვემდებარებული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალებები); ბ) მიიღოს ინფორმაცია დათვალიერებაში მონაწილე პირთაგან; გ) ამ მრძანებით დადგენილი წესით, საბაჟო ორგანოს ხელმძღვანელის თანხმობით გაზარდოს დათვალიერების მოცულობა და/ან გამოიყენოს დათვალიერების უფრო დეტალური ფორმა; დ) კანონმდებლობის შესაბამისად მოიწვიოს ექსპერტები და სპეციალისტები; ე) აიღოს საქონლის სინჯი და/ან ნიმუში და ა.შ[25].

რაც შეეხება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საზღვაო ტრანსპორტით შემოტანილი კონტეინერით გადაადგილებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ინსტრუქციის „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის შემოტანის შესახებ" პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ ადგილზე წარდგენის შემთხვევებს, - საბაჟო ორგანოს მიერ ხორციელდება საქონლის სავალდებულო დათვალიერება/ექსპერტიზა. საჭიროების შემთხვევაში, ასეთი საქონლის ექსპერტიზა შეიძლება განხორციელდეს სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერაც.

ინსტრუქციის „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის შემოტანის შესახებ" პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის წარდგენა ხდება: საერთაშორისო ნაოსნობისათვის გახსნილ საზღვაო პორტებში – სატვირთო მანიფესტის წარდგენით, ხოლო კონტეინერით გადაადგილებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების შემოტანისას – აგრეთვე საბაჟო ორგანოს მიერ შერჩეულ საბაჟო კონტროლის ზონაში (საბაჟო გამშვები პუნქტი, გაფორმების ეკონომიკური ზონა, საბაჟო ორგანოს საწყობი, ხოლო ამავე ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საბაჟო საწყობი) საქონლის ფაქტობრივი

[25] ამ საკითხებს ჩვენ სხვა თავებში ისევ დავუბრუნდებით.

განთავსებით; ხოლო, ზემოთ აღნიშნული ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულია, რომ: საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ფოთის პორტის გავლით შემოტანილი კონტეინერით გადაადგილებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების დათვალიერება შესაძლებელია განხორციელდეს ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებულ საბაჟო საწყობში, რომელიც აკმაყოფილებს „საბაჟო საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესებისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებულ პირობებს.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის #455 დადგენილების **„საბაჟო საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე"** - თანახმად, ნებართვა გაიცემა ერთჯერადად, საბაჟო საწყობის საქმიანობისათვის – განუსაზღვრელი ვადით, ხოლო თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობისათვის – ნებართვის მაძიებლის მოთხოვნის შესაბამისად – **5 ან 5-ზე მეტი წლის ვადით, მაგრამ არა უმეტეს 50 წლისა.** ნებართვა გაიცემა ნებართვის მაძიებელზე, რომელიც აკმაყოფილებს სანებართვო პირობებს. საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის გაუქმებისა და ამ ნებართვით განსაზღვრულ ტერიტორიაზე საბაჟო საწყობის საქმიანობის ახალი ნებართვის სხვა პირზე გაცემის, ან საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვით განსაზღვრული ტერიტორიის ცვლილების და ამ ტერიტორიის ნაწილზე საბაჟო საწყობის საქმიანობის ახალი ნებართვის სხვა პირზე გაცემის შესახებ შესაბამისი მომართვისას, ნებართვის გაუქმება და ახალი ნებართვის გაცემა ან/და ნებართვაში ცვლილება ხორციელდება ერთდროულად.

ნებართვის მაძიებლის მიერ ზემოთ აღნიშნული ინსტრუქციის შესაბამისად წარდგენილი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე, შემოსავლების სამსახური **„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის** შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას ნებართვის გაცემის ან ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ –

სამართლებრივი აქტი და ფორმდება შესაბამისი ბრძანებით, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს სანებართვო მოწმობა და დანართი. გადაწყვეტილების სათანადოდ დამოწმებული ასლი გადაეცემა ნებართვის მფლობელს, ხოლო საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე განთავსებული თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის შემთხვევაში – აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს.

ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების დანართი არის: **საბაჟო საწყობის შემთხვევაში – „საბაჟო საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესების ინსტრუქციით“** გათვალისწინებული შემდეგი დოკუმენტები: **საბაჟო საწყობის საქმიანობის შემთხვევაში, შესაბამისი საქმიანობისათვის „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით** დადგენილი სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი და საბაჟო საწყობისათვის ან თავისუფალი ვაჭრობის პუნქტისათვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობის საკუთრების დამადასტურებელი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ან სარგებლობის ექსკლუზიური უფლების დამადასტურებელი ხელშეკრულება (საბაჟო საწყობის შემთხვევაში – ნებართვის მისაღებად განცხადების შეტანიდან **არანაკლებ 12 თვის ვადით,** ხოლო თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის შემთხვევაში – არანაკლებ ნებართვის მოქმედების ვადით დადებული იჯარისა, უზუფრუქტი და სხვ.) და ხელშეკრულების მხარის საკუთრების დამადასტურებელი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ასევე თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტები:

- *ა) საბაჟო საწყობისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობის ან/და ასაშენებელი შენობა-ნაგებობის, მიწის ნაკვეთის კომპიუტერული ტექნოლოგიის გამოყენებით შედგენილი, ქალაქდზე ამობეჭდილი ან/და ელექტრონული დეტალური სიტუაციური გეგმა (ნახაზი), შესაბამისი განმარტებებით (დამოწმებული ნახაზის შემდგენლის ხელმოწერითა და, არსებობის შემთხვევაში, ასევე ორგანიზაციის ბეჭდით) და ტექნოლოგიური სქემა;*
- *ბ) „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“*

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი ინსტრუქციით განსაზღვრული გარანტია;

ინსტრუქციის „გარანტიის შესახებ" (დანართი #4) მიხედვით, თუ საქართველოს სააჟიო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, გარანტიის წარდგენა სავალდებულოა:.... საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მისაღებად;თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვით განსაზღვრული საქმიანობის დასაწყებად; საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული სეს ესნ-ის 8702 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი ავტომობილის (რომლის დასასხდომი ადგილების რაოდენობა, გარდა მძღოლის ადგილისა, აღემატება 8-ს, მაგრამ არ აღემატება 16-ს და რომლის სიგრძე არ აღემატება 8 მეტრს, აგრეთვე გადაბმულისა მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 750 კგ-ს), 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ3 ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია), 8704 21 და 8704 31 სასაქონლო სუბპოზიციებით გათვალისწინებული ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების იდენტიფიცირებული ავტოსადგომის ტერიტორიაზე შენახვისას; საბაჟო საწყობში გადამუშავებისთვის განკუთვნილი უცხოური საქონლის – სეს ესნ-ის 2603 00 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში შემავალი სპილენძის კონცენტრატების, სეს ესნ-ის 2616 სასაქონლო პოზიციაში შემავალი ძვირფასი ლითონების კონცენტრატებისა და 2617 90 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციებში შემავალი კონცენტრატების შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცევისას და ა.შ[26].

• გ) წერილობითი ინფორმაცია საბაჟო საწყობის, მის ტერიტორიაზე არსებული სათავსის (სათავსში განთავსებული სათავსების გარდა) შესასვლელისა და გასასვლელის, აგრეთვე დათვალიერების, სინჯის ან/და ნიმუშის აღების განხორციელების, გადატვირთვის ოპერაციების განხორციელების ადგილის გამოსახულების ვიდეოჩამწერი საშუალებებით აღჭურვის შესახებ, ხოლო თუ საბაჟო საწყობში შეინახება მხოლოდ სეს ესნ-ის 8701, 8702, 8703, 8704, 8705 ან/და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებები

[26] გარანტიის შესახებ სრულად იხ. ინსტრუქცია „გარანტიის შესახებ" (დანართი #4), https://www.rs.ge/Media/Default/კანონმდებლობა/კანონები/257%20დანართი%204.pdf

(რომელთა შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ³-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან/და 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელები და ნახევრადმისაბმელები – მხოლოდ საბაჟო საწყობის შესასვლელისა და გასასვლელის გამოსახულების ვიდეოჩამწერი საშუალებებით აღჭურვის შესახებ;

• დ) საყარი ან/და თხევადი საქონლის შენახვის შემთხვევაში – შესაბამისი სათავსის ან/და ასაშენებელი სათავსის და მასთან დაკავშირებული მიწისზედა და მიწისქვეშა საკომუნიკაციო და სხვა დანიშნულების სისტემების/ინფრასტრუქტურის, კომპიუტერული ტექნოლოგიის გამოყენებით შედგენილი, ქაღალდზე ამობეჭდილი ან/და ელექტრონული დეტალური სიტუაციური გეგმა (ნახაზი), შესაბამისი განმარტებებით (დამოწმებული ნახაზის შემდგენლის ხელმოწერითა და, არსებობის შემთხვევაში, ასევე ორგანიზაციის ბეჭდით) და ტექნოლოგიური სქემა;

• ე) მონაცემები დათვალიერებისა და სინჯის ან/და ნიმუშის აღების ადგილის შესახებ, რომლითაც დასტურდება, რომ ეს ადგილი განთავსებულია ნებართვით გათვალისწინებული საბაჟო საწყობის ტერიტორიაზე, აკმაყოფილებს საბაჟო საწყობში არსებული საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების სპეციფიკის გათვალისწინებით დათვალიერების პირობებს, გადახურულია და არ გამოიყენება საქონლის შესანახად. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო საწყობში შეინახება მხოლოდ სეს ესნ-ის 8701, 8702, 8703, 8704, 8705 ან/და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებები (რომელთა შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ³-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან/და 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელები და ნახევრადმისაბმელები, ასევე საყარი, თხევადი ან/და დაბალ ტემპერატურულ რეჟიმში შესანახი საქონელი.

საბაჟო საწყობის ან თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის მფლობელს უფლება აქვს, შემოსავლების სამსახურის თანხმობით შეცვალოს ნებართვით განსაზღვრული ტერიტორიის ან/და შენობა-ნაგებობის ფართობი, ან/და ნებართვით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ააგოს ახალი შენობა-ნაგებობა ან/და დაანგრიოს არსებული შენობა-ნაგებობა.

საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მფლობელი ნებართვის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში ვალდებულია:

- დაიცვას საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მიღებისათვის დადგენილი პირობები და შეასრულოს საბაჟო ორგანოს მოთხოვნები;
- საბაჟო საწყობის საქმიანობის განხორციელება დაიწყოს არაუგვიანეს ნებართვის მიღებიდან **12 თვის განმავლობაში** და დაწყებული საქმიანობა არ შეაჩეროს უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში;
- ხელი არ შეუშალოს საბაჟო კონტროლის განხორციელებას;
- მოაწყოს საბაჟო საწყობი ისე, რომ გამოირიცხოს საქონლის, სატრანსპორტო საშუალების შემოტანა ან/და გატანა კონტროლის გვერდის ავლით და დაიცვას საბაჟო საწყობში შენახვის სათანადო პირობები;
- გადატვირთვის ოპერაციების განხორციელებამდე შეამოწმოს საქონელზე ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე დადებული იდენტიფიკაციის საშუალებების მთლიანობა და მათი რეკვიზიტები თანმხლები დოკუმენტების მიხედვით, ხოლო იდენტიფიკაციის საშუალებების მთლიანობის დარღვევის (მათ შორის, მოხსნა/მოცილების) ან/და მათი რეკვიზიტების თანმხლებ დოკუმენტებთან შეუსაბამობის ფაქტის დაფიქსირებისთანავე, შესაბამისი შეტყობინება დაუყოვნებლივ გაუგზავნოს საბაჟო ორგანოს, ამასთან არ განახორციელოს გადატვირთვის ოპერაციები და იმოქმედოს საბაჟო ორგანოს მითითების შესაბამისად;
- საბაჟო საწყობში საქონლის (შესაბამის სათავსში განთავსებული საყარი და თხევადი საქონლის გარდა) შენახვა უზრუნველყოს ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი იდენტიფიცირება საქონლის მფლობელის ან/და სასაქონლო პარტიის შესაბამისად;
- დაიცვას საბაჟო საწყობში შესაბამისი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები, გამორიცხოს დაბინძურების ყველა პოტენციური წყაროს არსებობა, სურსათის, ფიტოსანიტარიულ ან/და ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული ან სხვა სპეციფიკური საქონლის შენახვის შემთხვევაში–უზრუნველყოს აღნიშნული საქონლის სხვა პროდუქტებისაგან განცალკევებულ ადგილზე შენახვა და შენახვისათვის საჭირო სათანადო პირობების დაცვა;
- საქონლის დაკარგვის ან დანაკლისის (რომელიც აღემატება საქონლის ბუნებრივი ცვეთით, ტრანსპორტირებით ან შენახვის ნორმალურ პირობებში დანაკარგებით დაშვებულ ნორმებს) აღმოჩენის შემთხვევაში, დანაკლისის შესახებ საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული აქტის შესაბამისად, გადაიხადოს იმპორტის გადასახდელი იმ

ოდენობით, რა ოდენობითაც გადაიხდებოდა იმპორტის გადასახდელი ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მოქცევისას;

- საბაჟო ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში, საბაჟო ორგანოს უსასყიდლოდ გამოუყოს საბაჟო კონტროლის პროცედურებისათვის აუცილებელი სათავსი, მოწყობილობები და კავშირგაბმულობის საშუალებები;
- საბაჟო საწყობის, აგრეთვე მის ტერიტორიაზე არსებული სათავსის (სათავსში განთავსებული სათავსების გარდა) შესასვლელი და გასასვლელი აღჭურვილი ჰქონდეს გამოსახულების ვიდეოჩამწერი საშუალებებით. გამოსახულების ვიდეოჩამწერი საშუალებებით უწყვეტად უნდა ფიქსირდებოდეს (უნდა იძლეოდეს ზუსტი იდენტიფიცირების საშუალებას დღე-ღამის განმავლობაში) ნებართვის მფლობელის მიერ სათავსისათვის მინიჭებული ნომერი, სათავსის შესასვლელი ან/და გასასვლელი, იმ სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი (სანომრე ნიშანი), რომლითაც გადაიზიდება საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი. ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების შენახვისათვის განკუთვნილი საბაჟო საწყობის შემთხვევაში, გამოსახულების ვიდეოჩამწერი საშუალებებით უნდა ფიქსირდებოდეს: საბაჟო საწყობის შესასვლელში ან/და გასასვლელში გადაადგილებული სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი (სანომრე ნიშანი), გადატვირთვის ოპერაციების განხორციელების ადგილი და საბაჟო კონტროლის ზონაში შემავალი და გამავალი – ნავთობპროდუქტების გამტარი მილსადენ(ებ)ის დამცავი (ჩამკეტი და გამშვები) მოწყობილობები;
- საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მფლობელის პასუხისმგებლობა უზრუნველყოფილი ჰქონდეს გარანტიით;
- საბაჟო საწყობისათვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობის სარგებლობის ექსკლუზიური უფლების დამადასტურებელი (იჯარა, უზუფრუქტი და სხვ.) ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, ნებართვის გამცემს მოთხოვნისთანავე წარუდგინოს აღნიშნული ხელშეკრულება (რომლის მოქმედების ვადაც უნდა უზრუნველყოფდეს საბაჟო საწყობისათვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობის სარგებლობის ექსკლუზიურ უფლებას ნებართვის მოქმედების პერიოდში) და მხარის საკუთრების უფლების დამადასტურებელი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ნებართვის გამცემს;
- საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში განახორციელოს საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ნიშანდება იდენტიფიკაციის საშუალებებით, დადგენილი წესის შესაბამისად;

- გენმოდიფიცირებული ორგანიზმების, სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ან/და გენმოდიფიცირებული პროდუქტის, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ფიტოსანიტარიულ ან/და ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის შენახვის შემთხვევაში, გამოყოს სპეციალური სათავსი, რომელშიც დაცულია შესაბამისი კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პირობები, ხოლო ასეთი სათავსის არარსებობის შემთხვევაში, უზრუნველყოს მხოლოდ იმ საქონლის შენახვა, რომელზეც დასრულებულია გენმოდიფიცირებული ორგანიზმების, სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ან/და გენმოდიფიცირებული პროდუქტის, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობისა და ფიტოსანიტარიული/ვეტერინარული კონტროლის პროცედურები;
- გამორიცხოს საბაჟო საწყობში შენახული, საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უკანონო განკარგვა, დაკარგვა ან განადგურება;
- სახიფათო საქონლის ან ისეთი საქონლის შენახვის შემთხვევაში, რომელმაც შესაძლებელია დააზიანოს/გააფუჭოს სხვა საქონელი ან რომელიც სხვა მიზეზის გამო მოითხოვს შენახვის სპეციალურ პირობებს, უზრუნველყოს სათანადოდ აღჭურვილი სათავსის არსებობა;
- შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის საბაჟო საწყობში გადამუშავების შემთხვევაში, გააჩნდეს საქონლის გადამუშავებისათვის შესაბამისი საწარმოო კომპლექსი;
- იმ შემთხვევაში, თუ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების საბაჟო საწყობში მიღებისას გარეგნული მახასიათებლების მიხედვით სახეზეა საქონლის დაზიანების ან გაფუჭების ფაქტი, ან საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალების ან/და მათზე დადებული იდენტიფიკაციის საშუალების მონაცემების აღრიცხვის მოწმობაში ან ზოგადი დეკლარირების სხვა ფორმაში ასახულ მონაცემებთან შეუსაბამობა, დარღვეულია იდენტიფიკაციის საშუალების მთლიანობა ან მოხსნილია/მოცილებულია იდენტიფიკაციის საშუალება, ამის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს (არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა) საბაჟო ორგანოს და იმოქმედოს მისი მითითებისამებრ;
- აწარმოოს საბაჟო საწყობში არსებული საქონლის ნაშთების აღრიცხვა;
- აწარმოოს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული (მათ შორის, საქართველოში რეგისტრირებული) ან საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი, სეს ესნ-ის 8701, 8702, 8703, 8704, 8705 ან/და 8711 სასაქონლო პოზიციებით

გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების (რომელთა შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ3-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში - მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან/და 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელებისა და ნახევრადმისაბმელების გაფორმების ადგილამდე ან სხვა საბაჟო კონტროლის ზონამდე მიტანის ვადის ამოწურვამდე საბაჟო საწყობში შეტანისა და საბაჟო საწყობიდან გატანის აღრიცხვა და ინფორმაციის მიწოდება საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებული ფორმითა და წესით;

- უზრუნველყოს საქართველოს საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების ჯეროვნად შესრულება და ა.შ.

რაც შეეხება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ფოთის პორტის გავლით შემოტანილი ავტომობილებით დატვირთული კონტეინერების დამუშავებას (გახსნა/გადატვირთვა) და ამ ავტომობილების დათვალიერებას, - ეს ოპერაციები შესაძლებელია განხორციელდეს ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებულ საბაჟო საწყობში, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მომსახურების მაღალი სტანდარტი, კერძოდ: კეთილმოწყობილი მოსაცდელი დარბაზი, ინტერნეტთან წვდომით (WiFi), სველი წერტილებით (მ.შ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის), მუდმივი (უწყვეტი) ვიდეოკონტროლით; 24-საათიანი საბანკო მომსახურებისათვის პირობების შექმნა (რამდენიმე ბანკი, ბანკომატები, ელექტრონული ჩარიცხვის აპარატები); 24-საათიანი საინფორმაციო ცენტრი (სატელეფონო მომსახურებით), კონტეინერების გახსნის შესახებ საინფორმაციო ვებგვერდი (კონტეინერების დამუშავების განრიგის შესახებ ინფორმაციისათვის); სასურველია საწყობიდან არაუმეტეს 50 მ-ში კვების ობიექტ(ებ)ის არსებობა; კეთილმოწყობილი მოსაცდელი დარბაზი, ინტერნეტთან წვდომით (WiFi), სველი წერტილებით (მ.შ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის), მუდმივი (უწყვეტი) ვიდეოკონტროლით; 24-საათიანი საბანკო მომსახურებისათვის პირობების შექმნა (რამდენიმე ბანკი, ბანკომატები, ელექტრონული ჩარიცხვის აპარატები); 24-საათიანი საინფორმაციო ცენტრი (სატელეფონო მომსახურებით), კონტეინერების გახსნის შესახებ საინფორმაციო ვებგვერდი (კონტეინერების დამუშავების განრიგის შესახებ ინფორმაციისათვის); სასურველია საწყობიდან არაუმეტეს 50 მ-ში კვების ობიექტ(ებ)ის

არსებობა; იზოლირებული, კეთილმოწყობილი სასაწყობე ინფრასტრუქტურა – კონტეინერში ავტომობილთან ერთად განთავსებული საქონლის დასაწყობებისათვის, აღჭურვილი შესაბამისი სათავსებით/სტელაჟებით და ვიდეოკონტროლის სისტემით და ა.შ.[27]

საქონლის შემოტანისას ზოგადი დეკლარირებისას, ასევე ზემოთ აღნიშნული გარდა საჭიროებისამებრ დამატებით წარედგინება: თუ საქონლის შემოტანა ექვემდებარება ნებართვას, სერტიფიცირებას ან სხვა შეზღუდვებს – ქვემოთ ჩამოთვლილიდან შესაბამისი დოკუმენტი: ა.ა) ნებართვა: ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტის ნებართვა; ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა; ა.ა.გ) ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვა; ნარჩენების იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა; ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა; რადიოაქტიური მასალების, ნედლეულის, რომლებიდანაც შესაძლებელია ბირთვული მასალის მიღება ან წარმოება, დანადგარების, რომლებიც შეიცავს რადიოაქტიურ ნივთიერებებს, ბირთვული ტექნოლოგიების ან ნოუ-ჰაუს იმპორტი, ექსპორტი, აგრეთვე რადიოაქტიური წყაროების ექსპორტის, იმპორტის და ტრანზიტის ნებართვა; „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორის და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების,

---

[27] სრულად იხ. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის #455 დადგენილება „საბაჟო საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, https://matsne.gov.ge/ka/document/download/4657414/4/ge/pdf, ასევე, ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021, 852-882; ხარაზი ი; საერთაშორისო საბაჟო სამართალი, 2013; ხარაზი, ი; საბაჟო სამართალი, მესამე გადამუშავებული გამოცემა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, https://www.sou.edu.ge, თბილისი, 2019; ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, თბილისი, 2007; ხარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2014; ჯგერენაია ე; საბაჟო ტექნოლოგიის საფუძვლები, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2002.

მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვა; სამოქალაქო იარაღის, ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ელემენტების, საბრძოლო მასალის და საბრძოლო მასალის ძირითადი ელემენტების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტის ნებართვა; სამხედრო პროდუქციის იმპორტის ნებართვა; სამხედრო პროდუქციის ტრანზიტის ნებართვა; ა.ა.ლ) უცხო ქვეყნის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან პირთა ვიზიტის დროს მათ თანმხლებ პირთა მიერ იარაღისა და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის ნებართვა; საქართველოს მოქალაქის მიერ სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან/და გაზის (აირის) იარაღის, მისი/მათი ძირითადი ელემენტების ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის ან საქართველოდან გატანის (გარდა ტრანზიტისა და რეექსპორტისა) ნებართვა; უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ სანადირო ან სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის და საქართველოდან გატანის ნებართვა; სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტის ან ექსპორტის ნებართვა; ორმაგი დანიშნულების პროდუქციის იმპორტის ნებართვა; ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ტრანზიტის ნებართვა და ა.შ[28].

ზემოთაღნიშნული დოკუმენტების წარდგენა სავალდებულო არ არის: საგანგებო სიტუაციების შედეგებზე რეაგირებისთვის, ან წვრთნების ჩასატარებლად, ან მილსადენსა და ელექტროგადამცემ ხაზებზე ავარიის პრევენციის მიზნით პროფილაქტიკური და სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურისათვის განკუთვნილი საქონლის ან დროებით შემოტანის პროცედურისათვის განკუთვნილი შესაბამისი ტექნიკის

[28] სრულად იხ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე “, ინსტრუქცია „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ“ (დანართი №5);
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=62

სახით საქონლის შემოტანისას; საგანგებო მდგომარეობის მოქმედების დროს საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების, დროებით შემოტანის ან ექსპორტის პროცედურის ან რეექსპორტის გამოყენებისას.

იმ შემთხვევაში კი: თუ საქონელს არ ახლავს ზოგადი დეკლარირებისათვის აუცილებელი დოკუმენტები, საბაჟო ორგანოს წარედგინება:

- ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) ოპერაციის ფარგლებში სამხედრო წვრთნების მიზნებისათვის შემოტანილ საქონელზე – ამავე ორგანიზაციის სტანდარტიზაციის სააგენტოს მიერ „ეროვნულ საზღვრებზე გადაადგილების პროცედურებთან დაკავშირებით“ 2005 წელს მიღებული შეთანხმებით განსაზღვრული „ფორმა 302“;
- ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) ოპერაციის ფარგლებში საგანგებო სიტუაციების შედეგებზე რეაგირებისათვის წვრთნების მიზნებისათვის შემოტანილ საქონელზე – ამავე ორგანიზაციის „კატასტროფებზე რეაგირების ევროატლანტიკური ჯგუფის სტანდარტული საოპერაციო პროცედურებით“ გათვალისწინებული „საზღვრის კვეთის ფორმები“;
- სხვა საქონელზე – ინფორმაცია საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების შესახებ. (ზემოთ აღნიშნული ინსტრუქციის დანართი №5-04).

დანართი №5-04

ინფორმაცია საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების შესახებ

1. დეკლარანტი (სახელი, გვარი, პასპორტის ან მართვის მოწმობის მონაცემები) ----------
---

2. ექსპორტიორი ----------
---

3. იმპორტიორი ----------
---

4. გამგზავნი ქვეყანა ----------
5. დანიშნულების ქვეყანა ----------
6. სატრანსპორტო საშუალება დასახელება, სახ. ნომერი) ----------

---

---

7. ინფორმაცია საქონლის შესახებ:

№	საქონლის დასახელება	რაოდენობა	შენიშვნა

8. შევსების თარიღი: „-------“ „----------“ „----------“.
9. დეკლარანტის ხელმოწერა: ----------
10. საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერა: ----------

ბ.ა. ბ.ა.
(ასეთის არსებობის შემთხვევაში).

A. დასამახსოვრებელი დებულებები!

საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე საბაჟო ორგანოს უნდა წარედგინოს საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაცია.

ზოგად დეკლარირებას არ ექვემდებარება მილსადენით ან ელექტროგადამცემი ხაზით საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონელი; საჰაერო ან საზღვაო სატრანსპორტო საშუალება და ამ სატრანსპორტო საშუალებით საქართველოს ტერიტორიული წყლების ან საქართველოს საჰაერო სივრცის გავლით, გაჩერების გარეშე გადაზიდული საქონელი; საქონელი, რომელზედაც წარდგენილია საბაჟო დეკლარაცია; საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული საქონელი.

ზოგადი დეკლარირება ნიშნავს საქონელზე იმ ზოგადი მონაცემების წარდგენას, რომლებიც აუცილებელია საბაჟო ზედამხედველობის, საბაჟო კონტროლისა და საბაჟო ფორმალობების განხორციელებისათვის.

„აბრევიატურა TIR (Transports International Routiers) ნიშნავს - საერთაშორისო საგზაო გადაზიდვებს“...

B. კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის:

როდის უნდა წარედგინოს საბაჟო ორგანოს ზოგადი დეკლარაცია?
ვინ ახორციელებს ზოგად დეკლარირებას?
როგორი საქონელი არ ექვემდებარება ზოგად დეკლარირებას?
რას ნიშნავს „აბრევიატურა TIR?
როდის გამოიყენება ATA-კარნეტი?
რას ნიშნავს „აბრევიატურა TIR (Transports International Routier)“?
ახსენით საბაჟო დათვალიერების არსი.

C. ტესტები:

1. საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე საბაჟო ორგანოს უნდა წარედგინოს:

ა. საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაცია

ბ. მხოლოდ სატვირთო დეკლარაცია

გ. მხოლოდ სასაქონლო დეკლარაცია

დ. მხოლოდ საბაჟო დეკლარაცია.

2. ზოგად დეკლარირებას არ ექვემდებარება:

ა. მილსადენით ან ელექტროგადამცემი ხაზით საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონელი

ბ. საჰაერო ან საზღვაო სატრანსპორტო საშუალება და ამ სატრანსპორტო საშუალებით საქართველოს ტერიტორიული წყლების ან საქართველოს საჰაერო სივრცის გავლით, გაჩერების გარეშე გადაზიდული საქონელი

გ. საქონელი, რომელზედაც წარდგენილია საბაჟო დეკლარაცია

დ. მილსადენით ან ელექტროგადამცემი ხაზით საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონელი; საჰაერო ან საზღვაო სატრანსპორტო საშუალება და ამ სატრანსპორტო საშუალებით საქართველოს ტერიტორიული წყლების ან საქართველოს საჰაერო სივრცის გავლით, გაჩერების გარეშე გადაზიდული საქონელი; გ. საქონელი, რომელზედაც წარდგენილია საბაჟო დეკლარაცია; საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებული საქონელი.

3. ვინ უნდა წარადგინოს საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაცია?

ა. საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაცია გადამზიდავმა უნდა წარადგინოს

ბ. მხოლოდ იმპორტიორმა

გ. მხოლოდ საქონლის დამსაწყობებელმა

დ. საქონლის დროებითი გადამუშავების ოპერაციის გამომყენებელმა.

4. რა მიზანია აქვს ATA კარნეტის სისტემას?

ა. მისი მიზანი უპირველესად საქონლის დროებითი შემოტანის პროცედურების გამარტივება

ბ. მისი მიზანი უპირველესად საქონლის იმპორტის პროცედურების გამარტივება

გ. მისი მიზანი უპირველესად საქონლის ექსპორტის პროცედურების გამარტივება

დ. მისი მიზანი უპირველესად საქონლის დასაწყობების პროცედურების გამარტივება.

5. როგორი ვალდებულებები ეკისრება გადამზიდველს TIR-კარნეტით სარგებლობისას?

ა. TIR - კარნეტის გამოყენებით გადამზიდველი პასუხისმგებლობას იღებს წარუდგინოს ტვირთი საბაჟო ორგანოს დანიშნულების პუნქტში

ბ. TIR - კარნეტის გამოყენებით გადამზიდველი პასუხისმგებლობას იღებს წარუდგინოს ტვირთი საბაჟო ორგანოს დანიშნულების პუნქტში, ან გადაიბადოს ტვირთთან დაკავშირებული ყველა ბაჟი, გადასახადი, პენია და ჯარიმა, თუ კარნეტი სწორად არ არის დახურული

გ. TIR - კარნეტის გამოყენებით გადამზიდველი პასუხისმგებლობას იღებს გადაიბადოს ტვირთთან დაკავშირებული ყველა ბაჟი

დ. გადასახადი, პენია და ჯარიმა, თუ კარნეტი სწორად არ არის დახურული.

6. საქონლის შემოტანის ზოგად დეკლარაციაში ცვლილების შეტანა დაუშვებელია, თუ:

ა. საბაჟო ორგანომ საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის წარმდგენს შეატყობინა ამ დეკლარაციით დეკლარირებული საქონლის შემოწმების განზრახვის შესახებ; საბაჟო ორგანომ დაადგინა დეკლარირებული მონაცემების მცდარობა; საქონელი წარედგინა საბაჟო ორგანოს

ბ. საბაჟო ორგანომ საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის წარმდგენს შეატყობინა ამ დეკლარაციით დეკლარირებული საქონლის შემოწმების განზრახვის შესახებ

გ. საბაჟო ორგანომ დაადგინა დეკლარირებული მონაცემების მცდარობა

დ. საქონელი წარედგინა საბაჟო ორგანოს.

D. გამოყენებული ლიტერატურა:

ბარაზი ი; საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 202

ბარაზი, ი; საბაჟო სამართალი, მესამე გადამუშავებული გამოცემა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, https://www.sou.edu.ge, თბილისი, 2019

ბარაზი ი; საერთაშორისო საბაჟო სამართალი, თბილისი, 2013

ბარაზი ი; საბაჟო სამართალი, თბილისი, 2007

ბარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2014

ჯგერენაია ე; საბაჟო ტექნოლოგიის საფუძვლები, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2002

ამილახვარი ზ; საბაჟო სამართალი, თბილისი, 2007

ურიდია გონერ, რუხაია ფრიდონ, არახამია მერაბ, საბაჟო გაფორმება TIR და ATA (CPD) კარნეტის პრინციპებით, თბილისი, 2004

სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, სახელშეკრულებო სამართალი, http://www.gccc.ge/წიგნი-მესამე/კერძო-ნაწილი/კარი-i-სახელშეკრულებო-სამ/თავი-xii-გადაზიდვა-გადაყვან/i-გადაზიდვის-ხელშეკრულება

E. საერთაშორისო აქტები:

სეულის მსოფლიო საფოსტო კონვენცია,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208332

F. საკანონმდებლო აქტები:

საქართველოს საბაჟო კოდექსი,
https://www.matsne.gov.ge/document/view/4598501?publication=5

საქართველოს საგადასახადო კოდექსი,
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=182

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი,
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=116

საქართველოს 1997 წლის საზღვაო კოდექსი,
https://www.matsne.gov.ge/document/view/29908?publication=34

საქართველოს 1999 წლის კანონი „სასაქონლო ბირჟებისა და საბირჟო ვაჭრობის შესახებ“,
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/11854?publication=6

საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1053519?publication=0

G. კანონქვემდებარე აქტები:

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის #455 დადგენილება „საბაჟო საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანიობის ნებართვების გაცემის წესების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, https://matsne.gov.ge/ka/document/download/4657414/4/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე “,

ინსტრუქცია „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ" (დანართი №5);
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=62

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის #275 ბრძანება „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის #644 ბრძანება „სახელმწიფო სექტორში რისკის მართვის სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე",
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1546971?publication=0

ინსტრუქცია „გარანტიის შესახებ" (დანართი #4), https://www.rs.ge/Media/Default/კანონმდებლობა/კანონები/257%20დანართი%204.pdf

„ინსტრუქცია საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ" {დანართი №8}; https://www.rs.ge/Media/Default/კანონმდებლობა/კანონები/257%20დანართი%208.pdf

თავი II. საქონლის შემოტანა და დროებითი შენახვა

1. საქონლის შემოტანა და დროებითი შენახვა. საზღვაო ან საჰაერო ხომალდის შემოსვლის შესახებ შეტყობინება

საქონლის შემოტანა და დროებითი შენახვა. საზღვაო ან საჰაერო ხომალდის შემოსვლის შესახებ შეტყობინება. როგორც წინა პარაგრაფში აღინიშნა, საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის მომენტიდან ექვემდებარება საბაჟო ზედამხედველობას და, შესაბამისად, სავალდებულოა მისი წარდგენა საბაჟო კანომდებლობით დადგენილი წესით[29]. მაგრამ ეს ვალდებულება არ ვრცელდება საზღვაო ან საჰაერო სატრანსპორტო საშუალებით საქართველოს ტერიტორიული წყლების ან საჰაერო სივრცის გავლით გაჩერების გარეშე გადაადგილებულ საქონელზე.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის წარდგენა ხდება: საერთაშორისო ნაოსნობისათვის გახსნილ საზღვაო პორტებში – სატვირთო მანიფესტის წარდგენით, ხოლო კონტეინერით გადაადგილებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების შემოტანისას – აგრეთვე საბაჟო ორგანოს მიერ შერჩეულ საბაჟო-კონტროლის ზონაში (საბაჟო გამშვები პუნქტი, გაფორმების ეკონომიკური ზონა, საბაჟო ორგანოს საწყობი, ან კიდევ, ხოლო ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საბაჟო საწყობი) საქონლის ფაქტობრივი განთავსებით; საერთაშორისო აეროპორტებში – სატვირთო მანიფესტისა და ბარგის 15 წუთში ფაქტობრივი წარდგენით.

ინსტრუქციის „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ" მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულია: საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ფოთის პორტის გავლით შემოტანილი კონტეინერით გადაადგილებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების დათვალიერება შესაძლებელია განხორციელდეს ფოთის მუნიციპა-

---

[29] იხ. ინსტრუქცია საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ (დანართი #5), მ. 1.

ლიტეტის ტერიტორიაზე განლაგებულ საბაჟო საწყობში, რომელიც აკმაყოფილებს „საბაჟო საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესებისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებულ პირობებს.

აღნიშნულის შესახებ საუბარი გვქონდა წინა პარაგრაფში და ამ შემთხვევაში მის განვრცობას არ შევეცდებით.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის საბაჟო გამშვებ პუნქტში ან საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ან მასთან შეთანხმებულ ნებისმიერ სხვა ადგილზე წარდგენის ვალდებულება აქვს:

- პირს, რომელმაც საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოიტანა;
- პირს, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემომტანი პირის სახელით ან დავალებით მოქმედებს (ეს პირი შეიძლება იყოს საქონლის მესაკუთრის წარმომადგენელი);
- პირს, რომელმაც საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის შემდეგ აიღო მისი გადაზიდვის პასუხისმგებლობა.

როგორც წინა პარაგრაფში აღინიშნა, საქონლის შემოტანისას საზღვაო ან საჰაერო ტრანსპორტით ზოგადი დეკლარირებას ახორციელებს: საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემომტანი ან საქონლის ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელი პირი; საქონლის მესაკუთრე/მიმღები ან მისი წარმომადგენელი; პირი, რომელსაც შეუძლია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის საბაჟო გამშვებ პუნქტში წარდგენა ან რომელმაც წარადგინა იგი აღნიშნულ პუნქტში.

საქონლის შემოტანისას ზოგადი დეკლარირება ხორციელდება ელექტრონულად ან წერილობით, შემდეგი დოკუმენტების წარდგენით:

- საზღვაო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – კონოსამენტი;
- საჰაერო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – ავიაზედნადები.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ფოთის პორტის გავლით შემოტანილი კონტეინერით გადაადგილებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების დათვალიერება შესაძლებელია განხორციელდეს ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებულ საბაჟო საწყობში, რომელიც აკმაყოფილებს „საბაჟო საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესებისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებულ პირობებს.

ამ შემთხვევაში საუბარია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის #455 დადგენილებაზე „საბაჟო საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, რომლის შესახებაც საუბარი იყო წინა პარაგრაფში და მის განკრიბობას ამ პარაგრაფში აღარ მოვახდენთ.

საზღვაო ან საჰაერო ხომალდის ოპერატორმა, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოდის, საბაჟო ორგანოს ამ ხომალდის შემოსვლის შესახებ უნდა შეატყობინოს მისი შემოსვლისთანავე. თუ საზღვაო ან საჰაერო ხომალდის შემოსვლის შესახებ ინფორმაცია საბაჟო ორგანოსთვის ხელმისაწვდომია, მან შეიძლება არ მოითხოვოს ამ ინფორმაციის შეტყობინება.

საზღვაო ხომალდის ოპერატორი – საზღვაო ხომალდის მფლობელი ან მენეჯერი ან პირი, რომელსაც საზღვაო ხომალდის მფლობელმა დააკისრა ხომალდის მართვის პასუხისმგებლობა და რომელმაც ამ პასუხისმგებლობის აღებისას განაცხადა თანხმობა, შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება და იკისროს სათანადო პასუხისმგებლობა.

საზღვაო ან საჰაერო ხომალდის შემოსვლის შესახებ შეტყობინებლად საბაჟო ორგანოს თანხმობით შეიძლება გამოყენებულ იქნეს პორტის ან აეროპორტის შესაბამისი სისტემა ან ინფორმაციის გადაცემის სხვა საშუალება.

საბაჟო კოდექსის 69-ე საკომენტარო მუხლით („საზღვაო ან საჰაერო ხომალდის შემოსვლის შესახებ შეტყობინება“) გათვალისწინებული ინფორმაციის შეტყობინების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული

ინსტრუქციით: (დანართი №1) „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“ . აღნიშნული ინსტრუქციის მე-4 მუხლის („საზღვაო ხომალდის შემოსვლის შესახებ შეტყობინება“) თანახმად: *საზღვაო ხომალდის ოპერატორმა, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოსვლისთანავე, საბაჟო ორგანოს უნდა შეატყობინოს ამ ხომალდის შემოსვლის შესახებ. საზღვაო ხომალდის ოპერატორი/აგენტი/კაპიტანი ვალდებულია:*

- *ა) საქართველოს საზღვაო ნავსადგურში საზღვაო ხომალდის შემოსვლამდე საბაჟო ორგანოს წარუდგინოს:*
  - *ა.ა) გენერალური დეკლარაცია;*
  - *ა.ბ) დეკლარაცია ტვირთის შესახებ;*
  - *ა.გ) დეკლარაცია გემის მარაგის შესახებ;*
  - *ა.დ) დეკლარაცია ეკიპაჟის პირადი ნივთების შესახებ;*
  - *ა.ე) ეკიპაჟის განრიგი;*
  - *ა.ვ) მგზავრთა სია;*
  - *ა.ზ) დეკლარაცია სახიფათო ტვირთების შესახებ;*
  - *ა.თ) შეტყობინება, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:*
  - *ა.თ.ა) საზღვაო ხომალდის დასახელება და დროშა;*
  - *ა.თ.ბ) საზღვაო ხომალდის IMO ნომერი;*

IMO-ს A.1070(28) რეზოლუცია – საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის 2013 წლის 04 დეკემბრის რეზოლუცია საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის დოკუმენტების იმპლემენტაციისათვის დროშის სახელმწიფოს დასაბმარებლად შემუშავებული სახელმძღვანელოს შესახებ[30].

საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO, French: *ორგანიზაციის საზღვაო Internationale*; ცნობილია, როგორც სამთავრობათშორისო საზღვაო საკონსულტაციო ორგანიზაცია არის სპეციალიზებული სააგენტოს გაერთიანებული ერების მომწესრიგებელ გადაზიდვა. IMO შეიქმნა 1948 წელს ჟენევაში გაეროს კონფერენციაზე შეთანხმების შემდეგ და შეიქმნა ათი წლის

---

[30] იხ. საზღვაო კოდექსი, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 1 ივნისის №342 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – „საქართველოს დროშით მცურავ გემებზე ეკიპაჟის მინიმალური უსაფრთხო რაოდენობით დაკომპლექტების შესახებ“ დამტკიცების თაობაზე“, http://extwprlegs1.fao.org/docs/pdf/geo200817.pdf, ასევე იხ. საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) ასამბლეის 30 ნოემბრის A 104 (27) რეზოლუცია - ეკიპაჟის მინიმალური უსაფრთხო რაოდენობით დაკომპლექტების პრინციპების უზრუნველსაყოფად ეკიპაჟის დაკომპლექტების პრინციპები“.

შემდეგ, პირველად შედგა 1959 წელს. MO–ს ძირითადი მიზანია შეიმუშაოს და შეინარჩუნოს გადაზიდვის მარეგულირებელი ყოვლისმომცველი ჩარჩო და მისი ამოცანა დღეს მოიცავს საზღვაო უსაფრთხოებას, გარემოსდაცვით საკითხებს, სამართლებრივ საკითხებს, ტექნიკურ თანამშრომლობას, საზღვაო უსაფრთხოებას და გადაზიდვის ეფექტურობას. IMO მართავს წევრთა ასამბლეას და ფინანსურად მართავს ასამბლეიდან არჩეული წევრების საბჭო. IMO- ს მუშაობა ხორციელდება ხუთი კომიტეტის საშუალებით და მათ მხარს უჭერს ტექნიკური ქვეკომიტეტები. გაეროს სხვა ორგანიზაციებს შეუძლიათ დააკვირდნენ IMO-ს პროცესს. დამკვირვებლის სტატუსი ენიჭება კვალიფიციურ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

IMO მხარს უჭერს თანამშრომელთა მუდმივმოქმედი სამდივნო, რომლებიც ორგანიზაციის წევრების წარმომადგენლები არიან. სამდივნო შედგება გენერალური მდივნისაგან, რომელსაც პერიოდულად ირჩევს ასამბლეა და სხვადასხვა განყოფილებები, როგორიცაა საზღვაო უსაფრთხოების, გარემოს დაცვისა და კონფერენციის განყოფილება.

მთავრობათაშორისი საზღვაო საკონსულტაციო ორგანიზაცია (IMCO) შეიქმნა იმისთვის, რომ გადაეყვანა საზღვაო გადაზიდვების უსაფრთხოების რეგულაცია საერთაშორისო ჩარჩოებში, რისთვისაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის შესაძლებლობა იყო. აქამდე ასეთი საერთაშორისო კონვენციები იწყებოდა ნაწილობრივ, განსაკუთრებით სიცოცხლის უსაფრთხოების ზღვაზე კონვენცია (SOLAS), რომელიც პირველად მიიღეს 1914 წელს ტიტანიკის_კატასტროფის შემდეგ. IMCO–ს პირველი ამოცანა იყო ამ კონვენციის განახლება; შედეგად მიღებული 1960 წლის კონვენცია შემდგომში გადაკეთდა და განახლდა 1974 წელს და ეს არის ის კონვენცია, რომელიც შემდგომში შეიცვალა და განახლდა უსაფრთხოების მოთხოვნებისა და ტექნოლოგიის ცვლილებებთან ადაპტირების მიზნით.

როდესაც IMCO–მ დაიწყო მუშაობა 1959 წელს, მისი ეგიდის ქვეშ მოექცა რამდენიმე სხვა არსებული კონვენცია, განსაკუთრებით აღსანიშნავია საერთაშორისო კონვენცია ნათობით ზღვის დაბინძურების პრევენციის შესახებ (OILPOL) 1954. ახლადშექმნილი IMCO–ს პირველი შეხვედრები გაიმართა ქ. ლონდონი 1959 წელს.[11] მთელი თავისი არსებობის განმავლობაში IMCO, რომელიც მოგვიანებით დაერქვა IMO 1982 წელს, განაგრძობს ახალი და განახლებული კონვენციების წარმოებას საზღვაო საკითხების ფართო სპექტრში, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ სიცოცხლის უსაფრთხოებას და ზღვის დაბინძურებას, არამედ მოიცავს უსაფრთხო ნავიგაციას, ძებნას და გადარჩენა, ნანგრევების მოხსნა, ტონის გაზომვა, პასუ-

ხისმგებლობა და კომპენსაცია, გემების გადამუშავება, მეზღვაურთა სწავლება და სერტიფიცირება და მეკობრეობა. სულ ახლახანს SOLAS შეიცვალა, რათა მეტი ყურადღება გაამახვილოს საზღვაო უსაფრთხოებაზე საერთაშორისო გემებისა და ნავსადგურების უსაფრთხოება (ISPS) კოდი. IMO-მ ასევე გაამახვილა ყურადღება გემებიდან კვამლის გამონაბოლქვზე.

IMO- ს წევრი რომ გახდეს, სახელმწიფო რატიფიცირებას უკეთებს მრავალმხრივ ხელშეკრულებას, რომელიც ცნობილია როგორც კონვენცია საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის შესახებ[31].

- *ა.თ.გ) საზღვაო ხომალდის მფლობელის დასახელება;*
- *ა.თ.დ) გამოსვლის ნავსადგური (ბოლო ნავსადგური, რომელშიც შევიდა, რეწვის რაიონი);*
- *ა.თ.ე) მგზავრთა რაოდენობა;*
- *ა.თ.ვ) ტვირთმიმღების და ტვირთგამგზავნის დასახელება/სახელი და საკონტაქტო მონაცემები;*
- *ა.თ.ზ) მოთხოვნილება საწვავზე (ბუნკერი), სასმელ წყალზე, მომარაგებაზე, დამხმარე ოპერაციებზე;*

• *ბ) საქართველოს საზღვაო ნავსადგურში საზღვაო ხომალდის შემოსვლამდე ან შემოსვლისას საბაჟო ორგანოს წარუდგინოს საზღვაო ხომალდის შესვლა – გამოსვლის ბოლო 10 ნავსადგურის შესახებ ინფორმაცია.*

ზემოთ აღნიშნული „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია წარედგინება:

• *ა) მინიმუმ 24 საათით ადრე ნავსადგურში შესვლამდე, ან*

• *ბ) თუ საზღვაო ხომალდის გამოსვლის ნავსადგურიდან საქართველოს ნავსადგურამდე დარჩენილია 24 საათზე ნაკლები, პირველივე შესაძლებლობისთანავე, ან*

• *გ) თუ წინასწარ უცნობია ჩასვლის ნავსადგური ან შეიცვალა უშუალოდ მოძრაობის პერიოდში აღნიშნული ინფორმაციის მიღებისთანავე.*

უნდა აღინიშნოს, რომ „საბაჟო ტექნოლოგიის პროცესი, ეს არის სწორი საბაჟო დოკუმენტი და საბაჟო დოკუმენტბრუნვა... დოკუმენტი ძირითადად ეს არის საწყისი, ამოსავალი სუბსტანცია, საბაჟო ქმედების ჩატარებისა და ძირითადი მასალა იმისათვის, რომ ჩვენ საბაჟო პოლიტიკა განვახორციელოთ“. ერთ-ერთი მთავარი ამ შემთხვევაში არის დოკუმენტები, რომლებიც თან ახლავს ტვირთს,

[31] საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია, https://wikipredia.net/ka/International_Maritime_Organization

ანუ ტვირთის პირველადი დოკუმენტები. დოკუმენტები სრულპუ-ლოზულად, დეტალურად უნდა შემოწმდეს.

საზღვაო ხომალდის აგენტი ვალდებულია: გადასცეს შესა-ბამისი შეტყობინება საბაჟო ორგანოს; უცხოეთისა და საქართველოს სანაოსნოს კუთვნილი საერთაშორისო ნაოსნობისათვის განკუთვ-ნილი გემების საქართველოს ნავსადგურში შემოსვლა საბაჟო გამშვებ პუნქტს შეატყობინოს **72 საათით ადრე** და აუცილებლად დაადასტუ-როს **48 და 24 საათით ადრე**, ხოლო საზღვაო ხომალდის ნავსად-გურში შესვლამდე **არა უგვიანეს 2 საათისა** საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილ თანამშრომელს წარუდგინოს საზღვაო ხომალდის ეკიპაჟის განრიგი დადგენილი წესით და ოფიციალური შეკვეთა კომისიის დაწყებაზე. იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკური მიზეზების გამო შეუძლებელია დადგენილი წესით ეკიპაჟის განრიგის წარმო-დგენა, გამონაკლისის სახით დასაშვებია აღნიშნული დოკუმენტის წარდგენა კომისიის მოწყობისას. სახიფათო ტვირთის მოსალოდნელ გადამუშავებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სამუშაოს შესახებ, ნავსადგურის ადმინისტრაცია წინასწარ, ტვირთის ნავსადგურში შეტანამდე აცნობებს საბაჟო ორგანოს[32].

საზღვაო ხომალდის აგენტი *– საზღვაო ხომალდის ოპერატორის მიერ უფლებამოსილი პირი, რომელიც უფლებამოსილია აწარმოოს საზღვაო ხომალდის შესახებ ინფორმაციის მიმოცვლა.*

2. საბაჟო ზედამხედველობა

საბაჟო ზედამხდეველობის პროცედურებს ძირითადად არე-გულირებს **საბაჟო კოდექსი (მ.10) და ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანებით „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადა-ადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების**

[32] სრულად იხ. ინსტრუქცია საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ (დანართი №1), https://www.rs.ge/Media/Default/კანონმდებლობა/კანონები/257%20დანართი%201.pdf

თაობაზე“ დამტკიცებული ინსტრუქცია *(დანართი №3)* საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“.

საბაჟო სამართლის დამხმარე სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში[33] საუბარი იყო საბაჟო სისტემის ფუქციონირებაზე, ასევე, როგორ ასრულებს იგი თავის ვალდებულებებს სხვადასხვა მიმართულებით და განხილულ იქნა ავტორის მიერ მთელი რიგი პრაქტიკული ასპექტები. საბაჟო სამართლის დამხმარე სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში კი განვიხილავთ უშუალოდ იმ პროცედურულ საკითხებს, როგორიცაა: სპეციალური ოპერაციების გამოყენება და მასთან დაკავშირებული პრაქტიკული მაგალითები, საბაჟო ზედამხედველობა და საბაჟო კონტროლი და ა.შ.

საბაჟო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი შემოტანისთანავე ექვემდებარება საბაჟო ზედამხედველობას და შეიძლება დაექვემდებაროს საბაჟო კონტროლის პროცედურებს. საჭიროების შემთხვევაში შემოტანილი საქონელი ექვემდებარება ისეთ აკრძალვებსა და შეზღუდვებს, რომლებიც, სხვა დანარჩენთან ერთად, ეფუძნება საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ეროვნული ინტერესებისა და საზოგადოებრივი ზნეობის დაცვის, ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობის ან მცენარის სიჯანსაღისა და სიცოცხლის დაცვის, ხელოვნების ნიმუშისა და ისტორიული და არქეოლოგიური ღირებულების მქონე ეროვნული სიმდიდრის დაცვისა და ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული ქონების დაცვის აუცილებლობას, პრეკურსორის, ფსიქოტროპული ნივთიერებისა და ფსიქოაქტიური ნივთიერების, ინტელექტუალური საკუთრების უფლების დამრღვევის შემთხვევებს საქონლისა და ფულადი სახსრების კონტროლის ჩათვლით. საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული საქონელი ექვემდებარება აგრეთვე თევზსარეწების კონსერვაციისა და მართვის ღონისძიებებს და ეკონომიკური პოლიტიკის სხვა ღონისძიებებს.

---

[33] ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, დამხმარე სახემძღვანელო, პირველი ნაწილი, 2021.

საქონელი მისი საბაჟო სტატუსის განსაზღვრამდე რჩება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ და საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე მისი საბაჟო ზედამხედველობიდან გატანა ან განკარგვა არ შეიძლება.

ინსტრუქციის „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“ (დანართი №3), 1-ლი მუხლის თანახმად, საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მოქცეული საქონლის მიმართ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებული მოქმედებები და ოპერაციები, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მოქცეული საქონელი უნდა დარჩეს უცვლელ მდგომარეობაში, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთის, ტრანსპორტირების ან შენახვის ნორმალური პირობებისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი დანაკარგებით; ხოლო მიზნობრივი დანიშნულებით პროცედურის გამოყენებისას, საქართველოს საქონელი მისი საბაჟო სტატუსის განსაზღვრის შემდეგ საბაჟო ზედამხედველობას არ ექვემდებარება. უცხოური საქონელი მისი საბაჟო სტატუსის შეცვლამდე, საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანამდე ან განადგურებამდე საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ უნდა დარჩეს.

დამატ. იხ. საბაჟო კოდექსის 141-ე მუხლი („მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურის გამოყენება“), რომლის გამოყენების შესახებაც მიუთითებს საბაჟო კოდექსის საკომენტარო 70-ე მუხლის მე-2 ნაწილი, და რომლის კომენტარსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ; ასევე, საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის მფლობელი საბაჟო ორგანოს თანხმობით ნებისმიერ დროს ამოწმებს საქონელს და იღებს მის სინჯს ან/და ნიმუშს, მათ შორის, საქონლის კლასიფიკაციისთვის, მისი საბაჟო ღირებულების ან საბაჟო სტატუსის განსაზღვრისთვის.

„საქონლის სინჯებისა და ნიმუშების გამოკვლევის/ექსპერტიზის შედეგების შესახებ უნდა ეცნობოს დეკლარანტს ან საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მიმართ სხვა უფლებამოსილ პირებს ან მათ წარმომადგენლებს. სხვა სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების მიერ აღებული სინჯისა და ნიმუშის გამოკვლევის შედეგების შესახებ უნდა ეცნობოს საბაჟო ორგანოს და დეკლარანტს ან საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ

სხვა უფლებამოსილ პირს ან მათ წარმომადგენლებს. გამოკვლევის/ექსპერტიზის დამთავრების შემდეგ საქონლის სინჯები ან/და ნიმუშები უბრუნდება მათ მფლობელს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სინჯები და ნიმუშები კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება განადგურებას ან მათი ნაწილი გახარჯული იქნა გამოკვლევის პროცესში ან როდესაც სინჯებისა და ნიმუშების დაბრუნებასთან დაკავშირებული ხარჯები აღემატება მათ ღირებულებას. ამასთან, საბაჟო ორგანო ვალდებული არ არის აანაზღაუროს სინჯის ან/და ნიმუშის აღებით გამოწვეული დანაკლისი"[34].

თუ საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონელი განადგურდა ან დაზიანდა, საქონლის მფლობელი ვალდებულია საბაჟო ორგანოს დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ და წარუდგინოს საქონლის განადგურების ან დაზიანების უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დამოწმებულია შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ. სხვა შემთხვევაში ეს საქონელი საბაჟო ზედამხედველობიდან უკანონოდ გატანილად მიიჩნევა.

რაც შეეხება ტრანზიტის პროცედურაში მოქცეულ საქონელს, რომელიც დანიშნულების საბაჟო ორგანოს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე წარედგინა, ვრცელდება შემდეგი პროცედურები: „საქონლის გადმოტვირთვა და გახსნა" (მ. 74); „უცხოური საქონლის დროებით შენახვა და დროებით შენახვის დეკლარაცია" (მ.75); „დროებით შენახვის დეკლარაციაში ცვლილების შეტანა ან მისი გათილად ცნობა" (მ.76); „საქონლის დროებით შენახვასთან დაკავშირებული პირობები და მოვალეობები" (მ.77) და „საქონლის დროებითი შენახვის დასრულება" (მ78).

აქვე: ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული „ტრანზიტის პროცედურის შესახებ" ინსტრუქციის (დანართი №7) პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ტრანზიტული გადაადგილების ვადა შეადგენს:

- *ა) საქონლის გადაადგილების შემთხვევაში (გარდა ამ პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) – 20 კალენდარულ დღეს;*
- *გ) სეს ესნ-ის 8702, 8703, 8704, 8711 ან 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალების (აგრეთვე ამ*

[34] ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021, 498.

ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებული, კანონმდებლობით განსაზღვრულ დაუბეგრავ მინიმუმზე მეტი რაოდენობისა და ღირებულების საქონლის) შემთხვევაში – არაუმეტეს 60 კალენდარულ დღეს (ს.13.)

ტრანზიტით გადაადგილებული საქონლის დროებით შენახვის შემთხვევაში, განსაზღვრული 20-დღიანი ვადის დინება ჩერდება საქონლის დროებით შენახვის ვადით და განახლდება დროებით შენახვის დასრულებისთანავე.

აღნიშნული მუხლების კომენტარს ქვემოთ შემოგთავაზებთ.

საბაჟო ზედამხედველობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია მოცემულია ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებაში (დანართი №3), ინსტრუქცია „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ"), რომლის დეტალურ ანალიზსაც ამ პარაგრაფში შეგთავაზებთ.

3. საქონლის განსაზღვრულ ადგილზე გადაზიდვა/გადატანა[35]

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემომტანმა პირმა იგი საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული მარშრუტით დაუყოვნებლივ უნდა გადაზიდოს/გადაიტანოს შესაბამის საბაჟო კონტროლის ზონაში ან საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ან მასთან შეთანხმებულ ნებისმიერ სხვა ადგილზე. ნებისმიერ პირი, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის შემდეგ იღებს მისი გადაზიდვის პასუხისმგებლობას, ეკისრება ვალდებულება საბაჟო ორგანოს მიერ მითითებული მარშრუტით უნდა გადაზიდოს ან კიდევ გადაიტანოს საქონელი საბაჟო კონტროლის ზონაში, ან კიდევ საბაჟო ორგანოს მიერ გამსაზღვრულ სხვა ადგილზე.

საქონელი, რომელიც ჯერ კიდევ უცხო ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე იმყოფება და საქართველოსა და ამ უცხო ქვეყანას შორის გაფორმებული საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე შეიძლება დაექვემდებაროს საქართველოს საბაჟო ორგანოს კონტროლს, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილ საქონლად მიიჩნევა.

---

[35] საბაჟო კოდექსი, მ.71.

ამ შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები საქონლის შემოტანასთან დაკავშირებული პროცედურების საბაჟო ზედამხედველობა და კონტროლი, აგრეთვე საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევები გამოვლენა (საგადასახადო ადმინისტრირება), აღკვეთა და პრევენცია; რისკების კონტროლი, რათა კონტროლს დაქვემდებარებულმა საქონელმა არ შემოაღწიოს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე და სხვ. მაგალითად, შეთანხმება „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის კონტრაბანდისა და საბაჟო წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ", ითვალისწინებს: „მხარეების საბაჟო ადმინისტრაციები საკუთარი ინიციატივით ან მოთხოვნით წარუდგენენ ყველა იმ ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია სინამდვილის დასადგენად: საბაჟო გადასახადების ამოღებისა და სხვა იმპორტის და ექსპორტის გადასახადების და ბაჟის ამოღების შესახებ და განსაკუთრებით იმ ინფორმაციას, რომელიც შესაძლებლობას აძლევს დადგინდეს საქონლის შეფასების სისწორე და მათ სატარიფო კლასიფიკაცია საბაჟო მიზნებისათვის; აკრძალვების და შეზღუდვების შესახებ, რომლებიც გამოიყენება შემოტანის, გატანის და ტრანზიტის დროს; იმ წესების გამოყენების თაობაზე, რომლებიც ადგენს საქონლის წარმოშობას თუ ანალოგიური წესი არ არის გათვალისწინებული სხვა ხელშეკრულებით"[36].

აღნიშნული შეთანხმების თანახმად: ერთი მხარის საბაჟო ადმინისტრაცია მეორე მხარეს მოთხოვნის საფუძველზე მიაწვდის ინფორმაციას: მომთხოვნის სახელმწიფოდან საქონლის გატანის კანონიერების შესახებ მეორე მხარის ტერიტორიაზე შეტანის დროს. მომთხოვნი მხარის ტერიტორიაზე საქონლის შეტანის კანონიერების შესახებ, რომლებიც მეორე მხარის ტერიტორიიდან გატანილია და იმ საბაჟო პროცედურების შესახებ, რაც ამ საქონელმა გაიარა და ა.შ.

როგორც ზემოთაც აღნიშნეთ: საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემომტანმა პირმა, ან ნებისმიერმა პირმა, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის შემდეგ იღებს მისი გადაზიდვის პასუხისმგებლობას, საქონელი დაუყოვნებლივ უნდა გადაზიდოს/გადაიტანოს შესაბამის საბაჟო კონტროლის

---

[36] შეთანხმება „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის კონტრაბანდისა და საბაჟო წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ", მ.4; https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1219001?publication=0

ზონაში ან საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ან მასთან შეთანხმებულ ნებისმიერ სხვა ადგილზე.

საჭიროების შემთხვევაში, საბაჟო ორგანო განსაზღვრავს მარშრუტს, რომლითაც პირმა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე უნდა გადაზიდოს/გადაიტანოს საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება. **ასეთ შემთხვევაში, საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული მარშრუტი მოიცავს:**

- საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების მიმართულებას, ან/და
- დანიშნულების საბაჟო კონტროლის ზონას, ან საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ან მასთან შეთანხმებულ ნებისმიერ სხვა ადგილს.

საბაჟო კონტროლის ზონებს შორის საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილება ხორციელდება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ, ფინანთა მინისტრის №257-ე ბრძანებით დამტკიცებული **„ტრანზიტის პროცედურის შესახებ" ინსტრუქციითა** (დანართი №7) და საკომენტარო ინსტრუქციით „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ" დადგენილი წესით, რომელზედაც ამ პარაგრაფში გვაქვს საუბარი.

რაც შეეხება ინსტრუქციას „ტრანზიტის შესახებ", მასზე დაწვრილებითი კომენტარი სპეციალური ოპერაციების თავში იქნება და მის განვრცობას ამ პარაგრაფში არ შემოგთავაზებთ.

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილება ზე საბაჟო კონტროლი ხორციელდება:

- *საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობით;*

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობით (შემდგომში – მოწმობა) (დანართი №3-01), ხორციელდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილებული ან/და დროებით შენახული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების, ან დროებით შენახული საქონლის, ან დროებით შემოტანილი საქონლის, აგრეთვე საბაჟო გამშვები პუნქტის ან გაფორმების ორგანოს მიერ უკან დაბრუნებული საქონლის საბაჟო კონტროლი და აღრიცხვა, გარდა: ა) მგზავრთა საერთაშორისო გადაყვანისათვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებისა და ასეთი

სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებულ მგზავრთა ბარგისა და ხელბარგისა; ბ) საქონლის გარეშე გადაადგილებული სარკინიგზო ან ავტომატრანსპორტო საშუალებისა; გ) TIR-წიგნაკით გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებისა, გარდა საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებულ საბაჟო საწყობში და საბაჟო საწყობიდან საზღვაო ნავსადგურში გადაადგილებულისა; გ') ATA წიგნაკის გამოყენებით გადაადგილებული საქონლისა; დ) ფოთის/ბათუმის საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებული საბაჟო საწყობის ან გაფორმების ეკონომიკური ზონა „ფოთის"/„ბათუმის" დანიშნულებით, ან ფოთის/ბათუმის საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებული საბაჟო საწყობიდან ან გაფორმების ეკონომიკური ზონა „ფოთიდან"/„ბათუმიდან" ფოთის/ბათუმის საზღვაო ნავსადგურის დანიშნულებით, ან ფოთის/ბათუმის საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებული ერთი საბაჟო საწყობიდან იმავე რადიუსში განლაგებულ მეორე საბაჟო საწყობამდე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებისა, თუ მათი აღრიცხვა და კონტროლი ხორციელდება ამ მრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციებით განსაზღვრული წესით, სპეციალური ელექტრონული კონტროლის საშუალებით; ე) მილსადენი ტრანსპორტით და ელექტროგადამცემი ბაზებით გადაადგილებული საქონლისა; ვ) თავისი სვლით გადაადგილებული ცარიელი ავტოსატრანსპორტო საშუალებისა და ამ სატრანსპორტო საშუალებით ფიზიკური პირის მიერ გადაადგილებული კანონმდებლობით განსაზღვრულ დაუბეგრავ რაოდენობასა და ღირებულებაზე მეტი საქონლისა, აგრეთვე საქონლის გარეშე გადაადგილებული მისაბმელის ან ნახევრად მისაბმელისა, რომელთა აღრიცხვა და კონტროლი ხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვით; ზ) უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საქონლის გარეშე გადაადგილებული, სეს ესხ 8712, 8713 სასაქონლო პოზიციებში შემავალი სატრანსპორტო საშუალებისა (ძრავას გარეშე); თ) თავისუფალ ზონაში შესატანი საქონლისა, როცა ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ხორციელდება თავისუფალი ზონის შესასვლელში განთავსებული საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით; ი) თავისუფალი ზონიდან გასატანი საქონლისა, რომელსაც აღნიშნული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა ხორციელდება თავისუფალი ზონის გასასვლელში განთავსებული საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით; კ) ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციით საქონლის ექსპორტის პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებული ავტოსატრანსპორტო

საბაჟოების; კ) თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში წინასწარ დეკლარირებული საქონლის, რომელსაც, საბაჟო გამშვებ პუნქტში საბაჟო დეკლარაციისათვის „წითელი" ან „ყვითელი" დერეფნის შერჩევის დროს ან საბაჟო დეკლარაციასა და საქონლის თანმხლებ დოკუმენტებში შეუსაბამობისას, აღნიშნული საქონელი ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაადგილდება გაფორმების ორგანოს დანიშნულებით და რომლის აღრიცხვა და კონტროლი ხორციელდება საქონლის საბაჟო დეკლარაციით; ლ) ორ მომიჯნავე საბაჟო კონტროლის ზონას შორის სარკინიგზო ტრანსპორტით გადაადგილებული საქონლის; მ) საბაჟო დეკლარაციის (საფოსტო გზავნილების დეკლარაციის გარდა) წარდგენით ექსპორტში/გარე გადამუშავებაში/საბაჟო საწყობის პროცედურიდან ტრანზიტში დეკლარირებული საქონლის და ავტოსატრანსპორტო საშუალების, რეექსპორტის დეკლარაციის წარდგენით დეკლარირებული საქონლის, აგრეთვე საბაჟო დეკლარაციის წარდგენით ტრანზიტში დეკლარირებული საქართველოდან საზღვარგარეთ გასატანი საყარი საქონლის; ნ) საჰაერო ტრანსპორტით გადაადგილებული საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონლის; ო) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი, საფოსტო გზავნილების წესით დეკლარირებული საფოსტო გზავნილების; პ) საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილ საზღვარ ნავსადგურში განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში (ვაჭრობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების შენახვისათვის განკუთვნილი ტერიტორიის გარდა) ან ამავე ტერიტორიიდან მის მომიჯნავე საბაჟო საწყობში გადაადგილებული საქონლის; ჟ) რკინიგზით გადაადგილებული საქონლის და სატრანსპორტო საშუალების, თუ მათი აღრიცხვა და კონტროლი ხორციელდება რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობით; რ) მარგით ან/და ხელმარგით გადაადგილებული საქონლის, თუ მათი აღრიცხვა და კონტროლი ხორციელდება ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციით.

თუ საზღვარ ნავსადგურის ტერიტორიიდან ან საზღვარ ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებული საბაჟო საწყობიდან სხვა საბაჟო საწყობის ან დროებით შენახვის სხვა ადგილის ან გაფორმების ადგილის დანიშნულებით თავისი სვლით გადაადგილებული ცარიელი ავტოსატრანსპორტო საშუალების შესახებ ინფორმაციის ასახვა ან/და დანიშნულების ადგილზე გამოცხადების დადასტურება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში შეუძლებელია, ამ ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო კონტროლი და აღრიცხვა ხორციელდება მოწმობით.

მოწმობის ელექტრონულად შევსებას, რეგისტრაციას „eCustoms" -ს მეშვეობით და გაცემას ახორციელებს საბაჟო ორგანო. შევსებულ მოწმობას

ენიჭება უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი. საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებული გაფორმების ეკონომიკური ზონის დანიშნულებით გადაადგილებულ საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებაზე მოწმობის შევსება, რეგისტრაცია და საბაჟო კონტროლი ბორციელდება მხოლოდ ელექტრონული ფორმით. მოწმობა შეიძლება შეივსოს ავრეთვე სისტემაში დაშვებული პირის მიერ, რომელიც წარმოადგენს საქონლის შემოტანისას – სასაქონლო პარტიის მიმღებს, საქონლის გატანისას – სასაქონლო პარტიის გამგზავნს, ტრანზიტით გადაადგილებისას – სასაქონლო პარტიის მფლობელს, ხოლო საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებული საბაჟო საწყობის დანიშნულებით ან ამავე რადიუსში მდებარე საბაჟო საწყობიდან საზღვაო ნავსადგურის დანიშნულებით საქონლის გადაადგილებისას, ასევე საერთაშორისო აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული საბაჟო საწყობიდან საქონლის გადაადგილებისას – საწყობის მფლობელს, ან ამ პუნქტში მითითებული პირის წარმომადგენელს[37].

საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების განხორციელების შემთხვევაში, მოწმობა ივსება დათვალიერების შედეგების საფუძველზე. საბაჟო გამშვებ პუნქტში საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების შეუძლებლობის შემთხვევაში, მოწმობა ივსება წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე და ბორციელდება საქონლის გადაადგილება უახლოეს საბაჟო ორგანომდე ან კანონმდებლობით დადგენილ სხვა ადგილამდე (არასაბაჟო ორგანო) დათვალიერების განხორციელების მიზნით. ასეთ შემთხვევაში საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება ეჭვემდებარება იდენტიფიკაციის საშუალებების დადებას და მოწმობის D გრაფის („გამგზავნი საბაჟო ორგანოს კონტროლი") განყოფილებაში „შედეგი" მიეთითება A3. იმ შემთხვევაში, როდესაც ტექნიკური ან სხვა მიზეზის გამო მოწმობის D გრაფაში ვერ ბორციელდება აღნიშნული მითითება, გამოწერილ მოწმობაზე დაისმება დამღა – „ეჭვემდებარება დათვალიერებას".

ერთი მოწმობა გაიცემა მხოლოდ ერთ სასაქონლო პარტიაზე.

მოწმობა წერილობითი ფორმით გაიცემა 2 ეგზემპლარად: პირველი ეგზემპლარი თან მიყვება საქონელს ან/და სატრანსპორტო საშუალებას დანიშნულების საბაჟო ორგანომდე; მეორე ეგზემპლარი რჩება დეკლარანტს ან გადამზიდველს.

---

[37] საბაჟო წარმომადგენლის შესახებ იხ. საბაჟო კოდექსის მ.14; აგრეთვე, ხარაზი ია, საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021, 285-291.

რაც შეეხება მოწმობის გამარტივებულად შევსებას, მოწმობა ივსება გამარტივებულად, როცა საქონელი გადაადგილდება: საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებული საბაჟო საწყობის დანიშნულებით ან ამავე რადიუსში მდებარე საბაჟო საწყობიდან საზღვაო ნავსადგურის დანიშნულებით; საბაჟო გამშვები პუნქტი „სარფიდან" 12 კილომეტრის რადიუსში განთავსებული საბაჟო კონტროლის ზონის (მათ შორის, ტვირთის X-Ray რენტგენული ინსპექტირების სისტემის განთავსების ადგილის ან გაფორმების ეკონომიკური ზონა „ბათუმის") დანიშნულებით ან ამავე რადიუსში მდებარე საბაჟო კონტროლის ზონიდან საბაჟო გამშვები პუნქტი „სარფის" დანიშნულებით; საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებული გაფორმების ეკონომიკური ზონის დანიშნულებით; საბაჟო გამშვები პუნქტი „ყაზბეგიდან" 15 კილომეტრის რადიუსში განთავსებული საბაჟო კონტროლის ზონის (მათ შორის, ტვირთის X-Ray რენტგენული ინსპექტირების სისტემის განთავსების ადგილის) დანიშნულებით ან ამავე რადიუსში მდებარე საბაჟო კონტროლის ზონიდან საბაჟო გამშვები პუნქტი „ყაზბეგის" დანიშნულებით; საბაჟო გამშვები პუნქტი „წითელი ხიდიდან" 2 კილომეტრის რადიუსში განთავსებული სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის (ვეტერინარული, ფიტოსანიტარიული და სურსათის უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის განმხორციელებლების ადგილი) დანიშნულებით.

საქონლის და სატრანსპორტო საშუალების საბაჟო ორგანოში წარდგენის დადასტურება ხდება: ა) დანიშნულების საბაჟო ორგანოს დამლით; ბ) გაფორმების ეკონომიკური ზონის ან საბაჟო გამშვები პუნქტის მიერ ელექტრონული დადასტურებით, იმ შემთხვევაში, როდესაც ფოთის/ბათუმის საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებული გაფორმების ეკონომიკური ზონა „ფოთის"/„ბათუმის" დანიშნულებით, ან ფოთის/ბათუმის საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებული საბაჟო საწყობიდან ან გაფორმების ეკონომიკური ზონა „ფოთიდან"/„ბათუმიდან" ფოთის/ბათუმის საზღვაო ნავსადგურის დანიშნულებით გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვა და კონტროლი ხორციელდება სპეციალური ელექტრონული კონტროლის საშუალებით.

- *რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობით;*

სარკინიგზო გადაზიდვების შემთხვევაში, თუ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების დანიშნულების ადგილზე წარდგენის დადასტურება რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობით ტექნიკური ან სხვა მიზეზის გამო შეუძლებელია, საქონლის დანიშნულების ადგილზე

წარდგენის დადასტურება ხდება რკინიგზის მიერ სარკინიგზო ზედნადებზე გაკეთებული აღნიშვნით (დამღა, ხელმოწერა, თარიღი და დრო). დამოწმებული სარკინიგზო ზედნადების საბაჟო ორგანოსათვის გადაცემის ვალდებულება ეკისრება სარკინიგზო ზედნადებში მითითებულ ტვირთმიმღებს, ხოლო ექსპორტის და გარე გადამუშავების პროცედურების გამოყენებისას, საბაჟო საწყობის, შიდა გადამუშავების ან დროებით შემოტანის პროცედურებში მყოფი საქონლის საბაჟო ტერიტორიიდან რექსპორტით გატანისას, აგრეთვე დროებით შენახვის ადგილიდან საქონლის რექსპორტისას, თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მოქცეული დეფექტური საქონლის ან საქართველოს საქონლის სტატუსჩამორთმეული საქონლის უკან დაბრუნების შემთხვევაში რექსპორტისას – ტვირთგამგზავნს.

ინსტრუქციის საბაჟო ზედამხედველობის შესახებ მე-13 მუხლის თანახმად, „რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობა“), რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობით (შემდგომში – ელექტრონული მოწმობა (დანართი №3–03))[38] ხორციელდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე რკინიგზით გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების (სარკინიგზო ვაგონი/კონტეინერი) საბაჟო კონტროლი და აღრიცხვა.

ელექტრონული მოწმობა ივსება გადასაბადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემის (ORACLE) მეშვეობით ელექტრონულად, საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ.

ერთი ელექტრონული მოწმობა ივსება მხოლოდ ერთ სასაქონლო პარტიაზე, რომელსაც წარმოადგენს ერთი ან რამდენიმე დასახელების საქონელი, გაგზავნილი ერთი გამგზავნის მიერ ერთი მიმღების მისამართით ერთი ხელშეკრულების საფუძველზე, სარკინიგზო ვაგონების/კონტეინერების ერთი შემადგენლობით.

ელექტრონული მოწმობის შევსების მიზნით, რკინიგზა მიმდინარე რეჟიმში აწვდის შემოსავლების სამსახურს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილებულ, საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთის გადამზიდავ სარკინიგზო ვაგონებზე/კონტეინერებზე გაფორმებული საგზაო უწყისების (შემდგომში – უწყისი) შესახებ რკინიგზის მონაცემთა ბაზაში ასახულ შემდეგ მონაცემებს: უწყისის ნომერი; უწყისის სერია; უწყისის გამცემი ქვეყნის კოდი (გზის კოდი); უწყისის ტიპი (სავაგონო,

[38] დანართების ფორმულარები იხ. ინსტრუქციაში „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“.

საკონტეინერო); გამგზავნი რკინიგზის სადგური) დანიშნულების რკინიგზის სადგური; ტვირთის გამგზავნის საიდენტიფიკაციო ნომერი; ტვირთის გამგზავნის დასახელება; ტვირთის მიმღების საიდენტიფიკაციო ნომერი ტვირთის მიმღების დასახელება; ვაგონის ნომერი; კონტეინერის სუფიქსი და ნომერი; კონტეინერის ტარა; ტვირთის ბრუტო წონა; ტვირთის კოდი;) ტვირთის დასახელება; ტვირთის დანიშნულების ადგილზე გამოცხადების შესახებ ინფორმაცია; ტვირთის დანიშნულების ადგილზე გამოცხადების თარიღი; იმ რკინიგზის სადგურის კოდი, რომელიც ახორციელებს ტვირთის დანიშნულების ადგილზე გამოცხადების დადასტურებას.

თავის მხრივ შემოსავლების სამსახური რკინიგზას მიმდინარე რეჟიმში აწვდის გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემაში (ORACLE) ასახულ შემდეგ მონაცემებს: ტვირთის გამომგზავნი ქვეყანა; ტვირთის მიმღები ქვეყანა; საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის კოდი; დეკლარაციის ნომერი (იმ შემთხვევაში, თუ განხორციელებულია წინასწარი დეკლარირება); ტვირთის გამგზავნის დასახელება; ტვირთის მიმღების დასახელება; ტვირთის გამგზავნის საიდენტიფიკაციო ნომერი; ტვირთის მიმღების საიდენტიფიკაციო ნომერი; ტვირთის ბრუტო წონა; ტვირთის ნეტო წონა; ტვირთის დასახელება; ტვირთის კოდი; გამგზავნი საბაჟო ორგანო; დანიშნულების საბაჟო ორგანო; ელექტრონული მოწმობის რეგისტრაციის ნომერი; ტვირთის შესახებ სხვა, ინსტრუქციით გათვალისწინებულ ინფორმაციას, მაგ. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილებული ტვირთის საბაჟო კონტროლზე აყვანის შესახებ ინფორმაციას; საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ტვირთის შემდგომ გადაადგილებაზე უარის შესახებ ინფორმაციას; ტვირთის დროებით შეჩერების შესახებ ინფორმაციას; ტვირთის დანიშნულების ადგილზე გამოცხადების შესახებ ინფორმაციას; ტვირთის დანიშნულების ადგილზე გამოცხადების გაუქმების შესახებ ინფორმაციას; ტვირთის საბაჟო კონტროლიდან მოხსნის შესახებ ინფორმაციას და ა.შ[39].

- *ავტოსატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობით;*

ავტოსატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობით (დანართი №3-02) ხორციელდება:

- *ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში (შემდგომში –*

---

[39] იხ. ინსტრუქციის „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“ მ. 13, პ.6, ხოლო რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობის გრაფების შევსების წესის შესახებ, მ.14.

სააგენტო) საკუთრების უფლების გადაცემაზე გარიგების დოკუმენტის არსებობის დადასტურების ან/და საექსპერტო შემოწმების მიზნით წარდგენილი ან/და დროებით დასაწყობებული, სეს ესნ-ის 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ³-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) და 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელების და ნახევრად მისაბმელების:

- *ა.ა) რეექსპორტი, საბაჟო გამშვებ პუნქტამდე გადაადგილების საბაჟო კონტროლი და აღრიცხვა,*
- *ა.ბ) გაყიდვის ხელშეწყობის მიზნით საბაჟო საწყობიდან ან საქონლის დროებით შენახვის სხვა ადგილიდან დროებით (არაუმეტეს 48 საათისა) გატანის ან/და სხვა საბაჟო საწყობამდე ან დროებით შენახვის სხვა ადგილამდე გადაადგილების საბაჟო კონტროლი და აღრიცხვა, გარდა ამ ბრძანებით დამტკიცებული „საქონლის დროებით შენახვის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №6) მე-2 მუხლის 5[1] პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა[40].*

- *ბ) სეს ესნ-ის 8429 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო საწყობიდან ან საქონლის დროებით შენახვის სხვა ადგილიდან სხვა საბაჟო საწყობამდე ან დროებით შენახვის სხვა ადგილამდე გადაადგილების საბაჟო კონტროლი და აღრიცხვა.*

ავტოსატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობა ივსება სისტემის მეშვეობით ელექტრონულად, საგენტოს მოსამსახურის მიერ საგენტოში ან სისტემაში დაშვებული პირის მიერ, რომელიც წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალების მფლობელს ან მის წარმომადგენელს, საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-14 მუხლის შესაბამისად.

საბაჟო კოდექსის 14-ე მუხლის შესახებ ვრცელი კომენტარი იხ. ბარაზი ი, საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021, 285-291.

ავტოსატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობა ივსება საგენტოში ჩატარებული საექსპერტო შემოწმების შედეგების ამსახველი

---

[40] საქონლის დროებითი შენახვის შესახებ საუბარი შესაბამის პარაგრაფში იქნება და ამ საკითხს ამ შემთხვევაში არ შევეხებით; ასევე, დანართების ფორმულარების შევსების წესები იხ. ინსტრუქციაში „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“.

„მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერების აქტის“ საფუძველზე (საბაჟო საწყობიდან ან საქონლის დროებით შენახვის სხვა ადგილიდან ავტოსატრანსპორტო საშუალების დროებით (არაუმეტეს 48 საათისა) გატანის ან/და სხვა საბაჟო საწყობამდე ან დროებით შენახვის სხვა ადგილამდე გადაადგილების მიზნით გამოწერილი ავტოსატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის გარდა).

ერთი ავტოსატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობა გაიცემა ერთ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე მიუხედავად იმისა, ეს ავტოსატრანსპორტო საშუალება გადაადგილდება თავისი სვლით, თუ გადაიზიდება სხვა სატრანსპორტო საშუალებით, მათ შორის, სატრანსპორტო საშუალებით ამ ბრძანებით დამტკიცებული „ტრანზიტის პროცედურის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №7) პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის[41] შესაბამისად ტრანზიტულად გადაადგილებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე დამატებით დატვირთვის შემთხვევაში. საბაჟო საწყობიდან ან საქონლის დროებით შენახვის სხვა ადგილიდან სხვა საბაჟო საწყობამდე ან დროებით შენახვის სხვა ადგილამდე სხვა სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილების შემთხვევაში, ერთი ავტოსატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის გაცემა შესაძლებელია რამდენიმე ავტოსატრანსპორტო საშუალებაზეც.

შევსების დასრულებისას საგენტოს მოსამსახურე ან სისტემაში დაშვებული პირი არეგისტრირებს ავტოსატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის შევსების ფაქტს სისტემაში და მოწმობას ენიჭება უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი. შევსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობა საგენტოს მიერ ელექტრონულად მიეწოდება საბაჟო ორგანოს, რომელიც ალნიშნულის საფუძველზე ახორციელებს წინმსწრები მოწმობის ან TIR-წიგნაკის კონტროლიდან მოხსნას. დასრულებული ავტოსატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობა საბაჟო საწყობიდან სატრანსპორტო საშუალების დროებით გატანისას საგენტოს მიერ დეკლარანტზე გაიცემა 1 ეგზემპლარად და მოწმდება საგენტოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით, ხოლო რეექსპორტის გამოყენებისას – 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ავტოსატრანსპორტო საშუალების საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას რჩება საბაჟო გამშვებ პუნქტში. ავტოსატრანსპორტო საშუალების

---

[41] ტრანზიტის პროცედურების შესახებ მოგვიანებით იქნება ვრცელი საუბარი და ასევე, საბაჟო სამართლის მეორე ნაწილში.

აღრიცხვის მოწმობის უკანა გვერდი გამოიყენება სხვადასხვა მაკონტროლებელი ორგანოების შენიშვნების, აღნიშვნებისა და დამღებისათვის.

ავტოსატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის გრაფების შევსების წესი იხ. ინსტრუქციის სააჟო ზედამხედველობის შესახებ", მ. 16.

- *TIR-წიგნაკის გამოყენებით;*

„აბრევიატურა TIR (Transports International Routiers) ნიშნავს - საერთაშორისო საგზაო გადაზიდვებს"... 1993 წლის 2 დეკემბერს საქართველომ მიმართა გაეროს TIR -კარნეტის კონვენციასთან მიერთების შესახებ, ხოლო 10994 წლის 24 სექტემბრიდან საქართველო მიუერთდა ამ კონვენციას (რატიფიცირების გარეშე). ეს კონვენცია აწესრიგებს წევრ ქვეყნებს შორის საერთაშორისო საგზაო გადაზიდვებს, როგორც სააჟო, ასევე ტექნიკური პროცედურების ასპექტებით. კერძოდ, კონვენციის დებულებები აიოლებენ და ამარტივებენ სააჟო გაფორმების პროცედურებს მონაწილე ქვეყნებში საავტომობილო ტრანსპორტით საქონლის გადაზიდვების დროს. ეს ეხება, როგორც საქონლის დათვალიერებას, დოკუმენტების შემოწმებას, ასევე, განსაკუთრებით სააჟო გადასახდელების გადახდის საგარანტიო უზრუნველყოფას"[42].

TIR სააჟო სატრანზიტო სისტემის ჩამოყალიბების სამუშაოები ევროპის ეკონომიკური კომისიის ეგიდით მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დაიწყო. TIR პირველი შეთანხმება ხელმოწერილ იქნა რამდენიმე ევროპული სახელმწიფოს მიერ 1949 წელს. ამ შეთანხმების წარმატებამ წინასწარ განსაზღვრა ევროპის ეკონომიკური კომისიის სატრანსპორტო კომიტეტის მიერ TIR კონვენციის მიღება 1953 წელს. 1960 წელს კონვენცია ძალაში შევიდა. 1975 წლის TIR კონვენციამ ძალაში შესვლის შემდეგ შეცვალა 1949 წლის TIR კონვენცია, მიუხედავად ამისა, ძველი ვერსიის კონვენცია კვლავ რჩება ძალაში, იმის გამო, რომ ზოგიერთი 1949 წლის TIR კონვენციის მონაწილე მხარე დღემდე არ არის მიერთებული 1975 წლის TIR კონვენციას. TIR სისტემა შემუშავებულ იქნა იმ სიძნელეების შემცირებისათვის, რომლებიც ხვდება გადამზიდავებს. ამასთან, სააჟო ორგანოებს განკარგულებაში გადაეცა კონტროლის საერთაშორისო სისტემა,

---

[42] ურიდია გონერ, რუხაია ფრიდონ, არახამია მერაბ, საბაჟო გაფორმება TIR და ATA (CPD) კარნეტის პრინციპებით, თბილისი, 2004.

რომელსაც შეუძლია შეცვალოს ტრადიციული ნაციონალური პროცედურები, იმავდროულად, ტრანზიტული სახელმწიფოები დაიცვას ტვირთების არალეგალური შემოსვლისაგან"[43].

TIR-კარნეტის სისტემა შედგება ოთხი ძირითადი სტრუქტურული ერთეულისაგან: 1. საბაჟო გადასახდელებზე საერთაშორისო გარანტიები; 2. TIR-კარნეტის შესაბამისი წიგნაკი (კარნეტი); 3. საბაჟო კონტროლის პრინციპების ურთიერთცნობა; 4. სატრანსპორტო საშუალებების (კონტეინერების) სტანდარტულობა და უსაფრთხოება.

„TIR წიგნაკი მხოლოდ ერთ გადაზიდვაზეა მოქმედი. ამასთან შესაძლებელია, რომ TIR-ის წიგნაკის სატვირთო მანიფესტში დაფიქსირებული და კონტეინერებში რეალურად არსებულ საქონელს შორის იყოს უმნიშვნელო განსხვავება, რაც არ ითვლება TIR-კარნეტის პრინციპების დარღვევად. ამდენად ეს მომენტი საბაჟო ორგანოს მხრიდან არ უნდა იქცეს საბაჟო გაფორმების შეფერხების საფუძვლად (ან TIR-ის ოპერაციების დარღვევების საფუძვლად"[44].

რა პრინციპებით ხდება სატრანსპორტო საშუალებების დაშვება TIR რეჟიმში?

ყოველი სატარანსპორტო საშუალება, რომელიც აწარმოებს საერთაშორისო ტვირთზიდვას, საბაჟო ორგანოების მიერ დაშვებულ უნდა იქნეს ამ სახის გადაზიდვისათვის. ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვებზე საბაჟო უზრუნველყოფით (ბეჭედი და ლუქები) დაიშვებიან მხოლოდ ისეთი სატრანსპორტო საშუალებანი, რომელთა სატვირთო განყოფილება იმგვარად არის კონსტრუირებული, რომ:

- *შეუძლებელია სატრანსპორტო საშუალების დაბეჭდილი ნაწილიდან ტვირთის ამოღება ან ჩატვირთვა საბაჟო ბეჭდის ან ლუქის გატეხვის ან დაზიანების შესამჩნევი კვალის დატოვების გარეშე;*
- *საბაჟო ბეჭედი და ლუქები იდება მარტივად დასაიმედოდ;*
- *სატვირთო განყოფილებაში არ არის ტვირთის შესანახი ფარული ადგილი;*
- *ტვირთის დასაწყობების ნებისმიერი ადგილი მისაწვდომია საბაჟო კონტროლისათვის*

როგორი ვალდებულებები ეკისრება გადამზიდველს TIR-კარნეტით სარგებლობისას?

---

[43] TIR სისტემის შესახებ, http://girca.org/TIR_სისტემის_შესახებ/m125

[44] ურიდია გონერ, რუხაია ფრიდონ, არახამია მერაბ, საბაჟო გაფორმება TIR და ATA (CPD) კარნეტის პრინციპებით, თბილისი, 2004.

TIR -კარნეტის გამოყენებით გადამზიდველი პასუხისმგებლობას იღებს წარუდგინოს ტვირთი საბაჟო ორგანოს დანიშნულების პუნქტში, ან გადაიხადოს ტვირთთან დაკავშირებული ყველა გაჟი, გადასახადი, პენია და ჯარიმა, თუ კარნეტი სწორად არ არის დახურული. მიუხედავად იმისა, რომ TIR-კარნეტების დიდი უმრავლესობა ყოველგვარი პრობლემის გარეშე გამოიყენება, მაინც არსებობს ფინანსური რისკი მფლობელისთვის და ამიტომ TIR ოპერაციებში მონაწილე პირებმა აუცილებელია იცოდნენ რამდენად მნიშვნელოვანია პროცედურების სწორად შესრულება და ტვირთზიდვების ზუსტად აღრიცხვის წარმოება.

ინსტრუქციის „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ" მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, TIR წიგნაკით გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შემთხვევაში გამგზავნი საბაჟო ორგანო ან სისტემაში დაშვებული პირი უზრუნველყოფს TIR წიგნაკის შესახებ მონაცემების ელექტრონულად შეტანას მოწმობის ელექტრონულ ფორმატში. წიგნაკის შესაბამის (თეთრ და მწვანე) ფურცლებზე და ყუაზე აღინიშნება „eCustoms"-ის მიერ მინიჭებული „D" ნომერი. საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი, მონაცემთა დადატურების მიზნით, აწერს ხელს, მიუთითებს შეკვების თარიღს და სვამს პირადნომრიან ბეჭედს ან საბაჟო დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის/ქვედანაყოფის მრგვალ ბეჭედს.

TIR წიგნაკის მოსახსნი (მწვანე) ფურცლის უკანა გვერდი გამოიყენება სხვადასხვა მაკონტროლებელი ორგანოების შენიშვნების, აღნიშვნებისა და დამღებისათვის, ხოლო საქონლის დაბრუნებისას საბაჟო ორგანოს მიერ დამღის – „დაბრუნებულია საქონელი" დასმისთვის[45].

TIR წიგნაკს კონტროლიდან ხსნის დანიშნულების საბაჟო ორგანო, გარდა მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. კონტროლიდან მოხსნის მიზნით, TIR წიგნაკის 27-ე გრაფაში მიეთითება „eCustoms"-ის მიერ მინიჭებული „R" ნომერი; 28-ე გრაფაში დაესმება საბაჟო ორგანოს დამღა „მოხსნილია კონტროლიდან", ხოლო დამღაში შესაბამის ადგილზე მიეთითება კონტროლიდან მოხსნის თარიღი, საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის ხელმოწერა და პირადნომრიანი ბეჭედი ან საბაჟო დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის/ქვედანაყოფის მრგვალი ბეჭედი. ამასთან, მოწმობის ელექტრონულ ფორმატში „I" გრაფის განყოფილებაში „შენიშვნა" საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომელუთითებს ტრანზიტული ტვირთის გადამზიდავი

[45] ინსტრუქცია „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ", მ.17, პ.2.

სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის/მძღოლის მიერ წარდგენილი, ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი დოკუმენტის მონაცემებს: ა) გზათსარგებლობის საფასურის საბანკო დაწესებულებაში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (რომლის შესახებ ელექტრონული ინფორმაციაც წარდგენილია შემოსავლების სამსახურში); ბ) გზათსარგებლობის საფასურის გარათი; გ) საქართველოს სახმელეთო სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთის საბაჟო გამშვებ პუნქტთან განთავსებულ M2, M3, N2 და N3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების (ცალკე, ნახევარმისაბმელით ან მისაბმელით) ავტოსადგომში, „საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ა(ა)იპ „სავალდებულო დაზღვევის ცენტრის“ პუნქტში ან საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ ავტოგასამართ სადგურში/კომპლექსში გზათსარგებლობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (რომლის შესახებ ელექტრონული ინფორმაციაც წარდგენილია შემოსავლების სამსახურში).

საქართველოს საწარმოს საწყობში (შენახვის სხვა ადგილზე) დროებით შენახვისა და თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურისათვის განკუთვნილი, ახალი (საქართველოში შემოტანამდე დაურეგისტრირებელი) სეს ესნ-ს 8429, 8701, 8702, 8704, 8705, 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ3-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში - მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) და 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელების და ნახევრადმისაბმელების ან/და 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების გადამზიდავ ტოსატრანსპორტო საშუალებაზე TIR წიგნაკს კონტროლიდან ხსნის საბაჟო გამშვები პუნქტი, რომლის გავლითაც ცარიელი ავტოსატრანსპორტო საშუალება ტოვებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიას. კონტროლიდან მოხსნის მიზნით, ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ, საბაჟო გამშვებ პუნქტს წარედგინება სასაქონლო პარტიაში შემავალ ყველა მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე გაფორმებული საბაჟო დეკლარაციების ეგზემპლარები.

განსაკუთრებული საბაჟო ფორმალობები წინასწარ დეკლარირებული და TIR-წიგნაკით გადაადგილებული საქონლის გაშვებისას. იმ შემ-

თხვევაში, როდესაც წინასწარ დეკლარირებული და TIR წიგნაკით გადაადგილებული საქონლის (მათ შორის, „ოქროს სიის" მონაწილის კუთვნილი) გაშვება ხორციელდება საბაჟო გამშვები პუნქტიდან.საბაჟო გამშვები პუნქტი უზრუნველყოფს TIR წიგნაკის მონაცემების შეტანას მოწმობის ელექტრონულ ფორმატში და საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მიეთითება ინსტრუქციის „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ მე-18 მუხლით გათვალისწინებული მონაცემები. კერძოდ, TIR წიგნაკის პირველი (თეთრი) და მეორე (მწვანე) მოსახვევი ფურცლების მე-18 გრაფაში – საბაჟო გამშვები პუნქტის დასახელება; მე-19 გრაფაში – ადრე დადებული იდენტიფიკაციის საშუალებების მთლიანობის დადასტურების შემთხვევაში, კვადრატში აღინიშნება სიმბოლო „X"; მე-20 გრაფაში – საბაჟო გამშვები პუნქტიდან საქონლის გაშვების თარიღი; 21-ე გრაფის პირველ ნაწილში – საბაჟო გამშვები პუნქტის კოდი ამ ბრძანებით დამტკიცებული „დეკლარირების კლასიფიკატორის" (დანართი №19) (შემდგომში – კლასიფიკატორი) მე-2 ნაწილის შესაბამისად; 21-ე გრაფის მეორე ნაწილში – მონაცემთა დამუშავების ელექტრონულ საშუალების - „eCustoms"-ის მიერ მინიჭებული „D" ნომერი; 22-ე გრაფაში – გაფორმების საბაჟო ორგანოს კოდი; 23-ე გრაფაში დაესმება დამღა – „აყვანილია კონტროლზე", ხოლო დამღაში შესაბამის ადგილზე მიეთითება საბაჟო გამშვებ პუნქტში საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენის (კონტროლზე აყვანის) თარიღი, უფლებამოსილი თანამშრომლის ხელმოწერა და პირადნომრიანი ბეჭედი და ა.შ[46].

იმ შემთხვევაში, როდესაც TIR წიგნაკით გადაადგილებული საქონლის გაშვება არ ხორციელდება საბაჟო გამშვები პუნქტიდან, გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების TIR წიგნაკის შესახებ მონაცემები კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიტანება ელექტრონულ გაზაში[47].

- *საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ გაზაში ინფორმაციის ასახვით;*

საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს #258/ #73 ერთო-

---

[46] დაწვრ. იხ. ინსტრუქციის „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ" მ.18.

[47] დამატ. იხ. ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021, 657-662.

ბლივი ბრძანება „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას სამგზავრო დოკუმენტებში შესაბამისი აღნიშვნის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვის წესის დამტკიცების შესახებ“, განსაზღვრავს: საქართველოს სახელმწიფო საზღვრის (შემდგომში – საზღვარი) გადაკვეთისას სამგზავრო დოკუმენტებში შესაბამისი აღნიშვნების განხორციელებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვის წესს (შემდგომში – წესი), ასევე განსაზღვრავს სასაზღვრო გამტარი პუნქტის გავლით საზღვრის გადაკვეთისას ფიზიკურ პირთა საპასპორტო კონტროლისა და ფოტოგადაღების, ამ პირთა მიერ გადაადგილებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვისა და კონტროლის წესებს, კონტროლის განხორციელების პროცესში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანოსა და სააჟო ორგანოების ფუნქცია-მოვალეობებს და მათ შორის თანამშრომლობის წესებს.

ფიზიკური პირის მიერ საზღვრის გადაკვეთისას საპასპორტო კონტროლის განხორციელებაზე უფლებამოსილ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის (შემდგომში – შემოსავლების სამსახური) საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილ თანამშრომლებს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანოს თანამშრომლებს წარედგინებათ მოქმედი სამგზავრო დოკუმენტი (პასპორტი ან მისი შემცვლელი სხვა სამგზავრო დოკუმენტი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით ან საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე აღიარებული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია საზღვრის გადაკვეთა), ხოლო საჭიროების შემთხვევაში, დამატებით საქართველოში ყოფნის ნებართვა (საქართველოს ვიზა, ბინადრობის ნებართვა ან საქართველოში ლტოლვილის მოწმობა).

***ავტოსატრანსპორტო საშუალებით საზღვრის გადაკვეთისას, ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილ დოკუმენტებთან ერთად, პირმა უნდა წარმოადგინოს:** ა) იმ კატეგორიის მართვის უფლების მოწმობა, რომელ ავტოსატრანსპორტო საშუალებასაც მართავს; ბ) სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო დოკუმენტი; გ) ავტოსატრანსპორტო საშუალების პირის კანონიერ მფლობელობაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ აღნიშნული გარემოება არ დასტურდება ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული დოკუმენტით).*

საზღვრის გადაკვეთისას ავტოსატრანსპორტო საშუალებით, რომელიც საქართველოში რეგისტრირებულია სარგებლობის უფლებით ლიზინგის მიმღებზე, ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილ დოკუმენტებთან ერთად, პირმა უნდა წარადგინოს: იმ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მოწმობა, რომელ ავტოსატრანსპორტო საშუალებასაც მართავს; სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მოწმობა; ლიზინგის გამცემის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება პირის მიერ საზღვრის გადაკვეთის უფლებამოსილება.

სასაზღვრო გამტარ პუნქტზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანოს თანამშრომელთა მიერ: მოწმდება წარდგენილი დოკუმენტების ნამდვილობა სპეციალური ტექნიკის საშუალებით; ხდება პირის შესახებ ინფორმაციის მოპოვება; ტარდება პირის იდენტიფიკაციისათვის საჭირო ღონისძიებები (აუცილებლობის შემთხვევაში); ხორციელდება შესაბამისი აღნიშვნები სამგზავრო დოკუმენტებში და ამ მიზნით დაისმება თარიღის შტამპი შესაბამისი აღნიშვნით „შემოსვლა“ ან „გასვლა“, ხოლო მითითებული აღნიშვნების გაუქმების შემთხვევაში, აღნიშვნა – „ანულირებულია“. ანულირების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ასახვის მიზნით ეცნობება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ დანაყოფს; ე) სამგზავრო დოკუმენტების მონაცემები შეიტანება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში და ა.შ[48].

საავტომობილო მიმოსვლის სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებით საზღვრის გადამკვეთ ფიზიკურ პირთა (მძღოლებისა და, აუცილებლობის შემთხვევაში, აგრეთვე მგზავრების) საპასპორტო კონტროლს და აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვით ახორციელებენ საბაჟო

---

[48] სრულად იხ. საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს #258/ #73 ერთობლივი ბრძანება „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისა სამგზავრო დოკუმენტებში შესაბამისი აღნიშვნის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვის წესის დამტკიცების შესახებ“,
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4644287?publication=4

გამშვები პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომლები, ხოლო საზღვრის გადაკვეთის სხვა შემთხვევებში და სხვა სატრანსპორტო საშუალებით საზღვრის გადამკვეთ ფიზიკურ პირთა საპასპორტო კონტროლს და ავტოსატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტომატიზებული სისტემის მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის ასახვით ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანო.

ავტოსატრანსპორტო საშუალების აღრიცხვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვით აგრეთვე შესაძლებელია სწრაფი გადაბდის აპარატიდან ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით.

საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ: მოწმდება წარდგენილი დოკუმენტების ნამდვილობა სპეციალური ტექნიკის საშუალებით; ხდება პირის შესახებ ინფორმაციის მოპოვება; პირის იდენტიფიკაციის საჭიროების წარმოშობისას ინფორმაცია მიეწოდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანოს თანამშრომელს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების მიზნით; ხორციელდება შესაბამისი აღნიშვნები სამგზავრო დოკუმენტებში და ამ მიზნით დაისმება თარიღის შტამპი შესაბამისი აღნიშვნით „შემოსვლა" ან „გასვლა", ხოლო მითითებული აღნიშვნების გაუქმების (ანულირების) შესახებ გადაწყვეტილების მიღების საჭიროებისას, ინფორმაცია მიეწოდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანოს თანამშრომელს; სამგზავრო დოკუმენტის მონაცემები შეიტანება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში; ხორციელდება პირის მიერ სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალების საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილების (შემოტანა/გატანის) აღრიცხვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვით; ხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანოს თანამშრომელთა ინფორმირება საზღვრის გადამკვეთ პირთა შესახებ, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წარმოების, იძულების ღონისძიებების გატარების, ადმინისტრაციული დაკავებისა და საქართველოდან უცხოელთა გაძევების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით; ხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სამართალდაცვით სფეროში

საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრის (მთავარი სამმართველო) ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს უფლებამოსილ თანამშრომელთა ინფორმირება (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტომატიზებული სისტემის მონაცემთა ბაზიდან მიღებული შეტყობინების საფუძველზე), რომ საპასპორტო კონტროლის განხორციელებისათვის წარდგენილი დოკუმენტების ან/და ავტოსატრანსპორტო საშუალების შესახებ მონაცემები ატვირთულია საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაციის – ინტერპოლის გენერალური სამდივნოს მოპარული და დაკარგული დოკუმენტების მონაცემთა ბაზაში (SLTD) ან/და გატაცებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების მონაცემთა ბაზაში და ა.შ[49].

გაფორმების ეკონომიკური ზონის დანიშნულებით სხვა სატრანსპორტო საშუალებით (მათ შორის, კონტეინერით) გადაადგილებული ავტოსატრანსპორტო საშუალების საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილების (შემოტანა/გატანის) აღრიცხვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვით შესაძლებელია განხორციელდეს გაფორმების ეკონომიკური ზონის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ.

***საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ ამ წესის შესაბამისად საპასპორტო კონტროლისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვისა და კონტროლის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, შემოსავლების სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე,** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ხორციელდება სასაზღვრო გამტარი პუნქტის და შემოსავლების სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლების, ან საბაჟო საწყობების უფლებამოსილი პირების დაშვება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ამ დაშვების გაუქმება; უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-

---

[49] დაწვრ. იხ. საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის29 აგვისტოს #258/ #73 ერთობლივი ბრძანება „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისა სამგზავრო დოკუმენტებში შესაბამისი აღნიშვნის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვის წესის დამტკიცების შესახებ“,
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4644287?publication=4, მ.8.

სამართლებრივი აქტით მტკიცდება საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ გამოსაყენებელი თარიღის შტამპები აღნიშვნებით: „შემოსვლა“, „გასვლა“.

საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ სამგზავრო დოკუმენტებში შესაბამისი აღნიშვნების განხორციელების მონიტორინგს ახორციელებს შემოსავლების სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.

საავტომობილო მიმოსვლის სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე საპასპორტო კონტროლის განხორციელების პროცესის მონიტორინგი და საერთო კოორდინაცია ხორციელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

საზღვაო ნავსადგურის ტერიტორიიდან ან საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებული საბაჟო საწყობიდან ან გაფორმების ეკონომიკური ზონიდან სხვა საბაჟო საწყობის ან დროებითი დასაწყობების სხვა ადგილის ან საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული გაფორმების ადგილის დანიშნულებით თავისი სქლით გადაადგილებული ავტოსატრანსპორტო საშუალების შესახებ ინფორმაცია აღირიცხება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „საბაჟო კონტროლის შესახებ“ ინსტრუქციის №2-I-01 და №2-I-02 დანართებით გათვალისწინებული საქონლის, ორგანოთერაპიისათვის განკუთვნილი ორგანოების, თერაპიული ან პროფილაქტიკური მიზნებისათვის განკუთვნილი ადამიანური ან ცხოველური წარმოშობის ნივთიერებების, მასობრივი ინფორმაციის შემცველი საქონლის, საფოსტო გზავნილების, ექსპორტის პროცედურაში დეკლარირებული საქონლის, ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის კუთვნილი/მფლობელობაში არსებული საქონლის გადამზიდავი სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაადგილება ხორციელდება პრიორიტეტული წესით, რაც ნიშნავს სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალების სასაზღვრო გამტარი პუნქტის მიმართულებით გაშვებას სპეციალურ ავტოსადგომზე შესვლიდან არაუგვიანეს 2 საათისა[50].

---

[50] სრული სახით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვის წესზე იხ. საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა

- *საქონლის საბაჟო დეკლარაციით;*

საქონლის საბაჟო დეკლარაციაზე ვრცელი კომენტარი იქნება იმ თავში, სადაც საქონლის საბაჟო პროცედურაში მოქცევისას დეკლარაციის შევსების წესზე იქნება საუბარი.[51]

- *ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციით;*

ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციის შესახებ მოგვიანებით, ზოგადად საბაჟო დეკლარაციაზე და მის სახეებზე იქნება საუბარი შესაბამის პარაგრაფში.

- *ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციით;*

ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის შესახებ მოგვიანებით, იმ პარაგრაფში ვისაუბრებთ, სადაც ზოგადად საბაჟო დეკლარაციაზე და მის სახეებზე გვექნება საუბარი.

- *საქონლის დროებით შენახვის დეკლარაციით;*

საქონლის დროებითი შენახვის დეკლარაციაზე იმ პარაგრაფში ვისაუბრებთ, სადაც დროებითი შენახვის პროცედურაზე გვექნება შესაბამისი მუხლების კომენტარი.

- *საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საფოსტო გზავნილების შემთხვევაში – საფოსტო გზავნილების ნუსხით;*

პირის წარმომადგენლობას საფოსტო გზავნილის შემთხვევაში ახორციელებს საფოსტო გადამზიდავი, რომელიც საფოსტო გზავნილის ნუსხის შევსებისას სარგებლობს პირის მიერ წარდგენილი მონაცემებით.

საფოსტო გზავნილების ნუსხის წარდგენა ნიშნავს საფოსტო გზავნილის ზოგად დეკლარირებას.

მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს #258/ #73 ერთობლივი ბრძანება „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას სამგზავრო დოკუმენტებში შესაბამისი აღნიშვნის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვის წესის დამტკიცების შესახებ“,
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4644287?publication=4.

[51] დამატ, იხ. ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანება (დანართი №8, ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“),
https://www.rs.ge/Media/Default/კანონმდებლობა/კანონები/257%20დანართი%208.pdf

საფოსტო გზავნილით შემოტანილ ან გასატან საქონელზე საბაჟო დეკლარაციას ავსებს საფოსტო გზავნილის გადამზიდავი, რომელიც არის ფიზიკური პირის (გზავნილის მიმღების / გამგზავნის) წარმომადგენელი, საბაჟო დეკლარაციას/რეექსპორტის დეკლარაციას ავსებს საბაჟო ორგანო პირის მოთხოვნის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ინსტრუქციის „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ" 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი საფოსტო გზავნილები (ელექტრონული შესყიდვის გზით შეძენილი საქონლის გარდა) საბაჟო ორგანოს წარედგინება გადამზიდავის მიერ მომზადებული საფოსტო გზავნილების ნუსხებით:

- *ა) დეკლარირებას დაუქვემდებარებელი საფოსტო გზავნილების ნუსხა №1 (დანართი №8-VIII-01);*
- *ბ) დეკლარირებას დაქვემდებარებული საფოსტო გზავნილების ნუსხა №2 (დანართი №8-VIII-02);*
- *გ) დაუდგენელი ღირებულების საფოსტო გზავნილების ნუსხა №3 (დანართი №88-VIII-03)*[52]

ზემოთ გათვალისწინებული ნუსხები, საფოსტო გზავნილების საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, გადამზიდავის მიერ რეგისტრირდება „Oracle"-ში, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის (www.rs.ge) საშუალებით, ხოლო ამობეჭდილი და გადამზიდავის მიერ დამოწმებული ეგზემპლარები წარედგინება საბაჟო ორგანოს. ამასთან, მონაცემები (სახელი, გვარი და საიდენტიფიკაციო ნომერი/პირადი ნომერი/პასპორტის ნომერი) იმ პირის შესახებ, რომელსაც გადაეცა საფოსტო გზავნილი, ხოლო დეკლარირებას დაუქვემდებარებელი საფოსტო გზავნილების ნუსხაში აისახება საფოსტო გზავნილის გადაცემის შემდგომ.

დაწვრილებით საფოსტო გზავნილების დეკლარაციის შევსების წესზე საუბარი იქნება საბაჟო დეკლარაციის შესახებ პარაგრაფში.

- *სპეციალური ელექტრონული კონტროლის საშუალებით;*

მაგალითად, ინსტრუქციის „საქონლის დროებითი შენახვის შესახებ" (დანართი №6), მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად,

---

[52] დანართების ფორმულარების შესახებ იხ. ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ", https://matsne.gov.ge/ka/document/view/2772710?publication=0

რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობა (შემდგომში – ელექტრონული მოწმობა) ან დამოწმებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობა (შემდგომში – აღრიცხვის მოწმობა) ან საბაჟო დეკლარაცია/რეექსპორტის დეკლარაცია ან სპეციალური ელექტრონული კონტროლის საშუალება ჩაითვლება დროებით შენახვის დეკლარაციად:

- *აღრიცხვის მოწმობით ან ელექტრონული მოწმობით ან სპეციალური ელექტრონული კონტროლის საშუალებით გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების დროებით შენახვისას, როდესაც საქონელი არ ჩამოიტვირთება სატრანსპორტო საშუალებიდან;*
- *აღრიცხვის მოწმობით ან ელექტრონული მოწმობით ან სპეციალური ელექტრონული კონტროლის საშუალებით გადაადგილებული იმ საქონლის დროებით შენახვისას, რომელიც საბაჟო საწყობში ან საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილ საზღვაო ნავსადგურში განსაზღვრულ ტერიტორიაზე (ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების შენახვისათვის განკუთვნილი ტერიტორიის გარდა) ჩამოიტვირთა სატრანსპორტო საშუალებიდან, მაგრამ არ ამოწურულა დროებით შენახვის დეკლარაციის წარდგენის 30-დღიანი ვადა;*
- *საბაჟო დეკლარაციის წარდგენით ექსპორტში ან გარე გადამუშავებაში ან საბაჟო საწყობის პროცედურიდან ტრანზიტში დეკლარირებული საქონლის დროებით შენახვისას, ან რეექსპორტის დეკლარაციის წარდგენით რეექსპორტში დეკლარირებული საქონლის დროებით შენახვისას;*
- *საზღვაო გზით შემოტანილი და აღრიცხვის მოწმობის გამოწერით ტრანზიტში დეკლარირებული საყარი საქონლის დროებით შენახვისას.*

- *ATA წიგნაკის გამოყენებით – „საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ“ სტამბოლის 1990 წლის 26 ივნისის კონვენციის ან „საქონლის დროებითი შემოტანისათვის ATA წიგნაკის შესახებ“ ბრიუსელის 1961 წლის 6 დეკემბრის საბაჟო კონვენციის (ATA კონვენცია) შესაბამისად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის ტრანზიტის ან იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან სრულად გათავისუფლებით უცხოური საქონლის დროებით შემოტანის ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ამ საქონლის*

რეექსპორტის განხორციელების მიზნით ATA წიგნაკის წარდგენის შემთხვევაში[53].

ATA-კარნეტი გამოიყენება საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო პროცედურის პირობებში (აგრეთვე ტრანზიტის დროსაც). „ATA-კარნეტი, ანუ დროებითი შემოტანის დოკუმენტი წარმოადგენს ისეთ საერთაშორისო დოკუმენტს, რომელიც გათანაბრებულია სატვირთო-საბაჟო დეკლარაციასთან. ეს იმას ნიშნავს, რომ ATA-კარნეტის წარმოდგენის დროს საბაჟო საბაჟო ორგანოს უფლება არ აქვს მოითხოვოს სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია[54].

ATA-კარნეტისა და CPD-კარნეტის გამოყენების პრინციპებს შორის მთელი რიგი განსხვავებებია. ATA-კარნეტს ნაციონალური სავაჭრო-სამრეწველო პალატა გასცემს, რომელიც საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო პალატების ბიუროსთანაა დაკავშირებული. „ნაციონალური სავაჭრო-სამრეწველო პალატა იმ შემთხვევაში გასცემს რეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე ATA-კარნეტს, თუ პირს საქონელი დროებით გააქვს ATA-კარნეტის წევრ ქვეყნებში (ან ტრანზიტით გადაადგილებს საქონელს)[55].

ინსტრუქციის „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ" მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, „საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ" სტამბოლის 1990 წლის 26 ივნისის კონვენციის ან „საქონლის დროებითი შემოტანისათვის ATA წიგნაკის შესახებ" ბრიუსელის 1961 წლის 6 დეკემბრის საბაჟო კონვენციის (ATA კონვენცია) შესაბამისად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის ტრანზიტის ან იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან სრულად გათავისუფლებით უცხოური საქონლის დროებით შემოტანის ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ამ საქონლის რეექსპორტის განხორციელების მიზნით ATA წიგნაკის წარდგენის შემთხვევაში საბაჟო ორგანო ან სისტემაში დაშვებული პირი უზრუნველყოფს ATA წიგნაკის შესახებ მონაცემების ელექტრონულად შეტანას მოწმობის ელე-

---

[53] ATA წიგნაკის გამოყენებით საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებაზე საბაჟო კონტროლის ხორციელდების შესახებ საუბარი გვქონდა საბაჟო სამართლის პირველ ნაწილში და საბაჟო სამართლის მეორე ნაწილში ზემოთ, შესაბამის პარაგრაფში და ამ შემთხვევაში ამ თემას აქ აღარ განვავრცობთ.

[54] ურიდია გონერ, რუხაია ფრიდონ, არახამია მერაბ, საბაჟო გაფორმება TIR და ATA (CPD) კარნეტის პრინციპებით, თბილისი, 2004, 34.

[55] ურიდია გონერ, რუხაია ფრიდონ, არახამია მერაბ, საბაჟო გაფორმება TIR და ATA (CPD) კარნეტის პრინციპებით, თბილისი, 2004, 35.

ქტრონულ ფორმატში (გარდა ფიზიკური პირის მიერ ATA წიგნაკის გამოყენებით საქონლის საქართველოს საბაჟო საზღვარზე გარგით ან/და ხელგარგით გადაადგილებისა, რა დროსაც ATA წიგნაკის შესახებ მონაცემები ელექტრონულად აისახება ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციაში).

ამავე-18 მუხლის პირველი პუნქტში საუბარია მოწმობისათვის „eCustoms"-ის მიერ მინიჭებული „D" ნომერი მითითების შემთხვევებზე.

ATA წიგნაკის გამოყენებით საქონლის დროებით შემოტანის წინასწარ განსაზღვრული ვადის გასაგრძელებლად საბაჟო ორგანოსათვის „საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ" სტამბოლის 1990 წლის 26 ივნისის კონვენციის „A დანართის" მე-14 მუხლის შესაბამისად გაცემული „შემცვლელი დოკუმენტის" (ახალი ATA წიგნაკის) წარმოდგენის შემთხვევაში, მისი დადასტურების მიზნით საბაჟო ორგანო იღებს გადაწყვეტილებას საქონლის დროებით შემოტანის წინასწარ განსაზღვრული ვადის გაგრძელების მიზანშეწონილობის თაობაზე და თანხმობის შემთხვევაში:

- *ა) „შეცვლილი დოკუმენტის" (თავდაპირველი ATA წიგნაკის) „რეექსპორტის" (თეთრი ფერის) ვაუჩერის (მოსახევი ფურცლის) „H.f" გრაფაში უთითებს შემცვლელი დოკუმენტის (ახალი ATA წიგნაკის) ნომერსა და გაცემის თარიღს, ამ ვაუჩერის „H" გრაფას ადასტურებს უფლებამოსილი თანამშრომლის ხელმოწერითა და პირადნომრიანი ბეჭდით/დამღით და ახორციელებს ამ მონაცემების ელექტრონულად შეტანას მოწმობის ელექტრონულ ფორმატში, მის კონტროლიდან მოხსნასა და ახალი მოწმობის გამოწერას შემცვლელი დოკუმენტის (ახალი ATA წიგნაკის) მონაცემების მიხედვით. ამ შემთხვევაში, „შეცვლილი დოკუმენტით" (თავდაპირველი ATA წიგნაკით) განხორციელებული საბაჟო პროცედურა ითვლება დასრულებულად;*
- *ბ) „შემცვლელი დოკუმენტის" (ახალი ATA წიგნაკის) „იმპორტის" (თეთრი ფერის) ვაუჩერის (მოსახევი ფურცლის) „H.b" გრაფაში უთითებს ინფორმაციას გაგრძელებული ვადის შესახებ, ხოლო „H.d" გრაფაში „შეცვლილი დოკუმენტის" (თავდაპირველი ATA წიგნაკის) ნომერს, მის გაცემის თარიღსა და „შეცვლილი დოკუმენტით" განსაზღვრული თავდაპირველი ვადის შესახებ.*

საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ" სტამბოლის 1990 წლის 26 ივნისის კონვენციის ან „საქონლის დროებითი შემოტანისათვის ATA წიგნაკის შესახებ" ბრიუსელის 1961 წლის 6 დეკემბრის საბაჟო კონვენციის (ATA კონვენცია) შესაბამისად, საქართველოს საბაჟო

ტერიტორიიდან საქართველოს საქონლის დროებით დაბრუნების პირობით გატანისა (ექსპორტის პროცედურის გამოყენების) და ამ საქონლის უკან დაბრუნების მიზნით ATA წიგნაკის წარდგენის შემთხვევაში, ATA წიგნაკის შევსება და მის შესახებ მონაცემების ელექტრონულად შეტანა საბაჟო დეკლარაციაში ხორციელდება ამ ბრძანებით დამტკიცებული „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქციისა (დანართი №8) და „ექსპორტის პროცედურის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №15) შესაბამისად.

ბუნებრივია ATA კარნეტის სისტემის დანერგვამ საქართველო უფრო მიმზიდველი უნდა გახადოს, როგორც სატრანზიტო ქვეყანა და უთუოდ შეეწყობა ხელი სატრანზიტო მოცულობის გაზრდას, ასევე, მაქსიმალურად დაცულ უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკური ინტერესი.

საქართველოში ATA კარნეტის სისტემა ეფექტურად შეიძლება იქნეს გამოყენებული საქონლისთვის, რომელიც დროებით არის შემოტანილი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ზემოთ აღნიშნული კონვენციების ფარგლებში, ეს იქნება საერთაშორისო გამოფენებზე საპრეზენტაციოდ საქონლის წარდგენა, ასევე სხვადასხვა ტექნიკა-დანადგარების, ნავთობპროექტების ან სხვა პროექტების ეფექტურად განახორციელებლად. აღნიშნული ინსტიტუტი, რომელიც მსოფლიოშია აღიარებული, მიმზიდველს გახდის გარემოს საქართველოს საინვესტიციო-საგამოფენო კლიმატის ჩამოსაყალიბებლად, კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საქართველოს საერთაშორისო ინტეგრაციას.

ზემოთ აღნიშნული „სტამბულის კონვენცია“ მიერთებულ მხარეს უფლებას აძლევს ATA კარნეტი გამოიყენოს დროებით შემოტანილი საქონლისათვის დროებითი შემოტანის სხვა საერთაშორისო კონვენციის ფარგლებში ან საქონლის დროებითი შეტანისათვის ნაციონალური კანონებისა და წესების შესაბამისად, ასევე, ქვეყნის ტერიტორიაზე ტრანზიტით გამავალი ტვირთებისათვის. კონვენცია განსაზღვრავს დროებითი შეტანის საბაჟო პროცედურების გამარტივების მინიმალურ პირობებს და არ ეწინააღმდეგება სხვა ისეთი გამარტივებული პროცედურების გამოყენებას, რასაც კონვენციას მიერთებული ქვეყანა დაუშვებს ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

ამავე დროს, სტამბულის კონვენცია ნაციონალურ გარანტ ასოციაციებს ავალდებულებს სავაჭრო-სამრეწველო პალატების სახით, გააკონტროლონ საქონლის დროებითი შეტანის პირობები და აუნაზღაურონ საბაჟოს გადახდას დაქვემდებარებული ნებისმიერი ის თანხები, რომლებიც

დაკავშირებულია დროებითი შეტანის ან ტრანზიტის პირობების დარღვევასთან. ამასთანავე, ტრანზიტის კონვენცია არ ეწინააღმდეგება მიერთებული ქვეყნის გაერთიანებას საბაჟო თუ ეკონომიკურ კავშირებში და არ მოითხოვს ასეთი კავშირების არსებობის შემთხვევაში ქვეყნის კანონმდებლობაში რაიმე ცვლილებების და დამატებების შეტანას.

ATA კარნეტის გამოყენება ნაკლებ ადმინისტრაციულ სამუშაოს გულისხმობს, რაც თავისთავად გულისხმობს ფინანსური სახსრების დაზოგვას ბიუჯეტის სასარგებლოდ, ქვეყნის საბაჟოების უსაფრთხოების გარანტორია, რამეთუ იმპორტის საბაჟო გადასახდელების საქონლის დროებითი შემოტანისათვის გარანტირებულია გარანტი ასოციაციების მიერ, რომელიც არის IBCC/ATA საგარანტიო ჯაჭვის წევრი. ასეთი გარანტია ავტომატურია და არ საჭიროებს შემდგომ ადმინისტრაციულ შემოწმებას საბაჟოს მიერ.

ATA კარნეტით ტვირთების ტრანზიტული გატარება გათვალისწინებული სტამბულის კონვენციით გარანტიაა ამ ტვირთების გამარტივებული ფორმალობებით საქართველოს საბაჟო საზღვარზე გატარებისა და უზრუნველყოფილია ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვა.

საინტერესოა რა მიზანია აქვს ATA კარნეტის სისტემას?

მისი მიზანი უპირველესად საქონლის დროებითი შემოტანის პროცედურების გამარტივებაა, კერძოდ: ქვეყნის ტერიტორიაზე საქონლის დროებითი შეტანის დროს საბაჟო დეკლარაციების გაფორმება და ნებისმიერი საბაჟო გადასახადების ამოღების უზრუნველყოფა, იმ შემთხვევისათვის, თუკი საქონელი, რომელიც დროებით შემოდის ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე კანონით გათვალისწინებულ ვადებში არ დატოვებს მას; ATA კარნეტის სისტემა პრაქტიკულ უპირატესობას ანიჭებს საბაჟო წარმომადგენლებს და მეწარმეებს, ცვლის რა ადგილობრივ საბაჟო დეკლარაციას, არ ავალდებულებს პირებს ყველა საბაჟოზე საბაჟო დოკუმენტის გაფორმების აუცილებლობაზე და ა.შ.

ამ საკითხებზე სუბარი გაგრძელდება დროებითი შემოტანის და ტრანზიტის შესახებ პარაგრაფებში[56].

იმ შემთხვევაში, თუ სასაზღვრო ზონაში მილსადენით ან ელექტროგადამცემი ხაზით ტრანსპორტირებულ საქონელთან, მცირე ეკონომიკური მნიშვნელობის (ღირებულების) წერილის, ღია ბარათის,

[56] დამატ. იხ. ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021, 663-667.

ბეჭდვითი მასალის და მათი ელექტრონული ეკვივალენტის გადაზიდვასთან ან მგზავრის მიერ გადაადგილებულ საქონელთან მიმართებით საბაჟო ზედამხედველობასა და საბაჟო კონტროლს საფრთხე არ ექმნება, შეიძლება გამოყენებულ იქნეს **საბაჟო კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილით** გათვალისწინებული წესისგან (*საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემომტანმა პირმა ივი საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული მარშრუტით დაუყოვნებლივ უნდა გადაზიდოს/გადაიტანოს შესაბამის საბაჟო კონტროლის ზონაში ან საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ან მასთან შეთანხმებულ ნებისმიერ სხვა ადგილზე*) განსხვავებული, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით (#257) დადგენილი წესი, კერძოდ, *ინსტრუქციის „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ" (დანართი №5) 1-ლი მუხლის მიხედვით, „მილსადენით ან ელექტროგადამცემი ბაზით საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონელი საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანიდან არ ექვემდებარება საბაჟო ზედამხედველობას".*

ასევე იხ. ინსტრუქციის „საბაჟო კონტროლის შესახებ" (დანართი №2).

ზემოთ აღნიშნული, 71-ე მუხლის პირველი ნაწილი არ ვრცელდება იმ საზღვაო და საჰაერო ხომალდებზე, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული წყლების ან საქართველოს საჰაერო სივრცის გავლით, გაჩერების გარეშე გადაადგილდებიან, და ამ ხომალდებით გადაზიდულ საქონელზე.

ინსტრუქციის „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ" (დანართი №5) მიხედვით, საზღვაო ან საჰაერო სატრანსპორტო საშუალებით საქართველოს ტერიტორიული წყლების ან საჰაერო სივრცის გავლით, გაჩერების გარეშე გადაზიდულ გადაადგილებულ საქონელზე არ ვრცელდება საბაჟო ზედამხედველობა[57].

ასევე იხ. ინსტრუქციის „საბაჟო კონტროლის შესახებ" (დანართი №2).

- *თხევადი ტვირთების ან ნედლი (ნესტიანი) მდგომარეობაში გადასაზიდად ჩაბარებული ტვირთების წონის ორი პროცენტი;*

გამონაკლის შემთხვევას, როდესაც სახიფათო ტვირთების საგზაო გადაზიდვების დროს ADR-ის დებულებების არ გამოიყენება (სატრანსპორტო ოპერაციის მახასიათებლებთან დაკავშირებული გამონაკლისები)

[57] ინსტრუქცია საბაჟო კონტროლის შესახებ", მ.1. პ.1. „ბ" ქვეპუნქტი.

წარმოადგენს: თბილვადი საწვავის გადაზიდვასთან დაკავშირებული გადაზიდვები.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 აგვისტოს #1-1/1562 ბრძანების ტექნიკური რეგლამენტის "„ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესის" დამტკიცების თაობაზე" - თანახმად, ... თბილვადი ტვირთების გადაზიდვა, მათ შორის ავტომობილისტერნებით უნდა განხორციელდეს სპეციალიზებული ავტოსატრანსპორტო საშუალებით. ...თბილვადი ტვირთების გადაზიდვისას მისი დატვირთვა-გადმოტვირთვა და განთავსება უნდა განხორციელდეს დამამზადებლის მიერ დადგენილი წესით. ...თბილვადი ტვირთების გადაზიდვისას ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლი ვალდებულია ტრანსპორტირებისას გამორიცხოს ტვირთის გაბნევა/დაღვრა სავალ ნაწილზე. გზაზე ტვირთის გაბნევა/დაღვრის შემთხვევაში, შეწყვიტოს მოძრაობა და მიიღოს ზომები აღნიშნულის გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად. თბილვადი ტვირთის გადაზიდვისას უნდა გამორიცხოს ტრანსპორტირებისას გადასაზიდი ტვირთის საექსპლუატაციო მაჩვენებლების გაუარესება[58].

დამატ. იხ. შეთანხმება სარკინიგზო სატვირთო მიმოსვლის შესახებ (CMIC) (ძალაშია 1951 წლის 1 ნოემბრიდან 2015 წლის 1 ივლისის ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით[59].

- *მშრალი ტვირთების წონის ერთი პროცენტი.*

მშრალი ტვირთი: ნებისმიერი სახის საქონელი, რომელსაც არ სჭირდება ტემპერატურული რეჟიმის დაცვა.

---

[58] სრული სახით იხ. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 აგვისტოს #1-1/1562 ბრძანება ტექნიკური რეგლამენტის" „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესის" დამტკიცების თაობაზე,
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1462516?publication=0

[59] შეთანხმება სარკინიგზო სატვირთო მიმოსვლის შესახებ (CMIC) (ძალაშია 1951 წლის 1 ნოემბრიდან 2015 წლის 1 ივლისის ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით
https://matsne.gov.ge/ka/document/view/3279556?publication=0

ტვირთებისათვის, რომლებიც გადაიზიდება დაყრით, ჩაყრით ან ჩასხმით, თუ ისინი გადაიტვირთება მსვლელობის დროს, მითითებული ნორმები იზრდება 0.3%-ით თითოეული გადატვირთვის შემთხვევაში[60].

4. დაუძლეველი ძალის მოქმედების დროს განსახორციელებელი ღონისძიებები[61]

დაუძლეველ ძალად მიიჩნევა ისეთი საგანგებო ან განსაკუთრებული გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის საბაჟო კოდექსით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებას და რომლის დადგომა დამოკიდებული არ არის პირის ნებაზე, მათ შორის:

- ა) სტიქიური უბედურება (მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი, ზვავი, ხანძარი და სხვა);
- ბ) საგარეო ვაჭრობის შეზღუდვა, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება, სახელმწიფო ორგანოს სხვა გადაწყვეტილება;
- გ) მასობრივი არეულობა ან გაფიცვა.

ზემოთ აღნიშნული ფაქტორები ფორს-მაჟორული გარემოებები წარმოადგენენ და ისეთ საგანგებო და შეუქცევად გარემოებებს წარმოშობენ, როგორიცაა: სტიქიური უბედურებები, საომარი მოქმედებები, ხელისუფლების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები, ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, ქარიშხალი, ეპიდემია, გაფიცვა, სამხედრო მოქმედებები, საქონლის (მომსახურების) ექსპორტ-იმპორტის აკრძალვა (ემბარგო) და სხვა.

აღიშნული ინსტიტუტი, ერთგვარ დამცავ მექანიზმს წარმოადგენს იმ მხარისთვის, რომელიც გარემო პირობებიდან გამომდინარე, მოკლებულია შესაძლებლობას, ჯეროვნად შეასრულოს საბაჟო კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულება. სწორედ მისი მოქმედების პირობებში, მხარე

---

[60] სრული სახით იხ. შეთანხმება „საერთაშორისო სარკინიგზო სატვირთო მიმოსვლის შესახებ (CMГС)“ 1951 წლის 1 ნოემბრის შეთანხმების (ძალაშია 1951 წლის 1 ნოემბრიდან 2015 წლის 1ივლისის ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით),
https://matsne.gov.ge/ka/document/view/3279556?publication=0

[61] საბაჟო კოდექსი, მ.72.

თავისუფლდება ვალდებულების შეუსრულებლობის პასუხისმგებლობისაგან, თუმცა ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ხელშეკრულება არ უნდა შესრულდეს.

„კიდევ ერთი პრობლემატური საკითხია ფარდობითობა, რაც ფორს-მაჟორს ახასიათებს. ერთი და იგივე გარემოება, ერთ შემთხვევაში, შეიძლება ფორს-მაჟორად იქნეს მიჩნეული, ხოლო მეორე შემთხვევაში - ჩვეულებრივ მოვლენად იქნეს განხილული.პრობლემატურია, თუ სამოქალაქო სამართლის კუთხით მივუდგებით ამ პრობლემას, პრობლემატურია ხელშეკრულების ბუნდოვანი დათქმები. ფორს-მაჟორი, იმ სამართლებრივ ინსტიტუტთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთან დაკავშირებით, ხელშეკრულებაში არსებული დათქმა ზუსტი და ამავდროულად მოქნილი უნდა იყოს, რათა კონტრაჰენტებმა სასურველისგან საპირისპირო შედეგები არ მიიღონ. არა მარტო ფორს-მაჟორის დათქმის ხელშეკრულებაში ასახვისგან თავის შეკავება, არამედ დებულების არასწორი ფორმულირებაც მბარეებს ბშირად აყენებს პრობლემების წინაშე[62]. ფორს-მაჟორთან დაკავშირებულ პრობლემატიკას წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ტერმინის განმარტების არარსებობა. ფორს-მაჟორის ცნების განსაზღვრა, მთლიანად მბარეთა ნების ავტონომიაზეა მინდობილი[63].

ყოველ შეუქცევად გარემოებას ცხადია ვერ მივიჩნევთ ფორს-მაჟორად, მას ახასიათებს თავისი წინაპირობები, რაც აუცილებელია გარემოების ფორს-მაჟორად განხილვისთვის და მბარის პასუხისმგებლობისგან გასათავისუფლებლად: გარე ფაქტორი - შემთხვევა ხელშემკვრელ მბარეთა კონტროლს მიღმა უნდა იყოს, არაპროგნოზირებადობა - შემთხვევა არ უნდა იყოს განჭვრეტადი/პროგნოზირებადი/მოსალოდნელი და გადაულახავი - შემთხვევა არის გარდაუვალი.

მაგრამ აქვე ავღნიშნავდით, რომ დაუძლეველი ძალა აპრიორი არ გამორიცხავს ვალდებულების შეუსრულებლობას. ფორს-მაჟორული სიტუაციის აღმოფხვრის გასვლისთანავე პირმა უნდა შეასრულოს თავისი ვალდებულება.

პირმა, რომელიც დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად ვერ შეასრულა საქონლის განსაზღვრულ ადგილზე გადაზიდვა/გადატანა პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა აცნობოს საბაჟო ორგანოს ამ გარემოებისა და საქონლის ზუსტი ადგილმდებარეობის

---

[62] „ახალგაზრდა ადვოკატები", https://commersant.ge/ge/post/aris-tu-ara-saqartveloshi-sheqmnili-fors-majori

[63] იქვე.

(გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქონელი სრულად განადგურდა) შესახებ და იმოქმედოს საბაჟო ორგანოს მითითების შესაბამისად.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 71-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემომტანმა პირმა იგი საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული მარშრუტით დაუყოვნებლივ უნდა გადაზიდოს/გადაიტანოს შესაბამის საბაჟო კონტროლის ზონაში ან საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ან მასთან შეთანხმებულ ნებისმიერ სხვა ადგილზე, მაგრამ ეს არ ვრცელდება საზღვაო და საჰაერო ხომალდებზე, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული წყლების ან საქართველოს საჰაერო სივრცის გავლით, გაჩერების გარეშე გადაადგილდებიან, და ამ ხომალდებით გადაზიდულ საქონელზე. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი დაუძლეველი ძალი მოქმედების შედეგად საზღვაო და საჰაერო ხომალდები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული წყლების ან საქართველოს საჰაერო სივრცის გავლით, გაჩერების გარეშე გადაადგილდებიან და საზღვაო და საჰაერო ხომალდებზე, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული წყლების ან საქართველოს საჰაერო სივრცის გავლით, გაჩერების გარეშე გადაადგილდებიან და ვერ სრულდება საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული მარშრუტით საქონლის გადაზიდვა-გადატანა შესაბამის კონტროლის ზონაში ან საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ან მასთან შეთანხმებულ ნებისმიერ სხვა ადგილზე, აღნიშნული ამ ხომალდის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემომყვანმა პირმა ან მისი სახელით მოქმედმა ნებისმიერმა პირმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საბაჟო ორგანოს.

საბაჟო ორგანო კი ვალდებულია იზრუნოს დაუყოვნებელი ზომების მიღებაზე საზღვაო ან საჰაერო ხომალდსა და ამ ხომალდით გადაზიდულ საქონელზე საბაჟო ზედამხედველობის განსახორციელებლად. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ამ საქონლის ან/და ამ ხომალდის შესაბამის საბაჟო კონტროლის ზონაში ან საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ან მასთან შეთანხმებულ ნებისმიერ სხვა ადგილზე გადაზიდვა.

დაუძლეველი ძალის მოქმედების დროს განსახორციელებელი ღონისძიებებს ჩვენ კვლავ შევეხებით შესაბამის პარაგრაფებში.

5. საქონლის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენა

როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ, საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის მომენტიდან ექვემდებარება საბაჟო ზედამხედველობას და, შესაბამისად, სავალდებულოა მისი წარდგენა, კერძოდ, საბაჟო კოდექსის 73-ე მუხლისა და ინსტრუქციის „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ“ (დანართი №5), საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი საბაჟო გამშვებ პუნქტში ან საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ან მასთან შეთანხმებულ ნებისმიერ სხვა ადგილზე შემოსვლისთანავე, დაუყოვნებლივ საბაჟო ორგანოს უნდა წარუდგინოს:

- ა) პირმა, რომელმაც საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოიტანა;
- ბ) პირმა, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემომტანი პირის სახელით ან დავალებით მოქმედებს;

„ბ“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის პირები, რომლებიც საქონლის შემომტანი პირის სახელით მოქმედებენ შეიძლება იყვნენ მათი წარმომადგენლები, რომლებიც ამ პირის სახელით ან მისი დავალებით მოქმედებენ, მათ მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე.

„საბაჟო ორგანოსთან ურთიერთობისას წარმომადგენელმა უნდა განაცხადოს, რომ სხვა პირის დავალებით მოქმედებს და მიუთითოს, პირდაპირი წარმომადგენელია თუ ირიბი. მიიჩნევა, რომ პირი თავისი სახელით მოქმედებს, თუ იგი არ აცხადებს, რომ მოქმედებს, როგორც წარმომადგენელი, ან აცხადებს, რომ მოქმედებს, როგორც წარმომადგენელი, მაგრამ შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე. საბაჟო ორგანოს შეუძლია წარმომადგენელს მოსთხოვოს უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, მაგ; მინდობილობა, რაც შეეხება კანონიერ წარმომადგენელს მას ასეთი დოკუმენტი არ მოეთხოვება. იმ შემთხვევაში, თუ ერთი და იმავე პირის წარმომადგენელი ამ პირთან დაკავშირებულ საბაჟო ფორმალობებს რეგულარულად ახორციელებს, მას საბაჟო ორგანომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არ უნდა მოსთხოვოს უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. ამასთანავე, საბაჟო ორგანოს მოთხოვნის

შემთხვევაში წარმომადგენელი ვალდებულია წარუდგინოს მას აღნიშნული დოკუმენტი"[64].

საბაჟო ორგანოში წარმომადგენლის უფლებამოსილების დადასტურების წესი და პირობები, აგრეთვე უფლებამოსილების დასადასტურებლად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი და შემთხვევები, როდესაც უფლებამოსილების დადასტურება სავალდებულო არ არის, განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით (დანართი #1), „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებებისა და მოვალეობების შესახებ", მუხლი 6 – „საბაჟო ორგანოში წარმომადგენლის უფლებამოსილების დადასტურება", რომლის თანახმად: პირს საბაჟო ურთიერთობებში პირადად მონაწილეობა არ ართმევს უფლებას, ჰყავდეს წარმომადგენელი (პირდაპირი ან ირიბი), ისევე, როგორც წარმომადგენლის მონაწილეობა არ ართმევს პირს უფლებას, პირადად მიიღოს მონაწილეობა აღნიშნულ ურთიერთობებში. საბაჟო ორგანოში პირის კანონიერ წარმომადგენელს საწარმოს/ორანიზაციის შემთხვევაში წარმოადგენს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი, თუ საწარმოს/ორგანიზაციის წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ფიზიკური პირის კანონიერი წარმომადგენელი განისაზღვრებამო/საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად[65].

- გ) პირმა, რომელმაც საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის შემდეგ აიღო მისი გადაზიდვის პასუხისმგებლობა.

შესაბამისად იხ. ინსტრუქცია „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ" (დანართი №3) და ინსტრუქცია „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ" (დანართი №5).

ინსტრუქციის „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ" (დანართი №5), 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის წარდგენა ხდება:

- *ა) სახმელეთო საბაჟო გამშვებ პუნქტებში – სასაზღვრო კონტროლის განხორციელების შემდეგ, საქონლის ზოგადი დეკლარირებისათვის*

---

[64] ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021, 289.

[65] საბაჟო წარმომადგენლობის შესახებ იხ. ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021, 285-291.

აუცილებელი დოკუმენტების წარდგენითა და საბაჟო კონტროლის ზონაში საქონლის განთავსებით;

• ბ) საერთაშორისო ნაოსნობისათვის გაბსნილ საზღვაო პორტებში – სატვირთო მანიფესტის წარდგენით, ხოლო კონტეინერით გადაადგილებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების შემოტანისას – აგრეთვე საბაჟო ორგანოს მიერ შერჩეულ საბაჟო კონტროლის ზონაში (საბაჟო გამშვები პუნქტი, გაფორმების ეკონომიკური ზონა, საბაჟო ორგანოს საწყობი, ხოლო ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საბაჟო საწყობი) საქონლის ფაქტობრივი განთავსებით;

ინსტრუქციის „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ" (დანართი №5), მე-3 მუხლის მე-6 პუნქტში საუბარია იმის შესახებ, რომ: საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ფოთის პორტის გავლით შემოტანილი კონტეინერით გადაადგილებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების დათვალიერება შესაძლებელია განხორციელდეს ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებულ საბაჟო საწყობში, რომელიც აკმაყოფილებს „საბაჟო საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესებისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებულ პირობებს.

• გ) საერთაშორისო აეროპორტებში – სატვირთო მანიფესტისა და ბარგის 15 წუთში ფაქტობრივი წარდგენით;

• დ) საბაჟო გამშვები პუნქტის გარდა სხვა ადგილებში საქონლის შემოტანისას – საბაჟო ორგანოს მიერ შერჩეულ საბაჟო კონტროლის ზონაში (საბაჟო გამშვები პუნქტი, საბაჟო ორგანოს საწყობი, საბაჟო საწყობი, გაფორმების ეკონომიკური ზონა, საბაჟო კონტროლის სხვა ზონა ან საბაჟო ორგანოს მიერ მითითებული სხვა ნებისმიერი ადგილი) საქონლის ზოგადი დეკლარირებისათვის აუცილებელი დოკუმენტების წარდგენითა და საქონლის ფაქტობრივი განთავსებით.

იმ შემთვევაში კი, თუ საქონელი, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საზღვაო ან საჰაერო გზით შემოიტანება და რომელიც არ გადმოიტვირთება და რჩება იმავე სატრანსპორტო საშუალების ბორტზე, საბაჟო ორგანოს უნდა წარედგინოს მხოლოდ იმ პორტში ან აეროპორტში, სადაც მისი გადმოტვირთვა ან გადატვირთვა ხორციელდება. ამასთანავე, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი, რომლის ჩამოტვირთვა და იმავე

სატრანსპორტო საშუალებაში დატვირთვა ხდება სხვა საქონლის გადმოტვირთვის ან დატვირთვის უზრუნველსაყოფად, არ უნდა წარედგინოს საბაჟო ორგანოს აღნიშნულ პორტში ან აეროპორტში.

მიუხედავად **საბაჟო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილით** გათვალისწინებულისა, რომ ვალდებულმა პირმა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი საბაჟო გამშვებ პუნქტში ან საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ან მასთან შეთანხმებულ ნებისმიერ სხვა ადგილზე შემოსვლისთანავე, დაუყოვნებლივ საბაჟო ორგანოს უნდა წარუდგინოს, ამავე მუხლის მესამე ნაწილი გამონაკლისს შეიცავს **1-ლი ნაწილისაგან** და ითვალისწინებს, რომ ზემოთ აღნიშნული პირების ვალდებულების ნაცვლად საბაჟო ორგანოს საქონელი შეიძლება წარუდგინოს:

- ა) ნებისმიერმა პირმა, რომელიც საბაჟო ორგანოსთვის წარდგენისას საქონელს საბაჟო პროცედურაში აქცევს;

ეს პირები შეიძლება იყვნენ, როგორც საქონლის მესაკუთრე/მფლობელი, ასევე, ვალდებული პირის წარმომადგენელი, რომელიც მასზე გაცემული მინდობილობის საფუძველზე უფლებამოსილია საქონლის რომელიმე საბაჟო პროცედურაში მოქცევაზე (მაგ. გადამზიდველი, საბაჟო წარმომადგენელი).

- ბ) საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მქონე პირმა ან თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმომ.

საბაჟო საწყობის ნებართვის მქონე პირებზე და თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შესახებ მოგვიანებით გვექნება ვრცელი კომენტარი სპეციალური ოპერაციების შესახებ თავში და სახელმძღვანელოს ვრცელი მოცულობის გამო, ამ შემთხვევაში ამ საკითხს, ამ პარაგრაფში არ განვავრცობთ.

საბაჟო კანონმდებლობით საქონლის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენისას პირის ვალდებულებაა, რომ მან უნდა მიუთითოს ამ საქონელზე წარდგენილ საქონლის შემოტანის ზოგად დეკლარაციაზე[66], ხოლო საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის ნაცვლად საბაჟო დეკლარაციის წარდგენისას *(საუბარია საბაჟო კოდექსის კოდექსის 68-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაზე)* -

[66] ზოგადი დეკლარაციის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა ვრცელი კომენტარი.

საბაჟო დეკლარაციაზე ან დროებით შენახვის საბაჟო დეკლარაციაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის წარდგენა სავალდებულო არ არის.

საბაჟო დეკლარაციის შესახებ შესაბამის თავში იქნება ვრცელი კომენტარი, რაც შეეხება საქონლის დროებით შენახვას, ამ პროცედურის განხორციელება შესაძლებელია საბაჟო საწყობში, საბაჟო ორგანოს საწყობში, გაფორმების ეკონომიკურ ზონაში ან შენახვის სხვა ადგილზე, სადაც არსებობს საქონლის შენახვის შესაბამისი პირობები. დროებით შენახული საქონელი უნდა დარჩეს უცვლელ მდგომარეობაში, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია: ბუნებრივი ცვეთით; შენახვის ნორმალური პირობებისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი დანაკარგებით; საქონლის დაცულობის უზრუნველყოფის, ან/და იდენტიფიცირების ან/და გაყიდვის ხელშეწყობის მიზნით დროებით შენახული საქონლის მიმართ დასაშვებია საქონლის დაცულობის უზრუნველყოფის ან/და იდენტიფიცირების ან/და გაყიდვის ხელშეწყობის მიზნით ისეთი ოპერაციების განხორციელება, რომლებიც არ ცვლის მის გარეგნულ სახეს ან ტექნიკურ მახასიათებლებს.

რაც შეეხება დროებითი შენახვის დეკლარაციას, საქონლის დროებით შენახვისას, საზღვაო გზით შემოტანილი, სპეციალური ელექტრონული კონტროლის საშუალებით გადაადგილებული საქონლის შემთხვევაში საქონლის სატრანსპორტო საშუალებიდან ჩამოტვირთვიდან, ხოლო სხვა შემთხვევაში საბაჟო კონტროლის ზონაში საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების შეტანიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, დეკლარანტმა (საქონლის მფლობელმა/მესაკუთრემ) უნდა წარადგინოს დროებით შენახვის დეკლარაცია №6–01 დანართის შესაბამისად.[67]

დროებით შენახვის დეკლარაცია შესაძლებელია წარდგენილ იქნეს საბაჟო საწყობის მფლობელის მიერაც.

რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობა (შემდგომში – ელექტრონული მოწმობა) ან დამოწმებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობა (შემდგომში – აღრიცხვის მოწმობა) ან საბაჟო დეკლარაცია/რეექსპორტის დეკლარაცია ან სპეციალური ელექტრონული კონტროლის საშუალება ჩაითვლება დროებით შენახვის დეკლარაციად:

---

[67] დანართის ფორმულარის შესახებ იხ. ინსტრუქცია „საქონლის დროებით შენახვის შესახებ“ (დანართი №6).

• ა) აღრიცხვის მოწმობით ან ელექტრონული მოწმობით ან სპეციალური ელექტრონული კონტროლის საშუალებით გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების დროებით შენახვისას, როდესაც საქონელი არ ჩამოიტვირთება სატრანსპორტო საშუალებიდან;

• ბ) აღრიცხვის მოწმობით ან ელექტრონული მოწმობით ან სპეციალური ელექტრონული კონტროლის საშუალებით გადაადგილებული იმ საქონლის დროებით შენახვისას, რომელიც საბაჟო საწყობში ან საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილ საზღვაო ნავსადგურში განსაზღვრულ ტერიტორიაზე (ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების შენახვისათვის განკუთვნილი ტერიტორიის გარდა) ჩამოიტვირთა სატრანსპორტო საშუალებიდან, მაგრამ არ ამოწურულა დროებით შენახვის დეკლარაციის წარდგენის 30-დღიანი ვადა;

• გ) საბაჟო დეკლარაციის წარდგენით ექსპორტში ან გარე გადამუშავებაში ან საბაჟო საწყობის პროცედურიდან ტრანზიტში დეკლარირებული საქონლის დროებით შენახვისას, ან რეექსპორტის დეკლარაციის წარდგენით რეექსპორტში დეკლარირებული საქონლის დროებით შენახვისას;

• დ) საზღვაო გზით შემოტანილი და აღრიცხვის მოწმობის გამოწერით ტრანზიტში დეკლარირებული საყარი საქონლის დროებით შენახვისას.

დროებით შენახვის დეკლარაცია საბაჟო ორგანოში წარდგენილად ითვლება რეგისტრაციის ნომრის მინიჭების მომენტიდან.

დროებით შენახვის დეკლარაცია ივსება ელექტრონულად ამ ბრძანებით დამტკიცებული „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“ ინსტრუქციით (დანართი №3) განსაზღვრული წესის შესაბამისად, მონაცემთა გაზის ელექტრონული დამუშავების სისტემის გამოყენებით, „eCustoms“-ში დაშვებული პირის (დეკლარანტი ან საბაჟო საწყობის მფლობელი, ან წარმომადგენელი) მიერ, აგრეთვე საბაჟო ორგანოს მიერ, რომელსაც დეკლარანტი ან მისი წარმომადგენელი თხოვნით მიმართავს დროებით შენახვის დეკლარაციის შევსების თაობაზე.

საქონლის დროებით დასაწყობებისას, დროებით შენახვის დეკლარაციის წარდგენის შემთხვევაში – დროებით შენახვის დეკლარაციის რეგისტრაციამდე, ხოლო ამ ინსტრუქციით გათვალისწინებულ შემთხვევებში – აღრიცხვის მოწმობის ან საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის დამოწმებამდე ან ელექტრონული მოწმობით გადაადგილებულ საქონელზე – გამოცხადების ელექტრონულად დადასტურებამდე ან სარკინიგზო ზედნადების დამოწმებამდე ან სპეციალური ელექტრონული კონტროლის საშუალებით გადაადგილებულ საქონელზე – გამოცხადების

ელექტრონულად დადასტურებამდე, აკრძალულია სატრანსპორტო საშუალების გახსნა, საქონლის გადმოტვირთვა.

დროებით შენახვის დეკლარაცია ივსება სატრანსპორტო დოკუმენტებში ან/და ზოგადი დეკლარირებისათვის წარსადგენ დოკუმენტებში ან/და წინმსწრებ დოკუმენტში, ხოლო საბაჟო საწყობში დროებით შენახულ საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემისას – ასევე ახალი მესაკუთრის მიერ წარდგენილ დოკუმენტებში არსებული მონაცემების საფუძველზე. ასეთი დოკუმენტების არარსებობის შემთხვევაში, საქონელი ექვემდებარება სრულ დათვალიერებას და დროებით შენახვის დეკლარაცია ივსება დათვალიერების შედეგების საფუძველზე.

დროებით შენახვის დეკლარაცია გაიცემა 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი განკუთვნილია საქონლის მფლობელისათვის, მეორე – საბაჟო საწყობისათვის.

დროებითი შენახვის დეკლარაციის გრაფების შევსების წესი იხ. ინსტრუქცია „დროებითი შენახვის შესახებ", ბ.ბ.

საბაჟო კოდექსის 73-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, თუ საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის წარდგენა გადამზიდველის მიერ სავალდებულოა და საბაჟო ორგანოსთვის წარდგენილ საქონელზე ეს დეკლარაცია წინასწარ წარდგენილი არ არის, ამ შემთხვევაში გადამზიდველის ვალდებულების მიუხედავად, საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაცია შეიძლება წარადგინოს იმპორტიორმა, ტვირთის მიმღებმა ან სხვა პირმა, რომლის სახელითაც გადამზიდავი მოქმედებს, ასევე, ნებისმიერმა სხვა პირმა, რომელსაც შეუძლია ამ საქონლის საბაჟო გამშვებ პუნქტში წარდგენა, ან რომელმაც წარადგინა იგი აღნიშნულ პუნქტში, შეუძლებელია ზემოთ აღნიშნული პირებისაგან (იმის გათვალისწინებით, რომ საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაცია გადამზიდავმა უნდა წარმოადგინოს და ამის შეუძლებლობის შემთხვევაში ზემოთ აღნიშნულმა პირებმა და საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაცია უნდა შეიცავდეს იმ მონაცემებს, რომლებიც დაცულობისა და უსაფრთხოების მიზნით რისკის ანალიზისთვისაა საჭირო) და აღნიშნული პირებისგანაც მონაცემების მიღება შეუძლებელია მაშინ საბაჟო ორგანოს შეუძლია ეს მონაცემები მოსთხოვოს სხვა პირს, რომელსაც აქვს მათი გაცემის უფლება და რომელიც ვალდებულია დაუყოვნებლივ წარადგინოს საქონლის

შემოტანის ზოგადი დეკლარაცია ან მის ნაცვლად - საბაჟო დეკლარაცია ან დროებითი შენახვის დეკლარაცია.

საბაჟო კოდექსის 73-ე მუხლის მე-5 ნაწილი ითვალისწინებს 66-ე მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილების გამოყენებას, ასევე მე-5 მუხლი მიუთითებს მე-4 ნაწილის გამოყენებაზე.

დროებითი შენახვის დეკლარაციაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ.

თუ სასაზღვრო ზონაში მილსადენით ან ელექტროგადამცემი ხაზით ტრანსპორტირებულ საქონელთან, მცირე ეკონომიკური მნიშვნელობის წერილის, ღია ბარათის, ბეჭდვითი მასალის და მათი ელექტრონული ეკვივალენტის გადაზიდვასთან ან მგზავრის მიერ გადაადგილებულ საქონელთან მიმართებით საბაჟო ზედამხედველობასა და საბაჟო კონტროლს საფრთხე არ ექმნება, შეიძლება გამოყენებულ იქნეს **საბაჟო კოდექსის 73-ე მუხლის**[68] პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესისგან განსხვავებული წესი.

აქ საუბარია იმ შემთხვევაზე, როდესაც მილსადენით ან ელექტროგადამცემი ხაზით საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის მომენტიდან არ ექვემდებარება საბაჟო ზედამხედველობას და, შესაბამისად, სავალდებულო არ არის მისი წარდგენა, თუკი თუ სასაზღვრო ზონაში მილსადენით ან ელექტროგადამცემი ხაზით ტრანსპორტირებულ საქონელთან, მცირე ეკონომიკური მნიშვნელობის წერილის, ღია ბარათის, ბეჭდვითი მასალის და მათი ელექტრონული ეკვივალენტის გადაზიდვასთან ან მგზავრის მიერ გადაადგილებულ საქონელთან მიმართებით საბაჟო ზედამხედველობასა და საბაჟო კონტროლს საფრთხე არ ექმნება.

საბაჟო ორგანოსთვის წარდგენილი საქონელი საბაჟო ორგანოს ნებართვის გარეშე არ უნდა გადაადგილდეს მისი წარდგენის ადგილიდან. საქონლის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენისა და მისი წარდგენის სხვა ადგილის საბაჟო ორგანოსთან შეთანხმების წესები განისაზღვრება *საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს #257-ე ბრძანებით „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების*

[68] საბაჟო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის კომენტარზე ამავე პარაგრაფში უკვე იყო საუბარი.

თაობაზე". იხ. ინსტრუქცია „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ" (დანართი №5).

6. საქონლის გადმოტვირთვა და გახსნა. საქონლის დათვალიერება. სინჯის ან ნიმუშის აღება

საქონლის გადმოტვირთვა და გახსნა. საქონელი მისი გადამზიდავი სატრანსპორტო საშუალებიდან უნდა გადმოიტვირთოს ან გადაიტვირთოს მხოლოდ საბაჟო ორგანოს თანხმობით, ამ ორგანოს მიერ განსაზღვრულ ან მასთან შეთანხმებულ ადგილზე. ამასთანავე, საბაჟო ორგანოს თანხმობა არ მოითხოვება გარდაუვალი საფრთხის არსებობის შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია მთლიანი საქონლის ან მისი ნაწილის დაუყოვნებლივ გადმოტვირთვა. ამ შემთხვევაში შესაბამისი გარემოების შესახებ საბაჟო ორგანოს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს.

გადამზიდველი, ტვირთის გამგზავნი და ტვირთის მიმღები ვალდებულნი არიან დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უსაფრთხოების ტექნიკისა და ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნები დატვირთვა-გადმოტვირთვისა და გადაზიდვის პროცესში. ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე ტვირთი უნდა განთავსდეს და დამაგრდეს ისე, რომ გადაზიდვისას უზრუნველყოფილი იქნეს ავტოსატრანსპორტო საშუალების და მოძრაობის უსაფრთხოება დატვირთვა-გადმოტვირთვისა და გადაზიდვის პროცესში და საფრთხე არ შეექმნას ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემო პირობებს. ავტოსატრანსპორტო საშუალება დატვირთული უნდა იქნეს „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით. მსხვილგაბარიტიანი და მძიმეწონიანი ტვირთის გადაზიდვა, კანონმდებლობით ნებადართულ გაბარიტებსა და წონით პარამეტრებთან მისი კორექტირების შეუძლებლობის შემთხვევაში, რეგულირდება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 3 აგვისტოს №956/1-1/746 ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული „საავტომობილო ტრანსპორტით არაგაბარიტული (მსხვილგაბარიტიანი) და ზენორმატიული (მძიმეწონიანი) ტვირთების გადაზიდვის მარშრუტის შერჩევის და უსაფრთხოდ გადაადგილების წესის

დამტკიცებისა და შესაბამისი რეკომენდაციის გაცემის შესახებ" დამტკიცებული „საავტომობილო ტრანსპორტით არაგაბარიტული (მსხვილგაბარიტიანი) და ზენორმატიული (მძიმეწონიანი) ტვირთების გადაზიდვის მარშრუტის შერჩევის, უსაფრთხოდ გადაადგილებისა და შესაბამისი რეკომენდაციის გაცემის წესის" საფუძველზე. ტვირთებს, რომელთა დატვირთვა-გადმოტვირთვა შესაძლებელია მხოლოდ მექანიზირებული საშუალებებით, უნდა გააჩნდეთ სპეციალური სამარკვიზი (მარყუჟი, შვერილი და სხვა). ბის ტარა (ყუთები, დოლები, კოჭები, შესაფუთი ბლოკები, სამაგრი მერქანი, სადებები და ა.შ), რომლებიც გამოიყენება საერთაშორისო ტვირთგადაზიდვების დროს, უნდა პასუხობდეს ფიტოსანიტარიული ზომების მე-15 საერთაშორისო სტანდარტით - „საერთაშორისო ვაჭრობაში ბის შესაფუთი მასალის რეგულირების სახელმძღვანელო" (ISPM N15 FAO 2002) - გათვალისწინებულ მოთხოვნებს და ამ სტანდარტის შესაბამისად უნდა იყოს მარკირებული. სახიფათო ტვირთების სატრანსპორტო საშუალებაზე დატვირთვა (გადმოტვირთვა), განთავსება და დამაგრება ხორციელდება ტვირთგამგზავნის /ტვირთმიმღების მიერ თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული გადაზიდვის ხელშეკრულებით). დატვირთვის ან გადმოტვირთვის ადგილზე, მათ შორის კონტეინერის ტერმინალში მისვლისას, აღნიშნული სატრანსპორტო საშუალება, მისი მძღოლი, ცისტერნა, კონტეინერი, გადასატანი ცისტერნა და სხვ. უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 თებერვლის #89 დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტის - სატრანსპორტო საშუალებით სახიფათო ტვირთების გადაზიდვის წესის დამტკიცების თაობაზე", და სხვა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. განსაკუთრებით საექსპლოატაციო უსაფრთხოების, საერთო უსაფრთხოების, სისუფთავის და დატვირთვის და გადმოტვირთვის დროს გამოყენებული აღჭურვილობის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით).

აკრძალულია: დატვირთვა – გადმოტვირთვის მექანიზმის გამოყენება, რომელმაც შეიძლება შეჭმნას ტარის დაზიანებისა და ტვირთის ჩამოვარდნის საფრთხე (ამწე სატრანსპორტო მოწყობილობები უნდა შეესაბამებოდეს უსაფრთხოების მოთხოვნებს); დაზიანებული შეფუთვით სახიფათო ტვირთის დატვირთვა და მისი გადაზიდვა. ლიპყინულის შემთხვევაში სახიფათო ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვის ტერიტორია დაფარული უნდა იყოს ქვიშით[69].

[69] სრულად იხ. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 თებერვლის #89 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - სატრანსპორტო საშუალებით

საბაჟო ორგანოს დისკრეციული უფლებაა ნებისმიერ დროს მოითხოვოს საქონლის გადმოტვირთვა და გახსნა მისი დათვალიერების, სინჯის ან/და ნიმუშის აღების ან ამ საქონლის გადამზიდავი სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების მიზნით.

საქონლის დათვალიერება. საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დათვალიერება შესაძლებელია საბაჟო კონტროლის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე და **მისი მიზანია:** საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიკაცია, აკრძალული საქონლის შემოტანა/გატანის ან/და ფარულად გადაადგილების ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა, საქონლის მიმართ აკრძალვებისა და შეზღუდვების ღონისძიებების გატარება, დეკლარირებული საქონლისთვის მინიჭებული სეს ესნ-ის კოდის სისწორის განსაზღვრა. დათვალიერება ხორციელდება საბაჟო კონტროლის ზონაში: ტექნიკური საშუალების – რენტგენული ინსპექტირების სისტემის (სკანერის) გამოყენებით (შემდგომში – სკანირება); ლუქების, შტამპებისა და საბაჟო იდენტიფიკაციის სხვა საშუალებების მოხსნითა და სატრანსპორტო საშუალებების, მათი სატვირთო სათავსების, საქონლის შეფუთვის გახსნით და დათვალიერებით; საფოსტო გზავნილების შემთხვევაში – სკანირების მეშვეობით. იმ შემთხვევაში, როდესაც საქონლის გაფორმების ადგილზე წარდგენა სავალდებულო არ არის, დეკლარანტის მოთხოვნითა და საბაჟო ორგანოს თანხმობით, საქონლის დათვალიერება შესაძლებელია განხორციელდეს საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე. დათვალიერებისას საბაჟო ორგანოს უფლებამოსილ პირს შეუძლია: მოსთხოვოს დეკლარანტს საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების წარდგენა დათვალიერების ადგილზე და დახმარების აღმოჩენა (საქონლის ტრანსპორტირების, აწონვის, საქონლის რაოდენობის განსაზღვრის, გადმოტვირთვა-დატვირთვის, გადატვირთვის, შეფუთვების გახსნისა ან ხელმეორედ შეფუთვის უზრუნველყოფა, ასევე შენობების, საცავების და სხვა ადგილების გახსნა, სადაც შესაძლებელია იმყოფებოდეს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი ან/და

სახიფათო ტვირთების გადაზიდვის წესის დამტკიცების თაობაზე", https://matsne.gov.ge/ka/document/view/4485078?publication=0.

სატრანსპორტო საშუალებები) მიიღოს ინფორმაცია დათვალიერებაში მონაწილე პირთაგან; ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით, საბაჟო ორგანოს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანხმობით გაზარდოს დათვალიერების მოცულობა ან/და გამოიყენოს დათვალიერების დეტალური ფორმა; კანონმდებლობის შესაბამისად მოიწვიოს ექსპერტები და სპეციალისტები (მათ შორის კინოლოგები); საჭიროების შემთხვევაში აიღოს საქონლის სინჯი ან/და ნიმუში. საბაჟო გამშვებ პუნქტში საქონლის დათვალიერებაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დათვალიერება შესაძლებელია განხორციელდეს სკანირებით ან სხვა საშუალების გამოყენებით. ამასთან, აქციზური მარკებით ნიშანდებას ან/და სამედიცინო გაფრთხილების დატანას დაქვემდებარებული თამბაქოს ნაწარმის შემოტანისას, საქონელი თვალიერდება დადგენილი წესის შესაბამისად და ა.შ.

საქონლის დათვალიერების შესახებ იხ. ინსტრუქცია „საბაჟო კონტროლის შესახებ" (დანართი №2), მ. 15-20.

სინჯის ან ნიმუშის აღება. საბაჟო კონტროლის განხორციელებისას საბაჟო ორგანოს თანამშრომელი უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით ან დეკლარანტის მოთხოვნით აიღოს გამოკვლევისათვის საჭირო საქონლის სინჯები ან/და ნიმუშები, სათანადო აქტის გაფორმებით, რომლის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა საქონელზე უფლებამოსილ პირს ან მის წარმომადგენელს. საბაჟო ორგანოს თანამშრომლის მიერ საქონლის სინჯის ან/და ნიმუშის აღების ფაქტი უნდა აისახოს **„საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების აქტში" (დანართი №2-III-02),** ასევე მითითებული უნდა იყოს, თუ საქონლის რომელი შეკვრიდან (ყუთი, ფუთა და სხვ.) და რა რაოდენობით განხორციელდა სინჯის ან/და ნიმუშის აღება. აუცილებლობის შემთხვევაში, საქონლის სინჯისა და ნიმუშის აღება წარმოებს ექსპერტის ან სპეციალისტის მონაწილეობით. საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის სინჯებისა და ნიმუშების აღება, საბაჟო ორგანოს წერილობითი თანხმობით, შეუძლია ასევე დეკლარანტს, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ სხვა უფლებამოსილ პირს, მათ წარმომადგენლებს და სხვა სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების თანამშრომლებს, თუ მათი აღება: ა)

არ ეწინააღმდეგება და არ ართულებს საბაჟო კონტროლის განხორციელებას; ბ) არ ცვლის საქონლის მახასიათებელ ნიშნებს. საბაჟო ორგანოს თანამშრომელს უფლება აქვს, დეკლარანტს ან საქონელზე სხვა უფლებამოსილ პირს და მათ წარმომადგენლებს მოსთხოვოს დასწრება საქონლის სინჯისა და ნიმუშის აღებისას და აღნიშნულთან დაკავშირებული სატვირთო და სხვა საჭირო ოპერაციების განხორციელება. საბაჟო ორგანოს თანამშრომელი ვალდებულია, დაესწროს დეკლარანტის, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ სხვა უფლებამოსილი პირის, მათი წარმომადგენლების და სხვა სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოს თანამშრომლის მიერ სინჯებისა და ნიმუშების აღებას.საბაჟო ორგანოს თანამშრომელს უფლება აქვს, დეკლარანტისა და მისი წარმომადგენლის დაუსწრებლად აიღოს საქონლის სინჯი ან/და ნიმუში. სინჯებსა და ნიმუშებს იღებენ იმ მინიმალური ოდენობით, რაც საკმარისია მათ გამოსაკვლევად. იმ შემთხვევაში, თუ საქონლის სინჯების ან/და ნიმუშების გამოკვლევა საჭიროებს სპეციალური ცოდნას, ინიშნება ექსპერტიზა. ექსპერტიზა ტარდება შემოსავლების სამსახურის ან მოწვეული ექსპერტების (შესაბამისი ორგანიზაციების წარმომადგენლების) მიერ, რომელთაც დასკვნის გასაცემად გააჩნიათ სპეციალური ცოდნა.

სინჯებისა ნიმუშების აღების შესახებ დაწვრ. იხ. ინსტრუქცია „საბაჟო კონტროლის შესახებ" (დანართი №2), მ. 22.

დანართი №2-III–02

საქონლის ან/და სატრასპორტო საშუალების დათვალიერების აქტი №

_____

_____

დათვალიერების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)
დათვალიერების ადგილი

1. დათვალიერების ობიექტი

_____

2. დათვალიერება განახორციელა:

_____

_____

_____ (სტრუქტურული ერთეულის/ქვედანაყოფის დასახელება, თანამშრომლის თანამდებობა, სახელი და გვარი)

3. დათვალიერებას ესწრებოდნენ:

_____

_____

(თანამდებობა, სახელი, გვარი და საიდენტიფიკაციო/პირადი/პასპორტის №)

4. დათვალიერების პროცედურა მიმდინარეობდა — სთ — წთ-დან, — სთ — წთ-მდე.

5. დათვალიერების შედეგები:

_____

_____

_____

6. აღებულია სინჯი/ნიმუში:

_____

7. გამოყენებული საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალება:

_____

_____ დაილუქა

_____ ლუქით და განთავსდა/გაიგზავნა/ინახება:

_____

8. აქტის შემდგენი პირის/პირების ხელმოწერა: _____

_____ (ხელმოწერა)

(სახელი, გვარი)

_____

_____ (ხელმოწერა)

(სახელი, გვარი)

9. დამსწრე პირის/პირების ხელმოწერა: _____

_____ (ხელმოწერა)

(სახელი, გვარი)

_____

_____ (ხელმოწერა)

(სახელი, გვარი)

10. დეკლარანტის ან საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მიმართ სხვა უფლებამოსილი პირის ან მათი წარმომადგენლის ხელმოწერა: _____

ხელმოწერა, ხელმოწერაზე უარის აღნიშვნა,

თუ

ვინაობა დაუდგენელია, კეთდება

შესაბამისი აღნიშვნა

11. შენიშვნები:

_____

_____

_____

_____

_____

7. უცხოური საქონლის დროებით შენახვა და დროებით შენახვის დეკლარაცია

უცხოური საქონელი საბაჟო ორგანოსთვის წარდგენისთანავე დროებით უნდა იქნეს შენახული.

საქონლის დროებით შენახვა შესაძლებელია საბაჟო საწყობში, საბაჟო ორგანოს საწყობში, გაფორმების ეკონომიკურ ზონაში ან შენახვის სხვა ადგილზე, სადაც არსებობს საქონლის შენახვის შესაბამისი პირობები.[70]

***დროებით შენახვა** – იმ უცხოური საქონლის მდგომარეობა, რომელიც საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ დროებით, მისი საბაჟო ორგანოსთვის წარდგენიდან საბაჟო პროცედურაში მოქცევამდე/რეექსპორტამდე არის შენახული.*[71]

შენახვის სხვა ადგილზე საქონლის დროებით შენახვა დაიშვება: საქონლის მიმღების ან იმპორტიორის საწყობში, **როცა საქონლის მიმღებს ან იმპორტიორს წარმოადგენს: „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით** გათვალისწინებული სამინისტრო ან მის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება; საქართველოს ეროვნული ბანკი; უცხოეთის დიპლომატიური და მასთან გათანაბრებული დაწესებულება; და ა.შ.[72]

საბაჟო ორგანოსთვის წარდგენილ უცხოურ საქონელზე წარდგენილი უნდა იქნეს დროებით შენახვის დეკლარაცია, რომელიც შეიცავს მისი დროებით შენახვისთვის აუცილებელ ყველა მონაცემს.

უცხოური საქონელი მისი საბაჟო ორგანოში წარდგენისთანავე უნდა იქნეს დროებით შენახული და ამ მიზნით უნდა წარედგინოს დროებით შენახვის დეკლარაცია, **გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:**

---

[70] ინსტრუქცია „საქონლის დროებით შენახვის შესახებ“, დანართი №6, მ.1.პ.1.

[71] საქართველოს საბაჟო კოდექსი, მ. 6. ნ.1. „ტერმინთა განმარტება“, „მ“ ქვეპუნქტი.

[72] ინსტრუქცია „საქონლის დროებით შენახვის შესახებ“, დანართი №6, მ.1.პ.2.

საქონელზე საბაჟო დეკლარაცია წარდგენილია წინასწარ (საქონლის საბაჟო ორგანოსათვის წარდგენამდე); სატრანსპორტო ან სხვა დოკუმენტი შეიცავს საქონლის დროებით შენახვის დეკლარაციის შესაბამის მონაცემებს; საქონლის გადაზიდვა ხორციელდება: ტრანზიტის პროცედურის შესაბამისად, მათ შორის, საბაჟო გამშვები პუნქტის მიერ გამოწერილი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობით (შემდგომში – მოწმობა); „TIR კარნეტების ფარგლებში საქონლის საერთაშორისო გადაზიდვის შესახებ“ ჟენევის 1975 წლის 14 ნოემბრის საბაჟო კონვენციის (TIR კონვენცია) შესაბამისად; საფოსტო გზავნილების ნუსხით; სპეციალური ელექტრონული კონტროლის საშუალებით; რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობით; ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციით; მსოფლიო საფოსტო კავშირის შესაბამისი აქტების მიხედვით; „საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ“ სტამბოლის 1990 წლის 26 ივნისის კონვენციის ან „საქონლის დროებითი შემოტანისათვის ATA წიგნაკის შესახებ“ ბრიუსელის 1961 წლის 6 დეკემბრის საბაჟო კონვენციის (ATA კონვენცია) შესაბამისად და ა.შ[73].

დროებით შენახვის დეკლარაცია საბაჟო ორგანოში წარდგენილად ითვლება რეგისტრაციის ნომრის მინიჭების მომენტიდან. დროებით შენახულ საქონელთან დაკავშირებული დოკუმენტები უნდა წარედგინოს საბაჟო ორგანოს, თუ ეს გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით ან აუცილებელია საბაჟო კონტროლის განხორციელებისთვის.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის ზოგადი დეკლარირება ხორციელდება საბაჟო გამშვებ პუნქტში, სასაზღვრო კონტროლის განხორციელების დასრულებიდან არაუგვიანეს **3 სამუშაო დღისა**, გარდა ქვემოთ აღნიშნული შემთხვევებისა, კერძოდ: ***გაფორმების ეკონომიკური ზონის დანიშნულებით სხვა სატრანსპორტო საშუალებით (მათ შორის, კონტეინერით) გადაადგილებული, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო***

---

[73] ინსტრუქცია „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ“, დანართი №5, მ.1.ა.4.

პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ3-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავას შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელის და ნახევრადმისაბმელის, აგრეთვე ამ სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილებული, კანონმდებლობით განსაზღვრულ დაუბეგრავ მინიმუმზე მეტი რაოდენობისა და ღირებულების საქონლის ზოგადი დეკლარირება ხორციელდება გაფორმების ეკონომიკური ზონის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ სატრანსპორტო საშუალების შესახებ ინფორმაციის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ასახვისას, მაგრამ არაუგვიანეს 60 კალენდარული დღისა, რომელიც აითვლება აღრიცხვის მოწმობის რეგისტრაციის ან სპეციალური ელექტრონული კონტროლის საშუალებით კონტეინერის რეგისტრაციის ან საბაჟო საწყობის მიერ საბაჟო ორგანოსათვის საბაჟო საწყობში წარდგენილი, კონტეინერით გადაადგილებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ზოგადი დეკლარირება ასევე შესაძლებელია განხორციელდეს საბაჟო ორგანოსათვის შესაბამისი საბაჟო საწყობის მიერ ქვემოთ აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე ელექტრონულად მიწოდებული ინფორმაციის გამოყენებით და ეს დოკუმენტებია: ა) სატრანსპორტო დოკუმენტი: ა.ა) საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – სატრანსპორტო ზედნადები ან TIR-წიგნაკი; ა.ბ) საზღვაო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – კონოსამენტი; ა.გ) საჰაერო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – ავიაზედნადები; ა.დ) სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს – სარკინიგზო ზედნადები; ბ) საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულების ან ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისი), ან სხვა სანგარიშსწორებო დოკუმენტის დედანი ან ასლი (გარდა საქართველოს სამაძღასაბადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქონლის ზოგადი დეკლარირების შემთხვევისა).

საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტებით იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებულია: უცხოეთში ყოველ 6 თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ საქართველოში შემოსული ფიზიკური პირის მიერ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ერთვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე–97-ე ჯგუფების (გარდა 87-ე ჯგუფისა) შესაბამისი 15 000 ლარის ღირებულების საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის, ხოლო საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობიდან ან საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან

გამოწვეული დიპლომატიური თანამდებობის პირისათვის – დამატებით მის მიერ პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის (ოჯახზე თითო სატრანსპორტო საშუალების, მაცივრის, კომპიუტერისა და ტელევიზორის) იმპორტი („დ.დ" ქვეპუნქტი); ხოლო „დ..ე" ქვეპუნქტიოს თანაბამად - საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლისას (რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით გაცემული შესაბამისი დოკუმენტით) საქონლის (მათ შორის, ავეჯის, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის, ოჯახზე ერთი სატრანსპორტო საშუალების) იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის.

დაუძლეველი ძალის პირობების მოქმედების შედეგების, მილსადენებსა და ელექტროგადამცემ ბაზებზე ავარიის სალიკვიდაციოდ, პრევენციის ან სხვა მოულოდნელად წარმოქმნილი გარემოებების აღმოფხვრის მიზნით, რომელიც მოითხოვს გადაუდებელი სამუშაოების წარმართვას, დეკლარანტს უფლება აქვს, დროებით შენახვისთვის განკუთვნილი საქონელი განათავსოს შენახვის სხვა ადგილზე, საბაჟო ორგანოს თანხმობით.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე განლაგებული რკინიგზის სადგურების სალიანდაგო ნაწილში საქონლის დროებით შენახვისას, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების წარდგენა დასტურდება რკინიგზის მიერ: საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების გამოცხადების ელექტრონულად დადასტურებით; თუ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების წარდგენის დადასტურება ელექტრონული მოწმობით ტექნიკური ან სხვა მიზეზის გამო შეუძლებელია – სარკინიგზო ზედნადებზე გაკეთებული აღნიშვნით (დამღა, ხელმოწერა, თარიღი და დრო). ამასთან, რკინიგზა ზედნადების დამოწმებიდან არაუგვიანეს 24 საათისა, გამოცხადების ელექტრონულად დადასტურების მიზნით მიმართავს საბაჟო ორგანოს; თუ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების საბაჟო კონტროლი და აღრიცხვა ხორციელდება მოწმობით – რკინიგზის მიერ მოწმობის უკანა გვერდზე გაკეთებული აღნიშვნით (დამღა, ხელმოწერა, თარიღი და დრო). ამასთან, რკინიგზა მოწმობის დამოწმებიდან არა უგვიანეს 24 საათისა, „eCustoms"-ში ელექტრონულად დადასტურების მიზნით მიმართავს საბაჟო ორგანოს.

დროებით შენახული საქონელი უნდა დარჩეს უცვლელ მდგომარეობაში, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია: *ბუნებრივი ცვეთით; შენახვის ნორმალური პირობებისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი დანაკარგებით; საქონლის დაცულობის უზრუნველყოფის, ან/და იდენტიფიცირების ან/და გაყიდვის ხელშეწყობის მიზნით და*

დროებით შენახული საქონლის მიმართ დასაშვებია საქონლის დაცულობის უზრუნველყოფის ან/და იდენტიფიცირების ან/და გაყიდვის ხელშეწყობის მიზნით ისეთი ოპერაციების განხორციელება, რომლებიც არ ცვლის მის გარეგნულ სახეს ან ტექნიკურ მახასიათებლებს. დროებით შენახული საქონლის მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შემდეგი ოპერაციები: გასუფთავება; განიავება; გაშრობა (კერძოდ, სითბოს მიწოდებით); შენახვის ოპტიმალური ტემპერატურული რეჟიმის შექმნა (გაცივება, გაყინვა, გახურება); დამცავ შესაფუთში მოთავსება; დამცავი საფენისა და კონსერვანტის ჩატანება; პარტიის დანაწილება; გზავნილების ფორმირება და ა.შ.[74]

საქონლის მფლობელი ვალდებულია საბაჟო ორგანოს მოთხოვნით შეინახოს საქონელი საკუთარი ხარჯებით ან, საბაჟო კონტროლის განხორციელების აუცილებლობიდან გამომდინარე, უზრუნველყოს საქონლის მიტანა საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილზე. საქონლის დროებით დასაწყობებისას, დროებით შენახვის დეკლარაციის წარდგენის შემთხვევაში – დროებით შენახვის დეკლარაციის რეგისტრაციამდე, ხოლო ამ ინსტრუქციით გათვალისწინებულ შემთხვევებში – აღრიცხვის მოწმობის ან საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის დამოწმებამდე ან ელექტრონული მოწმობით გადაადგილებულ საქონელზე – გამოცხადების ელექტრონულად დადასტურებამდე ან სარკინიგზო ზედნადების დამოწმებამდე ან სპეციალური ელექტრონული კონტროლის საშუალებით გადაადგილებულ საქონელზე – გამოცხადების ელექტრონულად დადასტურებამდე, აკრძალულია სატრანსპორტო საშუალების გახსნა, საქონლის გადმოტვირთვა. იმ შემთხვევაში, თუ საქონლის საბაჟო საწყობში ან ამ ინსტრუქციით განსაზღვრულ სხვა ადგილზე შენახვისთვის მიღებისას გარეგნული მახასიათებლების მიხედვით სახეზეა საქონლის დაზიანების ან გაფუჭების ფაქტი, აგრეთვე დროებით შენახვის დეკლარაციაში ასახული მონაცემების აღრიცხვის მოწმობაში ან ზოგადი დეკლარირების სხვა ფორმაში ასახულ მონაცემებთან შეუსაბამობა, დარღვეულია იდენტიფიკაციის საშუალების მთლიანობა, საბაჟო საწყობის/შენახვის სხვა ადგილის მფლობელი საქონლის მიმღები ვალდებულია, ამის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს (არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა) საბაჟო ორგანოს.

საბაჟო კოდექსის საკომენტარო 75-ე მუხლის მე-4 ნაწილი მიუთითებს ამავე კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ან მე-3 ნაწილის

---

[74] იხ. ინსტრუქცია „საქონლის დროებით შენახვის შესახებ", დანართი №6, მ. 4. პ.4.-5.

გამოყენებაზე, კერძოდ, „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი საბაჟო გამშვებ პუნქტში ან საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ან მასთან შეთანხმებულ ნებისმიერ სხვა ადგილზე შემოსვლისთანავე, **დაუყოვნებლივ საბაჟო ორგანოს უნდა წარუდგინოს:**

- ა) პირმა, რომელმაც საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოიტანა;
- ბ) პირმა, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემომტანი პირის სახელით ან დავალებით მოქმედებს;
- გ) პირმა, რომელმაც საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის შემდეგ აიღო მისი გადაზიდვის პასუხისმგებლობა“ (ნ.1), ან **73-ე მუხლის** ზემოთ აღნიშნული **პირველი ნაწილით** გათვალისწინებული პირის ვალდებულების მიუხედავად, მის ნაცვლად საბაჟო ორგანოს საქონელი შეიძლება წარუდგინოს:
- ა) ნებისმიერმა პირმა, რომელიც საბაჟო ორგანოსთვის წარდგენისას საქონელს საბაჟო პროცედურაში აქცევს;
- ბ) საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მქონე პირმა ან თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმომ. სწორედ ამ პირებმა დროებით შენახვის დეკლარაცია უნდა წარადგინოს არაუგვიანეს საქონლის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენის მომენტისა.

დროებით შენახვის დეკლარაცია ივსება სატრანსპორტო დოკუმენტებში ან/და ზოგადი დეკლარირებისათვის წარსადგენ დოკუმენტებში ან/და წინმსწრებ დოკუმენტში, ხოლო საბაჟო საწყობში დროებით შენახულ საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემისას – ასევე ახალი მესაკუთრის მიერ წარდგენილ დოკუმენტებში არსებული მონაცემების საფუძველზე. ასეთი დოკუმენტების არარსებობის შემთხვევაში, საქონელი ექვემდებარება სრულ დათვალიერებას და დროებით შენახვის დეკლარაცია ივსება დათვალიერების შედეგების საფუძველზე. დროებით შენახვის დეკლარაცია გაიცემა 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი განკუთვნილია საქონლის მფლობელისათვის, მეორე – საბაჟო საწყობისათვის.

დროებითი შენახვის დეკლარაციის შევსების წესის შესახებ იხ. ინსტრუქცია „საქონლის დროებით შენახვის შესახებ", დანართი №6, მ. 8.

დროებით შენახვის დეკლარაცია უნდა შეიცავდეს მითითებას საბაჟო ორგანოსთვის წარდგენილ საქონელთან დაკავშირებულ საქონლის შემოტანის ზოგად დეკლარაციაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება არ არსებობს ან ეს საქონელი უკვე იყო დროებით შენახული ან საბაჟო პროცედურაში მოქცეული და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ჯერ არ არის გატანილი.

საბაჟო ორგანოს თანხმობით დროებით შენახვის დეკლარაცია შეიძლება წარდგენილ იქნეს შემდეგი ფორმით:

- ა) შესაბამისი საქონლის შემოტანის ზოგად დეკლარაციაზე მითითებით, თუ საბაჟო ორგანოსთვის დამატებით წარდგენილია დროებით შენახვის დეკლარაციისთვის აუცილებელი მონაცემები;
- ბ) სატრანსპორტო დოკუმენტით, თუ იგი შეიცავს დროებით შენახვის დეკლარაციის შესაბამის მონაცემებს, მათ შორის, საქონლის შემოტანის ზოგად დეკლარაციაზე მითითებას.

საბაჟო ორგანომ შეიძლება დაუშვას დროებით შენახვის დეკლარაციის შესავსებად სავაჭრო, საპორტო ან სატრანსპორტო საინფორმაციო სისტემის გამოყენება, თუ ეს სისტემა შეიცავს ამ დეკლარაციისთვის საჭირო მონაცემებს და ეს მონაცემები ხელმისაწვდომია **75-ე მუხლის ზემოთ აღნიშნულიმე-4 ნაწილით** დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად.

***რა მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს დროებითი შენახვის დეკლარაცია?* დროებით შენახვის დეკლარაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთ-ერთი შემდეგი მიზნით:**

- ა) საბაჟო კოდექსის 69-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის შეტყობინების მიზნით, კერძოდ: იმ საზღვაო ან საჰაერო ხომალდის ოპერატორმა, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოდის, საბაჟო ორგანოს ამ ხომალდის შემოსვლის შესახებ უნდა შეატყობინოს მისი შემოსვლისთანავე. თუ საზღვაო ან საჰაერო ხომალდის შემოსვლის შესახებ ინფორმაცია საბაჟო ორგანოსთვის ხელმისაწვდომია, მან შეიძლება არ მოითხოვოს ამ ინფორმაციის შეტყობინება. საზღვაო ან საჰაერო

ხომალდის შემოსვლის შესახებ შესატყობინებლად საბაჟო ორგანოს თანხმობით შეიძლება გამოყენებულ იქნეს პორტის ან აეროპორტის შესაბამისი სისტემა ან ინფორმაციის გადაცემის სხვა საშუალება.

• ბ) საბაჟო კოდექსის 73-ე მუხლის შესაბამისად საქონლის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენის მიზნით, თუ შესრულებულია იმავე მუხლით დადგენილი მოთხოვნები.[75]

დროებით შენახვის დეკლარაციის წარდგენა არ მოითხოვება, თუ არაუგვიანეს საქონლის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენის ვადისა ამ კოდექსის შესაბამისად საქონელს განესაზღვრა საქართველოს საქონლის სტატუსი.

საბაჟო ორგანომ უნდა შეინახოს დროებით შენახვის დეკლარაცია ან ხელი უნდა მიუწვდებოდეს მასზე, რათა შეამოწმოს, ამ დეკლარაციით დეკლარირებული საქონელი მოექცა თუ არა საბაჟო პროცედურაში ან განხორციელდა თუ არა მისი რეექსპორტი საბაჟო კოდექსის 78-ე მუხლის შესაბამისად, კერძოდ: *დროებით შენახული უცხოური საქონელი საბაჟო პროცედურაში უნდა მოექცეს ან მისი რეექსპორტი უნდა განხორციელდეს 30 დღეში. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადა შეამციროს ან 60 დღით გაზარდოს. საბაჟო საწყობში საქონლის დროებით შენახვის შემთხვევაში ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ვადა 180 დღეა საქონელი, რომლის მიმართაც უკვე განსაზღვრულია საბაჟო პროცედურა, გარდა ექსპორტი პროცედურისა, შესაბამისი პირის მოთხოვნით საბაჟო საწყობში შეიძლება შენახულ იქნეს დროებით, არაუმეტეს 180 დღისა, ხოლო ექსპორტის პროცედურის შემთხვევაში - არაუმეტეს 120 დღისა. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია გაზარდოს ამ მუხლის მე-120 დღიანი ვადა არაუმეტეს 180 დღით.*

საბაჟო კოდექსის 75-ე მუხლის 12 ნაწილის მიზნისთვის, ტრანზიტის პროცედურაში მოქცეული უცხოური საქონლის დანიშნულების ადგილზე წარდგენისას ტრანზიტის ოპერაციისთვის წარდგენილი მონაცემები შეიძლება მიჩნეულ იქნეს დროებით შენახვის

[75] შესაბამისად იხ. საბაჟო კოდექსის 73-ე მუხლის („საქონლის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენა") კომენტარი.

დეკლარაციად, თუ ისინი შეიცავს დროებით შენახვის დეკლარაციისთვის აუცილებელ ინფორმაციას. *უცხოური საქონელი მისი საბაჟო ორგანოში წარდგენისთანავე უნდა იქნეს დროებით შენახული და ამ მიზნით უნდა წარედგინოს დროებით შენახვის დეკლარაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც: ..... ტრანზიტის პროცედურის შესაბამისად, მათ შორის, საბაჟო გამშვები პუნქტის მიერ გამოწერილი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობით (შემდგომში – მოწმობა)*[76].

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი და ტრანზიტისათვის განკუთვნილი საქონელი, დეკლარანტის, პროცედურის მფლობელის ან/და გადამზიდველის მოთხოვნით, შეიძლება მოექცეს საბაჟო საწყობის პროცედურაში ან შენახულ იქნეს დროებით კანონმდებლობით დადგენილი წესით. ტრანზიტისათვის განკუთვნილი საქონლის დროებით შენახვის ადგილიდან დანიშნულების საბაჟო ორგანოს მიმართულებით გადაადგილება განახლდება დროებით შენახვის ვადის გასვლამდე ახალი მოწმობის გაცემით ან ელექტრონული მოწმობის შევსებით, გარდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში რეგისტრირებული ცარიელი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა, რომელთა გადაადგილება განახლდება იმავე ბაზაში მონაცემების ასახვით. პროცედურის მფლობელის/დეკლარანტის მოთხოვნის შემთხვევაში, საბაჟო ორგანო უფლებამოსილია დაადასტუროს, რომ ტრანზიტისათვის განკუთვნილი საქონელი არ ყოფილა გამოყენებული და გადამუშავებული საქართველოს ტერიტორიაზე. ამ მიზნით, საბაჟო ორგანო ადასტურებს პროცედურის მფლობელის/დეკლარანტის მიერ 3 ეგზემპლარად წარდგენილ, ინსტრუქციის „ტრანზიტის პროცედურის შესახებ“ (დანართი №7) დანართი №7-01-ით[77] *გათვალისწინებულ დოკუმენტს, რის შემდეგაც ორი ეგზემპლარი უბრუნდება პროცედურის მფლობელს/დეკლარანტს, ხოლო ერთი რჩება საბაჟო ორგანოს.*

დროებითი შემოტანის პროცედურასა და ტრანზიტის პროცედურის შესახებ ცალკე პარაგრაფში იქნება საუბარი.

---

[76] ინსტრუქცია „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ“ (დანართი #, მ.1.ა.4. „გ.ა“ ქვეპუნქტი.

[77] აღნიშნული დანართის შევსების წესი იხ. ინსტრუქცია „ტრანზიტის პროცედურის შესახებ“ (დანართი №7), https://matsne.gov.ge/ka/document/view/2772710?publication=0.

8. დროებით შენახვის დეკლარაციაში ცვლილების შეტანა ან მისი ბათილად ცნობა

დროებით შენახვის დეკლარაციაში ცვლილების შეტანა ან მისი ბათილად ცნობა. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ინსტრუქციის „საქონლის დროებით შენახვის შესახებ" *(დანართი №6) 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით,* „საქონლის დროებით შენახვა შესაძლებელია საბაჟო საწყობში, საბაჟო ორგანოს საწყობში, გაფორმების ეკონომიკურ ზონაში ან შენახვის სხვა ადგილზე, სადაც არსებობს საქონლის შენახვის შესაბამისი პირობები". ისიც იყო აღნიშნული, რომ „საქონლის დროებით შენახვისას, საზღვაო გზით შემოტანილი, სპეციალური ელექტრონული კონტროლის საშუალებით გადაადგილებული საქონლის შემთხვევაში საქონლის სატრანსპორტო საშუალებიდან ჩამოტვირთვიდან, ხოლო სხვა შემთხვევაში საბაჟო კონტროლის ზონაში საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების შეტანიდან **არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა,** დეკლარანტმა (საქონლის მფლობელმა/მესაკუთრემ) უნდა წარადგინოს დროებით შენახვის დეკლარაცია №6–01[78] დანართის შესაბამისად, გარდა ამავე ინსტრუქციით გათვალისწინებული შემთხვევებისა. დროებით შენახვის დეკლარაცია შესაძლებელია წარდგენილ იქნეს საბაჟო საწყობის მფლობელის მიერაც"[79]. ინსტრუქციის თანახმად, დროებით შენახვის დეკლარაცია საბაჟო ორგანოში წარდგენილად ითვლება რეგისტრაციის ნომრის მინიჭების მომენტიდან. დროებით შენახვის დეკლარაცია ივსება ელექტრონულად ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ"[80]

---

[78] დანართის ფორმულარი იხ. ინსტრუქციაში „საქონლის დროებით შენახვის შესახებ" (დანართი №6).

[79] სრული სახით იხ. ინსტრუქციის „საქონლის დროებით შენახვის შესახებ" (დანართი №6).

[80] საბაჟო ზედამხედველობის შესახებ ვრცლად იხ. ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, თბილისი, 2021, 627-673.

ინსტრუქციით (დანართი №3)[81] განსაზღვრული წესის შესაბამისად, მონაცემთა ბაზის ელექტრონული დამუშავების სისტემის გამოყენებით, „eCustoms"-ში დაშვებული პირის (დეკლარანტი ან საბაჟო საწყობის მფლობელი, ან წარმომადგენელი) მიერ, აგრეთვე საბაჟო ორგანოს მიერ, როდესაც დეკლარანტი ან მისი წარმომადგენელი თხოვნით მიმართავს დროებით შენახვის დეკლარაციის შევსების თაობაზე.

„საბაჟო ორგანომ დეკლარანტს მისი განცხადების საფუძველზე უნდა მისცეს უფლება, წარდგენილ დროებით შენახვის დეკლარაციაში შეიტანოს ცვლილება. ეს ცვლილება არ შეიძლება შეეხებოდეს იმ საქონელს, რომელიც ამ დეკლარაციით თავდაპირველად დეკლარირებული არ იყო."[82]

დროებითი შენახვის დეკლარაციაში დაშვებულია ცვლილებების შეტანა კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში. კერძოდ, ინსტრუქციის **„საქონლის დროებითი შენახვის შესახებ" მე-9 მუხლის („დროებით შენახვის დეკლარაციაში ცვლილების შეტანა")** თანახმად, საბაჟო ორგანოს უფლება აქვს, საქართველოს საბაჟო კოდექსის საკომენტარო **76-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების** გათვალისწინებით, დეკლარანტის წერილობითი განცხადების საფუძველზე შეცვალოს დროებით შენახვის დეკლარაციაში მითითებული მონაცემები. დეკლარანტის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს მტკიცებულებები, რაც წარმოადგენს დროებით შენახვის დეკლარაციაში ცვლილების განხორციელების საფუძველს და დეკლარანტთან არსებული დროებით შენახვის დეკლარაციის ეგზემპლარი. დეკლარანტის განცხადებისა და დროებით შენახვის დეკლარაციის შესაბამის გრაფებში მითითებული მონაცემების შემოწმებას საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი ახორციელებს საბაჟო დეკლარაციისა და რეექსპორტის დეკლარაციის შემოწმებისათვის ამ ბრძანებით დამტკიცებული **„საბაჟო კონტროლის შესახებ" ინსტრუქციით (დანართი №2)** განსაზღვრული წესით.

---

[81] დანართის ფორმულარი იხ. „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ" ინსტრუქცია (დანართი №3).

[82] საბაჟო კოდექსი, მ. 76.ნ.1.

ინსტრუქციის „საქონლის დროებითი შენახვის შესახებ“ მე-8 მუხლში მოცემულია დროებითი შენახვის დეკლარაციის გრაფების შევსების წესი, კერძოდ:

1. დროებით შენახვის დეკლარაციის შევსებისას საბაჟო საწყობის (დროებით შენახვის ადგილის) მფლობელის ან დეკლარანტის (საქონლის მფლობელის ან/და მესაკუთრის) მიერ ივსება შემდეგ გრაფები: A, 1, 2, 3, 5, 6, 7, 8, 9, 11, 14, 15, 15ა, 16, 17, 17ა, 18, 19, 21, 22, 23, 24, 25, 26, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 37, 38, 40, 42, 43, 44, 45, 46, 49, 50, 54.

2. გრაფა „A“ – აღინიშნება საბაჟო ორგანოს ხუთნიშნა ციფრული კოდი და დასახელება ამ ბრძანებით დამტკიცებული „დეკლარირების კლასიფიკატორის“ (დანართი №19) (შემდგომში — კლასიფიკატორი) მე-2 ნაწილის შესაბამისად. დროებით შენახვის დეკლარაციის რეგისტრაციას ნომრისა და თარიღის მინიჭებით ახორციელებს დეკლარანტი ან საბაჟო საწყობის მფლობელი, ან წარმომადგენელი, აგრეთვე საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირი, როდესაც დეკლარანტი ან მისი წარმომადგენელი თხოვნით მიმართავს დროებით შენახვის დეკლარაციის შევსების თაობაზე.

3. გრაფა 1 „დეკლარაცია“ – პირველ განყოფილებაში ჩაიწერება ოპერაციის დასახელება – „დრშ“, მეორეში – ციფრული კოდი „7“.

4. გრაფა 2 „ექსპორტიორი“ – საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანისას აღინიშნება საქონლის გამომგზავნის რეკვიზიტები, იურიდიული პირის და სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის სახელწოდება და მისამართი (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი). საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანისას გრაფაში აღინიშნება საქონლის გამგზავნის რეკვიზიტები ამ მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად.

5. გრაფა 3 „ფორმები“ – პირველ განყოფილებაში აღინიშნება ფურცლის რიგითი ნომერი, მეორეში – დროებით შენახვის დეკლარაციის ფურცლების საერთო რაოდენობა ძირითადი და დამატებითი ფურცლების ჩათვლით (მაგალითად, თუ გვაქვს ერთი დროებით შენახვის დეკლარაცია ორი დამატებითი ფურცლით, მაშინ ძირითადი ფურცლის მე-3 გრაფის პირველ განყოფილებაში უნდა აღინიშნოს – 1, მეორე განყოფილებაში – 3, პირველ დამატებით ფურცელში – 2 და 3, მეორეში – 3 და 3).

6. გრაფა 5 „საქონლის რაოდენობა“ – მიეთითება წარმოდგენილ დროებით შენახვის დეკლარაციაში გაცხადებული უკანასკნელი საქონლის რიგითი ნომერი.

7. გრაფა 6 „ადგილების რაოდენობა“ – აღინიშნება დეკლარირებული საქონლის (სასაქონლო პარტიის) ადგილების საერთო რაოდენობა, რაც

მოცემულია სატრანსპორტო დოკუმენტებში. საქონლისათვის, რომელიც გადაიზიდება კონტეინერებით, ყუთებით, ქვეშით და ა.შ. მიეთითება რაოდენობა იმ უმცირესი შეფუთვისა, რომელიც მოცემულია სატრანსპორტო დოკუმენტებში, როგორც სატვირთო ადგილი.

8. გრაფა 7 „საცნობარო ნომერი“ – აღინიშნება დროებით შენახვის დეკლარაციის შემვსების მიერ დროებით შენახვის დეკლარაციისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

9. გრაფა 8 „იმპორტიორი“ – აღინიშნება საქონლის მიმღების შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

ა) როცა განსაზღვრულია საქონლის მიმღები და თუ იგი წარმოადგენს:

ა.ა) იურიდიულ პირს ან სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნს, გრაფაში აღინიშნება მისი სრული სახელწოდება, მისამართი, ტელეფონის ან ფაქსის ნომერი, ხოლო გრაფის ზედა ნაწილში „№“ ნიშნის შემდეგ აღინიშნება საქონლის მიმღების საიდენტიფიკაციო ნომერი;

ა.ბ) ფიზიკურ პირს, გრაფაში აღინიშნება მისი სახელი, გვარი, მისამართი, ხოლო გრაფის ზედა ნაწილში „№“ ნიშნის შემდეგ აღინიშნება პირადი ნომერი;

ა.გ) არარეზიდენტ ფიზიკურ პირს, გრაფის ზედა ნაწილში „№“ ნიშნის შემდეგ აღინიშნება საქონლის მიმღები არარეზიდენტი ფიზიკური პირის ცხრანიშნა საიდენტიფიკაციო ნომერი;

ა.დ) არარეზიდენტ იურიდიულ პირს, გრაფის ზედა ნაწილში „№“ ნიშნის შემდეგ აღინიშნება „0“, ხოლო ქვედა ნაწილში მისი სრული სახელწოდება, მისამართი, ტელეფონის ან ფაქსის ნომერი;

ბ) თუ არ არის განსაზღვრული საქონლის მიმღები, გრაფის ზედა ნაწილში „№“ ნიშნის შემდეგ აღინიშნება „0“, ხოლო ქვედა ნაწილში „–“.

10. გრაფა 9 „ფინანსურ დარეგულირებაზე პასუხისმგებელი პირი“ – აღინიშნება დროებით შენახვის ადგილის მფლობელის შემდეგი რეკვიზიტები, თუ იგი:

ა) იურიდიული პირი ან სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნია, გრაფაში აღინიშნება მისი სრული სახელწოდება, მისამართი, ტელეფონის ან ფაქსის ნომერი, ხოლო გრაფის ზედა ნაწილში „№“ ნიშნის შემდეგ აღინიშნება საქონლის მიმღების საიდენტიფიკაციო ნომერი;

ბ) ფიზიკური პირია, გრაფაში აღინიშნება მისი სახელი, გვარი, მისამართი, ხოლო გრაფის ზედა ნაწილში „№“ ნიშნის შემდეგ – პირადი ნომერი.

11. გრაფა 11 „მოვაჭრე ქვეყანა“ – აღინიშნება „0“.

12. გრაფა 14 „დეკლარანტი/წარმომადგენელი“ – აღინიშნება სისტემაში დაშვებული პირის (დეკლარანტი, ან საბაჟო საწყობის მფლობელი, ან წარმომადგენელი) სრული სახელწოდება და მისამართი. გრაფის ზედა ნაწილში „№“ ნიშნის შემდეგ აღინიშნება საიდენტიფიკაციო ნომერი (კოდი). იმ შემთხვევაში, თუ დროებით შენახვის დეკლარაცია ივსება საბაჟო ორგანოს მიერ, მიეთითება „000000000“.

13. გრაფა 15 „გამომგზავნი ქვეყანა“ – აღინიშნება საქართველოში საქონლის გამომგზავნი ქვეყნის მოკლე დასახელება კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად. გამომგზავნი ქვეყანა განისაზღვრება სატრანსპორტო დოკუმენტებში მოყვანილი ცნობების საფუძველზე, რომელთა თანახმად ხორციელდებოდა საქონლის საერთაშორისო გადაზიდვა.

14. გრაფა 15ა „გამომგზავნი ქვეყნის კოდი“ – აღინიშნება საქართველოში საქონლის გამომგზავნი ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

15. გრაფა 16 „წარმოშობის ქვეყანა“ – ჩაიწერება საქონლის წარმოშობის ქვეყნის მოკლე დასახელება კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად. თუ შეუძლებელია საქონლის წარმოშობის ქვეყნის დადგენა, გრაფაში ჩაიწერება – „უცნობია“.

16. გრაფა 17 „დანიშნულების ქვეყანა“ – ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დროებით შენახვის დეკლარაციაში ასახულ, საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატან საქონელზე უკვე განსაზღვრულია საბაჟო პროცედურა/რეექსპორტი და მიეთითება დანიშნულების ქვეყნის მოკლე დასახელება კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

17. გრაფა 17ა „დანიშნულების ქვეყნის კოდი“ – აღინიშნება მე-17 გრაფაში მითითებული დანიშნულების ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

18. გრაფა 18 „სატრანსპორტო საშუალება დანიშნულების ადგილზე“ – მარცხენა განყოფილებაში აღინიშნება იმ სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა და მონაცემები, რომლითაც ხდება საქონლის მიწოდება გაფორმების საბაჟო ორგანომდე (საზღვაო სატრანსპორტო საშუალების დასახელება, საჰაერო ხომალდის რეისის და ბორტის ნომრები, სარკინიგზო ვაგონის ნომერი, ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო ნომერი და სხვა მსგავსი მონაცემები). გრაფის მარჯვენა განყოფილებაში უნდა ჩაიწეროს სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად. გრაფის სრულყოფილად შევსების შეუძლებლობის შემთხვევაში, კეთდება მითითება – „იხ. უკანა გვერდზე“.

დროებით შენახვის დეკლარაციის ორივე ეგზემპლარის უკანა მხარეს აღინიშნება სატრანსპორტო საშუალებათა ნომრები.

19. გრაფა 19 „კტ" – გრაფაში აღინიშნება:

ა) თუ საქონელი იგზავნება კონტეინერით – 1, ხოლო კონტეინერის ნომრები მიეთითება დროებით შენახვის დეკლარაციის 31-ე გრაფაში ან ამავე დეკლარაციის ველზე „თანმხლები დოკუმენტები";

ბ) თუ საქონელი არ იგზავნება კონტეინერით – 0.

20. გრაფა 20 „მიწოდების პირობები" – გრაფის პირველ და მეორე განყოფილებაში აღინიშნება „0".

21. გრაფა 21 „სატრანსპორტო საშუალება საზღვარზე" – მარცხენა განყოფილებაში აღინიშნება იმ სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა და მონაცემები, რომლითაც საქონელი მიწოდებულ იქნა საქართველოს საბაჟო საზღვრამდე (საზღვაო სატრანსპორტო საშუალების დასახელება, საჰაერო ხომალდის რეისისა და ბორტის ნომრები, რკინიგზის ვაგონის ნომერი, ავტოსატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი და სხვა ამგვარი მონაცემები). გრაფის სრულყოფილად შევსების შეუძლებლობის შემთხვევაში, კეთდება მითითება – „იხ. უკანა გვერდზე". დროებით შენახვის დეკლარაციის ორივე ეგზემპლარის უკანა მხარეს აღინიშნება სატრანსპორტო საშუალებათა ნომრები. გრაფის მარჯვენა განყოფილებაში მიეთითება სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

22. გრაფა 22 „ვალუტა და საქონლის საერთო ფაქტურული ღირებულება" – მარცხენა განყოფილებაში აღინიშნება - „000", ხოლო მარჯვენა განყოფილებაში მიეთითება მე-5 გრაფაში მითითებული რიცხვი.

23. გრაფა 23 „ვალუტის კურსი" – აღინიშნება „1".

24. გრაფა 24 „გარიგების სახე" – აღინიშნება „0".

25. გრაფა 25 „ტსს კოდი" – ჩაიწერება 21-ე გრაფაში მითითებული სატრანსპორტო საშუალების კოდი კლასიფიკატორის მე-9 ნაწილის შესაბამისად.

26. გრაფა 26 „სატრანსპორტო საშუალება ქვეყანაში" – აღინიშნება მე-18 გრაფაში მითითებული სატრანსპორტო საშუალების კოდი კლასიფიკატორის მე-9 ნაწილის შესაბამისად.

27. გრაფა 28 „ფინანსური და საბანკო მონაცემები/სხვა ინფორმაცია" – აღინიშნება „0".

28. გრაფა 29 „ საბაჟო გამშვები პუნქტი" – აღინიშნება საბაჟო გამშვები პუნქტის კოდი და დასახელება, საიდანაც შემოვიდა საქონელი საქართველოში, კლასიფიკატორის მე-2 ნაწილის მიხედვით.

29. გრაფა 30 „საქონლის ადგილმდებარეობა“ – იმ შემთხვევაში, როდესაც დროებით დასაწყობება ხორციელდება საბაჟო საწყობში ან საქონლის დროებით შენახვის სხვა ადგილებში, გრაფაში აღინიშნება ხუთნიშნა კოდი კლასიფიკატორის მე-12 ნაწილის შესაბამისად.

30. გრაფა 31 „საქონლის აღწერა და რაოდენობა“ –

ა) ეთითება საქონლის (სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით გადაადგილებული ნავთობპროდუქტების, ან აქციზური საქონლის გარდა) კოდი სეს ესნ-ის შესაბამისად:

ა.ა) ორნიშნა დონეზე, ამასთან, შესაბამისი ჯგუფის ორნიშნა რიცხვის მითითების შემდგომ ეთითება ორი ციფრი „00“;

ა.ბ) ოთხნიშნა დონეზე – იმ საქონელზე, რომლის შემოტანას/გატანას ესაჭიროება ლიცენზია/ნებართვა/სერტიფიკატი;

ა.გ) ხუთზე მეტი საქონლის მითითების აუცილებლობისას, მიეთითება 5 საქონლის კოდი და შემდეგ სიტყვა „სხვადასხვა“;

ბ) ქვედა ნაწილში საჭიროების შემთხვევაში ეთითება: საქონლის დასახელება და სხვა მონაცემები, რაც იძლევა საქონლის იდენტიფიცირების საშუალებას. აქვე აღინიშნება „იხილეთ თანდართული დოკუმენტები“, რომლებიც აიტვირთება დროებით შენახვის დეკლარაციის შესაბამის ველზე – „Scan.Doc“.

31. გრაფა 32 „საქ. №“ – მიეთითება 31-ე გრაფაში დეკლარირებული საქონლის რიგითი ნომერი. მაგალითად: თუ დეკლარირდება რამდენიმე დასახელების საქონელი, მაშინ დროებით შენახვის დეკლარაციის ძირითად ფურცელში ჩაიწერება – 1, პირველ დამატებით ფურცელზე – 2, 3, 4; მეორე დამატებით ფურცელზე – 5, 6, 7 და ა.შ. ერთი დასახელების საქონლის დეკლარირებისას გრაფაში იწერება – 1.

32. გრაფა 33 „საქონლის კოდი“ – აღინიშნება „77000000001“, ხოლო საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი და სპეციალური ანგარიშ-ფაქტურით გადაადგილებული ნავთობპროდუქტების, ან აქციზური საქონლის დეკლარირებისას – საქონლის თერთმეტნიშნა კოდი სეს ესნ-ის მიხედვით. თერთმეტნიშნა კოდის მითითებისას ივსება 41-ე გრაფა „დამატებითი ზომის ერთეული“, რომელშიც აღინიშნება საქონლის რაოდენობა იმ განზომილებაში, რომელიც სეს ესნ-ში შეესაბამება საქონლის თერთმეტნიშნა კოდს.

33. გრაფა 34 „წარმოშობის ქვეყნის კოდი“ – ჩაიწერება „0“.

34. გრაფა 35 „ბრუტო (კგ)“ – აღინიშნება თანდართულ დოკუმენტებში მითითებული ბრუტო წონა. იმ შემთხვევაში, თუ საქონლის წონა 1

კგ-ზე ნაკლებია (მაგ. ძვირფასი ლითონები), 35-ე გრაფაში ჩაიწერება 1, ხოლო საქონლის ზუსტი წონა გრამებში აღინიშნება 31-ე გრაფაში.

35. გრაფა 37 „საბაჟო პროცედურა" – აღინიშნება ოთხთანრიგიანი და სამთანრიგიანი კოდი. ოთხთანრიგიანი კოდის პირველი ორი ციფრი აღნიშნავს დროებით შენახვას და ჩაიწერება „79", მეორე ორი ციფრი – წინმსწრებ საბაჟო პროცედურას ან რეექსპორტს ან წინმსწრები დროებით შენახვის დეკლარაციით საქონლის დროებით შენახვას და ჩაიწერება შესაბამისი საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის კოდი კლასიფიკატორის პირველი ნაწილის შესაბამისად ან დროებით შენახვის დეკლარაციით საქონლის დროებით შენახვის კოდი – „79". თუ საბაჟო პროცედურა/რეექსპორტი ან დროებით შენახვის დეკლარაცია არ არსებობს, მაშინ ჩაიწერება „00". ექსპორტში უკან დაბრუნების პირობით მოქცეული საქონლის დროებით შენახვის შემთხვევაში მეორე ორი ციფრის ადგილზე ჩაიწერება „12". სამთანრიგიან კოდში ჩაიწერება „000".

36. გრაფა 38 „ნეტო (კგ)" – ჩაიწერება თანდართულ დოკუმენტებში მითითებული ნეტო წონა, წონის დაზუსტების საჭიროების შემთხვევაში აღინიშნება – „1".

37. გრაფა 40 „წინმსწრები დოკუმენტი" – გრაფაში აღინიშნება წინმსწრები დეკლარაციის, აღრიცხვის მოწმობის, ელექტრონული მოწმობის, რეექსპორტის შეტყობინების ან საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის ნომერი და გაფორმების წელი.

38. გრაფა 42 „საქ. ღირებულება" – გრაფაში აღინიშნება „1".

39. გრაფა 43 „ს.ღ.მ." – აღინიშნება „1".

40. გრაფა 44 „დამატებითი ინფორმაცია" – გრაფაში აღინიშნება დროებით შენახვის დეკლარაციასთან ერთად წარდგენილი ნებართვის ნომერი (ასეთის არსებობის აუცილებლობის შემთხვევაში) და დოკუმენტაციის ნომრები კლასიფიკატორის მე-10 ნაწილის შესაბამისად.

41. გრაფა 45 „კორექტირება" – აღინიშნება „1".

42. გრაფა 46 „საბაჟო ღირებულება" – აღინიშნება „1".

43. გრაფა 49 „საწყობის დასახელება" – პირველ ნაწილში აღინიშნება საბაჟო საწყობის/შენახვის სხვა ადგილის საიდენტიფიკაციო კოდი, გრაფის მეორე ნაწილში მიეთითება საქონლის შენახვის ვადა დღეებში, ხოლო საქონლის დროებით შენახვის ვადის გაგრძელების შემთხვევაში – საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მიეთითება დროებით შენახვის საერთო ვადა დღეებში.

44. გრაფა 50 „პრინციპალი" – მე-9 გრაფაში აღნიშნული პირი (ან მისი წარმომადგენელი) ხელმოწერით და ბეჭდის დასმით (არსებობის შემთხვევაში) ადასტურებს დროებით შენახვის დეკლარაციაში ასახული ტექსტობრივი და ციფრული ინფორმაციის სისწორეს.

45. გრაფა 54 „ადგილი და თარიღი" – გრაფაში მიეთითება დროებით შენახვის დეკლარაციის შევსების ადგილი და თარიღი. 54-ე გრაფაში, მე-14 გრაფაში აღნიშნული პირი ხელისმოწერით და ბეჭდის დასმით (არსებობის შემთხვევაში) ადასტურებს დროებით შენახვის დეკლარაციაში ასახული ტექსტობრივი და ციფრული ინფორმაციის სისწორეს.

46. საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ ივსება გრაფა „B" – გრაფაში აღინიშნება შეფასების ნომერი და მისი მინიჭების თარიღი. აღნიშნულთან ერთად დროებით შენახვის დეკლარაციას ავტომატურად ენიჭება შტრიხ-კოდი.

დროებით შენახვის დეკლარაციაში ცვლილების შეტანა ხორციელდება საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ ამ დეკლარაციის ელექტრონულ ვერსიაში ცვლილების შეტანით და ახალი ეგზემპლარის გაცემით.

საბაჟო კოდექსის 76-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, **დროებით შენახვის დეკლარაციაში ცვლილების შეტანა დაუშვებელია, თუ:**

- საბაჟო ორგანომ დროებით შენახვის დეკლარაციის წარმდგენს შეატყობინა ამ დეკლარაციით დეკლარირებული საქონლის შემოწმების განზრახვის შესახებ;
- საბაჟო ორგანომ დაადგინა დეკლარირებული მონაცემების მცდარობა.

იმ შემთხვევაში, თუ დროებით შენახვის დეკლარაციით დეკლარირებული საქონელი საბაჟო ორგანოს არ წარედგინა, მან ეს დეკლარაცია ბათილად უნდა ცნოს:

- დეკლარანტის მიერ შესაბამისი განცხადების წარდგენისთანავე;
- ამ დეკლარაციის წარდგენიდან **30 დღის** გასვლის შემდეგ.

9. საქონლის დროებით შენახვასთან დაკავშირებული პირობები და მოვალეობები

დროებით შენახული საქონელი უნდა დასაწყობდეს მხოლოდ საბაჟო საწყობში ან საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ან მასთან შეთანხმებულ შენახვის სხვა ადგილზე.

ინსტრუქციის „საბაჟო საწყობის პროცედურის შესახებ" (დანართი №9),1-ლი მუხლის თანახმად, „საბაჟო საწყობის პროცედურა საშუალებას იძლევა, საბაჟო საწყობში ან საბაჟო ორგანოს საწყობში ან შენახვის სხვა ადგილზე დასაწყობდეს: უცხოური საქონელი იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულებისა და საქონლის მიმართ ვაჭრობაში დამცავი ღონისძიების გამოყენების გარეშე, თუ ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალული არ არის; საქართველოს საქონელი, ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლის შესაბამისად.

რაც შეეხება „საბაჟო საწყობის პროცედურის შესახებ ინსტრუქციის" მე-3 მუხლზე მითითებას, საუბარია იმის შესახებ, რომ: საბაჟო საწყობის პროცედურაში შესაძლებელია მოექცეს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული საქონელი, რომელსაც აქვს დეფექტი ან რომლის რაოდენობა, ხარისხი, შეფუთვა ან აღწერილობა არ შეესაბამება საგარეო-ეკონომიკური გარიგების პირობებს და ამის გამო იგი უბრუნდება მომწოდებელს ან მის მიერ მითითებულ სხვა პირს. ამასთან, დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს შემდეგი პირობები: საქონელი არ უნდა იქნეს გამოყენებული და გადამუშავებული საქართველოს ტერიტორიაზე; შესაძლებელი უნდა იყოს საბაჟო ორგანოს მიერ საქონლის იდენტიფიცირება; საქონელი საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეულ უნდა იქნეს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების დღიდან 6 თვეში და ა.შ. [83]

საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონლის შენახვა შესაძლებელია საბაჟო საწყობში, საბაჟო ორგანოს საწყობში და გაფორმების ეკონომიკურ ზონაში, აგრეთვე შენახვის სხვა ადგილას, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სხვა ადგილას საქონლის შენახვა შესაძლებელია:

---

[83] ვრცელი კომენტარი საბაჟო საწყობის პროცედურაზე საუბარი იქნება სპეციალური ოპერაციების შესახებ თავში.

• ა) როცა არ არსებობს საბაჟო საწყობი, რომელიც აკმაყოფილებს საქონლის შენახვისათვის აუცილებელ პირობებს (რადიაციული, საშიში ტვირთი, არაგაბარიტული და სხვა) და საქონლის მიმღების მიერ გაფორმების საბაჟო ორგანოში წარდგენილია იმპორტის გადასახდელის ეკვივალენტური თანხის ოდენობის გარანტია;

• ბ) როცა საქონლის შენახვის უზრუნველყოფისათვის ან/და გაყიდვისა და ტრანსპორტირების ხელშეწყობის მიზნით, ამ ინსტრუქციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება საბაჟო საწყობის ტერიტორიაზე შეუძლებელია და საქონლის მიმღების მიერ გაფორმების საბაჟო ორგანოში წარდგენილია იმპორტის გადასახდელის ეკვივალენტური თანხის ოდენობის გარანტია;

• გ) როცა საქონლის მიმღებს წარმოადგენს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტრო ან მის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო;

• დ) საერთაშორისო მიმოსვლისათვის გაბსნილ საზღვაო ნავსადგურში განსაზღვრულ ტერიტორიაზე;

• ე) როცა საქონლის შენახვა ხორციელდება საქონლის მიმღების/იმპორტიორის საწყობში, ხოლო საქონელი წარმოადგენს გადამზიდი სატრანსპორტო საშუალების მეშვეობით შემოტანილ:

- ე.ა) სეს ესნ-ის 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებულ საქონელს;
- ე.ბ) ახალ (საქართველოში შემოტანამდე დაურეგისტრირებელ), სეს ესნ-ის 8429, 8701, 8702, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებს (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ³-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) და 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელებს და ნახევრადმისაბმელებს;

• ვ) შემოსავლების სამსახურის თანხმობით, საქონლის მიმღების/იმპორტიორის საწყობში ავტონაწილების შენახვისას;

• ზ) იდენტიფიცირებული ავტოსადგომის ტერიტორიაზე, არა უმეტეს 30 კალენდარული დღით – სეს ესნ-ის 8702 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი ავტომობილის (რომლის დასასხდომი ადგილების რაოდენობა, გარდა მძღოლის

ადგილისა, აღემატება 8-ს, მაგრამ არ აღემატება 16-ს და რომლის სიგრძე არ აღემატება 8 მეტრს, აგრეთვე გადაბმულისა მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 750 კგ-ს), 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ³-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია), 8704 21 და 8704 31 სასაქონლო სუბპოზიციებით გათვალისწინებული ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებებისა, თუ ამოიწურა საბაჟო დეკლარაციის წარდგენისათვის ამ ბრძანებით დამტკიცებული „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ" ინსტრუქციით (დანართი №8) მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად გაგრძელებული ვადა და წარდგენილია არანაკლებ იმპორტის გადასახდელის თანხის შესაბამისი გარანტია.

რაც შეეხება საბაჟო ორგანოს საწყობს, მასში შესაძლებელია განთავსდეს:

• ა) დროებით შენახული ან საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონელი;

• ბ) საბაჟო კონტროლის ზონის ტერიტორიაზე აღმოჩენილი უპატრონო (მიტოვებული) საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება;

• გ) ჩამორთმეული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება საბაჟო სამართალდარღვევის საქმის განხილვამდე, კანონმდებლობით დადგენილი ზოგიერთი კატეგორიის საქონლის მიმართ დაწესებული შენახვის განსაკუთრებული რეჟიმის გათვალისწინებით;

• დ) მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად დაგირავებული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება;

• ე) უსასყიდლოდ ჩამორთმეული ან სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადაცემული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება უფლებამოსილი ორგანოსათვის გადაცემამდე, კანონმდებლობით დადგენილი ზოგიერთი კატეგორიის საქონლის მიმართ დაწესებული შენახვის განსაკუთრებული რეჟიმის გათვალისწინებით;

• ვ) საბაჟო გამშვები პუნქტის სამოქმედო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი, რომელზეც საბაჟო ორგანოში არ არის წარმოდგენილი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემდგომი გადაადგილებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტი (ნებართვა, სერტიფიკატი და სხვა);

• ზ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანას ან განადგურებას დაქვემდებარებული, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე უკვე შემოტანილი აკრძალული საქონელი, რომლის შემოტანა იკრძალება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე;

• თ) საქონელი, რომლის მიმღებს ან იმპორტიორს წარმოადგენს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტრო ან მის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო;

• ი) დროებით დასაწყობებული საქონელი, მის მიმართ საბაჟო პროცედურის სახის განსაზღვრის დასრულებამდე ან რეექსპორტამდე;

• კ) საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონელი.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი შემოტანისთანავე ექვემდებარება საბაჟო ზედამხედველობასა და საბაჟო კონტროლს. სწორედ ასეთი, საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული დროებით შენახული საქონლის მიმართ უნდა განხორციელდეს მხოლოდ ის ოპერაცია, რომელიც უზრუნველყოფს მის უცვლელ მდგომარეობაში (გარეგნული მხარის ან ტექნიკური მახასიათებლის შეუცვლელად) შენარჩუნებას[84]. საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, დაადგინოს ამ სიტუაციისაგან გათვალისწინებული წესისგან განსხვავებული წესი, კერძოდ, ამ შემთხვევაში კანონმდებელს მხედველობაში აქვს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 14 იანვრის №25 დადგენილება „თავისუფალი ზონის შექმნის პირობების, მისი შექმნისათვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის ფუნქციონირების, მასში საქონლის შენახვისა და საბაჟო კონტროლის განხორციელების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, სადაც საუბარია თიზში საქონლის შენახვის საბაჟო კოდექსის 77-ე მუხლისაგან განსხვავებულ წესზე.

საქართველოს მთავრობის დადგენილებაზე - „თავისუფალი ზონის შექმნის პირობების, მისი შექმნისათვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის ფუნქციონირების, მასში საქონლის შენახვისა და

[84] ამ შემთხვევაში, საბაჟო კოდექსის 77-ე მუხლის მე-2 ნაწილი მიგვითითებს 70-ე მუხლის მე-3 ნაწილის გამოყენებაზე.

საბაჟო კონტროლის განხორციელების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე", ნაწილობრივ განსახილველ თემებთან კავშირში საუბარი იყო საბაჟო სამართლის პირველ ნაწილში (ავტ. ხარაზი ია), ხოლო ვრცელი კომენტარს შემოგთავაზებთ საბაჟო სამართლის დამხმარე სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში, იქ, სადაც თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებზე იქნება საუბარი.

იმ საბაჟო საწყობის ან საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული ან მასთან შეთანხმებული შენახვის სხვა ადგილის მფლობელი, სადაც დასაწყობებულია დროებით შენახული საქონელი, ვალდებულია:

- უზრუნველყოს, რომ დროებით შენახული საქონელი უკანონოდ არ იქნეს გატანილი საბაჟო ზედამხედველობიდან;

ინსტრუქციის „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ" 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, *იმ შემთხვევაში, როდესაც უფლებამოსილი ორგანოს მიერ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-11 ნაწილის შესაბამისად, დადგენილია დანაკარგის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა, საბაჟო ზედამხედველობიდან უკანონოდ გასულად ჩაითვლება ამ ოდენობაზე მეტი დანაკარგი.*

საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის 11-ე ნაწილში განმარტებულია „დანაკლისის"-ს ცნება, კერძოდ: „დანაკლისი – გადასახადის გადამხდელის ბუღალტრულ ჩანაწერებთან შედარებისას გამოვლენილი (მათ შორის, ინვენტარიზაციის საშუალებით) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ან/და ძირითადი საშუალებების ნაკლებობა. ისეთი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიმართ, რომელთა დასაწყობება ფიზიკურად შეუძლებელია (ელექტრო- და თბოენერგია, გაზი და წყალი), დანაკლისად ითვლება სხვაობა შეძენილ (შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით) და რეალიზებულ (გადასახადის გადამხდელისგან ფაქტობრივად გასულ) სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა შორის, თუ ვერ დგინდება დებიტორი (ამნაზღაურებელი) ან/და მიმთვისებელი. ამასთანავე, უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია დადგინოს დანაკარგის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა. ასეთ შემთხვევაში დანაკლისად ჩაითვლება ამ ოდენობაზე მეტი დანაკარგი. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად საქონლის არამატერიალური ფორმით მარკირების/წაშლადების შემთხვევაში დანაკლისად არ ჩაითვლება ამ საქონლის წარმოების შეასრულოს დროებით შენახული საქონლის შენახვასთან დაკავშირებული ვალდებულებები".

- შეასრულოს დროებით შენახული საქონლის შენახვასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

დროებით შენახული საქონელი უნდა დარჩეს უცვლელ მდგომარეობაში, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია: ა) ბუნებრივი ცვეთით; შენახვის ნორმალური პირობებისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი დანაკარგებით; საქონლის დაცულობის უზრუნველყოფის, ან/და იდენტიფიცირების ან/და გაყიდვის ხელშეწყობის მიზნით, ან ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად განხორციელებული ოპერაციებით, კერძოდ: დროებით შენახული საქონლის მიმართ დასაშვებია საქონლის დაცულობის უზრუნველყოფის ან/და იდენტიფიცირების ან/და გაყიდვის ხელშეწყობის მიზნით ისეთი ოპერაციების განხორციელება, რომლებიც არ ცვლის მის გარეგნულ სახეს ან ტექნიკურ მახასიათებლებს (პ.4.); დროებით შენახული საქონლის მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შემდეგი ოპერაციები: გასუფთავება;განიავება; გაშრობა (კერძოდ, სითბოს მიწოდებით); შენახვის ოპტიმალური ტემპერატურული რეჟიმის შექმნა (გაციება, გაყინვა, გახურება); დამცავ შესაფუთში მოთავსება; დამცავი საფენისა და კონსერვანტის ჩატანება; ჟანგსაწინააღმდეგო შელეხვა; დამცავი მოწყობილობის შეყვანა; ანტიკოროზიული საფენის ჩატანება ტრანსპორტირების წინ;პარტიის დანაწილება; გზავნილების ფორმირება; დაბარისხება;შეფუთვა; მარკირება (მ.შ. აქციზური მარკების დაკვრა); დატვირთვა/გადმოტვირთვა/გადატვირთვა; შენახვის უზრუნველყოფისათვის საჭირო სხვა ოპერაციები.

საქონლის დაცულობის უზრუნველმყოფელ ღონისძიებებს მიეკუთვნება საქონლის შენახვისთვის, სათავში განთავსების, ამოღების და სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვისთვის აუცილებელი ყველა საჭირო ქმედების განხორციელება.

ამ საკითხებს მოგვიანებით უფრო ვრცლად დავუბრუნდებით საბაჟო საწყობზე შესაბამისი ნორმების კომენტირებისას.

თუ საქონლის დროებით შენახვის გაგრძელება შეუძლებელია, საბაჟო ორგანომ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს საქონლის განკარგვასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

საბაჟო კოდექსის XV თავის გამოყენებაზე, რომლის შესახებაც მიგვითითებს საკომენტარო 77-ე მუხლის მე-4 ნაწილი, ვრცელი საუბარი იქნება XV თავის და ინსტრუქციის „საქონლის განკარგვის შესახებ“((დანართი №18) კომენტარისას.

10. საქონლის დროებით შენახვის დასრულება. საბაჟო პროცედურის არჩევა

საქონლის დროებით შენახვის დასრულება. რაც შეეხება საქონლის დროებით შენახვის დასრულებას, საბაჟო კოდექსის 78-ე მუხლში მოცემულია საქონლის დროებითი შენახვის ვადის გასვლის შემდეგ შემდეგ დროებით შენახული უცხოური საქონლის საბაჟო პროცედურაში მოქცევისა ან მისი რეექსპორტის ოპერაციის გამოყენების შესახებ, რომლის განხორციელებისათვის ზემოთ აღნიშნული მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად დადგენილია 30 დღე. მე-2 ნაწილი კი ითვალისწინებს გამონაკლის 30 დღიანი ვადიდან და საბაჟო ორგანო უფლებამოსილია 78-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადა შეამციროს ან 60 დღით გაზარდოს.

საბაჟო საწყობში საქონლის დროებით შენახვის შემთხვევაში 78-ე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ვადა 180 დღეა[85].

საქონელი, რომლის მიმართაც უკვე განსაზღვრულია საბაჟო პროცედურა, გარდა ექსპორტის პროცედურისა, შესაბამისი პირის მოთხოვნით საბაჟო საწყობში შეიძლება შენახულ იქნეს დროებით, არაუმეტეს 180 დღისა, ხოლო ექსპორტის პროცედურის შემთხვევაში - არაუმეტეს 120 დღისა[86]. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია გაზარდოს 78-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით დადგენილი ვადები არაუმეტეს 180 დღით.

საბაჟო პროცედურის არჩევა. თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დეკლარანტს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი საბაჟო პროცედურა, რომელშიც მოაქცევს საქონელს ამ საბაჟო პროცედურის პირობების გათვალისწინებით, მიუხედავად აღნიშნული საქონლის მახასიათებლებისა, რაოდენობისა, წარმოშობის ქვეყნისა, დანიშნულებისა და სასაქონლო პარტიისა.

---

[85] საბაჟო კოდექსი, მ. 78. ნ.3.

[86] საბაჟო კოდექსი, მ. 78.ნ.4.

საბაჟო პროცედურა - ნებისმიერი პროცედურა, რომელშიც შეიძლება მოექცეს საქონელი საბაჟო კოდექსის შესაბამისად, კერძოდ: თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება; სპეციალური პროცედურები; ექსპორტი.

პირის მიერ საბაჟო პროცედურების არჩევის შესახებ საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი წესებით, ვრცლად განვიხილავთ შესაბამის პარაგრაფში, იქ, სადაც საქონლის მიმართ გამოსაყენებელი ცალკეული საბაჟო პროცედურის მიმართ იქნება ვრცელი კომენტარი, ამიტომ ამ საკითხს ამ შემთხვევაში არ განვავრცობთ დამხმარე სახემძღვანელოს ვრცელი მოცულობის გამო.

A. დასაბაჟოვრებელი დებულებები!

საზღვაო ან საჰაერო ხომალდის ოპერატორმა, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოდის, საბაჟო ორგანოს ამ ხომალდის შემოსვლის შესახებ უნდა შეატყობინოს მისი შემოსვლისთანავე. თუ საზღვაო ან საჰაერო ხომალდის შემოსვლის შესახებ ინფორმაცია საბაჟო ორგანოსთვის ხელმისაწვდომია, მან შეიძლება არ მოითხოვოს ამ ინფორმაციის შეტყობინება.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი შემოტანისთანავე ექვემდებარება საბაჟო ზედამხედველობას და შეიძლება დაექვემდებაროს საბაჟო კონტროლის პროცედურებს.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი შემოტანისთანავე ექვემდებარება საბაჟო ზედამხედველობას და შეიძლება დაექვემდებაროს საბაჟო კონტროლის პროცედურებს.

საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მოქცეული საქონლის მიმართ შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებული მოქმედებები და ოპერაციები, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მოქცეული საქონელი უნდა დარჩეს უცვლელ მდგომარეობაში, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი ცვლის, ტრანსპორტირების ან შენახვის ნორმალური პირობებისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი დანაკარგებით.

აბრევიატურა TIR (Transports International Routiers) ნიშნავს - საერთაშორისო საგზაო გადაზიდვებს"... 1993 წლის 2 დეკემბერს საქართველომ მიმართა გაეროს TIR -კარნეტის კონვენციასთან მიერთების შესახებ, ხოლო 10994 წლის 24 სექტემბრიდან საქართველო მიუერთდა ამ კონვენციას (რატიფიცირებების გარეშე). ეს კონვენცია აწესრიგებს წევრ ქვეყნებს შორის საერთაშორისო საგზაო გადაზიდვებს, როგორც საბაჟო, ასევე ტექნიკური პროცედურების ასპექტებით. კერძოდ, კონვენციის დებულებები აიოლებენ

და ამარტივებენ საბაჟო გაფორმების პრიცედურებს მონაწილე ქვეყნებში საავტომობილო ტრანსპორტით საქონლის გადაზიდვების დროს. ეს ეხება, როგორც საქონლის დათვალიერებას, დოკუმენტების შემოწმებას, ასევე, განსაკუთრებით საბაჟო გადასახდელების გადახდის საგარანტიო უზრუნველყოფას.

ATA-კარნეტი გამოიყენება საქონლის დროებითი შემოტანის დროს, რაც შეეხება სატრანსპორტო საშუალების დროებით შემოტანას - გამოიყენება CPD-კარნეტი (აბრევიატურა CPD (Carnet de passages en douane), ფრანგ. ნიშნავს- საზღვრის გავლის წიგნაკს).

საქონელი მისი გადამზიდავი სატრანსპორტო საშუალებიდან უნდა გადმოიტვირთოს ან გადაიტვირთოს მხოლოდ საბაჟო ორგანოს თანხმობით, ამ ორგანოს მიერ განსაზღვრულ ან მასთან შეთანხმებულ ადგილზე. ამასთანავე, საბაჟო ორგანოს თანხმობა არ მოითხოვება გარდაუვალი სფრთხის არსებობის შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია მთლიანი საქონლის ან მისი ნაწილის დაუყოვნებლივ გადმოტვირთვა. ამ შემთხვევაში შესაბამისი გარემოების შესახებ საბაჟო ორგანოს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი საბაჟო გამშვებ პუნქტში ან საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ან მასთან შეთანხმებულ ნებისმიერ სხვა ადგილზე შემოსვლისთანავეპირმა დაუყოვნებლივ საბაჟო ორგანოს უნდა წარუდგინოს.

დროებით შენახული საქონელი უნდა დასაწყობდეს მხოლოდ საბაჟო საწყობში ან საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ან მასთან შეთანხმებულ შენახვის სხვა ადგილზე.

B. კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის:

რა მომენტიდან ექვემდებარება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი საბაჟო ზედამხედველობას?

განმარტეთ ტერმინი „საზღვაო ხომალდის ოპერატორი“

განმარტეთ ტერმინი „საზღვაო ხომალდის „აგენტი“

რა დროიდან ექვემდებარება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი საბაჟო ზედამხედველობას?

საქონლის ზედამხედველობის ქვეშ მოქცეული საქონლის მიმართ როგორი მოქმედებები და პროცედურები შეიძლება განხორციელდეს?

eCustoms“-ში ან/და „ORACLE“-ში დაშვების შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების რა სამართლებრივ საფუძვლებს იცნობთ?

რამდენი სტრუქტურული ერთეულისაგან შედგება TIR-კარნეტის სისტემა?

განმარტეთ ATA-კარნეტი

რა მიზანი აქვს ATA-კარნეტის სისტემას?

ვინ უნდა წარუდგინოს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი საბაჟო გამშვებ პუნქტში ან საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ან მასთან შეთანხმებულ ნებისმიერ სხვა ადგილზე შემოსვლისთანავე დაუყოვნებლივ საბაჟო ორგანოს?

ვის შეუძლია საბაჟო ორგანოსათვის საქონლის წარდგენა?

სად უნდა დასაწყობდეს დროებით შენახული საქონელი?

C. ტესტები:

საქართველოს საზღვაო ნავსადგურში საზღვაო ხომალდის შემოსვლამდე საბაჟო ორგანოს წარუდგინოს:

ა. გენერალური დეკლარაცია;საქართველოს საზღვაო ნავსადგურში საზღვაო ხომალდის შემოსვლამდე ან შემოსვლისას საბაჟო ორგანოს წარუდგინოს საზღვაო ხომალდის შესვლა – გამოსვლის ბოლო 10 ნავსადგურის შესახებ ინფორმაცია

ბ. გენერალური დეკლარაცია

გ. საქართველოს საზღვაო ნავსადგურში საზღვაო ხომალდის შემოსვლამდე ან შემოსვლისას საბაჟო ორგანოს წარუდგინოს საზღვაო ხომალდის შესვლა – გამოსვლის ბოლო 10 ნავსადგურის შესახებ ინფორმაცია

დ. ნებისმიერი სახის დეკლარაცია.

საზღვაო ხომალდის აგენტი ვალდებულია:

ა. გადასცეს შესაბამისი შეტყობინება საბაჟო ორგანოს

ბ. გადასცეს შესაბამისი შეტყობინება საბაჟო ორგანოს; უცხოეთისა და საქართველოს სანაოსნოს კუთვნილი საერთაშორისო ნაოსნობისათვის განკუთვნილი გემების საქართველოს ნავსადგურში შემოსვლა საბაჟო გამშვებ პუნქტს შეატყობინოს 72 საათით ადრე და აუცილებლად დაადასტუროს 48 და 24 საათით ადრე, ხოლო საზღვაო ხომალდის ნავსადგურში შესვლამდე არა უგვიანეს 2 საათისა საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილ თანამშრომელს წარუდგინოს საზღვაო ხომალდის ეკიპაჟის განრიგი დადგენილი წესით და ოფიციალური შეკვეთა კომისიის დაწყებაზე

გ. უცხოეთისა და საქართველოს სანაოსნოს კუთვნილი საერთაშორისო ნაოსნობისათვის განკუთვნილი გემების საქართველოს ნავსადგურში შემოსვლა საბაჟო გამშვებ პუნქტს შეატყობინოს 82 საათით ადრე და აუცილებლად დაადასტუროს 48 და 24 საათით ადრე, ხოლო საზღვაო

ხომალდის ნავსადგურში შესვლამდე არა უგვიანეს 2 საათისა საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილ თანამშრომელს წარუდგინოს საზღვაო ხომალდის ეკიპაჟის განრიგი დადგენილი წესით და ოფიციალური შეკვეთა კომისიის დაწყებაზე

დ. გადასცეს შესაბამისი შეტყობინება საბაჟო ორგანოს; უცხოეთისა და საქართველოს სანაოსნოს კუთვნილი საერთაშორისო ნაოსნობისათვის განკუთვნილი გემების საქართველოს ნავსადგურში შემოსვლა საბაჟო გამშვებ პუნქტს შეატყობინოს 72 საათით ადრე და აუცილებლად დაადასტუროს 48 და 24 საათით ადრე, ხოლო საზღვაო ხომალდის ნავსადგურში შესვლამდე არა უგვიანეს 3 საათისა საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილ თანამშრომელს წარუდგინოს საზღვაო ხომალდის ეკიპაჟის განრიგი დადგენილი წესით და ოფიციალური შეკვეთა კომისიის დაწყებაზე.

საჭიროების შემთხვევაში, საბაჟო ორგანო განსაზღვრავს მარშრუტს, რომლითაც პირმა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე უნდა გადაზიდოს/გადაიტანოს საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება. ასეთ შემთხვევაში, საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული მარშრუტი მოიცავს:

ა. საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების მიმართულებას, ან/და დანიშნულების საბაჟო კონტროლის ზონას, ან საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ან მასთან შეთანხმებულ ნებისმიერ სხვა ადგილს

ბ. საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების მიმართულება

გ. დანიშნულების საბაჟო კონტროლის ზონას

დ. საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ან მასთან შეთანხმებულ ნებისმიერ სხვა ადგილს.

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებაზე საბაჟო კონტროლი ხორციელდება:

ა. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობით; რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობით

ბ. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობით; რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობით; ავტოსატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობით;TIR-წიგნაკის გამოყენებით; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვით; საქონლის საბაჟო დეკლარაციით; ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციით; ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციით; საქონლის დროებით შენახვის დეკლარაციით

გ. ავტოსატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობით;TIR-წიგნაკის გამოყენებით; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვით

დ. საქონლის საბაჟო დეკლარაციით; ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციით; ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციით; საქონლის დროებით შენახვის დეკლარაციით.

„eCustoms"-ში ან/და „ORACLE"-ში დაშვების შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველია:

ა. განცხადების რეგისტრაციიდან 12 კალენდარული თვის განმავლობაში საბაჟო ორგანოში სისტემაში დაშვებული პირის მიერ შეტანილი საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის დაურეგისტრირებლობა;

ბ. სისტემაში დაშვებული პირის მიმართ საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმის ან/და გაფორმების საბაჟო ფორმალობების განხორციელებისას წარმოშობილი საბაჟო ან/და საგადასახადო ვალდებულების კანონმდებლობით დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჩივრებული იქნება ამ ჯარიმის ან საბაჟო ან/და საგადასახადო ვალდებულების დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება;

გ. სისტემაში დაშვებული პირის მიერ გაფორმების საბაჟო ფორმალობების განხორციელებისას დანაშაულის ჩადენის ფაქტის დადასტურება ან კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებების არსებითი ან/და ბოლო ერთი წლის განმავლობაში არაერთჯერადი დარღვევა;

დ. სისტემაში საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის უშუალოდ შემდგომი ფიზიკური პირების შეცვლის შემთხვევაში ინფორმაციის მიუწოდებლობა, ცვლილების განხორციელებიდან 20 კალენდარულ დღეში.

TIR-კარნეტის სისტემა შედგება ოთხი ძირითადი სტრუქტურული ერთეულისაგან:

ა. საბაჟო გადასახდელებზე საერთაშორისო გარანტიები; TIR-კარნეტის შესაბამისი წიგნაკი (კარნეტი); საბაჟო კონტროლის პრინციპების ურთიერთცნობა; სატრანსპორტო საშუალებების (კონტეინერების) სტანდარტულობა და უსაფრთხოება

ბ. საბაჟო გადასახდელებზე საერთაშორისო გარანტიები

გ. საბაჟო კონტროლის პრინციპების ურთიერთცნობა

დ. სატრანსპორტო საშუალებების (კონტეინერების) სტანდარტულობა და უსაფრთხოება.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი საბაჟო გამშვებ პუნქტში ან საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ან მასთან შეთანხმებულ ნებისმიერ სხვა ადგილზე შემოსვლისთანავე, დაუყოვნებლივ საბაჟო ორგანოს უნდა წარუდგინოს:

ა. პირმა, რომელმაც საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოიტანა; პირმა, რომელიცსაქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემომტანი პირის სახელით ან დავალებით მოქმედებს; პირმა, რომელმაც საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის შემდეგ აიღო მისი დაზიდვის პასუხისმგებლობა

ბ. პირმა, რომელმაც საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოიტანა

გ. პირმა, რომელიცსაქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემომტანი პირის სახელით ან დავალებით მოქმედებს;

დ. პირმა, რომელმაც საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის შემდეგ აიღო მისი დაზიდვის პასუხისმგებლობა.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი საბაჟო გამშვებ პუნქტში ან საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ან მასთან შეთანხმებულ ნებისმიერ სხვა ადგილზე შემოსვლისთანავე, დაუყოვნებლივ საბაჟო ორგანოს უნდა წარუდგინოს:

ა. პირმა, რომელმაც საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოიტანა; პირმა, რომელიცსაქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემომტანი პირის სახელით ან დავალებით მოქმედებს; პირმა, რომელმაც საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის შემდეგ აიღო მისი გადაზიდვის პასუხისმგებლობა

ბ. პირმა, რომელმაც საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოიტანა

ბ. პირმა, რომელიცსაქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემომტანი პირის სახელით ან დავალებით მოქმედებს

გ. პირმა, რომელმაც საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის შემდეგ აიღო მისი გადაზიდვის პასუხისმგებლობა

დ. პირმა, რომელმაც საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გაიტანა საქონელი.

დროებით შენახვის დეკლარაციაში ცვლილების შეტანა დაუშვებელია, თუ:

ა. საბაჟო ორგანომ დროებით შენახვის დეკლარაციის წარმდგენს შეატყობინა ამ დეკლარაციით დეკლარირებული საქონლის შემოწმების

განზრახვის შესახებ;საბაჟო ორგანომ დაადგინა დეკლარირებული მონაცემების მცდარობა

ბ. საბაჟო ორგანომ დროებით შენახვის დეკლარაციის წარმდგენს შეატყობინა ამ დეკლარაციით დეკლარირებული საქონლის შემოწმების განზრახვის შესახებ;

გ. საბაჟო ორგანომ დაადგინა დეკლარირებული მონაცემების მცდარობა

დ. საბაჟო ორგანომ დროებით შენახვის დეკლარაციის წარმდგენს შეატყობინა ამ დეკლარაციით დეკლარირებული საქონლის შემოწმების განზრახვისშემოწმების შესახებ კამერალურად.

დროებით შენახული უცხოური საქონელი საბაჟო პროცედურაში უნდა მოექცეს ან მისი რეექსპორტი უნდა განხორციელდეს:

ა.15 დღეში

ბ. 30 დღეში

გ. 25 დღეში

დ. 40 დღეში.

D. გამოყენებული ლიტერატურა:

ბარაზი ი; საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021

ბარაზი ი; საბაჟო სამართალი, 2010

საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, 2014

ჯგერენაია ე; საბაჟო ტექნოლოგიის საფუძვლები, 2002

ურიდია გონერ, რუხაია ფრიდონ, არახამია მერაბ, საბაჟო გაფორმება TIR და ATA (CPD) კარნეტის პრინციპებით, თბილისი, 2004

E. საერთაშორისო აქტები:

სეულის მსოფლიო საფოსტო კონვენცია,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208332

საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) ასამბლეის 30 ნოემბრის A 104 (27) რეზოლუცია - ეკიპაჟის მინიმალური უსაფრთხო რაოდენობით დაკომპლექტების პრინციპების უზრუნველსაყოფად ეკიპაჟის დაკომპლექტების პრინციპები“

შეთანხმება „საერთაშორისო სარკინიგზო სატვირთო მიმოსვლის შესახებ (CMГС)“ 1951 წლის 1 ნოემბრის შეთანხმების (ძალაშია 1951 წლის 1 ნოემბრიდან 2015 წლის 1ივლისის ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით), https://matsne.gov.ge/ka/document/view/3279556?publication=0

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელწიფოებს შორის,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0

შეთანხმება „საერთაშორისო სარკინიგზო სატვირთო მიმოსვლის შესახებ (CMГС)" 1951 წლის 1 ნოემბრის შეთანხმების (ძალაშია 1951 წლის 1 ნოემბრიდან 2015 წლის 1 ივლისის ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით), https://matsne.gov.ge/ka/document/view/3279556?publication=0

შეთანხმება სარკინიგზო სატვირთო მიმოსვლის შესახებ (CMrC) (ძალაშია 1951 წლის 1 ნოემბრიდან 2015 წლის 1 ივლისის ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/3279556?publication=0

ორმხრივი შთანხმებები:

შეთანხმება „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას შორის კონტრაბანდისა და საბაჟო წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ", მ.4;
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1219001?publication=0

F. საკანონმდებლო აქტები:

საქართველოს საბაჟო კოდექსი,
https://www.matsne.gov.ge/document/view/4598501?publication=5

საქართველოს საგადასახადო კოდექსი,
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=182

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი,
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=116

საქართველოს 1997 წლის საზღვაო კოდექსი,
https://www.matsne.gov.ge/document/view/29908?publication=34

საქართველოს 1999 წლის კანონი „სასაქონლო ბირჟებისა და საბირჟო ვაჭრობის შესახებ",
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/11854?publication=6

G. კანონქვემდებარე აქტები:

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის #455 დადგენილება „საბაჟო საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანიობის ნებართვების გაცემის წესების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე". https://matsne.gov.ge/ka/document/download/4657414/4/ge/pdf

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 1 ივნისის №342 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – „საქართველოს დროშით მცურავ გემებზე ე კიპაჟის მინიმალური უსაფრთხო რაოდენობით დაკომპლექტების შესახებ“ დამტკიცების თაობაზე“,

http://extwprlegs1.fao.org/docs/pdf/geo200817.pdf

საქართველოს მთავრობის დადგენილება „თავისუფალი ზონის შექმნის პირობების, მისი შექმნისათვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის ფუნქციონირების, მასში საქონლის შენახვისა და საბაჟო კონტროლის განხორციელების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“,

https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/4772532/1/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე “; ინსტრუქცია „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ“ (დანართი №5);

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=62

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის #275 ბრძანება „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე,

https://matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3

ინსტრუქცია „გარანტიის შესახებ“ (დანართი #4), https://www.rs.ge/Media/Default/კანონმდებლობა/კანონები/257%20დანართი%204.pdf

„ინსტრუქცია საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“(დანართი №8); https://www.rs.ge/Media/Default/კანონმდებლობა/კანონები/257%20დანართი%208.pdf

ინსტრუქცია საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ (დანართი №1), https://www.rs.ge/Media/Default/კანონმდებლობა/კანონები/257%20დანართი%201.pdf

ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“, (დანართი №8), https://www.rs.ge/Media/Default/კანონმდებლობა/კანონები/257%20დანართი%208.pdf

ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანებით „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ დამტკიცებული ინსტრუქცია (დანართი №3) საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“,
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ინსტრუქცია „ტრანზიტის პროცედურის შესახებ“ (დანართი №7), https://matsne.gov.ge/ka/document/view/2772710?publication=0

ინსტრუქცია „საქონლის დროებითი შენახვის შესახებ“ (დანართი №6), https://matsne.gov.ge/ka/document/view/2772710?publication=0

საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის29 აგვისტოს #258/#73 ერთობლივი ბრძანება „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისა სამგზავრო დოკუმენტებში შესაბამისი აღნიშვნის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვის წესის დამტკიცების შესახებ“,
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4644287?publication=4

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 აგვისტოს #1-1/1562 ბრძანება ტექნიკური რეგლამენტის“ „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესის“ დამტკიცების თაობაზე,
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1462516?publication=0

H. ვებრესურსი:

საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია,
https://wikipredia.net/ka/International_Maritime_Organization

TIR სისტემის შესახებ, http://girca.org/TIR_სისტემის_შესახებ/m125

„ახალგაზრდა ადვოკატები“, https://commersant.ge/ge/post/aris-tu-ara-saqartveloshi-sheqmnili-fors-majori

თავი III. საქონლის საბაჟო სტატუსი, საქონლის საბაჟო პროცედურაში მოქცევა, საბაჟო დეკლარაციის შემოწმება, საქონლის გაშვება და საბაჟო ორგანოს მიერ საქონლის განკარგვა

1. საქონლის საბაჟო სტატუსი

1.1. საქართველოს საქონლის საბაჟო სტატუსი

საქართველოს საბაჟო კოდექსის 80-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს საქონლის საბაჟო სტატუსს, კერძოდ, „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე არსებული ნებისმიერი საქონელი საქართველოს საქონლად მიიჩნევა, ვიდრე არ დადგინდება მისი, როგორც უცხოური საქონლის სტატუსი“. მუხლის დისპოზიციიდან აშკარად იკვეთება პრეზუმფციის მეთოდი საბაჟო სამართალში. საბაჟოსამართლებრივ რეგულირებაში განიხილება ფაქტიური პრეზუმფციების გამოყენება, კერძოდ ისეთი ინსტიტუტების ფორმირებაში, როგორებიცაა; საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანისას მისი სტატუსის განსაზღვრა; საბაჟო საზღვრის გადმოკვეთისას საბაჟო გადასახდელების ბაზის განსაზღვრის გამოთვლითი მეთოდი, საბაჟო დაბეგვრის ხარჯების ნორმატივები, სპეციალური საგადასახადო რეჟიმები და ა.შ.

„**პრეზუმფცია: 1. ვარაუდზე დამყარებული მოსაზრება; 2. პრეზუმფციები** – სავარაუდო დასკვნებია, რომლებიც „ფაქტების ან მოვლენების ნამდვილობას ადგენენ მათი არსებობის სრული დასაბუთების გარეშე. ამგვარი განმარტების ავტორები პრეზუმფციებს ყოფენ **ფაქტობრივ (paesumptionez facti seu hominis)** და **სამართლებრივ (paesumptionez iuris)** პრეზუმფციებად, ხოლო **სამართლებრივ პრეზუმფციებს** შორის ანსხვავებენ ე.წ. ჩვეულებრივ პრეზუმფციებს, რომელთა უარყოფას დასაშვებად მიიჩნევენ **(paesumptionez iuris tantum)** და **სამართლებრივ პრეზუმფციებს,** რომლებიც გამორიცხავენ საწინააღმდეგოს დამტკიცების (პრეზუმფციების უარყოფის) შესაძლებლობას **(paesumptionez iuris de iure).** ამ უკანასკნელთ, ფაქტობრივად, სამართლის ნორმებთან – კანონებთან აიგივებდნენ.

პრეზუმფციები, ძირითად შემთხვევაში, სამართლის ნორმების მსგავსად საკანონმდებლო პოლიტიკის სპეციალურ წესებს წარმოადგენენ და არა ვარაუდს, როგორადაც მას მიიჩნევენ. ამასთან, რიგი იურისტები სამართლებრივი პრეზუმფციებიდან საერთოდ გამორიცხავენ იმ ზოგად წესებს, რომლებიც მოსამართლეთა საქმიანობის საერთო პრინციპებს წარმოადგენენ. მაგ. დებულებას, რომ ადამიანი ივარაუდება კეთილსინდისიერად და შერაცხადად, სანამ არ დამტკიცდება საწინააღმდეგო. რიგი იურისტები საერთოდ უარყოფენ სამართლებრივი პრეზუმფციების შემოტანის საჭიროებას მათი „ფორმალური" შინაარსის გამო. პრეზუმფციული დასკვნით ერთი ფაქტი ან მოვლენა არსებულად, დადგენილად ითვლება არაერთგზის მომხდარი ანალოგიური ფაქტებისა თუ მოვლენების საფუძველზე[87]. პრეზუმფციული მსჯელობები ვლინდება უამრავი კერძო შემთხვევების განზოგადების შედეგად და დამტკიცებული როგორც ემპირიული), ალბათობითი ხასიათი, ფაქტობრივი უარყოფა, ე. ი. იურიდიული ფაქტის აღიარება როგორც სარწმუნო, სანამ დამტკიცებული არ იქნება საწინააღმდეგო (კონტრპრეზუმფცია). ამის საილუსტრაციოდ ისევ მოვიხმობთ **საბაჟო კოდექსის 81-ე მუხლს,** რომ „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე არსებული ნებისმიერი საქონელი საქართველოს საქონლად მიიჩნევა, ვიდრე არ დადგინდება მისი, როგორც უცხოური საქონლის სტატუსი"; ან კიდევ საბაჟო კანომდებლობით განსაზღვრული დებულება იმის შესახებ, რომ, საქართველოში იმპორტით შემოტანილი საქონელი ითვლება საქართველოს საქონლად, ანუ მას საქართველოს საქონლის სტატუსი მიენიჭება. აქ მხედველობაშია ფაქტი იმის შესახებ, რომ იმპორტის პროცედურა მთავრდება იმ ქვეყანაში, სადაც შედის იმპორტული საქონელი, ამ შემთხვევაში საქართველოში, რამეთუ მისი მოხმარების პროცესი აქ სრულდება.

---

[87] ბიზნესი და კანონმდებლობა – [რედ.იური პაპასქუა], ნოემბერი, 2009. წყარო: ია ხარაზი, „საგადასახადო სამართლებრივ რეგულირებაში პრეზუმპტიული მეთოდების გამოყენების შესახებ", „დიპლომატია და სამართალი", #1(4), 2018, გვ. 46-68.

მაგალითი:

საქართველოში შემოტანილ იქნა ბავარიული ლუდი. რადგან მასზე საბაჟო პროცედურა (იმპორტი) საქართველოშივე დასრულდა და მისი გამოყენებით მოხდა მისი სამომხმარებლო ღირებულების დაკარგვა, მიიჩნევა, რომ ის პირობითად საქართველოს საქონლად მიიჩნევა.

იმავე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს ცალკეულ შემთხვევებს, როცა ზემოთ მითითებული 80-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესი არ გამოყენება და ხდება საქონლისთვის საქართველოს საქონლის სტატუსის დადასტურება.

საბაჟო კანონმდებლობაში და ასევე, ბშირ შემთხვევაში, საგადასაბადო კანონმდებლობაში გვხვდება ორმაგი სტანდარტის ნორმები, ასევე გაუმართავი მუხლებიც, რომლის სწორად გამოყენებაც უჭირთ მეწარმე სუბიექტთ, რომლის ერთ-ერთი მაგალითია 80-ე მუხლის მე-2 ნაწილი. მიმაჩნია, რომ იგი ტექნიკურად დაუხვეწავია. ამის ერთ-ერთ მიზეზად ალბათ უნდა დასახელდეს უცხოური შესაბამისი კანონმდებლობიდან არასწორი თარგმანი, რადგან ფაქტია, რომ ბშირ შემთხვევაში ე. წ. „სინქრონული თარგმანი" უცხოური ნორმებისა, რომელთა შინაარსობრი დატვირთვა სხვანაირად იკითხება და ხდება პირდაპირი თარგმანი, გაუთვალისწინებლად იმისა, როგორ ჯდება ის ქართულ სამართლებრივ სიტყვათხმარებაში,- ბშირად გაუგებრობის მიზეზიც კი შეიძლება გახდეს. სამწუხაროდ ეს მხოლოდ საბაჟო-საგადასახადო კანონმდებლობას როდი ეხება.

საქართველოს საქონლის საბაჟო სტატუსი. საქონელი, რომელიც განკუთვნილია საბაჟო პროცედურაში მოქცევისთვის, დეკლარირდება შესაბამისი საბაჟო პროცედურის საბაჟო დეკლარაციით[88].

ვიდრე საქონლის საბაჟო სტატუსზე, საქონლის საბაჟო პროცედურაში მოქცევასა, საბაჟო დეკლარაციის შემოწმებასა, საქონლის გაშვებასა და საბაჟო ორგანოს მიერ საქონლის განკარგვაზე გავაკეთებდეთ კომენტარს, მოკლედ დეკლარანტისა და საბაჟო დეკლარაციის სახეებზე გვექნება საუბარი.

„დეკლარანტი საქართველოს მოქალაქე, რეზიდენტი ფიზიკური პირი ან საქართველოს საწარმო (ორგანიზაცია) უნდა იყოს, გარდა უცხო ქვეყნის მოქალაქის ან უცხო საწარმოს (ორგანიზაციისა), რომლის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის

[88] საქართველოს საბაჟო კოდექსი, მ. 82.6.1.

დეკლარირება ხდება"[89]. „დეკლარანტი არის პირი, რომელიც პასუხისმგებელია შესაბამისი საბაჟო პროცედურების განხორციელებაზე, უფრო ვიწრო აზრით, დეკლარანტი არის პირი, რომელიც საქონლის დეკლარირებას ახორციელებს თავისის სახელით ან პირი, რომლის სახელითაც ხორციელდება დეკლარირება"[90].

შევნიშნავთ, რომ დეკლარანტი, რომელიც უშუალოდ ახორციელებს დეკლარირებას და ეს შეიძლება იყოს საქონლის ექსპრტიორი, იმპორტიორი, საქონლის მესაკუთრე/მფლობელი ან კიდევ ირიბი წარმომადგენელი და როდესაც საქონლის მესაკუთრის ნაცვლად საქონლის დეკლარირებას ახორციელებს სხვა პირი, წარმომადგენელი, რომელიც საქონლის მესაკუთრის უშუალო წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით სარგებლობს და მისი სახელით მოქმედებს[91].

დეკლარანტი და პირი, რომელიც დეკლარანტის მაგივრადაც წარმომადგენლობისას წარადგენს საბაჟო დეკლარაციას, პასუხისმგებელნი არიან დეკლარირებული მონაცემების სისწორეზე, წარმოდგენილი დოკუმენტების ნამდვილობაზე და საბაჟო დეკლარაციასთან საქონლის შესაბამისობაზე.

„დეკლარანტი უფლებამოსილია არა მარტო დეკლარაციის წარდგენაზე საბაჟო ორგანოში, არამედ საქონლის დათვალიერებაზე საბაჟო კონტროლქვეშ, გადასახდელების გადახდაზე, მის მიერ წარდგენილი საბაჟო დეკლარაციის, დოკუმენტების ნამდვილობის დადგენის მოთხოვნაზე საბაჟო ორგანოებისაგან, საქონლის სინჯებისა და ნიმუშების აღებაზე, ერთი სასაქონლო ოპერაციის (საბაჟო რეჟიმის)[92] მეორეთი შეცვლაზე, საბაჟო ორგანოებისადმი შეკითხვით მიმართვაზე და შესაბამისი, დასაბუთებული შეტყობინების

---

[89] ხარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა", თბილისი, 2014, 144-145.

[90] ურიდია გ; რუხაია ფ; საბაჟო საქმის თეორია, თბილისი, 2009, 33.

[91] ხარაზი, ი; დასახ. ნაშრ. 145.

[92] დღეს უკვე საბაჟო (სპეციალური) ოპერაციის.

მიღებაზე, საბაჟო ორგანოების კანონსაწინააღმდეგო ქმედების გასაჩივრებაზე ზემდგომ ორგანოებსა თუ სასამართლოში და ა. შ"[93].

უფლებებთან ერთად დეკლარანტს ვალდებულებებიც აკისრია, კერძოდ: „დეკლარანტის ვალდებულებებს შეადგენს საქონლის წარდგენა საბაჟო ორგანოში, მისი გადატვირთვა (გადმოტვირთვა), საბაჟო ორგანოს მიერ მითითებულ ადგილზე ან სატრანსპორტო საშუალებაში, საქონლის მიტანა საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილზე, საქონლის გადაადგილების საბაჟო მარშრუტის დაცვა, საბაჟო საზღვრის გადაკვეთის დროს საბაჟო ორგანოში შესაბამისი საბაჟო დოკუმენტაციის წარდგენა, საბაჟო დეკლარაციის დადგენილ ვადაში წარდგენა, საბაჟო გადასახდელების დადგენილ ვადაში გადახდა, საბაჟო სანქციის დადგენილ ვადაში აღსრულება, ფორსმაჟორულ სიტუაციაში საქონლის დაცვის ღონისძიებების გატარება და ა.შ"[94].

რეგისტრაციის დღიდან დეკლარაცია იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დამადასტურებელი დოკუმენტია. ***დაშვებულია თუ არა რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაში ცვლილებების შეტანა?*** კითხვას დადებითი პასუხი უნდა გავცეთ. **რეგისტრირებულ დეკლარაციაში დაშვებულია ცვლილებების შეტანა:** საქონლის გაშვებამდე, საბაჟო ორგანოს ინიციატივით, საბაჟო დეკლარაციის შემოწმებისას, თუ დადგინდა ამ დეკლარაციაში არასწორი მონაცემების არსებობა; საქონლის გაშვებამდე, დეკლარანტის ინიციატივით, თუ საბაჟო ორგანოს არ შეუტყობინებია დეკლარანტისათვის ამ საბაჟო დეკლარაციიის შემოწმების განზრახვა ან არ დაუდგენია დეკლარირებული მონაცემების მცდარობა; საქონლის გაშვების შემდეგ, დეკლარანტის ინიციატივით, საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების ჩატარების შესახებ საბაჟო ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილების ჩაბარებამდე, საბაჟო შემოწმების ჩატარების შესახებ სასამართლოს ან საბაჟო ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილების ჩაბარებამდე, საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის შედგენამდე ან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი

---

[93] ხარაზი ი; დასახ. ნაშრ; 146-147.

[94] ურიდია გ; არახამია ფ; დასახ. ნაშრ; 34.

უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შემოწმების ან დოკუმენტური/ბუღალტრული რევიზიის დანიშვნამდე. როგორც ზემოთქმულიდან ირკვევა დეკლარანტს შეუძლია შესაბამისი ცვლილებების შეტანა საბაჟო დეკლარაციაში.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

ვთქვათ, დეკლარანტმა საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის ოპერაციით) საქართველოში შემოიტანა 10 000 ცალი ქალის ჩანთები, საქონელი ფიზიკურად არ შემოწმებულა და მხოლოდ დოკუმენტური შემოწმება გაიარა ყვითელ დერეფანში[95], მაგრამ შემდგომ აღმოჩნდა, რომ შეფუთული იყო მხოლოდ 50 000 ცალი ჩანთა. დეკლარანტს შეუძლია მიმართოს განცხადებით საბაჟო ორგანოს და მოითხოვოს დეკლარაციაში ცვლილებების შეტანა და ამ ცვლილებების შესაბამისად დარიცხული საბაჟო გადასახდელების გადახდა. გამოდის, რომ ეს ამ კონკრეტულ შემთხვევაში პასუხს არ აგებს .

აქვე ავღნიშნავდით, რომ საბაჟო დეკლარაციაში ჯამური საგადასახადო ვალდებულების თანხის გაანგარიშება ხორციელდება სრულ ლარებში, ხოლო 1 ლარამდე საგადასახადო ვალდებულება ნულდება.

საბაჟო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილი მიუთითებს ამავე კოდექსის მე-9 მუხლის მეორე ნაწილის გამოყენებისაგან განსხვავებულ შემთხვევებზე, კერძოდ, მე-9 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულისგან განსხვავებულ შემთხვევაში, რომელიც განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით, საბაჟო დეკლარაცია შეიძლება წარდგენილ იქნეს მონაცემთა დამუშავების ელექტრონული საშუალებისგან განსხვავებული საშუალებით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებითვე დადგენილი წესით.

მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „მონაცემთა დამუშავების ელექტრონული საშუალების გარდა, ინფორმაციის გაცვლისა და შენახვის სხვა საშუალება შეიძლება გამოყენებულ იქნეს: მუდმივად, გადაზიდვის სახის გათვალისწინებით, ან როდესაც მონაცემთა დამუშავების ელექტრონული საშუალების გამოყენება შესაბამისი საბაჟო ფორმალობისთვის შესაფერისი არ არის; დროებით, პირის ან საბაჟო ორგანოს ელექტრონული სისტემის გაუმართაობის შემთხვევაში".

---

[95] ყვითელი დერეფნის შესახებ ვრცლად იხ. ია ხარაზი, საბაჟო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, პირველი ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა", თბილისი, 2021.

„ელექტრონულად შევსებულ ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციას პროგრამულად ენიჭება სტატუსი: „აყვანილია კონტროლზე", „გამოცხადებულია", „მოხსნილია კონტროლიდან" ან „გაუქმებულია", შესაბამისი სტატუსის მინიჭების თარიღით"[96].

ექსპორტის ან გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქართველოს საქონელი ექვემდებარება საბაჟო ზედამხედველობას საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანამდე ან ამ საბაჟო დეკლარაციის გათავისუფლებამდე.

თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ექსპორტის პროცედურა საშუალებას იძლევა, საქართველოს საქონელი გატანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან (მათ შორის, დროებით, დაბრუნების პირობით, რა დროსაც ბორციელდება ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებები[97], *ბოლოინსტრუქციის „ექსპორტის პროცედურის შესახებ" (დანართი №15), ექსპორტის პროცედურა საშუალებას იძლევა, საქართველოს საქონელი გატანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ (მათ შორის, დროებით, დაბრუნების პირობით) ან გადატანილ იქნეს თავისუფალ ზონაში, თუ გატარდება სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები. საქონლის ექსპორტის პროცედურის გამოყენებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა ან თავისუფალ ზონაში მოთავსება ნებადართულია მხოლოდ იმ საქონლისათვის, რომლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა ან თავისუფალ ზონაში შეტანა აკრძალული არ არის*[98].

„გარე გადამუშავების პროცედურის გამოყენებით საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ დროებით გატანილი საქართველოს საქონლის

---

[96] ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ", მ.27.პ.4.

[97] საბაჟო კოდექსი, მ. 158.ნ.1.

[98] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე", საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე", ინსტრუქცია „ექსპორტის პროცედურის შესახებ", დანართი №15,
https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს გადამუშავების ერთი ან რამდენიმე ოპერაცია. გადამუშავებული პროდუქტი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას შეიძლება იმპორტის გადასახადისგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლებით თავისუფალ მიმოქცევაში მოაქციოს გარე გადამუშავების პროცედურის ავტორიზაციის მფლობელმა ან საქართველოში დაფუძნებულმა პირმა, თუ მას აქვს გარე გადამუშავების პროცედურის ავტორიზაციის მფლობელის შესაბამისი თანხმობა და გარე გადამუშავების პროცედურის გამოყენების ყველა პირობა შესრულებულია"[99], ხოლო ინსტრუქციის „გარე გადამუშავების პროცედურის შესახებ" *„გარე გადამუშავების პროცედურა განისაზღვრება ექსპორტის პროცედურის შესაბამისად, ხოლო გადამუშავებული პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას განბაჟებადი ის საბაჟო ფორმალობები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანისთვის"*[100].

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257-ე ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე", არეგულირებს საბაჟო დეკლარაციის წარდგენისა და რეგისტრაციის, საბაჟო დეკლარაციის თანხმლებ დოკუმენტთან საბაჟო ორგანოს დაშვების, საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანისა და მისი გაუქმების წესებს.

პირი საბაჟო დეკლარაციას წარადგენს საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილებისას. ზემოთ აღნიშნული ბრძანების (დანართი №8) ინსტრუქციის **„საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ"**, თანახმად, საქონლის დეკლარირება შესაძლებელია:

- ა) საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის წარდგენით:

---

[99] საბაჟო კოდექსი, მ.148.ნ.1;

[100] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე", ინსტრუქცია „გარე გადამუშავების პროცედურის შესახებ", დანართი №14, https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

• ა.ა) ელექტრონული (მონაცემთა ავტომატიზებული სისტემა „eCustoms“-ის (შემდგომში – „eCustoms“) ან გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემა „Oracle“-ს (შემდგომში – „Oracle“) ან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებული ბაზის მეშვეობით);

• ა.ბ) მატერიალური ფორმით (საბაჟო ორგანოს თანხმობით, მონაცემებთა დამუშავების ელექტრონული საშუალებისაგან განსხვავებული სხვა საშუალებით);

• ბ) ზეპირად – მხოლოდ მგზავრის შემთხვევაში;

• გ) საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საშუალებით.

ექსპორტით გასატანი (მათ შორის თიზ-ის ტერიტორიაზე შესატანი), ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებული საქონლის (გარდა შავი, ფერადი ლითონების ჯართის ან სატრანსპორტო საშუალებების ექსპორტისა) დეკლარირება შესაძლებელია საბაჟო გამშვებ პუნქტში სასაქონლო ზედნადების/ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების ან საგადასახადო დოკუმენტის წარდგენით. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, **იმპორტის გადასახდელისაგან გათავისუფლებულ საქონელზე საბაჟო დეკლარაციის წარდგენად ჩაითვლება შემდეგი დოკუმენტების წარდგენა:**

• ა) ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) ოპერაციის ფარგლებში სამხედრო წვრთნების მიზნებისათვის შემოტანილ საქონელზე – ამავე ორგანიზაციის სტანდარტიზაციის სააგენტოს მიერ „ეროვნულ საზღვრებზე გადაადგილების პროცედურებთან დაკავშირებით“ 2005 წელს მიღებული შეთანხმებით განსაზღვრული „ფორმა 302“-ის წარდგენა;

• ბ) ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) ოპერაციის ფარგლებში საგანგებო სიტუაციების შედეგებზე რეაგირებისათვის წვრთნების მიზნებისათვის შემოტანილ საქონელზე – ამავე ორგანიზაციის „ჯატასტროფებზე რეაგირების ევრო-ატლანტიკური ჯგუფის სტანდარტული საოპერაციო პროცედურებით“ გათვალისწინებული „საზღვრის კვეთის ფორმების“ წარდგენა;

• გ) საგანგებო სიტუაციის შედეგებზე რეაგირებისათვის, ან მასთან დაკავშირებული წვრთნების ჩასატარებლად, ან მილსადენსა და ელექტროგადამცემ ხაზებზე ავარიის პრევენციისათვის პროფილაქტიკური და სარემონტო სამუშაოების შესრულების მიზნით შემოტანილი საქონლის შემთხვევაში – საბაჟო გამშვებ პუნქტში წარდგენილი ინფორმაცია საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების შესახებ (ამ ბრძანებით დამტკიცებული „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ“ ინსტრუქციით (დანართი №4) დამტკიცებული ფორმით).

საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის შევსებას, გარდა ამავე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ახორციელებს საბაჟო ორგანო, რომელსაც აქვს ამ უფლებამოსილების სხვა პირზე დელეგირების უფლება.

პირს უფლება აქვს შეავსოს საბაჟო დეკლარაცია/რეექსპორტის დეკლარაცია, თუ:

• ა) პირი დეკლარირებას ახორციელებს თავისი სახელით;

• ბ) პირს გააჩნია შემოსავლების სამსახურის შესაბამის სერვერთან მიერთების შესაძლებლობა და აქვს დაშვება „eCustoms“-ში ან/და „Oracle”-ში.

პირის წარმომადგენელს უფლება აქვს შეავსოს საბაჟო დეკლარაცია/რეექსპორტის დეკლარაცია, თუ:

• ა) ამ დეკლარაციის შევსება არ განეკუთვნება საბაჟო ორგანოს ან სხვა პირის უფლებამოსილებას საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად;

• ბ) წარმომადგენელს გააჩნია შემოსავლების სამსახურის შესაბამის სერვერთან მიერთების შესაძლებლობა და აქვს დაშვება „eCustoms “-ში ან/და „Oracle”-ში.

ინსტრუქციის „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“, პუნქტი მე-6 ჩამოთვლის საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის განსაზღვრისას წარსადგენ დოკუმენტებს, კერძოდ, პირის მიერ საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის განსაზღვრისას წარდგენილი უნდა იქნეს სატრანსპორტო დოკუმენტი (გარდა ზემოთ აღნიშნული ინსტრუქციის მე-2

მუხლის მე-8[101] და 8[1] პუნქტებით[102] გათვალისწინებული, ექსპორტისათვის, რეექსპორტისათვის ან ტრანზიტისათვის განკუთვნილი საქონლის საქართველოდან საზღვაო გზით გასატანად სატრანსპორტო საშუალებაში მათ ჩატვირთვამდე საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის წარდგენის შემთხვევისა) და საქონლის ნასყიდობის დოკუმენტი (გარდა საქართველოს საგადასახადო

---

[101] ექსპორტისათვის, რეექსპორტისათვის ან ტრანზიტისათვის განკუთვნილი საყარი საქონლის ან შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული სარკინიგზო ვაგონების გადამუშავებით მიღებული, ექსპორტისათვის განკუთვნილი შავი ლითონის ჯართის საქართველოდან საზღვაო გზით გასატანად საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის წარდგენა შესაძლებელია სატრანსპორტო საშუალებაში მათ ჩატვირთვამდეც, თუ დეკლარანტი უზრუნველყოფს: ა) საქონლის წარდგენას საბაჟო კონტროლის ზონაში; ბ) საქონლის რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე სურვეირული კომპანიის აქტის წარდგენას.

[102] ექსპორტისათვის, რეექსპორტისათვის ან ტრანზიტისათვის განკუთვნილი, ფოთის/ზათუმის საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებულ საბაჟო საწყობში არსებული საყარი საქონლის (მათ შორის, ე.წ. „ბიგ-ბეგებში“ განთავსებული, წონით არანაკლებ 300 კგ-ისა) ფოლადის/პლასტიკის არმატურის ან ლითონის წნულების შეკვრის (სიგრძით არანაკლებ 12 მ-ისა და წონით არანაკლებ 500 კგ-ისა), ლითონის რულონების (წონით არანაკლებ 500 კგ-ისა) ან ავზების (არანაკლებ 500 ლიტრი ტევადობისა), ლითონის ან პლასტმასის მილების, ალუმინის სხმულების (წონით არანაკლებ 500 კგ-ისა) და ლითონის ბრტყელი ნაგლინის (შეკვრით ან შეკვრის გარეშე, წონით არანაკლებ 500 კგ-ისა) საქართველოდან საზღვაო გზით გასატანად საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის წარდგენა შესაძლებელია სატრანსპორტო საშუალებაში მათ ჩატვირთვამდეც, თუ დეკლარანტი უზრუნველყოფს საქონლის რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე სურვეირული კომპანიის აქტის წარდგენას.

კოდექსის 199-ე მუხლის „დ.დ“[103] და „დ.ე“[104] ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქონლის გაფორმების ან „საქართველოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის აზერბაიჯანის რესპუბლიკის, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიების გავლით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ“ საქართველოს მთავრობასა და საექსპორტო მილსადენის პროექტის

---

[103] უცხოეთში ყოველ 6 თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ საქართველოში შემოსული ფიზიკური პირის მიერ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული საქმიანობი ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე–97-ე ჯგუფების (გარდა 87-ე ჯგუფისა) შესაბამისი 15 000 ლარის ღირებულების საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის, ხოლო საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობიდან ან საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამოწვეული დიპლომატიური თანამდებობის პირისათვის – დამატებით მის მიერ პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის (ოჯახზე თითო სატრანსპორტო საშუალების, მაცივრის, კომპიუტერისა და ტელევიზორის) იმპორტი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის ბრძანება №275 წლის „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ დანართი #1 (სეს ესნ) 28-ე ჯგუფი მოიცავს: არაორგანულ ქიმიის პროდუქტებს; ძვირფასი ლითონების, იშვიათი მიწათა ლითონების, რადიოაქტიური ელემენტების ან იზოტოპების არაორგანულ ან ორგანულ ნაერთებს; 97-ე ჯგუფი კი მოიცავს: ხელოვნების ნიმუშები, საკოლექციო ნივთები და ანტიკვარიატი.

ვრცლად იხ. **საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის ბრძანება №275 წლის „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“** დანართი #1, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3

[104] საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლისას (რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით გაცემული შესაბამისი დოკუმენტით) საქონლის საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის, ოჯახზე ერთი სატრანსპორტო საშუალების) იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის.

მონაწილეებს შორის 1999 წლის 18 ნოემბრის სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის ფარგლებში მილსადენით გადაადგილებული ნავთობის ტრანზიტის პროცედურაში დეკლარირების შემთხვევისა) დანართი №8-II-01-ის შესაბამისად.

ზემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტებს ასევე თან ერთვის:

- თუ დეკლარირება ხორციელდება წარმომადგენლის მეშვეობით – წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი (იმ შემთხვევების გარდა, როდესაც წარმომადგენლობას ახორციელებს საფოსტო გზავნილის გადამზიდავი, ხოლო საბაჟო საწყობში განთავსებულ საქონელზე – საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მფლობელი);
- თუ დეკლარირებული საქონლის სატრანსპორტო საშუალების მიმართ ადგილი ჰქონდა საბაჟო ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტს – საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და შესაბამისი ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) 8429, 8701, 8702, 8703, 8704, 8705, 8711 (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ3-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავას შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) და 8716 (მისაბმელები და ნახევრადმისაბმელები) სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე – სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სპეციალისტის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების საექსპერტო შემოწმების საფუძველზე შედგენილი „მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერების აქტი (ფორმა 2)“ – მხოლოდ თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების, მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების, ექსპორტის, საბაჟო საწყობის, დროებით შემოტანის საბაჟო პროცედურების ან რეექსპორტის გამოყენებისას (გარდა ამ ბრძანებით გათვალისწინებული შემთხვევებისა);
- სეს ესნ-ის 8711 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებულ მოტოციკლებზე (მოპედების ჩათვლით) (ძრავას ცილინდრების მუშა მოცულობით არაუმეტეს 50 სმ3-ისა, ხოლო ელექტროძრავას შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრით არაუმეტეს 4 კვტ-ისა) თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურის გამოყენებისას (გარდა ამ ბრძანებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) – სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობა ან საჯარო სამართლის იურიდიული

პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან დადგენილი წესის შესაბამისად აკრედიტებული პირების ან შესაბამისი მარკის ავტოსატრანსპორტო საშუალების საქართველოში არსებული წარმომადგენლობის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სატრანსპორტო საშუალების მონაცემებს (საიდენტიფიკაციო (VIN/შასის) ნომერი, გამოშვების წელი, ძრავას მოცულობა, მარკა, მოდელი).

- თუ რეექსპორტში დეკლარირების მიზნით წარდგენილი, სეს ესნის 8429, 8701, 8702, 8703, 8704, 8705, 8711 და 8716 (მისაბმელები და ნახევრადმისაბმელები) სასაქონლო პოზიციებში კლასიფიცირებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მფლობელის მხრიდან ადგილი ჰქონდა სხვა სატრანსპორტო საშუალებაზე საქართველოს საბაჟო კოდექსის 165-ე ან/და 172-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტს – შესაბამისი ჯარიმის გადახდისა და წარმოშობილი საგადასახადო ან/და საბაჟო ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი.

- წინმსწრები დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში) – დეკლარაცია, მოწმობა;

- გამარტივებული საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებას დაქვემდებარებულ საქონელზე, ამ ინსტრუქციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საგანგებო მდგომარეობის ან საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში:

- წერილობითი განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას საგანგებო სიტუაციის გარემოებების თაობაზე;

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის მიერ გაცემული წერილობითი დასტური დეკლარირებული საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების, ან ექსპორტის, ან შესაბამისი ტექნიკის სახით საქონლის დროებით შემოტანის საჭიროების შესახებ, რაც უნდა შეიცავდეს აგრეთვე ინფორმაციას საქონლის მიმწოდებელი და მიმღები ორგანიზაციების თაობაზე;

- ლიცენზია/ნებართვა/სერტიფიკატი კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, დანართი №8-II-02-ის შესაბამისად. ამასთან, ექსპორტის პროცედურის გამოყენებისას ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენა შესაძლებელია დეკლარანტის ბეჭდითა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ხელმოწერით დამოწმებული ასლების სახით;

- გარანტია, ამ ბრძანებით დამტკიცებული „გარანტიის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №4) პირველი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

- საგადასახადო შეღავათით სარგებლობისათვის – შესაბამისი დოკუმენტი დანართი №8-II-03-ის შესაბამისად;
- პრეკურსორის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების შემთხვევაში – წინასწარი შეთანხმების დოკუმენტი;
- პრეკურსორის ექსპორტის შემთხვევაში – წინასწარი შეთანხმების დოკუმენტი;
- ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების, საბაჟო საწყობის, დროებით შემოტანისა და შიდა გადამუშავების პროცედურის შემთხვევაში – „საერთო ვეტერინარული შესვლის დოკუმენტი“;
- ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების, საბაჟო საწყობის, დროებით შემოტანისა და შიდა გადამუშავების პროცედურის შემთხვევაში – „საერთო ფიტოსანიტარიული შესვლის დოკუმენტი“.
- არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების შემთხვევაში – „საერთო შესვლის დოკუმენტი“, „არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის №567 დადგენილებით დამტკიცებული ფორმით;
- სეს ესნ-ის 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებულ 0-დან 6 წლის ჩათვლით ჰიბრიდულ მსუბუქ ავტომობილებზე, რომლებსაც საჭე მარჯვენა მხარეს აქვს ან გადატანილი აქვს, ან ამავე სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებულ ელექტროძრავიან მსუბუქ ავტომობილებზე, რომლებსაც საჭე მარჯვენა მხარეს აქვს ან გადატანილი აქვს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის მე-100 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ტრანსპორტირების დაწყების თარიღის დასადგენად:
- კონოსამენტი, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს საზღვაო გადამზიდავის მიერ ამ საქონლის (ტვირთის) გემზე მიღების თარიღი, ან
- საზღვაო გადამზიდავის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მსუბუქი ავტომობილის საზღვაო კონტეინერში ჩატვირთვასა და გამომგზავნ საზღვაო პორტში მიღებას 2019 წლის 1 ივნისამდე. ამასთან, ასეთი დოკუმენტი სხვა მონაცემებთან ერთად უნდა შეიცავდეს კონტეინერის ნომერს და მსუბუქი ავტომობილის საიდენტიფიკაციო (VIN) ნომერს.
- „საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ“ სტამბოლის 1990 წლის 26 ივნისის კონვენციის ან „საქონლის დროებითი შემოტანისათვის ATA წიგნაკის შესახებ“ ბრიუსელის 1961 წლის 6 დეკემბრის საბაჟო

კონვენციის (ATA კონვენცია) შესაბამისად გადაადგილებული საქონლის ექსპორტის (დროებით, დაბრუნების პირობით) პროცედურაში დეკლარირების და ამ საქონლის უკან დაბრუნების შემთხვევაში – ATA წიგნაკი.

- ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პანდემიად გამოცხადებული ახალი კორონავირუსის (COVID-19) საფრთხის შემცირებამდე და მისი შემცირების შემდგომ ევროკომისიის სათანადო შეტყობინების მიღებამდე, 2014 წლის 27 ივნისის „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ და „ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნებსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ 2016 წლის 27 ივნისის შეთანხმებით გათვალისწინებული შეღავათით სარგებლობის მიზნით, „პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის პრეფერენციული წარმოშობის წესების შესახებ“ რეგიონული კონვენციის I და II დანართების შესაბამისად გაცემული პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი EUR.1 შესაძლებელია წარდგენილ იქნეს დეკლარანტის მიერ ხელმოწერითა და ბეჭდით (არსებობის შემთხვევაში) დამოწმებული ასლის სახით, ამ ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად – ელექტრონულად ან მატერიალური ფორმით და ა.შ[105].

ინსტრუქციის „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“; **მუხლი 14-ე არეგულირებს საქონლის საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანას საქონლის გაშვების შემდეგ, კერძოდ:** საბაჟო ორგანო უფლებამოსილია საქართველოს საბაჟო კოდექსის საბაჟო დეკლარაციაში ცვლილებების შეტანისას[106] დეკლარანტის წერილობითი განცხადების საფუძველზე შეცვალოს საქონლის საბაჟო დეკლარაციაში მითითებული მონაცემები საქონლის გაშვების შემდეგ, **ამასთან:**

---

[105] ვრცლად იხ. ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია (დანართი №8) „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“; ასევე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის ბრძანება №2752020 წლის „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ დანართი #1, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3

[106] იხ. საბაჟო კოდექსი მ.90.

• ა) საქონლის საბაჟო დეკლარაციაში ცვლილებით საქონლის რაოდენობის (გრაფები: 38, 41) ან/და საქონლის ღირებულებისა და საქონლის საბაჟო ღირებულების (გრაფები: 42, 46) ან/და გადასახდელის თანხის (გრაფები: 47, B) შემცირება შესაძლებელია მხოლოდ საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის შედეგებზე დაყრდნობით საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილების შესაბამისად (გარდა ამ პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა);[107]

• ბ) როდესაც დეკლარანტი წარადგენს წარმოშობის სერტიფიკატს, რომელიც ითვალისწინებს იმპორტის გადასახადის შეღავათიანი განაკვეთის ან/და შეღავათების (პრეფერენციების) გამოყენებას, იმპორტის გადასახდელის თანხის (გრაფები: 47, B)[108] შემცირება შესაძლებელია საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის გარეშე;

• გ) საბაჟო ორგანოში დეკლარანტის წერილობითი განცხადების საფუძველზე შესაძლებელია საქონლის საბაჟო დეკლარაციაში ცვლილება განხორციელდეს საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის გარეშე, თუ:

- გ.ა) საქონელს არ დაუტოვებია საბაჟო ორგანოს ტერიტორია;
- გ.ბ) საქონელს არ დაუტოვებია საბაჟო საწყობის ტერიტორია. ამასთან, როდესაც დანაკლისი არ აღემატება საქონლის საბაჟო დეკლარაციაში აღნიშნული საქონლის რაოდენობის 3 პროცენტს, დეკლარაციაში შესაბამისი ცვლილება ხორციელდება საბაჟო საწყობის მიერ გაცხადებული საქონლის რაოდენობის გათვალისწინებით;
- გ.გ) საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებაზე არ არის დარღვეული იდენტიფიკაციის საშუალების მთლიანობა;
- გ.დ) დეკლარირებული საქონლის მონაცემები არასწორად აისახა საქონლის საბაჟო დეკლარაციაში;
- გ.ე) ცვლილება ხორციელდება საქართველოდან ექსპორტით, რეექსპორტით ან ტრანზიტით, საზღვაო გზით გასატან, ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლის მე-8 და 8[1] პუნქტებით გათვალისწინებულ საქონელზე წარდგენილ საქონლის საბაჟო დეკლარაციაში, საქონლის დროებით შენახვისას ან საზღვაო სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვისას;

---

[107] აღნიშული გრაფები იხ. ინსტრუქციაში „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ".

[108] იხ. სქ. 107.

• გ.ვ) დეკლარირებული საქონლის საბაჟო ღირებულება მცირდება არაუმეტეს 2 000 ლარით ან/და გადასახდელის თანხა მცირდება არაუმეტეს 650 ლარით, ხოლო დეკლარანტის წერილობით განცხადებასთან ერთად წარმოდგენილია საქონლის შესყიდვის დოკუმენტი და უნაღდო ანგარიშსწორების დამადასტურებელი დოკუმენტი ან სხვა სათანადო მტკიცებულებები.

• დ) საქონლის საბაჟო დეკლარაციაში ცვლილებით საქონლის რაოდენობის ან/და ღირებულების ან/და საქონლის საბაჟო ღირებულების ან/და გადასახდელის თანხის გაზრდა დასაშვებია მხოლოდ დეკლარანტის ინიციატივით, საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის დაწყებამდე. ამასთან, ეს ცვლილება არ შეიძლება შეეხებოდეს იმ საქონელს, რომელიც ამ დეკლარაციით თავდაპირველად დეკლარირებული არ იყო და ასეთი საქონლის გამოვლენის შემთხვევაში, გაფორმების საბაჟო ორგანო დადგენილი წესით აფიქსირებს საბაჟო სამართალდარღვევას, ვალდებულ პირს წარედგინება საგადასახადო მოთხოვნა დამატებით დარიცხული გადასახადის (გადასახდელის) თანხაზე, ხოლო საქონლის საბაჟო დეკლარაციაში ცვლილება არ ხორციელდება.

დეკლარანტის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს მტკიცებულებები, რაც წარმოადგენს საქონლის საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების განხორციელების საფუძველს და დეკლარანტთან არსებული საქონლის საბაჟო დეკლარაციის ეგზემპლარი.

დეკლარანტის განცხადებისა და საქონლის საბაჟო დეკლარაციის შესაბამის გრაფებში მითითებული მონაცემების შემოწმებას საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი ახორციელებს საბაჟო დეკლარაციის შემოწმებას ამ ბრძანებით დამტკიცებული „საბაჟო კონტროლის შესახებ" ინსტრუქციით (დანართი №2)[109] განსაზღვრული წესით.

საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის განხორციელებისას:

• ა) თუ ასეთი კონტროლი ხორციელდება საბაჟო ორგანოს ინიციატივით და იგი დაადგენს, რომ დეკლარირებული საქონლის რაოდენობა ან/და ღირებულება ან/და საბაჟო ღირებულება ან/და სახეობათა რაოდენობა ან/და გადასახდელის თანხის ოდენობა

[109] დანართის შესახებ იხ. ინსტრუქცია „საბაჟო კონტროლის შესახებ".

შემცირებულია, დადგენილი წესით ხორციელდება საბაჟო სამართალდარღვევის დაფიქსირება და ვალდებულ პირს წარედგინება საგადასახადო მოთხოვნა დამატებით დარიცხული გადასახადის (გადასახდელის) ან/და საბაჟო სამართალდარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმის თანხებზე, ხოლო საქონლის საბაჟო დეკლარაციაში ცვლილება არ ხორციელდება;

• გ) თუ ასეთი შემოწმება ხორციელდება დეკლარანტის ინიციატივით – საქონლის საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანის შესახებ დეკლარანტის წერილობითი განცხადების საფუძველზე, დეკლარანტს ჯარიმა არ დაეკისრება, ამასთან, თუ საბაჟო ორგანო დაადგენს, რომ ცვლილების შედეგად შემცირდება დეკლარირებული საქონლის რაოდენობა ან/და ღირებულება ან/და საბაჟო ღირებულება ან/და გადასახდელის თანხის ოდენობა, იგი დადგენილი წესით ახორციელებს ცვლილებას საქონლის საბაჟო დეკლარაციაში.

საქონლის საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანა ხორციელდება საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ ამ დეკლარაციის ელექტრონულ ვერსიაში ცვლილების შეტანით და ახალი ეგზემპლარის გაცემით.

რა შემთხვევაში ბდება საბაჟო დეკლარაციის ბათილად ცნობა?

საქონლის გაშვებამდე საბაჟო დეკლარაცია ბათილად შეიძლება იქნეს ცნობილი საბაჟო ორგანოს ინიციატივით:

• ა) თუ დეკლარაციით გაცხადებულია საქონელი, რომლის საქართველოში შემოტანა/საქართველოდან გატანა ან/და რომლის მიმართ გაცხადებული საბაჟო პროცედურის გამოყენება აკრძალულია;

• ბ) როდესაც დეკლარანტის მიერ დადგენილ ვადაში არ იქნა წარდგენილი კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზიები ან ნებართვები;

• გ) თუ შეუძლებელია ან შეცდომით მოხდა საქონლის მიმართ გაცხადებული საბაჟო პროცედურის გამოყენება;

• დ) საქონლის განკარგვის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში[110];

• ე) კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ან დეკლარირებული სატრანსპორტო საშუალების მიმართ სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელი ორგანოს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-80 მუხლით[111] გათვალისწინებული ღონისძიებების (მესაკუთრისათვის ან კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნება ან სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევა) გამოყენების შემთხვევაში;

---

[110] საბაჟო კოდექსის XV თავით.

[111] „გადაწყვეტილება ნივთიერი მტკიცებულების შესახებ სისხლის სამართლის პროცესის დამთავრებისას“. მაგალითად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-80 მუხლის 1-3 ნაწილების თანახმად, „სისხლის სამართლის პროცესის დამთავრებამდე საგამოძიებო ორგანო მესაკუთრეს ან მფლობელს უბრუნებს მალფუჭებად საგნებს, ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში აუცილებელ საგნებს, შინაურ ცხოველებსა და ფრინველებს, თუ მათ ყადაღა არა აქვს დადებული. სისხლის სამართლის პროცესის დამთავრებამდე საგამოძიებო ორგანომ მესაკუთრეს ან მფლობელს შეიძლება დაუბრუნოს სატრანსპორტო საშუალებები, კომპიუტერული სისტემა ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახი საშუალებები, თუ მათ ყადაღა არა აქვს დადებული. თუ ნივთიერი მტკიცებულება არის სატრანსპორტო საშუალება, რომელიც მესაკუთრის/მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ გავიდა მისი კანონიერი მფლობელობიდან, საქმის მწარმოებელი ორგანო უშუალოდ ან უფლებამოსილი ორგანოს მეშვეობით წერილობით შესთავაზებს მესაკუთრეს/კანონიერ მფლობელს, თუ ეს პირი ცნობილია, დაიბრუნოს კუთვნილი საგანი. საქმის მწარმოებელმა ორგანომ წერილობითი შეტყობინება საგნის მესაკუთრეს/კანონიერ მფლობელს მისი ვინაობის დადგენისთანავე უნდა გაუგზავნოს. წერილობითი შეტყობინების მიღება დასტურდება უფლებამოსილი ორგანოს მიერ წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტით ან ამ შეტყობინებაზე საგნის მესაკუთრის/კანონიერი მფლობელის ხელმოწერით, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – შესაბამისად ოჯახის წევრის ან/და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით. სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე/კანონიერი მფლობელი წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 90 დღის ვადაში საკუთარი ხარჯით უზრუნველყოფს კუთვნილი საგნის დაბრუნებასა და

• ვ) თუ დეკლარირება განხორციელდა არაუფლებამოსილი პირის მიერ;

• ზ) თუ დეკლარირებული საქონლის ფაქტობრივი წარდგენა საბაჟო ორგანოსათვის შეუძლებელია, გარდა საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა, როდესაც საქონლის საბაჟო პროცედურაში მოქცევა შესაძლებელია მისი ფაქტობრივი წარდგენის გარეშე;

• თ) თუ დეკლარირებული საქონლის პარტიაში ან დეკლარირებული საქონლის ნაცვლად აღმოჩნდა საქონელი, რომელიც ამ დეკლარაციით თავდაპირველად დეკლარირებული არ იყო. ამ შემთხვევაში ხორციელდება ახალი საბაჟო დეკლარაციის წარდგენა, ბათილად ცნობილი საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებული და არადეკლარირებულ საქონლის დეკლარირების მიზნით, ხოლო საბაჟო სამართალდარღვევის ჩადენისთვის საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება საქართველოს საბაჟო კოდექსის 163-ე მუხლის მე-13 ნაწილის[112]

ტრანსპორტირებას. თუ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საგნის მესაკუთრე ან კანონიერი მფლობელი ცნობილი არ არის, არ არსებობს ამ საგნის კანონიერი წარმომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან აღნიშნული საგნის დაბრუნება შეუძლებელია სხვა მიზეზით, საგანი შეიძლება ჩაჰბარდეს შესაბამის პირს (ორგანიზაციას) გამოსაყენებლად, შესანახად ან მოსავლელად....". სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული საგნის განკარგვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თანაავტ. https://sdasu.edu.ge/media/1001542/2017/12/16/6ef3a43b9a3432caef47ce80898b0e61

[112] პირს საბაჟო დეკლარაციაში არასწორი მონაცემის შეტანისთვის ამ კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ ეკისრება, თუ: ა) საბაჟო დეკლარაციაში ცვლილება შეტანილ იქნა ამ კოდექსის 90-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების შესაბამისად; ბ) საქონლის გაშვებამდე შემოწმებისას აღმოჩენილი არადეკლარირებული საქონლის (გარდა მალუ-

გათვალისწინებით, კერძოდ: პირს საბაჟო დეკლარაციაში არასწორი მონაცემის შეტანისთვის ამ კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ ეკისრება, თუ:

- ა) საბაჟო დეკლარაციაში ცვლილება შეტანილ იქნა საბაჟო კოდექსის 90-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების შესაბამისად;

საბაჟო კოდექსის 90-ე მუხლის 1ლი ნაწილის თანახმად: „დეკლარანტის განცხადების საფუძველზე რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაში შესაძლებელია ცვლილების შეტანა. ეს ცვლილება არ შეიძლება შეეხებოდეს იმ საქონელს, რომელიც ამ დეკლარაციით თავდაპირველად დეკლარირებული არ იყო", ხოლო მე-3 ნაწილი ითვალისწინებს შემთხვევას, როცა: საქონლის გაშვების შემდეგ, საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციიდან 3 წლის განმავლობაში საბაჟო ორგანომ დეკლარანტს მისი განცხადების საფუძველზე შეიძლება მისცეს უფლება, რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაში შეიტანოს ცვლილება საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის განხორციელების შესახებ სასამართლოს ან საბაჟო ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილების ჩაბარებამდე, თუ დეკლარანტი ასრულებს საქონლის შესაბამის საბაჟო პროცედურაში მოქცევასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს".

- ბ) საქონლის გაშვებამდე შემოწმებისას აღმოჩენილი არადეკლარირებული საქონლის (გარდა მალულად გადაადგილებული საქონლისა და საბაჟო კოდექსის 169-ე მუხლით გათვალისწინებული ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდისა) საბაჟო ღირებულება არ აჭარბებს **15 000 ლარს** და არ აღემატება დეკლარირებული საბაჟო ღირებულების **5 პროცენტს**;

საბაჟო კოდექსის 169-ე მუხლში საუბარია საქართველოს საბაჟო საზღვარზე ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდის უკანონო გადატანა და გადმოტანისათვის დაკისრებულ სანქციებზე, რომლის შესახებაც ვრცელი კომენტარი იქნება შესაბამის პარაგრაფში.

ლად გადაადგილებული საქონლისა და ამ კოდექსის 169-ე მუხლით გათვალისწინებული ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდისა) საბაჟო ღირებულება არ აჭარბებს 15 000 ლარს და არ აღემატება დეკლარირებული საბაჟო ღირებულების 5 პროცენტს; გ) ამ კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული საბაჟო სამართალდარღვევა გამოვლინდა საქონლის გაშვებამდე.

• გ) საბაჟო დეკლარაციაში საქონლის საბაჟო ღირებულების შეცვლისას საბაჟო სამართალდარღვევა გამოვლინდა საქონლის გაშვებამდე[113].

საქონლის გაშვებამდე საბაჟო დეკლარაცია ბათილად შეიძლება იქნეს ცნობილი თუ საბაჟო ორგანომ დეკლარანტის განცხადების საფუძველზე ბათილად უნდა ცნოს რეგისტრირებულისაბაჟო დეკლარაცია, თუ შესრულებულია ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

• ა) საბაჟო ორგანო დარწმუნდა, რომ შესაბამისი საქონელი დაუყოვნებლივ უნდა მოექცეს განცხადებულისგან განსხვავებულ საბაჟო პროცედურაში;

• ბ) განსაკუთრებული გარემოებების გამო გაუმართლებელია საქონლის მიმართ განცხადებული საბაჟო პროცედურის გამოყენება[114].

საბაჟო ორგანომ დეკლარანტის განცხადების საფუძველზე ბათილად უნდა ცნოს რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაცია, თუ შესრულებულია ერთ-ერთი შემდეგი პირობა: საბაჟო ორგანო დარწმუნდა, რომ შესაბამისი საქონელი დაუყოვნებლივ უნდა მოექცეს განცხადებულისგან განსხვავებულ საბაჟო პროცედურაში; განსაკუთრებული გარემოებების გამო გაუმართლებელია საქონლის მიმართ განცხადებული საბაჟო პროცედურის გამოყენება[115]; ასევე „საბაჟო დეკლარაცია ბათილად შეიძლება იქნეს ცნობილი დეკლარანტის განცხადების საფუძველზე, თუ დეკლარირებული საქონელი მოექცევა განცხადებულისაგან განსხვავებულ საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში“, ინსტრუქციის **„საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ“, თავი I „თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურა“, მე-2 მუხლის მ-ე 4 პუნქტის მე-2 პუნქტის გამოყენების შემთხვევაში, კერძოდ,** „საბაჟო დეკლარაციის დამუშავებისას მასში მითითებული მონაცემების იმპორტის გადა-

[113] იხ. საბაჟო კოდექსის 173-ე მუხლის კომენტარი.

[114] საბაჟო კოდექსი მ. 91.6.1.

[115] იხ. საბაჟო კოდექსის 91-ე მუხლის პირველი ნაწილის კომენტარი.

სახდელზე საბაჟო ან/და საგადასახადო ვალდებულების შესრულების რისკის პროფილთან თანხვედრის შემთხვევაში, საქონელი გაიშვება გარანტიის წარდგენით. საქონლის გაშვება აგრეთვე შესაძლებელია კუთვნილი იმპორტის გადასახდელის სრულად გადახდით ან იმპორტის გადასახდელის ნაწილზე გარანტიის წარდგენითა და დანარჩენ ნაწილზე თანხის გადახდით.“ ამასთან, თუ საბაჟო ორგანომ დეკლარანტს შეატყობინა საბაჟო დეკლარაციის შემოწმების განზრახვის შესახებ, ამ საბაჟო დეკლარაციის ბათილად ცნობის თაობაზე დეკლარანტის განცხადება არ მიიღება საქონლის შესწავლის დასრულებამდე.

საქონლის გაშვების შემდეგ საბაჟო დეკლარაცია ბათილად შეიძლება იქნეს ცნობილი შემდეგ შემთხვევებში:

- ა) დათვალიერების გარეშე გაშვებული საქონლის პარტიაში გაფორმების საბაჟო ორგანოს მიერ არადეკლარირებული საქონლის აღმოჩენისას, თუ საქონელს არ დაუტოვებია საბაჟო ორგანოს ტერიტორია ან საბაჟო საწყობის ტერიტორია. ამ შემთხვევაში გაფორმების საბაჟო ორგანო დადგენილი წესით აფიქსირებს საბაჟო სამართალდარღვევას და ხორციელდება ახალი საბაჟო დეკლარაციის წარდგენა, ბათილად ცნობილ საბაჟო დეკლარაციაში მითითებული და არადეკლარირებული საქონლის დეკლარირების მიზნით;
- ბ) თუ დეკლარანტის წერილობითი განცხადებით დასტურდება, რომ დათვალიერების გარეშე გაშვებული საქონლის ნაცვლად აღმოჩნდა სხვა საქონელი – საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის შედეგებზე დაყრდნობით საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილების შესაბამისად. ამ შემთხვევაში საბაჟო ორგანო დადგენილი წესით აფიქსირებს საბაჟო სამართალდარღვევას;
- გ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ან დეკლარირებული სატრანსპორტო საშუალების მიმართ სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელი ორგანოს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-80

მუხლით[116] გათვალისწინებული ღონისძიებების (მესაკუთრისათვის ან კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნება ან სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევა) გამოყენებისას;

• დ) საბაჟო ორგანო დარწმუნდა, რომ შესაბამისი საქონელი დაუყოვნებლივ უნდა მოექცეს განცხადებულისგან განსხვავებულ საბაჟო პროცედურაში 117 ან კიდევ, განსაკუთრებული გარემოებების გამო გაუმართლებელია საქონლის მიმართ განცხადებული საბაჟო პროცედურის გამოყენება 118, როდესაც შესაბამისი საქონლის იდენტიფიცირება შესაძლებელია;

როგორც ნორმიდან იკვეთება, საქონლის გაშვების შემდეგ საბაჟო დეკლარაციის ბათილად ცნობის შემთხვევებზე საუბრისას **„დ" ქვეპუნქტის** გამოყენებისას კანონმდებელი ითვალისწინებს ალტერნატივას 91-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი ან მე-2 ნაწილის გამოყენების შემთხვევებზე, როცა საბაჟო ორგანო უფლებამოსილია დეკლარანტის განცხადების საფუძველზე ბათილად ცნოს რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაცია, თუ შესრულებულია ზემოთ აღნიშნული ერთ-ერთი პირობა.

• ე) თუ დადგინდა, რომ თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებულ საქონელს აქვს დეფექტი ან მისი რაოდენობა, ხარისხი, შეფუთვა ან აღწერილობა არ შეესაბამება საგარეო-ეკონომიკური გარიგების პირობებს და ამის გამო იგი მომწოდებელს ან მის მიერ მითითებულ სხვა პირს უბრუნდება, შეიძლება ეს საქონელი დაექვემდებაროს რეექსპორტს. ამ შემთხვევაში თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებულ საქონელს ჩამოერთმევა საქართველოს საქონლის სტატუსი და მისი რეექსპორტის განხორციელების შემდეგ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო დეკლარაცია ბათილად იქნება ცნობილი.

• თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული საქონლის რეექსპორტის განხორციელების შემდეგ. ამასთანავე, თუ ამ ქვეპუნქტის შესაბამისად ხორციელდება თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული

---

[116] იხ. 123-ე სქოლიო.

[117] საბაჟო კოდექსის 91-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[118] საბაჟო კოდექსის 91-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

საქონლის ნაწილის რეექსპორტი, იმავე საქონლის დარჩენილ ნაწილზე იმპორტის გადასახდელის გადაანგარიშება მოხდება საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის შედეგებზე დაყრდნობით საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

დეკლარანტის განცხადებას თან უნდა ერთოდეს მტკიცებულებები, რაც წარმოადგენს საქონლის საბაჟო დეკლარაციის ბათილად ცნობის საფუძველს და დეკლარანტთან არსებული საბაჟო დეკლარაციის ეგზემპლარი[119].

საქართველოს საქონლის მიერ საბაჟო სტატუსის დაკარგვა. საბაჟო კოდექსის 81-ე მუხლი ჩამოთვლის შემთხვევებს, როცა ხდება საქართველოს საქონლის მიერ საბაჟო სტატუსის დაკარგვა, კერძოდ: **საქონელი კარგავს საქართველოს საქონლის სტატუსს და იძენს უცხოური საქონლის სტატუსს, თუ:**

- ა) ის გაიტანება საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან;
- ბ) ის ექცევა ტრანზიტის, საბაჟო საწყობის, თავისუფალი ზონის ან შიდა გადამუშავების პროცედურაში, თუ ეს დაშვებულია საქართველოს კანონმდებლობით;
- გ) ის მოქცეულია საბაჟო პროცედურაში მიზნობრივი დანიშნულებით და შემდეგ გადაეცემა სახელმწიფოს ან ნადგურდება ისე, რომ რჩება ნარჩენი;
- დ) საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო დეკლარაცია საქონლის გაშვების შემდეგ ბათილად იქნა ცნობილი.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანაზე, თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებაზე, საქონლის მიზნობრივ გამოყენებაზე, განდგურებაზე და ა.შ. ვრცელი საუბარი იყო საბაჟო სამართლის დამხმარე სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში[120] და ამ საკითხებს ისევ დავუბრუნდებით იმ პარაგრაფებში, სადაც ვრცელი კომენტარი იქნება საქონლის

---

[119] ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“ მუხლი 14[1], „საბაჟო დეკლარაციის ბათილად ცნობა“.

[120] ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, პირველი ნაწილი, 2021.

საბაჟო დამუშავების სპეციალურ ოპრაციებზე და საბაჟო ფორმალობებზე და ა.შ[121].

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე" განსაზღვრულ შემთხვევაში, იმ საქონელს, რომელიც მთლიანად მიღებულია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, არ აქვს საქართველოს საქონლის სტატუსი, თუ ის მიღებულია დროებით შენახული საქონლისგან ან ტრანზიტის, საბაჟო საწყობის, დროებით შემოტანის ან შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლისგან.

რაც შეეხება საქონლის დროებით შენახვას, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი, სანამ მასზე განისაზღვრებოდეს კონკრეტული საბაჟო პროცედურა, შეიძლება მისი საბაჟო საწყობში დროებითი შენახვა გარკვეული საბაჟო ფორმალობების დაცვით. საქონელი შემოტანისთანავე ექვემდებარება საბაჟო ზედამხედველობას და შეიძლება დაექვემდებაროს საბაჟო კონტროლის პროცედურებს. ინსტრუქციის (დანართი №6) „საქონლის დროებითი შენახვის შესახებ" თანახმად, საქონლის დროებით შენახვა შესაძლებელია საბაჟო საწყობში, საბაჟო ორგანოს საწყობში, გაფორმების ეკონომიკურ ზონაში ან შენახვის სხვა ადგილზე, სადაც არსებობს საქონლის შენახვის შესაბამისი პირობები.[122]

რაც შეეხება საქართველოს საქონლის საბაჟო სტატუსის მინიჭების, დადასტურებისა და შემოწმების წესებს, აგრეთვე ცალკეული შემთხვევებს, როდესაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე არსებული საქონელი საქართველოს საქონლის სტატუსის მქონე საქონლად არ მიიჩნევა, განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს ბრძანებით „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე"[123], რომლის შესახებაც დაწვრილებითი საუბარი იქნება სპეციალურ ოპერაციებზე და სხვა პროცედურებზე საუბრისას შესაბამის თავებში.

---

[121] იხ. ია ხარაზი, საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, თბილისი, 2021.

[122] საქონლის დროებითი შენახვის შესახებ მოგვიანებით შესაბამის პარაგრაფში ვრცლად იქნება საუბარი.

[123] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

1.2. საქართველოს საქონლის მიერ საბაჟო სტატუსის დაკარგვა

საბაჟო კოდექსის 81-ე მუხლი ითვალისწინებს შემთხვევებს, როცა საქონელი კარგავს საქართველოს საქონლის სტატუსს და იძენს უცხოური საქონლის სტატუსს, კერძოდ:

- ა) ის გაიტანება საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან;

მაგალითი:

საქონლის გარე გადამუშავების პროცედურა საშუალებას იძლევა საქონელი დროებით იქნეს გატანილი საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ და საქართველოს საქონლის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს გადამუშავების ერთი ან რამდენიმე ოპერაცია[124].

ინსტრუქციის (დანართი №14) „გარე გადამუშავების პროცედურის შესახებ", მუხლი 8 (მე-2 ნაწილი) თანახმად, „გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანილი საქონელი გადამუშავების ვადის გასვლამდე შესაძლებელია მოექცეს ექსპორტის პროცედურაში, საქონლის საბაჟო ორგანოსათვის წარდგენის გარეშე, თუ დეკლარანტი საბაჟო ორგანოს წარუდგენს ამ საქონლის გასხვისების დოკუმენტს"; ან კიდევ, „ექსპორტის პროცედურა საშუალებას იძლევა თუ საქართველოს საქონელი გატანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან...".[125]

- ბ) ის ექცევა ტრანზიტის, საბაჟო საწყობის, თავისუფალი ზონის ან შიდა გადამუშავების პროცედურაში, თუ ეს დაშვებულია საქართველოს კანონმდებლობით;

ტრანზიტის პროცედურა საშუალებას იძლევა, უცხოური საქონელი გადაადგილდეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე მდებარე ორ პუნქტს შორის. ტრანზიტის პროცედურის გამოყენება არ იწვევს: იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულების წარმოშობას; საქონლის მიმართ ვაჭრობაში დამცავი ღონისძიების გამოყენებას, თუ ამ საქონლის საქართველოს

---

[124] საქართველოს საბაჟო კოდექსი, მ. 148.ნ.1. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=5

[125] საქართველოს საბაჟო კოდექსი, მ. 158. ნ.1; ინსტრუქცია „ექსპორტის პროცედურის შესახებ"(დანართი №15), მ.1.

საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალული არ არის[126].

თავისუფალი ზონა საშუალებას იძლევა, მისი ტერიტორია გამოყენებულ იქნეს საბაჟო კოდექსის 132-ე მუხლით[127] გათვალისწინებული ნებადართული საქმიანობისთვის. თავისუფალ ზონაში: იმპორტის გადასახდელის გადახდისა და ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებების განხორციელებისთვის უცხოური საქონლის შეტანა არ მიიჩნევა საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მოქცევად და, შესაბამისად, ამ საქონელზე იმპორტის გადასახდელი არ გადაიხდევინება; საქართველოს საქონლის მოთავსებისას გამოიყენება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის ის ნორმები, რომლებიც გამოიყენება ექსპორტის პროცედურაში ანალოგიური საქონლის მოქცევისას (მათ შორის, საქართველოს საქონელს ენიჭება უცხოური საქონლის სტატუსი)[128].

შიდა გადამუშავების პროცედურის გამოყენებით უცხოური საქონლის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს გადამუშავების ერთი ან რამდენიმე ოპერაცია, რაც არ იწვევს: იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულების წარმოშობას; საქონლის მიმართ ვაჭრობაში დამცავი ღონისძიების გამოყენებას, თუ ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალული არ არის[129].

დაწვრილებით ზემოთ აღნიშნული საბაჟო პროცედურების შესახებ ვრცელი კომენტარი იქნება შესაბამის მუხლების კომენტირებისას, შესაბამის პარაგრაფებში.

---

126 საბაჟო კოდექსი, მ. 118; ინსტრუქცია „ტრანზიტის პროცედურის შესახებ “, მ.1.

127 „დასაშვებია თავისუფალ ზონაში ნებისმიერი საქონლის შეტანა, შენახვა, გადამუშავება, მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა, აგრეთვე თავისუფალი ზონიდან ნებისმიერი საქონლის გამოტანა, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“.

128 საბაჟო კოდექსი, მ. 128; ინსტრუქცია „თავისუფალი ზონის პროცედურის შესახებ“(დანართი №10). მ.1.

129 საბაჟო კოდექსი, მ. 142; „შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ“(დანართი №13), მ.1.

• გ) ის მოქცეულია საბაჟო პროცედურაში მიზნობრივი დანიშნულებით და შემდეგ გადაეცემა სახელმწიფოს ან ნადგურდება ისე, რომ რჩება ნარჩენი;

მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში საქონელი, მისი სპეციალური გამოყენების გათვალისწინებით, შეიძლება გაშვებულ იქნეს თავისუფალ მიმოქცევაში იმპორტის გადასახდელისგან გათავისუფლების პირობით[130]. მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში მოსაქცევი საქონლის კატეგორიას მიეკუთვნება: საქართველოს საგადასახადო კოდექსის 173-ე მუხლის „კ"[131], „უ"[132], „ძ"[133] ქვეპუნქტებში მითითებული საქონელი.

თუ საბაჟო ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონელი განადგურდა ან დაზიანდა, საქონლის მფლობელი ვალდებულია შესაბამის საბაჟო ორგანოს დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის შესახებ და წარუდგინოს საქონლის განადგურების ან დაზიანების უტყუარი, უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული მტკიცებულებები. სხვა შემთხვევაში საქონელი უკანონოდ განკარგულად მიიჩნევა.

მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონლის გამოყენების ან დამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენი ან/და ჯართი, მისი მიზნობრივი დანიშნულებისა და ბუნებრივი დაკარგვების გათვალისწინებით, იმავე მიზნით გამოსაყენებელ საქონლად მიიჩნევა. მიზნობრივი დანიშნულებით

---

[130] საბაჟო კოდექსი, მ. 141.

[131] აღნიშნულ ქვეპუნქტში საუბარია დღგ-ისაგან გათავისუფლებული განძეულობის ან/და სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ნივთის იმპორტზე.

[132] საუბარია დღგ-ისაგან გასათავისუფლებელ საქართველოს ეროვნული ბანკისათვის გადასაცემ ოქროს იმპორტზე;

[133] საუბარია დღგ-ისაგან გასათავისუფლებელ პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების იმპორტი, რომლებიც განკუთვნილია ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სამუშაოებში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისთვის და ა.შ. დაწვრ. იხ. ია ხარაზი, საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2020.

შემოტანილი საქონლის განადგურების შედეგად მიღებული ნარჩენი ან/და ჯართი საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეულად მიიჩნევა"[134].

• დ) საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო დეკლარაცია საქონლის გაშვების შემდეგ ბათილად იქნა ცნობილი.

ინსტრუქციის „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების და საქონლის მიზნობრივი გამოყენების პროცედურების შესახებ" (დანართი №12), მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით („იმპორტის გადასახდელის გადახდის ვადები") გათვალისწინებულ შემთხვევაში, „აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საბაჟო დეკლარაცია ბათილად შეიძლება იქნეს ცნობილი დეკლარანტის განცხადების საფუძველზე, თუ დეკლარირებული საქონელი მოქცევა განცხადებულისაგან განსხვავებულ საბაჟო პროცედურაში ან რეჟიმში".

ზემოთ მითითებულ მე-2 პუნქტში საუბარია იმის შესახებ, რომ: „საბაჟო დეკლარაციის დამუშავებისას მასში მითითებული მონაცემების იმპორტის გადასახდელზე საბაჟო ან/და საგადასახადო ვალდებულების შესრულების რისკის პროფილთან თანხვედრის შემთხვევაში, საქონელი გაიშვება გარანტიის წარდგენით. საქონლის გაშვება აგრეთვე შესაძლებელია კუთვნილი იმპორტის გადასახდელის სრულად გადახდით ან იმპორტის გადასახდელის ნაწილზე გარანტიის წარდგენითა და დანარჩენ ნაწილზე თანხის გადახდით".

A. დასამახსოვრებელი დებულებები!

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე არსებული ნებისმიერი საქონელი საქართველოს საქონლად მიიჩნევა, ვიდრე არ დადგინდება მისი, როგორც უცხოური საქონლის, სტატუსი.

პრეზუმფციები – სავარაუდო დასკვნებია, რომლებიც „ფაქტების ან მოვლენების ნამდვილობას ადგენენ მათი არსებობის სრული დასაბუთების გარეშე. ამგვარი განმარტების ავტორები პრეზუმფციებს ყოფენ ფაქტობრივ (paesumptionez facti seu hominis) და სამართლებრივ (paesumptionez iuris) პრეზუმფციებად, ხოლო სამართლებრივ პრეზუმფციებს შორის ანსხვავებენ ე.წ. ჩვეულებრივ პრეზუმფციებს, რომელთა უარყოფას დასაშვებად მიიჩნევენ (paesumptionez iuris tantum) და სამართლებრივ პრეზუმფციებს,

---

[134] საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანის შესახებ ნაწილობრივ, თემასთან კავშირში საუბარი იყო საბაჟო სამართლის დამხმარე სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში (ავტ. ია ხარაზი, თბ; 2020); ვრცლად აღნიშნული თემა მიმოხილული იქნება ქვემოთ, შესაბამის პარაგრაფში.

*რომლებიც გამორიცხავენ სანინააღმდეგოს დამტკიცების (პრეზუმფციების უარყოფის) შესაძლებლობას (**paesumptionez iuris de iure**).*

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის „საქართველოს სამაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ განსაზღვრულ შემთხვევაში იმ საქონელს, რომელიც მთლიანად მიღებულია საქართველოს სამაჟო ტერიტორიაზე, არ აქვს საქართველოს საქონლის სტატუსი, თუ ის მიღებულია დროებით შენახული საქონლისგან ან ტრანზიტის, სამაჟო საწყობის, დროებით შემოტანის ან შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლისგან.

B. კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის:

რა შემთხვევაში მიიჩნევა საქართველოს სამაჟო ტერიტორიაზე არსებული ნებისმიერ საქონელი საქართველოს საქონლად?

რა შემთხვევაში კარგავს საქონელი საქართველოს საქონლის სტატუსს და იძენს უცხოური საქონლის სტატუსს?

განმარტეთ მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონლის ცნება

როგორი საქონელი შეიძლება მოექცეს თავისუფალ მიმოქცევაში?

რა შემთხვევაში კარგავს საქონელი საქართველოს საქონლის სტატუსს?

C. ტესტები:

საქონელი კარგავს საქართველოს საქონლის სტატუსს და იძენს უცხოური საქონლის სტატუსს, თუ:

ა. ის გაიტანება საქართველოს სამაჟო ტერიტორიიდან; ის ექცევა ტრანზიტის, სამაჟო საწყობის, თავისუფალი ზონის ან შიდა გადამუშავების პროცედურაში, თუ ეს დაშვებულია საქართველოს კანონმდებლობით; ის მოქცეულია სამაჟო პროცედურაში მიზნობრივი დანიშნულებით . და შემდეგ გადაეცემა სახელმწიფოს ან ნადგურდება ისე, რომ რჩება ნარჩენი; საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების სამაჟო დეკლარაცია საქონლის გაშვების შემდეგ მათთლად იქნა ცნობილი

ბ. ის გაიტანება საქართველოს სამაჟო ტერიტორიიდან

გ. ის ექცევა ტრანზიტის, სამაჟო საწყობის, თავისუფალი ზონის ან შიდა გადამუშავების პროცედურაში, თუ ეს დაშვებულია საქართველოს კანონმდებლობით

დ. ის მოქცეულია სამაჟო პროცედურაში მიზნობრივი დანიშნულებით და შემდეგ გადაეცემა სახელმწიფოს ან ნადგურდება ისე, რომ რჩება ნარჩენი; საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების სამაჟო დეკლარაცია საქონლის გაშვების შემდეგ მათთლად იქნა ცნობილი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ შემთხვევაში იმ საჭონელს, რომელიც მთლიანად მიღებულია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, არ აქვს საქართველოს საჭონლის სტატუსი:

ა. თუ ის მიღებულია დროებით შენახული საჭონლისგან ან ტრანზიტის, საბაჟო საწყობის, დროებით შემოტანის ან შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საჭონლისგან

ბ. თუ ის მიღებულია დროებით შენახული საჭონლისაგან

გ. თუ ის მიღებულია ტრანზიტის პროცედურაში მიღებული საჭონლისგან

დ. თუ ის მიღებულია შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საჭონლისაგან.

D. გამოყენებული ლიტერატურა:

ია ბარაზი, საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, თბილისი, 2021.

ია ბარაზი, საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2020.

ია ბარაზი, „საგადასახადო სამართლებრივ რეგულირებაში პრეზუმპტიული მეთოდების გამოყენების შესახებ", „დიპლომატია და სამართალი", # 1(4), 2018, გვ. 46-68.

ბიზნესი და კანონმდებლობა – [რედ.იური პაპასქუა], ნოემბერი, 2009.

E. სამართლებრივი აქტები:

საკანონმდებლო აქტები:

საქართველოს საბაჟო კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=5

საქართველოს საგადასახადო კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/32842?publication=69

კანონქვემდებარე აქტები:

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საჭონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე",
https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

F. ვებრესურსები:

https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

2. საქონლის საბაჟო პროცედურაში მოქცევა

2.1. საბაჟო დეკლარაცია და საქართველოს საქონლის მიმართ საბაჟო ზედამხედველობის განხორციელება

საქონელზე, რომლის მიმართ საბაჟო ოპერაციები უნდა იქნეს გამოყენებული, სავალდებულოა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილებელი პირის მიერ წარდგენილ იქნეს საბაჟო დეკლარაცია, თუ საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საქონლის დეკლარირება შესაძლებელია:

- ა) საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის წარდგენით:
  - ა.ა) ელექტრონული (მონაცემთა ავტომატიზებული სისტემა „eCustoms“-ის (შემდგომში – „eCustoms“) ან გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემა „Oracle“-ს (შემდგომში – „Oracle“) ან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებული ბაზის მეშვეობით);
  - ა.ბ) მატერიალური ფორმით (საბაჟო ორგანოს თანხმობით, მონაცემებთა დამუშავების ელექტრონული საშუალებისაგან განსხვავებული სხვა საშუალებით);
- ბ) ზეპირად – მხოლოდ მგზავრის შემთხვევაში;
- გ) საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საშუალებით.

საბაჟო დეკლარაციის სახეებია:

- ა) სტანდარტული საბაჟო დეკლარაცია;
- ბ) გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია.
  - 2. სტანდარტული საბაჟო დეკლარაციის ფორმებია:
- ა) საქონლის საბაჟო დეკლარაცია;
- ბ) საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4;
- გ) ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია;
- დ) ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დეკლარაცია;
- ე) საფოსტო გზავნილების დეკლარაცია;
- ვ) ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაცია;
- ზ) ფარმაცევტული პროდუქტის საბაჟო დეკლარაცია;
- თ) ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ნაერთი საბაჟო დეკლარაცია;

• ი) ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ნაერთის საბაჟო დეკლარაცია;

• კ) ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული ცოცხალი ცხოველების ნაერთი საბაჟო დეკლარაცია.

საბაჟო დეკლარაციის სახეების შესახებ, მოგვიანებით გვექნება ვრცელი კომენტარი.

საქონელი, რომელიც განკუთვნილია საბაჟო პროცედურაში მოქცევისთვის, დეკლარირდება შესაბამისი საბაჟო პროცედურის საბაჟო დეკლარაციით.

ინსტრუქციის **„საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“ თავი I - ის „საქონლის წარდგენა გაფორმების ადგილზე და საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის განსაზღვრის დრო“** *(დანართი №8)* მიხედვით, **ინსტრუქციის მიზნებისათვის, გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობები:**

• ა) **სასაქონლო პარტია (გარდა ტრანზიტისა)** – ერთი ან რამდენიმე დასახელების საქონელი, გაგზავნილი ერთი სახეობის ტრანსპორტით ერთი მიმღების მისამართით, წარდგენილი საბაჟო პროცედურისათვის/რეექსპორტისათვის ერთდროულად, ერთი და იმავე საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით, მიუხედავად სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობისა და გადაზიდვის დამადასტურებელი დოკუმენტების რაოდენობისა; ერთი ხელშეკრულების საფუძველზე მილსადენი ტრანსპორტით ერთი საანგარიშო თვის განმავლობაში გადაადგილებული და ერთსა და იმავე საბაჟო პროცედურაში/რეექსპორტში მოქცეული საქონელი; ერთი ხელშეკრულების საფუძველზე ელექტროგადამცემი ხაზებით ერთი საანგარიშო თვის განმავლობაში გადაადგილებული ერთსა და იმავე საბაჟო პროცედურაში/რეექსპორტში მოქცეული ელექტროენერგია, ხოლო პარალელურ რეჟიმში მუშაობის დროს – ერთი ხელშეკრულების საფუძველზე ელექტროგადამცემი ხაზებით პარალელურ რეჟიმში მუშაობის ხელშეკრულების მოქმედების ვადაში სალდო გადადინებით გადაადგილებული ელექტროენერგია;

• ბ) **სასაქონლო პარტია – ტრანზიტის შემთხვევაში** – ერთი ან რამდენიმე დასახელების საქონელი, გაგზავნილი ერთი გამგზავნის მიერ ერთი მიმღების მისამართით ერთი ხელშეკრულების საფუძველზე, ერთი სატრანსპორტო საშუალებით (სარკინიგზო ტრანსპორტის შემ-

თხვევაში ერთი შემადგენლობით). ერთი ხელშეკრულების საფუძველზე მილსადენი ტრანსპორტით ერთი საანგარიშო თვის განმავლობაში გადაადგილებული და ერთსა და იმავე საბაჟო პროცედურაში მოქცეული საქონელი. ერთი ხელშეკრულების საფუძველზე ელექტროგადამცემი ხაზებით ერთი საანგარიშო თვის განმავლობაში გადაადგილებული ერთსა და იმავე საბაჟო პროცედურაში მოქცეული ელექტროენერგია;

• გ) **სატრანსპორტო დოკუმენტები** – დანართის №8-II-01 გათვალისწინებული სატრანსპორტო დოკუმენტები.

დანართების შესახებ იხ. ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ".

საბაჟო პროცედურის გამოყენებისას საქონლის დეკლარირება შესაძლებელია განხორციელდეს საქონლის საბაჟო დეკლარაციის (დანართი №8-III-01[135]) გამოყენებით.

რექსპორტის დეკლარაცია შესაძლებელია შეივსოს საქონლის საბაჟო დეკლარაციის ფორმით და მასზე ვრცელდება ამ თავით დადგენილი წესი.

თუ ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით სხვა რამ არის გათვალისწინებული, ინსტრუქციის თავი III-ის „საქონლის საბაჟო დეკლარაცია" დებულებები არ ვრცელდება:

• ა) თავისუფალ ზონაში საქონლის შეტანისას, რომლის დროსაც გამოიყენება ამ ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი ზონის პროცედურის შესახებ" ინსტრუქციის (დანართი №9) დებულებები;

• ბ) „ოქროს სიის" მონაწილის კუთვნილ საქონელზე, რომლის მიმართ ხორციელდება ამ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ" ინსტრუქციის (დანართი №1) დებულებები[136];

---

[135] აღნიშნული დანართის ფორმულარი იხ. ინსტრუქციაში „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ".

[136] „ოქროს სიის შესახებ" ვრცლად იხ. ია ხარაზი, საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, თბილისი, 2021.

• გ) ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №1) მე-20 მუხლის („ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მინიჭების პირობები“) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი შესაძლებელია ცალ-ცალკე ან ერთდროულად ფლობდეს შემდეგი სახის ავტორიზაციებს: „საბაჟო გამარტივებისათვის“, რომელიც მის მფლობელს აძლევს გარკვეული გამარტივებული საბაჟო ფორმალობებით სარგებლობის საშუალებას...) გათვალისწინებული ავტორიზაციის მფლობელი ეკონომიკური ოპერატორის კუთვნილ საქონელზე, რომლის მიმართ ხორციელდება ამავე ინტრუქციის IV თავით განსაზღვრული გამარტივებული პროცედურები;

ინსტრუქციის თავი IV-ში საუბარია ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსზე, გამარტივებებზე და შეღავათებზე, რომლის შესახებაც საუბარია საბაჟო სამართლის პირველ ნაწილში ავტ.(ბარაზი ი.), თუმცა პარაგრაფის სპეციფიკიდან გამომდინარე ჩვენ ამ თემაზეც შემოგთავაზებთ კომენტარს.

• დ) თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების, მიზნობრივი დანიშნულებით გამეყენების, საბაჟო საწყობის, ექსპორტის ან დროებით შემოტანის პროცედურაში ან რეექსპორტში გაცხადებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, რომელთა დეკლარირებაც ხორციელდება ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციით.

აღნიშნული ოპერაციების შესახებ მოგვიანებით იქნება საუბარი და სახელმძღვანელოს ფორმატიდან გამომდინარე ამ შემთხვევაში მის განვრცობით კომენტარს ალარ მოვაბდენ.

• ე) თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში გაცხადებულ ფარმაცევტულ პროდუქტზე, რომლის დეკლარირებაც ხორციელდება ფარმაცევტული პროდუქტის საბაჟო დეკლარაციით;

ამ საკითხებზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

• ვ) თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში გაცხადებულ ფიტოსანიტარიულ ან/და ვეტერინარულ კონტროლს

დაქვემდებარებულ საქონელზე, რომლის დეკლარირებაც ხორციელდება ამ ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“–„კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საბაჟო დეკლარაციით[137];

აღნიშნულ ქვეპუნქტებში საუბარია სტანდარტული საბაჟო დეკლარაციის ფორმებზე, კერძოდ: ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ნაერთ საბაჟო დეკლარაციაზე;[138] ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ნაერთ საბაჟო დეკლარაციაზე[139]; ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული ცოცხალი ცხოველების ნაერთ საბაჟო დეკლარაციაზე[140];

• ზ) იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან სრულად გათავისუფლებით დროებით შემოტანის ან ტრანზიტის პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებულ, „საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ“ სტამბოლის 1990 წლის 26 ივნისის კონვენციით ან „საქონლის დროებითი შემოტანისათვის ATA წიგნაკის შესახებ“ ბრიუსელის 1961 წლის 6 დეკემბრის საბაჟო კონვენციით (ATA კონვენცია) გათვალისწინებულ საქონელზე, რომლის დეკლარირებაც ხორციელდება ATA წიგნაკით[141].

დეკლარირებული საქონლის მიმართ საბაჟო კონტროლს შემოსავლების სამსახური ახორციელებს **eCustoms-ის** მეშვეობით გამოსაყენებელი რისკების მართვის სისტემით.

eCustoms-ის მეშვეობით დეკლარირებული საქონლის მონაცემების რისკის პროფილთან თანხვედრის შემთხვევაში, სისტემაში

---

[137] საბაჟო კონტროლის ამ სახის შესახებ ვრცელი კომენტარი იხ. ია ხარაზი, საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, თბ; 2021.

[138] „თ“ ქვეპუნქტი.

[139] „ი“ ქვეპუნქტი.

[140] „კ“ ქვეპუნქტი.

[141] „საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ“ სტამბოლის 1990 წლის 26 ივნისის კონვენციით ან „საქონლის დროებითი შემოტანისათვის ATA წიგნაკის შესახებ“ ბრიუსელის 1961 წლის 6 დეკემბრის საბაჟო კონვენციით (ATA კონვენცია) გათვალისწინებულ საქონელზე, რომლის დეკლარირებაც ხორციელდება ATA წიგნაკით ვეცალი კომენტარი იყო მოცემული საბაჟო სამართლის პირველ ნაწილში (ავტ. ხარაზი ი.), თუმცა შესაბამის პარაგრაფებში ჩვენ ამ საკითხებს ისევ მივუბრუნდებით საკომენტარო ნორმების განხილვისას.

რეგისტრირებული საქონლის საბაჟო დეკლარაციისათვის განისაზღვრება შესაბამისი დერეფანი, რაც გულისხმობს:

• ა) **„მწვანე დერეფანი“** – საქონლის გაშვებას დეკლარაციის და დოკუმენტების კამერალური შემოწმებისა და საქონლის დათვალიერების გარეშე, რაც არ გამორიცხავს საბაჟო კონტროლის ღონისძიებების განხორციელებას;

• ბ) **„ლურჯი დერეფანი“** – საქონლის გაშვებას დეკლარაციისა და დოკუმენტების კამერალური შემოწმებისა და საქონლის დათვალიერების გარეშე, გაშვების შემდგომ აუცილებელი შემოწმების პირობით, რაც შეიძლება მოიცავდეს საქონლის საბაჟო ღირებულების ან/და იმპორტის გადასახდელის დარიცხვის ან/და სეს ესნ-ის კოდის განსაზღვრის ან/და საქონლის რაოდენობის ან/და საქონლის სახეობათა რაოდენობის სისწორის ან/და საქონლის მიმართ აკრძალვებისა და შეზღუდვების განხორციელებასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის შემოწმებას, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე ელექტრონულად მიღებული შეტყობინების შესაბამისად, რაც არ გამორიცხავს შესაბამისი ინფორმაციის მიღებისას ან/და ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო საბაჟო კონტროლის სხვა ღონისძიების განხორციელებასაც. ამასთან, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე ელექტრონულად მიღებული შეტყობინება შესაძლებელია ითვალისწინებდეს საქონლის გაშვებამდე სინჯის ან/და ნიმუშის აღების ვალდებულებასაც;

• გ) **„ყვითელი დერეფანი“** – საქონლის გაფორმებას საქონლის დათვალიერების გარეშე, დეკლარაციისა და დოკუმენტების სრული ან ნაწილობრივი კამერალური შემოწმებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე ელექტრონულად მიღებული შეტყობინების შესაბამისად, ხოლო საბაჟო დეკლარაციის დამუშავებისას მასში მითითებული მონაცემების მხოლოდ იმპორტის გადასახდელზე საბაჟო ან/და საგადასახადო ვალდებულების შესრულების რისკის პროფილთან თანხვედრის შემთხვევაში – საქონლის გაშვებას კუთვნილი იმპორტის გადასახდელის შესაბამისი თანხის ოდენობის გარანტიის წარდგენით ან/და კუთვნილი იმპორტის გადასახდელის გადახდით;

• დ) **„წითელი დერეფანი“** – საქონლის გაფორმებას დეკლარირებული საქონლის დათვალიერებით, დეკლარაციისა და დოკუმენტების სრული ან ნაწილობრივი კამერალური შემოწმებით ან მის გარეშე, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე ელექტრონულად მიღებული შეტყობინების შესაბამისად, რაც არ გამორიცხავს შესაბამისი ინფორმაციის მიღებისას ან/და ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო საქონლის განმეორებითი, დამატებითი და მიზანმიმართული დათვალიერების ჩატარებასაც, ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „საბაჟო კონტროლის შესახებ“ ინსტრუქციით (დანართი №2) განსაზღვრული წესით.

რაც შეეხება ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „საბაჟო კონტროლის შესახებ“ ინსტრუქციით (დანართი №2) განსაზღვრული წესებით შესაბამისი ინფორმაციის მიღებისას ან/და ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო საქონლის განმეორებითი, დამატებითი და მიზანმიმართული დათვალიერების ჩატარებას, ამ საკითხებზე საბაჟო სამართლის პირველ ნაწილში (ავტ. ხარაზი ი;) საკმაოდ ვრცელი კომენტარია მოცემული და ამ შემთხვევაში მის განვრცობას აქ ალარ შემოგთავაზებთ.

ინსტრუქციის **„საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“, დანართი №8, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით** გათვალისწინებულ შემთხვევაში, როცა „პირს უფლება აქვს შეავსოს საბაჟო დეკლარაცია/რეექსპორტის დეკლარაცია, თუ: პირი დეკლარირებას ახორციელებს თავისი სახელით; პირს გააჩნია შემოსავლების სამსახურის შესაბამის სერვერთან მიერთების შესაძლებლობა და აქვს დაშვება „eCustoms“-ში ან/და „Oracle“-ში“, - **დეკლარანტი უფლებამოსილია:**

• ა) საქონლის (გარდა ლიცენზიის/ნებართვის/სერტიფიკატის წარდგენას დაქვემდებარებული საქონლისა, შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით იმპორტის წინასწარი შეტყობინების წარდგენას დაქვემდებარებული საქონლისა და აქციზური (მსუბუქი ავტომობილის, ნავთობის მძიმე დისტილატების, აირების და ზეთების გარდა) საქონლისა) თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში დეკლარირებისას (წინასწარი დეკლარირების გარდა), საქონლის საბაჟო დეკლარაციის შევსებასა და „eCustoms“-ში რეგისტრაციასთან ერთად, განახორციელოს „eCustoms“-ის

მეშვეობით გამოსაყენებელი რისკების მართვის სისტემის გააქტიურება, რის შემდეგაც დეკლარაციისათვის განისაზღვრება შესაბამისი დერეფანი;

- ბ) საქონლის (გარდა ლიცენზიის/ნებართვის/სერტიფიკატის წარდგენას დაქვემდებარებული საქონლისა, შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართისა და შავი ან/და ფერადი ლითონების ნარჩენისა) ექსპორტის პროცედურაში დეკლარირებისას, საქონლის საბაჟო დეკლარაციის შევსებასა და „eCustoms"-ში რეგისტრაციასთან ერთად განახორციელოს „eCustoms"-ის მეშვეობით გამოსაყენებელი რისკების მართვის სისტემის გააქტიურება, რის შემდეგაც დეკლარაციისათვის განისაზღვრება შესაბამისი დერეფანი[142].

ინსტრუქციის 6[2]-ე პუნქტი შეიცავს გამონაკლისს ცალკეული საქონლის დეკლარირებისას 12-ე მუხლის 6[1] პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისაგან, კერძოდ: ზემოთ აღნიშნული 6[1] პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვები არ ვრცელდება **„ოქროს სიის"** მონაწილეზე და **„საბაჟო გამარტივებისათვის"** ავტორიზაციის მფლობელ ავტორიზებულ ეკონომიკურ ოპერატორზე.

„ოქროს სიის და ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის** შესახებ ვრცელი კომენტარია შემოთავაზებული საბაჟო სამართლის დამხმარე სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში აქ კი დავსვამდით კითხვას, იმის შესახებ, თუ რომელი ნორმატიული აქტები არეგულირებენ **„ოქროს სიის" სტატუსს? ესენია: საბაჟო კოდექსი, საგადასახადო კოდექსი, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს #257-ე ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე"[143], თანდართული დანართებით. გამოვყოფდით, დანართი

---

[142] ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ" (დანართი №8) მ.12. პ.6[1].

[143] სრული სახით იხ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს #257-ე ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე", https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

#1-ს, „ინსტრუქცია „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“, თავი V„ოქროს სია“ (მ. 26-34), ასევე საგადასახადო კოდექსი და ა.შ.

რომელი პირები შეიძლება იყვნენ „ოქროს სიის“ მონაწილენი?

ინსტრუქციის „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“, 26-ე მუხლის თანახმად[144], „ოქროს სიაში“ შეყვანილ პირს (შემდგომში – „ოქროს სიის“ მონაწილე) ენიჭება უფლება, კუთვნილი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას ან/და გატანისას ისარგებლოს გამარტივებული საბაჟო ფორმალობებით.

გამარტივებული საბაჟო ფორმალობები არ გამოიყენება შემდეგი საქონლის გადაადგილების ან/და გაფორმების შემთხვევაში:

[144] ნ.1.

• *ა) პრეკურსორები*[145], *ნარჩენები*[146], *ოზონდამშლელი ნივთიერებე-ბი*[147] *და მკაცრად შეზღუდული სამიში ქიმიური ნივთიერებები*[148]

---

[145] იხ. საქართველოს კანონის „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი: პრეკურსორი - ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერება, რომელიც გაეროს შესაბამისი კონვენციების საფუძველზე შეტანილია საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა IV სიის #1 და #2 ცხრილებში.

[146] ნარჩენების შესახებ იხ. „ნარჩენების მართვის კოდექსი, კერძოდ, მე-3 მუხლის („ტერმინთა განმარტება“) „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „ნაჩენი - ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთი, რომელსაც მფლობელი იშორებს, განზრახული აქვს მოიშოროს ან ვალდებულია მოიშოროს; აღნიშნული კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად კი: საქართველოში ნარჩენების მართვის პოლიტიკა და ნარჩენების მართვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობა ეფუძნება ნარჩენების მართვის შემდეგ იერარქიას: ა) პრევენცია; ბ) ხელახალი გამოყენებისთვის მომზადება; გ) რეციკლირება; დ) სხვა სახის აღდგენა, მათ შორის, ენერგიის აღდგენა; ე) განთავსება;

https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2676416?publication=11;

ბაზელის კონვენციის „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“, მე-2 პარაგარაფის თანახმად, „ნარჩენები წარმოადგენენ ნივთიერებებს ან საგნებს, რომლებიც განთავსდებიან, გათვალისწინებული არიან განსათავსებლად ან უნდა იქნენ განთავსებულნი ეროვნული კანონმდებლობის დებულებების შესაბამისად“, ხოლო 1-ლი პარაგრაფით („კონვენციის მოქმედების სფერო“), გათვალისწინებულ შემთხვევაში: წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის „სახიფათო ნარჩენებად“ ითვლება საზღვარგადამკვეთი გადაზიდვის ობიექტად მყოფი შემდეგი ნარჩენები: ა) I დანართში ნაჩვენებ ნებისმიერ კატეგორიაშე შემავალი ნარჩენები, თუ მათ არ გააჩნიათ III დანართში ჩამოთვლილი რაიმე თვისებები; ბ) ნარჩენები, რომლებიც არ არიან მოცულნი პუნქტი (ა)-თი, მაგრამ განისაზღვრებიან ან ითვლებიან სახიფათოდ შინაგანი კანონმდებლობის მიხედვით ექსპორტის, იმპორტის ან ტრანზიტის სახელმწიფოში. 2. II დანართში ნაჩვენებ ნებისმიერ კატეგორიაში შემავალი ნარჩენები, რომლებიც საზღვარგადამკვეთ გადაზიდვას ექვემდებარებიან, ითვლებიან ამ კონვენციის მიზნებისათვის „სხვა სახის ნარჩენებად“. 3. ნარჩენები, რომლებიც მათი რადიაქტივობის გამო ექცევიან კონტროლის სხვა საერთაშორისო სისტემის

სფეროში, მ.შ. რადიაქტიული ნივთიერებისადმი სპეციალურად გამოყენებადი საერთაშორისო შეთანხმებებისა, გამოირიცხებიან წინამდებარე კონვენციის მოქმედების სფეროდან. 4. ნარჩენები, რომლებიც წარმოქმნილია საზღვაო ხომალდების ნორმალური ფუნქციონირების შედეგად და რომელთა გარემოში ჩაშვება ექცევა სხვა საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების სფეროში, გამოირიცხებიან წინამდებარე კონვენციის მოქმედების სფეროდან და ა.შ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485058?publication=0

[147] **1996 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ვენის კონვენციას ოზონის შრის დაცვის შესახებ, 2000 წელს კი მონრეალის ოქმს ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ.** ამ დოკუმენტებზე ხელის მოწერით, ქვეყანამ აიღო საერთაშორისო ვალდებულება ოზონდამშლელი ოზონდამშლელი ნივთიერებების ხმარებიდან ამოღების შესახებ. ქვეყნამ უკვე გადადგა ნაბიჯები ყველაზე საშიში ოზონდამშლელი ნივთიერებების - ქლორ-ფტორ-ნახშირბადებისა და წყალბად-ქლორ-ფტორ-ნახშირბადების მოხმარების შემცირების კუთხით.

https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/projects/hcfc-phase-out-management-plan.html; დამატ. იხ. **1985 წლის ვენის კონვენცია „ოზონის შრის დაშლის შესახებ“**, http://eiec.gov.ge/NavMenu/Documents/International-Convention/ვენის-კონვენცია-ოზონის-შრის-დაცვის-შესახებ-(1). ასევე იხ: **1987 წლის მონრეალის ოქმი ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების შესახებ“**, http://eiec.gov.ge/NavMenu/Documents/International-Convention/მონრეალის-ოქმი-ოზონის-შრის-დამშლელ-ნივთიერებათა-შე.aspx

[148] საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტი და ექსპორტი აკრძალულია, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ შესასყიდი ნივთიერება აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. სრულად იხ. საქართველოს კანონი „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ“,

https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/28090?publication=6;

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 7 აპრილის №79/ნ ბრძანებით „საშიში ქიმიური ნივთიერებების კლასიფიკაციის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ დამტკიცებული დებულებით საშიში ქიმიური ნივთიერებების კლასიფიკაციის შესახებ“ მე-3 მუხლის თანახმად, კლასიფიკაციის მიზანს წარმოადგენს ნივთიერების ან პრეპარატის ყველა იმ ფიზიკურ-ქიმიური, ტოქსიკოლოგიური, ეკოტოქსიკოლოგიური თვისებებისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების სპეციფიკური ეფექტების იდენტიფიკაცია, რომლებსაც შეუძლიათ გამოყენების დროს წარმოქმნან გარემოსა და ადამიანის

და პესტიციდები[149] *(იმ შემთხვევის გარდა, როცა აღნიშნული საქონლის მიმღები ან გამგზავნია „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“*

ჯანმრთელობის დაზიანების რისკი. კლასიფიკაციის არსი მდგომარეობს ნივთიერების ან პრეპარატის საშიშროების რომელიმე (ერთი ან რამოდენიმე) კლასისადმი კუთვნილების განსაზღვრაში. ამ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს საერთაშორისო სტანდარტებსა და გოსტებში გათვალისწინებული მეცნიერული კვლევებით დასაბუთებული ფიზიკურ-ქიმიური, ტოქსიკოლოგიური და ეკოტოქსიკოლოგიური კრიტერიუმები და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების სპეციფიკური ეფექტები. კლასიფიკატორული კუთვნილების შესაბამისად განისაზღვრება საშიში ქიმიური ნივთიერების ეტიკეტირებასა და ნიშანდებასთან დაკავშირებული საკითხები და მარეგულირებელი ღონისძიებები.იხ. სრულად: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 7 აპრილის №79/ნ ბრძანებით „საშიში ქიმიური ნივთიერებების კლასიფიკაციის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“,

https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/55390?publication=0

[149] **პესტიციდები** – ქიმიური ან ბიოლოგიური პრეპარატები, რომლებიც გამოიყენება მცენარეთა დაავადებებისა და მათი გადამტანების, მავნებლებისა და სარეველა მცენარეების, შენახული სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაავადებებისა და მავნებლების, მღრღნელების, ცხოველთა პარაზიტების წინააღმდეგ, აგრეთვე მცენარეთა ზრდის რეგულირებისათვის, მოსავლის აღების წინ მცენარეთათვის ფოთლების მოსაცილებლად (დეფოლიანტები) და მცენარეების შესახმობად (დესიკანტები), საცავების, საწყობების, სატრანსპორტო საშუალებების, სათბურების, ნიადაგის, მცენარეული და ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული სხვა პროდუქციის გაუსნებოვნებისათვის. იხ. საქართველოს კანონი „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“, https://matsne.gov.ge/ka/document/view/18106?publication=12

დესიკანტები - პრეპარატები, რომლებსაც იყენებენ მცენარეების გასაშრობად. ასევე იხ. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #427 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - პესტიციდებისა და აგროქიმიკატების მარკირების წესის“ დამტკიცების თაობაზე“,
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2187675?publication=0

საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტრო[150] ან სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება[151]);

- *ბ) ბირთვული და რადიაციული ობიექტები, ბირთვული მასალები, რადიოაქტიური ნივთიერებები, რადიოაქტიური ნარჩენები, მინერალები (წიაღისეული), რომლებისაგანაც პრაქტიკულად შესაძლებელია ბირთვული მასალების მიღება, ყველაფერი, რაც დამზადებულია ბირთვული მასალისაგან ან რადიაქტიური ნივთიერებისაგან ან შეიცავს მათ, როგორც შემადგენელ ნაწილს, აგრეთვე ბირთვული ტექნოლოგიები ან ნოუ-ჰაუები (იმ შემთხვევის გარდა, როცა აღნიშნული საქონლის მიმღები ან გამგზავნია „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტრო ან სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება);*
- *გ) „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობები, მათი ნაწილები და დერივატები[152];*

---

[150] საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ", მე-14 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სამინისტრო იქმნება კანონის საფუძველზე, მთავრობის უფლებამოსილების განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და მმართველობის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

[151] სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება წარმოადგენს სამინისტროს გამგებლობაში არსებულ აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებას. იხ. საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ", მ.25. ნ.1. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2062?publication=41

[152] საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2010წლის 15 თებერვლის ბრძანება №8 „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვის ფორმის დამტკიცების თაობაზე",

• *დ) იარაღი და საბრძოლო მასალები (იმ შემთხვევის გარდა, როცა აღნიშნული საქონლის მიმღები ან გამგზავნია „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტრო ან სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება);*

• *ე) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო სამუალებები;*

საქართველოს კანონის „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ"[153], 11 მუხლის 48-ე პუნქტის თანახმად, „სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტი - საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნაკოტიკული საშუალება, ფსიქოტროპული ნივთიერება ან/და პრეკურსორი"; სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალება – ფარმაცევტული პროდუქტი, რომელიც არ არის შეტანილი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების სიებში, მაგრამ რომლის უკანონო ბრუნვა და ბორტად მიბმარება სერიოზულ საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას, ამწვავებს ქვეყანაში შექმნილ ნარკოლოგიურ სიტუაციას და რომელიც შეტანილია მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ ნუსხაში.

• *ვ) მილსადენი ტრანსპორტით და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებული საქონელი;*

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული დანართი №17 ინსტრუქციის „მილსადენითა და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებული საქონლის შესახებ", მე-2 მუხლის თანახმად, „მილსადენითა და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებული საქონლის საბაჟო კონტროლი ბორციელდება გაფორმების ადგილებში წარდგენილი დოკუმენტებისა და ცნობების შემოწმებით. საბაჟო კონტროლი აგრეთვე შესაძლებელია განხორციელდეს ტრანსპორტირების საშუალებებში არსებულ ობიექტებზე იდენტიფიკაციის საშუალებების გამოყენებით, მრიცხველიდან მონაცემების ალებით და სხვა მიზანშეწონილი საშუალებებით. საბაჟო კონტროლს ახორციელებს გაფორმების საბაჟო ორგანო, სადაც

---

https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1005350?publication=0; ასევე: „კონვენცია (CITES) „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ", https://old.rs.ge/4977

[153] სრულად იხ. საქართველოს კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ", https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/29836?publication=26

დეკლარანტი, მიღების პუნქტის ტერიტორიული განთავსების შესაბამისად, აცხადებს საქონლის მიმართ შესაბამისი საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის გამოყენებას. პირები, რომლებიც ახორციელებენ საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის გადაადგილებას (გადადინებას), ვალდებულნი არიან, წინასწარ მიღებული შეტყობინების შემდგომ, საბაჟო ორგანოებს გაუწიონ აუცილებელი დახმარება საბაჟო კონტროლის განხორციელებისას. ობიექტებზე საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებების (შემდგომში – იდენტიფიკაციის საშუალება) დადებას ახორციელებს საბაჟო ორგანოს ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრული თანამშრომელი, ობიექტზე უფლებამოსილი პირების თანდასწრებით. იდენტიფიკაციის საშუალებების გამოყენების შემთხვევაში, საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი საბაჟო ორგანოს ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრული პერიოდულობით ამოწმებს ობიექტებზე დადებული იდენტიფიკაციის საშუალებების დაურღვევლობას.

მილსადენითა და ელექტროგადამცემი ბაზებით გადაადგილებული საქონლის დეკლარირება ხორციელდება გაფორმების საბაჟო ორგანოში საქონლის საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის წარდგენით. შესაბამისი საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის პირობების შესრულებისა და დეკლარირებული მონაცემების დადასტურების მიზნით, წარდგენილი უნდა იქნეს: ა) ხელშეკრულება ან ანგარიშ-ფაქტურა; ბ) მიღება-ჩაბარების (მიღება-გადაცემის) აქტი და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული ოფიციალური მონაცემები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ელექტროენერგიის, წყლის და ბუნებრივი აირის მიწოდება ხორციელდება თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საქონლის ადგილზე მოხმარებისათვის.

საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული (გადადინებული) ელექტროენერგიის საბაჟო კონტროლი ან/და რაოდენობის განსაზღვრა, გარდა ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული ფორმებისა, წარმოებს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული ოფიციალური მონაცემების საფუძველზე, ამასთან: ა) თუ საქართველოს ენერგეტიკული სისტემა ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობს სხვა ქვეყნის ენერგეტიკულ სისტემასთან პარალელურ რეჟიმში, მბარებლების ელექტროენერგეტიკულ სისტემებს შორის გადაადგილებული (გადადინებული) ელექტროენერგიის ფაქტობრივი რაოდენობა განისაზღვრება როგორც სანგარიშო პერიოდში (პარალელურ რეჟიმში მუშაობის ხელშეკრულების მოქმედების ვადაში) სალდო-გადადინება, ტექნოლო-

გიურად განპირობებულ ადგილებში დაყენებული აღრიცხვის ბელსაწყოების ჩვენების საფუძველზე; ბ) პარალელურ რეჟიმში მუშაობის ბელშეკრულების ვადის ამოწურვისას, ელექტროენერგიის სალდო-გადადინება, გარდა ნულოვანისა, განიხილება როგორც ელექტროენერგიის ექსპორტი ან თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება; გ) პარალერულ რეჟიმში მუშაობის დროს, ელექტროენერგია, რომელიც საანგარიშო პერიოდში (პარალელურ რეჟიმში მუშაობის ბელშეკრულების მოქმედების ვადაში) მიეწოდება ერთი ბელშეკრულებით (კონტრაქტით), დეკლარირდება როგორც საქონლის ერთი პარტია ბელშეკრულების დამთავრებიდან არა უგვიანეს 30 დღისა. თუ მიხდა ბელშეკრულების ვადის გაგრძელება, ინფორმაცია ამის შესახებ ბელშეკრულების დამთავრებიდან 30 დღის ვადაში უნდა მიეწოდოს შესაბამის საბაჟო ორგანოს შუალედურ სალდო ბალანსთან ერთად; დ) პარალერულ რეჟიმში მუშაობის დროს, ელექტროენერგიის დეკლარირება ხორციელდება ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ, რომელიც, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, წარმოადგენს სალდირებული ელექტროენერგიის ნაწილში იმპორტიორს, ან ექსპორტიორს; ე) ინფორმაციას ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის შესახებ შემოსავლების სამსახური იღებს წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, შესაბამისი სალიცენზიო რეესტრის მწარმოებელი დაწესებულებიდან, კანონმდებლობით დადგენილი წესით; ვ) ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, ელექტროენერგეტიკული სისტემების პარალელურ რეჟიმში მუშაობის ბელშეკრულება წარუდგინოს საბაჟო ორგანოს ამ რეჟიმით მუშაობის ფაქტობრივად დაწყებამდე, გარდა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებისა (ენერგოსისტემების პარალელურ რეჟიმში ავარიული ჩართვა, პარალელურ რეჟიმში ჩართვა განსაკუთრებით დიდი ოდენობით მატერიალური ზიანის, ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ან ეროვნული უსაფრთხოების საფრთხის თავიდან აცილების მიზნით), რომლისაც პარალელურ რეჟიმში მუშაობის ბელშეკრულება ფორმდება ენერგოსისტემის პარალელურ რეჟიმში ჩართვის შემდგომ და საბაჟო ორგანოს წარედგინება არა უგვიანეს ერთი კვირისა, ენერგოსისტემების პარალელურ რეჟიმში ჩართვის დღიდან დ.შ[154].

---

[154] სრულად იხ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული დანართი №17 ინსტრუქციის „მილსადენითა და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებული საქონლის შესახებ", მ.4.

თუ საქართველოში შემოტანისას მთავარი მილსადენიდან გამოიყოფა მცირე დინების ნავთობის ნაკადი, რომლითაც იწარმოება დიზელის საწვავი მილსადენის ტურბინებისა და სხვა ფიქსირებული ძრავიანი მოწყობილობების მუშაობის უზრუნველსაყოფად, ნავთობის აღნიშნული ნაწილი ექვემდებარება თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მოქცევას, ხოლო ნავთობის ნაწილი, რომელიც ბრუნდება მთავარ მილსადენში, უნდა მოექცეს ექსპორტში[155].

- *ზ) „ოქროს სიის" მონაწილის მიერ ან მისი დანიშნულებით ერთი სატრანსპორტო საშუალებით (გარდა საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტისა), სარკინიგზო ტრანსპორტის შემთხვევაში ერთი კონტეინერით, ცისტერნით ან ვაგონით ერთდროულად გადაადგილებული სხვადასხვა საბაჟო პროცედურაში მოსაქცევად განკუთვნილი საქონელი, იმ საქონლის გარდა, რომელიც შემოტანამდე დეკლარირებულია გაფორმების ეკონომიკურ ზონაში საბაჟო ორგანოს მიერ შევსებული საქონლის საბაჟო დეკლარაციით ან გადაადგილდება გაფორმების ეკონომიკური ზონის დანიშნულებით;*
- *თ) ერთი სატრანსპორტო საშუალებით (გარდა საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტისა) ერთდროულად გადაადგილებული საქონელი, რომლის მიმღებს ან გამგზავნს „ოქროს სიის" მონაწილესთან ერთად წარმოადგენს სხვა პირი (იმ შემთხვევაშიც, როცა ეს პირი „ოქროს სიის" მონაწილეა), იმ საქონლის გარდა, რომელიც შემოტანამდე დეკლარირებულია გაფორმების ეკონომიკურ ზონაში საბაჟო ორგანოს მიერ შევსებული საქონლის საბაჟო დეკლარაციით ან გადაადგილდება გაფორმების ეკონომიკური ზონის დანიშნულებით.*

საბაჟო კონტროლის ზონაში - გაფორმების ეკონომიკურ ზონაში შესაძლებელია საბაჟო დეკლარაციის შევსება, ტვირთის გაფორმება, დათვალიერება და ექსპერტიზის ჩატარება; საქონელი მოაქციოთ იმპორტში, ასევე, შემდეგ სპეციალურ პროცედურაში: ექსპორტი, საწყობი, რეექსპორტი, დროებითი შემოტანა, საქონლის შიდა გადამუშავება, საქონლის გარე გადამუშავება და

---

[155] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული დანართი №17, ინსტრუქცია „მილსადენითა და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებული საქონლის შესახებ".

ტრანზიტი, თავისუფალი ზონა. შესაძლებელია სახმელეთო, საზღვაო, სარკინიგზო და საჰაერო ტრანსპორტით გადაადგილებულ ტვირთებზე საბაჟო დეკლარაციის შევსება და გაფორმება და ა.შ.[156]

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული (დანართი №1) ინსტრუქციის „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ" 27-ე მუხლით განსაზღვრულია „ოქროს სიის" მონაწილის სტატუსის მისაღებად აუცილებელი პირობები, კერძოდ:

- *ა) შემოსავლების სამსახურში კანდიდატის განცხადების რეგისტრაციის თვის პირველი რიცხვიდან წინა უწყვეტი 12 თვის განმავლობაში:*
  - *ა.ა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების*[157] *ან/და ექსპორტის პროცედურაში*[158]

---

[156] ია ხარაზი, საბაჟო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, პირველი ნაწილი, თბილისი, 2021, 409-421.

[157] საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაზე შესაბამის თავში იქნება ვრცლად საუბარი, აქ კი „ა.ა" ქვეპუნქტის განმარტებისთბის ავღნიშნავ, რომ: „უცხოური საქონელი, რომელიც განკუთვნილია საქართველოში რეალიზაციისთვის, მოხმარებისთვის ან გამოყენებისთვის, უნდა მოექცეს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში. საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება იწვევს: ა) იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულების წარმოშობას; ბ) მის მიმართ ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებებისა და აკრძალვებისა და შეზღუდვების გამოყენებას, თუ ისინი მანამდე გამოყენებული არ ყოფილა; გ) მის შემოტანასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნების შესრულებას. თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას საქონელს ენიჭება საქართველოს საქონლის სტატუსი. საბაჟო კოდექსი, მ. 105

[158] ექსპორტის შესახებ შესაბამის თავში იქნება ვრცლად საუბარი, „ა.ა" ქვეპუნქტის მიზნებისათვის მივმართავდით საბაჟო კოდექსის 158-ე მუხლს, რომლის თანახმად: „თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ექსპორტის პროცედურა საშუალებას იძლევა, საქართველოს საქონელი გატანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან (მათ შორის, დროებით, დაბრუნების პირობით), რა დროსაც ხორციელდება ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებები. საქართველოს საქონელი, რომელიც ტოვებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიას, უნდა მოექცეს ექსპორტის პროცედურაში, გარდა: ა) გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლისა; ბ)

დეკლარირებული საქონლის საბაჟო ღირებულების მაღალი მაჩვენებელი – არანაკლებ 5,0 მლნ ლარისა;

- *ა.ბ) იმპორტის გადასახდელზე წარმოშობილი საბაჟო/საგადასახადო ვალდებულების შესრულების მაღალი მაჩვენებელი – არანაკლებ 900 000 ლარისა, ან საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების ან/და ექსპორტის პროცედურაში მოქცევის მიზნით წარდგენილი საბაჟო დეკლარაციების დიდი ოდენობა – არანაკლებ 100-ისა;*

- *ბ) შემოსავლების სამსახურში კანდიდატის განცხადების რეგისტრაციის თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით:*

- *ბ.ა) საქართველოს საბაჟო კოდექსის 167-ე მუხლის[159] პირველი და მე-2 ნაწილებით[160], 168-ე მუხლის[161] პირველი და მე-*

საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანილი საქონლისა, რომელიც გატანამდე მოქცეული იყო მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში; გ) საერთაშორისო საავიაციო რეისებისა და საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებული საქონლისა, რომელიც გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისა და აქციზისგან, ამასთანავე, ასეთი მიწოდებისთვის ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ანგარიშგება".

[159] „იმპორტის გადასახადის ოდენობის შემცირება"

[160] საბაჟო დეკლარაციასა და მის თანმხლებ დოკუმენტში არასწორი მონაცემის არსებობისას იმპორტის გადასახდელის ოდენობის შემცირება (გარდა ამ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) – იწვევს დაჯარიმებას საბაჟო დეკლარაციაში შემცირებული იმპორტის გადასახდელის თანხის 100 პროცენტის ოდენობით (ნ.1.), ხოლო 167-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – იწვევს დაჯარიმებას საბაჟო დეკლარაციაში შემცირებული იმპორტის გადასახდელის თანხის 200 პროცენტის ოდენობით.

[161] „საქონლის უკანონო გადატანა ან/და გადმოტანა".

2 ნაწილებით[162], 172-ე[163] და 173-ე [164]მუხლებით, 2019 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის

[162] საქონლის (გარდა ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდისა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა (გარდა ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა) საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად – იწვევს დაჯარიმებას საქონლის საბაჟო ღირებულების 100 პროცენტის ოდენობით ან საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევას (ნ.1.), ხოლო მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია დაჯარიმება საქონლის საბაჟო ღირებულების 100 პროცენტის ოდენობით, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევით ან უამისოდ 168-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის, რომელსაც პირი ჩაიდენს განმეორებით.

[163] „საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უკანონო განკარგვა, დაკარგვა ან განადგურება“ - მუხლის კომენტარზე შესაბამის თავში ვისაუბრებთ.

[164] „საბაჟო დეკლარაციაში საბაჟო ღირებულების შეცვლა“, რომელსაც შესაბამისი სანქციები მოჰყვება. დაწვრ. იხ. საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის კომენტარი.

289-ე მუხლის[165] მე-4[166], მე-5[167], მე-10,[168] მე-11[169], მე-19–21-ე ნაწილებით[170] გათვალისწინებული:

---

[165] „საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული საგადასახადო სანქციები". დღეს ეს მუხლი ამოღებულია, რაც განაპირობა ახალი საბაჟო კოდექსის ამოქმედებამ და ტერმინთა ახალმა განმარტებებმა [საქართველოს 2019 წლის 28 ივნისის კანონი #906 - ვებგვერდი, 04.07.2019წ]. „საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლი ჩამოთვლიდა იმ შემთხვევებს, როდესაც საგადასახადო ორგანო უფლებამოსილი იყო აერჩია გამოსაყენებელი სანქციის სახეობა ან სანქციების კომბინაცია საქართველოს საბაჟო საზღვრის (**ეკონომიკური საზღვრის-ავტ.** შენიშვნა) გადაკვეთასთან დაკავშირებული სამართალდარღვევების გამოვლენისას. საგადასახადო კოდექსი ასევე უტოვებდა საგადასახადო ორგანოს უფლებას გამოეყენებინა ან თავი შეეკავებინა, ასევე შეერჩია საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიება. ამავე კოდექსით, საგადასახადო ორგანოებს ჰქონდათ დაზუსტებული საგადასახადო დეკლარაციის გათვალისწინების, შეფასების ზღვრის ფარგლებში გადამხდელისთვის ვალდებულების შესრულების ვადის ან უზრუნველყოფის ღონისძიების სახეობის განსაზღვრის უფლებამოსილება". *იხ. თომაძე დავით, ცერცვაძე თეიმურაზ, საგადასახადო დავების ანალიზი, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი „მმართველობის განვითარებისათვის"(USAID G4G), 2016 წლის 14 დეკემბერი, 17.*

აქვე გავიზიარებდით ავტორთა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ: უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებისა და ადმინისტრაციული ორგანოების პრაქტიკის შედარებითმა ანალიზმა გამოავლინა ერთიანი სტანდარტის არარსებობა ამ უკანასკნელთა პრაქტიკაში: დავის განმხილველი ორგანოები თავს ვალდებულად არ თვლიან ყველა ალტერნატივის შეფასების საფუძველზე ყოველ ჯერზე დაასაბუთონ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების ოპტიმალურობა, რაც ეწინააღმდეგება უზენაესი სასამართლოს ჩამოყალიბებულ პრაქტიკას.

[166] დღეს უკვე ამოღებულ 289-ე მუხლის მე-4 ნაწილში საუბარი იყო: „სასაქონლო დეკლარაციასა და მის თანმხლებ დოკუმენტაციაში არასწორი მონაცემის არსებობისას იმპორტის/ექსპორტის გადასახდელების ოდენობის შემცირება დეკლარანტის ამ მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილებით გათვალისწინებულის გარდა) ან მისი წარმომადგენლის მიერ - იწვევს პირის დაჯარიმებას დეკლარაციაში შემცირებული იმპორტის/ექსპორტის გადასახდელების თანხის 100 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 1000 ლარისა.

გამოდის, რომ პირებს, რომლებსაც საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის ძალადაკარგულად გამოცხადებამდე მინიჭებული ჰქონდათ „ოქროს სიის" სტატუსი, გაგრძელებული აქვთ ეს სტატუსი ახალი სამაჟო კოდექსის ამოქმედების შემდეგაც, არიან ამ სტატუსის მატარებლები და 2019 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლით გათვალისწინებული საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან საქონლის წარდგენის ზოგადი დეკლარირების ვადის ან სატრანსპორტო საშუალების გამოცხადების ვადის დარღვევის, საგადასახადო ორგანოს თანხმობის გარეშე საიდენტიფიკაციო საშუალებების მოხსნის, მოცილების/გაუვარგისების, სასაქონლო დეკლარაციაში არასწორი მონაცემების შეტანის, იმპორტის/ექსპორტის გადასახდელების ოდენობის შემცირების ფაქტებს დეკლარანტის მიერ ადგილი არ ჰქონია და:

[რაც შეეხება დღეს ამოღებული მე-4 ნაწილის მითითებას მე-6 და მე-7 ნაწილებზე, ამ ნაწილების დისპოზიცია შემდეგნაირად ყალიბდებოდა „ფიზიკური პირის მიერ 3 000 ლარამდე ღირებულების საქონელზე წარდგენილ დეკლარაციასა და მის თანმხლებ დოკუმენტაციაში არასწორი მონაცემის არსებობისას იმპორტის/ექსპორტის გადასახდელების ოდენობის შემცირება იწვევს პირის დაჯარიმებას დეკლარაციაში შემცირებული იმპორტის/ექსპორტის გადასახდელების თანხის 20 პროცენტის ოდენობით (ნ.6); ხოლო ამოღებული მე-7 ნაწილის დისპოზიცია მიუთითებდა 289-ე მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული ქმედების განმეორებით ჩადენისას ჯარიმის გაზრდას დეკლარაციაში შემცირებული იმპორტის/ექსპორტის გადასახდელი თანხის100 პროცენტის ოდენობით).

[167] დღეს უკვე ამოღებული 289-ე მუხლის მე-5 ნაწილი მიუთითებდა მე-4 ნაწილით განსაზღვრული ქმედების განმეორებით ჩადენისათვის {საუბარი იყო იმპორტის/ექსპორტის გადასახდელების შემცირებაზე პირის მიერ} სანქციის გაზრდაზე 200 ლარის ოდენობით, ნაცვლად მე-4 ნაწილით გათვალისწინებული 100 ლარისა.

[168] დღეს ამოღებულ მე-10 ნაწილში ინ სანქციებზე იყო საუბარი, რომელიც დაწესებული იყო საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე საქონლის გადატანასა ან გადმოტანაში კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად.

[169] გამკაცრებული სანქციები იყო დაწესებული მე-10 მუხლით გათვალისწინებული ქმედების განმეორებით ჩადენისათვის.

[170] სანქციებს ითვალისწინებდა დღეს უკვე ძალადაკარგული საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-19-21 ნაწილებიც.

- *ბ.ა.ა) პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ძალაში შესული გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა, ან*
- *ბ.ა.ბ) სამართალდარღვევის გამოვლენიდან უწყვეტი 6 თვის გასვლა;*
- *ბ.ბ) დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად რეგისტრაცია;*
- *ბ.გ) საგადასახადო დავალიანების არქონა.*

მაგრამ ინსტრუქციის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევას, თუკი 27-ე მუხლის ზემოთ აღნიშნული პირველი პუნქტის „ბ.ა.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საბაჟო ორგანოს/დავის განმხილველ ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილება დეკლარანტის სანქციისაგან გათავისუფლების თაობაზე.

ამავე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული **„ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსის მისაღებად აუცილებელი პირობები არ ვრცელდება შემდეგ სუბიექტებზე:**

- *ა) საერთაშორისო (სახელმწიფოთაშორისი, სამთავრობათაშორისო) ორგანიზაციები, უცხოეთის დიპლომატიური წარმომადგენლობები, მასთან გათანაბრებული დაწესებულებები და საკონსულო დაწესებულებები;*
- *ბ) საქართველოს პარლამენტი;*
- *გ) „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტროები და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები;*
- *დ) საქართველოს ეროვნული ბანკი;*
- *ე) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და საქართველოს უზენაესი სასამართლო;*
- *ვ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, თვითმმართველი ქალაქების: თბილისის, ბათუმის, ქუთაისის და*

რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები (მერიები);

- *ზ) საქართველოს საპატრიარქო*[171].

რა პირობებია საჭირო „ოქროს სიიის სტატუსის მისანიჭებლად?

„ოქროს სიის" მონაწილის სტატუსის მისაღებად კანდიდატი შემოსავლების სამსახურს მიმართავს წერილობითი განცხადებით, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კერძოდ, **განცხადება უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს:**

- *ა) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;*
- *ბ) განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს;*
- *გ) მოთხოვნას;*
- *დ) განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას;*
- *ე) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.*

განცხადებას უნდა დაერთოს ყველა ის საბუთი, რომლის წარდგენის ვალდებულებაც განმცხადებელს კანონით ეკისრება. განმცხადებელს უფლება აქვს წარუდგინოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ყველა სხვა საბუთი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემას.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, „ოქროს სიის" მონაწილის სტატუსი პირს შესაძლებელია მიენიჭოს ინსტრუქციის „საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეო-

[171] ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, პირველი ნაწილი, თბილისი, 2021, 425-427.

ბების შესახებ“ (დანართი #1) 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით[172] დადგენილი პირობების დაკმაყოფილების გარეშეც, თუ იგი წარმოადგენს წერილობით ვალდებულებას, რომ განახორციელებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე **არანაკლებ 5,0 მლნ ლარის საბაჟო ღირებულების საქონლის** (ძირითადი საშუალებების) თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებას „ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსის მიღებიდან **უწყვეტი 12 თვის განმავლობაში**, ამასთან, **არანაკლებ 3,0 მლნ ლარის საბაჟო ღირებულების საქონლის** (ძირითადი საშუალებების) თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებას განახორციელებს **პირველი 6 თვის განმავლობაში**).

პირს „ოქროს სიის” მონაწილის სტატუსი ენიჭება შემოსავლების სამსახურის უფროსის ან მის მიერ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის ბრძანებით და ხდება მისი დაშვება მონაცემთა დამუშავების ელექტრონულ საშუალებაზე - „eCustoms”.

ზემოთ აღნიშნული ინსტრუქციის თავი VI „პირის დაშვება „eCustoms“-ში და „ORACLE“-ში“ 35-ე მუხლის („მონაცემთა ავტომატიზებულ სისტემა „eCustoms“-ში და გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემა „ORACLE“-ში პირის დაშვება“) თანახმად, საქართველოს საწარმო ან მეწარმე ფიზიკური პირი, რომელსაც გააჩნია შემოსავლების სამსახურის შესაბამის სერვერთან მიერთების შესაძლებლობა, მონაცემთა ავტომატიზებულ სისტემა „eCustoms“-ში (შემდგომში – „eCustoms“), ან გადასახადების ადმინისტრირების

---

[172] ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული (დანართი №1) ინსტრუქციით „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“, თუ ამავე ინსტრუქციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, „ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსის მისაღებად ასეთი აუცილებელი პირობებია: ა) შემოსავლების სამსახურში კანდიდატის განცხადების რეგისტრაციის თვის პირველი რიცხვიდან წინა უწყვეტი 12 თვის განმავლობაში: ა.ა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების ან/და ექსპორტის პროცედურაში დეკლარირებული საქონლის საბაჟო ღირებულების მაღალი მაჩვენებელი – არანაკლებ 5,0 მლნ ლარისა; ა.ბ) იმპორტის გადასახდელზე წარმოშობილი საბაჟო/საგადასახადო ვალდებულების შესრულების მაღალი მაჩვენებელი – არანაკლებ 900 000 ლარისა, ან საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების ან/და ექსპორტის პროცედურაში მოქცევის მიზნით წარდგენილი საბაჟო დეკლარაციების დიდი ოდენობა – არანაკლებ 100-ისა.

საინფორმაციო სისტემა „ORACLE“-ში (შემდგომში – „ORACLE“) დაშვების მიზნით, შემოსავლების სამსახურს წარუდგენს შესაბამის განცხადებას (დანართი №1–VI–01 და დანართი №1–VI–02).

დანართი №1–VI–01

საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს

განმცხადებელი: (შემოხაზეთ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელს წარმოადგენთ)
საწარმოს ხელმძღვანელი (დირექტორი)/მისი წარმომადგენელი
მეწარმე ფიზიკური პირი/მისი წარმომადგენელი

განმცხადებლის დასახელება (ფიზიკური პირის შემთხვევაში - სახელი და გვარი),

---

განმცხადებლის მისამართი, საიდენტიფიკაციო №

განმცხადებლის ტელეფონი/ფაქსი

მონაცემთა ავტომატიზებულ სისტემაში (eCustoms) დაშვების შესახებ განცხადება

გთხოვთ, უზრუნველყოთ მონაცემთა ავტომატიზებულ სისტემაში (eCustoms) დაშვება საბაჟო ორგანოს შემდეგ კოდზე:

მიუთითეთ საბაჟო ორგანოს კოდი, რომელზედაც გსურთ დაშვება

მიუთითეთ იმ ფიზიკური პირის (პირების) საიდენტიფიკაციო მონაცემები, რომელთა მიერ უშუალოდ შეივსება საქონლის საბაჟო დეკლარაცია ან/და რეექსპორტის დეკლარაცია:

ფიზიკური პირის სახელი, გვარი

მოქალაქის პირადობის მოწმობის სერია, ნომერი, პირადი ნომერი

მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი

(რამდენიმე ფიზიკური პირის შემთხვევაში განცხადებას დაურთეთ ამ პირების შესახებ
აღნიშნული მონაცემები)

სისტემაში დაშვებული პირის (პირების) სტატუსი:

1. უშუალოდ დეკლარანტი	*შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი სტატუსი*
2. პირდაპირი წარმომადგენელი	
3. ირიბი წარმომადგენელი	
4. მხოლოდ ტრანზიტის საქონლის საბაჟო დეკლარაციასთან დაკავშირებული საბაჟო ფორმალობები	*მე-4 პოზიცია შემოხაზეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ აპირებთ მხოლოდ ტრანზიტის საქონლის საბაჟო დეკლარაციასთან დაკავშირებული საბაჟო ფორმალობების განხორციელებას მონაცემთა ავტომატიზებულ სისტემის (eCustoms) მეშვეობით*

დანართი: ———————————

ფურცლების რაოდენობა

შენიშვნა: თუ საწარმოს/ორგანიზაციის ან მეწარმე ფიზიკური პირის სახელით მოქმედებთ და ხართ მასთან დასაქმებული პირი, განცხადებას აუცილებლად დაურთეთ საწარმოს/ორგანიზაციის ხელმძღვანელის (დირექტორის) ან მეწარმე ფიზიკური პირის მიერ ხელმოწერილი, წარმომადგენლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი დაწარმოდგენილ პირთან თქვენი დასაქმების დამადასტურებელი დოკუმენტი.

განმცხადებლის ხელმოწერა და
არსებობის შემთხვევაში ბეჭედი: ----------

თარიღი: ----------

დანართი №1–VI–02

საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს

განმცხადებელი: (შემოხაზეთ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელს წარმოადგენთ)
საწარმოს ხელმძღვანელი (დირექტორი)/მისი წარმომადგენელი
მეწარმე ფიზიკური პირი/მისი წარმომადგენელი

განმცხადებლის დასახელება (ფიზიკური პირის შემთხვევაში - სახელი და გვარი),

---

განმცხადებლის მისამართი, საიდენტიფიკაციო №

განმცხადებლის ტელეფონი/ფაქსი

გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემაში (ORACLE) დაშვების შესახებ
განცხადება

გთხოვთ, უზრუნველყოთ გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემაში (ORACLE) დაშვება საბაჟო ორგანოს შემდეგ კოდზე:

მიუთითეთ საბაჟო ორგანოს კოდი, რომელზედაც გსურთ დაშვება

მიუთითეთ იმ ფიზიკური პირის (პირების) საიდენტიფიკაციო მონაცემები, რომელთა მიერ უშუალოდ შეივსება საბაჟო დეკლარაცია ან/და რეექსპორტის დეკლარაცია:

ფიზიკური პირის სახელი, გვარი

მოქალაქის პირადობის მოწმობის სერია, ნომერი, პირადი ნომერი

მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი

(რამდენიმე ფიზიკური პირის შემთხვევაში განცხადებას დაურთეთ ამ პირების შესახებ აღნიშნული მონაცემები)

სისტემაში დაშვებული პირის (პირების) სტატუსი:

1. უშუალოდ დეკლარანტი	*შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი სტატუსი*
2. პირდაპირი წარმომადგენელი	
3. ირიბი წარმომადგენელი	

დანართი: ———————————

ფურცლების რაოდენობა

შენიშვნა: თუ საწარმოს/ორგანიზაციის ან მეწარმე ფიზიკური პირის სახელით მოქმედებთ და ხართ მასთან დასაქმებული პირი, განცხადებას აუცილებლად დაურთეთ საწარმოს/ორგანიზაციის ხელმძღვანელის (დირექტორის) ან მეწარმე ფიზიკური პირის მიერ ხელმოწერილი, წარმომადგენლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი დაწარმოდგენილ პირთან თქვენი დასაქმების დამადასტურებელი დოკუმენტი.

განმცხადებლის ხელმოწერა და
არსებობის შემთხვევაში ბეჭედი: ----------

თარიღი:----------

არასრულად შევსებული განცხადება უბრუნდება განმცხადებელს, განცხადების რეგისტრაციიდან 5 დღის ვადაში და, იმავდროულად, განესაზღვრება ხარვეზის აღმოფხვრის ვადაც. განცხადებით გათვალისწინებული ინფორმაციის სრულყოფილად წარმოდგენიდან (განცხადების რეგისტრაციიდან) ხუთი დღის ვადაში, შემოსავლების სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ მიიღება გადაწყვეტილება პირის „eCustoms"-ში ან/და „ORACLE"-ში დაშვების თაობაზე, ხოლო დაშვებისთვის აუცილებელი მონაცემები სისტემაში (სისტემებში) დაშვებულ პირს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს ეგზავნება მათ მიერ მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

ინსტრუქციის 36-ე მუხლის („eCustoms“-ში ან/და „ORACLE“-ში დაშვების გაუქმება“) მიხედვით კი: „eCustoms“-ში ან/და „ORACLE“-ში დაშვების შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველია:

- *ა) განცხადების რეგისტრაციიდან 12 კალენდარული თვის განმავლობაში საბაჟო ორგანოში სისტემაში დაშვებული პირის მიერ შევსებული საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის დაურეგისტრირებლობა;*
- *ბ) სისტემაში დაშვებული პირის მიმართ საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმის ან/და გაფორმების საბაჟო ფორმალობების განხორციელებისას წარმოშობილი საბაჟო ან/და საგადასახადო ვალდებულების კანონმდებლობით დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჩივრებული იქნება ამ ჯარიმის ან საბაჟო ან/და საგადასახადო ვალდებულების დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება;*
- *გ) სისტემაში დაშვებული პირის მიერ გაფორმების საბაჟო ფორმალობების განხორციელებისას დანაშაულის ჩადენის ფაქტის დადასტურება ან კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებების არსებითი ან/და ბოლო ერთი წლის განმავლობაში არაერთჯერადი დარღვევა;*
- *დ) სისტემაში საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის უშუალოდ შემვსები ფიზიკური პირების შეცვლის შემთხვევაში ინფორმაციის მიუწოდებლობა, ცვლილების განხორციელებიდან 20 კალენდარულ დღეში.*

იმ შემთხვევაში, თუ „ოქროს სიის“ მონაწილეს სურვილი აქვს, საქონლის მიწოდება განახორციელოს თავის საწყობში (რომელიც უზრუნველყოფს საქონლის დაცულობას და შენახვას), წარადგენს ინფორმაციას ასეთი საწყობის სახეობის, ფართობის, შენახვის პირობების, მისამართისა და კუთვნილების (შენობა-ნაგებობის ან/და ღია მოედნის საკუთრების დამადასტურებელი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ან **არანაკლებ ერთი წლის ვადით** დადებული სარგებლობის ექსკლუზიური უფლების (იჯარა[173], ქირავნობა[174],

[173] იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 581-591 მუხლები.

[174] იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 531-575 მუხლები.

უზუფრუქტი[175] ან სხვ.) დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან) თაობაზე.

„ოქროს სიის" მონაწილის თითოეულ საწყობს ცალკეული მისამართის მიხედვით ენიჭება ხუთნიშნა ციფრული კოდი შემოსავლების სამსახურის ბრძანებით[176].

„ოქროს სიის" მონაწილის მიერ საქონლის საბაჟო დეკლარაციის წარდგენა. ვიდრე „ოქროს სიის" მონაწილის მიერ საქონლის საბაჟო დელარაციის წარდგენაზე იქნება საუბარი ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანების (დანართი №1) დამტკიცებული ინტრუქციის - „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ" (მ.30) მიხედვით, განვმარტოთ საქონლის საბაჟო დეკლარაცია, თუმცა საბაჟო დეკლარაციის, მისი სახეების შესახებ მოგვიანებით, შესაბამის თავში იქნება საუბარი. ამ შემთხვევაში კი კონკრეტულად საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების მიზნით მხოლოდ სპეციალურად, „ოქროს სიის" მონაწილისათვის წარსადგენ საქონლის საბაჟო დეკლარაციაზე იქნება საუბარი.

საბაჟო ვალდებულება წარმოიშობა საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის მომენტში. დეკლარანტი ვალდებულ პირს წარმოადგენს საბაჟო დეკლარაციის წარდგენაზე. საბაჟო დეკლარაცია შეიძლება წარადგინოს პირმა, რომელსაც შეუძლია საბაჟო ორგანოსთვის საქონლის წარდგენა და იმ საბაჟო პროცედურის გამოსაყენებლად საჭირო ყველა ინფორმაციის მიწოდება, რომელშიც ხდება საქონლის დეკლარირება. ამასთანავე, საბაჟო დეკლარაცია უნდა წარადგინოს პირმა ან მისმა წარმომადგენელმა, თუ საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაცია კონკრეტული პირის ცალკეულ ვალდებულებებს წარმოშობს.

„უცხოური საქონელი, რომელიც განკუთვნილია საქართველოში რეალიზაციისთვის, მოხმარებისთვის ან გამოყენებისთვის, უნდა მოექცეს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში"[177].

---

[175] იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მ. 242-246 მუხლები.

[176] ია ხარაზი, საბაჟო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, პირველი ნაწილი, თბ; 2021, 431-438.

[177] საბაჟო კოდექსი, მ.105.

საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გასაშვებად ზოგადად და პირმა უნდა წარუდგინოს საბაჟო ორგანოს საბაჟო დეკლარაცია.

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით (დანართი №12) დამტკიცებული ინსტრუქციით „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ": „თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურის გამოყენება შესაძლებელია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი უცხოური საქონლის მიმართ. დეკლარანტს შეუძლია, უცხოურ საქონელზე განსაზღვრული ნებისმიერი საბაჟო პროცედურა ან რეექსპორტი ნებისმიერ დროს შეცვალოს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურით, თუ წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტები"[178].

„ოქროს სიის" მონაწილეს, საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების მიზნით, უფლება აქვს წარადგინოს საქონლის საბაჟო დეკლარაცია:

- *ა) წინასწარ – საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე, არაუადრეს 45 კალენდარული დღისა, ან საქონლის საბაჟო გამშვებ პუნქტში წარდგენიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა და ისარგებლოს 31-ე მუხლით[179] გათვალისწინებული გამარტივებული საბაჟო ფორმალობებით;*
- *ბ) საქონლის საბაჟო გამშვებ პუნქტში წარდგენის შემდეგ, საბაჟო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და ისარგებლოს 32-ე მუხლით[180] გათვალისწინებული გამარტივებული საბაჟო ფორმალობებით;*
- *გ) საქონლის მიმართ გამოყენებული ნებისმიერი საბაჟო პროცედურის (გარდა ექსპორტისა ან რეექსპორტის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურით შეცვლის მიზნით.*

საბაჟო კოდექსის 158-ე მუხლის თანახმად, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ექსპორტის პროცედურა საშუალებას იძლევა, საქართველოს საქონელი გატანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან (მათ შორის, დროებით, დაბრუნების პირობით), რა დროსაც ხორციელდება ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებები,

---

178 ინსტრუქცია „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ", https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=48

179 31-ე მუხლის კომენტარზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

180 ინსტრუქციის 32-ე მუხლის კომენტარზე ამავე პარაგრაფში იქნება საუბარი.

ბოლო საბაჟო კოდექსის 160-ე მუხლის თანახმად, „რექსპორტი საშუალებას იძლევა, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი უცხოური საქონელი გატანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან"(ნ.1.); აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი: „თუ დადგინდა, რომ თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებულ საქონელს აქვს დეფექტი ან მისი რაოდენობა, ხარისხი, შეფუთვა ან აღწერილობა არ შეესაბამება საგარეო-ეკონომიკური გარიგების პირობებს და ამის გამო იგი მომწოდებელს ან მის მიერ მითითებულ სხვა პირს უბრუნდება, შეიძლება ეს საქონელი დაექვემდებაროს რექსპორტს. ამ შემთხვევაში თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებულ საქონელს ჩამოერთმევა საქართველოს საქონლის სტატუსი და მისი რექსპორტის განხორციელების შემდეგ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო დეკლარაცია ბათილად იქნება ცნობილი".

„ოქროს სიის" მონაწილეს შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით უფლება ეძლევა, თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების მიზნით, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანისას ისარგებლოს **„საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ"** ინსტრუქციის 34-ე მუხლით[181] გათვალისწინებული გამარტივებული საბაჟო ფორმალობებით და თვის განმავლობაში გადაადგილებულ საქონელზე, როგორც ერთ პარტიაზე, წარადგინოს პერიოდული საქონლის საბაჟო დეკლარაცია, მიწოდების თვის დასრულებიდან **არა უგვიანეს 30 დღისა.** პერიოდული საქონლის საბაჟო დეკლარაციის მიზნებისათვის, ტერმინს **„სასაქონლო პარტია"** აქვს შემდეგი მნიშვნელობა – ერთი ან რამდენიმე დასახელების საქონელი, გაგზავნილი ერთი სახეობის ტრანსპორტით ერთი მიმღების მისამართით, მიუხედავად სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობისა და გადაზიდვის დამადასტურებელი დოკუმენტების რაოდენობისა.

სასაქონლო პარტია (გარდა ტრანზიტისა) – ერთი ან რამდენიმე დასახელების საქონელი, გაგზავნილი ერთი სახეობის ტრანსპორტით ერთი მიმღების მისამართით, წარდგენილი საბაჟო პროცედურისათვის/რექსპორტისათვის ერთდროულად, ერთი და იმავე საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით, მიუხედავად სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობისა და გადაზიდვის დამადასტურებელი დოკუმენტების რაოდენობისა; ერთი

[181] იხ. ინსტრუქციის 34-ე მუხლის კომენტარი ამავე პარაგრაფში.

ხელშეკრულების საფუძველზე მიღსადენი ტრანსპორტით ერთი საანგარიშო თვის განმავლობაში გადაადგილებული და ერთსა და იმავე საბაჟო პროცედურაში/რეექსპორტში მოქცეული საქონელი; ერთი ხელშეკრულების საფუძველზე ელექტროგადამცემი ბაზებით ერთი საანგარიშო თვის განმავლობაში გადაადგილებული ერთსა და იმავე საბაჟო პროცედურაში/რეექსპორტში მოქცეული ელექტროენერგია, ხოლო პარალელურ რეჟიმში მუშაობის დროს – ერთი ხელშეკრულების საფუძველზე ელექტროგადამცემი ბაზებით პარალელურ რეჟიმში მუშაობის ხელშეკრულების მოქმედების ვადაში სალდო გადადინებით გადაადგილებული ელექტროენერგია; ბ) სასაქონლო პარტია – ტრანზიტის შემთხვევაში – ერთი ან რამდენიმე დასახელების საქონელი, გაგზავნილი ერთი გამგზავნის მიერ ერთი მიმღების მისამართით ერთი ხელშეკრულების საფუძველზე, ერთი სატრანსპორტო საშუალებით (სარკინიგზო ტრანსპორტის შემთხვევაში ერთი შემადგენლობით). ერთი ხელშეკრულების საფუძველზე მილსადენი ტრანსპორტით ერთი საანგარიშო თვის განმავლობაში გადაადგილებული და ერთსა და იმავე საბაჟო პროცედურაში მოქცეული საქონელი. ერთი ხელშეკრულების საფუძველზე ელექტროგადამცემი ბაზებით ერთი საანგარიშო თვის განმავლობაში გადაადგილებული ერთსა და იმავე საბაჟო პროცედურაში მოქცეული ელექტროენერგია.

იხ. ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია (დანართი №8" საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ", თავი III - „საქონლის საბაჟო დეკლარაცია" (მუხლი 12), „საქონლის დეკლარირება საქონლის საბაჟო დეკლარაციით"[182].

გაფორმების საბაჟო ორგანოს საქონლის საბაჟო დეკლარაცია წარედგინება ელექტრონულად მონაცემთა ავტომატიზებული სისტემა „eCustoms"-ის მეშვეობით, ხოლო საბაჟო პროცედურის განსაზღვრისას წარსადგენი დოკუმენტები წარედგინება ელექტრონულად ან ინახება დეკლარანტთან, რომელიც ვალდებულია, მოთხოვნისამებრ წარუდგინოს ისინი საბაჟო ორგანოს[183].

„ცვლილება შემოსავლების სამსახურის მიერ საბაჟო მიმართულებით გასაწევი მომსახურებების საფასურებში:

---

[182] https://www.rs.ge/Media/Default/კანონმდებლობა/კანონები/257%20დანართი%208.pdf

[183] იხ. ია ხარაზის დასახ. ნაშრ. 458-462.

2022 წლის 14 აპრილს მიღებულ იქნა და მ/წლის 14 მაისიდან ამოქმედდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის №201 დადგენილება, რომლის მიღების ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

- *თვითმომსახურებისა და ელექტრონული სერვისების გამოყენების წახალისება, მათ შორის, დეკლარანტების/მონაცემთა ავტომატიზებულ სისტემა „eCustoms“-ში დაშვებული პირების მიერ „eCustoms“-ის მეშვეობით რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაციით გაცხადებული საქონლის გაფორმებისათვის მომსახურების უპირატესი, განსხვავებული საფასურების შემოღება;*
- *საქონლის საბაჟო დეკლარაციების „eCustoms“-ში დაშვებული პირების მიერ შევსებისა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე საქონლის დეკლარირების წახალისება, რის ფარგლებშიც ფართოვდება იმ პროცედურების ჩამონათვალი, რომელთა გამოყენებისას შესაძლებელია საქონლის წინასწარი, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე დეკლარირება.*

აღნიშნული ცვლილების მიხედვით, თვითმომსახურებისა და საქონლის წინასწარი (საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე) დეკლარირების წახალისების მიზნით, ქვემოთ მოცემული საბაჟო პროცედურებისთვის მომსახურების საფასურები განისაზღვრა შემდეგნაირად:

	საბაჟო ორგანო		eCustoms-ში დაშვებული პირი	
	წინასწარი	არაწინასწარი	წინასწარი	არაწინასწარი
თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების, მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების, დროებით შემოტანის, შიდა გადამუშავების ან თავისუფალი ზონის პროცედურაში დეკლარირება				
საქონლის საბაჟო ღირებულების მიხედვით:				
3 000 ლარამდე	100	100	50	100
3 000 ლარიდან 15 000 ლარამდე	300	400	150	300
15 000 ლარზე მეტი	400	500	200	400
საბაჟო საწყობის პროცედურაში დეკლარირება				
საქონლის საბაჟო ღირებულების მიხედვით:				
3 000 ლარამდე	25	50	უფასო	25
3 000 ლარიდან 15 000 ლარამდე	75	150	უფასო	75
15 000 ლარზე მეტი	100	200	უფასო	100
დროებით შენახვის დეკლარაციის შევსება				
1 დროებით შენახვის დეკლარაცია	50		უფასო	

გარდა ზემოაღნიშნულისა, ნორმატიულ აქტში განხორციელებული ცვლილების თანახმად, გაფორმების ეკონომიკურ ზონა „ფოთში“ მომსახურების გაწევის მიზნებისთვის არასამუშაო დროდ განისაზღვრა ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით – 21:00 საათიდან მომდევნო დღის 10:00 საათამდე პერიოდი, შაბათს – 21:00 საათიდან ორშაბათის 10:00 საათამდე პერიოდი და უქმე დღეები. ამასთანავე, გაფორმების ორგანოებში არასამუშაო დროს შეიზღუდება ისეთი საქონლის გაფორმების მიზნით საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის შევსება, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებით დამტკიცებული „საბაჟო კონტროლის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №2) მე-4 მუხლით გათვალისწინებულ, პრიორიტეტული წესით გაფორმებას დაქვემდებარებულ საქონელს.

ნორმატიული აქტი, ასევე მოიცავს შემდეგი მიმართულებით ცვლილებებს:

- კონტეინერით შემოტანილი სატრანსპორტო საშუალებებში განთავსებული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა და გაფორმება;
- მონაცემთა ავტომატიზებული სისტემა „eCustoms“-ით სარგებლობა;
- მატერიალური ფორმით წარდგენილი განცხადების საფუძველზე, საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციისა და მისი თანმხლები დოკუმენტების ასლების გაცემა;
- ფიტოსანიტარიულ ან ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ნებართვებისა და სერტიფიკატების გაცემა;
- ავტოსატრანსპორტო საშუალებების რიგების მართვის ელექტრონულ სისტემაში ჩართული M2, M3, N2 და N3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ავტოსადგომისათვის, შემოსავლების სამსახურის „საბაჟო გამშვებ პუნქტებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების რიგების მართვის ელექტრონული სისტემის“ მომსახურება;
- საფოსტო გზავნილებით შემოტანილი საქონლის გაფორმება;

- *სეს ესწ-ის კოდის განსაზღვრის მიზნით სასაქონლო ექსპერტიზის განხორციელება.*

აღსანიშნავია, რომ თვითმომსახურების წაბალისება წარმოადგენს შემოსავლების სამსახურის სერვისების განვითარების ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს და ამ მიმართულებით, უახლოეს მომავალში შემოთავაზებული იქნება სხვა სიახლეებიც[184].

რაც შეეხება **ავტორიზებულ ეკონომიკურ ოპერატორს, ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსი მოიცავს:**

- ავტორიზაცია საბაჟო გამარტივებისათვის - მის მფლობელს აძლევს საშუალებას ისარგებლოს გარკვეული გამარტივებული საბაჟო ფორმალობებით (AEOC);
- ავტორიზაცია დაცვისა და უსაფრთხოებისათვის - მის მფლობელს აძლევს უფლებას ისარგებლოს დაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გარკვეული შეღავათებით (AEOS).

პირს უფლება აქვს ერთდროულად ფლობდეს ორივე სახის ავტორიზაციას[185].

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სამართლებრივი რეგლამენტაცია მოცემულია **საბაჟო კოდექსის 25-26 მუხლებში** და ფინანსთა მინისტრის #257 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში „საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების შესახებ“ (დანართი #1), **თავი IV („ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსი, გამარტივებები და შეღავათები“), მუხლები: 20-25.**

საბაჟო კოდექსის 25-ე მუხლი მიუთითებს 26-ე მუხლით ჩამოთვლილ კრიტერიუმებზე, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც პირს საბაჟო ორგანოს მიერ მიენიჭება ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსი.

---

[184] https://www.rs.ge/LawNewsArchive?newsId=615

[185] ია ხარაზი, საბაჟო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, პირველი ნაწილი, 2021, 353-354.

საბაჟო კანონმდებლობით დაშვებული საჭიროების შემთხვევაში სხვა კომპეტენტურ ორგანოებთან კონსულტაციის შემდეგ საბაჟო ორგანო განმცხადებელს ანიჭებს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსს.

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მინიჭების კრიტერიუმებია:

- *ა) საქართველოს საბაჟო, საგადასახადო და ადმინისტრაციული კანონმდებლობების მნიშვნელოვანი დარღვევის არარსებობა, აგრეთვე განმცხადებლის ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის დანაშაულის არარსებობა;*
- *ბ) განმცხადებლის მიერ განხორციელებული ოპერაციებისა და საქონლის ნაკადების კონტროლის მაღალი დონის არსებობა, რომელიც მიიღება კომერციული მართვის სისტემისა და შესაბამის შემთხვევაში ტრანსპორტირების აღრიცხვის მეშვეობით და რომელიც უზრუნველყოფს სათანადო საბაჟო კონტროლს;*
- *გ) გადახდისუნარიანობა და ფინანსური მდგრადობა. ეს კრიტერიუმი შეიძლება დადასტურებულად იქნეს მიჩნეული, თუ განმცხადებელს აქვს კარგი ფინანსური მდგომარეობა, რომელიც საშუალებას აძლევს, შეასრულოს მის ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები;*
- *დ) საბაჟო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით[186] გათვალისწინებული ავტორიზაციის შემთხვევაში - კომპეტენციის პრაქტიკული სტანდარტი ან განხორციელებულ საქმიანობასთან უშუალოდ დაკავშირებული პროფესიული კვალიფიკაცია;*
- *ე) საბაჟო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით[187] გათვალისწინებული ავტორიზაციის შემთხვევაში - დაცვისა და უსაფრთხოების სათანადო სტანდარტი. ეს მოთხოვნა შესრულებულად უნდა იქნეს მიჩნეული, თუ განმცხადებელი ადასტურებს, რომ იღებს*

---

[186] ავტორიზაცია საბაჟო გამარტივებისთვის, რომელიც, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად, მის მფლობელს აძლევს გარკვეული გამარტივებული საბაჟო ფორმალობებით სარგებლობის საშუალებას.

[187] ავტორიზაცია დაცვისა და უსაფრთხოებისთვის, რომელიც მის მფლობელს აძლევს დაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გარკვეული შეღავათებით სარგებლობის უფლებას.

*სათანადო ზომებს საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვის უსაფრთხოებისა და დაცულობის უზრუნველსაყოფად, მათ შორის, ისეთ სფეროებში, როგორიცაა საქონლის მთლიანობა და შეღწევადობა, ლოჯისტიკური პროცესები და სპეციფიკური საქონლის დამუშავება, პერსონალი და ბიზნესპარტნიორების იდენტიფიცირება. იგივეს ვკითხულობთ ინსტრუქციაში „საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების შესახებ", მე-20 მუხლის 1-ლ ნაწილში, ხოლო აღნიშნული ინსტრუქციის მე-2 მუხლით განსაზღვრავს შემთხვევას, როცა **ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მისაღებად აუცილებელი პირობებია:***

- *ა) ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მაძიებლის (შემდგომში – სტატუსის მაძიებელი) „განაცხადის" შემოსავლების სამსახურში რეგისტრაციის თარიღიდან წინა უწყვეტი 3 წლის განმავლობაში:*
  - *ა.ა) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 280-ე მუხლით[188], 282-ე მუხლის მე-3 ნაწილით[189], 286-ე მუხლის მე-2 ნაწილით[190] და საქართველოს საბაჟო კოდექსის 166-ე მუხლის მე-4 ნაწილით,[191],*

---

[188] გადასახადის უკანონო ჩათვლა; აღნიშნული მუხლის კომენტარს იხილავთ: ხარაზი ია, საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, მესამე ნაწილი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „გეორგიკა", თბილისი, 2020.

[189] დღგ-ისათვის გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, მიერ ფიქტიური გარიგების/უსაქონლო ოპერაციის ამსახველი ან ყალბი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა – იწვევს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამომწერი/გამცემი პირის დაჯარიმებას საგადასახა ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული დღგ-ის თანხის 200 პროცენტის ოდენობით.

[190] „საქონლის დოკუმენტების გარეშე ტრანსპორტირების, რეალიზაციის და აღურიცხველობისას", პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება (საუბარია „სამეწარმეო საქმიანობისათვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება, მყიდველის მოთხოვნისას სასაქონლო ზედნადების გაუცემლობა ან საქონლის შეძენისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარის თქმა, - იწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით), განმეორებით ჩადენილი იწვევს პირის 5 000 ლარის ოდენობით დაჯარიმებას.

[191] მ. 186: „საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების მოხსნა. მოცილება ან/და სხვაგვარად გაუვარგისება/განა-

დგურება“, რომლის მე-4 ნაწილი ითვალისწინებს: მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედებაის ჩადენისას განმეორებით, - მფლობელის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით. მე-3 ნაწილში კი საუბარია: მუხლი 1-ლი ნაწილით [საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების მოხსნა/მოცილება ან/და კონტროლის ზონაში არსებული შენობა-ნაგებობის ან ნიშანდებული ბარგის/ხელბარგის დაზიანება ანდა სატრანსპორტო საშუალების გადაადგილება იმგვარად დადებული საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებით, რომელიც მასში ამ იდენტიფიკაციის საშუალების დაუზიანებლად შეღწევის შესაძლებლობას იძლევა, – იწვევს *მფლობელის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით]* გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ნიშანდებული სატრანსპორტო საშუალებიდან, საბაჟო კონტროლის ზონაში არსებული შენობა-ნაგებობიდან ან ნიშანდებული ბარგიდან/ხელბარგიდან საქონლის განკარგვა, დაკარგვა ან განადგურება, – იწვევს მფლობელის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

167-ე მუხლის მე-4 ნაწილით[192], 168-ე მუხლის მე-5 ნაწილით[193], *170-ე მუხლის მე-2 ნაწილით[194], 172-ე მუხლის პირველი ნაწილით[195], 176-ე მუხლის მე-2 ნაწილით[196] გათვალისწინებული პასუ-*

---

[192] მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – იწვევს დაჯარიმებას საბაჟო დეკლარაციაში შემცირებული იმპორტის გადასახდელის თანხის 100 პროცენტის ოდენობით.

[მე-3 ნაწილით გათვალისწინებულია ფიზიკური პირის მიერ 3 000 ლარამდე ღირებულების საქონელზე წარდგენილ საბაჟო დეკლარაციასა და მის თანმხლებ დოკუმენტში არასწორი მონაცემის არსებობისას იმპორტის გადასახდელისოდენობის შემცირებაზე, რომელიც გადასახდელის თანხის 40 პროცენტის ოდენობით].

[193] 168-ე მუხლის მე-5 ნაწილში საუბარია: მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – იწვევს დაჯარიმებას 4 000 ლარის ოდენობით, მე-4 ნაწილით კი გათვალისწინებულია ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით ტრანზიტული გადაადგილებისთვის განკუთვნილ სატრანსპორტო საშუალებაში განთავსებული საქონლის (გარდა ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდისა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისათვის საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად.

[194] საბაჟო კოდექსის 170-ე მუხლის („საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის გადატვირთვა/გადმოტვირთვა ან საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მიერ საბაჟო კონტროლის ზონის დატოვება ან სატრანსპორტო საშუალების მიერ საბაჟო მარშრუტიდან გადახვევა"), მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული განმეორებით ჩადენილი ქმედებისათვის 2 000 ლარის ოდენობით დაჯარიმება; ხოლო პირველ ნაწილში საუბარია საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მიერ საბაჟო კონტროლის ზონის დატოვებისას, საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის გადატვირთვა ან გადმოტვირთვისას ან მოძრაობისთვის დადგენილი საბაჟო მარშრუტიდან გადახვევის შემთხვევაში – პირის დაჯარიმებაზე 1 000 ლარის ოდენობით.

[195] საბაჟო ორგანოსთან შეუთანხმებელი ქმედება ან საბაჟო პროცედურის პირობების დარღვევა, რამაც გამოიწვია საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უკანონო განკარგვა, დაკარგვა ან განადგურება, –იწვევს დაჯარიმებას იდენტურ/მსგავს

ბისმგებლობის დაკისრების თაობაზე ძალაში შესული გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა;

- *ა.ბ) საქართველოს საბაჟო კოდექსის 166-ე მუხლის მე-3 და 168-ე მუხლის მე-3 ნაწილებით[197] გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ძალაში შესული ერთზე მეტი გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა;*
- *ა.გ) იმპორტის გადასახდელის ოდენობის 1000 ლარზე მეტით შემცირებისათვის საქართველოს საბაჟო კოდექსის 167-ე მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით[198] გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა;*
- ა.დ) 4000 ლარზე მეტი საბაჟო ღირებულების საქონლის საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად გადაადგილებისათვის საქართველოს საბაჟო კოდექსის *168-ე მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით[199] გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების*

საქონელზე ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე გადასახდელი იმპორტის გადასახდელის თანხის 100 პროცენტის ოდენობით.

[196] აღნიშნულ მუხლში საუბარია „სანებართვო პირობების შეუსრულებლობისას“ დაწესებულ სანქციებზე, კერძოდ: მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება (იმავე სანებართვო პირობის დარღვევა), ჩადენილი განმეორებით, – იწვევს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის გასამმაგებას. მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: საბაჟო საწყობის საქმიანობისას თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სანებართვო პირობის დარღვევა – იწვევს ნებართვის მფლობელის დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

[197] იხ. შესაბამისი მუხლების კომენტარები დამხმარე სახელმძღვანელოში.

[198] იხ. შესაბამისი მუხლის კომენტარი დამხმარე სახელმძღვანელოში.

[199] აღნიშნული მუხლის შესაბამისი ნაწილების კომენტარს დამხმარე სახელმძღვანელოში იხილავთ.

თაობაზე გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა;

- *ა.ე) 2019 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის:*
- *ა.ე.ა) 3[1] და მე-14 ნაწილებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ძალაში შესული ერთზე მეტი გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა;*
- *ა.ე.ბ) მე-4 ან მე-5 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის (იმპორტის გადასახდელების ოდენობის 1000 ლარზე მეტით შემცირებისათვის) დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა;*
- *ა.ე.გ) მე-10 ან მე-11 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის (4000 ლარზე მეტი საბაჟო ღირებულების საქონლის საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად გადაადგილებისათვის) დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა;*
- *ა.ე.დ) 3[1], მე-7, მე-16, მე-19, 26-ე ნაწილებით ან/და 290-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ძალაში შესული გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა;*

- *ბ) სტატუსის მაძიებლის „განაცხადის“ შემოსავლების სამსახურში რეგისტრაციის თარიღიდან წინა უწყვეტი 3 წლის განმავლობაში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 127[1] მუხლის მე-2 ნაწილით ან/და 155[2] მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ძალაში შესული გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა;*

• გ) სტატუსის მაძიებლის „განაცხადის“ შემოსავლების სამსახურში რეგისტრაციის მომენტისას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე[200], 193-ე,[201] 194-ე[202], 194[203], 195[1] – 198-ე[204], მე-200 – 200[205], 200[6]

---

[200] აღნიშნულ მუხლში საუბარია უკანონო სამეწარმეო საქმიანობაზე, კერძოდ: სამეწარმეო საქმიანობა რეგისტრაციის, ნებართვის ან ლიცენზიის გარეშე ანდა სანებართვო ან სალიცენზიო პირობების დარღვევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია ან რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება, – ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე (ნ.1.); . 2. იგივე ქმედება, ჩადენილი: ა) ჯგუფურად; ბ) არაერთგზის; გ) ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ, – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე. შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.

[201] ცრუ მეწარმეობა, ესე იგი საწარმოს შექმნა სამეწარმეო საქმიანობის განზრახვის გარეშე, კრედიტის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის მიღების ანდა აკრძალული საქმიანობის დაფარვის მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, – ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

[202] აღნიშნულ მუხლში საუბარია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრებისთვის) დაწესებულ სანქციებზე.

[203] საუბარია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა ან გასაღებისათვის დაწესებულ სანქციებზე.

[204] 195-ე მუხლში სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის წესის დარღვევისას დაკისრებულ სანქციაზეა საუბარი; 196-ე მუხლში საუბარის სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის ან სხვა კომერციული აღნიშვნის მართლსაწინააღმდეგო გამოყენებისას დაკისრებულ სანქციებზეა საუბარი; 197-ე მუხლი ფალსიფიკაციისას, ე.ი. მოტყუებით ნივთის თვისებრიობის შეცვლისას მწარმოებლის ან გამსაღებლის მიერ ჩადენილს ანგარებით, ჩადენილი ქმედებისას დაკისრებულ ჯარიმებზე საუბრობს; სისხლის სამართლის 198-ე მუხლის კი

ითვალისწინებს სანქციებს ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთლობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა, რეალიზაციისათვის სანქციებს.

[205] სისხლის სამართლის მე-200-ე მუხლით სანქციებია გათვალისწინებული მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვების, შენახვა, გადაზიდვა, რეალიზაციისათვის; 2001-ე მუხლით გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ყალბი აქციზური მარკების დამზადება, გასაღება ან/და გამოყენებისათვის; 2002-ე მუხლით კი გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა აქციზური მარკების მეორადი გამოყენების მიზნით გასაღება, შეძენა და გამოყენებისათვის ან/და მათი სხვა პირისათვის გადაცემისათვის.

[206] – 200[6], [207], 204[1], [208], 205-ე, 205[1], 206-ე[209], 207[2], [210]; 210-ე[211] – 212-ე[212], 214-ე,[213] 215-ე[214], 218-ე[215] – 221-ე[216] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის

---

[206] დაწესებულია სისხლისსამართლებრივი სანქცია სავალდებულო მარკირებას დაქვემდებარებული არააქციზური საქონლის ყალბი მარკირების ნიშნის დამზადება, გასაღება ან/და გამოყენებისათვის.

[207] სისხლის სამართლებრივი სანქციებია გათვალისწინებული სავალდებულო მარკირებას დაქვემდებარებული არააქციზური საქონლის მარკირების ნიშნის მეორადი გამოყენების მიზნით გასაღება, შეძენა და გამოყენება ან/და სხვა პირისათვის გადაცემისათვის .

[208] ბუღალტრული აღრიცხვის წესის დარღვევისათვისაა დაწესებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

[209] საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევისას გადახდისუუნარობისას, რამაც რეალური ქონებრივი მდგომარეობის შეფასება გაართულა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დააწესა კანონმდებელმა.

[210] ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების იმპორტის ან/და რეექსპორტის (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მათი ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების მიზნით იმპორტის შემთხვევისა), - სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს.

[211] სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაა დაწესებული ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყენებისათვის.

[212] ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღება, იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

[213] საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევა - იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

[214] სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაა დაწესებული საზღვარგარეთ გატანილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კულტურის ძეგლის ან ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის საქართველოში დაუბრუნებლობისათვის.

[215] გადასახადისათვის თავის არიდებისათვის კანონმდებელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობას აწესებს.

[216] სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაა დაწესებული ასევე კომერციული მოსყიდვისათვის.

(რომელიც კანონმდებლობით დადგენილი ვადაში არ გასაჩივრებულა ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა;

- *დ) ბუღალტრული და, საჭიროების შემთხვევაში, სატრანსპორტო აღრიცხვის მართვის ისეთი სისტემის არსებობა, როდესაც:*
  - *დ.ა) ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა შესაბამისობაშია ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებთან[217];*

ბუღალტრული აღრიცხვა სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ინფორმაციის შეგროვების, გაზომვის, დამუშავებისა და გადაცემის სისტემას წარმოადგენს. იგი ენაც, რომლის მეშვეობითაც ინფორმაცია მის მომხმარებლებს გადაეცემა. მსოფლიო პრაქტიკით, ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი მიზანი სამაზრო ურთიერთობების ყველა მონაწილისათვის ინფორმაციის მიწოდებაა. ბუღალტრული აღრიცხვა შეგროვებულ და დამუშავებულ ფინანსურ ინფორმაციას ფინანსურ ანგარიშგებაში განაზოგადებს და მიაწოდებს მომხმარებლებს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად[218].

ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშსწორებასთან გაიგივება, რასაც არც თუ ისე იშვიათად აქვს ადგილი, - არასწორია, ანგარიშწარმოება ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ოპერაციათა რეგისტრაციის, ინფორმაციის შენახვის მრავალგზის განმეორებადი პროცესია და ბუღალტრული აღრიცხვის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

„ბუღალტრული აღიცხვა სამეურნეო საქმიანობაში მომხდარ ცვლილებებს ასახავს ურთიერთკავშირში.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

საწარმოს სალაროში მიღებულია 2000 ლარი;

ბუღალტრულმა აღრიცხვამ, ჯერ ერთი, უნდა ასახოს, რომ სალაროში 2000 ლარია მიღებული და მეორე, საიდან იქნა ეს თანხა მიღებული სალაროში, რა არის მისი წყარო.

გამოდის, რომ ბუღალტრული აღრიცხვა სამეურნეო საქმიანობაში მომხდარ ცვლილებებს ორმაგი ასახვის მეთოდის საფუძველზე, ე. ი. სისტემურად აღრიცხავს) ასახავს), როგორც ქრონოლოგიურად - დროის ქრონოლოგიური თანმიმდებრობით, ასევე სისტემურად - ე.წ. ანგარიშთა

---

[217] დასახ. ნაშრ; 355-356.

[218] ბუღალტრული აღრიცხვის არსი, მიზანი, ამოცანები, http://press.tsu.edu.ge/lessons/internetgak/_biznesi%20da%20ekonomika/X1.3..htm .

სისტემის გამოყენებით, რაც სამეურნეო აღრიცხვის დანარჩენი სახეებისათვის დამახასიათებელს არ წარმოადგენს.

- *დ.ბ) ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში ინტეგრირებულია აღრიცხვიანობა საბაჟო მიზნებისათვის ან ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა შესაბამისი მონაცემების იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა;*
- *დ.გ) საბაჟო ორგანოს აქვს წვდომის საშუალება (მათ შორის, ელექტრონული ფორმით, ასეთის არსებობის შემთხვევაში) ბუღალტრულ ჩანაწერებზე, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – აგრეთვე მის კომერციულ და სხვა სახის ინფორმაციაზე;*
- *დ.დ) ლოგისტიკური სისტემა[219] საქართველოს საქონლისა და უცხოური საქონლის გამიჯვნის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მათი ადგილმდებარეობის განსაზღვრის საშუალებას იძლევა;*

---

[219] ლოგისტიკა (ფართო გაგებით) არის მატერიალური და მისი შესაბამისი ნაკადების მოძრაობის პროცესის დაგეგმვა, ორგანიზაცია, შესრულება და კონტროლი შესყიდვის მომენტიდან წარმოების და საქონელმოძრაობის (ტრანსპორტირება და სასაწყობო მეურნეობა) ჩათვლით, საბოლოო მომხმარებლამდე, ბაზრის მოთხოვნების უკეთესად დაკმაყოფილების მიზნით, მინიმალური დანახარჯებითა და საშუალებების რაციონალური გამოყენებით. სიტყვა „ლოგისტიკა" ბერძნული წარმოშობისაა და ყველა ევროპულ ენაში ეხმარება. ის აღნიშნავდა, გამოანგარიშების, მსჯელობის ხელოვნებას. სამამულო და საზღვარგარეთის ეკონომიკური ლიტერატურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დღეს ლოგისტიკაში იგულისხმება: ახალი მიმართულება ტვირთის მოძრაობის ორგანიზაციაში; სხვადასხვა ნაკადის დაგეგმვის თეორია ადამიანურ-მანქანურ სისტემებში; მოქმედების სხვადასხვა სახის ერთობლიობა აუცილებელი ტვირთის მისაღებად მოცემულ ადგილზე მოცემულ დროში მინიმალური დანაკარგებით გადაზიდვის და საწარმოო პროცესების ინტეგრაცია; მწარმოებლიდან მომხმარებლამდე ტვირთის გადატანასა და შენახვაზე დანაკარგის დაგეგმვის პროცესი; პროდუქტის ფიზიკური განაწილების (ინფრასტრუქტურის) მართვის ფორმა; მზა პროდუქციის ეფექტიანი მოძრაობა წარმოებიდან მომხმარებლამდე; ახალი სამეცნიერო მიმართულება დაკავშირებული მატერიალური და ინფორმაციული ნაკადების მართვის რაციონალური მეთოდების შემუშავებასთან; მეცნიერება წარმოებისა და განაწილების რაციონალურობის შესახებ. იხ. ვეშაპიძე შოთა, ლოჯისტიკა, თბილისი, 2015, 1, 8-9. https://www.sjuni.edu.ge/ebiblioteka/images/books/შეყვ%20lojistika.pdf.

- *დ.ე) სტატუსის მაძიებლის ორგანიზაციული სტრუქტურა ხელს უწყობს საქონლის გადაადგილების მართვას, ხოლო შიდა კონტროლის სისტემა უზრუნველყოფს პროცედურული უზუსტობებისა და დარღვევების გამოვლენას, პრევენციას და აღმოფხვრას;*
- *დ.ვ) აკრძალულებს ან/და შეზღუდვებს დაქვემდებარებული საქონლის მიმართ გამოიყენება პროცედურები, რაც ასევე მოიცავს აღნიშნული საქონლის იდენტიფიცირებისა და სხვა საქონლისაგან გამიჯვნის შესაძლებლობას;*
- *დ.ზ) უზრუნველყოფილია საღრიცხვო და სხვა დოკუმენტაციის შენახვის შესაძლებლობა;*
- *დ.თ) თანამშრომლები ინფორმირებული არიან კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის ფაქტების თაობაზე საბაჟო ორგანოსათვის დაუყოვნებლივი შეტყობინების ვალდებულების შესახებ;*
- *დ.ი) დაცვის სპეციალური მექანიზმები უზრუნველყოფს კომპიუტერულ სისტემებში უნებართვო შეღწევის თავიდან აცილებას და ინფორმაციის დაცვას;*

• ე) გადახდისუნარიანობა და ფინანსური მდგრადობა, რაც ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად თუ:

- *ე.ა) სტატუსის მაძიებლის მიმართ არ არის დაწყებული გადახდისუუნარობის/გაკოტრების საქმე;*
- *ე.ბ) სტატუსის მაძიებლის „განაცხადის" შემოსავლების სამსახურში რეგისტრაციის თარიღიდან წინა უწყვეტი 3 წლის განმავლობაში:*
- *ე.ბ.ა) მას არ ჰქონია აღიარებული საგადასახადო დავალიანება;*
- *ე.ბ.ბ) მას აქვს ისეთი ფინანსური მდგომარეობა, რომელიც უზრუნველყოფს წარმოშობილი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შესაძლებლობას;*

• ვ) მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ავტორიზაციის" შემთხვევაში, სტატუსის მაძიებელს უნდა ჰქონდეს საქონლის გაფორმების გამოცდილება ან/და იგი/მის მიერ დაქირავებული, საბაჟო საკითხებზე პასუხისმგებელი პირი უნდა აკმაყოფილებდეს პროფესიული კვალიფიკაციის მოთხოვნებს. აღნიშნული პირობა ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, თუ სრულდება ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

- *ვ.ა) სტატუსის მაძიებელს აქვს „განაცხადის" რეგისტრაციის თარიღიდან წინა უწყვეტი 3 წლის განმავლობაში საქართველოს საბაჟო*

ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებასთან ან/და გაფორმებასთან დაკავშირებული საქმიანობის გამოცდილება;

- *ვ.ბ) სტატუსის მაძიებელთან დასაქმებულ სამაჯო საკითხებზე პასუხისმგებელ პირს აქვს საქართველოს სამაჯო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებასთან ან/და გაფორმებასთან დაკავშირებული საქმიანობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება ან/და აღნიშნული მიმართულებით განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი, დიპლომი ან სხვ.);*
- *ვ.გ) სტატუსის მაძიებელი საქართველოს სამაჯო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებასთან ან/და გაფორმებასთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელებს ხელშეკრულების საფუძველზე სხვა ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის მეშვეობით, რომელიც არის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ავტორიზაციის“ მფლობელი;*

- *ზ) მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ავტორიზაციის“ შემთხვევაში – დაცვისა და უსაფრთხოების სათანადო სტანდარტის უზრუნველყოფა. აღნიშნული პირობა შესრულებულად ითვლება, თუ:*
  - *ზ.ა) სტატუსის მაძიებელს ჰყავს უსაფრთხოებისა და დაცვის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი;*
  - *ზ.ბ) საქართველოს სამაჯო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებასა და გაფორმებასთან დაკავშირებული საქმიანობისათვის განკუთვნილი, სტატუსის მაძიებლის სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობები და სხვა ადგილები დაცულია უნებართვო შეღწევისაგან;*
  - *ზ.გ) საქონლის შენახვისა და გადაადგილებისთვის უზრუნველყოფილია სათანადო პირობები, მათ შორის, საქონელი დაცულია უნებართვო წვდომის, გადაადგილების, შეცვლის ან ნებისმიერი სხვაგვარი უკანონო ქმედებისაგან;*
  - *ზ.დ) სტატუსის მაძიებელი თავის ბიზნესპარტნიორებთან, თანამშრომლებთან და სხვა დაქირავებულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით აკისრებს მათ უსაფრთხოებისა და დაცვის სტანდარტების კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფის ვალდებულებას;*
  - *ზ.ე) უსაფრთხოებისა და დაცვის სტანდარტებზე პასუხისმგებელი პირები რეგულარულად მონაწილეობენ შესაბამისი გადამზადების პროგრამებში.*

ინსტრუქციის „სამაჯო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების შესახებ“, მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და

„ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობები არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პირის სანქციისაგან გათავისუფლების თაობაზე საბაჟო ორგანოს/დავის განმხილველი ორგანოს ან სასამართლოს არაუმეტეს ერთი გადაწყვეტილებისა.

ასევე, მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“– „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები ვრცელდება სტატუსის მაძიებელზე და საბაჟო საკითხებზე პასუხისმგებელ პირზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო თუ სტატუსის მაძიებელი იურიდიული პირია, აგრეთვე – მის ხელმძღვანელებსა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირ(ებ)ზე.

თუკი სტატუსის მაძიებლის გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციიდან გასულია 3 წელზე ნაკლები, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობები მოწმდება არსებულ პერიოდზე.

ასევე, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობის შესრულების შემოწმებისას, ფიზიკური პირის შემთხვევაში, შემოსავლების სამსახურს წარედგინება სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული „ნასამართლობის შესახებ ცნობა“. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ე.ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ აღიარებული საგადასახადო დავალიანების არსებობის ფაქტს ადგილი ჰქონდა არაუმეტეს 3-ჯერ და ასეთი დავალიანების არსებობის პერიოდი თითოეულ შემთხვევაზე არ აღემატება ერთ თვეს.

რა პროცედურები უნდა გაიაროს პირმა, რომ მიიღოს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსი?

ინსტრუქციის „საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების შესახებ“, 21-ე მუხლის თანახმად, ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მისაღებად, პირი შემოსავლების სამსახურს წარუდგენს „განაცხადს“, შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცებული ფორმით, რომელიც მოიცავს სტატუსის მაძიებლის განცხადებას და თვითშეფასების კითხვარს. სტატუსის მაძიებლის ან შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სისტემის გაუმართაობის შემთხვევაში, განცხადების წარდგენა შესაძლებელია მატერიალური ფორმით.

„განაცხადის“ რეგისტრაციიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შემოსავლების სამსახური:

• ა) ამოწმებს განცხადების და თვითშეფასების კითხვარის შევსების სისწორეს და თანდართული დოკუმენტების სისრულეს;

• ბ) ასევე უფლებამოსილია ნაწილობრივ შეისწავლოს წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობა;

• გ) იღებს გადაწყვეტილებას:

- *გ.ა) „განაცხადის" განუხილველად დატოვების შესახებ;*
- *გ.ბ) სტატუსის მაძიებლის შემოწმების დანიშვნის შესახებ;*
- *გ.გ) ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.*

• დ) საჭიროების შემთხვევაში სტატუსის მაძიებელს უგზავნის მოთხოვნას დამატებითი დოკუმენტის ან/და სხვა ინფორმაციის წარდგენის შესახებ და განუსაზღვრავს შესაბამის ვადას.

ზემოთ აღნიშნული „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად მიღებულ გადაწყვეტილებას შემოსავლების სამსახური აცნობებს სტატუსის მაძიებელს.

დამატებითი დოკუმენტის ან/და სხვა ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, ზემოთ აღნიშნული ვადა ჩერდება არაუმეტეს 30 კალენდარული დღით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მისი დამატებით გაგრძელება არაუმეტეს 15 კალენდარული დღით.

გადაწყვეტილება „განაცხადის" განუხილველად დატოვების შესახებ მიიღება, თუ:

• ა) იმავე პირის ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის გაუქმებიდან (გარდა ამ ინსტრუქციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლისა) გასულია 3 წელზე ნაკლები;

შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია გააუქმოს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსი: ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის მოთხოვნის საფუძველზე...".

• ბ) არ არის წარდგენილი ამ მუხლის მეორე პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დამატებითი დოკუმენტი ან/და სხვა ინფორმაცია.

„განაცხადის" რეგისტრაციიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შემოსავლების სამსახური საჭიროების შემთხვევაში სტატუსის მაძიებელს უგზავნის მოთხოვნას დამატებითი დოკუმენტის ან/და სხვა ინფორმაციის წარდგენის შესახებ და განუსაზღვრავს შესაბამის ვადას.

სტატუსის მაძიებლის შემოწმების დანიშვნიდან **120 კალენდარული დღის** ვადაში შემოსავლების სამსახური:

- *ა) ამოწმებს, აკმაყოფილებს თუ არა სტატუსის მაძიებელი ინსტრუქციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ პირობებს ავტორიზაციის შესაბამისად;*

საუბარია ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მისაღებად აუცილებელი პირობებზე.

- *ბ) იღებს გადაწყვეტილებას ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ (პ.6).*

ინსტრუქციის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, ზემოთ განსაზღვრული ვადის გაგრძელება **არაუმეტეს 30 კალენდარული დღით.**

იმ შემთხვევისათვის, თუ დაწყებული შემოწმების გაგრძელება ვერ ხერხდება დაუძლეველი ძალის გამო, ან საჭიროა დამატებითი ინფორმაციის მოპოვება, ან სტატუსის მაძიებელი ითხოვს დამატებით ვადას ნაკლოვანების აღმოფხვრის ან ამ ინსტრუქციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილებისათვის,[220] შემოსავლების სამსახური იღებს გადაწყვეტილებას შემოწმების **არაუმეტეს 30 დღით** შეჩერების შესახებ, რომელიც ეცნობება სტატუსის მაძიებელს (პ.8). მე-8 პუნქტის გათვალისწინებით შეჩერებული შემოწმება და შესაბამისი ვადის დინება განახლდება შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილებით, დაუძლეველი ძალის აღმოფხვრისთანავე ან დამატებითი ინფორმაციის მოპოვებისთანავე, ხოლო თუ შემოწმების შეჩერება მოხდა სტატუსის მაძიებლის მოთხოვნით – ნაკლოვანების აღმოფხვრის ან პირობების დაკმაყოფილებისათვის განსაზღვრული ვადის გასვლისთანავე.

სტატუსის მაძიებლის შემოწმების შედეგები ფორმდება **„ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მაძიებლის/მფლობელის შემოწმების აქტით“**, შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად, რომლის გათვალისწინებითაც შემოსავლების სამსახური გამოსცემს ბრძანებას/იღებს გადაწყვეტილებას ავტორიზებული ეკონომიკური

---

[220] საუბარია ზემოთ აღნიშნულ ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მისაღებად აუცილებელი პირობებზე.

ოპერატორის სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ. სტატუსის მაძიებლის შემოწმების დანიშვნიდან 120 კალენდარული დღის ვადაში კი იღებს გადაწყვეტილებას ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

როგორც „განაცხადის" განხილვის, ისე სტატუსის მაძიებლის შემოწმების მიმდინარეობის პერიოდში, სტატუსის მაძიებელს უფლება აქვს მიიღოს კონსულტაცია ან წარმოადგინოს საკუთარი პოზიცია. „იმისათვის, რომ სტატუსის მაძიებელმა უკეთ გააანალიზოს ავტორიზაციის მოსაპოვებლად საჭირო პირობები, ავტორიზაციის მოსაპოვებლად განცხადების გაკეთებამდე მას შეუძლია გაეცნოს თვითშეფასების კითხვარს და მის განმარტებებს აღნიშნული კითხვარი დაეხმარება მას უკეთ შეაფასოს საკუთარი საქმიანობა და გააანალიზოს, რამდენად არის მზად სტატუსის მოსაპოვებლად. კითხვარმა შესაძლოა მისცეს მინიშნებები, თუ სად საჭიროებს მისი საქმიანობის პროცესები განვითარებას.

სტატუსის მოპოვების მიზნით განაცხადისა და თვითშეფასების კითხვარის წარდგენისას, სტატუსის მაძიებელი მზად უნდა იყოს დაადასტუროს თავისი საქმიანობის პროცესებისა და პროცედურების შესაბამისობა, როგორც თვითშეფასების კითხვარში ასახულ ინფორმაციასთან, ასევე ავტორიზაციის მისაღებად საჭირო კრიტერიუმებთან. ამავდროულად, სტატუსის მაძიებელი უნდა დარწმუნდეს, რომ იგი და მისი პერსონალი მზად არიან შემოწმების ჯგუფის მისაღებად.

საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი მზად არის, პირს სტატუსის მისაღებად მომზადების თუ სტატუსის მიღების შემდგომ ეტაპებზე გაუწიოს კონსულტაცია"[221].

შემოსავლების სამსახურის უფროსის ან მის მიერ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის ბრძანებით, პირს უვადოდ ენიჭება ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსი, მის

[221] https://www.rs.ge/LegalEntityAuthorizedPersons?cat=2&tab=1.

შესაბამისად გაცემული ავტორიზაცია(ები) და ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის ლოგოს (დანართი №1-IV-01) გამოყენების უფლება.

როგორ შევინარჩუნოთ ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსი? სტატუსის მფლობელი იმ პერიოდის განმავლობაში, სანამ ფლობს სტატუსს, უნდა აკმაყოფილებდეს სტატუსის მინიჭებისათვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს. სტატუსის მფლობელი ვალდებულია შემოსავლების სამსახურს აცნობოს ისეთი ცვლილებების განხორციელების განზრახვისას, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს სტატუსის შენარჩუნებაზე. ძირითადად, ასეთი შეტყობინების აუცილებლობა დგება ორგანიზაციული, პერსონალის, სისტემების ან პროცედურების ცვლილებების შემთხვევაში. თუ სტატუსის მფლობელი ვეღარ აკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმებს, შესაძლოა მას შეუჩერდეს ან/და გაუუქმდეს სტატუსი, ხოლო შემოსავლების სამსახურის მიერ ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევაში (გარდა სტატუსის მფლობელის მოთხოვნისა), განმეორებით წარდგენილი განაცხადი სტატუსის მოპოვების თაობაზე, არ განიხილება **სტატუსის გაუქმებიდან 3 წლის განმავლობაში**[222].

ეკონომიკური ოპერატორის ლოგო



[222] იქვე.

ლოგოს ძირითადი ნაწილი გამოსახულია ერთმანეთთან შერწყმული და დაკავშირებული ლათინური ანბანის ასოებით - „AEO“, რომელიც ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის ლათინური დასახელების („AUTHORISED ECONOMIC OPERATOR“) აბრევიატურას წარმოადგენს. პირველ ლათინურ ასოსთან „A“ ჩართულია სიმბოლოები: ერთი ჰორიზონტალური ხაზი და სამი დახრილი ჯვარი, რომლებიც ერთობლიობაში მოაზრებულია, როგორც საქართველოს სახელმწიფო დროშის გამომსახველი სიმბოლო. სიმბოლოები შესრულებულია წითელი ფერით (ფერის კოდები: RGB 255-0-0; CMYK 0-100-100-0; Pantone 485C; Web №FF0000), რომელიც შეესაბამება საქართველოს სახელმწიფო დროშის ფერს. სიმბოლოებს ქვევით დაყვება ტექსტი შესრულებული ქართულ და ინგლისურ ენაზე: „ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი. საქართველო“; „AUTHORISED ECONOMIC OPERATOR. GEORGIA“ (ტექსტის შესრულების შრიფტი: Quicksand)[223].

---

[223] 2019 წლის 29 ოქტომბერს ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს მიმართა ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის ლოგოს შესახებ შენიშვნებისა და წინადადებებისათვის საქართველოს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტმა. ჰერალდიკის საბჭოს სპეციალისტებმა განიხილეს და იმსჯელეს ბრძანების პროექტით წარმოდგენილი ლოგოს ესკიზის შესახებ. გაიცა მცირე რეკომენდაცია. შედეგად საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 27 დეკემბრის №417 ბრძანებას „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ, რომლითაც დამტკიცებული იქნა ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის ლოგო. ლოგოს ძირითადი ნაწილი გამოსახულია ერთმანეთთან შერწყმული და დაკავშირებული ლათინური ანბანის ასოებით - „AEO“, რომელიც ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის ლათინური დასახელების („AUTHORISED ECONOMIC OPERATOR“) აბრევიატურას წარმოადგენს. პირველ ლათინურ ასოსთან „A“ ჩართულია სიმბოლოები: ერთი ჰორიზონტალური ხაზი და სამი დახრილი ჯვარი, რომლებიც ერთობლიობაში მოაზრებულია, როგორც საქართველოს სახელმწიფო დროშის გამომსახველი სიმბოლო. სიმბოლოები შესრულებულია წითელი ფერით (ფერის კოდები: RGB 255-0-0; CMYK 0-100-100-0; Pantone 485C; Web №FF0000), რომელიც შეესაბამება საქართველოს სახელმწიფო დროშის ფერს. სიმბოლოებს ქვევით დაყვება ტექსტი შესრულებული ქართულ და

ინსტრუქციის „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ", 22-ე მუხლი განსაზღვრავს გამარტივებებს და შეღავათებს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორების მიერ საბაჟო ფორმალობების განხორციელებისას, კერძოდ: შემოსავლების სამსახურის მიერ ავტორიზაციის მფლობელზე შესაძლებელია გაიცეს თანხმობა კუთვნილი საქონლის წინასწარ შეთანხმებულ ტერიტორიაზე დათვალიერების თაობაზე.

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის კუთვნილი/მფლობელობაში არსებული საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილებისას ექვემდებარება ფიზიკური და დოკუმენტური შემოწმებისათვის ნაკლები სიხშირით შერჩევას. ამასთან, საბაჟო კონტროლის განხორციელების ალბათობა (სიხშირე) მცირდება აღნიშნული საქონლის მიწოდების ჯაჭვში ჩართული ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორების რაოდენობის გათვალისწინებით.

თუ ამავე ინსტრუქციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით[224] გათვალისწინებული ავტორიზაციის მფლობელი ეკონომიკური ოპერატორი შემოსავლების სამსახურს საქონლის შესახებ ინფორმაციას წარუდგენს საქონლის საქართველოს საბაჟო

ინგლისურ ენაზე: „ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი. საქართველო"; „AUTHORISED ECONOMIC OPERATOR. GEORGIA" (ტექსტის შესრულების შრიფტი: Quicksand).

შემოსავლების სამსახური ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის ლოგოს გამოყენების უფლებას აძლევს სტატუსის მფლობელს. აღნიშნული ლოგო სტატუსის მფლობელმა შესაძლებელია გამოიყენოს საქმიანი მიმოწერის დროს, მის წერილებსა და ინვოისებზე გამოსახვის გზით, აგრეთვე შეუძლია დაიტანოს საქონლის შეფუთვებზე, სატრანსპორტო საშუალებებზე და ა. შ.

შენიშვნა: სტატუსის შეჩერების ან გაუქმების შემთხვევაში გადამხდელმა დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს ლოგოს გამოყენება.

[224] თუ ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი ფლობს შემდეგი სახის ავტორიზაციას: „დაცვისა და უსაფრთხოებისათვის", რომელიც მის მფლობელს აძლევს დაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გარკვეული შეღავათებით სარგებლობის უფლებას.

ტერიტორიაზე შემოტანამდე, ხოლო საბაჟო ორგანოს მიერ მიღებული იქნება გადაწყვეტილება მისი ფიზიკური დათვალიერების შესახებ, შემოსავლების სამსახური აღნიშნულის თაობაზე აცნობებს სტატუსის მფლობელს (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ხელს შეუშლის საბაჟო კონტროლის განხორციელებას ან/და გავლენას იქონიებს მის შედეგებზე).

საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის“ შესაბამისად, „უფლებამოსილი ექსპორტიორის სტატუსის მისაღებად წარსადგენი განაცხადითა“[225] და შესაბამისი თანდართული დოკუმენტებით მიმართვის შემთხვევაში, ამავე ინსტრუქციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ავტორიზაციის მფლობელ ეკონომიკურ ოპერატორს მიენიჭება უფლებამოსილი ექსპორტიორის სტატუსი[226].

ექსპორტში, გარე გადამუშავებაში, რეექსპორტში ან ტრანზიტში დეკლარირებული საქონლის მიმართ საბაჟო კონტროლის ღონისძიებების გაფორმების ორგანოში განხორციელება და საქონლის გაშვება არ გამორიცხავს შესაბამისი ინფორმაციის მიღებისას ან/და ახლად აღმოჩენილი გარემოებ(ებ)ის გამო, დანიშნულების საბაჟო გამშვებ პუნქტში საქონლის განმეორებითი, დამატებითი და მიზანმიმართული დათვალიერების ჩატარებას ან/და საბაჟო კონტროლის სხვა ღონისძიებ(ებ)ის განხორციელებას.

საბაჟო კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილი შეიცავს გამონაკლისს **ამავე კოდესის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილისაგან,** სადაც საუბარია იმის შესახებ, რომ: „მონაცემთა დამუშავების ელექტრონული საშუალების გარდა, ინფორმაციის გაცვლისა და შენახვის სხვა საშუალება

---

[225] საქართველოს მთავრობის დადგენილებაზე „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის შესახებ“ შესაბამის თავში იქნება საუბარი.

[226] ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის შესახებ ვრცლად იხ. ია ხარაზი, საბაჟო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, 2021.

შეიძლება გამოყენებულ იქნეს მუდმივად, გადაზიდვის სახის გათვალისწინებით, ან როდესაც მონაცემთა დამუშავების ელექტრონული საშუალების გამოყენება შესაბამისი საბაჟო ფორმალობისთვის შესაფერისი არ არის; დროებით, პირის ან საბაჟო ორგანოს ელექტრონული სისტემის გაუმართაობის შემთხვევაში" (და რომელიც ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით განისაზღვრება), საბაჟო დეკლარაცია შეიძლება წარდგენილ იქნეს მონაცემთა დამუშავების ელექტრონული საშუალებისგან განსხვავებული საშუალებით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით.

საქონლის საბაჟო დეკლარაციას ავსებს: დეკლარანტი ინსტრუქციის „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ" (დანართი №8), მე-5 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში; კერძოდ, საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის შევსებას, გარდა ამავე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ახორციელებს საბაჟო ორგანო, რომელსაც აქვს ამ უფლებამოსილების სხვა პირზე დელეგირების უფლება. **პირს უფლება აქვს შეავსოს საბაჟო დეკლარაცია/რეექსპორტის დეკლარაცია, თუ:**

- ა) პირი დეკლარირებას ახორციელებს თავისი სახელით;
- ბ) პირს გააჩნია შემოსავლების სამსახურის შესაბამის სერვერთან მიერთების შესაძლებლობა და აქვს დაშვება „eCustoms"-ში ან/და „Oracle"-ში.

პირის წარმომადგენელს უფლება აქვს შეავსოს საბაჟო დეკლარაცია/რეექსპორტის დეკლარაცია, თუ:

- ა) ამ დეკლარაციის შევსება არ განეკუთვნება საბაჟო ორგანოს ან სხვა პირის უფლებამოსილებას საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად;
- ბ) წარმომადგენელს გააჩნია შემოსავლების სამსახურის შესაბამის სერვერთან მიერთების შესაძლებლობა და აქვს დაშვება „eCustoms "-ში ან/და „Oracle"-ში.

ერთი საქონლის საბაჟო დეკლარაციით შეიძლება გაცხადდეს მხოლოდ ერთი სასაქონლო პარტია, ხოლო სეს ესნ-ის 8429, 8701, 8702, 8703, 8704, 8705, 8711 (რომლის ძრავას მუშა-მოცულობა 50 სმ^3-

ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავას შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) და 8716 (მისაბმელები და ნახევრადმისაბმელები) სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში – მხოლოდ ერთი ავტოსატრანსპორტო საშუალება, გარდა ამავე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.[227]

საქონლის საბაჟო დეკლარაციის ძირითადი ფურცლით შეიძლება გაცხადდეს ცნობები მხოლოდ ერთი დასახელების, სახეობისა და მარკის საქონელზე, რომელიც სეს ესნ-ში კლასიფიცირდება ერთი თერთმეტნიშნა კოდით და წარმოშობილია ერთ ქვეყანაში.

საქონლის საბაჟო დეკლარაციის ერთ დამატებით ფურცელში შეიძლება გაცხადდეს ცნობები სამი დასახელების, სახეობის და მარკის საქონელზე, რომელთაგან თითოეული მათგანი წარმოშობილია ერთ ქვეყანაში და სეს ესნ-ში კლასიფიცირდება ერთი თერთმეტნიშნა კოდით. დაუშვებელია, ერთ საქონლის საბაჟო დეკლარაციაში გაცხადდეს ერთზე მეტი ერთი და იმავე თერთმეტნიშნა კოდის და ერთი და იგივე წარმოშობის ქვეყნის საქონელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი საქონლის ნაწილზე წარმოდგენილია საქონლის შეღავათიანი (პრეფერენციული) წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან როდესაც საქონლის დეკლარირება ხორციელდება „ოქროს სიის“ მონაწილის მიერ პერიოდული საქონლის საბაჟო დეკლარაციის გამოყენებით.

საქონლის საბაჟო დეკლარაციის დამატებითი ფურცლის გრაფების შევსების წესი იგივეა, რაც ძირითადი ფურცლის შესაბამისი გრაფებისა.

სასაქონლო პარტიის ერთ საქონლის საბაჟო დეკლარაციაში დეკლარირებისას მის ძირითად ფურცელს შეიძლება დაერთოს არა

---

[227] საქონლის კოდების შესახებ იხ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის ბრძანება №275 წლის „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ დანართი #1,
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3

უმეტეს 33 დამატებითი ფურცლისა და ერთი საქონლის საბაჟო დეკლარაციით შეიძლება გაცხადდეს არა უმეტეს 100 დასახელების საქონელი.

იმ შემთხვევაში, თუ სასაქონლო პარტია შედგება 100-ზე მეტი დასახელების საქონლისაგან, მაშინ 100-ის შემდეგ პარტიაში შემავალ ყოველ მომდევნო 100 დასახელებამდე საქონელზე ივსება ახალი საქონლის საბაჟო დეკლარაცია.

დასაშვებია საქონლის საბაჟო დეკლარაციის უკანა გვერდის გამოყენება სხვადასხვა მაკონტროლებელი ორგანოების აღნიშვნებისა და დამღებისათვის.

თუ საქონლის საბაჟო დეკლარაციას ავსებს დეკლარანტი, ამ დეკლარაციის „eCustoms"-ში რეგისტრაციისას:

- ა) ინსტრუქციის მე-6 მუხლით (**„საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის განსაზღვრისას წარსადგენი დოკუმენტები"**)[228] განსაზღვრული დოკუმენტები წარედგინება ელექტრონულად, ხოლო დოკუმენტები მატერიალური სახით ინახება დეკლარანტთან. ამასთან, ლიცენზიები, ნებართვები, სერტიფიკატები, გარანტიები და შეღავათების დამადასტურებელი დოკუმენტები ინახება ორიგინალის სახით, ხოლო სხვა დოკუმენტების შენახვა შესაძლებელია როგორც დედნის, ასევე დეკლარანტის მიერ ხელმოწერითა და ბეჭდით (არსებობის შემთხვევაში) დამოწმებული ასლის სახით;
- ბ) დოკუმენტებთან ერთად ასევე ელექტრონულად წარედგინება „საქონლის გაფორმებისათვის წარდგენილი დოკუმენტების შესახებ განაცხადი" (დანართი №8-III-02)[229];
- გ) როცა ტექნიკურად შეუძლებელია სარკინიგზო ზედნადების ელექტრონული ფორმით წარდგენა, მის ნაცვლად ელექტრონულად წარედგინება „სარკინიგზო ზედნადების მონაცემების

---

[228] ამ დოკუმენტების შესახებ ზემოთ უკვე იყო საუბარი და მის განვრცობას ამ შემთხვევაში აღარ მოვახდენთ.

[229] დანართების შესახებ იხ. ინსტრუქციაში „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ" (დანართი №).

შესახებ განაცხადი“ (დანართი №8-III-03), ხოლო სარკინიგზო ზედნადები მატერიალური სახით ინახება დეკლარანტთან.

იმ შემთხვევაში, თუ დეკლარანტი თხოვნით მიმართავს საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებებს, გაფორმების ეკონომიკურ ზონას ან თავისუფალი ზონის საბაჟო გამშვებ პუნქტს საქონლის საბაჟო დეკლარაციის შევსების თაობაზე, გაფორმების საბაჟო ორგანოს წარედგინება საბაჟო პროცედურისათვის/რექსპორტისათვის აუცილებელი დოკუმენტები. ამ შემთხვევაში საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი ახორციელებს „საბაჟო ორგანოში საქონლის გაფორმებისათვის წარდგენილი დოკუმენტების შესახებ განაცხადის” (დანართი №8-III-04) შევსებას, რომელიც დაერთვება წარმოდგენილ დოკუმენტებს და მოწმდება დეკლარანტის ხელმოწერით ან ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ელექტრონული ხელმოწერით. დოკუმენტზე ელექტრონული ხელმოწერა ითვლება მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ.

თუ დეკლარანტი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე ან ერთი მიმღების მისამართით გაგზავნილი, თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების ან შიდა გადამუშავების პროცედურისათვის განკუთვნილი საქონლის დანიშნულების ადგილზე წარდგენამდე ან ექსპორტის პროცედურისათვის განკუთვნილ საქონელზე თხოვნით მიმართავს საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებებს, გაფორმების ეკონომიკურ ზონას ან თავისუფალი ზონის საბაჟო გამშვებ პუნქტს საქონლის საბაჟო დეკლარაციის შევსების თაობაზე, საბაჟო პროცედურისათვის აუცილებელი დოკუმენტების წარდგენა აგრეთვე შესაძლებელია ელექტრონულად. ასეთ შემთხვევაში დოკუმენტები ინახება დეკლარანტთან, რომელიც ვალდებულია მოთხოვნისამებრ წარუდგინოს ისინი საბაჟო ორგანოს.

თუკი პირის მიერ საბაჟო პროცედურის ან რექსპორტის განსაზღვრისას წარდგენილ დოკუმენტებში არსებული მონაცემები არასწორად აისახა საქონლის საბაჟო დეკლარაციაში, პირს საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული სანქცია არ დაეკისრება.

წინასწარ (საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე) დეკლარირებული საქონლის საქონლის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციიდან **45 კალენდარული დღის** შემდეგ შემოტანის შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს საქონლის ხელახალი დეკლარირება.

eCustoms"-ის მეშვეობით საქონლის საბაჟო დეკლარაციის დეკლარაციის გრაფებში შესატანი მონაცემების ელექტრონულად დამუშავებისას გამოიყენება ფინანსთა მინისტრის ბრძანებით (#257) დამტკიცებული „დეკლარირების კლასიფიკატორი" (დანართი №19) (შემდგომში – კლასიფიკატორი).

დეკლარირების კლასიფიკატორის შესახებ იხ. ფინანსთა მინისტრის ბრძანება (#257), დანართი №19 „დეკლარირების კლასიფიკატორი", სადაც ნაწილი 1-ში მოცემულია საბაჟო პროცედურების/რეჟიმების კლასიფიკატორი; ნაწილი 2-ში საბაჟო ორგანოებისა და გაფორმების სხვა ადგილების კლასიფიკატორი; ასევე, გაფორმების ეკონომიკური ზონები და გაფორმების სხვა ადგილები; ქვეყნების, ტერიტორიებისა და ვალუტების კლასიფიკატორი (ნაწილი 3); იმპორტის გადასახდელის სახეობების კლასიფიკატორი კოდი დასახელება (ნაწილი 4); ნაწილი 5: გადასახდელის გაანგარიშების დამხმარე კოდების კლასიფიკატორი; ნაწილი 6: ვალდებულების შესრულების გარანტიის სახეების კლასიფიკატორი; ნაწილი 7: მიწოდების პირობების კლასიფიკატორი (მაგ; საწარმოდან (მითითებულ ადგილზე); თავისუფალი გადამზიდველამდე მიტანიდან; თავისუფალი პორტში მიტანიდან (ჩატვირთვის მითითებულ პორტში) [FAS]; თავისუფალი გემბანის ბორტზე დადებიდან (ჩატვირთვის მითითებულ პორტში [FOB]; ღირებულება, დაზღვევა და ფრახტი (დანიშნულების მითითებულ პორტში) [CIF] და ა.შ.

საბაჟო კოდექსის 82-ე მუხლის მესამე ნაწილი მიუთითებს ამავე მუხლის **პირველი ნაწილის** გამოყენებაზე, კერძოდ, ექსპორტის ან გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქართველოს საქონელი ექვემდებარება საბაჟო ზედამხედველობას[230] ამავე მუხლის

---

[230] საბაჟო ზედამხედველობის შესახებ ვრცელი კომენტარია გაკეთებული საბაჟო სამართლის პირველ ნაწილში (ავტ. ი. ხარაზი, 2021), გამომდინარე აქედან ამ შემთხვევაში მის განმარტებას ამ შემთხვევაში არ შემოგთავაზებთ, რამეთუ ამ საკითხებს ისევ მივუბრუნდებით ცალკეული ოპერაციების მარეგულირებელი ნორმების კომენტირებისას.

პირველი ნაწილით გათვალისწინებული საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანამდე ან ამ საბაჟო დეკლარაციის ბათილად ცნობამდე.

რაც შეეხება საბაჟო დეკლარაციის წარდგენისა და რეგისტრაციის, საბაჟო დეკლარაციის თანხმლებ დოკუმენტთან საბაჟო ორგანოს დაშვების, საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანისა და მისი გაუქმების წესებს, განისაზღვრება ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ" (დანართი №8).

საბაჟო დეკლარაციის წარდგენასა და რეგისტრაციაზე ზემოთ გვქონდა საუბარი და ამ საკითხს აქ აღარ განვიხილავთ, გარდა სპეციალური ოპერაციების მარეგულირებელი ნორმების კომენტირებისას, შესაბამისი საკითხების განხილვისას.

საქონლის შემოტანის ზოგად დეკლარაციაში ცვლილების შეტანა ან მისი ბათილად ცნობა. საბაჟო კანონმდებლობა დასაშვებად მიიჩნევს, რომ, საბაჟო ორგანომ დეკლარანტს მისი განცხადების საფუძველზე შეიძლება მისცეს უფლება, წარდგენილ საქონლის შემოტანის ზოგად დეკლარაციაში შეიტანოს ცვლილება, გარდა შემთხვევებისა, **როდესაც საქონლის შემოტანის ზოგად დეკლარაციაში ცვლილების შეტანა დაუშვებელია, კერძოდ:**

- საბაჟო ორგანომ საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის წარმდგენს შეატყობინა ამ დეკლარაციით დეკლარირებული საქონლის შემოწმების განზრახვის შესახებ;
- საბაჟო ორგანომ დაადგინა დეკლარირებული მონაცემების მცდარობა;
- საქონელი წარედგინა საბაჟო ორგანოს.

იმ შემთხვევაში თუ საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციით დეკლარირებული საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი არ იქნა, საბაჟო ორგანომ ეს დეკლარაცია ბათილად უნდა ცნოს:

- დეკლარანტის მიერ შესაბამისი განცხადების წარდგენისთანავე;
- ამ დეკლარაციის წარდგენიდან **200 დღის** გასვლის შემდეგ.

საქონლის შემოტანის ზოგად დეკლარაციაში ცვლილების შეტანისა და მისი ბათილად ცნობის წესები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით („ინსტრუქცია საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ", დანართი №8). საბაჟო კოდექსის 90-ე მუხლის[231] საფუძველზე კი დეკლარანტის განცხადების საფუძველზე რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაში შესაძლებელია ცვლილების შეტანა. ეს ცვლილება არ შეიძლება შეეხებოდეს იმ საქონელს, რომელიც ამ დეკლარაციით თავდაპირველად დეკლარირებული არ იყო. რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაში ცვლილება შეიძლება შეტანილ იქნეს საბაჟო ორგანოს ინიციატივით, შესაბამისი საქონლის გაშვებამდე, თუ დადგინდა ამ დეკლარაციაში არასწორი მონაცემის არსებობა. ინსტრუქციის „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ", მე-14 მუხლი ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც დასაშვებია საქონლის საბაჟო დეკლარაციაში ცვლილებების შეტანა (მაგ; საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებაზე არ არის დარღვეული იდენტიფიკაციის საშუალების მთლიანობა) და ა.შ.

დეკლარანტის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს მტკიცებულებები, რაც წარმოადგენს საქონლის საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების განხორციელების საფუძველს და დეკლარანტთან არსებული საქონლის საბაჟო დეკლარაციის ეგზემპლარი. საქონლის საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანა ხორციელდება საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ ამ დეკლარაციის ელექტრონულ ვერსიაში ცვლილების შეტანით და ახალი ეგზემპლარის გაცემით; ხოლო ინსტრუქციის 141 მუხლით გათვალისწინებულია საბაჟო დეკლარაციის ბათილად ცნობა, კერძოდ: თუ დეკლარაციით გაცხადებულია საქონელი, რომლის საქართველოში შემოტანა/საქართველოდან გატანა ან/და რომლის მიმართ გაცხადებული

[231] რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაში ცვლილებების შეტანის შესახებ მოგვიანებით, საბაჟო კოდექსის 90-ე მუხლის კომენტარისას გვექნება საუბარი.

საბაჟო პროცედურის გამოყენება აკრძალულია; როდესაც დეკლარანტის მიერ დადგენილ ვადაში არ იქნა წარდგენილი კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზიები ან ნებართვები;თუ შეუძლებელია ან შეცდომით მოხდა საქონლის მიმართ გაცხადებული საბაჟო პროცედურის გამოყენება და ა.შ.

საბაჟო დეკლარაციაში ცვლილებების შეტანასა და მის მათილად ცნობაზე ვრცელი საუბარი იქნება იმ პარაგრაფში, სადაც საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ ვისაუბრებთ.

საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის ნაცვლად საბაჟო დეკლარაციის წარდგენა. საბაჟო კოდექსის 68-ე მუხლი დასაშვებად მიიჩნევს, რომ საბაჟო ორგანომ შეიძლება არ მოითხოვოს საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის წარდგენა, **იმ შემთხვევაში, თუ:** ამ დეკლარაციით დასადეკლარირებელ საქონელზე ამავე დეკლარაციის წარდგენის ვადის ამოწურვამდე წარდგენილ იქნა საბაჟო დეკლარაცია. ამ შემთხვევაში საბაჟო დეკლარაცია სულ მცირე უნდა შეიცავდეს საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციისთვის საჭირო მონაცემებს, რომელზედაც ამავე პარაგრაფში უკვე იყო საუბარი. საბაჟო დეკლარაციას საბაჟო კოდექსის 89-ე მუხლის შესაბამისად რეგისტრაციამდე აქვს საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის სტატუსი.

საბაჟო კოდექსის 89-ე მუხლის მიხედვით: საბაჟო დეკლარაცია, რომელიც აკმაყოფილებს საბაჟო კოდექსის XIII-ეთავით („საქონლის საბაჟო პროცედურაში მოქცევა") გათვალისწინებულ პირობებს, საბაჟო ორგანომ დაუყოვნებლივ უნდა დარეგისტრიროს, თუ ამ დეკლარაციით დეკლარირებული საქონელი საბაჟო ორგანოს წარედგინა. თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საბაჟო ორგანო საქონლის მიმართ იყენებს საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს მოქმედ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობას.

- ამ დეკლარაციით დასადეკლარირებელ საქონელზე ამავე დეკლარაციის წარდგენის ვადის ამოწურვამდე წარდგენილ იქნა დროებით შენახვის დეკლარაცია[232]. ამ შემთხვევაში დროებით შენახვის დეკლარაცია უნდა შეიცავდეს საქონლის შემოტანის ზოგადი

[232] დროებითი შენახვის დეკლარაციაზე მოგვიანებით იქნება საუბარი.

დეკლარაციისთვის საჭირო მონაცემებს. დროებით შენახვის დეკლარაციას დეკლარირებული საქონლის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენამდე აქვს საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის სტატუსი. შესაბამისად ამ შემთხვევაში უნდა ვიხელმძღვანელოთ საბაჟო კოდექსის 73-ე მუხლით (საქონლის საბაჟო ორგანოსათვისწარდგენა) და რომლის კომენტარსაც შესაბამის პარაგრაფში შემოგთავაზებთ.

2.2. საბაჟო ფორმალობების განხორციელების დრო და ადგილი

საბაჟო კანონმდებლობით ზუსტადაა დარეგულირებული საქონლის გაფორმების, საბაჟო გამშვები პუნქტებისა და საბაჟო ორგანოს კომპეტენციისათვის მიკუთვნებული საბაჟო ფორმალობების განხორციელების ადგილები და საათები, რისი დარღვევაც შესაბამისად უცილობლად გამოიწვევდა საბაჟო პროცედურაში მოქცეული საქონლის გადაზიდვის სახეობების გათალისწინებით საერთაშორისო გადაზიდვებისათვის ხელშეშლას. **საბაჟო კოდექსის 83-ე მუხლში** სწორედ საბაჟო ორგანოს ასეთ ვალდებულებებზეა საუბარი. კერძოდ, „საბაჟო ორგანომ საქონლის გაფორმების ადგილების, საბაჟო გამშვები პუნქტებისა და საბაჟო ორგანოს კომპეტენციისთვის მიკუთვნებული საბაჟო ფორმალობების განხორციელების ადგილების სამუშაო საათები ისე უნდა დაადგინოს, რომ საბაჟო პროცედურისა და საბაჟო პროცედურაში მოქცეული საქონლის გადაზიდვის სახეობის გათვალისწინებით არ შეფერხდეს ან არ დაირღვეს საერთაშორისო გადაზიდვის ნაკადი. საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო ფორმალობების განხორციელების დრო და ადგილი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით".

ინსტრუქციის „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ *(დანართი №8)* **თავი I -„საქონლის წარდგენა გაფორმების ადგილზე და საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის განსაზღვრის დრო", მუხლი 1-ლი „საქონლის წარდგენას ეხება გაფორმების ადგილზე,** რომლის თანახმად, საქონლის წარდგენისა და გაფორმების ვალდებულება ეკისრება დეკლარანტს/ საქონლის მფლობელს.

გაფორმების საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენა ხორციელდება საბაჟო კონტროლის ზონაში საქონლის ფაქტობრივი განთავსებით, გარდა:

• ა) გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლისა, რომელზეც გადამუშავების ვადის გასვლამდე გამოიყენება ექსპორტის პროცედურა;

• ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებული საქონლის (შიდა გადამუშავების პროცედურაში საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული ან წარმოებული პროდუქტის გარდა) ექსპორტისა, თუ საბაჟო დეკლარაციის მიმართ გამოსაყენებელი საბაჟო კონტროლის ღონისძიებები ხორციელდება საბაჟო გამშვებ პუნქტში, საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას;

• გ) „ოქროს სიის" მონაწილის ან „საბაჟო გამარტივებისათვის" ავტორიზაციის მფლობელი ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის კუთვნილი საქონლისა, რომლის გაშვებაც ხორციელდება საბაჟო გამშვები პუნქტიდან, ან საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე შევსებული საბაჟო დეკლარაციით თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების, მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების, დროებით შემოტანის ან შიდა გადამუშავების პროცედურაში გაცხადებული საქონლისა, როდესაც საბაჟო დეკლარაციისათვის შეფასების ნომრის მინიჭება ხორციელდება საბაჟო გამშვებ პუნქტში

„ოქროს სიისა" და „ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის" შესახებ ვრცელი კომენტარია შემოთავაზებული ი. ბარაზის დამბმარე სახელმძღვანელოში საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი (2021) და ასევ აღნიშნულ სახელმძღვანელოში, წინა პარაგრაფში და ამიტომ ამ თემის ანალიზს აქ აღარ შემოგთავაზებთ, განმეორება რომ არ გამოგვივიდეს.

• დ) ინსტრუქციის „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ" (დანართი №8), მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ა"–„გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული, გამარტივებული საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლისა.

ზემოთ აღნიშნული ინსტრუქციის ინსტრუქციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ა“–„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულია:

გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია შესაძლებელია გამოყენებული იქნეს: (გარდა ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა):

- *ა) საგანგებო სიტუაციების შედეგებზე რეაგირებისთვის, ან წვრთნების ჩასატარებლად, ან მილსადენსა და ელექტროგადამცემ ბაზებზე ავარიის პრევენციის მიზნით პროფილაქტიკური და სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად განკუთვნილი საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას ან შესაბამისი ტექნიკის სახით საქონლის დროებით შემოტანისას;*
- *ბ) სხვა ქვეყანაში შექმნილი საგანგებო სიტუაციის შედეგებზე რეაგირების, ან მილსადენსა და ელექტროგადამცემ ბაზებზე ავარიის პრევენციისათვის პროფილაქტიკური და სარემონტო სამუშაოების შესრულების მიზნით საქონლის ან წვრთნების ჩატარების მიზნით ტექნიკის სახით საქონლის ექსპორტისას;*
- *გ) საგანგებო მდგომარეობის მოქმედების დროს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების, დროებით შემოტანის, ექსპორტის საბაჟო პროცედურების გამოყენებისას;*

თუ აღნიშნული ინსტრუქციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ინსტრუქციის 11-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დამატებითი საბაჟო დეკლარაციის წარდგენა სავალდებულო არ არის.

- ე) საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონლისა, რომლის გაშვებაც ხორციელდება საფოსტო გზავნილის გადამზიდველის საწყობიდან.

საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონლის და მასზე საბაჟო კონტროლის განხორციელების ფორმებზე საუბარია საბაჟო სამართლის პირველ ნაწილში (ავტ. ხარაზი ი;), თუმცა ამ საკითხებს საფოსტო გზავნილის საბაჟო დეკლარაციის მიმოხილვისას ვრცლად შევეხებით.

- ვ) ერთი მიმღების მისამართით გაგზავნილი საქონლისა, თუ:
  - ვ.ა) თავისუფალ მიმოქცევში გაშვების ან შიდა გადამუშავების პროცედურისათვის განკუთვნილი საქონლის დანიშნულების ადგილზე მიტანის ვადის გასვლამდე დეკლარანტის მიერ შეივსო და დარეგისტრირდა საქონლის საბაჟო

დეკლარაცია და საქონელი განთავსდა საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე;

- ვ.ბ) თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში წინასწარ დეკლარირებული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას საბაჟო გამშვებ პუნქტში საბაჟო დეკლარაციისათვის განისაზღვრა „ყვითელი დერეფანი“ და საქონელი განთავსდა საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე ან გაშვებულ იქნა საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო კონტროლის ორგანიზაციის სამმართველოს მიერ, ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №5) 3[1] მუხლის („წინასწარ დეკლარირებული საქონლის შემოტანისას განსახორციელებელი ღონისძიებები“) მე-2 პუნქტის შესაბამისად. კერძოდ: *„იმ შემთხვევაში, როდესაც საქონლის შემოტანამდე თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში დეკლარირებული, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის გაშვება, საბაჟო დეკლარაციის დამუშავებისას მასში მითითებული მონაცემების მხოლოდ იმპორტის გადასახდელზე საბაჟო ან/და საგადასახადო ვალდებულების შესრულების რისკის პროფილთან თანხვედრის შემთხვევაში, 3[1] მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის (სადაც საუბარია: საბაჟო პროცედურაში წინასწარ დეკლარირებული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას: თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში წინასწარ დეკლარირებული საქონლის საბაჟო დეკლარაციის დამუშავებისას მასში მითითებული მონაცემების მხოლოდ იმპორტის გადასახდელზე საბაჟო ან/და საგადასახადო ვალდებულების შესრულების რისკის პროფილთან თანხვედრის შემთხვევაში, საბაჟო დეკლარაციისათვის შეფასების ნომრისა და შტრიხკოდის მინიჭება და საქონლის გაშვება შესაძლებელია განხორციელდეს საბაჟო გამშვები პუნქტის მიერ, თუ: ვ.ა) წარდგენილია არანაკლებ კუთვნილი იმპორტის გადასახდელის შესაბამისი თანხის ოდენობის გარანტია, ან ვ.ბ) სრულად გადახდილია კუთვნილი იმპორტის გადასახდელი, რაც დეკლარაციის დამუშავებიდან 1 საათის განმავლობაში დასტურდება იმპორტის გადასახდელის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით, ხოლო სსიპ – შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული „შემოსავლების*

სამსახურის მიერ პირებისათვის გასაწევი მომსახურების გაუმჯობესების მიზნით თანამშრომლობის შესახებ" მემორანდუმით გათვალისწინებულ საბანკო დაწესებულებაში (შემდგომში – საბანკო დაწესებულება) გადახდის შემთხვევაში – ამ დაწესებულებიდან ელექტრონული ფორმით მიღებული ინფორმაციით, ან ვ.გ) იმპორტის გადასახდელის ნაწილზე წარდგენილია გარანტია და დანარჩენი ნაწილის გარდა დასტურდება ამ პუნქტის „ვ.ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად) შესაბამისად ვერ ხორციელდება საბაჟო დეკლარაციისათვის შეფასების ნომრისა და შტრიხკოდის მინიჭება და საქონლის გაშვება შესაძლებელია განხორციელდეს საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო კონტროლის ორგანიზაციის სამმართველოს მიერ, თუ გაფორმების ორგანოს დანიშნულებით საქონლის გადაადგილების დასრულებამდე ან გაფორმების ორგანოში საქონლის არასამუშაო დროს მიტანისას:

- *ა) წარდგენილია არანაკლებ კუთვნილი იმპორტის გადასახდელის შესაბამისი თანხის ოდენობის გარანტია, ან*
- *ბ) სრულად გადახდილია კუთვნილი იმპორტის გადასახდელი, რაც დასტურდება საბანკო დაწესებულებიდან ელექტრონული ფორმით მიღებული ინფორმაციით, ან*
- *გ) იმპორტის გადასახდელის ნაწილზე წარდგენილია გარანტია და დანარჩენი ნაწილის გადახდა დასტურდება ინსტრუქციის „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ" (დანართი #5) მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, კერძოდ: ....თუ* გაფორმების ორგანოს დანიშნულებით საქონლის გადაადგილების დასრულებამდე ან გაფორმების ორგანოში საქონლის არასამუშაო დროს მიტანისას: *სრულად გადახდილია კუთვნილი იმპორტის გადასახდელი, რაც დასტურდება საბანკო დაწესებულებიდან ელექტრონული ფორმით მიღებული ინფორმაციით.*

- ვ.გ) თავისუფალ მიმოქცევში გაშვების ან შიდა გადამუშავების პროცედურისათვის განკუთვნილი საქონლის დათვალიერება გაფორმების საბაჟო ორგანოს ტერიტორიაზე შეუძლებელია და საქონელი განთავსდა საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე;

თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებასა და შიდა გადამუშავების ოპერაციებთან დაკავშირებით საბაჟო ფორმალობებზე ფუნდამენტური საუბარი იქნება ექსპორტის ოპერაციის განხილვისას.

• ზ) ექსპორტის პროცედურისათვის განკუთვნილი საქონლისა, თუ მისი დათვალიერება საბაჟო ორგანოს თანხმობით ხორციელდება მასთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე.

აღნიშნულ საკითხებს ფუნდამენტურად შვებებით ექსპორტის ოპერაციის განხილვისას.

თ) იმ შემთხვევებისა, როდესაც საბაჟო კონტროლის ზონაში საქონლის წარდგენა შეუძლებელია მისი დემონტაჟის ან/და წარმოების უწყვეტი ციკლის შეფერხების გარეშე ან/და მისი დათვალიერება საბაჟო ორგანოს თანხმობით ხორციელდება მასთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე. *მაგ. საბაჟო გამშვები პუნქტის გარდა სხვა ადგილებში საქონლის შემოტანისას – საბაჟო ორგანოს მიერ შერჩეულ საბაჟო კონტროლის ზონაში (საბაჟო გამშვები პუნქტი, საბაჟო ორგანოს საწყობი, საბაჟო საწყობი, გაფორმების ეკონომიკური ზონა, საბაჟო კონტროლის სხვა ზონა ან საბაჟო ორგანოს მიერ მითითებული სხვა ნებისმიერი ადგილი) საქონლის ზოგადი დეკლარირებისათვის აუცილებელი დოკუმენტების წარდგენითა და საქონლის ფაქტობრივი განთავსებით).*

• თ.ა) საქონლის დროებით შემოტანის წინასწარ განსაზღვრული ვადის გაგრძელებისას;

• თ.ბ) დროებით შემოტანილი საქონლის თავისუფალ მიმოქცევში გაშვების პროცედურაში მოქცევისას;

ამ საკითხებზე დაწვრილებითი საუბარი იქნება შესაბამისი პროცედურების დახასიათებისას.

• თ.გ) შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეულ საქონელზე გადამუშავების ვადის გაგრძელებისას;

• თ.დ) მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში შემოტანილი საქონლის მიზნობრივი გამოყენების სტატუსის გაუქმების შემდეგ იმპორტის გადასახდელის გადახდისა და შესაბამის საბაჟო პროცედურაში მოქცევისას;

• ი) მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში შემოტანილი საქონლის იმ პირზე გასხვისების შემთხვევაში, რომელიც საქონელს იყენებს იმავე მიზნობრივი დანიშნულებით, ან ისეთი მიზნობრივი დანიშნულებით რისთვისაც საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მოქცევისას იმპორტის გადასახდელზე გამოყენებული იქნებოდა შეღავათები.

მიზნობრივი დანიშნულებით საქონლის შემოტანის შესახებ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, საუბარი იყო საბაჟო სამართლის პირველ ნაწილში[233], თუმცა ამ საკითხებს ისევ გავაღრმავებთ როცა თავისუფალ მიმოქცევაზე (იმპორტზე) და საქონლის მიზნობრივ დანიშნულებაზე იქნება შესაბამის პარაგრაფში საუბარი.

დეკლარანტმა/საქონლის მფლობელმა უნდა უზრუნველყოს შეთანხმებულ ტერიტორიაზე საქონლის დათვალიერებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა, ხოლო საბაჟო ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში, საქონლის წარდგენა საბაჟო ორგანოს მიერ მითითებულ საბაჟო კონტროლის ზონაში.

ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“ *(დანართი №8)* მე-2 მუხლი განსაზღვრავს „საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის განსაზღვრის ვადა“-ს, კერძოდ:

საბაჟო პროცედურის განსაზღვრის ფორმალობები შეიძლება განხორციელდეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანამდე – არაუადრეს 45 კალენდარული დღისა, ხოლო შემოტანის შემდეგ საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის განსაზღვრის ფორმალობები შეიძლება განხორციელდეს საქართველოს საბაჟო კოდექსის 78-ე მუხლით განსაზღვრულ ვადაში.

საბაჟო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, დროებით შენახული უცხოური საქონელი საბაჟო პროცედურაში უნდა მოექცეს ან მისი რეექსპორტი უნდა განხორციელდეს 30 დღეში საბაჟო ორგანო უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადა შეამციროს ან 60 დღით გაზარდოს. საბაჟო საწყობში საქონლის დროებით შენახვის შემთხვევაში ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ვადა 180 დღეა საქონელი, რომლის მიმართაც უკვე განსაზღვრულია საბაჟო პროცედურა, გარდა ექსპორტის პროცედურისა, შესაბამისი პირის მოთხოვნით საბაჟო საწყობში შეიძლება შენახულ იქნეს დროებით,არაუმეტეს 180 დღისა, ხოლო ექსპორტის პროცედურის შემთხვევაში - არაუმეტეს 120 დღისა საბაჟო ორგანო უფლებამოსილია გაზარდოს ამ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით დადგენილი ვადები არაუმეტეს 180 დღით.

[233] ავტ. ხარაზი ი; 2021.

სეს ესნ-ის 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ3-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელის და ნახევრადმისაბმელის დეკლარირება ხდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ან საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის (შემდგომში – მოწმობა) შევსების თარიღიდან **60 კალენდარულ დღეში.**

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქის (მათ შორის, უცხო ქვეყნის მოქალაქის, რომელიც იმავდროულად საქართველოს მოქალაქეა) მიერ შემოტანილი, უცხოეთში რეგისტრირებული მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალების, მისი მისაბმელის ან ნახევრად მისაბმელის, ავტობუსის ან მოტოციკლეტის (რომლის ძრავას მუშა-მოცულობა 50 სმ3-ზე მეტია) დეკლარირება ხდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის თარიღიდან **90 კალენდარულ დღეში.**

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი და სპეციალური ანგარიშ-ფაქტურით გადაადგილებული ნავთობპროდუქტების დეკლარირება ხდება ზოგადი დეკლარირების საფუძველზე გაცემული მოწმობის შევსების თარიღიდან **5 კალენდარულ დღეში.**

სეს ესნ-ის 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ3-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელის და ნახევრადმისაბმელის, დეკლარირების ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადის გაგრძელება შესაძლებელია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით გათვალისწინებული საფასურის გადახდით, არა უმეტეს 30 კალენდარული დღით.

სეს ესნ-ის 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ3-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელის და ნახევრადმისაბმელის საბაჟო საწყობში დროებით შენახვის შემთხვევაში ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ, დეკლარირების **60-დღიან ვადას ემატება დროებით შენახვის (ფაქტობრივი) ვადა**[234].

ექსპორტისათვის განკუთვნილ საქონელზე საბაჟო დეკლარაციის წარდგენა ხორციელდება:

- ა) საბაჟო კონტროლის ზონაში საქონლის ფაქტობრივი განთავსების შემთხვევაში – არაუგვიანეს **30 კალენდარული დღისა;**
- ბ) საბაჟო საწყობში საქონლის დროებით შენახვისას – დროებით შენახვის დეკლარაციის რეგისტრაციის თარიღიდან არაუგვიანეს **180 კალენდარული დღისა,** ხოლო შემოსავლების სამსახურის მიერ საბაჟო საწყობში საქონლის დროებით შენახვის ვადის არაუმეტეს **180 დღით** გაგრძელების შემთხვევაში – არაუგვიანეს გაგრძელებული ვადისა;
- გ) საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილ საზღვაო ნავსადგურში განსაზღვრულ ტერიტორიაზე (ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების შენახვისათვის განკუთვნილი ტერიტორიის გარდა) საქონლის დროებით შენახვისას – საქონლის ფაქტობრივი განთავსების დღიდან **არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა;**

---

[234] დაინტერესების შემთხვევაში საქონლის სასაქონლო კოდების შესახებ იხ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის ბრძანება №275 წლის „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე" დანართი #1, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3

• დ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე განლაგებული რკინიგზის სადგურების სალიანდაგო ნაწილში საქონლის დროებით შენახვისას – საქონლის ფაქტობრივი განთავსების დღიდან არაუგვიანეს **90 კალენდარული დღისა;**

• ე) გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეულ საქონელზე ექსპორტის გამოყენებისას – გადამუშავების ვადის გასვლამდე;

• ვ) თავისუფალი ზონის ტერიტორიაზე თავისუფალი ზონის შექმნამდე შეტანილ საქართველოს საქონელზე – თავისუფალი ზონის ფუნქციონირების დაწყებიდა **არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა;**

• ზ) წინასწარ დეკლარირების შემთხვევაში – საქონლის საბაჟო ორგანოში წარდგენამდე **არაუადრეს 45 კალენდარული დღისა.**

ექსპორტისათვის, რეექსპორტისათვის ან ტრანზიტისათვის განკუთვნილი საყარი საქონლის ან შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული სარკინიგზო ვაგონების გადამუშავებით მიღებული, ექსპორტისათვის განკუთვნილი შავი ლითონის ჯართის საქართველოდან საზღვაო გზით გასატანად საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის წარდგენა შესაძლებელია სატრანსპორტო საშუალებაში მათ ჩატვირთვამდეც, თუ დეკლარანტი უზრუნველყოფს:

• ა) საქონლის წარდგენას საბაჟო კონტროლის ზონაში;

• ბ) საქონლის რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე სურვეირული კომპანიის აქტის წარდგენას.

8[1] პუნქტის თანახმად: ექსპორტისათვის, რეექსპორტისათვის ან ტრანზიტისათვის განკუთვნილი, ფოთის/ბათუმის საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებულ საბაჟო საწყობში არსებული საყარი საქონლის (მათ შორის, ე.წ. „ბიგ-ბეგებში“ განთავსებული, წონით არანაკლებ 300 კგ-ისა) ფოლადის/პლასტიკის არმატურის ან ლითონის წნულების შეკვრის (სიგრძით არანაკლებ 12 მ-ისა და წონით არანაკლებ 500 კგ-ისა), ლითონის რულონების (წონით არანაკლებ 500 კგ-ისა) ან ავზების (არანაკლებ 500 ლიტრი ტევადობისა), ლითონის ან პლასტმასის მილების, ალუმინის სხმულების (წონით არანაკლებ 500 კგ-ისა) და ლითონის გრტყელი ნაგლინის (შეკვრით ან შეკვრის გარეშე, წონით არანაკლებ 500 კგ-ისა) საქართველოდან საზღვაო გზით გასატანად საბაჟო

დეკლარაციის/რექსპორტის დეკლარაციის წარდგენა შესაძლებელია სატრანსპორტო საშუალებაში მათ ჩატვირთვამდეც, თუ დეკლარანტი უზრუნველყოფს საქონლის რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე სურვეირული კომპანიის აქტის წარდგენას.

საფოსტო გზავნილებით შემოტანილი საქონლის (ელექტრონული შესყიდვის გზით შეძენილი საქონლის გარდა) დეკლარირება ხორციელდება ზოგადი დეკლარირებიდან (საფოსტო გზავნილების ნუსხის წარდგენის თარიღიდან) **არა უგვიანეს 90 კალენდარული დღისა,** ხოლო ელექტრონული შესყიდვის გზით შეძენილ საქონელზე ან/და აქციზურ ალკოჰოლურ სასმელებზე ან/და თამბაქოს ნაწარმზე – **არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა.**

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათის მისაღებად:

- ა) უცხოეთში ყოველ **6 თვეზე მეტი ხნით** ყოფნის შემდეგ საქართველოში შემოსული ფიზიკური პირის მიერ საქონელი შემოტანილი უნდა იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე პირის შემოსვლიდან **90 კალენდარული დღის განმავლობაში,** ხოლო საბაჟო დეკლარაცია წარედგინება საბაჟო პროცედურის განსაზღვრისათვის ამ მუხლით გათვალისწინებულ ვადებში;
- ბ) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობიდან ან საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამოწვეული დიპლომატიური თანამდებობის პირის მიერ საქონელი შემოტანილი უნდა იქნეს პირის როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამოწვევიდან **90 კალენდარული დღის განმავლობაში,** ხოლო საბაჟო დეკლარაცია წარედგინება საბაჟო პროცედურის განსაზღვრისათვის ამ მუხლით გათვალისწინებულ ვადებში.

შენიშვნის სახით:

ზემოთ აღნიშნული „ა" და „ბ" ქვეპუნქტებში აღნიშნული შეღავათი გავრცელდება იმ საქონელზეც, რომელიც გადაადგილდება სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებით და დეკლარირდება სხვადასხვა საბაჟო დეკლარაციით, თუ საქონლის საერთო რაოდენობა და ღირებულება არ აღემატება მითითებული ქვეპუნქტით განსაზღვრულ რაოდენობასა და ღირებულებას.

საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობიდან ან საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამოწვეული დიპლომატიური თანამდებობის იმ პირების მიმართ, რომლებიც როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამოწვეულ იქნენ 2020 წლის 1 აგვისტომდე პერიოდში, ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი ვადის ათვლა ხორციელდება 2020 წლის 1 აგვისტოდან.

მე-11 პუნქტის თანახმად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.ე” ქვეპუნქტით[235] გათვალისწინებული შეღავათის მისაღებად არაეკონომიკური საქმიანობისათვის განკუთვნილ იმ საქონელზე, რომელიც:

- ა) საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მიღების შემდგომ პირის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოსვლისას (მაგრამ არა უგვიანეს საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მიღების დღიდან **30 კალენდარული დღისა**) მასთან ერთად არ გადაადგილდება, პირი საბაჟო გამშვებ პუნქტში შევსებულ „ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციაში“ აცხადებს ასეთი საქონლის შემოტანის განზრახვის თაობაზე, ხოლო საბაჟო დეკლარაციისა და საქონლის წარდგენა ხორციელდება საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მიღების დღიდან არა უგვიანეს **90 კალენდარული დღისა;**
- ბ) შეღავათით სარგებლობის უფლების მქონე პირისათვის იგზავნება მის მიერ საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გადაკვეთის გარეშე, პირი საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მიღების დღიდან:
  - ბ.ა) **არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა** საბაჟო ორგანოში წარადგენს „საქართველოში მუდმივად ცხოვრების

---

[235] იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებულია: საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლისას (რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით გაცემული შესაბამისი დოკუმენტით) საქონლის (მათ შორის, ავეჯის, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის, ოჯახზე ერთი სატრანსპორტო საშუალების) იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის.

უფლების მქონე/მაძიებელი პირის განაცხადს საქართველოში შემოსატანი საქონლის შესახებ“ (დანართი №8-I-01);

- გ.გ) **არა უგვიანეს 90 კალენდარული დღისა** წარადგენს საბაჟო დეკლარაციას და საქონელს;

• გ) საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მაძიებელი პირის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოსვლისას (მაგრამ არაუგვიანეს უფლებამოსილ ორგანოში საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მოსაპოვებლად განაცხადის წარდგენის დღიდან 30 კალენდარული დღისა) მასთან ერთად არ გადაადგილდება, პირი საბაჟო გამშვებ პუნქტში შევსებულ „ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციაში“ აცხადებს ასეთი საქონლის შემოტანის განზრახვის თაობაზე, ხოლო საბაჟო დეკლარაციისა და საქონლის წარდგენა ხორციელდება საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მოსაპოვებლად განაცხადის წარდგენის დღიდან **არა უგვიანეს 90 კალენდარული დღისა;**

• დ) საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მაძიებელი პირისათვის იგზავნება მის მიერ საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გადაკვეთის გარეშე, პირი უფლებამოსილ ორგანოში საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მოსაპოვებლად განაცხადის წარდგენის დღიდან:

- დ.ა) **არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა** საბაჟო ორგანოში წარადგენს „საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მქონე/მაძიებელი პირის განაცხადს საქართველოში შემოსატანი საქონლის შესახებ“ (დანართი №8-I-01);
- დ.ბ) **არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა** წარადგენს საბაჟო დეკლარაციას და საქონელს;

მე-11 **პუნქტით** გათვალისწინებული შეღავათი გავრცელდება იმ საქონელზეც, რომელიც გადაადგილდება სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებით და დეკლარირდება სხვადასხვა საბაჟო დეკლარაციით, თუ ამ საქონლის საბაჟო ორგანოსათვის წარდგენა განხორციელდა საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მიღების ან საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მოსაპოვებლად განაცხადის წარდგენის დღიდან **90 კალენდარული დღის განმავლობაში.**

საზღვაო გზით შემოტანილი საქონლის საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილ საზღვაო ნავსადგურში განსაზღვრულ ტერიტორიაზე (ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების შენახვისათვის განკუთვნილი ტერიტორიის გარდა) დროებით შენახვის შემთხვევაში – საქონლის დეკლარირება ხორციელდება ზოგადი დეკლარირებიდან **არა უგვიანეს 90 კალენდარული დღისა.**

რკინიგზით გადაადგილებული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე განლაგებული რკინიგზის სადგურების სალიანდაგო ნაწილში დროებით შენახვის შემთხვევაში საქონლის დეკლარირება ხორციელდება ზოგადი დეკლარირებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა.

2.3. სტანდარტული საბაჟო დეკლარაცია და მისი თანმხლები დოკუმენტები

ინსტრუქციის „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“, მუხლი 4. („საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის სახეები და ფორმები“) ჩამოთვლის საბაჟო დეკლარაციის სახეებს, რომლის ერთ-ერთ სახედ მიჩნეულია სტანდარტული საბაჟო დეკლარაცია, ხოლო ინსტრუქციის იმავე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია სტანდარტული საბაჟო დეკლარაციის ფორმები:

- ა) საქონლის საბაჟო დეკლარაცია;

საქონლის საბაჟო დეკლარაციის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა ვრცელი საუბარი, აქ კი მხოლოდ კიდევ ერთხელ ავღნიშნავთ, რომ:

საქონლის საბაჟო დეკლარაციას ავსებს:

- *ა) დეკლარანტი ;*
- *ბ) საბაჟო ორგანო:*
  - *ბ.ა) როდესაც დეკლარანტი თბოვნით მიმართავს საბაჟო დეპარტამენტს საქონლის საბაჟო დეკლარაციის შევსების თაობაზე;*
  - *ბ.ბ) საფოსტო გზავნილით შემოტანილ საქონელზე;*
  - *ბ.გ) როდესაც სასაქონლო პარტიათა ნაკრების გადამზიდავი თბოვნით მიმართავს საბაჟო დეპარტამენტს საქონლის საბაჟო დეკლარაციის შევსების თაობაზე.*

საქონლის საბაჟო დეკლარაციის ძირითადი ფურცლით შეიძლება გაცხადდეს ცნობები მხოლოდ ერთი დასახელების, სახეობისა და მარკის საქონელზე, რომელიც სეს ესნ-ში[236] კლასიფიცირდება ერთი თერთმეტნიშნა კოდით და წარმოშობილია ერთ ქვეყანაში.

საქონლის საბაჟო დეკლარაციის ერთ დამატებით ფურცელში შეიძლება გაცხადდეს ცნობები სამი დასახელების, სახეობის და მარკის საქონელზე, რომელთაგან თითოეული მათგანი წარმოშობილია ერთ ქვეყანაში და სეს ესნ-ში კლასიფიცირდება ერთი თერთმეტნიშნა კოდით. დაუშვებელია, ერთ საქონლის საბაჟო დეკლარაციაში გაცხადდეს ერთზე მეტი ერთი და იმავე თერთმეტნიშნა კოდის და ერთი და იგივე წარმოშობის ქვეყნის საქონელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი საქონლის ნაწილზე წარმოდგენილია საქონლის შეღავათიანი (პრეფერენციული) წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან როდესაც საქონლის დეკლარირება ხორციელდება „ოქროს სიის" მონაწილის მიერ პერიოდული საქონლის საბაჟო დეკლარაციის გამოყენებით.

საქონლის საბაჟო დეკლარაციის დამატებითი ფურცლის გრაფების შევსების წესი იგივეა, რაც ძირითადი ფურცლის შესაბამისი გრაფებისა.

სასაქონლო პარტიის ერთ საქონლის საბაჟო დეკლარაციაში დეკლარირებისას მის ძირითად ფურცელს შეიძლება დაერთოს არა უმეტეს 33 დამატებითი ფურცლისა და ერთი საქონლის საბაჟო დეკლარაციით შეიძლება გაცხადდეს არა უმეტეს 100 დასახელების საქონელი. იმ შემთხვევაში, თუ სასაქონლო პარტია შედგება 100-ზე მეტი დასახელების საქონლისაგან, მაშინ 100-ის შემდეგ პარტიაში შემავალ ყოველ მომდევნო 100 დასახელებამდე საქონელზე ივსება ახალი საქონლის საბაჟო დეკლარაცია.

დასაშვებია საქონლის საბაჟო დეკლარაციის უკანა გვერდის გამოყენება სხვადასხვა მაკონტროლებელი ორგანოების აღნიშვნებისა და დამღებისათვის

თუ დეკლარანტი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე ან ერთი მიმღების მისამართით გაგზავნილი, თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების ან შიდა გადამუშავების პროცედურისათვის განკუთვნილი საქონლის დანიშნულების ადგილზე წარდგენამდე ან ექსპორტის პროცედურისათვის განკუთვნილ საქონელზე თბოვნით მიმართავს საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებებს, გაფორმების ეკონომიკურ ზონას ან თავისუფალი ზონის საბაჟო გამშვებ პუნქტს საქონლის საბაჟო

[236] საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა.

დეკლარაციის შევსების თაობაზე, საბაჟო პროცედურისათვის აუცილებელი დოკუმენტების წარდგენა აგრეთვე შესაძლებელია ელექტრონულად. ასეთ შემთხვევაში დოკუმენტები ინახება დეკლარანტთან, რომელიც ვალდებულია მოთხოვნისამებრ წარუდგინოს ისინი საბაჟო ორგანოს. თუ პირის მიერ საბაჟო პროცედურის ან რეექსპორტის განსაზღვრისას წარდგენილ დოკუმენტებში არსებული მონაცემები არასწორად აისახა საქონლის საბაჟო დეკლარაციაში, პირს საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული სანქცია არ დაეკისრება და ა.შ.

• ბ) საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4;

ინსტრუქციის „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ", *მუხლი 25. არეგულირებს საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ის გამოყენების წესებს, კერძოდ: საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ით (დანართი №8-V-01)*[237] *შესაძლებელია გაფორმდეს:*

• *ა) საჰაერო ტრანსპორტით გარგით ან/და ხელგარგით შემოტანილი საქონელი, რომელიც გაცბადებულია თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში;*

• *ბ) ერთი სახეობის ტრანსპორტით (საჰაერო ტრანსპორტის გარდა) შემოტანილი, 10 000 ლარამდე ღირებულების საქონელი, რომელიც პირის მიერ გაცბადებულია თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში;*

• *გ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.დ"*[238] *და „დ.ე"*[239] *ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქონელი (საქონელთა ჯგუფი);*

---

[237] დანართების შესახებ იხ. საკომენტარო ინსტრუქციაში.

[238] იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებულია: უცხოეთში ყოველ 6 თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ საქართველოში შემოსული ფიზიკური პირის მიერ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე–97-ე ჯგუფების (გარდა 87-ე ჯგუფისა) შესაბამისი 15 000 ლარის ღირებულების საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის, ხოლო საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობიდან ან საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამოწვეული დიპლომატიური თანამდებობის პირისათვის – დამატებით მის მიერ პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის (ოჯახზე თითო სატრანსპორტო საშუალების, მაცივრის, კომპიუტერისა და ტელევიზორის) იმპორტი.

[239] იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებულია: საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლისას (რაც დასტურდება საქართველოს

• დ) ექსპორტში გაცხადებული 15 000 ლარზე ნაკლები საბაჟო ღირებულების საქონელი;

• ე) ფიზიკური პირის მიერ საქართველოდან მუდმივსაცხოვრებლად გასვლისას პირადი ნივთები (გარდა სატრანსპორტო საშუალებისა), ავეჯი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელი;

• ვ) გარე გადამუშავების პროცედურაში გაცხადებული 3000 ლარზე ნაკლები საბაჟო ღირებულების საქონელი;

• ზ) თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში გაცხადებული გადამუშავებული საქონელი, რომელიც მიღებულია 1-ლი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად გარე გადამუშავების პროცედურაში დეკლარირებული საქონლის გადამუშავების შედეგად;

• თ) თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში გაცხადებული დაბრუნებული საქონელი, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანილი იყო საბაჟო დეკლარაციის – ფორმა 4-ის ან ზედნადების ან საგადასახადო დოკუმენტის წარდგენით ან აქციზური მარკით სავალდებულო ნიშანდების დაქვემდებარებული აქციზური საქონლის შემთხვევაში – ზეპირი დეკლარირებით;

• ი) საფოსტო გზავნილით შემოტანილი ან გასატანი საქონელი (საქონელთა ჯგუფი), რომელიც პირის მიერ გაცხადებულია თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების ან ექსპორტის პროცედურაში;

• კ) ჰუმანიტარული დახმარების მიზნით შემოტანილი ან გრანტის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში გაშვება;

• ლ) საქონლის მიზნობრივი დანიშნულების გამოყენება ან დროებით შემოტანა, რომელიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის;

იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით გაცემული შესაბამისი დოკუმენტით) საქონლის (მათ შორის, ავეჯის, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის, ოჯახზე ერთი სატრანსპორტო საშუალების) იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის.

• *მ) არარეზიდენტი ფიზიკური პირის[240] მიერ საქართველოს ტერიტორიაზე დროებით (სამსახურებრივი მივლინებით ან შრომითი ხელშეკრულებით) შემოსვლისას შემოტანილი, პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონელი;*

• *ნ) საბაჟო გამშვებ პუნქტ „ბათუმის პორტში“ ან საბაჟო გამშვებ პუნქტ „ფოთისა და ყულევის პორტებსა და ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში“ ან გაფორმების ეკონომიკურ ზონა „ფოთში“ ან გაფორმების ეკონომიკურ ზონა „თბილისში“ ან გაფორმების ეკონომიკურ ზონა „ბათუმში“ ან საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებებში კონტეინერით სატრანსპორტო საშუალებებთან ერთად შემოტანილი სხვა საქონელი;*

მე-2 ნაწილის თანახმად, საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4 არ გამოიყენება:

• *ა) აქციზურ საქონელზე, გარდა:*

• *ა.ა) ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმისა, რომლებიც შემოტანილია ფიზიკური პირის მიერ საქართველოს*

---

[240] საგადასახადო კოდექსის 34-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, „საქართველოს არარეზიდენტად ითვლება ფიზიკური პირი, რომელიც ამ მუხლის მიხედვით არ არის რეზიდენტი“, რაც შეეხება რეზიდენტი პირის ცნებას, „საქართველოს რეზიდენტად, მთელი მიმდინარე საგადასახადო წლის განმავლობაში, ითვლება ფიზიკური პირი, რომელიც ფაქტობრივად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 183 დღე ან მეტ ხანს ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის პერიოდში, რომელიც მთავრდება ამ საგადასახადო წელს, ან ფიზიკური პირი, რომელიც ამ საგადასახადო წლის განმავლობაში იმყოფებოდა უცხო ქვეყანაში საქართველოს სახელმწიფო სამსახურში. ასევე იხ. ია ხარაზი, საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, დამხმარე სახელმძღვანელო, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2020.

საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.გ"[241] და „დ.გ'"[242] ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დაუბეგრავ მინიმუმზე მეტი ოდენობით ან გადაადგილდება საფოსტო გზავნილით, რომლის მიმღებსაც წარმოადგენს ფიზიკური პირი;

---

[241] საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.გ" ნაწილის მიხედვით, იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებულია: მგზავრის მიერ 200 ღერი სიგარეტის ან 50 სიგარის ან 50 სიგარილას ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 02 კოდით გათვალისწინებული 200 ღერი თამბაქოს ნაწარმის ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 01 კოდით გათვალისწინებული 10 ცალი კაფსულის და მსგავსი სახის პროდუქტის ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმის (გარდა თამბაქოს ნედლეულისა) იმპორტი, ან ამ ქვეპუნქტში მითითებული თამბაქოს ნაწარმის სახეობათა ნაკრების იმპორტი, თუ მასში შემავალი თითოეული სახეობის თამბაქოს ნაწარმის წილის პროცენტულ მაჩვენებელთა (პროცენტული მაჩვენებელი შესაბამის ზღვრულ ოდენობასთან მიმართებით) ჯამი 100-ს არ აღემატება, ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 90 980 01 კოდით გათვალისწინებული 50 მლ საქონლის იმპორტი, რომელიც მგზავრის გადაყვანისას ბარგით ან/და ხელბარგით გადაიზიდება და რომელიც ეკონომიკური საქმიანობისათვის არ არის განკუთვნილი.

[242] საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.გ'" ნაწილით იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებულია: მგზავრის მიერ ჯამურად 1 ლიტრი 22% და 22%-ზე მეტი ალკოჰოლის შემცველობის ალკოჰოლიანი სასმელის ან 80% და 80%-ზე მეტი ალკოჰოლის შემცველობის არადენატურირებული ეთილის სპირტის ან 2 ლიტრი 22%-ზე ნაკლები ალკოჰოლის შემცველობის ალკოჰოლიანი სასმელის იმპორტი, ან ამ ქვეპუნქტში მითითებული ალკოჰოლიანი სასმელის (გარდა ლუდისა და ღვინისა) სახეობათა ნაკრების იმპორტი, თუ მასში შემავალი თითოეული სახეობის ალკოჰოლიანი სასმელის (გარდა ლუდისა და ღვინისა) წილის პროცენტულ მაჩვენებელთა (პროცენტული მაჩვენებელი შესაბამის ზღვრულ ოდენობასთან მიმართებით) ჯამი 100-ს არ აღემატება, ან 4 ლიტრი ღვინის და 16 ლიტრი ლუდის იმპორტი, რომლებიც მგზავრის გადაყვანისას ბარგით ან/და ხელბარგით გადაიზიდება და რომლებიც ეკონომიკური საქმიანობისათვის არ არის განკუთვნილი.

- *ა.ბ) გაფორმების ეკონომიკურ ზონა „ფოთში“ ან საბაჟო გამშვებ პუნქტ „ბათუმის პორტში“ საზღვაო გზით შემოტანილი ან საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებებში წარდგენილი ავტომანქანით გადაადგილებული სეს ესნ-ის 3403 19 100 00, 3403 19 200 00, 3403 19 800 00, 3403 99 000 00, 2710 19 710 00 – 2710 99 000 00 კოდებით გათვალისწინებული არაუმეტეს 10 ლიტრი ზეთისა;*
- *ა.გ) სეს ესნ-ის 8711 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მოტოციკლებისა (მოპედების ჩათვლით), ძრავას ცილინდრების მუშა მოცულობით არაუმეტეს 50 სმ ^{3}-ისა, ხოლო ელექტროძრავას შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრით არაუმეტეს 4 კვტ-ისა;*

- *ბ) სეს ესნ-ის 8426 41 და 8426 49 სასაქონლო სუბპოზიციებით გათვალისწინებულ თვითმავალ მექანიზმებზე, 8427 10 და 8427 20 სასაქონლო სუბპოზიციებით გათვალისწინებულ თვითმავალ სატვირთველებზე, 8429, 8701, 8702, 8703 (გარდა ამ პოზიციით გათვალისწინებული კვადროციკლებისა, ძრავას ცილინდრების მუშა მოცულობით არაუმეტეს 50 სმ ^{3}-ისა), 8704, 8705, 8709, 8710, 8711 (გარდა ამ პოზიციით გათვალისწინებული ველოსიპედებისა, ბალანსზე დამყარებული მართვის სისტემის მქონე სატრანსპორტო საშუალებებისა და ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოტოციკლებისა (მოპედების ჩათვლით)), 8716 (გარდა ამ პოზიციით გათვალისწინებული ხელის ურიკებისა, ველოსიპედის მისაბმელებისა და 8716 90 სასაქონლო სუბპოზიციით გათვალისწინებული ნაწილებისა) სასაქონლო პოზიციებით და 88, 89 (8903 10 სასაქონლო სუბპოზიციით გათვალისწინებული გასაბერი ნავების გარდა) სასაქონლო ჯგუფებით გათვალისწინებულ საქონელზე, გარდა გაფორმების ეკონომიკურ ზონა „ფოთში“ ან გაფორმების ეკონომიკურ ზონა „ბათუმში“ (ბაჟის ქ. №11-ში) საზღვაო გზით შემოტანილი ან საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებებში წარდგენილი ავტომანქანით გადაადგილებული ავტონაწილებისა;*
- *გ) „საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ“ სტამბოლის 1990 წლის 26 ივნისის კონვენციის ან „საქონლის დროებითი შემოტანისათვის ATA წიგნაკის შესახებ“ ბრიუსელის 1961 წლის 6 დეკემბრის საბაჟო კონვენციის (ATA კონვენცია)[243] შესაბამისად გადაადგილებულ საქონელზე.*

---

[243] „საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ“ სტამბოლის 1990 წლის 26 ივნისის კონვენციის ან „საქონლის დროებითი შემოტანისათვის ATA

საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ის მიზნებისათვის ტერმინი „სასაქონლო პარტია" გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობით – ერთი ან რამდენიმე დასახელების საქონელი, გაგზავნილი ერთი გამგზავნის მიერ ერთი მიმღების მისამართით ერთი ხელშეკრულების საფუძველზე, ერთი სახეობის ტრანსპორტით, წარდგენილი გაფორმებისათვის ერთდროულად, ერთი და იმავე საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით.

ერთი საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ით შეიძლება გაცხადდეს მხოლოდ ერთ საფოსტო გზავნილში მოთავსებული ან ერთი სასაქონლო პარტიით გადაადგილებული საქონელი.

იმ შემთხვევაში, როდესაც საფოსტო გზავნილში ან სასაქონლო პარტიაში მოთავსებულია ათზე მეტი დასახელების საქონელი, დასაშვებია საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ის დამატებითი ფურცლების გამოყენება.

საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ის დამატებით ფურცლებზე ივსება მხოლოდ მე-8 და მე-9 გრაფები[244].

7. საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ს ავსებს (გარდა საფოსტო გზავნილით შემოტანილი ან გასატანი საქონლისა) დეკლარანტის ან მისი წარმომადგენლის თხოვნით მომართვის საფუძველზე – საბაჟო ორგანო.

8. თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების ან მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურისათვის განკუთვნილი საქონლის საჰაერო ტრანსპორტით ბარგით ან/და ხელბარგით შემოტანისას, რომელსაც დეკლარანტი თხოვნით მიმართავს საბაჟო ორგანოს საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ის შევსების თაობაზე, საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირი ელექტრონულად არეგისტრირებს და ამობეჭდავს დეკლარანტის განაცხადს (დანართი №8-V-02), ხოლო დეკლარანტს საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ის ამობეჭდვა შეუძლია შემოსავლების სამსახურის ვებ გვერდიდან (www.rs.ge), განაცხადზე დაფიქსირებული შტრიხ-კოდისა და უნიკალური ნომრის მეშვეობით.

9. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქონელზე, დეკლარანტს ან მის წარმომადგენელს საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ის შევსება და წარდგენა აგრეთვე შეუძლია სწრაფი გადახდის ბარათიდან, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით.

წიგნაკის შესახებ" ბრიუსელის 1961 წლის 6 დეკემბრის საბაჟო კონვენციის (ATA კონვენცია) შესახებ იხ. ია ხარაზი, საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021.

[244] საუბარია: ინსტრუქციის მუხლი 26-ის შესახებ, კერძოდ: საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ის გრაფების შევსებაზე.

10. თუ ამავე მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, პირის მიერ საბაჟო პროცედურის განსაზღვრისას, წარდგენილი უნდა იქნეს საკომენტარო ინსტრუქციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტები. ამასთან, თუ საქონლის თანმხლები დოკუმენტები არ არსებობს, საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ში შესაძლებელია მიეთითოს საქონლის ექსპერტიზის/დათვალიერების საფუძველზე განსაზღვრული ღირებულება.

11. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.დ" და „დ.ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქონლის დეკლარირებისას, საქონლის ნასყიდობის დოკუმენტის წარდგენა სავალდებულო არ არის და საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ის შესაბამისი გრაფის – „საბაჟო ღირებულება და გადასახდელები" – შევსება ბორციელდება ამავე მუხლით დადგენილი წესით.

12. საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4, ბოლო ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – დეკლარანტის განცხადი, ამოიბეჭდება 2 ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი რჩება გაფორმების საბაჟო ორგანოში, მეორე ეგზემპლარი უბრუნდება დეკლარანტს. ინსტრუქციის 25-ე მუხლის ზემოთ მითითებული მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დეკლარაცია ამოიბეჭდება 1 ეგზემპლარად – დეკლარანტისათვის, ხოლო გაფორმების საბაჟო ორგანოში ინახება ელექტრონული დოკუმენტის სახით.

13. საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემომსვლელი პირის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.ე" ქვეპუნქტით[245] გათვალისწინებული საქონლის დეკლარირებისას, რომლისც საქართველოში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი საბუთი არ არის წარდგენილი ან წარდგენილია ხარვეზით, საქონლის გაშვება შესაძლებელია განხორციელდეს თავდებობის ხელშეკრულების წარდგენისას. ამასთან, ხარვეზის გამოსწორების ვადა შეადგენს უფლებამოსილ ორგანოში საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მოსაპოვებლად განაცხადის წარდგენის დღიდან 90 დღეს.

---

[245] იმპორტის საგადასახადისაგან გათავისუფლებულია: საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლისას (რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით გაცემული შესაბამისი დოკუმენტით) საქონლის (მათ შორის, ავეჯის, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის, ოჯახზე ერთი სატრანსპორტო საშუალების) იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის.

საბაჟო დეკლარაცია - ფორმა 4



1. პირის ს/ნომერი ---------- ფიზიკური პირის პ/ ნომერი ----------	2. უცხო ქვეყნის მოქალაქის პასპორტის ნომერი და პასპორტის გამცემი ქვეყანა	
3. პირის სახელწოდება	4. ფიზიკური პირის სახელი, გვარი	
5. დეკლარანტი/წარმომად-გენელი	6. დეკლარაციის რეგისტრაციის N 00000/00000	R. ოპერაცია
7. საფოსტო გზავნილის ან/და ავიარეისის ნომერი		
8. საქონლის საერთო წონა და აღწერილობა ----კგ.	9. საბაჟო ღირებულება და გადასახდელები	

საქონლის დასახელება	რაოდენობა სეს ესნ-ის დამატ.ერთ. შესაბამისად	საქონლის კოდი სეს ესნ-ის შესაბამისად	საქონლის ღირებულება	ტრანსპორ-ტირების და სხვა ხარჯი	საბაჟო ღირებულება	შეღავათები	იმპორტის გადასახადი	დღგ	აქციზი

სულ:			სულ:	სულ:	სულ:		სულ:	სულ:	სულ:

10. რეგისტრაციის თარიღი “-----” “----------” 20 წ.	11. გადასახდელები და მომსახურების საფასური:
12. ხელმოწერები: დეკლარანტი ---------- წარმომადგენელი ---------	13. იმპორტის გადასახდელის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი და სხვა თანმხლები დოკუმენტების რეკვიზიტები
14.განსაკუთრებული აღნიშვნები:	15. საბაჟო ორგანოს აღნიშვნები: “-------” “----------” 20 წ.

თარიღი 25.01.2012

ID 49.8885



გადამხდელის დასახელება

საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი

გადამხდელის მისამართი

ელ.ფოსტა

ტელეფონი

განაცხადი

გთხოვთ, წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე შემოვსოთ საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4.

განმცხადებლის ხელმოწერა

საყურადღებო ინფორმაცია

საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ის ამობეჭდვა შესაძლებელია განაცხადის შტრიხ-კოდისა და ID ნომრის გამოყენებით, შემოსავლების სამსახურის ვებ -გვერდზე – www. rs.ge

იმპორტის გადასახდელისა და მომსახურების საფასურის გადახდა შესაძლებელია საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ის რეგისტრაციიდან 30 დღის განმავლობაში

იმპორტის გადასახდელის გადახდა ხორციელდება საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ში მითითებული სახაზინო კოდებისა და თანხების მიხედვით შემოსავლების სამსახურის ანგარიშზე პირადად ან მესამე პირის მეშვეობით (მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში, სსიპ – შემოსავლების სამსახური, საიდენტიფიკაციო კოდი: 204525585 ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22 მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი 707017021).

- გ) ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია;

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებაზე საბაჟო კონტროლი ხორციელდება:

... „ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციით...“.

ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია (დანართი №8-VI-01) ივსება საბაჟო გამშვებ პუნქტში, დეკლარაციის მე-3 ნაწილში მითითებული საქონლის საქართველოს საბაჟო საზღვარზე ბარგით ან/და ხელბარგით გადაადგილებისას, ფიზიკური პირის მიერ ან საბაჟო გამშვები პუნქტის თანამშრომლის მიერ სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, ფიზიკური პირის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია ივსება ფიზიკური პირის სურვილისამებრ – ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენაზე. გაურკვეველად შევსებული დეკლარაცია საბაჟო ორგანოს მიერ არ მიიღება.

ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია ივსება:

- ა) წერილობით – ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება საბაჟო ორგანოს, ხოლო მეორე უბრუნდება ფიზიკურ პირს, ან
- ბ) ელექტრონულად, რომლის ამობეჭდილი ეგზემპლარი გადაეცემა ფიზიკურ პირს. ამასთან, ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის ყველა გრაფის დადგენილი წესით შევსების შემთხვევაში, „Oracle“-ის მეშვეობით დეკლარაციას ავტომატურად ენიჭება ნომერი, რაც ნიშნავს დეკლარირების დასრულებას.

ელექტრონულად შევსებულ ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციას პროგრამულად ენიჭება სტატუსი: „აყვანილია კონტროლზე“, „გამოცხადებულია“, „მოხსნილია კონტროლიდან“ ან „გაუქმებულია“, შესაბამისი სტატუსის მინიჭების თარიღით.

დანართი №8-VI-02-ის შესაბამისად შევსებული „დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლის ნუსხა" (შემდგომში – ნუსხა) თან ერთვის ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციას შემდეგ შემთხვევებში:

- ა) ეკონომიკური საქმიანობისათვის განკუთვნილი ან/და იმპორტის გადასახდელით დაუბეგრავ რაოდენობასა და ღირებულებაზე მეტი საქონლის გადაადგილების შემთხვევაში (როგორც საქონლის საქართველოში შემოტანის, ასევე ტრანზიტით გადაადგილების დროს), გარდა ამ საქონელზე საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ის ან ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დეკლარაციის წარდგენის შემთხვევებისა;
- ბ) 15 000 ლარზე ნაკლები საბაჟო ღირებულების საქონლის საქართველოდან გატანის დროს, გარდა ამ საქონლის საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ით ან სასაქონლო ზედნადების/ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების ან საგადასახადო დოკუმენტის წარდგენით დეკლარირების შემთხვევისა;
- გ) ბარგით ან ხელბარგით გადაადგილებული საქონლის დროებით შემოტანის პროცედურაში (იმპორტის გადასახდელისაგან სრულად გათავისუფლებით) მოქცევისას;
- დ) იმ შემთხვევაში, როდესაც პირის მიერ ერთდროულად გადაადგილდება „ა" და „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქონელი, ივსება 2 ნუსხა – ცალ-ცალკე.
- ე) როდესაც საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემომსვლელი პირი „ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციაში" აცხადებს მის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული იმ საქონლის შემოტანის განზრახვის თაობაზე, რომელიც მასთან ერთად არ გადაადგილდება.

„საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ" სტამბოლის 1990 წლის 26 ივნისის კონვენციით ან „საქონლის დროებითი შემოტანისათვის ATA წიგნაკის შესახებ" ბრიუსელის 1961 წლის 6 დეკემბრის საბაჟო კონვენციით (ATA კონვენცია) გათვალისწინებული საქონლის ფიზიკური პირის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვარზე ბარგით ან/და ხელბარგით გადაადგილებისას, ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციაში აისახება ATA წიგნაკით გათვალისწინებული მინიმალური მონაცემები[246].

---

[246] აღნიშნული კონვენციების შესახებ ვრცელი საუბარი იყო საბაჟო სამართლის დამხმარე სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში (ავტ. ი. ხარაზი; პირველი ნაწილი, 2021). ამიტომ მის ვრცელ კომენტარს ამ შემთხვევაში არ შემოგთავაზებთ.

ATA-კარნეტი გამოიყენება საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო პროცედურის პირობებში (აგრეთვე ტრანზიტის დროსაც). „ATA-კარნეტი, ანუ დროებითი შემოტანის დოკუმენტი წარმოადგენს ისეთ საერთაშორისო დოკუმენტს, რომელიც გათანაბრებულია სატვირთო-საბაჟო დეკლარაციასთან. ეს იმას ნიშნავს, რომ ATA-კარნეტის წარმოდგენის დროს საბაჟო საბაჟო ორგანოს უფლება არ აქვს მოითხოვოს სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია[247].

ინსტრუქციის „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“ მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის[248] მიხედვით, „საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ“ **სტამბოლის 1990 წლის 26 ივნისის კონვენციის ან „საქონლის დროებითი შემოტანისათვის ATA წიგნაკის შესახებ“ ბრიუსელის 1961 წლის 6 დეკემბრის საბაჟო კონვენციის** (ATA კონვენცია) შესაბამისად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის ტრანზიტის ან იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან სრულად გათავისუფლებით უცხოური საქონლის დროებით შემოტანის ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ამ საქონლის რეექსპორტის განხორციელების მიზნით ATA წიგნაკის წარდგენის შემთხვევაში საბაჟო ორგანო ან სისტემაში დაშვებული პირი უზრუნველყოფს ATA წიგნაკის შესახებ მონაცემების ელექტრონულად შეტანას მოწმობის ელექტრონულ ფორმატში (გარდა ფიზიკური პირის მიერ ATA წიგნაკის გამოყენებით საქონლის საქართველოს საბაჟო საზღვარზე ბარგით ან/და ხელბარგით გადაადგილებისა, რა დროსაც ATA წიგნაკის შესახებ მონაცემები ელექტრონულად აისახება ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციაში).[249].

„საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ“ სტამბოლის 1990 წლის 26 ივნისის კონვენციის ან „საქონლის დროებითი შემოტანისათვის ATA წიგნაკის შესახებ“ ბრიუსელის 1961 წლის 6 დეკემბრის

---

[247] ურიდია გონერ, რუხაია ფრიდონ, არახამია მერაბ, საბაჟო გაფორმება TIR და ATA (CPD) კარნეტის პრინციპებით, თბილისი, 2004, 34.

[248] სრული სახით იხ. ინსტრუქცია „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“, დანართი #3.

[249] ია ხარაზი, საბაჟო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, პირველი ნაწილი, 2021, 701-702.

საბაჟო კონვენციის (ATA კონვენცია) შესაბამისად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქართველოს საქონლის დროებით დაბრუნების პირობით გატანისა (ექსპორტის პროცედურის გამოყენების) და ამ საქონლის უკან დაბრუნების მიზნით ATA წიგნაკის წარდგენის შემთხვევაში, ATA წიგნაკის შევსება და მის შესახებ მონაცემების ელექტრონულად შეტანა საბაჟო დეკლარაციაში ხორციელდება ფინანსთა მინისტრის ბრძანებით (#257) დამტკიცებული „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ" ინსტრუქციისა (დანართი №8) და „ექსპორტის პროცედურის შესახებ" ინსტრუქციის (დანართი №15) შესაბამისად"[250].

„ATA წიგნაკის გამოყენებით საქონლის დროებით შემოტანის შემთხვევაში, საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი:

- ა) ამოწმებს არის თუ არა ATA წიგნაკი დადასტურებული შესაბამისი კონვენცი(ებ)ის ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ, მოქმედებს თუ არა ეს ATA წიგნაკი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე (მითითებულია წიგნაკის ყდის „P" გრაფაში) და ხომ არ შეიცავს დროებით შემოტანის პროცედურაში მოსაქცევად აკრძალულ საქონელს;
- ბ) ამოწმებს ATA წიგნაკის „იმპორტის" (თეთრი ფერის) ვაუჩერის (მოსახევი ფურცლის) „A" – „G" გრაფებში მითითებულ ინფორმაციას და ადარებს მას „საქონლის საერთო ჩამონათვალში" ასახულ მონაცემებს;
- გ) ATA წიგნაკის „იმპორტის" (თეთრი ფერის) ვაუჩერის (მოსახევი ფურცლის) „H" გრაფასა და ამ წიგნაკის თეთრი ძირითადი გვერდის (ყუის) „იმპორტის" განყოფილებას ავსებს, ადასტურებს და არეგისტრირებს ამ ბრძანებით დამტკიცებული „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ" ინსტრუქციის (დანართი №3) მე-19 მუხლით დადგენილი წესით;
- დ) ATA წიგნაკიდან ხევს და ინახავს ამ პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად შევსებულ „იმპორტის" (თეთრი ფერის) ვაუჩერს"[251].

ATA წიგნაკის გამოყენებით დროებით შემოტანილ საქონელზე პროცედურის დასრულების მიზნით, დროებით შემოტანის ვადის გასვლამდე (თუ გაგრძელებული არ იქნება დროებით შემოტანის წინასწარ განსაზღვრული ვადა):

---

[250] იქვე.

[251] ინსტრუქცია „დროებითი შემოტანის პროცედურის შესახებ", დანართი №11.

• ა) საქონლის სრულად გატანის შემთხვევაში საქონელი უნდა წარედგინოს საბაჟო გამშვებ პუნქტს, საიდანაც მოხდება საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა საბაჟო ფორმალობების დაცვით;

• ბ) საქონლის ნაწილის გატანის შემთხვევაში ეს საქონელი უნდა წარედგინოს უახლოეს გაფორმების საბაჟო ორგანოს, სადაც ხორციელდება დროებით შემოტანილი საქონლის ნაწილის რეექსპორტში დეკლარირება, ხოლო საქონლის დანარჩენი ნაწილი ექცევა სხვა საბაჟო პროცედურაში ან მის მიმართ ხორციელდება საქონლის განკარგვის ღონისძიებები[252].

დანართი №8-VI-01

ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია

I. გადაადგილების მიზანი

1. საქართველოში შემოსვლა
2. ტრანზიტი
3. საქართველოდან გასვლა

II. ინფორმაცია პირის შესახებ

1. სახელი
2. გვარი
3. საცხოვრებელი ადგილი (ქვეყანა, მისამართი).....
4. მოქალაქეობა.....
5. სამგზავრო დოკუმენტის №..... პირადი №.....
6. დაბადების ადგილი და თარიღი.....
7. ქვეყანა, საიდანაც ჩამობრძანდით.....
8. ქვეყანა, სადაც მიემგზავრებით.....
9. თან მიმაქვს ბარგი/ხელბარგი..... ერთეული
10. ჩემგან დამოუკიდებლად იგზავნება ბარგი..... ერთეული.

III. ინფორმაცია საქონლის შესახებ

1. თან მაქვს ან ბარგით/ხელბარგით გადავაადგილებ შემდეგ საქონელს:

---

[252] იქვე.

ა) ნაღდი ფული (ეროვნული ან/და უცხოური ვალუტა), ჩეკები ან/და სხვა ფასიანი ქაღალდები, რომელთა ჯამური ოდენობა აღემატება 30 000 ლარს, ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში

დიახ არა

ბ) იარაღი ან ასაფეთქებელი მასალა

დიახ არა

გ) ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერება

დიახ არა

დ) ანტიკვარული ან ხელოვნების ნიმუში

დიახ არა

ე) მომწამვლელი ნივთიერება ან მედიკამენტი

დიახ არა

ვ) მცენარე ან/და ცხოველი, მათი ნაწილები ან მათგან მიღებული პროდუქტი

დიახ არა

ზ) მაღალი სიხშირის რადიოელექტრონული მოწყობილობა, კავშირგაბმულობის საშუალება

დიახ არა

თ) რადიოაქტიური მასალა

დიახ არა

ი) ეკონომიკური საქმიანობისათვის განკუთვნილი ან/და იმპორტის გადასახდელით დაუბეგრავ რაოდენობასა და ღირებულებაზე მეტი საქონელი

დიახ არა

კ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატანი 15 000 ლარზე ნაკლები საბაჟო ღირებულების საქონელი (გრაფა ივსება პირის სურვილის შემთხვევაში)

დიახ

ლ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებით შემოტანის საბაჟო პროცედურაში (იმპორტის გადასახდელისაგან სრულად გათავისუფლებით) მოსაქცევი, ბარგით ან ხელბარგით გადაადგილებული საქონელი

დიახ არა

2. საქართველოში შემოვდივარ მუდმივად საცხოვრებლად და განზრახული მაქვს შემოვიტანო საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონელი, რომელიც ჩემთან ერთად არ გადაადგილდება

დიახ

3. თუ ამ ნაწილის პირველი პუნქტის „ა“ – „თ“ ქვეპუნქტებში აირჩიეთ დადებითი პასუხი, შეავსეთ ცხრილი:

№	საქონლის დასახელება	რაოდენობა (კგ., ცალი), თანხის ოდენობა	*საქონლისშესაძენ რე/მიმღები	*ვალუტის/ფასიან ი ქაღალდის სახეობა	*საქონლის წარმომავლობა და მიზნობრიობა	შენიშვნა

შენიშვნა:

• ა) ვარსკვლავით (*) მონიშნული გრაფები ივსება მხოლოდ ფიზიკური პირის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული ნაღდი ფულის (ეროვნული ან/და უცხოური ვალუტა), ჩეკების ან/და სხვა ფასიანი ქაღალდების დეკლარირების შემთხვევაში; ამასთან, გრაფაში „*საქონლის წარმომავლობა და მიზნობრიობა“ მიეთითება შემდეგი ინფორმაცია:

• ა.ა) ნაღდი ფულის (ეროვნული ან/და უცხოური ვალუტა), ჩეკების ან/და სხვა ფასიანი ქაღალდების წარმომავლობა და საზღვარგარეთ ფიზიკური პირის საქმიანობის სფერო (დეტალური აღწერით);

• ა.ბ) ნაღდი ფულის (ეროვნული ან/და უცხოური ვალუტა), ჩეკების ან/და სხვა ფასიანი ქაღალდების მიზნობრიობა, კერძოდ, რა მიზნით ხორციელდება აღნიშნული საქონლის საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილება;

• ა.გ) ნაღდი ფულის (ეროვნული ან/და უცხოური ვალუტა), ჩეკების ან/და სხვა ფასიანი ქაღალდების საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობისათვის შემოტანისას – საქართველოში ფიზიკური პირის ეკონომიკური საქმიანობის დეტალური აღწერა (მათ შორის, საქმიანი პარტნიორების (სამეწარმეო ინტერესით დაკავშირებული პირები) საიდენტიფიკაციო მონაცემების სრულად მითითებით);

• ა.დ) საქართველოში ყოფნის დაგეგმილი ხანგრძლივობა, საცხოვრებელი მისამართი და სხვა საკონტაქტო მონაცემები (უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში);

• ა.ე) ფიზიკური პირის მიერ წინა პერიოდში ნაღდი ფულის (ეროვნული ან/და უცხოური ვალუტა), ჩეკების ან/და სხვა ფასიანი ქაღალდების დეკლარირების შემთხვევაში – მათი გამოყენების მიზნობრიობა, კერძოდ, რა მიზნითა და რა დანიშნულებით მოხდა მათი განკარგვა.

• ბ) სამართალდარღვევის გამოვლენისას, საბაჟო გამშვები პუნქტის შესაბამის თანამშრომელს შეაქვს შესწორებული მონაცემები ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციაში, ხოლო დეკლარაციის არარსებობის შემთხვევაში, ფიზიკური პირის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ავსებს ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციას (სანქციის სახით საქონლის ჩამორთმევის შემთხვევის გარდა) და მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ცხრილის შენიშვნის გრაფაში მიუთითებს სამართალდარღვევის ოქმის ნომერს და შედგენის თარიღს. ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციაში შეტანილი მონაცემები დასტურდება ფიზიკური პირის ხელმოწერითა და საბაჟო გამშვები პუნქტის თანამშრომლის ხელმოწერითა და ბეჭდით. თუ ფიზიკური პირი უარს აცხადებს საბაჟო გამშვები პუნქტის თანამშრომლის მიერ შევსებული დეკლარაციის ხელმოწერით დადასტურებაზე (საქონლის დეკლარირებაზე), მას ეკრძალება საქონლის საბაჟო საზღვარზე გადაადგილება.

4. თუ ამ ნაწილის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტში აირჩიეთ დადებითი პასუხი (როგორც საქონლის საქართველოში შემოტანის, ასევე ტრანზიტით გადაადგილების დროს), შეავსეთ „დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლის ნუსხა", გარდა ამ საქონელზე საბაჟო დეკლარაცია –ფორმა 4-ის ან ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დეკლარაციის წარდგენის შემთხვევისა.

5. თუ თქვენ მიერ საქართველოდან გასატანი საქონლის საბაჟო ღირებულება შეადგენს 15 000 ლარს და მეტს, ან/და საქონლის გატანისათვის საჭიროა ნებართვა/ლიცენზია და მას არ ადეკლარირებთ ამ დეკლარაციით, თქვენ ვალდებული ხართ მოახდინოთ საქონლის დეკლარირება საბაჟო დეკლარაციით ან სასაქონლო ზედნადების/ზე-ტყის სასაქონლო ზედნადების ან სდ-ის წარდგენით.

6. თუ ამ ნაწილის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტში ან მე-2 პუნქტში აირჩიეთ დადებითი პასუხი, შეავსეთ „დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლის ნუსხა". ავტოსატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში მიეთითება მანქანის მარკა, მოდელი, VIN კოდი, შასის ნომერი, გამოშვების წელი.

თარიღი „....."..... 20..... წელი
ფიზიკური პირის ხელმოწერა .....

საბაჟო გამშვები პუნქტის თანამშრომლის ხელმოწერა ..... ბ.ა.

(მეორე გვერდი)

მოგესალმებათ შემოსავლების სამსახური ! ! !

შემოსავლების სამსახური ვალდებულია, აღკვეთოს აკრძალული ნივთების ქვეყანაში შემოტანა. საბაჟო გამშვები პუნქტის თანამშრომელი უფლებამოსილია დაგისვათ შეკითხვები, შეამოწმოს თქვენი პირადი ბარგი და ხელბარგი. თუ თქვენ შეგარჩიეს შემოწმებისათვის, საბაჟო გამშვები პუნქტის თანამშრომლები მოგეპყრობიან თავაზიანად, პროფესიონალურად და დაიცავენ თქვენს უფლებებს. საბაჟო გამშვები პუნქტის თანამშრომლები უპასუხებენ თქვენს შეკითხვებს.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

1. ნებისმიერი ოდენობით ვალუტის საქართველოში შემოტანა და მისი გატანა თავისუფლდება გადასახდელისაგან, თუმცა, პირის მიერ ნაღდი ფულის (ეროვნული უცხოური ვალუტა), ჩეკების სხვა ფასიანი ქაღალდების, რომელთა ჯამური ოდენობა აღემატება 30 000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, საზღვარზე გადაადგილება ექვემდებარება სავალდებულო დეკლარირებას.

2. იმ შემთხვევაში, თუ პირი არ განახორციელებს სავალდებულო დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლის დეკლარირებას, მის მიმართ გატარდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესაბამისი ღონისძიებები.

3. *თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას გადასახდელისაგან თავისუფლდება ფიზიკური პირის მიერ:*

ა) კალენდარულ დღეში ერთხელ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 02, 04, 06–12, 15–21 ჯგუფებისა და 0302-0307, 2201-2202 სასაქონლო პოზიციების შესაბამისი ჯამური თანხით 500-ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის კვების პროდუქტების თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება (მათ შორის, საფოსტო გზავნილის შემთხვევაში), რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ბ) 30 კალენდარულ დღეში ერთხელ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე–97-ე ჯგუფებით (საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 99 960 01 კოდით გათვალისწინებული საქონლის (ელექტრონული სიგარეტით მოხმარებისათვის განკუთვნილი სითხეები) გარდა) გათვალისწინებული 500-ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება, რომელიც ეკონომიკური საქმიანობისათვის განკუთვნილი არ არის;

გ) მგზავრის მიერ 200 ღერი სიგარეტის ან 50 სიგარის ან 50 სიგარილას ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 02 კოდით (თამბაქოს ნაწარმი, წვის პროცესის გარეშე, ორთქლის მისაღებად გამოსაყენებელი) გათვალისწინებული 200 ღერი თამბაქოს ნაწარმის ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 01 კოდით (კაფსულები და მსგავსი სახის პროდუქტები, თამბაქოს შემცველობით) გათვალისწინებული 10 ცალი კაფსულის და მსგავსი სახის პროდუქტის ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმის (გარდა თამბაქოს ნედლეულისა) თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება, ან ამ ქვეპუნქტში მითითებული თამბაქოს ნაწარმის სახეობათა ნაკრების თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება, თუ მასში შემავალი თითოეული სახეობის თამბაქოს ნაწარმის წილის პროცენტულ მაჩვენებელთა (პროცენტული მაჩვენებელი შესაბამის ზღვრულ ოდენობასთან მიმართებით) ჯამი 100-ს არ აღემატება, ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 99 960 01 კოდით გათვალისწინებული (ელექტრონული

სიგარეტით მოხმარებისათვის განკუთვნილი სითხეები) 50 მლ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება, რომელიც მგზავრის გადაყვანისას ბარგით ან/და ხელბარგით გადაიზიდება და რომელიც ეკონომიკური საქმიანობისათვის არ არის განკუთვნილი (ამ საგადასახადო შეღავათით სარგებლობის უფლება ფიზიკურ პირს წარმოეშობა 18 წლის ასაკიდან);

დ) მგზავრის მიერ ჯამურად 1 ლიტრი 22% და 22%-ზე მეტი ალკოჰოლის შემცველობის ალკოჰოლიანი სასმელის ან 80% და 80%-ზე მეტი ალკოჰოლის შემცველობის არადენატურირებული ეთილის სპირტის ან 2 ლიტრი 22%-ზე ნაკლები ალკოჰოლის შემცველობის ალკოჰოლიანი სასმელის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება, ან ამ ქვეპუნქტში მითითებული ალკოჰოლიანი სასმელის (გარდა ლუდისა და ღვინისა) სახეობათა ნაკრების თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება, თუ მასში შემავალი თითოეული სახეობის ალკოჰოლიანი სასმელის (გარდა ლუდისა და ღვინისა) წილის პროცენტულ მაჩვენებელთა (პროცენტული მაჩვენებელი შესაბამის ზღვრულ ოდენობასთან მიმართებით) ჯამი 100-ს არ აღემატება, ან 4 ლიტრი ღვინის და 16 ლიტრი ლუდის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება, რომელიც მგზავრის გადაყვანისას ბარგით ან/და ხელბარგით გადაიზიდება და რომელიც ეკონომიკური საქმიანობისათვის არ არის განკუთვნილი (ამ საგადასახადო შეღავათით სარგებლობის უფლება ფიზიკურ პირს წარმოეშობა 18 წლის ასაკიდან);

ე) საჰაერო ტრანსპორტით შემოტანის შემთხვევაში საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28–97 ჯგუფების შესაბამისი 3000-ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის.

4. *თუ თქვენ მიერ საქართველოში შემოტანილი საქონლის პარამეტრები აღემატება „მნიშვნელოვანი ინფორმაციის" მე-3 პუნქტში აღნიშნულს ან/და საქონლის შემოტანისათვის საჭიროა ნებართვა/ლიცენზია და მას არ ადეკლარირებთ ამ დეკლარაციით, თქვენ ვალდებული ხართ მოახდინოთ საქონლის დეკლარირება ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დეკლარაციით ან საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ით ან საქონლის საბაჟო დეკლარაციის წარდგენით, რისთვისაც თქვენ შეგიძლიათ:*

- ა) საქონელი დროებით დაასაწყობოთ საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებულ საბაჟო საწყობში ან საბაჟო ორგანოს საწყობში და წარადგინოთ შესაბამისი დეკლარაცია, ან
- ბ) საქონელი თქვენ მიერ მითითებულ გაფორმების ადგილამდე გადააადგილოთ „საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის

მოწმობით“ ან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვით.

5. თუ თქვენ მიერ საქართველოდან გასატანი საქონლის საბაჟო ღირებულება შეადგენს 15 000 ლარს და მეტს, ან/და საქონლის გატანისათვის საჭიროა ნებართვა/ლიცენზია და მას არ ადეკლარირებთ ამ დეკლარაციით, თქვენ ვალდებული ხართ მოახდინოთ საქონლის დეკლარირება საბაჟო დეკლარაციით ან სასაქონლო ზედნადების/ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების წარდგენით.

6. თუ თქვენ საქართველოში დროებით შემოგაქვთ იმპორტის გადასახდელისაგან სრულად გათავისუფლებული საქონელი, შეგიძლიათ დაადეკლარიროთ ამ დეკლარაციით.

7. თუ თქვენ საქართველოში შემოდიხართ მუდმივად საცხოვრებლად და განზრახული გაქვთ შემოიტანოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონელი, რომელიც თქვენთან ერთად არ გადაადგილდება, აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული შეღავათის მისაღებად:

- ა) უნდა შეავსოთ ეს დეკლარაცია, დეკლარაციის III ნაწილის მე-2 პუნქტში აირჩიოთ დადებითი პასუხი და შეავსოთ „დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლის ნუსხა“;
- ბ) საბაჟო პროცედურაში საქონლის მოსაქცევად საბაჟო დეკლარაციისა და საქონლის წარდგენა უნდა განახორციელოთ საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მიღების დღიდან ან საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მოსაპოვებლად განაცხადის წარდგენის დღიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში.

შენიშვნა: „მნიშვნელოვანი ინფორმაციის“ მე-3 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საგადასახადო შეღავათის მიზნებისათვის ჩაითვლება, რომ საქონელი ეკონომიკური საქმიანობისათვის არ არის განკუთვნილი, თუ მისი თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება ერთჯერადია და იგი განკუთვნილია მგზავრის პირადი ან მისი ოჯახის წევრების მიერ მოხმარებისთვის ან/და ჩუქებისთვის. ამასთანავე, საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება ერთჯერადია, თუ ადგილი აქვს საჰაერო ტრანსპორტით შემოტანის შემთხვევაში 1 კალენდარული დღის განმავლობაში, ხოლო სხვა შემთხვევაში – 30 კალენდარული დღის განმავლობაში ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების არაუმეტეს 1 შემთხვევას.

დანართი №8-VI-02

დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლის ნუსხა

№	საქონლის დასახელება	რაოდენობა (ზომის ერთეული სეს ესნ-ის მიხედვით)

„.....“ ..... 20..... წელი
დეკლარანტის ხელმოწერა.....
საბაჟო გამშვები პუნქტის თანამშრომლის ხელმოწერა..... ბ.ა[253].

• დ) ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დეკლარაცია;

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ფიზიკური პირის მიერ შემოტანილი 3000 ლარამდე ღირებულების საქონლის (გარდა „საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ“ სტამბოლის 1990 წლის 26 ივნისის კონვენციით ან „საქონლის დროებითი შემოტანისათვის ATA წიგნაკის შესახებ“ ბრიუსელის 1961 წლის 6 დეკემბრის საბაჟო კონვენციით (ATA კონვენცია) გათვალისწინებული საქონლისა) დეკლარირება შესაძლებელია განხორციელდეს ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დეკლარაციით (დანართი №8-VII-01).

ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დეკლარაცია ივსება საბაჟო გამშვებ პუნქტში ან გაფორმების ეკონომიკურ ზონაში.

ფიზიკური პირის მიერ საქონლის სახეობის, რაოდენობისა და ღირებულების დეკლარირება ხორციელდება ზეპირად, ხოლო საბაჟო გამშვები პუნქტის ან გაფორმების ეკონომიკური ზონის უფლებამოსილი თანამშრომელი ახორციელებს „ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დეკლარაციის“ შევსებას, რომელიც მოწმდება ფიზიკური პირის ხელმოწერით.

საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი არეგისტრირებს ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დეკლარაციას ნომრის მინიჭებით, სადაც პირველი 5 ციფრი შეადგენს საბაჟო ორგანოს კოდს, ხოლო შემდეგი ციფრები – დეკლარაციის რიგით ნომერს.

---

[253] იხ. ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“, დანართი №8.

ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დეკლარაცია ივსება ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი რჩება გაფორმების საბაჟო ორგანოში, მეორე – გადაეცემა ფიზიკურ პირს.

დანართი №8-VII-01

ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დეკლარაცია №

მე, ---------- ----------

(სახელი, გვარი) (პირადი ნომერი)

ვაცხადებ, რომ ჩემ მიერ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილ საქონელში აქციზური საქონელი არ არის

საქონლის საერთო რაოდენობაა (ცალი/კგ) ————————

საქონლის საერთო ღირებულება ————————

ინფორმირებული ვარ არასწორი მონაცემის არსებობისას პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე, რაც გამოიხატება:

– შემცირებული გადასახდელისათვის – ჯარიმით შემცირებული გადასახდელის თანხის 40 პროცენტის ოდენობით;

– საქონლის დამალვისათვის – ჯარიმით 1000 ლარის ოდენობით, ან/და ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევით.

ჩემ მიერ შემოტანილი საქონლის საერთო რაოდენობაში შედის:

- ☐ ჯვრის პროდუქტები
- ☐ სარეცხი საშუალებები
- ☐ პლასტმასის ნაწარმი
- ☐ ხის ნაწარმი
- ☐ საოჯახო ნაგებობები
- ☐ ბიჟუტერია
- ☐ ცრემლსაწმენდები
- ☐ გაზის ბალონები
- ☐ ნაკეთობები მძივი ლითონისაგან
- ☐ ქვის და თაბაშირის ქანდაკებები და სხვა დეკორატიული ნაწარმი
- ☐ გასათბობი ღუმელები და სხვა არაელექტრული მოწყობილობები
- ☐ ქარვები და სხვა ანალოგიური ტკბილეულები
- ☐ შიგნითა ლითონის ნაწარმი საშობაოდ და სხვა საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის
- ☐ კოსმეტიკური და ტუალეტის საშუალებები
- ☐ ფეხსაცმლის მოვლის საშუალებები
- ☐ საკანცელარიო და სასკოლო ნივთები

ხელს ვაწერ ----------

დეკლარაციის მიღების თარიღი ---------- 20 ---- წელი
დეკლარაციის მიღებაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა ---------- ბ.ა.
იმპორტის გადასახდელი:
იმპორტის გადასახადი: ----------
დღგ: ----------
სულ გადახდილი თანხა: ----------
გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი: ----------
გადახდის ვადა: ----------[254]

- ე) საფოსტო გზავნილების დეკლარაცია;

ინსტრუქციის „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ", დანართი №8 (თავი V) არეგულირებს საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონლის გაფორმებას.

საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი საფოსტო გზავნილები (ელექტრონული შესყიდვის გზით შეძენილი საქონლის გარდა) საბაჟო ორგანოს წარედგინება გადამზიდავის მიერ მომზადებული საფოსტო გზავნილების ნუსხებით:

- ა) დეკლარირებას დაუქვემდებარებელი საფოსტო გზავნილების ნუსხა №1 (დანართი №8-VIII-01);
- ბ) დეკლარირებას დაქვემდებარებული საფოსტო გზავნილების ნუსხა №2 (დანართი №8-VIII-02);
- გ) დაუდგენელი ღირებულების საფოსტო გზავნილების ნუსხა №3 (დანართი №88-VIII-03)[255].

ზემოთ აღნიშნული ნუსხები, საფოსტო გზავნილების საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანიდან **არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა**, გადამზიდავის მიერ რეგისტრირდება **„Oracle"-ში**, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის (www.rs.ge) საშუალებით, ხოლო ამობეჭდილი და გადამზიდავის მიერ დამოწმებული ეგზემპლარები წარედგინება საბაჟო ორგანოს.

---

[254] იხ. ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ", დანართი №8, თავი VII „ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დეკლარაცია".

[255] დანართების შესახებ იხ. ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ", დანართი №8.

ამასთან, მონაცემები (სახელი, გვარი და საიდენტიფიკაციო ნომერი/პირადი ნომერი/პასპორტის ნომერი) იმ პირის შესახებ, რომელსაც გადაეცა საფოსტო გზავნილი, დეკლარირებას დაუქვემდებარებელი საფოსტო გზავნილების ნუსხა №1-ში (დანართი №8-VIII-01) აისახება საფოსტო გზავნილის გადაცემის შემდგომ.

კონკრეტული შემთხვევის გარდა, როცა: აქციზური მარკით სავალდებულო ნიშანდების განხორციელების შემთხვევაში, საფოსტო გზავნილით შემოტანილ აქციზურ ალკოჰოლურ სასმელებზე ან/და თამბაქოს ნაწარმზე საბაჟო დეკლარაციას ავსებს საბაჟო ორგანო, საფოსტო გზავნილით შემოტანილ, დეკლარირებას დაქვემდებარებულ საქონელზე საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ს ავსებს გადამზიდავი, რომელიც ახორციელებს პირის (საფოსტო გზავნილის მიმღების) წარმომადგენლობას და უზრუნველყოფს საქონლის შენახვას.

საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონელი, რომლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება არ იბეგრება/გათავისუფლებულია იმპორტის გადასახდელისაგან, არ ექვემდებარება სავალდებულო დეკლარირებას, გარდა იმ საქონლისა, რომლის შემოტანა შეზღუდულია ან/და მათი შემოტანისათვის საჭიროა ნებართვა ან/და ლიცენზია. იმ შემთხვევაში, როდესაც საფოსტო გზავნილის თანმხლები დოკუმენტები არ არსებობს, გზავნილის მიმღები ვალდებულია, ელექტრონული ფორმით მიაწოდოს გადამზიდველს საქონლის ღირებულების შესახებ ინფორმაცია.

იმ შემთხვევაში, როდესაც საფოსტო გზავნილის თანმხლები დოკუმენტები არ არსებობს, საფოსტო გზავნილების ნუსხის მომზადებისას გადამზიდავი სარგებლობს საფოსტო გზავნილის მიმღების მიერ ელექტრონული ფორმით გაცხადებული ღირებულებით. ამასთან, 3000 ლარამდე ღირებულების საქონელზე საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ის შევსებისას გადამზიდავი იყენებს ელექტრონული ფორმით გაცხადებულ ღირებულებას, ხოლო თუ საქონლის ღირებულება აღემატება 3000 ლარს, საბაჟო ორგანოს მიერ ხორციელდება საქონლის დათვალიერება/ექსპერტიზა. საჭიროების შემთხვევაში, ექსპერტიზა შეიძლება განხორციელდეს აგრეთვე სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

საბაჟო ორგანოს მიერ ჩატარებული დათვალიერების ოქმი ან/და ექსპერტიზის დასკვნა საქონელთან ერთად გადაეცემა გადამზიდველს, გარდა შემთხვევისა, როცა: აქციზური მარკით სავალდებულო ნიშანდების განხორციელების შემთხვევაში, საფოსტო გზავნილით შემოტანილ აქციზურ ალკოჰოლურ სასმელებზე ან/და თამბაქოს ნაწარმზე საბაჟო დეკლარაციას ავსებს საბაჟო ორგანო.

საფოსტო გზავნილით შემოტანილი, აკრძალვებისა და შეზღუდვებს დაქვემდებარებული საქონლის მიმღებზე გადაცემა გადამზიდავის მიერ განხორციელდება მხოლოდ შესაბამისი ნებართვის/სერტიფიკატის წარდგენისას. აღნიშნული დოკუმენტი გადამზიდავის მიერ წარედგინება საბაჟო ორგანოს, ხელმოწერილ საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-თან ერთად.

გადამზიდავი ვალდებულია:

• ა) უზრუნველყოს საქონლის დროებით შენახვა საბაჟო საწყობში ან თავის საწყობში, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს საქონლის დაცულობას;

• ბ) ზოგადი დეკლარირებიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში უზრუნველყოს მიმღების ვინაობის დადგენა, საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ის შევსება, რეგისტრაცია და საფოსტო გზავნილის მიმღებისათვის გადაცემა (რაც დასტურდება აღნიშნული დეკლარაციის ეგზემპლარზე მიმღების ხელმოწერით) ან საფოსტო გზავნილის გამომგზავნისათვის დაბრუნება (რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენით). იმ შემთხვევაში, თუ მითითებულ ვადაში არ მოხდა საფოსტო გზავნილის მიმღებისათვის გადაცემა ან გამომგზავნისათვის დაბრუნება, აგრეთვე აკრძალვებსა და შეზღუდვებს დაქვემდებარებულ საქონელზე შესაბამისი ნებართვის/სერტიფიკატის წარდგენა, ხოლო აქციზური ალკოჰოლური სასმელების ან/და თამბაქოს ნაწარმის ზოგადი დეკლარირებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში არ მოხდა აქციზური მარკით სავალდებულო ნიშანდება და დეკლარირების განხორციელება – საფოსტო გზავნილი, ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადების ამოწურვიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა, წერილობითი განცხადების საფუძველზე გადასცეს საბაჟო ორგანოს, რომელიც ახორციელებს საქონლის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემას ან განადგურებას;

• გ) ხელმოწერილი შევსებული საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4 ან საფოსტო გზავნილის გამომგზავნისათვის დაბრუნების დამადასტურებელი დოკუმენტი აღნიშნული დეკლარაციის ეგზემპლარებთან ერთად, არა უგვიანეს მომდევნო კალენდარული თვის 15 რიცხვისა, წარუდგინოს საბაჟო ორგანოს;

• დ) საფოსტო გზავნილით აქციზური ალკოჰოლური სასმელების ან/და თამბაქოს ნაწარმის შემოტანის შემთხვევაში, ზოგადი დეკლარირებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში უზრუნველყოს გზავნილის მიმღების ინფორმირება დეკლარირების ვალდებულების თაობაზე;

• ე) დეკლარირებას დაუქვემდებარებელი საფოსტო გზავნილის მიმღებისათვის გადაცემის შემდგომ, მაგრამ არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ნუსხაში ასახოს მონაცემები (სახელი, გვარი და საიდენტიფიკაციო ნომერი/პირადი ნომერი/პასპორტის ნომერი) იმ პირის (გზავნილის მიმღები ან პირის უფლებამოსილ წარმომადგენელს ან კანონიერ წარმომადგენელს; პირის საქმიანობის ადგილზე არსებულ კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს; დ) ფიზიკური პირის შემთხვევაში - მის საცხოვრებელ ადგილზე ამ პირთან მცხოვრებ მისი ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - სარეგისტრაციო დოკუმენტებით ამ პირის იურიდიულ მისამართად განსაზღვრულ საცხოვრებელ ბინაში მცხოვრებ ნებისმიერ სრულწლოვან პირს, რომელსაც გადაეცა საფოსტო გზავნილი[256];

• საფოსტო გზავნილის გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც ასევე შეიცავენ საფოსტო გზავნილის გადაცემის ადგილისა და თარიღის შესახებ ინფორმაციას, ან საფოსტო გზავნილის გამომგზავნისათვის დაბრუნების დამადასტურებელი დოკუმენტები შეინახოს არანაკლებ 3 წლით და მოთხოვნისამებრ წარუდგინოს საბაჟო ორგანოს;

• ზ) საფოსტო გზავნილის მონაცემების შესაბამის რისკის პროფილთან თანხვედრის შემთხვევაში, უზრუნველყოს საფოსტო გზავნილის უშუალოდ მიმღებისათვის ან მისი წარმომადგენლისათვის (რომლის უფლებამოსილება დასტურდება ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №1) მე-6 მუხლის შესაბამისად) გადაცემა.

„საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №1) მე-6 მუხლში „საბაჟო ორგანოში წარმომადგენლის უფლებამოსილების დადასტურება“, საუბარია: პირს საბაჟო ურთიერთობებში პირადად მონაწილეობა არ ართმევს უფლებას, ჰყავდეს წარმომადგენელი (პირდაპირი ან ირიბი), ისევე, როგორც წარმომადგენლის მონაწილეობა არ ართმევს პირს უფლებას, პირადად მიიღოს მონაწილეობა აღნიშნულ ურთიერთობებში.

---

[256] დამატ. იხ. საბაჟო კოდექსი, საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ – „დ“ ქვეპუნქტები.

საბაჟო ორგანოში პირის კანონიერ წარმომადგენელს საწარმოს/ორგანიზაციის შემთხვევაში წარმოადგენს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი, თუ საწარმოს/ორგანიზაციის წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ფიზიკური პირის კანონიერი წარმომადგენელი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.

საბაჟო ორგანოში წარმომადგენლის უფლებამოსილება დასტურდება პირადობის დამადასტურებელ მოწმობასთან ერთად შემდეგი დოკუმენტების წარდგენით:

- *ა) ფიზიკური პირის უფლებამოსილი წარმომადგენლის შემთხვევაში – ამ ფიზიკური პირის მიერ გაცემული და სანოტარო წესით დადასტურებული მინდობილობა ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მინდობილობასთან გათანაბრებული სხვა დოკუმენტი;*
- *ბ) ფიზიკური პირის კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში:*
  - *ბ.ა) დაბადების მოწმობა, ან*
  - *ბ.ბ) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილება მეურვის ან მზრუნველის დანიშვნის შესახებ;*
- *გ) საწარმოს/ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის შემთხვევაში:*
  - *გ.ა) ამ საწარმოს/ორგანიზაციის მიერ გაცემული მინდობილობა, ან*
  - *გ.ბ) ხელშეკრულება;*
- *დ) საწარმოს/ორგანიზაციის კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში:*
  - *დ.ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, ან*
  - *დ.ბ) წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი.*

საბაჟო ორგანოსათვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა ხორციელდება ელექტრონული (გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის მეშვეობით) ან მატერიალური ფორმით.

წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირი ასახავს (ატვირთავს) მონაცემთა დამუშავების ელექტრონული საშუალების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მინდობილობის შენახვისა და გაუქმების საშუალებას.

იმ შემთხვევაში, თუ გზავნილის თანმხლებ დოკუმენტებში საქონლის ღირებულება მითითებულია უცხოურ ვალუტაში და საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღისათვის შეიცვალა ლარის კურსი იმდენად, რომ საქონლის ღირებულება განეკუთვნება დაუბეგრავ მინიმუმს, გადამზიდველს უფლება აქვს შეიტანოს ცვლილება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ნუსხაში.

აქციზური მარკით სავალდებულო ნიშანდების განხორციელების შემთხვევაში, საფოსტო გზავნილით შემოტანილ აქციზურ ალკოჰოლურ სასმელებზე ან/და თამბაქოს ნაწარმზე საბაჟო დეკლარაციას ავსებს საბაჟო ორგანო.

გადამზიდავის მიერ ზემოთ აღნიშნული „ა-ზ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული ვალდებულების/ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გადამზიდავს დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

საფოსტო გზავნილების დეკლარაცია. საფოსტო გზავნილების დეკლარაციით (დანართი №8-VIII-04) შესაძლებელია გაფორმდეს:

- ა) ელექტრონული შესყიდვის გზით შეძენილი და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საფოსტო გზავნილებით შემოტანილი საქონელი, რომლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება არ იბეგრება/გათავისუფლებულია იმპორტის გადასახდელისაგან (გარდა იმ საქონლისა, რომლის შემოტანა შეზღუდულია ან/და მათი შემოტანისათვის საჭიროა ნებართვა ან/და ლიცენზია);
- ბ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საფოსტო გზავნილებით გასატანი საქონელი.

საფოსტო გზავნილების დეკლარაციას ავსებს გადამზიდავი, რომელიც ახორციელებს პირის (საფოსტო გზავნილის მიმღების/გამგზავნის) წარმომადგენლობას.

ელექტრონული შესყიდვის გზით შეძენილი და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონლის შემთხვევაში, საფოსტო გზავნილების დეკლარაცია წარმოადგენს:

- ა) საქონლის ზოგადი დეკლარირების დოკუმენტს;
- ბ) თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურის დეკლარაციას და მისი თითოეული სტრიქონი (თითოეულ საფოსტო გზავნილზე) ითვლება ცალკე საბაჟო დეკლარაციად, რომლის დამუშავება (შემოწმება, შეფასება) ხორციელდება გზავნილზე შტრიხ-კოდის წამკითხველის

გადატარებით, რის შემდეგაც დეკლარაციისათვის განისაზღვრება მწვანე, ლურჯი, ყვითელი ან წითელი დერეფანი.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საფოსტო გზავნილით გასატანი საქონლის შემთხვევაში, საფოსტო გზავნილების დეკლარაცია წარმოადგენს ექსპორტის პროცედურის დეკლარაციას და მისი თითოეული სტრიქონი (თითოეულ საფოსტო გზავნილზე) ითვლება ცალკე საბაჟო დეკლარაციად.

ელექტრონული შესყიდვის გზით შეძენილი, საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონლის გაფორმება. ელექტრონული შესყიდვის გზით შეძენილი, საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონლის მიმღები (დეკლარანტი) ვალდებულია, გადამზიდველს ელექტრონული ფორმით მიაწოდოს „საფოსტო გზავნილის ღირებულების დეკლარაცია“ (დანართი №8-VIII-05)[257].

„საფოსტო გზავნილის ღირებულების დეკლარაციას“ დეკლარანტი ავსებს საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონლის ნასყიდობის დოკუმენტის (ინვოისის) საფუძველზე.

საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონლის ნასყიდობის დოკუმენტი (ინვოისი) ელექტრონული ან მატერიალური სახით ინახება დეკლარანტთან და იგი ვალდებულია, აღნიშნული დოკუმენტი მოთხოვნისამებრ წარუდგინოს საბაჟო ორგანოს.

ელექტრონული შესყიდვის გზით შეძენილი საქონლის საფოსტო გზავნილებით (შემდგომში – საფოსტო გზავნილი) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას, გადამზიდავი ავსებს:

- ა) საფოსტო გზავნილების დეკლარაციას (დანართი №8-VIII-04) – საფოსტო გზავნილებზე, რომლითაც შემოტანილი საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებაც არ იბეგრება/გათავისუფლებულია იმპორტის გადასახდელისაგან (გარდა იმ საქონლისა, რომლის შემოტანა შეზღუდულია ან/და მათი შემოტანისათვის საჭიროა ნებართვა ან/და ლიცენზია);
- ბ) ელექტრონული შესყიდვის გზით შეძენილი, იმპორტის გადასახდელით დაბეგვრას ან/და აკრძალვებსა და შეზღუდვებს დაქვემდებარებული საფოსტო გზავნილების ნუსხა №4-ს (დანართი №8-VIII-06).

გადამზიდავი იყენებს საფოსტო გზავნილის მიმღების მიერ მიწოდებული „საფოსტო გზავნილის ღირებულების დეკლარაციის“ მონაცემებს.

---

[257] დანართების შესახებ იხ. ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“, დანართი №8.

იმ შემთხვევაში, თუ საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონლის ღირებულება ან/და სხვა მონაცემები დაუდგენელია, შესაძლებელია, საფოსტო გზავნილის მიმღების ან გადამზიდავის მოთხოვნით, საბაჟო ორგანოს მიერ განხორციელდეს საქონლის ექსპერტიზა ან/და საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა.

საფოსტო გზავნილების დეკლარაცია, რომელსაც თან ერთვის „საფოსტო გზავნილის ღირებულების დეკლარაციები", და ნუსხა №4, საფოსტო გზავნილების საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა, გადამზიდავის მიერ რეგისტრირდება „Oracle"-ში, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის (rs.ge) საშუალებით, ხოლო ამობეჭდილი და გადამზიდავის მიერ დამოწმებული ეგზემპლარი წარედგინება საბაჟო ორგანოს. იმ შემთხვევაში კი, თუ საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონლის ზოგადი დეკლარირება 3 სამუშაო ვადაში ვერ ხორციელდება, საფოსტო გადამზიდავი ვალდებულია, ამავე პუნქტით განსაზღვრულ ვადაში და წესით წარადგინოს ზოგადი დეკლარირების დადგენილ ვადაში განუხორციელებელი, ელექტრონული შესყიდვის გზით შეძენილი საფოსტო გზავნილების ნუსხა №5 (დანართი №8-VIII-07) (შემდგომში – ნუსხა №5), რის შემდგომაც ზოგადი დეკლარირების ვადა იზრდება 5 სამუშაო დღით[258].

ნუსხა №4 წარმოადგენს საქონლის ზოგადი დეკლარირების, საფოსტო გზავნილის გადამზიდავის საწყობამდე გადადგილებისა და დროებით შენახვის დოკუმენტს.

---

[258] დანართებისა და ნუხსების შესახებ იხ. ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ", დანართი №8.

ელექტრონული შესყიდვის გზით შეძენილი, იმპორტის გადასახდელით დაბეგვრას ან/და აკრძალვებსა და შეზღუდვებს დაქვემდებარებული საფოსტო გზავნილების ნუსხა №4

რიგ. №	გზავნილის №	გზავნილის მიმღების სახელწოდება/გვარი, სახელი	მიმღების საიდენტიფიკაციო/პირადი №	მიმღების მისამართი	მიმღების ტელეფონი	გამომგზავნი ქვეყანა	ინტერნეტ მაღაზია	საქონლის წონა კგ	საქონლის ღირებულება	ვალუტა
საფოსტო გადამზიდავი:			საფოსტო გადამზიდავი საწყობის მისამართი და შენახვის სხვა ადგილის კოდი:		თარიღი:		საბაჟო ორგანოს აღნიშვნები:			

ნუსხა №4-ით წარდგენილ საქონელზე გადამზიდავი ვალდებულია:

- ა) უზრუნველყოს საქონლის დროებით შენახვა საბაჟო საწყობში ან თავის საწყობში, რომელსაც მინიჭებული უნდა ჰქონდეს საქონლის დროებით შენახვის სხვა ადგილის კოდი შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის უფროსის ბრძანებით დამტკიცებული კლასიფიკატორის შესაბამისად და უნდა უზრუნველყოფდეს საქონლის დაცულობას;
- ბ) ზოგადი დეკლარირებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში უზრუნველყოს მიმღების ვინაობის დადგენა, საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ის შევსება, რეგისტრაცია და საფოსტო გზავნილის მიმღებისათვის გადაცემა (რაც დასტურდება აღნიშნული დეკლარაციის ეგზემპლარზე მიმღების ხელმოწერით) ან საფოსტო გზავნილის გამომგზავნისათვის დაბრუნება (რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენით);
- გ) ხელმოწერილი საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4 (რომელსაც თან ერთვის „საფოსტო გზავნილის ღირებულების დეკლარაციები“) ან საფოსტო გზავნილის გამომგზავნისათვის დაბრუნების დამადასტურებელი დოკუმენტი, არა უგვიანეს მომდევნო კალენდარული თვის 15 რიცხვისა, წარუდგინოს საბაჟო ორგანოს.

საფოსტო გზავნილით შემოტანილი, აკრძალვებსა და შეზღუდვებს დაქვემდებარებული საქონლის მიმღებზე გადაცემა გადამზიდავის მიერ განხორციელდება მხოლოდ შესაბამისი ნებართვის/სერტიფიკატის/ლიცენზიის წარდგენისას. აღნიშნული დოკუმენტი გადამზიდავის მიერ წარედგინება საბაჟო ორგანოს, ხელმოწერილ საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-თან ერთად. გადამზიდველს უფლება აქვს, განახორციელოს საფოსტო გზავნილების დეკლარაციაში ან/და ნუსხა №4-ში ცვლილების შეტანა საბაჟო ორგანოს მიერ მისი დამუშავების (შემოწმება, შეფასება) დაწყებამდე.

იმ შემთხვევაში, თუ გზავნილის თანმხლებ დოკუმენტებში საქონლის ღირებულება მითითებულია უცხოურ ვალუტაში და საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ის რეგისტრაციის დღისათვის შეიცვალა ლარის კურსი იმდენად, რომ საქონლის ღირებულება არ აღემატება დაუბეგრავ რაოდენობას, გადამზიდველს უფლება აქვს შეიტანოს ცვლილება საფოსტო გზავნილების დეკლარაციაში და ნუსხა №4-ში.

თუ ზოგადი დეკლარირებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში არ მოხდა გადამზიდავის მიერ საფოსტო გზავნილის მიმღებისათვის გადაცემა ან გამომგზავნისათვის დაბრუნება, აგრეთვე აკრძალვებსა და შეზღუდვებს

დაქვემდებარებულ საქონელზე შესაბამისი ნებართვის/სერტიფიკატის წარდგენა, საფოსტო გზავნილი, ამ პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა, გადამზიდავის წერილობითი განცხადების საფუძველზე გადაეცემა საბაჟო ორგანოს, რომელიც ახორციელებს საქონლის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემას ან განადგურებას.[259]

აქვე ავღნიშნავდით, რომ საქართველო 1999 წლიდან მიერთებულია მსოფლიო საფოსტო კონვენციას, რომელიც სეულის კონვენციის სახელითაა ცნობილი და გარკვეულ ვალდებულებებსაც უწესებს საქართველოს სახელმწიფოს საფოსტო გზავნილების საერთაშორისო გადაზიდვებისას[260].

• ვ) ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაცია[261];

ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციის გამოყენება და შევსება. *ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაცია (დანართი №8-IX-01) გამოიყენება სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტოს) სტრუქტურული ერთეულების სარეგისტრაციო სამსახურების განთავსების ადგილებში არსებულ საბაჟო კონტროლის ზონებში სეს ესნ-ის 8429, 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ3-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელების და ნახევრადმისაბმელების (შემდგომში – ავტოსატრანსპორტო საშუალებები) თავისუფალ*

---

[259] საფოსტო გზავნილების გადაზიდვისა და ასევე დანართებისა და საფოსტო გზავნილების ნუსხების შესახებ სრული სახით იხ. ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ", დანართი №8.

[260] საფოსტო გზავნილის დეკლარაციის CN23- ის და CN2-ის (ექსპორტის დროს) შევსების წესები მოცემულია: ია ხარაზი, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2010; ასევე, ხარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2019, ლექციების კურსი, https://www.sou.edu.ge; ასევე იხ. 1964 წლის სეულის მსოფლიო საფოსტო კონვენცია, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1208332?publication=0.

[261] ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ", დანართი №8, თავი IX „ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაცია".

მიმოქცევაში გაშვების, მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების, ექსპორტის, საბაჟო სწყობის ან დროებით შემოტანის პროცედურებში, ასევე რეექსპორტში დეკლარირებისას, აგრეთვე საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ექსპორტის პროცედურით გატანიდან 60 კალენდარული დღის განმავლობაში იმავე მდგომარეობაში დაბრუნებისას, როგორშიც იყო საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას.

ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციის მიზნებისათვის ტერმინები „საჭონელი“ ან „ავტოსატრანსპორტო საშუალება“ გამოიყენება შემდეგი მნიშვნელობით – სეს ესხ-ის 8429, 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალება (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ3-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელი და ნახევრადმისაბმელი.

რეექსპორტის დეკლარაცია შესაძლებელია შეივსოს ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციის ფორმით და მასზე ვრცელდება საკომენტარო თავი IX -ით „ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაცია“ დადგენილი წესი.

ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციით გაცხადებული საჭონლის მიმართ საბაჟო კონტროლი ხორციელდება მწვანე ან ყვითელი დერეფნის გამოყენებით.

ელექტრონული სისტემის გამოყენებით შევსებული (მათ შორის, დეკლარაციაზე დეკლარანტის ან მისი წარმომადგენლის ელექტრონულად ხელის მოწერით) და სააგენტოს მიერ ელექტრონულად მიწოდებული ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციის ყველა გრაფის დადგენილი წესით შევსების შემთხვევაში, საბაჟო ორგანოს მიერ დეკლარაციას ავტომატურად ენიჭება ნომერი, რაც ნიშნავს დეკლარირების დასრულებას და საჭონლის გაშვებას მწვანე დერეფნის გამოყენებით – დოკუმენტების შემოწმებისა და საჭონლის დათვალიერების გარეშე. ამასთან, ექსპორტში, გარე გადამუშავებაში, რეექსპორტში ან ტრანზიტში დეკლარირებული საჭონლის გაშვება არ გამორიცხავს, შესაბამისი ინფორმაციის მიღებისას ან/და ახლად აღმოჩენილი გარემოებ(ებ)ის გამო, დანიშნულების საბაჟო გამშვებ პუნქტში საჭონლის განმეორებითი, დამატებითი და მიზანმიმართული დათვალიერების ჩატარებას ან/და საბაჟო კონტროლის სხვა ღონისძიებ(ებ)ის განხორციელებას.

ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციის წარდგენა.[262]

ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციის წარდგენა ხდება 60 კალენდარულ დღეში (სეს ესნ-ის 8429 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე – 30 კალენდარულ დღეში)[263], რომელიც აითვლება:

- *ა) თავისი სვლით გადაადგილებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, მისაბმელზე და ნახევრადმისაბმელზე – მსს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის თარიღიდან;*
- *ბ) სხვა სატრანსპორტო საშუალებით გადაზიდულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე – საბაჟო გამშვები პუნქტის მიერ გაცემული მოწმობის „D" ნომრის გასწვრივ მითითებული შევსების თარიღიდან.*

ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე (გარდა 8429 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებებისა) დეკლარირების ვადის გაგრძელება შესაძლებელია საკომენტარო ინსტრუქციის მე-2 მუხლის (საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის განსაზღვრის ვადა) მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, კერძოდ:

მე-5 პუნქტის თანახმად: „სეს ესნ-ის 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ3-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელის და ნახევრადმისაბმელის, დეკლარირების ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადის გაგრძელება შესაძლებელია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით გათვალისწინებული საფასურის გადახდით, არა უმეტეს 30 კალენდარული დღით, ხოლო მე-6 პუნქტით

---

[262] ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ", დანართი №8, მ. 33.

[263] საქონლის სასაქონლო პოზიციების შესახებ იხ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის #275 ბრძანება „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე,
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3

გათვალისწინებულ შემთხვევაში: სეს ესნ-ის 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ3-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელის და ნახევრადმისაბმელის საბაჟო საწყობში დროებით შენახვის შემთხვევაში ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ, დეკლარირების 60-დღიან ვადას ემატება დროებით შენახვის (ფაქტობრივი) ვადა"[264].

ერთი საბაჟო დეკლარაციით შეიძლება გაცხადდეს ერთი ავტოსატრანსპორტო საშუალება, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

საბაჟო საწყობის პროცედურაში ერთი ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციით შეიძლება გაცხადდეს ერთი სასაქონლო პარტია – ერთი ან რამდენიმე ავტოსატრანსპორტო საშუალება, გაგზავნილი ერთი მიმღების მისამართით, ერთი სახეობის ტრანსპორტით, წარდგენილი გაფორმებისათვის ერთდროულად ერთი და იმავე საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით, მიუხედავად სატრანსპორტო საშუალებებისა და გადაზიდვის დამადასტურებელი დოკუმენტების რაოდენობისა. იმ შემთხვევაში, როდესაც სასაქონლო პარტიაში მოთავსებულია ერთზე მეტი დასახელების საქონელი, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მონაცემები (მანქანის მარკა, მოდელი, VIN კოდი, შასის ნომერი, გამოშვების წელი, ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციის №) მიეთითება ცალკე ფურცელზე, რომელიც თან დაერთვის დეკლარაციას.

ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციას ავსებს დეკლარანტი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დეკლარანტი შესაბამისი თხოვნით მიმართავს სააგენტოს.

ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაცია ივსება ელექტრონული სისტემის გამოყენებით და სააგენტოს მიერ ელექტრონულად მიეწოდება გაფორმების საბაჟო ორგანოს.

---

[264] სეს ესნ-ის კოდების შესახებ იხ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის ბრძანება №275 წლის „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე" დანართი #1,
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3

ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციის ყველა გრაფის დადგენილი წესით შევსების შემთხვევაში, საბაჟო ორგანოს მიერ, მონაცემთა დამუშავებისა და გადაცემის ელექტრონული სისტემის გამოყენებით, დეკლარაციას ავტომატურად ენიჭება ნომერი, რაც ნიშნავს დეკლარირების დასრულებას და საქონლის გაშვებას დოკუმენტების შემოწმებისა და საქონლის დათვალიერების გარეშე.

დასრულებული ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაცია ამოიბეჭდება, მოწმდება სააგენტოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით და ნაწილდება შემდეგნაირად:

- *ა) თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების, მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების, საბაჟო საწყობის ან დროებით შემოტანის პროცედურის დროს – 1 ეგზემპლარად, რომელიც გადაეცემა დეკლარანტს;*
- *ბ) ექსპორტის პროცედურის ან რეექსპორტის დროს – 2 ეგზემპლარად და გადაეცემა დეკლარანტს, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ავტოსატრანსპორტო საშუალების საქართველოს ტერიტორიიდან გატანისას რჩება საბაჟო გამშვებ პუნქტში.*

TIR-წიგნაკით გადაადგილებული სატრანსპორტო საშუალების მეშვეობით შემოტანილი ავტოსატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში ამოიბეჭდება დასრულებული ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციის დამატებითი ეგზემპლარი, რომელიც გადაეცემა ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლს.

დასრულებული ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაცია სააგენტოში ინახება ელექტრონული დოკუმენტის სახით და ელექტრონული ფორმით მიეწოდება საბაჟო ორგანოს.

საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის ნიშნების არსებობისას ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციას ნომერი არ მიენიჭება, არ ამოიბეჭდება და საქონელი ექვემდებარება გაფორმებას ყვითელი დერეფნის გამოყენებით. დეკლარაციის შემოწმების პროცედურები ხორციელდება ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული „საბაჟო კონტროლის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №2) მე-2 თავის შესაბამისად. თუ დეკლარაციის შემოწმების შედეგად გამოვლინდა საბაჟო სამართალდარღვევა, საქონელი გაიშვება სამართალდარღვევის ოქმის შედგენისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების შემდეგ.

ავტოსატრანსპორტო საბაჟო დეკლარაციის შევსების წესები იხ. საკომენტარო ინსტრუქციის 34-ე მუხლში.

„საბაჟო კონტროლის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი #2) თავი II „საბაჟო დეკლარაციისა და რეექსპორტის დეკლარაციის შემოწმება“ -ში

საუბარია: „დეკლარირებული საქონლის მიმართ საბაჟო კონტროლის განხორციელება“-ზე (მ.5.); მუხლი 6. „საბაჟო დეკლარაციის და რექსპორტის დეკლარაციის შემოწმება“); მუხლი 7. – „საბაჟო დეკლარაციის და რექსპორტის დეკლარაციის შევსების სისწორის შემოწმება“; მუხლი 8. „სეს ესნის კოდის განსაზღვრის პირველადი (დოკუმენტური) შემოწმება“; და ა.შ.

საბაჟო კონტროლის შესახებ ინსტრუქციის შესაბამისი თავის კომენტარი ვრცლად იქნა შემოთავაზებული საბაჟო სამართლის პირველ ნაწილში და ამიტომ ამ საკითხებს ამ შემთხვევაში ალარ შევეხებით[265].

[265] იხ. ია ხარაზი, საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021.

ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაცია

1. იმპორტიორი/ექსპორტიორი				N00000/00000			
				ოპერაცია R			
2. წარმომადგენელი				9. წინმსწრები დოკუმენტი			
3. გამომგზავნი ქვეყანა/დანიშნულების ქვეყანა				10. სატრანზიტო ნომერი			
4. VIN კოდი							
შასის ნომერი							
5	საქონლის აღწერა						
5.1	5.2	5.3		11.	გადასახდელების გაანგარიშება		
საქონლის კოდი სეს ესნ-ის შესაბამისად	ძრავის მოცულობა	მანქანის მარკა მოდელი			11.1	იმპორტის გადასახადი	
		გამოშვების წელი		დარიცხვა ლარი	11.2	აქციზი	
					11.3	დღგ	
6. შევსების თარიღი					11.4	სულ დაერიცხა	
7. საბაჟო ღირებულება (ლარი)							

8. ხელმოწერა ----------		12	დანიშნულების საბაჟო გამშვები პუნქტი/საბაჟო საწყობი/შენახვის სხვა ადგილი და ვადა	
D			12.1	საბაჟო გამშვები პუნქტის/საბაჟო საწყობის/შენახვის სხვა ადგილის კოდი
				საბაჟო გამშვებ პუნქტში ან დროებით შენახვის ადგილზე საქონლის მიტანის საბოლოო თარიღი
				საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონლის შენახვის ვადის ამოწურვის თარიღი

მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

ექსპორტის პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებული სატრანსპორტო საშუალების საბაჟო გამშვებ პუნქტში ან დროებით შენახვის ადგილზე მიტანის (გამოცხადების) ვალდებულება ეკისრება დეკლარანტს ან/და მის წარმომადგენელს.

ამ დეკლარაციის 12.2 გრაფაში მითითებული ვადის დარღვევა წარმოადგენს საბაჟო სამართალდარღვევას, რომლისთვისაც შესაბამისი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია საქართველოს საბაჟო კოდექსით. ამავე კოდექსის 163-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სამართალდამრღვევი პირი ერთზე მეტია, მათ ამ კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა სოლიდარულად ეკისრებათ.

- ზ) ფარმაცევტული პროდუქტის საბაჟო დეკლარაცია;

ფარმაცევტული პროდუქტის საბაჟო დეკლარაციით (დანართი №8-X-01) შესაძლებელია გაფორმდეს სეს ესნ-ის 3004 სასაქონლო პოზიციით კლასიფიცირებული, იმპორტის გადასახდელისაგან გათავისუფლებული პროდუქტი თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში დეკლარირებისას, თუ არ არსებობს საბაჟო დეკლარაციით განხორციელებული წინმსწრები საბაჟო პროცედურა. ერთი ფარმაცევტული პროდუქტის საბაჟო

დეკლარაციით შესაძლებელია გაცხადდეს ერთი სასაქონლო პარტია – ერთი ან რამდენიმე დასახელების, ერთი და იმავე დანიშნულების (მიზნობრიობის) მქონე პროდუქტი, გაგზავნილი ერთი გამგზავნის მიერ ერთი მიმღების მისამართით, ერთი სახეობის ტრანსპორტით, წარდგენილი საბაჟო პროცედურისათვის ერთდროულად, ერთი და იმავე საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით.

საბაჟო პროცედურის განსაზღვრისას შესაბამისი დოკუმენტები წარედგინება ელექტრონულად, „საქონლის გაფორმებისათვის წარდგენილი დოკუმენტების შესახებ განაცხადთან“ (დანართი №8-III-02) ერთად, ხოლო დოკუმენტები მატერიალური სახით ინახება დეკლარანტთან. ამასთან, ლიცენზიები, ნებართვები, სერტიფიკატები, გარანტიები და შეღავათების დამადასტურებელი დოკუმენტები ინახება ორიგინალის სახით, ხოლო სხვა დოკუმენტების შენახვა შესაძლებელია როგორც დედნის, ასევე დეკლარანტის მიერ ხელმოწერითა და ბეჭდით (არსებობის შემთხვევაში) დამოწმებული ასლის სახით. როცა ტექნიკურად შეუძლებელია სარკინიგზო ზედნადების ელექტრონული ფორმით წარდგენა, მის ნაცვლად ელექტრონულად წარედგინება „სარკინიგზო ზედნადების მონაცემების შესახებ განაცხადი“ (დანართი №8-III-03), ხოლო სარკინიგზო ზედნადები მატერიალური სახით ინახება დეკლარანტთან. ფარმაცევტული პროდუქტის საბაჟო დეკლარაცია, რომელსაც თან ერთვის „საქონლის გაფორმებისათვის წარდგენილი დოკუმენტების შესახებ განაცხადი“ ივსება და რეგისტრირდება „Oracle“-ში, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის (www.rs.ge) საშუალებით[266].

გაფორმების საბაჟო ორგანო ახორციელებს რეგისტრირებული დეკლარაციის დამუშავებას „Oracle“-ში საშუალებით და პროდუქტის გაშვებას შესაბამისი დერეფნის გამოყენებით.

რაც შეეხება ფარმაცევტული პროდუქტის საბაჟო დეკლარაციის შევსებას იხ. „პროდუქტის საბაჟო დეკლარაციის შევსება“, ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“, დანართი №8,

- თ) ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ნაერთი საბაჟო დეკლარაცია[267];

---

[266] დანართების შესახებ იხ. ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“.

[267] ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“, თავი XI „ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ნაერთი საბაჟო დეკლარაცია“.

„ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ნაერთი საბაჟო დეკლარაციით“ (დანართი №8-XI-01) შესაძლებელია გაფორმდეს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში წინასწარ (საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე) დეკლარირებული, ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი.

ერთი „ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ნაერთი საბაჟო დეკლარაციით“ შესაძლებელია გაცხადდეს ერთი სასაქონლო პარტია – ერთი ან რამდენიმე დასახელების საქონელი, გაგზავნილი ერთი გამგზავნის მიერ ერთი მიმღების მისამართით, ერთი სატრანსპორტით, წარდგენილი საბაჟო პროცედურისათვის ერთდროულად, ერთი და იმავე საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით.

„ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ნაერთი საბაჟო დეკლარაცია“ შედგება განყოფილებებისაგან, რომელთაგან:

- ა) პირველი განყოფილება შეიცავს საქონლის გაფორმებისათვის აუცილებელ მონაცემებს;
- ბ) მე-2 განყოფილება წარმოადგენს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ №2 დანართით გათვალისწინებულ „საერთო ფიტოსანიტარიული შესვლის დოკუმენტს“;
- გ) მე-3 განყოფილება წარმოადგენს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ №2 დანართით გათვალისწინებულ „საერთო ვეტერინარული შესვლის დოკუმენტს“[268].

„ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ნაერთი საბაჟო დეკლარაციის“ პირველი განყოფილების შევსებამდე ივსება დეკლარაციის მე-2 განყოფილების ნაწილი 1 –„მონაცემები ტვირთის შესახებ“.

„ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ნაერთი საბაჟო დეკლარაციით“ ასევე შესაძლებელია ფიტოსანიტარიულ კონტროლთან ერთად ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის (სეს ესნ-ის 1001, 1002, 1003, 1004, 1005, 1006, 1007 და 1008

---

[268] განყოფილებების შესახებ იხ. ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“, თავი XI „ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ნაერთი საბაჟო დეკლარაცია“.

სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მარცვლოვანები, 1213 00 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში შემავალი ჩალა და 1214 სასაქონლო პოზიციაში შემავალი თივა) გაფორმება. ამასთან, საბაჟო დეკლარაციის პირველი განყოფილების შევსებამდე, თავდაპირველად ივსება დეკლარაციის მე-3 განყოფილების ნაწილი I –„მონაცემები ტვირთის შესახებ", ხოლო შემდეგ დეკლარაციის მე-2 განყოფილების ნაწილი I –„მონაცემები ტვირთის შესახებ"[269].

საბაჟო პროცედურის განსაზღვრისას დოკუმენტები წარედგინება ელექტრონულად, „საქონლის გაფორმებისათვის წარდგენილი დოკუმენტების შესახებ განაცხადთან" (დანართი №8-III-02) ერთად, ხოლო დოკუმენტები მატერიალური სახით ინახება დეკლარანტთან. ამასთან, ლიცენზიები, ნებართვები, სერტიფიკატები, გარანტიები და შეღავათების დამადასტურებელი დოკუმენტები ინახება ორიგინალის სახით, ხოლო სხვა დოკუმენტების შენახვა შესაძლებელია როგორც დედნის, ასევე დეკლარანტის მიერ ხელმოწერითა და ბეჭდით (არსებობის შემთხვევაში) დამოწმებული ასლის სახით. როცა ტექნიკურად შეუძლებელია სარკინიგზო ზედნადების ელექტრონული ფორმით წარდგენა, მის ნაცვლად ელექტრონულად წარედგინება „სარკინიგზო ზედნადების მონაცემების შესახებ განაცხადი" (დანართი №8-III-03), ხოლო სარკინიგზო ზედნადები მატერიალური სახით ინახება დეკლარანტთან.

„ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ნაერთი საბაჟო დეკლარაცია", რომელსაც თან ერთვის „საქონლის გაფორმებისათვის წარდგენილი დოკუმენტების შესახებ განაცხადი", ივსება და რეგისტრირდება „Oracle"-ში, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის(www.rs.ge) საშუალებით.

დეკლარირებული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირი ატარებს ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის პროცედურებს და ავსებს დეკლარაციის მე-2 განყოფილების ნაწილი II („გადაწყვეტილება ტვირთზე"), რის შემდგომაც გაფორმების საბაჟო ორგანო ახორციელებს

---

[269] სასაქონლო ნომენკლატურების შესახებ იხ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის ბრძანება №275 წლის „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე" დანართი #1,
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3

რეგისტრირებული დეკლარაციის დამუშავებას „Oracle“-ის საშუალებით და საქონლის გაშვებას შესაბამისი დერეფნის გამოყენებით.

• ი) ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ნაერთის საბაჟო დეკლარაცია[270];

„ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ნაერთი საბაჟო დეკლარაციით“ (დანართი №8-XII-01) შესაძლებელია გაფორმდეს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში წინასწარ (საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე) დეკლარირებული, ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი (ცოცხალი ცხოველების გარდა).

ერთი „ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ნაერთი საბაჟო დეკლარაციით“ შესაძლებელია გაცხადდეს ერთი სასაქონლო პარტია – ერთი ან რამდენიმე დასახელების საქონელი, გაგზავნილი ერთი გამგზავნის მიერ ერთი მიმღების მისამართით, ერთი სახეობის ტრანსპორტით, წარდგენილი საბაჟო პროცედურისათვის ერთდროულად, ერთი და იმავე საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით.

„ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ნაერთი საბაჟო დეკლარაცია“ შედგება 2 განყოფილებისაგან, რომელთაგან: ა) პირველი განყოფილება შეიცავს საქონლის გაფორმებისათვის აუცილებელ მონაცემებს; ბ) მე-2 განყოფილება წარმოადგენს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ №2 დანართით გათვალისწინებულ „საერთო ვეტერინარული შესვლის დოკუმენტს“[271].

„ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ნაერთი საბაჟო დეკლარაციის“ პირველი განყოფილების შევსებამდე ივსება დეკლარაციის მე-2 განყოფილების ნაწილი I – „მონაცემები ტვირთის შესახებ“. საბაჟო პროცედურის განსაზღვრისას, ამ დანარ-

---

[270] ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“, მ.40.

[271] განყოფილებების შესახებ იხ. ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“.

თის მე-4 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტები წარედგინება ელექტრონულად, „საქონლის გაფორმებისათვის წარდგენილი დოკუმენტების შესახებ განაცხადთან“ (დანართი №8-III-02) ერთად, ხოლო დოკუმენტები მატერიალური სახით ინახება დეკლარანტთან. ამასთან, ლიცენზიები, ნებართვები, სერტიფიკატები, გარანტიები და შეღავათების დამადასტურებელი დოკუმენტები ინახება ორიგინალის სახით, ხოლო სხვა დოკუმენტების შენახვა შესაძლებელია როგორც დედნის, ასევე დეკლარანტის მიერ ხელმოწერითა და ბეჭდით (არსებობის შემთხვევაში) დამოწმებული ასლის სახით. როცა ტექნიკურად შეუძლებელია სარკინიგზო ზედნადების ელექტრონული ფორმით წარდგენა, მის ნაცვლად ელექტრონულად წარედგინება „სარკინიგზო ზედნადების მონაცემების შესახებ განაცხადი“ (დანართი №8-III-03), ხოლო სარკინიგზო ზედნადები მატერიალური სახით ინახება დეკლარანტთან.

„ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ნაერთი საბაჟო დეკლარაცია“, რომელსაც თან ერთვის „საქონლის გაფორმებისათვის წარდგენილი დოკუმენტების შესახებ განაცხადი“, ივსება და რეგისტრირდება „Oracle“-ში, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის (**www.rs.ge**) საშუალებით.

დეკლარირებული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას, საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირი ატარებს ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის პროცედურებს და ავსებს დეკლარაციის მე-2 განყოფილების ნაწილ II-ს („გადაწყვეტილება ტვირთზე“), რის შემდგომაც გაფორმების საბაჟო ორგანო ახორციელებს რეგისტრირებული დეკლარაციის დამუშავებას **„Oracle“-ის** საშუალებით და საქონლის გაშვებას შესაბამისი დერეფნის გამოყენებით.

- კ) ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული ცოცხალი ცხოველების ნაერთი საბაჟო დეკლარაცია.

გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია ივსება საქონლის საბაჟო დეკლარაციის ფორმით, აღნიშნული ინსტრუქციის მე-11 მუხლით[272] გათვალისწინებულ შემთხვევებში და ამავე ინსტრუქციის 24-ე მუხლით[273] განსაზღვრული წესით.

ინსტრუქციის 11-ე მუხლის თანახმად, „გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია შესაძლებელია გამოყენებული იქნეს: (გარდა ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა): (ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით: იმპორტის გადასახდელისაგან გათავისუფლებულ საქონელზე საბაჟო დეკლარაციის წარდგენად ჩაითვლება შემდეგი დოკუმენტების წარდგენა:ა) ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) ოპერაციის ფარგლებში სამხედრო წვრთნების მიზნებისათვის შემოტანილ საქონელზე – ამავე ორგანიზაციის სტანდარტიზაციის სააგენტოს მიერ „ეროვნულ საზღვრებზე გადაადგილების პროცედურებთან დაკავშირებით“ 2005 წლის მოლებული შეთანხმებით განსაზღვრული „ფორმა 302“-ის წარდგენა; ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) ოპერაციის ფარგლებში საგანგებო სიტუაციების შედეგებზე რეაგირებისათვის წვრთნების მიზნებისათვის შემოტანილ საქონელზე – ამავე ორგანიზაციის „კატასტროფებზე რეაგირების ევრო-ატლანტიკური კოორდინაციის ცენტრის სტანდარტული საოპერაციო პროცედურებით“ გათვალისწინებული „საზღვრის კვეთის ფორმების“ წარდგენა; საგანგებო სიტუაციის შედეგებზე რეაგირებისათვის, ან მასთან დაკავშირებული წვრთნების ჩასატარებლად, ან მილსადენსა და ელექტროგადამცემ ბაზებზე ავარიის პრევენციისათვის პროფილაქტიკური და სარემონტო სამუშაოების შესრულების მიზნით შემოტანილი საქონლის შემთხვევაში – საბაჟო გამშვებ პუნქტში წარდგენილი ინფორმაცია საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების შესახებ (ამ მრძანებით დამტკიცებული „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ“ ინსტრუქციით (დანართი №4) დამტკიცებული ფორმით).

---

[272] გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის გამოყენება, რომლის შევსების შესახებაც ზემოთ იყო საუბარი.

[273] გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის შევსება, რომლის შესახებაც ზემოთ არის კომენტარი გაკეთებული.

თუ ინსტრუქციით **„საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“**, სხვა რამ არ არის გათვალისწინებული 11-ე მუხლის პირველი პუნქტით[274] გათვალისწინებულ შემთხვევებში, დამატებითი საბაჟო დეკლარაციის წარდგენა სავალდებულო არ არის.

ინსტრუქციის 24-ე მუხლით განსაზღვრულია გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის შევსების წესი.

ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული ცოცხალი ცხოველების ნაერთი საბაჟო დეკლარაციის გამოყენება. „ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული ცოცხალი ცხოველების ნაერთი საბაჟო დეკლარაციით“ (დანართი №8-XIII-01) შესაძლებელია გაფორმდეს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში წინასწარ (საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე) დეკლარირებული, ვეტერინარულ სასაზღვრო–საკარანტინო კონტროლს დაქვემდებარებული ცოცხალი ცხოველები.

ერთი „ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული ცოცხალი ცხოველების ნაერთი საბაჟო დეკლარაციით“ შესაძლებელია გაცხადდეს ერთი სასაქონლო პარტია – ერთი ან რამდენიმე დასახელების საქონელი, გაგზავნილი ერთი გამგზავნის მიერ ერთი მიმღების მისამართით, ერთი სახეობის ტრანსპორტით, წარდგენილი საბაჟო პროცედურისათვის ერთდროულად, ერთი და იმავე საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით.

„ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული ცოცხალი ცხოველების ნაერთი საბაჟო დეკლარაცია“ შედგება 2 განყოფილებისაგან, რომელთაგან:

- ა) პირველი განყოფილება შეიცავს საქონლის გაფორმებისათვის აუცილებელ მონაცემებს;
- ბ) მე-2 განყოფილება წარმოადგენს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერინარული სასაზღვრო-

[274] საუბარია: გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის გამოყენების წესებზე და, რომლის შესახებაც კომენტარი ზემოთ უკვე იყო წარმოდგენილი.

საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ №10 დანართით გათვალისწინებული „საერთო ვეტერინარული შესვლის დოკუმენტი – ცხოველების“.

„ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული ცოცხალი ცხოველების ნაერთი საბაჟო დეკლარაცია“, რომელსაც თან ერთვის „საქონლის გაფორმებისათვის წარდგენილი დოკუმენტების შესახებ განაცხადი“, ივსება და რეგისტრირდება „Oracle“-ში, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის (www.rs.ge) საშუალებით.

დეკლარირებული ცოცხალი ცხოველების საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოყვანისას, საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირი ატარებს ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის პროცედურებს და ავსებს დეკლარაციის მე-2 განყოფილების ნაწილი II-ს („გადაწყვეტილება ტვირთზე“), რის შემდგომაც გაფორმების საბაჟო ორგანო ახორციელებს რეგისტრირებული დეკლარაციის დამუშავებას „Oracle“-ის საშუალებით და საქონლის გაშვებას შესაბამისი დერეფნის გამოყენებით.

ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული ცოცხალი ცხოველების ნაერთი საბაჟო დეკლარაციის შევსების წესებზე იხ. ინსტრუქციის „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“, მ. 42.

მივუბრუნდეთ სტანდარტულ საბაჟო დეკლარაციას. სტანდარტული საბაჟო დეკლარაცია უნდა შეიცავდეს ყველა მონაცემს, რომლებიც საჭიროა იმ საბაჟო პროცედურის გამოსაყენებლად, რომელშიც ხდება შესაბამისი საქონლის დეკლარირება.

სტანდარტული საბაჟო დეკლარაციის თანმხლები ყველა დოკუმენტი, რომლებიც აუცილებელია იმ საბაჟო პროცედურის გამოსაყენებლად, რომელშიც ხდება შესაბამისი საქონლის დეკლარირება, უნდა ინახებოდეს დეკლარანტთან, ამასთანავე, ხელმისაწვდომი უნდა იყოს საბაჟო ორგანოსთვის სტანდარტული საბაჟო დეკლარაციის წარდგენის მომენტში. სტანდარტული საბაჟო დეკლარაციის მონაცემთა დამუშავების ელექტრონული საშუალებით წარდგენისას ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში არ მოითხოვება სტანდარტული საბაჟო დეკლარაციისთვის იმ დოკუმენტების დართვა, რომლებიც განსაზღვრულია აღნიშნული

საბაჟო პროცედურის გამოყენებისთვის, თუ ისინი ელექტრონული ფორმით იქნა წარდგენილი. ეს დოკუმენტები უნდა ინახებოდეს დეკლარანტთან **3 წლით** საბაჟო ორგანოსთვის მისაღები და ხელმისაწვდომი ნებისმიერი ფორმით[275]. მან მოთხოვნისთანავე უნდა წარუდგინოს ისინი საბაჟო ორგანოს (ნ.2.).

სტანდარტული საბაჟო დეკლარაციის თანმხლები ნებისმიერი დოკუმენტი უნდა წარედგინოს საბაჟო ორგანოს, თუ ამას მოითხოვს საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა ან ეს დოკუმენტი საჭიროა საბაჟო კონტროლის განსახორციელებლად.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით განსაზღვრულ შემთხვევაში პირს, რომელსაც საბაჟო ორგანომ შესაბამისი უფლებამოსილება მიანიჭა, შეუძლია შექმნას სტანდარტული საბაჟო დეკლარაციის თანმხლები დოკუმენტი.

2.4. გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია. დამატებითი საბაჟო დეკლარაცია

გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია. საბაჟო დეკლარაციის ერთ-ერთი სახე გამარტივებული საბაჟო დეკლარაციაა. **საბაჟო კოდექსის 85-ე და ინსტრუქციის „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“** მიხედვით, პირმა საბაჟო ორგანოს თანხმობით საქონელი საბაჟო პროცედურაში შეიძლება მოაქციოს გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის საფუძველზე, რომელიც სრულად არ შეიცავს ზემოთ უკვე განხილული **საბაჟო კოდექსის 84-ე მუხლის პირველი ნაწილით** გათვალისწინებულ მონაცემებს, კერძოდ: **„სტანდარტული საბაჟო დეკლარაცია უნდა შეიცავდეს ყველა მონაცემს, რომლებიც საჭიროა იმ საბაჟო პროცედურის გამოსაყენებლად, რომელშიც ხდება შესაბამისი საქონლის დეკლარირება“** ან რომელსაც სრულად არ ახლავს იმავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დოკუმენტები.

---

[275] საბაჟო კოდექსი, მ. 31.ნ.1.

აღნიშნული დოკუმენტების შესახებ ვრცელი მასალა მოცემული მოცემულ სახელმძღვანელოში, თავი II, 2.3. სტანდარტული საბაჟო დეკლარაცია და მისი თანმხლები დოკუმენტები, ამიტომ მის ვრცელ კომენტარს აქ ალარ შემოგთავაზებთ.

დეკლარანტმა საბაჟო კოდექსის 85-ე მუხლის ზემოთ აღნიშნული პირველი ნაწილით გათვალისწინებული გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია შეიძლება რეგულარულად წარადგინოს საბაჟო ორგანოს თანხმობით, რომელიც გაიცემა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. *ინსტრუქციის „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ", მე-11-ე მუხლი აწესრიგებს „გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის გამოყენების" წესებს.* კერძოდ: გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია შესაძლებელია გამოყენებული იქნეს: *(გარდა იმპორტის გადასახდელისაგან გათავისუფლებულ საქონელზე საბაჟო დეკლარაციის წარდგენად ჩაითვლება შემდეგი დოკუმენტების წარდგენა: ა) ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) ოპერაციის ფარგლებში სამხედრო წვრთნების მიზნებისათვის შემოტანილ საქონელზე – ამავე ორგანიზაციის სტანდარტიზაციის საგენტოს მიერ „ეროვნულ საზღვრებზე გადაადგილების პროცედურებთან დაკავშირებით" 2005 წელს მიღებული შეთანხმებით განსაზღვრული „ფორმა 302"-ის წარდგენა; ბ) ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) ოპერაციის ფარგლებში საგანგებო სიტუაციების შედეგებზე რეაგირებისათვის წვრთნების მიზნებისათვის შემოტანილ საქონელზე – ამავე ორგანიზაციის „კატასტროფებზე რეაგირების ევრო-ატლანტიკური ჯგუფის სტანდარტული საოპერაციო პროცედურებით" გათვალისწინებული „საზღვრის კვეთის ფორმების" წარდგენა; გ) საგანგებო სიტუაციის შედეგებზე რეაგირებისათვის, ან მასთან დაკავშირებული წვრთნების ჩასატარებლად, ან მილსადენსა და ელექტროგადამცემ ხაზებზე ავარიის პრევენციისათვის პროფილაქტიკური და სარემონტო სამუშაოების შესრულების მიზნით შემოტანილი საქონლის შემთხვევაში – საბაჟო გამშვებ პუნქტში წარდგენილი ინფორმაცია საქონლისა და სატრანსპორტო*

საშუალების შესახებ (ამ ბრძანებით დამტკიცებული „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ“ ინსტრუქციით (დანართი №4) დამტკიცებული ფორმით)[276].

- ა) საგანგებო სიტუაციების შედეგებზე რეაგირებისთვის, ან წვრთნების ჩასატარებლად, ან მილსადენსა და ელექტროგადამცემ ხაზებზე ავარიის პრევენციის მიზნით პროფილაქტიკური და სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად განკუთვნილი საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას ან შესაბამისი ტექნიკის სახით საქონლის დროებით შემოტანისას;
- ბ) სხვა ქვეყანაში შექმნილი საგანგებო სიტუაციის შედეგებზე რეაგირების, ან მილსადენსა და ელექტროგადამცემ ხაზებზე ავარიის პრევენციისათვის პროფილაქტიკური და სარემონტო სამუშაოების შესრულების მიზნით საქონლის ან წვრთნების ჩატარების მიზნით ტექნიკის სახით საქონლის ექსპორტისას;
- გ) საგანგებო მდგომარეობის მოქმედების დროს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების, დროებით შემოტანის, ექსპორტის საბაჟო პროცედურების გამოყენებისას;
- დ) თავისუფალ ზონაში მოთავსების მიზნით საქართველოს საქონლის ექსპორტის პროცედურის გამოყენებისას და უცხოური საქონლის თავისუფალ ზონაში გადატანისას[277].

თუ საკომენტარი ინსტრუქციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, აღნიშნული 11-ე მუხლის („**გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის გამოყენება**“) პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დამატებითი საბაჟო დეკლარაციის წარდგენა სავალდებულო არ არის.

ინსტრუქციის „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“, 24-ე მუხლში მოცემულია გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის შევსების წესები, რომლის მიხედვით:

---

[276] იხ. ინსტრუქციის „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“, მ.3.ა.3.

[277] ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“, მ. 11. ა.1.

1. გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის გამოყენების დროს ივსება: A, 1, 2, 8, 11, 12, 14, 15, 15ა, 17, 17ა, 18, 21, 22, 29, 31, 47, 49, 54 გრაფები. ამასთან:

• ა) თავისუფალ ზონაში საქონლის შეტანისას (გარდა ამ პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) დამატებით ივსება 13, 33, 35 და 38 გრაფები;

• ბ) თავისუფალი ზონის პროცედურაში საქონლის წინასწარ დეკლარირებისას დამატებით ივსება 13, 30, 33, 35, 38, 53 და D გრაფები;

• გ) უცხოური საქონლის (რომელიც მოქცეული იყო სხვა საბაჟო პროცედურაში) თავისუფალ ზონაში გადატანის დროს დამატებით ივსება 13, 33, 35, 37, 38 და მე-40 გრაფები.

1[1]. გრაფა 13 „მომსახურების საფასური" – ივსება მხოლოდ ამ პუნქტში მითითებულ შემთხვევებში და აღინიშნება:

• ა) ციფრი „0" – მომსახურების გაწევისათვის დადგენილი საფასურის გადახდისაგან გათავისუფლებისას, გარდა ამ პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

• ბ) ციფრი „1" – საქონლის (სასაქონლო პარტიათა ნაკრებით გადაადგილებული საქონლის გარდა) წინასწარი დეკლარირებისას, გარდა ამ პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

• გ) ციფრი „5" – როდესაც თავისუფალი ზონის პროცედურისათვის განკუთვნილი საქონლის წარდგენა ხორციელდება საბაჟო ორგანოში და დეკლარაციას ავსებს და არეგისტრირებს დეკლარანტი ან საბაჟო პროცედურისათვის საჭირო დოკუმენტები წარედგინება თავისუფალი ზონის საბაჟო გამშვებ პუნქტს;

• დ) ციფრი „6" – საქონლის (სასაქონლო პარტიათა ნაკრებით გადაადგილებული საქონლის გარდა) წინასწარი დეკლარირებისას, როდესაც საქონლის გაფორმება გათავისუფლებულია მომსახურების გაწევისათვის დადგენილი საფასურის გადახდისაგან.

1[2]. გრაფა 53. „დანიშნულების საბაჟო" – ივსება თავისუფალი ზონის პროცედურაში წინასწარ დეკლარირებული საქონლის შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული საქონლისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო კონტროლის ზონამდე გადაადგილება, აღრიცხვა და კონტროლი ხორციელდება საქონლის საბაჟო დეკლარაციით, გრაფაში მითითება დანიშნულების საბაჟო ორგანოს კოდი კლასიფიკატორის მე-2 ნაწილის მიხედვით.

1[3]. გრაფა D – „კონტროლი დანიშნულების საბაჟოზე" – გრაფა ივსება თავისუფალი ზონის პროცედურაში წინასწარ დეკლარირებულ საქონელზე, როდესაც აღნიშნული საქონლისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების

საბაჟო კონტროლის ზონამდე გადაადგილება, აღრიცხვა და კონტროლი ხორციელდება საქონლის საბაჟო დეკლარაციით. გრაფის განყოფილებაში „ვადა“ – გამგზავნი საბაჟო ორგანოს მიერ მითითება დანიშნულების საბაჟო ორგანოში გამოცხადების თარიღი, რომელიც ამოირჩევა სისტემაში ინტეგრირებული კალენდრიდან. თუ გამოცხადების ვადა აღემატება ერთ დღეს, გამოცხადების დროდ ჩაითვლება გამოცხადების დღის 24.00 საათი, თუ გამოცხადების ვადა არ აღემატება ერთ დღეს – მითითება გამოცხადების ზუსტი დრო.

1¹. თავისუფალი ზონის პროცედურაში წინასწარ დეკლარირებული საქონლის შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული საქონლისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო კონტროლის ზონამდე გადაადგილება, აღრიცხვა და კონტროლი ხორციელდება საქონლის საბაჟო დეკლარაციით, „თანმხლები დოკუმენტების“ გვერდზე არსებულ ველებში შეიტანება საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვისა და კონტროლისათვის საჭირო ინფორმაცია და სათანადო ციფრული კოდები კლასიფიკატორის (დანართი №19) მე-10 ნაწილის შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გრაფები ივსება შესაბამის საბაჟო პროცედურის განხორციელებისას წარსადგენი საქონლის საბაჟო დეკლარაციის გრაფების შევსების წესის შესაბამისად, ხოლო თავისუფალი ზონის პროცედურის განხორციელებისას (გარდა მე-13, 53-ე და „D“ გრაფებისა) – თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურის საქონლის საბაჟო დეკლარაციის შევსების წესის შესაბამისად.

3. საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი ავსებს B გრაფას.

4. გრაფა „B“ – აღინიშნება შეფასების A ნომერი. შეფასების ნომერთან ერთად საბაჟო დეკლარაციას ავტომატურად ენიჭება შტრიხ-კოდი.

5. გრაფების: 9, 16, 19, 20, 23, 24, 26, 27, 28, 34ა, 34ბ, 36, 39, 42, 43, 46 შევსება სავალდებულო არ არის და ივსება დეკლარანტის სურვილის შემთხვევაში, თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საქონლის საბაჟო დეკლარაციის შევსების წესის შესაბამისად“.

დანართი №8-II-05

საბაჟო ღირებულების გამარტივებული დეკლარაცია

ტვირთის მიმღების დასახელება	ა/მ სახელმწიფო ნომერი

საიდენტიფიკაციო ნომერი	გადამზიდავი ორგანიზაცია

ნასყიდობის დოკუმენტის ნომერი*	საქონლის დასახელება/აღწერა**	წონა		დამატ.ზომის ერთეული მეტრი/კვ. მეტრი***	გადახდილი/ გადასახდელი თანხა	ვალუტა
		ბრუტო	ნეტო			

	სულ:			სულ:		

	თანხა	ვალუტა
სხვა ხარჯი		
ტრანსპორტირების ხარჯი		

დამატებითი ინფორმაცია:****

შენიშვნა:

* გრაფა ივსება თითოეული ნასყიდობის დოკუმენტის მიხედვით

** გრაფაში დეტალურად მიეთითება საქონლის აღწერილობითი ნაწილი, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს სეს ესნ-ის კოდის განსაზღვრაზე

*** გრაფაში მიეთითება დამატებითი ზომის ერთეული სეს ესნ-ის მოთხოვნიდან გამომდინარე

**** მიეთითება სხვა ხარჯები, რომელიც უნდა შევიდეს საბაჟო ღირებულებაში. შევსება სავალდებულო არ არის სასაქონლო პარტიათა ნაკრებით გადაადგილებული საქონლის შემთხვევაში

დეკლარაციაში ასახული მონაცემების სისწორეს ვადასტურებ

დეკლარანტი

თარიღი:

დამატებითი საბაჟო დეკლარაცია. გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის წარდგენის[278] ან **საბაჟო კოდექსის 94-ე** მუხლის შესაბამისად *(საუბარია „დეკლარანტის ჩანაწერებში მონაცემების ასახვა“-ზე)*

[278] იხ. საბაჟო კოდექსი, მ.85.

საბაჟო დეკლარაციის დეკლარანტის ჩანაწერებში მონაცემების ასახვის ფორმით წარდგენის შემთხვევაში დეკლარანტმა საბაჟო ორგანოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 57-ე ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში უნდა წარუდგინოს დამატებითი საბაჟო დეკლარაცია, რომელიც შეიცავს შესაბამისი საბაჟო პროცედურის გამოყენებისთვის აუცილებელ ყველა მონაცემს.

ზოგადად, საბაჟო დეკლარაციას ავსებს დეკლარანტი, ხოლო საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საბაჟო ორგანო[279].

საქონლის საბაჟო დეკლარაციის ძირითადი ფურცლით შეიძლება გაცხადდეს ცნობები მხოლოდ ერთი დასახელების, სახეობისა და მარკის საქონელზე, რომელიც სეს ესნ-ში კლასიფიცირდება ერთი თერთმეტნიშნა კოდით და წარმოშობილია ერთ ქვეყანაში.

საქონლის საბაჟო დეკლარაციის ერთ დამატებით ფურცელში შეიძლება გაცხადდეს ცნობები სამი დასახელების, სახეობის და მარკის საქონელზე, რომელთაგან თითოეული მათგანი წარმოშობილია ერთ ქვეყანაში და სეს ესნ-ში კლასიფიცირდება ერთი თერთმეტნიშნა კოდით. დაუშვებელია, ერთ საქონლის საბაჟო დეკლარაციაში გაცხადდეს ერთზე მეტი ერთი და იმავე თერთმეტნიშნა კოდის და ერთი და იგივე წარმოშობის ქვეყნის საქონელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი საქონლის ნაწილზე წარმოდგენილია საქონლის შეღავათიანი (პრეფერენციული) წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან როდესაც საქონლის დეკლარირება ხორციელდება „ოქროს სიის" მონაწილის მიერ პერიოდული საქონლის საბაჟო დეკლარაციის გამოყენებით. საქონლის საბაჟო დეკლარაციის დამატებითი ფურცლის გრაფების შევსების წესი იგივეა, რაც ძირითადი ფურცლის შესაბამისი გრაფებისა.

სასაქონლო პარტიის ერთ საქონლის საბაჟო დეკლარაციაში დეკლარირებისას მის ძირითად ფურცელს შეიძლება დაერთოს **არა უმეტეს 33 დამატებითი ფურცლისა** და ერთი საქონლის საბაჟო დეკლარაციით შეიძლება გაცხადდეს **არა უმეტეს 100 დასახელების**

---

[279] საბაჟო დეკლარაციის შევსების წესებზე (როგორც დეკლარანტის, ასევე საბაჟო ორგანოს მიერ) ვრცელი საუბარი ზემოთ უკვე გვქონდა.

საქონელი. იმ შემთხვევაში, თუ სასაქონლო პარტია შედგება 100-ზე მეტი დასახელების საქონლისაგან, მაშინ 100-ის შემდეგ პარტიაში შემავალ ყოველ მომდევნო 100 დასახელებამდე საქონელზე ივსება ახალი საქონლის საბაჟო დეკლარაცია.

დასაშვებია საქონლის საბაჟო დეკლარაციის უკანა გვერდის გამოყენება სხვადასხვა მაკონტროლებელი ორგანოების აღნიშვნებისა და დამღებისათვის[280].

გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის[281] წარდგენის შემთხვევაში ამ დეკლარაციის თანმხლები ყველა დოკუმენტი უნდა ინახებოდეს დეკლარანტთან, ამასთანავე, ხელმისაწვდომი უნდა იყოს საბაჟო ორგანოსთვის საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით განსაზღვრული ვადის განმავლობაში.

რა შემთხვევაში არ მოითხოვება დამატებითი საბაჟო დეკლარაციის წარდგენა? დამატებითი საბაჟო დეკლარაციის წარდგენა არ მოითხოვება:

- ა) თუ საქონელი საბაჟო საწყობის პროცედურაში მოექცა;

საბაჟო საწყობის პროცედურაში საქონლის დეკლარირება ხორციელდება: საქონლის საბაჟო დეკლარაციის წარდგენით; სუპარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) სტრუქტურული ერთეულების სარეგისტრაციო სამსახურებში განთავსებულ გაფორმების ადგილებში – ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციის წარდგენით – საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ერთიანური სასაქონლო ნომენკლატურის (შემდგომში – სეს ესნ) 8429, 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებზე (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ³-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებულ მისაბმელებზე და ნახევრადმისაბმელებზე[282].

---

[280] ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“, მ. 13. პ.4-9.

[281] საბაჟო კოდექსი, მ.85.

[282] ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბაჟო საწყობის პროცედურის შესახებ “ (დანართი №9).

სეს ესნ-ის 8429, 8701, 8702, 8703, 8704, 8705, 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალება (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ³-ზე მეტი, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) და 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელი და ნახევრადმისაბმელი, საბაჟო საწყობის საბაჟო დეკლარაციის წარდგენამდე, საექსპერტო შემოწმებისათვის უნდა წარედგინოს საგენტოს, რომელიც ადგენს „მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერების აქტს (ფორმა 2)[283].

- ბ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში.

იხ. ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ" (დანართი №8).

საბაჟო ორგანომ შეიძლება არ მოითხოვოს დამატებითი საბაჟო დეკლარაციის წარდგენა, თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

- ა) გამარტივებული საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებული საქონლის ოდენობა და ღირებულება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დადგენილ მინიმალურ ზღვრებზე ნაკლებია;
- ბ) გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია უკვე შეიცავს შესაბამისი საბაჟო პროცედურის გამოსაყენებლად საჭირო ყველა ინფორმაციას;
- გ) გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია დეკლარანტის ჩანაწერებში მონაცემების ასახვის ფორმით არ არის წარდგენილი.
- საბაჟო კოდექსის 86-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებისას უნდა მივმართოთ საბაჟო კოდექსის 85-ე, 89-ე და 94-ე მუხლებს.

გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია[284] ან/და დეკლარანტის ჩანაწერებში მონაცემების ასახვის ფორმით[285] წარდგენილი საბაჟო დეკლარაცია და დამატებითი საბაჟო დეკლარაცია მიიჩნევა ერთიან,

---

[283] „მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერების აქტს (ფორმა 2)-ის შესახებ საუბარი იქნება შესაბამის პარაგრაფში მოგვიანებით.

[284] იხ. საბაჟო კოდექსის 85-ე მუხლის კომენტარი.

[285] იხ. საბაჟო კოდექსი, მ.94-ე მუხლის („დეკლარანტის ჩანაწერებში მონაცემების ასახვა") კომენტარი ქვემოთ.

განუყოფელ დოკუმენტად, რომელსაც იურიდიული ძალა ენიჭება გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის თარიღიდან,[286] ხოლო დეკლარანტის ჩანაწერებში მონაცემების ასახვის შემთხვევაში - ამ მონაცემების ასახვის დასრულების დღიდან.

2.5. საბაჟო დეკლარაციის წარდგენა. საბაჟო დეკლარაციის წინასწარ წარდგენა

საბაჟო დეკლარაციის წარდგენა. საქონლის საბაჟო დეკლარაციის წარდგენა და საქონლის დეკლარირება შეიძლება განხორციელდეს: საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანის შემდეგ; წინასწარ (საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე), არაუადრეს 45 კალენდარული დღისა. საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციიდან 45 კალენდარული დღის შემდეგ შემოტანის შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს საქონლის ხელახალი დეკლარირება.

საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთის შემდეგ საქონელზე წარმოიშობა მისი წარდგენისა და გაფორმების ვალდებულება, რომელიც ეკისრება დეკლარანტს/საქონლის მფლობელს. გაფორმების საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენა ხორციელდება საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ფაქტობრივი განთავსებით.

საბაჟო კონტროლის ზონაში ფაქტობრივი წარდგენა არ მოითხოვება: „ოქროს სიის“ მონაწილის ან „საბაჟო გამარტივებისათვის“ ავტორიზაციის მფლობელი ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის კუთვნილი ან საქონლის შემოტანამდე გაფორმების ეკონომიკურ ზონაში საბაჟო ორგანოს მიერ შევსებული საბაჟო დეკლარაციით თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში გაცხადებული იმ საქონლის, რომლის გაშვებაც ხორციელდება საბაჟო

---

[286] იხ. საბაჟო კოდექსის 89-ე მუხლის („საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაცია“) კომენტარი ქვემოთ.

გამშვები პუნქტიდან; **გამარტივებული საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლის შემდეგ შემთხვევებზე:**

- ა) საგანგებო სიტუაციების შედეგებზე რეაგირებისთვის, ან წვრთნების ჩასატარებლად, ან მილსადენსა და ელექტროგადამცემ ხაზებზე ავარიის პრევენციის მიზნით პროფილაქტიკური და სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად განკუთვნილი საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას ან შესაბამისი ტექნიკის სახით საქონლის დროებით შემოტანისას;
- ბ) სხვა ქვეყანაში შექმნილი საგანგებო სიტუაციის შედეგებზე რეაგირების, ან მილსადენსა და ელექტროგადამცემ ხაზებზე ავარიის პრევენციისათვის პროფილაქტიკური და სარემონტო სამუშაოების შესრულების მიზნით საქონლის ან წვრთნების ჩატარების მიზნით ტექნიკის სახით საქონლის ექსპორტისას;
- გ) საგანგებო მდგომარეობის მოქმედების დროს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების, დროებით შემოტანის, ექსპორტის საბაჟო პროცედურების გამოყენებისას;
- დ) თავისუფალ ზონაში მოთავსების მიზნით საქართველოს საქონლის ექსპორტის პროცედურის გამოყენებისას და უცხოური საქონლის თავისუფალ ზონაში გადატანისას[287].

თუ საკომენტარი ინსტრუქციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, აღნიშნული 11-ე მუხლის („**გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის გამოყენება**“) პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დამატებითი საბაჟო დეკლარაციის წარდგენა სავალდებულო არ არის.

იმ შემთხვევაში კი, როდესაც **საბაჟო კონტროლის ზონაში საქონლის წარდგენა შეუძლებელია მისი დემონტაჟის ან/და წარმოების უწყვეტი ციკლის შეფერხების გარეშე** ან/და მისი დათვალიერება საბაჟო ორგანოს თანხმობით ხორციელდება მასთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე:

- დროებითი შემოტანილი საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროდერაში მოქცევისა;

---

[287] ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“, მ. 11. პ.1.

• მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში შემოტანილი საქონლის მიზნობრივი გამოყენების სტატუსის გაუქმების შემდეგ იმპორტის გადასახდელის გადახდისა და შესაბამის საბაჟო პროცედურაში მოქცევისას.

საქონლის დეკლარირება შესაძლებელია: საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის წარდგენით: ელექტრონული (მონაცემთა ავტომატიზებული სისტემა **„eCustoms"-ის** (შემდგომში – „eCustoms") ან გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემა **„Oracle"-ს** (შემდგომში – **„Oracle"**) ან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებული ბაზის მეშვეობით); მატერიალური ფორმით (საბაჟო ორგანოს თანხმობით, მონაცემებთა დამუშავების ელექტრონული საშუალებისაგან განხვავებული სხვა საშუალებით); ზეპირად – მხოლოდ მგზავრის შემთხვევაში; საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საშუალებით[288].

საკომენტარო საბაჟო კოდექსის 87-ე მუხლი მიუთითებს 86-ე მუხლის[289] პირველი ნაწილის გათვალისწინებულ შემთხვევაზე, როცა: საბაჟო დეკლარაცია შეიძლება წარადგინოს პირმა, რომელსაც შეუძლია საბაჟო ორგანოსთვის საქონლის წარდგენა და იმ საბაჟო პროცედურის გამოსაყენებლად საჭირო ყველა ინფორმაციის მიწოდება, რომელშიც ხდება საქონლის დეკლარირება. ამასთანავე, საბაჟო დეკლარაცია უნდა წარადგინოს პირმა ან მისმა წარმომადგენელმა, თუ საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაცია კონკრეტული პირის ცალკეულ ვალდებულებებს წარმოშობს.

„დეკლარანტი შეიძლება იყოს საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გამაადგილებელი პირი, რომელიც შეიძლება იყოს საქონლის მესაკუთრე ან/და მფლობელი, ან კიდევ

---

[288] ინსტრუქციის „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ", აღნიშნული მე-3 მუხლის კომენტარი ვრცლად ზემოთ იქნა შემოთავაზებული და ამ შემთხვევაში მის განვრცობას არ შევეცდებით.

[289] დამატებითი საბაჟო დეკლარაცია, რომლის კომენტარიც 2.4. პარაგრაფში იქნა შემოთავაზებული.

უფლებამოსილი პირის წარმომადგენელი[290]*, რომელსაც: საქონლის ტრანზიტის ოპერაციაში ან საქონლის დროებითი შეტანის ოპერაციით შემოაქვს საქონელი და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით განსაზღვრულ შემთხვევებში მოქმედებს თავისი სახელით, მაგრამ სხვა პირის დავალებით და ა.შ. ანუ, დეკლარაციის წარდგენის უფლება აქვს პირს, რომელსაც შეუძლია საქონელი წარადგინოს უფლებამოსილ საბაჟო ორგანოში. დეკლარანტი და პირი, რომლის მაგივრადაც ისინი წარმომადგენლობისას წარადგენენ საბაჟო დეკლარაციას, პასუხისმგებელნი არიან დეკლარირებული მონაცემების სისწორეზე, წარმოდგენილი დოკუმენტების ნამდვილობასა და საბაჟო დეკლარაციასთან საქონლის შესაბამისობაზე*[291].

პირის წარმომადგენელს უფლება აქვს შეავსოს საბაჟო დეკლარაცია/რეექსპორტის დეკლარაცია, თუ:

- ა) ამ დეკლარაციის შევსება არ განეკუთვნება საბაჟო ორგანოს ან სხვა პირის უფლებამოსილებას საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად;
- ბ) წარმომადგენელს გააჩნია შემოსავლების სამსახურის შესაბამის სერვერთან მიერთების შესაძლებლობა და აქვს დაშვება „eCustoms "-ში ან/და „Oracle"-ში[292].

დეკლარანტი უნდა იყოს საქართველოში დაფუძნებული პირი, გარდა განსახილველი 87-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რომლის თანახმად, **საქართველოში დაფუძნების ვალდებულების შესრულება არ მოეთხოვება:**

- ა) პირს, რომელიც წარადგენს საქონლის ტრანზიტის ან დროებით შემოტანის პროცედურაში მოქცევის საბაჟო დეკლარაციას[293];
- ბ) პირს, რომელიც საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით არარეგულარულად წარადგენს საბაჟო დეკლარაციას, მათ შორის, შიდა

---

[290] წარმომადგენელი უნდა იყოს რეზიდენტი (გარდა უცხო ქვეყნის მოქალაქის).

[291] ია ხარაზი, საბაჟო სამართალი, 2010, 402-403.

[292] ინსტრუქციის „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ", მ.5.ა.ა.

[293] ტრანზიტისა და დროებითი შემოტანის შესახებ ვრცელი კომენტარი იხ. შესაბამის პარაგრაფში, სპეციალური ოპერაციების დახასიათებისას.

გადამუშავების პროცედურის ან საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებისას[294];

• გ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიის მომიჯნავე უცხო ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე დაფუძნებულ პირს, რომელიც საქონელს წარადგენს უშუალოდ ამ ტერიტორიებს შორის არსებულ საბაჟო გამშვებ პუნქტში, იმ პირობით, რომ, ნაცვალგების პრინციპის გამოყენებით, მსგავსი შეღავათით სარგებლობს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დაფუძნებული პირი.

საბაჟო დეკლარაციის წინასწარ წარდგენა. საბაჟო დეკლარაცია შეიძლება წინასწარ, საბაჟო ორგანოსთვის ამ დეკლარაციით დეკლარირებული საქონლის წარდგენამდე იქნეს წარდგენილი. თუ საბაჟო დეკლარაციის წინასწარ წარდგენის დღიდან 45 დღის განმავლობაში ეს საქონელი საბაჟო ორგანოს არ წარედგინა, მიიჩნევა[295], რომ საბაჟო დეკლარაცია არ იქნა წარდგენილი.

ინსტრუქციის „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“ (დანართი №3) თანახმად, *იმ შემთხვევაში, როდესაც წინასწარ დეკლარირებული და TIR წიგნაკით გადაადგილებული საქონლის (მათ შორის, „ოქროს სიის“ მონაწილის კუთვნილი) გაშვება ხორციელდება საბაჟო გამშვები პუნქტიდან, საბაჟო გამშვები პუნქტი უზრუნველყოფს TIR წიგნაკის მონაცემების შეტანას მოწმობის ელექტრონულ ფორმატში და საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მიეთითება:*

• *ა) TIR წიგნაკის პირველი (თეთრი) და მეორე (მწვანე) მოსაბევი ფურცლების მე-18 გრაფაში – საბაჟო გამშვები პუნქტის დასახელება; მე-19 გრაფაში – ადრე დადებული იდენტიფიკაციის საშუალებების მთლიანობის დადასტურების შემთხვევაში, კვადრატში აღინიშნება სიმბოლო „X“; მე-20 გრაფაში – საბაჟო გამშვები პუნქტიდან საქონლის*

---

[294] საქონლის შიდა გადამუშავებაზე და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებაზე ნაწილობრივ საუბარი იყო საბაჟო სამართლის სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში (ავტ. ხარაზი ი;), ვრცლად კი კომენტარი შემოთავაზებული იქნება მოცემულ სახელმძღვანელოში სპეციალური პროცედურების და საბაჟო დამუშავების ოპერაციებზე საუბრისას.

[295] მოქმედებს საგადასახადო პრეზუმფცია. იხ. ია ხარაზი, „საგადასახადო სამართლებრივ რეგულირებაში პრეზუმპტიული მეთოდების გამოყენების შესახებ“, „დიპლომატია და სამართალი“, #1(4), 2018, გვ. 46-68.

გაშვების თარიღი; 21-ე გრაფის პირველ ნაწილში – საბაჟო გამშვები პუნქტის კოდი ამ ბრძანებით დამტკიცებული „დეკლარირების კლასიფიკატორის" (დანართი №19) (შემდგომში – კლასიფიკატორი) მე-2 ნაწილის შესაბამისად; 21-ე გრაფის მეორე ნაწილში – მონაცემთა დამუშავების ელექტრონულ საშუალების - „eCustoms"-ის მიერ მინიჭებული „D" ნომერი; 22-ე გრაფაში – გაფორმების საბაჟო ორგანოს კოდი; 23-ე გრაფაში დაესმება დამღა – „აყვანილია კონტროლზე", ხოლო დამღაში შესაბამის ადგილზე მიეთითება საბაჟო გამშვებ პუნქტში საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენის (კონტროლზე აყვანის) თარიღი, უფლებამოსილი თანამშრომლის ხელმოწერა და პირადნომრიანი ბეჭედი;

• ბ) TIR წიგნაკის პირველი (თეთრი) ყუის პირველ გრაფაში – საბაჟო გამშვები პუნქტის კოდი კლასიფიკატორის მე-2 ნაწილის შესაბამისად; მე-2 გრაფაში – მონაცემთა დამუშავების ელექტრონული საშუალების-„eCustoms"-ის მიერ მინიჭებული „D" ნომერი; მე-3 გრაფაში – სიმბოლო „---" (ტირე); მე-4 გრაფაში – სიმბოლო „X" ადრე დადებული იდენტიფიკაციის საშუალებების მთლიანობის დადასტურების შემთხვევაში; მე-5 გრაფაში – გაფორმების საბაჟო ორგანოს კოდი; მე-6 გრაფაში დაესმება დამღა – „აყვანილია კონტროლზე", ხოლო დამღაში შესაბამის ადგილზე მიეთითება ამ საბაჟო გამშვებ პუნქტში საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენის (კონტროლზე აყვანის) თარიღი, უფლებამოსილი თანამშრომლის ხელმოწერა და პირადნომრიანი ბეჭედი;

• გ) TIR წიგნაკის მეორე (მწვანე) ფურცლის 24-ე გრაფაში – გაფორმების საბაჟო ორგანოს კოდი; 25-ე გრაფაში – სიმბოლო „X" ადრე დადებული იდენტიფიკაციის საშუალებების მთლიანობის დადასტურების შემთხვევაში; 26-ე გრაფაში – სატვირთო ადგილების რაოდენობა, რომლის მიმართაც დასტურდება TIR გადაზიდვის დასრულება; 27-ე გრაფაში - მონაცემთა დამუშავების ელექტრონული საშუალების - „eCustoms"-ის მიერ მინიჭებული „R" ნომერი; 28-ე გრაფაში დაესმება დამღა „მოხსნილია კონტროლიდან", ხოლო დამღაში შესაბამის ადგილზე მიეთითება იმპორტში გაშვების თარიღი (კონტროლიდან მოხსნის თარიღი), უფლებამოსილი თანამშრომლის ხელმოწერა და პირადნომრიანი ბეჭედი;

• დ) TIR წიგნაკის მეორე (მწვანე) ყუის პირველ გრაფაში – საბაჟო გამშვები პუნქტის კოდი (სადაც დასრულდება TIR-წიგნაკის მოქმედება) კლასიფიკატორის მე-2 ნაწილის შესაბამისად; მე-2 გრაფაში – სიმბოლო „X" ადრე დადებული იდენტიფიკაციის საშუალებების მთლიანობის

დადასტურების შემთხვევაში; მე-3 გრაფაში – სატვირთო ადგილების რაოდენობა, რომლის მიმართაც დასტურდება TIR გადაზიდვის დასრულება; მე-4 გრაფაში – სიმბოლო „---„ (ტირე) ადრე დადებული იდენტიფიკაციის საშუალებების მთლიანობის დადასტურების შემთხვევაში; მე-5 გრაფაში – პროგრამა მონაცემთა დამუშავების ელექტრონული საშუალების - „eCustoms"-ის მიერ მინიჭებული „R" ნომერი; მე-6 გრაფაში დაესმება დამღა „მოხსნილია კონტროლიდან", ხოლო დამღაში შესაბამის ადგილზე მიეთითება საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (კონტროლიდან მოხსნის) თარიღი, საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის ხელმოწერა და პირადნომრიანი ბეჭედი[296].

თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) პროცედურაში საქონლის დეკლარირება შესაძლებელია წინასწარ, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანამდე **არაუადრეს 45 კალენდარული დღისა. დეკლარაციის დასარეგისტრირებლად დოკუმენტების წარდგენა შესაძლებელია:**

- **ელექტრონული ფორმით** - ოფისიდან გაუსვლელად შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის მეშვეობით, გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდიდან განცხადებისა და საქონლის თანმხლები დოკუმენტების ატვირთვით. აღნიშნულ შემთხვევაში გაფორმების საბაჟო ორგანოს თანამშრომელი ახორციელებს საქონლის საბაჟო დეკლარაციის შევსება - რეგისტრაციას და რეგისტრირებულ დეკლარაციას ელექტრონული ფორმით, გადასახადის გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე უგზავნის დეკლარანტს.
- **მატერიალური ფორმით** - გაფორმების ეკონომიკურ ზონაში ან გაფორმების სხვა ადგილას საქონლის თანმხლები დოკუმენტების მატერიალური ფორმით წარდგენით.
- **დეკლარაციის შევსება და ასევე რეგისტრაცია შეუძლია „eGustoms"-ში დაშვების მქონე პირს.**

---

[296] აღნიშნულის შესახებ ვრცლად იხ. ია ხარაზი, საბაჟო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, პირველი ნაწილი, 2021; ასევე, განსახილველ პარაგრაფში.

წინასწარი დეკლარაციის რეგისტრაციის შემდეგ საბაჟო გამშვებ პუნქტს ეცნობება გაფორმების **საბაჟო ორგანოს კოდი და საქონლის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის ნომერი.**

საბაჟო გამშვებ პუნქტში ხორციელდება:

- სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიცირება;
- საქონლის გამომგზავნის იდენტიფიცირება;
- საქონლის მიმღების იდენტიფიცირება;
- ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე იდენტიფიკაციის საშუალებების შემოწმება.

თუ ადგილი არ აქვს საბაჟო კანონმდებლობის დარღვევას, თუ საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციიდან არ გასულა 45 კალენდარული დღე, საბაჟო გამშვები პუნქტი ახორციელებს **eGustoms**"-ის გამოყენებით დეკლარაციის დამუშავებას და საქონელის გაიშვება რისკების მართვის სისტემის მიერ შერჩეული დერეფნის გათვალისწინებით.

- **მწვანე და ლურჯი დერეფნების** შემთხვევაში, საბაჟო გამშვებ პუნქტში სრულდება საქონლის გაფორმება;
- **ყვითელი დერეფნის** შერჩევის შემთხვევაში, საქონლის განთავსება ხორციელდება საბაჟო კონტროლის ზონაში ან საბაჟოსთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე;
- **წითელი დერეფნის შემთხვევაში,** საბაჟო კონტროლის ღონისძიებებისა და გაფორმების შემდგომი პროცედურების განხორციელების მიზნით, საქონლის განთავსება ხორციელდება საბაჟო კონტროლის ზონაში.

თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში წინასწარ დეკლარირებული საქონლის საბაჟო დეკლარაციის დამუშავებისას მასში მითითებული მონაცემების მხოლოდ იმპორტის გადასახდელზე საბაჟო ან/და საგადასახადო ვალდებულების შესრულების რისკის პროფილთან თანხვედრის შემთხვევაში, საბაჟო დეკლარაციისათვის შეფასების ნომრისა და შტრიხკოდის მინიჭება და საქონლის გაშვება შესაძლებელია განხორციელდეს საბაჟო გამშვები პუნქტის მიერ:

- წარდგენილია არანაკლებ კუთვნილი იმპორტის გადასახდელის შესაბამისი თანხის ოდენობის გარანტია ან

- სრულად გადახდილია კუთვნილი იმპორტის გადასახდელის შესაბამისი თანხის ოდენობის გარანტია ან,


- სრულად გადახდილია კუთვნილი იმპორტის გადასახდელი, რაც დეკლარაციის დამუშავებიდან **1 საათის განმავლობაში** დასტურდება იმპორტის გადასახდელის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით, ხოლო სსიპ შემოსავლების სამსახურთან გაფორმებული „შემოსავლების სამსახურის მიერ პირებისათვის გასაწევი მომსახურების გაუმჯობესების მიზნით თანამშრომლობის შესახებ“ მემორანდუმით გათვალისწინებულ საბანკო დაწესებულებაში გადახდის შემთხვევაში - ამ დაწესებულებიდან ელექტრონული ფორმით მიღებული ინფორმაციით ან,

- იმპორტის გადასახდელის ნაწილზე წარდგენილია გარანტია და დანარჩენი ნაწილის გადახდა დასტურდება ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად.

გაფორმების ადგილამდე საქონლის საბაჟო კონტროლის ქვეშ გადაადგილება ხორციელდება, ასევე თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი გარემოება და საქონლის დათვალიერება საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე შეუძლებელია:

- იდენტიფიკაციის საშუალებების მთლიანობა დარღვეულია;
- ავტოსატრანსპორტო საშუალება დაულუქავია (გარდა საყარი ტვირთების, ჯართის, ცოცხალი ცხოველების, მცენარეების, სხვა სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების, აგრეთვე ისეთი მსხვილგაბარიტიანი ტვირთების, რომლებიც არ ექვემდებარება დაშლა/დანაწილებას/გადანაწილებას, გადაადგილების შემთხვევებისა, როდესაც საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების ნიშანდების გარეშე საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილება დასაშვებია);
- გარეგნული დათვალიერების შედეგად არსებობს საქონლის გაფუჭების ან დაზიანების აშკარა ნიშნები.

წინასწარი დეკლარირება - იმპორტი



ინფორმაცია

განცხადება განკუთვნილია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოსატანი საქონლის წინასწარ, საქართველოს საზღვრის გადმოკვეთამდე დეკლარირებისთვის.

გთხოვთ, განცხადების ელექტრონული ფორმით შევსებისას დარწმუნდეთ, რომ:
*სწორად აირჩიეთ სერვისის გამწევი გაფორმების ორგანოს დასახელება ან/და საბაჟო გამშვები პუნქტი;
*საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების გემით (ბორნით) გადაზიდვის შემთხვევაში, მითითებულია გემის (ბორნის) დასახელება;
გაითვალისწინეთ, მწვანე ან ლურჯი დერეფნის შემთხვევაში, ტვირთი საზღვრიდანვე ექცევა იმპორტიორის სრულ განკარგვაში (ნებადართულია ლუქის ან/და იდენტიფიკაციის სხვა საშუალებების მოხსნა), ხოლო **წითელი ან ყვითელი** დერეფნის შემთხვევაში, დეკლარცია სრულდება საბაჟო კონტროლის ზონაში. საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის შემოტანა უნდა განხორციელდეს დეკლარაციის რეგისტრაციიდან **45 დღის** განმავლობაში;

გახსოვდეთ, საბაჟო დეკლარაცია დასრულებულია მხოლოდ მაშინ, როცა მასზე მითითებულია შეფასების "A" ნომერი.

სერვისით მომსახურების საფასური:
*3 000 ლარამდე საბაჟო ღირებულების საქონელზე - ერთ საბაჟო დეკლარაციაზე **100ლარი;**
*3 000-დან 15 000ლარამდე საბაჟო ღირებულების საქონელზე - ერთ საბაჟო დეკლარაციაზე **300ლარი;**
*15 000 ლარის ზევით საბაჟო ღირებულების საქონელზე - ერთ საბაჟო დეკლარაციაზე **400ლარი და ა .შ** [297].

2.6. საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაცია. რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანა. რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაციის გაუქმება

საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაცია. საბაჟო დეკლარაციის შესახებ საკმაოდ ვრცელი კომენტარი იქნა შემოთავაზებული განსახილველ XIII-ე თავში **„საქონლის საბაჟო პროცედურაში მოქცევა“**, სადაც საბაჟო დეკლარაციის სახეებზე, მის წარდგენაზე, საბაჟო დეკლარაციის შევსებაზე და ა.შ. ვისაუბრეთ, ამიტომ **საბაჟო კოდექსის 89-ე მუხლის** შემთხვევაში ავღნიშნავდით, რომ საბაჟო დეკლარაცია, რომელიც აკმაყოფილებს **XIII-ე თავით** გათვალისწინებულ პირობებს, საბაჟო ორგანომ დაუყოვნებლივ უნდა დაარეგისტრიროს, თუ ამ დეკლარაციით დეკლარირებული საქონელი საბაჟო ორგანოს წარედგინა,ხოლო, თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა განსხვავებულად არ აწესრიგებს საბაჟო დეკლარაციის რეგისტაციის მომენტებს, მაშინ საბაჟო ორგანო საქონლის მიმართ იყენებს საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს მოქმედ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობას.

[297] https://eservices.rs.ge/ServiceRequestNew.aspx?p=176

დაწვრ. საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის ვადების შესახებ იხ. ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების მ.2. „საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის განსაზღვრის ვადა".[298]

რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანა[299]. როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ, საქონლის საბაჟო დეკლარაციას ავსებს: დეკლარანტი ინსტრუქციის „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ" მე-5 მუხლით[300] გათვალისწინებულ შემთხვევებში; საბაჟო ორგანო, როდესაც დეკლარანტი თხოვნით მიმართავს საბაჟო დეპარტამენტს საქონლის საბაჟო დეკლარაციის შევსების თაობაზე; საფოსტო გზავნილით შემოტანილ საქონელზე; როდესაც სასაქონლო პარტიათა ნაკრების გადამზიდავი თხოვნით მიმართავს საბაჟო დეპარტამენტს საქონლის საბაჟო დეკლარაციის შევსების თაობაზე.

საბაჟო კოდექსის 90-ე მუხლი და ინსტრუქციის „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ" მ.14 არეგულირებს საბაჟო დეკლარაციაში ცვლილებების შეტანის წესებს, კერძოდ: **საბაჟო კოდექსის 90-ე მუხლის 1-ლი ნაწილის** თანახმად, „დეკლარანტის განცხადების საფუძველზე რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაში შესაძლებელია ცვლილების შეტანა". საკომენტარო მუხლის მე-2 ნაწილი შეიცავს გამონაკლის 1-ლი ნაწილისაგან, სადაც პირიქითაა აღნიშნული, რომ ეს ცვლილება არ შეიძლება შეეხებოდეს იმ საქონელს, რომელიც ამ დეკლარაციით თავდაპირველად დეკლარირებული არ იყო.

---

[298] აღნიშნულის შესახებ იხ. ინსტრუქციის „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ" ამავე თავში უკვე განხილული მე-2 მუხლის კომენტარი; ასევე აღნიშნული ინსტრუქციის უკვე განხილული მუხლი 12 - „საქონლის დეკლარირება საქონლის საბაჟო დეკლარაციით" და ა.შ.

[299] საბაჟო კოდექსი, მ. 90.

[300] იხ. ინსტრუქციის „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ",ზემოთ განხილული მ.5. „საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის შევსება".

რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაში 90-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ცვლილების შეტანა არ შეიძლება:

- ა) თუ საბაჟო ორგანომ დეკლარანტს შეატყობინა ამ დეკლარაციის შემოწმების განზრახვის შესახებ;
- ბ) თუ საბაჟო ორგანომ დაადგინა ამ დეკლარაციაში არასწორი მონაცემის არსებობა;
- გ) შესაბამისი საქონლის გაშვების შემდეგ.

საქონლის გაშვების შემდეგ, საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციიდან **3 წლის განმავლობაში** საბაჟო ორგანომ დეკლარანტს მისი განცხადების საფუძველზე შეიძლება მისცეს უფლება, რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაში შეიტანოს ცვლილება საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის განხორციელების შესახებ სასამართლოს ან საბაჟო ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილების ჩაბარებამდე, თუ დეკლარანტი ასრულებს საქონლის შესაბამის საბაჟო პროცედურაში მოქცევასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაში ცვლილება შეიძლება შეტანილ იქნეს საბაჟო ორგანოს ინიციატივით, შესაბამისი საქონლის გაშვებამდე, თუ დადგინდა ამ დეკლარაციაში არასწორი მონაცემის არსებობა.

ინსტრუქციის „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“ მე-14 მუხლის შეიცავს მითითებას საბაჟო კოდექსის 90-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებზე, როდესაც დეკლარანტის წერილობითი განცხადების საფუძველზე შესაძლებელია შეიცვალოს საქონლის საბაჟო დეკლარაციაში მითითებული მონაცემები საქონლის გაშვების შემდეგ, ამასთან:

- ა) საქონლის საბაჟო დეკლარაციაში ცვლილებით საქონლის რაოდენობის (გრაფები: 38, 41) ან/და საქონლის ღირებულებისა და საქონლის საბაჟო ღირებულების (გრაფები: 42, 46) ან/და გადასახდელის თანხის (გრაფები: 47, B) შემცირება შესაძლებელია მხოლოდ საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის შედეგებზე დაყრდნობით საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილების შესაბამისად (გარდაზემოთ აღნიშნული 1-ლი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა);

• ბ) როდესაც დეკლარანტი წარადგენს წარმოშობის სერტიფიკატს, რომელიც ითვალისწინებს იმპორტის გადასახადის შეღავათიანი განაკვეთის ან/და შეღავათების (პრეფერენციების) გამოყენებას, იმპორტის გადასახდელის თანხის (გრაფები: 47, B) შემცირება შესაძლებელია საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის გარეშე[301];

• გ) საბაჟო ორგანოში დეკლარანტის წერილობითი განცხადების საფუძველზე შესაძლებელია საქონლის საბაჟო დეკლარაციაში ცვლილება განხორციელდეს საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის გარეშე, თუ:

• გ.ა) საქონელს არ დაუტოვებია საბაჟო ორგანოს ტერიტორია;

• გ.ბ) საქონელს არ დაუტოვებია საბაჟო საწყობის ტერიტორია. ამასთან, როდესაც დანაკლისი არ აღემატება საქონლის საბაჟო დეკლარაციაში აღნიშნული საქონლის რაოდენობის **3 პროცენტს**, დეკლარაციაში შესაბამისი ცვლილება ხორციელდება საბაჟო საწყობის მიერ გაცხადებული საქონლის რაოდენობის გათვალისწინებით;

• გ.გ) საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებაზე არ არის დარღვეული იდენტიფიკაციის საშუალების მთლიანობა;

• გ.დ) დეკლარირებული საქონლის მონაცემები არასწორად აისახა საქონლის საბაჟო დეკლარაციაში;

• გ.ე) ცვლილება ხორციელდება საქართველოდან ექსპორტით, რეექსპორტით ან ტრანზიტით, საზღვაო გზით გასატან, ინსტრუქციის მე-2 მუხლის მე-8 და 8[1] პუნქტებით გათვალისწინებულ საქონელზე წარდგენილ საქონლის საბაჟო დეკლარაციაში, საქონლის დროებით შენახვისას ან საზღვაო სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვისას;

ინსტრუქციის „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირების და გაფორმების შესახებ" მე-8 პუნქტის თანახმად: „ექსპორტისათვის, რეექსპორტისათვის ან ტრანზიტისათვის განკუთვნილი

[301] აღნიშნული გრაფების შესახებ იხ. ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ".

საყარი საქონლის ან შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული სარკინიგზო ვაგონების გადამუშავებით მიღებული, ექსპორტისათვის განკუთვნილი შავი ლითონის ჯართის საქართველოდან საზღვაო გზით გასატანად საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის წარდგენა შესაძლებელია სატრანსპორტო საშუალებაში მათ ჩატვირთვამდეც, თუ დეკლარანტი უზრუნველყოფს: ა) საქონლის წარდგენას საბაჟო კონტროლის ზონაში; ბ) საქონლის რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე სურვეირული კომპანიის აქტის წარდგენას", ხოლო 8' პუნქტის თანახმად კი: ექსპორტისათვის, რეექსპორტისათვის ან ტრანზიტისათვის განკუთვნილი, ფოთის/ბათუმის საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებულ საბაჟო საწყობში არსებული საყარი საქონლის (მათ შორის, ე.წ. „ბიგ-ბეგებში'[802] განთავსებული, წონით არანაკლებ 300 კგ-ისა)

---

[302] საერთაშორისო გადაზიდვების ხელშეწყობის მიზნით საბაჟო კანონმდებლობაში რიგი ცვლილებები შევიდა. ფინანსთა მინისტრის №257 ბრძანებაში განხორციელებული ცვლილების თანახმად, საქართველოდან საზღვაო გზით გასატანი, შესაბამისი წესით დეკლარირებული საქონლის საბაჟო საწყობიდან ნავსადგურში გადაზიდვის ვადა 12 საათიდან 24 საათამდე გაიზარდა, გადასაზიდი ტვირთის აღრიცხვა ხორციელდება გამარტივებული წესით და არ საჭიროებს დალუქვას საბაჟო საწყობიდან ნავსადგურში ტრანსპორტირების პროცესში. ცვლილებებთან ერთად ის საბაჟო პროცედურებიც შეიცვალა, რომელთა გამოყენებისას შესაძლებელი ხდება საქართველოდან საზღვაო გზით გასატანი გარკვეული კატეგორიის საქონლის ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის სასაქონლო ოპერაციაში დეკლარირება სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვამდეც. კერძოდ: ფოთის/ბათუმის საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებულ საბაჟო საწყობში არსებული, ექსპორტისათვის, რეექსპორტისათვის ან ტრანზიტისათვის განკუთვნილი საყარი საქონლის (მათ შორის, ე.წ. „ბიგ-ბეგებში" განთავსებული, წონით არანაკლებ 300 კგ-ისა), ფოლადის/პლასტიკის არმატურის ან ლითონის წნულების შეკვრის (სიგრძით არანაკლებ 12 მ-ისა და წონით არანაკლებ 500 კგ-ისა), ლითონის რულონების (წონით არანაკლებ 500 კგ-ისა) ან ავზების (არანაკლებ 500 ლიტრი ტევადობისა), ლითონის ან პლასტმასის მილების, ალუმინის სხმულების (წონით არანაკლებ 500 კგ-ისა) და ლითონის ბრტყელი ნაგლინის (შეკვრით ან შეკვრის გარეშე, წონით არანაკლებ 500 კგ-ისა) საქართველოდან საზღვაო გზით გასატანად საბაჟო დეკლარაციის წარდგენა შესაძლებელი ხდება სა-

ფოლადის/პლასტიკის არმატურის ან ლითონის წნულების შეკვრის (სიგრძით არანაკლებ 12 მ-ისა და წონით არანაკლებ 500 კგ-ისა), ლითონის რულონების (წონით არანაკლებ 500 კგ-ისა) ან ავზების (არანაკლებ 500 ლიტრი ტევადობისა), ლითონის ან პლასტმასის მილების, ალუმინის სხმულების (წონით არანაკლებ 500 კგ-ისა) და ლითონის ბრტყელი ნაგლინის (შეკვრით ან შეკვრის გარეშე, წონით არანაკლებ 500 კგ-ისა) საქართველოდან საზღვარგარეთ გასატანად საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის წარდგენა შესაძლებელია სატრანსპორტო საშუალებაში მათ ჩატვირთვამდეც, თუ დეკლარანტი უზრუნველყოფს საქონლის რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე სურვეირული კომპანიის აქტის წარდგენას.

- გ.ვ) დეკლარირებული საქონლის საბაჟო ღირებულება მცირდება არაუმეტეს 2 000 ლარით ან/და გადასახდელის თანხა მცირდება არაუმეტეს 650 ლარით, ხოლო დეკლარანტის წერილობით განცხადებასთან ერთად წარმოდგენილია საქონლის შესყიდვის დოკუმენტი და უნაღდო ანგარიშსწორების დამადასტურებელი დოკუმენტი ან სხვა სათანადო მტკიცებულებები.

- დ) საქონლის საბაჟო დეკლარაციაში ცვლილებით საქონლის რაოდენობის ან/და ღირებულების ან/და საქონლის საბაჟო ღირებულების ან/და გადასახდელის თანხის გაზრდა დასაშ-ვებია მხოლოდ დეკლარანტის ინიციატივით, საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის დაწყებამდე. ამასთან, ეს ცვლილება არ შეიძლება შეეხებოდეს იმ საქონელს, რომელიც ამ დეკლარაციით თავდაპირველად დეკლარირებული არ იყო და ასეთი საქონლის გამოვლენის შემთხვევაში, გაფორმების საბაჟო ორგანო დადგენილი წესით აფიქსირებს საბაჟო სამართალდარღვევას, ვალდებულ პირს წარედგინება საგადასახადო მოთხოვნა დამატებით დარიცხული გადასახადის (გადასახდელის) თანხაზე, ხოლო საქონლის საბაჟო დეკლარაციაში ცვლილება არ ხორციელდება.

ტრანსპორტო საშუალებაში მათ ჩატვირთვამდეც, თუ დეკლარანტი უზრუნველყოფს საქონლის რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე სურვეირული კომპანიის აქტის წარდგენას. https://bm.ge/ka/article/portebs-saqonlis-sabajo-sawyobidan-navsadgurshi-gadazidvis-vada-12-dan-24-saatamde-gaezardat/113942/.

დეკლარანტის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს მტკიცებულებები, რაც წარმოადგენს საქონლის საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების განხორციელების საფუძველს და დეკლარანტთან არსებული საქონლის საბაჟო დეკლარაციის ეგზემპლარი.

დეკლარანტის განცხადებისა და საქონლის საბაჟო დეკლარაციის შესაბამის გრაფებში მითითებული მონაცემების შემოწმებას საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი ახორციელებს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული „საბაჟო კონტროლის შესახებ“ ინსტრუქცია (დანართი №2) განსაზღვრული წესით.

კერძოდ, იხ. ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული „საბაჟო კონტროლის შესახებ“ ინსტრუქცია (დანართი №2), თავი II „საბაჟო დეკლარაციისა და რეექსპორტის დეკლარაციის შემოწმება“.

მაგ: დეკლარაციის შემოწმებას ატარებს საბაჟო ორგანოს თანამშრომელი, რომლის არჩევასაც უზრუნველყოფს კომპიუტერული პროგრამა, ხოლო ასეთი არჩევის შეუძლებლობის შემთხვევაში, თანამშრომელს ირჩევს უშუალო ხელმძღვანელი წერილობითი გადაწყვეტილებით, რაც ფორმდება განაცხადზე დადებული რეზოლუციით.

უფლებამოსილი პირი დეკლარაციის შემოწმების დაწყებამდე უზრუნველყოფს დეკლარანტისთვის „დეკლარაციის შემოწმების დაწყების შესახებ“ შეტყობინების (დანართი №2-II-01) ჩაბარებას.

შემოწმების ცალკეული ეტაპის ან შემოწმების ეტაპების გაერთიანების შემდეგ, დეკლარირებული მონაცემების შესაძლო უარყოფის შემთხვევაში, დეკლარანტს ეგზავნება შეტყობინება „დეკლარირებული მონაცემების შესაძლო უარყოფისა და დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე“ (დანართი №2-II-02) და მას ეძლევა შესაბამისი დრო, რათა გამოთქვას საკუთარი აზრი, წარადგინოს შესაბამისი არგუმენტები და მოთხოვნილი ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია.

დეკლარაციის შემოწმების ეტაპებია:

- ა) დეკლარაციის შევსების სისწორის შემოწმება;
- ბ) სეს ესნ-ის კოდის განსაზღვრის პირველადი (დოკუმენტური) შემოწმება;
- გ) აკრძალვების, შეზღუდვების და გაცხადებულ საბაჟო პროცედურაში/რეექსპორტში საქონლის მოქცევის პირობების შემოწმება;
- დ) საგადასახადო შეღავათების გამოყენების შემოწმება;
- ე) საბაჟო ღირებულების განსაზღვრის შემოწმება;

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული „დეკლარირების კლასიფიკატორის“ (დანართი №19) მიხედვით ხდება გამოყენების სისწორის, გრაფებში მონაცემთა შეტანის სისწორის, მათ შორის, დეკლარაციაში ასახული მონაცემების დეკლარაციაზე თანდართული დოკუმენტაციის მონაცემებთან შესაბამისობის, წარმომადგენლის მიერ დეკლარირების განხორციელების შემთხვევაში – წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობის შემოწმება და ამავე ეტაპზე ხორციელდება დეკლარაციის წარდგენის ვადების შემოწმება.

საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის განხორციელებისას:

- ა) თუ ასეთი კონტროლი ხორციელდება საბაჟო ორგანოს ინიციატივით და იგი დაადგენს, რომ დეკლარირებული საქონლის რაოდენობა ან/და ღირებულება ან/და საბაჟო ღირებულება ან/და სახეობათა რაოდენობა ან/და გადასახდელის თანხის ოდენობა შემცირებულია, დადგენილი წესით ხორციელდება საბაჟო სამართალდარღვევის დაფიქსირება და ვალდებულ პირს წარედგინება საგადასახადო მოთხოვნა დამატებით დარიცხული გადასახადის (გადასახდელის) ან/და საბაჟო სამართალდარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმის თანხებზე, ხოლო საქონლის საბაჟო დეკლარაციაში ცვლილება არ ხორციელდება;
- ბ) თუ ასეთი შემოწმება ხორციელდება დეკლარანტის ინიციატივით – საქონლის საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანის შესახებ დეკლარანტის წერილობითი განცხადების საფუძველზე, დეკლარანტს ჯარიმა არ დაეკისრება, ამასთან, თუ საბაჟო ორგანო დაადგენს, რომ ცვლილების შედეგად შემცირდება დეკლარირებული საქონლის რაოდენობა ან/და ღირებულება ან/და საბაჟო ღირებულება ან/და გადასახდელის თანხის ოდენობა, იგი დადგენილი წესით ახორციელებს ცვლილებას საქონლის საბაჟო დეკლარაციაში.

საქონლის საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანა ხორციელდება საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ ამ დეკლარაციის ვერსიაში ცვლილების შეტანით და ახალი ეგზემპლარის გაცემით.

რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაციის გაუქმება. საბაჟო ორგანომ დეკლარანტის განცხადების საფუძველზე გათილად უნდა ცნოს რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაცია, თუ შესრულებულია ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

- ა) საბაჟო ორგანო დარწმუნდა, რომ შესაბამისი საქონელი დაუყოვნებლივ უნდა მოექცეს განცხადებულისგან განსხვავებულ საბაჟო პროცედურაში;

მაგალითი:

საქონელმა შეიცვალა საბაჟო პროცედურა. ვთქვათ, დეკლარანტს შეუძლია, უცხოურ საქონელზე განსაზღვრული ნებისმიერი საბაჟო პროცედურა ან რეექსპორტი ნებისმიერ დროს შეცვალოს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურით, თუ წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტები.

- ბ) განსაკუთრებული გარემოებების გამო გაუმართლებელია საქონლის მიმართ განცხადებული საბაჟო პროცედურის გამოყენება.

თუ საბაჟო ორგანომ დეკლარანტს შეატყობინა საბაჟო დეკლარაციის შემოწმების განზრახვის შესახებ, ამ საბაჟო დეკლარაციის ბათილად ცნობის თაობაზე დეკლარანტის განცხადება არ მიიღება საქონლის შესწავლის დასრულებამდე.

დაუშვებელია საბაჟო დეკლარაციის ბათილად ცნობა შესაბამისი საქონლის გაშვების შემდეგ, გარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით განსაზღვრული შემთხვევებისა.

ინსტრუქციის „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“, მუხლი 14[1]-ის („საბაჟო დეკლარაციის ბათილად ცნობა“) მიხედვით: საქონლის გაშვებამდე საბაჟო დეკლარაცია ბათილად შეიძლება იქნეს ცნობილი საბაჟო ორგანოს ინიციატივით:

- ა) თუ დეკლარაციით გაცხადებულია საქონელი, რომლის საქართველოში შემოტანა/საქართველოდან გატანა ან/და რომლის მიმართ გაცხადებული საბაჟო პროცედურის გამოყენება აკრძალულია;
- ბ) როდესაც დეკლარანტის მიერ დადგენილ ვადაში არ იქნა წარდგენილი კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზიები ან ნებართვები;

• გ) თუ შეუძლებელია ან შეცდომით მოხდა საქონლის მიმართ გაცხადებული საბაჟო პროცედურის გამოყენება;

• დ) საქართველოს **საბაჟო კოდექსის XV თავით („საქონლის განკარგვა“)** გათვალისწინებული საქონლის განკარგვის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში;

საქონლის განკარგვის შესახებ საუბარი იყო საბაჟო სამართლის პირველ ნაწილში (ავტ. ბარაზი ი;), თუმცა მისი ვრცელი კომენტარი საბაჟო სამართლის მეორე ნაწილში იქნება შემოთავაზებული საბაჟო კოდექსის XV თავის კომენტირებისას.

• ე) კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ან დეკლარირებული სატრანსპორტო საშუალების მიმართ სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელი ორგანოს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-80 მუხლით[303] გათვალისწინებული ღონისძიებების (მესაკუთრისათვის ან კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნება ან სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევა) გამოყენების შემთხვევაში;

• ვ) თუ დეკლარირება განხორციელდა არაუფლებამოსილი პირის მიერ;

• ზ) თუ დეკლარირებული საქონლის ფაქტობრივი წარდგენა საბაჟო ორგანოსათვის შეუძლებელია, გარდა საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა, როდესაც საქონლის საბაჟო პროცედურაში მოქცევა შესაძლებელია მისი ფაქტობრივი წარდგენის გარეშე;

• თ) თუ დეკლარირებული საქონლის პარტიაში ან დეკლარირებული საქონლის ნაცვლად აღმოჩნდა საქონელი, რომელიც ამ დეკლარაციით თავდაპირველად დეკლარირებული არ იყო. ამ შემთხვევაში ხორციელდება ახალი საბაჟო დეკლარაციის წარდგენა, ბათილად ცნობილი საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებული და არადეკლარირებულ საქონლის დეკლარირების მიზნით, ხოლო საბაჟო სამართალდარღვევის ჩადენისთვის საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის

---

[303] „გადაწყვეტილება ნივთიერი მტკიცებულების სისხლის სამართლის პროცესის დამთავრებამდე“.

დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება საქართველოს საბაჟო კოდექსის 163-ე მუხლის მე-13 ნაწილის გათვალისწინებით, კერძოდ: *პირს საბაჟო დეკლარაციაში არასწორი მონაცემის შეტანისთვის საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ ეკისრება, თუ: საბაჟო დეკლარაციაში ცვლილება შეტანილ იქნა საბაჟო კოდექსის საკომენტარო 90-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების შესაბამისად; საქონლის გაშვებამდე შემოწმებისას აღმოჩენილი არადეკლარირებული საქონლის (გარდა მალსულად გადაადგილებული საქონლისა და ამ კოდექსის 169-ე მუხლით გათვალისწინებული ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდისა) საბაჟო ღირებულება არ აჭარბებს 15 000 ლარს და არ აღემატება დეკლარირებული საბაჟო ღირებულების 5 პროცენტს;*

საკომენტარო ინსტრუქციის 1[1]-ლი პუნქტის თანახმად, საქონლის გაშვებამდე საბაჟო დეკლარაცია ბათილად შეიძლება იქნეს ცნობილი საქართველოს საბაჟო კოდექსის საკომენტარო 91-ე მუხლის პირველი ნაწილითა და ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №12) მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამასთან, თუ საბაჟო ორგანომ დეკლარანტს შეატყობინა საბაჟო დეკლარაციის შემოწმების განზრახვის შესახებ, ამ საბაჟო დეკლარაციის ბათილად ცნობის თაობაზე დეკლარანტის განცხადება არ მიიღება საქონლის შესწავლის დასრულებამდე.

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №12) მე-2 მუხლის („იმპორტის გადასახდელის გადახდის ვადები“) მე-4 პუნქტში საუბარია იმის შესახებ, რომ: მე-2 მუხლის მუხლის მე-2 პუნქტით (საბაჟო დეკლარაციის დამუშავებისას მასში მითითებული მონაცემების იმპორტის გადასახდელზე საბაჟო ან/და საგადასახადო ვალდებულების შესრულების რისკის პროფილთან თანხვედრის შემთხვევაში, საქონელი გაიშვება გარანტიის წარდგენით. საქონლის გაშვება ავრეთვე შესაძლებელია კუთვნილი იმპორტის გადასახდელის სრულად გადახდით ან იმპორტის გადასახდელის ნაწილზე გარანტიის წარდგენითა და დანარჩენ

ნაწილზე თანხის გადახდით) გათვალისწინებული საბაჟო დეკლარაცია ბათილად შეიძლება იქნეს ცნობილი დეკლარანტის განცხადების საფუძველზე, თუ დეკლარირებული საქონელი მოექცევა განცხადებულისაგან განსხვავებულ საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში.

საქონლის გაშვების შემდეგ საბაჟო დეკლარაცია ბათილად შეიძლება იქნეს ცნობილი შემდეგ შემთხვევებში:

- ა) დათვალიერების გარეშე გაშვებული საქონლის პარტიაში გაფორმების საბაჟო ორგანოს მიერ არადეკლარირებული საქონლის აღმოჩენისას, თუ საქონელს არ დაუტოვებია საბაჟო ორგანოს ტერიტორია ან საბაჟო საწყობის ტერიტორია. ამ შემთხვევაში გაფორმების საბაჟო ორგანო დადგენილი წესით აფიქსირებს საბაჟო სამართალდარღვევას და ხორციელდება ახალი საბაჟო დეკლარაციის წარდგენა, ბათილად ცნობილ საბაჟო დეკლარაციაში მითითებული და არადეკლარირებული საქონლის დეკლარირების მიზნით;
- ბ) თუ დეკლარანტის წერილობითი განცხადებით დასტურდება, რომ დათვალიერების გარეშე გაშვებული საქონლის ნაცვლად აღმოჩნდა სხვა საქონელი – საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის შედეგებზე დაყრდნობით საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილების შესაბამისად. ამ შემთხვევაში საბაჟო ორგანო დადგენილი წესით აფიქსირებს საბაჟო სამართალდარღვევას;
- გ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ან დეკლარირებული სატრანსპორტო საშუალების მიმართ სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელი ორგანოს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-80 მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების (მესაკუთრისათვის ან კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნება ან სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევა) გამოყენებისას;

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-80 მუხლში საუბარია „გადაწყვეტილება ნივთიერი მტკიცებულების შესახებ სისხლის სამართლის პროცესის დამთავრებამდე".

- დ) საქართველოს საბაჟო კოდექსის 91-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ან „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობის

არსებობის შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი საქონლის იდენტიფიცირება შესაძლებელია;

• ე) საქართველოს საბაჟო კოდექსის 160-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული საქონლის რეექსპორტის განხორციელების შემდეგ. ამასთანავე, თუ ამ ქვეპუნქტის შესაბამისად ხორციელდება თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული საქონლის ნაწილის რეექსპორტი, იმავე საქონლის დარჩენილ ნაწილზე იმპორტის გადასახდელის გადაანგარიშება მოხდება საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის შედეგებზე დაყრდნობით საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

დეკლარანტის განცხადებას თან უნდა ერთოდეს მტკიცებულებები, რაც წარმოადგენს საქონლის საბაჟო დეკლარაციის ბათილად ცნობის საფუძველს და დეკლარანტთან არსებული საბაჟო დეკლარაციის ეგზემპლარი.

საქონლის გაშვების შემდეგ საბაჟო დეკლარაცია შეიძლება ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

• ა) დეკლარანტის განცხადების საფუძველზე, თუ იგი წარადგენს მტკიცებულებებს, რომ გარკვეული გარემოებების დადგომის (მათ შორის, საქონლის განადგურების, დაზიანების ან გაფუჭების, ხელშეკრულების პირობების შეცვლის) გამო შეუძლებელია ამ საქონლის მიმართ განცხადებული საბაჟო პროცედურის გამოყენება;

• ბ) იმ საქონლის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლისას (თავისუფალ მიმოქცევაში სხვა მიზნობრივი დანიშნულებით გაშვებისას), რომელიც მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში გაშვებულ იქნა თავისუფალ მიმოქცევაში იმპორტის გადასახდელისგან გათავისუფლების პირობით.

ამ საკითხებზე ფუნდამენტური საუბარი იქნება საბაჟო პროცედურებისა და სპეციალური ოპერაციებზე საუბრისას.

2.7. იმპორტის გადასახადის სხვადასხვა განაკვეთით დასაბეგრი საქონლისთვის საბაჟო დეკლარაციის გამარტივებულად შედგენა

2019 წლის საბაჟო კოდექსით დეკლარანტის განცხადების საფუძველზე შესაძლებელი ხდება სასაქონლო პარტიისთვის იმპორტის გადასახადი გაანგარიშდეს პარტიაში შემავალი საქონლებისათვის იმპორტის გადასახადის[304] უმაღლესი განაკვეთის საფუძველზე. შესაბამისად **შემცირდება საბაჟო ადმინისტრირების დანახარჯი.** გადამხდელს მიეცემა შესაძლებლობა გადამუშავებული პროდუქტის იმპორტის შემთხვევაში, მისი სურვილისამებრ, იმპორტის გადასახდელები გაიანგარიშოს ან გადამუშავებული პროდუქტისათვის დადგენილი განაკვეთების შესაბამისად ან ნედლეულისათვის დადგენილი განაკვეთების შესაბამისად. რაც შესაბამისად აისახა **საბაჟო კოდექსის 92-ე მუხლში - „იმპორტის გადასახადის სხვადასხვა განაკვეთით დასაბეგრი საქონლისთვის საბაჟო დეკლარაციის გამარტივებულად შედგენა“.**

დეკლარანტს გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის ამობეჭდვა შეუძლია შემოსავლების სამსახურის ვებგვერდიდან (www.rs.ge), განაცხადზე დაფიქსირებული შტრიხ-კოდისა და უნიკალური ნომრის მეშვეობით.

საბაჟო გამშვებ პუნქტ „ბათუმის პორტში“ ან საბაჟო გამშვებ პუნქტ „ფოთისა და ყულევის პორტებსა და ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში“ ან გაფორმების ეკონომიკურ ზონა „ფოთში“ ან საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებაში კონტეინერით სატრანსპორტო საშუალებებთან ერთად შემოტანილ სხვა საქონელზე გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის შევსება და წარდგენა აგრეთვე შესაძლებელია სწრაფი გადადის ჰაბარატიდან ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით.

საბაჟო კოდექსის მე-6 მუხლში („ტერმინთა განმარტება“) საბაჟო ვალდებულება განმარტებულია, როგორც პირის ვალდებულება, გადაიხადოს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი

[304] იმპორტის და იმპორტის გადასახადის შესახებ ვრცლად იხ. ი. ხარაზი, საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021. 190-267.

იმპორტის გადასახადი"[305]. გამოდის, რომ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მხოლოდ იმპორტიორია (საქართველოში თავისუფალი მიმოქცევაში გაშვების მიზნით საქონლის შემომტანი პირი) ვალდებული[306] იმპორტის გადასახდელების გადახდაზე.

„იმპორტის გადასახდელი - საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული იმპორტის გადასახადი, აქციზი, დამატებული ღირებულების გადასახადი, რომლის გადახდის ვალდებულება საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანასთან დაკავშირებით წარმოიშობა"[307].

აქვე ავღნიშნავდით, რომ: საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტით შემოტანილი ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გადაიხდება იმპორტის გადასახადი, აქციზი, გარდა დღგ-ისა.

„საბაჟო გადასახადი" მოიცავს ყველა სახის გადასახადს ან ნებისმიერი ტიპის მოსაკრებელს, რომელიც დაწესებულია ან დაკავშირებულია საქონლის ...იმპორტთან[308].

---

[305] **იმპორტი** ლექსიკონის განმარტებით არის „საქონლის, მომსახურების, სამუშაოს, ინტელექტუალური საქმიანობის შედეგების და მისთანათა საზღვარგარეთიდან შემოტანა რომელიმე ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე მათი ქვეყნიდან გატანის ვალდებულების გარეშე"; ან კიდევ, „იმპორტი არის საქონლის შემოტანა საზღვარგარეთიდან". მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე] - თბ., 2004 - 483 გვ.: ცხრ.; 24სმ. - (საჯარო მოსამსახურის ბ-კა). - ISBN 99940-0-063-2: [ფ.ა.];
http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=17983 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1962, 248.

[306] „ვალდებული პირი - პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ვალდებულია შეასრულოს საბაჟო ვალდებულება". საბაჟო კოდექსი, მ.6 – „ტერმინთა განმარტება", „ო" ქვეპუნქტი.

[307] საბაჟო კოდექსი, მ.6. „ჯ" ქვეპუნქტი.

[308] ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელწიფოებს შორის,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0 ნაწილი 2, მუხლის 24, „საბაჟო გადასახადის განმარტება".

დეკლარანტის განცხადების საფუძველზე, საბაჟო ორგანოს თანხმობით სასაქონლო პარტიისთვის იმპორტის გადასახადი შეიძლება გაანგარიშდეს მასში შემავალი სხვადასხვა საქონლისთვის[309] განსაზღვრული იმპორტის გადასახადის უმაღლესი განაკვეთის საფუძველზე, თუ ეს სასაქონლო პარტია შედგება იმპორტის გადასახადის სხვადასხვა განაკვეთით დასაბეგრი საქონლისგან და სასაქონლო პარტიაზე საბაჟო დეკლარაციის შედგენა იმპორტის გადასახადის ოდენობის შეუსაბამო, დიდ დანახარჯებსა და ძალისხმევას მოითხოვს.

ინსტრუქციის **„საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“, მე-10 მუხლის („სასაქონლო პარტიათა ნაკრების საბაჟო კონტროლი და გაფორმება“)** მიზნებისათვის, გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) **სასაქონლო პარტიათა ნაკრები** – ერთი გადამზიდველის მიერ ერთი სატრანსპორტო საშუალებით გადაზიდული რამდენიმე სასაქონლო პარტია;
- ბ) **სასაქონლო პარტიათა ნაკრების გადამზიდველი** – პირი, რომელიც ორგანიზებას უწევს რამდენიმე მიმღების მისამართით გამოგზავნილი საქონლის დახარისხებას ექსპორტის ქვეყანაში, სასაქონლო პარტიათა ნაკრების ტრანსპორტირებას და საქართველოში თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურის განხორციელებას.

სასაქონლო პარტიათა ნაკრებში შემავალ თითოეულ სასაქონლო პარტიაზე თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურის დეკლარაცია წარედგინება საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე (გარდა საჰაერო ტრანსპორტით გადაადგილებული საქონლისა).

სასაქონლო პარტიათა ნაკრებით გადაზიდული საქონლის მფლობელს შეიძლება მიეცეს საბაჟო ღირებულების გამარტივებული წესით განსაზღვრის უფლება.

---

[309] საუბარია სასაქონლო პარტიაზე.

საბაჟო ღირებულების გამარტივებული წესით განსაზღვრა ხორციელდება საბაჟო ღირებულების გამარტივებული დეკლარაციით (დანართი №8-II-05), რომელიც არის სასაქონლო პარტიათა ნაკრებით გადაზიდული საქონლის დეკლარანტის (იმპორტიორის) მიერ ნასყიდობის დოკუმენტების საფუძველზე შედგენილი და დამოწმებული საბაჟო ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტი.

დანართი №8-II-05

საბაჟო ღირებულების გამარტივებული დეკლარაცია

ტვირთის მიმღების დასახელება	ა/მ სახელმწიფო ნომერი

საიდენტიფიკაციო ნომერი	გადამზიდავი ორგანიზაცია

ნასყიდობის დოკუმენტის ნომერი*	საქონლის დასახელება/აღწერა**	წონა		დამატ. ზომის ერთეული მეტრი/კგ. მეტრი***	გადაბდილი/გადასახდელი თანხა	ვალუტა
		ბრუტო	ნეტო			

	სულ:			სულ:		

	თანხა	ვალუტა
სხვა ხარჯი		
ტრანსპორტირების ხარჯი		

დამატებითი ინფორმაცია:****

შენიშვნა:

* გრაფა ივსება თითოეული ნასყიდობის დოკუმენტის მიხედვით

** გრაფაში დეტალურად მიეთითება საქონლის აღწერილობითი ნაწილი, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს სეს ესნ-ის კოდის განსაზღვრაზე

*** გრაფაში მიეთითება დამატებითი ზომის ერთეული სეს ესნ-ის მოთხოვნიდან გამომდინარე

**** მიეთითება სხვა ხარჯები, რომელიც უნდა შევიდეს საბაჟო ღირებულებაში. შევსება სავალდებულო არ არის სასაქონლო პარტიათა ნაკრებით გადაადგილებული საქონლის შემთხვევაში

დეკლარაციაში ასახული მონაცემების სისწორეს ვადასტურებ

დეკლარანტი

თარიღი:

დეკლარირებული სასაქონლო პარტიათა ნაკრების საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებით ან/და კონტეინერით შემოტანისას, თუ ადგილი არა აქვს საბაჟო კანონმდებლობის დარღვევას, საბაჟო გამშვები პუნქტის მიერ:

- ა) სასაქონლო პარტიათა ნაკრებზე და სატრანსპორტო საშუალებაზე გამოიწერება მოწმობა გაფორმების ეკონომიკური ზონის ან გადამზიდველის საბაჟო საწყობის დანიშნულებით;
- ბ) სისტემაში ინტეგრირებული რისკის პროფილების გამოყენებით, ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის/კონტეინერისათვის განისაზღვრება შესაბამისი დერეფანი, რაც ნიშნავს:
  - ბ.ა) **„მწვანე დერეფანი“** – გაფორმების ეკონომიკურ ზონაში ან გადამზიდველის საბაჟო საწყობში ავტოსატრანსპორტო საშუალების/კონტეინერის განთავსების უფლებას. ამ შემთხვევაში:
    - ბ.ა.ა) გაფორმების ეკონომიკურ ზონაში წარდგენილ სატრანსპორტო საშუალებაზე/კონტეინერზე გადამზიდველს აქვს იდენტიფიკაციის საშუალების მოხსნისა და საქონლის ჩამოტვირთვის უფლება;
    - ბ.ა.ბ) გადამზიდველის საბაჟო საწყობში განთავსებულ სატრანსპორტო საშუალებაზე/კონტეინერზე იდენტიფიკაციის საშუალების მოხსნა და საქონლის ჩამოტვირთვა შესაძლებელია მხოლოდ გაფორმების ორგანოს თანხმობით. აღნიშნულთან ერთად, გაფორმების ორგანო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება მისი უფლებამოსილი თანამშრომლის დასწრების თაობაზე, რომელიც განახორციელებს ავტოსატრანსპორტო საშუალებაში/კონტეინერში არსებულ საქონლის შეფუთვაზე (ყუთზე, კონტეინერზე) არსებული შტრიხკოდების ან ადგილების საერთო რაოდენობის შედარებას გადამზიდველის მიერ დაფიქსირებულ მონაცემებთან. ამასთან, თუ საწყობში არ არსებობს პირობები ასეთი პროცედურების განსახორციელებლად, სატრანსპორტო საშუალებაზე/კონტეინერზე იდენტიფიკაციის საშუალება არ მოიხსნება და საქონელი არ ჩამოიტვირთება მის ტერიტორიაზე;

- გ.გ) „წითელი დერეფანი“ – გაფორმების ეკონომიკურ ზონაში ან გადამზიდველის საბაჟო საწყობში ავტოსატრანსპორტო საშუალების/კონტეინერის განთავსების უფლებას, რა დროსაც მათზე არსებული იდენტიფიკაციის საშუალებების მოხსნა და საქონლის ჩამოტვირთვა შესაძლებელია მხოლოდ გაფორმების ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის თანდასწრებით, რომელიც ახორციელებს ავტოსატრანსპორტო საშუალებაში/კონტეინერში არსებულ საქონლის შეფუთვაზე (ყუთზე, კონტეინერზე) არსებული შტრიხკოდების ან ადგილების საერთო რაოდენობის შედარებას გადამზიდველის მიერ დაფიქსირებულ მონაცემებთან. ამასთან, თუ საწყობში არ არსებობს პირობები ასეთი პროცედურების ჩასატარებლად, სატრანსპორტო საშუალებაზე/კონტეინერზე იდენტიფიკაციის საშუალება არ მოიხსნება და გადამზიდველი ვალდებულია, უზრუნველყოს სატრანსპორტო საშუალების/კონტეინერის წარდგენა გაფორმების ეკონომიკური ზონაში.

გაფორმების ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი **„eCustoms“-ის** გამოყენებით ახორციელებს საქონლის საბაჟო დეკლარაციის დამუშავებას, რის შემდეგაც დეკლარაციისათვის განისაზღვრება შესაბამისი დერეფანი.

საბაჟო კოდექსის განსახილველი **92-ე მუხლის** ზემოთ აღნიშნული **პირველი ნაწილით** გათვალისწინებული იმპორტის გადასახადის გაანგარიშების წესი არ გამოიყენება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი აკრძალვებისადმი ან/და შეზღუდვებისადმი ან აქციზით დაბეგვრისადმი დაქვემდებარებული საქონლის მიმართ.

საბაჟო კოდექსის განსახილველი 92-ე მუხლით გათვალისწინებული საბაჟო დეკლარაციის გამარტივებულად შედგენის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინტრუქციით **„საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“** მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტით (**„გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის გამოყენება“**), კერძოდ: **გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია შესაძლებელია გამოყენებული იქნეს:**

• ა) საგანგებო სიტუაციების შედეგებზე რეაგირებისთვის, ან წვრთნების ჩასატარებლად, ან მილსადენსა და ელექტროგადამცემ ხაზებზე ავარიის პრევენციის მიზნით პროფილაქტიკური და სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად განკუთვნილი საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას ან შესაბამისი ტექნიკის სახით საქონლის დროებით შემოტანისას;

• ბ) სხვა ქვეყანაში შექმნილი საგანგებო სიტუაციის შედეგებზე რეაგირების, ან მილსადენსა და ელექტროგადამცემ ხაზებზე ავარიის პრევენციისათვის პროფილაქტიკური და სარემონტო სამუშაოების შესრულების მიზნით საქონლის ან წვრთნების ჩატარების მიზნით ტექნიკის სახით საქონლის ექსპორტისას;

• გ) საგანგებო მდგომარეობის მოქმედების დროს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების, დროებით შემოტანის, ექსპორტის საბაჟო პროცედურების გამოყენებისას;

• დ) თავისუფალ ზონაში მოთავსების მიზნით საქართველოს საქონლის ექსპორტის პროცედურის გამოყენებისას და უცხოური საქონლის თავისუფალ ზონაში გადატანისას.

თუ ზემოთ აღნიშნული ინსტრუქციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ინსტრუქციის 11-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დამატებითი საბაჟო დეკლარაციის წარდგენა სავალდებულო არ არის[310].

დამატ. იხ. ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ".

---

[310] ასევე, საბაჟო კოდექსის 92-ე მუხლთან დაკავშირებით დამატ. იხ. ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ", https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/1167887/285/ge/pdf .

2.8. საქონლის ცენტრალიზებული გაფორმება

საბაჟო კოდექსის 93-ე მუხლითა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით (დანართი №8) „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ თავი I -„საქონლის წარდგენა გაფორმების ადგილზე და საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის განსაზღვრის დრო“, საქონლის გაფორმების სხვადასხვა ადგილზე საბაჟო დეკლარაციის წარდგენისა და საქონლის გაფორმების განხორციელების წესები განისაზღვრება.

საბაჟო ორგანოს უფლება აქვს, დაინტერესებულ პირს მისი განცხადების საფუძველზე მისცეს საბაჟო დეკლარაციის წარდგენის და საქონლის გაფორმების სხვადასხვა ადგილზე განხორციელების უფლება.

საქონელი, რომელიც ექცევა გარკვეულ საბაჟო პროცედურაში, იგი ავტომატურად ექვემდებარება საბაჟო კონტროლსა და საბაჟო ზედამხედველობას ანუ საქონელს უნდა მიენიჭოს საქართველოს ან უცხოური საქონლის სტატუსი. „აღნიშნული სტატუსის მინიჭება იწვევს ისეთი პროცედურების დაწყებას, როგორიცაა საბაჟო დათვალიერება და საბაჟო გაფორმება“[311].

საბაჟო დათვალიერება - საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირთა ადმინისტრაციული მოქმედებაა, რომელშიც იგულისხმება სატრანსპორტო საშუალებების, შენობების ან მასში მოთავსებული საქონლის გარეგანი სახის შემოწმება. საბაჟო დათვალიერებისას სატრანსპორტო საშუალებებისა და საქონლის გახსნა, საგნების მთლიანობის დარღვევა არ ხდება.

საბაჟო გაფორმება - გარკვეული საბაჟო პროცედურების ჩატარებაა, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შესაბამის პროცედურაში მოქცევისა და ამ პროცედურის დამთავრების მიზნით.

---

[311] აბელაშვილი ნოდარ, პროდუქციის ხარისხის აუდიტი და ექსპერტიზა საბაჟო სისტემაში, თბილისი, 2011, 153, https://gtu.ge/book/nodar%20abelashvili.pdf .

გაფორმების ეკონომიკური ზონა – შემოსავლების სამსახურის სპეციალურად შექმნილი საბაჟო კონტროლის ზონა, სადაც ხდება საქონლის გაფორმება.

ინსტრუქციის **„საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“, 1-ლი მუხლის („საქონლის წარდგენა გაფორმების ადგილზე“)** მიხედვით, საქონლის წარდგენისა და გაფორმების ვალდებულება ეკისრება დეკლარანტს/ საქონლის მფლობელს. **გაფორმების საბაჟო ორგანოში საქონლის წარდგენა ხორციელდება საბაჟო კონტროლის ზონაში საქონლის ფაქტობრივი განთავსებით, გარდა:**

- ა) გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლისა, რომელზეც გადამუშავების ვადის გასვლამდე გამოიყენება ექსპორტის პროცედურა;
- ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებული საქონლის (შიდა გადამუშავების პროცედურაში საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული ან წარმოებული პროდუქტის გარდა) ექსპორტისა, თუ საბაჟო დეკლარაციის მიმართ გამოსაყენებელი საბაჟო კონტროლის ღონისძიებები ხორციელდება საბაჟო გამშვებ პუნქტში, საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას;
- გ) „ოქროს სიის“ მონაწილის ან „საბაჟო გამარტივებისათვის“ ავტორიზაციის მფლობელი ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის კუთვნილი საქონლისა, რომლის გაშვებაც ხორციელდება საბაჟო გამშვები პუნქტიდან, ან საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანამდე შევსებული საბაჟო დეკლარაციით თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების, მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების, დროებით შემოტანის ან შიდა გადამუშავების პროცედურაში გაცხადებული საქონლისა, როდესაც საბაჟო დეკლარაციისათვის შეფასების ნომრის მინიჭება ხორციელდება საბაჟო გამშვებ პუნქტში;
- დ) საგანგებო სიტუაციების შედეგებზე რეაგირებისთვის, ან წვრთნების ჩასატარებლად, ან მილსადენსა და ელექტროგადამცემ ხაზებზე ავარიის პრევენციის მიზნით პროფილაქტიკური და

სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად განკუთვნილი საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას ან შესაბამისი ტექნიკის სახით საქონლის დროებით შემოტანისას; სხვა ქვეყანაში შექმნილი საგანგებო სიტუაციის შედეგებზე რეაგირების, ან მილსადენსა და ელექტროგადამცემ ხაზებზე ავარიის პრევენციისათვის პროფილაქტიკური და სარემონტო სამუშაოების შესრულების მიზნით საქონლის ან წვრთნების ჩატარების მიზნით ტექნიკის სახით საქონლის ექსპორტისას; საგანგებო მდგომარეობის მოქმედების დროს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების, დროებით შემოტანის, ექსპორტის საბაჟო პროცედურების გამოყენებისას გამარტივებული საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლისა[312].

• ე) საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონლისა, რომლის გაშვებაც ხორციელდება საფოსტო გზავნილის გადამზიდველის საწყობიდან.

• ვ) **ერთი მიმღების მისამართით გაგზავნილი საქონლისა, თუ:**

• ვ.ა) თავისუფალ მიმოქცევში გაშვების ან შიდა გადამუშავების პროცედურისათვის განკუთვნილი საქონლის დანიშნულების ადგილზე მიტანის ვადის გასვლამდე დეკლარანტის მიერ შეივსო და დარეგისტრირდა საქონლის საბაჟო დეკლარაცია და საქონელი განთავსდა საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე;

• ვ.ბ) თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში წინასწარ დეკლარირებული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას საბაჟო გამშვებ პუნქტში საბაჟო დეკლარაციისათვის განისაზღვრა „ყვითელი დერეფანი“ და საქონელი განთავსდა საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე ან გაშვებულ იქნა საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო კონტროლის ორგანიზაციის სამმართველოს მიერ, ამ

---

[312] იხ. ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“, მ.11. „გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის გამოყენება“, 1-ლი პუნქტის „ა-გ“ ქვეპუნქტები, 1-ლი მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.

ბრძანებით დამტკიცებული „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №5) 3[1] მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად;

- ვ.გ) თავისუფალ მიმოქცევში გაშვების ან შიდა გადამუშავების პროცედურისათვის განკუთვნილი საქონლის დათვალიერება გაფორმების საბაჟო ორგანოს ტერიტორიაზე შეუძლებელია და საქონელი განთავსდა საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე;

- ზ) ექსპორტის პროცედურისათვის განკუთვნილი საქონლისა, თუ მისი დათვალიერება საბაჟო ორგანოს თანხმობით ხორციელდება მასთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე.

- თ) იმ შემთხვევებისა, როდესაც საბაჟო კონტროლის ზონაში საქონლის წარდგენა შეუძლებელია მისი დემონტაჟის ან/და წარმოების უწყვეტი ციკლის შეფერხების გარეშე ან/და მისი დათვალიერება საბაჟო ორგანოს თანხმობით ხორციელდება მასთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე:

  - თ.ა) საქონლის დროებით შემოტანის წინასწარ განსაზღვრული ვადის გაგრძელებისას;
  - თ.ბ) დროებით შემოტანილი საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მოქცევისას;
  - თ.გ) შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეულ საქონელზე გადამუშავების ვადის გაგრძელებისას;
  - თ.დ) მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში შემოტანილი საქონლის მიზნობრივი გამოყენების სტატუსის გაუქმების შემდეგ იმპორტის გადასახდელის გადახდისა და შესაბამის საბაჟო პროცედურაში მოქცევისას;

- ი) მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში შემოტანილი საქონლის იმ პირზე გასხვისების შემთხვევაში, რომელიც საქონელს იყენებს იმავე მიზნობრივი დანიშნულებით, ან ისეთი მიზნობრივი დანიშნულებით რისთვისაც საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მოქცევისას იმპორტის გადასახდელზე გამოყენებული იქნებოდა შეღავათები.

ზემოთ მოცემული „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში დეკლარანტმა/საქონლის მფლობელმა უნდა

უზრუნველყოს შეთანხმებულ ტერიტორიაზე საქონლის დათვალიერებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა, ხოლო საბაჟო ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში, საქონლის წარდგენა საბაჟო ორგანოს მიერ მითითებულ საბაჟო კონტროლის ზონაში[313].

განსახილველი ინსტრუქციით განისაზღვრება „საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის განსაზღვრის ვადა“-ს, კერძოდ:

1. საბაჟო პროცედურის განსაზღვრის ფორმალობები შეიძლება განხორციელდეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანამდე – არაუადრეს 45 კალენდარული დღისა, ხოლო შემოტანის შემდეგ საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის განსაზღვრის ფორმალობები შეიძლება განხორციელდეს საქართველოს საბაჟო კოდექსის 78-ე მუხლით განსაზღვრულ ვადაში, კერძოდ:

დროებით შენახული უცხოური საქონელი საბაჟო პროცედურაში უნდა მოექცეს ან მისი რეექსპორტი უნდა განხორციელდეს 30 დღეში. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადა შემციროს ან 60 დღით გაზარდოს. საბაჟო საწყობში საქონლის დროებით შენახვის შემთხვევაში ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ვადა 180 დღეა. საქონელი, რომლის მიმართაც უკვე განსაზღვრულია საბაჟო პროცედურა, გარდა ექსპორტის პროცედურისა, შესაბამისი პირის მოთხოვნით საბაჟო საწყობში შეიძლება შენახულ იქნეს დროებით, არაუმეტეს 180 დღისა, ხოლო ექსპორტის პროცედურის შემთხვევაში - არაუმეტეს 120 დღისა. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია გაზარდოს ამ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით დადგენილი ვადები არაუმეტეს 180 დღით.

სეს ესნ-ის 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ3-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელის და ნახევრადმისაბმელის დეკლარირება ხდება საქართველოს შინაგან

---

[313] ინსტრუქციის „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“, 1-ლი მუხლის მე-3 ნაწილი ძალადაკარგულად მე-2 პუნქტის „ვ-ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შესაბამისობის გამოყენებაზე.

საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ან საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის (შემდგომში – მოწმობა) შევსების თარიღიდან **60 კალენდარულ დღეში.**

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქის (მათ შორის, უცხო ქვეყნის მოქალაქის, რომელიც იმავდროულად საქართველოს მოქალაქეა) მიერ შემოტანილი, უცხოეთში რეგისტრირებული მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალების, მისი მისაბმელის ან ნახევრად მისაბმელის, ავტობუსის ან მოტოციკლეტის (რომლის ძრავას მუშა-მოცულობა 50 სმ3-ზე მეტია) დეკლარირება ხდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის თარიღიდან **90** კალენდარულ დღეში.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი და სპეციალური ანგარიშ-ფაქტურით გადაადგილებული ნავთობპროდუქტების დეკლარირება ხდება ზოგადი დეკლარირების საფუძველზე გაცემული მოწმობის შევსების თარიღიდან **5 კალენდარულ დღეში.**

სეს ესნ-ის 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ3-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელის და ნახევრადმისაბმელის, დეკლარირების ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადის გაგრძელება შესაძლებელია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით გათვალისწინებული საფასურის გადახდით, არა უმეტეს **30 კალენდარული დღით.**

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“, დამტკიცდეს სსიპ –

შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის თანდართული საფასურები და მათი განაკვეთები.

სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურები და მათი განაკვეთები[314]

№	მომსახურების სახე	მომსახურების ვადა	მომსახურების ტარიფი (დღგ-ის ჩათვლით)	მომსახურების სახე
1.	აზარტული და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვების გაცემა	20 სამუშაო დღე 10 სამუშაო დღე 5 სამუშაო დღე 1 სამუშაო დღე	უფასო 150 ლარი 300 ლარი 1000 ლარი.	აზარტული და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვების გაცემა
2.	პირადი საგადასახადო აგენტის მომსახურება	6 თვე	2000 ლარი.	პირადი საგადასახადო აგენტის მომსახურება
3.	მნიშვნელოვანი ქონებით უზრუნველყოფილ პირზე რეზიდენტობის შესახებ ცნობის დაჩქარებული წესით გაცემა	2 სამუშაო დღეზე მეტი 2 სამუშაო დღე	უფასო 30 ლარი.	მნიშვნელოვანი ქონებით უზრუნველყოფილ პირზე რეზიდენტობის შესახებ ცნობის დაჩქარებული წესით გაცემა
4.	გადასახადის გადამხდელის საბანკო ანგარიშების შესახებ ცნობის გაცემა	3 სამუშაო დღეზე მეტი 3 სამუშაო დღე 1 სამუშაო დღე	უფასო 10 ლარი 20 ლარი.	გადასახადის გადამხდელის საბანკო ანგარიშების შესახებ ცნობის გაცემა

[314] საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2800?publication=0.

5.	არქივიდან 3 თვემდე პერიოდისათვის ყოველთვიური დეკლარაციისა და მისი დანართების ასლის გაცემა	10 სამუშაო დღე 2 სამუშაო დღე	50 ლარი 150 ლარი.	არქივიდან 3 თვემდე პერიოდისათვის ყოველთვიური დეკლარაციისა და მისი დანართების ასლის გაცემა
6.	არქივიდან 3-დან 6 თვემდე პერიოდისათვის ყოველთვიური დეკლარაციისა და მისი დანართების ასლის გაცემა	10 სამუშაო დღე 2 სამუშაო დღე	100 ლარი 250 ლარი.	არქივიდან 3-დან 6 თვემდე პერიოდისათვის ყოველთვიური დეკლარაციისა და მისი დანართების ასლის გაცემა
7.	არქივიდან 6 თვიდან 1 წლამდე პერიოდისათვის ყოველთვიური დეკლარაციის ასლის გაცემა	10 სამუშაო დღე 2 სამუშაო დღე	150 ლარი 350 ლარი.	არქივიდან 6 თვიდან 1 წლამდე პერიოდისათვის ყოველთვიური დეკლარაციის ასლის გაცემა
8.	არქივიდან 1 წელზე მეტი პერიოდისათვის ყოველთვიური დეკლარაციის ასლის გაცემა	10 სამუშაო დღე 2 სამუშაო დღე	250 ლარი 500 ლარი.	არქივიდან 1 წელზე მეტი პერიოდისათვის ყოველთვიური დეკლარაციის ასლის გაცემა
9.	არქივიდან წლიური დეკლარაციის ასლის გაცემა 1 საანგარიშო პერიოდისათვის	10 სამუშაო დღე 2 სამუშაო დღე	50 ლარი 150 ლარი.	არქივიდან წლიური დეკლარაციის ასლის გაცემა 1 საანგარიშო პერიოდისათვის
10.	გადამხდელის ინიციატივით არაგეგმური საგადასახადო შემოწმების ჩატარება		1 000 000-მდე წლიური ბრუნვის მქონე პირებისათვის – 10 000 ლარი; 1 000 000-ზე მეტი	გადამხდელის ინიციატივით არაგეგმური საგადასახადო შემოწმების ჩატარება

			წლიური ბრუნვის მქონე პირებისათვის – 30 000 ლარი.	
11.	საბაჟო საწყობის საქმიანობის, თავისუფალი საწყობის საქმიანობის. უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის დაჩქარებული წესით გაცემა	20 სამუშაო დღე 10 სამუშაო დღე	უფასო ყოველ კვადრატულ მეტრზე 0.1 ლარი, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა; რეზერვუარის ერთ კუბურ მეტრზე 0.05 ლარი, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა; დახურული საწყობის შემთხვევაში, საწყისი კოეფიციენტი ნახევრდება; 10 დღეზე უფრო დაჩქარებულ ვადაზე. თითოეულ დაჩქარებულ დღეზე, საწყობის კოეფიციენტს ემატება 0.05 ლარი.	საბაჟო საწყობის საქმიანობის, თავისუფალი საწყობის საქმიანობის, უბაჟო ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის დაჩქარებული წესით გაცემა
12.	წარმოშობის სერტიფიკატის დაჩქარებული წესით გაცემა	2 სამუშაო დღეზე მეტი 2 დღე 4-8 საათი	უფასო 40 ლარი 100 ლარი 150 ლარი.	წარმოშობის სერტიფიკატის დაჩქარებული წესით გაცემა

		1-3 სთ-მდე		
13.	საფოსტო გზავნილის მიმართ საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელება და მიმღების მიერ დასახელებულ ადგილზე მიტანა		კილოგრამზე 1 ლარი, მაგრამ არანაკლებ 30 ლარისა.	საფოსტო გზავნილის მიმართ საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელება და მიმღების მიერ დასახელებულ ადგილზე მიტანა
14.	მსუბუქი ავტომანქანის მიმართ საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელება და მიმღების მიერ დასახელებულ ადგილზე მიტანა		500 ლარი.	მსუბუქი ავტომანქანის მიმართ საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელება და მიმღების მიერ დასახელებულ ადგილზე მიტანა
15.	გემის სანიტარიული კონტროლისაგან გათავისუფლების/ გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობის გაცემა	1 სამუშაო დღე 1-ზე მეტი სამუშაო დღე	400 ლარი 200 ლარი.	გემის სანიტარიული კონტროლისაგან გათავისუფლების/ გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობის გაცემა
16.	„TIR“ წიგნაკით საქონლის გადაზიდვისთვის სატრანსპორტო საშუალების დაშვების მოწმობის გაცემა	4 საათის ვადაში 1 დღის ვადაში 1-ზე მეტი დღის ვადაში	400 ლარი 300 ლარი 200 ლარი.	„TIR“ წიგნაკით საქონლის გადაზიდვისთვის სატრანსპორტო საშუალების დაშვების მოწმობის გაცემა

სეს ესნ-ის 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ3-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელის და ნახევრადმისაბმელის საბაჟო საწყობში დროებით შენახვის შემთხვევაში ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ, დეკლარირების **60-დღიან ვადას ემატება დროებით შენახვის (ფაქტობრივი) ვადა.**

ექსპორტისათვის განკუთვნილ საქონელზე საბაჟო დეკლარაციის წარდგენა ხორციელდება:

- ა) საბაჟო კონტროლის ზონაში საქონლის ფაქტობრივი განთავსების შემთხვევაში – **არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა;**
- ბ) საბაჟო საწყობში საქონლის დროებით შენახვისას – დროებით შენახვის დეკლარაციის რეგისტრაციის თარიღიდან **არაუგვიანეს 180 კალენდარული დღისა,** ხოლო შემოსავლების სამსახურის მიერ საბაჟო საწყობში საქონლის დროებით შენახვის **ვადის არაუმეტეს 180 დღით გაგრძელების შემთხვევაში – არაუგვიანეს გაგრძელებული ვადისა;**
- გ) საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილ საზღვაო ნავსადგურში განსაზღვრულ ტერიტორიაზე (ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების შენახვისათვის განკუთვნილი ტერიტორიის გარდა) საქონლის დროებით შენახვისას – საქონლის ფაქტობრივი განთავსების დღიდან **არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა;**
- დ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე განლაგებული რკინიგზის სადგურების სალიანდაგო ნაწილში საქონლის დროებით შენახვისას – საქონლის ფაქტობრივი განთავსების დღიდან **არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა;**
- ე) გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეულ საქონელზე ექსპორტის გამოყენებისას – **გადამუშავების ვადის გასვლამდე;**
- ვ) თავისუფალი ზონის ტერიტორიაზე თავისუფალი ზონის შექმნამდე შეტანილ საქართველოს საქონელზე – თავისუფალი

ზონის ფუნქციონირების დაწყებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა;

• ზ) წინასწარ დეკლარირების შემთხვევაში – საქონლის საბაჟო ორგანოში წარდგენამდე არაუადრეს 45 კალენდარული დღისა.

ექსპორტისათვის, რეექსპორტისათვის ან ტრანზიტისათვის განკუთვნილი საყარი საქონლის ან შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული სარკინიგზო ვაგონების გადამუშავებით მიღებული, ექსპორტისათვის განკუთვნილი შავი ლითონის ჯართის საქართველოდან საზღვაო გზით გასატანად საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის წარდგენა შესაძლებელია სატრანსპორტო საშუალებაში მათ ჩატვირთვამდეც, თუ დეკლარანტი უზრუნველყოფს:

• ა) საქონლის წარდგენას საბაჟო კონტროლის ზონაში;

• ბ) საქონლის რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე სურვეირული კომპანიის აქტის წარდგენას.

• 8[1]. ექსპორტისათვის, რეექსპორტისათვის ან ტრანზიტისათვის განკუთვნილი, ფოთის/ბათუმის საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებულ საბაჟო საწყობში არსებული საყარი საქონლის (მათ შორის, ე.წ. „ბიგ-ბეგებში“ განთავსებული, წონით არანაკლებ 300 კგ-ისა) ფოლადის/პლასტიკის არმატურის ან ლითონის წნულების შეკვრის (სიგრძით არანაკლებ 12 მ-ისა და წონით არანაკლებ 500 კგ-ისა), ლითონის რულონების (წონით არანაკლებ 500 კგ-ისა) ან ავზების (არანაკლებ 500 ლიტრი ტევადობისა), ლითონის ან პლასტმასის მილების, ალუმინის სხმულების (წონით არანაკლებ 500 კგ-ისა) და ლითონის ბრტყელი ნაგლინის (შეკვრით ან შეკვრის გარეშე, წონით არანაკლებ 500 კგ-ისა) საქართველოდან საზღვაო გზით გასატანად საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის წარდგენა შესაძლებელია სატრანსპორტო საშუალებაში მათ ჩატვირთვამდეც, თუ დეკლარანტი უზრუნველყოფს საქონლის რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე სურვეირული კომპანიის აქტის წარდგენას.

საფოსტო გზავნილებით შემოტანილი საქონლის (ელექტრონული შესყიდვის გზით შეძენილი საქონლის გარდა) დეკლარირება ხორციელდება ზოგადი დეკლარირებიდან (საფოსტო გზავნილების

ნუსხის წარდგენის თარიღიდან) **არა უგვიანეს 90 კალენდარული დღისა,** ხოლო ელექტრონული შესყიდვის გზით შეძენილ საქონელზე ან/და აქციზურ ალკოჰოლურ სასმელებზე ან/და თამბაქოს ნაწარმზე – **არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა.**

ინსტრუქციის მე-2 მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.დ"[315] ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათის მისაღებად:

- ა) **უცხოეთში ყოველ 6 თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ** საქართველოში შემოსული ფიზიკური პირის მიერ საქონელი შემოტანილი უნდა იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე პირის შემოსვლიდან **90 კალენდარული დღის განმავლობაში,** ხოლო საბაჟო დეკლარაცია წარედგინება საბაჟო პროცედურის განსაზღვრისათვის ამ მუხლით გათვალისწინებულ ვადებში;
- ბ) საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობიდან ან საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამოწვეული დიპლომატიური თანამდებობის პირის მიერ საქონელი შემოტანილი უნდა იქნეს პირის როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამოწვევიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში, ხოლო საბაჟო დეკლარაცია წარედგინება საბაჟო პროცედურის განსაზღვრისათვის ამ მუხლით გათვალისწინებულ ვადებში.

ინსტრუქციის მე-2 მუხლის შენიშვნით:

---

[315] იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებულია: უცხოეთში ყოველ 6 თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ საქართველოში შემოსული ფიზიკური პირის მიერ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე–97-ე ჯგუფების (გარდა 87-ე ჯგუფისა) შესაბამისი 15 000 ლარის ღირებულების საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის, ხოლო საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობიდან ან საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამოწვეული დიპლომატიური თანამდებობის პირისათვის – დამატებით მის მიერ პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის (ოჯახზე თითო სატრანსპორტო საშუალების, მაცივრის, კომპიუტერისა და ტელევიზორის) იმპორტი.

საკომენტარო ინსტრუქციის მე-2 მუხლის („საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის განსაზღვრის ვადა“) მე-10 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული შეღავათი გავრცელდება იმ საქონელზეც, რომელიც გადაადგილდება სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებით და დეკლარირდება სხვადასხვა საბაჟო დეკლარაციით, თუ საქონლის საერთო რაოდენობა და ღირებულება არ აღემატება მითითებული ქვეპუნქტით განსაზღვრულ რაოდენობასა და ღირებულებას.

საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობიდან ან საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამოწვეული დიპლომატიური თანამდებობის იმ პირების მიმართ, რომლებიც როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამოწვეულ იქნენ 2020 წლის 1 აგვისტომდე პერიოდში, ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი ვადის ათვლის განხორციელება დაიწყო 2020 წლის 1 აგვისტოდან.

„ბ“ ქვეპუნქტში საუბარია: საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობიდან ან საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამოწვეული დიპლომატიური თანამდებობის პირის მიერ საქონელი შემოტანილი უნდა იქნეს პირის როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამოწვევიდან 90 კალენდარული დღის განმავლობაში, ხოლო საბაჟო დეკლარაცია წარედგინება საბაჟო პროცედურის განსაზღვრისათვის ამ მუხლით გათვალისწინებულ ვადებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.ე“ ქვეპუნქტით[316] გათვალისწინებული შეღავათის მისაღებად არაკონომიკური საქმიანობისათვის განკუთვნილ იმ საქონელზე, რომელიც:

- ა) საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მიღების შემდგომ პირის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოსავლისას (მაგრამ არა უგვიანეს საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მიღების დღიდან 30 კალენდარული დღისა) მასთან ერთად არ გადაადგილდება, პირი საბაჟო გამშვებ პუნქტში შევსებულ „ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციაში“ აცხადებს ასეთი საქონლის შემოტანის განზრახვის თაობაზე,

[316] იხ. 306 სქოლიო.

ხოლო საბაჟო დეკლარაციისა და საქონლის წარდგენა ხორციელდება საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მიღების დღიდან **არა უგვიანეს 90 კალენდარული დღისა;**

- ბ) შეღავათით სარგებლობის უფლების მქონე პირისათვის იგზავნება მის მიერ საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გადაკვეთის გარეშე, პირი საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მიღების დღიდან:
  - ბ.ა) **არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა** საბაჟო ორგანოში წარადგენს „საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მქონე/მაძიებელი პირის განაცხადს საქართველოში შემოსატანი საქონლის შესახებ“ (დანართი №8-I-01);
  - ბ.ბ) **არა უგვიანეს 90 კალენდარული დღისა** წარადგენს საბაჟო დეკლარაციას და საქონელს;
- გ) საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მაძიებელი პირის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოსვლისას (მაგრამ არაუგვიანეს უფლებამოსილ ორგანოში საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მოსაპოვებლად განაცხადის წარდგენის დღიდან **30 კალენდარული დღისა**) მასთან ერთად არ გადაადგილდება, პირი საბაჟო გამშვებ პუნქტში შევსებულ „ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციაში“ აცხადებს ასეთი საქონლის შემოტანის განზრახვის თაობაზე, ხოლო საბაჟო დეკლარაციისა და საქონლის წარდგენა ხორციელდება საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მოსაპოვებლად განაცხადის წარდგენის დღიდან **არა უგვიანეს 90 კალენდარული დღისა;**
- დ) საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მაძიებელი პირისათვის იგზავნება მის მიერ საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გადაკვეთის გარეშე, პირი უფლებამოსილ ორგანოში საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მოსაპოვებლად განაცხადის წარდგენის დღიდან:
  - დ.ა) **არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა** საბაჟო ორგანოში წარადგენს „საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მქონე/მაძიებელი პირის განაცხადს საქართველოში შემოსატანი საქონლის შესახებ“ (დანართი №8-I-01);

• დ.ბ) არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა წარადგენს საბაჟო დეკლარაციას და საქონელს.

გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის გამოყენებით გათვალისწინებული შეღავათი გავრცელდება იმ საქონელზეც, რომელიც გადაადგილდება სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებით და დეკლარირდება სხვადასხვა საბაჟო დეკლარაციით, თუ ამ საქონლის საბაჟო ორგანოსათვის წარდგენა განხორციელდა საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მიღების ან საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლების მოსაპოვებლად განაცხადის წარდგენის დღიდან **90 კალენდარული დღის განმავლობაში.**

საზღვაო გზით შემოტანილი საქონლის საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილ საზღვაო ნავსადგურში განსაზღვრულ ტერიტორიაზე (ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების შენახვისათვის განკუთვნილი ტერიტორიის გარდა) დროებით შენახვის შემთხვევაში – საქონლის დეკლარირება ხორციელდება ზოგადი დეკლარირებიდან **არა უგვიანეს 90 კალენდარული დღისა.**

რკინიგზით გადაადგილებული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე განლაგებული რკინიგზის სადგურების სალიანდაგო ნაწილში დროებით შენახვის შემთხვევაში საქონლის დეკლარირება ხორციელდება ზოგადი დეკლარირებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა.

ფიზიკურ პირს დეკლარირების ვალდებულება წარმოეშობა:

• ა) ეკონომიკური საქმიანობისათვის განკუთვნილი საქონლის შემოტანისას/გატანისას;

• ბ) თუ მის მიერ შემოტანილი საქონლის რაოდენობა ან/და ღირებულება აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსის

199-ე მუხლის „დ.ა“[317], „დ.ბ“[318], „დ.გ“[319], „დ.გ[1]“[320], „დ.ზ[321]“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დაუბეგრავ რაოდენობასა და

---

[317] იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებულია: კალენდარულ დღეში ერთხელ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 02, 04, 06-12, 15-21 ჯგუფებისა და 0302-0307, 2201-2202 სასაქონლო პოზიციების შესაბამისი ჯამური თანხით 500 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის კვების პროდუქტების იმპორტი (მათ შორის, საფოსტო გზავნილის შემთხვევაში), რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის.

[318] იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებულია: 30 კალენდარულ დღეში ერთხელ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე–97-ე ჯგუფებით (საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 90 980 01 კოდით გათვალისწინებული საქონლის გარდა) გათვალისწინებული 500 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის იმპორტი, რომელიც ეკონომიკური საქმიანობისათვის განკუთვნილი არ არის.

[319] იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებულია: მგზავრის მიერ 200 ღერი სიგარეტის ან 50 სიგარის ან 50 სიგარილას ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 02 კოდით გათვალისწინებული 200 ღერი თამბაქოს ნაწარმის ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 01 კოდით გათვალისწინებული 10 ცალი კაფსულის და მსგავსი სახის პროდუქტის ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმის (გარდა თამბაქოს ნედლეულისა) იმპორტი, ან ამ ქვეპუნქტში მითითებული თამბაქოს ნაწარმის სახეობათა ნაკრების იმპორტი, თუ მასში შემავალი თითოეული სახეობის თამბაქოს ნაწარმის წილის პროცენტულ მაჩვენებელთა (პროცენტული მაჩვენებელი შესაბამის ზღვრულ ოდენობასთან მიმართებით) ჯამი 100-ს არ აღემატება, ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 90 980 01 კოდით გათვალისწინებული 50 მლ საქონლის იმპორტი, რომელიც მგზავრის გადაყვანისას ბარგით ან/და ხელბარგით გადაიზიდება და რომელიც ეკონომიკური საქმიანობისათვის არ არის განკუთვნილი.

[320] იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებულია: მგზავრის მიერ ჯამურად 1 ლიტრი 22% და 22%-ზე მეტი ალკოჰოლის შემცველობის ალკოჰოლიანი სასმელის ან 80% და 80%-ზე მეტი ალკოჰოლის შემცველობის არადენატურირებული ეთილის სპირტის ან 2 ლიტრი 22%-ზე ნაკლები

ღირებულებას, ან თუ საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონელი იბეგრება/არ არის გათავისუფლებული იმპორტის გადასახდელისაგან, ან/და საქონლის შემოტანა შეზღუდულია ან/და საქონლის შემოტანისათვის საჭიროა ნებართვა ან ლიცენზია;

• გ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.დ" [322]და „დ.ე" [323] ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქონლის შემოტანისას;

ალკოჰოლის შემცველობის ალკოჰოლიანი სასმელის იმპორტი, ან ამ ქვეპუნქტში მითითებული ალკოჰოლიანი სასმელის (გარდა ლუდისა და ღვინისა) სახეობათა ნაკრების იმპორტი, თუ მასში შემავალი თითოეული სახეობის ალკოჰოლიანი სასმელის (გარდა ლუდისა და ღვინისა) წილის პროცენტულ მაჩვენებელთა (პროცენტული მაჩვენებელი შესაბამის ზღვრულ ოდენობასთან მიმართებით) ჯამი 100-ს არ აღემატება, ან 4 ლიტრი ღვინის და 16 ლიტრი ლუდის იმპორტი, რომლებიც მგზავრის გადაყვანისას ბარგით ან/და ხელბარგით გადაიზიდება და რომლებიც ეკონომიკური საქმიანობისათვის არ არის განკუთვნილი.

[321] იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებულია: საჰაერო ტრანსპორტით შემოტანის შემთხვევაში საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე–97-ე ჯგუფების შესაბამისი 3 000 ლარამდე ღირებულების, 30 კგ-მდე საერთო წონის საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის.

[322] იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებულია: უცხოეთში ყოველ 6 თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ საქართველოში შემოსული ფიზიკური პირის მიერ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე–97-ე ჯგუფების (გარდა 87-ე ჯგუფისა) შესაბამისი 15 000 ლარის ღირებულების საქონლის იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის, ხოლო საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობიდან ან საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამოწვეული დიპლომატიური თანამდებობის პირისათვის – დამატებით მის მიერ პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის (ოჯახზე თითო სატრანსპორტო საშუალების, მაცივრის, კომპიუტერისა და ტელევიზორის) იმპორტი.

[323] იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებულია: საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლისას (რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით გაცემული შესაბამისი

• დ) საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებულ ნაღდ ფულზე (ეროვნული ან/და უცხოური ვალუტა), ჩეკებსა ან/და სხვა ფასიან ქაღალდებზე, რომელთა ჯამური ოდენობა აღემატება 30 000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში.

• ე) ელექტრონული შესყიდვის გზით შეძენილი საქონლის საფოსტო გზავნილით შემოტანისას.

რაც შეეხება სეს ესნ-ით გათვალისწინებულ საქონელთა ნუსხას, იხ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის ბრძანება №275 წლის „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე" დანართი #1[324].

ასევე, რაც შეეხება საქონლის საბაჟო პროცედურაში/რეექსპორტში დეკლარირებას, საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის შევსებასა და საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის განსაზღვრისას წარსადგენი დოკუმენტების ნუსხას, ამ საკითხებზე ვრცლად ზემოთ იყო საუბარი და ამ შემთხვევაში ხელმეორედ განმეორება აღნიშნული საკითხებისა საჭიროდ არ მიმაჩნია.

საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებულია საბაჟო გაფორმების დრო და ადგილი. *საბაჟო გაფორმება როგორც წესი, წარმოებს ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრულ დროსა და ადგილას, საბაჟო ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე, სადაც იმყოფება საქონლის გამგზავნი, მიმღები ან მათი სტრუქტურული ქვედანაყოფი.*

საბაჟო გაფორმების დრო განისაზღვრება 10.00. საათიდან 18 საათამდე, ხოლო დაინტერესებული პირის თხოვნით, მისი ხარჯითა და საბაჟო ორგანოს წერილობითი თანხმობით, საბაჟო გაფორმება შეიძლება განხორციელდეს განცხადებაში მითითებულ ადგილზე და საბაჟო ორგანოს არასამუშაო დროსაც.

ფინანსთა სამინისტროს საბაჟო სამსახური უფლებამოსილია დაადგინოს, რომ ცალკეული კატეგორიის საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმება განახორციელონ მხოლოდ განსაზღვრულმა საბაჟო ორგანოებმა.

საბაჟო გაფორმება წარმოებს ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთში - აფხაზურ ენაზე.

დოკუმენტით) საქონლის (მათ შორის, ავეჯის, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის, ოჯახზე ერთი სატრანსპორტო საშუალების) იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის.

[324] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3.

საქონლის გაფორმებისათვის წარდგენილი დოკუმენტების შესახებ განაცხადი

დოკუმენტის დასახელება	დოკუმენტის №	ფურცლების რაოდენობა	შენიშვნა
საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობა			
ხელშეკრულება			
შესყიდვის დოკუმენტი (ინვოისი ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტი)			
სატრანსპორტო ზედნადები (CMR)			
სარკინიგზო ზედნადების მონაცემების შესახებ განაცხადი			
კონოსამენტი			
მანიფესტი			
შეფუთვის ფურცელი			
TIR-წიგნაკის ფურცელი			
წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი			
საბანკო გარანტია			
ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისი			
სახელმწიფო ხაზინის ცნობა სახელმწიფო ხაზინაში გარანტიის სახით სათანადო თანხის			

(დეპოზიტის) შეტანის თაობაზე			
გარანტიის სახით უძრავი ქონების იპოთეკის რეგისტრაციის თაობაზე ამონაწერი საჯარო რეესტრიდან			
იპოთეკის ხელშეკრულება			
საქართველოს რეზიდენტის თავდებობის ხელშეკრულება			
წინასწარი გადაწყვეტილება			
ექსპერტიზის დასკვნა			
სხვა დოკუმენტები:			
ფურცლების რაოდენობა სულ –			

დოკუმენტების წარმომდგენი პირის:

1. სახელი, გვარი ----------
2. პირადი ნომერი ----------
3. ხელმოწერა ----------

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ უფლებამოსილ პირებსა და მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ, საბაჟო ორგანოს მოთხოვნით - ვალდებულნი არიან დაესწრონ საბაჟო გაფორმებას. **საბაჟო ორგანოს მოთხოვნით საქართველოს საბაჟო საზღვრის საქონლით გადაკვეთის მომენტისათვის, ამ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრე, ან მის მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია განახორციელოს საბაჟო გაფორმებისათვის საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული საჭირო ოპერაციები:** საქონლის, რაოდენობის განსაზღვრა საქონლის გადაზიდვამდე მისი რაოდენობის, ხარისხისა და ღირებულების სავალდებულო ინპექტირების უზრუნველყოფა, დატვირთვა, გადმოტვირთვა, გადატვირთვა, დაზიანებული შეფუთვის შეკეთება, საფუთავის გახსნა, შეფუთვა ან ხელახალი შეფუთვა. საწყობის მფლობელი ასევე ვალდებულია, გააღოს სათავსები, საცავები და სხვა ადგილები, სადაც შეიძლება იყოს მოთავსებული საბაჟო გაფორმებას დაქვემდებარებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები.

აღნიშნული ოპერაციები ხორციელდება მხოლოდ საბაჟო ორგანოს ნებართვით.

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებულია საბაჟო გაფორმების პრიორიტეტული წესები. მალფუჭებადი საქონლის, ცხოველების, მასობრივი ინფორმაციის შემცვლელი საქონლის, საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა მისამართზე გაგზავნილი, აგრეთვე სტიქიური უბედურებების, ავარიების, კატასტროფების დროს საბაჟო ტერიტორიაზე საჭირო საქონლის შემოტანისა და ამ ტერიტორიიდან გატანის დროს მათი საბაჟო გაფორმება ხდება გამარტივებული და პრიორიტეტული წესით.

დაუშვებელია იმ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება ან განკარგვა, რომელთა მიმართ საბაჟო გაფორმება არ დამთავრებულა.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საბაჟო დეკლარაციების შესახებ ამ პარაგრაფში საუბარი არ გვქონდა, რამეთუ მის შესახებ ვრცელი კომენტარი იქნა შემოთავაზებული იმ პარაგრაფში, სადაც საბაჟო დეკლარაციებზე, მის სახეებზე, შევსების წესებზე და ა.შ. იყო საუბარი.

საბაჟო გაფორმების პროცედურება და საბაჟო პროცედურების სახეები. ამ შემთხვევაში ავღნიშნავდით, რომ: საბაჟო დეკლარაციის მიღებისა და საბაჟო ორგანოების მიერ მისი შემოწმების შემდეგ ხორციელდება გაფორმების შემდეგი პროცედურები: 1. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენა, მათი დათვალიერება და საბაჟო შემოწმება. 2. საქონლის სინჯებისა და ნიმუშების აღება[325]. 3. საქონლის გადაზიდვაზე ჩატარებული ინსპექტირების დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმება; 4. გადასახადების გამოანგარიშება და გადახდევინება; 5. საბაჟოსათვის გარანტიების წარდგენა; 6. საქონლის გაშვება.

საბაჟო კანონმდებლობა განსაზღვრავს საბაჟო გაფორმების პროცედურების განხორციელების წესებს. საბაჟო ორგანოები ახორციელებენ საქონლის დათვალიერებას, ამოწმებენ საქონლის დასახელების, წარმოშობის, მდგომარეობის, რაოდენობის, ღირებულების შესაბამისობას წარმოდგენილი დეკლარაციის მონაცემებთან. საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადამაადგილებელ პირს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს საქონლის საბაჟო დათვალიერებასა და შემოწმებას. ფზიკური პირის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას და კონტროლის ზონასი ყოფნისას, საბაჟო ორგანოს მუშაკს უფლება აქვს მოსთხოვოს მას პირადი ნივთების წარდგენა საბაჟო დათვალიერებისათვის და დაათვალიეროს ისინი. ფიზიკური პირი კი ვალდებულია დაეხმაროს საბაჟო ორგანოს წარმომადგენელს განახორციელოს თავისი ვალდებულებები. ფიზიკური პირის ნივთების დათვალიერება ხდება მფლობელის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით. საბაჟო ორგანოები არ უნაზღაურებენ საქონლის მესაკუთრეს იმ ზიანს, რომელიც დაკავშირებულია სინჯებისა და ნიმუშების აღებასთან.

საბაჟო გაფორმების მიზნით საბაჟო ორგანოები უფლებამოსილი არიან აიღონ საქონლის სინჯები და ჩაატარონ მათი გამოკვლევა (ექსპერტიზა). საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის

---

[325] საქონლის სინჯებისა და ნიმუშების აღების შესახებ ვრცელი საუბარი იყო საბაჟო სამართლის პირველ ნაწილში. იხ. ხარაზი ი. საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021.

სინჯები და ნიმუშები, კონტროლის განხორციელების მიზნით, საბაჟო ორგანოს ნებართვით, შეუძლიათ აიღონ აგრეთვე საქონლის მფლობელებმა ამ მათმა წარმომადგენლებმა და სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოებმა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. სინჯებსა და ნიმუშებს იღებენ იმ მინიმალური ოდენობით, რომ საკმარისია მათ გამოსაკვლევად. აუცილებლობის შემთხვევაში, საქონლის სინჯისა და ნიმუშის აღება წარმოებს ექსპერტის ან სპეციალისტის მონაწილეობით.

საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის სინჯებისა და ნიმუშების აღება, საბაჟო ორგანოს წერილობითი თანხმობით, შეუძლია ასევე დეკლარანტს, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ სხვა უფლებამოსილ პირს, მათ წარმომადგენლებს და სხვა სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების თანამშრომლებს, თუ მათი აღება:

- ა) არ ეწინააღმდეგება და არ ართულებს საბაჟო კონტროლის განხორციელებას;
- ბ) არ ცვლის საქონლის მახასიათებელ ნიშნებს.

ნავთობის ან ნავთობპროდუქტის დროებით შენახვისას, დეკლარანტს ან საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ სხვა უფლებამოსილ პირს შეუძლია, სურვეირული კომპანიის წარმომადგენლის მონაწილეობით მოახდინოს სასაქონლო პარტიიდან ნებისმიერი ან ყველა სატრანსპორტო საშუალების გახსნა, სინჯის აღება და ლაბორატორიაში გადაგზავნა.

სინჯისა და ნიმუშის აღებისას დეკლარანტის მიერ სინჯებზე და ნიმუშებზე ცალკე დეკლარაცია არ წარედგინება, იმ პირობით, რომ ისინი გათვალისწინებული იქნება დეკლარაციაში. საბაჟო ორგანოს თანამშრომელს უფლება აქვს, დეკლარანტს ან საქონელზე სხვა უფლებამოსილ პირს და მათ წარმომადგენლებს მოსთხოვოს დასწრება საქონლის სინჯისა და ნიმუშის აღებისას და აღნიშნულთან დაკავშირებული სატვირთო და სხვა საჭირო ოპერაციების განხორციელება. საბაჟო ორგანოს თანამშრომელი ვალდებულია, დაესწროს დეკლარანტის, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუა-

ლებების მიმართ სხვა უფლებამოსილი პირის, მათი წარმომადგენლების და სხვა სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოს თანამშრომლის მიერ სინჯებისა და ნიმუშების აღებას.

საბაჟო ორგანოს თანამშრომელს უფლება აქვს, დეკლარანტისა და მისი წარმომადგენლის დაუსწრებლად აიღოს საქონლის სინჯი ან/და ნიმუში.

სინჯებსა და ნიმუშებს იღებენ იმ მინიმალური ოდენობით, რაც საკმარისია მათ გამოსაკვლევად. იმ შემთხვევაში, თუ საქონლის სინჯების ან/და ნიმუშების გამოკვლევა საჭიროებს სპეციალური ცოდნას, ინიშნება ექსპერტიზა.

ექსპერტიზა ტარდება შემოსავლების სამსახურის ან მოწვეული ექსპერტების (შესაბამისი ორგანიზაციების წარმომადგენლების) მიერ, რომელთაც დასკვნის გასაცემად გააჩნიათ სპეციალური ცოდნა. გადაწყვეტილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ მიიღება საბაჟო დეპარტამენტის უფროსის ან მისი მოადგილის, საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილების უფროსის ან მისი მოადგილის, გეზ-ის უფროსის ან მისი მოადგილის, გეზ-ის შესაბამისი სამმართველოს უფროსის, საბაჟო გამშვები პუნქტის უფროსის ან მისი მოადგილის ან ცვლის უფროსის, საბაჟო რისკების მართვის სამმართველოს უფროსის ან მისი მოადგილის მიერ.

საფოსტო გზავნილის შემთხვევაში გადაწყვეტილება ექსპერტიზის დანიშვის შესახებ მიიღება საფოსტო გზავნილების გადამზიდველის ან გზავნილის მიმღების მიერ იმ შემთხვევაში, როდესაც გზავნილს არ გააჩნია ღირებულების ამსახველი დოკუმენტი ან/და საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ დათვალიერების შედეგად გზავნილის სავარაუდო ღირებულება შეადგენს **300 ლარზე მეტს**, ხოლო ფიზიკური პირის გზავნილის შემთხვევაში **3000 ლარზე მეტს**. იმ შემთხვევაში თუ გზავნილის მიმღები არ ეთანხმება საფოსტო გზავნილების გადამზიდველის დეკლარირებულ ან/და საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ სავარაუდოდ განსაზღვრულ ღირებულებას, საფოსტო გზავნილის ჩაბარებამდე მას თავისი ხარჯით შეუძლია მოითხოვოს საბაჟო ღირებულების შესახებ ექსპერტიზის დასკვნა ან დანიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა. შემოსავლების სამსახურის ექსპერტების მიერ ექსპერტიზა აგრეთვე

შეიძლება ჩატარდეს დეკლარანტის, დაინტერესებული პირის, დავის განმხილველი ორგანოს, საგამოძიებო, სასამართლო ორგანოს ან შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნით. გადაწყვეტილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ მიიღება წერილობითი (მათ შორის, ელექტრონული) ფორმით, რომელშიც აღინიშნება ექსპერტიზის ჩატარების მიზანი, ექსპერტიზის ჩატარების ადგილი, იმ ორგანიზაციის (ექსპერტის) დასახელება, რომელშიც უნდა ჩატარდეს ექსპერტიზა, ექსპერტის წინაშე დასმული კითხვები, ექსპერტიზისათვის წარსადგენი დოკუმენტებისა და მასალების ჩამონათვალი. ექსპერტის მოწვევა ხდება ხელშეკრულების საფუძველზე, რომელშიც, სხვა პირობებთან ერთად, აღინიშნება ექსპერტის მიერ შეგნებულად ცრუ დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში მისი პასუხისმგებლობის შესახებ. საქონლის სინჯებისა და ნიმუშების გამოკვლევის/ექსპერტიზის შედეგების შესახებ უნდა ეცნობოს დეკლარანტს ან საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მიმართ სხვა უფლებამოსილ პირებს ან მათ წარმომადგენლებს.

სხვა სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების მიერ აღებული სინჯისა და ნიმუშის გამოკვლევის შედეგების შესახებ უნდა ეცნობოს საბაჟო ორგანოს და დეკლარანტს ან საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ სხვა უფლებამოსილ პირს ან მათ წარმომადგენლებს.

გამოკვლევის/ექსპერტიზის დამთავრების შემდეგ საქონლის სინჯები ან/და ნიმუშები უბრუნდება მათ მფლობელს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სინჯები და ნიმუშები კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება განადგურებას ან მათი ნაწილი გახარჯული იქნა გამოკვლევის პროცესში ან როდესაც სინჯებისა და ნიმუშების დაბრუნებასთან დაკავშირებული ხარჯები აღემატება მათ ღირებულებას. ამასთან, საბაჟო ორგანო ვალდებული არ არის აანაზღაუროს სინჯის ან/და ნიმუშის აღებით გამოწვეული დანაკლისი.

სასაქონლო ექსპერტიზის (საქონლის რაოდენობის, შემადგენლობის და ძირითადი მახასიათებლების დადგენის, საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის, საქონლის მიმართ საგარეოეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის შესაბამისად, სასაქონლო კოდის განსაზღვრის ან/და საქონლის

წარმოშობის ქვეყნის დადგენის მიზნით) შედეგებზე შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო ღირებულებისა და საქონლის კლასიფიკაციის სამმართველო გასცემს:

• ა) „ექსპერტის დასკვნას – ფორმა №1" (დანართი №2-III-04) – ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ინსტრუქციის „საბაჟო კონტროლის შესახებ" კომენტარო 22-ე მუხლის 13-ე პუნქტში საუბარია: „გადაწყვეტილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ მიიღება საბაჟო დეპარტამენტის უფროსის ან მისი მოადგილის, საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილების უფროსის ან მისი მოადგილის, გეზ-ის უფროსის ან მისი მოადგილის, გეზ-ის შესაბამისი სამმართველოს უფროსის, საბაჟო გამშვები პუნქტის უფროსის ან მისი მოადგილის ან ცვლის უფროსის, საბაჟო რისკების მართვის სამმართველოს უფროსის ან მისი მოადგილის მიერ, ხოლო დანართების შესახებ ფორმულარებიც იხ. აღნიშნულ ინსტრუქციაში.

• ბ) „ექსპერტის დასკვნას – ფორმა №2" (დანართი №2-III-05) – ინსტრუქციის „საბაჟო კონტროლის შესახებ" მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან განმეორებითი სასაქონლო ექსპერტიზის ჩატარებისას[326].

მე-16 პუნქტის თანახმად, „შემოსავლების სამსახურის ექსპერტების მიერ ექსპერტიზა ავრეთვე შეიძლება ჩატარდეს დეკლარანტის, დაინტერესებული პირის, დავის განმხილველი ორგანოს, სააგენტო, სასამართლო ორგანოს ან შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნით.

საბაჟო გაფორმების წინასწარი ოპერაციები. წინასწარი ოპერაციები საბაჟო გაფორმებას წინ უსწრებს. წინასწარმა ოპერაციებმა უნდა გააიოლოს და დააჩქაროს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო გაფორმება. საბაჟო კანონმდებლობით, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოტანის ან ამ ტერიტორიიდან გატანის დროს, მესაკუთრეს ან მის უფლებამოსილ პირს უფლება აქვს საბაჟო ორგანოს წინასწარ შეატყობინოს საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის შესახებ. საბაჟო ორგანო ვალდებულია აღრიცხოს შეტყობინება და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, დანიშნოს დრო და

[326] იხ. ინსტრუქცია საბაჟო კონტროლის შესახებ, დანართი №2, მ. 22.

ადგილი, სადაც უნდა მიიტანონ საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები საბაჟო გაფორმებისათვის.

აღნიშნული შეტყობინების შემდეგ, მესაკუთრე ან მისი უფლებამოსილი პირი ვალდებულია საქონელი, სატრანსპორტო საშუალებები და მათი საბუთები საქონლის მდგომარეობის ცვლილების გარეშე (გარდა იმ ცვლილებებისა, რაც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთის, ტრანსპორტირების ან შენახვის ნორმალური პირობების კლებით), დადგენილი მარშრუტით მიიტანოს საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილას და იმყოფებოდეს იქ მიტანის შემდეგ.

რომ დავაკონკრეტოთ, **წინასწარ ოპერაციებს მიეკუთვნება:** საბაჟო ორგანოების ინფორმირება საქართველოს საბაჟო საზღვრის საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით გადაკვეთის ან გადაკვეთის სურვილის შესახებ; საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიტანა, მიყვანა და დაყენება საბაჟო ორგანოების მიერ მითითებულ საბაჟო გაფორმების ადგილზე; საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენა საბაჟო ორგანოებისათვის; გამართივებული დეკლარაციის წარდგენა.

შეტყობინება ნიშნავს საქონლის მიმღების (გამგზავნის) მიერ საგარანტიო ვალდებულებებისა და საქონლის ანგარიშფაქტურის წარმოდგენას. გადამზიდველი ვალდებულია დათქმულ დროსა და ადგილზე მიიტანოს საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები, აგრეთვე საწირო დოკუმენტები, აგრეთვე საჭირო დოკუმენტები. საქონლის მიტანა ხდება შეფუთვისა და საქონლის მდგომარეობის შეცვლის გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო ორგანომ საბაჟო გაფორმების ჩასატარებლად მიუთითა ადგილი საბაჟო ტერიტორიის სირღმეში (მაგ; თბილისში; ფოთში), ეს საქონელი საბაჟოდან (სასაზღვრო) გაფორმების საბაჟომდე უნდა გადაიზიდოს საბაჟო კონტროლის პირობებში, შიდა საბაჟო ტრანზიტის პროცედურებით და ა.შ[327].

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის #96 დადგენილებით „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემო-

[327] საქონლის გაფორმების პროცედურებზე ასევე საუბარია საბაჟო სამართლის პირველ ნაწილში (ავტ. ხარაზი ი; 2021).

სავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ"[328], სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის დადგენილი საფასურის გადახდისაგან თავისუფლდებიან: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური; საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭო; საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი ვადაგადაცილებულ საგადასახადო და სასესხო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი კომისია; საქართველოს პროკურატურა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს ეროვნული ბანკი; საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.

საქართველოს მთავრობის ზემოთაღნიშნული დადგენილების 11ი-ე მუხლის თანახმად, „საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებებსა და გაფორმების ეკონომიკურ ზონებში „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების" 54-ე, 54ა, 82ბ და 82დ გრაფებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის დადგენილი ტარიფები ორმაგდება საქონლის არასამუშაო დროს დეკლარირების განხორციელების შემთხვევაში, გარდა ქ. ბათუმში, ბაქოს ქ. №11-ში მდებარე გაფორმების ადგილზე „ბათუმის" გაფორმების ეკონომიკური ზონის მიერ საბაჟო დეკლარაციის – ფორმა 4-ის ან კონტეინერით შემოტანილ სატრანსპორტო საშუალებაში განთავსებული საქონლის გაფორმების მიზნით საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის შევსებისას.

საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებებსა და გაფორმების ეკონომიკურ ზონებში „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების" 54ა გრაფით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის დადგენილი ტარიფი ორმაგდება დროებით შენახვის დეკლარაციის არასამუშაო დროს შევსების შემთხვევაში.

---

[328] https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/2800/103/ge/pdf

საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებებსა და გაფორმების ეკონომიკურ ზონებში „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“ 57-ე და მე- 60–64-ე გრაფებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის დადგენილი ტარიფები ორმაგდება მომსახურების გაწევის მოთხოვნით არასამუშაო დროს მიმართვის (გარდა ელექტრონული ფორმით, ავტორიზებული მომხმარებლის გვერდიდან მიმართვისა) შემთხვევაში.

არასამუშაო დროს მომსახურების გაწევისათვის დადგენილი ტარიფები არ ორმაგდება იმ პირისათვის, რომელსაც „ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსი მინიჭებული აქვს სსიპ შემოსავლების სამსახურის უფროსის ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით.

ამ დადგენილების მიზნებისთვის, არასამუშაო დროა:

- ა) საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებებსა და გაფორმების ეკონომიკურ ზონებში (გარდა გაფორმების ეკონომიკური ზონა „ფოთისა“) ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით – 18 საათიდან მომდევნო დღის 10 საათამდე პერიოდი, შაბათს - 18 საათიდან ორშაბათის 10 საათამდე პერიოდი და უქმე დღეები;
- ბ) გაფორმების ეკონომიკურ ზონა „ფოთში“ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით – 21 საათიდან მომდევნო დღის 10 საათამდე პერიოდი, შაბათს - 21 საათიდან ორშაბათის 10 საათამდე პერიოდი და უქმე დღეები.

საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებებსა და გაფორმების ეკონომიკურ ზონებში „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევის დროა:

- ა) მე-60–64ი გრაფებით გათვალისწინებული მომსახურება არ გაიწევა შაბათს 18 საათიდან ორშაბათის 10 საათამდე პერიოდსა და უქმე დღეებში;
- ბ) 54-ე, 543, 544, 68-ე, 681, 86-ე, 87-ე და 103-ე გრაფებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის ან დროებით შენახვის დეკლარაციის შევსება არ განხორციელდება:
  - ბ.ა) შაბათს 18 საათიდან ორშაბათის 10 საათამდე პერიოდსა და უქმე დღეებში;

- ბ.ბ) ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით – 18 საათიდან მომდევნო დღის 10 საათამდე პერიოდში, გარდა „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებით პრიორიტეტული წესით გაფორმებას დაქვემდებარებულ შემთხვევებში საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის შევსებისა;
- გ) 82_1 – 82_4 გრაფებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას საბაჟო დეკლარაციის შევსება არ განხორციელდება შაბათს 18 საათიდან ორშაბათის 10 საათამდე პერიოდსა და უქმე დღეებში.

მთავრობის შესაბამისი დადგენილების მიზნებისთვის, საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებებსა და გაფორმების ეკონომიკურ ზონებში უქმე დღეებს არ წარმოადგენს „უქმე დღეების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 24 დეკემბრის №608 დადგენილებით განსაზღვრული უქმე დღეები.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 24 დეკემბრის №608 დადგენილებით „უქმე დღეების განსაზღვრის შესახებ“, 1-ლი მუხლის თანახმად, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,[329]

---

[329] ორგანული კანონით საქართველოს შრომის კოდექსი გათვალისწინებული უქმე დღეების გარდა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით შესაძლებელია განისაზღვროს სხვა უქმე დღეებიც. დამსაქმებელს უფლება აქვს, მოსთხოვოს დასაქმებულს, რომ მან სამუშაო, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული უქმე დღის ნაცვლად, მის მომდევნო, ან კანონის 24-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ დასვენების დღეს შეასრულოს. 24-ე მუხლის მე-7 პუნქტში იმის შესახებაა საუბარი, რომ: „ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული 12-საათიანი ყოველდღიური დასვენების დროის გარდა, დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებული დასვენებით 7-დღიანი პერიოდის განმავლობაში უწყვეტად არანაკლებ 24 საათისა. მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია დასაქმებულმა არაუმეტეს 14 დღის განმავლობაში მიმდევრობით ორჯერ ისარგებლოს 24-საათიანი დასვენების დროით“. რაც შეეხება 24-ე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ ორგანოებში დასაქმებულთათვის 2022 წლის 3 იანვრიდან 6 იანვრის ჩათვლით დღეები და 8 - 9 იანვარი განისაზღვრა უქმე დღეებად.

მე-2 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო განსაზღვრავს მის დაქვემდებარებაში მყოფ/მის სისტემაში შემავალ სამსახურებს/მოსამსახურეებს, რომელთა მიმართაც არ გავრცელდება ეს დადგენილება, თუ მათი ფუნქციების შესრულება ეპიდემიოლოგიური სიტუაციის მართვისათვის, სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისა და საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის წარმოადგენს გადაუდებელ აუცილებლობას.

აღნიშნული დადგენილება არ ვრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული პირის წინაშე შესასრულებელ ფინანსურ ვალდებულებებზე; ასევე, ეს დადგენილება არ არ ვრცელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ საქმიანობაზე, ასევე, შესყიდვებთან დაკავშირებულ და სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობაზე.[330]

მუხლის მე-4 პუნქტს, მისით განსაზღვრულია, რომ: „სამუშაო დღეებს/ცვლებს შორის დასაქმებულის უწყვეტი დასვენების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 12 საათზე ნაკლები. იხ. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“,
https://www.matsne.gov.ge/document/view/1155567?publication=21.

[330] საქართველოს მთავრობის 2021 წლის 24 დეკემბრის №608 დადგენილება „უქმე დღეების განსაზღვრის შესახებ“,
https://www.matsne.gov.ge/document/view/5326343?publication=0.

2.9. დეკლარანტის ჩანაწერებში მონაცემების ასახვა

საბაჟო ორგანომ პირს მისი განცხადების საფუძველზე შეიძლება მისცეს საბაჟო დეკლარაციის, მათ შორის, გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის[331], დეკლარანტის ჩანაწერებში მონაცემების ასახვის ფორმით წარდგენის ავტორიზაცია, თუ ეს პირი უზრუნველყოფს საბაჟო ორგანოსთვის ამ მონაცემების ხელმისაწვდომობას.

მაგალითი:

იმ შემთხვევაში, თუკი საქონლის შიდა გადამუშავების ოპერაციის გამომყენებელი პირი (დეკლარანტი) თავის, შიდა გადამუშავების პროცედურის მფლობელის უფლებებსა და მოვალეობებს სხვა პირს სრულად ან ნაწილობრივ გადასცემს, ამ შემთხვევაში, საქონლის ახალ მესაკუთრეს წარმოეშობა საქონლის დეკლარირების ვალდებულება. ამასთან: „პროცედურის მფლობელის უფლებებისა და მოვალეობების სხვა პირისათვის ნაწილობრივ გადაცემის (სხვა პირზე საქონლის ნაწილის გასხვისების) შემთხვევაში, წინამწრებ საბაჟო დეკლარაციაში ხორციელდება შესაბამისი ცვლილება და მიეთითება ახალი საბაჟო დეკლარაციის ნომერი და თარიღი"[332].

საბაჟო დეკლარაცია რეგისტრირებულად მიიჩნევა დეკლარანტის ჩანაწერებში საქონლის შესახებ მონაცემების ასახვის მომენტიდან.

საბაჟო ორგანომ პირის განცხადების საფუძველზე შეიძლება გააუქმოს საქონლის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენის ვალდებულება. ამ შემთხვევაში საქონელი გაშვებულად მიიჩნევა დეკლარანტის ჩანაწერებში საქონლის შესახებ მონაცემების ასახვის მომენტიდან. ამ ნაწილის შესაბამისად საქონლის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენა სავალდებულო არ არის, თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

---

[331] გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის შესახებ 2.4. პარაგრაფში უკვე გვქონდა ვრცელი კომენტარი და ამ შემთხვევაში მის ხელახალ განვრცობას არ შემოგთავაზეთ.

[332] იხ. ინსტრუქცია „შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ" (დანართი #13), მ.2. პ.7. „ბ" ქვეპუნქტი.

• ა) დეკლარანტი არის საბაჟო გამარტივებასთან დაკავშირებული ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი[333];

• ბ) საქონლის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენის ვალდებულებისგან გათავისუფლება განპირობებულია საქონლის სახეობითა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის სიხშირით;

ამ შემთხვევაში მხედველობაშია, ისეთი საქონელი, რომელიც არ მოითხოვს განსაკუთრებულ საბაჟო კონტროლს, ან კიდევ დეკლარანტის „სუფთა იმიჯით", როცა საქონლის საქართველოს შემოტანა-გატანა სიხშირით ხდება და დეკლარანტი „მაღალი რეპუტაციის" სარგებლობს საბაჟო ორგანოს წინაშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით იხდის გადასახდელებს, არ აქვს არც ერთი საბაჟო სანქცია დაწესებული და ა.შ.

• გ) საბაჟო ორგანოსთვის ხელმისაწვდომია ყველა ინფორმაცია, რომლებიც აუცილებელია საჭიროების შემთხვევაში საქონლის შემოწმებისას საბაჟო ორგანოს მიერ უფლებამოსილების განხორციელებისთვის;

• დ) დეკლარანტის ჩანაწერებში საქონლის შესახებ მონაცემების ასახვის მომენტში საქონელი აღარ ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შეზღუდვებსა და აკრძალვებს, თუ ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის ავტორიზაციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული[334].

განსაკუთრებულ შემთხვევებში საბაჟო ორგანო უფლებამოსილია მოითხოვოს საქონლის მისთვის წარდგენა.

პირობები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც დაიშვება საქონლის გაშვება, დადგენილი უნდა იყოს ავტორიზაციით[335].

საბაჟო დეკლარაციის დეკლარანტის ჩანაწერებში მონაცემების ასახვის ფორმით წარდგენის ავტორიზაციის გაცემის პირობები და დეკლარანტის ჩანაწერებში საქონლის შესახებ მონაცემების ასახვის წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე

---

[333] ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის შესახებ მომდევნო პარაგრაფში იქნება საუბარი; ასევე იხ. ი. ხარაზი, საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021.

[334] იხ. სქ. 324.

[335] იხ. სქ. 324.

ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციებით: ინსტრუქცია „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“, დანართი №1); „შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ ინსტრუქცია (დანართი №13; ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“, *დანართი №8* და ა.შ.).

2.10. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის მიერ იმპორტის გადასახადის ოდენობის გაანგარიშება

საბაჟო ორგანომ იმ ავტორიზებულ ეკონომიკურ ოპერატორს, რომელსაც აქვს ავტორიზაცია საბაჟო გამარტივებისთვის, მისი განცხადების საფუძველზე შეიძლება მისცეს იმპორტის გადასახადის ოდენობის გაანგარიშებასთან დაკავშირებული გარკვეული საბაჟო ფორმალობებისა და საბაჟო კონტროლის ცალკეული ღონისძიებების საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ განხორციელების უფლება[336]. ზემოთ აღნიშნული **95-ე მუხლის 1-ლი ნაწილით** გათვალისწინებული იმპორტის გადასახადის ოდენობის გაანგარიშებასთან დაკავშირებული საბაჟო ფორმალობებისა და საბაჟო კონტროლის ღონისძიებების განხორციელების უფლების მიცემის პირობები, განსახორციელებელი საბაჟო პროცედურა ან/და საბაჟო კონტროლის ღონისძიებები და მათი განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ხელშეკრულებამ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა საქართველო, რომელმაც აიღო ვალდებულება, რომ ქართული საბაჟო პროცედურები ევროპულ რეგულაციებს დაუახლოვოს და საბაჟო სისტემაში ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის (აეო) კონცეფცია დანერგოს. საქართველო ვალდებულია, მოახდინოს საბაჟო სფეროში

[336] საბაჟო კოდექსი, მ.95. ნ.1.

კანონმდებლობისა და პროცედურების დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასა და პროცედურებთან. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის (აეო) კონცეფცია წარმოადგენს ევროკავშირის საბაჟო რეგულირების ერთერთ მთავარ საკითხს.

„აეო პროგრამა გაცილებით მაღალ მოთხოვნებს უყენებს მასში მონაწილეობის მსურველ კომპანიებს „ოქროს სიის“ პროგრამასთან შედარებით. აღნიშნული მოთხოვნები უკავშირდება საბაჟო კანონმდებლობის დაცვის (კანონმორჩილების) კარგ ისტორიას; საქონლის ტრანსპორტირებისა და კომერციული აღრიცხვის სათანადო სისტემების არსებობას, რომელიც იძლევა სრულფასოვანი საბაჟო კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას; ფინანსურ მდგრადობას და გადახდისუნარიანობას; და საკუთარი საქმიანობის ფარგლებში დანერგილ უსაფრთხოების სტანდარტებს“[337].

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის კონცეფციის განხორციელების გეგმა შემუშავებილია საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების საფუძველზე. გეგმა გაწერილი იყო 2015-2018 წლებზე და იძლეოდა საშუალებას, რომ 2018 წლის მდგომარეობით აეო-ს პროგრამას სრულფასოვნად ჩაენაცვლებინა დღეს მოქმედი „ოქროს სიის“ პროგრამა[338].

ახალი საბაჟო კოდექსით შემოვიდა ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის ცნება, რომელიც შინაარსობრივად „ოქროს სიის“ ანალოგია. პირები ავტორიზებული ოპერატორის სტატუსის მიღებას და იგივე პროცედურული შეღავათებით სარგებლობას შეძლებენ, რომლითაც ოქროს „სიის წევრი“[339] კომპანიები სარგებლობენ.

---

[337] ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა AUTHORIZED ECONOMIC OPERATOR PROGRAM IMPLEMENTATION ACTION PLAN, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი „მმართველობა განვითარებისათვის“, 2015, (USAID G4G, https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00KRVX.pdf

[338] იქვე.

[339] ავტორიზებულ ეკოომიკურ ოპერატორსა და „ოქროს სიას“ შორის განსხვავებაზე ამავე პარაგრაფში, ქვემოთ ვისაუბრებთ.

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი თანამედროვე ევროპული საბაჟო კონცეფციაა, რომელიც კომპანიებს გამჭვირვალედ და კანონმორჩილად წარმართული საქმიანობის განხორციელებაში ეხმარება.

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის კონცეფცია დაფუძნებულია საბაჟოსა და ბიზნესს შორის პარტნიორობაზე. პირი, რომელიც დააკმაყოფილებს მოთხოვნებს, მიიღებს სტატუსს. სტატუსის შესაბამისად იგი ისარგებლებს სხვადასხვა გამარტივებებით/უპირატესობებით და საბაჟოსთან ერთად მჭიდროდ განაგრძობს მუშაობას საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. **ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსი მოიცავს:**

- ავტორიზაცია საბაჟო გამარტივებისათვის - მის მფლობელს აძლევს საშუალებას ისარგებლოს გარკვეული გამარტივებული საბაჟო ფორმალობებით (AEOC);
- ავტორიზაცია დაცვისა და უსაფრთხოებისათვის - მის მფლობელს აძლევს უფლებას ისარგებლოს დაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გარკვეული შეღავათებით (AEOS).

პირს უფლება აქვს ერთდროულად ფლობდეს ორივე სახის ავტორიზაციას.

საინტერესოა რას ნიშნავს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორისათვის საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვი?

საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვი იწყება საქონლის წარმოების პროცესიდან და სრულდება საქონლის სხვა ქვეყანაში საბოლოო მიმღებთან მიწოდებით. შესაბამისად, საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვში მოიაზრება ყველა ჩართული მხარე, რომელიც საქონლის A პუნქტიდან B პუნქტამდე საერთაშორისო გადაადგილებაში მონაწილეობს. ნებისმიერ პირს, რომელიც ჩართულია საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვში და მისი საქმიანობა დაკავშირებულია საბაჟო ფორმალობებთან, შეუძლია მოითხოვოს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსი.

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი შეიძლება გახდეს როგორც მსხვილი, ისე საშუალო და მცირე კომპანია, ვინაიდან

შერჩევის კრიტერიუმებში კომპანიის ბრუნვის მოცულობა არ არის განმსაზღვრელი.

გადასახადის გადამხდელი, რომელსაც სურს მიიღოს ავტორიზაცია, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს[340]:

პირობები/მოთხოვნები	AEOC	AEOS
საქართველოს საბაჟო, საგადასახადო და ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვანი დარღვევის არარსებობა, ასევე ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის დანაშაულის არარსებობა	X	X
განხორციელებული ოპერაციების და საქონლის ნაკადების კონტროლი, შესაბამისი აღრიცხვა	X	X
გადახდისუნარიანობა და ფინანსური მდგრადობა	X	X
გამოცდილება ან/და პროფესიული კვალიფიკაცია	X	
დაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სათანადო სტანდარტის უზრუნველყოფა		X

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სამართლებრივი რეგლამენტაცია მოცემულია საბაჟო კოდექსის 25-26 მუხლებში და ფინანსთა მინისტრის #257 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში „საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების შესახებ“ (დანართი #1), თავი IV („ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსი, გამარტივებები და შეღავათები“), მუხლები: 20-25.

საბაჟო კოდექსის 25-ე მუხლი მიუთითებს 26-ე მუხლით ჩამოთვლილ კრიტერიუმებზე, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც პირს საბაჟო ორგანოს მიერ მიენიჭება ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსი.

[340] https://www.rs.ge/LegalEntityAuthorizedPersons?cat=2&tab=1

საბაჟო კანონმდებლობით დაშვებული საჭიროების შემთხვევაში სხვა კომპეტენტურ ორგანოებთან კონსულტაციის შემდეგ საბაჟო ორგანო განმცხადებელს ანიჭებს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსს.

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მინიჭების კრიტერიუმებია:

- *ა) საქართველოს საბაჟო, საგადასახადო და ადმინისტრაციული კანონმდებლობების მნიშვნელოვანი დარღვევის არარსებობა, აგრეთვე განმცხადებლის ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის დანაშაულის არარსებობა;*
- *ბ) განმცხადებლის მიერ განხორციელებული ოპერაციებისა და საქონლის ნაკადების კონტროლის მაღალი დონის არსებობა, რომელიც მიიღება კომერციული მართვის სისტემისა და შესაბამის შემთხვევაში ტრანსპორტირების აღრიცხვის მეშვეობით და რომელიც უზრუნველყოფს სათანადო საბაჟო კონტროლს;*
- *გ) გადახდისუნარიანობა და ფინანსური მდგრადობა. ეს კრიტერიუმი შეიძლება დადასტურებულად იქნეს მიჩნეული, თუ განმცხადებელს აქვს კარგი ფინანსური მდგომარეობა, რომელიც საშუალებას აძლევს, შეასრულოს მის ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები;*
- *დ) საბაჟო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით[341] გათვალისწინებული ავტორიზაციის შემთხვევაში - კომპეტენციის პრაქტიკული სტანდარტი ან განხორციელებულ საქმიანობასთან უშუალოდ დაკავშირებული პროფესიული კვალიფიკაცია;*
- *ე) საბაჟო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით[342] გათვალისწინებული ავტორიზაციის შემთხვევაში - დაცვისა და უსაფრთხოების სათანადო სტანდარტი. ეს მოთხოვნა შესრულებულად უნდა იქნეს მიჩნეული, თუ განმცხადებელი ადასტურებს, რომ იღებს სათანადო*

---

[341] ავტორიზაცია საბაჟო გამარტივებისთვის, რომელიც, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად, მის მფლობელს აძლევს გარკვეული გამარტივებული საბაჟო ფორმალობებით სარგებლობის საშუალებას.

[342] ავტორიზაცია დაცვისა და უსაფრთხოებისთვის, რომელიც მის მფლობელს აძლევს დაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გარკვეული შეღავათებით სარგებლობის უფლებას.

ზომებს საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვის უსაფრთხოებისა და დაცულობის უზრუნველსაყოფად, მათ შორის, ისეთ სფეროებში, როგორიცაა საქონლის მთლიანობა და შეღწევადობა, ლოჯისტიკური პროცესები და სპეციფიკური საქონლის დამუშავება, პერსონალი და ბიზნესპარტნიორების იდენტიფიცირება. იგივეს ვკითხულობთ ინსტრუქციაში „საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების შესახებ“, მე-20 მუხლის 1-ლ ნაწილში, ხოლო აღნიშნული ინსტრუქციის მე-2 მუხლით განსაზღვრავს შემთხვევას, როცა ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მისაღებად აუცილებელი პირობებია:

• *ა) ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მაძიებლის (შემდგომში – სტატუსის მაძიებელი) „განაცხადის“ შემოსავლების სამსახურში რეგისტრაციის თარიღიდან წინა უწყვეტი 3 წლის განმავლობაში:*

• *ა.ა) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 280-ე მუხლით[343], 282-ე მუხლის მე-3 ნაწილით[344], 286-ე მუხლის მე-2 ნაწილით[345] და საქართველოს საბაჟო კოდექსის 166-ე მუხლის მე-4 ნაწილით,[346],*

---

[343] გადასახადის უკანონო ჩათვლა; აღნიშნული მუხლის კომენტარს იხილავთ: ხარაზი ია, საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, მესამე ნაწილი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2020.

[344] დღგ-ისათვის გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, მიერ ფიქტიური გარიგების/უსაქონლო ოპერაციის ამსახველი ან ყალბი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა – იწვევს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამომწერი/გამცემი პირის დაჯარიმებას საგადასახა ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული დღგ-ის თანხის 200 პროცენტის ოდენობით.

[345] „საქონლის დოკუმენტების გარეშე ტრანსპორტირების, რეალიზაციის და აღურიცხველობისას“, პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება (საუბარია „სამეწარმეო საქმიანობისათვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება, მყიდველის მოთხოვნისას სასაქონლო ზედნადების გაუცემლობა ან საქონლის შეძენისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარის თქმა, - იწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით), განმეორებით ჩადენილი იწვევს პირის 5 000 ლარის ოდენობით დაჯარიმებას.

[346] მ. 186: „საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების მოხსნა. მოცილება ან/და სხვაგვარად გაუვარგისება/განადგურება“, რომლის მე-4 ნაწილი ითვალისწინებს: მე-3 ნაწილით გათვალის-

წინებული ქმედებაის ჩადენისას განმეორებით, - მფლობელის დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით. მე-3 ნაწილში კი საუბარია: მუხლი 1-ლი ნაწილით [საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების მოხსნა/მოცილება ან/და *კონტროლის ზონაში არსებული შენობა-ნაგებობის ან ნიშანდებული ბარგის/ხელბარგის დაზიანება ანდა სატრანსპორტო საშუალების გადაადგილება იმგვარად დადებული საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებით, რომელიც მასში ამ იდენტიფიკაციის საშუალების დაუზიანებლად შეღწევის შესაძლებლობას იძლევა, – იწვევს მფლობელის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით]* გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია ნიშანდებული სატრანსპორტო საშუალებიდან, საბაჟო კონტროლის ზონაში არსებული შენობა-ნაგებობიდან ან ნიშანდებული ბარგიდან/ხელბარგიდან საქონლის განკარგვა, დაკარგვა ან განადგურება, – იწვევს მფლობელის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

167-ე მუხლის მე-4 ნაწილით[347]*, 168-ე მუხლის მე-5* ნაწილით[348]*, 170-ე მუხლის მე-2 ნაწილით*[349]*, 172-ე მუხლის პირველი ნაწილით*[350]*, 176-ე მუხლის მე-2 ნაწილით*[351] *გათვალისწინებული*

---

[347] მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – იწვევს დაჯარიმებას საბაჟო დეკლარაციაში შემცირებული იმპორტის გადასახდელის თანხის 100 პროცენტის ოდენობით.

[მე-3 ნაწილით გათვალისწინებულია ფიზიკური პირის მიერ 3 000 ლარამდე ღირებულების საქონელზე წარდგენილ საბაჟო დეკლარაციასა და მის თანმხლებ დოკუმენტში არასწორი მონაცემის არსებობისას იმპორტის გადასახდელისოდენობის შემცირებაზე, რომელიც გადასახდელის თანხის 40 პროცენტის ოდენობით].

[348] 168-ე მუხლის მე-5 ნაწილში საუბარია: მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – იწვევს დაჯარიმებას 4 000 ლარის ოდენობით, მე-4 ნაწილით კი გათვალისწინებულია ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით ტრანზიტული გადაადგილებისთვის განკუთვნილ სატრანსპორტო საშუალებაში განთავსებული საქონლის (გარდა ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდისა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისათვის საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად.

[349] საბაჟო კოდექსის 170-ე მუხლის („საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის გადატვირთვა/გადმოტვირთვა ან საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მიერ საბაჟო კონტროლის ზონის დატოვება ან სატრანსპორტო საშუალების მიერ საბაჟო მარშრუტიდან გადახვევა“), მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული განმეორებით ჩადენილი ქმედებისათვის 2 000 ლარის ოდენობით დაჯარიმება; ხოლო პირველ ნაწილში საუბარია საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მიერ საბაჟო კონტროლის ზონის დატოვებისას, საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის გადატვირთვა ან გადმოტვირთვისას ან მოძრაობისთვის დადგენილი საბაჟო მარშრუტიდან გადახვევის შემთხვევაში – პირის დაჯარიმებაზე 1 000 ლარის ოდენობით.

[350] საბაჟო ორგანოსთან შეუთანხმებელი ქმედება ან საბაჟო პროცედურის პირობების დარღვევა, რამაც გამოიწვია საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უკანონო განკარგვა,

პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ძალაში შესული გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა;

- *ა.ბ) საქართველოს საბაჟო კოდექსის 166-ე მუხლის მე-3 და 168-ე მუხლის მე-3 ნაწილებით[352] გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ძალაში შესული ერთზე მეტი გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა;*
- *ა.გ) იმპორტის გადასახდელის ოდენობის 1000 ლარზე მეტით შემცირებისათვის საქართველოს საბაჟო კოდექსის 167-ე მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით[353] გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა;*
- ა.დ) 4000 ლარზე მეტი საბაჟო ღირებულების საქონლის საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად გადაადგილებისათვის საქართველოს საბაჟო კოდექსის *168-ე მუხლის პირველი ან*

დაკარგვა ან განადგურება, – იწვევს დაჯარიმებას იდენტურ/მსგავს საქონელზე ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე გადასახდელი იმპორტის გადასახდელის თანხის 100 პროცენტის ოდენობით.

[351] აღნიშნულ მუხლში საუბარია „სანებართვო პირობების შეუსრულებლობისას“ დაწესებულ სანქციებზე, კერძოდ: მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება (იმავე სანებართვო პირობის დარღვევა), ჩადენილი განმეორებით, – იწვევს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმის გასამმაგებას. მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: საბაჟო საწყობის საქმიანობისას თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სანებართვო პირობის დარღვევა – იწვევს ნებართვის მფლობელის დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

[352] იხ. შესაბამისი მუხლების კომენტარები დამხმარე სახელმძღვანელოში.

[353] იხ. შესაბამისი მუხლის კომენტარი დამხმარე სახელმძღვანელოში.

მე-2 ნაწილით[354] გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა;

- *ა.ე) 2019 წლის 1 სექტემბრამდე მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის:*
- *ა.ე.ა) 3^1 და მე-14 ნაწილებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ძალაში შესული ერთზე მეტი გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა;*
- *ა.ე.ბ) მე-4 ან მე-5 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის (იმპორტის გადასახდელების ოდენობის 1000 ლარზე მეტით შემცირებისათვის) დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა;*
- *ა.ე.გ) მე-10 ან მე-11 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის (4000 ლარზე მეტი საბაჟო ღირებულების საქონლის საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად გადაადგილებისათვის) დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა;*
- *ა.ე.დ) 3^2, მე-7, მე-16, მე-19, 26-ე ნაწილებით ან/და 290-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ძალაში შესული გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა;*

- *ბ) სტატუსის მაძიებლის „განაცხადის“ შემოსავლების სამსახურში რეგისტრაციის თარიღიდან წინა უწყვეტი 3 წლის განმავლობაში*

---

[354] აღნიშნული მუხლის შესაბამისი ნაწილების კომენტარს დამხმარე სახელმძღვანელოში იხილავთ(ია ხარაზი, საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021. ია ხარაზი, საბაჟო სამართალი, მეორე ნაწილი, 2022.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 127[1] მუხლის მე-2 ნაწილით ან/და 155[2] მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ძალაში შესული გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა;

• გ) სტატუსის მაძიებლის „განაცხადის“ შემოსავლების სამსახურში რეგისტრაციის მომენტისას საქართველოს სისხლის სამართლის

კოდექსის 192-ე[355], 193-ე,[356] 194-ე[357], 194[1][358], 195[1] – 198-ე[359], მე-200 200[2][360], 200[5][361] – 200[6][362], 204[1][363], 205-ე, 205[1], 206-ე[364], 207[2][365]; 210-ე[366] – 212-ე[367],

---

[355] აღნიშნულ მუხლში საუბარია უკანონო სამეწარმეო საქმიანობაზე, კერძოდ: სამეწარმეო საქმიანობა რეგისტრაციის, ნებართვის ან ლიცენზიის გარეშე ანდა სანებართვო ან სალიცენზიო პირობების დარღვევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია ან რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება, – ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე(ნ.1.); . 2. იგივე ქმედება, ჩადენილი: ა) ჯგუფურად; ბ) არაერთგზის; გ) ასეთი დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ, – ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე. **შენიშვნა:** ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით.

[356] ცრუ მეწარმეობა, ესე იგი საწარმოს შექმნა სამეწარმეო საქმიანობის განზრახვის გარეშე, კრედიტის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის მიღების ანდა აკრძალული საქმიანობის დაფარვის მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, – ისჯება ჯარიმით ან შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

[357] აღნიშნულ მუხლში საუბარი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათთრებისთვის) დაწესებულ სანქციებზე. დამატ. იხ. საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/32962?publication=40.

[358] საუბარია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა ან გასაღებისათვის დაწესებულ სანქციებზე.

[359] 1951-ე მუხლში სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის წესის დარღვევისას დაკისრებულ სანქციაზეა საუბარი; 196-ე მუხლში საუბარის სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის ან სხვა კომერციული აღნიშვნის მართლსაწინააღმდეგო გამოყენებისას დაკისრებულ სანქციებზეა საუბარი; 197-ე მუხლი ფალსიფიკაციისას, ე.ი. მოტყუებით ნივთის თვისებრიობის შეცვლისას მწარმოებლის ან გამსაღებლის მიერ ჩადენილს ანგარებით, ჩადენილი ქმედებისას დაკისრებულ ჯარიმებზე საუბრობს; სისხლის სამართლის 198-ე მუხლის კი

ითვალისწინებს სანქციებს ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთლობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა, რეალიზაციისათვის სანქციებს.

[360] სისხლის სამართლის მე-200-ე მუხლით სანქციებია გათვალისწინებული მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვების, შენახვა, გადაზიდვა, რეალიზაციისათვის; 2001-ე მუხლით გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ყალბი აქციზური მარკების დამზადება, გასაღება ან/და გამოყენებისათვის; 2002-ე მუხლით კი გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა აქციზური მარკების მეორადი გამოყენების მიზნით გასაღება, შეძენა და გამოყენებისათვის ან/და მათი სხვა პირისათვის გადაცემისათვის.

[361] დაწესებულია სისხლისსამართლებრივი სანქცია სავალდებულო მარკირებას დაქვემდებარებული არააქციზური საქონლის ყალბი მარკირების ნიშნის დამზადება, გასაღება ან/და გამოყენებისათვის.

[362] სისხლის სამართლებრივი სანქციებია გათვალისწინებული სავალდებულო მარკირებას დაქვემდებარებული არააქციზური საქონლის მარკირების ნიშნის მეორადი გამოყენების მიზნით გასაღება, შეძენა და გამოყენება ან/და სხვა პირისათვის გადაცემისათვის.

[363] ბუღალტრული აღრიცხვის წესის დარღვევისათვისაა დაწესებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

[364] საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევისას გადახდისუუნარობისას, რამაც რეალური ქონებრივი მდგომარეობის შეფასება გაართულა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დააწესა კანონმდებელმა.

[365] ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების იმპორტის ან/და რეექსპორტის (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მათი ჩაკეტილ სისტემაში გამოყენების მიზნით იმპორტის შემთხვევისა), - სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს.

[366] სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაა დაწესებული ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, გასაღება ან გამოყენებისათვის.

[367] ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღება, იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

214-ე,[368] 215-ე[369], 218-ე[370] – 221-ე[371] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა;

- *დ) ბუღალტრული და, საჭიროების შემთხვევაში, სატრანსპორტო აღრიცხვის მართვის ისეთი სისტემის არსებობა, როდესაც:*
  - *დ.ა) ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა შესაბამისობაშია ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებთან;*

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ბუღალტრული აღრიცხვა სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ინფორმაციის შეგროვების, გაზომვის, დამუშავებისა და გადაცემის სისტემას წარმოადგენს. იგი ენაა, რომლის მეშვეობითაც ინფორმაცია მის მომხმარებლებს გადაეცემა. მსოფლიო პრაქტიკით, ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი მიზანი სამაზრო ურთიერთობების ყველა მონაწილისათვის ინფორმაციის მიწოდებაა. ბუღალტრული აღრიცხვა შეგროვებულ და დამუშავებულ ფინანსურ ინფორმაციას ფინანსურ ანგარიშგებაში განაზოგადებს და მიაწოდებს მომხმარებლებს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად[372].

ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშსწორებასთან გაიგივება, რასაც არც თუ ისე იშვიათად აქვს ადგილი, - არასწორია, ანგარიშწარმოება ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ოპერაციათა რეგისტრაციის, ინფორმაციის შენახვის მრავალგზის განმეორებადი პროცესია და ბუღალტრული აღრიცხვის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

---

[368] საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევა - იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

[369] სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაა დაწესებული საზღვარგარეთ გატანილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კულტურის ძეგლის ან ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის საქართველოში დაუბრუნებლობისათვის.

[370] გადასახადისათვის თავის არიდებისათვის კანონმდებელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობას აწესებს.

[371] სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაა დაწესებული ასევე კომერციული მოსყიდვისათვის.

[372] „ბუღალტრული აღრიცხვის არსი, მიზანი, ამოცანები“, http://press.tsu.edu.ge/lessons/internetgak/ biznesi%20da%20ekonomika/X1.3..htm .

„ბუღალტრული აღიცხვა სამეურნეო საქმიანობაში მომხდარ ცვლილებებს ასახავს ურთიერთკავშირში.

- *დ.ბ) ბუღალტრული აღრიცხვის სისტემაში ინტეგრირებულია აღრიცხვიანობა საბაჟო მიზნებისათვის ან ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა შესაბამისი მონაცემების იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა;*
- *დ.გ) საბაჟო ორგანოს აქვს წვდომის საშუალება (მათ შორის, ელექტრონული ფორმით, ასეთის არსებობის შემთხვევაში) ბუღალტრულ ჩანაწერებზე, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – აგრეთვე მის კომერციულ და სხვა სახის ინფორმაციაზე;*
- *დ.დ) ლოგისტიკური სისტემა [373] საქართველოს საქონლისა და უცხოური საქონლის გამოკვნის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მათი ადგილმდებარეობის განსაზღვრის საშუალებას იძლევა;*

---

[373] **ლოგისტიკა** (ფართო გაგებით) არის მატერიალური და მისი შესაბამისი ნაკადების მოძრაობის პროცესის დაგეგმვა, ორგანიზაცია, შესრულება და კონტროლი შესყიდვის მომენტიდან წარმოების და საქონელმოძრაობის (ტრანსპორტირება და სასაწყობო მეურნეობა) ჩათვლით, საბოლოო მომხმარებლამდე, ბაზრის მოთხოვნების უკეთესად დაკმაყოფილების მიზნით, მინიმალური დანახარჯებითა და საშუალებების რაციონალური გამოყენებით. სიტყვა „ლოგისტიკა“ ბერძნული წარმოშობისაა და ყველა ევროპულ ენაში ეხმარება. ის აღნიშნავდა, გამოანგარიშების, მსჯელობის ხელოვნებას. სამამულო და საზღვარგარეთის ეკონომიკური ლიტერატურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დღეს ლოგისტიკაში იგულისხმება: ახალი მიმართულება ტვირთის მოძრაობის ორგანიზაციაში; სხვადასხვა ნაკადის დაგეგმვის თეორია ადამიანურ-მანქანურ სისტემებში; მოქმედების სხვადასხვა სახის ერთობლიობა აუცილებელი ტვირთის მისაღებად მოცემულ ადგილზე მოცემულ დროში მინიმალური დანაკარგებით გადაზიდვის და საწარმოო პროცესების ინტეგრაცია; მწარმოებლიდან მომხმარებლამდე ტვირთის გადატანასა და შენახვაზე დანაკარგის დაგეგმვის პროცესი; პროდუქტის ფიზიკური განაწილების (ინფრასტრუქტურის) მართვის ფორმა; მზა პროდუქციის ეფექტიანი მოძრაობა წარმოებიდან მომხმარებლამდე; ახალი სამეცნიერო მიმართულება დაკავშირებული მატერიალური და ინფორმაციული ნაკადების მართვის რაციონალური მეთოდების შემუშავებასთან; მეცნიერება წარმოებისა და განაწილების რაციონალურობის შესახებ. იხ. ვეშაპიძე შოთა, ლოჯისტიკა, თბილისი, 2015, 1, 8-9;
https://www.sjuni.edu.ge/ebiblioteka/images/books/შეყვ%20lojistika.pdf

- *დ.ე) სტატუსის მაძიებლის ორგანიზაციული სტრუქტურა ხელს უწყობს საქონლის გადაადგილების მართვას, ხოლო შიდა კონტროლის სისტემა უზრუნველყოფს პროცედურული უზუსტობებისა და დარღვევების გამოვლენას, პრევენციას და აღმოფხვრას;*
- *დ.ვ) აკრძალვებს ან/და შეზღუდვებს დაქვემდებარებული საქონლის მიმართ გამოიყენება პროცედურები, რაც ასევე მოიცავს აღნიშნული საქონლის იდენტიფიცირებისა და სხვა საქონლისაგან გამიჯვნის შესაძლებლობას;*
- *დ.ზ) უზრუნველყოფილია სააღრიცხვო და სხვა დოკუმენტაციის შენახვის შესაძლებლობა;*
- *დ.თ) თანამშრომლები ინფორმირებული არიან კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის ფაქტების თაობაზე საბაჟო ორგანოსათვის დაუყოვნებლივი შეტყობინების ვალდებულების შესახებ;*
- *დ.ი) დაცვის სპეციალური მექანიზმები უზრუნველყოფს კომპიუტერულ სისტემებში უნებართვო შეღწევის თავიდან აცილებას და ინფორმაციის დაცვას;*

• ე) გადახდისუნარიანობა და ფინანსური მდგრადობა, რაც ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად თუ:

- *ე.ა) სტატუსის მაძიებლის მიმართ არ არის დაწყებული გადახდისუუნარობის/გაკოტრების საქმე;*
- *ე.ბ) სტატუსის მაძიებლის „განაცხადის“ შემოსავლების სამსახურში რეგისტრაციის თარიღიდან წინა უწყვეტი 3 წლის განმავლობაში:*
- *ე.ბ.ა) მას არ ჰქონია აღიარებული საგადასახადო დავალიანება;*
- *ე.ბ.ბ) მას აქვს ისეთი ფინანსური მდგომარეობა, რომელიც უზრუნველყოფს წარმოშობილი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შესაძლებლობას;*

• ვ) მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ავტორიზაციის“ შემთხვევაში, სტატუსის მაძიებელს უნდა ჰქონდეს საქონლის გაფორმების გამოცდილება ან/და იგი/მის მიერ დაქირავებული, საბაჟო საკითხებზე პასუხისმგებელი პირი უნდა აკმაყოფილებდეს პროფესიული კვალიფიკაციის მოთხოვნებს. აღნიშნული პირობა ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, თუ სრულდება ერთერთი ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

- *ვ.ა) სტატუსის მაძიებელს აქვს „განაცხადის“ რეგისტრაციის თარიღიდან წინა უწყვეტი 3 წლის განმავლობაში საქართველოს საბაჟო*

ტერიტორიაზე საჯინლის გადაადგილებასთან ან/და გაფორმებასთან დაკავშირებული საქმიანობის გამოცდილება;

- *ვ.ბ) სტატუსის მაძიებელთან დასაქმებულ საბაჟო საკითხებზე პასუხისმგებელ პირს აქვს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საჯინლის გადაადგილებასთან ან/და გაფორმებასთან დაკავშირებული საქმიანობის **არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება** ან/და აღნიშნული მიმართულებით განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი, დიპლომი ან სხვ.);*
- *ვ.გ) სტატუსის მაძიებელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საჯინლის გადაადგილებასთან ან/და გაფორმებასთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელებს ხელშეკრულების საფუძველზე სხვა ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის მეშვეობით, რომელიც არის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ავტორიზაციის“ მფლობელი;*

- *ზ) მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ავტორიზაციის“ შემთხვევაში – დაცვისა და უსაფრთხოების სათანადო სტანდარტის უზრუნველყოფა. აღნიშნული პირობა შესრულებულად ითვლება, თუ:*
  - *ზ.ა) სტატუსის მაძიებელს ჰყავს უსაფრთხოებისა და დაცვის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი;*
  - *ზ.ბ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საჯინლის გადაადგილებასა და გაფორმებასთან დაკავშირებული საქმიანობისათვის განკუთვნილი, სტატუსის მაძიებლის სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობები და სხვა ადგილები დაცულია უნებართვო შეღწევისაგან;*
  - *ზ.გ) საჯინლის შენახვისა და გადაადგილებისათვის უზრუნველყოფილია სათანადო პირობები, მათ შორის, საჯინელი დაცულია უნებართვო წვდომის, გადაადგილების, შეცვლის ან ნებისმიერი სხვაგვარი უკანონო ქმედებისაგან;*
  - *ზ.დ) სტატუსის მაძიებელი თავის ბიზნესპარტნიორებთან, თანამშრომლებთან და სხვა დაქირავებულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით აკისრებს მათ უსაფრთხოებისა და დაცვის სტანდარტების კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფის ვალდებულებას;*
  - *ზ.ე) უსაფრთხოებისა და დაცვის სტანდარტებზე პასუხისმგებელი პირები რეგულარულად მონაწილეობენ შესაბამისი გადამზადების პროგრამებში.*

ინსტრუქციის „საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების შესახებ“, მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობები არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პირის სანქციისაგან გათავისუფლების თაობაზე საბაჟო ორგანოს/დავის განმხილველი ორგანოს ან სასამართლოს არაუმეტეს ერთი გადაწყვეტილებისა.

ასევე, მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“– „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები ვრცელდება სტატუსის მაძიებელზე და საბაჟო საკითხებზე პასუხისმგებელ პირზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო თუ სტატუსის მაძიებელი იურიდიული პირია, აგრეთვე – მის ხელმძღვანელებსა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირ(ებ)ზე.

თუკი სტატუსის მაძიებლის გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციიდან გასულია 3 წელზე ნაკლები, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირობები მოწმდება არსებულ პერიოდზე.

ასევე, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობის შესრულების შემოწმებისას, ფიზიკური პირის შემთხვევაში, შემოსავლების სამსახურს წარედგინება სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული „ნასამართლობის შესახებ ცნობა“. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ე.ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ აღიარებული საგადასახადო დავალიანების არსებობის ფაქტს ადგილი **ჰქონდა არაუმეტეს 3-ჯერ** და ასეთი დავალიანების არსებობის პერიოდი თითოეულ შემთხვევაზე **არ აღემატება ერთ თვეს.**

იმ შემთხვევაში, თუ სტატუსის მაძიებელი ფლობს ეროვნული ან/და საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებულ უსაფრთხოებისა და დაცულობის სერტიფიკატს, რომლებიც დაკავშირებულია ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მინიჭების პირობებთან, იგი შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილებისთვის.

მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ე.ბ.ბ.“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობის შესრულების შემოწმებისას/კონტროლისას, შემოსავლების სამსახურს უფლება აქვს მოითხოვოს და გაითვალისწინოს აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისი აუდიტორული დასკვნა. აუდიტი ჩატარებული უნდა იყოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ბარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის ჩატარების შედეგად მინიჭებული

პირველი, მეორე ან მესამე კატეგორიის აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ და ფინანსური მდგრადობის მიზნებისთვის ფინანსურად მდგრადად ჩაითვლება სუბიექტი, რომლის უახლოეს ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემულია აუდიტორული დასკვნა, რომელშიც გამოთქმულია არამოდიფიცირებული მოსაზრება.

ინსტრუქციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლისას, შემოსავლების სამსახური ამოწმებს სტატუსის მაძიებლის სარგებლობაში არსებულ, საბაჟო საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა ობიექტს.

მე-20 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლისას შემოსავლების სამსახური ითვალისწინებს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ – „ქ“ და „ყ“ ქვეპუნქტების მიხედვით განსაზღვრული სტატუსის მაძიებლის კატეგორიას.

„ტ“ პუნქტის მიხედვით: მეოთხე კატეგორიის საწარმო – სუბიექტი, რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს: ტ.ა) აქტივების ჯამური ღირებულება 1 მილიონ ლარს არ აღემატება; ტ.ბ) შემოსავალი 2 მილიონ ლარს არ აღემატება; ტ.გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 10-ს არ აღემატება;

„უ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში: მესამე კატეგორიის საწარმო – სუბიექტი, რომელიც არ არის მეოთხე კატეგორიის საწარმო და რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს: უ.ა) აქტივების ჯამური ღირებულება 10 მილიონ ლარს არ აღემატება; უ.ბ) შემოსავალი 20 მილიონ ლარს არ აღემატება; უ.გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 50-ს არ აღემატება;

„ფ“ ქვეუნქტი განმარტავს მეორე კატეგორიის საწარმოს ცნებას: სუბიექტი, რომელიც არ არის მესამე ან მეოთხე კატეგორიის საწარმო და რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს: ფ.ა) აქტივების ჯამური ღირებულება 50 მილიონ ლარს არ აღემატება; ფ.ბ) შემოსავალი 100 მილიონ ლარს არ აღემატება; ფ.გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 250-ს არ აღემატება.

„ქ“ ქვეპუნტის შემთხვევაში: პირველი კატეგორიის საწარმო – სუბიექტი, რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს: ქ.ა)

აქტივების ჯამური ღირებულება 50 მილიონ ლარს აღემატება; ქ.ბ) შემოსავალი 100 მილიონ ლარს აღემატება; ქ.გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 250-ს აღემატება[374].

„ყ" ქვეპუნქტის თანახმად, საზოგადოებრივი დაინტერესების პირი (შემდგომ – სდპ) – იურიდიული პირი, რომელიც არის: ყ.ა) ანგარიშვალდებული საწარმო, რომლის ფასიანი ქაღალდები საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებულია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად;

საქართველოს კანონის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" *ანგარიშვალდებულ საწარმოდ მიიჩნევა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტი, რომელიც „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისადაა დაფუძნებული (გარდა სრულად დაფარული სასესხო ფასიანი ქაღალდების ემიტენტისა)*[375]. *კომერციული ბანკი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად; მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად; მზღვეველი „დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად;*

„გ" ქვეპუნქტის შემთხვევაში- მზღვეველი – საქციო საზოგადოების ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია სადაზღვევო საქმიანობის განსახორციელებლად და რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით მიღებული აქვს დაზღვევის შესაბამისი სახეობის განხორციელების ლიცენზია; ეკონომიკური განვითარებისა და ურთიერთთანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებში რეგისტრირებული და შესაბამისი ორგანოების მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო და გადაზღვევის[376] *ორგანიზაციების საქართველოში დაფუძნებული*

---

[374] საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ",
https://matsne.gov.ge/ka/document/view/3311504?publication=11

[375] საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების შესახებ".
https://matsne.gov.ge/ka/document/view/18196?publication=36

[376] გადაზღვევა - ოპერაცია, რომლის დროსაც მზღვეველი გადაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე და თითოეული ასეთი ხელშეკრულების თავისებურების გათვალისწინებით ახორციელებს სადაზღვევო რისკის და მასთან დაკავშირებული ზარალის მთლიან ან ნაწილობრივ გადაცემას გადამზღვეველი კომპანიისათვის, საქართველოს კანონი დაზღვევის

ფილიალი (წარმომადგენლობა), რომელიც რეგისტრირებულია ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად[377]; საინვესტიციო ფონდი „საინვესტიციო ფონდების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად[378]; არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – საკრედიტო კავშირი „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების - საკრედიტო კავშირების შესახებ"

შესახებ", https://matsne.gov.ge/ka/document/view/29884?publication=28, მ.2. „მ" ქვეპუნქტი.

[377] საქართველოს კანონის „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ" მე-2 მუხლის თანახმად: ა) ფიზიკურ პირთა არასახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფა – ფიზიკურ პირებზე ფულადი სახსრების (პენსიების) რეგულარულად გაცემა, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საპენსიო შენატანებისა და საინვესტიციო მოგების ხარჯზე; ბ) ფიზიკურ პირთა არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული საქმიანობა – საპენსიო სქემების დაფუძნება, საპენსიო შენატანების აკუმულირება და აღრიცხვა, საპენსიო დანაგროვთა ფორმირება და ფიზიკურ პირებზე პენსიების რეგულარულად გაცემა; გ) არასახელმწიფო საპენსიო სქემა (შემდგომ – საპენსიო სქემა) –არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის სფეროში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ურთიერთობის სისტემა; დ) არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი (შემდგომ დამფუძნებელი) – იურიდიული პირი, რომელიც აფუძნებს საპენსიო სქემას და უზრუნველყოფს ფიზიკურ პირებს არასახელმწიფო პენსიებით საპენსიო სქემით დადგენილი წესის შესაბამისად, https://matsne.gov.ge/ka/document/view/14722?publication=9 .

[378] **საინვესტიციო ფონდი** არის კოლექტიური საინვესტიციო სქემა, რომელიც ინვესტორებისგან იზიდავს კაპიტალს ამ კაპიტალის განსაზღვრული საინვესტიციო პოლიტიკის შესაბამისად ინვესტორების სასარგებლოდ ინვესტირების მიზნით", იხ. საქართველოს კანონი „საინვესტიციო ფონდების შესახებ" მ. 4. ნ.1.
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4924135?publication=0; ხოლო საგადასახადო კოდექსის 231 მუხლის თანახმად, „საინვესტიციო ფონდი არის საწარმო, რომელიც „საინვესტიციო ფონდების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებულია ერთობლივი საინვესტიციო ფონდის ან საინვესტიციო კომპანიის სახით".

საქართველოს კანონის შესაბამისად[379]; საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული კრიტერიუმების საფუძველზე სამსახურის მიერ სდპ-ად განსაზღვრული პირი (გარდა საქართველოს ეროვნული ბანკისა);

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი, სტატუსის მოქმედების მთელი პერიოდის მანძილზე, ვალდებულია შეასრულოს ინსტრუქციის „საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების შესახებ", მე-20 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობები ავტორიზაციის შესაბამისად.

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსი მოიცავს ორი სახის ავტორიზაციას:

- *ა) ავტორიზაცია საბაჟო გამარტივებისთვის, რომელიც, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად, მის მფლობელს აძლევს გარკვეული გამარტივებული საბაჟო ფორმალობებით სარგებლობის საშუალებას;*
- *ბ) ავტორიზაცია დაცვისა და უსაფრთხოებისთვის, რომელიც მის მფლობელს აძლევს დაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გარკვეული შეღავათებით სარგებლობის უფლებას (საბაჟო კოდექსი, მ. 25. ნ.2).*

როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ, პირი უფლებამოსილია ერთდროულად ფლობდეს ორივე სახის ავტორიზაციას.

თუ საბაჟო გამარტივებასთან დაკავშირებული ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსი აღიარებულია და შესრულებულია საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი, კონკრეტული ტიპის საბაჟო გამარტივებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, საბაჟო ორგანომ პირს უნდა მისცეს ამ გამარტივებით სარგებლობის უფლება. საბაჟო ორგანო არ ამოწმებს იმ

---

[379] **არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება** - საკრედიტო კავშირი - კოოპერატივის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებული საწარმო, რომელიც მხოლოდ თავისი წევრებისაგან იღებს ანაბრებს, აძლევს მათ სესხს, ახორციელებს ამ კანონით ნებადართულ საბანკო საქმიანობას და რომლის უმთავრესი მიზანი არ არის მოგების მიღება. იხ. საქართველოს კანონის „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების - საკრედიტო კავშირების შესახებ" მ.1. „ა" ქვეპუნქტი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1894?publication=12 .

კრიტერიუმებს, რომლებიც ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მინიჭების დროს შემოწმდა.

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი ავტორიზაციის სახის შესაბამისად სარგებლობს გამარტივებული საბაჟო კონტროლის ღონისძიებებით, მათ შორის, ნაკლები ფიზიკური და დოკუმენტური კონტროლით.

საბაჟო ორგანო ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსთან დაკავშირებულ პრივილეგიებს ანიჭებს უცხო ქვეყანაში დაფუძნებულ პირს, თუ იგი ასრულებს აღნიშნული ქვეყნის შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებულ იმ ვალდებულებებსა და პირობებს, რომლებიც საქართველოს მიერ აღიარებულია, როგორც საქართველოში ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორისთვის დადგენილი ვალდებულებებისა და პირობების ეკვივალენტური. აღნიშნული პრივილეგიების მინიჭება უნდა ეფუძნებოდეს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნაცვალგების პრინციპს, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის ფლობასთან დაკავშირებული გამარტივებული საბაჟო ფორმალობები ან/და დაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შეღავათები არ ვრცელდება იმ საქონელზე, რომლისთვისაც საქართველოს კანონმდებლობით საბაჟო კონტროლის განსაკუთრებული პირობებია დადგენილი.

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორს ეკრძალება ინსტრუქციით გათვალისწინებული გამარტივებებითა და შეღავათებით შემდეგი საქონლის გადაადგილების ან/და გაფორმების შემთხვევაში:

- ა) *პრეკურსორები, ნარჩენები, ოზონდამშლელი ნივთიერებები და მკაცრად შეზღუდული საშიში ქიმიური ნივთიერებები და პესტიციდები (იმ შემთხვევის გარდა, როცა აღნიშნული საქონლის მიმღები ან გამგზავნია „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტრო ან სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება);*

• *ბ) ბირთვული და რადიაციული ობიექტები, ბირთვული მასალები, რადიოაქტიური ნივთიერებები, რადიოაქტიური ნარჩენები, მინერალები (წიაღისეული), რომლებისაგანაც პრაქტიკულად შესაძლებელია ბირთვული მასალების მიღება, ყველაფერი, რაც დამზადებულია ბირთვული მასალისაგან ან რადიაქტიური ნივთიერებისაგან ან შეიცავს მათ, როგორც შემადგენელ ნაწილს, აგრეთვე ბირთვული ტექნოლოგიები ან ნოუ-ჰაუები (იმ შემთხვევის გარდა, როცა აღნიშნული საქონლის მიმღები ან გამგზავნია „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტრო ან სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება);*

• *გ) „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობები, მათი ნაწილები და დერივატები;*

კონვენციის „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" თანახმად: „სახეობა" ნიშნავს ნებისმიერ სახეობას, ქვესახეობას ან მის გეოგრაფიულად განკერძოებულ პოპულაციას. ბ) „ნიმუში" ნიშნავს: (1)ნებისმიერ ცხოველს ან მცენარეს, ცოცხალს ან არაცოცხალს; (2) ცხოველთა მიმართ: I და II დანართში შეტანილი სახეობისათვის-ნებისმიერ ადვილად გამოსაცნობ ნაწილს, ან მის დერივატს, ხოლო III დანართში შეტანილი სახეობისათვის - ნებისმიერ ადვილად გამოსაცნობ ნაწილს, ან მის დერივატს, რომლებიც მითითებულია III დანართში ამ სახეობებთან დაკავშირებით. (3) მცენარეთა მიმართ: I დანართში შეტანილი სახეობებისათვის ნებისმიერ ადვილად გამოსაცნობ ნაწილს, ან მის დერივატს, ხოლო II და III დანართებში შეტანილი სახეობებისათვის, ნებისმიერ ადვილად გამოსაცნობ ნაწილს ან მის დერივატს, რომლებიც მითითებულია II და III დანართებში ამ სახეობებთან დაკავშირებით[380].

• *დ) იარაღი და საბრძოლო მასალები (იმ შემთხვევის გარდა, როცა აღნიშნული საქონლის მიმღები ან გამგზავნია „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის*

---

[380] სრული სახით იხ. კონვენცია „გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის თაობაზე", (საქართველოში ძალაშია 1996 წლის 12 დეკემბრიდან), https://old.rs.ge/common/get_doc.aspx?id=10517

შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტრო ან სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება);

• ე) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებები;

იხ. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ბრძანება № 465/ო (1999 წლის 29 ნოემბერი), „სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების, ამ ნივთიერებათა წამლის ფორმების, მათი შემცველი კომბინირებული პრეპარატების გამოსაწერი რეცეპტის ბლანკის ფორმების დამტკიცების, მათი დანიშვნისა და გამოწერის დროებითი წესების შესახებ"[381].

• ვ) მილსადენი ტრანსპორტით და ელექტროგადამცემი ბაზებით გადაადგილებული საქონელი.

ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანების დანართი №17 ინსტრუქცია „მილსადენითა და ელექტროგადამცემი ბაზებით გადაადგილებული საქონლის შესახებ", მიხედვით: მილსადენითა და ელექტროგადამცემი ბაზებით გადაადგილებული საქონლის სამაჟო კონტროლი ხორციელდება გაფორმების ადგილებში წარდგენილი დოკუმენტებისა და ცნობების შემოწმებით. სამაჟო კონტროლი აგრეთვე შესაძლებელია განხორციელდეს ტრანსპორტირების საშუალებებში არსებულ ობიექტებზე იდენტიფიკაციის საშუალებების გამოყენებით, მრიცხველიდან მონაცემების აღებით და სხვა მიზანშეწონილი საშუალებებით. სამაჟო კონტროლს ახორციელებს გაფორმების სამაჟო ორგანო, სადაც დეკლარანტი, მიღების პუნქტის ტერიტორიული განთავსების შესამისად, აცხადებს საქონლის მიმართ შესამისი სამაჟო პროცედურის/რეჟიმის გამოყენებას.

პირები, რომლებიც ახორციელებენ სამაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის გადაადგილებას (გადადინებას), ვალდებულნი არიან, წინასწარ მიღებული შეტყობინების შემდგომ, სამაჟო ორგანოებს გაუწიონ აუცილებელი დახმარება სამაჟო კონტროლის განხორციელებისას. ობიექტებზე სამაჟო იდენტიფიკაციის საშუალებების (შემდგომში – იდენტიფიკაციის საშუალება) დადებას ახორციელებს სამაჟო ორგანოს ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრული თანამშრომელი, ობიექტზე უფლებამოსილი პირების თანდასწრებით. იდენტიფიკაციის საშუალებების გამოყენების შემთხვევაში, სამაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი სამაჟო ორგანოს ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრული პერიოდულობით ამოწმებს ობიექტებზე დადებული იდენტიფიკაციის საშუალებების დაურღვევლობას.

---

[381] https://matsne.gov.ge/ka/document/view/50164?publication=0 .

მილსადენითა და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებული საქონლის დეკლარირება ხორციელდება გაფორმების საბაჟო ორგანოში საქონლის საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის წარდგენით.

შესაბამისი საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის პირობების შესრულებისა და დეკლარირებული მონაცემების დადასტურების მიზნით, წარდგენილი უნდა იქნეს:

- *ა) ხელშეკრულება ან ანგარიშ-ფაქტურა;*
- *ბ) მიღება-ჩაბარების (მიღება-გადაცემის) აქტი და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული ოფიციალური მონაცემები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ელექტროენერგიის, წყლის და ბუნებრივი აირის მიწოდება ხორციელდება თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საქონლის ადგილზე მოხმარებისათვის.*

ტრანზიტის პროცედურის შემთხვევაში, მიღება-ჩაბარების (მიღება-გადაცემის) აქტის ნაცვლად, შესაძლებელია წარდგენილ იქნეს საქონლის გამომგზავნი (ექსპორტიორი) და გადამზიდავ კომპანიას შორის გაფორმებული კომერციული აქტი ხელშეკრულების პირობების შესრულების დადასტურებისა და გადაზიდვის მომსახურების ანაზღაურების თაობაზე.

საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული (გადადინებული) ელექტროენერგიის საბაჟო კონტროლი ან/და რაოდენობის განსაზღვრა, გარდა ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული ფორმებისა, წარმოებს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული ოფიციალური მონაცემების საფუძველზე.

საანგარიშო პერიოდის (მიწოდების კალენდარული თვის ან ამ ინსტრუქციის მე-4 მუხლით [382]გათვალისწინებული ხელშეკრულების

---

[382] საუბარია მილსადენითა და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებული საქონლის დეკლარირების თავისებურებებზე, კერძოდ: საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული (გადადინებული) ელექტროენერგიის საბაჟო კონტროლი ან/და რაოდენობის განსაზღვრა, გარდა ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული ფორმებისა, წარმოებს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული ოფიციალური მონაცემების საფუძველზე, ამასთან: ა) თუ საქართველოს ენერგეტიკული სისტემა ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობს სხვა ქვეყნის ენერგეტიკულ სისტემასთან პარალელურ რეჟიმში, მხარეების ელექტროენერგეტიკულ სისტემებს შორის გადაადგილებული (გადადინებული) ელექტროენერგიის ფაქტობრივი რაოდენობა განისაზღვრება

მოქმედების ვადის) დამთავრების შემდეგ, საქონლის დაზუსტებული მონაცემების გათვალისწინებით წარდგენილი საქონლის საბაჟო დეკლარაციის საფუძველზე, ხდება საბოლოო ანგარიშსწორება. ელექტროენერგეტიკული სისტემების პარალელურ რეჟიმში მუშაობის შემთხვევაში, იმპორტის გადასახდელის გადახდა ხორციელდება საქონლის საბაჟო დეკლარაციის წარდგენისას, სალდო-გადადინების შესაბამისად.

იმპორტის გადასახდელის თანხის განსაზღვრისას, უცხოური ვალუტა გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნულ ვალუტაზე საქონლის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად.

როგორც საანგარიშო პერიოდში (პარალელურ რეჟიმში მუშაობის ხელშეკრულების მოქმედების ვადაში) სალდო-გადადინება, ტექნოლოგიურად განპირობებულ ადგილებში დაყენებული აღრიცხვის ხელსაწყოების ჩვენების საფუძველზე; ბ) პარალელურ რეჟიმში მუშაობის ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას, ელექტროენეგრიის სალდო-გადადინება, გარდა ნულოვანისა, განიხილება როგორც ელექტროენერგიის ექსპორტი ან თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება; გ) პარალერულ რეჟიმში მუშაობის დროს, ელექტროენერგია, რომელიც საანგარიშო პერიოდში (პარალელურ რეჟიმში მუშაობის ხელშეკრულების მოქმედების ვადაში) მიეწოდება ერთი ხელშეკრულებით (კონტრაქტით), დეკლარირდება როგორც საქონლის ერთი პარტია ხელშეკრულების დამთავრებიდან არა უგვიანეს 30 დღისა. თუ მოხდა ხელშეკრულების ვადის გაგრძელება, ინფორმაცია ამის შესახებ ხელშეკრულების დამთავრებიდან 30 დღის ვადაში უნდა მიეწოდოს შესაბამის საბაჟო ორგანოს შუალედურ სალდო ბალანსთან ერთად; დ) პარალერულ რეჟიმში მუშაობის დროს, ელექტროენერგიის დეკლარირება ხორციელდება ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ, რომელიც, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, წარმოადგენს სალდირებული ელექტროენერგიის ნაწილში იმპორტიორს, ან ექსპორტიორს; ე) ინფორმაციას ელექტროენერგიის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის შესახებ შემოსავლების სამსახური იღებს წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, შესაბამისი სალიცენზიო რეესტრის მწარმოებელი დაწესებულებიდან, კანონმდებლობით დადგენილი წესით და ა.შ. დაწვრ. იხ. ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანებით (დანართი #17) ინსტრუქცია „მილსადენითა და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებული საქონლის შესახებ“.

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის საქმიანობა გარკვეულ კონტროლს ექვემდებარება. ინსტრუქციის 23-ე მუხლის თანახმად, ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის კონტროლი მოიცავს:

- *ა) მონიტორინგს;*
- *ბ) ბელახალ შემოწმებას.*

შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია, განახორციელოს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის მონიტორინგი წინასწარ შემუშავებული მონიტორინგის გეგმის შესაბამისად, რომელიც ეფუძნება ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მინიჭებისას ან/და მას შემდეგ ჩატარებული შემოწმების შედეგად გამოვლენილ რისკებს და საფრთხეებს.

ინსტრუქციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტით[383] განსაზღვრული პირობების შესრულების მონიტორინგს შემოსავლების სამსახური ახორციელებს სტატუსის მინიჭების თარიღიდან ყოველი 12 თვის შემდეგ.

ინსტრუქციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობის შესრულების მონიტორინგის მიზნით, სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული **„ნასამართლობის შესახებ ცნობა“** ფიზიკური პირის მიერ შემოსავლების სამსახურს წარედგინება სტატუსის მინიჭების თარიღიდან ყოველი 12 თვის შემდეგ.

მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში საუბარია იმის შესახებ, რომ: ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მისაღებად აუცილებელი პირობებია: სტატუსის მაძიებლის „განაცხადის“ შემოსავლების სამსახურში რეგისტრაციის მომენტისას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე, 193-ე, 194-ე, 194[1], 195[1] – 198-ე, მე-200 – 200[2], 200[5] – 200[8], 204[1], 205-ე, 205[1], 206-ე, 207[2]; 210-ე – 212-ე, 214-ე, 215-ე, 218-ე – 221-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა.[384]

---

[383] აღნიშნული პუნქტის შესახებ უკვე გვქონდა ზემოთ საუბარი.

[384] ამ შემთხვევაში ერთ-ერთ პირობაზეა საუბარი.

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მფლობელის **გასვლითი მონიტორინგი** ხორციელდება საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის შეტყობინების საფუძველზე, რომელიც სტატუსის მფლობელს შესაძლებელია გაეგზავნოს/წარედგინოს წინასწარ. მონიტორინგის განხორციელების წესი განისაზღვრება შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით.

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მფლობელი ვალდებულია შემოსავლების სამსახურს აცნობოს ნებისმიერი ცვლილების განზრახვის შესახებ, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ავტორიზაციის გაგრძელებაზე, ხოლო ცვლილების განხორციელებიდან **არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა** შემოსავლების სამსახურს აცნობოს აღნიშნულის შესახებ.

შემოსავლების სამსახური ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის ხელახალ შემოწმებას ახორციელებს:

- *ა) თუ შეიცვალა ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მიღებისათვის აუცილებელ პირობა(ები);*
- *ბ) ინსტრუქციის 23-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად განხორციელებული მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე;*

„ბ“ ქვეპუნქტში საუბარია იმის შესახებ, რომ: შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია, განახორციელოს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის მონიტორინგი წინასწარ შემუშავებული მონიტორინგის გეგმის შესაბამისად, რომელიც ეფუძნება ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მინიჭებისას ან/და მას შემდეგ ჩატარებული შემოწმების შედეგად გამოვლენილ რისკებს და საფრთხეებს.

- *გ) ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე;*
- *დ) სტატუსის მინიჭების თარიღიდან 12 თვის შემდეგ, თუ სტატუსის მინიჭების მომენტისათვის პირი გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებულია 3 წელზე ნაკლები პერიოდის განმავლობაში.*

როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ, კანონმდებლობით დაშვებულია ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის ხელახალი შემოწმება, რომლის მიმდინარეობის ვადა შეადგენს **60 კალენდარულ დღეს**, ხოლო სტატუსის მაძიებლის შემოწმების შედეგები ფორმდება „ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მაძიებლის/მფლობელის შემოწმების აქტით“, შემოსავლების სამსახურის

უფროსის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად, რომლის გათვალისწინებითაც შემოსავლების სამსახური გამოსცემს ბრძანებას, სტატუსის მაძიებლის შემოწმების დანიშვნიდან **120 კალენდარული დღის ვადაში** და იღებს გადაწყვეტილებას ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

მონიტორინგის/ხელახალი შემოწმების შედეგები ეცნობება ავტორიზაციის მფლობელს.

შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია, შეაჩეროს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსი, თუ:

- *ა) არსებობს ინფორმაცია ისეთი გარემოების შესახებ, რომელიც შესაძლებელია გახდეს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის გაუქმების საფუძველი, თუმცა არსებული ინფორმაცია არ არის საკმარისი გადაწყვეტილების მისაღებად და საჭიროებს დამატებით შესწავლას;*
- *ბ) არსებობს ინფორმაცია, რომ არ სრულდება ინსტრუქციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტით[385] განსაზღვრული პირობები ან/და ვალდებულებები და სტატუსის მფლობელს ეძლევა ვადა აღნიშნული პირობების დასაკმაყოფილებლად ან ვალდებულებების შესასრულებლად;*
- *გ) ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი ვერ აკმაყოფილებს ინსტრუქციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ან/და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პირობებს;*

აღნიშნული პირობების შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი და ამ შემთხვევაში მის კომენტარს ახარ შეკვეცებით.

- *დ) ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი თავად ითხოვს დამატებით ვადას ინსტრუქციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირობების დასაკმაყოფილებლად.*

საუბარია ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მისაღებად აუცილებელ პირობებზე, რომელ პირობებზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია, შეაჩეროს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსი, თუ:

---

[385] საუბარია ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მისაღებად აუცილებელ პირობებზე, რომელზედაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

• *ა) არსებობს ინფორმაცია ისეთი გარემოების შესახებ, რომელიც შესაძლებელია გახდეს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის გაუქმების საფუძველი, თუმცა არსებული ინფორმაცია არ არის საკმარისი გადაწყვეტილების მისაღებად და საჭიროებს დამატებით შესწავლას;*

• *ბ) არსებობს ინფორმაცია, რომ არ სრულდება ამ ინსტრუქციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტით[386] განსაზღვრული პირობები ან/და ვალდებულებები და სტატუსის მფლობელს ეძლევა ვადა აღნიშნული პირობების დასაკმაყოფილებლად ან ვალდებულებების შესასრულებლად;*

• *გ) ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი ვერ აკმაყოფილებს ამ ინსტრუქციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ან/და „ბ“[387] ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პირობებს;*

• *დ) ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი თავად ითხოვს დამატებით ვადას ამ ინსტრუქციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტით[388] განსაზღვრული პირობების დასაკმაყოფილებლად.*

შემოსავლების სამსახური, ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის შეჩერების თაობაზე, ატყობინებს სტატუსის მფლობელს. სტატუსი ჩერდება საბაჟო ორგანოს შეტყობინების ჩაბარებიდან **არაუადრეს 5 კალენდარული დღისა.**

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის დაუყონებლივი შეჩერება იმ შემთხვევაში ხდება, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ საფრთხე ექმნება საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან ჯანმრთელობის დაცვას ან/და ეკოლოგიურ მდგომარეობას.

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის შეჩერება შესაძლებელია **30 კალენდარული დღით** (გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით[389] გათვალისწინებული შემთხვევისა). აღნიშნული ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს **არაუმეტეს 30 კალენდარული დღით.**

ინსტრუქციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შემოსავლების სამსახური

---

[386] ამ პუნქტის შესახებ ამავე პარაგრაფში გვქონდა საუბარი.

[387] ამ პუნქტის შესახებ ამავე პარაგრაფში უკვე იყო საუბარი.

[388] ამ პუნქტის შესახებ ამავე პარაგრაფში იხილავთ კომენტარს.

[389] „გ“ ქვეპუნქტის შესახებ 24-ე მუხლის კომენტარში არის საუბარი.

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსს შეაჩერებს 1 წლის ვადით. თუ ამ ვადის განმავლობაში, სტატუსშეჩერებული პირის მხრიდან აღარ ექნება ადგილი ამ ინსტრუქციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ან/და „ბ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირობების დარღვევას, შემოსავლების სამსახური პირის მიმართვის საფუძველზე აღუდგენს შეჩერებულ სტატუსს.

მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების თანახმად: ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი შესაძლებელია ცალ-ცალკე ან ერთდროულად ფლობდეს შემდეგი სახის ავტორიზაციებს: ა) „საბაჟო გამარტივებისათვის", რომელიც მის მფლობელს აძლევს გარკვეული გამარტივებული საბაჟო ფორმალობებით სარგებლობის საშუალებას; ბ) „დაცვისა და უსაფრთხოებისათვის", რომელიც მის მფლობელს აძლევს დაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გარკვეული შეღავათებით სარგებლობის უფლებას.

ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი შემოსავლების სამსახურს წარუდგენს განცხადებას პირობების დაკმაყოფილებისათვის საჭირო დროისა და ამ მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების მითითებით.

„დ" ქვეპუნქტით განსაზღვრულია ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის შეჩერების ერთ-ერთი საფუძველი, კერძოდ: „ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი ვეღარ აკმაყოფილებს ამ ინსტრუქციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ან/და „ბ" ქვეპუნქტებით [390]განსაზღვრულ პირობებს.....".

საბაჟო კანონმდებლობა უფლებამოსილებით აღჭურავს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მქონეს საჭიროების შემთხვევაში, ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის შეჩერებამდე, საბაჟო ორგანოსაგან მიიღოს კონსულტაცია ან წარმოადგინოს საკუთარი პოზიცია.

სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, მის განახლებამდე, ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მფლობელს ეკრძალება ცალ-ცალკე ან ერთდროულად ფლობდეს შემდეგი სახის ავტორიზაციებს: „საბაჟო გამარტივებისათვის", რომელიც მის

[390] ამ ქვეპუნქტების შესახებ ამავე პარაგრაფში უკვე ვისაუბრეთ.

მფლობელს აძლევს გარკვეული გამარტივებული საბაჟო ფორმალობებით სარგებლობის საშუალებას“ და „დაცვისა და უსაფრთხოებისათვის“, რომელიც მის მფლობელს აძლევს დაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გარკვეული შეღავათებით სარგებლობის უფლებას და სარგებლობდეს განსაზღვრული ავტორიზაციის შესაბამისი გამარტივებებით, შეღავათებითა და ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის ლოგოთი სარგებლობა.

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის შეჩერების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება შესაბამისი საფუძვლების არსებობისას, გამოიწვევს იმავე კრიტერიუმის შესაბამისად მინიჭებული, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურის გამარტივებით სარგებლობის უფლების შეჩერებას.

თუ ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი, რომელიც ფლობს „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“ ინსტრუქციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ორივე ავტორიზაციას,[391] ვერ აკმაყოფილებს მხოლოდ ერთ-ერთის პირობას, შემოსავლების სამსახური შეაჩერებს მხოლოდ შესაბამისი ავტორიზაციით განსაზღვრულ სტატუსს, ხოლო მეორე ავტორიზაციით განსაზღვრული სტატუსი ავტორიზებულ ეკონომიკურ ოპერატორს შეუნარჩუნდება.

სტატუსის შეჩერების ვადის ამოწურვის შემდეგ, შემოსავლების სამსახური იღებს გადაწყვეტილებას ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის განახლების ან გაუქმების შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება ეცნობება სტატუსის მფლობელს.

---

[391] ა) „საბაჟო გამარტივებისათვის“, რომელიც მის მფლობელს აძლევს გარკვეული გამარტივებული საბაჟო ფორმალობებით სარგებლობის საშუალებას; ბ) „დაცვისა და უსაფრთხოებისათვის“, რომელიც მის მფლობელს აძლევს დაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გარკვეული შეღავათებით სარგებლობის უფლებას.

ინსტრუქციის განსახილველი 24-ე მუხლის მიხედვით მიღებული გადაწყვეტილება სტატუსის შეჩერების შესახებ შესაძლებელია სტატუსის მფლობელის მიერ გასაჩივრებული იქნეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

რადგან, ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის მოპასუხე მხარე დავის შემთხვევაში საბაჟო ორგანოა, ამიტომ დავის გადაწყვეტა ხდება ფინანსთა სამსახურს დაქვემდებარებული შემოსავლების სამსახურში ან სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

რა შემთხვევაშია უფლებამოსილი შემოსავლების სამსახური პირისათვის ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის გაუქმებაზე?

ინსტრუქციის „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“ შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია გააუქმოს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსი:

ა) ამავე ინსტრუქციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტით[392] განსაზღვრული ერთ-ერთი პირობის შეუსრულებლობისას;

ბ) ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის მოთხოვნის საფუძველზე;

გ) თუ არ განახლდა ამავე ინსტრუქციის ზემოთ აღნიშნული 24-ე მუხლის შესაბამისად შეჩერებული სტატუსი.

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის გაუქმების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, შესაბამისი საფუძვლების არსებობისას, გამოიწვევს იმავე კრიტერიუმის შესაბამისად მინიჭებული, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურის გამარტივებით სარგებლობის უფლების გაუქმებას.

საბაჟო კანონმდებლობა საჭიროების შემთხვევაში, ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის გაუქმებამდე, სტატუსის მფლობელს უფლებას აძლევს მიიღოს კონსულტაცია ან წარმოადგინოს საკუთარი პოზიცია.

---

[392] აღნიშნული პუნქტის შესახებ იხ. ამავე პარაგრაფში.

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის გაუქმების შესახებ, შემოსავლების სამსახური აცნობებს სტატუსის მფლობელს.

გადაწყვეტილება სტატუსის გაუქმების შესახებ შესაძლებელია სტატუსის მფლობელის მიერ გასაჩივრებულ იქნეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

რამეთუ ვტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მქონე პირის მოპასუხე საბაჟო სამსახურია, გასაჩივრება მოხდება ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებულ შემოსავლების სამსახურში ან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

საბაჟო კოდექსის 95-ე მუხლით გათვალისწინებულია **ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის მიერ იმპორტის გადასახადის ოდენობის გაანგარიშების წესი.** კერძოდ: საბაჟო ორგანომ იმ ავტორიზებულ ეკონომიკურ ოპერატორს, რომელსაც აქვს ავტორიზაცია საბაჟო გამარტივებისთვის, მისი განცხადების საფუძველზე შეიძლება მისცეს იმპორტის გადასახადის ოდენობის გაანგარიშებასთან დაკავშირებული გარკვეული საბაჟო ფორმალობებისა და საბაჟო კონტროლის ცალკეული ღონისძიებების საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ განხორციელების უფლება (ნ.1.). მე-2 ნაწილი ითვალისწინებს: 95-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული იმპორტის გადასახადის ოდენობის გაანგარიშებასთან დაკავშირებული საბაჟო ფორმალობებისა და საბაჟო კონტროლის ღონისძიებების განხორციელების უფლების მიცემის პირობები, განსახორციელებელი საბაჟო პროცედურა ან/და საბაჟო კონტროლის ღონისძიებები და მათი განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

საუბარია ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს #257-ე ბრძანებაზე „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“[393],

---

[393] ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს #257-ე ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0 .

დანართი #1 – ინსტრუქცია „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“ და სხვა შესაბამისი ინსტრუქციების შესახებ, რომლებიც ავტორიზებულ ოპერატორს ეხებიან, საუბარი შესაბამის თავებში იქნება.

აქვე დავამატებდით, რომ: „ავტორიზებული კომპანიების მიმართ ნდობის ფაქტორი ჩვენს ქვეყანაში მაღალი იქნება. საქართველო და ევროკავშირის ქვეყნებიც, მას შემდეგ, რაც ავტორიზებულ კომპანიას აღიარებენ, ეს საბაჟო ინსტიტუტი უფრო სანდო იქნება. ეს ნდობა მარტო ფურცელზე არ გამოიხატება. საქართველო და ევროკავშირის ქვეყნებიც სრულად გადასული არიან რისკზე დაფუძნებული კონტროლის მექანიზმზე. კომპანიებში, რომელთაც ნდობა გამოუცხადეს, რისკის ალბათობა გაცილებით დაბალი იქნება. ანუ ის პროცედურები, კონტროლის ბერკეტები და მექანიზმები, რაც საბაჟო პროცედურების განხორციელების დროს ირთვება, მათთვის გაცილები მარტივი და მცირე იქნება. შეიძლება, საერთოდ არ იყოს. მაგალითად „მწვანე დერეფანს“ რასაც ვუწოდებთ, საქონლის წინასწარ დეკლარირების მექანიზმი, როდესაც საქონელს ასე ვთქვათ, არ ვებეჭით და საზღვრიდან პირდაპირ სახლში მიდის. იმპორტ-ექსპორტის დროს ასეთივე პროცედურები უფრო გამარტივდება, როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე ევროპის მიმართულებით.

მთელი რიგი შეღავათებია შემოსული საბაჟო კანონმდებლობით, იგივე, ჩვენს მიერ განხილული ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი, ან თუნდაც „ოქროს სია“, რომელიც საქართველოში 2009 წლიდან მოქმედებს პროგრამა - „ოქროს სია“, რომელიც აეო-ს კონცეფციის საფუძველზეა შექმნილი, თუმცა, მისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი შეიძლება გახდეს როგორც მსხვილი, ისე საშუალო და წვრილი კომპანია, ვინაიდან შერჩევის კრიტერიუმებში ყურადღება არ ექცევა კომპანიის ბრუნვის მოცულობას. „ოქროს სიაში“ გაწევრიანება კი მხოლოდ იმ კომპანიებს შეუძლიათ, რომელთა წლიური იმპორტიც 5 მლნ ლარს აღემატება და ა.შ.

„ოქროს სიის“ შესახებ შემდეგ თავში იქნება საუბარი, აქ კი მოკლედ ავღნიშნავთ, რომ: ფინანსთა მინისტრის ბრძანებით, „ოქროს სიის“ წევრი კომპანიებისთვის იმპორტის გადასახადის **30 დღიანი საშეღავათო პერიოდი** გაუქმდა, თუმცა ამ ეტაპზე „ოქროს სიის“ გაუქმებაზე საუბარი არ არის და კვლავ ნარჩუნდება სიის წევრი 218

კომპანიისთვის პროცედურული შეღავათები. ახალი საბაჟო კოდექსით შემოდის ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის ცნება, რომელიც შინაარსობრივად „ოქროს სიის“ ანალოგია. პირები ავტორიზებული ოპერატორის სტატუსის მიღებისას პროცედურული შეღავათებით სარგებლობას შეძლებენ მისი გამომყენებლები, რომლითაც ოქროს „სიის წევრი“ კომპანიები სარგებლობენ. „ოქროს სია არის ანალოგი იმისა, რაც არსებობს ევროკავშირში და ეს არის ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი, რომელიც შემოღებულ იქნა ახალი საბაჟო კოდექსით. ეს ორი სისტემა („ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი“ და „ოქროს სია“) ერთმანეთთან არის გადაფარვაში, ანუ პირს თუ აქვს ავტორიზებული ოპერატორის სტატუსი, ის ისარგებლებს იგივე პროცედურული შეღავათებით, როგორც სარგებლობს „ოქროს სიის“ წევრები.

ისიც უნდა ავღნიშნო, რომ ურთიერთაღიარების შეთანხმების გაფორმების შემდეგ, ამ რეჟიმით ისარგებლებენ პირები უკვე არამარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ. მაგალითად როდესაც ექსპორტიორი, როცა გაიტანს გერმანიაში პროდუქციას, როგორც საქართველოს, ისე გერმანიის საბაჟოზე გამარტივებული პროცედურებით ისარგებლებს[394].

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სისტემის სრულად ამოქმედების შემდეგ, შინაარსს დაკარგავს ოქროს სია. შეიძლება ითქვას, რომ სახელია შეცვლილი, რამეთუ ის შესაბამისობაში მოსულიყო ევროკავშირის რეგულაციებთან. ეს მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ ეს აღიარდეს ევროკავშირის ქვეყნებში და მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ექსპორტიორებმა არამარტო საქართველოში, არამედ ევროკავშირის ქვეყნებში ისარგებლონ გამარტივებული პროცედურებით[395].

---

[394] ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის შესახებ 2.1. პარაგრაფი გადმოტანილია: ი. ხარაზი, საბაჟო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, პირველი ნაწილი, 2021; 352-407.

[395] ინტერვიუ ლაშა ხუციშვილთან, https://www.bm.ge/ka/article/quotrodesac-amoqmeddeba-avtorizebuli-ekonomikuri-operatoris-sistema-shinaarss-dakargavs-oqros-sia-/35335.

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის შესახებ ასევე იხ. ბარაზი ია; საბაჟო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, 2021; ასევე, აღნიშნული სახელმძღვანელოს თავი II, პარაგრაფი 2.1.

A. დასამახსოვრებელი დებულებები!

საქონელი, რომელიც განკუთვნილია საბაჟო პროცედურაში მოქცევისთვის, დეკლარირდება შესაბამისი საბაჟო პროცედურის საბაჟო დეკლარაციით.

სტანდარტული საბაჟო დეკლარაცია უნდა შეიცავდეს ყველა მონაცემს, რომლებიც საჭიროა იმ საბაჟო პროცედურის გამოსაყენებლად, რომელშიც ხდება შესაბამისი საქონლის დეკლარირება.

დამატებითი საბაჟო დეკლარაციის წარდგენა არ მოითხოვება: თუ საქონელი საბაჟო საწყობის პროცედურაში მოექცა; საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში.

„ოქროს სიაში" შეყვანილ პირს (შემდგომში – „ოქროს სიის" მონაწილე) ენიჭება უფლება, კუთვნილი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას ან/და გატანისას ისარგებლოს გამარტივებული საბაჟო ფორმალობებით.

„ოქროს სიის" წევრი კომპანიებისათვის საიმპორტო გადასახდელების 5-დღიანი პერიოდი სწორედ საერთაშორისო გამოცდილებას ეფუძნება. ეს ევროპური სტანდარტი და მეთოდია და საქართველოსათვის სიახლეს არ წარმოადგენს.

„ოქროს სიის" მონაწილის სტატუსის მისაღებად აუცილებელი პირობებია: შემოსავლების სამსახურში კანდიდატის განცხადების რეგისტრაციის თვის პირველი რიცხვიდან წინა უწყვეტი 12 თვის განმავლობაში: საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების ან/და ექსპორტის პროცედურაში დეკლარირებული საქონლის საბაჟო ღირებულების მაღალი მაჩვენებელი – არანაკლებ 5,0 მლნ ლარისა; იმპორტის გადასახდელზე წარმოშობილი საბაჟო/საგადასახადო ვალდებულების შესრულების მაღალი მაჩვენებელი – არანაკლებ 900 000 ლარისა, ან საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების ან/და ექსპორტის პროცედურაში მოქცევის მიზნით წარდგენილი საბაჟო დეკლარაციების დიდი ოდენობა – არანაკლებ 100-ისა და ა. შ.

საქონლის საბაჟო დეკლარაციას ავსებს დეკლარანტი.

საქონლის წარდგენისა და გაფორმების ვალდებულება ეკისრება დეკლარანტს/ საქონლის მფლობელს.

ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია ივსება ფიზიკური პირის სურვილისამებრ – ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენაზე. გაურკვეველად შევსებული დეკლარაცია საბაჟო ორგანოს მიერ არ მიიღება.

ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია ივსება: ა) წერილობით – ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება საბაჟო ორგანოს, ხოლო მეორე უბრუნდება ფიზიკურ პირს, ან ბ) ელექტრონულად, რომლის ამობეჭდილი ეგზემპლარი გადაეცემა ფიზიკურ პირს. ამასთან, ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის ყველა გრაფის დადგენილი წესით შევსების შემთხვევაში, „Oracle"-ის მეშვეობით დეკლარაციას ავტომატურად ენიჭება ნომერი, რაც ნიშნავს დეკლარირების დასრულებას.

პირმა გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია შეიძლება რეგულარულად წარადგინოს საბაჟო ორგანოს თანხმობით.

საქონლის საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანა ხორციელდება საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ ამ დეკლარაციის ელექტრონულ ვერსიაში ცვლილების შეტანით და ახალი ეგზემპლარის გაცემით.

დეკლარანტის განცხადების საფუძველზე, საბაჟო ორგანოს თანხმობით სასაქონლო პარტიისთვის იმპორტის გადასახადი შეიძლება გაანგარიშდეს მასში შემავალი სხვადასხვა საქონლისთვის განსაზღვრული იმპორტის გადასახადის უმაღლესი განაკვეთის საფუძველზე, თუ ეს სასაქონლო პარტია შედგება იმპორტის გადასახადის სხვადასხვა განაკვეთით დასაბეგრი საქონლისგან და სასაქონლო პარტიაზე საბაჟო დეკლარაციის შედგენა იმპორტის გადასახადის ოდენობის შეუსაბამო, დიდ დანახარჯებსა და ძალისხმევას მოითხოვს.

სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის დადგენილი საფასურის გადახდისაგან თავისუფლდებიან: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური; საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭო; საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი ვადაგადაცილებულ საგადასახადო და სასესხო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი კომისია; საქართველოს პროკურატურა; საქართველოს თავდაცვის სამინისტრო; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს ეროვნული ბანკი; საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.

B. კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის:

რა შემთხვევაში მიიჩნევა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე არსებული ნებისმიერი საქონელი საქართველოს საქონლად?

რა შემთხვევაში კარგავს საქონელი საქართველოს საქონლის სტატუსს და იძენს უცხოური საქონლის სტატუსს?

რა შემთხვევაში დეკლარირდება საქონელი შესაბამისი საბაჟო პროცედურის საბაჟო დეკლარაციით?

რა მონაცემებს უნდა შეიცავდეს სტანდარტული საბაჟო დეკლარაცია?

ახსენით გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია

ვის ენიჭება „ოქროს სიის სტატუსი“?

როგორი საქონელი შეიძლება განთავსდეს გაფორმების ეკონომიკურ ზონაში?

რომელ სუბიექტებზე არ ვრცელდება „ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსის მისაღებად აუცილებელი პირობები?

მოქმედებს თუ არა „ოქროს სიის“ სტატუსი ევროპულ ქვეყნებში თუ იგი ნოვაციაა მხოლოდ საქართველოსათვის?

ვინ ავსებს საქონლის საბაჟო დეკლარაციას?

როგორ ივსება საბაჟო დეკლარაცია?

რა შემთხვევაში ხდება საქონლის შემოტანის ზოგადი დეკლარაციის ნაცვლად საბაჟო დეკლარაციის წარდგენა?

ვის ევალება საქონლის წარდგენისა და გაფორმების ვალდებულება?

განმარტეთ სტანდარტული საბაჟო დეკლარაცია

როგორ ივსება ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია?

განმარტეთ ATA-კარნეტი

რა მიზანი აქვს ATA-კარნეტის სისტემას?

როგორ ივსება ფიზიკური პირის საბაჟო დელარაცია?

როგორ ივსება საფოსტო გზავნილის დეკლარაცია?

როგორ შეიძლება წარადგინოს პირმა გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია?

რა შემთხვევაში არ მოითხოვება დამატებითი საბაჟო დეკლარაციის წარდგენა?

როგორ ხორციელდება საქონლის საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანა?

რა შემთხვევაში იღებენ საბაჟო ორგანოები საქონლის სინჯებსა და იმუშებს?

რას ნიშნავს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორისათვის საერთაშორისო მიწოდების ჯაჭვი?

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსი მოიცავს ორი სახის ავტორიზაციას: ა) ავტორიზაცია საბაჟო გამარტივებისთვის, რომელიც, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად, მის მფლობელს აძლევს გარკვეული გამარტივებული საბაჟო ფორმალობებით სარგებლობის საშუალებას; ბ) ავტორიზაცია დაცვისა და უსაფრთხოებისთვის, რომელიც მის მფლობელს აძლევს დაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გარკვეული შეღავათებით სარგებლობის უფლებას.

რა პრივილეგიებით სარგებლობენ ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მიმღები პირები?

რას მოიცავს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის კონტროლი?

C. ტესტები:

დამატებითი საბაჟო დეკლარაციის წარდგენა არ მოითხოვება:

ა. თუ საქონელი საბაჟო საწყობის პროცედურაში მოექცა; საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში.

ბ. თუ საქონელი მხოლოდ იმპორტში მოექცა

გ. თუ საქონელი მხოლოდ ექსპორტში მოექცა

დ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში.

„ოქროს სიის" მონაწილის სტატუსის მისაღებად აუცილებელი პირობები არ ვრცელდება შემდეგ სუბიექტებზე:

ა. საერთაშორისო (სახელმწიფოთაშორისო, სამთავრობათაშორისო) ორგანიზაციები, უცხოეთის დიპლომატიური წარმომადგენლობები, მასთან გათანაბრებული დაწესებულებები და საკონსულო დაწესებულებები; საქართველოს პარლამენტი; „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტროები და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები; საქართველოს ეროვნული ბანკი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და საქართველოს უზენაესი სასამართლო; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, თვითმმართველი ქალაქების: თბილისის, ბათუმის, ქუთაისის და რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები (მერიები); საქართველოს საპატრიარქო

ბ. საერთაშორისო (სახელმწიფოთაშორისი, სამთავრობათაშორისო) ორგანიზაციები, უცხოეთის დიპლომატიური წარმომადგენლობები, მასთან გათანაბრებული დაწესებულებები და საკონსულო დაწესებულებები; საქართველოს პარლამენტი; „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტროები და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები

გ. საქართველოს პარლამენტი; „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტროები და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები; საქართველოს ეროვნული ბანკი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და საქართველოს უზენაესი სასამართლო

დ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, თვითმმართველი ქალაქების: თბილისის, ბათუმის, ქუთაისის და რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები (მერიები); საქართველოს საპატრიარქო.

რამდენნიშნა კოდი ენიჭება „ოქროს სიის" მონაწილის თითოეულ საწყობს

ა. შემოსავლების სამსახურის ბრძანებით „ოქროს სიის" მონაწილის თითოეულ საწყობს ცალკეული მისამართის მიხედვით ენიჭება ორნიშნა ციფრული კოდი

ბ. შემოსავლების სამსახურის ბრძანებით „ოქროს სიის" მონაწილის თითოეულ საწყობს ცალკეული მისამართის მიხედვით ენიჭება ხუთნიშნა ციფრული კოდი

გ. შემოსავლების სამსახურის ბრძანებით „ოქროს სიის" მონაწილის თითოეულ საწყობს ცალკეული მისამართის მიხედვით ენიჭება სამნიშნა ციფრული კოდი

დ. შემოსავლების სამსახურის ბრძანებით „ოქროს სიის" მონაწილის თითოეულ საწყობს ცალკეული მისამართის მიხედვით ენიჭება ოთხნიშნა ციფრული კოდი.

საბაჟო ორგანომ შეიძლება არ მოითხოვოს დამატებითი საბაჟო დეკლარაციის წარდგენა, თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

ა. გამარტივებული საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებული საქონლის ოდენობა და ღირებულება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დადგენილ მინიმალურ ზღვრებზე ნაკლებია;

ბ. გამარტივებული საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებული საქონლის ოდენობა და ღირებულება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დადგენილ მინიმალურ ზღვრებზე ნაკლებია; გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია უკვე შეიცავს შესაბამისი საბაჟო პროცედურის გამოსაყენებლად საჭირო ყველა ინფორმაციას; გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია დეკლარანტის ჩანაწერებში მონაცემების ასახვის ფორმით არ არის წარდგენილი

გ. გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია უკვე შეიცავს შესაბამისი საბაჟო პროცედურის გამოსაყენებლად საჭირო ყველა ინფორმაციას;

დ. გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია დეკლარანტის ჩანაწერებში მონაცემების ასახვის ფორმით არ არის წარდგენილი.

საქართველოში დაფუძნების ვალდებულების შესრულება არ მოეთხოვება:

ა. პირს, რომელიც წარადგენს საქონლის ტრანზიტის ან დროებით შემოტანის პროცედურაში მოქცევის საბაჟო დეკლარაციას;

ბ. პირს, რომელიც საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით არარეგულარულად წარადგენს საბაჟო დეკლარაციას, მათ შორის, შიდა გადამუშავების პროცედურის ან საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებისას

გ. პირს, რომელიც წარადგენს საქონლის ტრანზიტის ან დროებით შემოტანის პროცედურაში მოქცევის საბაჟო დეკლარაციას; პირს, რომელიც საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით არარეგულარულად წარადგენს საბაჟო დეკლარაციას, მათ შორის, შიდა გადამუშავების პროცედურის ან საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებისას

დ. პირს, რომელიც წარადგენს საქონლის გადამუშავების ან დროებით შემოტანის პროცედურაში მოქცევის საბაჟო დეკლარაციას.

რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანა არ შეიძლება:

ა. თუ საბაჟო ორგანომ დეკლარანტს შეატყობინა ამ დეკლარაციის შემოწმების განზრახვის შესახებ

ბ. თუ საბაჟო ორგანომ დაადგინა ამ დეკლარაციაში არასწორი მონაცემის არსებობა

გ. შესაბამისი საქონლის გაშვების შემდეგ

დ. თუ საბაჟო ორგანომ დეკლარანტს შეატყობინა ამ დეკლარაციის შემოწმების განზრახვის შესახებ; თუ საბაჟო ორგანომ დაადგინა ამ დეკლარაციაში არასწორი მონაცემის არსებობა; შესაბამისი საქონლის გაშვების შემდეგ.

ვის ევალება საქონლის წარდგენისა და გაფორმების ვალდებულება?

ა. დეკლარანტს/ საქონლის მფლობელს

ბ. მხოლოდ დეკლარანტის წარმომადგენელს

გ. დეკლარანტის ბიზნეს პარტნიორს

დ. ნებისმიერ პირს.

ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია ივსება:

ა. წერილობით – ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება საბაჟო ორგანოს, ხოლო მეორე უბრუნდება ფიზიკურ პირს, ან ელექტრონულად, რომლის ამობეჭდილი ეგზემპლარი გადაეცემა ფიზიკურ პირს. ამასთან, ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის ყველა გრაფის დადგენილი წესით შევსების შემთხვევაში, „Oracle"-ის მეშვეობით დეკლარაციას ავტომატურად ენიჭება ნომერი, რაც ნიშნავს დეკლარირების დასრულებას

ბ. წერილობით – ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება საბაჟო ორგანოს, ხოლო მეორე უბრუნდება ფიზიკურ პირს

ბ. ელექტრონულად, რომლის ამობეჭდილი ეგზემპლარი გადაეცემა ფიზიკურ პირს. ამასთან, ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის ყველა გრაფის დადგენილი წესით შევსების შემთხვევაში, „Oracle"-ის მეშვეობით დეკლარაციას ავტომატურად ენიჭება ნომერი, რაც ნიშნავს დეკლარირების დასრულებას

გ „Oracle"-ის მეშვეობით დეკლარაციას ავტომატურად ენიჭება ნომერი, რაც ნიშნავს დეკლარირების დასრულებას

დ. მხოლოდ მატერიალური ფორმით.

საფოსტო გზავნილების დეკლარაციით (დანართი №8-VIII-04) შესაძლებელია გაფორმდეს:

ა. ელექტრონული შესყიდვის გზით შეძენილი და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საფოსტო გზავნილებით შემოტანილი საქონელი, რომლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება არ იბეგრება/გათავისუფლებულია იმპორტის გადასახდელისაგან (გარდა იმ საქონლისა, რომლის შემოტანა შეზღუდულია ან/და მათი შემოტანისათვის საჭიროა ნებართვა ან/და ლიცენზია); საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საფოსტო გზავნილებით გასატანი საქონელი

ბ. ელექტრონული შესყიდვის გზით შეძენილი და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საფოსტო გზავნილებით შემოტანილი საქონელი, რომლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება არ იბეგრება/გათავისუფლებულია იმპორტის გადასახდელისაგან (გარდა იმ საქონლისა, რომლის შემოტანა შეზღუდულია ან/და მათი შემოტანისათვის საჭიროა ნებართვა ან/და ლიცენზია)

გ. საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საფოსტო გზავნილებით გასატანი საქონელი

დ. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოსატანი საქონელი.

დამატებითი საბაჟო დეკლარაციის წარდგენა არ მოითხოვება:

ა. თუ საქონელი საბაჟო საწყობის პროცედურაში მოექცა; საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში

ბ. თუ საქონელი საბაჟო საწყობის პროცედურაში მოექცა

გ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში

დ. ეკონომიკის მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

საბაჟო ორგანომ შეიძლება არ მოითხოვოს დამატებითი საბაჟო დეკლარაციის წარდგენა, თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

ა. გამარტივებული საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებული საქონლის ოდენობა და ღირებულება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დადგენილ მინიმალურ ზღვრებზე ნაკლებია; გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია უკვე შეიცავს შესაბამისი საბაჟო პროცედურის გამოსაყენებლად საჭირო ყველა ინფორმაციას; გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია დეკლარანტის ჩანაწერებში მონაცემების ასახვის ფორმით არ არის წარდგენილი

ბ. გამარტივებული საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებული საქონლის ოდენობა და ღირებულება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დადგენილ მინიმალურ ზღვრებზე ნაკლებია;

გ.გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია უკვე შეიცავს შესაბამისი საბაჟო პროცედურის გამოსაყენებლად საჭირო ყველა ინფორმაციას;

დ. გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია დეკლარანტის ჩანაწერებში მონაცემების ასახვის ფორმით არ არის წარდგენილი.

დამატებითი საბაჟო დეკლარაციის წარდგენა არ მოითხოვება:

ა. თუ საქონელი საბაჟო საწყობის პროცედურაში მოექცა

ბ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაშ.

გ. თუ საქონელი საბაჟო საწყობის პროცედურაში მოექცა; საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში

დ. თუ საქონელი იმპორტში მოექცა.

საქართველოში დაფუძნების ვალდებულების შესრულება არ მოეთხოვება:

ა. პირს, რომელიც წარადგენს საქონლის ტრანზიტის ან დროებით შემოტანის პროცედურაში მოქცევის საბაჟო დეკლარაციას; პირს, რომელიც საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით არარეგულარულად წარადგენს საბაჟო დეკლარაციას, მათ შორის, შიდა გადამუშავების პროცედურის ან საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებისას; საქართველოს საბაჟო ტერიტორიის მომიჯნავე უცხო ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე დაფუძნებულ პირს, რომელიც საქონელს წარადგენს უშუალოდ ამ ტერიტორიებს შორის არსებულ საბაჟო გამშვებ პუნქტში, იმ პირობით, რომ, ნაცვალგების პრინციპის გამოყენებით, მსგავსი შეღავათით სარგებლობს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დაფუძნებული პირი

ბ. პირს, რომელიც წარადგენს საქონლის ტრანზიტის ან დროებით შემოტანის პროცედურაში მოქცევის საბაჟო დეკლარაციას

გ. პირს, რომელიც საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით არარეგულარულად წარადგენს საბაჟო დეკლარაციას, მათ შორის, შიდა გადამუშავების პროცედურის ან საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებისას

დ. საქართველოს საბაჟო ტერიტორიის მომიჯნავე უცხო ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე დაფუძნებულ პირს, რომელიც საქონელს წარადგენს უშუალოდ ამ ტერიტორიებს შორის არსებულ საბაჟო გამშვებ პუნქტში, იმ პირობით, რომ, ნაცვალგების პრინციპის გამოყენებით, მსგავსი შეღავათით სარგებლობს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დაფუძნებული პირი.

საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის განხორციელებისას:

ა. თუ ასეთი კონტროლი ხორციელდება საბაჟო ორგანოს ინიციატივით და იგი დაადგენს, რომ დეკლარირებული საქონლის რაოდენობა ან/და ღირებულება ან/და საბაჟო ღირებულება ან/და სახეობათა რაოდენობა ან/და გადასახდელის თანხის ოდენობა შემცირებულია, დადგენილი წესით ხორციელდება საბაჟო სამართალდარღვევის დაფიქსირება და ვალდებულ პირს წარედგინება საგადასახადო მოთხოვნა დამატებით დარიცხული გადასახადის (გადასახდელის) ან/და საბაჟო სამართალდარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმის თანხებზე, ხოლო საქონლის საბაჟო დეკლარაციაში ცვლილება არ ხორციელდება; თუ ასეთი შემოწმება ხორციელდება დეკლარანტის ინიციატივით – საქონლის საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანის შესახებ დეკლარანტის წერილობითი განცხადების საფუძველზე, დეკლარანტს ჯარიმა არ დაეკისრება, ამასთან, თუ საბაჟო ორგანო დაადგენს, რომ ცვლილების შედეგად შემცირდება დეკლარირებული საქონლის რაოდენობა ან/და ღირებულება ან/და საბაჟო ღირებულება ან/და გადასახდელის თანხის ოდენობა, იგი დადგენილი წესით ახორციელებს ცვლილებას საქონლის საბაჟო დეკლარაციაში

ბ. თუ ასეთი კონტროლი ბორციელდება საბაჟო ორგანოს ინიციატივით და იგი დაადგენს, რომ დეკლარირებული საქონლის რაოდენობა ან/და ღირებულება ან/და საბაჟო ღირებულება ან/და სასაქონლო ნომენკლატურის კოდი ან/და გადასახდელის თანხის ოდენობა შემცირებულია, დადგენილი წესით ბორციელდება საბაჟო სამართალდარღვევის დაფიქსირება და ვალდებულ პირს წარედგინება საგადასახადო მოთხოვნა დამატებით დარიცხული გადასახადის (გადასახდელის) ან/და საბაჟო სამართალდარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმის თანხებზე, ხოლო საქონლის საბაჟო დეკლარაციაში ცვლილება არ ბორციელდება

გ. თუ ასეთი შემოწმება ბორციელდება დეკლარანტის ინიციატივით – საქონლის საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანის შესახებ დეკლარანტის წერილობითი განცხადების საფუძველზე, დეკლარანტს ჯარიმა არ დაეკისრება

დ. თუ ასეთი შემოწმება ბორციელდება დეკლარანტის ინიციატივით – საქონლის საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანის შესახებ დეკლარანტის წერილობითი განცხადების საფუძველზე, დეკლარანტს ჯარიმა არ დაეკისრება, ამასთან, თუ საბაჟო ორგანო დაადგენს, რომ ცვლილების შედეგად შემცირდება დეკლარირებული საქონლის რაოდენობა ან/და ღირებულება ან/და საბაჟო ღირებულება ან/და გადასახდელის თანხის ოდენობა, იგი დადგენილი წესით ახორციელებს ცვლილებას საქონლის საბაჟო დეკლარაციაში.

საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის სინჯებისა და ნიმუშების აღება, საბაჟო ორგანოს წერილობითი თანხმობით, შეუძლია ასევე დეკლარანტს, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ სხვა უფლებამოსილ პირს, მათ წარმომადგენლებს და სხვა სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების თანამშრომლებს, თუ მათი აღება:

ა. არ ეწინააღმდეგება და არ ართულებს საბაჟო კონტროლის განხორციელებას

ბ. არ ცვლის საქონლის მახასიათებელ ნიშნებს

გ. არ ეწინააღმდეგება და არ ართულებს საბაჟო კონტროლის განხორციელებას; არ ცვლის საქონლის მახასიათებელ ნიშნებს

დ. არ ართულებს საბაჟო კონტროლის გამოყენებას.

საბაჟო ორგანომ პირის განცხადების საფუძველზე შეიძლება გააუქმოს საქონლის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენის ვალდებულება. ამ შემთხვევაში საქონელი გაშვებულად მიიჩნევა დეკლარანტის ჩანაწერებში საქონლის შესახებ მონაცემების ასახვის მომენტიდან. საქონლის საბაჟო

ორგანოსთვის წარდგენა სავალდებულო არ არის, თუ დაკმაყოფილებულია ყველა შემდეგი პირობა:

ა. დეკლარანტი არის საბაჟო გამარტივებასთან დაკავშირებული ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი; საქონლის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენის ვალდებულებისგან გათავისუფლება განპირობებულია საქონლის სახეობითა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის სიხშირით

ბ. საბაჟო ორგანოსთვის ხელმისაწვდომია ყველა ინფორმაცია, რომლებიც აუცილებელია საჭიროების შემთხვევაში საქონლის შემოწმებისას საბაჟო ორგანოს მიერ უფლებამოსილების განხორციელებისთვის

გ. დეკლარანტის ჩანაწერებში საქონლის შესახებ მონაცემების ასახვის მომენტში საქონელი აღარ ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შეზღუდვებსა და აკრძალვებს, თუ ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის ავტორიზაციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული

დ. დეკლარანტი არის საბაჟო გამარტივებასთან დაკავშირებული ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი; საქონლის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენის ვალდებულებისგან გათავისუფლება განპირობებულია საქონლის სახეობითა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის სიხშირით; საბაჟო ორგანოსთვის ხელმისაწვდომია ყველა ინფორმაცია, რომლებიც აუცილებელია საჭიროების შემთხვევაში საქონლის შემოწმებისას საბაჟო ორგანოს მიერ უფლებამოსილების განხორციელებისთვის; დეკლარანტის ჩანაწერებში საქონლის შესახებ მონაცემების ასახვის მომენტში საქონელი აღარ ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შეზღუდვებსა და აკრძალვებს, თუ ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის ავტორიზაციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსი მოიცავს სახის ავტორიზაციას:

ა. ავტორიზაცია საბაჟო გამარტივებისთვის, რომელიც, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად, მის მფლობელს აძლევს გარკვეული გამარტივებული საბაჟო ფორმალობებით სარგებლობის საშუალებას; ავტორიზაცია დაცვისა და უსაფრთხოებისთვის, რომელიც მის მფლობელს აძლევს დაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გარკვეული შეღავათებით სარგებლობის უფლებას

ბ. ავტორიზაცია საბაჟო გამარტივებისთვის, რომელიც, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, მის მფლობელს აძლევს გარკვეული გამარტივებული საბაჟო ფორმალობებით სარგებლობის საშუალებას; ავტორიზაცია დაცვისა და უსაფრთხოებისთვის, რომელიც მის მფლობელს აძლევს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გარკვეული შეღავათებით სარგებლობის უფლებას

გ. ავტორიზაცია საბაჟო გამარტივებისთვის, რომელიც, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად, მის მფლობელს აძლევს გარკვეული გართულებული საბაჟო ფორმალობებით სარგებლობის საშუალებას; ავტორიზაცია დაცვისა და უსაფრთხოებისთვის, რომელიც მის მფლობელს აძლევს დაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გარკვეული შეღავათებით სარგებლობის უფლებას

დ. ავტორიზაცია საბაჟო გამარტივებისთვის, რომელიც, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად, მის მფლობელს აძლევს გარკვეული გამარტივებული საბაჟო ფორმალობებით სარგებლობის საშუალებას; ავტორიზაცია დაცვისა და უსაფრთხოებისთვის, რომელიც მის მფლობელს აძლევს დაცვასათან დაკავშირებული ზოგიერთი შეღავათებით სარგებლობის უფლებას.

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის კონტროლი მოიცავს:

ა. მონიტორინგს

ბ. მონიტორინგს; ხელახალ შემოწმებას

გ. ხელახალ შემოწმებას ქრონომეტრაჟს

დ. საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებების გამოყენებას.

D. კაზუსები:


1. ვთქვათ, დეკლარანტმა საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის ოპერაციით) საქართველოში შემოიტანა 20 000 ცალი ქალის ჩანთები, საქონელი ფიზიკურად არ შემოწმებულა და მხოლოდ დოკუმენტური შემოწმება გაიარა ყვითელ დერეფანში, მაგრამ შემდგომ აღმოჩნდა, რომ შეფუთული იყო მხოლოდ 6 000 ცალი ჩანთა.

1. *შეუძლია თუ არა დეკლარანტს შეუძლია მიმართოს განცხადებით საბაჟო ორგანოს და მოითხოვოს დეკლარაციაში ცვლილებების შეტანა და ამ ცვლილებების შესაბამისად დარიცხული საბაჟო გადასახდელების გადახდა.*
2. *ამ კონკრეტულ შემთხვევაში დეკლარანტი აგებს თუ არა პასუხს?*

2. საწარმოს სალაროში მიღებულია 2000 ლარი.

ბუღალტრულმა აღრიცხვამ თავდაპირველად სალაროში რომელი თანხა უნდა ასახოს და მეორეც დასადგენია თუ არა ამ თანხის მიღების წყარო?

E. სიტუაციური სახელმძღვანელო:



F. სამართლებრივი აქტები:

საერთაშორისო აქტები:

1996 წლის ვენის კონვენცია ოზონის შრის დაცვის შესახებ, https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/projects/hcfc-phase-out-management-plan.html;

2000 წლის მონრეალის ოქმი ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ, *https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/projects/hcfc-phase-out-management-plan.html;*

1964 წლის სეულის მსოფლიო საფოსტო კონვენცია, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1208332?publication=0

კონვენცია „გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის თაობაზე“, (საქართველოში ძალაშია 1996 წლის 12 დეკემბრიდან), https://old.rs.ge/common/get_doc.aspx?id=10517

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დამფუძნებელი მარაკეშის შეთანხმების ცვლილების ოქმი, 2014 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3609817?publication=0

საკანონმდებლო აქტები:

საქართველოს საბაჟო კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=5

საქართველოს საგადასახადო კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/32842?publication=69

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=146

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=37

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“,
https://www.matsne.gov.ge/document/view/1155567?publication=21

საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/3311504?publication=11

საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების შესახებ“,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/18196?publication=36

საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“,
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2062?publication=41

საქართველოს კანონი „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ“,
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/28090?publication=6;

საქართველოს კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/29836?publication=26

საქართველოს კანონს „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“,
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3936688?publication=1

საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“,
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/32962?publication=40

საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3311504?publication=11

კანონქვემდებარე აქტები:

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №420 დადგენილება „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1167052?publication=8

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის # 96 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“,
https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/2800/103/ge/pdf

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 24 დეკემბრის №608 დადგენილება „უქმე დღეების განსაზღვრის შესახებ“,
https://www.matsne.gov.ge/document/view/5326343?publication=0

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“, ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“, დანართი №8, https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“, ინსტრუქცია „ექსპორტის პროცედურის შესახებ“, დანართი №15,
https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“, ინსტრუქცია „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ“ (დანართი #5), https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“, ინსტრუქცია „გარე გადამუშავების პროცედურის შესახებ“, დანართი №14, https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის ბრძანება №275 წლის „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული

სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე" დანართი #1, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის #996 ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ", https://matsne.gov.ge/ka/document/view/1167887?publication=254 ,

ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ" (დანართი #13), https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანებით (დანართი #17) დამტკიცებული ინსტრუქცია „მილსადენითა და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებული საქონლის შესახებ", https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ", დანართი №11, https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივნისის №174 ბრძანება „დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესების შესახებ", https://matsne.gov.ge/ka/document/view/71008?publication=0

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ბრძანება № 465/ო (1999 წლის 29 ნოემბერი), „სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების, ამ ნივთიერებათა წამლის ფორმების, მათი შემცველი კომბინირებული პრეპარატების გამოსაწერი რეცეპტის ბლანკის ფორმების დამტკიცების, მათი დანიშვნისა და გამოწერის დროებითი წესების შესახებ", [1] https://matsne.gov.ge/ka/document/view/50164?publication=0

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2010 წლის 15 თებერვლის ბრძანება №8 „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვის ფორმის დამტკიცების თაობაზე", https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1005350?publication=0; ასევე: „კონვენცია (CITES) „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ", https://old.rs.ge/4977

ინსტრუქცია „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ". https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=48

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია (დანართი №2) „საბაჟო კონტროლის შესახებ“,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“ ინსტრუქცია (დანართი №1),
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს #257 ბრძანება „საქართველო საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“, დანართი #3, ინსტრუქცია „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბაჟო საწყობის პროცედურის შესახებ“ (დანართი №9),
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“ (დანართი №3),
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული „დეკლარირების კლასიფიკატორის“ (დანართი №19),
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“,
https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/1167887/285/ge/pdf

G. გამოყენებული ლიტერატურა:

ბარაზი ია, საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, დამხმარე სახელმძღვანელო, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2021

ია ბარაზი, საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი; დამხმარე სახელმძღვანელო, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2020

ბარაზი ია, საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2014

ბარაზი ია, საბაჟო სამართლი, თბილისი, 2007

ბარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2010

ბარაზი ია, ბარაზი ქეთევან, სუქნიშვილი მირზა, საგადასახადო სამართალი, მესამე ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2020

ბარაზი ია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი (მეოთხე გადამუშავებული და დამატებული გამოცემა). თბილისი, 2015

ბარაზი ია, საქართველოს საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა", თბილისი, 2015

ია ბარაზი, გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება, მონოგრაფია, 2006

ია ბარაზი, საბაჟო სამართალი, ლექციების კურსი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019, https://www.sou.edu.ge

ნადარაია, როგავა, რუხაძე, ბოლქვაძე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი §§ 1-155, 47-ე მუხლ. ავტ. ნადარაია, 331, https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00J1P6.pdf

ტურავა პ; წკეპლაძე ნ; ზოგადი ადმინისტრაციული სამართალის სახელმძღვანელო, თბილისი, 2010,

https://www.scribd.com/doc/109967625/ტურავა-წკეპლაძე-ზოგადი-ადმინისტრაციული-სამართალის-სახელმძღვანელო

ვეშაპიძე შოთა, ლოჯისტიკა, თბილისი, 2015, 1, 8-9;
https://www.sjuni.edu.ge/ebiblioteka/images/books/შეყვ%20lojistika.pdf

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თანაავტ.
https://sdasu.edu.ge/media/1001542/2017/12/16/6ef3a43b9a3432caef47ce80898b0e61

გონერ ურიდია, ფრიდონ არაბამია, საბაჟო საქმის თეორია, თბილისი, 2009

ურიდია გონერ, რუხაია ფრიდონ, არაბამია მერაბ, საბაჟო გაფორმება TIR და ATA (CPD) კარნეტის პრინციპებით, თბილისი, 2004

ლორთქიფანიძე ვ; საბაჟო საქმის საფუძვლები, თბილისი, 2002

აბელაშვილი ნოდარ, პროდუქციის ხარისხის აუდიტი და ექსპერტიზა საბაჟო სისტემაში, თბილისი, 2011, 153,
https://gtu.ge/book/nodar%20abelashvili.pdf

ტურავა პ; წკეპლაძე ნ; ზოგადი ადმინისტრაციული სამართალის სახელმძღვანელო, თბილისი, 2010,

https://www.scribd.com/doc/109967625/ტურავა-წკეპლაძე-ზოგადი-ადმინისტრაციული-სამართალის-სახელმძღვანელო

H. სამეცნიერო ნაშრომები:

ია ბარაზი, „გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება, დისერტაცია, თბილისი, 2006

ია ბარაზი, „საგადასახადო სამართლებრივ რეგულირებაში პრეზუმპტიული მეთოდების გამოყენების შესახებ“, „დიპლომატია და სამართალი“, #1(4), 2018, გვ. 46-68.

ამირანგუდაძე, „სატრანზიტო პოტენციალის გაზრდის შესაძლებლობების გამოკვლევა საბაჟო ლოგისტიკის პრინციპების დანერგვის საფუძველზე“, ტრანსპორტის დარგში ინჟინერიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, 45, ანსუ, https://rustaveli.org.ge/res/docs/3a49a90216ee7dad7e8863e1b012d4a61be5b606.pdf

გუდაძე ამირან, „სატრანზიტო პოტენციალის გაზრდის შესაძლებლობების გამოკვლევა საბაჟო ლოგისტიკის პრინციპების დანერგვის საფუძველზე“, ტრანსპორტის დარგში ინჟინერიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, 45, ანსუ, https://rustaveli.org.ge/res/docs/3a49a90216ee7dad7e8863e1b012d4a61be5b606.pdf

I. ლექსიკონები:

მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე] - თბ., 2004 - 483 გვ.: ცხრ.; 24სმ. - (საჯარო მოსამსახურის ბ-კა). - ISBN 99940-0-063-2: [ფ.ა.]; http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=17983

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1962, 248.

J. ვებრესურსები:

https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

https://ka.wikipedia.org/wiki/ აეროპორტის_კოდი_იატა

ბულალტრული აღრიცხვის არსი, მიზანი , ამოცანები, http://press.tsu.edu.ge/lessons/internetgak/_biznesi%20da%20ekonomika/X1.3..htm

ბლოგი: რა არის ფინანსური API, https://www.fintech.ge/news/details?id=144

ინტერვიუ ლაშა ბუკიშვილთან, https://www.bm.ge/ka/article/quotrodesac-amoqmeddeba-avtorizebuli-ekonomikuri-operatoris-sistema-shinaarss-dakargavs-oqros-sia-/35335

https://www.rs.ge/LegalEntityAuthorizedPersons?cat=2&tab=1

https://www.rs.ge/LegalEntityAuthorizedPersons?cat=2&tab=1

რისკების მართვის სისტემა, „ოქროს სია“, 2014, http://rs.ac.ge/pluginfile.php/1703/mod_resource/content/3/რისკების%20მართვის%20სისტემა.pdf,

სასაზღვრო საბაჟო ორგანოებში საბაჟო კონტროლის განხორციელება (საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საბაჟო საზღვრის გადაკვეთის პრინციპები,
http://rs.ac.ge/course/view.php?id=27&lang=en
ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა AUTHORIZED ECONOMIC OPERATOR PROGRAM IMPLEMENTATION ACTION PLAN, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტი „მმართველობა განვითარებისათვის", 2015, (USAID G4G, https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00KRVX.pdf
„ბულალტრული აღრიცხვის არსი, მიზანი, ამოცანები";
http://press.tsu.edu.ge/lessons/internetgak/_biznesi%20da%20ekonomika/X1.3..htm
https://eservices.rs.ge/ServiceRequestNew.aspx?p=176
https://bm.ge/ka/article/portebs-saqonlis-sabajo-sawyobidan-navsadgurshi-gadazidvis-vada-12-dan-24-saatamde-gaezardat/113942/
https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/2800/103/ge/pdf
ivelihood.gov.ge/res/uploads/drc_laws/160928053430ce76.pdf
https://www.rs.ge

თავი IV. რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაციის შემოწმება და საქონლის გაშვება

1. რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაციის შემოწმება

საბაჟო ორგანო უფლებამოსილია რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაში არსებული მონაცემების სიზუსტის შემოწმების მიზნით:

• ა) შეისწავლოს ეს დეკლარაცია და მისი თანმხლები დოკუმენტები;

საბაჟო ორგანოს მიერ რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაში დეკლარანტის მიერ მონაცემების სიზუსტის შემოწმების მიზნით მის უფლებამოსილებაში არსებული დეკლარანტისათვის დამატებითი დოკუმენტების წარდგენის მოთხოვნა საბაჟო კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ. აქედან გამომდინარე, საბაჟო ორგანოს კომპეტენტური მუშაკი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში (დასაბუთებული ეჭვის შემთხვევაშიც), დეკლარანტის მიერ წარმოდგენილი ნებისმიერი სახის დეკლარაცია (იქნება ეს სტანდარტული საბაჟო დეკლარაცია; გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია; საქონლის საბაჟო დეკლარაცია; ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია; ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დეკლარაცია; საფოსტო გზავნილების დეკლარაცია; ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაცია[396] და ა.შ.) და ასევე მისი თანხმლები დოკუმენტები შეისწავლოს.

ინსტრუქციის „საბაჟო კონტროლის შესახებ“ (დანართი №2) მე-6 პუნქტის -„საბაჟო დეკლარაციის და რეექსპორტის დეკლარაციის შემოწმება“, თანახმად: *დეკლარაციის შემოწმებას ატარებს საბაჟო ორგანოს თანამშრომელი, რომლის არჩევასაც უზრუნველყოფს კომპიუტერული პროგრამა, ხოლო ასეთი არჩევის შეუძლებლობის შემთხვევაში, თანამშრომელს ირჩევს უშუალო ხელმძღვანელი წერილობითი გადაწყვეტილებით, რაც ფორმდება განაცხადზე დადებული რეზოლუციით. უფლებამოსილი პირი დეკლარაციის შემოწმების დაწყებამდე უზრუნველყოფს*

---

[396] საბაჟო დეკლარაციის სახეების შესახებ იხ. ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“ (დანართი №8), მუხლი 4 -„საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის სახეები და ფორმები“.

დეკლარანტისთვის „დეკლარაციის შემოწმების დაწყების შესახებ" შეტყობინების (დანართი №2-II-01) ჩაბარებას[397].

დეკლარაციის შემოწმების ბოლოს ან მის ნებისმიერ ეტაპზე საბაჟო ორგანოს თანამშრომელი უფლებამოსილია მიიღოს ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი ან რამოდენიმე გადაწყვეტილება:

- *ა) საქონლის გამვების შესახებ;*
- *ბ) საქონლის გაშვების აკრძალვის შესახებ;*
- *გ) საქონლის დათვალიერების ან/და სინჯის ან/და ნიმუშის აღების შესახებ;*
- *დ) სამართალდარღვევის ნიშნების არსებობის შესახებ;*
- *ე) საქონლის გაშვების საბაჟო ფორმალობების შეჩერების შესახებ;*
- *ვ) საქონლის საბაჟო ღირებულების კორექტირების შესახებ;*
- *ზ) დეკლარაციაში ცვლილების შეტანის ან დეკლარაციის ძალადაკარგულად გამოცხადების ან გათიშლად ცნობის შესახებ*[398].

დეკლარაციის შემოწმება უნდა დასრულდეს, როგორც წესი, დეკლარაციისა და დეკლარირებისათვის აუცილებელი დოკუმენტების მიღებიდან არა უგვიანეს ერთი საათისა, თუ დეკლარაციის შემოწმების ეტაპები, საქონლის დათვალიერება, სინჯებისა და ნიმუშების აღება ან გაფორმების სხვა საბაჟო ფორმალობების განხორციელება გაცილებით მეტ დროს არ საჭიროებს. სამუშაო დღის დასრულებამდე ორი საათის განმავლობაში მიღებული დეკლარაციების შემოწმება უნდა დასრულდეს არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის 12:00 საათისა.

- ბ) მოსთხოვოს დეკლარანტს დამატებითი დოკუმენტების წარდგენა;

საბაჟო ორგანოს მიერ მოთხოვნილი დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტების მისაღებად დეკლარანტს შესაძლებელია დასჭირდეს საბაჟო ორგანოში ადრე წარდგენილი დოკუმენტები. ასეთ შემთხვევაში, დეკლარანტის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე საბაჟო ორგანო გასცემს დოკუმენტს და იტოვებს მის ასლს, რომლის უკანა გვერდზეც აკეთებს შესაბამის აღნიშვნას ორიგინალის საქმეში არარსებობის მიზეზის შესახებ. ასლს თან დაერთვის დეკლარანტის წერილობითი განცხადება დოკუმენტების მოთხოვნის შესახებ.

---

[397] დანართების შესახებ იხ. ინსტრუქციაში „საბაჟო კონტროლის შესახებ"

[398] აღნიშნულის შესახებ ვრცლად იხ. ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, პირველი ნაწილი, 2021.

დეკლარანტის მიერ დამატებითი დოკუმენტის წარდგენის ვადა განისაზღვრება არაუმეტეს 30 კალენდარული დღით, თუ დოკუმენტის გასაცემად საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით სხვა ვადა არ არის განსაზღვრული.

დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენის შესახებ წერილობითი მოთხოვნის დეკლარანტისათვის გაგზავნის (გადაცემის) მომენტიდან გაფორმებისათვის დადგენილი დროის ათვლა წყდება მოთხოვნილი ინფორმაციის/დოკუმენტების დეკლარანტის მიერ ოფიციალურად წარმოდგენამდე. დეკლარანტის მიერ დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ვადის ათვლა იწყება თავიდან. დამატებითი დოკუმენტები შეიძლება წარმოდგენილ იქნას: მაგ. საჭიროების შემთხვევაში ფიტოსანიტარული, ვეტსანიტარული და ა.შ. დოკუმენტები, წარმოშობის სერტიფიკატი, თუ დეკლარირებული საქონლის სატრანსპორტო საშუალების მიმართ ადგილი ჰქონდა საბაჟო ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტს – საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და შესაბამისი ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; წინმსწრები დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში) – დეკლარაცია, მოწმობა; ლივენზიები და გარანტიები; ან კიდევ პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი EUR.1-ის ორიგინალი, მოთხოვნისამებრ, წარუდგინოს საბაჟო ორგანოს და ა.შ.

- გ) დაათვალიეროს საქონელი;

„გ“ ქვეპუნქტის კომენტირებისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ საბაჟო კონტროლის ცნებას. საბაჟო კონტროლი - ეს არის საბაჟო ორგანოების მიერ საბაჟო ზონებში განხორციელებული საბაჟო დათვალიერებას დაქვემდებარებულ ტვირთებზე განხორციელებული ფიზიკური და ეკონომიკური ღონისძიებები..... საბაჟო კონტროლი არის საბაჟო ფუნქციების აღსრულება საბაჟო ზონაში, იმდენადაც, რამდენადაც საბაჟო ფუნქციების აღსრულება მოიცავს არა მარტო იმას, რომ ჩვენ ფიზიკურად წარმოვადგინოთ საქონელი და დავათვალიეროთ, არამედ ისიც, რომ აღვასრულოთ როგორც ფისკალური აგენტის, ასევე ქვეყნის პროტექტორატის ფუნქციები[399].

---

[399] ჯგერენაია ემზარ, საბაჟო ტექნოლოგიის საფუძვლები, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2002, 214.

ინსტრუქციის „საბაჟო კონტროლის შესახებ“ (დანართი №2), თავი III –„დათვალიერება, სინჯის ან/და ნიმუშის აღება, ექსპერტიზა“, მე-15-25-ე მუხლები არეგულირებენ დათვალიერების პროცედურებს, კერძოდ,

დათვალიერების სახეებია:

- ა) საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დათვალიერება;
- ბ) მგზავრის პირადი ნივთების (ბარგის/ხელბარგის) დათვალიერება;
- გ) მგზავრის დათვალიერება;
- დ) საფოსტო გზავნილის დათვალიერება.

საქონლის საბაჟო დეკლარაციის ან საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ის[400] ან სასაქონლო ზედნადების/ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების ან საგადასახადო დოკუმენტის წარდგენით საბაჟო გამშვებ პუნქტში დეკლარირებული საქონლის დათვალიერება ხორციელდება სკანირებით ან ვიზუალური დათვალიერებით, ხოლო სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვამდე ექსპორტში, რეექსპორტში ან ტრანზიტში დეკლარირებული, საქართველოდან საზღვაო გზით გასატანი საქონლისა – ვიზუალური დათვალიერებით.

საქონლის სახით იმ სატრანსპორტო საშუალების დათვალიერება და მისი რეკვიზიტების (საიდენტიფიკაციო მარკირების, ნომრის) შემოწმება, რომელიც თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების მიზნით შემოდის საქართველოში და რომლის რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო საშუალებების სარეგისტრაციო სამსახური, შეიძლება განხორციელდეს ამავე დაწესებულების სპეციალისტების მონაწილეობით.

დათვალიერება ხორციელდება საბაჟო კონტროლის ზონაში:

- *ა) ტექნიკური საშუალების – რენტგენული ინსპექტირების სისტემის (სკანერის) გამოყენებით (შემდგომში – სკანირება);*
- *ბ) ლუქების, შტამპებისა და საბაჟო იდენტიფიკაციის სხვა საშუალებების მოხსნითა და სატრანსპორტო საშუალებების, მათი სატვირთო სათავსების, საქონლის შეფუთვის გახსნით და დათვალიერებით;*

---

[400] საბაჟო დეკლარაცია - ფორმა 4-ის და მისი შევსების წესების შესახებ ზემოთ უკვე იყო საუბარი.

• *გ) საფოსტო გზავნილების შემთხვევაში – სკანირების მეშვეობით.*

იმ შემთხვევაში, როდესაც საქონლის გაფორმების ადგილზე წარდგენა სავალდებულო არ არის, დეკლარანტის მოთხოვნითა და საბაჟო ორგანოს თანხმობით, საქონლის დათვალიერება შესაძლებელია განხორციელდეს საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე.

დათვალიერებისას საბაჟო ორგანოს უფლებამოსილ პირს შეუძლია:

ა) მოსთხოვოს დეკლარანტს საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების წარდგენა დათვალიერების ადგილზე და დახმარების აღმოჩენა (საქონლის ტრანსპორტირების, აწონვის, საქონლის რაოდენობის განსაზღვრის, გადმოტვირთვა-დატვირთვის, გადატვირთვის, შეფუთვების გახსნისა ან ხელმეორედ შეფუთვის უზრუნველყოფა, ასევე შენობების, საცავების და სხვა ადგილების გახსნა, სადაც შესაძლებელია იმყოფებოდეს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალებები);

ბ) მიიღოს ინფორმაცია დათვალიერებაში მონაწილე პირთაგან;

გ) ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით, საბაჟო ორგანოს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანხმობით გაზარდოს დათვალიერების მოცულობა ან/და გამოიყენოს დათვალიერების დეტალური ფორმა;

დ) კანონმდებლობის შესაბამისად მოიწვიოს ექსპერტები და სპეციალისტები (მათ შორის კინოლოგები);

ე) საჭიროების შემთხვევაში აიღოს საქონლის სინჯი ან/და ნიმუში.

დათვალიერებისას საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირი (პირები) ვალდებულია:

• *ა) არ მიაყენოს გაუმართლებელი ზიანი საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებებს;*

• *ბ) დაიცვას დეკლარანტისა და დათვალიერებაში მონაწილე სხვა პირთა უფლებები;*

• *გ) საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების სკანირებისას:*

  • *გ.ა) სკანირების მეშვეობით მიღებული სურათი დადგენილი წესით ასახოს მოწმობის ელექტრონულ გაზაში, სხვა შემთხვევაში – შეინახოს დოკუმენტების შენახვისათვის საქართველოს საბაჟო კოდექსით განსაზღვრული ვადით;*

• *გ.ბ) თუ სკანირების მეშვეობით მიღებული სურათი შეიცავს მონაცემებს სამართალდარღვევის ნიშნების თაობაზე, რეაგირებისთვის გადასცეს საბაჟო დეპარტამენტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს;*

• *დ) განაბორციელოს დათვალიერება გონივრულ ვადაში, დასათვალიერებელი ობიექტის, საქონლის სახეობის, რაოდენობის, დათვალიერების მოცულობისა და სხვა პირობების გათვალისწინებით;*

• *ე) სამართალდარღვევის ფაქტის გამოვლენისას, დათვალიერების შედეგები ელექტრონულად ასახოს დეკლარაციის ინსპექტირების აქტში ან დათვალიერების აქტში და შეადგინოს სამართალდარღვევის ოქმი;*

• *ვ) დანაშაულის ნიშნების აღმოჩენისას, დათვალიერების შედეგები ელექტრონულად ასახოს დათვალიერების აქტში. იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულის ნიშნები აღმოჩენილია დეკლარაციის შემოწმებისას – აგრეთვე ინსპექტირების აქტში*[401].

საბაჟო გამშვებ პუნქტში საქონლის დათვალიერებაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დათვალიერება შესაძლებელია განხორციელდეს სკანირებით ან სხვა საშუალების გამოყენებით. ამასთან, აქციზური მარკებით ნიშანდებას ან/და სამედიცინო გაფრთხილების დატანას დაქვემდებარებული თამბაქოს ნაწარმის შემოტანისას, საქონელი თვალიერდება დადგენილი წესის შესაბამისად.

საბაჟო ორგანოს მიერ საქონელი დათვალიერდება, თუ სისტემაში რეგისტრირებული დეკლარაციისათვის განისაზღვრა „წითელი დერეფანი“. დათვალიერება ხორციელდება გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე ელექტრონულად მიღებული შეტყობინების შესაბამისად. ამასთან, ერთ სატრანსპორტო საშუალებაში განთავსებული, ერთი დეკლარაციით წარდგენილი ერთი დასახელების (სეს ესნ-ის 11-ნიშნა კოდის შესაბამისი) საქონლის დათვალიერება შესაძლებელია განხორციელდეს სკანირებით.

საჭიროების შემთხვევაში, დათვალიერების თაობაზე გადაწყვეტილებას, დეკლარაციის წითელ დერეფანში გადაყვანის ფორმით, იღებს: საბაჟო დეპარტამენტის უფროსი ან მისი მოადგილე, საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილების უფროსი ან მისი მოადგილე, გაფორმების ეკონომიკური ზონის (შემდგომში – გეზ) უფროსი ან მისი მოადგილე, გეზის შესაბამისი სამმართველოს უფროსი, საბაჟო გამშვები პუნქტის უფროსი ან მისი მოადგილე ან ცვლის უფროსი, საბაჟო რისკების მართვის სამმართველოს უფროსი ან მისი მოადგილე.

---

[401] ინსტრუქცია „საბაჟო კონტროლის შესახებ,“ მ.16.

საფოსტო გზავნილების სკანერით დათვალიერება ხორციელდება საფოსტო გზავნილების გადამზიდველის თანდასწრებით. გადაწყვეტილებას დათვალიერების თაობაზე იღებს სკანერით დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირი, ან შესაბამისი სამმართველოს უფროსი/მოადგილე, ან გეზ-ის უფროსი/მოადგილე, ან საბაჟო დეპარტამენტის უფროსი/მოადგილე. დათვალიერებაზე საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის არჩევას უზრუნველყოფს კომპიუტერული პროგრამა. ხოლო კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით არჩევის შეუძლებლობის შემთხვევაში, არჩევა ხორციელდება გეზ-ის ან საბაჟო გამშვები პუნქტის უფროსის მიერ წინასწარ დამტკიცებული განრიგის მიხედვით[402].

დათვალიერებაზე დეკლარანტის ან საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მიმართ სხვა უფლებამოსილი პირის ან მათი წარმომადგენლის დასწრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ შესაბამის პირს ეგზავნება ელექტრონული შეტყობინება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დათვალიერება ხორციელდება სკანერის მეშვეობით, ან ხორციელდება აქციზური მარკებით ნიშანდებას ან/და სამედიცინო გაფრთხილების დატანას დაქვემდებარებული თამბაქოს ნაწარმის დათვალიერება. იმ შემთხვევაში, როცა საქონელი წარდგენილია საბაჟო საწყობში ან შენახვის სხვა ადგილზე, ელექტრონული შეტყობინება აგრეთვე ეგზავნება ამ ადგილის მფლობელს.

დათვალიერების შეტყობინებაში დათვალიერების დროდ უნდა მიეთითოს შეტყობინების გაგზავნის დღიდან მომდევნო კალენდარული დღის (გარდა იმ შემთხვევისა, როცა კალენდარული დღე ემთხვევა კვირა დღეს ან საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ უქმე დღეს) არაუგვიანეს 17:00 საათი. გეზ-ში[403] ან საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებაში წარდგენილი საქონლის დათვალიერების ელექტრონულ შეტყობინებაში დათვალიერების დროდ უნდა მიეთითოს შეტყობინების გადაცემის მომენტიდან არაუგვიანეს 2 საათი.

დეკლარანტს ან საბაჟო საწყობის[404]/შენახვის სხვა ადგილის მფლობელს, დეკლარანტის თანხმობით, უფლება აქვს, დათვალიერების დაწყების დროის ამოწურვამდე არა უგვიანეს 1 საათისა, განცხადებით მიმართოს დათვალიერების უწყების გამცემ საბაჟო ორგანოს (გარდა გეზისა) და მოი-

---

[402] ინსტრუქცია „საბაჟო კონტროლის შესახებ," მ.17.

[403] გაფორმების ეკონომიკური ზონა.

[404] საბაჟო საწყობის შესახებ შესაბამის პარაგრაფში იქნება საუბარი.

თხოვოს შეტყობინებით განსაზღვრული დათვალიერების დროის გადავადება, მაგრამ არაუმეტეს 5 კალენდარული დღისა. ამ შემთხვევაში, დათვალიერების დროის განსაზღვრისას, უნდა მიეთითოს შეტყობინების გაგზავნიდან არა უგვიანეს მეხუთე კალენდარული დღის 17:00 საათი.

საქონლის (გეზ–ში[405] წარდგენილის გარდა) დათვალიერების გადავადების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საკომენტარო ინსტრუქციით „საბაჟო კონტროლის შესახებ" განსაზღვრული პირის მიერ.

საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დათვალიერება. საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დათვალიერება შესაძლებელია საბაჟო კონტროლის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე და მისი მიზანია: საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიკაცია, აკრძალული საქონლის შემოტანა/გატანის ან/და ფარულად გადაადგილების ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა, საქონლის მიმართ აკრძალვებისა და შეზღუდვების ღონისძიებების გატარება, დეკლარირებული საქონლისთვის მინიჭებული სეს ესნ-ის კოდის სისწორის განსაზღვრა.

დათვალიერება ხორციელდება საბაჟო კონტროლის ზონაში:

- *ა) ტექნიკური საშუალების – რენტგენული ინსპექტირების სისტემის (სკანერის) გამოყენებით (შემდგომში – სკანირება);*
- *გ) ლუქების, შტამპებისა და საბაჟო იდენტიფიკაციის სხვა საშუალებების მოხსნითა და სატრანსპორტო საშუალებების, მათი სატვირთო სათავსების, საქონლის შეფუთვის გახსნით და დათვალიერებით;*
- *გ) საფოსტო გზავნილების შემთხვევაში – სკანირების მეშვეობით.*

---

[405] გაფორმების ეკონომიკური ზონა („გეზ") განთავსებულია თბილისში, ბათუმსა ფოთში, აღჭურვილია თანამედროვე ინფრასტრუქტურით და ელექტრონული საშუალებებით, სპეციალურად დაგეგმარებული ავტოსადგომით ასეულობით სატვირთო ავტომანქანაზე. აქ შესაძლებელია საბაჟო დეკლარაციის შევსებამ ტვირტს გაფორმება, დათვალიერება და ექსპერტიზის ჩატარება; ასევე პირს შეუძლია საქონელი მოაქციოს შემდეგ პროცედურებში: იმპორტი, ექსპორტი, საწყობი, რეექსპორტი, დროებითი შემოტანა, საქონლის შიდა გადამუშავება, საქონლის გარე გადამუშავება და ტრანზიტი, თავისუფალი ზონა. ასევე შესაძლებელია, სახმელეთო, საზღვაო, სარკინიგზო და საჰაერო ტრანსპორტით გადაადგილებულ ტვირთებზე საბაჟო დეკლარაციის შევსება და გაფორმება.

იმ შემთხვევაში, როდესაც საქონლის გაფორმების ადგილზე წარდგენა სავალდებულო არ არის, დეკლარანტის მოთხოვნითა და საბაჟო ორგანოს თანხმობით, საქონლის დათვალიერება შესაძლებელია განხორციელდეს საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე.

დათვალიერებისას საბაჟო ორგანოს უფლებამოსილ პირს შეუძლია:

- ა) *მოსთხოვოს დეკლარანტს საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების წარდგენა დათვალიერების ადგილზე და დახმარების აღმოჩენა (საქონლის ტრანსპორტირების, აწონვის, საქონლის რაოდენობის განსაზღვრის, გადმოტვირთვა-დატვირთვის, გადატვირთვის, შეფუთვების გახსნისა ან ხელმეორედ შეფუთვის უზრუნველყოფა, ასევე შენობების, საცავების და სხვა ადგილების გახსნა, სადაც შესაძლებელია იმყოფებოდეს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალებები);*
- *ბ) მიიღოს ინფორმაცია დათვალიერებაში მონაწილე პირთაგან;*
- *გ) „საბაჟო კონტროლის შესახებ“ ინსტრუქციით დადგენილი წესით, საბაჟო ორგანოს სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანხმობით გაზარდოს დათვალიერების მოცულობა ან/და გამოიყენოს დათვალიერების დეტალური ფორმა;*
- *დ) კანონმდებლობის შესაბამისად მოიწვიოს ექსპერტები და სპეციალისტები (მათ შორის კინოლოგები);*
- *ე) საჭიროების შემთხვევაში აიღოს საქონლის სინჯი ან/და ნიმუში.*

დათვალიერებისას საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირი (პირები) ვალდებულია:

- ა) არ მიაყენოს გაუმართლებელი ზიანი საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებებს;
- ბ) დაიცვას დეკლარანტისა და დათვალიერებაში მონაწილე სხვა პირთა უფლებები;
- გ) საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების სკანირებისას:
  - გ.ა) სკანირების მეშვეობით მიღებული სურათი დადგენილი წესით ასახოს მოწმობის ელექტრონულ ბაზაში, სხვა შემთხვევაში – შეინახოს დოკუმენტების შენახვისათვის საქართველოს საბაჟო კოდექსით განსაზღვრული ვადით;

- გ.ბ) თუ სკანირების მეშვეობით მიღებული სურათი შეიცავს მონაცემებს სამართალდარღვევის ნიშნების თაობაზე, რეაგირებისთვის გადასცეს საბაჟო დეპარტამენტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს;
- დ) განახორციელოს დათვალიერება გონივრულ ვადაში, დასათვალიერებელი ობიექტის, საქონლის სახეობის, რაოდენობის, დათვალიერების მოცულობისა და სხვა პირობების გათვალისწინებით;
- ე) სამართალდარღვევის ფაქტის გამოვლენისას, დათვალიერების შედეგები ელექტრონულად ასახოს დეკლარაციის ინსპექტირების აქტში ან დათვალიერების აქტში და შეადგინოს სამართალდარღვევის ოქმი;
- ვ) დანაშაულის ნიშნების აღმოჩენისას, დათვალიერების შედეგები ელექტრონულად ასახოს დათვალიერების აქტში. იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულის ნიშნები აღმოჩენილია დეკლარაციის შემოწმებისას – აგრეთვე ინსპექტირების აქტში.

გადაწყვეტილებას, დეკლარაციის წითელ დერეფანში გადაყვანის ფორმით, იღებს: საბაჟო დეპარტამენტის უფროსი ან მისი მოადგილე, საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილების უფროსი ან მისი მოადგილე, გაფორმების ეკონომიკური ზონის (შემდგომში – გეზ) უფროსი ან მისი მოადგილე, გეზ-ის შესაბამისი სამმართველოს უფროსი, საბაჟო გამშვები პუნქტის უფროსი ან მისი მოადგილე ან ცვლის უფროსი, საბაჟო რისკების მართვის სამმართველოს უფროსი ან მისი მოადგილე. საფოსტო გზავნილების სკანერით დათვალიერება ხორციელდება საფოსტო გზავნილების გადამზიდველის თანდასწრებით. გადაწყვეტილებას დათვალიერების თაობაზე იღებს სკანერით დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირი, ან შესაბამისი სამმართველოს უფროსი/მოადგილე, ან გეზ-ის უფროსი/მოადგილე, ან საბაჟო დეპარტამენტის უფროსი/მოადგილე. დათვალიერებაზე საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის არჩევას უზრუნველყოფს კომპიუტერული პროგრამა. ხოლო კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით არჩევის შეუძლებლობის შემთხვევაში, არჩევა ხორციელდება გეზ-ის ან საბაჟო გამშვები პუნქტის უფროსის მიერ წინასწარ დამტკიცებული განრიგის მიხედვით[406].

დათვალიერებაზე დეკლარანტის ან საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მიმართ სხვა უფლებამოსილი პირის ან მათი წარმომადგენლის დასწრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ შესაბამის პირს ეგზავნება ელექტრონული

[406] ინსტრუქცია „საბაჟო კონტროლის შესახებ," მ.17.

შეტყობინება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დათვალიერება ხორციელდება სკანერის მეშვეობით, ან ხორციელდება აქციზური მარკებით ნიშანდებას ან/და სამედიცინო გაფრთხილების დატანას დაქვემდებარებული თამბაქოს ნაწარმის დათვალიერება. იმ შემთხვევაში, როცა საქონელი წარდგენილია საბაჟო საწყობში ან შენახვის სხვა ადგილზე, ელექტრონული შეტყობინება აგრეთვე ეგზავნება ამ ადგილის მფლობელს.

დათვალიერების შეტყობინებაში დათვალიერების დროდ უნდა მიეთითოს შეტყობინების გაგზავნის დღიდან მომდევნო კალენდარული დღის (გარდა იმ შემთხვევისა, როცა კალენდარული დღე ემთხვევა კვირა დღეს ან საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ უქმე დღეს) არაუგვიანეს 17:00 საათი. გეზ-ში[407] ან საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებაში წარდგენილი საქონლის დათვალიერების ელექტრონულ შეტყობინებაში დათვალიერების დროდ უნდა მიეთითოს შეტყობინების გადაცემის მომენტიდან არაუგვიანეს 2 საათი.

დეკლარანტს ან საბაჟო საწყობის[408]/შენახვის სხვა ადგილის მფლობელს, დეკლარანტის თანხმობით, უფლება აქვს, დათვალიერების დაწყების დროის ამოწურვამდე არა უგვიანეს 1 საათისა, განცხადებით მიმართოს დათვალიერების უწყების გამცემ საბაჟო ორგანოს (გარდა გეზისა) და მოითხოვოს შეტყობინებით განსაზღვრული დათვალიერების დროის გადავადება, მაგრამ არაუმეტეს 5 კალენდარული დღისა. ამ შემთხვევაში, დათვალიერების დროის განსაზღვრისას, უნდა მიეთითოს შეტყობინების გაგზავნიდან არა უგვიანეს მეხუთე კალენდარული დღის 17:00 საათი.

*საქონლის (გეზ–ში წარდგენილის გარდა) დათვალიერების გადავადების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საკომენტარო ინსტრუქციით **„საბაჟო კონტროლის შესახებ"** განსაზღვრული პირის მიერ.*

საბაჟო გამშვებ პუნქტში საქონლის დათვალიერებაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დათვალიერება შესაძლებელია განხორციელდეს სკანირებით ან სხვა საშუალების გამოყენებით. ამასთან, აქციზური მარკებით ნიშანდებას ან/და სამედიცინო გაფრთხილების დატანას დაქვემდებარებული თამბაქოს ნაწარმის შემოტანისას, საქონელი თვალიერდება დადგენილი წესის შესაბამისად.

საბაჟო ორგანოს მიერ საქონელი დათვალიერდება, თუ სისტემაში რეგისტრირებული დეკლარაციისათვის განისაზღვრა „წითელი დერეფანი"

---

[407] გაფორმების ეკონომიკური ზონა.

[408] საბაჟო საწყობის შესახებ შესაბამის პარაგრაფში იქნება საუბარი.

ან თუ ექსპორტში/გარე გადამუშავებაში/რეექსპორტში/ტრანზიტში გაშვებული საქონელი, შესაბამისი ინფორმაციის მიღებისას ან/და ახლად აღმოჩენილი გარემოებ(ებ)ის გამო, დაექვემდებარა საბაჟო გამშვებ პუნქტში განმეორებით, დამატებით ან მიზანმიმართულ დათვალიერებას. დათვალიერება ხორციელდება გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე ელექტრონულად მიღებული შეტყობინების შესაბამისად. ამასთან, ერთ სატრანსპორტო საშუალებაში განთავსებული, ერთი დეკლარაციით წარდგენილი ერთი დასახელების (სეს ესნ-ის 11-ნიშნა კოდის[409] შესაბამისი) საქონლის დათვალიერება შესაძლებელია განხორციელდეს სკანირებით.

საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ით[410] საქონლის გაფორმებისას, თუ თანმხლები დოკუმენტები არ არსებობს, საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მიზნით შესაძლებელია განხორციელდეს საქონლის დათვალიერება/ექსპერტიზა, რომლის შედეგებიც აისახება საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ის შესაბამის გრაფებში.

საჭიროების შემთხვევაში, დათვალიერების თაობაზე გადაწყვეტილებას დეკლარაციის წითელ დერეფანში გადაყვანის ფორმით იღებს: საბაჟო დეპარტამენტის უფროსი ან მისი მოადგილე, საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილების უფროსი ან მისი მოადგილე, გაფორმების ეკონომიკური ზონის (შემდგომში – გეზ) უფროსი ან მისი მოადგილე, გეზ-ის შესაბამისი სამმართველოს უფროსი, საბაჟო გამშვები პუნქტის უფროსი ან მისი მოადგილე ან ცვლის უფროსი, საბაჟო რისკების მართვის სამმართველოს უფროსი ან მისი მოადგილე.

საფოსტო გზავნილების სკანერით დათვალიერება ხორციელდება საფოსტო გზავნილების გადამზიდველის თანდასწრებით. გადაწყვეტილებას დათვალიერების თაობაზე იღებს სკანერით დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირი, ან შესაბამისი სამმართველოს უფროსი/მოადგილე, ან გეზ-ის უფროსი/მოადგილე, ან საბაჟო დეპარტამენტის უფროსი/მოადგილე.

დათვალიერებაზე საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის არჩევას უზრუნველყოფს კომპიუტერული პროგრამა. ხოლო კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით არჩევის შეუძლებლობის შემთხვევაში, არჩევა ხორციელდება გეზ-ის ან საბაჟო გამშვები პუნქტის უფროსის მიერ წინასწარ დამტკიცებული განრიგის მიხედვით.

---

[409] იხ. სეს ესნ.

[410] საბაჟო დეკლარაცია ფორმა 4-ით საქონლის გაფორმებაზე ზემოთ უკვე იყო კომენტარი გაკეთებული.

დათვალიერების შეტყობინება. დათვალიერებაზე დეკლარანტის ან საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მიმართ სხვა უფლებამოსილი პირის ან მათი წარმომადგენლის დასწრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ შესაბამის პირს ეგზავნება ელექტრონული შეტყობინება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დათვალიერება ხორციელდება სკანერის მეშვეობით, ან ხორციელდება აქციზური მარკებით ნიშანდებას ან/და სამედიცინო გაფრთხილების დატანას დაქვემდებარებული თამბაქოს ნაწარმის დათვალიერება. იმ შემთხვევაში, როცა საქონელი წარდგენილია საბაჟო საწყობში ან შენახვის სხვა ადგილზე, ელექტრონული შეტყობინება აგრეთვე ეგზავნება ამ ადგილის მფლობელს.

დათვალიერების შეტყობინებაში დათვალიერების დროდ უნდა მიეთითოს შეტყობინების გაგზავნის დღიდან მომდევნო კალენდარული დღის (გარდა იმ შემთხვევისა, როცა კალენდარული დღე ემთხვევა კვირა დღეს ან საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ უქმე დღეს) **არაუგვიანეს 17:00 საათი.** გეზ-ში ან საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებაში წარდგენილი საქონლის დათვალიერების ელექტრონულ შეტყობინებაში დათვალიერების დროდ უნდა მიეთითოს შეტყობინების გადაცემის მომენტიდან არაუგვიანეს 2 საათი. დეკლარანტს ან საბაჟო საწყობის/შენახვის სხვა ადგილის მფლობელს, დეკლარანტის თანხმობით, უფლება აქვს, დათვალიერების დაწყების დროის ამოწურვამდე **არა უგვიანეს 1 საათისა,** განცხადებით მიმართოს დათვალიერების უწყების გამცემ საბაჟო ორგანოს (გარდა გეზ-ისა) და მოითხოვოს შეტყობინებით განსაზღვრული დათვალიერების დროის გადავადება, მაგრამ **არაუმეტეს 5 კალენდარული დღისა.** ამ შემთხვევაში, დათვალიერების დროის განსაზღვრისას, უნდა მიეთითოს შეტყობინების გაგზავნიდან **არა უგვიანეს მეხუთე კალენდარული დღის 17:00 საათი.** საქონლის (გეზ–ში წარდგენილის გარდა) დათვალიერების გადავადების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება წინამდებარე ინსტრუქციით განსაზღვრული პირის მიერ.

დათვალიერება შეიძლება იყოს: განმეორებითი, დამატებითი, მიზანმიმართული.

განმეორებითი *დათვალიერების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება საქონლის საბაჟო კონტროლის ზონიდან გატანამდე, ინსტრუქციის „საბაჟო კონტროლის შესახებ" მე-17 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ, ამავე პირის ინიციატივით ან დეკლარანტის დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.*

ინსტრუქციის „საბაჟო კონტროლის შესახებ მე-17 მუხლის მე-4 პუნქტით საჭიროების შემთხვევაში, დათვალიერების თაობაზე გადაწყვეტილებას, დეკლარაციის წითელ დერეფანში გადაყვანის ფორმით, იღებს: *საბაჟო დეპარტამენტის უფროსი ან მისი მოადგილე, საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილების უფროსი ან მისი მოადგილე, გაფორმების ეკონომიკური ზონის (შემდგომში – გეზ) უფროსი ან მისი მოადგილე, გეზის შესაბამისი სამმართველოს უფროსი, საბაჟო გამშვები პუნქტის უფროსი ან მისი მოადგილე ან ცვლის უფროსი, საბაჟო რისკების მართვის სამმართველოს უფროსი ან მისი მოადგილე.*

დეკლარანტის მოთხოვნის საფუძველზე განბორციელებულ განმეორებით დათვალიერებაში მონაწილეობის უფლება არა აქვს თავდაპირველი დათვალიერების განმახორციელებელ თანამშრომელს.

დამატებითი დათვალიერება ხორციელდება:

- *ა) დეკლარანტის წერილობითი განცხადების საფუძველზე, თუ იგი მიიჩნევს, რომ საქონლის ნაწილის დათვალიერების შედეგები არ შეიძლება გავრცელდეს მთელ საქონელზე;*
- *ბ) იმ შემთხვევაში, თუ დათვალიერებისას აღმოჩნდება შეუსაბამობა წარდგენილ დოკუმენტებსა და საქონლის ფაქტიურ მონაცემებს შორის, აგრეთვე დეკლარაციის 41-ე გრაფაში მითითებული დამატებითი ზომის ერთეულის, ხოლო ასეთი სახის ზომის ერთეულის არარსებობისას – ძირითადი ზომის ერთეულის (კგ.) მიხედვით საქონლის რაოდენობრივ მონაცემებს შორის და ასეთი შეუსაბამობა აღემატება საქონლის ტრანსპორტირებისას ან შენახვის ნორმალური პირობების გათვალისწინებით დასაშვებ მაჩვენებლებს.*

დამატებითი დათვალიერება გულისხმობს საქონლის სრულ ან შერჩევით (ამ ბრძანებით დადგენილ დათვალიერების მოცულობაზე მეტი ოდენობით) დათვალიერებას და ხორციელდება საბაჟო კონმტროლის შესახებ" ინსტრუქციის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტით[411] განსაზღვრული პირის გადაწყვეტილებით.

---

[411] როგორც ზემოთაც ავღნიშნე, ასეთი პირებია: საბაჟო დეპარტამენტის უფროსი ან მისი მოადგილე, საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების

მიზანმიმართული დათვალიერება *ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც სკანირების შედეგების ამსახველი სურათის ან სამართალდამცავი ორგანოებიდან ან სხვა წყაროებიდან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით ადგილი აქვს ან შესაძლოა ჰქონდეს საბაჟო კანონმდებლობის დარღვევას ან ასეთი დარღვევის მცდელობას და გულისხმობს საქონლის ნებისმიერი შეფუთვის (შეკვრის) გახსნას ან/და სატრანსპორტო საშუალების ნებისმიერი სათავსის (განყოფილების) შემოწმებას, მასში საქონლის სამალავების ან/და საბაჟო კონტროლისგან მალულად გადაადგილებული საქონლის აღმოჩენის მიზნით. მიზანმიმართული დათვალიერება შეიძლება განხორციელდეს დათვალიერებასთან, განმეორებით დათვალიერებასთან ან დამატებით დათვალიერებასთან ერთად, ამ ინსტრუქციის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტით*[412] *განსაზღვრული პირის გადაწყვეტილებით.*

საფოსტო გზავნილის[413] *შემთხვევაში, როდესაც სკანირების შედეგების ამსახველი სურათის მიხედვით ადგილი აქვს ან შესაძლოა ჰქონდეს საბაჟო კანონმდებლობის დარღვევას, გადაწყვეტილებას გზავნილის მიზანმიმართული დათვალიერების თაობაზე იღებს სკანერით დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირი, ან შესაბამისი სამმართველოს უფროსი/მოადგილე, ან გეზ-ის უფროსი/მოადგილე, ან საბაჟო დეპარტამენტის უფროსი/მოადგილე. მიზანმიმართული დათვალიერება გულისხმობს გზავნილის ნებისმიერი შეფუთვის (შეკვრის) გახსნას საბაჟო კონტროლისგან მალულად გადაადგილებული საქონლის ან/და მასში არსებულ საქონელზე სამალავების აღმოჩენის მიზნით.*

ინსტრუქციის „საბაჟო კონტროლის შესახებ" მე-20 მუხლის თანახმად (პ.1) „„თუ დეკლარაციაში გაცხადებულია ერთი სახეობის, კერძოდ, ერთი დასახელების (მარკა, მოდელი და ა.შ.), სეს ესნ-ის ერთი სასაქონლო ქვესუბპოზიციის შესაბამისი, იდენტურად შეფუთული, სტანდარტული უმცირესი შეფუთვის, ან შეუფუთავი (საყარი, ჩასხმით და ა.შ.) საქონელი,

---

განყოფილების უფროსი ან მისი მოადგილე, გაფორმების ეკონომიკური ზონის (შემდგომში – გეზ) უფროსი ან მისი მოადგილე, გეზ-ის შესაბამისი სამმართველოს უფროსი, საბაჟო გამშვები პუნქტის უფროსი ან მისი მოადგილე ან ცვლის უფროსი, საბაჟო რისკების მართვის სამმართველოს უფროსი ან მისი მოადგილე.

[412] იხ. საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილის (ავტ. ი. ხარაზი), 2021.

[413] საფოსტო გზავნილის საბაჟო კონტროლზე ცალკე პარაგრაფშია საუბარი, საბაჟო სამართლის პირველ ნაწილში (ავტ. ხარაზი ი; 2021), ამიტომ ამ შემთხვევაში მოკლედ ვისაუბრებთ ამ საკითხებზე.

მისი დათვალიერება ხორციელდება შემთხვევითი შერჩევითობით, საქონლის რაოდენობის **არანაკლებ 5%-ის ოდენობით.** *საქონლის რაოდენობა განისაზღვრება დეკლარაციის შესაბამის გრაფაში მითითებული დამატებითი ზომის ერთეულის შესაბამისად, ხოლო ასეთი სახის ზომის ერთეულის არარსებობისას ძირითადი ზომის ერთეულის (კგ.) მიხედვით".*

ინსტრუქციის „საბაჟო კონტროლის შესახებ" მე-20 მუხლის მუხლის ზემოთ განხილული პირველი პუნქტისგან განსხვავებულ შემთხვევაში, საქონლის დათვალიერება ხორციელდება **შემთხვევითი შერჩევითობის** *საფუძველზე, თითოეული სახეობის (ამ მუხლის პირველი პუნქტის განსაზღვრებით)* **საქონლის რაოდენობის არანაკლებ 10%-ის ოდენობით.** *შეფუთვის ცალკეული სახეობის გახსნისას ამოღებული საქონლის რაოდენობა უნდა განისაზღვროს დეკლარაციის შესაბამის გრაფაში მითითებული დამატებითი ზომის ერთეულის შესაბამისად, ხოლო ასეთი სახის ზომის ერთეულის არარსებობისას – ძირითადი ზომის ერთეულის (კგ.) მიხედვით.*

იმ შემთხვევაში, როდესაც დეკლარაციაში მითითებული საქონლის სახეობათა რაოდენობა აჭარბებს **50-ს,** *დათვალიერება ხორციელდება შემთხვევითი შერჩევითობის საფუძველზე სხვადასხვა სახეობის საქონლის რაოდენობის* **არანაკლებ 20%-ის ოდენობით.**

საქონლის შემოტანისას (გარდა ტრანზიტისა ან იმ შემთხვევისა, როდესაც პირი საბაჟო გამშვებ პუნქტშივე აცხადებს საქონლის მიმართ რეექსპორტის გამოყენების განზრახვას) აქციზური მარკებით ნიშანდებას ან/და სამედიცინო გაფრთხილების დატანას დაქვემდებარებული თამბაქოს ნაწარმი თვალიერდება საბაჟო გამშვებ პუნქტში (საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით, დათვალიერება შესაძლებელია განხორციელდეს სხვა საბაჟო კონტროლის ზონაში), შემთხვევითი შერჩევითობით. **დათვალიერება ხორციელდება თამბაქოს ნაწარმის უდიდესი შეფუთვის საერთო რაოდენობის 2% ოდენობის შერჩევით.** შერჩეული უდიდესი შეფუთვის საერთო რაოდენობიდან დათვალიერებას ექვემდებარება არანაკლებ **2%** *თამბაქოს ნაწარმის ყუთი, ხოლო თითოეული ყუთიდან – თამბაქოს ნაწარმის არანაკლებ* **2% ოდენობის უმცირესი შეფუთვა.** *თამბაქოს ნაწარმის რაოდენობა განისაზღვრება საქონლის საბაჟო დეკლარაციის 41-ე გრაფაში (საბაჟო გამშვებ პუნქტში დათვალიერებისას – ზოგადი დეკლარირებისთვის წარდგენილ დოკუმენტში) მითითებული დამატებითი ზომის ერთეულის შესაბამისად, ხოლო ასეთი სახის ზომის ერთეულის არარსებობისას – ძირითადი ზომის ერთეულის (კგ.) მიხედვით (პ.4).*

ინსტრუქციის მე-5 პუნქტის მიხედვით, **ზემოთ აღნიშნული პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით,** *დათვალიერებას დაქვემდებარებული*

საქონლის მოცულობის სწორად განსაზღვრისთვის, სავალდებულოა სატრანსპორტო საშუალებაში ფაქტიურად განთავსებული საქონლის საერთო რაოდენობის დადგენა. საერთო რაოდენობა დგინდება დეკლარაციის შესაბამის გრაფაში (ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ შემთხვევაში – ზოგადი დეკლარირებისთვის წარდგენილ დოკუმენტში) ასახული დამატებითი ზომის ერთეულის შესაბამისად, ხოლო ასეთი ზომის ერთეულის არარსებობისას – ძირითადი ზომის ერთეულის (კგ.) მიხედვით.

მე-6 პუნქტის მიხედვით: განსახილველი მე-20 მუხლის პირველი პუნქტისაგან განსხვავებულ შემთხვევაში, როცა საქონელი არ არის დახარისხებული თითოეული სახეობის მიხედვით, დათვალიერება ხორციელდება საქონლის რაოდენობის არანაკლებ 100%-ის ოდენობით. შეფუთვის ცალკეული სახეობიდან ამოღებული საქონელი ექვემდებარება რაოდენობის განსაზღვრას, რაც ხორციელდება დეკლარაციის შესაბამის გრაფაში მითითებული დამატებითი ზომის ერთეულის შესაბამისად, ხოლო ასეთი სახის ზომის ერთეულის არ არსებობისას – ძირითადი ზომის ერთეულის (კგ.) მიხედვით. ამ პუნქტის მიზნებისთვის „საქონელი არ არის დახარისხებული თითოეული სახეობის მიხედვით" აღნიშნავს იმ შემთხვევას, რიცა სატრანსპორტო საშუალებაში განთავსებული, სეს ესნ-ს ერთი სასაქონლო ქვესუბპოზიციის შესაბამისი, ერთი დასახელების (მარკა, მოდელი და ა.შ.), სტანდარტული უმცირესი შეფუთვის სახით იდენტურად შეფუთული ან შეუფუთავი საქონელი შერეულია სხვა სახეობის საქონელთან, რომლის შედეგად შეუძლებელია ცალკეული სატვირთო ადგილის ან უმსხვილესი შეფუთვის მიხედვით ცალსახად განხორციელდეს საქონლის თითოეული სახეობის იდენტიფიკაცია.

ზემოთ მითითებული მე-6 პუნქტის მოთხოვნები არ ვრცელდება:

- *ა) საბაჟო გამშვებ პუნქტში საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ზე ან სასაქონლო ზედნადების/ზე-ტყის სასაქონლო ზედნადების წარდგენით დეკლარირებულ ან საქონლის საბაჟო დეკლარაციით წარდგენილ საქონელზე, რომლის დათვალიერებაც ხორციელდება სკანირებით ან ვიზუალური დათვალიერებით;*
- *ბ) სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვამდე ექსპორტში, რექსპორტში ან ტრანზიტში დეკლარირებულ საქართველოდან საზღვაო გზით გასატან საყარ საქონელზე ან შიდა გადამუშავების პროცედურაში სარკინიგზო ვაგონების გადამუშავებით მიღებულ, სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვამდე ექსპორტში დეკლარირებულ, საქართველოდან საზღვაო გზით გასატან შავი ლითონის ჯართზე, რომლის დათვალიერებაც ხორციელდება ვიზუალური დათვალიერებით.*

საჰაერო ტრანსპორტით გარგით ან/და ხელგარგით შემოტანილი, თავისუფალ მიმოქცევის პროცედურაში გაცხადებული საქონლის დათვალიერებაზე გადაწყვეტილება მიიღება დეკლარაციის წითელ დერეფანში მოხვედრის შემთხვევაში და დათვალიერება ხორციელდება საქონლის რაოდენობის 100%-ის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ დეკლარაციის რეგისტრაციამდე საქონელი დათვალიერებულია შემოსავლების სამსახურის ექსპერტის მიერ, დეკლარაციის წითელ დერეფანში გადაყვანის შემთხვევაში, საქონელი დათვალიერდება მხოლოდ იმ მონაცემების დადგენის მიზნით, რომლებიც შემოსავლების სამსახურის ექსპერტის მიერ გამოკვლეული (დადგენილი) არ ყოფილა.

საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების შედეგები ფორმდება „საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების აქტით" (დანართი №2-III-02)[414], გარდა იმ შემთხვევებისა, როცა:

- *ა) დათვალიერება ხორციელდება სკანერის მეშვეობით;*
- *ბ) დათვალიერების შედეგად სამართალდარღვევის ნიშნები არ იქნა გამოვლენილი;*
- *გ) დათვალიერების შედეგები აისახება დეკლარაციის ინსპექტირების აქტში (გარდა დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევისა) ან „თამბაქოს ნაწარმის დათვალიერების აქტში".*

მხოლოდ სკანირების შედეგები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დათვალიერების აქტის ან/და სამართალდარღვევის ოქმის შესადგენად.

„საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების აქტს" ადგენს საბაჟო ორგანოს თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს დათვალიერებაში. იმ შემთხვევაში, როდესაც დათვალიერებას ესწრებიან ამავე ინსტრუქციის მე-15 მუხლით გათვალისწინებული პირები, აღნიშნულის თაობაზე მიეთითება „საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების აქტში", ისინიც აწერენ ხელს და შესაბამისად გადაეცემათ აქტის თითო ეგზემპლარი (ასლი). აქციზური მარკებით ნიშანდებას ან/და სამედიცინო გაფრთხილების დატანას დაქვემდებარებული თამბაქოს ნაწარმის დათვალიერების შედეგები ფორმდება „თამბაქოს ნაწარმის დათვალიერების აქტით" (დანართი №2-III-01[415]).

---

[414] აღნიშნული დანართის ფორმულარის შესახებ იხ. ინსტრუქცია „საბაჟო კონტროლის შესახებ".

[415] იხ. სქ. 414.

• *დ) ლაბორატორიული კვლევის მიზნით აიღოს საქონლის სინჯი ან/და ნიმუში;*

საბაჟო კონტროლის განხორციელებისას საბაჟო ორგანოს თანამშრომელი უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით ან დეკლარანტის მოთხოვნით აიღოს გამოკვლევისათვის საჭირო საქონლის სინჯები ან/და ნიმუშები, სათანადო აქტის გაფორმებით, რომლის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა საქონელზე უფლებამოსილ პირს ან მის წარმომადგენელს. საბაჟო ორგანოს თანამშრომლის მიერ საქონლის სინჯის ან/და ნიმუშის აღების ფაქტი უნდა აისახოს „საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების აქტში" (დანართი №2-III-02)[416], ასევე მითითებული უნდა იყოს, თუ საქონლის რომელი შეკვრიდან (ყუთი, ფუთა და სხვ.) და რა რაოდენობით განხორციელდა სინჯის ან/და ნიმუშის აღება.

აუცილებლობის შემთხვევაში, საქონლის სინჯისა და ნიმუშის აღება წარმოების ექსპერტის ან სპეციალისტის მონაწილეობით.

საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის სინჯებისა და ნიმუშების აღება, საბაჟო ორგანოს წერილობითი თანხმობით, შეუძლია ასევე დეკლარანტს, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ სხვა უფლებამოსილ პირს, მათ წარმომადგენლებს და სხვა სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების თანამშრომლებს, თუ მათი აღება:

• *ა) არ ეწინააღმდეგება და არ ართულებს საბაჟო კონტროლის განხორციელებას;*

• *გ) არ ცვლის საქონლის მახასიათებელ ნიშნებს.*

ნავთობის ან ნავთობპროდუქტის დროებით შენახვისას, დეკლარანტს ან საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ სხვა უფლებამოსილ პირს შეუძლია, სურვეირული კომპანიის წარმომადგენლის მონაწილეობით მოახდინოს სასაქონლო პარტიიდან ნებისმიერი ან ყველა სატრანსპორტო საშუალების გახსნა, სინჯის აღება და ლაბორატორიაში გადაგზავნა.

სურვეირული მომსახურება - ცარიელი და დატვირტული გემის აზომვა, მისი ტექნიკური მდგომარეობის ექსპერტიზა, აგრეთვე ტვირთის რაოდენობის, მისი დანაკლისისა და დაზიანების შემოწმება და ა. შ[417].

---

[416] დანართის შესახებ იხ. ინსტრუქციაში „საბაჟო კონტროლის შესახებ".

[417] საქართველოს საზღვაო კოდექსი, „საზღვაო კოდექსში გამოყენებული ტერმინები", პ. 28. https://matsne.gov.ge/ka/document/view/18646?publication=0

სინჯისა და ნიმუშის აღებისას დეკლარანტის მიერ სინჯებზე და ნიმუშებზე ცალკე დეკლარაცია არ წარედგინება, იმ პირობით, რომ ისინი გათვალისწინებული იქნება დეკლარაციაში.

საბაჟო ორგანოს თანამშრომელს უფლება აქვს, დეკლარანტს ან საქონელზე სხვა უფლებამოსილ პირს და მათ წარმომადგენლებს მოსთხოვოს დასწრება საქონლის სინჯისა და ნიმუშის აღებისას და აღნიშნულთან დაკავშირებული სატვირთო და სხვა საჭირო ოპერაციების განხორციელება.

საბაჟო ორგანოს თანამშრომელი ვალდებულია, დაესწროს დეკლარანტის, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ სხვა უფლებამოსილი პირის, მათი წარმომადგენლების და სხვა სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოს თანამშრომლის მიერ სინჯებისა და ნიმუშების აღებას. საბაჟო ორგანოს თანამშრომელს უფლება აქვს, დეკლარანტისა და მისი წარმომადგენლის დაუსწრებლად აიღოს საქონლის სინჯი ან/და ნიმუში. სინჯებსა და ნიმუშებს იღებენ იმ მინიმალური ოდენობით, რაც საკმარისია მათ გამოსაკვლევად.

იმ შემთხვევაში, თუ საქონლის სინჯების ან/და ნიმუშების გამოკვლევა საჭიროებს სპეციალური ცოდნას, ინიშნება ექსპერტიზა. ექსპერტიზა ტარდება შემოსავლების სამსახურის ან მოწვეული ექსპერტების (შესაბამისი ორგანიზაციების წარმომადგენლების) მიერ, რომელთაც დასკვნის გასაცემად გააჩნიათ სპეციალური ცოდნა.

გადაწყვეტილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ მიიღება საბაჟო დეპარტამენტის უფროსის ან მისი მოადგილის, საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილების უფროსის ან მისი მოადგილის, გეზ-ის უფროსის ან მისი მოადგილის, გეზ-ის შესაბამისი სამმართველოს უფროსის, საბაჟო გამშვები პუნქტის უფროსის ან მისი მოადგილის ან ცვლის უფროსის, საბაჟო რისკების მართვის სამმართველოს უფროსის ან მისი მოადგილის მიერ.

საფოსტო გზავნილის შემთხვევაში გადაწყვეტილება ექსპერტიზის დანიშვის შესახებ მიიღება საფოსტო გზავნილების გადამზიდველის ან გზავნილის მიმღების მიერ იმ შემთხვევაში, როდესაც გზავნილს არ გააჩნია ღირებულების ამსახველი დოკუმენტი ან/და საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ დათვალიერების შედეგად გზავნილის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 300 ლარზე მეტს, ხოლო ფიზიკური პირის გზავნილის შემთხვევაში 3000 ლარზე მეტს.

იმ შემთხვევაში თუ გზავნილის მიმღები არ ეთანხმება საფოსტო გზავნილების გადამზიდველის დეკლარირებულ ან/და საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ სავარაუდოდ განსაზღვრულ ღირებულებას,

საფოსტო გზავნილის ჩაბარებამდე მას თავისი ხარჯით შეუძლია მოითხოვოს საბაჟო ღირებულების შესახებ ექსპერტიზის დასკვნა ან დანიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა.

შემოსავლების სამსახურის ექსპერტების მიერ ექსპერტიზა აგრეთვე შეიძლება ჩატარდეს დკლარანტის, დაინტერესებული პირის, დავის განმხილველი ორგანოს, საგამოძიებო, სასამართლო ორგანოს ან შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნით.

გადაწყვეტილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ მიიღება წერილობითი (მათ შორის, ელექტრონული) ფორმით, რომელშიც აღინიშნება ექსპერტიზის ჩატარების მიზანი, ექსპერტიზის ჩატარების ადგილი, იმ ორგანიზაციის (ექსპერტის) დასახელება, რომელშიც უნდა ჩატარდეს ექსპერტიზა, ექსპერტის წინაშე დასმული კითხვები, ექსპერტიზისათვის წარსადგენი დოკუმენტებისა და მასალების ჩამონათვალი. ექსპერტის მოწვევა ხდება ხელშეკრულების საფუძველზე, რომელშიც, სხვა პირობებთან ერთად, აღინიშნება ექსპერტის მიერ შეგნებულად ცრუ დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში მისი პასუხისმგებლობის შესახებ.

ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ ფორმდება ხელშეკრულება მომსახურების შესახებ სამოქალაქო კოდექსით დადაგენილი წესით.

საქონლის სინჯებისა და ნიმუშების გამოკვლევის/ექსპერტიზის შედეგების შესახებ უნდა ეცნობოს დეკლარანტს ან საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მიმართ სხვა უფლებამოსილ პირებს ან მათ წარმომადგენლებს. სხვა სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების მიერ აღებული სინჯისა და ნიმუშის გამოკვლევის შედეგების შესახებ უნდა ეცნობოს საბაჟო ორგანოს და დეკლარანტს ან საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ სხვა უფლებამოსილ პირს ან მათ წარმომადგენლებს. გამოკვლევის/ექსპერტიზის დამთავრების შემდეგ საქონლის სინჯები ან/და ნიმუშები უბრუნდება მათ მფლობელს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სინჯები და ნიმუშები კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება განადგურებას ან მათი ნაწილი გახარჯული იქნა გამოკვლევის პროცესში ან როდესაც სინჯებისა და ნიმუშების დაბრუნებასთან დაკავშირებული ხარჯები აღემატება მათ ღირებულებას. ამასთან, საბაჟო ორგანო ვალდებული არ არის აანაზღაუროს სინჯის ან/და ნიმუშის აღებით გამოწვეული დანაკლისი.

სასაქონლო ექსპერტიზის (საქონლის რაოდენობის, შემადგენლობის და ძირითადი მახასიათებლების დადგენის, საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის, საქონლის მიმართ საგარეო-ეკონომიკური საქმიანო-

ბის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის შესაბამისად, სასაქონლო კოდის განსაზღვრის ან/და საქონლის წარმოშობის ქვეყნის დადგენის მიზნით) შედეგებზე შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო ღირებულებისა და საქონლის კლასიფიკაციის სამმართველო გასცემს:

- *ა) „ექსპერტის დასკვნას – ფორმა №1" (დანართი №2-III-04)[418] – ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში;*
- *ბ) „ექსპერტის დასკვნას – ფორმა №2" (დანართი №2-III-05)[419] – ამ მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან განმეორებითი სასაქონლო ექსპერტიზის ჩატარებისას.*

განსახილველი ინსტრუქციის მე-13 პუნქტით[420] გათვალისწინებულ შემთხვევებში ან დეკლარანტის მოთხოვნის საფუძველზე შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო გამშვები პუნქტი გასცემს „ექსპერტის დასკვნა – ფორმა №1-ს" (დანართი №2-III-04)[421] მხოლოდ ძვირფასი ლითონების, ძვირფასი ქვებისა და ძვირფასქვიანი საიუველირო ნაკეთობების საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მიზნით ჩატარებული სასაქონლო ექსპერტიზის შედეგებზე. ზემოთ მითითებულიი „ექსპერტის დასკვნა – ფორმა №1"-სა (დანართი №III-05) და „ექსპერტის დასკვნა – ფორმა №2"-ს (დანართი №2-III-05) ხელს აწერს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო ღირებულებისა და საქონლის კლასიფიკაციის სამმართველოს ექსპერტი, რომელიც ატარებს შესაბამის სასაქონლო ექსპერტიზას, ან საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომელი, რომელსაც დასკვნის გასაცემად გააჩნია სპეციალური ცოდნა.

იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის სინჯის/ნიმუშის აღება შეუძლებელია, საბაჟო დეპარტამენტის უფროსის ან მისი მოადგილის, საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილების უფროსის ან მისი მოადგილის, გეზ-ის უფროსის ან მისი მოადგილის, გეზ-

---

[418] დანართის შესახებ იხ. ინსტრუქცია „საბაჟო კონტროლის შესახებ".

[419] იხ. სქ. 421.

[420] გადაწყვეტილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ მიიღება საბაჟო დეპარტამენტის უფროსის ან მისი მოადგილის, საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილების უფროსის ან მისი მოადგილის, გეზ-ის უფროსის ან მისი მოადგილის, გეზ-ის შესაბამისი სამმართველოს უფროსის, საბაჟო გამშვები პუნქტის უფროსის ან მისი მოადგილის ან ცვლის უფროსის, საბაჟო რისკების მართვის სამმართველოს უფროსის ან მისი მოადგილის მიერ.

[421] იხ. სქ. 421.

ის შესაბამისი სამმართველოს უფროსის, საბაჟო გამშვები პუნქტის უფროსის ან მისი მოადგილის ან ცვლის უფროსის, საბაჟო რისკების მართვის სამმართველოს უფროსის ან მისი მოადგილის, ან კიდევ დეკლარანტის, დაინტერესებული პირის, დავის განმხილველი ორგანოს, საგამოძიებო, სასამართლო ორგანოს ან შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნით გამოკვლევის/ექსპერტიზის ჩასატარებლად შესაძლებელია განხორციელდეს საქონლის დროებით (არა უმეტეს 30 კალენდარული დღის ვადით) გატანა საბაჟო კონტროლის ზონიდან, აღრიცხვის მოწმობის გამოწერით, საბაჟო კონტროლის ზონაში დაბრუნების პირობით[422].

- *ე) დაათვალიეროს ფიზიკური პირი;*

რა შემთხვევაში ხდება ფიზიკური პირის, როგორც მგზავრის დათვალიერება, რომელიც გადაადგილდება საბაჟო საზღვარზე (ტოვებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიას, ან შემოდის საქართველოში?)

თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ საზღვრის გადამკვეთი მგზავრი სხეულში ან სხეულზე - მალავს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთს, საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით ხდება მგზავრის დათვალიერება.

ინსტრუქცია „საბაჟო კონტროლის შესახებ" უშვებს გამონაკლისს იმ პირებისათვის, რომლებიც საბაჟო კონტროლს არ ექვემდებარებიან და ასეთ განსაზღვრულ პირთა მიმართ მიმართ განსხვავებული საბაჟო კონტროლის ხორციელდება (მაგ: სამთავრობო დელეგაცია, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და ა.შ. რომელთა შესახებაც აღნიშნული თავის ცალკე პარაგრაფში იქნება საუბარი).

მგზავრის შემოწმება ხორციელდება:

- *ა) ფიზიკური დათვალიერებით;*
- *ბ) ადამიანის სხეულის სკანერის მეშვეობით დათვალიერებით;*
- *გ) მგზავრის გაგზავნით სამედიცინო დაწესებულებაში სხეულის შიდა ორგანოების დათვალიერების მიზნით (თუ არის ეჭვი, რომ მგზავრი სხეულის შიდა ორგანოებში მალავს საქონელს), რაც ხორციელდება საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის თანხლებით.*

---

[422] ასევე იხ. ხარაზი ია, საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბილისი, 2014, 27-29; საბაჟო სამართალი, ლექციების კურსი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019, https://www.sou.edu.ge

მგზავრის დათვალიერების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ, რომელიც ახორციელებს მგზავრის საბაჟო კონტროლს ან მგზავრის დათვალიერებაზე გადაწყვეტილებას იღებენ: საბაჟო დეპარტამენტის უფროსი ან მისი მოადგილე, საბაჟო დეპარტამენტის განყოფილების უფროსი ან მისი მოადგილე, გაფორმების ეკონომიკური ზონის უფროსი ან მისი მოადგილე, გეზ-ის შესაბამისი სამმართველოს უფროსი, საბაჟო გამშვები პუნქტის უფროსი ან მისი მოადგილე ან ცვლის უფროსი, საბაჟო რისკების მართვის სამმართველოს უფროსი ან მისი მოადგილე ზეპირად ან წერილობით. მგზავრის ფიზიკური დათვალიერება წარმოებს საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის ან მოწვეული სპეციალისტის მიერ, რომელიც დასათვალიერებელი პირის სქესისაა, ამისათვის ცალკე გამოყოფილ ადგილას, იმავე სქესის პირის (პირების) თანდასწრებით. მგზავრის ფიზიკური დათვალიერების დაწყებამდე, საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი ვალდებულია, პირს წარუდგინოს თანამდებობრივი მოწმობა, აცნობოს გადაწყვეტილება, გააცნოს მისი უფლება-მოვალეობანი ასეთი დათვალიერების დროს (მათ შორის, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით) და მისცეს წინადადება დამალული საქონლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ნებაყოფლობით გადაცემის თაობაზე. დამალული საქონლის მგზავრის მიერ ნებაყოფლობით გადაცემის ან/და დათვალიერების შედეგად ასეთი საქონლის აღმოჩენის შესახებ დგება „მგზავრის ან/და მგზავრის ბარგის/ხელბარგის დათვალიერების ოქმი“ (დანართი №2-III-03) და სამართალდარღვევის ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

დანართი №2-III–03

მგზავრის ან/და მგზავრის ბარგის/ხელბარგის დათვალიერების ოქმი №

_____ _____

დათვალიერების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) ოქმის შედგენის ადგილი

1. დათვალიერება ჩაუტარდა _____

2. დათვალიერება განახორციელა: _____

_____

(სტრუქტურული ერთეულის/ქვედანაყოფის დასახელება, თანამშრომლის თანამდებობა, სახელი და გვარი)

3. დათვალიერებას ესწრებოდნენ: _____

_____

(თანამდებობა, სახელი, გვარი და საიდენტიფიკაციო/პირადი/პასპორტის №)

4. ფიზიკურ პირს ეცნობა მისი დათვალიერების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება, განემარტა მისი უფლებები და მოვალეობები და მიეცა წინადადება დამალული საქონლის, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ნებაყოფლობით გადაცემის თაობაზე

5. დათვალიერების პროცედურა მიმდინარეობდა — სთ — წთ-დან, — სთ — წთ-მდე.

6. დათვალიერების მიზნით ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები: _____

_____

_____

7. დათვალიერების ჩატარების პირობები: _____

_____

_____

8. აღმოჩენილი ნივთმტკიცებულებები: _____

_____

(საგნების სახეობა, რაოდენობა, ინდივიდუალური დაგვარეობითი ნიშნები და სხვა მახასიათებლები)

9. დათვალიერების შემდეგ აღმოჩენილი ნივთმტკიცებულებები დალუქულ იქნა № _____
ლუქით და განთავსდა/გაიგზავნა _____

10. წინამდებარე ოქმის სისწორეს ვადასტურებთ ხელის მოწერით:
დათვალიერების ჩამტარებელი პირი/პირები:

_____ _____

(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)

(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)

დათვალიერებაზე დამსწრე პირი/პირები:

(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)

(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)

მოწვეული სპეციალისტი (არსებობის შემთხვევაში):

(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)

(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)

მოწმეები (არსებობის შემთხვევაში):

(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)

(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)

11. ჩამიტარდა დათვალიერების პროცედურა, რის შემდეგაც გავეცანი წინამდებარე ოქმს და
მივიღე ოქმის მეორე ეგზემპლარი, რასაც ვადასტურებ ხელმოწერით

_____

შენიშვნები:_____

მგზავრის დათვალიერების ჩატარების მონაწილე ნებისმიერი პირის მიერ ოქმში შეტანილი ყველა შენიშვნა, დამატება ან შესწორება დადასტურებული უნდა იყოს მათივე ხელმოწერით. თუ არსებობენ მოწმეები, რომლებსაც შესაძლებელია გააჩნდეთ ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით დასადგენ გარემოებათა შესახებ, ოქმს შეიძლება ხელი მოაწერონ ამ პირებმაც. „მგზავრის ან/და მგზავრის ბარგის/ხელბარგის დათვალიერების ოქმი“ დგება ორ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი რჩება შემდგენელთან, ხოლო

მეორე გადაეცემა მგზავრს. თუ დათვალიერებას ესწრებიან სახელმწიფო საზღვარზე კონტროლის განმახორციელებელი სხვა სახელმწიფო ორგანოს თანამშრომლები, ოქმში შეიტანება მათი მონაცემებიც, რაც დასტურდება მათი ხელმოწერით და გადაეცემათ ოქმის ასლი. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, ოქმის ასლი საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა მასალებთან და ნივთმტკიცებულებებთან ერთად გადაეცემა შესაბამის საგამოძიებო ორგანოს.

მგზავრის დათვალიერების შედეგად აღმოჩენილი სამართალდარღვევის საგანი/საგნები, ოქმში დაწვრილებითი აღწერის შემდეგ, საჭიროებისა და შესაძლებლობის შემთხვევაში, უნდა შეიფუთოს და დაილუქოს.

მგზავრის ბარგისა და ხელბარგის შემოწმება ხორციელდება მათი დათვალიერებით (სკანირებით და ფიზიკური დათვალიერებით).

მგზავრის ბარგისა და ხელბარგის დათვალიერება წარმოების მგზავრის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით, ხოლო მათ დაუსწრებლად დათვალიერება შესაძლებელია განხორციელდეს:

- ა) თუ ბარგის და ხელბარგის მესაკუთრის დადგენა შეუძლებელია;
- ბ) საჰაერო გზით შემოტანილი/გასატანი ბარგის მიზანმიმართული დათვალიერებისას, როდესაც სკანირების შედეგებისამსახველი სურათის ან სამართალდამცავი ორგანოებიდან ან სხვა წყაროებიდან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით ადგილი აქვს ან შესაძლოა ჰქონდეს კანონმდებლობის დარღვევას ან ასეთი დარღვევის მცდელობას.

საბაჟო ორგანოს თანამშრომელმა, მგზავრის ბარგის ან/და ხელბარგის ფიზიკური დათვალიერების დაწყებამდე, მგზავრს უნდა შესთავაზოს დამალული/აკრძალული საქონლის ნებაყოფლობით წარდგენა.

დათვალიერებისას საბაჟო ორგანოს თანამშრომელს უფლება აქვს:

- ა) მოსთხოვოს მგზავრს ბარგის/ხელბარგის წარდგენა და განთავსება დათვალიერებისათვის გამოყოფილ ადგილზე;
- ბ) მოსთხოვოს მგზავრს დახმარების აღმოჩენა ბარგის/ხელბარგის გახსნასა, საქონლის გადმოლაგებასა და რაოდენობის განსაზღვრისას;
- გ) მიიღოს ინფორმაცია მგზავრისგან ბარგის/ხელბარგის შიგთავსის შესახებ.

დათვალიერებისას საბაჟო ორგანოს თანამშრომელი ვალდებულია, არ მიაყენოს არამართლზომიერი ზიანი მგზავრის ბარგს/ხელბარგს და მასში მოთავსებულ ნივთებს. მგზავრის ბარგის/ხელბარგის დათვალიერებისას სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, დათვალიერების შედეგები აისახება სამართალდარღვევის ოქმში.

მგზავრის ბარგის/ხელბარგის დათვალიერებისას სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, არსებული ნივთმტკიცებულებები უნდა შეიფუთოს, დაილუქოს და დათვალიერების შედეგები გაფორმდეს „მგზავრის ან/და მგზავრის ბარგის/ხელბარგის დათვალიერების ოქმით“ (ზემოთ მოცემული დანართი №2-III-03) ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება შემდგენელთან, ხოლო მეორე გადაეცემა მგზავრს. აღნიშნული ოქმის ასლი აღმოჩენილ ნივთმტკიცებულებებთან ერთად გადაეცემა შესაბამის საგამოძიებო ორგანოს.

ჩამორთმეული ან მიტოვებული საქონელი, შესაბამის ოქმში ან აქტში დაწვრილებით აღწერის შემდეგ, შესაძლებლობის შემთხვევაში, უნდა შეიფუთოს და დაილუქოს[423].

ფიზიკური პირის მიერ 30 000 ლარზე ან მის ეკვივალენტზე სხვა ვალუტაში მეტი ნაღდი ფულის - ეროვნული და უცხოური ვალუტის, ჩეკებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების დეკლარირების შემთხვევაში საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი ახდენს პირის იდენტიფიკაციას, ანუ ფიზიკურ პირს დეკლარირების ვალდებულება წარმოეშობა: დ) საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებულ ნაღდ ფულზე (ეროვნული ან/და უცხოური ვალუტა), ჩეკებსა ან/და სხვა ფასიან ქაღალდებზე, რომელთა ჯამური ოდენობა აღემატება 30 000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში.

იხ. ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“ (დანართი #8).

- *ვ) მოახდინოს საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიკაციის საშუალების გამოყენებით ნიშანდება;*

დათვალიერების მოცულობა და ფორმა. თუ დეკლარაციაში გაცხადებულია ერთი სახეობის, კერძოდ, ერთი დასახელების (მარკა, მოდელი და ა.შ.), სეს ესნ-ის ერთი სასაქონლო ქვესუბპოზიციის შესაბამისი, იდენტურად შეფუთული, სტანდარტული უმცირესი შეფუთვის, ან შეუფუთავი (საყარი, ჩასხმით და ა.შ.) საქონელი, მისი დათვალიერება ხორციელდება შემთხვევითი შერჩევითობით, საქონლის რაოდენობის **არანაკლებ 5%-ის ოდენობით.** საქონლის რაო-

[423] ასევე იხ. ხარაზი ია, საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მეორე ნაწილი, თბილისი, 2014, 30-35.

დენობა განისაზღვრება დეკლარაციის შესაბამის გრაფაში მითითებული დამატებითი ზომის ერთეულის შესაბამისად, ხოლო ასეთი სახის ზომის ერთეულის არარსებობისას ძირითადი ზომის ერთეულის (კგ.) მიხედვით[424]. მე-2 პუნქტის მიხედვით, პირველი პუნქტისგან განსხვავებულ შემთხვევაში, საქონლის დათვალიერება ხორციელდება შემთხვევითი შერჩევითობის საფუძველზე, თითოეული სახეობის (ამ მუხლის პირველი პუნქტის განსაზღვრებით) საქონლის რაოდენობის **არანაკლებ 10%-ის ოდენობით.** შეფუთვის ცალკეული სახეობის გახსნისას ამოღებული საქონლის რაოდენობა უნდა განისაზღვროს დეკლარაციის შესაბამის გრაფაში მითითებული დამატებითი ზომის ერთეულის შესაბამისად, ხოლო ასეთი სახის ზომის ერთეულის არარსებობისას – ძირითადი ზომის ერთეულის (კგ.) მიხედვით.

იმ შემთხვევაში, როდესაც დეკლარაციაში მითითებული საქონლის სახეობათა რაოდენობა **აჭარბებს 50-ს,** დათვალიერება ხორციელდება შემთხვევითი შერჩევითობის საფუძველზე სხვადასხვა სახეობის საქონლის რაოდენობის არანაკლებ 20%-ის ოდენობით (პ.3.).

„საქონლის შემოტანისას (გარდა ტრანზიტისა ან იმ შემთხვევისა, როდესაც პირი საბაჟო გამშვებ პუნქტშივე აცხადებს საქონლის მიმართ რეექსპორტის გამოყენების განზრახვას) აქციზური მარკებით ნიშანდებას ან/და სამედიცინო გაფრთხილების დატანას დაქვემდებარებული თამბაქოს ნაწარმი თვალიერდება საბაჟო გამშვებ პუნქტში (საბაჟო ორგანოს გადაწყვეტილებით, დათვალიერება შესაძლებელია განხორციელდეს სხვა საბაჟო კონტროლის ზონაში), შემთხვევითი შერჩევითობით. დათვალიერება ხორციელდება თამბაქოს ნაწარმის უდიდესი შეფუთვის **საერთო რაოდენობის 2% ოდენობის** შერჩევით. შერჩეული უდიდესი შეფუთვის საერთო რაოდენობიდან დათვალიერებას ექვემდებარება **არანაკლებ 2%** თამბაქოს ნაწარმის ყუთი, ხოლო თითოეული ყუთიდან – თამბაქოს ნაწარმის **არანაკლებ 2%** ოდენობის უმცირესი შეფუთვა. თამბაქოს

---

[424] ინსტრუქცია „საბაჟო კონტროლის შესახებ", მ. 20 („დათვალიერების მოცულობა და ფორმა"), პ.1.

ნაწარმის რაოდენობა განისაზღვრება საქონლის საბაჟო დეკლარაციის 41-ე გრაფაში (საბაჟო გამშვებ პუნქტში დათვალიერებისას – ზოგადი დეკლარირებისთვის წარდგენილ დოკუმენტში) მითითებული დამატებითი ზომის ერთეულის შესაბამისად, ხოლო ასეთი სახის ზომის ერთეულის არარსებობისას – ძირითადი ზომის ერთეულის (კგ.) მიხედვით“ (პ.4).

ზემოთ აღნიშნული პირველი–მე-3 პუნქტებით დადგენილი პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით დათვალიერებას დაქვემდებარებული საქონლის მოცულობის სწორად განსაზღვრისთვის, სავალდებულოა სატრანსპორტო საშუალებაში ფაქტიურად განთავსებული საქონლის საერთო რაოდენობის დადგენა. საერთო რაოდენობა დგინდება დეკლარაციის შესაბამის გრაფაში (ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ შემთხვევაში – ზოგადი დეკლარირებისთვის წარდგენილ დოკუმენტში) ასახული დამატებითი ზომის ერთეულის შესაბამისად, ხოლო ასეთი ზომის ერთეულის არარსებობისას – ძირითადი ზომის ერთეულის (კგ.) მიხედვით.

ინსტრუქციის განსახილველი მუხლის პირველი პუნქტისაგან განსხვავებულ შემთხვევაში, როცა საქონელი არ არის დახარისხებული თითოეული სახეობის მიხედვით, დათვალიერება ხორციელდება საქონლის რაოდენობის **არანაკლებ 100%-ის ოდენობით.** შეფუთვის ცალკეული სახეობიდან ამოღებული საქონელი ექვემდებარება რაოდენობის განსაზღვრას, რაც ხორციელდება დეკლარაციის შესაბამის გრაფაში მითითებული დამატებითი ზომის ერთეულისშესაბამისად, ხოლო ასეთი სახის ზომის ერთეულის არ არსებობისას – ძირითადიზომის ერთეულის (კგ.) მიხედვით. ამ პუნქტის მიზნებისთვის „საქონელი არ არის დახარისხებული თითოეული სახეობის მიხედვით” აღნიშნავს იმ შემთხვევას, როცა სატრანსპორტო საშუალებაში განთავსებული, სეს ესნ-ს ერთი სასაქონლო ქვესუბპოზიციის შესაბამისი, ერთი დასახელების (მარკა, მოდელი და ა.შ.), სტანდარტული უმცირესი შეფუთვის სახით იდენტურად შეფუთული ან შეუფუთავი საქონელი შერეულია სხვა სახეობის საქონელთან, რომლის შედეგად შეუძლებელია ცალკეული სატვირთო ადგილის ან უმსხვილესი შეფუთვის მიხედვით ცალსახად განხორციელდეს საქონლის თითოეული სახეობის იდენტიფიკაცია.

ზემოთ მოცემული მოთხოვნები (3.1-6.) მოთხოვნები არ ვრცელდება:

- ა) საბაჟო გამშვებ პუნქტში საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ზე ან სასაქონლო ზედნადების/ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების წარდგენით დეკლარირებულ ან საქონლის საბაჟო დეკლარაციით წარდგენილ საქონელზე, რომლის დათვალიერებაც ხორციელდება სკანირებით ან ვიზუალური დათვალიერებით;
- ბ) სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვამდე ექსპორტში, რეექსპორტში ან ტრანზიტში დეკლარირებულ საქართველოდან საზღვაო გზით გასატან საქონელზე, რომლის დათვალიერებაც ხორციელდება ვიზუალური დათვალიერებით.

საჰაერო ტრანსპორტით ბარგით ან/და ხელბარგით შემოტანილი, თავისუფალ მიმოქცევის პროცედურაში გაცხადებული საქონლის დათვალიერებაზე გადაწყვეტილება მიიღება დეკლარაციის წითელ დერეფანში მოხვედრის შემთხვევაში და დათვალიერება ხორციელდება **საქონლის რაოდენობის 100%-ის ოდენობით.**

თუ დეკლარაციის რეგისტრაციამდე საქონელი დათვალიერებულია შემოსავლების სამსახურის ექსპერტის მიერ, დეკლარაციის წითელ დერეფანში გადაყვანის შემთხვევაში, საქონელი დათვალიერდება მხოლოდ იმ მონაცემების დადგენის მიზნით, რომლებიც შემოსავლების სამსახურის ექსპერტის მიერ გამოკვლეული (დადგენილი) არ ყოფილა და ა.შ[425].

- დ) აიღოს საქონლის სინჯი ან/და ნიმუში მისი ანალიზისთვის ან საქონლის დეტალური შემოწმებისთვის.

აღნიშნულის შესახებ ვრცელ კომენტარს შემოგთავაზებთ მომდევნო პარაგრაფში.

[425] ვრცლად იხ. ინსტრუქცია „საბაჟო კონტროლის შესახებ“.

2. საქონლის დათვალიერება, სინჯის ან/და ნიმუშის აღება. საქონლის ნაწილობრივი დათვალიერება და საქონლის ნაწილიდან სინჯის ან/და ნიმუშის აღება

საქონლის დათვალიერება, სინჯის ან/და ნიმუშის აღება. საქონლის დასათვალიერებლად და ანალიზისთვის მისი სინჯის ან/და ნიმუშის ასაღებად განკუთვნილ ადგილზე საქონლის მიტანა, აგრეთვე საქონლის დასათვალიერებლად და ანალიზისთვის მისი სინჯის ან/და ნიმუშის ასაღებად საქონლის მომზადება უნდა უზრუნველყოს დეკლარანტმა. ამ ქმედებებთან დაკავშირებულ ხარჯებს დეკლარანტი ანაზღაურებს. დეკლარანტს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს, დაესწროს საქონლის დათვალიერებას და ანალიზისთვის მისი სინჯის ან/და ნიმუშის აღებას. დეკლარანტი ან მისი წარმომადგენელი ვალდებულია საქონლის დასათვალიერებლად და ანალიზისთვის მისი სინჯის ან/და ნიმუშის ასაღებად დახმარების გაწევის მიზნით საბაჟო ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე დაესწროს საქონლის დათვალიერებას და ანალიზისთვის მისი სინჯის ან/და ნიმუშის აღებას. საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საქონლის სინჯის ან/და ნიმუშის აღება, საბაჟო ორგანოს თანხმობით, შეუძლია აგრეთვე დეკლარანტს, საქონელთან ან/და სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებული უფლებამოსილების მქონე სხვა პირს ან მის წარმომადგენელს, სხვა სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოს თანამშრომელს, თუ ეს:

- ა) არ ეწინააღმდეგება და არ ართულებს საბაჟო კონტროლს;
- ბ) არ ცვლის საქონლის მახასიათებლებს.

თუ საქონლის სინჯი ან/და ნიმუში საბაჟო ორგანოს ინიციატივით აიღება, ჩატარებული ანალიზის ან გამოკვლევის ხარჯებს აანაზღაურებს საბაჟო ორგანო. ამასთანავე, საბაჟო ორგანო ვალდებული არ არის, აანაზღაუროს სინჯის ან/და ნიმუშის სახით აღებული საქონლის ღირებულება.

თუ საქონლის სინჯი ან/და ნიმუში დეკლარანტის ინიციატივით აიღება, ჩატარებული ანალიზის ან გამოკვლევის ხარჯებს აანაზღაურებს დეკლარანტი. საქონლის სინჯის ან/და ნიმუშის ანალი-

ზის/ექსპერტიზის ან გამოკვლევის შედეგები უნდა ეცნობოს დეკლარანტს ან საქონელთან დაკავშირებული უფლებამოსილების მქონე სხვა პირს ანდა მის წარმომადგენელს.

ანალიზის/ექსპერტიზის ან გამოკვლევის დამთავრების შემდეგ საქონლის სინჯი ან/და ნიმუში უბრუნდება მის მფლობელს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს სინჯი ან/და ნიმუში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განადგურებას ექვემდებარება, ან მისი ნაწილი ანალიზის ან გამოკვლევის პროცესში გაიხარჯა, ან სინჯის ან/და ნიმუშის დაბრუნებასთან დაკავშირებული ხარჯები მის ღირებულებას აღემატება.

საქონლის დათვალიერებისა და სინჯის ან/და ნიმუშის აღების წესები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის „საბაჟო კონტროლის შესახებ“[426].

ინსტრუქციის „საბაჟო კონტროლის შესახებ“ 22-ე მუხლის („საქონლის „საქონლის სინჯის ან/და ნიმუშის აღება, საქონლის გამოკვლევა/ექსპერტიზა“, თანახმად, „საბაჟო კონტროლის განხორციელებისას საბაჟო ორგანოს თანამშრომელი უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით ან დეკლარანტის მოთხოვნით აიღოს გამოკვლევისათვის საჭირო საქონლის სინჯები ან/და ნიმუშები, სათანადო აქტის გაფორმებით, რომლის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა საქონელზე უფლებამოსილ პირს ან მის წარმომადგენელს.

საბაჟო ორგანოს თანამშრომლის მიერ საქონლის სინჯის ან/და ნიმუშის აღების ფაქტი უნდა აისახოს „საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების აქტშიც“ (დანართი №2-III-02)[427], ასევე მითითებული უნდა იყოს, თუ საქონლის რომელი შეკვრიდან (ყუთი, ფუთა და სხვ.) და რა რაოდენობით განხორციელდა სინჯის ან/და ნიმუშის აღება.

აუცილებლობის შემთხვევაში, საქონლის სინჯისა და ნიმუშის აღება წარმოებს ექსპერტის ან სპეციალისტის მონაწილეობით.

საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის სინჯებისა და ნიმუშების აღება, საბაჟო ორგანოს წერილობითი თანხმობით, შეუძლია

---

[426] საბაჟო კოდექსი, მ. 97.

[427] ფორმულარები იხ. ინსტრუიქციაში „საბაჟო კონტროლის შესახებ“.

ასევე დეკლარანტს, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ სხვა უფლებამოსილ პირს, მათ წარმომადგენლებს და სხვა სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების თანამშრომლებს, თუ მათი აღება:

- ა) არ ეწინააღმდეგება და არ ართულებს საბაჟო კონტროლის განხორციელებას;
- გ) არ ცვლის საქონლის მახასიათებელ ნიშნებს.

ნავთობის ან ნავთობპროდუქტის დროებით შენახვისას, დეკლარანტს ან საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ სხვა უფლებამოსილ პირს შეუძლია, სურვეირული კომპანიის წარმომადგენლის მონაწილეობით მოახდინოს სასაქონლო პარტიიდან ნებისმიერი ან ყველა სატრანსპორტო საშუალების გახსნა, სინჯის აღება და ლაბორატორიაში გადაგზავნა.

სინჯისა და ნიმუშის აღებისას დეკლარანტის მიერ სინჯებზე და ნიმუშებზე ცალკე დეკლარაცია არ წარედგინება, იმ პირობით, რომ ისინი გათვალისწინებული იქნება დეკლარაციაში.

საბაჟო ორგანოს თანამშრომელს უფლება აქვს, დეკლარანტს ან საქონელზე სხვა უფლებამოსილ პირს და მათ წარმომადგენლებს მოსთხოვოს დასწრება საქონლის სინჯისა და ნიმუშის აღებისას და აღნიშნულთან დაკავშირებული სატვირთო და სხვა საჭირო ოპერაციების განხორციელება. საბაჟო ორგანოს თანამშრომელი ვალდებულია, დაესწროს დეკლარანტის, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ სხვა უფლებამოსილი პირის, მათი წარმომადგენლების და სხვა სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოს თანამშრომლის მიერ სინჯებისა და ნიმუშების აღებას.

საბაჟო ორგანოს თანამშრომელს უფლება აქვს, დეკლარანტისა და მისი წარმომადგენლის დაუსწრებლად აიღოს საქონლის სინჯი ან/და ნიმუში.

სინჯებსა და ნიმუშებს იღებენ იმ მინიმალური ოდენობით, რაც საკმარისია მათ გამოსაკვლევად.

იმ შემთხვევაში, თუ საქონლის სინჯების ან/და ნიმუშების გამოკვლევა საჭიროებს სპეციალური ცოდნას, ინიშნება ექსპერტიზა.

ექსპერტიზა ტარდება შემოსავლების სამსახურის ან მოწვეული ექსპერტების (შესაბამისი ორგანიზაციების წარმომადგენლების) მიერ, რომელთაც დასკვნის გასაცემად გააჩნიათ სპეციალური ცოდნა.

.გადაწყვეტილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ მიიღება საბაჟო დეპარტამენტის უფროსის ან მისი მოადგილის, საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილების უფროსის ან მისი მოადგილის, გეზ-ის უფროსის ან მისი მოადგილის, გეზ-ის შესაბამისი სამმართველოს უფროსის, საბაჟო გამშვები პუნქტის უფროსის ან მისი მოადგილის ან ცვლის უფროსის, საბაჟო რისკების მართვის სამმართველოს უფროსის ან მისი მოადგილის მიერ.

საფოსტო გზავნილის შემთხვევაში გადაწყვეტილება ექსპერტიზის დანიშვის შესახებ მიიღება საფოსტო გზავნილების გადამზიდველის ან გზავნილის მიმღების მიერ იმ შემთხვევაში, როდესაც გზავნილს არ გააჩნია ღირებულების ამსახველი დოკუმენტი ან/და საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ დათვალიერების შედეგად გზავნილის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 300 ლარზე მეტს, ხოლო ფიზიკური პირის გზავნილის შემთხვევაში 3000 ლარზე მეტს.

იმ შემთხვევაში თუ გზავნილის მიმღები არ ეთანხმება საფოსტო გზავნილების გადამზიდველის დეკლარირებულ ან/და საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ სავარაუდოდ განსაზღვრულ ღირებულებას, საფოსტო გზავნილის ჩაბარებამდე მას თავისი ხარჯით შეუძლია მოითხოვოს საბაჟო ღირებულების შესახებ ექსპერტიზის დასკვნა ან დანიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა.

შემოსავლების სამსახურის ექსპერტების მიერ ექსპერტიზა აგრეთვე შეიძლება ჩატარდეს დეკლარანტის, დაინტერესებული პირის, დავის განმხილველი ორგანოს, საგამოძიებო, სასამართლო ორგანოს ან შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნით.

გადაწყვეტილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ მიიღება წერილობითი (მათ შორის, ელექტრონული) ფორმით, რომელშიც აღინიშნება ექსპერტიზის ჩატარების მიზანი, ექსპერტიზის ჩატარების ადგილი, იმ ორგანიზაციის (ექსპერტის) დასახელება, რომელშიც

უნდა ჩატარდეს ექსპერტიზა, ექსპერტის წინაშე დასმული კითხვები, ექსპერტიზისათვის წარსადგენი დოკუმენტებისა და მასალების ჩამონათვალი.

ექსპერტის მოწვევა ხდება ხელშეკრულების საფუძველზე, რომელშიც, სხვა პირობებთან ერთად, აღინიშნება ექსპერტის მიერ შეგნებულად ცრუ დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში მისი პასუხისმგებლობის შესახებ.

საქონლის სინჯებისა და ნიმუშების გამოკვლევის/ექსპერტიზის შედეგების შესახებ უნდა ეცნობოს დეკლარანტს ან საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მიმართ სხვა უფლებამოსილ პირებს ან მათ წარმომადგენლებს.

სხვა სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების მიერ აღებული სინჯისა და ნიმუშის გამოკვლევის შედეგების შესახებ უნდა ეცნობოს საბაჟო ორგანოს და დეკლარანტს ან საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ სხვა უფლებამოსილ პირს ან მათ წარმომადგენლებს.

გამოკვლევის/ექსპერტიზის დამთავრების შემდეგ საქონლის სინჯები ან/და ნიმუშები უბრუნდება მათ მფლობელს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სინჯები და ნიმუშები კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება განადგურებას ან მათი ნაწილი გახარჯული იქნა გამოკვლევის პროცესში ან როდესაც სინჯებისა და ნიმუშების დაბრუნებასთან დაკავშირებული ხარჯები აღემატება მათ ღირებულებას. ამასთან, საბაჟო ორგანო ვალდებული არ არის აანაზღაუროს სინჯის ან/და ნიმუშის აღებით გამოწვეული დანაკლისი.

სასაქონლო ექსპერტიზის (საქონლის რაოდენობის, შემადგენლობის და ძირითადი მახასიათებლების დადგენის, საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის, საქონლის მიმართ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის შესაბამისად, სასაქონლო კოდის განსაზღვრის ან/და საქონლის წარმოშობის ქვეყნის დადგენის მიზნით) შედეგებზე შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო ღირებულებისა და საქონლის კლასიფიკაციის სამმართველო გასცემს:

• ა) „ექსპერტის დასკვნას – ფორმა №1“ (დანართი №2-III-04) – ინსტრუქციის „საბაჟო კონტროლის შესახებ“ 22-ე მუხლის მე-13 პუნქტით[428] გათვალისწინებულ შემთხვევებში;

• ბ) „ექსპერტის დასკვნას – ფორმა №2“ (დანართი №2-III-05) – 22-ე მუხლის მე-16 პუნქტით[429] გათვალისწინებულ შემთხვევებში ან განმეორებითი სასაქონლო ექსპერტიზის ჩატარებისას.

განსახილველი ინსტრუქციის 22-ე მუხლის მე-13 პუნქტით[430] გათვალისწინებულ შემთხვევებში ან დეკლარანტის მოთხოვნის საფუძველზე შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო გამშვები პუნქტი გასცემს „ექსპერტის დასკვნა – ფორმა №1-ს“ (დანართი №2-III-04)[431] მხოლოდ ძვირფასი ლითონების, ძვირფასი ქვებისა და ძვირფასქვიანი საიუველირო ნაკეთობების საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მიზნით ჩატარებული სასაქონლო ექსპერტიზის შედეგებზე. ინსტრუქციის 22-ე პუნქტით[432] გათვალისწინებულ „ექსპერტის დასკვნა – ფორმა №1“-სა (დანართი №III-05) და

---

[428] გადაწყვეტილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ მიიღება საბაჟო დეპარტამენტის უფროსის ან მისი მოადგილის, საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილების უფროსის ან მისი მოადგილის, გეზ-ის უფროსის ან მისი მოადგილის, გეზ-ის შესაბამისი სამმართველოს უფროსის, საბაჟო გამშვები პუნქტის უფროსის ან მისი მოადგილის ან ცვლის უფროსის, საბაჟო რისკების მართვის სამმართველოს უფროსის ან მისი მოადგილის მიერ.

[429] შემოსავლების სამსახურის ექსპერტების მიერ ექსპერტიზა აგრეთვე შეიძლება ჩატარდეს დეკლარანტის, დაინტერესებული პირის, დავის განმხილველი ორგანოს, საგამოძიებო, სასამართლო ორგანოს ან შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნით.

[430] იხ. 426-ე სქოლიო.

[431] დანართების შესახებ იხ. ინტრუქციაში „საბაჟო კონტროლის შესახებ“.

[432] სასაქონლო ექსპერტიზის (საქონლის რაოდენობის, შემადგენლობის და ძირითადი მახასიათებლების დადგენის, საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის, საქონლის მიმართ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის შესაბამისად, სასაქონლო კოდის განსაზღვრის ან/და საქონლის წარმოშობის ქვეყნის დადგენის მიზნით) შედეგებზე შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო ღირებულებისა და საქონლის კლასიფიკაციის სამმართველო გასცემს: ა)

„ექსპერტის დასკვნა – ფორმა №2“-ს (დანართი №2-III-05) [433]ხელს აწერს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო ღირებულებისა და საქონლის კლასიფიკაციის სამმართველოს ექსპერტი, რომელიც ატარებს შესაბამის სასაქონლო ექსპერტიზას, ან საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომელი, რომელსაც დასკვნის გასაცემად გააჩნია სპეციალური ცოდნა.

იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის სინჯის/ნიმუშის აღება შეუძლებელია, 22-ე მუხლის ზემოთ აღნიშნული მე-13 ან/და მე-16 პუნქტით გათვალისწინებულ პირთა მოთხოვნით გამოკვლევის/ექსპერტიზის ჩასატარებლად შესაძლებელია განხორციელდეს საქონლის დროებით **(არა უმეტეს 30 კალენდარული დღის ვადით)** გატანა საბაჟო კონტროლის ზონიდან, აღრიცხვის მოწმობის გამოწერით, საბაჟო კონტროლის ზონაში დაბრუნების პირობით.

საქონლის ნაწილობრივი დათვალიერება და საქონლის ნაწილიდან სინჯის ან/და ნიმუშის აღება[434]. საქონლის ნაწილობრივი დათვალიერების ან საქონლის ნაწილიდან აღებული სინჯის ან/და ნიმუშის ანალიზის შედეგები ვრცელდება ერთი საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებულ მთელ საქონელზე, თუ საბაჟო ორგანო ახორციელებს ამ დეკლარაციით დეკლარირებული საქონლის ნაწილის დათვალიერებას ან საქონლის ნაწილიდან სინჯის ან/და ნიმუშის აღებას (ნ.1.).

თუ დეკლარანტი მიიჩნევს, რომ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შედეგები არ შეიძლება გავრცელდეს დანარჩენ საქონელზე, მას უფლება აქვს, მოითხოვოს საქონლის დამატებითი დათვალიერების განხორციელება. ეს მოთხოვნა უნდა

„ექსპერტის დასკვნას – ფორმა №1“ (დანართი №2-III-04) – ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში; ბ) „ექსპერტის დასკვნას – ფორმა №2“ (დანართი №2-III-05) – ამ მუხლის მე-16 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან განმეორებითი სასაქონლო ექსპერტიზის ჩატარებისას.

[433] იხ. სქ. 429.

[434] საბაჟო კოდექსი, მ. 98.

დაკმაყოფილდეს, თუ საქონელი გაშვებული არ არის ან საქონელი გაშვებულია, მაგრამ დეკლარანტი დაადასტურებს, რომ მას არანაირი ცვლილება არ განუცდია (ნ.1.)

განსახილველი მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს 98-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების გამოყენებაზე, კერძოდ, თუ ერთი საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებულია საქონლის რამდენიმე სახეობა, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების მიზნებისთვის საქონლის თითოეული სახეობის შესახებ მონაცემები ცალ - ცალკე დეკლარირებულად მიიჩნევა.

3. საბაჟო დეკლარაციის შემოწმების შედეგები

საბაჟო დეკლარაციის შემოწმების შედეგები ვრცელდება იმ საბაჟო პროცედურის გამოყენებაზე, რომელშიც საქონელი არის მოქცეული.

მაგ. საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურა, რომელშიც შეიძლება მოექცეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი უცხოური საქონელი, ასევე თავისუფალი ზონიდან შემოტანილი საქონელი. თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას (იმპორტისას) საქონელს ენიჭება საქართველოს საქონლის სტატუსი.

დეკლარაციის შემოწმების დასრულების შემდეგ, თუ საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი ეთანხმება დეკლარირებულ მონაცემებს, ახორციელებს დეკლარაციის შეფასებას და საქონლის გაშვებას. იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი არ ეთანხმება დეკლარირებულ მონაცემებს, დეკლარაციის შემოწმების ბოლოს ავსებს „დეკლარაციის შემოწმების აქტს“ (დანართი №2-II-03), სადაც მიეთითება ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე გადაწყვეტილება.

დეკლარაციის შემოწმების ბოლოს ან მის ნებისმიერ ეტაპზე საბაჟო ორგანოს თანამშრომელი უფლებამოსილია მიიღოს ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი ან რამოდენიმე გადაწყვეტილება:

- ა) საქონლის გაშვების შესახებ;

• ბ) საქონლის გაშვების აკრძალვის შესახებ;

• გ) საქონლის დათვალიერების ან/და სინჯის ან/და ნიმუშის აღების შესახებ;

• დ) სამართალდარღვევის ნიშნების არსებობის შესახებ;

• ე) საქონლის გაშვების საბაჟო ფორმალობების შეჩერების შესახებ;

• ვ) საქონლის საბაჟო ღირებულების კორექტირების შესახებ;

• ზ) დეკლარაციაში ცვლილების შეტანის ან დეკლარაციის ძალადაკარგულად გამოცხადების ან ბათილად ცნობის შესახებ[435].

იმ შემთხვევაში, როცა დეკლარაციაში ცვლილების შეტანა არ იწვევს იმპორტის გადასახდელი თანხის ოდენობის გაზრდას, დეკლარანტის მოთხოვნით ხორციელდება საქონლის გაშვება დეკლარაციის შემოწმების აქტის შედგენითა და კორექტირებული დეკლარაციით ან მხოლოდ კორექტირებული დეკლარაციით, მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არა დეკლარანტი დეკლარაციის შემოწმების აქტს/კორექტირებულ დეკლარაციას (აკრძალვების, შეზღუდვების და საბაჟო პროცედურაში/რეექსპორტში საქონლის მოქცევის პირობების დარღვევის გარდა).

დავის პერიოდში იმპორტის გადასახდელის გადახდის უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადის ამოწურვის შემთხვევაში, დეკლარანტმა უნდა გააგრძელოს წარდგენილი გარანტიის ვადა ან წარმოადგინოს ახალი გარანტია. წინააღმდეგ შემთხვევაში, საბაჟო ორგანო მოახდენს დეკლარაციის კორექტირებას და გარანტიის თანხის კანონმდებლობის შესაბამისად გამოყენებას.

თუ დეკლარანტი დადგენილი წესით გაასაჩივრებს დეკლარაციის შემოწმების აქტს ან/და კორექტირებულ დეკლარაციას:

• ა) განმხილველი ორგანოს მიერ დეკლარანტის საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე მიღებული, ძალაში შესული გადაწყვეტილების საბაჟო ორგანოში წარდგენისას უფლებამოსილ

---

[435] ამ გადაწყვეტილებების შესახებ საბაჟო სამართლის პირველ ნაწილში (ავტ. ი. ხარაზი) და ასევე საბაჟო სამართლის მეორე ნაწილში ზემოთ გვქონდა ვრცელი საუბარი და მის განვრცობას ამ შემთხვევაში არ მოვახდენთ.

თანამშრომელს ცვლილებები შეაქვს კორექტირებული დეკლარაციის ელექტრონულ ვერსიაში. გარანტიით გაშვებული საქონლის შემთხვევაში, დეკლარაციაში მითითებული აღნიშვნა „გაშვება ნებადართულია გარანტიით“, იცვლება აღნიშვნით „გაშვება ნებადართულია“;

• ბ) დავის განმხილველი ორგანოს მიერ საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მიღებული, ძალაში შესული გადაწყვეტილების საბაჟო ორგანოში წარდგენისას, გარანტიით გაშვებული საქონლის შემთხვევაში, დარიცხული იმპორტის გადასახდელის გადახდის ან გარანტიის შესრულების გათვალისწინებით, უფლებამოსილ თანამშრომელს ცვლილებები შეაქვს კორექტირებული დეკლარაციის ელექტრონულ ვერსიაში, აღნიშვნას „გაშვება ნებადართულია გარანტიით“ ცვლის აღნიშვნით „გაშვება ნებადართულია“ და დეკლარანტს ატყობინებს გარანტიით უზრუნველყოფილი თანხის დეკლარაციით დარიცხვის თაობაზე.

დეკლარაციის შემოწმება უნდა დასრულდეს, როგორც წესი, დეკლარაციისა და დეკლარირებისათვის აუცილებელი დოკუმენტების მიღებიდან არა უგვიანეს ერთი საათისა, თუ დეკლარაციის შემოწმების ეტაპები, საქონლის დათვალიერება, სინჯებისა და ნიმუშების აღება ან გაფორმების სხვა საბაჟო ფორმალობების განხორციელება გაცილებით მეტ დროს არ საჭიროებს. სამუშაო დღის დასრულებამდე ორი საათის განმავლობაში მიღებული დეკლარაციების შემოწმება უნდა დასრულდეს არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის 12:00 საათისა.

საბაჟო ორგანოს მიერ მოთხოვნილი დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტების მისაღებად დეკლარანტს შესაძლებელია დასჭირდეს საბაჟო ორგანოში ადრე წარდგენილი დოკუმენტები. ასეთ შემთხვევაში, დეკლარანტის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე საბაჟო ორგანო გასცემს დოკუმენტს და იტოვებს მის ასლს, რომლის უკანა გვერდზეც აკეთებს შესაბამის აღნიშვნას ორიგინალის საქმეში არარსებობის მიზეზის შესახებ. ასლს თან დაერთვის დეკლარანტის წერლობითი განცხადება დოკუმენტების მოთხოვნის შესახებ.

დეკლარანტის მიერ დამატებითი დოკუმენტის წარდგენის ვადა განისაზღვრება არაუმეტეს 30 კალენდარული დღით, თუ დოკუმენტის

გასაცემად საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით სხვა ვადა არ არის განსაზღვრული.

დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენის შესახებ წერილობითი მოთხოვნის დეკლარანტისთვის გაგზავნის (გადაცემის) მომენტიდან გაფორმებისათვის დადგენილი დროის ათვლა წყდება მოთხოვნილი ინფორმაციის/დოკუმენტების დეკლარანტის მიერ ოფიციალურად წარმოდგენამდე.

საქონლის გაშვების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება დეკლარაციისათვის შეფასების „A" ნომრის მინიჭებით (გარდა ექსპორტის პროცედურაში საქონლის გაშვებისა). შეფასების ნომერთან ერთად დეკლარაციას ავტომატურად ენიჭება შტრიხ-კოდი. იმ შემთხვევაში, როდესაც ტექნიკური ან სხვა მიზეზის გამო დეკლარაციისათვის შტრიხ-კოდის მინიჭება ავტომატურად ვერ ბორციელდება, გაფორმების დასრულება დასტურდება საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ შტამპით – „გაშვება ნებადართულია", პირადნომრიანი ბეჭდით (საბაჟო გამშვები პუნქტის შემთხვევაში), თარიღისა და ხელმოწერის მითითებით[436].

დეკლარაციის შემოწმების დასრულების შემდეგ, დეკლარაციის ერთი ეგზემპლარი საბაჟო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისი აღნიშვნებით (გაცხადებული საბაჟო პროცედურების/რეჟიმების შესაბამისად საქონლის გაშვების ან გაშვების საბაჟო ფორმალობების შეჩერების ან დეკლარაციის ბათილად ცნობის შესახებ) გადაეცემა დეკლარანტს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს.

დეკლარაციის შემოწმებისას კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენის ან/და საქონლის საბაჟო ღირებულების კორექტირების შემთხვევაში ივსება ინსპექტირების აქტი და მასში აისახება ინფორმაცია გატარებული ღონისძიებების შესახებ.

დეკლარაციის ბათილად ცნობის შემდგომ საქონლის ხელახალი დეკლარირების შემთხვევაში ინსპექტირების აქტი ივსება როგორც გაბათილებულ, ასევე ხელახლა წარდგენილ დეკლარაციაში. ინსპექტირების აქტი ივსება **„eCustoms"-ში** ელექტრონულად. ინსპექტირების აქტის შევსებისას აქტის ზედა ნაწილში ავტომატურად ჩნდება დეკლარაციის ძირითადი სეგმენტის მონაცემებით შევსებული ფანჯრები. კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, ინსპექტირების აქტის დანარჩენი ფანჯრებიდან, ინსპექტირების აქტში წინასწარ ინტეგრირებული შედეგების არჩევის

[436] იხ. ინსტრუქცია „საბაჟო კონტროლის შესახებ", მ. 13.

გზით, აუცილებლად უნდა შეივსოს გრაფის „შემოწმების შედეგები“ ველები. **ამასთან:**

- ა) სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, ინსპექტირების აქტის გრაფებში „ჯარიმის ოდენობა“ და „ნომრები და აღნიშვნები“ უნდა მიეთითოს ჯარიმის თანხის ოდენობა და პასუხისმგებლობის დაკისრების დოკუმენტის (ოქმის ან ბრძანების) ნომერი. აღნიშნულ გრაფებში ასახვის შეუძლებლობის შემთხვევაში, ჯარიმის თანხის ოდენობა და პასუხისმგებლობის დაკისრების დოკუმენტის (ოქმის ან ბრძანების) ნომერი უნდა მიეთითოს ინსპექტირების აქტის ფანჯარაში „ინფორმაცია“;
- ბ) საქონლის საბაჟო ღირებულების კორექტირების შემთხვევაში, ინსპექტირების ფანჯრებიდან აუცილებლად უნდა შეივსოს ფანჯარა „ინფორმაცია“ და მიეთითოს ინფორმაცია კორექტირების შედეგის თაობაზე;
- გ) დეკლარაციის გაბათილების შემდგომ საქონლის ხელახალი დეკლარირებისას ინსპექტირების აქტის ფანჯარაში „ინფორმაცია“ უნდა მიეთითოს გაბათილებული დეკლარაციის რეგისტრაციის C ნომერი;
- დ) საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია უნდა მიეთითოს ინსპექტირების აქტის ფანჯარაში „ინფორმაცია“.

საქონლის საბაჟო ღირებულების კორექტირების შემთხვევაში შევსებული ინსპექტირების აქტი ამოიბეჭდება და წარედგინება დეკლარანტს, რომელიც კორექტირების აქტზე აფიქსირებს პოზიციას, რასაც ადასტურებს ხელმოწერით[437].

თუ საბაჟო დეკლარაცია არ მოწმდება, მაშინ ზემოაღნიშნული შედეგები გამოიყენება აღნიშნული საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებული მონაცემების საფუძველზე.

[437] იხ. ინსტრუქცია „საბაჟო კონტროლის შესახებ“, მ. 14.

4. საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალება

თუ ნიშანდება აუცილებელია საქონლის შემდგომი იდენტიფიკაციისთვის ან/და საჭიროა საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ან/და შენობა-ნაგებობის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფისთვის, საბაჟო ზედამხედველობის ნებისმიერ ეტაპზე საბაჟო ორგანო ან მის მიერ უფლებამოსილი პირი ახორციელებს მის ნიშანდებას საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების გამოყენებით.

საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიკაციის მიზნით საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების ნაცვლად ან მასთან ერთად შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქონლის ვიდეოგადაღება ან/და ფოტოგადაღება, მასშტაბურად გამოსახვა და საქონლის მონიშვნა ციფრული ან მწარმოებლის მიერ გამოსახული სერიული ნომრების მარკირებით ან აღწერით.

საბაჟო ორგანო უფლებამოსილია აღიაროს საბაჟო იდენტიფიკაციის სხვა საშუალება, რომლითაც საქონლის გამგზავნის, გადამზიდავის, დეკლარანტის ან/და სხვა ვალდებული პირის ან უცხო ქვეყნის საბაჟო ორგანოს მიერ ნიშანდებულია საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება ან/და შენობა-ნაგებობა. ამ შემთხვევაში საბაჟო ორგანოს მიერ აღიარებული საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალება ცვლის საქართველოში დადგენილ საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებას.

საბაჟო ორგანოს უფლება აქვს, მოითხოვოს საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების დადებისას ან/და მოხსნისას/მოცილებისას დაინტერესებული პირის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის დასწრება.

საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალება ისე უნდა იქნეს დადებული, რომ მის დაუზიანებლად შეუძლებელი იყოს საქონელთან მისვლა ან კვალის დატოვების გარეშე სატრანსპორტო საშუალებაში ან შენობა-ნაგებობაში უკანონო შეღწევა. საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალება იმგვარად უნდა იყოს დადებული, რომ გამოირიცხოს დაუზიანებლად მისი მოხსნა/მოცილება. საბაჟო ორგანო ან მის მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია შესაბამის დოკუმენტში ან/და

საბაჟო დეკლარაციაში აღნიშნოს მის მიერ საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების დადება.

სატრანსპორტო საშუალების ან შენობა-ნაგებობის მფლობელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს საბაჟო ორგანოს საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების დაზიანების ან დაკარგვის თაობაზე და ნიშანდებულ სატრანსპორტო საშუალებაზე ან შენობა-ნაგებობაზე დაზიანების კვალის ან სხვა დაზიანების აღმოჩენის შესახებ.

დაუშვებელია საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების მოხსნა/მოცილება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი მოხსნა/მოცილება აუცილებელია სატრანსპორტო საშუალებაში ან შენობა-ნაგებობაში შენახული საქონლის ხელშეუხებლობის ან/და განადგურებისგან დაცვის უზრუნველყოფისთვის და ეს აუცილებლობა ამ კოდექსით გათვალისწინებული დაუძლეველი ძალის შედეგად წარმოიშვა.

საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებები, მათი დადებისა და მოხსნის/მოცილების, ნიშანდებულ საქონელთან, სატრანსპორტო საშუალებასა და შენობა-ნაგებობასთან მოპყრობისა და საქონლის იდენტიფიკაციის სხვა საშუალებების აღიარების წესები ძირითადად განისაზღვრება საბაჟო კოდექსის მე-100 და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „საბაჟო კონტროლის შესახებ“ (დანართი №2), კერძოდ, ინსტრუქციის საბაჟო კონტროლის შესახებ“, **–29-ე მუხლის „საბაჟო იდენტიფიკაცის საშუალება, მისი გამოყენება და აღიარება“ თანახმად, საბაჟო კონტროლის მნიშვნელოვანი მომენტია საქონლის, სატრანსპორტო საშუალებების, სათავსების და სხვა ადგილების იდენტიფიკაცია.** ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის „საბაჟო კონტროლის შესახებ“ (დანართი #2), თავი V-ე („საბაჟო იდენტიფიკაცის საშუალება, მისი გამოყენება და აღიარება“, მ. 29-38)), არეგულირებენ საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებების გამოყენების წესსა და პირობებს.

„იდენტიფიკაცია ზოგადად საქონლის ამოცნობაა, ხოლო საიდენტიფიკაციო საშუალებები, მისი ამოცნობის საშუალებანია.

საერთაშორისო საბაჟო პრაქტიკაში ტერმინ **„საიდენტიფიკაციო საშუალებების“** მაგიერ ხშირად ხმარობენ ტერმინს **„საბაჟო**

უზრუნველყოფის ატრიბუტები“. ეს ტერმინი გარკვეულწილად ავიწროებს „საიდენტიფიკაციო საშუალებების“ ცნებას და დაჰყავს ის მხოლოდ საბაჟო მიზნების დონემდე, მაგრამ მეორეს მხრივ, ის ოპერატიულ-ტექნიკური თვალსაზრისით უფრო ზუსტია იმდენად, რამდენადაც მოიცავს არა მარტო საქონლის გარკვეულ ნიშანდებას, არამედ საბაჟო, სატრანსპორტო და საქონლის თანხლებ დოკუმენტებზე საჭირო წარწერების გაკეთებას, შტამპების და ბეჭდის დასმას, ხელმოწერებს და სხვა ატრიბუტებს, რომლებიც გამოხატავენ საბაჟო კონტროლის და გაფორმების დამთავრების, საზღვარზე საქონლის და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების ნებართვას“[438].

„საბაჟო ორგანოს მიერ სავალდებულო მიშანდების დადება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ მისი შემდგომი იდენტიფიკაცია აუცილებელია საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციების გამოყენებისას გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად; საბაჟო-გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე შემოსულია საქონელი, რომელზეც არ არის წარმოდგენილი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემდგომი გადაადგილებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები (ნებართვა, სერტიფიკატები და სხ.); საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანას ან განადგურებას დაექვემდებარება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე უკვე შემოტანილი საქონელი, რომლის შემოტანაც იკრძალება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე. საბაჟო ზედამხედველობის დაწყებისას ან/და პროცედურების განხორციელებისას საჭიროა საქონლის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა“[439]და ა.შ.

ნიშანდება. ინსტრუქციის „საბაჟო კონტროლის შესახებ 1-ლი ნაწილის თანახმად, *ავტოსატრანსპორტო საშუალებით საქონლის შემოტანისას (მათ შორის, საზღვაო ტრანსპორტით შემოტანილი საქონლის საზღვაო ნავსადგურიდან **12 კილომეტრის რადიუსში** განლაგებულ საბაჟო*

---

[438] ლორთქიფანიძე ვ; საბაჟო საქმის საფუძვლები, თბილისი, 2002, 257

[439] ხარაზი ია, საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, 2014, 42-44; საბაჟო სამართალი, თბილისი 2010; საბაჟო სამართალი, ლექციების კურსი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019, https://www.sou.edu.ge

საწყობში გადაადგილებისას) საბაჟო გამშვები პუნქტი ახორციელებს აღნიშნული სატრანსპორტო საშუალების (მ.შ. მისაბმელის) დამატებით ნიშანდებას. ამასთან, საბაჟო ზედამხედველობის ნებისმიერ ეტაპზე, როდესაც არსებობს საქონლის ნიშანდების აუცილებლობა მისი შემდგომი იდენტიფიკაციისათვის ან/და საჭიროა საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ან/და შენობა-ნაგებობის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა, ხორციელდება მათი ნიშანდება საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებების (შემდგომში – იდენტიფიკაციის საშუალება) გამოყენებით, საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ, ხოლო ამ ინსტრუქციის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში – დეკლარანტის ან მისი წარმომადგენლის მიერ.

ინსტრუქციის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში საუბარია იმის შესახებ, რომ: საქართველოს საბაჟო საზღვრის გადამკვეთი სატრანსპორტო საშუალება, რომლითაც ხორციელდება საქონლის გატანა, ექვემდებარება ნიშანდებას: ა) დეკლარანტის მიერ, საბაჟო ორგანოს მიერ გაცემული იდენტიფიკაციის საშუალებების გამოყენებით, როდესაც: გ.ა) ექსპორტის საქონლის საბაჟო დეკლარაციის მიმართ გამოსაყენებელი საბაჟო კონტროლის ღონისძიების შერჩევა, დეკლარანტის სურვილისამებრ, ხორციელდება საბაჟო ორგანოში, გარდა გეზ-ის ტერიტორიაზე წარდგენილი საქონლისა; გ.ბ) საქონლის რეექსპორტი ხორციელდება შეტყობინების ან დეკლარაციის წარდგენით გარდა გეზის ტერიტორიაზე წარდგენილი საქონლისა.

საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიცირების მიზნით, იდენტიფიკაციის საშუალებების გარდა (ან მათთან ერთად), აგრეთვე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ვიდეო და ფოტოგადაღება, მასშტაბურად გამოსახვა და საქონლის მონიშვნა ციფრული ან მწარმოებლის მიერ დატანილი სერიული ნომრების მარკირებით ან აღწერით.

საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის შემოტანისას, სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ დადგენილი ან უცხო ქვეყნის შესაბამისი ორგანოს მიერ გამოყენებული იდენტიფიკაციის საშუალებები (ნიშნები) ცვლის შემოსავლების სამსახურის იდენტიფიკაციის საშუალებებს (ნიშნებს):

- *ა) სატრანსპორტო საშუალებაზე დადებული იდენტიფიკაციის ის საშუალებები (ნიშნები), რომლის თაობაზე საბაჟო გამშვები პუნქტის მიერ შეიტანება ინფორმაცია ზოგად დეკლარაციაში ან რკინიგზის ელექტრონული ზოგად დეკლარაციაში;*

• *ბ) საერთაშორისო გადაზიდვის განმახორციელებელ სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებაზე დადებული იდენტიფიკაციის საშუალებები (ნიშნები).*

იდენტიფიკაციის საშუალებები. იდენტიფიკაციის საშუალებებია (ნიშნებია): **შტამპი, ბეჭედი, პლომბი, ლუქი, მწებავი ლენტი, ტომრები, შესაფუთი მასალები, ზონარი და სხვა,** ***რომლებიც, გამოყენების სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს:***

• *ა) უნდა იყოს მყარი და გამძლე დაზიანების მიმართ;*

• *ბ) შესაძლებელი უნდა იყოს მათი დადება მარტივად და სწრაფად;*

• *გ) შესაძლებელი უნდა იყოს მათი შემოწმება და იდენტიფიკაცია;*

• *დ) შეუძლებელი უნდა იყოს მათი მოხსნა ან მოცილება დაზიანების, გატეხვის (თვალნათლივი ნიშნების) გარეშე;*

• *ე) უნდა იყოს ერთჯერადი (გარდა მრავალჯერადი გამოყენების ლუქებისა) და გააჩნდეს უნიკალური ნომერი (მრავალჯერადი გამოყენების ლუქებს შესაძლებელია არ გააჩნდეს უნიკალური ნომერი);*

• *ვ) უნდა იყოს იმგვარად კონსტრუირებული, რომ შეუძლებელი იყოს მათი კოპირება, გაყალბება ან მეორადი გამოყენება, მათზე ქარხნული წესით უნდა იყოს აღნიშნული რეგისტრაციის უნიკალური ნომერი, სერია და ინიციალები: „საქართველოს საბაჟო" ქართულად და ინგლისურად.*

ზემოთ აღნიშნული მოთხოვნები არ ვრცელდება ისეთ იდენტიფიკაციის საშუალებებზე (ნიშნებზე), რომლითაც არ ხდება უშუალოდ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ან/და შენობანაგებობის ნიშანდება.

იდენტიფიკაციის საშუალებები (ნიშნები) ისე უნდა იქნეს დადებული, რომ გამოირიცხოს დაუზიანებლად მისი მოხსნა/მოცილება და შეუძლებელი იყოს საქონელთან მისვლა ან კვალის დატოვების გარეშე სატრანსპორტო საშუალებაში ან შენობანაგებობაში უკანონო შეღწევა.

საქონელზე ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე ან/და შენობანაგებობაზე შესაძლებელია იდენტიფიკაციის ერთი ან რამდენიმე საშუალების (ნიშნის) დადება.

რაც შეეხება სავალდებულო ნიშანდებას, საბაჟო ორგანო აუცილებლად აბორციელებს საქონლის ნიშანდებას, თუ:

• *ა) მისი შემდგომი იდენტიფიკაცია აუცილებელია საბაჟო პროცედურების/რეექსპორტის გამოყენებისას გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად;*

• *ბ) საბაჟო ან/და საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებად დაგირავებულია საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება;*

• *გ) საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე შემოსულია საქონელი, რომელზეც არ არის წარმოდგენილი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემდგომი გადაადგილებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები (ნებართვა, სერტიფიკატი და სხვა);*

• *დ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანას ან განადგურებას დაექვემდებარა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე უკვე შემოტანილი საქონელი, რომლის შემოტანაც იკრძალება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე;*

• *ე) საბაჟო ზედამხედველობის დაწყებისას ან/და საბაჟო ფორმალობების განხორციელებისას საჭიროა საქონლის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა;*

• *ვ) საქონელი და სატრანსპორტო საშუალება გაიტანება საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან, ამავე ინსტრუქციის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით[440] გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.*

შენობა-ნაგებობების ნიშანდება. *ნიშანდებას შესაძლებელია დაექვემდებაროს ის შენობა-ნაგებობები, სადაც იმყოფება საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი, ან/და ხორციელდება საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქმიანობა, აგრეთვე საქართველოს საბაჟო საზღვარზე მილსადენი და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებული საქონლის ტრანსპორტირების საშუალებები და ობიექტები. სავალდებულო*

---

[440] საქართველოს საბაჟო საზღვრის გადამკვეთი სატრანსპორტო საშუალება, რომლითაც ხორციელდება საქონლის გატანა, ექვემდებარება ნიშანდებას: გ) დეკლარანტის მიერ, საბაჟო ორგანოს მიერ გაცემული იდენტიფიკაციის საშუალებების გამოყენებით, როდესაც: გ.ა) ექსპორტის საქონლის საბაჟო დეკლარაციის მიმართ გამოსაყენებელი საბაჟო კონტროლის ღონისძიების შერჩევა, დეკლარანტის სურვილისამებრ, ხორციელდება საბაჟო ორგანოში, გარდა გეზ-ის ტერიტორიაზე წარდგენილი საქონლისა; გ.ბ) საქონლის რეექსპორტი ხორციელდება შეტყობინების ან დეკლარაციის წარდგენით გარდა გეზის ტერიტორიაზე წარდგენილი საქონლისა.

ნიშანდებას ექვემდებარება საბაჟო გამშვებ პუნქტში ან საბაჟო ორგანოს საწყობში საქონლის შესანახად განკუთვნილი შენობა-ნაგებობები.

დროებით შენახული და საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონლისათვის განკუთვნილი საბაჟო საწყობების, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების შენახვის სხვა ადგილების შენობა-ნაგებობები ნიშანდებას შეიძლება დაექვემდებაროს:

- ა) საქონლის დათვალიერების და სინჯის ან/და ნიმუშის აღების დროს;
- გ) სამართალდარღვევის საქმის წარმოების უზრუნველყოფის ან/და საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელებისას, აგრეთვე საბაჟო სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას ჩამორთმეული პირადი ნივთების ან/და საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებებისა და დოკუმენტების განთავსების შემთხვევაში;
- გ) საქონლის დათვალიერებასთან დაკავშირებული საბაჟო ფორმალობების წარმოებისას დათვალიერებული საქონლის დასათვალიერებელი საქონლისაგან განცალკევებულად შენახვისას;
- ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის შენობა-ნაგებობაში განთავსებული საქონლის მიმართ ზემოთ აღნიშნულ „ა“-„გ“ ქვეპუნქტებში.

სატრანსპორტო საშუალების ნიშანდება. საქონლის ავტოსატრანსპორტო საშუალებით შემოტანისას (მათ შორის საზღვაო ტრანსპორტით შემოტანილი საქონლის **საზღვაო ნავსადგურიდან 10 კილომეტრის რადიუსში** განლაგებულ საბაჟო საწყობში ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებისას) საბაჟო გამშვები პუნქტი ახორციელებს აღნიშნული სატრანსპორტო საშუალების დამატებით სავალდებულო ნიშანდებას, იმ შემთხვევის გარდა, როცა სატრანსპორტო საშუალებაზე არსებული იდენტიფიკაციის საშუალებები (ნიშნები) უზრუნველყოფს საქონლის ხელშეუხებლობას, ხოლო თუ დამატებითი ნიშანდების შედეგად შესაძლებელია არსებითად გაუარესდეს იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) ხარისხი ან მდგომარეობა, საბაჟო გამშვები პუნქტი ახორციელებს აღნიშნული სატრანსპორტო საშუალების ხელახალ ნიშანდებას.

თუ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილ საქონელზე ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე გამოყენებული იდენტიფიკაციის საშუალებები (ნიშნები) მოცილებულია ან/და დაზიანებულია ან/და თუ საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება დაექვემდებარა დათვალიერებას, უნდა განხორციელდეს დამატებითი ან ხელახალი ნიშანდება. თუ სხვა უფლებამოსილი ორგანოს ან უცხო ქვეყნის შესაბამისი ორგანოს მიერ

ნიშანდებული სატრანსპორტო საშუალებით შემოტანილი საქონლის დათვალიერება საბაჟო გამშვებ პუნქტში არ ხორციელდება, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დამატებითი ან ხელახალი ნიშანდება არ იწვევს საბაჟო ორგანოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის პასუხისმგებლობას საქონლის ზოგადი დეკლარირების განმახორციელებელი პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე შევსებულ მონაცემებში, რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მონაცემებში ან დროებით შენახვის დეკლარაციაში ასახული მონაცემების ფაქტობრივ მონაცემებთან შეუსაბამობის აღმოჩენისას.

საბაჟო კონტროლის ზონაში, მათ შორის საბაჟო საწყობში და საქონლის დროებით შენახვის სხვა ადგილში განთავსებული საქონლის გადამზიდავი სატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება ხელახალ ნიშანდებას, თუ სატრანსპორტო საშუალებაზე არსებული იდენტიფიკაციის საშუალებები (ნიშნები) მოცილებულია (დარღვეულია) და არ ხდება საქონლის ჩამოტვირთვა, სხვა სატრანსპორტო საშუალებაში გადატვირთვა ან/და შენობა-ნაგებობაში შესანახად განთავსება.

იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ სატრანსპორტო საშუალება არ არის ნიშანდებული ან დარღვეულია ნიშანდება ან იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) რეკვიზიტები განსხვავდება გადამაადგილებელი პირის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მითითებული რეკვიზიტებისაგან, საბაჟო ორგანოს მიერ ხორციელდება სატრანსპორტო საშუალებაში მოთავსებული საქონლის დათვალიერება. ხოლო თუ ადგილზე დათვალიერება შეუძლებელია, სატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება ხელახალ ნიშანდებას და მოწმობით ან რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობით გადაადგილდება უახლოეს ან საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ შერჩეულ საბაჟო ორგანოს საწყობამდე ან საბაჟო საწყობამდე ან საქონლის დროებით შენახვის სხვა ადგილამდე.

თუ სატრანსპორტო საშუალების ნიშანდება შეუძლებელია, ხორციელდება სატრანსპორტო საშუალებაში მოთავსებული საქონლის ნიშანდება და საქონელი წარედგინება დანიშნულების საბაჟო ორგანოს.

დასაშვებია, ნიშანდების გარეშე საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილდეს: საყარი ტვირთები, ჯართი, ცოცხალი ცხოველები, მცენარეები, სხვა სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები, აგრეთვე ისეთი მსხვილგაბარიტიანი ტვირთები, რომლებიც არ ექვემდებარება დაშლა-დანაწილებას/გადანაწილებას.

ფიზიკური პირის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებული საქონლისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების იდენტიფიკაცია ხორციელდება „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას სამგზავრო დოკუმენტებში შესაბამისი აღნიშვნების განხორციელებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანების შესაბამისად.

საქართველოს საბაჟო საზღვარზე მილსადენით გადაადგილებული საქონლის ტრანსპორტირების საშუალებებისა და ობიექტების ნიშანდება ხორციელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს დასკვნის საფუძველზე.

ნიშანდების განხორციელების ადგილები. საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმომკვეთი სატრანსპორტო საშუალება (გარდა რკინიგზით გადაადგილებული ტვირთის გადასაზიდად განკუთვნილი უნივერსალური ან სპეციალური ვაგონისა, საჰაერო და საზღვაო სატრანსპორტო საშუალებისა), რომლითაც ხორციელდება საქონლის შემოტანა, ექვემდებარება ნიშანდებას საბაჟო გამშვებ პუნქტში, ხოლო საქონლის საბაჟო გამშვები პუნქტის გარდა სხვა ადგილში საბაჟო ორგანოს თანხმობით შემოტანისას – საბაჟო ორგანოს მიერ შერჩეულ საბაჟო კონტროლის ზონაში.

საქართველოს საბაჟო საზღვრის გადამკვეთი სატრანსპორტო საშუალება, რომლითაც ხორციელდება საქონლის გატანა, ექვემდებარება ნიშანდებას:

- *ა) საბაჟო გამშვები პუნქტის მიერ, როდესაც:*
  - *ა.ა) ექსპორტის საქონლის საბაჟო დეკლარაციის მიმართ გამოსაყენებელი საბაჟო კონტროლის ღონისძიების შერჩევა ხორციელდება საბაჟო გამშვებ პუნქტში;*
  - *ა.ბ) საქონელი და ავტოსატრანსპორტო საშუალება ექსპორტის/რეექსპორტის განხორციელების მიზნით პირდაპირ წარედგინება საბაჟო გამშვებ პუნქტს;*
- *ბ) საბაჟო ორგანოს მიერ, როდესაც ექსპორტის/გარე გადამუშავების ან რეექსპორტის დეკლარაციის ან შეტყობინების მიმართ საბაჟო კონტროლის ღონისძიების გამოყენებისას ხორციელდება საქონლის დათვალიერება. ამასთან, გეზ-ი ახორციელებს მხოლოდ მის ტერიტორიაზე წარდგენილი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების ნიშანდებას;*

- *გ) დეკლარანტის მიერ, საბაჟო ორგანოს მიერ გაცემული იდენტიფიკაციის საშუალებების გამოყენებით, როდესაც:*
  - *გ.ა) ექსპორტის საქონლის საბაჟო დეკლარაციის მიმართ გამოსაყენებელი საბაჟო კონტროლის ღონისძიების შერჩევა, დეკლარანტის სურვილისამებრ, ხორციელდება საბაჟო ორგანოში, გარდა გეზის ტერიტორიაზე წარდგენილი საქონლისა;*
  - *გ.ბ) საქონლის რექსპორტი ხორციელდება შეტყობინების ან დეკლარაციის წარდგენით, გარდა გეზ-ის ტერიტორიაზე წარდგენილი საქონლისა;*
  - *დ) დეკლარანტის წარმომადგენლის მიერ, საბაჟო ორგანოს მიერ გაცემული იდენტიფიკაციის საშუალებების გამოყენებით, საბაჟო საწყობიდან ტრანზიტში გაცხადებული საქონლის გატანისას.*

მილსადენისა და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებული საქონლის მიმღების/მიწოდების პუნქტის ნიშანდება. *ინსტრუქციის „მილსადენითა და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებული საქონლის შესახებ" დანართი №17-ის მიხედვით, მილსადენითა და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებული საქონლის საბაჟო კონტროლი ხორციელდება გაფორმების ადგილებში წარდგენილი დოკუმენტებისა და ცნობების შემოწმებით. საბაჟო კონტროლი აგრეთვე შესაძლებელია განხორციელდეს ტრანსპორტირების საშუალებებში არსებულ ობიექტებზე იდენტიფიკაციის საშუალებების გამოყენებით, მრიცხველიდან მონაცემების აღებით და სხვა მიზანშეწონილი საშუალებებით. საბაჟო კონტროლს ახორციელებს გაფორმების საბაჟო ორგანო, სადაც დეკლარანტი, მიღების პუნქტის ტერიტორიული განთავსების შესაბამისად, აცხადებს საქონლის მიმართ შესაბამისი საბაჟო პროცედურის/რექსპორტის გამოყენებას. პირები, რომლებიც ახორციელებენ საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის გადაადგილებას (გადადინებას), ვალდებულნი არიან, წინასწარ მიღებული შეტყობინების შემდგომ, საბაჟო ორგანოებს გაუწიონ აუცილებელი დახმარება საბაჟო კონტროლის განხორციელებისას. ობიექტებზე საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებების (შემდგომში – იდენტიფიკაციის საშუალება) დადებას ახორციელებს საბაჟო ორგანოს ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრული თანამშრომელი, ობიექტზე უფლებამოსილი პირების თანდასწრებით. იდენტიფიკაციის საშუალებების გამოყენების შემთხვევაში, საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი საბაჟო ორგანოს ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრული პერიოდულობით ამოწმებს ობიექტებზე დადებული იდენტიფიკაციის საშუალებების დაურღვევლობას.*

ნიშანდებული ობიექტის ხელშეუხებლობასა და იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) დაუზიანებლობაზე პასუხისმგებელია ობიექტის მფლობელი. იდენტიფიკაციის საშუალებების შეცვლა, მოცილება ან განადგურება შეიძლება მხოლოდ საბაჟო ორგანოს მიერ ან მისი ნებართვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საქონლისა და ტრანსპორტირების საშუალებების განადგურების, დაკარგვის ან არსებითი დაზიანების რეალური საფრთხე. ასეთ შემთხვევაში, ობიექტის მფლობელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს საბაჟო ორგანოს იდენტიფიკაციის საშუალების შეცვლის, მოცილების ან განადგურების შესახებ. საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი ადგენს აქტს დადგენილი ფორმით და, საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ხელახალ ნიშანდებასაახლოს საიდენტიფიკაციო საშუალება. ნიშანდებული ობიექტის კაპიტალური ან მიმდინარე შეკეთების, ან დემონტაჟის განხორციელებამდე, ობიექტზე პასუხისმგებელი პირი წერილობით ატყობინებს საბაჟო ორგანოს სამუშაოთა დაწყების თარიღისა და ხანგრძლივობის შესახებ. სამუშაოს დაწყებამდე საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი ხსნის ობიექტზე არსებულ საიდენტიფიკაციო საშუალებებს, ხოლო სამუშაოს დამთავრების შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, ახდენს ხელახალ ნიშანდებას[441].

მილსადენისა და ელექტროგადამცემი ბაზებით გადაადგილებული საქონლის მიმღები/მიწოდების პუნქტზე ნიშანდებას ახორციელებს საბაჟო ორგანოს ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრული თანამშრომელი, ობიექტზე უფლებამოსილი პირების თანდასწრებით. იდენტიფიკაციის საშუალებების დადების, მოხსნის, მრიცხველიდან მონაცემების აღების ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დგება აქტი 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთს იტოვებს საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი, მეორე – გადაეცემა ობიექტზე უფლებამოსილ პირს. აქტში აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს საიდენტიფიკაციო საშუალების რეკვიზიტები და მრიცხველის მონაცემები დანართი №2-V-01.

[441] ფინანსთა მინისტრის ბრძანება #257 (დანართი №17) „მილსადენითა და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებული საქონლის შესახებ.“

დანართი №2-V-01

აქტი
საქონლის ტრანსპორტირების საშუალებაში შემავალ ობიექტზე იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) დადების/მოხსნის და მონაცემების აღების შესახებ

--------- ---------- 20 წ.
(რიცხვი, თვე, წელი)

(საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის სახელი, გვარი, თანამდებობა)

(ობიექტზე უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა)

(საქონლის მიმღები/გამგზავნი უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა)

მონაწილეობით შევადგინეთ ეს აქტი მასზე, რომ ----------

ობიექტის დასახელება, განხორციელებული ქმედება

№	ობიექტის დასახელება	მრიცხველის ტიპი	მრიცხველის ნომერი	ლუქის ანაბეჭდის ნომერი	ლუქების რაოდენობა

მრიცხველის ჩვენება

№	მრიცხველის №	მრიცხველის ჩვენება, შესაბამისი ზომის ერთეულში	შენიშვნა

ზემოაღნიშნული საიდენტიფიკაციო საშუალებები იმყოფება საბაჟო კონტროლის ქვეშ

(საბაჟო ორგანოს დასახელება)

(საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა, ხელმოწერა, ბეჭედი)

(ობიექტზე უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა, ხელმოწერა)

(საქონლის მიმღების წარმომადგენლის სახელი, გვარი, ხელმოწერა)

ნიშანდებული ობიექტის ხელშეუხებლობასა და იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) დაუზიანებლობაზე პასუხისმგებელია ობიექტის მფლობელი. იდენტიფიკაციის საშუალებების შეცვლა, მოცილება ან განადგურება შეიძლება მხოლოდ საბაჟო ორგანოს მიერ ან მისი ნებართვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საქონლისა და ტრანსპორტირების საშუალებების განადგურების, დაკარგვის ან არსებითი დაზიანების რეალური საფრთხე. ასეთ შემთხვევაში, ობიექტის მფლობელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს საბაჟო ორგანოს იდენტიფიკაციის საშუალების შეცვლის, მოცილების ან განადგურების შესახებ. საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი ადგენს აქტს დადგენილი ფორმით და, საჭიროების შემთხვევაში, აბორციელებს ხელახალ ნიშანდებას აახლოს საიდენტიფიკაციო საშუალება.

განხორციელებული ნიშანდების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა. *საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია, საქონელზე*

ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე განხორციელებული ნიშანდების შესახებ მონაცემები დააფიქსიროს რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობაში ან ელექტრონულად შევსებულ მოწმობაში, ასევე TIR წიგნაკით გადაადგილების შემთხვევაში – TIR წიგნაკის საქართველოს ტერიტორიაზე გამოსაყენებელ მოსახევ ფურცელსა და ყუაზე, ხოლო ATA წიგნაკით გადაადგილების შემთხვევაში – ასევე ATA წიგნაკის ყდისა და შესაბამისი ვაუჩერის (მოსახევი ფურცლის) უკანა გვერდზე მითითებული, საქონლის საერთო ჩამონათვალის მე-7 გრაფაში.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანის დროს, ასევე ტრანზიტისას საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების საბაჟო გამშვებ პუნქტში გამოცხადებისას, საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირი საქონლის თანმხლებ დოკუმენტებთან ერთად ამოწმებს სატრანსპორტო საშუალებაზე დადებული იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) მთლიანობას, მათი რეკვიზიტების შემოწმებას თანმხლები დოკუმენტების მიხედვით, ხოლო საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) მოხსნა/მოცილების ან/და განადგურების შემთხვევაში, ადგენს საბაჟო სამართალდარღვევის ოქმს.

თუ საქონლის დათვალიერების შედეგად საქონლის შეუსაბამობა არ გამოვლინდა, საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირი ახდენს ხელახალ ნიშანდებას და აკეთებს აღნიშვნას თავის მიერ დადებული იდენტიფიკაციის საშუალებების შესახებ საქონლის თანმხლებ დოკუმენტებში, ასევე TIR წიგნაკით გადაადგილების შემთხვევაში – TIR წიგნაკის შესაბამის მოსახევ ფურცელსა და ყუაზე, ხოლო ATA წიგნაკით გადაადგილების შემთხვევაში – ასევე ATA წიგნაკის ყდისა და შესაბამისი ვაუჩერის (მოსახევი ფურცლის) უკანა გვერდზე მითითებული, საქონლის საერთო ჩამონათვალის მე-7 გრაფაში. იმ შემთხვევაში, როდესაც საბაჟო გამშვებ პუნქტში შეუძლებელია საქონლის დათვალიერება, საქონლის გადამაადგილებელი სატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება ნიშანდებას და მოწმობით ან რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობით გადაადგილდება საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ შერჩეულ საბაჟო კონტროლის ზონამდე ან საბაჟო საწყობამდე ან დროებით შენახვის სხვა ადგილამდე, სადაც განხორციელდება საქონლის დათვალიერება.

იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) მოხსნა/მოცილება. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საბაჟო ორგანოს მიერ ნიშანდებულ საქონელზე ან/და სატრანსპორტო საშუალე-

ბებზე ან/და შენობა-ნაგებობაზე იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) მოხსნა/მოცილება ხორციელდება საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

- *ა) ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედებით ან მის შედეგად საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დაზიანების, განადგურების ან დაკარგვის თავიდან აცილების აუცილებლობით;*
- *ბ) დათვალიერების გარეშე (რისკების მართვის სისტემის გამოყენებით, საბაჟო დეკლარაციისათვის/რეექსპორტის დეკლარაციისათვის განსაზღვრული შესაბამისი დერეფნის მეშვეობით) გაშვებულ საქონელსა ან/და სატრანსპორტო საშუალებებზე იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) მოხსნა/მოცილება ხორციელდება საქონლის მფლობელის ან უფლებამოსილი პირის მიერ;*
- *გ) საბაჟო საწყობის ტერიტორიაზე შეტანილ საქონელსა ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე – საბაჟო საწყობის უფლებამოსილი პირის მიერ;*
- *დ) საქონლის დროებით შენახვის სხვა ადგილზე განთავსებისას – საქონლის მფლობელის ან უფლებამოსილი პირის მიერ;*
- *ე) „ოქროს სიის" მონაწილის ან ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორისის კუთვნილ საქონელზე გამარტივებული საბაჟო ფორმალობების დამთავრებისას – აღნიშნული პირის მიერ.*

საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი, დაზიანებული ან მოცილებული იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) თაობაზე შეტყობინების მიღების შემთხვევაში, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ან/და შენობა-ნაგებობის დათვალიერების შემდეგ ახორციელებს ხელახალ ნიშანდებას. ნიშანდებული შენობა–ნაგებობის მფლობელი ვალდებულია, კაპიტალური ან მიმდინარე შეკეთების ან დემონტაჟის განხორციელებამდე, წერილობით, წინასწარ შეატყობინოს საბაჟო ორგანოს სამუშაოთა დაწყების თარიღისა და ბანგრძლივობის შესახებ. სამუშაოს დაწყებამდე საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირი ხსნის შენობა–ნაგებობაზე არსებულ იდენტიფიკაციის საშუალებებს (ნიშნებს), ხოლო სამუშაოების დასრულების შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ მასში განთავსდება ან განთავსებულია საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონელი, ახდენს ხელახალ ნიშანდებას.

რა შემთხვევაში ხდება იდენტიფიკაციის საშუალებების აღრიცხვა - გაცემა? (პ.1.). შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტი იდენტიფიკაციის საშუალებებს გასცემს გეზ-ის ან სა-

ბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილების ან საბაჟო გამშვები პუნქტის უფროსის ბრძანებით განსაზღვრულ თანამშრომელზე, რომელიც პასუხისმგებელია იდენტიფიკაციის საშუალებების მიღებაზე, აღრიცხვაზე, განაწილებასა და ანგარიშგებაზე. ზემოთ აღნიშნული პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში იდენტიფიკაციის საშუალებები გაიცემა გასავლის ზედდებულით (მონაცემთა დამუშავების ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, სადაც ფიქსირდება იდენტიფიკაციის საშუალებების რაოდენობის, სერიები და ნომრები. საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილების, გაფორმების ეკონომიკური ზონის და საბაჟო გამშვები პუნქტის პასუხისმგებელი თანამშრომელი მიღებულ იდენტიფიკაციის საშუალებებს აღრიცხავს „იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) აღრიცხვისა და გაცემის ჟურნალში“ (შემდგომში – ჟურნალი) დანართი №2-V-02[442], ინახავს დაცულ ადგილას და საჭირო რაოდენობას გასცემს გაფორმების განყოფილების ან გაფორმების ეკონომიკური ზონის პასუხისმგებელ თანამშრომელზე ან ცვლის უფროსზე, ხოლო ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში – პირზე ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელზე.

საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილების, გაფორმების ეკონომიკური ზონის პასუხისმგებელი თანამშრომლების ან ცვლის უფროსების მიერ მიღებული და გამოყენებაზე უფლებამოსილ თანამშრომლებზე გაცემული იდენტიფიკაციის საშუალებები ასევე აღირიცხება ჟურნალში (დანართი №2-V-02)[443].

ინსტრუქციის „საბაჟო კონტროლის შესახებ“ 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ნიშანდებისათვის, პირის მოთხოვნით, იდენტიფიკაციის საშუალებების გაცემა ხორციელდება „განცხადება – მიღება-ჩაბარების აქტის“ (დანართი №2-V-02)[444] გაფორმებით, რომელიც მოწმდება პირის

---

[442] დანართის შესახებ იხ. ინსტრუქცია „საბაჟო კონტროლის შესახებ“.

[443] იხ. სქ. 440.

[444] იხ. სქ. 440.

ხელმოწერით ან ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ელექტრონული ხელმოწერით. ამასთან, იდენტიფიკაციის საშუალებები გაიცემა პირზე ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელზე.

ინსტრუქციის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებში საუბარია იმის შესახებ, *როდესაც, საქართველოს საბაჟო საზღვრის გადამკვეთი სატრანსპორტო საშუალება, რომლითაც ბორციელდება საქონლის გატანა, ექვემდებარება ნიშანდებას: დეკლარანტის მიერ, საბაჟო ორგანოს მიერ გაცემული იდენტიფიკაციის საშუალებების გამოყენებით, როდესაც („გ“ ქვეპუნქტი) ექსპორტის საქონლის საბაჟო დეკლარაციის მიმართ გამოსაყენებელი საბაჟო კონტროლის ღონისძიების შერჩევა, დეკლარანტის სურვილისამებრ, ბორციელდება საბაჟო ორგანოში, გარდა გეზ-ის ტერიტორიაზე წარდგენილი საქონლისა („გ.ა.“ ქვეპუნქტი); საქონლის რეექსპორტი ბორციელდება შეტყობინების ან დეკლარაციის წარდგენით, გარდა გეზ-ის ტერიტორიაზე წარდგენილი საქონლისა („გ.ბ.“ ქვეპუნქტი); დეკლარანტის წარმომადგენლის მიერ, საბაჟო ორგანოს მიერ გაცემული იდენტიფიკაციის საშუალებების გამოყენებით, საბაჟო საწყობიდან ტრანზიტში გაცხადებული საქონლის გატანისა („დ“ ქვეპუნქტი“).*

საკომენტარი ინსტრუქციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“–„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში იდენტიფიკაციის საშუალებების მოხსნა/მოცილება საქონლის მფლობელის ან უფლებამოსილი პირის ან საბაჟო საწყობის უფლებამოსილი პირის მიერ ხორციელდება აქტის დანართი №2-V-04 გაფორმებით, რომელსაც ინახავს 3 წლის განმავლობაში.

თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საბაჟო ორგანოს მიერ ნიშანდებულ საქონელზე ან/და სატრანსპორტო საშუალებებზე ან/და შენობა-ნაგებობაზე იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) მოხსნა/მოცილება ხორციელდება საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც: „დათვალიერების გარეშე (რისკების მართვის სისტემის გამოყენებით, საბაჟო დეკლარაციისათვის/რეექსპორტის დეკლარაციისათვის განსაზღვრული შესაბამისი დერეფნის მეშვეობით) გაშვებულ საქონელსა ან/და სატრანსპორტო საშუალებებზე იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) მოხსნა/მოცილება ხორციელდება საქონლის მფლობელის ან უფლებამოსილი პირის მიერ („ბ“ ქვეპუნქტი); საბაჟო საწყობის ტერიტორიაზე შეტანილ საქონელსა ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) მოხსნა/მოცილება ხორციელდება საბაჟო საწყობის უფლებამოსილი პირის მიერ („გ“ ქვეპუნქტი); საქონლის

დროებით შენახვის სხვა ადგილზე განთავსებისას იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) მოხსნა/მოცილება ხორციელდება საქონლის მფლობელის ან უფლებამოსილი პირის მიერ („დ" ქვეპუნქტი"); „ოქროს სიის" მონაწილის ან ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის კუთვნილ საქონელზე გამარტივებული საბაჟო ფორმალობების დამთავრებისას იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) მოხსნა/მოცილება ხორციელდება აღნიშნული პირის მიერ („ე" ქვეპუნქტი).

საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მოხსნილი/მოცილებული იდენტიფიკაციის საშუალებები მოხსნისთანავე ჩაითვლება განადგურებულად, ხოლო ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქონლის მფლობელის ან უფლებამოსილი პირის ან საბაჟო საწყობის უფლებამოსილი პირის მიერ მოხსნილი/მოცილებული იდენტიფიკაციის საშუალებები ინახება აღნიშნულ პირებთან, 15 კალენდარული დღის განმავლობაში, რის შემდეგაც იდენტიფიკაციის საშუალებები ჩაითვლება განადგურებულად. გამოყენებამდე ან დადებისას დაზიანებულ ან უვარგის იდენტიფიკაციის საშუალებებს, აგრეთვე ინფორმაციას ასეთი იდენტიფიკაციის საშუალებების შესახებ დანართი №2-V-05 დანართის ფორმით, გაფორმების ეკონომიკური ზონის, საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილების და საბაჟო გამშვები პუნქტის პასუხისმგებელი თანამშრომელი აბარებს შემოსავლების სამსახურის ფინანსურ დეპარტამენტს. ეს ინფორმაცია წარდგენილი უნდა იქნეს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 15 იანვრამდე.

დანართი №2-V-05

„ ----- „ ——— 20... წელი

ინფორმაცია

——————————————————————————— მიერ

(საბაჟო დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულის დასახელება)

20 ... წლის განმავლობაში გამოყენებამდე ან დადებისას დაზიანებული ან უვარგისი იდენტიფიკაციის საშუალებების შესახებ

	იდენტიფიკაციის საშუალების დასახელება	დაზიანებული იდენტიფიკაციის საშუალების რიგითი №	შენიშვნა

პასუხისმგებელი
თანამშრომლის ხელმოწერა ----------
პ/ნომრიანი ბეჭედი ან
საბაჟო დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული
ერთეულის/ქვედანაყოფის მრგვალი ბეჭედი

შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტი ახორციელებს გამოყენებამდე ან დადებისას დაზიანებული ან უვარგისი იდენტიფიკაციის საშუალებების განადგურებას და შედეგებს ასახავს აქტში (დანართი №2-V-06).

დანართი №2-V-06

„ ----- „ ——— 20... წელი

ა ქ ტ ი

---------- მიერ
(საბაჟო ორგანოს დასახელება)

იდენტიფიკაციის საშუალებების განადგურების შესახებ

1. განადგურების თარიღი და ადგილი: ----------

2. აქტი შეადგინა ----------

(საბაჟო ორგანოს თანამშრომლის/ების სახელი, გვარი)

3. განადგურებულია იდენტიფიკაციის საშუალებები: ----------

(მიეთითოს რომელი იდენტიფიკაციის საშუალებებია
განადგურებული, რაოდენობა, ნომრები)

4. საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის/ების სახელი, გვარი, ხელმოწერა,
პირადნომრიანი ბეჭედი (არსებობის შემთხვევაში)

---

5. საქონლის გაშვება

საქონლის გაშვება – საქონლის განკარგვის უფლების[445] ან/და საქონლით სარგებლობის უფლების მინიჭება საქონლის მიმართ გამოყენებული საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის პირობების შესაბამისად[446].

დეკლარაციის შემოწმების ბოლოს ან მის ნებისმიერ ეტაპზე საბაჟო ორგანოს თანამშრომელი უფლებამოსილია მიიღოს ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი ან რამოდენიმე გადაწყვეტილება:

---

[445] საქონლის განკარგვის შესახებ მომდევნო თავში იქნება საუბარი.

[446] საბაჟო კოდექსი, მ.6. ნ.1. „ტ" ქვეპუნქტი.

„.....საქონლის გაშვების შესახებ"; „საქონლის გაშვების საბაჟო ფორმალობების შეჩერების შესახებ;...[447].

იმ შემთხვევაში, როცა დეკლარაციაში ცვლილების შეტანა იწვევს იმპორტის გადასახდელის თანხის ოდენობის გაზრდას:

- ა) თუ დეკლარანტი ეთანხმება კორექტირებული დეკლარაციის მონაცემებს/დეკლარაციის შემოწმების აქტს და თანახმაა გადაიხადოს განსაზღვრული იმპორტის გადასახდელი, ხორციელდება დეკლარაციის კორექტირება და საქონლის გაშვება („A" ნომრის მინიჭება);
- ბ) თუ დეკლარანტი არ ეთანხმება კორექტირებული დეკლარაციის/დეკლარაციის შემოწმების აქტის მონაცემებს, მაგრამ ითხოვს საქონლის დაუყოვნებლივ გაშვებას და დამატებით, ამ ბრძანებით დამტკიცებული „გარანტიის შესახებ" ინსტრუქციის (დანართი №4) შესაბამისად, წარმოადგენს იმპორტის გადასახდელის გადახდის უზრუნველყოფის გარანტიას. დეკლარაციის კორექტირების გარეშე ხორციელდება საქონლის გაშვება („A" ნომრის მინიჭება), რა დროსაც დეკლარაციას უკეთდება აღნიშვნა „გაშვება ნებადართულია გარანტიით".

იმ შემთხვევაში, როცა დეკლარაციაში ცვლილების შეტანა არ იწვევს იმპორტის გადასახდელი თანხის ოდენობის გაზრდას, დეკლარანტის მოთხოვნით ხორციელდება საქონლის გაშვება დეკლარაციის შემოწმების აქტის შედგენითა და კორექტირებული დეკლარაციით ან მხოლოდ კორექტირებული დეკლარაციით, მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არა დეკლარანტი დეკლარაციის შემოწმების აქტს/კორექტირებულ დეკლარაციას (აკრძალვების, შეზღუდვების და საბაჟო პროცედურაში/რეექსპორტში საქონლის მოქცევის პირობების დარღვევის გარდა).

თუ დეკლარანტი დადგენილი წესით გაასაჩივრებს დეკლარაციის შემოწმების აქტს ან/და კორექტირებულ დეკლარაციას:

- ა) განმხილველი ორგანოს მიერ დეკლარანტის საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე მიღებული, ძალაში შესული გადაწყვეტილების საბაჟო ორგანოში წარდგენისას უფლებამოსილ

[447] ინსტრუქცია „საბაჟო კონტროლის შესახებ", მ.1.ა.1.

თანამშრომელს ცვლილებები შეაქვს კორექტირებული დეკლარაციის ელექტრონულ ვერსიაში. გარანტიით გაშვებული საქონლის შემთხვევაში, დეკლარაციაში მითითებული აღნიშვნა „გაშვება ნებადართულია გარანტიით“, იცვლება აღნიშვნით „გაშვება ნებადართულია“;

• ბ) დავის განმხილველი ორგანოს მიერ საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მიღებული, ძალაში შესული გადაწყვეტილების საბაჟო ორგანოში წარდგენისას, გარანტიით გაშვებული საქონლის შემთხვევაში, დარიცხული იმპორტის გადასახდელის გადახდის ან გარანტიის შესრულების გათვალისწინებით, უფლებამოსილ თანამშრომელს ცვლილებები შეაქვს კორექტირებული დეკლარაციის ელექტრონულ ვერსიაში, აღნიშვნას „გაშვება ნებადართულია გარანტიით“ ცვლის აღნიშვნით „გაშვება ნებადართულია“ და დეკლარანტს ატყობინებს გარანტიით უზრუნველყოფილი თანხის დეკლარაციით დარიცხვის თაობაზე.

ინსტრუქციის „საბაჟო კონტროლის შესახებ“ მე-13 პუნქტის მე-8 პუნქტის თანახმად, „დეკლარაციის შემოწმება უნდა დასრულდეს, როგორც წესი, დეკლარაციისა და დეკლარირებისათვის აუცილებელი დოკუმენტების მიღებიდან არა უგვიანეს ერთი საათისა, თუ დეკლარაციის შემოწმების ეტაპები, საქონლის დათვალიერება, სინჯებისა და ნიმუშების აღება ან გაფორმების სხვა საბაჟო ფორმალობების განხორციელება გაცილებით მეტ დროს არ საჭიროებს. სამუშაო დღის დასრულებამდე ორი საათის განმავლობაში მიღებული დეკლარაციების შემოწმება უნდა დასრულდეს **არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის 12:00 საათისა“.**

საბაჟო ორგანოს მიერ მოთხოვნილი დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტების მისაღებად დეკლარანტს შესაძლებელია დასჭირდეს საბაჟო ორგანოში ადრე წარდგენილი დოკუმენტები. ასეთ შემთხვევაში, დეკლარანტის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე საბაჟო ორგანო გასცემს დოკუმენტს და იტოვებს მის ასლს, რომლის უკანა გვერდზეც აკეთებს შესაბამის აღნიშვნას ორიგინალის საქმეში არარსებობის მიზეზის შესახებ. ასლს თან დაერთვის დეკლარანტის წერლობითი განცხადება დოკუმენტების მოთხოვნის შესახებ.

დეკლარანტის მიერ დამატებითი დოკუმენტის წარდგენის ვადა განისაზღვრება არაუმეტეს 30 კალენდარული დღით, თუ დოკუმენტის გასაცემად საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით სხვა ვადა არ არის განსაზღვრული.

დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენის შესახებ წერილობითი მოთხოვნის დეკლარანტისათვის გაგზავნის (გადაცემის) მომენტიდან გაფორმებისათვის დადგენილი დროის ათვლა წყდება მოთხოვნილი ინფორმაციის/დოკუმენტების დეკლარანტის მიერ ოფიციალურად წარმოდგენამდე. დეკლარანტის მიერ დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ 13-ე მუხლის ზემოთ აღნიშნული მე-8 პუნქტით განსაზღვრული ვადის ათვლა იწყება თავიდან.

საქონლის გაშვების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება დეკლარაციისათვის შეფასების „A“ ნომრის მინიჭებით (გარდა ექსპორტის პროცედურაში საქონლის გაშვებისა). შეფასების ნომერთან ერთად დეკლარაციას ავტომატურად ენიჭება შტრიხ-კოდი. იმ შემთხვევაში, როდესაც ტექნიკური ან სხვა მიზეზის გამო დეკლარაციისათვის შტრიხ-კოდის მინიჭება ავტომატურად ვერ ხორციელდება, გაფორმების დასრულება დასტურდება საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ შტამპით – „გაშვება ნებადართულია“, პირადნომრიანი ბეჭდით (საბაჟო გამშვები პუნქტის შემთხვევაში), თარიღისა და ხელმოწერის მითითებით[448].

აქვე: **საქართველოს საბაჟო საზღვართან მდებარე საბაჟო კონტროლის ზონები – საბაჟო გამშვები პუნქტებია:**

- *ა) „წითელი ბიდი“ – მარნეულის რაიონი, სოფელი კირაჩმუღანლო;*
- *ბ) „სადახლო-საავტომობილო“ – მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფელი სადახლო;*
- *გ) „სადახლო-სარკინიგზო“ – მარნეულის მუნიციპალიტეტი სოფელი სადახლო – სადგურის დასახელება;*
- *დ) „გარდაბანი“ – გარდაბნის მუნიციპალიტეტი, ქ. გარდაბანი, კოსტა ხეთაგუროვის №9;*
- *ე) „მტკვარი“ – გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი ვახტანგისი;*
- *ვ) „აბკურპი“ – მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფელი აბკურპი;*
- *ზ) „გუგუთი“ – დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი გუგუთი;*

[448] ინსტრუქცია „საბაჟო კონტროლის შესახებ“, მ.13.

• თ) „ლაგოდები“ – ლაგოდების მუნიციპალიტეტი, სოფელი მაწონი;

• ი) „სამთაწყარო“ – დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი სამთაწყარო;

• კ) „ყაზბეგი“ – ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, დარიალის ხეობა;

• ლ) „ვალე“ – ადიგენის მუნიციპალიტეტის მიმდებარე ტერიტორია;

• მ) „ნინოწმინდა“ – ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, სოფელი სამებას ტერიტორია;

• ნ) „სარფი“ – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სარფი;

• ო) „ბათუმის აეროპორტი“ – ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი №220;

• პ) „ქუთაისისა და სენაკის აეროპორტები და ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული და ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონები“:

  • პ.ა) ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი, სამტრედიის მუნიციპალიტეტი, დაბა ჯიხაიში;

  • პ.ბ) ქ. ქუთაისი, ყოფილი ავტოქარხნის ტერიტორია, ავტომშენებლის №88;

• ჟ) „თბილისის აეროპორტი და თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“:

  • ჟ.ა) კაბეთის გზატკეცილი, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი;

  • ჟ.ბ) ქ. თბილისი, გლდანის რ-ნი, ხიზანიშვილის ქ. №264ა;

• რ) „ბათუმის პორტი“ – ქ. ბათუმი, ბაქოს ქ. №15;

• ს) „ფოთისა და ყულევის პორტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“:

  • ს.ა) ქ.ფოთი, აღმაშენებლის ქ.52;

  • ს.ბ) ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყულევი;

  • ს.გ) ქ.ფოთი, ჭავჭავაძის ქ. №545;

• ტ) „კარწახი-ახალქალაქი სარკინიგზო“:

  • ტ.ა) ახალქალაქის რაიონი, სოფელი კარწახი (მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში, შემოსავლების სამსახურის სააჟიო დეპარტამენტის თანხმობით განსახორციელებელი სააჟიო ფორმალობებისა და სააჟიო კონტროლისათვის);

  • ტ.ბ) ქ. ახალქალაქი, ნინოწმინდის გზატკეცილი, რკინიგზის სადგური;

• უ) „კარწახი“ – ახალქალაქის რაიონი, სოფელი კარწახი.

საბაჟო გამშვები პუნქტის სამუშაო დროა – კალენდარული კვირის ყოველი დღის (საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი უქმე დღეების ჩათვლით) **00.00 საათიდან 24.00 საათის ჩათვლით.**

საბაჟო გამშვებ პუნქტებში საქონელმა და სატრანსპორტო საშუალებამ საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული საბაჟო პროცედურა უნდა გაიარონ (მაგ. გააფორმონ საქონელი), რათა მოხდეს მათი გაშვება (მაგ; თავისუფალ მიმოქცევაში {იმპორტში}).

***დეკლარირებული საქონლის მონაცემების რისკის პროფილთან თანხვედრის შემთხვევაში, სისტემაში რეგისტრირებული საქონლის საბაჟო დეკლარაციისათვის განსაზღვრება შესაბამისი დერეფანი, რაც გულისხმობს: „მწვანე დერეფანი"** – საქონლის გაშვებას დეკლარაციის და დოკუმენტების კამერალური შემოწმებისა და საქონლის დათვალიერების გარეშე, რაც არ გამორიცხავს ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში საბაჟო კონტროლის ღონისძიებების განხორციელებას; **„ლურჯი დერეფანი"** – საქონლის გაშვებას დეკლარაციისა და დოკუმენტების კამერალური შემოწმებისა და საქონლის დათვალიერების გარეშე, გაშვების შემდგომ აუცილებელი კონტროლის პირობით, რაც შეიძლება მოიცავდეს საქონლის საბაჟო ღირებულების ან/და იმპორტის გადასახდელის დარიცხვის ან/და სეს ესნ-ის კოდის განსაზღვრის ან/და საქონლის რაოდენობის ან/და საქონლის სახეობათა რაოდენობის სისწორის ან/და საქონლის მიმართ დაწესებული აკრძალვებსა და შეზღუდვებთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის შემოწმებას, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე ელექტრონულად მიღებული შეტყობინების შესაბამისად, რაც არ გამორიცხავს შესაბამისი ინფორმაციის მიღებისას ან/და ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო საბაჟო კონტროლის სხვა ღონისძიების განხორციელებასაც და ა.შ [449].

ერთი სიტყვით, საქონელი გაშვებულ რომ იქნას და გარკვეულ საბაჟო პროცედურაში მოექცეს, მან გარკვეული ეტაპები უნდა გაიაროს, რომლის შესახებაც დეტალური საუბარი შესაბამის პარაგრაფებში გვქონდა და ასევე საბაჟო სამართლის პირველ ნაწილში, აქ კი ავღნიშნავდით, რომ საქონლის გაშვებამდე უნდა შემოწმდეს საბაჟო

---

[449] საბაჟო კონტროლის ზონების დერეფნების შესახებ ვრცელი კომენტარი გვქონდა აღნიშნულ სახელმძღვანელოში შესაბამის პარაგრაფში და ასევე, ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021.

დეკლარაცია, დეკლარირებული საქონლის მიმართ საბაჟო კონტროლის განხორციელების ეტაპების გავლა, საბაჟო დეკლარაციის და რეექსპორტის დეკლარაციის შევსების სისწორის შემოწმება, სეს ესნ-ის კოდის განსაზღვრის პირველადი (დოკუმენტური) შემოწმება, აკრძალვების, შეზღუდვების და გაცხადებულ საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის განხორციელების პირობების შემოწმება, საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრა, იმპორტის გადასახდელის დარიცხვისა და გადახდის შემოწმება და ა.შ[450].

მაგალითი:

მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების სპეციალური პროცედურა საშუალებას იძლევა, მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონელი გაშვებულ იქნეს თავისუფალ მიმოქცევაში იმპორტის გადასაბდელისაგან გათავისუფლების პირობით.

თუ საბაჟო დეკლარაციის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები სრულად არის დაცული, საქონელი გაიშვება დაუყოვნებლივ, საბაჟო დეკლარაციის შემოწმების დასრულებისთანავე, ხოლო თუ საბაჟო დეკლარაცია არ მოწმდება - ამ გადაწყვეტილების მიღებისთანავე.

ორიოდ სიტყვით ინსტრუქციის „საბაჟო კონტროლის შესახებ" **მუხლი 39-თან („საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის ზოგადი დებულებები") შესახებ. საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის განხორციელების საფუძვლებია:**

- ა) **„ლურჯი დერეფნით"** დასრულებული საბაჟო დეკლარაცია ან რეექსპორტის დეკლარაცია;
- ბ) დეკლარანტის წერილობითი განცხადება (გარდა ამ ბრძანებით დამტკიცებული „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ" ინსტრუქციით (დანართი №8) გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც საქონლის გაშვების შემდეგ დეკლარაციაში ცვლილების შეტანა ხორციელდება საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის გარეშე), თუ მის მიერ აღმოჩენილ იქნა, რომ გაშვებული საქონლის რაოდენობა ან/და საქონლის ღირებულება ან/და

[450] იხ. ინსტრუქცია „საბაჟო კონტროლის შესახებ".

საქონლის საბაჟო ღირებულება ან/და იმპორტის გადასახდელის თანხის ოდენობა ნაკლებია საბაჟო დეკლარაციაში ან რეექსპორტის დეკლარაციაში და მის თანმხლებ დოკუმენტაციაში მითითებულ შესაბამის მონაცემებზე;

• გ) საბაჟო ორგანოში არსებულ მონაცემთა ანალიზის შედეგები ან/და დადგენილი წესით მოთხოვნილი და მიღებული ინფორმაცია, მათ შორის, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ფარგლებში მიღებული ინფორმაცია;

• დ) სამართალდამცავი ორგანოს სათანადო გადაწყვეტილება ან/და ინფორმაცია.

საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის მიზანია საქონლის საბაჟო ღირებულების ან/და იმპორტის გადასახდელის დარიცხვის ან/და საქონლის რაოდენობის ან/და სახეობათა რაოდენობის ან/და სეს ესნ-ის კოდის განსაზღვრის სისწორის ან/და საქონლის მიმართ დაწესებულ აკრძალვებთან ან/და შეზღუდვებთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის შემოწმება.

საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის ფორმები შეიძლება იყოს კამერალური[451] და გასვლითი შემოწმება[452].

საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის მიზნებისათვის, საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, მტკიცებულებად ჩათვალოს სხვა ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი ან საბაჟო დეკლარაცია ან/და მსოფლიო ბაზრის ფასები, როდესაც ასეთი ფასების გამოყენების ვალდებულება გათვალისწინებულია გარიგებით, თუ:

---

[451] საქონლის გაშვების შემდგომი კამერალური შემოწმება (შემდგომში – კამერალური შემოწმება) ტარდება პირის საქმიანობის ადგილზე გაუსვლელად, საბაჟო ორგანოში არსებული საბაჟო ფორმალობებთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და სხვა ინფორმაციის საფუძველზე. კამერალური შემოწმება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც ინდივიდუალური, ასევე კომპლექსური შემოწმების დროს. კამერალური შემოწმების შესახებ დაწვრ. იხ. ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021.

[452] გასვლითი შემოწმების შესახებ ვრცლად იხ. ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021.

• ა) წარმოიშვა ეჭვი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის უკანონოდ შემოტანაზე/ტერიტორიიდან უკანონოდ გატანაზე ან დეკლარირებული მონაცემების ან დეკლარანტის ან/და მისი წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი სხვა ინფორმაციის უტყუარობაზე, ან

• ბ) დადგენილია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის უკანონოდ შემოტანის/ტერიტორიიდან უკანონოდ გატანის ფაქტი.

გასვლითი შემოწმება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც ინდივიდუალური, ასევე კომპლექსური შემოწმების დროს. გასვლითი შემოწმება შეიძლება გაგრძელდეს **არა უმეტეს 3 თვისა.** საჭიროების შემთხვევაში, შემოსავლების სამსახურის უფროსთან შეთანხმებით შესაძლებელია შემოწმების ვადის დამატებით გაგრძელება არა უმეტეს 2 თვისა.

საქონლის გაშვების შემდგომი გადაუდებელი გასვლითი შემოწმება (შემდგომში – გადაუდებელი გასვლითი შემოწმება) ტარდება წერილობითი შეტყობინების გარეშე, თუ:

• ა) საბაჟო ორგანოს აქვს ინფორმაცია, რომ დეკლარანტი გეგმავს, თავი აარიდოს საბაჟო ან/და საგადასახადო ვალდებულებათა შესრულებას საქართველოდან გასვლით, საქონლის სხვა პირისათვის გადაცემით, საბაჟო სამართალდარღვევის დამადასტურებელი დოკუმენტების განადგურებით, დამალვით, შესწორებით ან შეცვლით ან/და სხვა ღონისძიებების გატარებით;

• ბ) არსებობს საფუძვლიანი ეჭვი საბაჟო დეკლარაციას/რეექსპორტის დეკლარაციას და მის თანმხლებ დოკუმენტაციაში მითითებული საქონლის არასწორად კლასიფიცირების შესახებ, რამაც გამოიწვია იმპორტის/ექსპორტის გადასახდელის ოდენობის შემცირება ან რითაც თავი იქნა არიდებული საქონლის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული აკრძალვები/შეზღუდვები;

• გ) არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში მოქცეული საქონელი არ გამოიყენება მიზნობრივი დანიშნულებით ან საბაჟო

ფორმალობების დარღვევით გამოიყენება სხვა მიზნობრივი დანიშნულებით.

საბაჟო ორგანო ვალდებულია, გადაუდებელი გასვლითი შემოწმების დაწყებიდან **48 საათში** მიმართოს სასამართლოს და მიიღოს მისგან ნებართვა გასვლითი შემოწმების ჩატარების შესახებ. ამასთანავე, საბაჟო ორგანოს უფლება აქვს, დეკლარანტის ქონებაზე გაავრცელოს საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას საგადასახადო დავალიანება და ა.შ.

საბაჟო კოდექსის 101-ე მუხლის პირველი ნაწილი მიუთითებს **96-ე მუხლის** გამოყენების შემთხვევებზე, კერძოდ, საქონელი გაიშვება აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ **საბაჟო კოდექსის 96-ე მუხლით** გათვალისწინებული საბაჟო დეკლარაციის შემოწმება გონივრულ ვადაში ვერ სრულდება და მისი შემოწმების მიზნისთვის საქონლის წარდგენის ადგილზე ყოფნა აღარ მოითხოვება.

- *საბაჟო კოდექსის 96-ე მუხლით გათვალისწინებულია, რომ: საბაჟო ორგანო უფლებამოსილია რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაში არსებული მონაცემების სიზუსტის შემოწმების მიზნით:*
- *შეისწავლოს ეს დეკლარაცია და მისი თანმხლები დოკუმენტები;*
- *ბ) მოსთხოვოს დეკლარანტს დამატებითი დოკუმენტების წარდგენა;*
- *გ) დაათვალიეროს საქონელი; დ) აიღოს საქონლის სინჯი ან/და ნიმუში მისი ანალიზისთვის ან საქონლის დეტალური შემოწმებისთვის. რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაციის შემოწმების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „საბაჟო კონტროლის შესახებ", რომლის შესახებაც ვრცელი კომენტარია შემოთავაზებული ზემოთ და ამ შემთხვევაში მის განვრცობას არ მოვახდენთ.*

მე-3 პუნქტის თანახმად, ერთი საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებული ყველა საქონელი გაშვებული უნდა იქნეს ერთდროულად, გარდა იმ შემთხვევისა, რომელზედაც გადაწყვეტილებას იღებს საბაჟო ორგანო, ხოლოთუ ერთი საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებულია საქონლის რამდენიმე სახეობა, მაშინ საკომენტარო 101-ე მუხლის მუხლის მე-3 ნაწილის მიზნისთვის საქონლის თითოეული სახეობის შესახებ მონაცემები ცალ-ცალკე დეკლარირებულად მიიჩნევა.

იმ შემთხვევაში, თუ საქონლის საბაჟო პროცედურაში მოქცევა გარანტიის წარდგენას ითვალისწინებს, ამ საბაჟო პროცედურაში მოსაქცევი საქონლის გაშვება დასაშვებია შესაბამისი გარანტიის წარდგენის შემდეგ.

ინსტრუქციის „გარანტიის შესახებ“ (დანართი №4) თანახმად, თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, გარანტიის წარდგენა სავალდებულოა:

- ა) იმპორტის გადასახდელისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებით საქონლის დროებით შემოტანისას;
- ბ) შიდა გადამუშავებისას;
- გ) დეკლარანტსა და საბაჟო ორგანოს შორის საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრაზე უთანხმოების დროს საქონლის გაშვებისას;
- დ) როდესაც დეკლარანტი არ ეთანხმება კორექტირებული საბაჟო დეკლარაციის მონაცემებს, მაგრამ ითხოვს საქონლის დაუყოვნებლივ გაშვებას;
- ე) საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მისაღებად;
- ვ) თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვით განსაზღვრული საქმიანობის დასაწყებად;
- ზ) საერთაშორისო საავიაციო ან საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებისათვის განკუთვნილი საწვავის ან/და საპოხი საშუალებების ან ასეთი რეისების განხორციელებისას მგზავრებზე და ეკიპაჟის წევრებზე სარეალიზაციოდ განკუთვნილი სამომხმარებლო საქონლის, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფარგლებში სამოქალაქო საავიაციო რეისების ან საავიაციო სამუშაოების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებლად განკუთვნილი საწვავის, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებების მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში მოქცევისას;
- თ) საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემომსვლელი პირის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის დეკლარირებისას, როდესაც საქართველოში მუდმივი საცხოვრებელი

ადგილის დამადასტურებელი საბუთი არ არის წარდგენილი ან წარდგენილია ხარვეზით;

• ი) იმპორტის გადასახდელისაგან სრულად გათავისუფლებით საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (შემდგომში – სეს ესნ) 8703 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მსუბუქი ავტომობილის ან/და 8711 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მოტოციკლის (მოპედის ჩათვლით) საქართველოს მოქალაქის მიერ დროებით შემოტანისას;

• კ) საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული სეს ესნ-ის 8702 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი ავტომობილის (რომლის დასასხდომი ადგილების რაოდენობა, გარდა მძღოლის ადგილისა, აღემატება 8-ს, მაგრამ არ აღემატება 16-ს და რომლის სიგრძე არ აღემატება 8 მეტრს, აგრეთვე გადაბმულისა მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 750 კგ-ს), 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ³ ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია), 8704 21 და 8704 31 სასაქონლო სუბპოზიციებით გათვალისწინებული ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების იდენტიფიცირებული ავტოსადგომის ტერიტორიაზე შენახვისას.

• ლ) საბაჟო დეკლარაციის დამუშავებისას მასში მითითებული მონაცემების იმპორტის გადასახდელზე საბაჟო ან/და საგადასახადო ვალდებულების შესრულების რისკის პროფილთან თანხვედრის შემთხვევაში საქონლის გაშვებისას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხორციელდება იმპორტის გადასახდელის გადახდა ან საბაჟო ორგანო ახორციელებს საქონლის გაშვებას გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახული ზედმეტად გადახდილი თანხის არსებობის გათვალისწინებით.

ინსტრუქციის „გარანტიის შესახებ 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გარანტიის წარდგენა ასევე სავალდებულოა:

• ა) ამ გრძანებით დამტკიცებული „საბაჟო საწყობის პროცედურის შესახებ" ინსტრუქციის (დანართი №9) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა", „ბ"

ან „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სხვა ადგილზე საქონლის შენახვის შემთხვევაში;

ინსტრუქციის მე-4 მუხლის - „გარანტიის შესრულებისა და გაუქმების“ „ა“, „ბ“ ან „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების შესახებ ამავე თავში მოგვიანებით ვისაუბრებთ.

• გ) საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონლის საბაჟო ორგანოს თანხმობით დროებით (ამავე ადგილზე დაბრუნების პირობით) სხვა საბაჟო საწყობში ან შენახვის სხვა ადგილზე გადატანისას.

საბაჟო ორგანომ შეიძლება საბაჟო კოდექსის 59-ე მუხლის („საერთო გარანტია“, რომლის შესახებაც ამავე თავში მოგვიანებით იქნება საუბარი) გათვალისწინებით, ერთ კონკრეტულ საბაჟო დეკლარაციასთან ან კონკრეტულ საქონელთან დაკავშირებით მოითხოვოს მხოლოდ ერთი გარანტიის წარდგენა. კონკრეტულ საბაჟო დეკლარაციასთან დაკავშირებით წარდგენილი გარანტიით უნდა დაიფაროს იმ იმპორტის გადასახდელის ოდენობა, რომლის გადახდის ვალდებულებაც წარმოიშობა ამ საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებულ ან გაშვებულ საქონელთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, სწორად არის თუ არა შედგენილი აღნიშნული საბაჟო დეკლარაცია.

იმ შემთხვევაში, თუ გარანტია გაუქმებული არ არის, ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის განხორციელების შედეგად წარმოშობილი საბაჟო ვალდებულების შესასრულებლად.

საქონლის გაშვების შემდეგი კონტროლის შესახებ საუბარი უკვე გვქონდა („საბაჟო კონტროლის შესახებ“ თავში“), *ამიტომ ამ შემთხვევაში მის განვრცობას არ მოვახდენთ. მოკლედ ავღნიშნავთ, რომ საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის განხორციელების საფუძვლებია: ლურჯი დერეფნით დასრულებული საბაჟო დეკლარაცია ან რეექსპორტის დეკლარაცია; დეკლარანტის წერილობითი განცხადება; საბაჟო ორგანოში არსებულ მონაცემთა ანალიზის შედეგები ან/და დადგენილი წესით მოთხოვნილი და მიღებული ინფორმაცია, მათ შორის, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ფარგლებში მიღებული ინფორმაცია; სამართალდამცავი ორგანოს სათანადო გადაწყვეტილება ან/და ინფორმაცია.*

საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლის მიზანია საქონლის საბაჟო ღირებულების ან/და იმპორტის გადასახდელის დარიცხვის ან/და

საქონლის რაოდენობის ან/და საბეღლათა რაოდენობის ან/და სეს ესნ-ის კოდის განსაზღვრის სისწორის ან/და საქონლის მიმართ დაწესებულ აკრძალვებთან ან/და შეზღუდვებთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის შემოწმება და ა.შ[453].

საბაჟო კოდექსის 55-ე მუხლი შეიცავს მითითებას 59-ე მუხლის გამოყენების თაობაზე, კერძოდ: საბაჟო ორგანომ შეიძლება 55-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ პირს მისი განცხადების საფუძველზე, ამავე კოდექსის 59-ე მუხლის[454] შესაბამისად მისცეს უფლება, წარადგინოს საერთო გარანტია ორ ან მეტ ისეთ ოპერაციაზე, საბაჟო დეკლარაციაზე ან საბაჟო პროცედურაზე, რომელთა მიმართაც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულება.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ან მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ იმ საქმიანობის ან ოპერაციის განხორციელებისთვის, რომელსაც ის საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს გარანტიის წარდგენა საჭირო არ არის.

გარანტიის წარდგენა არ ხდება, თუ საქონელი გადაადგილდება:

- ა) საჰაერო ან საზღვაო სატრანსპორტო საშუალებით;
- ბ) მილსადენით ან ელექტროგადამცემი ხაზით;
- გ) სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებით.

სხვა შემთხვევები, როდესაც გარანტიის წარდგენა არ მოითხოვება, განისაზღვრება *საქართველოს ფინანსთა მინისტრის #257 ბრძანებით (დანართი №4) ინსტრუქცია „გარანტიის შესახებ", კერძოდ, აღნიშნული ინსტრუქციის 1-ლი მუხლის (3.3.)* თანახმად, საქართველოს საბაჟო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ავტორიზაციის მფლობელი ეკონომიკური ოპერატორი თავისუფლდება ინსტრუქციის „გარანტიის

---

[453] იხ. ინსტრუქცია „საბაჟო კონტროლის შესახებ", თავი VI „საქონლის გაშვების შემდგომი კონტროლი".
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4884926?publication=0

[454] საერთო გარანტია, რომლის შესახებაც, როგორც ზემოთ ავღნიშნე, ამავე თავში მოგვიანებით იქნება კომენტარი.

შესახებ“ 1-ლი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ – „დ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარანტიის წარდგენის ვალდებულებისაგან.

ამ შემთხვევაში საუბარია იმის შესახებ, რომ: ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის ავტორიზაციის მიღებისას - ავტორიზაცია საბაჟო გამარტივებისთვის, რომელიც, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად, მის მფლობელს აძლევს გარკვეული გამარტივებული საბაჟო ფორმალობებით სარგებლობის საშუალებას, - აღნიშნული ავტორიზაციის მფლობელი ეკონომიკური ოპერატორი თავისუფლდება გარანტიის წარდგენისაგან: იმპორტის გადასახდელისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებით საქონლის დროებით შემოტანისას; როდესაც დეკლარანტი არ ეთანხმება კორექტირებული საბაჟო დეკლარაციის მონაცემებს, მაგრამ ითხოვს საქონლის დაუყოვნებლივ გაშვებას; საერთაშორისო საავიაციო ან საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებისათვის განკუთვნილი საწვავის ან/და საპობი საშუალებების ან ასეთი რეისების განხორციელებისას მგზავრებზე და ეკიპაჟის წევრებზე სარეალიზაციოდ განკუთვნილი სამომხმარებლო საქონლის, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფარგლებში სამოქალაქო საავიაციო რეისების ან საავიაციო სამუშაოების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებლად განკუთვნილი საწვავის, საპობი და სხვა დამხმარე საშუალებების მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში მოქცევისას.

ინსტრუციის „გარანტიის შესახებ“ 1-ლი ნაწილის მე-4 პუნქტის მიხედვით: საქართველოს საბაჟო კოდექსის 55-ე მუხლის მე-5[455] და მე-6 ნაწილებითა[456] და საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევების გარდა, გარანტია ასევე არ წარედგინება:

---

[455] გარანტიის წარდგენა საჭირო არ არის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ან მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ იმ საქმიანობის ან ოპერაციის განხორციელებისთვის, რომელსაც ის საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს.

[456] გარანტიის წარდგენა არ ხდება, თუ საქონელი გადაადგილდება: საჰაერო ან საზღვაო სატრანსპორტო საშუალებით; მილსადენით ან ელექტროგადამცემი ხაზით; სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებით.

• *ა) გემის მიმართ, ან ალკოჰოლიანი სასმელების საწარმოებლად განკუთვნილი საქონლის მიმართ, ან დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული იურიდიული პირის მიერ სამკერვალო წარმოებისათვის განკუთვნილი საქონლის მიმართ შიდა გადამუშავების პროცედურის გამოყენებისას;*

• *ბ) თუ საერთაშორისო საავიაციო ან საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებისათვის განკუთვნილი საწვავის ან/და საპობი საშუალებების, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფარგლებში სამოქალაქო საავიაციო რეისების ან საავიაციო სამუშაოების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებლად განკუთვნილი საწვავის, საპობი და სხვა დამხმარე საშუალებების თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას საქონლის მიმღებს წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ;*

• *გ) საბაჟო საწყობში გადამუშავებისთვის განკუთვნილი უცხოური საქონლის – სეს ესხ-ის 2603 00 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში შემავალი სპილენძის კონცენტრატების, სეს ესხ-ის 2616 სასაქონლო პოზიციაში შემავალი ძვირფასი ლითონების კონცენტრატებისა და 2617 90 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციებში შემავალი კონცენტრატების შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცევისას[457];*

• *დ) დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული იურიდიული პირის მიერ სეს ესხ-ის 8704 21 310 00 და 8704 22 910 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციებში შემავალი სატრანსპორტო საშუალებების მიმართ შიდა გადამუშავების პროცედურის გამოყენებისას[458];*

• *ე) თუ საბაჟო დეკლარაციის დამუშავებისას მასში მითითებული მონაცემების იმპორტის გადასახდელზე საბაჟო ან/და საგადასახადო ვალდებულების შესრულების რისკის პროფილთან თანხვედრის შემთხვევაში, საქონლის გაშვებამდე სრულად გადახდილია იმპორტის გადასახდელი ან შემოსავლების სამსახურის უფროსის/უფროსის მოადგილის მიერ მიღებულია გადაწყვეტილება გარანტიის წარდგენისა და იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლად საქონლის გაშვებაზე;*

---

[457] იხ. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა.

[458] იხ. სქ. 618.

• *ზ)[459] ნამუშევარი ნავთობპროდუქტების (ლიალური წყალი (ნავთობით დაბინძურებული წყალი) ან/და ნავთობპროდუქტების ბაკ-საცავების ნარეცხი) მიმართ შიდა გადამუშავების პროცედურის გამოყენებისას;*

• *თ) „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სისტემაში შემავალი სუბიექტების მიერ განსახორციელებელი განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 15 აპრილის №655 განკარგულებით გათვალისწინებული განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტების ფარგლებში სამუშაოების განხორციელებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის დროებით შემოტანისას.*

გარანტია შეიძლება იყოს:

• *ა) ინდივიდუალური, რომლითაც უზრუნველყოფილია ერთი საბაჟო პროცედურის ან საბაჟო ფორმალობის მიმართ ვალდებული პირის ან საბაჟო საწყობის ან თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის მფლობელის პასუხისმგებლობა წარმოშობილ ან წარმოსაშობ ვალდებულებებზე;*

• *ბ) საერთო, ამავე ინსტრუქციის მე-3 მუხლის შესაბამისად, სადაც საერთო გარანტიის წარდგენა, მისი ოდენობის განსაზღვრასა და შემცირებაზეა საუბარი და რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.*

საგარანტიო თანხის ოდენობის განსაზღვრა. თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად გარანტიის წარდგენა სავალდებულოა, საბაჟო ორგანო განსაზღვრავს საგარანტიო თანხის ოდენობას, რომელიც ეკვივალენტურია:

• ა) იმ იმპორტის გადასახდელის ზუსტი თანხისა, რომლის გადახდის ვალდებულებაც წარმოშობილია ან შეიძლება წარმოიშვას, თუ გარანტიის წარდგენის მოთხოვნის მომენტში ამ თანხის განსაზღვრა შესაძლებელია

• ბ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანებით (ინსტრუქცია „გარანტიის შესახებ“) დადგენილი წესით განსაზღვრული საგარანტიო თანხისა, თუ იმპორტის გადასახდელის ზუსტი თანხის განსაზღვრა შეუძლებელია. ასეთ შემთხვევებს კი

[459] „ვ“ ქვეპუნქტი ამოღებულია - 01.06.2020, №122.

ითვალისწინებს ინსტრუქციის - გარანტიის შესახებ" მე-2 მუხლი („საგარანტიო თანხის ოდენობა და გარანტიის მოქმედების ვადა"), კერძოდ:

საგარანტიო თანხის ოდენობა შეადგენს:

• *ა) იმპორტის გადასახდელისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებით საქონლის დროებით შემოტანისას – იმპორტის გადასახდელის შესაბამის თანხას, რომელიც გადაიხდევინებოდა დროებით შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მოქცევისას;*

• *ბ) შიდა გადამუშავებისას – იმპორტის გადასახდელის შესაბამის თანხას, რომელიც განისაზღვრება გადაუმუშავებელი საქონლის სახეობისა და საბაჟო ღირებულების საფუძველზე[460], შიდა გადამუშავების საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს გადაუმუშავებელი საქონლისათვის მოქმედი იმპორტის გადასახდელის განაკვეთებით;*

შიდა გადამუშავების პროცედურის გამოყენებით უცხოური საქონლის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს გადამუშავების ერთი ან რამდენიმე ოპერაცია, რაც არ იწვევს: იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულების წარმოშობას; საქონლის მიმართ ვაჭრობაში დამცავი ღონისძიების გამოყენებას, თუ ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალული არ არის[461].

• *გ) დეკლარანტსა და საბაჟო ორგანოს შორის საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრაზე უთანხმოების დროს საქონლის გაშვებისას – კორექტირების აქტით განსაზღვრული საბაჟო ღირებულების საფუძველზე გაანგარიშებულ გადასახდელსა და დეკლარანტის მიერ დეკლარირებული საბაჟო ღირებულების საფუძველზე გაანგარიშებულ (გადახდილ) გადასახდელს შორის სხვაობას;*

• *დ) როცა დეკლარანტი არ ეთანხმება კორექტირებული საბაჟო დეკლარაციის მონაცემებს, მაგრამ ითხოვს საქონლის დაუყოვნებლივ გაშვებას – კორექტირებული საბაჟო დეკლარაციით[462] განსაზღვრულ*

---

[460] საქონლის საბაჟო ღირებულების გამოანგარიშების შესახებ იხ. საბაჟო სამართლის პირველი ნაწილის (ავტ. ხარაზი ი;) შესაბამის თავი.

[461] შიდა გადამუშავების შესახებ ქვემოთ იქნება ვრცელი კომენტარი შემოთავაზებული.

[462] კორექტირებული საბაჟო დეკლარაციის შესახებ იხ. მოგვიანებით.

გადასახდელსა და თავდაპირველი საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებულ (გადახდილ) გადასახდელს შორის სხვაობას;

• ე) ერთი პირის საბაჟო საწყობის (საბაჟო საწყობების) საქმიანობის ნებართვის (ნებართვების) მისაღებად – 200 000 ლარს;

• ვ) თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის[463] საქმიანობის ნებართვით განსაზღვრული საქმიანობის დასაწყებად – 50 000 ევროს ეკვივალენტი ლარში;

• ზ) საერთაშორისო საავიაციო ან საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებელი საწვავის ან/და საპობი საშუალებების, ან ასეთი რეისების განხორციელებისას მგზავრებზე და ეკიპაჟის წევრებზე სარეალიზაციოდ განკუთვნილი სამომხმარებლო საქონლის, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფარგლებში სამოქალაქო საავიაციო რეისების ან საავიაციო სამუშაოების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებელი საწვავის, საპობი და სხვა დამხმარე საშუალებების თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას – იმპორტის გადასახდელის შესაბამის თანხას;

• თ) საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემომსვლელი პირის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქონელზე თავდებობის ხელშეკრულების წარდგენისას – დეკლარირებულ საქონელზე იმპორტის გადასახდელის შესაბამის თანხას;

საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.ე" ქვეპუნქტის თანახმად, იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებულია: საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლისას (რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით გაცემული შესაბამისი დოკუმენტით) საქონლის (მათ შორის, ავეჯის, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის, ოჯახზე ერთი სატრანსპორტო საშუალების) იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის.

• ი) იმპორტის გადასახდელისაგან სრულად გათავისუფლებით სეს ესნის 8703 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მსუბუქი ავტომობილის ან/და 8711 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მოტოციკლის (მოპედის ჩათვლით) საქართველოს მოქალაქის მიერ დროებით შემოტანისას –

---

[463] თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის შესახებ საბაჟო სამართლი პირველ ნაწილში (ავტ. ხარაზი ი;), შესაბამის პარაგრაფში იყო საუბარი, ამ თემას ისევ შევეხებით სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში, 109-ე მუხლის კომენტირებისას. დამატ. იხ. ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, 2021.

იმპორტის გადასახდელის შესაბამის თანხას, რომელიც გადაიხდევინებოდა დრიოებით შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას[464];

სეს ესნ-ის კოდების შესახებ იხ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის #275 ბრძანება „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე"[465].

• *კ) საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული სეს ესნ-ის 8702 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი ავტომობილის (რომლის დასასხდომი ადგილების რაოდენობა, გარდა მძღოლის ადგილისა, აღემატება 8-ს, მაგრამ არ აღემატება 16-ს და რომლის სიგრძე არ აღემატება 8 მეტრს, ავრეთვე გადაბმულისა მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 750 კგ-ს), 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ³-ზე მეტია, ხოლო ელექტრო-ძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია), 8704 21 და 8704 31 სასაქონლო სუბპოზიციებით გათვალისწინებული ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების იდენტიფიცირებული ავტოსადგომის ტერიტორიაზე შენახვისას – იმპორტის გადასახდელის შესაბამის თანხას, რომელიც გადაიხდევინებოდა ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას;*

სეს ესნ-ის კოდების შესახებ იხ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის #275 ბრძანება „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე).[466]

• *ლ) საბაჟო დეკლარაციის დამუშავებისას მასში მითითებული მონაცემების იმპორტის გადასახდელზე საბაჟო ან/და საგადასახადო ვალდებულების შესრულების რისკის პროფილთან თანხვედრის შემთხვევაში საქონლის გაშვებისას – საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებული იმპორტის გადასახდელის შესაბამის თანხას. იმ შემთხვევაში, თუ იმპორტის გადასახდელის ნაწილი გადახდილია საქონლის გაშ-*

---

[464] იხ. სეს ესნ.

[465] https://matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=0

[466] *https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=0*

ვებამდე – საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებულ იმპორტის გადასახდელსა და საქონლის გაშვებამდე გადახდილ გადასახდელს შორის სხვაობას[467].

მაგალითი:

საქონლის გაშვებამდე – საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებულ იმპორტის გადასახდელი თანხის ნაწილი ვთქვათ, 10 000 ლარი პროცედურის მიერ გამომყენებელი პირის მიერ გადახდილია, ხოლო მთლიანად პირს უნდა გადაეხადა 15 000 ლარი.

შედეგი:

იმპორტიორმა ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა გადაიხადოს დარჩენილი თანხა - 5 000 ლარი.

რაც შეეხება საერთო გარანტიის თანხის განსაზღვრას, „გარანტიის შესახებ“ ინსტრუქციის მე-3 მუხლით („საერთო გარანტიის წარდგენა, მისი ოდენობის განსაზღვრა და შემცირება“) რეგულირდება და შემდეგ პარაგრაფში ვისაუბრებთ.

საბაჟო კოდექსის 56-ე მუხლი მიუთითებს ამავე კოდექსის 59-ე მუხლის გამოყენებაზე, კერძოდ: თუ საერთო გარანტიის წარდგენა ხდება იმ იმპორტის გადასახდელის გადახდის უზრუნველსაყოფად, რომლის გადახდის ვალდებულება წარმოშობილია ან შეიძლება წარმოიშვას და რომლის ოდენობა დროთა განმავლობაში იცვლება, ამ კოდექსის 59-ე მუხლის გათვალისწინებით, საერთო გარანტიის თანხა განისაზღვრება იმ ოდენობით, რომელიც ნებისმიერ მომენტში უზრუნველყოფს იმპორტის გადასახდელის დაფარვას.

იხ. საბაჟო კოდექსის 59-ე მუხლის კომენტარი.

გარანტიის მოქმედების ვადა[468]. გარანტიის მოქმედების ვადა:

- *ა) არ უნდა იყოს გარანტიის წარდგენიდან 30 კალენდარულ დღეზე ნაკლები, გარდა განსახილველი ინსტრუქციის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;*
- *ბ) დეკლარანტსა და საბაჟო ორგანოს შორის საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრაზე უთანხმოების დროს საქონლის გაშვებისას, ან იმ შემთხვევაში, როდესაც დეკლარანტი არ ეთანხმება კორექტირებული საბაჟო დეკლარაციის მონაცემებს, მაგრამ ითხოვს*

---

[467] საბაჟო დეკლარაციის შესახებ ქვემოთ იქნება ვრცელი კომენტარი შემოთავაზებული.

[468] ინსტრუქცია „გარანტიის შესახებ“, პ.3.

საქონლის დაუყოვნებლივ გაშვებას, ან საერთაშორისო საავიაციო ან საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებელი საწვავის ან/და საპოხი საშუალებების ან ასეთი რეისების განხორციელებისას მგზავრებზე და ეკიპაჟის წევრებზე სარეალიზაციოდ განკუთვნილი სამომხმარებლო საქონლის, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფარგლებში სამოქალაქო საავიაციო რეისების ან საავიაციო სამუშაოების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებელი საწვავის, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებების იმპორტისას – არ უნდა იყოს გარანტიის წარდგენიდან 60 კალენდარულ დღეზე ნაკლები;

• *გ) თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის[469] საქმიანობის ნებართვით განსაზღვრული საქმიანობის დასაწყებად – არ უნდა იყოს შესაბამისი განცხადების რეგისტრაციიდან **ერთ კალენდარულ წელზე ნაკლები.** ამასთან, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის მფლობელის პასუხისმგებლობა გარანტიით უნდა იყოს უზრუნველყოფილი საქმიანობის მთელი ვადის განმავლობაში და ამ მიზნით წარდგენილი ყოველი მომდევნო გარანტიის მოქმედების ვადაც არ უნდა იყოს ერთ კალენდარულ წელზე ნაკლები;*

• *დ) საბაჟო საწყობის[470] საქმიანობის ნებართვის მისაღებად – არ უნდა იყოს შესაბამისი განცხადების რეგისტრაციიდან ერთ კალენდარულ წელზე ნაკლები. ამასთან, საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მფლობელის პასუხისმგებლობა გარანტიით უნდა იყოს უზრუნველყოფილი საქმიანობის მთელი ვადის განმავლობაში, ამ მიზნით წარდგენილი ყოველი მომდევნო გარანტიის მოქმედების ვადაც არ უნდა იყოს ერთ კალენდარულ წელზე ნაკლები;*

• *ე) საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემომსვლელი პირის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქონელზე თავდებობის ხელშეკრულების წარდგენისას – **არ უნდა იყოს მისი წარდგენიდან 6 თვეზე ნაკლები;***

---

[469] თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის შესახებ საუბარი იყო საბაჟო სამართლის პირველ ნაწილში (ავტ. ხარაზი ი; 2021), თუმცა ამ თემას კვლავ დავუბრუნდებით მოგვიანებით.

[470] საბაჟო საწყობის შესახებ ვრცელი კომენტარი წარმოდგენილი იქნება საბაჟო საწყობის სპეციალური ოპერაციის დახასიათებისას.

საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.ე“ ქვეპუნქტის თანახმად, იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებულია: საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლისას (რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით გაცემული შესაბამისი დოკუმენტით) საქონლის (მათ შორის, ავეჯის, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის, ოჯახზე ერთი სატრანსპორტო საშუალების) იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის.

• ვ) საბაჟო დეკლარაციის დამუშავებისას მასში მითითებული მონაცემების იმპორტის გადასახდელზე საბაჟო ან/და საგადასახადო ვალდებულების შესრულების რისკის პროფილთან თანხვედრის შემთხვევაში საქონლის გაშვებისას – უნდა იყოს იმპორტის გადასახდელის გადახდის ვადაზე არანაკლებ 10 კალენდარული დღით მეტი.

იმპორტის გადასახდელისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებით საქონლის დროებით შემოტანისას, ან იმპორტის გადასახდელისაგან სრულად გათავისუფლებით სეს ესნ-ის 8703 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მსუბუქი ავტომობილის ან/და 8711 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მოტოციკლის (მოპედის ჩათვლით) საქართველოს მოქალაქის მიერ დროებით შემოტანისას, ან შიდა გადამუშავებისას იმპორტის ან ექსპორტის გადასახდელის გადახდა უზრუნველყოფილი უნდა იყოს გარანტიით საბაჟო პროცედურაში საქონლის მოქცევის მთელი ვადის განმავლობაში, ხოლო, იმ შემთხვევაში, როცა ხორციელდება საბაჟო საწყობის ან თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის მფლობელის საფირმო სახელწოდების შეცვლა, ნებართვის მფლობელი ვალდებულია, საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების განხორციელებიდან 7 დღის ვადაში წარუდგინოს შემოსავლების სამსახურს გარანტია, სადაც აისახება ნებართვის მფლობელის საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემებში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად სრული საფირმო სახელწოდება.

არასავალდებულო გარანტია. საბაჟო კოდექსის 57-ე მუხლში მოცემულია ის რისკები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუკი გარანტიის წარდგენა სავალდებულო არ არის, მაგრამ საბაჟო ორგანო მიიჩნევს, რომ პირი კუთვნილ იმპორტის გადასახდელს დადგენილ ვადაში არ გადაიხდის დაამ შემთხვევაში საბაჟო ორგანომ უნდა მოითხოვოს გრანტორისაგან გარანტიის წარდგენა.

ასეთ შემთხვევაში გარანტიის ოდენობა საბაჟო კოდექსის 56-ე მუხლით გათვალისწინებულ საგარანტიო თანხის ოდენობას არ უნდა აღემატებოდეს.

იხ. საბაჟო სამართლის პირველი ნაწილი, საბაჟო კოდექსის 56-ე მუხლის კომენტარი მე-2 პარაგრაფში.

გარანტიის სახეები. საბაჟო ორგანოს წარედგინება შემდეგი გარანტიები:

• *ა) საბანკო გარანტია;*

გარანტია წარედგინება ინტრუქციის „გარანტიის შესახებ" დადგენილი წესით და საბაჟო ორგანოსათვის მისაღები საგარანტიო ვალდებულებით, რომლითაც ბანკი (გარანტორი) საბაჟო გადასახდელების გადახდის ვალდებული პირის თბოვნით კისრულობს ვალდებულებას, გარანტიით უზრუნველყოფილი საბაჟო გადასახდელების გადაუხდელობის შემთბვევაში, საბაჟო ორგანოს წერილობითი მოთბოვისთანავე, შესაბამისი თანხა ჩაურიცხოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში. გარანტია ძალაში შედის მისი გაცემის დღიდან, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საბანკო გარანტიის გამოთბოვა უკან დაუშვებელია გარანტორის მიერ, თუ შესრულებული არ არის საბაჟო ვალდებულება, ან არ არსებობს სხვა გარანტია. საბანკო (როგორც სხვა გარანტიებით) გარანტიით გათვალისწინებული გარანტორის ვალდებულება საბაჟო ორგანოს მიმართ იმ თანხით შემოიფარგლება, რომელზეც გარანტია გაიცა, ბოლო საბაჟო ვალდებულების შესრულების შემდეგ საბანკო გარანტია (ასევე სხვა, კანონით დადგენილი გარანტიები) უქმდება საბაჟო ორგანოს მიმართ გარანტორის ვალდებულება [471].

• *ბ) დაზღვევის პოლისი;*

საბაჟო ორგანოსათვის წარსადგენი დაზღვევის პოლისის (ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისის) გამცემი სადაზღვევო ორგანიზაციების ნუსხას, ერთი ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისისა და ერთი სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ გასაცემი პოლისის მაქსიმალურ ოდენობას

---

[471] დაწვრ. იხ. ხარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2010; ხარაზი ია, საბაჟო სამართალი, ლექციების კურსი, თბილისი, 2019, https://www.sou.edu.ge; ხარაზი ია, საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბილისი, 2014; ხარაზი ია, საერთაშორისო საბაჟო სამართალი, თბილისი, 2013; ჯგერენაია ემზარ, საბაჟო ტექნოლოგიის საფუძვლები, გამომცემლობა „ინტელექტი", თბილისი, 2002.

დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური განსაზღვრავს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით და ფინანსური რისკის დაზღვევის პილისით უზრუნველყოფილი გადასახდელების გადაუხდელობის შემთხვევაში საბაჟო ორგანოს მოთხოვნისთანავე შესაბამისი თანხას დამზღვევი ჩარიცხავს ბიუჯეტში.

პოლისი წარედგინება ინსტრუქციის „გარანტიის შესახებ" დადგენილი წესის მიხედვით და საბაჟო ორგანოსათვის მისაღები საგარანტიო ვალდებულებებით, რომლითაც სადაზღვევო ორგანიზაცია (გარანტორი) საბაჟო გადასახდელების გადახდის ვალდებული პირის თხოვნით კისრულობს ვალდებულებას, პოლისით უზრუნველყოფილი საბაჟო გადასახდელების გადაუხდელობის შემთხვევაში, საბაჟო ორგანოს წერილობითი მოთხოვნის თანახმად თანხა ჩარიცხოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში. პოლისი მისი გაცემის დღიდან ძალაშია. იგი არ შეიძლება გამოთხოვილ იქნეს უკან გარანტორის მიერ, თუ შესრულებული არ არის საბაჟო ვალდებულება ან არ არსებობს სხვა პოლისი. პოლისით გათვალისწინებული გარანტორის ვალდებულება საბაჟო ორგანოს მიმართ შემოიფარგლება იმ თანხის გადახდით, რომელზეც პოლისი გაიცა, ხოლო თანხის გადახდის შემდეგ წყდება საბაჟო ორგანოს მიმართ გარანტორის ვალდებულება [472].

• *გ) დეპოზიტი;*

სახელმწიფო ხაზინაში სათანადო თანხა შეიტანება ბიუჯეტის შემოსულობების ერთიან ანგარიშზე - დეპოზიტების სახაზინო საბიუჯეტო შემოსულობის სახაზინო კოდზე, რის შესახებაც სახელმწიფო ხაზინა გასცემს შესაბამის ცნობას, საბაჟო ორგანოსათვის წარსადგენად. შესაბამისი საბაჟო ორგანოს მიერ სახელმწიფო ხაზინისათვის წერილობითი ნებართვის გაცემის გარეშე აკრძალულია დეპოზიტზე თანხის შემტანის მიერ მისი განკარგვა. სახელმწიფო ხაზინაში დეპოზიტით უზრუნველყოფილი საბაჟო გადასახდელების გადაუხდელობის შემთხვევაში საბაჟო ორგანოს მოთხოვნისთანავე დეპოზიტის თანხა ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

გარანტიის წარმდგენი ვალდებულიპირი უფლებამოსილია, გარანტიის სახეებიდან ამოიჩიოს წარსადგენი გარანტია, ხოლო საბაჟო ორგანო უფლებამოსილია ვალდებული პირისაგან მოითხოვოს გარანტიის განსაზღვრულ ვადებში შესრულება.

---

[472] იხ. სქოლიო 633.

• *დ) თავდებობა, გარდა საბანკო გარანტიისა (58-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, ნაწილის „და დაზღვევის პოლისისა („ბ“ ქვეპუნქტი). გათვალისწინებული გარანტიებისა;*

თავდებობა ეს არის ვალდებულება, რომელსაც კისრულობს თავდები. თავდები პირი გულისხმობს მესამე პირს და თუ ძირითადი მოვალე - საბაჟო ვალდებული პირი არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, გადააცილებს გადახდის თარიღს ან მისი გადახდისუუნარობა აშკარაა, მაშინ თავდებს (ვთქვათ ბანკს) მთლიანად უნდა დააკისროს საბაჟო ორგანომ ვალდებული პირის ვალის გადახდა.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

იმპორტიორს თავდებად სახელმწიფოს წინაშე საბაჟო ვალდებულებების შესრულებისათვის თავდებად დაუდგა ბანკი. იმპორტიორსა და თავდებ ბანკს შორის დაიდო თავდებობის ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრა თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები სახელმწიფოს წინაშე, იმ შემთხვევისათვის, თუკუი იმპორტიორი ვერ (არ) შეასრულებდა საბაჟო ვალდებულებას.

თუ ზემოთ მოყვანილ მაგალითში იმპორტიორის თავდებმა ბანკმა პირობითად იკისრა ვალდებული პირის სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი ვთქვათ, 5 000 ლარის გადახდა, იმ შემთხვევისათვის, თუკი იმპორტიორი საბაჟო ვალდებულებას ვერ (არ) შეასრულებდა, - ამ ვალდებულების შესრულებაზე უპირობოდ პასუხისმგებელი თავდები ბანკი იქნება.

თავდების პასუხისმგებლობა გავრცელდება მხოლოდ იმ კონკრეტულ საბაჟო ვალდებულებაზე, რაზედაც ვალდებული პირი და თავდები შეთანხმდნენ, ხოლო თუ იმპორტიორს სახელმწიფოს წინაშე სხვა ვალდებულებებიც აკისრია, რომელზედაც თავდები და ვალდებული პირი არ შეთანხმებულან, მასზე თავდების სოლიდარული პასუხისმგებლობა არ გავრცელდება.

• *ე) საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სხვა გარანტია*[473].

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სხვა გარანტიაზე ამავე პარაგრაფში ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

პირს უფლება აქვს, წარადგინოს საკომენტარო 58-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ნებისმიერი გარანტია.

როგორც ნორმიდან იკვეთება, საბაჟო ორგანოსათვის პრიორიტეტული არ არის დაავალდებულოს პირი კონკრეტული გარანტიის

[473] საბაჟო კოდექსი, მ. 58.ნ.1.

წარგენაზე, ვთქვათ მხოლოდ საბანკო გარანტიის წარდგენაზე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში პირი სრულიად თავისუფალია საბაჟო ორგანოსადმი წარსადგენი გარანტიის არჩევაში, აქ იკვეთება მთავარი - პირმა საბაჟო ვალდებულება შეასრულოს (მ.58.ნ.2.).

კანონმდებლის მოთხოვნა იმპერატიულ ხასიათს იძენს მე-3 პუნქტის შემთხვევაში, როცა არსებობს საბაჟო რისკები, პირის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობისა, კერძოდ: საბაჟო ორგანოს შეუძლია მოითხოვოს წარდგენილი გარანტიის შეცვლა, თუ წარდგენილი გარანტია საბაჟო პროცედურის სათანადოდ განხორციელებისთვის შესაბამისი არ არის. საბაჟო ორგანოს შეუძლია გარანტიის წარმდგენს მოსთხოვოს, არ შეცვალოს წარდგენილი გარანტია განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში.

გარანტიის დეპოზიტის სახით წარდგენის შემთხვევაში ამ დეპოზიტთან დაკავშირებით საბაჟო ორგანო სარგებელს არ იხდის.

გარანტიის წარდგენისა და მისი მონიტორინგის წესები, აგრეთვე გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება **საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით „გარანტიის შესახებ" (დანართი №4)**, რომლის შესახებაც აღნიშნულ თავში, ზემოთ იყო საუბარი და მას ისევ დავუბრუნდებით შემდგომი პარაგრაფებში.

საერთო გარანტია[474]. საერთო გარანტიის წარდგენის უფლება უნდა მიეცეს იმ პირს, რომელიც აკმაყოფილებს ყველა შემდეგ პირობას:

- *ა) იგი არის საქართველოში დაფუძნებული პირი;*
  ამ შემთხვევაში საუბარია რეზიდენტ კომპანიებზე[475].
- *ბ) საბაჟო კოდექსის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტი მიუთითებს საბაჟო კოდექსის 26-ე მუხლის გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებზე, რომ პირს მიეცეს საერთო გარანტიის წარდგენის უფლება, კერძოდ: იგი აკმაყოფილებს ამავე კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს;*

გამოდის, რომ პირი, რომელსაც საბაჟო კანონმდებლობა აღჭურავს უფლებამოსილებით საერთო გარანტიის წარდგენაზე, ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მინიჭების 5 კრიტერიუმიდან ერთ-

---

[474] საბაჟო კოდექსი, მ. 59

[475] საქართველოს პირების მიერ დაარსებული კომპანიები.

ერთ სტანდარტს - უნდა აკმაყოფილებდეს, კერძოდ: მის საქმიანობაში საქართველოს საბაჟო, საგადასახადო და ადმინისტრაციული კანონმდებლობების მნიშვნელოვანი დარღვევის არარსებობა, აგრეთვე განმცხადებლის ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის დანაშაულის არარსებობა.

- *გ) იგი მუდმივად სარგებლობს საბაჟო პროცედურით, ან აქვს საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვა, ან აკმაყოფილებს საბაჟო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს.*

ამ შემთხვევაში საუბარია იმის შესახებ, რომ: საერთო გარანტიის წარდგენაზე უფლებამოსილი პირი მუდმივად, ანუ ხანგრძლივი დროის განავლობაში უნდა სარგებლობდეს გარკვეული საბაჟო პროცედურით, ასე მაგალითად, საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებითი შემოტანის, საბაჟო საწყობის, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის, იმპორტის პროცედურებით და, ცხადია სარგებლობდეს საბაჟო ორგანოების მიმართ მაღალი ნდობის ხარისხით და თუ რას ნიშნავს „მაღალი ნდობის ხარისხი", ამაზე მიგვითითებს ზუსტად, საბაჟო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტი: მის საქმიანობაში არ უნდა შეინიშნებოდეს საბაჟო სამართალდარღვევის არც ერთი ფაქტი.

იმ შემთხვევაში, თუ საერთო გარანტიის წარდგენა ხდება იმ იმპორტის გადასახდელის გადახდის უზრუნველსაყოფად, რომლის გადახდის ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას,პირს უფლება აქვს, საერთო გარანტია შემცირებული ოდენობით წარადგინოს ან გათავისუფლდეს საერთო გარანტიის წარდგენის ვალდებულებისგან, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ სტანდარტებს: ავტორიზებული ოპერატორის სტატუსის მინიჭებისათვის დააკმაყოფილა შემდეგი კრიტერიუმები: განმცხადებლის მიერ განხორციელებული ოპერაციებისა და საქონლის ნაკადების კონტროლის მაღალი დონის არსებობა, რომელიც მიიღება კომერციული მართვის სისტემისა და შესაბამის შემთხვევაში ტრანსპორტირების აღრიცხვის მეშვეობით და რომელიც უზრუნველყოფს სათანადო საბაჟო კონტროლს; გადახდისუნარიანობა და ფინანსური მდგრადობა. ეს კრიტერიუმი შეიძლება დადასტურებულად იქნეს მიჩნეული, თუ განმცხადებელს აქვს კარგი ფინანსური მდგომარეობა, რომელიც საშუალებას აძლევს,

შეასრულოს მის ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

საბაჟო 59-ე მუხლის მე-2 ნაწილი ამ შემთხვევაში მიგვითითებს ცალსახად ამავე კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული კრიტერიუმებზე.

თუ საერთო გარანტიის წარდგენა ხდება იმ იმპორტის გადასახდელის გადახდის უზრუნველსაყოფად, რომლის გადახდის ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას, საბაჟო გამარტივებასთან დაკავშირებულ ავტორიზებულ ეკონომიკურ ოპერატორს მისი განცხადების საფუძველზე უნდა მიეცეს საერთო გარანტიის შემცირებული ოდენობით წარდგენის უფლება. ამ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ საერთო გარანტია სრული ოდენობითაა წარდგენილი.

კანონმდებლის მინიშნება სიტყვებზე, რომ: „ამ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ საერთო გარანტია სრული ოდენობითაა წარდგენილი“, საბაჟო პრეზუმფციის მაგალითია. პრეზუმფციები – სავარაუდო დასკვნებია, რომლებიც „ფაქტების ან მოვლენების ნამდვილობას ადგენენ მათი არსებობის სრულყოფილი დასაბუთების გარეშე. აქ მტკიცება ვარაუდის სახითაა წამოდგენილი. დოქტრინაში გამოყოფენ ე.წ. ჩვეულებრივ პრეზუმფციებს, რომელთა უარყოფას დასაშვებად მიიჩნევენ (paesumptionez iuris tantum) და სამართლებრივ პრეზუმფციებს, რომლებიც გამორიცხავენ საწინააღმდეგოს დამტკიცების (პრეზუმფციების უარყოფის) შესაძლებლობას (paesumptionez iuris de iure). ამ უკანასკნელთ, ფაქტობრივად, სამართლის ნორმებთან – კანონებთან აიგივებდნენ. პრეზუმფციები, ძირითად შემთხვევაში, სამართლის ნორმების მსგავსად საკანონმდებლო პოლიტიკის სპეციალურ წესებს წარმოადგენენ და არა ვარაუდს, როგორადაც მას მიიჩნევენ. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ, პირმა საერთო გარანტია რომ წარმოადგინოს, გარკვეულ საკანონმდებლო მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს (მაგალი ნდობის ფაქტორი უნდა გააჩნდეს საბაჟო ორგანოსთან ურთიერთობაში და ამ ნდობის პრინციპებს საბაჟო კანონმდებლობა განსაზღვრას.

საქართველოს სასამართლოები საგადასახადო-საბაჟო პრეზუმფციებზე მიღებული გადაწყვეტილებით, შეუერთდა იმ ქვეყნების რიცხვს, რომლებშიც საგადასახადო-საბაჟო ვალდებულების განზრახ თავის არიდებისათვის (და შესაბამისი წინაპირობების არსებობისას) საწარმოს პარტნიორისა და საწარმოს დირექტორის სოლიდარულ პასუხისმგებლობას

ითვალისწინებენ, როგორც საბაჟო სამართალში გარანტორის პასუხისმგებლობა, თუ საბაჟო პროცედურის გამომყენებელმა პირმა ვერ (არ) შეასრულა საბაჟო ვალდებულება.

პრეზუმფცია საგადასახადო-საბაჟო სამართალში წარმოადგენს თვისობრივად პირდაპირ ან ირიბად, საგადასახადო სამართლის ნორმებში დამაგრებულ ალბათობით ცოდნას არსებობაზე ან პრეზუმირებული ობიექტის არყოფნას (ფაქტის, მოვლენის, სამართალურთიერთობის) დადგენილი არსებობის დროს, მასთან დაკავშირებული ფაქტობრივი საფუძვლით.

მაშასადამე, პრეზუმფციური მეთოდები სიტყვის ფართო გაგებით, აქტიურად გამოიყენება საგადასახადო - საბაჟო სამართალში. მათი შემჩნევა შეიძლება არა მარტო ცალკეულ საგადასახადო ნორმების საფუძველში, არამედ მსხვილ იურიდიულ კონსტრუქციებშიც, თუგინდ საგადასახადო საბაჟო სამართლის მთლიან ინსტიტუტებშიც კი.[476]

საერთო გარანტიის ოდენობა, მისი შემცირების ან მისი წარდგენის ვალდებულებისგან გათავისუფლების წესი და პირობები, აგრეთვე საერთო გარანტიის გამოყენებასთან დაკავშირებული დროებითი აკრძალვის შემოღებისა და გაუქმების წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით, ინსტრუქცია „გარანტიის შესახებ“ (დანართი №4).

ინსტრუქციის მე-3-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საქართველოს საბაჟო კოდექსის 59-ე მუხლის გათვალისწინებით, საერთო გარანტიის წარდგენის უფლება უნდა მიეცეს იმ პირს, რომელიც აკმაყოფილებს ყველა შემდეგ პირობას:

- *ა) იგი არის საქართველოში დაფუძნებული პირი;*
- *ბ) იგი აკმაყოფილებს საქართველოს საბაჟო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს და ამ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №1)*[477] *მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ – „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ პირობებს, ამავე მუხლის მე-3–მე-6 პუნქტებით წარმოდგენილი დათქმების გათვალისწინებით;*

---

[476] ხარაზი ია, „საგადასახადო სამართლებრივ რეგულირებაში პრეზუმპტიული მეთოდების გამოყენების შესახებ“, „დიპლომატია და სამართალი“, #1(4), 2018, გვ. 46-68.

[477] დანართის ფორმულარები იხ. ინსტრუქციაში „გარანტიის შესახებ“.

ინსტრუქციის „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“ მე-20 მუხლის „ა“ პუნქტის შემთხვევაში: ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მისაღებად აუცილებელი პირობებია: ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მაძიებლის (შემდგომში – სტატუსის მაძიებელი) „განაცხადის“ შემოსავლების სამსახურში რეგისტრაციის თარიღიდან წინა უწყვეტი 3 წლის განმავლობაში; „ბ“ პუნქტის შემთხვევაში - სტატუსის მაძიებლის „განაცხადის“ შემოსავლების სამსახურში რეგისტრაციის თარიღიდან წინა უწყვეტი 3 წლის განმავლობაში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 155[2] მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ძალაში შესული გადაწყვეტილების (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა; „გ“ პუნქტის შემთხვევაში კი: სტატუსის მაძიებლის „განაცხადის“ შემოსავლების სამსახურში რეგისტრაციის მომენტისას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე, 193-ე, 194-ე, 194[1], 195[1] – 198-ე, მე-200 – 200[2], 200[5] – 200[8], 204[1], 205-ე, 205[1], 206-ე, 207[2]; 210-ე – 212-ე, 214-ე, 215-ე, 218-ე – 221-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის (რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა ან გასაჩივრდა, მაგრამ არ დაკმაყოფილდა) არარსებობა.

რაც შეეხება სისხლისსამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებზე მითითებას, ამის შესახებ ზემოთ უკვე იყო საუბარი, მაგრამ საბაჟო წესების დარღვევებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობის დაკისრების შემთხვევებზე ვრცელი საუბარი საბაჟო სამართლის დამხმარე სახელმძღვანელოს მესამე ნაწილში იქნება.

- *გ) იგი მუდმივად სარგებლობს საბაჟო პროცედურით, ან აქვს საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვა, ან აკმაყოფილებს საქართველოს საბაჟო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს და ამ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №1) მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირობებს.*

ინსტრუქციის „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“ მე-20 მუხლის „ვ“ პუნქტის

თანაბმად, „მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ავტორიზაციის“ შემთხვევაში[478], სტატუსის მაძიებელს უნდა ჰქონდეს საქონლის გაფორმების გამოცდილება ან/და იგი/მის მიერ დაქირავებული, საბაჟო საკითხებზე პასუხისმგებელი პირი უნდა აკმაყოფილებდეს პროფესიული კვალიფიკაციის მოთხოვნებს. აღნიშნული პირობა ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, თუ სრულდება ერთ-ერთი პირობა ქვემოთ ჩამოთვლილთაგან: სტატუსის მაძიებელს აქვს „განაცხადის“ რეგისტრაციის თარიღიდან წინა უწყვეტი 3 წლის განმავლობაში საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებასთან ან/და გაფორმებასთან დაკავშირებული საქმიანობის გამოცდილება; სტატუსის მაძიებელთან დასაქმებულ საბაჟო საკითხებზე პასუხისმგებელ პირს აქვს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებასთან ან/და გაფორმებასთან დაკავშირებული საქმიანობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება ან/და აღნიშნული მიმართულებით და ა.შ[479].

რაც შეეხება მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ პუნქტს, ამ შემთხვევაში კანონმდებელი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ: ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი შესაძლებელია ცალ-ცალკე ან ერთდროულად ფლობდეს შემდეგი სახის ავტორიზაციებს: ა) „საბაჟო გამარტივებისათვის“, რომელიც მის მფლობელს აძლევს გარკვეული გამარტივებული საბაჟო ფორმალობებით სარგებლობის საშუალებას...“.

საერთო გარანტია წარედგინება ორ ან მეტ ისეთ ოპერაციაზე, საბაჟო დეკლარაციაზე ან საბაჟო პროცედურაზე, რომელთა მიმართაც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულება.

საერთო გარანტიის თანხა განისაზღვრება იმ ოდენობით, რომელიც ნებისმიერ მომენტში უზრუნველყოფს იმპორტის გადასახდელის დაფარვას, გარდა მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

მე-4 პუნქტის შემთხვევაში: საერთო გარანტიის თანხის ოდენობა განისაზღვრება შემდეგი წესით:

---

[478] ამ საკითხებზე ამავე პარაგრაფში უკვე იყო ზემოთ საუბარი და ამ საკითხის განვრცობას აქ არ შევეცდებით.

[479] სრულად იხ. ინსტრუქცია „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“, მ.20.

• *ა) თუ საერთო გარანტია წარედგინება იმ იმპორტის გადასახდელის გადახდის უზრუნველსაყოფად, რომლის ზუსტი ოდენობის დადგენა გარანტიის მოთხოვნის მომენტისთვის შესაძლებელია – საერთო გარანტიის თანხის ოდენობა არ უნდა იყოს შესაბამის იმპორტის გადასახდელის თანხაზე ნაკლები;*

• *ბ) თუ საერთო გარანტია წარედგინება იმ იმპორტის გადასახდელის გადახდის უზრუნველსაყოფად, რომლის ზუსტი ოდენობის დადგენა გარანტიის მოთხოვნის მომენტისთვის შეუძლებელია ან რომლის გადახდის ვალდებულება წარმოშობილია/შეიძლება წარმოიშვას და რომლის ოდენობა დროთა განმავლობაში იცვლება, საერთო გარანტიის თანხის ოდენობა განისაზღვრება დეკლარანტის განცხადების საფუძველზე;*

• *გ) თუ საერთო გარანტია წარედგინება იმ იმპორტის გადასახდელის გადახდის უზრუნველსაყოფად, რომლის გადახდის ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას და პირი წარადგენს განცხადებას საერთო გარანტიის ოდენობის შემცირების მოთხოვნით, საერთო გარანტიის საორიენტაციო თანხის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:*

• *გ.ა) განცხადების წარდგენის თვის წინა 12 თვის განმავლობაში განმცხადებლის მიერ კონკრეტულ საბაჟო პროცედურაში მოქცეული, შესაბამისი საქონლის შესახებ ინფორმაცია – შესაბამისი იმპორტის გადასახდელ(ებ)ის (მაქსიმალური განაკვეთ(ებ)ის გათვალისწინებით) საშუალო მაჩვენებელი, საბაჟო დეკლარაციების რაოდენობის მიხედვით, და*

• *გ.ბ) განმცხადებლის მიერ დაგეგმილი, საერთო გარანტიის მოქმედების პერიოდში ერთდროულად განსახორციელებელი საბაჟო პროცედურების მოცულობა (მათ შორის, განმცხადებლის კომერციულ დოკუმენტებზე და ანგარიშებზე დაყრდნობით).*

მე-5 პუნქტის თანახმად, მე-3 ამ მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში:

• *ა) პირს მიეცემა უფლება, საერთო გარანტია, ამ მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული საორიენტაციო თანხის 50 პროცენტამდე შემცირებული ოდენობით წარადგინოს, თუ იგი აკმაყოფილებს საქართველოს საბაჟო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებითა და ამ ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №1) მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პირობებს. ამ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ საერთო გარანტია სრული ოდენობითაა წარდგენილი;*

• ბ) ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მფლობელი გათავისუფლდება საერთო გარანტიის წარდგენის ვალდებულებისგან.

გარანტიის წარმდგენი/დეკლარანტი ვალდებულია აცნობოს საბაჟო ორგანოს, თუ წარდგენილი საერთო გარანტიის თანხა არ არის საკმარისი შესაბამისი საბაჟო ოპერაციის, პროცედურის ან ფორმალობის დროს წარმოშობილი ან წარმოსაშობი შესაბამისი ვალდებულებების დასაფარად.

საერთო გარანტიის წარდგენის უფლების მინიჭების შემთხვევაში, პირს შეუძლია წარადგინოს საერთო გარანტია/გარანტიები განუსაზღვრელი ვადითა და რაოდენობით.

საერთო გარანტიის წარდგენის უფლების მინიჭების თარიღიდან ყოველი 12 თვის გასვლის შემდეგ, საბაჟო ორგანო ახორციელებს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირობების შესრულების მონიტორინგს, რომლის შედეგად, თუ დადგინდა, რომ:

• ა) პირი ვეღარ აკმაყოფილებს მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირობას, საბაჟო ორგანო პირს უუქმებს საერთო გარანტიის წარდგენის უფლებას;

მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ პუნქტის შემთხვევაში: საქართველოს საბაჟო კოდექსის 59-ე მუხლის გათვალისწინებით, საერთო გარანტიის წარდგენის უფლება უნდა მიეცეს იმ პირს, რომელიც აკმაყოფილებს ყველა შემდეგ პირობას:ა) იგი არის საქართველოში დაფუძნებული პირი.

• ბ) პირი ვეღარ აკმაყოფილებს მე-3 მუხლის მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირობებს, საბაჟო ორგანო საერთო გარანტიის წარდგენის უფლებას შეუჩერებს 1 წლის ვადით. ამასთან, თუ ამ ვადის განმავლობაში უფლებაშეჩერებული პირის მხრიდან:

- *ბ.ა) აღარ ექნება ადგილი მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ზემოთ აღნიშნულ „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევას, საბაჟო ორგანო, პირის მიმართვის საფუძველზე, მას აღუდგენს საერთო გარანტიის წარდგენის შეჩერებულ უფლებას;*
- *ბ.ბ) ადგილი ექნება ინსტრუქციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევას, ან პირი არ მოითხოვს შეჩერებული უფლების აღდგენას, საბაჟო ორგანო პირს უუქმებს საერთო გარანტიის წარდგენის უფლებას;*

• გ) პირი ვეღარ აკმაყოფილებს ინსტრუქციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ზემოთ აღნიშნული „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირობებს, საბაჟო ორგანო პირს განუსაზღვრავს ნაკლოვანების აღმოფხვრის ვადას და ამავე ვადით შეუჩერებს საერთო გარანტიის წარდგენის უფლებას. ამასთან, ამ ვადის განმავლობაში, უფლებაშეჩერებული პირის მიერ:

- *გ.ა) ნაკლოვანების აღმოფხვრის შემთხვევაში, საბაჟო ორგანო პირის მიმართვის საფუძველზე, მას აღუდგენს საერთო გარანტიის წარდგენის შეჩერებულ უფლებას;*
- *გ.ბ) ნაკლოვანების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ან თუ პირი არ მოითხოვს შეჩერებული უფლების აღდგენას, საბაჟო ორგანო პირს უუქმებს საერთო გარანტიის წარდგენის უფლებას.*

საერთო გარანტიის წარდგენის უფლების შეჩერების შემთხვევაში – მის აღდგენამდე, ხოლო ამ უფლების გაუქმების შემთხვევაში – ხელახლა მინიჭებამდე, პირს ეკრძალება ახალი საერთო გარანტიის წარდგენა ან/და წარდგენილი საერთო გარანტიის გამოყენება ახალ ოპერაციაზე, ახალ საბაჟო დეკლარაციაზე ან ახალ საბაჟო პროცედურაზე.

აკრძალულია საერთო გარანტიის წარდგენის უფლების სხვა პირისათვის გადაცემა, მათ შორის: ამ უფლების მფლობელის საწარმოს გაყოფისას, სხვა საწარმოსთან შერწყმისას ან სხვა საწარმოსთან (საწარმოებთან) გაერთიანებისას. საერთო გარანტიის წარდგენის უფლების მინიჭება, შეჩერება და გაუქმება ხორციელდება საბაჟო ორგანოს უფროსის ბრძანებით.

გარანტიის შეცვლა ან დამატებითი გარანტიის წარდგენა. გარანტიის გაუქმება ან შესრულება გარანტიის შეცვლა ან დამატებითი გარანტიის წარდგენა. თუ საბაჟო ორგანო დაადგენს, რომ წარდგენილი გარანტიის საგარანტიო თანხა არასაკმარისია ან ეს გარანტია დადგენილ ვადაში ვეღარ უზრუნველყოფს იმპორტის გადასახდელის გადახდის წარმოსაშობი ვალდებულების შესრულებას, საბაჟო ორგანო ვალდებულია პირს, რომელსაც წარმოეშვა ან შეიძლება წარმოეშვას იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულება და რომელმაც უნდა წარადგინოს იმპორტის გადასახდელის გადახდის უზრუნველყოფის გარანტია (შემდგომ - გარანტია), თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საბაჟო ორგანო უფლებამოსილია ამ პირის ნაცვლად

სხვა პირს მისცეს უფლება, წარადგინოს გარანტია. ასეთ შემთხვევაში საბაჟო ორგანო უფლებამოსილია პირს მოსთხოვოს წარდგენილი გარანტიის ახალი გარანტიით შეცვლა ან დამატებითი გარანტიის წარდგენა.

პირმა, რომელსაც წარმოეშვა ან შეიძლება წარმოეშვას იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულება, უნდა წარადგინოს იმპორტის გადასახდელის გადახდის უზრუნველყოფის გარანტია (შემდგომ - გარანტია), თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია ამ პირის ნაცვლად სხვა პირს მისცეს უფლება, წარადგინოს გარანტია.

თუ იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულება არ წარმოიშვა ან შესრულდა, ან შეწყდა ამ ვალდებულების წარმოშობის საფუძველი, წარდგენილი გარანტია უქმდება. იმ შემთხვევაში კი, თუ იმპორტის გადასახდელი ნაწილობრივ გადახდილია ან შეიძლება წარმოიშვას იმპორტის გადასახდელის მხოლოდ ნაწილის გადახდის ვალდებულება, შესაბამისი პირის განცხადების საფუძველზე უქმდება წარდგენილი გარანტიის საგარანტიო თანხის შესაბამისი ნაწილი.

დასკვნის სახით ავღნიშნავდი, რომ: „გარანტიის დეფინირებისას გამოიყოფა მისი რამდენიმე ელემენტი: გარანტიის საფუძველზე შეიძლება გადახდილი იქნეს მხოლოდ ნაწილი ან გარანტიით განსაზღვრული თანხის მაქსიმალური ოდენობა, გადახდა უნდა მოხდეს მოთხოვნის წარდგენის შემდგომ (რომელიც როგორც წესი წერილობითი ფორმით უნდა განხორციელდეს), უნდა დაერთოს გარანტიით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, მოთხოვნის წარდგენა უნდა მოხდეს გარანტიით გათვალისწინებულ ვადაში; მოთხოვნა უნდა შეესაბამებოდეს გარანტიის პირობებს"[480].

URDG N758-ე პუბლიკაციის მიხედვით, გარანტია არის ნებისმიერი ხელმოწერილი ვალდებულება, რომელიც დასახელებულია, აღწერილია და ითვალისწინებს, გადახდას შესაბამისი მოთხოვნის

---

[480] GoodeR. Guide to the ICC Uniform Rules for Demand Guarantees, ICC Publication No 51, 1992, 9 .

წარდგენის შემთხვევაში. ამგვარი მცირე განმარტების გარდა, მეორე მუხლი დეტალურად ითვალისწინებს „შესაბამისი მოთხოვნისა“ და „შესაბამისი წარდგენის“ განმარტებას“[481].

გარანტიის ვადის გასვლის შემდგომ, შესაძლებელია თუ არა, რომ გარანტიის მოქმედების ვადა გაგრძელდეს, რომელიც ახალი გარანტიის გაცემით შეიძლება გაფორმდეს, - საბაჟო კანონმდებლობაში სპეციალური მითითება არ არის. ვფიქრობთ დასაშვები უნდა იყოს და ახალ გარანტიაში მიეთითოს გაგრძელებული ვადა და მისი გაცემა უნდა მოხდეს ჩვეულებრივი გარანტიის გაცემისათვის დადგენილი წესით. შესაბამისად, ზოგადი წესების შესახებ გარანტიის გაგრძელება უნდა მოხდეს გარანტიის გაცემისათვის დადგენილი ზოგადი წესის შესაბამისად და გაგრძელებული გარანტია უნდა აკმაყოფილებს გარანტიისათვის დადგენილ წესებს. მათ შორის, ვადა, ძირითადი ვალდებულების შინაარსი, საგარანტიო თანხა, მოთხოვნის შინაარსი და ა.შ.

„საბანკო გარანტიასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში გარანტი ურთიერთობის ძირითადი და უმნიშვნელოვანესი სუბიექტია. URDG N758-ის შესაბამისად, **გარანტი** არის გარანტიის გამცემი სუბიექტი და მოიცავს მხარეს, რომელიც მოქმედებს საკუთარი რისკით. აღნიშნული წესი არ აკონკრეტებს გარანტიის გამცემ სუბიექტთა წრეს და მას ეროვნული ქვეყნის კანონმდებლობის განსაზღვრის საკითხად ტოვებს“[482].

გარანტი შეიძლება იყოს ბანკი, სადაზღვევო კომპანია, ორგანო ან პირი, რომელიც კისრულობს პრინციპალის კრედიტორისათვის თანხის გადახდის ვალდებულებას, გარანტიის პირობების შესაბამისი წერილობითი მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში. გარანტი არ არის ძირითადი ხელშეკრულების მონაწილე სუბიექტი, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თუ სხვა ძირითადი ვალდებულე-

---

[481] ლიპარტია ნ; „საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის მართვა და მისი სამართლებრივი შედეგები“, სადოქტორო დისერტაცია, თსუ, 2018, http://press.tsu.ge.

[482] გაეროს კონვენციის განმარტებითი ბარათის 23-ე პუნქტი.

ბის შეუსრულებლობაზე უშუალოდ პასუხისმგებელი. იგი კრედიტორს გადაუხდის საბანკო გარანტიის თანხას ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში. იგი გადაიხდის მხოლოდ თანხას და არ კისრულობს დარღვეული ვალდებულების შესრულებას.

საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ურთიერთობებში, ბენეფიციარი მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტია, რომლის მიმართ პრინციპალს ვალდებულების შესრულება ეკისრება, რომელიც ძირითად ვალდებულებაში შეიძლება იყოს იმპორტიორი, შემკვეთი, შემძენი ან დამქირავებელი, რომელიც პრინციპალის მიერ ნაკისრი ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვს გარანტიის წარმოდგენას. სწორედ, ბენეფიციარის სასარგებლოდ გაიცემა გარანტია.

გარანტიების გამოყენების პრაქტიკა არის ბენეფიციარის ინტერესების დაცვის მექანიზმი. ამასთან, საბანკო გარანტია ზრდის პრინციპალის პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. როგორც სასამართლო პრაქტიკამ აჩვენა საბანკო გარანტიის გამოყენების ყველაზე მოწყვლადი სფეროა ბენეფიციარის განმეორებითი მოთხოვნის შემთხვევაში მისი მოთხოვნის უპირობო დაკმაყოფილება გარანტორის მიერ.

აქვე გამოვთქვამდით მოსაზრებას, რომ ვიდრე საბაჟო პროცედურების გამომყენებელი პირების საქმიანობის პრაქტიკა არ დაიხვეწება, სანამ დადებული ხელშეკრულების პირობების შესრულება არ გახდება ბიზნესმენების ღირსების შენარჩუნების საკითხი, სანამ გარანტორი ადეკვატურად არ შეაფასებს საბანკო გარანტიის და სხვა გარანტიების გაცემის რისკებს, მანამდე საბაჟო ოპერაციების გამომყენებელი პირების ურთიერთობები ყოველთვის იქნება სასამართლოს დავის საგანი[483].

A. დასამახსოვრებელი დებულებები!

საბაჟო ორგანო უფლებამოსილია რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაში არსებული მონაცემების სიზუსტის შემოწმების მიზნით: შეისწავლოს ეს დეკლარაცია და მისი თანმხლები დოკუმენტები; მოსთხოვოს

---

[483] გარანტიის შესახებ წარმოდგენილი მასალები ძირითადად გადმოტანილია ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, თბ; 2021.

დეკლარანტს დამატებითი დოკუმენტების წარდგენა; დაათვალიეროს საქონელი; აიღოს საქონლის სინჯი ან/და ნიმუში მისი ანალიზისთვის ან საქონლის დეტალური შემოწმებისთვის.

საბაჟო ორგანო უფლებამოსილია რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაში არსებული მონაცემების სიზუსტის შემოწმების მიზნით შეისწავლოს ეს დეკლარაცია და მისი თანმხლები დოკუმენტები; მოსთხოვოს დეკლარანტს დამატებითი დოკუმენტების წარდგენა; დაათვალიეროს საქონელი; აიღოს საქონლის სინჯი ან/და ნიმუში მისი ანალიზისთვის ან საქონლის დეტალური შემოწმებისთვის.

საქონლის გაშვების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება დეკლარაციისათვის შეფასების „A" ნომრის მინიჭებით (გარდა ექსპორტის პროცედურაში საქონლის გაშვებისა). შეფასების ნომერთან ერთად დეკლარაციას ავტომატურად ენიჭება შტრიხ-კოდი.

იდენტიფიკაცია ზოგადად საქონლის ამოცნობაა, ხოლო საიდენტიფიკაციო საშუალებები, მისი ამოცნობის საშუალებანია.

თუ ნიშანდება აუცილებელია საქონლის შემდგომი იდენტიფიკაციისთვის ან/და საჭიროა საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ან/და შენობა-ნაგებობის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფისთვის, საბაჟო ზედამხედველობის ნებისმიერ ეტაპზე საბაჟო ორგანო ან მის მიერ უფლებამოსილი პირი ახორციელებს მის ნიშანდებას საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების გამოყენებით.

პირმა, რომელსაც წარმოეშვა ან შეიძლება წარმოეშვას იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულება, უნდა წარადგინოს იმპორტის გადასახდელის გადახდის უზრუნველყოფის გარანტია (შემდგომ - გარანტია), თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საბაჟო ორგანო უფლებამოსილია ამ პირის ნაცვლად სხვა პირს მისცეს უფლება, წარადგინოს გარანტია.

B. კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის:

უფლებამოსილია თუ არა საბაჟო ორგანო შეისწავლოს რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაში არსებული მონაცემები?

რა მოქმედებების განხორციელების უფლება აქვს საბაჟო ორგანოს რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაში არსებული მონაცემების სიზუსტის შემოწმების მიზნით?

რაზე ვრცელდება საბაჟო დეკლარაციის შემოწმების შედეგები?

რა ვადებში უნდა დასრულდეს დეკლარაციის შემოწმება?

რა შემთხვევაშია აუცილებელი საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებების გამოყენება?

რა შემთხვევაშია აუცილებელი გარანტიის წარდგენა?

როდის უნდა წარადგინოს პირმა გარანტია?

რა შემთხვევაში ითხოვს იმპორტიორისაგან საბაჟო ორგანო არასავალდებულო გარანტიის წარდგენას?

როგორ პირს უნდა მიეცეს საერთო გარანტიის წარდგენის უფლება?

C. ტესტები:

საბაჟო ორგანო უფლებამოსილია რეგისტრირებულ საბაჟო დეკლარაციაში არსებული მონაცემების სიზუსტის შემოწმების მიზნით:

ა. შეისწავლოს ეს დეკლარაცია და მისი თანმხლები დოკუმენტები; მოსთხოვოს დეკლარანტს დამატებითი დოკუმენტების წარდგენა; დაათვალიეროს საქონელი; აიღოს საქონლის სინჯი ან/და ნიმუში მისი ანალიზისთვის ან საქონლის დეტალური შემოწმებისთვის

ბ. შეისწავლოს ეს დეკლარაცია და მისი თანმხლები დოკუმენტები

გ. მოსთხოვოს დეკლარანტს დამატებითი დოკუმენტების წარდგენა

დ. დაათვალიეროს საქონელი; აიღოს საქონლის სინჯი ან/და ნიმუში მისი ანალიზისთვის ან საქონლის დეტალური შემოწმებისთვის.

დათვალიერების სახეებია:

ა.საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დათვალიერება

ბ. მგზავრის პირადი ნივთების (ბარგის/ხელბარგის) დათვალიერება

გ. მგზავრის დათვალიერება

დ.საფოსტო გზავნილის დათვალიერება.

დათვალიერებას ესწრებიან:

ა. საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირი; დეკლარანტი/მისი წარმომადგენელი – თავისი სურვილით ან საბაჟო ორგანოს მოთხოვნით; საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მიმართ სხვა უფლებამოსილი პირები ან მათი წარმომადგენლები საბაჟო ორგანოს მოთხოვნით; საფოსტო გზავნილების გადამზიდველი საბაჟო საწყობის ან თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის პასუხისმგებელი პირი, როცა საქონელი ინახება საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში

ბ. ტექნიკური პერსონალი, რომლებიც აუცილებლობიდან გამომდინარე ახორციელებენ საქონლის დატვირთვა-გადმოტვირთვის ან დათვალიერებასთან დაკავშირებულ სხვა სამუშაოებს; სახელმწიფო მაკონტროლებელი ან/და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები – საბაჟო

ორგანოს უფროსის გადაწყვეტილებით, შესაბამისი წერილობითი მომართვის საფუძველზე; მოწვეული ექსპერტები, სპეციალისტები

გ. საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირი; დეკლარანტი/მისი წარმომადგენელი – თავისი სურვილით ან საბაჟო ორგანოს მოთხოვნით; საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების მიმართ სხვა უფლებამოსილი პირები ან მათი წარმომადგენლები საბაჟო ორგანოს მოთხოვნით; საფოსტო გზავნილების გადამზიდველი საბაჟო საწყობის ან თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის პასუხისმგებელი პირი, როცა საქონელი ინახება საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში; ტექნიკური პერსონალი, რომლებიც აუცილებლობიდან გამომდინარე ახორციელებენ საქონლის დატვირთვა-გადმოტვირთვის ან დათვალიერებასთან დაკავშირებულ სხვა სამუშაოებს; სახელმწიფო მაკონტროლებელი ან/და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები – საბაჟო ორგანოს უფროსის გადაწყვეტილებით, შესაბამისი წერილობითი მომართვის საფუძველზე; თ) მოწვეული ექსპერტები, სპეციალისტები

დ. მოწვეული ექსპერტები, სპეციალისტები; საფოსტო გზავნილების გადამზიდველი საბაჟო საწყობის ან თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის პასუხისმგებელი პირი, როცა საქონელი ინახება საბაჟო საწყობში ან თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში.

დათვალიერება ხორციელდება საბაჟო კონტროლის ზონაში:

ა. ტექნიკური საშუალების – რენტგენული ინსპექტირების სისტემის (სკანერის) გამოყენებით (შემდგომში – სკანირება); ლუქების, შტამპებისა და საბაჟო იდენტიფიკაციის სხვა საშუალებების მოხსნითა და სატრანსპორტო საშუალებების, მათი სატვირთო სათავსების, საქონლის შეფუთვის გახსნით და დათვალიერებით; საფოსტო გზავნილების შემთხვევაში – სკანირების მეშვეობით

ბ. ტექნიკური საშუალების – რენტგენული ინსპექტირების სისტემის (სკანერის) გამოყენებით (შემდგომში – სკანირება)

გ. ლუქების, შტამპებისა და საბაჟო იდენტიფიკაციის სხვა საშუალებების მოხსნითა და სატრანსპორტო საშუალებების, მათი სატვირთო სათავსების, საქონლის შეფუთვის გახსნით და დათვალიერებით;

დ. საფოსტო გზავნილების შემთხვევაში – სკანირების მეშვეობით.

დათვალიერებისას საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირი (პირები) ვალდებულია:

ა. არ მიაყენოს გაუმართლებელი ზიანი საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებებს; დაიცვას დეკლარანტისა და დათვალიერებაში მონაწილე სხვა პირთა უფლებები; საქონლის ან/და სატრანსპორტო

საშუალების სკანირებისას: განახორციელოს დათვალიერება გონივრულ ვადაში, დასათვალიერებელი ობიექტის, საქონლის სახეობის, რაოდენობის, დათვალიერების მოცულობისა და სხვა პირობების გათვალისწინებით სამართალდარღვევის ფაქტის გამოვლენისას, დათვალიერების შედეგები ელექტრონულად ასახოს დეკლარაციის ინსპექტირების აქტში ან დათვალიერების აქტში და შეადგინოს სამართალდარღვევის ოქმი; დანაშაულის ნიშნების აღმოჩენისას, დათვალიერების შედეგები ელექტრონულად ასახოს დათვალიერების აქტში. იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულის ნიშნები აღმოჩენილია დეკლარაციის შემოწმებისას – აგრეთვე ინსპექტირების აქტში

ზ. არ მიაყენოს გაუმართლებელი ზიანი საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებებს; დაიცვას დეკლარანტისა და დათვალიერებაში მონაწილე სხვა პირთა უფლებები; საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების სკანირებისას: განახორციელოს დათვალიერება გონივრულ ვადაში, დასათვალიერებელი ობიექტის, საქონლის სახეობის, რაოდენობის, დათვალიერების მოცულობისა და სხვა პირობების გათვალისწინებით სამართალდარღვევის ფაქტის გამოვლენისას, დათვალიერების შედეგები ელექტრონულად ასახოს დეკლარაციის ინსპექტირების აქტში ან დათვალიერების აქტში და შეადგინოს სამართალდარღვევის ოქმი

გ. დანაშაულის ნიშნების აღმოჩენისას, დათვალიერების შედეგები ელექტრონულად ასახოს დათვალიერების აქტში.

დ. დათვალიერების შედეგები იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულის ნიშნები აღმოჩენილია დეკლარაციის შემოწმებისას – შეიტანოს აგრეთვე ინსპექტირების აქტში.

დეკლარაციის შემოწმების ბოლოს ან მის ნებისმიერ ეტაპზე საბაჟო ორგანოს თანამშრომელი უფლებამოსილია მიიღოს ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი ან რამოდენიმე გადაწყვეტილება:

ა. საქონლის გაშვების შესახებ; საქონლის გაშვების აკრძალვის შესახებ; საქონლის დათვალიერების ან/და სინჯის ან/და ნიმუშის აღების შესახებ; სამართალდარღვევის ნიშნების არსებობის შესახებ; საქონლის გაშვების საბაჟო ფორმალობების შეჩერების შესახებ; საქონლის საბაჟო ღირებულების კორექტირების შესახებ; დეკლარაციაში ცვლილების შეტანის ან დეკლარაციის ძალადაკარგულად გამოცხადების ან ბათილად ცნობის შესახებ

ბ. საქონლის გაშვების შესახებ; საქონლის გაშვების აკრძალვის შესახებ; საქონლის დათვალიერების ან/და სინჯის ან/და ნიმუშის აღების შესახებ; სამართალდარღვევის ნიშნების არსებობის შესახებ

გ. საქონლის გაშვების საბაჟო ფორმალობების შეჩერების შესახებ; საქონლის საბაჟო ღირებულების კორექტირების შესახებ

დ. დეკლარაციაში ცვლილების შეტანის ან დეკლარაციის ძალადაკარგულად გამოცხადების ან გათილად ცნობის შესახებ.

საბაჟო ორგანოს წარედგინება შემდეგი გარანტიები:

ა. საბანკო გარანტია;) დაზღვევის პოლისი;

ბ. დეპოზიტი; თავდებობა, გარდა საბანკო გარანტიისა და დაზღვევის პოლისისა;

გ. საბანკო გარანტია;) დაზღვევის პოლისი; დეპოზიტი; თავდებობა, გარდა საბანკო გარანტიისა და დაზღვევის პოლისისა; საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სხვა გარანტია

დ. საბანკო გარანტია;) თავდებობა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სხვა გარანტია.

გარანტიის წარდგენა არ ხდება, თუ საქონელი გადაადგილდება:

ა.საჰაერო ან საზღვაო სატრანსპორტო საშუალებით

ბ. საჰაერო ან საზღვაო სატრანსპორტო საშუალებით; მილსადენით ან ელექტროგადამცემი ხაზით; სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებით

გ. მილსადენით ან ელექტროგადამცემი ხაზით

დ. სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებით

D. კაზუსები:

1. საქონლის გაშვებამდე – საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებულ იმპორტის გადასახდელი თანხის ნაწილი ვთქვათ, 10 000 ლარი პროცედურის მიერ გამომყენებელი პირის მიერ გადახდილია, ხოლო მთლიანად პირს უნდა გადაეხადა 15 000 ლარი.

კითხვა:

იმპორტიორმა ბიუჯეტის სასარგებლოდ რა თანხა უნდა გადაიხადოს დარჩენილი თანხის ხახით?

2. იმპორტიორს თავდებად სახელმწიფოს წინაშე საბაჟო ვალდებულებების შესრულებისათვის თავდებად დაუდგა ბანკი. იმპორტიორსა და თავდებ ბანკს შორის დაიდო თავდებობის ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრა თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები სახელმწიფოს წინაშე, იმ შემთხვევისათვის, თუკუი იმპორტიორი ვერ (არ) შეასრულებდა საბაჟო ვალდებულებას.

კითხვა:

თუკი იმპორტიორი საბაჟო ვალდებულებას ვერ(არ) შეასრულებდა ამ ვალდებულების შესრულებაზე უპირობოდ პასუხისმგებელი იქნება თუ არა თავდები ბანკი?

პასუხი დაასაბუთეთ შესაბამის ნორმებზე მითითებით.

E. სამართლებრივი აქტები:

საერთაშორისო აქტები:

გაეროს კონვენციის განმარტებითი ბარათის 23-ე პუნქტი, https://www.google.com/search?q

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელწიფოებს შორის,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0

საკანონმდებლო აქტები:

საქართველოს საბაჟო კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=5

საქართველოს საგადასახადო კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/32842?publication=69

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=146

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=37

საქართველოს საზღვაო კოდექსი, „საზღვაო კოდექსში გამოყენებული ტერმინები“, პ. 28.

https://matsne.gov.ge/ka/document/view/18646?publication=0

კანონქვემდებარე აქტები:

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №420 დადგენილება „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1167052?publication=8

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 24 დეკემბრის №608 დადგენილება „უქმე დღეების განსაზღვრის შესახებ“,
https://www.matsne.gov.ge/document/view/5326343?publication=0

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის #453 დადგენილება „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების,

წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“;
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4657381?publication=0

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“, ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“, დანართი №8,
https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „გარანტიის შესახებ“ („დანართი №4)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“, ინსტრუქცია „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ“ (დანართი #5), https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის ბრძანება №275 წლის „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ დანართი #1,
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის #996 ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1167887?publication=254 ,

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ბრძანება № 465/ო (1999 წლის 29 ნოემბერი), „სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების, ამ ნივთიერებათა წამლის ფორმების, მათი შემცველი კომბინირებული პრეპარატების გამოსაწერი რეცეპტის ბლანკის ფორმების დამტკიცების, მათი დანიშვნისა და გამოწერის დროებითი წესების შესახებ“; https://matsne.gov.ge/ka/document/view/50164?publication=0

ინსტრუქცია „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ“; https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=48

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია (დანართი №2) „საბაჟო კონტროლის შესახებ“;
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ" ინსტრუქციის (დანართი №1),
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს #257 ბრძანება „საქართველო საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე", დანართი #3, ინსტრუქცია „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ",
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბაჟო საწყობის პროცედურის შესახებ" (დანართი №9),
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ" (დანართი №3),
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული „დეკლარირების კლასიფიკატორის" (დანართი №19),
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ",
https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/1167887/285/ge/pdf

ფინანსთა მინისტრის ბრძანება #257-ის (დანართი №17) „მილსადენითა და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებული საქონლის შესახებ", https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის ბრძანება #257 (დანართი №11), ინსტრუქცია „დროებით შემოტანის პროცედურის შესახებ",
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=0

ფინანსთა მინისტრის ბრძანება #257 (დანართი #16), ინსტრუქცია „რეექსპორტის შესახებ",
https://www.rs.ge/Media/Default/კანონმდებლობა/კანონები/257%20დანართი%2016.pdf

ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანება (დანართი №9) ინსტრუქცია „საბაჟო საწყობის პროცედურის შესახებ ინსტრუქცია",
https://rs.ge/Media/Default/კანონმდებლობა/კანონები/257%20დანართი%209.pdf

ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია (დანართი №6) „საქონლის დროებით შენახვის შესახებ",
https://www.rs.ge/Media/Default/კანონმდებლობა/კანონები/257.pdf

F. გამოყენებული ლიტერატურა:

ბარაზი ია, საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, დამხმარე სახელმძღვანელო, გამომცემლობა „გეორგიკა", თბილისი, 2021

ია ბარაზი, საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, დამხმარე სახელმძღვანელო, გამომცემლობა „გეორგიკა", თბილისი, 2020

ბარაზი ია, საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა", თბილისი, 2014

ბარაზი ია, საბაჟო სამართლი, თბილისი, 2007

ბარაზი ია, საბაჟო სამართალი,თბილისი, 2010

ბარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2019, ლექციების კურსი, https://www.sou.edu.ge

ბარაზი ი,; სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი (მეოთხე გადამუშავებული და დამატებული გამოცემა). თბილისი, 2015

ბარაზი ია; საქართველოს საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა", თბილისი, 2015

ბარაზი ია, საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, მეორე ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა", თბილისი, 2020

ბარაზი ია, ბარაზი ქეთევან, სუქნიშვილი მირზა, საგადასახადო სამართალი, მესამე ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა", თბილისი, 2020

ია ბარაზი, საბაჟო სამართალი, ლექციების კურსი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019, https://www.sou.edu.ge

ნადარაია, როგავა, რუხაძე, ბოლქვაძე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი §§ 1-155, 47-ე მუხლ. ავტ. ნადარაია, 331, https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00J1P6.pdf

გონერ ურიდია, ფრიდონ არახამია, საბაჟო საქმის თეორია, თბილისი, 2009

ურიდია გონერ, რუხაია ფრიდონ, არახამია მერაბ, საბაჟო გაფორმება TIR და ATA (CPD) კარნეტის პრინციპებით, თბილისი, 2004

ლორთქიფანიძე ვ; საბაჟო საქმის საფუძვლები, თბილისი, 2002

უცხოენოვანი:

GoodeR. Guide to the ICC Uniform Rules for Demand Guarantees, ICC Publication No 51, 1992

G. სამეცნიერო ნაშრომები:

ბარაზი ია, „საგადასახადო სამართლებრივ რეგულირებაში პრეზუმპტიული მეთოდების გამოყენების შესახებ", „დიპლომატია და სამართალი", #1(4), 2018, გვ. 46-68

ლიპარტია ნ; „საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის მართვა და მისი სამართლებრივი შედეგები", სადოქტორო დისერტაცია, თსუ, 2018, http://press.tsu.ge

აბელაშვილი ნოდარ, პროდუქციის ხარისხის აუდიტი და ექსპერტიზა საბაჟო სისტემაში, თბილისი, 2011, https://gtu.ge/book/nodar%20abelashvili.pdf

H. ვებრესურსები:

https://gtu.ge/book/nodar%20abelashvili.pdf

https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00J1P6.pdf

https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/1167887/285/ge/pdf

https://www.rs.ge

თავი V. საქონლის განკარგვა

1. საქონლის განადგურება

საქონლის განკარგვის შესახებ შემდეგ პარაგრაფშია შემოთავაზებული ვრცელი ანალიზი, აქ კი აღვნიშნავდით, რომ, საქონლის განადგურება საქონლის განკარგვის ერთ-ერთი ღონისძიებაა.

საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, უარი განაცხადოს დეკლარანტის (მათ შორის, პროცედურის მფლობელის ან საქონლის მფლობელის) ინიციატივით საქონლის სახელმწიფო (მათ შორის, თვითმმართველი ერთეულის) საკუთრებაში გადაცემაზე, თუ: ....„საქონელი ექვემდებარება განადგურებას"[484].

საქონლის გასანადგურებლად განსახორციელებელი საბაჟო ფორმალობები განისაზღვრება **საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „საქონლის განკარგვის შესახებ" (დანართი №18).**

საქონლის განადგურება არის საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი უცხოური საქონლის ნებისმიერი ხერხით (დაწვით, დამარხვით, ჩაძირვით, დანგრევით, დაშლით, მექანიკური დაზიანებით და ყველა სხვა დასაშვები საშუალების გამოყენებით) მოყვანა იმ მდგომარეობაში, როდესაც შეუძლებელია ამ საქონლის ეკონომიკურად მომგებიანი გზით აღდგენა.

აკრძალულია შემდეგი საქონლის განადგურება:

- ა) კულტურული ფასეულობები;
- ბ) გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ცხოველთა და მცენარეთა სახეობები, ასევე მათი ნაწილები და წარმოშობის წყაროები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი განადგურება ნებადართულია ეპიდემიისა და ეპიზოოტიის შეჩერების მიზნით;
- გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩამორთმეული საქონელი ან საქონელი, რომელსაც ყადაღა აქვს დადებული,

---

[484] ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა „საქონლის განკარგვის შესახებ", დანართი №18, მ.1. პ.5.„ბ" ქვეპუნქტი.

გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი განადგურება ნებადართულია ეპიდემიისა და ეპიზოოტიის შეჩერების მიზნით, ან როდესაც იგი პირდაპირ ან პოტენციურ საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

დეკლარანტის (მათ შორის, პროცედურის მფლობელის ან საქონლის მფლობელის) მიერ წარდგენილი განცხადების (დანართი №18-01)[485] საფუძველზე საქონლის განადგურების შესახებ ან განადგურებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, საბაჟო ორგანოს მიერ შეიძლება განხორციელდეს საქონლის დათვალიერება, სინჯების და ნიმუშების აღება და გამოკვლევა (ექსპერტიზა)[486].

ინსტრუქციის „საქონლის განკარგვის შესახებ" მე-5 მუხლის („ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საქონლის განადგურების ან განადგურებაზე უარის თქმის თაობაზე") თანახმად, დეკლარანტის (მათ შორის, პროცედურის მფლობელის ან საქონლის მფლობელის) მიერ წარდგენილი განცხადების (დანართი №18-01)[487] საფუძველზე საქონლის განადგურების შესახებ ან განადგურებაზე უარის თქმის თაობაზე საგადასახადო ორგანოს უფროსი/მოადგილე გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას). ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა დეკლარანტის (მათ შორის, პროცედურის მფლობელის ან საქონლის მფლობელის) განცხადების (დანართი №18-01)[488] მიღებიდან **არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა.**

---

[485] დანართის შესახებ იხ. ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა „საქონლის განკარგვის შესახებ".

[486] სინჯებისა და ნიმუშების აღება-გამოკვლევის (ექსპერტიზის) შესახებ ზემოთ უკვე იყო საუბარი; ასევე იხ. ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021.

[487] იხ. სქ. 482.

[488] იქვე.

საქონლის განადგურების შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში **საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლით** გათვალისწინებული რეკვიზიტების გარდა, მითითებული უნდა იყოს საქონლის განადგურების ვადა და იმ უფლებამოსილ თანამშრომელთა ვინაობა, რომლებიც დაესწრებიან განადგურების ღონისძიებას.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახეს; ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ორგანოს;) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სათაურს; უფლებამოსილი თანამდებობის პირის გვარს, სახელსა და ხელმოწერას; გამოცემის დროსა და ადგილს; ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანოს მიერ მინიჭებულ სარეგისტრაციო ნომერს[489].

განადგურების ღონისძიების პროცედურები. საქონლის განადგურების მიზნით, საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი უნდა გამოცხადდეს საქონლის განთავსების ადგილზე (საბაჟო კონტროლის ზონაში), დეკლარანტს/საქონლის მფლობელს/პროცედურის მფლობელს და საბაჟო კონტროლის ზონის უფლებამოსილ წარმომადგენელს წარუდგინოს პირადობის დამადასტურებელი (სამსახურებრივი) მოწმობა და ბრძანება საქონლის განადგურების თაობაზე (სათანადო წესით დამოწმებული ასლი)[490]. საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი უზრუნველყოფს საქონლის განადგურების პროცედურის აღწერას და ადგენს „საქონლის განადგურების ოქმს“ (დანართი №18-02)[491]. საქონლის განადგურების ოქმი დგება 3 ეგზემპლარად – ერთი რჩება საგადასახადო ორგანოს, მეორე ეგზავნება საბაჟო ორგანოს, ხოლო მე-3 ეგზემპლარი გადაეცემა დეკლარანტს/საქონლის მფლობელს/პროცედურის მფლობელს ან მათ წარმომადგენელს.

---

[489] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270

[490] ინსტრუქცია „საქონლის განკარგვის შესახებ“, მ.6.

[491] იხ. სქ. 482.

საკომენტარო ინსტრუქციის მე-7 მუხლის („ფიზიკური პირისათვის გამოგზავნილი, ასევე საფოსტო გზავნილით, მგზავრის ბარგით ან/და ხელბარგით ან/და სხვა საშუალებით შემოტანილი/გასატანი საქონლის განადგურება“) თანახმად კი: ფიზიკური პირისათვის გამოგზავნილი, ასევე საფოსტო გზავნილით ან მგზავრის მიერ ბარგით ან/და ხელბარგით ან/და სხვა საშუალებით, კანონმდებლობის დარღვევით შემოტანილი/გასატანი ან/და არასატარიფო ღონისძიებას დაქვემდებარებული საქონელი, რომელზედაც ვერ ხერხდება შესაბამისი ნებართვის/სერტიფიკატის/სამედიცინო დოკუმენტის/რეცეპტის წარდგენა ან/და საქონლის უკან დაბრუნება, ექვემდებარება ჩამორთმევას და განადგურებას ან/და სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემას.

ზემოთ აღნიშნული საქონლის განადგურება ხორციელდება:

- ა) სპეციალურ დანადგარში (ღუმელში) დაწვით;
- ბ) სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე დამარხვით;
- გ) სხვა მეთოდის გამოყენებით.

ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალება), მათ შორის, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტისა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალების (ნარკოტიკული საშუალებისა და ფარმაკოლოგიურად აქტიური, ბუნებრივი ან სინთეზური გზით მიღებული ფსიქოტროპული ნივთიერების სუბსტანციის გარდა) განადგურება ხორციელდება სპეციალურ ღუმელში (ინსენერატორში) დაწვით.

განადგურებას დაქვემდებარებული ზემოთ აღნიშნული საქონლის განადგურება ხორციელდება საბაჟო გამშვები პუნქტის უფროსის, გაფორმების ეკონომიკური ზონის უფროსის ან გაფორმების განყოფილების უფროსის ბრძანების საფუძველზე შექმნილი ჯგუფის მიერ.

საქონლის განადგურება ხორციელდება საბაჟო დეპარტამენტის უფროსის ბრძანების საფუძველზე შექმნილი ჯგუფის მიერ.

საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი ადგენს „საქონლის განადგურების ოქმს“ (დანართი №18-02), რომლის შევსებისას განადგურებული საქონლის დასახელება მიეთითება სეს ესნ-

ის ოთხნიშნა კოდის დონეზე, ასევე ზოგიერთი საქონლის შემთხვევაში, საქონლის სავაჭრო დასახელებასთან ერთად მიეთითება სეს ესნ-ის შესაბამისი სასაქონლო პოზიციის ოთხნიშნა კოდი.

ხშირ შემთხვევაში საქონლის განადგურებისას წარმოიშობა ნარჩენი და ნაშთი. საინტერესოა ექვემდებარება თუ არა **საქონლის განადგურების შედეგად წარმოშობილი ნარჩენი და ჯართი რომელიმე პროცედურაში მოქცევას?** კითხვაზე პასუხი ასეთია: საქონლის განადგურების შედეგად წარმოშობილ ნარჩენთან ან/და ჯართთან დაკავშირებით, დეკლარანტს (მათ შორის, პროცედურის მფლობელს ან საქონლის მფლობელს) წარმოეშობა ასეთი საქონლის საბაჟო პროცედურაში მოქცევის ან სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის ან სრულად განადგურების ან რეექსპორტის ვალდებულება. საქონლის განადგურების შედეგად წარმოშობილი ნარჩენის ან/და ჯართისათვის საბაჟო პროცედურის განსაზღვრისას, მათზე გავრცელდება საქართველოს საბაჟო კოდექსით განსაზღვრული შესაბამისი საბაჟო პროცედურის მარეგულირებელი დებულებები.

შესაბამისი საფუძვლის არსებობისას საბაჟო ორგანოს შეუძლია მოითხოვოს მისთვის წარდგენილი საქონლის განადგურება, რის შესახებაც მან უნდა აცნობოს საქონლის მფლობელს. საქონლის განადგურების ხარჯებს საქონლის მფლობელი ანაზღაურებს[492].

დანართი №18–01

განცხადება
საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონლის განადგურების შესახებ

1

(დეკლარანტის/პროცედურის მფლობელის/საქონლის მფლობელის დასახელება, საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი, ტელეფონი/ელ.ფოსტა, იურიდიული მისამართი)

[492] საბაჟო კოდექსი, მ. 102.ნ.1.

2

(საქონლის დასახელება და რაოდენობა ციფრებით და სიტყვიერად)

3

(საქონლის განთავსების ადგილი)

საქონლის განადგურება ხორციელდება:

4

(საქონლის განადგურების ხერხი)

5

(საქონლის განადგურების ადგილი)

საქონლის განადგურების შედეგად მისაღები ნარჩენები ან/და ჯართი:

6

(დასახელება)

7

(შემდგომი გამოყენების განზრახვა)

გთხოვთ, მიიღოთ გადაწყვეტილება საქონლის განადგურების შესახებ

8

(დეკლარანტის/პროცედურის მფლობელის/საქონლის მფლობელის საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი, ხელმოწერა)

შენიშვნა: დეკლარანტს/პროცედურის მფლობელს/საქონლის მფლობელს უფლება აქვს, განცხადებას დამატებით დაურთოს სხვა ინფორმაცია.

დანართი №18–02

საქონლის განადგურების ოქმი №	
ა) საქონლის დასახელება და რაოდენობა	ბ) ნარჩენებისა და ჯართის დასახელება და რაოდენობა
გ) განადგურების ხერხი ----------	დ) განადგურების ადგილი და თარიღი ----------
ე) ზოგადი დეკლარირების ან სხვა დოკუმენტების რეკვიზიტები ----------	
ვ) საბაჟო ორგანოს/საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი ---------- ---------- ----------	ზ) დეკლარანტი/პროცედურის მფლობელი/საქონლის მფლობელი ----------

2. საქონლის განკარგვის ღონისძიებები

საქართველოს საბაჟო კოდექსის 103-ე მუხლისა და ინსტრუქციის „საქონლის განკარგვის შესახებ“ მიხედვით, საბაჟო ორგანომ საქონლის განკარგვის მიზნით მის მიმართ შეიძლება განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:

- ა) საბაჟო სანქციის სახით საბაჟო სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევა;

საბაჟო სანქციის სახით საბაჟო სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევა არ უნდა იწვევდეს ხარჯებს სახელმწიფოს მხრიდან. იგი ხორციელდება მხოლოდ საბაჟო ორგანოს ინიციატივით და გამოიყენება, როგორც:

ან/და საბაჟო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება;

- ან/და შეფარდებული საბაჟო სანქციის აღსრულების უზრუნველყოფის საშუალება;
- ან/და კანონმდებლობით დადგენილი აკრძალვებისა და შეზღუდვების უზრუნველყოფის საშუალება.

გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ფორმდება საბაჟო სამართალდარღვევის ოქმი და საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის ოქმი.

შესაძლებელია საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ან/და ნებისმიერ საბაჟო პროცედურაში გაცხადებული საქონლის (თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო პროცედურაში მოქცეულის გარდა) განკარგვა, რაც იწვევს გამოყენებული საბაჟო დეკლარაციის გაუქმებას.

საბაჟო ორგანო ჩამორთმეული საგადასახადო სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების შესახებ ინფორმაციას ელექტრონული ან წერილობითი (როდესაც ტექნიკური ან სხვა მიზეზის გამო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გადაცემა შეუძლებელია) ფორმით ეგზავნება სსიპ –სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს.

- ბ) საქონლის განადგურება;

საქონლის განადგურების შესახებ წინა პარაგრაფში გვქონდა საუბარი.

- გ) საქონლის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა.

საქონლის განკარგვა შესაძლებელია განხორციელდეს საბაჟო ორგანოს ან დეკლარანტის (მათ შორის, პროცედურის მფლობელის ან საქონლის მფლობელის) ინიციატივით.

საქონლის განკარგვა საბაჟო ორგანოს ინიციატივით ხორციელდება ინსტრუქციით „საქონლის განკარგვის შესახებ“

გათვალისწინებულ შემთხვევებში და გამოიყენება როგორც საბაჟო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ან/და შეფარდებული საბაჟო სანქციის აღსრულების ან/და კანონმდებლობით დადგენილი აკრძალვებისა და შეზღუდვების უზრუნველყოფის საშუალება.

დეკლარანტის (მათ შორის, პროცედურის მფლობელის ან საქონლის მფლობელის) ინიციატივით შესაძლებელია განხორციელდეს საბაჟო ორგანოს ზედამხედველობით საქონლის განადგურება და საქონლის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა, ხოლო პროცედურის მფლობელის ან საქონლის მფლობელის მიერ უცხოური საქონლის ან მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონლის ასევე თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადაცემა. ამასთან, პროცედურის მფლობელის ან საქონლის მფლობელის მიერ უცხოური საქონლის ან მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონლის სახელმწიფო (მათ შორის, თვითმმართველი ერთეულის) საკუთრებაში გადაცემისას, სავალდებულოა საბაჟო ორგანოსთან წინასწარი შეთანხმება.

საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, უარი განაცხადოს დეკლარანტის (მათ შორის, პროცედურის მფლობელის ან საქონლის მფლობელის) ინიციატივით საქონლის სახელმწიფო (მათ შორის, თვითმმართველი ერთეულის) საკუთრებაში გადაცემაზე, თუ:

- ა) საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან/და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალულია ან შეზღუდულია;
- ბ) საქონელი ექვემდებარება განადგურებას.

საქონლის განკარგვის ნებისმიერი ღონისძიების გამოყენება არ უნდა იწვევდეს ხარჯებს სახელმწიფოს მხრიდან.

შესაძლებელია საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ან/და ნებისმიერ საბაჟო პროცედურაში გაცხადებული საქონლის (თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო პროცედურაში მოქცეულის გარდა) განკარგვა, რაც იწვევს გამოყენებული საბაჟო დეკლარაციის გაუქმებას.

საბაჟო ორგანო ჩამორთმეული საბაჟო სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების, საბაჟო ორგანოს ან დეკლარანტის (მათ შორის, პროცედურის მფლობელის ან საქონლის

მფლობელის) ინიციატივით სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემული საქონლის, ან საბაჟო კონტროლის ზონის ტერიტორიაზე აღმოჩენილი – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უპატრონოდ ცნობილი საქონლის შესახებ ინფორმაციას ელექტრონული ან წერილობითი (როდესაც ტექნიკური ან სხვა მიზეზის გამო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გადაცემა შეუძლებელია) ფორმით გადასცემს სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს.

საბაჟო ორგანო პროცედურის მფლობელის ან საქონლის მფლობელის ინიციატივით თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადაცემული საქონლის შესახებ ინფორმაციას გადასცემს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს.

სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემული საქონლის განკარგვის ღონისძიებები (აღრიცხვა, შენახვა, შეფასება, განადგურება, განაწილება ან/და რეალიზაცია) ხორციელდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონებისა და სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს №1-1/346 ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს #1-1/346 ბრძანების „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონებისა და სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე“, - თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონებისა და სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესი“ (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიერ სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონებისა და სახელმწიფოს საკუთრებაში

მიქცეული მოძრავი ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასების, და განკარგვის წესსა და პირობებს. ეს წესი არ ვრცელდება საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საკონსულო დაწესებულებებზე, რომლებიც განკარგავენ მათთვის სარგებლობაში გადაცემულ ან/და მათ ბალანსზე რიცხულ მოძრავ ქონებას.

აღნიშნული წესის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა ქონება – სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონება და საგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონება; ქონების განკარგვა – საგენტოს მიერ ქონების პრივატიზება, რეალიზაცია, განაწილება, განადგურება და ლიზინგის ფორმით გადაცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; ინტერნეტმაღაზია – ქონების განკარგვა ელექტრონული სავაჭრო ობიექტის საშუალებით.

გადაწყვეტილებას იღებს ის სახელმწიფო ორგანო/საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც მოძრავი ქონება სარგებლობაში აქვს გადაცემული ან/და ბალანსზე ერიცხება. სახელმწიფო ორგანო/საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ქონების შემდგომი განკარგვის მიზნით, მიმართავს საგენტოს. ქონება საგენტოს გადაეცემა ქონების განკარგვაზე/სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცევაზე გადაწყვეტილების მიღების უფლების მქონე ორგანოს მიერ გამოცემული/მიღებული ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე. ქონების განკარგვის თაობაზე გადაწყვეტილების მიმღები ორგანო მიმართავს საგენტოს და წარუდგენს შესაბამის გადაწყვეტილებას, ასევე დეტალურ ინფორმაციას ქონების შესახებ (ქონების ჩამონათვალი, ქონების ნარჩენი საბალანსო/საბალანსო ღირებულება და საჭიროების შემთხვევაში, სხვა სახის ინფორმაცია). ქონების გადაცემის დროს საგენტოსა და ქონების გადამცემს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული ქონების თავდაპირველ აღრიცხვას ქონების ჩამორთმევისთანავე ანარმოებს ქონების ჩამორთმევაზე უფლებამოსილი ორგანო/პირი კანონმდებლობით დადგენილი წესით, რომელიც, ასევე, ახორციელებს ქონების უსაფრთხოების შემოწმებას. მალფუჭებადი პროდუქციის დროულად განკარგვის მიზნით, ქონების აღრიცხვის პროცესში მალფუჭებადი პროდუქციის გამოვლენის შემთხვევაში, მისი აღრიცხვა უნდა განხორციელდეს განკერძოებულად. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული, სახელმწიფო ორგანოს/საჯარო სამართლის იურიდიული პირის სარგებლობაში გადაცემული ან/და ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების თავდაპირველ აღრიცხვას ანარმოებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანო/საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ქონების აღრიცხვა,

საგენტოსათვის გადაცემის შემდეგ, წარმოებს ქონების სახეობისა და რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით. ქონების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნის უზრუნველსაყოფად, საგენტო აწარმოებს სპეციალურ ელექტრონულ რეესტრს. საგენტოს მიერ ქონების მიღებისა და აღრიცხვის ინსტრუქციას ამტკიცებს საგენტო.

საგენტოსათვის გადაცემამდე ქონების შენახვას უზრუნველყოფს ქონების ჩამორთმევაზე/განსაკარგავად გადაცემაზე უფლებამოსილი ორგანო/პირი. მალფუჭებადი საქონელი, რომელიც შენახვის სპეციალურ პირობებს საჭიროებს, მისი დაუყოვნებლივ განაწილების და/ან რეალიზაციის შეუძლებლობის შემთხვევაში, შეინახება მაცივარ-კამერებში, რასაც უზრუნველყოფს ქონების ჩამორთმევაზე უფლებამოსილი ორგანო/პირი. სახელმწიფოს საკუთრებაში მიქცეული ქონების ზოგიერთი კატეგორიის მიმართ შესაძლებელია დაწესდეს შენახვის განსაკუთრებული რეჟიმი, მათ შორის: ფულადი სახსრები და სხვა ფასიანი ქაღალდები შესანახად შესაძლებელია გადაეცეს სებანკო დაწესებულებებს; იარაღი და საბრძოლო მასალა შესანახად შესაძლებელია გადაეცეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. ზემოთ აღნიშნული ანაზღვრული დაწესებულებებისთვის ქონების შესანახად გადაცემისას ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

საგენტო ქონების შეფასებას აწარმოებს დამოუკიდებლად ან ქონების სპეციფიკის გათვალისწინებით, მის მიერ შერჩეული დამოუკიდებელი აუდიტორის/ექსპერტის მიერ და ა.შ[493].

საქონლის განკარგვა საბაჟო ორგანოს ინიციატივით. საბაჟო ორგანოს ინიციატივით საქონლის განადგურება და საქონლის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა ხორციელდება იმ საქონლის მიმართ:

- ა) რომლის გაშვება არ შეიძლება, რადგან დეკლარანტის (მათ შორის, პროცედურის მფლობელის ან საქონლის მფლობელის)

---

[493] სრული სახით იხ. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს #1-1/346 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონებისა და სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე, https://matsne.gov.ge/ka/document/view/4979526?publication=0.

მიზეზით შეუძლებელია დადგენილ ვადაში საბაჟო ფორმალობების განხორციელება (საბაჟო პროცედურაში მოქცევა) ან არ იქნა გადახდილი იმპორტის გადასახდელი ან/და არ იქნა წარდგენილი საგარანტიო უზრუნველყოფა;

• ბ) რომლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან/და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალულია ან შეზღუდულია;

• გ) რომელიც გაშვებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში არ იქნა გატანილი საბაჟო კონტროლის ზონიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულია გაშვებული საქონლის საბაჟო კონტროლის ზონაში გარკვეული ვადით დატოვება;

• დ) რომელზეც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ განსაზღვრულა საბაჟო პროცედურა (მათ შორის, დროებით შენახულ საქონელზე) ან რომლის მიმართაც აღნიშნული ვადის ამოწურვამდე ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის განკარგვის ღონისძიება განხორციელებული არ არის;

• ე) რომელზეც საბაჟო პროცედურა განსაზღვრულია და საბაჟო საწყობში მისი დროებით შენახვის **180-დღიანი ვადა,** ხოლო ექსპორტის შემთხვევაში – **120-დღიანი ვადა** ამოწურულია, თუ საბაჟო პროცედურა არ დასრულებულა ან სხვა საბაჟო პროცედურა განსაზღვრული არ არის, ან რომლის მიმართაც ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის განკარგვის ღონისძიება განხორციელებული არ არის;

• ვ) რომელზეც ამოწურულია საბაჟო საწყობის პროცედურაში შენახვის ვადა და არ არის განხორციელებული აღნიშნული ვადის გაგრძელება ან არაა განსაზღვრული სხვა საბაჟო პროცედურა ან არ არის გამოყენებული ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის განკარგვის ღონისძიება.

საბაჟო ორგანო წერილობით ატყობინებს დეკლარანტს (მათ შორის, პროცედურის მფლობელს ან საქონლის მფლობელს) საქონლის განკარგვის განზრახვას და ადგენს ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრის ვადას, რომელიც არ უნდა

აღემატებოდეს 30 დღეს. დადგენილ ვადაში დეკლარანტის (მათ შორის, პროცედურის მფლობელის ან საქონლის მფლობელის) მიერ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ან საქონლის რეექსპორტის შემთხვევაში საბაჟო ორგანო არ ახორციელებს საქონლის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემას ან განადგურებას.

საქონელი სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემულად მიიჩნევა საბაჟო ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან.

საბაჟო სანქციის სახით საბაჟო სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევა ხორციელდება მხოლოდ საბაჟო ორგანოს ინიციატივით, რაც ფორმდება საბაჟო სამართალდარღვევის ოქმითა და საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის ოქმით.

საბაჟო ორგანოს ინიციატივით საქონლის განადგურება და საქონლის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა ხორციელდება იმ საქონლის მიმართ:

- ა) რომლის გაშვება არ შეიძლება, რადგან დეკლარანტის (მათ შორის, პროცედურის მფლობელის ან საქონლის მფლობელის) მიზეზით შეუძლებელია დადგენილ ვადაში საბაჟო ფორმალობების განხორციელება (საბაჟო პროცედურაში მოქცევა) ან არ იქნა გადახდილი იმპორტის გადასახდელი ან/და არ იქნა წარდგენილი საგარანტიო უზრუნველყოფა;
- ბ) რომლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან/და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალულია ან შეზღუდულია;
- გ) რომელიც გაშვებიდან **5 სამუშაო დღის** ვადაში არ იქნა გატანილი საბაჟო კონტროლის ზონიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულია გაშვებული საქონლის საბაჟო კონტროლის ზონაში გარკვეული ვადით დატოვება;
- დ) რომელზეც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ განსაზღვრულა საბაჟო პროცედურა (მათ შორის, დროებით შენახულ საქონელზე) ან რომლის მიმართაც აღნიშნული ვადის ამოწურვამდე ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-5

პუნქტით გათვალისწინებული საქონლის განკარგვის ღონისძიება განხორციელებული არ არის;

• ე) რომელზეც საბაჟო პროცედურა განსაზღვრულია და საბაჟო საწყობში მისი დროებით შენახვის 180-დღიანი ვადა, ხოლო ექსპორტის შემთხვევაში – 120-დღიანი ვადა ამოწურულია, თუ საბაჟო პროცედურა არ დასრულებულა ან სხვა საბაჟო პროცედურა განსაზღვრული არ არის, ან რომლის მიმართაც ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის განკარგვის ღონისძიება განხორციელებული არ არის;

• ვ) რომელზეც ამოწურულია საბაჟო საწყობის პროცედურაში შენახვის ვადა და არ არის განხორციელებული აღნიშნული ვადის გაგრძელება ან არაა განსაზღვრული სხვა საბაჟო პროცედურა ან არ არის გამოყენებული ინსტრუქციის „საქონლის განკარგვის შესახებ“ პირველი მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის განკარგვის ღონისძიება, კერძოდ, როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ, *საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, უარი განაცხადოს დეკლარანტის (მათ შორის, პროცედურის მფლობელის ან საქონლის მფლობელის) ინიციატივით საქონლის სახელმწიფო (მათ შორის, თვითმმართველი ერთეულის) საკუთრებაში გადაცემაზე, თუ: საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან/და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალულია ან შეზღუდულია; საქონელი ეჭვემდებარება განადგურებას.*

საქონლის განადგურებასა და საქონლის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებული საქონლის განკარგვის ღონისძიებები საბაჟო ორგანოს ინიციატივით ხორციელდება იმ საქონლის მიმართ:

• ა) რომლის გაშვება არ შეიძლება, რადგან დეკლარანტის მიზეზით შეუძლებელი გახდა დადგენილ ვადაში საბაჟო ფორმალობების განხორციელება/საქონლის საბაჟო პროცედურაში მოქცევა ან გადახდილი არ იქნა იმპორტის გადასახდელი ან/და წარდგენილი არ იქნა გარანტია;

• ბ) რომლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან/და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალულია ან შეზღუდულია;

• გ) რომელიც გაშვებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში გატანილი არ იქნა საბაჟო კონტროლის ზონიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულია გაშვებული საქონლის საბაჟო კონტროლის ზონაში გარკვეული ვადით დატოვება;

• დ) რომლის (მათ შორის, დროებით შენახული საქონლის) მიმართაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ განსაზღვრულა საბაჟო პროცედურა ან რომლის მიმართაც აღნიშნული ვადის ამოწურვამდე საქონლის განკარგვის ღონისძიება არ განხორციელებულა;

• ე) რომლის მიმართაც საბაჟო პროცედურა განსაზღვრულია და საქონელი, რომლის მიმართაც უკვე განსაზღვრულია საბაჟო პროცედურა, გარდა ექსპორტის პროცედურისა, შესაბამისი პირის მოთხოვნით საბაჟო საწყობში შეიძლება შენახულ იქნეს დროებით, არაუმეტეს 180 დღისა, ხოლო ექსპორტის პროცედურის შემთხვევაში - არაუმეტეს 120 დღისა - ვადა ამოწურულია, თუ ეს საბაჟო პროცედურა არ დასრულებულა ან სხვა საბაჟო პროცედურა არ განსაზღვრულა, ან რომლის მიმართაც საქონლის განკარგვით კანონმდებლობით გათვალისწინებული საქონლის განკარგვის ღონისძიება არ განხორციელებულა;

• ვ) რომლის საბაჟო საწყობის პროცედურაში შენახვის ვადა ამოიწურა და არ გაგრძელებულა, ან რომლის მიმართაც სხვა საბაჟო პროცედურა არ განსაზღვრულა ან არ განხორციელებულა ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული საქონლის განკარგვის ღონისძიება;

• ზ) რომელიც გათვალისწინებულია ამავე კოდექსის 164-ე მუხლის მე-8 ნაწილით, კერძოდ: *„თუ საბაჟო სამართალდარღვევის გამოვლენიდან 30 დღის ვადაში შეუძლებელია ამ ქმედების ჩამდენი პირის დადგენა ან/და იდენტიფიცირება, საბაჟო ორგანო იღებს გადაწყვეტილებას საბაჟო სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ“.*

საბაჟო ორგანო დეკლარანტს წერილობით ატყობინებს საქონლის განკარგვის განზრახვის შესახებ და ადგენს ნაკლოვანებების აღმოფხვრის ვადას, რომელიც **30 დღეს** არ უნდა აღემატებოდეს. ამ

ვადაში დეკლარანტის მიერ აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრის ან საქონლის რეექსპორტის შემთხვევაში საბაჟო ორგანო არ ახორციელებს საქონლის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემას ან საქონლის განადგურებას.

დეკლარანტის ინიციატივითა და საბაჟო ორგანოს ზედამხედველობით ხორციელდება საქონლის განკარგვის შემდეგი ღონისძიებები:

- ა) საქონლის სახელმწიფო საკუთრებაში ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემა;
- ბ) საქონლის განადგურება.

საქონლის განკარგვის მიზნით საბაჟო ორგანოს მიერ მის მიმართ ღონისძიებების განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით, „საქონლის განკარგვის შესახებ“, დანართი №18.

3. საქონლის სახელმწიფოსთვის ან/და მუნიციპალიტეტისთვის გადაცემა

საბაჟო კოდექსის 104-ე მუხლის შესახებ, კერძოდ: პროცედურის მფლობელმა ან საქონლის მფლობელმა უცხოური საქონელი და მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონელი საბაჟო ორგანოსთან წინასწარი შეთანხმებით შეიძლება საკუთრებაში გადასცეს სახელმწიფოს ან/და მუნიციპალიტეტს“, - ჩვენ მე-2 პარაგრაფში ვისაუბრეთ და ამ საკითხებს ამ შემთხვევაში აღარ განვავრცობთ.

საქონლის სახელმწიფოსთვის ან/და მუნიციპალიტეტისთვის გადაცემის წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით „საქონლის განკარგვის შესახებ“.

A. დასამახსოვრებელი დებულებები!

შესაბამისი საფუძვლის არსებობისას საბაჟო ორგანოს შეუძლია მოითხოვოს მისთვის წარდგენილი საქონლის განადგურება, რის შესახებაც მან უნდა აცნობოს საქონლის მფლობელს. საქონლის განადგურების ხარჯებს საქონლის მფლობელი ანაზღაურებს.

საბაჟო ორგანომ საქონლის განკარგვის მიზნით მის მიმართ შეიძლება განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები: სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევა; საქონლის განადგურება; საქონლის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა.

საბაჟო ორგანომ საქონლის განკარგვის მიზნით მის მიმართ შეიძლება განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები: საბაჟო სანქციის სახით საბაჟო სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევა; საქონლის განადგურება; საქონლის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა; საბაჟო სანქციის სახით საბაჟო სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევა; საქონლის განადგურება. საქონლის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა

B. კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის:

რა ღონისძიებები უნდა განახორციელოს საბაჟო ორგანომ საქონლის განკარგვის მიზნით?

რომელი საქონლის მიმართ შეიძლება განხორციელდეს განკარგვის ღონისძიებები?

ჩამოთვალეთ საქონლის განკარგვის ღონისძიებები

რისი განადგურებაა აკრძალული საბაჟო კანონმდებლობით?

C. ტესტები:

საბაჟო ორგანომ საქონლის განკარგვის მიზნით მის მიმართ შეიძლება განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:

ა. საბაჟო სანქციის სახით საბაჟო სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევა; საქონლის განადგურება; საქონლის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა

ბ. საბაჟო სანქციის სახით საბაჟო სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევა

გ. საქონლის განადგურება

დ. საქონლის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა.

საქონლის განკარგვის ღონისძიებები საბაჟო ორგანოს ინიციატივით ხორციელდება იმ საქონლის მიმართ:

ა. რომლის გაშვება არ შეიძლება, რადგან დეკლარანტის მიზეზით შეუძლებელი გახდა დადგენილ ვადაში საბაჟო ფორმალობების განხორციელება/საქონლის საბაჟო პროცედურაში მოქცევა ან გადახდილი არ იქნა იმპორტის გადასახდელი ან/და წარდგენილი არ იქნა გარანტია

ბ. რომლის გაშვება არ შეიძლება, რადგან დეკლარანტის მიზეზით შეუძლებელი გახდა დადგენილ ვადაში საბაჟო ფორმალობების განხორციელება/საქონლის საბაჟო პროცედურაში მოქცევა ან გადახდილი არ იქნა იმპორტის გადასახდელი ან/და წარდგენილი არ იქნა გარანტია; რომლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან/და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალულია ან შეზღუდულია; რომელიც გაშვებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში გატანილი არ იქნა საბაჟო კონტროლის ზონიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულია გაშვებული საქონლის საბაჟო კონტროლის ზონაში გარკვეული ვადით დატოვება; რომლის (მათ შორის, დროებით შენახული საქონლის) მიმართაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ განსაზღვრულა საბაჟო პროცედურა ან რომლის მიმართაც აღნიშნული ვადის ამოწურვამდე საქონლის განკარგვის ღონისძიება არ განხორციელებულა

გ. რომლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან/და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალულია ან შეზღუდულია;

დ. რომელიც გაშვებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში გატანილი არ იქნა საბაჟო კონტროლის ზონიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულია გაშვებული საქონლის საბაჟო კონტროლის ზონაში გარკვეული ვადით დატოვება; რომლის (მათ შორის, დროებით შენახული საქონლის) მიმართაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ განსაზღვრულა საბაჟო პროცედურა ან რომლის მიმართაც აღნიშნული ვადის ამოწურვამდე საქონლის განკარგვის ღონისძიება არ განხორციელებულა.

დეკლარანტის ინიციატივითა და საბაჟო ორგანოს ზედამხედველობით ხორციელდება საქონლის განკარგვის შემდეგი ღონისძიებები:

ა. საქონლის სახელმწიფო საკუთრებაში ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემა

ბ. საქონლის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა

გ. საქონლის სახელმწიფო საკუთრებაში ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემა; საქონლის განადგურება

დ. საქონლის განადგურება.

საბაჟო ორგანომ საქონლის განკარგვის მიზნით მის მიმართ შეიძლება განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:

ა. საბაჟო სანქციის სახით საბაჟო სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევა; საქონლის განადგურება; საქონლის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა

ბ. საბაჟო სანქციის სახით საბაჟო სამართალდარღვევის საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევა

გ. საქონლის განადგურება

დ. საქონლის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა.

აკრძალულია შემდეგი საქონლის განადგურება:

ა. კულტურული ფასეულობები

ბ. გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ცხოველთა და მცენარეთა სახეობები, ასევე მათი ნაწილები და წარმოშობის წყაროები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი განადგურება ნებადართულია ეპიდემიისა და ეპიზოოტიის შეჩერების მიზნით

გ. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩამორთმეული საქონელი ან საქონელი, რომელსაც ყადაღა აქვს დადებული

დ. კულტურული ფასეულობები; გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ცხოველთა და მცენარეთა სახეობები, ასევე მათი ნაწილები და წარმოშობის წყაროები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი განადგურება ნებადართულია ეპიდემიისა და ეპიზოოტიის შეჩერების მიზნით; საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩამორთმეული საქონელი ან საქონელი, რომელსაც ყადაღა აქვს დადებული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი განადგურება ნებადართულია ეპიდემიისა და ეპიზოოტიის შეჩერების მიზნით, ან როდესაც იგი პირდაპირ ან პოტენციურ საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

D. კაზუსი:

საბაჟო ორგანომ განაადგურა კულტურული ფასეულობები, რომლებიც ქვეყნის ეროვნულ სიმდიდრეს შეადგენდა.

ჰქონდა თუ არა საბაჟო ორგანოს ამის უფლება?

E. სამართლებრივი აქტები:

საერთაშორისო აქტები:

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელწიფოებს შორის,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0

საკანონმდებლო აქტები:

საქართველოს სამაჟო კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=5

საქართველოს საგადასახადო კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/32842?publication=69

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=37

კანონქვემდებარე აქტები:

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №420 დადგენილება „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე",
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1167052?publication=8

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე", ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ", დანართი №8,
https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „გარანტიის შესახებ" („დანართი №4"),
https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე", ინსტრუქცია „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ" (დანართი #5), https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის ბრძანება №275 წლის „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე" დანართი #1,
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3

ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ", დანართი №11, https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ბრძანება № 465/ო (1999 წლის 29 ნოემბერი), „სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების, ამ ნივთიერებათა წამლის ფორმების, მათი შემცველი კომბინირებული პრეპარატების გამოსაწერი რეცეპტის ბლანკის ფორმების დამტკიცების, მათი დანიშვნისა და გამოწერის დროებითი წესების შესახებ", [1] https://matsne.gov.ge/ka/document/view/50164?publication=0

ინსტრუქცია „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ", https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=48

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია (დანართი №2) „საბაჟო კონტროლის შესახებ",
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ" ინსტრუქციის (დანართი №1),
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს #257 ბრძანება „საქართველო საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე", დანართი #3, ინსტრუქცია „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ",
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ" (დანართი №3),
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული „დეკლარირების კლასიფიკატორის" (დანართი №19),
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ",
https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/1167887/285/ge/pdf

ფინანსთა მინისტრის ბრძანება #257-ის (დანართი №17) „მილსადენითა და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებული საქონლის შესახებ", https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის ბრძანება #257 (დანართი #16),ინსტრუქცია „რეექსპორტის შესახებ“,
https://www.rs.ge/Media/Default/კანონმდებლობა/კანონები/257%20დანართი%2016.pdf

ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანება (დანართი №9) „საბაჟო საწყობის პროცედურის შესახებ ინსტრუქცია“,
https://rs.ge/Media/Default/კანონმდებლობა/კანონები/257%20დანართი%209.pdf

ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანების (დანართი №6) ინსტრუქცია „საჭონლის დროებით შენახვის შესახებ“,
https://www.rs.ge/Media/Default/კანონმდებლობა/კანონები/257.pdf

ფინანსთა მინისტრის #257 ბრძანებით დამტკიცებული (დანართი №1), ინსტრუქცია „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის #257 ბრძანება, ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა „ საქონლის განკარგვის შესახებ“, დანართი №18,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს #1-1/346 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის განსაკარგავად გადაცემული ქონებისა და სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4979526?publication=0

F. გამოყენებული ლიტერატურა:

ბარაზი ია, საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, დამხმარე სახელმძღვანელო, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2021

ბარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2007

ბარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2010

ხარაზი ია; საქართველოს საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2015

ია ბარაზი, საბაჟო სამართალი, ლექციების კურსი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019, https://www.sou.edu.ge

ნადარაია, როგავა, რუხაძე, ბოლქვაძე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი §§ 1-155, 47-ე მუხლ. ავტ. ნადარაია, 331, https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00J1P6.pdf

გონერ ურიდია, ფრიდონ არახამია, საბაჟო საქმის თეორია, თბილისი, 2009

ლორთქიფანიძე ვ; საბაჟო საქმის საფუძვლები, თბილისი, 2002

G. ვებრესურსები:

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=5

https://www.sou.edu.ge

https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00J1P6.pdf

https://www.rs.ge

თავი VI. საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება

1. საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება. მოქმედების სფერო და მიზანი

უცხოური საქონელი, რომელიც განკუთვნილია საქართველოში რეალიზაციისთვის, მოხმარებისთვის ან გამოყენებისთვის, უნდა მოექცეს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში.

იმპორტი - ლექსიკონის განმარტებით არის „საქონლის, მომსახურების, სამუშაოს, ინტელექტუალური საქმიანობის შედეგების და მისთანათა საზღვარგარეთიდან შემოტანა რომელიმე ქვეყნის საბაჟო ტერიტორიაზე მათი ქვეყნიდან გატანის ვალდებულების გარეშე"[494], ან კიდევ, „იმპორტი არის საქონლის შემოტანა საზღვარგარეთიდან"[495].

იმპორტი (Importare) ლათინური წარმოშობის სიტყვაა და „შემოტანას" ნიშნავს. ამ შემთხვევაში საგადასახადო -საბაჟო ასპექტით იმპორტის ქვეშ იგულისხმება საქონლის შემოტანა ქვეყანაში[496]. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით (#257 2019, წლის 29 აგვისტო) „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე", დამტკიცებული ინსტრუქციით (დანართი №12) „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ", „თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურის გამოყენება შესაძლებელია

---

[494] მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე] - თბ., 2004 - 483 გვ.: ცხრ.; 24სმ. - (საჯარო მოსამსახურის ბ-კა). - ISBN 99940-0-063-2: [ფ.ა.]; http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=17983.

[495] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1962, 248.

[496] იხ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება (#257 2019 წლის 29 აგვისტო) „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე", ინსტრუქცია (დანართი №12) „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ", https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი უცხოური საქონლის მიმართ. დეკლარანტს შეუძლია, უცხოურ საქონელზე განსაზღვრული ნებისმიერი საბაჟო პროცედურა ან რეექსპორტი ნებისმიერ დროს შეცვალოს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურით, თუ წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტები". საგადასახადო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, „უცხოური საქონელი, რომელიც განკუთვნილია საქართველოში რეალიზაციისთვის, მოხმარებისთვის ან გამოყენებისთვის, უნდა მოექცეს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში. საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება იწვევს: იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულების წარმოშობას; მის მიმართ ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებებისა და აკრძალვებისა და შეზღუდვების გამოყენებას, თუ ისინი მანამდე გამოყენებული არ ყოფილა; მის შემოტანასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნების შესრულებას. თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას საქონელს ენიჭება საქართველოს საქონლის სტატუსი.

საქართველოს საბაჟო კოდექსში, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებაში - „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე" შემოდის ტერმინები: „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურები"; „თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება";[497] „იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლების განსაკუთრებული შემთხვევები" და სხვა მუხლები, რომლებიც საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებასა და იმპორტის გადასახადის გადახდასა თუ გადასახადისგან გათავისუფლების განსაკუთრებული შემთხვევებს ეხებიან.

საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება უმნიშვნელოა საქონლის სხვა პროცედურაში გაშვებასთან შედარებით. ამ პროცედურით შემოტანილი საქონლის რაოდენობა სჭარბობს ყველა დანარჩენი პროცედურებით საქონელბრუნვას საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე. ეს ერთადერთი პროცედურაა, რომლითაც შემოტანილი საქონელი ექვემდებარება საგადასახადო ვალდებულებას

[497] საბაჟო კოდექსი, თავი XVI.

(დაბეგვრას)[498]. ამ პროცედურის კულმინაციური და დამაგვირგვინებელი მომენტია გაშვება. უფრო მეტიც, თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული საქონელი შეიძლება არა მარტო გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი მიზნებისათვის, არამედ ღებულობს საქართველოს საქონლის სტატუსს და განიკარგება, ისევე როგორც საქართველოს სხვა საქონელი. ეს ნიშნავს, რომ შემდგომში სხვა პროცედურებში ასეთი საქონლის მოთავსებისას მათ მიმართ გამოყენებული იქნება იგივე გადასახადები და ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებები, როგორც ქართული წარმოების საქონელზე. იმავე მოტივით, თუ საქართველოს საქონელი ადრე გატანილი იყო საზღვარგარეთ და შემოიტანება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე[499] თავისუფალ მიმოქცევაში, ამ საქონლის მიმართ უნდა იქნეს გამოყენებული ისეთივე გადასახადები და ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებები, როგორც საერთოდ უცხო ქვეყნის საქონლის შემოტანისას[500].

საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მოქცეული და გაშვებული უცხოური საქონელი კარგავს უცხოური საქონლის სტატუსს და ღებულობს იმპორტიორი ქვეყნის საქონლის სტატუსს.

მაგალითი:

საქართველოში აზერბაიჯანიდან შემოტანილი იქნა აზერბაიჯანული წარმოების საქონელი. აღნიშნული საქონელი იმპორტში მოქცევის და გაშვებისას დაკარგავს აზერბაიჯანული საქონლის სტატუსს და საქართველოს საქონლად იწოდება.

„ტერმინში - **„თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება“** იმ ფაქტს გულისხმობენ, რომ მოცემული საქონელი თავისუფალია საგადასახადო კონტროლისა და ფორმალობებისაგან და მისი განკარგვა შესაძლებელია შესაბამისი პირის მიერ თავისუფლად. მაგრამ, ამ შემთხვევაში, **„თავისუფალი განკარგვა“** ფარდობითი სიტყვაა, კერძოდ, თუ საქონელი თავისუფალ მიმოქცევაშია მოქცეული და გაშვებულია

---

[498] ხარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბილისი, 2014, 397.

[499] წინა მოქმედი საბაჟო კოდექსებით იგი მოიხსენიებოდა, როგორც რეიმპორტი.

[500] სქ. 501.

ამ ოპერაციის შესაბამისად მიზნობრივი დანიშნულებით, მაშინ ამ საქონლის გაშვება თავისუფალ მიმოქცევაში შეზღუდულია შესაბამისი ჩარჩოებით"[501].

მაგალითი:

საქონელი ჰუმანიტარული მიზნით შემოვიდა საქართველოში. გამოდის, რომ ეს საქონელი მხოლოდ ამ მიზნით უნდა იყოს გამოყენებული[502].

სხვა შემთხვევაში, როცა იგი არამიზნობრივად გამოიყენება, მაშინ მასზე გადაიხდევინება შესაბამისი გადასახდელები და სათანადო საგადასახადო სანქციებიც დაწესდება. აქვე ავღნიშნავდით, რომ თავისუფალ მიმოქცევაში შეიძლება არა მხოლოდ იმპორტირებული, არამედ რეიმპორტირებული[503] საქონელიც განთავსდეს[504].

ადრე მოქმედ საგადასახადო და საბაჟო კოდექსებში იგი ასეთი სახით არ გვხვდებოდა. „ერთი ფანჯრის პრინციპით" ამოქმედებულმა საგადასახადო კოდექსმა[505] თავის თავში მოუყარა თავი გადასახდელთა ყველა სახეს და ამით უფრო გამჭვირვალე გახადა გადასახადის გადამხდელთათვის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახდელთა სახეები და მისი ამოღება უფრო ხელმისაწვდომი გახადა საგადასახადო სამსახურის მუშაკებისათვის[506].

საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება იწვევს:

---

[501] ხარაზი ია, საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, მეორე ნაწილი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „გეორგიკა", თბილისი, 2020, 547.

[502] საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების შესახებ ვრცელი კომენტარი იხ. ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021.

[503] რეიმპორტი - საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ექსპორტის საბაჟო რეჟიმით გატანილი სამამულო საქონლის უკან შემოტანა დადგენილ ვადებში, საქონლის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებათა გამოუყენებლად.

[504] ხარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბილისი, 2014, 399.

[505] იმპორტის გადასახადის შესახებ ნორმებმა ცხადია ასევე თავი მოიყარა 2019 წლის საბაჟო კოდექსში.

[506] ხარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, თბილისი, 2015, 673-674.

• ა) იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულების წარმოშობას;

იმპორტის გადასახადს ორი ძირითადი ფუნქცია გააჩნია: 1. ფისკალური, რამეთუ იგი სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს და, 2. პროტექციონისტული (დამცავი), რადგან სახელმწიფო ამ გადასახადის შემოღებით შიდა ბაზარზე ადგილობრივ მწარმოებლებს იცავს არასასურველი უცხოური საქონლის კონკურენციისაგან.

გადასახადები არსებობს მოხმარებაზე, გადასახადები ბრუნვაზე და ა.შ. საგადასახადო დაბეგვრის ობიექტის პერსონიფიკაციის მიხედვით მიღებულია **გადასახადების ორ ჯგუფად დაყოფა: პირდაპირი და არაპირდაპირი**[507]. საგადასახადო კოდექსის მე-6 მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, იმპორტის გადასახადი საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს მიეკუთვნება.

საგადასახადო კოდექსის მუხლი 195-ის თანახმად, იმპორტის გადასახადის გადამხდელია პირი, რომელიც საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადააადგილებს საქონელს, გარდა ექსპორტისა. **საგადასახადო კოდექსის 196-ე მუხლის თანხმად, კი:** იმპორტის გადასახადით დაბეგვრის ობიექტია საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთისას საქონლის საბაჟო ღირებულება, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საგადასახადო კოდექსის მუხლი 197-ში მოცემულია იმპორტის გადასახადის განაკვეთები. იმპორტის გადასახადის განაკვეთებია 12% და 5%.

საქართველოს არც თუ ისე შორეულ წარსულში, 1992 წლიდან საქართველოში საბაჟო პოლიტიკა მოქმედებდა (ამ წელს იქნა მიღებული პირველი საბაჟო კოდექსი), როდესაც დაწესდა პირველი ეროვნული უნიფიცირებული (ყველა საქონლისათვის ერთნაირი) ტარიფები: ექსპორტისათვის - 8%, გარიგების (კონტრაქტის)

---

[507] სვანაძე სერგო „არაპირდაპირი გადასახადები. მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები”, დისერტაცია, ქუთაისი, 2009, 201.

ღირებულებიდან იმპორტზე - 2%, ბარტერზე 20% (საიდან მოდიოდა ეს ტარიფები, რატომ განისაზღვრა ეს ასე - ვერ იქნა მოძიებული[508]).

1994 წლიდან რამდენადმე დაიხვეწა ტარიფების სახე: მოიხსნა საექსპორტო და ბარტელის ტარიფები, თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტის) საბაჟო რეჟიმით[509] საქონლის შემოტანისას ტარიფი 12%-ით განისაზღვრა და მას საფუძვლად დაედო საბაჟო ღირებულება (და არა გამოშვების ფასი), ანუ საქონლის ღირებულება საბაჟო საზღვრის გადმოკვეთის მომენტში[510].

1995-2000 წლებში საქართველოში მოქმედებდა ერთიანი უნიფიცირებული საბაჟო ტარიფი 12%. მოგვიანებით, საქონლის მცირე ჯგუფზე (ფარმაცევტული პროდუქცია, ძირითადი საშუალებები, მათი სათადარიგო და მაკომპლექტებელი ნაწილები, საწარმოო დანიშნულების საქონელი) დაწესდა შეღავათიანი 5%-იანი ტარიფი.

მოკლედ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შესახებ. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (World Trade Organization, აკრონიმი WTO) - საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც დაარსდა 1995 წელს GATT-ის საფუძველზე, ურუგვაის რაუნდის რვაწლიანი მოლაპარაკებების შედეგად და მან ფაქტიურად შეცვალა გატტი (GATT). მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ უპრეცედენტოდ გაზარდა გლობალური ეკონომიკა. მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის ამ ორგანიზაციაში გაწევრიანება მომგებიანად ითვლება, რადგან უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი, დისკრიმინაციისაგან დაცვა და ეროვნულ თუ იმპორტირებულ საქონელზე თანაბარი გადასახადების დაწესება ხელს უწყობს როგორც ამ ქვეყნის მომხმარებლის მსყიდველობითუნარიანობას, ასევე მეწარმეებს შანსი ეძლევათ თავისი პროდუქცია ქვეყნის გარეთაც გაიტანონ. შემცირებული ტარიფების სანაცვლოდ მოგებას ქვეყნები გაზრდილი ვაჭრობით იღებენ.

---

[508] ხარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა", თბილისი, 2015, 674.

[509] დღეს მოქმედი საგადასახადო კოდექსით საბაჟო დამუშავების ოპერაცია.

[510] ხარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2010, 249.

ბარიერების შემცირებაც ისეა გათვალისწინებული, რომ გაუმჯობესდეს შიდა მეწარმეობა. WTO-ის ეგიდით გაფორმდა მრავალი შეთანხმება, მათ შორის, **ჰ.7: საბაჟო შეფასება,** რომლის მიხედვით, საბაჟო შეფასების შესახებ შეთანხმება საბაჟოებისგან მოითხოვს საბაჟო ღირებულების განსაზღვრას საერთაშორისო დონეზე აღიარებული მეთოდების გამოყენებით, ძირითადად კონტრაქტით გაზრდილი ფასის ან იმპორტიორის მიერ გადაზრდილი ღირებულების საფუძველზე; ასევე, **ჰ.10. იმპორტის ლიცენზირების პროცედურები,** რომლის თანახმად, „იმპორტის ლიცენზირების შესახებ შეთანხმება ქვეყნისაგან მოითხოვს იმპორტის ლიცენზირების შესახებ საკმარისი ინფორმაციის გამოქვეყნებას, პროცედურის სიმარტივესა და დაუსაბუთებელი უარის გასაჩივრების შესაძლებლობას, რათა ხელი არ შეეშალოს ვაჭრობას[511].

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას აქვს სამი ძირითადი მიზანი:

1. ხელი შეუწყოს ვაჭრობას;
2. მიაღწიოს თანდათანობით ლიბერალიზაციას მოლაპარაკებების გზით;
3. დანერგოს დავების სამართლიანი მოგვარების მექანიზმები.

მისი ერთ-ერთი მიზანია აგრეთვე, პროტექციონიზმთან ბრძოლა.

ასოცირების შეთანხმების შესახებ. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის[512] **კარი IV („ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები") თავი 1 („ეროვნული რეჟიმი და საქონლისათვის ბაზრის ხელმისაწვდომობა") ნაწილი 1 ზოგადი დებულებები მუხლი 22, შეთანხმების მიზნებს ეხება ვაჭრობის დარგში,** კერძოდ: მხარეები შექმნიან თავისუფალ სავაჭრო ამ შეთანხმების დებულებების და ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების

---

[511] „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია", http://legalclinic.iliauni.edu.ge/index.php/en/12-სტატიები/100-მსოფლიო-სავაჭრო-ორგანიზაცია.html.

[512] სრულად შევიდა ძალაში 2016 წლის 1 ივლისიდან.

(GATT 1994) XXIV მუხლის შესაბამისად. 24-ე მუხლის თანახმად, „საბაჟო გადასახადი" მოიცავს ყველა სახის გადასახადს ან ნებისმიერი ტიპის მოსაკრებელს, რომელიც დაწესებულია ან დაკავშირებულია საქონლის ექსპორტსა ან იმპორტთან, ყველა სახის ქვეგადასახადის ან ქვემოსაკრებელის ჩათვლით, რომელიც დაწესებულია ან დაკავშირებულია ასეთ იმპორტსა ან ექსპორტთან. „საბაჟო გადასახადი" არ მოიცავს არცერთი სახის: (a) მოსაკრებელს, რომელიც ამ შეთანხმების 31-ე მუხლის თანახმად დაწესებული შიდა გადასახადის ეკვივალენტურია; (b) გადასახადს, რომელიც დაწესებულია წინამდებარე შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-2 თავის (სავაჭრო ზომები) შესაბამისად; (c) გადასახდელებს ან სხვა მოსაკრებლებს, რომლებიც დაწესებულია ამ შეთანხმების 30-ე მუხლის შესაბამისად. **26-ე მუხლის („იმპორტზე საბაჟო გადასახადების გაუქმება") თანახმად,** ამ შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან, მხარეებმა უნდა გააუქმონ ყველა საბაჟო გადასახადი მეორე მხარეში წარმოშობილ პროდუქციაზე. ...საქონელივ საბაჟო გადასახადის გარეშე უნდა იქნას იმპორტირებული ევროკავშირში, ამ დანართში მითითებული სატარიფო კვოტის ფარგლებში. სატარიფო კვოტაზე გადაჭარბებით იმპორტისას გამოყენებული უნდა იყოს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესაბამისი საბაჟო გადასახადის განაკვეთი. ..საქართველოში წარმოშობილი პროდუქტის იმპორტი, რომელიც ჩამოთვლილია ამ შეთანხმების II-C დანართში, დაექვემდებარება გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმს წინამდებარე შეთანხმების 27-ე მუხლის შესაბამისად... არცერთმა მხარემ არ უნდა დააწესოს ან შეინარჩუნოს აკრძალვა ან შეზღუდვა მეორე მხარის საქონლის იმპორტზე ან საქონლის ექსპორტზე ან ექსპორტის მიზნით გაყიდვებზე, რომელიც განკუთვნილია მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე გასატანად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სხვაგვარად არის განსაზღვრული ამ შეთანხმებით ან GATT 1994-ის XI მუხლით და მისი განმარტებითი ჩანაწერებით. ამ მიზნით, GATT 1994-ის XI მუხლი და მისი განმარტებითი

ჩანაწერები წარმოადგენს წინამდებარე შეთანხმების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს და ა.შ[513].

იმპორტის 12%-იანი და 5%-იანი დაბეგვრის შესახებ იხ. საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლის ცხრილები.

რაც შეეხება საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლის მე-3 ნაწილს, ამ ნაწილში აღნიშნული საქონელი იბეგრება იმპორტის გადასახადის შემდეგი განაკვეთებით: (euro/%vol/HL ნიშნავს, რომ ერთ ჰექტოლიტრზე (100 ლიტრზე) გადასახდელი იმპორტის გადასახადის თანხა შეადგენს იმპორტის გადასახადის განაკვეთის ნამრავლს მოცემულ საქონელში ალკოჰოლის პროცენტული შემცველობის მაჩვენებელზე):

№	კოდი	საქონლის დასახელება	იმპორტის გადასახადის განაკვეთი
1	2204 10	– ღვინოები ცქრიალა	1,5 euro/lit
2	2204 21	– – 2 ლ ან 2 ლ-ზე ნაკლები ტევადობის ჭურჭელში	0,5 euro/lit
3	2204 29	– – დანარჩენი	0,2 euro/lit
4	2204 30	– ყურძნის ტკბილი, დანარჩენი	0,2 euro/lit
5	2205 10	– 2 ლ ან 2 ლ-ზე ნაკლები ტევადობის ჭურჭელში	0,5 euro/lit
6	2205 90	– დანარჩენი	0,2 euro/lit
7	2206 00	სხვა დადუღებული სასმელები (მაგალითად, სიდრი, პერი (მსხლის სიდრი), თაფლის სასმელი); ნარევები დადუღე ბული სასმელებისაგან და დადუღებული სასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარევები, სხვა ადგილას	0,5 euro/lit

[513] სრულად იხ. „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“ (ძალაში შევიდა 2016 წლის 1 ივლისიდან), https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959

		დაუსახელებელი ან ჩამოუთვლელი	
8	2207	ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.% ან 80 მოც.%-ზე მეტი; ეთილის სპირტი და სხვა დენატურირებული სპირტები ნებისმიერი კონცენტრაციით	3 euro/lit
9	2208 20	– სპირტის ნაყენები, მიღებული ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციის (გამოხდის) შედეგად	1.5 euro/%vol/HL
10	2208 30	– ვისკი	1.5 euro/%vol/HL
11	2208 40	– რომი და ტაფია	1.5 euro/%vol/HL
12	2208 50	– ჯინი და ღვიის ნაყენი	1.5 euro/%vol/HL
13	2208 60	– არაყი	1.5 euro/%vol/HL
14	2208 70	– ლიქიორები	1.5 euro/%vol/HL
15	2208 90	– დანარჩენი	1.5 euro/%vol/HL
16	2209 00	ძმარი და მისი შემცვლელები, მიღებული ძმარმჟავასაგან	0,4 euro/lit

მაგალითი:

1,5 euro/5vol/Hl ნიშნავს შემდეგს: ვთქვათ იმპორტირებულია ვისკი, რომელშიც სპირტის შემცველობა არის 60%. ამ შემთხვევაში 1 ლიტრზე იმპორტის გადასახადი იქნება 0,9 ევრო (1,5X60):100)[514].

საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებით შემოტანილი საქონელი საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე იბეგრება იმპორტის გადასახადის იმ თანხის **3 პროცენტით,** რომელიც გადაიხდეოდა დროებითი შემოტანის

[514] ურიდია გ; საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები, გამოცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2011, 367.

საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის იმპორტში მოქცევისას. აღნიშნული თანხა გადახდილი უნდა იქნეს არა უგვიანეს ყოველი თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, ხოლო ბოლო გადახდა უნდა განხორციელდეს საქონლის დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციის დასრულების დღეს. დეკლარანტს უფლება აქვს, მთელი გადასახდელი თანხა ერთდროულად გადაიხადოს, ხოლო მე-5 ნაწილი ითვალისწინებს შემთხვევას, როცა: საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნული, გადახდას დაქვემდებარებული თანხების ჯამური ოდენობა (საურავის გარეშე) არ უნდა აღემატებოდეს იმპორტის გადასახადის იმ თანხას, რომელიც გადაიხდევინებოდა დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის იმპორტში მოქცევისას.

მაგალითი:

დროებით, 2 წლის ვადით შემოყვანილია მსუბუქი ავტომობილი, რომლის იმპორტირებისას, იმპორტის გადასახადი შეადგენს 90 ლარს. ყოველთვიურად იმპორტიორს უნდა გადაებადა 5 ლარი.

შესაბამისად:

24 თვის განმავლობაში გადასახდელი თანხა შეადგენს 120 ლარს, მაგრამ, ვინაიდან გადასახდელი თანხის ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს იმპორტის გადასახადის ოდენობას, იგი იქნება არა 120 ლარი, არამედ 90 ლარი[515].

საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 სასაქონლო პოზიციაში აღნიშნული მსუბუქი ავტომობილის იმპორტში მოქცევისას იმპორტის გადასახადის განაკვეთია 0,05 ლარი ავტომობილის ძრავის მოცულობის ყოველ კუბურ სანტიმეტრზე დამატებული იმპორტის გადასახადის თანხის 5 პროცენტი ავტომობილის ექსპლუატაციაში ყოფნის ყოველი წლისათვის.

---

[515] მაგალითი აღებულია: ხარაზი ია, საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, მეორე ნაწილი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2020, 565.

საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო 8703 სასაქონლო პოზიციაში შედის: მსუბუქი ავტომობილები და დანარჩენი ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, განკუთვნილი ძირითადად ადამიანების გადასაყვანად (8702 სასაქონლო პოზიციის[516] ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების გარდა), სატვირთო-სამგზავრო ავტომობილ-ფურგონებისა და სარბოლო ავტომობილების ჩათვლით".

საგადასახადო კოდექსის 198-ე მუხლი არეგულირებს გადასახადის დარიცხვისა და გადახდის წესს, კერძოდ: „იმპორტის გადასახადის დარიცხვა ხორციელდება საქონლის საბაჟო ღირებულების მიხედვით", გარდა საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილებით გათალისწინებული შემთხვევისა (ნ.1.), ხოლო მე-2 ნაწილის მიხედვით: „იმპორტის გადასახადი გადაიხდება იმპორტის გადასახდელის გადახდისათვის დადგენილი წესის შესაბამისად". ეს წესი მოცემულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებით „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე" დამტკიცებულ ინსტრუქციაში (დანართი №12), „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ", ასევე, საბაჟო კოდექსში". აღნიშნული ინსტრუქციის მე-2 მუხლის თანახმად („იმპორტის გადასახდელის გადახდის ვადები") თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურის გამოყენებისას იმპორტის გადასახდელი გადაიხდება:

- *ა) საქონლის გაშვებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა, გარდა ამ პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.*
- *ბ) საქონლის გაშვებიდან არაუგვიანეს 45 კალენდარული დღისა – „ოქროს სიის" მონაწილის კუთვნილ, სეს ესნ-ის 1001 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებულ ბორბალზე;*

---

[516] ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, განკუთვნილი 10 ან მეტი კაცის გადასაყვანად, მძღოლის ჩათვლით და ა.შ. იხ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება (№241, 2012 წლის 11 ივლისი) „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე", https://matsne.gov.ge/ka/document/view/1697179

• გ) საბაჟო დეკლარაციის – ფორმა 4-ისათვის რეგისტრაციის ნომრის მინიჭების თარიღიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა:

გ.ა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საჰაერო ტრანსპორტით გარგით ან/და ხელგარგით შემოტანილ საქონელზე;

გ.ბ) საფოსტო გზავნილით შემოტანილ 10 000 ლარამდე ღირებულების საქონელზე (საქონელთა ჯგუფზე).

საბაჟო დეკლარაციის დამუშავებისას მასში მითითებული მონაცემების იმპორტის გადასახდელზე საბაჟო ან/და საგადასახადო ვალდებულების შესრულების რისკის პროფილთან თანხვედრის შემთხვევაში, საქონელი გაიშვება გარანტიის წარდგენით[517]. საქონლის გაშვება აგრეთვე შესაძლებელია კუთვნილი იმპორტის გადასახდელის სრულად გადახდით ან იმპორტის გადასახდელის ნაწილზე გარანტიის წარდგენითა და დანარჩენ ნაწილზე თანხის გადახდით.

გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე ზედმეტად გადახდილი თანხის არსებობის შემთხვევაში, შემოსავლების სამსახურის უფროსი/უფროსის მოადგილე უფლებამოსილია, დეკლარანტის მოთხოვნით, შემოსავლების სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების დასკვნის საფუძველზე, **5 სამუშაო** დღის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის ამავე პუნქტში მითითებული პირობების შეუსრულებლად გაშვების თაობაზე. ამასთან, აღნიშნულ საქონელზე იმპორტის გადასახდელი გადაიხდება ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

საბაჟო კოდექსის წიგნი III არეგულირებს „საბაჟო ვალდებულება და იმპორტის გადასახდელის გადახდის უზრუნველყოფის გარანტია“-ს, კერძოდ, საბაჟო კოდექსის 47-ე მუხლის თანახმად, „საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას საბაჟო ვალდებულება წარმოიშობა იმპორტის გადასახადით დასაბეგრი უცხოური საქონლის ერთ-ერთ შემდეგ საბაჟო პროცედურაში მოქცევისას: **თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება; დროებით შემოტანა**

---

[517] გარანტიებზე საუბარია საბაჟო სამართლის პირველი ნაწილის თავი XIV-ში „იმპორტის გადასახდელის გადახდის უზრუნველყოფის გარანტია“ და, ასევე ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, მეორე ნაწილი, 2022.

იმპორტის გადასახადისგან ნაწილობრივ გათავისუფლებით. საბაჟო ვალდებულება წარმოიშობა საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის მომენტში. „იმპორტის გადასახადის გაანგარიშებისთვის მისი ოდენობა განისაზღვრება შესაბამის საქონელზე საბაჟო ვალდებულების წარმოშობის დროს მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე. თუ საბაჟო ვალდებულების წარმოშობის ზუსტი დროის განსაზღვრა შეუძლებელია, მისი წარმოშობის დროდ მიიჩნევა მომენტი, როდესაც საბაჟო ორგანომ დაადგინა, რომ კონკრეტულ საქონელზე წარმოშობილია საბაჟო ვალდებულება. თუ საბაჟო ორგანო ამ ორგანოში არსებული ინფორმაციის საფუძველზე დაადგენს, რომ საბაჟო ვალდებულება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ მომენტზე ადრე წარმოიშვა, საბაჟო ვალდებულების წარმოშობის მომენტად მიიჩნევა ამ ინფორმაციის საფუძველზე დადგენილი უადრესი მომენტი (საბაჟო კოდექსი, მ. 53). საბაჟო კოდექსის 54-ე მუხლი აწესრიგებს იმპორტის გადასახადის ოდენობის გაანგარიშების სპეციალური წესებს, კერძოდ, „იმპორტის გადასახადის ოდენობის გაანგარიშებისას საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საბაჟო პროცედურაში მოქცეული ან დროებით შენახული საქონლის დასაწყობების ხარჯი ან/და მის მიმართ განხორციელებული ამ კოდექსის 116-ე მუხლით[518] გათვალისწინებული დასაშვები ქმედებების

---

[518] 116-ე მუხლში საუბარია „საქონლის მიმართ დასაშვებ ქმედებებზე“, კერძოდ: „საბაჟო საწყობის, შიდა გადამუშავების, გარე გადამუშავების ან თავისუფალი ზონის პროცედურაში მოქცეული საქონლის მიმართ შეიძლება განხორციელდეს მისი შენახვის უზრუნველყოფისთვის ანდა სასაქონლო სახის ან მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის აუცილებელი ქმედებები ან საქონლის გაყიდვისთვის/ტრანსპორტირებისთვის მოსამზადებელი ქმედებები. საქონელი უნდა დარჩეს უცვლელ მდგომარეობაში, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთით, შენახვის ნორმალური პირობებისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი დანაკარგებით ან ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებებით. საბაჟო საწყობის, შიდა გადამუშავების, გარე გადამუშავებისა და თავისუფალი ზონის პროცედურებში მოქცეული საქონლის მიმართ დასაშვები ქმედებების ნუსხა განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით {საუბარია ფინანსთა მინისტრის #257 ბრძანებაზე}. საქართველოს

განხორციელების ხარჯი არ გაითვალისწინება, თუ დეკლარანტი წარადგენს ამ ხარჯის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს. ამასთანავე, ამ საქონლის დასაწყობებისას ან/და მის მიმართ დასაშვები ქმედებების განხორციელებისას გამოყენებული უცხოური საქონლის საბაჟო ღირებულება, რაოდენობა, სახეობა და წარმოშობა გაითვალისწინება იმპორტის გადასახადის ოდენობის გაანგარიშებისას. თუ საბაჟო კოდექსის 116-ე მუხლით გათვალისწინებული საქონლის მიმართ დასაშვები ქმედებების განხორციელების შედეგად იცვლება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საბაჟო პროცედურაში მოქცეული საქონლის სეს ესნ-ის კოდი, დეკლარანტის მოთხოვნით ამ საქონლისთვის გამოიყენება თავდაპირველი სეს ესნ-ის კოდი.

საბაჟო კოდექსის თავი VIII-ში საუბარია „იმპორტის გადასახდელის გადახდის უზრუნველყოფის გარანტიაზე“, კერძოდ, 56-ე მუხლის მიხედვით: „თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად გარანტიის წარდგენა სავალდებულოა, **საბაჟო ორგანო განსაზღვრავს საგარანტიო თანხის ოდენობას, რომელიც ეკვივალენტურია:**

- *ა) იმ იმპორტის გადასახდელის ზუსტი თანხისა, რომლის გადახდის ვალდებულებაც წარმოშობილია ან შეიძლება წარმოიშვას,თუ გარანტიის წარდგენის მოთხოვნის მომენტში ამ თანხის განსაზღვრა შესაძლებელია;*
- *ბ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით განსაზღვრული საგარანტიო თანხისა, თუ იმპორტის გადასახდელის ზუსტი თანხის განსაზღვრა შეუძლებელია“.*

საბაჟო ორგანოს წარედგინება შემდეგი გარანტიები:

- *ა) საბანკო გარანტია;*
- *ბ) დაზღვევის პოლისი;*
- *გ) დეპოზიტი;*

მთავრობას უფლება აქვს, დაადგინოს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულისგან განსხვავებული შემთხვევები.

• დ) თავდებობა, გარდა საბაჟო კოდექსი 58-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა"[519] და „ბ"[520] ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარანტიებისა;

• ე) საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სხვა გარანტია.

ამ შემთხვევაში საუბარია ფინანსთა მინისტრის #257 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაზე „გარანტიის შესახებ" (დანართი №4), კერძოდ, ინსტრუქციის 1-ლი მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად: გარანტია შეიძლება იყოს: ა) ინდივიდუალური, რომლითაც უზრუნველყოფილია ერთი საბაჟო პროცედურის ან საბაჟო ფორმალობის მიმართ ვალდებული პირის ან საბაჟო საწყობის ან თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის მფლობელის პასუხისმგებლობა წარმოშობილ ან წარმოსაშობ ვალდებულებებზე; ბ) საერთო, ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლის შესაბამისად. საქართველოს საბაჟო კოდექსის 58-ე მუხლის[521] გათვალისწინებით, გარანტიის სახეებია: ა) საბანკო დაწესებულების ან მისი ფილიალის მიერ გაცემული საბანკო გარანტია (დანართი 4-01); ბ) დაზღვევის პოლისი (დანართი 4-02); გ) პირის საკუთრებაში არსებული შესაბამისი ღირებულების უძრავი ქონების გირავნობა/იპოთეკით დატვირთვა – მხოლოდ საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მისაღებად. საგადასახადო დავალიანების წარმოშობისას ამ ქონებიდან გადახდევინების უზრუნველყოფის შემთხვევაში, საბაჟო საწყობის მფლობელს საქმიანობის გაგრძელების უფლება მიეცემა ამ პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარანტიის წარდგენისას; დ) თავდებობა (დანართი 4-03), გარდა ამ პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარანტიებისა: დ.ა) საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლისას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის დეკლარირებისას, რომელსაც საქართველოში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი საბუთი არ არის წარდგენილი ან წარდგენილია ხარვეზით; დ.ბ) ფიზიკური პირის მიერ საბაჟო საწყობის პროცედურაში გაცხადებული სეს ესნ-ის 8702 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი ავტომობილის (რომლის დასასხდომი ადგილების რაოდენობა, გარდა მძღოლის ადგილისა, აღემატება 8-ს, მაგრამ არ აღემატება 16-ს და რომლის სიგრძე არ აღემატება 8 მეტრს, აგრეთვე გადაბმულისა მისაბმელთან, რომლის

---

[519] საბანკო გარანტია.

[520] დაზღვევის პოლისი.

[521] გარანტიის სახეები.

ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 750 კგ-ს), 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ ^{3}-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია), 8704 21 და 8704 31 სასაქონლო სუბპოზიციებით გათვალისწინებული ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების იდენტიფიცირებული ავტოსადგომის ტერიტორიაზე შენახვისას. ამასთან, ერთი თავდებობით შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ ერთ სატრანსპორტო საშუალებაზე წარმოსაშობი ვალდებულება, დეკლარანტის მიერ თავდებობის გამოყენებით შესაძლებელია ერთდროულად არა უმეტეს 3 ერთეული სატრანსპორტო საშუალების შენახვა, ხოლო პირი ერთდროულად შესაძლებელია წარმოადგენდეს თავდებს მხოლოდ ერთი სატრანსპორტო საშუალების შენახვაზე.

საბაჟო ორგანო იმპორტის გადასახადით დაბეგვრის ობიექტის, მისი განაკვეთისა და კანონით დადგენილი შეღავათის გათვალისწინებით გაიანგარიშებს გადასახდელი იმპორტის გადასახადის ოდენობას, თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. იმპორტის გადასახადი გადაიხდება საქართველოს ეროვნული ვალუტით – ლარით, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით, საბანკო დაწესებულების მეშვეობით, თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საბაჟო დეკლარაციაში ჯამური საბაჟო ვალდებულების თანხა გაიანგარიშება სრულ ლარებში. ამ მიზნით საბაჟო ვალდებულება, რომელიც მთელ რიცხვს არ შეესაბამება, მრგვალდება უახლოეს მთელ რიცხვამდე.[522]

ანალოგიურ ჩანაწერს შეიცავს საგადასახადო კოდექსის 67-ე მუხლის მე-2 ნაწილი, კერძოდ: „საგადასახადო დეკლარაციაში ჯამური საგადასახადო ვალდებულების თანხის გაანგარიშება ხორციელდება სრულ ლარებში. ამ მიზნით 1 ლარამდე საგადასახადო ვალდებულება წულდება.

თუ საბაჟო ვალდებულების წარმოშობის საფუძველია საბაჟო დეკლარაციის წარდგენა, იმპორტის გადასახადი გადახდილი უნდა იქნეს შესაბამისი საქონლის გაშვებიდან **არაუგვიანეს 5 დღისა.** საბაჟო კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ვადა

[522] საბაჟო კოდექსის 63-ე მუხლი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით[523] შეიძლება შემცირდეს ან გაიზარდოს **არაუმეტეს 45 დღემდე**. იმპორტის გადასახადის გადახდის გარეშე საქონლის გაშვებისთვის აუცილებელი გარანტიის წარდგენის შემთხვევები და წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით[524]. დროებით შემოტანის პროცედურაში იმპორტის გადასახადისგან ნაწილობრივ გათავისუფლებით მოქცეულ საქონელზე კუთვნილი იმპორტის გადასახადი გადახდილი უნდა იქნეს **არაუგვიანეს ყოველი თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა**, ხოლო ბოლო გადახდა უნდა განხორციელდეს დროებით შემოტანის პროცედურის დასრულების დღეს. დეკლარანტს უფლება აქვს, მთელი გადასახდელი თანხა ერთდროულად გადაიხადოს (საბაჟო კოდექსი, მუხლი 65. იმპორტის გადასახადის გადახდის ვადა")[525].

აქვე, *ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ი ს „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ" (დანართი №12) მე-6 პუნქტის* თანახმად, „მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში მოქცეული საქონლის მიზნობრივი სტატუსის (კერძოდ, გრანტისა და ჰუმანიტარული დახმარების სტატუსი) გაუქმების შემთხვევაში, გარდა შემთხვევებისა, როცა: *1. „საქართველოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკას და თურქეთის რესპუბლიკას შორის აზერბაიჯანის რესპუბლიკის, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიების გავლით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ" საქართველოს მთავრობასა და საექსპორტო მილსადენის პროექტის მონაწილეებს შორის 1999 წლის 18 ნოემბრის სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებით და „საქართველოს და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სამხრეთკავკასიური მილსადენის სისტემის მეშვეობით საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტო-*

---

[523] იხ. ფინანსთა მინისტრის 2019 წლის ბრძანება (№257 2019 წლის 29 აგვისტო) „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე".

[524] იხ.სქ. 525.

[525] დაწვრ. იხ. ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021.

რიებზე და ამ ტერიტორიების ფარგლებს გარეთ ბუნებრივი გაზის ტრანზიტის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის შესახებ" 2001 წლის 12 ოქტომბრის სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის ფარგლებში საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის მიწოდების (გარდა მითითებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის ფარგლებში მიწოდებისა) შემთხვევაში გაუქმდება საქონლის მიზნობრივი სტატუსი. ამასთან, არ დაირიცხება და გადაიხდება იმპორტის გადასახდელი და მყიდველის მიერ გადახდილი ან გადასახდელი დღგ, მაგრამ არანაკლებ დადგენილი განაკვეთისა, რომელიც დარიცხულია კომპენსაციის ფაქტობრივ თანხაზე, გადაიხდება გამყიდველის მიერ ამ საქონლის მიწოდების სანაცვლოდ მიღებული კომპენსაციიდან და გადაირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ლარობით 15 დღის განმავლობაში, იმ თვის დამთავრებიდან, რომელსაც მოხდა საქონლის მიწოდება ან განაღდება, იმის გათვალისწინებით, რომელი უფრო ადრე მოხდა. თუ თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული საქონელი, რომელიც დაიბეგრებოდა დღგ-ით ამ პუნქტის შესაბამისად, გასხვისებულია ნულოვანი ღირებულებით სახელმწიფო ორგანოებზე, დღგ არ გადაიხდება.; 2. თუ მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონელი გასხვისდა იმ პირზე, რომელიც მას იყენებს იმ მიზნობრივი დანიშნულებით, რომლისთვისაც საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მოქცევისას იმპორტის გადასახდელზე შეღავათები იქნებოდა გამოყენებული, ამ საქონელზე ისევ გავრცელდება აღნიშნული შეღავათები და იგი ახალი მიზნობრივი დანიშნულებითდარჩება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ, მაშინ:

- *ა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის დატოვების შემთხვევაში, იგი უნდა მოექცეს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში, ამასთან:*
  - *ა.ა) თუ მიზნობრივი სტატუსი გაუქმდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებული საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის ან საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებისას იმპორტის გადასახდელისაგან გათავისუფლების შესაბამისი პირობის დარღვევის შედეგად, საბაჟო ან/და სავალდებულო ვალდებულება წარმოიშობა საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან;*

- *ა.ბ) თუ მიზნობრივი სტატუსი გაუქმდა საქონლის მფლობელის განცხადების საფუძველზე, სახაჟო ან/და საგადასახადო ვალდებულება წარმოიშობა საქონლისათვის აღნიშნული სტატუსის გაუქმების დღიდან.*

- გ) მის მიმართ ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებებისა და აკრძალვებისა და შეზღუდვების გამოყენებას;

„გ" ქვეპუნქტის შესახებ კომენტარს გავაკეთებ მომდევნო, 2.2. ქვეპარაგრაფში - „ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებების გამოყენება".

- გ) მის შემოტანასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნების შესრულებას.

იმპორტიორი ვალდებულია მოახდინოს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების დეკლარირება; საქონლის დანიშნულების ადგილზე წარდგენა; ავარიის ან დაუძლეველი ძალის დროს გაატაროს სახაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები; და ა.შ.

თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას საქონელს ენიჭება საქართველოს საქონლის სტატუსი.

2. ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებების გამოყენება

ვაჭრობაში დამცავი ღონისძიება არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის პრინციპებისა და ნორმების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შემოღებული ღონისძიება.[526]

ევროპისა და მსოფლიო სტრუქტირებში გაეწევრიანება საქართველოს სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტულ ამოცანად იქცა დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე. დამოუკიდებლობის მოპოვების მთელი განვლილი პერიოდის განმავლობაში საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა იყო საერთაშორისო თანამშრომლობის ასპარეზის გაფართოება, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, საბაჟო, კულტურული თუ

[526] საბაჟო კოდექსი, მ. 34.

სახელმწიფოს უშიშროების ამოცანათა გადაწყვეტისათვის საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვება და რესურსების მაქსიმალური მობილიზება[527]. საქართველოს სახელმწიფოს წინაშე ერთ-ერთ პრიორიტეტულ საიკთხად იქცა გაწევრიანება მსოფლიო ეკონომიკურ, სავაჭრო ორგანიზაციებში, სადაც გარკვეული პრეფერენციებით ისარგებლებდა სხვა მონაწილე ქვეყნებთან ერთად და ასეთ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად იქცა ჩვენი ქვეყნისათვის WTO-ში გაწევრიანება.

მაგ; ასოცირების შეთანხმების („შეზღუდვები იმპორტსა და ექსპორტზე") თანახმად, არცერთმა მხარემ არ უნდა დააწესოს ან შეინარჩუნოს აკრძალვა ან შეზღუდვა მეორე მხარის საქონლის იმპორტზე ან საქონლის ექსპორტზე ან ექსპორტის მიზნით გაყიდვებზე, რომელიც განკუთვნილია მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე გასატანად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სხვაგვარად არის განსაზღვრული ამ შეთანხმებით ან GATT 1994-ის XI მუხლით და მისი განმარტებითი ჩანაწერებით. ამ მიზნით, GATT 1994-ის XI მუხლი და მისი განმარტებითი ჩანაწერები წარმოადგენს წინამდებარე შეთანხმების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს[528].

შეთანხმების მუხლი 60-ის („ვაჭრობის პირობები") თანახმად, იმპორტის პირობები ეკვივალენტობის აღიარებამდე (a) მხარეები თანხმდებიან წინამდებარე შეთანხმების IV-A დანართით და IV-C (2) და (3) დანართებით განსაზღვრული ნებისმიერი საქონლის იმპორტი დაექვემდებაროს ეკვივალენტობის აღიარებამდე პირობებს. წინამდებარე შეთანხმების 56-ე მუხლის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების დაურღვევლად იმპორტიორი მხარის იმპორტის პირობები გამოიყენება ექსპორტიორი მხარის მთელ ტერიტორიაზე. წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ და ამ შეთანხმების 58-ე მუხლის შესაბამისად, იმპორტიორმა მხარემ უნდა შეატყობინოს ექსპორტიორ მხარეს წინამდებარე შეთანხმების IV-A და IV-C დანართებში მითითებულ საქონელზე თავისი სანიტარული და/ან ფიტოსანიტარული საიმპორტო მოთხოვნები. აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებისამებრ უნდა მოიცავდეს ოფიციალური

---

[527] ხარაზი ია, საერთაშორისო საბაჟო სამართალი, თბილისი, 2013, 159.

[528] ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის. სრულად შევიდა ძალაში 2016 წლის 1 ივლისიდან, https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0, მ.32.

სერტიფიკატების ან დეკლარაციების ან კომერციული დოკუმენტების ნიმუშებს, რომლებიც დაწესებულია იმპორტიორი მხარის მიერ; და (b) (i) წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის „a" ქვეპუნქტში მითითებული პირობების ცვლილებები ან შეთავაზებული ცვლილებები უნდა შეესაბამებოდნენ SPS შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამისი შეტყობინების პროცედურებს; (ii) წინამდებარე შეთანხმების 64-ე მუხლის დებულებების დაურღვევლად, იმპორტიორი მხარე ამ მუხლის პირველი პუნქტის „a" ქვეპუნქტის შესაბამისად შეცვლილი პირობების ძალაში შესვლის თარიღის დადგენისას მხედველობაში მიიღებს მხარეებს შორის ტრანსპორტირებისთვის საჭირო დროს; და (iii)თუ იმპორტიორი მხარე ვერ შეასრულებს შეტყობინების შესახებ მოთხოვნებს ამ მუხლის პირველი პუნქტის „a" ქვეპუნქტის შესაბამისად, ის გააგრძელებს იმპორტის პირობების ცვლილების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში იმ სერტიფიკატებით ან მოწმობებით სარგებლობას რომლებიც აკმაყოფილებდა წინა პერიოდის მოთხოვნებს.; შეთანხმების66-ე მუხლის თანახმად კი: მხარეები აღიარებენ საბაჟოსა და ვაჭრობის ხელშეწყობის მნიშვნელობას ორმხრივ განვითარებად სავაჭრო გარემოში. მხარეები თანხმდებიან გააძლიერონ თანამშრომლობა აღნიშნულ სფეროში, რათა უზრუნველყონ კანონიერი ვაჭრობის განვითარების და ეფექტური კონტროლის განხორციელების მიზნების აღსრულება, როგორც შესაბამისი კანონმდებლობისა და პროცედურების, ასევე შესაბამისი უწყებების ადმინისტრაციული შესაძლებლობების, როგორც მნიშვნელოვანი პრინციპის, გამოყენების გზით. 2. მხარეები აღიარებენ, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საჯარო პოლიტიკის ამოცანებს, რომლებიც მოიცავს ვაჭრობის ხელშეწყობას, უსაფრთხოებას, თაღლითობის თავიდან აცილებას და მათ შორის დაბალანსებულ მიდგომას.

რაც შეეხება საბაჟო კოდექსის საკომენტარო 106-ე მუხლს, რომელიც ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებების გამოყენებას ითვალისწინებს და, რომელიც ამ ღონისძიებების გამოყენებას მხოლოდ შიდა და გარე გადამუშავებისას იყენებს საბაჟო კოდექსის 106-ე მუხლის შემთხვევაში, ავღნიშნავ, რომ: „შიდა გადამუშავების პროცედურის გამოყენებით უცხოური საქონლის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს გადამუშავების ერთი ან რამდენიმე ოპერაცია, რაც არ იწვევს: იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულების წარმოშობას; საქონლის მიმართ ვაჭრობაში დამცავი ღონისძიების გამოყენებას, თუ ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა

აკრძალული არ არის“[529]; ასევე: „შიდა გადამუშავების პროცედურა შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე: საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების მიზნით მისი ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენი ოპერაციის განსახორციელებლად“[530].

თუ შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული გადამუშავებული პროდუქტი თავისუფალ მიმოქცევაში გაიშვება და იმპორტის გადასახადის ოდენობა გაანგარიშდება ამ კოდექსის 54-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გადამუშავებული პროდუქტის მიმართ გამოიყენება შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების შემთხვევაში[531].

ზემოთაღნიშნული არ ვრცელდება გადამუშავების შედეგად მიღებულ ნარჩენზე.

საბაჟო კოდექსის 106-ე მუხლის მე-3 ნაწილი გამოიყენება 53-ე მუხლის 1-ლ ნაწილთან კავშირში, კერძოდ: შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული გადამუშავებული პროდუქტის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას და იმპორტის გადასახადის ოდენობის ამ კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად გაანგარიშებისას გადამუშავებული პროდუქტისთვის დადგენილი ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის მიმართ ანალოგიური ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებები გამოიყენება.

საბაჟო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, „იმპორტის გადასახადის გაანგარიშებისთვის მისი ოდენობა განისაზღვრება შესაბამის საქონელზე საბაჟო ვალდებულების წარმოშობის დროის მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე“.

გარე გადამუშავების[532] პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული გადამუშავებული პროდუქტის

---

[529] საბაჟო კოდექსი, მ. 142.

[530] საბაჟო კოდექსი მ. 146.ნ.3. „ა“ ქვეპუნქტი.

[531] საბაჟო კოდექსი, მ.106.ნ.1.

[532] გარე გადამუშავების პროცედურა განისაზღვრება ექსპორტის პროცედურის შესაბამისად, ხოლო გადამუშავებული პროდუქტის საქართველოს

თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების შემთხვევაში ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებები არ გამოიყენება, თუ:

• ა) ეს პროდუქტი ინარჩუნებს ქართულ წარმოშობას **საბაჟო კოდექსის 36-ე მუხლის მე-4 ნაწილის** შესაბამისად, კერძოდ: საქონელს მიენიჭება არაპრეფერენციული წარმოშობა და მიიჩნევა იმ ქვეყანაში წარმოშობილად, სადაც: მთლიანად მიღებულია ეს საქონელი; ამ საქონელმა განიცადა ბოლო მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია, როდესაც მის წარმოებაში ერთზე მეტი ქვეყანა მონაწილეობდა.

• ბ) გარე გადამუშავება მოიცავს შეკეთებას, მათ შორის, ამავე კოდექსის **153-ე** მუხლის შესაბამისად სტანდარტული გაცვლის სისტემის გამოყენებას;

სტანდარტული გაცვლის სისტემის გამოყენების შესახებ იხ. საბაჟო კოდექსის 36-ე მუხლის კომენტარი.

• გ) გარე გადამუშავება გამოიყენება ამავე კოდექსის **147-ე** მუხლის შესაბამისად დამატებითი გადამუშავებისათვის.

საბაჟო კოდექსის 147-ე მუხლის - „საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავება" იხ. აღნიშნული ნორმების კომენტარებისას მოგვიანებით.

„თუ დეკლარანტი დაადასტურებს, რომ გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონელი, სახელშეკრულებო ან საგარანტიო ვალდებულებიდან გამომდინარე ან საწარმოო დეფექტის გამო, უსასყიდლოდ გადამუშავდა, გადამუშავებული პროდუქტი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული უნდა იქნეს იმპორტის გადასახადისგან სრულად გათავისუფლებით[533].

საბაჟო 106-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეღავათი არ ვრცელდება გადამუშავებული პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას, თუ საქონლის გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცევამდე საწარმოო დეფექტი

საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას განხორციელდება ის საბაჟო. ინსტრუქცია „გარე გადამუშავების შესახებ", მ. 2.3.1.

[533] საბაჟო კოდექსი, მ.152.

გათვალისწინებული იყო მისი თავისუფალ მიმოქცევაში თავდაპირველად გაშვებისას.

106-ე მუხლის ზემოთ აღნიშნული პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეღავათი არ ვრცელდება გადამუშავებული პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას, თუ საქონლის გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცევამდე საწარმოო დეფექტი გათვალისწინებული იყო მისი თავისუფალ მიმოქცევაში თავდაპირველად გაშვებისას[534].

A. დასამახსოვრებელი დებულებები!

საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება იწვევს: იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულების წარმოშობას; მის მიმართ ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებებისა და აკრძალვებისა და შეზღუდვების გამოყენებას, თუ ისინი მანამდე გამოყენებული არ ყოფილა; მის შემოტანასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნების შესრულებას; იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულების წარმოშობას; მის მიმართ ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებებისა და აკრძალვებისა და შეზღუდვების გამოყენებას, თუ ისინი მანამდე გამოყენებული არ ყოფილა მის შემოტანასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნების შესრულებას.

თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას საქონელს ენიჭება საქართველოს საქონლის სტატუსი.

B. კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის:

რას იწვევს საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება?

თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას საქონელს როგორი სტატუსი მიენიჭება?

ვინ არიან იმპორტის გადასახადის გადამხდელი პირები?

განსაზღვრეთ იმპორტით დაბეგვრის ობიექტი

რომელი საქონლის საბაჟო ღირებულება იბეგრება იმპორტის გადასახადის 12%-იანი განაკვეთით?

რომელი საქონლის საბაჟო ღირებულება იბეგრება იმპორტის გადასახადის 5%-იანი განაკვეთით?

---

[534] საბაჟო კოდექსი, მ. 152. აღნიშნული მუხლის კომენტარს ქვემოთ, შესაბამის თავში შემოგთავაზებთ.

რამდენი პროცენტით იბეგრება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებით შემოტანილი საქონელი საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე?

C. ტესტები:

საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება იწვევს:

ა. იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულების წარმოშობას; მის მიმართ ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებებისა და აკრძალვებისა და შეზღუდვების გამოყენებას, თუ ისინი მანამდე გამოყენებული არ ყოფილა; მის შემოტანასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნების შესრულებას

ბ. იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულების წარმოშობას

გ. მის მიმართ ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებებისა და აკრძალვებისა და შეზღუდვების გამოყენებას, თუ ისინი მანამდე გამოყენებული არ ყოფილა

დ. მის შემოტანასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნების შესრულებას.

საბაჟო ტერიტორიაზე დროებით შემოტანილი საქონელი საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან?

ა. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებით შემოტანილი საქონელი საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე იბეგრება იმპორტის გადასახადის იმ თანხის 3 პროცენტით, რომელიც გადაიხდევინებოდა დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის იმპორტში მოქცევისას

ბ. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებით შემოტანილი საქონელი საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე იბეგრება იმპორტის გადასახადის იმ თანხის 1 პროცენტით

გ. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებით შემოტანილი საქონელი საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე იბეგრება იმპორტის გადასახადის იმ თანხის 5 პროცენტით

დ. საერთოდ არ იბეგრება.

იმპორტის გადასახადის გადამხდელია პირი:

ა. რომელიც საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებს საქონელს

ბ. რომელიც საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებს საქონელს, გარდა ექსპორტისა

გ. რომელიც საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებს საქონელს, გარდა შიდა გადამუშავებისა

დ. რომელიც საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებს საქონელს, გარდა ტრანზიტისა.

იმპორტის გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

ა. დროებითი შემოტანა

ბ. თამბაქოს ნაწარმის იმპორტი

გ. საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთისას საქონლის საბაჟო ღირებულება, თუ საგადასახადო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი

დ. საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმოკვეთისას საქონლის თვითღირებულება.

იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებულია:

ა. ნათობპროდუქტების იმპორტი

ბ. ნებისმიერი ავტოსატრანსპორტო საშუალების იმპორტი

გ. დროებითი შემოტანა

დ. საქონლის იმპორტი სტიქიური უბედურებისა და კატასტროფის ლიკვიდაციის, აგრეთვე ჰუმანიტარული დახმარების მიზნით.

რა ვადაში უნდა გადაიხადოს პირმა იმპორტის გადასახადი?

ა. თუ საბაჟო ვალდებულების წარმოშობის საფუძველია საბაჟო დეკლარაციის წარდგენა,იმპორტის გადასახადი გადახდილი უნდა იქნეს შესაბამისი საქონლის გაშვებიდან არაუგვიანეს 5 დღისა

ბ. თუ საბაჟო ვალდებულების წარმოშობის საფუძველია საბაჟო დეკლარაციის წარდგენა, იმპორტის გადასახადი გადახდილი უნდა იქნეს შესაბამისი საქონლის გაშვებიდან არაუგვიანეს 2 დღისა

გ.თუ საბაჟო ვალდებულების წარმოშობის საფუძველია საბაჟო დეკლარაციის წარდგენა, იმპორტის გადასახადი გადახდილი უნდა იქნეს შესაბამისი საქონლის გაშვებიდან არაუგვიანეს 3 დღისა

დ. თუ საბაჟო ვალდებულების წარმოშობის საფუძველია საბაჟო დეკლარაციის წარდგენა, იმპორტის გადასახადი გადახდილი უნდა იქნეს შესაბამისი საქონლის გაშვებიდან არაუგვიანეს 6 დღისა

D. კაზუსი:

საქართველოში აზერბაიჯანიდან შემოტანილი იქნა აზერბაიჯანული წარმოების საქონელი.

კითხვა:

აღნიშნული საქონელი იმპორტში მოქცევის და გაშვებისას დაკარგავს თუ არა აზერბაიჯანული საქონლის სტატუსს და საქართველოს საქონლად მოიაზრება?

საქონელი ჰუმანიტარული მიზნით შემოვიდა საქართველოში.

რა მიზნით უნდა იქნეს გამოყენებული ასეთი საქონელი?

1,5 euro/5vol/Hl ნიშნავს შემდეგს: ვთქვათ იმპორტირებულია ვისკი, რომელშიც სპირტის შემცველობა არის 60%.

კითხვა:

ამ შემთხვევაში 1 ლიტრზე იმპორტის გადასახადი რამდენი ევრო იქნება?

დროებით, 2 წლის ვადით შემოყვანილია მსუბუქი ავტომობილი, რომლის იმპორტირებისას, იმპორტის გადასახადი შეადგენს 90 ლარს. ყოველთვიურად იმპორტიორს უნდა გადაეხადა 5 ლარი.

კითხვა:

24 თვის განმავლობაში გადასახდელი თანხა რამდენ ლარს შეადგე?

მაგრამ, ვინაიდან გადასახდელი თანხის ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს იმპორტის გადასახადის ოდენობას, მაშინ იმპორტის გადასახდელი თანხა ტოლი იქნება..... (დაამთარეთ კაზუსის ამოხსნა)

E. სამართლებრივი აქტები:

საერთაშორისო აქტები:

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელწიფოებს შორის,

https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0

„მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია“,

http://legalclinic.iliauni.edu.ge/index.php/en/12-სტატიები/100-მსოფლიო-სავაჭრო-ორგანიზაცია.html

საკანონმდებლო აქტები:

საქართველოს სამაჟო კოდექსი,

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=5

საქართველოს საგადასახადო კოდექსი,

https://matsne.gov.ge/ka/document/view/32842?publication=69

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი,

https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=37

კანონქვემდებარე აქტები:

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის #453 დადგენილება „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4657381?publication=0

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“, ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“, დანართი №8,
https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „გარანტიის შესახებ“ (დანართი №4“)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“, ინსტრუქცია „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ“ (დანართი #5), https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის ბრძანება №275 წლის „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ დანართი #1, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის #996 ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1167887?publication=254 .

ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ“ (დანართი #13).
https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „გარე გადამუშავების პროცედურის შესახებ“ (დანართი №14),
https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

ინსტრუქცია „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ“, https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=48

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია (დანართი №2) „საბაჟო კონტროლის შესახებ“,

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ" ინსტრუქცია (დანართი №1),

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს #257 ბრძანება „საქართველო საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე", დანართი #3, ინსტრუქცია „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ",

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული „დეკლარირების კლასიფიკატორის" (დანართი №19),

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ",

https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/1167887/285/ge/pdf

ფინანსთა მინისტრის #257 ბრძანება (დანართი №1), ინსტრუქცია „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ",

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის #257 ბრძანება, ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა „საქონლის განკარგვის შესახებ", დანართი №18,

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს #1-1/346 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონებისა და სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების აღრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე,

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4979526?publication=0

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება (#257 2019 წლის 29 აგვისტო) „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე",https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ინსტრუქცია (დანართი №12) „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ"

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №241 (2012 წლის 11 ივლისი) „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1697179?publication=0

F. გამოყენებული ლიტერატურა:

ბარაზი ია, სამაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, დამხმარე სახელმძღვანელო, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2021

ბარაზი ია, საერთაშორისო სამაჟო სამართალი, თბილისი, 2013

ბარაზი ია, სამაჟო სამართლი, თბილისი, 2007

ბარაზი ია, სამაჟო სამართალი, თბილისი, 2010

ბარაზი ია; საქართველოს საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2015

ბარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბილისი, 2014

ბარაზი ია, საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, მეორე ნაწილი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2020

ია ბარაზი, სამაჟო სამართალი, ლექციების კურსი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019, https://www.sou.edu.ge

ბარაზი ია, საგადასახადო სამართალი (საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები), თბილისი, 2017

ბარაზი ია, აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტ. თანაავტ. „საგადასახადო და სამაჟო სამართალი ქართულ სასამართლო სივრცეში (სასამართლო პრაქტიკის მასალები იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის)“, გამომც. ქუთაისის უნივერსიტეტი, თბილისი, 2019

როგავა ზ; საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, წიგნი მესამე, გამომცემლობა ურისტების სამყარო“, თბილისი, 2017

ნადარაია, როგავა, რუბაძე, ბოლქვაძე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი §§ 1-155, 47-ე მუხლ. ავტ. ნადარაია, 331, https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00J1P6.pdf

გონერ ურიდია, ფრიდონ არახამია, სამაჟო საქმის თეორია, თბილისი, 2009

ურიდია გ; საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები, გამოცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011

ლორთქიფანიძე ვ; საბაჟო საქმის საფუძვლები, თბილისი, 2002

სვანაძე სერგო „არაპირდაპირი გადასახადები. მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები", დისერტაცია, ქუთაისი, 2009

პაიპსი რიჩარდ, საკუთრება და თავისუფლება, გამომცემლობა „დიოგენე", 2004

G. ლექსიკონი:

მოხელის სამგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე] - თბ., 2004 - 483 გვ.: ცხრ.; 24სმ. - (საჯარო მოსამსახურის ბ-კა). - ISBN 99940-0-063-2: [ფ.ა.]; http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=17983

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1962

H. ვებრესურსები:

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=5

http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=17983

https://www.sou.edu.ge

https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00J1P6.pdf

https://www.rs.ge

თავი VII. იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლების განსაკუთრებული შემთხვევები

1. დაბრუნებული საქონელი

საბაჟო კოდექსის თავი XVII-ე - „იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლების განსაკუთრებული შემთხვევები“, მოიცავს სპეციალურ ნორმებს, რამეთუ იგი განსხვავებულად აწესრიგებს იმპორტისაგან გათავისუფლების შემთხვევებს, კერძოდ, იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლების წესებს არეგულირებს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლი, ხოლო აღნიშნული თავი მისგან განსხვავებულ განსაკუთრებულ შემთხვევებს შეიცავს იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლების საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლისაგან.

მაინც რა განსაკუთრებულ შემთხვევებზეა საუბარი აღნიშნულ თავში, რომელიც კანონმდებელმა სპეციალური ნორმებით დაარეგულირა?

პირველ რიგში აღვნიშნავდი, რომ ნებისმიერი საქონელი, მათ შორის დაბრუნებული საქონელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის მომენტიდან ექვემდებარება საბაჟო ზედამხედველობას[535] და მისი წარდგენა ხდება დანიშნულების საბაჟოში.

თუ საქონელი ან მისი ნაწილი, რომელიც ექსპორტირებულ იქნა საქართველოდან და რომელსაც უცხოური საქონლის სტატუსი მიენიჭა, **3 წლის ვადაში** დაბრუნდა საქართველოში თავისუფალ მიმოქცევაში გასაშვებად, დეკლარანტის მოთხოვნის შემთხვევაში დაბრუნებული საქონელი თავისუფლდება იმპორტის გადასახადისგან, თუ იგი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დაბრუნებისას არის იმავე მდგომარეობაში, რომელშიც იყო საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას.

„ექსპორტის პროცედურა საშუალებას იძლევა, საქართველოს საქონელი გატანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ (მათ

---

[535] ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ“ (დანართი №5).

შორის, დროებით, დაბრუნების პირობით) ან გადატანილ იქნეს თავისუფალ ზონაში, თუ გატარდება სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებები. საქონლის ექსპორტის პროცედურის გამოყენებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა ან თავისუფალ ზონაში მოთავსება ნებადართულია მხოლოდ იმ საქონლისათვის, რომლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა ან თავისუფალ ზონაში შეტანა აკრძალული არ არის'[536].

საბაჟო ორგანო უფლებამოსილია დეკლარანტის განცხადების საფუძველზე ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადა გააგრძელოს 1 წლით.

დაბრუნებული საქონლის იდენტიფიცირება ხორციელდება შესაბამისი საბაჟო ორგანოს მიერ, საქონლის შემდეგი მახასიათებლების შედარებით შემოტანილ (დაბრუნებულ) საქონელთან:

- დეკლარირებული საქონლის ზუსტი მონაცემები შეფუთვასა და მარკირებაზე: საქონლის ზუსტი აღწერილობა, დასახელება, მისი ტექნიკური და ძირითადი კომერციული მახასიათებლები;
- საქონლის გატანის დროს წარდგენილი საბაჟო დეკლარაციის (ან დეკლარირების სხვა დოკუმენტების) შესაბამისის მონაცემები;
- საქონლის გატანის დროს წარდგენილი თანმხლები დოკუმენტების მონაცემები.

აქვე ერთ კითხვასაც გავცეთ პასუხი: შესაძლებელია თუ არა თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული დეფექტური საქონლის უკან დაბრუნება?

თუ დადგინდა, რომ თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებულ საქონელს აქვს დეფექტი ან მისი რაოდენობა, ბარისხი და შეფუთვა ან აღწერილობა არ შეესაბამება საგარეო-ეკონომიკური გარიგების პირობებს და ამის გამო იგი მომწოდებელს ან მის მიერ მითითებულ სხვა პირს უბრუნდება. ამ შემთხვევაში თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებულ საქონელს ჩამოურთმევა საქართველოს საქონლის სტატუსი და მისი რეექსპორტის განხორციელების შემდეგ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო დეკლარაცია გათიშად იქნება ცნობილი. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ: საქონელი არ

---

[536] ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ექსპორტის პროცედურის შესახებ" (დანართი №15), https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf .

უნდა იქნეს გამოყენებული და გადამუშავებული საქართველოს ტერიტორიაზე; შესაძლებელი უნდა იყოს საბაჟო ორგანოს მიერ საქონლის იდენტიფიცირება; რეექსპორტის დეკლარაციასთან უნდა წარედგინოს პირის განცხადება საქონლის დეფექტის არსებობის, რაოდენობის, ხარისხის, შეფუთვისა და აღწერილობის საგარეო-ეკონომიკური გარიგების პირობებთან შეუსაბამობის შესახებ და მომწოდებლისათვის ან მის მიერ მითითებული სხვა პირისათვის საქონლის დაბრუნებაზე მომწოდებლის თანხმობის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტი; საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონელი გატანილ უნდა იქნეს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების დღიდან 6 თვეში.

თუ საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანამდე საქონელი საქართველოში გაშვებული იყო თავისუფალ მიმოქცევაში მიზნობრივი დანიშნულებით, დაბრუნებული საქონელი იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება, თუ იგი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილია უცვლელ მდგომარეობაში და იმავე მიზნობრივი დანიშნულებით[537].

საქონლის რეიმპორტის პროცესში განთავსების პირობები. მოქმედი საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად, პროდუქცია, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს, შეიძლება მოექცეს პროცედურაში:

- *პროდუქცია გამიზნული იყო ექსპორტისთვის, ან ეს არის გადამუშავებული პროდუქცია, ან საქონლის რეექსპორტი, იმ პირობით, რომ რეიმპორტის პროცესი დაწყებულია საქონლის საზღვარზე გადაკვეთის მომენტიდან არაუგვიანეს სამი წლისა. პროდუქტები უნდა იყოს თავდაპირველ მდგომარეობაში, გარდა ბუნებრივი დანაკარგისა, გათვალისწინებული შენახვისა და ტრანსპორტირების სათანადო პირობებში. რა თქმა უნდა, ყველა შესაბამისი, სწორად შედგენილი დოკუმენტი უნდა წარედგინოს საბაჟოს.*
- *პროდუქცია დროებითი ექსპორტის პროცესშია, ვადების დაცვით და საქონლის მდგომარეობის უცვლელად.*
- *გადამუშავების პროცესში გამავალი ტვირთი საბაჟო ტერიტორიის გარეთ. აქ მთავარი პირობაა აგრეთვე საქონლის პირვანდელი მდგომარეობა, რომელიც უცვლელი უნდა დარჩეს, დასაშვებია მხოლოდ ბუნებრივი დანაკარგები, გათვალისწინებული შენახვისა და ტრანსპორტირების პირობებში.*

---

[537] საბაჟო კოდექსი, მ. 107.ნ.3.

• საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტები. თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამუშავება განხორციელდა უფასო ან საგარანტიო მიზნებისთვის.

მოქმედი საბაჟო კოდექსი ნათლად მიუთითებს, რა პირობებში შეიძლება პროდუქციის განთავსება ბელაბალი იმპორტის პროცესში.

რა დოკუმენტებია საჭირო განბაჟებისთვის? უპირველეს ყოვლისა, ტვირთის მფლობელმა ან გადამზიდველმა უნდა მიაწოდოს საბაჟო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ და რა ვითარებაში გადაკვეთა საქონელმა საქართველოს საზღვარი. შესრულებული რეჟიმის შესახებ ინფორმაცია ასევე სავალდებულოა, თუ ის საქართველოს ფარგლებს გარეთ იყო გატანილი.

როგორც დამადასტურებელი დოკუმენტი, წარმოდგენილია დეკლარაცია, რომელიც შედგენილია ამ ტვირთისთვის საქართველოს ტერიტორიიდან გამგზავრებისას, დოკუმენტები, რომლებშიც მითითებულია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის დღე გამგზავრების დროს, ასევე სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ დეკლარირებული ინფორმაციის სიზუსტეს.

საექსპორტო გადასახდელების დაბრუნების პირობები:

• საბაჟო მოსაკრებლების ადრე გადახდილი თანხის დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტვირთი დაბრუნდება საქართველოს ტერიტორიაზე საზღვრის სხვა მიმართულებით გადაკვეთიდან არაუგვიანეს ექვსი თვისა.

• დაბრუნება ხდება მას შემდეგ, რაც მფლობელი ან გადამზიდავი საბაჟოში წარადგენს სწორად შევსებულ განცხადებას, რომელსაც თან ერთვის პროდუქციაზე უფლებების დამადასტურებელი დოკუმენტები, ასევე საზღვრის გადაკვეთის ფაქტი. თუ არსებობს განაცხადში მითითებული ნებისმიერი ინფორმაციის სიზუსტის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტები, ისინი ასევე უნდა დაერთოს განაცხადს.

• იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო ამბრუნებს დოკუმენტების მთელ პაკეტს განხილვისა და გადაწყვეტილების გარეშე, ტვირთის მფლობელს უფლება აქვს ხელახლა გაგზავნოს განცხადება გადახდილი გადასახდელების დაბრუნების შესახებ.

• თანხის დაბრუნება ხდება მხოლოდ ლარით და მხოლოდ საბანკო გადარიცხვით.

რა თქმა უნდა, საბაჟო კოდექსი ასევე ითვალისწინებს რიგ შემთხვევებს, როდესაც საბაჟო ორგანოს უფლება აქვს უარი თქვას იმ პირზე, რომელმაც შეიტანა მოთხოვნა თანხის დაბრუნების შესახებ:

- განაცხადის წარმდგენი და ის, ვინც გადაიხადა საბაჟო გადასახადი, არის ორი განსხვავებული პიროვნება, რომლებიც არ არიან ერთმანეთის მემკვიდრეები.
- განაცხადის ვადა გამოტოვებულია.
- განცხადებაზე ხელმოწერა დააფიქსირა პირმა, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი ოფიციალური უფლებამოსილება.
- განცხადებაში მითითებული ინფორმაცია არასანდოა, ან შეიცავს არასაკმარის ინფორმაციას, რომელიც ადასტურებს საქონლის საზღვარგარეთ გატანის ფაქტს, ან სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციას.
- გადახდილი გადასახადები არ ჩაირიცხა ბაზინის ანგარიშზე, ან არ გავიდა საბაჟოში.
- განაცხადის შემტან პირს აქვს დავალიანება ბიუჯეტში სხვა საბაჟო გადასახდელების გადახდისთვის. ამ შემთხვევაში ამ დავალიანების ოდენობა იკავება, ხოლო დანარჩენი თანხა უბრუნდება.

ასე რომ, რეიმპორტი საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული საგარეო ვაჭრობის სფეროში, ვინაიდან სინამდვილეში ძალიან ბევრად წარმოიქმნება სიტუაციები, რომლებიც მოითხოვს ტვირთის დაბრუნებას იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, საიდანაც იგი ადრე იყო ექსპორტირებული.

შენიშვნის სახით აღვნიშნავდით, რომ რეიმპორტი ადრე მოქმედი საბაჟო კოდექსებისაგან განსხვავებით, აღარ გვხვდება დღეს მოქმედ საბაჟო კოდექსში.

ხელახალი იმპორტი შეიძლება იყოს დამოუკიდებელი პროცესი, ან შეიძლება იყოს სხვა პროცედურების ხოლო ნაწილი, როგორიცაა დროებითი ექსპორტი. ეს გულისხმობს იმას, რომ პროდუქცია გადიოდა საქართველოს ტერიტორიიდან გაურკვეველი ვადით, შემდეგ კი უკან დაბრუნდა.

იმ შემთხვევაში, თუ საქონელი გამიზნული იყო ექსპორტისთვის, უსაფრთხოდ დატოვა საქართველოს ტერიტორია და შემდეგ გაჩნდა გარკვეული გარემოებები, რომლებიც მოითხოვს მის დაბრუნებას, მაშინ ხელახალი იმპორტი აქ იქნება ცალკე პროცედურა, რომელიც არ არის დაკავშირებული ექსპორტთან, რადგან ექსპორტის პროცესი დასრულდა ტვირთის რუსეთის საზღვრის გადაკვეთის მომენტიდან.

სამართლებრივ ასპექტში, პროდუქტები, რომლებიც ხელახალი იმპორტის პროცესშია, განიხილება თავისუფალი მიმოქცევის საქონელად,

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს პროდუქტები შეიძლება იყოს მიმოქცევაში საქართველოს ფედერაციის ტერიტორიაზე ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

საკვანძო პუნქტია საბაჟო გადაბდების არარსებობა, რომლებიც სხვაგვარად სავალდებულოა და მნიშვნელოვან წილს შეადგენს გადამზიდველის ხარჯებში.

არსებობს მთელი რიგი პირობები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს, თუ საქონელი მოთავსებულია ხელახალი იმპორტის პროცედურაში:

- პირველ რიგში, ჩამოთვლილია მთელი რიგი სხვა პროცესები, რის შემდეგაც ტვირთი შეიძლება გამოცხადდეს ხელახლა იმპორტად.
- კიდევ ერთი პირობაა პროდუქციის მდგომარეობა. ის უნდა იყოს ორიგინალური და უცვლელი, გარდა დასაშვები ბუნებრივი ცვეთისა. ამასთან, შეუცვლელობის პირობა არ ვრცელდება საქონლის გადამუშავების პროდუქტებზე, რომლებიც ექსპორტირებულია საბაჟო ტერიტორიის გარეთ უფასო შეკეთების მიზნით გადამუშავების დროს. ეს გამოწვეულია იმით, რომ რემონტის დროს, რა თქმა უნდა, იცვლება საქონლის მდგომარეობა.
- საბაჟოსთვის სავალდებულოა საქონლის სახელმწიფოს ტერიტორიიდან გასვლის ფაქტზე ინფორმაცია საქონლის დატოვების შესახებ საბუთების წარდგენა. როგორც წესი, ეს არის საბაჟო დეკლარაცია, მაგრამ ასევე შეიძლება იყოს სხვა დოკუმენტები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როდის და როგორ გადაკვეთა ტვირთმა საზღვარი.
- ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ დოკუმენტების სია არც თუ ისე ფართოა. საკმაოდ ბუნდოვანმა ფორმულირებამ „სხვა დოკუმენტების" შესახებ შეიძლება გამოიწვიოს მრავალი კითხვა, არის თუ არა ლიცენზია თუ კონტრაქტი და მსგავსი, აქ შესაფერისი.

ტვირთზე ხელახალი იმპორტის პროცედურის გამოყენების პირობების გათვალისწინებით, ღირს ყურადღება მიაქციოთ პროდუქციის მდგომარეობაზე არსებულ მოთხოვნას. კოდექსში ნათქვამია, რომ დასაშვებია მხოლოდ ბუნებრივი დანაკარგი, რაც ხდება ტრანსპორტირებისა და შენახვის პირობების დაცვის პროცესში.

თუმცა, ტვირთის მდგომარეობა შეიძლება შეიცვალოს, მაგალითად, ჩატვირთვისას არასწორი ქმედებების გამო. ეს შეიძლება მოხდეს საქონლის მომხმარებლისთვის გადაცემამდე, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მფლობელს შეექმნა შეკეთების, ან ახალი პროდუქტის სწრაფი მიწოდების აუცილებლობა.

არის სიტუაციები, რომელსაც დაზიანებული პროდუქტი უნდა დაუბრუნდეს მიმწოდებელს, ვინაიდან შედეგად მიღებული დაზიანების გამოსწორება შესაძლებელია მხოლოდ მწარმოებლის ქარხანაში და ამგვარ ტვირთზე ხელახალი იმპორტის პროცედურის გამოყენებისას, სახაჟოს შეიძლება ჰქონდეს კითხვები უცვლელი მდგომარეობის მოთხოვნასთან დაკავშირებით. როგორც წესი, ხელისუფლება დაინტერესებით მოითხოვს ასეთ პროდუქტებზე საშინაო მოხმარებისთვის გაშვების პროცედურის გამოყენებას, რაც სახაჟო გადასახადის გადახდის აუცილებლობას გულისხმობს.

სახაჟო კოდექსი აწესებს შეზღუდვას სახაჟო ორგანოების ჩამონათვალზე, სადაც შესაძლებელია საქონლის ხელახალი იმპორტის დაქვემდებარებაში დეკლარირება, ეს შესაძლებელია მხოლოდ სახაჟო კავშირის ქვეყანაში, სადაც წინა სახაჟო პროცესი დაიწყო.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ხელახალი იმპორტის დროს არ ხდება იმპორტის გადასახდელების გადახდა, მაგრამ ამავე დროს, გადასახადების დაბრუნება ხდება ამ პროცესში, რომელსაც ასეთი თანხა არ იქნა გადახდილი, ან დაბრუნდა, ან სუბსიდირებულია.

მაგალითად, საქონლის ექსპორტის პროცესში საქონელი დღგ-ისაგან გათავისუფლებულია, სუბსიდია მიიღება ექსპორტიორის მხარდაჭერის ფარგლებში და ანაზღაურდება სესხზე პროცენტის გადახდა. ამრიგად, საქონლის ხელახალი იმპორტის პროცესში საქონლის მფლობელი უბრუნდება საწყის წერტილს.

სახაჟო კოდექსი ითვალისწინებს გადასახდელებისა და სხვა გადასახდელების ანაზღაურების ორ ალგორითმს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ პროცედურა საკმარისად დეტალურად არის რეგულირებული საკანონმდებლო დოკუმენტებით, სავაჭრო საქმიანობის განხორციელებისას აუცილებლად ჩნდება კითხვები. შესაძლებელია თუ არა იმ ტვირთის ნაწილის რეიმპორტირებული საქონლის გამოცხადება, რომელიც ადრე დატოვა საქართველოს ტერიტორია? ან შესაძლებელია თუ არა ამ პროცედურის გამოყენება სახაჟო საწყობის რეჟიმში მყოფ საქონელზე, მას შემდეგ რაც ისინი დაბრუნდებიან საქართველოს ტერიტორიაზე საზღვარგარეთიდან?

დროებითი ექსპორტი - ეს არის სახაჟო პროცედურა, რომლის დროსაც სახაჟო კავშირის საქონელი ექსპორტირდება და გამოიყენება განსაზღვრულ ვადაში სახაჟო კავშირის სახაჟო ტერიტორიის გარეთ საექსპორტო სახაჟო გადასახდელებისგან სრული გათავისუფლებით და

არასატარიფო რეგულირების ზომების გამოყენების გარეშე, რასაც მოჰყვება ხელახალი იმპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცევა.

დროებითი ექსპორტის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოთავსება დასაშვებია იმ პირობით, რომ შესაძლებელია ამ საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონლის იდენტიფიცირება. თუ CU-ს წევრი ქვეყნების საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად დროებით ექსპორტირებული საქონლის გამოცვლა დაშვებულია, იდენტიფიკაცია არ არის საჭირო.

დაუშვებელია დროებითი ექსპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცევა:

- *სპეციები პროდუქტები, სასმელები, მათ შორის ალკოჰოლი, თამბაქო და თამბაქოს ნაწარმი, ნედლეული და ნახევარფაბრიკატები, სახარჯო მასალები და ნომუშები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი ექსპორტი ხდება ერთ ან ზემპლარად სარეკლამო და (ან) საჩვენებელი მიზნებისთვის ან საგამოფენო ნივთების სახით. სამრეწველო ნომუშები;*
- *ნარჩენები, სამრეწველო ნარჩენების ჩათვლით;*
- *საქონლის ექსპორტი აკრძალულია საბაჟო კავშირის საბაჟო ტერიტორიის გარეთ.*

საბაჟო კოდექსის 107-ე მუხლით გათვალისწინებულ პროცედურას შეიძლება დავარქვათ „ხელახალი იმპორტი“, რომელშიც შეიძლება მოვიაზროთ საბაჟო პროცედურა, რომლის დროსაც საქართველოს ფედერაციის საბაჟო ტერიტორიიდან ადრე ექსპორტირებული საქონელი შემოდის მის საბაჟო ტერიტორიაზე დადგენილ ვადებში საბაჟო გადასახადების, გადასახადების გადახდისა და საქონელზე არასატარიფო რეგულირების ზომების გამოყენების გარეშე.

ხელახალი იმპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცეული საქონელი განიხილება საბაჟო მიზნებისთვის, როგორც გაშვებული შიდა მოხმარებისთვის. საქონლის ხელახალი იმპორტის საბაჟო რეჟიმში მოქცევა დასაშვებია, თუ:

- *საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ექსპორტისას საქონელს ჰქონდა შიდა მოხმარების საქონლის სტატუსი ან იყო უცხოური საქონლის გადამუშავების პროდუქტი საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების საბაჟო რეჟიმში;*
- *საქონელი დეკლარირებულია ხელახალი იმპორტის საბაჟო რეჟიმში სამი წლის განმავლობაში ასეთი საქონლის საბაჟო საზღვრის გადაკვეთის დღიდან სამი წლის განმავლობაში, როდესაც ისინი გაიტანენ*

საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან. დაინტერესებული პირის მოტივირებული მოთხოვნით, საბაჟო სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი აგრძელებს მითითებულ ვადას სამშენებლო, სამრეწველო წარმოების, სამთო და სხვა მსგავსი მიზნებისათვის გამოყენებულ აღჭურვილობასთან მიმართებით, რაც ექვემდებარება საბაჟო რეჟიმის ყველა სხვა დებულებას. - იმპორტი. პარალელურად მოთხოვნასთან (ნებისმიერი ფორმით წარდგენილი წინასწარ, არაუგვიანეს 30 დღით ადრე საქონლის დეკლარირებამდე), რომელიც ასახავს საქონლის ექსპორტის გარემოებებს, საბაჟო დეკლარაციას, საქონლის საბაჟო საზღვრის გადაკვეთის დღეს. ექსპორტირებული იქნა ქვეყნის საბაჟო ტერიტორიიდან, ინფორმაცია საქონლის შეკეთების ოპერაციების შესახებ; თუ ასეთი ოპერაციები განხორციელდა საქონელთან საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ - უსაფრთხოების (შესაბამისობის) სერტიფიკატები, თუ ხელახალი იმპორტირებული საქონელი ექვემდებარება სავალდებულო სერტიფიცირებას;

- *საქონელი არის იმავე მდგომარეობაში, რომელშიც ის იქნა ექსპორტირებული საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც მოხდა ტრანსპორტირების, შენახვის ან გამოყენების (ექსპლუატაციის) ნორმალურ პირობებში ბუნებრივი ცვეთა ან ბუნებრივი გაფუჭების გამო;*
- *გადახდილია იმპორტის საბაჟო გადასახადების, გადასახადების, სუბსიდიების და სხვა თანხები, რომლებიც ექვემდებარება დაბრუნებას ბიუჯეტში საქონლის ხელახალი იმპორტის დროს.*

საქონლის ხელახალი იმპორტისას, ისინი ექვემდებარება დაბრუნებას ბიუჯეტში:

- *იმპორტის საბაჟო გადასახადების, გადასახადების და (ან) პროცენტების ოდენობა მათზე, თუ მათი თანხები არ იქნა დარიცხული ან დაბრუნებული საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის ექსპორტთან დაკავშირებით;*
- *გ) შიდა გადასახადების, სუბსიდიების და სხვა თანხები, რომლებიც არ არის გადახდილი ან მიღებული პირდაპირ ან ირიბად, როგორც გადახდები, სარგებელი ან ანაზღაურება საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის ექსპორტთან დაკავშირებით.*

საბაჟო კოდექსის **საკომენტარო** 107-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, **საბაჟო კოდექსის** 81-ე მუხლის შესაბამისად, კარგავს საქართველოს საქონლის საბაჟო სტატუსს და შემდეგ გაიშვება თავისუფალ მიმოქცევაში.

საბაჟო კოდექსის 81-ე მუხლის თანახმად, საქონელი კარგავს საქართველოს საქონლის სტატუსს და იძენს უცხოური საქონლის სტატუსს, თუ:

- ა) ის გაიტანება საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან;
- ბ) ის ექცევა ტრანზიტის, საბაჟო საწყობის, თავისუფალი ზონის ან შიდა გადამუშავების პროცედურაში, თუ ეს დაშვებულია საქართველოს კანონმდებლობით;
- გ) ის მოქცეულია საბაჟო პროცედურაში მიზნობრივი დანიშნულებით და შემდეგ გადაეცემა სახელმწიფოს ან ნადგურდება ისე, რომ რჩება ნარჩენი;
- დ) საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო დეკლარაცია საქონლის გაშვების შემდეგ ბათილად იქნა ცნობილი.

107-ე მუხლის მე-5 ნაწილი სპეციალურად მიუთითებს შემთხვევაზე, რომ: აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლებით სარგებლობისთვის უნდა შესრულდეს ამავე მუხლით გათვალისწინებული პირობები. ამ პირობების შესრულება დასტურდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დადგენილი წესით.

შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებულ გადამუშავებულ პროდუქტზე, რომელიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან რეექსპორტირებულ იქნა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე უცვლელ მდგომარეობაში დაბრუნდა, გადასახდელი იმპორტის გადასახადის ოდენობა გაანგარიშდება **საბაჟო კოდექსის 54-ე მუხლის მე-3 ნაწილის** შესაბამისად, კერძოდ: თუ საბაჟო ვალდებულება წარმოიშობა შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებულ გადამუშავებულ პროდუქტზე, დეკლარანტის მოთხოვნით ეს საბაჟო ვალდებულება განისაზღვრება ამ საქონლის შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცევის დეკლარაციის რეგისტრაციის მომენტში, აღნიშნული საქონლის სეს ესნ-ის კოდის, რაოდენობის, სახეობისა და წარმოშობის საფუძველზე. ამ შემთხვევაში რეექსპორტის დეკლარაციის რეგისტრაციის დღე მიიჩნევა აღნიშნული პროდუქტის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების დღედ.

საბაჟო კოდექსის 107-ე მუხლის მე-7 ნაწილი შეიცავს გამონაკლისს 117-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტთან მიმართებაში, კერძოდ: 107-ე მუხლის მიზნებისათვის იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლება არ გამოიყენება „შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად ეკვივალენტური საქონლისგან მიღებული გადამუშავებული პროდუქტის ჩასანაცვლებელი საქონლის შემოტანამდე გატანაზე“,[538] საქართველოდან ექსპორტირებული გადამუშავებული პროდუქტის მიმართ, თუ უზრუნველყოფილი არ იქნება, რომ იმავე ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონელი ან/და დაბრუნებული საქონელი არ მოექცევა შიდა გადამუშავების პროცედურაში.

2. საზღვაო თევზჭერის პროდუქტები და ზღვის სხვა პროდუქტები

მანამ, სანამ საბაჟო კოდექსის 108-ე მუხლის კომენტარს გავაკეთებთ, შესავალში უნდა განვმარტოთ საქონლის პრეფერენციული და არაპრეფერენციული წარმოშობა, კერძოდ,

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის #453 დადგენილებით „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“, განისაზღვრა წარმოშობის პრეფერენციული (საქონლის შეღავათიანი) და არაპრეფერენციული (საქონლის შეღავათების გარეშე) წარმოშობის სერტიფიკატების ფორმები, რომლებითაც განისაღვრა, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილებული თუ რომელი საქონელი სარგებლობს შეღავათიანი დაბეგვრის სისტემით (გათავისუფლებულია გადასახადისაგან).

---

[538] იხ. საბაჟო კოდექსის 117-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, რომლის გამოყენებაზე მიანიშნებს 107-ე მუხლის მე-7 ნაწილი.

საქონლის წარმოშობა შეიძლება იყოს შეღავათიანი (პრეფერენციული) ან შეღავათების გარეშე (არაპრეფერენციული). აღნიშნულის გათვალისწინებით:

- *ა) საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი შეიძლება იყოს პრეფერენციული ან არაპრეფერენციული;*
- *ბ) საქონლის წარმოშობის დეკლარირება ან „საქონლის წარმოშობის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილების" წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ არაპრეფერენციული მიზნებისათვის;*
- *გ) „პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის პრეფერენციული წარმოშობის წესების შესახებ" რეგიონული კონვენციის I დანართით გათვალისწინებული წარმოშობის დეკლარაციისა და „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ" 2007 წლის 21 ნოემბრის შეთანხმების II ოქმით გათვალისწინებული ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისის) დეკლარაციის შედგენა ხორციელდება პრეფერენციული მიზნებისათვის.*

მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების მე-6 მუხლის „მოცემულ ქვეყანაში მთლიანად მიღებული საქონლის კრიტერიუმი", **მოცემულ ქვეყანაში მთლიანად მიღებულად მიიჩნევა მხოლოდ:** საზღვაო თევზჭერის შედეგად მიღებული და საზღვაო წარმოშობის სხვა პროდუქცია, მოპოვებული ამ ქვეყნის გემის საშუალებით; ამ ქვეყნის სარეწ გემზე მიღებული პროდუქცია, რომელიც მხოლოდ ამ პუნქტის „ვ" ქვეპუნქტში *(საზღვაო თევზჭერის შედეგად მიღებული და საზღვაო წარმოშობის სხვა პროდუქცია, მოპოვებული ამ ქვეყნის გემის საშუალებით)* აღნიშნული პროდუქციისაგან არის წარმოებული; პროდუქცია, რომელიც ამ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მდებარე ზღვის ფსკერიდან ან ზღვის ფსკერის წიაღიდან არის მიღებული, მხოლოდ იმ პირობით, თუ ქვეყანას აქვს ზღვის ფსკერის ან წიაღის ამ მონაკვეთის დამუშავების საგანგებო უფლებები... .

განსახილველი 108-ე მუხლის პირველი ნაწილი მიუთითებს, რომ კოდექსის 36-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის გათვალისწინებით (კერძოდ: საქონელს მიენიჭება არაპრეფერენციული წარმოშობა და მიიჩნევა იმ ქვეყანაში წარმოშობილად, სადაც: მთლიანად მიღებულია ეს საქონელი; ამ საქონელმა განიცადა ბოლო მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია, როდესაც მის წარმოებაში ერთზე

მეტი ქვეყანა მონაწილეობდა) თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას იმპორტის გადასახადისგან თავისუფლდება შემდეგი საქონელი:

- ა) საქართველოში რეგისტრირებული და საქართველოს დროშით მცურავი გემის მიერ საქართველოს ტერიტორიული წყლების გარეთ მოპოვებული საზღვაო თევზჭერის პროდუქტი ან ზღვის სხვა პროდუქტი;
- ბ) პროდუქტი, რომელიც საქართველოში რეგისტრირებულ და საქართველოს დროშით მცურავ გადამამუშავებელ (მწარმოებელ) გემზე მიიღება ზემოთ მითითებული „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროდუქტისგან.

108-ე მუხლის ზემოთ აღნიშნული პირველი ნაწილით გათვალისწინებული იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლებით სარგებლობისთვის უნდა შესრულდეს მხოლოდ ამავე მუხლით გათვალისწინებული პირობები. ამ პირობების შესრულება დასტურდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დადგენილი წესით[539].

დამატებით: საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #672 დადგენილებით „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, დარეგულირდა ტექნიკური რეგლამენტი თევზების, როგორც ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი სახეობების მიხედვით მოპოვების წესების, ვადების შესახებ და განსაზღვრავს მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობების ჩამონათვალს, აგრეთვე ადგენს მოთხოვნებს უცხო ქვეყნის ტერიტორიულ ზღვასა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში, ასევე ღია ზღვაში თევზჭერასა და თევზჭერასთან დაკავშირებულ საქმიანობაში საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი თევზსაჭერი/თევზჭერასთან დაკავშირებული გემებისთვის, ასევე საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირებისთვის არალეგალურ, არადეკლარირებულ და დაურეგულირებელ (IUU) თევზჭერასთან მიმართებით და მოითხოვნებს საქართველოს ნავსადგურებში უცხო ქვეყნის

---

[539] ი ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ“(დანართი №12).

დროშის ქვეშ მცურავი თევზსაჭერი/თევზჭერასთან დაკავშირებული გემების შემოსვლასთან დაკავშირებით", რომლის თანახმად, აკრძალულია საქართველოში არალეგალური, არადეკლარირებული და დაურეგულირებელი (IUU) თევზჭერისგან მიღებული პროდუქტების იმპორტი. საქართველოში იმპორტირებულ თევზჭერის პროდუქტებს თან უნდა ახლდეს თევზჭერის სერტიფიკატი, რომელიც ალიარებულია/დამოწმებულია დროშის გამცემი სახელმწიფოს მიერ იმ გემისთვის/გემებისთვის, რომლის/რომელთა მიერ განხორციელებული ჭერისგან მიღებულია თევზჭერის პროდუქტები. თევზჭერის სერტიფიკატი უნდა ადასტურებდეს, რომ თევზჭერა განხორციელდა კონსერვაციისა და მართვის საერთაშორისო ზომების მოთხოვნებთან შესაბამისად. თევზჭერის სერტიფიკატი უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფორმაში მოცემულ ყველა ინფორმაციას და დამოწმებული უნდა იყოს დროშის გამცემი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ. უცხო ქვეყნებთან თანამშრომლობის შემთხვევაში, თევზჭერის სერტიფიკატი შესაძლოა, წარდგენილ იყოს ელექტრონული საშუალებით, ან ჩანაცვლდეს მიკვლევადობის ელექტრონული საშუალებებით, რომელიც უზრუნველყოფს იმავე დონის კონტროლს და ა.შ[540].

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტრანსპორტის დირექტორის 2019 წლის 25 აპრილის №02 ბრძანებით „საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი თევზსაჭერი გემების მიმართ წაყენებული დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" განისაზღვრა საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი თევზსაჭერი გემების მიმართ წაყენებული დამატებითი მოთხოვნები არალეგალურ, არადეკლარირებული და დაურეგულირებელ თევზჭერასთან მიმართებაში. ბრძანების მოქმედება ვრცელდება საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართულ საქართველოს დროშის ქვეშ მცურავ იმ თევზსაჭერ გემებზე, რომლებიც ახორციელებენ თევზჭერას საქართველოს ტერიტორიულ წყლებს მიღმა, ღია წყლებში და სხვა სახელმწიფოს საზღვაო წყლებში.განისაზღვრა თევზსაჭერი გემის ვალდებულებები, კერძოდ: თევზსაჭერი გემი, რომელსაც სურს დარეგისტრირდეს საქართველოს

---

[540] დაწვრ. იხ. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #672 დადგენილება „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე", https://matsne.gov.ge/ka/document/view/4762652?publication=0.

დროშის ქვეშ, ვალდებულია რეგისტრაციამდე სააგენტოს წარუდგინოს შემდეგი ინფორმაცია: ა) გემთმფლობელის/გემის მიმართ გაცემული თევზჭერის ლიცენზია სახელმწიფო და ინგლისურ ენაზე, ასევე მანამდე გაცემული თევზჭერის ლიცენზია, არსებობის შემთხვევაში; ბ) თევზჭერის განხორციელების რეგიონი, რაიონი, ფარგლები; გ) თევზჭერის განხორციელების კონკრეტული ვადები; დ) ნებადართული თევზის სახეობების შესახებ; ე) თევზჭერის იარაღისა და აღჭურვილობის შესახებ; ვ) იმ ნავსადგურის შესახებ, სადაც ახორციელებს თევზის გადმოტვირთვას; ზ) მომავალში დაგეგმილი თევზის გადატვირთვის ადგილის შესახებ და ა.შ.[541]

3. თავისუფალი ვაჭრობის პუნქტი

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტი საბაჟო კონტროლის ზონაა.

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტი არის საბაჟო კონტროლის ზონა, სადაც შესაძლებელია იმ ფიზიკურ პირზე, რომელიც ტოვებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიას, პირადი სარგებლობისთვის საცალო წესით რეალიზებულ იქნეს:

- ა) უცხოური საქონელი იმპორტის გადასახდელის გადახდისა და ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებების განხორციელების გარეშე;
- ბ) საქართველოს საქონელი.

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტი საქმიანობას ახორციელებს საბაჟო ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე. თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში შეიძლება რეალიზებულ იქნეს ნებისმიერი საქონელი, გარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული საქონლისა. თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში შენახული საქონელი უნდა დარჩეს უცვლელ მდგომარეობაში, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთით ან შენახვის ნორმალური პირობებისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი დანაკარგებით.

---

[541] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტრანსპორტის დირექტორის 2019 წლის 25 აპრილის №02 ბრძანება „საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი თევზსაჭერი გემების მიმართ წაყენებული დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების შესახებ", http://extwprlegs1.fao.org/docs/pdf/geo193846.pdf .

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში შეიძლება რეალიზებულ იქნეს ნებისმიერი საქონელი, გარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული საქონლისა.

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის გაცემის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის #455 დადგენილებით „საბაჟო საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესებისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე", თავი IV „თავისუფალი ვაჭრობის პუნქტი".

ადრე მოქმედი საბაჟო კოდექსით თავისუფალი ვაჭრობის პუნქტი მოიაზრებოდა, როგორც „უბაჟო ვაჭრობის პუნქტი" და ერთ-ერთ საბაჟო რეჟიმს წარმოადგენდა, შემდეგ საბაჟო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით იგი „საქონლის დამუშავების ოპერაციები"-ს სახელით შევიდა საბაჟო კანონმდებლობაში.

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის გაცემის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის #455-ე დადგენილებით „საბაჟო საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესებისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე", საქართველოს საბაჟო კოდექსის 109-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად „დამტკიცდა „საბაჟო საწყობისა თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესებისა და პირობების შესახებ ინსტრუქცია" დანართებთან ერთად".

ეს ინსტრუქცია შემუშავებულია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს საბაჟო კოდექსისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად და განსაზღვრავს საბაჟო საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესებს, ნებართვების ფორმებსა და სანებართვო პირობებს. ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული საქმიანობის ნებართვებს გასცემს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შემდგომში – შემოსავლების სამსახური).

ინსტრუქციის მე-2 მუხლის მიხედვით, განიმარტა თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობა – უცხოური საქონლის იმპორტის გადასახდელის გადახდისა და ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებების განხორციელების გარეშე და საქართველოს საქონლის სანაცვლო წესით გაყიდვა ნებართვით განსაზღვრული ობიექტის გამოყენებით:

- *....ვ.ა) აეროპორტში, ნავსადგურში ან საერთაშორისო მიმოსვლისათვის ღია სხვა ადგილზე განთავსებულ ობიექტში ან/და საერთაშორისო რეისის განმახორციელებელ საჰაერო ხომალდში (შემდგომში – საჰაერო ხომალდი) – ფიზიკურ პირებზე, რომლებიც ტოვებენ საქართველოს საბაჟო ტერიტორიას;*
- *ვ.ბ) საქართველოს საბაჟო კოდექსის 213-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, 2021 წლის 1 იანვრამდე, ამ მუხლის „ვ.ა“ ქვეპუნქტის გარდა სხვა ადგილზე განთავსებულ ობიექტში – უცხოეთის დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების სამსახურებრივი სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობებისა და დიპლომატიური მისიების წევრებზე (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) – პირადი სარგებლობისათვის;*

საბაჟო კოდექსის გარდამავალი 213-ე მუხლის მე-6 პუნქტში საუბარია იმის შესახებ, რომ: 2022 წლის 1 იანვრამდე იმ თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში, რომელიც არ მდებარეობს სასაზღვრო- საბაჟო გამშვებ პუნქტზე ან საერთაშორისო მიმოსვლისთვის გახსნილი აეროპორტის ტერიტორიაზე, უცხო ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების სამსახურებრივი სარგებლობისთვის, ამ წარმომადგენლობებისა და დიპლომატიური მისიების წევრების (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების ჩათვლით) პირადი სარგებლობისთვის მათზე სანაცვლო წესით შესაძლებელია რეალიზებულ იქნეს უცხოური საქონელი სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების განხორციელების გარეშე ან/და საქართველოს საქონელი.

ერთი თავისუფალი ვაჭრობის ერთი პუნქტისათვის ერთი ნებართვა გაიცემა. თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობისათვის – ნებართვის მაძიებლის მოთხოვნის შესაბამისად – 5 ან 5-ზე მეტი წლის ვადით, მაგრამ არა უმეტეს 50 წლისა. ამავე ინსტრუქციის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ნებართვა გაიცემა ნებართვის მაძიებელზე, რომელიც აკმაყოფილებს სანებართვო პირობებს.

შესაბამისი საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის ფუნქციონირების პირობით

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭების მოთხოვნით განცხადების წარდგენის შემთხვევაში, შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება – შესაბამისი საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის ფუნქციონირების პირობით თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის გაცემის თაობაზე. აკრძალულია ნებართვის სხვა პირისათვის გადაცემა, მათ შორის: ნებართვის მფლობელის საწარმოს გაყოფისას, სხვა საწარმოსთან შერწყმისას ან სხვა საწარმოსთან (საწარმოებთან) გაერთიანებისას

ნებართვის მაძიებლის მიერ წარდგენილი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე, შემოსავლების სამსახური „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას ნებართვის გაცემის ან ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტი და ფორმდება შესაბამისი ბრძანებით, რომელსაც თან უნდა ერთოდეს სანებართვო მოწმობა და დანართი. გადაწყვეტილების სათანადოდ დამოწმებული ასლი გადაეცემა ნებართვის მფლობელს, ხოლო საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე განთავსებული თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის შემთხვევაში – აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს:

- ა) შესაბამისი საქმიანობისათვის „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ბ) საბაჟო საწყობისათვის ან თავისუფალი ვაჭრობის პუნქტისათვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობის საკუთრების დამადასტურებელი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ან სარგებლობის ექსკლუზიური უფლების დამადასტურებელი ხელშეკრულება (საბაჟო საწყობის შემთხვევაში – ნებართვის მისაღებად განცხადების შეტანიდან **არანაკლებ 12 თვის** ვადით, ხოლო თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის შემთხვევაში –

არანაკლებ ნებართვის მოქმედების ვადით დადებული იჯარა, უზუფრუქტი და სხვ.) და ხელშეკრულების მხარის საკუთრების დამადასტურებელი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (გარდა ამ წესის მე-6 მუხლის[542] პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევისა).

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის შემთხვევაში განცხადებას ასევე თან უნდა ერთვოდეს:

- ა) თავისუფალი ვაჭრობის პუნქტისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობის ან/და ასაშენებელი შენობა-ნაგებობის, მიწის ნაკვეთის კომპიუტერული ტექნოლოგიის გამოყენებით შედგენილი, ქაღალდზე ამობეჭდილი ან/და ელექტრონული დეტალური სიტუაციური გეგმა (ნახაზი), შესაბამისი განმარტებებით (დამოწმებული ნახაზის შემდგენლის ხელმოწერითა და, არსებობის შემთხვევაში, ასევე ორგანიზაციის ბეჭდით) და ტექნოლოგიური სქემა, რომლებითაც დასტურდება, რომ თავისუფალი ვაჭრობის პუნქტი მდებარეობს ან განთავსდება საბაჟო კონტროლის ზონაში (გარდა ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლის „ზ.ბ“ ქვეპუნქტით[543] გათვალისწინებული ობიექტისა (2021 წლის 1 იანვრამდე) ან მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევისა);
- ბ) წერილობითი ინფორმაცია საბაჟო კონტროლის ზონაში (სავაჭრო დარბაზების გარდა, ობიექტის სხვა მონაკვეთებზე) დაშვებულ ფიზიკურ პირთა (თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში მომუშავე პერსონალის) შესახებ, რომელშიც აისახება: პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები (სახელი, გვარი, საცხოვრებელი

---

[542] საუბარია პირთან გაფორმებულ ხელშეკრულებაზე.

[543] ობიექტი სანებართვო წესის შესაბამისად საქართველოს საბაჟო კოდექსის 213-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, 2021 წლის 1 იანვრამდე, ამ მუხლის „ზ.ა“ ქვეპუნქტის გარდა, სხვა ადგილზე განთავსებული სავაჭრო დარბაზ(ებ)ი, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საწყობ(ებ)ი და ნებართვის მაძიებლის სურვილის შემთხვევაში – სხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ან განხორციელდება თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის ნებართვით განსაზღვრული საქმიანობა. აღნიშნული ტერიტორია უნდა იყოს ერთიანი და იზოლირებული.

ადგილის მისამართი, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის სერია და ნომერი, აგრეთვე პირადი ნომერი); იმ ფიზიკურ პირთა საიდენტიფიკაციო მონაცემები (სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის სერია და ნომერი, აგრეთვე პირადი ნომერი, ხელმოწერის ნიმუში), რომელთა მიერაც საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის (შემდგომში – აღრიცხვის მოწმობა) უკანა გვერდზე დადასტურდება საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების წარდგენა თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში;

• გ) წერილობითი ინფორმაცია ობიექტის სავაჭრო დარგაზ(ებ)ის გამოსახულების ვიდეოჩამწერი საშუალებებით აღჭურვის შესახებ, რომლითაც დაფიქსირდება თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში მოთავსებული საქონლის კონკრეტულ ფიზიკურ პირზე რეალიზაციის პროცესი, აგრეთვე თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საწყობ(ებ)ისა და 2021 წლის 1 იანვრამდე ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლის „ზ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ობიექტთან დაკავშირებული საქმიანობის შემთხვევაში – ობიექტის შესასვლელისა და გასასვლელის გამოსახულების ვიდეოჩამწერი საშუალებებით აღჭურვის შესახებ წერილობითი ინფორმაცია, რომლითაც დაფიქსირდება საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში შეტანა/გამოტანა და, შესაძლებლობის შემთხვევაში, ასეთი საქონლის გადამზიდავი სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი (სანომრე ნიშანი);

• დ) ობიექტის მესაკუთრესთან გაფორმებული ხელშეკრულება (იჯარა, ქირავნობა, უზუფრუქტი და სხვ.), რომელიც ანიჭებს ნებართვის მაძიებელს უფლებას, გაყიდოს საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ობიექტში ექსკლუზიურად.

შესაბამისი საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის ფუნქციონირების პირობით ნებართვის მისაღებად, განცხადების წარდგენის შემთხვევაში, ნებართვის მაძიებელი ვალდებულია, აღნიშნული პირობით ნებართვის მიღებამდე შემოსავლების სამსახურის ანგარიშზე ჩარიცხოს

შემოსავლების სამსახურსა და ნებართვის მაძიებელს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა (ჰ.5).

შესაბამისი საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის ფუნქციონირების პირობით ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, ან ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების არსებობისას, შემოსავლების სამსახურის მიერ შესაბამისი შენობა-ნაგებობის აუშენებლობის შემთხვევაში, ნებართვის მაძიებელს/მფლობელს უბრუნდება მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად გადახდილი თანხა.

შესაბამისი საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის ფუნქციონირების პირობით თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის გაცემის შემდეგ, თუ საქართველოს კანონმდებლობით აიკრძალება თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობა ან გაუქმდება შესაბამისი საბაჟო გამშვები პუნქტი, ნებართვის მფლობელს ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად გადახდილი თანხა უბრუნდება სანებართვო საქმიანობის განხორციელების შეუძლებლობის პერიოდის პროპორციულად.

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია, საქმიანობის დაწყებამდე ნებართვის გამცემს წარუდგინოს „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი ინსტრუქციით განსაზღვრული გარანტია.

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის მფლობელს ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით[544] გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების უფლება აქვს ამავე

---

[544] თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობა – უცხოური საქონლის (იმპორტის გადასახდელის გადახდისა და ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებების განხორციელების გარეშე) და საქართველოს საქონლის საცალო წესით გაყიდვა ნებართვით განსაზღვრული ობიექტის გამოყენებით: ვ.ა) აეროპორტში, ნავსადგურში ან საერთაშორისო მიმოსვლისათვის ღია სხვა

მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული გარანტიის წარდგენის შემდეგ, ხოლო აღნიშნული *გარანტიის წარდგენის გარეშე საქმიანობის დაწყება ითვლება სანებართვო პირობების დარღვევად.*

მთავრობის 455-ე დადგენილების თავი IV („თავისუფალი ვაჭრობის პუნქტი")-ის თანახმად, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში შესატან უცხოურ საქონელზე საბაჟო კონტროლის პროცედურების განხორციელების ადგილია საბაჟო გამშვები პუნქტი, ან სხვა საბაჟო კონტროლის ზონა, რომლის გავლითაც გადაადგილდება თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში შესატანი უცხოური საქონელი, აგრეთვე თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საწყობი, რომელშიც გათვალისწინებულია საქონლის დასაწყობება.

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის მფლობელი ვალდებულია, უზრუნველყოს ფიტოსანიტარიულ ან/და ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის მიმართ „ფიტოსანიტარიული სასაზღვროსაკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვროსაკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე"[545] საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება.

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში სარეალიზაციოდ განკუთვნილი უცხოური საქონელი საბაჟო გამშვები პუნქტიდან ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ადგილიდან საქართველოს

ადგილზე განთავსებულ ობიექტში ან/და საერთაშორისო რეისის განმახორციელებელ საჰაერო ხომალდში (შემდგომში – საჰაერო ხომალდი) – ფიზიკურ პირებზე, რომლებიც ტოვებენ საქართველოს საბაჟო ტერიტორიას; ვ.ბ) საქართველოს საბაჟო კოდექსის 213-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, 2021 წლის 1 იანვრამდე, ამ მუხლის „ვ.ა" ქვეპუნქტის გარდა სხვა ადგილზე განთავსებულ ობიექტში – უცხოეთის დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების სამსახურებრივი სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობებისა და დიპლომატიური მისიების წევრებზე (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) – პირადი სარგებლობისათვის.

[545] მთავრობის აღნიშნულ დოკუმენტზე ცალკე პარაგრაფში იქნება საუბარი.

საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილდება აღრიცხვის მოწმობით ან TIR წიგნაკით[546].

იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი საბაჟო კონტროლის ზონის დატოვების გარეშე გადაადგილდება იმავე საბაჟო გამშვებ პუნქტში განთავსებული თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის დანიშნულებით, ერთდროულად ხორციელდება აღრიცხვის მოწმობის გაცემა და კონტროლიდან მოხსნა.

საქონლის ერთი თავისუფალი ვაჭრობის პუნქტიდან მეორე თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში ან საბაჟო რგანოსთან შეთანხმებულ ადგილას გადატანა ხორციელდება აღრიცხვის მოწმობით, ხოლო თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში არსებული საქართველოს საქონლის (აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებას დაქვემდებარებული საქონლის გარდა) უკან დაბრუნება – სასაქონლო ზედნადებით, „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ" 86-ე მუხლის („საქართველოს საქონლის თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში რეალიზაციისათვის მიწოდების აქციზისაგან გათავისუფლება") თანახმად:

აქციზის გადამხდელის აქციზისაგან გათავისუფლების საფუძველია „საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული „პუნქტის საწყობში საქართველოს საქონლის შეტანის ცნობა. საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გამსვლელი ფიზიკური პირების მიერ თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში ნაყიდი საქონლის უკან შემოტანის შემთხვევაში, აღნიშნული საქონელი

---

[546] აღრიცხვის მოწმობით ან TIR წიგნაკით გადაადგილების წესებზე ვრცელი საუბარი იყო საბაჟო სამართლის პირველ ნაწილში, (ავტ. ხარაზი ი; 2021), ასევე ამ საკითხებს ისევ ვუბრუნდებით საბაჟო სამართლის მეორე ნაწილში.

იბეგრება აქციზით. თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში მოთავსებული აქციზური საქონლის იმ პირებზე გაყიდვისას, რომელთაც არ გააჩნიათ მათი შეძენის უფლება, აგრეთვე მათი დანაკლისის შემთხვევაში, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის მფლობელი ვალდებულია გადაიხადოს აქციზი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქონელი დაუძლეველი ძალის შედეგად აღმოჩნდა მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურებული, დაკარგული ან გაფუჭებული და შეუძლებელია მისი შემდგომი გამოყენება. თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში მოთავსებული საქონლის სასაქონლო სახის დაკარგვისას, გარდა დაუძლეველი ძალის შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია ამ საქონლის იდენტიფიცირება სეს ესნ-ის შესაბამისი კოდების მიხედვით, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის მფლობელი ვალდებულია გადაიხადოს აქციზი[547].

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის სავაჭრო დარბაზ(ებ)ში დამონტაჟებული გამოსახულების ვიდეოჩამწერი საშუალებებით ფიქსირდება თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში მოთავსებული საქონლის კონკრეტულ ფიზიკურ პირ(ებ)ზე რეალიზაციის პროცესი, ხოლო თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საწყობ(ებ)ის შესასვლელსა და გასასვლელში დამონტაჟებული გამოსახულების ვიდეოჩამწერი საშუალებებით – საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში შეტანა/გამოტანა და შესაძლებლობის შემთხვევაში იმ სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი (სანომრე ნიშანი), რომლითაც გადაიზიდება საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი.

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის ნებართვის მფლობელი ვალდებულია, საკომენტარო მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის[548] შესაბამისად

---

[547] ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“,
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1167887

[548] თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის სავაჭრო დარბაზ(ებ)ში დამონტაჟებული გამოსახულების ვიდეოჩამწერი საშუალებებით ფიქსირდება თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში მოთავსებული საქონლის კონკრეტულ

განხორციელებული ვიდეოჩანაწერები შეინახოს არანაკლებ **6** თვის განმავლობაში და, მოთხოვნისამებრ, წარუდგინოს საბაჟო ორგანოს. ვიდეოჩანაწერები უნდა ინახებოდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს კონკრეტული თარიღის ან/და კონკრეტული საათის შესაბამისი ვიდეოჩანაწერის ნახვა. ვიდეოჩაწერის შეწყვეტის (ტექნიკური ან სხვა მიზეზის გამო) შემთხვევაში, ნებართვის მფლობელმა საბაჟო ორგანოს უნდა გაუგზავნოს შესაბამისი შეტყობინება ვიდეოჩაწერის შეწყვეტის ფაქტის დადგომისთანავე ელექტრონულად ავტომატურ რეჟიმში, ხოლო აღნიშნულისა და მასთან ერთად, ვიდეოჩაწერის სავარაუდო აღდგენის ვადის შესახებ შეტყობინება – სხვა საშუალებით, ფაქტის დადგომიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა და იმოქმედოს საბაჟო ორგანოს მითითებისამებრ. ამასთან, შეტყობინება დამატებით უნდა შეიცავდეს: თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის დანიშნულების ადგილის კოდს, სანებართვო მოწმობით განსაზღვრული ვიდეოჩამწერი საშუალების ნომერს, ვიდეოჩაწერის შეწყვეტის თარიღსა და დროს. ვიდეოჩაწერის აღდგენისას, შესაბამისი ფაქტის დადგომიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, ნებართვის მფლობელმა აღნიშნულზე ასევე უნდა აცნობოს საბაჟო ორგანოს – თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის დანიშნულების ადგილის კოდის, სანებართვო მოწმობით განსაზღვრული ვიდეოჩამწერი საშუალების ნომრის, ვიდეოჩაწერის აღდგენის თარიღისა და დროის მითითებით. ამავე ინსტრუქციის მე-2 მუხლის „ზ.გ“ ქვეპუნქტით[549] გათვალისწინებულ ობიექტში ნებისმიერი მასალისაგან ხელით შესრულებული ტილოს, სურათის, ნახატის (ნახაზისა და

ფიზიკურ პირ(ებ)ზე რეალიზაციის პროცესი, ხოლო თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საწყობ(ებ)ის შესასვლელსა და გასასვლელში დამონტაჟებული გამოსახულების ვიდეოჩამწერი საშუალებებით – საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში შეტანა/გამოტანა და შესაძლებლობის შემთხვევაში იმ სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი (სანომრე ნიშანი), რომლითაც გადაიზიდება საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი.

[549] ობიექტი სანებართვო პირობების შესაბამისად: აეროპორტში, ნავსადგურში ან საერთაშორისო მიმოსვლისათვის ღია სხვა ადგილზე არსებული, ტერიტორიულად ერთიან საბაჟო კონტროლის ზონაში არსებული

ხელით შემკული სამრეწველო ნაწარმის გარდა) ან გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის, ასევე ნებისმიერი მასალისაგან შესრულებული ქანდაკების ორიგინალური ნაწარმოების შეტანისას, ნებართვის მფლობელის მიერ წარდგენილი უნდა იქნეს საქართველოს კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანის ნებართვა.

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის სავაჭრო დარბაზ(ებ)ი უნდა მდებარეობდეს სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის გავლის ადგილის შემდეგ (საქართველოს საბაჟო კოდექსის 213-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, 2021 წლის 1 იანვრამდე, ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლის „ზ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ობიექტის გარდა) და მისი განლაგება უნდა გამორიცხავდეს მასში იმ ფიზიკური პირების მოხვედრას, რომლებსაც საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული სათანადო პროცედურები არ გაუვლიათ.

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში მოთავსებულ საქონელს შენახვისა და გაყიდვისათვის მოსამზადებლად შეიძლება ჩაუტარდეს ის ოპერაციები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობით დაშვებულია საბაჟო საწყობში მოთავსებული საქონლის მიმართ. დაუშვებელია თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის სავაჭრო დარბაზების, დამხმარე სათავსებისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საწყობის გამოყენება იმ საქონლის შესანახად და სარეალიზაციოდ, რომელიც არ გაცხადებულა თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში შესატანად.

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის მფლობელი ნებართვის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში ვალდებულია, აწარმოოს თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში მოთავსებული და რეალიზებული საქონლის აღრიცხვა მონაცემთა დამუ-

---

დარბაზ(ებ)ი, რომელშიც ხდება ნებისმიერი მასალისაგან ხელით შესრულებული ტილოს, სურათის, ნახატის (ნახაზისა და ხელით შემკული სამრეწველო ნაწარმის გარდა) და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის, ასევე ნებისმიერი მასალისაგან შესრულებული ქანდაკების ორიგინალური ნაწარმოების რეალიზაცია.

შავების ავტომატიზებული სისტემის მეშვეობით, დადგენილი ფორმით (დანართი №3 და დანართი №4)[550] და უზრუნველყოს აღნიშნული ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მიწოდება შემოსავლების სამსახურისათვის:

• ა) თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში მოთავსებულ საქონელზე – საქონლის მოთავსებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის 18 საათისა;

• ბ) თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში რეალიზებულ საქონელზე – საქონლის რეალიზაციისთანავე ავტომატურ რეჟიმში, ხოლო ტექნიკური ან სხვა მიზეზის გამო აღნიშნული ინფორმაციის ავტომატურ რეჟიმში მიწოდების შეუძლებლობის შემთხვევაში, ელექტრონული სხვა ფორმით – საქონლის რეალიზებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის 18 საათისა (მ.11.3.4..).

ერთი თავისუფალი ვაჭრობის პუნქტიდან სხვა თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში ან საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებულ ადგილზე გადატანილი, აგრეთვე უკან დაბრუნებული საქონლის შესახებ მონაცემები ასევე აღირიცხება მონაცემთა დამუშავების ავტომატიზებული სისტემის მეშვეობით, დადგენილი ფორმით (დანართი №4) და წარედგინება შემოსავლების სამსახურს ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად (მე-11 მუხლი. 3.5.).

მე-6 პუნქტის თანახმად, თუ ტექნიკური ან სხვა მიზეზის გამო (როდესაც ვერ ხერხდება ელექტრონულ პროგრამასთან დაკავშირება) ვერ ხორციელდება ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მიწოდება, იგი უნდა აიტვირთოს შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე Excel ფორმატის ფაილით. აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში, ნებართვის მფლობელმა ფაქტის დადგომიდან არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა უნდა აცნობოს საბაჟო ორგანოს აღნიშნულისა და ხარვეზის აღმოფხვრის ვადის შესახებ და იმოქმედოს საბაჟო ორგანოს მითითების შესაბამისად.

---

[550] აღნიშნული დანართების შესახებ იხ. მთავრობის 455-ე დადგენილებაში.

„თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში მოთავსებული საქონლის აღრიცხვის ფორმაში“ (დანართი №3) ან „თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში რეალიზებული, სხვა ადგილზე გადატანილი ან უკან დაბრუნებული საქონლის აღრიცხვის ფორმაში“ (დანართი №4) ცვლილების შეტანის შემთხვევაში, შენიშვნის გრაფაში უნდა მიეთითოს ცვლილების განხორციელების მიზეზი.

ნებართვის მფლობელის პასუხისმგებლობა გარანტიით უნდა იყოს უზრუნველყოფილი თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის მთელი ვადის განმავლობაში.

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში საქონლის გაყიდვა ფიზიკურ პირებზე, რომლებიც ტოვებენ საქართველოს საბაჟო ტერიტორიას, ხორციელდება შემდეგი დოკუმენტების წარდგენისას:

- *ა) პირადობის დამადასტურებელი ქვემოთ მითითებული დოკუმენტი, რომელშიც დასმულია თარიღის შტამპი აღნიშვნით – „გასვლა“:*
  - *ა.ა) საქართველოს მოქალაქის პასპორტი; ან*
  - *ა.ბ) მოქალაქეობის არმქონე პირის სამგზავრო პასპორტი; ან*
  - *ა.გ) ლტოლვილის სამგზავრო დოკუმენტი; ან*
  - *ა.დ) ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის სამგზავრო პასპორტი; ან*
  - *ა.ე) უცხო ქვეყნის მოქალაქის პასპორტი; ან*
  - *ა.ვ) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა სამგზავრო დოკუმენტი;*
- *ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების არარსებობისას – საქართველოს კანონმდებლობით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე აღიარებული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ვარგისია მგზავრობისათვის;*
- *გ) აეროპორტში განთავსებულ თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში საქონლის გაყიდვისას – დამატებით, საერთაშორისო რეისზე ჩასხდომის გარათი ან საავიაციო პერსონალის მოწმობა (სერტიფიკატი) ან ავიაკომპანიის სატრანსპორტო პილოტის მოწმობა ან სხვა სამგზავრო დოკუმენტი.*

მე-12 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ფიზიკურ პირებზე საქონლის რეალიზაცია შესაძლებელია განხორციელდეს სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის გავლის ადგილის შემდეგ განთავსებული თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის სავაჭრო დარბაზიდან.

გაყიდული საქონელი უნდა მოთავსდეს თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის მფლობელის შესაბამის შეფუთვაში, რომელსაც ქართულ და ინგლისურ ენებზე ექნება წარწერა „თავისუფალი ვაჭრობა“ და „DUTY FREE“.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გამსვლელი ფიზიკური პირის მიერ თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში ნაყიდი საქონელი, საბაჟო ტერიტორიიდან გაუტანლობის შემთხვევაში, დაიბეგრება თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურის შესაბამისად.

მთავრობის 455-ე დადგენილების მე-13 მუხლის შემთხვევაში: საქართველოს საბაჟო კოდექსის 213-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად[551], 2021 წლის 1 იანვრამდე, ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლის „ზ.ბ“ ქვეპუნქტით[552] გათვალისწინებულ ობიექტთან დაკავშირებული საქმიანობის შემთხვევაში – უცხოეთის დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების სამსახურებრივი სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობებისა და დიპლომატიური მისიების წევრთა (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის საცალო წესით საქონლის რეალიზაცია ხორციელდება:

- ა) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტის მიერ გაცემული პირადობისა და ოფიციალური სტატუსის დამადასტურებელი შესაბამისი სააკრედიტაციო ბარათის წარდგენისას; ან

---

[551] საბაჟო კოდექსის გარდამავალი 213-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად: 2022 წლის 1 იანვრამდე იმ თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში, რომელიც არ მდებარეობს სასაზღვრო-საბაჟო გამშვებ პუნქტზე ან საერთაშორისო მიმოსვლისთვის გახსნილი აეროპორტის ტერიტორიაზე, უცხო ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების სამსახურებრივი სარგებლობისთვის, ამ წარმომადგენლობებისა და დიპლომატიური მისიების წევრების (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების ჩათვლით) პირადი სარგებლობისთვის მათზე საცალო წესით შესაძლებელია რეალიზებულ იქნეს უცხოური საქონელი სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების განხორციელების გარეშე ან/და საქართველოს საქონელი.

[552] აღნიშნულ ქვეპუნქტზე ზემოთ უკვე იყო საუბარი.

• ბ) უცხოეთის დიპლომატიური და მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მიმართვის წერილის წარდგენისას. აღნიშნული მიმართვის წერილით უნდა დასტურდებოდეს, რომ კონკრეტული პირის მიერ შესაბამისი საქონლის შეძენა ხორციელდება ამ წარმომადგენლობის სამსახურებრივი სარგებლობისათვის.

აღნიშნულ პირებზე საქონლის რეალიზაცია შესაძლებელია განხორციელდეს თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის სავაჭრო დარბაზიდან.

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში მოთავსებული საქონლის გაყიდვისას იმ პირებზე, რომელთაც არ ჰქონდათ მისი შეძენის უფლება, აგრეთვე საქონლის დანაკლისის შემთხვევაში, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის მფლობელი ვალდებულია, გადაიხადოს იმპორტის გადასახდელი, რომლებიც სავალდებულო იქნებოდა შესაბამისი საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მოქცევისას, აგრეთვე შეასრულოს სხვა საგადასახადო ან/და საბაჟო ვალდებულებები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქონელი საქართველოს **საბაჟო კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილით** გათვალისწინებული დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად აღმოჩნდება მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურებული, დაკარგული ან გაფუჭებული იმდენად, რომ შეუძლებელია მისი შემდგომი გამოყენება.

საბაჟო კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილით:

• *დაუძლეველ ძალად მიიჩნევა ისეთი საგანგებო ან განსაკუთრებული გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ამ კოდექსით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებას და რომლის დადგომა დამოკიდებული არ არის პირის ნებაზე, მათ შორის:*

• *ა) სტიქიური უბედურება (მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი, ზვავი, ბანძარი და სხვა);*

• *ბ) საგარეო ვაჭრობის შეზღუდვა, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება, სახელმწიფო ორგანოს სხვა გადაწყვეტილება; გ) მასობრივი არეულობა ან გაფიცვა.*

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში მოთავსებული საქონლის სასაქონლო სახის დაკარგვისას (გარდა საქართველოს საბაჟო კოდექსის ზემოთ აღნიშნული 72-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევისა), როცა საქონლის მახასიათებლები შეცვლილია იმდენად, რომ შეუძლებელია მისი იდენტიფიცირება თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში შეტანისას საქონლისათვის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის შესაბამისად განსაზღვრული სასაქონლო კოდით, ნებართვის მფლობელი ვალდებულია, გადაიხადოს იმპორტის გადასახდელი, რომლებიც სავალდებულო იქნებოდა პირვანდელი საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მოქცევისა.

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის სანებართვო პირობების შესრულების კონტროლს ახორციელებს შემოსავლების სამსახური, შესაბამისი საბაჟო ორგანოს მეშვეობით. საბაჟო ორგანო სანებართვო პირობების შესრულების კონტროლს ახორციელებს შერჩევითი შემოწმებით. საბაჟო ორგანოს მიერ შერჩევითი შემოწმების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით, რომელიც წარედგინება ნებართვის მფლობელს.

მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის მფლობელის მიერ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს საბაჟო კოდექსით, საქართველოს საგადასახადო კოდექსითა და ამ ინსტრუქციით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან მათი არაჯეროვნად შესრულება წარმოადგენს სანებართვო პირობების დარღვევას და გამოიწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას, გარდა ამ **მუხლის მე-2 პუნქტით** გათვალისწინებული შემთხვევისა.

მე-2 პუნქტის მიხედვით: ნებართვის მფლობელს სანებართვო პირობების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა არ დაეკისრება ამ

ინსტრუქციის მე-8 მუხლის „მ“ ქვეპუნქტითა[553] და მე-10 მუხლის მე-7 პუნქტით[554] დადგენილი წესით ვიდეოჩაწერის შეწყვეტის შესახებ

---

[553] მე-8 მუხლის „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტების შესაბამისად განხორციელებული ვიდეოჩანაწერები შეინახოს არანაკლებ 6 თვის განმავლობაში და, მოთხოვნისამებრ, წარუდგინოს საბაჟო ორგანოს. მონაცემების (ინფორმაციის) ამოღება შესაძლებელი უნდა იყოს DVD, HDD, USB ან Ethernet ინტერფეისით avi, vcv ან mp4 ფორმატის ფაილებში. ვიდეოჩანაწერები უნდა ინახებოდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს კონკრეტული თარიღის ან/და კონკრეტული საათის შესაბამისი ვიდეოჩანაწერის ნახვა. ვიდეოჩაწერის შეწყვეტის (ტექნიკური ან სხვა მიზეზის გამო) შემთხვევაში, ნებართვის მფლობელმა საბაჟო ორგანოს უნდა გაუგზავნოს შესაბამისი შეტყობინება ვიდეოჩაწერის შეწყვეტის ფაქტის დადგომისთანავე ელექტრონულად ავტომატურ რეჟიმში, ხოლო აღნიშნულისა და მასთან ერთად, ვიდეოჩაწერის სავარაუდო აღდგენის ვადის შესახებ შეტყობინება – სხვა საშუალებით, ფაქტის დადგომიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა და იმოქმედოს საბაჟო ორგანოს მითითებისამებრ. ამასთან, შეტყობინება დამატებით უნდა შეიცავდეს: საბაჟო საწყობის დანიშნულების ადგილის კოდს, სანებართვო მოწმობით განსაზღვრული ვიდეოჩამწერი საშუალების ნომერს, ვიდეოჩაწერის შეწყვეტის თარიღსა და დროს. ვიდეოჩაწერის აღდგენისას, შესაბამისი ფაქტის დადგომიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, ნებართვის მფლობელმა აღნიშნულზე ასევე უნდა აცნობოს საბაჟო ორგანოს – საბაჟო საწყობის დანიშნულების ადგილის კოდის, სანებართვო მოწმობით განსაზღვრული ვიდეოჩამწერი საშუალების ნომრის, ვიდეოჩაწერის აღდგენის თარიღისა და დროის მითითებით.

[554] თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის ნებართვის მფლობელი ვალდებულია, ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად განხორციელებული ვიდეოჩანაწერები შეინახოს არანაკლებ 6 თვის განმავლობაში და, მოთხოვნისამებრ, წარუდგინოს საბაჟო ორგანოს. მონაცემების (ინფორმაციის) ამოღება შესაძლებელი უნდა იყოს DVD, HDD, USB ან Ethernet ინტერფეისით avi, vcv ან mp4 ფორმატის ფაილებში. ვიდეოჩანაწერები უნდა ინახებოდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს კონკრეტული თარიღის ან/და კონკრეტული საათის შესაბამისი ვიდეოჩანაწერის ნახვა. ვიდეოჩაწერის შეწყვეტის (ტექნიკური ან სხვა მიზეზის გამო) შემთხვევაში, ნებართვის მფლობელმა საბაჟო ორგანოს უნდა გაუგზავნოს შესაბამისი შეტყობინება ვიდეოჩაწერის შეწყვეტის ფაქტის დადგომისთანავე ელექტრონულად

საბაჟო ორგანოსათვის დაგვიანებით შეტყობინების გამო, თუ აღნიშნული შეტყობინება საბაჟო ორგანოსათვის გაგზავნილია ელექტრონულად ავტომატურ რეჟიმში[555].

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში შეიძლება რეალიზებულ იქნეს ნებისმიერი საქონელი, გარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული საქონლისა.

მაინც რა საქონელია, რომელიც იყიდება თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში?

ეს არის საქონელი, რომელსაც არ გადმოულახია ქვეყნის ეკონომიკური საზღვარი, თუმცა მისი ფიზიკური საზღვარი გადმოლახა, ანუ ეს არის, ვთქვათ ქვეყნის ტერიტორია, ეკონომიკური ტერიტორია, რომელიც სახელმწიფოთაშორისო ტერიტორიის ნაწილს წარმოადგენს ეკონომიკური თვალთახედვით. ამ შემთხვევაში მწარმოებელია ის ქვეყანა, რომელიც აწარმოებს ანალოგიურ საქონელს და აგზავნის სხვა ქვეყანაში, უბრალოდ განსხვავებულია ის, რომ ამ შემთხვევაში აქ ითვლება ექსპორტად, რადგანაც ასეთი

ავტომატურ რეჟიმში, ხოლო აღნიშნულისა და მასთან ერთად, ვიდეოჩაწერის სავარაუდო აღდგენის ვადის შესახებ შეტყობინება – სხვა საშუალებით, ფაქტის დადგომიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა და იმოქმედოს საბაჟო ორგანოს მითითებისამებრ. ამასთან, შეტყობინება დამატებით უნდა შეიცავდეს: თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის დანიშნულების ადგილის კოდს, სანებართვო მოწმობით განსაზღვრული ვიდეოჩამწერი საშუალების ნომერს, ვიდეოჩაწერის შეწყვეტის თარიღსა და დროს. ვიდეოჩაწერის აღდგენისას, შესაბამისი ფაქტის დადგომიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, ნებართვის მფლობელმა აღნიშნულზე ასევე უნდა აცნობოს საბაჟო ორგანოს – თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის დანიშნულების ადგილის კოდის, სანებართვო მოწმობით განსაზღვრული ვიდეოჩამწერი საშუალების ნომრის, ვიდეოჩაწერის აღდგენის თარიღისა და დროის მითითებით.

[555] სრული სახით იხ. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის #455 დადგენილება „საბაჟო საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესებისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“,
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4657414?publication=0.

საქონელი განთავსებულია ძირითადად პორტებში, აეროპორტებში და სხვ; ანუ საიდანაც ადამიანები ადიან გემზე, ტოვებენ ქვეყნის სახელმწიფო ტერიტორიას, ან კიდევ, სადაც ჩასხდომის დარბაზებია. ე.ი. ეს არის კუთხე, სადაც მოქალაქეები, როგორც რეზიდენტები, ისე არარეზიდენტები გადიან კონკრეტული ქვეყნიდან. ეს პროდუქცია ჩათვლილია ამ ქვეყნიდან ექსპორტირებულად ან რეექსპორტირებულად და რადგანაც ჩვენ ფინანსურ ურთიერთობებთან გვაქვს საქმე, ანუ უბაჟო ვაჭრობის პუნქტებში[556] საქონლის მოთავსებისას არ გადაიხდევინება საბაჟო გადასახადები, მას გადასახადებისაგან თავისუფალი ზონის რეჟიმის სტატუსი აქვს მინიჭებული ანუ **„დუტი ფრი" (Duty Free) – გადასახადისაგან თავისუფალი მაღაზიები**[557].

მთელ მსოფლიოშია ასეთი მაღაზიები, როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ, აეროპორტებში, პორტებში, არის სახმელეთო, სარკინიგზო, სამანქანო საზღვარზე, ანუ იქ, სადაც იკვეთება ქვეყნის საზღვარი და გაქვთ საქონელი.

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებში ძირითადად საყოფაცხოვრებო საქონელი იყიდება: სასმელები, პარფიუმერია, სიგარეტები, საათები და სხვ; ანუ ისეთი საქონელი, რომელიც მგზავრს შეიძლება საზღვრიდან გასვლისას გზაში დასჭირდეს. საქართველოში ასეთი მაღაზიები განლაგებულია თბილისის აეროპორტში, ფოთის, ბათუმის პორტებში, სარფის, ყაზბეგის და სხვ. საბაჟო ტერიტორიაზე. თავისუფალი ვაჭრობი ასეთი პუნქტები ხელს უწყობენ ტურიზმის განვითარებას და გარკვეულწილად კომფორტს უქმნიან იმ პირებს, რომლებიც ქვეყნის სახელმწიფო საზღვარს გადაკვეთენ.

„კონკრეტულად რა სარგებლობა მოაქვს მას ქვეყნისათვის? შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკურად ის ქვეყნისათვის არანაირად სარგებლიანი არ არის, მას არაფერი სიკეთე ქვეყნისათვის არ მოაქვს.

---

[556] დღეს მოქმედი საბაჟო კოდექსით თავისუფალი ვაჭრობის პუნქტი.

[557] იხ. ხარაზი ი; საქართველოს საბაჟო სამართალი, თბილისი, 2010, 669-670; საბაჟო სამართალი, ლექციების კურსი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019, https://www.sou.edu.ge; ჯგერენაია ე; საბაჟო ტექნოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 2002.

ხშირად უარესობისკენაცაა მიმართული იმიტომ, რომ საქონელი სხვადასხვა არხებით, კონტროლის შესუსტების დროს შემოდის ქვეყანაში, ხშირად საზღვარიც კი არ არის მკვეთრად გამიჯნული და ირღვევა კონტრაბანდის სახით. არსებული ბიუჯეტის და საერთოდ, სასაქონლი ბაზრის მხრივ შემაშფოთებელია"[558].

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებში შეიძლება გასაყიდად განთავსებული იყოს როგორც უცხოური, ისე სამამულო საქონელი. ამ პუნქტის მთავარი მახასიათებელი ისაა, რომ ასეთ პუნქტებში საქონელი მიეყიდება მხოლოდ ფიზიკურ პირებს და მხოლოდ იმათ, ვინც საქართველოს საბაჟო ტერიტორიას ტოვებს. თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებში შეძენილმა საქონელმა აუცილებლად უნდა დატოვოს ქვეყნის საზღვარი. ზოგიერთი ამ პირობის შესრულების კონტროლისათვის ზოგიერთ ქვეყანაში მგზავრებს სამგზავრი დოკუმენტებში უკეთებენ სპეციალურ ჩანაწერს.

საქართველოს კანონის **„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" 24-ე მუხლის („ნებართვის სახეები") 32-ე პუნქტის თანახმად, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობისათვის უნდა მიიღოს ნებართვა.** ნებართვის მაძიებელი ნებართვის მისაღებად ნებართვის გამცემს წარუდგენს წერილობით განცხადებას. ნებართვის მიღების თაობაზე განცხადების წარდგენა, განხილვა და წარმოებაში მიღება ხორციელდება საქართველოს **ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით დადგენილი წესით, გარდა ამ კანონის 26², 26³ და 26⁵ მუხლებით.** განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. იგი ასევე უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ ნებართვის რომელი სახის მიღებას მოითხოვს ნებართვის მაძიებელი, და თანდართული საბუთების ნუსხას[559].

---

[558] ჯგერენაია ე; საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, 2002; 670-671.

[559] სრულად იხ. საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ", https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/26824?publication=91

საქართველოს კანონის სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“, მე-7 მუხლის, მე-7 პუნქტის თანახმად, საბაჟო სფეროში საქმიანობის ნებართვა, კერძოდ, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვა – წელიწადში 100 ლარია. თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის მაძიებელი სანებართვო მოსაკრებელს იხდის ნებართვის მოქმედების ვადის შესაბამისი ოდენობით.[560]

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში, როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ, გასაყიდი საქონელი უნდა იყოს საცალოდ მოსახმარ შეფუთვებში, ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი უშუალოდ მოხმარება; ფარმაცევტული პროდუქცია არ უნდა მოითხოვდეს ექიმის სავალდებულო რეცეპტს; აკრძალულია საქონლის როგორც ბითუმად, ისე პარტიებად გაყიდვა. ერთი სახის საქონელი ერთ ფიზიკურ პირს უნდა მიეყიდოს **არა უმეტეს 10 ერთეულისა;** ანგარიშსწორება უნდა მოხდეს მხოლოდ ნაღდი ფულით ან საკრედიტო ბარათით; გასაყიდ საქონელს უნდა ჰქონდეს შეთანხმებული სპეციალური მარკირება ისე, რომ შეიძლებოდეს თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებში ნაყიდი საქონლის განსხვავება სხვა ჩვეულებრივი წესით შემოტანილისაგან.

და ბოლოს, **თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის ლიკვიდაციის მიზეზი შეიძლება იყოს:** მაღაზიის მფლობელის ნება; ლიცენზიის ვადის გასვლა; ლიცენზიის ანულირება; ლიცენზიის გაწვევა.

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის ტერიტორიებზე, საბაჟო კონტროლის ზონა უქმდება აღნიშნულ საქმიანობებზე ნებართვის/თანხმობის გაუქმებასთან ერთად. ამასთან, ასეთი ტერიტორია ჩაითვლება დროებით საბაჟო კონტროლის ზონად მასში არსებული საქონლის გაფორმებამდე ან სხვა საბაჟო კონტროლის ზონაში გადატანამდე.

---

[560] საქართველოს კანონი სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/12880?publication=72, მ.9.ვ.22.

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში შენახული საქონელი უნდა დარჩეს უცვლელ მდგომარეობაში, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთით ან შენახვის ნორმალური პირობებისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი დანაკარგებით.

რა შეიძლება ითქვას კიდევ თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის შესახებ?

„სავაჭრო ობიექტში შეძენილი საქონლის საქართველოს ტერიტორიიდან გატანისას თანხის უკან დაბრუნება (Tax Free) მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში:

- *უცხო ქვეყნის მოქალაქემ ქვეყნიდან გასვლისას ოფიცერს უნდა წარმოუდგინოს სპეც. ქვითარი და სპეციალურ შეფუთვაში (სტანდარტული ცელოფნის ან მუყაოს პარკში) მოთავსებული საქონელი, რომელსაც დაკრული უნდა ჰქონდეს სპეციალური წებოვანი სტიკერი.*
- *თუ წარმოადგინა მგზავრმა ქვითარი და დაუზიანებელი შფუთვით და სტიკერით საქონელი (საქონლის ღირებულება უნდა აღემატებოდეს 200 ლარს დღგ-ის გარეშე) მოწმდება ელექტრულ სისტემაში მონაცემების სისწორე ქვითრის უნიკალური ნომრის მიხედვით, წარმოდგენილი საქონელი არის 3 თვიანი ვადის ან/და შეფუთვის წესის დარღვევით ან/და ერთი ქვითრის მიხედვით 200 ლარზე (დღგ-ის გარეშე) ნაკლები ღირებულების? მაშინ მგზავრს დღგ-ის თანხა არ დაუბრუნდება წარმოდგენილ საქონელს რისკის მართვის სისტემის საფუძველზე განესაზღვრება მწვანე ან წითელი დერეფანი.*

მწვანე დერეფნის შემთხვევაში:

- *პირადი ბეჭდით დამოწმეთ ქვითარი და დაიტოვეთ ქვითრის ასლი, ხოლო ქვითრის ორიგინალი და საქონელი დათვალიერების გარეშე უბრუნდება უცხოელს;*
- *ბ) ელექტრონულ სისტემაში აღნიშნეთ საქონლის მიმართ კონტროლის დასრულება.*

წითელი დერეფნის შემთხვევაში:

- *ა) მოწმდება საქონლის დათვალიერებით ქვითარში მითითებული საქონლის შესაბამისობა ფაქტობრივად წარმოდგენილთან;*
- *ბ) შესაბამისობის შემთხვევაში პირადი ბეჭდით დამოწმებთ და დაიტოვეთ ქვითრის ასლი, ხოლო ორიგინალი გადაეცემა უცხოელს;*
- *გ) ელექტრონულ სისტემაში აღნიშნეთ საქონლის მიმართ კონტროლის დასრულება*

საბაჟო კონტროლის გავლის შემდეგ, საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთამდე უცხოელს უფლება ეძლევა დაიბრუნოს საქართველოს ტერიტორიაზე შეძენილ საქონელზე გადახდილი დღგ.[561]

- *ვ) საერთაშორისო მიმოსვლისთვის გახსნილ აეროპორტში, საზღვაო პორტში, ნავსადგურში, რკინიგზის სადგურში არსებული, საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული ტერიტორია.*

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 172- ე მუხლის „ნ" ქვეპუნქტის თანახმად, („დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლება") „თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში საქართველოს საქონლის მიწოდება რეალიზაციისთვის და ამ პუნქტში საქონლის რეალიზაცია ან/და კვების მომსახურების გაწევა გათავისუფლებულია დღგ-ისაგან ჩათვლის უფლებით.

A. დასამახსოვრებელი დებულებები!

თუ საქონელი ან მისი ნაწილი, რომელიც ექსპორტირებულ იქნა საქართველოდან და რომელსაც უცხოური საქონლის სტატუსი მიენიჭა, 3 წლის ვადაში დაბრუნდა საქართველოში თავისუფალ მიმოქცევაში გასაშვებად, დეკლარანტის მოთხოვნის შემთხვევაში დაბრუნებული საქონელი თავისუფლდება იმპორტის გადასახადისგან, თუ იგი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დაბრუნებისას არის იმავე მდგომარეობაში, რომელშიც იყო საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას.

საბაჟო ორგანო უფლებამოსილია დეკლარანტის განცხადების საფუძველზე საქონლის დაბრუნების ვადა გააგრძელოს 1 წლით.

საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი შეიძლება იყოს პრეფერენციული ან არაპრეფერენციული; საქონლის წარმოშობის დეკლარირება ან „საქონლის წარმოშობის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილების" წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ არაპრეფერენციული მიზნებისათვის; „პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის პრეფერენციული წარმოშობის წესების შესახებ" რეგიონული კონვენციის I დანართით გათვალისწინებული წარმოშობის დეკლარაციისა და „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ" 2007 წლის 21 ნოემბრის შეთანხმების II ოქმით

---

[561] სასაზღვრო საბაჟო ორგანოებში საბაჟო კონტროლის განხორციელება (საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საბაჟო საზღვრის გადაკვეთის პრინციპები, http://rs.ac.ge/course/view.php?id=27&lang=en.

გათვალისწინებული ანგარიშფაქტურის (ინვოისის) დეკლარაციის შედგენა ხორციელდება პრეფერენციული მიზნებისათვის.

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტი არის საბაჟო კონტროლის ზონა, სადაც შესაძლებელია იმ ფიზიკურ პირზე, რომელიც ტოვებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიას, პირადი სარგებლობისთვის საცალო წესით რეალიზებულ იქნეს: უცხოური საქონელი იმპორტის გადასახდელის გადახდისა და ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებების განხორციელების გარეშე; საქართველოს საქონელი.

B. კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის:

რა შემთხვევაში თავისუფლდება დაბრუნებული საქონელი იმპორტის გადასახადისაგან?

აქვს თუ არა უფლება საბაჟო ორგანოს დეკლარანტის განცხადების საფუძველზე გააგრძელოს საქონლის უკან დაბუნების ვადა?

განმარტეთ პრეფერენციული და არაპრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატები

განმარტეთ თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის ცნება

როგორი საქონელი შეიძლება განთავსდეს თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში?

C. ტესტები:

საბაჟო კოდექსის 81-ე მუხლის თანახმად, საქონელი კარგავს საქართველოს საქონლის სტატუსს და იძენს უცხოური საქონლის სტატუსს, თუ:

ა. ის გაიტანება საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან; ის ექცევა ტრანზიტის, საბაჟო საწყობის, თავისუფალი ზონის ან შიდა გადამუშავების პროცედურაში, თუ ეს დაშვებულია საქართველოს კანონმდებლობით; ის მოქცეულია საბაჟო პროცედურაში მიზნობრივი დანიშნულებით და შემდეგ გადაეცემა სახელმწიფოს ან ნადგურდება ისე, რომ რჩება ნარჩენი; საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო დეკლარაცია საქონლის გაშვების შემდეგ გათიშლად იქნა ცნობილი

ბ. ის გაიტანება საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან

გ. ის ექცევა ტრანზიტის, საბაჟო საწყობის, თავისუფალი ზონის ან შიდა გადამუშავების პროცედურაში, თუ ეს დაშვებულია საქართველოს კანონმდებლობით

დ. ის მოქცეულია საბაჟო პროცედურაში მიზნობრივი დანიშნულებით და შემდეგ გადაეცემა სახელმწიფოს ან ნადგურდება ისე, რომ რჩება

ნარჩენი; საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო დეკლარაცია საქონლის გაშვების შემდეგ გათვალად იქნა ცნობილი.

საქონლის წარმოშობა შეიძლება იყოს შეღავათიანი (პრეფერენციული) ან შეღავათების გარეშე (არაპრეფერენციული). აღნიშნულის გათვალისწინებით:

ა. საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი შეიძლება იყოს პრეფერენციული ან არაპრეფერენციული; საქონლის წარმოშობის დეკლარირება ან „საქონლის წარმოშობის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილების" წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ არაპრეფერენციული მიზნებისათვის

ბ. საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი შეიძლება იყოს პრეფერენციული ან არაპრეფერენციული; საქონლის წარმოშობის დეკლარირება ან „საქონლის წარმოშობის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილების" წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ არაპრეფერენციული მიზნებისათვის; „პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის პრეფერენციული წარმოშობის წესების შესახებ" რეგიონული კონვენციის I დანართით გათვალისწინებული წარმოშობის დეკლარაციისა და „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ" 2007 წლის 21 ნოემბრის შეთანხმების II ოქმით გათვალისწინებული ანგარიშფაქტურის (ინვოისის) დეკლარაციის შედგენა ხორციელდება პრეფერენციული მიზნებისათვის

გ. „პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის პრეფერენციული წარმოშობის წესების შესახებ" რეგიონული კონვენციის I დანართით გათვალისწინებული წარმოშობის დეკლარაციისა და „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ" 2007 წლის 21 ნოემბრის შეთანხმების II ოქმით გათვალისწინებული ანგარიშფაქტურის (ინვოისის) დეკლარაციის შედგენა ხორციელდება პრეფერენციული მიზნებისათვის

დ. საქონლის წარმოშობის დეკლარირება ან „საქონლის წარმოშობის შესახებ წინასწარი გადაწყვეტილების" წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ არაპრეფერენციული მიზნებისათვის.

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტი არის საბაჟო კონტროლის ზონა, სადაც შესაძლებელია იმ ფიზიკურ პირზე, რომელიც ტოვებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიას, პირადი სარგებლობისთვის საცალო წესით რეალიზებულ იქნეს:

ა. უცხოური საქონელი იმპორტის გადასახდელის გადახდისა და ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებების განხორციელების გარეშე

ბ. საქართველოს საქონელი

გ. უცხოური საქონელი იმპორტის გადასახდელის გადახდისა და ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებების განხორციელების გარეშე საქართველოს საქონელი

დ. მხოლოდ რეექსპორტირებული საქონელი.

D. სამართლებრივი აქტები:

საერთაშორისო აქტები:

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელწიფოებს შორის,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0

„მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია“,
http://legalclinic.iliauni.edu.ge/index.php/en/12-სტატიები/100-მსოფლიო-სავაჭრო-ორგანიზაცია.html

შეთანხმება ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნებსა და საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/3796698?publication=0

საკანონმდებლო აქტები:

საქართველოს საბაჟო კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=5

საქართველოს საგადასახადო კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/32842?publication=69

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=37

საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“,
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/26824?publication=91

საქართველოს კანონი სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/12880?publication=72

კანონქვემდებარე აქტები:

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის #453 დადგენილება „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4657381?publication=0

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #672 დადგენილება „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“,

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4762652?publication=0

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე", ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ". დანართი №8,
https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია ინსტრუქცია „გარანტიის შესახებ" („დანართი №4")

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე", ინსტრუქცია „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ" (დანართი #5), https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის ბრძანება №275 წლის „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე" დანართი #1, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის #996 ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ",
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1167887?publication=254 ,

ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ" (დანართი #13),
https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ". დანართი №11,
https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

ინსტრუქცია „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ", https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=48

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია (დანართი №2) „საბაჟო კონტროლის შესახებ",
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ" ინსტრუქცია (დანართი №1),
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს #257 ბრძანება „საქართველო საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე", დანართი #3, ინსტრუქცია „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ",
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ" (დანართი №3),
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ",
https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/1167887/285/ge/pdf

ფინანსთა მინისტრის ბრძანება #257-ის (დანართი №17) „მილსადენითა და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებული საქონლის შესახებ",https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის ბრძანება #257 (დანართი #16),ინსტრუქცია „რეექსპორტის შესახებ",
https://www.rs.ge/Media/Default/კანონმდებლობა/კანონები/257%20დანართი%2016.pdf

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს #1-1/346 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის განსაკარგავად გადაცემული ქონებისა და სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ქონების ალრიცხვის, შენახვის, შეფასებისა და განკარგვის წესის დამტკიცების თაობაზე,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4979526?publication=0

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება (#257 2019 წლის 29 აგვისტო) „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე",
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0
ინსტრუქცია (დანართი №12) „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ"

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ექსპორტის პროცედურის შესახებ(დანართი №15),
https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №241 (2012 წლის 11 ივლისი) „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“,
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1697179?publication=0

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტრანსპორტის დირექტორის 2019 წლის 25 აპრილის №02 ბრძანება „საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი თვვზსაჭერი გემების მიმართ წაყენებული დამატებითი მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“,
http://extwprlegs1.fao.org/docs/pdf/geo193846.pdf

E. გამოყენებული ლიტერატურა:

ბარაზი ია, საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, დამხმარე სახელმძღვანელო, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2021

ბარაზი ია, საერთაშორისო საბაჟო სამართალი, თბილისი, 2013

ბარაზი ია, საბაჟო სამართლი, თბილისი, 2007

ბარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2010

ბარაზი ია: საქართველოს საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი. გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2015

ბარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი. მეორე ნაწილი, თბილისი, 2014

ბარაზი ია. საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, მეორე ნაწილი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი. 2020

ია ბარაზი, საბაჟო სამართალი, ლექციების კურსი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019, https://www.sou.edu.ge

ბარაზი ია. საგადასახადო სამართალი (საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები), თბილისი, 2017

ბარაზი ია, აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტ. თანაავტ. „საგადასახადო და საბაჟო სამართალი ქართულ სასამართლო სივრცეში (სასამართლო პრაქტიკის მასალები იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის)“, გამომც. ქუთაისის უნივერსიტეტი, თბილისი, 2019

როგავა ზ; საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, წიგნი მესამე. გამომცემლობა ურისტების სამყარო“, თბილისი, 2017

ნადარაია, როგავა, რუხაძე, ბოლქვაძე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე. §§156--310,
https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00J1P6.pdf

გონერ ურიდია, ფრიდონ არახამია, სამაჟო საქმის თეორია, თბილისი, 2009

ურიდია გ; საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები, გამოცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2011

ლორთქიფანიძე ვ; სამაჟო საქმის საფუძვლები, თბილისი, 2002

სვანაძე სერგო „არაპირდაპირი გადასახადები. მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები", დისერტაცია, ქუთაისი, 2009

F. ლექსიკონი:

მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე] - თბ., 2004 - 483 გვ.: ცხრ.; 24სმ. - (საჯარო მოსამსახურის ბ-კა). - ISBN 99940-0-063-2: [ფ.ა.];
http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=17983

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1962

G. ვებრესურსები:

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=5
http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=17983
http://rs.ac.ge/course/view.php?id=27&lang=en.
https://www.sou.edu.ge
https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00J1P6.pdf

თავი VIII. სპეციალური პროცედურები

1. ზოგადი დებულებები სპეციალური პროცედურებისთვის

1.1. სპეციალური პროცედურები

საქონელი შეიძლება მოექცეს ნებისმიერ შემდეგ სპეციალურ პროცედურაში:

- ა) ტრანზიტი;
- ბ) საბაჟო საწყობი;
- გ) თავისუფალი ზონა;
- დ) დროებით შემოტანა;
- ე) მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენება;
- ვ) შიდა გადამუშავება;
- ზ) გარე გადამუშავება.

საბაჟო სფეროში კანონმდებლობის ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობასთან დაახლოვების შედეგად, ქართული საბაჟო რეგულაციები სულ უფრო დაუახლოვდა ევროკავშირის პროგრესულ რეგულაციებს, რომელიც უთუოდ სასიკეთოდ წააადგება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას[562]. საბაჟო კოდექსის სადღეისო ცვლილებები მრავალფეროვანი და ჯეროვანია. მასში თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ახლებურადაა გააზრებული „საბაჟო პროცედურები".

სპეციალური ოპერაციების ჩამონათვალში არ შედის ექსპორტი, საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება (იმპორტი), რეექსპორტი და ა.შ და ისინი საბაჟო პროცედურაში მოიაზრება და სპეციალური ოპერაციებში ჩამონათვალში აღარ გვხვდება განსხვავებით წინა მოქმედი საბაჟო და საგადასახადო კოდექსებისაგან, როცა ექსპორტი, საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება (იმპორტი) და რეექსპორტი თავდაპირველად საბაჟო რეჟიმში მოიაზრებოდა, ხოლო 2011 წლიდან - სასაქონლო ოპერაციებში. ასევე, საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება (იმპორტი)[563] და საქონელი

---

[562] ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021, 18.

[563] იქნებ ვცდები, მაგრამ უფრო სწორი იქნებოდა, თუ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება და ექსპორტი სპეციალური საბაჟო კოდექსით

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას, რომლის მიმართაც წარმოიშობა საბაჟო ვალდებულება იმპორტის გადასახადით დაბეგვრის მიზნებისათვის, საბაჟო კოდექსით ცხადდება თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში; ასევე დროებით შემოტანის პროცედურაში იმპორტის გადასახადისგან ნაწილობრივ გათავისუფლებით[564].

თავისუფალ მიმოქცევაში საქონლის გაშვების შესახებ ვრცელი საუბარი იყო საბაჟო სამართლის პირველ ნაწილში და ამ შემთხვევაში მის განვრცობას არ შევეცდები, სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში მხოლოდ განსახილველ საკითხებთან კავშირში განვიხილავ იმპორტს.

მოკლედ ისტორიული ექსკურსი სპეციალური ოპერაციების მოდერნიზაციის შესახებ.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მიღებული პირველი საბაჟო კოდექსით, დღეს მოქმედი საბაჟო კანონმდებლობით სპეციალური ოპერაციები საბაჟო რეჟიმების სახელწოდებით მოიაზრებოდა და მისი კლასიფიცირება დოქტრინის მიხედვით ხდებოდა: **სამართლებრივი რეგულირების საგნის, სუბიექტების, გამოყენების სფეროს, უპირატესი სამართლებრივი საშუალებების მიხედვით და ა.შ.** 1992 წლის საბაჟო კოდექსი საბაჟო რეჟიმებში მოიაზრებდა 7 სახეობას და მათ შორის იყო საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება (იმპორტი), ექსპორტი, რეექსპორტი, რაც დღეს მოქმედი საბაჟო კოდექსით შეცვლილია და ისინი სპეციალური ოპერაციების ჩამონათვალში, როგორც ზემოთაც ავღნიშნეთ არ მოიაზრება. ასევე, საქონლის გადამუშავების რეჟიმები 3 სახით იყო წარმოდგენილი იმდროინდელ საბაჟო კოდექსში და მასში შედიოდა: საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავება, საქონლის შიდა გადამუშავება და საქონლის გარე გადამუშავება. სადოქტორო

დარეგულირებულ სპეციალური ოპერაციების ჩამონათვალში თუ მოხვდებოდა.

[564] იხ. საბაჟო კოდექსი, მ. 47.

დისერტაციაში[565] ვავითარებდი მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავება და საქონლის შიდა გადამუშავება იდენტური ტერმინები იყო და არა მარტო ტერმინები, იდენტური ოპერაციები (ნიუანსური განსხვავებებით) და საბაჟო კოდექსში არსებული საკანონმდებლო ხარვეზი უნდა აღმოხვრილიყო. დღეს ეს ხარვეზი გასწორებულია და როგორც დღეს მოქმედი საბაჟო კანონმდებლობიდან იკვეთება, საბაჟო კოდექსით დარჩა საქონლის შიდა და გარე გადამუშავება.

2011 წლის საგადასახადო კოდექსის მიღებით ძალადაკარგულად გამოცხადდა საბაჟო კოდექსი და მისმა ნორმებმა საგადასახადო კოდექსში გამოინაცვლა, რაც კანონმდებლის შეცდომად მიმაჩნდა და რაც არაერთხელ დამისაბუთებია სამეცნიერო ნაშრომებში, ხოლო საბაჟო რეჟიმები საგადასახადო კოდექსში სასაქონლო ოპერაციების სახით შევიდა[566].

ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერით ბევრი სასიკეთო საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა ქვეყანაში და ერთერთი უპირველესი იყო 2019 წლის დამოუკიდებელი საბაჟო კოდექსის ამოქმედება, მიუხედავად მასში არსებული გარკვეული ხარვეზებისა, ევროკავშირთან მიახლოებული საბაჟო კოდექსია, რომელიც პასუხობს სადღეისო გამოწვევებს.

სპეციალური ოპერაცია იმ დებულებების ერთობლიობაა, რომლებიც განსაზღვრავენ საქართველოს საქართველოს საბაჟო საზღვრის საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით გადაკვეთის წესს და მექანიზმებს.

---

[565] იხ. ხარაზი ი; „გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება", იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, დისერტაცია, თსუ, 2006.

[566] გამოვთქვამ მოსაზრებას, რომ ახალ საბაჟო კოდექსში რეიმპორტს უნდა დათმობოდა თავისი ადგილი, როგორც ეს ადრე მოქმედ საბაჟო კანონმდებლობაში იყო, თუმცა მან სხვა ტემინით - „დაბრუნებული საქონელი" დაიმკვიდრა საბაჟო კანონმდებლობაში ადგილი, მაგრამ აღნიშნული ტერმინი საბაჟო კოდექსიდან არ უნდა გამქრალიყო, იქნებ ვცდები, მაგრამ როგორც ამბობენ, ყველა მეცნიერულ მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება. დრო და პრაქტიკა გამოაჩენს ამ ტერმინის დაბრუნების აუცილებლობას.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალური ოპერაციების სამართლებრივი ბუნება ჯერ კიდევ არაა სრულყოფილად შესწავლილი და დამუშავებული არა მარტო ქართულ, არამედ საზღვარგარეთის სამეცნიერო ნაშრომებშიც და ღრმა პოლემიკა არ არის გავრცელებული აღნიშნული საბაჟოსამართლებრივი ინსტუტუტის შესახებ. ჯერ კიდევ არაა სრულყოფილად გაცემული პასუხი კითხვაზე - *რა არის სპეციალური ოპერაცია და რატომ ჰქვია საერთოდ ოპერაცია, რატომ ვამბობთ, რომ სპეციალური ოპერაცია არის ამოსავალი მთლიანად საბაჟო ურთიერთობისა*[567].

სპეციალური ოპერაციების პირობებში მოაზრებულ უნდა იქნეს გარემოებები, რომლებიც წინასწარ განსაზღვრავენ მასში საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მოთავსების შესაძლებლობას. ეს გარემოებები შეიძლება სხვადასხვა სახეს ატარებდეს.

ჯერ ერთი, ზოგიერთი ოპერაციის არჩევა დამოკიდებულია საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების სტატუსზე. კანონმდებელმა შეიძლება დაადგინოს სპეციალურ ოპერაციაში გარკვეული კატეგორიის საქონლის მოთავსების აკრძალვა მისი წარმოშობის, ქვეყნის, დასახელების, კლასიფიკაციიდან გამომდინარე საქართველოს შესაბამისი კოდის, აგრეთვე სხვა მახასიათებლების მიხედვით. ასე მაგალითად, უცხოური საქონლის მიმართ საქართველოში შემოტანისას და მისი საწყობში განთავსებისას, გამოიყენება საბაჟო საწყობის სპეციალური ოპერაცია; საქონლის საქართველოს ტერიტორიაზე გადამუშავებისას - შიდა გადამუშავების სპეციალური ოპერაცია და ა.შ.

---

[567] იხ. ჯგერენაია, საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, 2021, 113; ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, 2010, 606; ხარაზი ია, საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, დამხმარე სახელმძღვანელო, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2002; ხარაზი ია, საერთაშორისო საბაჟო სამართალი, თბილისი, 2013; ხარაზი ია, საბაჟო სამართლი, თბილისი, 2007; ხარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2010; ხარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2019, ლექციების კურსი, https://www.sou.edu.ge; ხარაზი ია; საქართველოს საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2015; ხარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბილისი, 2014.

მეორე, რიგ სპეციალურ ოპერაციებს პირი გამოიყენებს მხოლოდ განსაზღვრული მოქმედების შესრულების დროს. მაგ; საქართველოს ტერიტორიაზე დროებით შემოტანილი საქონელი ექვემდებარება გატანის ვალდებულებას.

გარკვეულ სპეციალურ ოპერაციაში საქონლის მოთავსების საფუძველს წარმოადგენს საბაჟო ორგანოს წერილობითი ნებართვა, რომლის მიღება ასევე სპეციალური ოპერაციის პირობას წარმოადგენს (მაგ; ტრანზიტი, დროებითი შემოტანა და ა.შ.).

საბაჟო ორგანოს ნებართვის განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს ლიცენზია, რომელიც საჭიროა მაგალითად საქონლის გადამუშავების ოპერაციის გამოყენებისათვის.

მესამე, სპეციალურ ოპერაციაში საქონლის მოთავსება განპირობებული უნდა იყოს სახელმწიფოსათვის ხელსაყრელი, ან პირიქით, არახელსაყრელი შედეგების აღმოფხვრის შესაძლებლობით. კერძოდ, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შიდა გადამუშავებისას, გადასამუშავებელი საქონელი აღნიშნულ ოპერაციაში შეიძლება მოთავსდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი გადამუშავება ხელს შეუწყობს გადამუშავების პროდუქტების გატანას ან საქართველოს საწარმოო სიმძლავრების გამოყენებას ან კიდევ, საბაჟო ორგანო არ გასცემს საქონლის განადგურებაზე ნებართვას თუ განადგურების შედეგად შეიძლება არსებითი ზიანი მიადგეს ბუნებრივ გარემოს, აგრეთვე, თუ განადგურებას სახსელმწიფოსათვის მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ხარჯები და ა.შ.

სპეციალური ოპერაციების მოთხოვნები - შეიძლება განისაზღვროს როგორც მოქმედებები, რომელთა შესრულებასთან დაკავშირებულია საბაჟო კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად სპეციალური ოპერაციების დამთავრების შესაძლებლობა.

მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის ფაქტობრივი გატანის განხორციელების ექსპორტის ოპერაციის მოთხოვნა, რომელიც გამომდინარეობს თვით სპეციალური ოპერაციის განსაზღვრებიდან, რომლის შესაბამისად, „ექსპორტის პროცედურა საშუალებას იძლევა, საქართ-

ველოს საქონელი გატანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან (მათ შორის, დროებით, დაბრუნების პირობით, რა დროსაც ხორციელდება ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებები"[568].

„ათავსებს რა საქონელს გარკვეულ ოპერაციაში, საქონლის გადამაადგილებელი პირი ეთანხმება საბაჟო კანონმდებლობით შემოთავაზებულ „თამაშის წესებს" და ვალდებულებას კისრულობს დაიცვას ყველა დადგენილი შეზღუდვა და მოთხოვნა. ამრიგად, საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციების ჩარჩოებში წარმოიშობა თვით სამართლებრივი ბუნებით სამოქალაქოსამართლებრივი ხასიათის ვალდებულება, რომლის ძალით სპეციალურ ოპერაციაში საქონლის მომთავსებელი პირი ვალდებულია შეასრულოს გარკვეული მოქმედებები ან უარი თქვას მათ შესრულებაზე, ხოლო საბაჟო ორგანოს უფლება აქვს მოითხოვოს მისგან ამ ვალდებულების შესრულება იურიდიული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების მუქარით"[569].

სპეციალურ ოპერაციაში საქონლის მოთავსების პროცედურა იწვევს ვალდებულ პირსა და ნებართვის გამცემი საბაჟო ორგანოს რეგლამენტით გათვალისწინებული შესაბამისი ოპერაციის გამოყენებას და მის ჯეროვნად გამოყენებაზე კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა უფლებებისა და მოვალეობების აღმოცენებას.

სპეციალური ოპერაციების პირობები, შეზღუდვები და მოთხოვნები შეიძლება მოცემულ იქნეს როგორც საქართველოს საბაჟო კოდექსში, ასევე საბაჟო საქმეზე სხვა ნორმატიულ აქტებშიც *(მაგ; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე")*[570].

---

[568] საბაჟო კოდექსი, მ. 158.ნ.1.

[569] დამატ. იხ. ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, 2010; ხარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, 2014.

[570] სრული სახით სპეციალური ოპერაციები იხ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე", თანდართული ინსტრუქციებით, https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

რიგ შემთხვევაში საქართველოს შემოსავლების სამსახურის კანონქვემდებარე აქტები არ ადგენენ ახალ პირობას, შეზღუდვას ან მოთხოვნას, არამედ ცვლიან ან აუმჯობესებენ უკვე არსებულს, რაც არამართლზომიერია, ვინაიდან საქართველოს საბაჟო კოდექსი ითვალისწინებს შემოსავლების სამსახურის უფლებას განსაზღვროს სპეციალური ოპერაციების სამართლებრივი რეგულირების თავისებურებანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არ არის გათვალისწინებული საბაჟო კოდექსით. აქვე უნდა დავაკონკრეტოთ, რომ „ქართულ საქონელში" მოიაზრება საქონელი, რომელიც წარმოიშობა საქართველოში, საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოქცევისათვის გაშვებული საქონელი", დანარჩენი საქონელი აღიარებულია უცხოურ საქონლად.

სპეციალური ოპერაციების პირობები, შეზღუდვები და მოთხოვნები შეიძლება დაიყოს დადებითად და უარყოფითად. დადებითი პირობების, შეზღუდვების ან მოთხოვნების შემთხვევაში პირმა უნდა შეასრულოს გარკვეული მოქმედება, ხოლო **უარყოფითის დროს** უარი თქვას მის შესრულებაზე. *მაგალითად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანის ვალდებულება წარმოადგენს დადებით მოთხოვნას, ხოლო საბაჟო საწყობის ოპერაციაში მოქცეული საქონლის მიმართ „არ დაიშვება საბაჟო საწყობიდან გატანა საბაჟო ორგანოსთან შეუთანხმებლად" - უარყოფითი შეზღუდვის მაგალითია.* ასევე უნდა აღინიშნოს, რომ უმეტეს შემთხვევაში საბაჟო კანონმდებლობა ადგენს დადებით პირობებს და მოთხოვნებს და უარყოფს შეზღუდვებს.

სპეციალური ოპერაციების პირობებს, შეზღუდვებს და მოთხოვნებს შორის შეიძლება გამოიყოს ისინი, „რომლებიც დადგენილია საქონლის მიმართ და ისინი, რომლებიც დადგენილია მისი გადამაადგილებელი პირების მიმართ და წარმოადგენს საბაჟო კონტროლით საქონლის გადამუშავებას გადამუშავების სპეციალური ოპერაციით, რომ საქართველოში საქონელი უნდა შემოიტანოს მხოლოდ გადამუშავების ოპერაციის უშუალოდ განმახორციელებელმა

ორგანიზაციამ და ამასთან ამ ორგანიზაციას უდა ჰქონდეს იურიდიული პირის სტატუსი"[571].

საჭიროა გამოიყოს არსებითი პირობები, შეზღუდვები და მოთხოვნები, - ე.ი. ისეთები, რომლებიც განსაზღვრავენ სპეციალური ოპერაციების დანიშნულებას და იძლევიან ერთი ოპერაციის მეორისგან განსხვავების საშუალებას. კერძოდ, არსებითია შენახვის საბაჟო საწყობის სპეციალური ოპერაციის შეზღუდვა, რომლის შესაბამისად საქონელი უნდა ინახებოდეს საბაჟო საწყობის ტერიტორიაზე და ა.შ.

სპეციალური ოპერაციების პრინციპები. დარგობრივი პრინციპების გარდა სპეციალური ოპერაციებისათვის დამახასიათებელია სპეციალური პრინციპები, რომლებიც მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი. პირველი პრინციპი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც **სპეციალური ოპერაციის სავალდებულოობის პრინციპი.** საბაჟო კოდექსს წითელ ზოლად გასდევს ამ პრინციპის არსი, რომ ყველა საქონლით და სატრანსპორტო საშუალებით საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა უნდა მოხდეს მათი შესაბამისი სპეციალური ოპერაციების შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მიმაჩნია, რომ ასეთი მოთხოვნა პირველ რიგში განპირობებულია გადასაადგილებელი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებებისათვის განსაზღვრული სტატუსის მინიჭების აუცილებლობით და მათი ქაოსური შემოტანისა და გატანის დაუშვებლობის მიზნით, აგრეთვე, საბაჟო კონტროლის განხორციელების მიზნით. ამასთანავე, სპეციალური ოპერაციების გამოყენება საქონლის შემოტანისა და გატანის მიზნით, ვადის, აგრეთვე სხვა გარემოებებისდა მიხედვით იძლევა მათ მიმართ სამართლებრივი რეგულირების სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობას, რაც საშუალებას იძლევა უფრო სრულად იქნეს გათვალისწინებული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის მონაწილეთა მოთხოვნები და ინტერესები და საბოლოო ანგარიშით ხელს შეუწყობს საგარეო-სავაჭრო გაცვლა-

[571] ხარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, 2014, 622-623.

გამოცვლას, აგრეთვე საერთაშორისო ვაჭრობასთან უშუალოდ დაკავშირებული საქმიანობის და სხვა ფორმების განვითარებას.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ პერიოდში საბაჟო ორგანოების პრაქტიკა **სპეციალური ოპერაციების სავალდებულოობის პრინციპის** თვალსაზრისზე დგას. შემოსავლების სამსახურის ოფიციალური პოზიციის თანახმად, სპეციალური ოპერაციებით შეიძლება სარგებლობდნენ იურიდიული პირები და ის ფიზიკური პირები, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას იურიდიული პირის შექმნის გარეშე, ხოლო დანარჩენი ფიზიკური პირები საქონლის საბაჟო დამუშავების სხვადასხვა ოპერაციებს ახორციელებენ, რაც მათ კანონმდებლობით არ ეკრძალებათ.

საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები შეიძლება მოთავსდეს მხოლოდ იმ სპეციალურ ოპერაციაში, რომელიც უშუალოდ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობითაა დადგენილი. ამრიგად, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადმაადგილებელ პირებს არ შეუძლიათ დამოუკიდებლად განსაზღვრონ წესები, რომელთა შესაბამისად საქონელი იქნება საქართველოს ტერიტორიაზე ან მის საზღვრებს გარეთ. მათ ეძლევათ მხოლოდ მოქმედი სპეციალური ოპერაციებიდან თავისთვის ყველაზე უფრო შესაფერისი არჩევის უფლება.

„როგორც ჩანს, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისას არ გამოიყენება კერძო სამართლის პრინციპები, რომელთა მიხედვით მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ნებისმიერ პირობებზე, რომლებიც კანონს არ ეწინააღმდეგებიან. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილების გამო წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობები ოპერატიული ხასიათის ურთიერთობებია და უპირატესად მოწესრიგებულია სავალდებულო სამართლებრივი ნორმებით“[572].

---

[572] ხარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, 2014. 628; ასევე იხ. ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, 2010. ხარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2019, ლექციების კურსი, https://www.sou.edu.ge.

პირს უფლება აქვს ნებისმიერ დროს აირჩიოს ნებისმიერი პროცედურა ან შეცვალოს იგი მეორეთი საქონლისა და სატრანსპორტო სასუალებების ხასიათის, რაოდენობის, წარმომავლობის ქვეყნის ან დანიშნულების მიუხედავად, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საბაჟო საქმეზე ნორმატიული სამართლებრივი აქტებით (**სპეციალური ოპერაციის არჩევისა და შეცვლის პრინციპი**). *მაგალითად, როდესაც პირი ირჩევს შვიდი სპეციალური ოპერაციიდან კონკრეტულად ერთ-ერთს, ამ შემთხვევაში მას, ბუნებრივია, თავისუფალი ამორჩევის უფლება გააჩნია; კიდევ მეტიც, თუ პირი, ვთქვათ, საქონლის გადამუშავების ორი ოპერაციიდან ერთერთს ირჩევს, იგი მას ირჩევს იმის მიხედვით, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე მოახდენს საქონლის გადამუშავებას თუ საბაჟო ტერიტორიის გარეთ.*

სანამ შევჩერდებით სპეციალური ოპერაციის არჩევის პრინციპის ანალიზზე, აღვნიშნავთ, რომ სამართლებრივი ოპერაციის არჩევისა და შეცვლის უფლება ქართული სამართლისათვის ნოვაციას არ წარმოადგენს.

სპეციალური ოპერაციის არჩევისა ან შეცვლის თავისუფლების უფლება არ არის აბსოლუტური, შეიძლება შეიზღუდოს საბაჟო საქმეზე ნორმატიული სამართლებრივი აქტების დებულებებით.

ჯერ ერთი, ზოგიერთი საქონელი შეიძლება მოთავსებულ იქნეს მხოლოდ განსაზღვრულ ოპერაციებში. *მაგალითად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების ოპერაციაში უნდა მოთავსდეს იმპორტული საქონელი.*

ამასთან ერთად, **შეიძლება მართებულად ჩაითვალოს იმის მტკიცება,** რომ საქართველოს საბაჟო საზღვარზე გაადამაადგილებელი პირი იძულებულია აირჩიოს საბაჟო პროცედურა იმ აზრით, რომ უცხოური საქონლის შიდა გადამუშავება შეიძლება მხოლოდ გადამუშავების ოპერაციით, ხოლო საქონლის შენახვა შესაძლებელია მხოლოდ საბაჟო საწყობის ოპერაციის გამოყენებისას. ან კიდევ, პირიქით, პირს შეუძლია გადასამუშავებლად ან საწყობში მოსათავსებლად ნავარაუდევი საქონელი მოათავსოს თავისუფალი მიმოქცევისათვის გაშვების პროცედურაში, ამასთან, გადაიხდის რა საჭირო იმპორტის გადასახდელს, მაგრამ მას განზრახ ათავსებს გადამუშავების ან საბაჟო საწყობის ოპერაციაში, ვინაიდან

დაინტერესებულია საგადასახადო შეღავათის მიღებით. მოცემულ შემთხვევაში ვხედავთ საბაჟო ოპერაციის თავისუფალი არჩევის უფლების რეალიზაციას და არა მისი შეზღუდვის მაგალითს.

მეორე, ზოგიერთ საქონელზე არ შეიძლება გარკვეული საბაჟო პროცედურების ჩატარება. „აკრძალული საქონლის“ ნუსხა გათვალისწინებულია სამართლებრივი რეგლამენტაციით. მაგალითად, დაუშვებელია განადგურება საქართველოს და უცხო ქვეყნის ხალხთა მხატვრული, ისტორიული და არქეოლოგიური საკუთრების საგნებისა და სხვა.

მესამე, გარკვეული საბაჟო პროცედურის არჩევა შეიძლება არ გულისხმობდეს მის მეორეთი შეცვლას და ამას გარდა სპეციალური ოპერაციის არჩევისა და მის მეორეთი შეცვლის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: დროებითი ფაქტორები. *ნათელყოთ ეს მაგალითით. საბაჟო მიმართვაში საქონელზე საბაჟო დამუშავების ოპერაციის მოვალეობის, ასევე საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი სპეციალური ოპერაციების დებულებათა დაცვის მოვალეობის უზრუნველყოფა ხდება იურიდიული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების შესაძლებლობით. კერძოდ, საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების არადეკლარირებისათვის სპეციალური ოპერაციების დადგენილი პირობების, შეზღუდვების დაუცველობას მოსდევს პასუხისმგებლობა საბაჟო კოდექსის XXX-ე თავით „საბაჟო სამართალდარღვევის სახეები და პასუხისმგებლობა“, რომლის შესახებაც იქნება საუბარი საბაჟო სამართლის მესამე ნაწილში.*

დროითი ფაქტორის სპეციალური ოპერაციის თავისუფლებით შეზღუდვის დამახასიათებელი მაგალითი შეიძლება იყოს ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც გადამუშავების ოპერაციაში საქონელი იყო მოთავსებული და მისი გადამუშავების ოპერაციები ფაქტობრივად ჩატარდა. ცხადია, რომ მოცემულ შემთხვევაში პირს არ შეუძლია შეცვალოს შიდა გადამუშავების ოპერაცია მეორეთი, რადგან საქონლის პირვანდელი მდგომარეობა უკვე შეცვლილი იყო.

ვხსნით რა სპეციალური ოპერაციის არჩევისა და შეცვლის თავისუფლებს პრინციპს (მაგ. *საქონლის ექსპორტის პროცედურა აგრეთვე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს: გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეულ საქონელზე გადამუშავების ვადის გასვლამდე,*

თუ დეკლარანტი გაფორმების საბაჟო ორგანოში წარადგენს საქონლის გასხვისების დოკუმენტს; თავისუფალი ზონის ტერიტორიაზე თავისუფალი ზონის შექმნამდე შეტანილ საქართველოს საქონელზე, თავისუფალი ზონის ფუნქციონირების დაწყებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა, თუ დეკლარანტი გაფორმების საბაჟო ორგანოში წარადგენს საქონლის გასხვისების დოკუმენტს; თავისუფალი ზონის ტერიტორიაზე თავისუფალი ზონის შექმნამდე შეტანილ საქართველოს საქონელზე, თავისუფალი ზონის ფუნქციონირების დაწყებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა, თუ დეკლარანტი გაფორმების საბაჟო ორგანოში წარადგენს საქონლის თიზ-ის საწარმოზე გასხვისების დოკუმენტს[573]), მნიშვნელოვანია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ეს უფლება არ წარმოშობს საბაჟო ორგანოს მოვალეობას პირს მისცეს არჩეული ოპერაცია. საბაჟო ორგანოს ასეთი მოვალეობა წარმოიშვება პირის მიერ მხოლოდ გარკვეულ ოპერაციაში (პროცედურაში) საქონლის მოთავსებისათვის საჭირო ყველა პირობის დაცვისას.

ამრიგად, პირისათვის სპეციალური ან საბაჟო პროცედურის განსაზღვრის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება საბაჟო ორგანოს განსაკუთრებულ პრეროგატივას წარმოადგენს. ასეთი გადაწყვეტილება მიიღება საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირის პირადნომრიანი ბეჭდით დამოწმებული საბაჟო დეკლარაციაზე შტამპის „გაშვება ნებადართულია" დასმის მეშვეობით.

სპეციალური ოპერაციების (საბაჟო ფორმალობების პროცედურის) *მეოთხე პრინციპის საბით შეიძლება დასახელდეს სპეციალურ ოპერაციაში (საბაჟო ფორმალობაში, პროცედურაში [მაგ. თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში], კონკრეტული საქონლის მოთავსების პრინციპი.*

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სპეციალური ოპერაცია წარმოადგენს ერთობლიობას დებულებებისა, რომლებიც საბაჟო მიზნებისათვის განსაზღვრავენ საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადასაადგილებელი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების სტატუსს. ეს კერძოდ ნიშნავს, რომ არ შეიძლება საბაჟო ორგანოს წინასწარ „დარეზერვირება", აგრეთვე ის, რომ სპეციალური ოპერაცია არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს აბსტრაქტული საქონლის მიმართ.

---

[573] ინსტრუქცია „ექსპორტის პროცედურის შესახებ", დანართი №15, მ. 1.ბ.3.

განსახილველ პრინციპს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, საბაჟო ორგანოში შეიძლება წააწყდნენ დროებითი შემოტანის სპეციალური ოპერაციის შესაბამისად საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის დატაცების შემთხვევებს[574]. დასახელებული ოპერაციის მოთხოვნაა საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან დროებით შემოტანილი საქონლის უკან გატანა, მისი მოთავსება დროებითი შენახვის საწყობში, რომლის მფლობელს საბაჟო ორგანო წარმოადგენს ან სხვა ოპერაციაში მისი გაცხადება. ამ საბაჟო ოპერაციის დამთავრებისას, მათ შორის შემოტანილი საქონლის დატაცებასთან დაკავშირებით მათი დაკარგვის შემთხვევებისათვის სხვა საშუალებები საბაჟო კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული.

მსგავს შემთხვევებში საბაჟო ორგანოები რეკომენდაციებს იძლეოდნენ შეცვლილიყო დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმი (დღეს მოქმედი საბაჟო კოდექსით სპეციალური ოპერაცია) თავისუფალი მიმოქცევისათვის გაშვების საბაჟო რეჟიმით (დღეს საბაჟო პროცედურით) და გადახდილ ყოფილიყო საჭირო საბაჟო გადასახადები (იმპორტის გადასახადი). ასეთი რეკომენდაცია, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია, ეწინააღმდეგება საბაჟო კანონმდებლობის არსს.

ჯერ ერთი, ნებისმიერ სპეციალურ ოპერაციაში, მათ შორის თავისუფალი მიმოქცევისათვის გაშვების პროცედურაში საქონლის მოთავსება გულისხმობს საბაჟო ორგანოსათვის მის ფაქტობრივ წარდგენას, რომლის თანახმად, დეკლარანტი ვალდებულია საბაჟო ორგანოს წარუდგინოს საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები.

მეორე, არ შეიძლება მოთხოვნა წაეყენოს პირს საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციის ჩატარებაზე, რომლის მიმართ არ არსებობს არა მარტო საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე მისი ყოფნის, არამედ მისი ფაქტობრივად არსებობის გარანტიაც. არსებული პრობლემის გადაწყვეტა ნორმატიულსამართლებრივ დონეზე უნდა დარეგულირდეს.

---

[574] ასეთ შემთხვევებს სამწუხაროდ ადგილი ჰქონდა 90-იან წლებში, როცა ახლად ყალიბდებოდა საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებელი საბაჟო და იქმნებოდა ქვეყნის საბაჟო კანონმდებლობა.

განსახილველი პრინციპების ბოლო პრინციპია *სპეციალური ოპერაციებისადმი (და არა მარტო სპეციალური ოპერაციების, ასევე, მაგ. იმპორტის, ექსპორტის პროცედურის) დამორჩილების პრინციპი.* იგი ნიშნავს, რომ საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა ნებადართულია მხოლოდ იმ საქონლისათვის, რომლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა არ არის აკრძალული. ამასთანავე, კანონმდებლობით დადგენილია საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადასაადგილებელი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობა და განკარგვა მხოლოდ არჩეულ სპეციალური ოპერაციის (საბაჟო პროცედურის არჩევის) საშუალებით.

ქონებით **სარგებლობა** და **განკარგვა** მესაკუთრის სამი უფლებამოსილებიდან[575] ძირითადია. **სარგებლობის უფლებამოსილებაში** ჩვეულებრივ მოიაზრება კანონზე დამყარებული ქონების გამოყენების შესაძლებლობა მისგან სასარგებლო თვისებების მიღებით; მისი მოხმარების გზით **განკარგვის უფლებამოსილება** კი ნიშნავს კანონზე დამყარებული ქონების იურიდიული ბედის განსაზღვრის შესაძლებლობას მისი კუთვნილების, მდგომარეობის ან დანიშნულების შეცვლის გზით.

საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადასაადგილებელი საქონლის მიმართ ამ უფლებამოსილების განხორციელების ფარგლები შეზღუდულია სპეციალური ოპერაციის (ასევე საბაჟო პროცედურის) სამართლებრივი რეგლამენტაციით. გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალური ოპერაციისადმი (საბაჟო ფორმალობისადმი) დაქვემდებარების პრინციპის გამოყენება შეესაბამება საქართველოს **სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლს**, რომლის თანახმად, მესაკუთრეს უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ მისი კუთვნილი ქონების მიმართ განახორციელოს მოქმედებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კანონს და არ არღვევს სხვა პირთა

[575] ასევე ამ ქონების ფლობა. იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მ.147, https://matsne.gov.ge/ka/document/view/19024?publication=0 .

უფლებებს და კანონით დაცულ ინტერესებს. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით „საკუთრების... უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია“[576].

სპეციალური ოპერაციების კლასიფიკაცია. სპეციალური ოპერაციების (დავამატებდით საბაჟო პროცედურების) კლასიფიკაცია შესაძლებელია რამდენიმე ნიშნის მიხედვით, რომელთაგან ზოგიერთი მათგანი გვხვდება მეცნიერულ და სამეცნიერო-პრაქტიკული ხასიათის შრომებში, ხოლო ზოგიერთი ავტორთა მიერ გამოყოფილია პირველად. როგორც მართებულად არის აღნიშნული ლიტერატურაში, ცალკე ჯგუფად სპეციალური ოპერაციების გამოყოფას ან ტიპებად მათ დაყოფას იურიდიული მნიშვნელობა აქვს უწინარესად საბაჟო რეგულირების მექანიზმში, მათი როლის გარკვევისა და მათი სამართლებრივი რეგლამენტაციის სხვადასხვა ასპექტის უფრო დეტალურად შესწავლისათვის.

შეგვიძლია სპეციალური ოპერაციების კლასიფიკაცია შემდეგი სახით წარმოვადგინოთ, სხვადასხვა მეცნიერთა მოსაზრებებზე დაყრდნობით:

პირველ ჯგუფში ავტორები აერთიანებენ ოპერაციებს, რომლებიც გამოიყენება სხვა ქვეყნებში საქართველოს ორგანიზაციების მიერ საქონლის გაყიდვისა და საქართველოში მომხმარებელთა საჭიროებისათვის საქონლის შეძენასთან დაკავშირებულ საგარეო სავაჭრო ოპერაციების ძირითადი მოცულობის განხორციელების ხელშეწყობისათვის. მაგ; **ექსპორტი, საქონლის დროებით შემოტანა.**

მეორე ჯგუფს ავტორთა აზრით შეადგენენ სპეციალური ოპერაციები (ზოგიერთ ქვეყანაში საბაჟო რეჟიმები), რომლის დროსაც საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებისას მას თან ახლავს მისი გადამაადგილებელი პირებისათვის საბაჟო ორგანოების მხრიდან გარკვეული მომსახურების გაწევა. ამ სპეციალური ოპერაციის მაგალითია **საბაჟო საწყობი.**

განსახილველი კლასიფიკაციის **მესამე ჯგუფში** შესულია სპეციალური ოპერაციები, რომლებშიც თავსდება საქართველოს საბაჟო

---

[576] საქართველოს კონსტიტუცია, მ.19. https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36.

საზღვარზე გადასაზიდი საქონელი სხვა ქვეყნებში მის გადამუშავებასთან დაკავშირებით: **საქონლის შიდა და გარე გადამუშავება.**

მეოთხე ჯგუფს **საზღვარგარეთის ავტორთა აზრით** წარმოადგენენ ოპერაციები, რომელთა შესაბამისად ხორციელდება საზღვრის გარეთ არსებული სახელმწიფოების ორგანიზაციების საჭირო მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა, ასევე სახელმწიფოში დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის წევრებში სამეცნიერო-საწარმოო და სხვა საქმიანობისათვის განკუთვნილი საქონლის მიწოდება ქვეყნის ინტერესებისათის **საქონლის გატანის ოპერაცია.**

სამწუხაროდ, ადრე მოქმედი საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული იყო ერთ-ერთ საბაჟო რეჟიმად „საქონლის გატანა უკან დაბრუნების პირობით", რაც სამწუხაროდ მომდევნო საბაჟო-საგადასახადო კოდექსებიდან ამოღებულია, აქ მეოთხე ჯგუფში იმიტომ შევიტანეთ ეს საბაჟო ოპერაცია, რომ ამ შემთხვევაში მხოლოდ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით არ ვახდენთ მის კლასიფიკაციას, მხედველობაში გვაქვს საზღვარგარეთის საბაჟო კანონმდებლობა, დოქტრინა და პრაქტიკაც ამ კუთხით.

მეხუთე ჯგუფს **ავტორები** მიაკუთვნებენ საბაჟო ოპერაციებს, რომლებიც გამოიყენება საგარეო-ეკონომიკური ოპერაციების შეწყვეტისას, კერძოდ სახელმწიფო საზღვარზე საქონლის რეალიზაციის შეუძლებლობასთან ან არაეფექტურობასთან დაკავშირებით (ადრე ეს იყო საქონლის განადგურებისა და სახელმწიფოს სასარგებლოდ საქონელზე უარის თქმის საბაჟო რეჟიმები, რომლებიც დღს მოქმედ საბაჟო კოდექსში სპეციალურ ოპერაციებს (ადრე, მოქმედი საბაჟო კოდექსით - საბაჟო რეჟიმებს) აღარ განეკუთვნება, იგი მოიაზრება როგორც „საქონლის გასანადგურებლად განსახორციელებელი საბაჟო ფორმალობები", მაგრამ რადგან ჩვენ ოპერაციების კლასიფიკაციას არ ვაფუძნებთ მხოლოდ საქართველოს საბაჟო კოდექსზე და საზღვარგარეთის საბაჟო კანონმდებლობებსაც ვუკეთებთ ანალიზს ამ შემთხვევაში და ასევე ამ კლასიფიკაციის წარმოდგენისას ვეყრდნობოდით უცხოელი ავტორების მოსაზრებას, ამიტომ საქონლის განკარგვა კონკრეტული სახელმწიფოების საბაჟო კანონმდებლობებზე დაყრდნობით მე-5 ჯგუფში განვათავსეთ.

მაგრამ მიმაჩნია, რომ საეჭვოა ავტორთა[577] ამგვარი კლასიფიკაცია საბაჟო ოპერაციებისა წარმატებული იყოს[578].

ჩვეულებრივ კლასიფიკაციაში მოიაზრება მყარი ცოდნის სისტემატიზაცია. ლოგიკის მეცნიერების მიხედვით, კლასიფიკაცია წარმოადგენს ცნებათა დაყოფის ერთერთ სახეს. ამასთან, კლასიფიკაციის განხორციელებისას საჭიროა დაყოფის წესების დაცვა.

მიგვაჩნია, რომ ***ჯერ ერთი,*** დაყოფა უნდა მოხდეს თითო საფუძვლის მიხედვით. სწორედ ამ წესის დაუცველობამ გამოიწვია კლასიფიკაციაში სხვა შეცდომების დაშვებაც. საფუძველში მოიაზრება ცნების ნიშანი, რომლის მიხედვით უკანასკნელი მიეკუთვნება ამა თუ იმ გჯგუფს (დაყოფის წევრებს). მოყვანილ კლასიფიკაციაში შეიძლება დაყოფის ნიშნების განსხვავება რამდენიმე საფუძვლის მიხედვით, დაწყებული საგარეო-ეკონომიკური ოპერაციების განხორციელების სტადიებით, საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილების მიზნებით და სპეციალური ოპერაციების ფარგლებში საბაჟო ორგანოს მხრიდან გარკვეული მომსახურების გაწევით.

მეორე. დაყოფის წევრები ერთმანეთს უნდა გამორიცხავდეს, რაც კლასიფიკაციაში არ შეიმჩნევა.

მესამე. დაყოფა უწყვეტი უნდა იყოს. ზემოთ მოცემულ კლასიფიკაციაში შეიმჩნევა დაყოფაში „ნახტომები". ჩემი აზრით, საბაჟო ოპერაციები (პროცედურები) ჯერ უნდა დაიყოს საგარეო-

---

[577] Борисов К. Г. Международное Таможенное право, Учеб, пособие – М; изд. ун-та дружби народов 1997, 86-87; Козирин А. Н. Таможенное право Росии, Учеб, пособие – М; фирма СПАРК, 1995, 25.

[578] ქართულ საბაჟოსამართლებრივ სივრცეში მეცნიერ-იურისტთა შორის არ იყო მცდელობა საბაჟო რეჟიმების (სასაქონლო ოპერაციების), დღეს უკვე სპეციალური ოპერაციების ასეთი დაყოფისა, თუ არ ჩავთვლით ია ხარაზის სამეცნიერო ნაშრომებს ამ კუთხით. მაგ; ი. ხარაზი, „გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება", დისერტაცია (2006); ი. ხარაზი, „გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება" (მონოგრაფია) (2006), ი. ხარაზის სამეცნიერო სტატიები, რომლებშიც ყურადღებაა გამახვილებული სპეციალური ოპერაციების (ზემოთ აღნიშნულ სამეცნიერო ნაშრომებზე მუშაობისას - საბაჟო რეჟიმების (სასაქონლო ოპერაციების)) კლასიფიკაციაზე და სხვა.

ეკონომიკური ოპერაციების განხორციელებისას და მათი შეწყვეტისას გამოყენებულ ოპერაციებად, ხოლო უკვე ამის შემდეგ გამოიყოს ოპერაციები (პროცედურები), რომლებიც გამოიყენება საგარეო-სავაჭრო ოპერაციების განხორციელების დროს[579].

იმ მეცნიერთა მოსაზრებებიდან, რომლებიც საბაჟო ოპერაციების კლასიფიკაციას ეხებიან (უმთავრესად საზღვარგარეთის მეცნიერები) შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ: ავტორთა მიერ საბაჟო ოპერაციები განიხილება როგორც რაღაც უფრო მეტი, ვიდრე საბაჟო ოპერაცია (ზოგიერთ ქვეყანაში საბაჟო რეჟიმი) ფართო მნიშვნელობით, რომელიც სპეციალურ ოპერაციებთან დამოკიდებულია, როგორც ზოგადი კერძოსთან, აგრეთვე ის თავის თავში შეიცავს სხვა კომპონენტებსაც.

სხვადასხვა მოსაზრების მიუხედავად, ერთი ფაქტია, რომ ყველა საბაჟო ოპერაციის მიზანი განსაკუთრებული ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაა და საბოლოოდ იგი პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებულია კომერციული საქმიანობის განხორციელებასთან.

ევოკავშირის საბაჟო კოდექსის მიხედვით, ეკონომიკურ საბაჟო ოპერაციებს მიეკუთვნება საბაჟო საწყობი, შიდა და გარე გადამუშავება და ა.შ. ეკონომიკური მნიშვნელობის საბაჟო რეჟიმის (ოპერაციის) ცნებასთნ ერთად ევროსაბჭოს საბაჟო კოდექსი შეიცავს ცნებას „საბაჟო გადასახადებისაგან განთავისუფლებული საბაჟო რეჟიმი“, რომელსაც ზემოთ ჩამოთვლილი ოპერაციების გარდა მიეკუთვნება ტრანზიტიც (მუხლები 84-160) და მისი გამოყენების შესახებ დადგენილების 309-787 მუხლები, ასევე საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ კიოტოს კონვენცია (1973). „ეკონომიკური მნიშვნელობის საბაჟო რეჟიმის გამოყენება მოითხოვს საბაჟო ორგანოების ნებართვის მიღებას „(ევროსაბჭოს

---

[579] ია ხარაზი, „გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება“, დისერტაცია (2006); ი. ხარაზი, მონოგრაფია „გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება“(2006); ია ხარაზი, საბაჟო სამართალი, 2010; Бахрах Д. Н. Кивалов С. В. Таможенное право Росии, Екатеринбург, Диамант, 1995, 217-220.

საბაჟო კოდექსი, მ.85); აქვე აღნიშნულია, რომ საბაჟო ორგანოებს შეუძლიათ განსაზღვრონ საბაჟო გადასახადებისაგან განთავისუფლების რეჟიმში საქონლის მოთავსებაზე ნებართვის მიცემა უზრუნველყოფის მიცემით, რაც გარანტიას იძლევა საბაჟო ვალის გადახდისა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მოცემული საქონლის მიმართ (ევროსაბჭოს საბაჟო კოდექსი, მ.85) და ა.შ.

ქართულ იურიდიულ საბაჟო ლიტერატურაში (რომლის სიმრავლითაც სამწუხაროდ ვერ დავიკვეხნით და ამ კუთხით სამეცნიერო კვლევები მიმაჩნია რომ გასააქტიურებელია) ფორმალურ-იურიდიული თვალსაზრისით გამოიყენება საბაჟო ოპერაციების მსგავსი დაყოფა, თუმცა დადგენილია მათი ანალოგიური ტიპები, მათ შორის ეკონომიკური ხასიათისა.

ვამთავრებთ რა საუბარს სპეციალური ოპერაციების ზოგად მიმოხილვაზე (კონკრეტულად შემდეგ პარაგრაფებში ვისაუბრებთ), შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ:

1. როგორც მრავალი სამართლებრივი კატეგორია, საბაჟო ოპერაციების ცნებაც გამოიყენება **ფართო და ვიწრო გაგებით. ფართო აზრით** სპეციალურ ოპერაციაში მოიაზრება სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც გამოიხატება ადმინისტრაციულსამართლებრივთან გარკვეულ კავშირში, რომელიც დადგენილია საბაჟო კანონმდებლობით და რომლის მიზანია საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებასთან დაკავშირებით საბაჟო ორგანოსა და საქონლის გადამაადგილებელ პირებს შორის წარმოშობილი ურთიერთობების რეგლამენტირება;

2. ყველა საბაჟო ოპერაციას აქვს ერთნაირი სტრუქტურა, რომელიც განსაზღვრულია მათი შინაარსით და წარმოადგენს პირობების, შეზღუდვების და მოთხოვნების, ასევე სპეციალური ოპერაციების ფარგლებში შეძენილი შეღავათების ერთობლიობას. **სპეციალური ოპერაციის** პირობებში გაიგება გარემოებები, რომლებიც წინასწარ განსაზღვრავენ მასში საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მოთავსების შესაძლებლობას; სპეციალური ოპერაციების შეზღუდვები გამოიხატება ამ ოპერაციებში მოთავსებულ საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებებზე განსაზღვრული მოქმედებების განხორციელების პირდაპირ ან არაპირდაპირი აკრძალვაში; საბაჟო ოპერაციების

მოთხოვნებს წარმოადგენს მოქმედებები, რომელთა შესრულებასთან დაკავშირებულია საბაჟო კანონმდებლობის მოთხოვნები ან შესაბამისად საბაჟო ოპერაციების გამოყენების შესაძლებლობა, სატრასპორტო გადაადგილებასთან დაკავშირებით საბაჟო ორგანოსა და მათ გადამაადგილებელი პირებს შორის ურთერთობების რეგლამენტირება;

3. სპეციალური ოპერაციების სამართლებრივი რეგლამენტაციით გათვალისწინებულია საგადასახადო შეღავათების მინიჭება საბაჟო გადასახდელების სრული ან ნაწილობრივი გათავისუფლებით ან ადრე გადახდილის უკან დაბრუნებით;

4. სპეციალური ოპერაციების გამოყენების ფარგლებში წარმოიშვება ვალდებულებანი, რომლებიც სამართლებრივი ბუნებით სამოქალაქოსამართლებრივი ხასიათის ვალდებულებების მსგავსია, რის გამოც საბაჟო ოპერაციაში საქონლის მომთავსებელი პირი ვალდებულია შეასრულოს გარკვეული მოქმედებები ან უარი თქვას მათ შესრულებაზე, ხოლო საბაჟო ორგანოს უფლება აქვს მას მოსთხოვოს ამ მოვალეობების შესრულება იურიდიული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების მუქარით.

5. სპეციალური ოპერაციების პრინციპებს წარმოადგენს ამოსავალი დებულებები, რომლებიც ახასიათებს საბაჟო ოპერაციების ინსტიტუტის არსს და მის შინაგან აგებულებას, ასევე განსაზღვრავენ მათი გამოყენების პროცესს. საბაჟოსამართლებრივი და ზოგადსამართლებრივი პრინციპები და დარგობრივი პრინციპები საფუძვლად ედება სპეციალური ოპერაციების ინსტიტუტს და მათი სამართლებრივი რეგულირებისათვის ძირითადი მნიშვნელობა აქვს; ასევე უნდა გამოიყოს ინსტიტუციონალური (სპეციალური) პრინციპები, რომელთა საფუძველზე იქმნება და ხორციელდება მხოლოდ საბაჟო ოპერაციების ინსტიტუტების შემადგენელი ნორმები. ესენია: საბაჟო ოპერაციების სავალდებულოობის პრინციპი; საბაჟო ოპერაციების მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით განმტკიცებული პრინციპი; სპეციალური ოპერაციის თავისუფალი არჩევისა და შეცვლის პრინციპი; სპეციალურ ოპერაციაში კონკრეტული საქონლის მოთავსების პრინციპი და სპეციალური ოპერაციისადმი დამორჩილების პრინციპი.

6. ვიღებთ რა მხედველობაში, რომ საბაჟო ოპერაციების მხოლოდ თითო ნიშნის მიხედვით კლასიფიკაცია იქნება ცალმხრივი და ვერ შეძლებს ამ ინსტიტუტის ყველა ასპექტის გარკვევას, სპეციალური ოპერაციების კლასიფიცირება უნდა მოხდეს რამდენიმე საფუძვლის მიხედვით, რომელთა შესახებაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი (მაგ; სპეციალური ოპერაციების სირთულისა და ადგილის, საქონლის მოძრაობის მიმართულების, მოქმედების ტერიტორიის, საბაჟო-საგადასახადო შეღავათების მინიჭების მიხედვით და ა.შ.)[580].

1.2. ავტორიზაცია

საბაჟო ორგანოს მიერ გაცემული ავტორიზაცია აუცილებელია შიდა გადამუშავების, გარე გადამუშავების, დროებით შემოტანის და

---

[580] სრულად იხ. იხ. ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, 2010; ხარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2010 ხარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2019, ლექციების კურსი, https://www.sou.edu.ge; ხარაზი ია; საქართველოს საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა", თბილისი, 2015 ხარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბილისი, 2014 ხარაზი ია, ია ხარაზი, საბაჟო სამართალი, ლექციების კურსი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2019, https://www.sou.edu.ge; ხარაზი ია, საგადასახადო სამართალი (საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები), თბილისი, 2017; ხარაზი ია, აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტ. თანაავტ. „საგადასახადო და საბაჟო სამართალი ქართულ სასამართლო სივრცეში (სასამართლო პრაქტიკის მასალები იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის)", გამომც. ქუთაისის უნივერსიტეტი, თბილისი, 2019; ნადარაია, როგავა, რუხაძე, ბოლქვაძე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, §§156--310, https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00J1P6.pdf; გონერ ურიდია, ფრიდონ არახამია, საბაჟო საქმის თეორია, თბილისი, 2009; ურიდია გ; საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები, გამოცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2011; ლორთქიფანიძე ვ; საბაჟო საქმის საფუძვლები, თბილისი, 2002.; გ ურიდია, მ. არახამია, ფ. რუხაია, საბაჟო რეჟიმები, თბილისი, 2005.

მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების გამოყენებისთვის[581].

როგორც განსახილველი ნორმიდან იკვეთება საბაჟო ორგანოს მიერ გაცემული ავტორიზაცია აუცილებელია მხოლოდ შიდა და გარე გადამუშავების, საქონლის დროებითი შემოტანის და მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედური გამოყენებისათვის.

აქვე შენიშვნას გავაკეთებდით, საბაჟო კანონმდებლობის ზოგიერთი მუხლის და ამ შემთხვევაში 111-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გაუმართაობის გამო, რომელიც რთულად აღსაქმელს ხდის ისედაც რთულ საბაჟო კანონმდებლობას, თუ გავითვალისწინებთ ფაქტს იმის შესახებ რომ კანონმდებლობაში გვხვდება ორმაგი სტანდარტის ნორმებიც.

საბაჟო კოდექსის 111-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიზნებისათვის, საბაჟო ორგანომ დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე შეიძლება გასცეს ავტორიზაცია უკუქცევითი ძალით, თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

- ა) დადასტურებულია შესაბამისი საბაჟო პროცედურის ეკონომიკური საჭიროება;
- ბ) განცხადება არ უკავშირდება საბაჟო ორგანოს მოტყუების მცდელობას;
- გ) დაინტერესებული პირის საბუღალტრო ჩანაწერებით დასტურდება:
  - გ.ა) შესაბამის საბაჟო პროცედურასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულება;
  - გ.ბ) შესაბამის პერიოდში საქონლის იდენტიფიკაციის შესაძლებლობა, როდესაც ეს შესაძლებელია;

მაგ.ინსტრუქციის „გარე გადამუშავების პროცედურის შესახებ" (დანართი №14),მე-2 მუხლის („გარე გადამუშავების პროცედურის გამოყენება") „ა.დ." ქვეპუნქტის თანახმად, გარე გადამუშავების პროცედურის გამოყენებისას დეკლარანტი ვალდებულია, გაითვალისწინოს საქართველოს საბაჟო კოდექსის 150-ე მუხლით[582] დადგენილი პირობები და საბაჟო

---

[581] საბაჟო კოდექსი, მ.111. ნ.1.

[582] „გარე გადამუშავების პროცედურის გამოყენების პირობები", რომლის შესახებაც შესაბამის პარაგრაფში იქნება ვრცელი კომენტარი შემოთავაზებული.

დეკლარაციასთან ერთად წარადგინოს: ....დასაბეთებული მონაცემები გადამუშავებულ პროდუქტში გადაუმუშავებელი საქონლის იდენტიფიკაციის საშუალების შესახებ...".

საბაჟო იდენტიფიკაციის შესახებ ვრცელი კომენტარია გაკეთებული საბაჟო სამართლის პირველ ნაწილში, მას ვებებით ასევე აღნიშნულ სახელმძღვანელოშიც.

- გ.გ) ამ ჩანაწერებით შესაბამისი პროცედურის კონტროლის შესაძლებლობა;
- დ) შესაძლებელია საქონელთან დაკავშირებით განხორციელდეს ყველა საჭირო ფორმალობა, მათ შორის, საბაჟო დეკლარაციის ბათილად ცნობა, თუ ეს აუცილებელია;
- ე) განცხადების მიღებამდე **3 წლის განმავლობაში** განმცხადებელზე არ არის გაცემული ავტორიზაცია უკუქცევითი ძალით;
- ვ) არ მოითხოვება ეკონომიკური პირობების შესწავლა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განმცხადებელი ითხოვს იმავე სახის ოპერაციასა და საქონელზე მანამდე გაცემული ავტორიზაციის ვადის გაგრძელებას;
- ზ) იმავე სახის ოპერაციასა და საქონელზე მანამდე გაცემული ავტორიზაციის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებული განცხადება წარდგენილია პირველადი ავტორიზაციის გაცემიდან **3 წლის** ვადაში.

საბაჟო ორგანომ შეიძლება უკუქცევითი ძალით გასცეს ავტორიზაცია იმ საქონელზე, რომელიც მოქცეული იყო საბაჟო პროცედურაში, მაგრამ რომელიც ამ ავტორიზაციის გაცემასთან დაკავშირებული დაინტერესებული პირის განცხადების მიღების მომენტში ხელმისაწვდომი აღარ არის.

საბაჟო კოდექსის 111-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიზნებისათვის, იმ შემთხვევაში, **თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საბაჟო კოდექსის 111-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ავტორიზაცია გაიცემა პირზე, რომელიც აკმაყოფილებს ყველა შემდეგ პირობას:**

- ა) იგი არის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დაფუძნებული პირი;

• ბ) იგი ადასტურებს ოპერაციების სათანადოდ განხორციელების შესაძლებლობას. მიიჩნევა, რომ საბაჟო გამარტივებასთან დაკავშირებული ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი აკმაყოფილებს ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირობას, თუ მის მიერ განსახორციელებელი ოპერაციები მითითებულია საბაჟო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად გაცემულ ავტორიზაციაში;

რაც შეეხება საბაჟო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას, როცა ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსი მოიცავს ორი სახის ავტორიზაციიდან ერთერთს: „ავტორიზაციაა საბაჟო გამარტივებისთვის, რომელიც, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად, მის მფლობელს აძლევს გარკვეული გამარტივებული საბაჟო ფორმალობებით სარგებლობის საშუალებას“, ვრცელუ კომენტარი იყო შემოთავაზებული საბაჟო სამართლის პირველ ნაწილში[583].

• გ) იგი წარმოადგენს ამ კოდექსის 55-ე მუხლით გათვალისწინებულ გარანტიას, თუ საქონლის სპეციალურ პროცედურაში მოქცევა იწვევს საბაჟო ვალდებულების წარმოშობას;

რაც შეეხება იმპორტის გადასახდელის გადახდის უზრუნველყოფის გარანტიას, რომელზეც საუბარია 55-ე მუხლში, ამ მუხლის კომენტარი ვრცლად იყო შემოთავაზებული საბაჟო სამართლის პირველ ნაწილში (ავტ. ხარაზი ი; 2021) და ამავე სახელმძღვანელოში, იქ, სადაც საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებაზეა საუბარი და მის განვრცობას ამ შემთხვევაში არ შეეცდები.

• დ) დროებით შემოტანის ან შიდა გადამუშავების პროცედურის შემთხვევაში იგი დადგენილი წესით იყენებს საქონელს ან ორგანიზებას უწევს მის გამოყენებას ანდა ახორციელებს საქონლის გადამუშავების ოპერაციას ან ორგანიზებას უწევს მის განხორციელებას.

დროებითი შემოტანის და შიდა გადამუშავების ოპერაციების შესახებ, ქვემოთ გვექნება ვრცელი კომენტარი შემოთავაზებული.

თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საბაჟო კოდექსის 111-ე მუხლის პირველი

---

[583] იხ. ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021.

ნაწილით გათვალისწინებული ავტორიზაცია გაიცემა, თუ 111-ე მუხლის ზემოთ მითითებული ე-4 ნაწილით გათვალისწინებული პირობების გარდა სრულდება აგრეთვე შემდეგი პირობები:

- ა) საბაჟო ორგანოს ექნება შესაძლებლობა, ნებისმიერ დროს განახორციელოს საბაჟო ზედამხედველობა ეკონომიკურ საჭიროებასთან შეუსაბამო ადმინისტრაციული ფორმალობის გარეშე;

საბაჟო ზედამხედველობას საბაჟო სამართლის პირველ ნაწილში (ავტ. ბარაზი ი; 2021) საკმაოდ დიდ ნაწილი აქვს დათმობილი[584].

- ბ) შიდა გადამუშავების ან გარე გადამუშავების პროცედურასთან დაკავშირებული ავტორიზაციის გაცემა ადგილობრივი მეწარმის ინტერესებზე უარყოფით გავლენას არ მოახდენს.

საქონლის შიდა ან გარე გადამუშავების პროცედურასთან დაკავშირებული ავტორიზაციის გაცემის წესებზე შესაბამისი პროცედურების მარეგულირებელი ნორმების კომენტირებისას გვექნება საუბარი, აქ, ამ შემთხვევაში კი მის განვრცობას არ შემოგთავაზებთ.

მიიჩნევა, რომ ავტორიზაციის გაცემა ადგილობრივი მეწარმის ინტერესებზე უარყოფით გავლენას არ მოახდენს, თუ არ არსებობს საწინააღმდეგო გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება ან თუ ეკონომიკური პირობები შესრულებულად ჩაითვლება.

შემთხვევები, როდესაც ავტორიზაციის გაცემისთვის აუცილებელია ადგილობრივი მეწარმის ინტერესებზე მისი გაცემის გავლენის შესწავლა და შესაბამისი კომპეტენტური უწყება, რომლის დასკვნაც აუცილებელია ავტორიზაციის გაცემისთვის, განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

საბაჟო ორგანოს მიერ ავტორიზაციის გაცემის წესი და პირობები და ამ პირობების შესრულებისგან გათავისუფლების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“.

- აქვე: საბაჟო კოდექსის 117-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად: საბაჟო ორგანო პირის განცხადების საფუძველზე და იმ პირობით, რომ

---

[584] იხ. სქ. 577.

საბაჟო ზედამხედველობის მიზნისთვის უზრუნველყოფილი იქნება პროცედურის სათანადო განხორციელება, გასცემს ავტორიზაციას:

- ა) ეკვივალენტური საქონლის საბაჟო საწყობის, თავისუფალი ზონის, მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების, შიდა გადამუშავების ან გარე გადამუშავების პროცედურაში გამოყენებაზე;
- ბ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ შემთხვევებში ეკვივალენტური საქონლის დროებით შემოტანის პროცედურაში გამოყენებაზე;
- გ) შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად ეკვივალენტური საქონლისგან მიღებული გადამუშავებული პროდუქტის ჩასანაცვლებელი საქონლის შემოტანამდე გატანაზე;
- დ) გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად ეკვივალენტური საქონლისგან მიღებული გადამუშავებული პროდუქტის ჩასანაცვლებელი საქონლის გატანამდე შემოტანაზე[585].

საბაჟო ავტორიზაციის შესახებ კომენტარი იყო შემოთავაზებული ასევე, საბაჟო სამართლის დამბმარე სახელმძღვანელოს პირველ წიგნში[586].

1.3. აღრიცხვა

თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა განსხვავებულად არ აწესრიგებს, მაშინ ავტორიზაციის მფლობელმა, პროცედურის მფლობელმა (გარდა ტრანზიტის პროცედურის მფლობელისა) ან ნებისმიერმა პირმა, რომელიც ახორციელებს საქონლის შენახვასთან ან გადამუშავებასთან დაკავშირებულ საქმიანობას ანდა თავისუფალ ზონაში საქონლის გაყიდვას ან შეძენას, უნდა აწარმოოს სათანადო აღრიცხვა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა

---

[585] აღნიშნულ საკითხებს ისევ მივუბრუნდებით შესაბამისი საბაჟო ოპერაციების დახასიათებისას.

[586] იხ. სქ. 578.

და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ განსაზღვრული ფორმით. აღრიცხვა გულისხმობს ისეთი მონაცემისა და სხვა ინფორმაციის შენახვას, რომლებიც საბაჟო ორგანოს საშუალებას მისცემს, ზედამხედველობა გაუწიოს შესაბამის საბაჟო პროცედურას, კერძოდ, ამ პროცედურაში მოქცეული საქონლის იდენტიფიკაციასთან, საბაჟო სტატუსთან და გადაადგილებასთან დაკავშირებით[587].

მიიჩნევა, რომ საბაჟო გამარტივებასთან დაკავშირებული ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი ასრულებს **საკომენტარო 112-ე მუხლის ზემოთ აღნიშნული პირველი ნაწილით** გათვალისწინებულ ვალდებულებას, თუ მის მიერ წარმოებული აღრიცხვა შეესაბამება სპეციალური პროცედურის მიზნებს, კერძოდ, **ინსტრუქცია „შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ“ (*დანართი №13*), მ.6-ე „მონაცემების აღრიცხვა“, ითვალისწინებს:** დეკლარანტმა, პროცედურის მფლობელმა ან ნებისმიერმა პირმა, რომელიც ახორციელებს საქონლის გადამუშავებასთან დაკავშირებულ საქმიანობას, საქართველოს საბაჟო კოდექსის განსახილველი 112-ე მუხლის შესაბამისად უნდა **აწარმოოს შემდეგი მონაცემების აღრიცხვა:**

- ა) შიდა გადამუშავების საბაჟო დეკლარაციის ნომერი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სპეციალური საბაჟო პროცედურა დასრულებულია საქართველოს საბაჟო კოდექსის 113-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად – ინფორმაცია საბაჟო პროცედურის დასრულების შესახებ;

საბაჟო კოდექსის 113-ე მუხლის „საბაჟო პროცედურის დასრულება“ შესახებ კომენტარი იხ. ქვემოთ, შესაბამის პარაგრაფში.

- ბ) საბაჟო დოკუმენტების, საქონლის საბაჟო პროცედურაში მოქცევასთან და პროცედურის პირობების შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა დოკუმენტის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები;

„ბ“ ქვეპუნქტში მოცემული მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შესახებ ვრცელი კომენტარია შემოთავაზებული არა მარტო საბაჟო სამართლის პირველ ნაწილში, არამედ მოცემულ სახელმძღვანელოშიც.

---

[587] საბაჟო კოდექსი, მ.112. ნ.1.

• გ) მონაცემები საქონლის იდენტიფიკაციისთვის საჭირო ნიშნების, საიდენტიფიკაციო ნომრების, შეფუთვის რაოდენობისა და სახეობის, საქონლის რაოდენობისა და ნორმალური კომერციული ან ტექნიკური აღწერილობისა და კონტეინერის საიდენტიფიკაციო ნიშნების შესახებ;

• დ) ინფორმაცია საქონლის ადგილმდებარეობისა და მისი ნებისმიერი გადაადგილების შესახებ;

• ე) საქონლის საბაჟო სტატუსი;

• ვ) ინფორმაცია საქონლის მიმართ საბაჟო კოდექსის 116-ე მუხლის შესაბამისად განხორციელებული ქმედებ(ებ)ის და ამ ქმედებ(ებ)ის შედეგად სეს ესნ-ის კოდის ცვლილების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

საბაჟო კოდექსის 116-ე მუხლის - „საქონლის მიმართ დასაშვები ოპერაციები" შესახებ, ქვემოთ, შესაბამის პარაგრაფში შემოგთავაზებთ.

• ზ) ინფორმაცია გადამუშავების ოპერაცი(ებ)ის შესახებ;

საქონლის შიდა და გარე გადამუშავებაზე ქვემოთ, შესაბამის პარაგრაფებში შემოთავაზებული იქნება ვრცელი კომენტარი.

• თ) გამოსავლიანობის ნორმა ან მისი გაანგარიშების მეთოდი;

გამოსავლიანობის ნორმაზე და მისი გამოანგარიშების მეთოდზე საქონლის შიდა და გარე გადამუშავების ოპერაციებზე საუბრისას გვექნება საუბარი.

ი) დეტალური ინფორმაცია ეკვივალენტური საქონლის გამოყენების თაობაზე, ასეთის გამოყენების შემთხვევაში;

ეკვივალენტური საქონლის გამოყენებაზე გადამუშავების ოპერაციების გამოყენებისას ქვემოთ, შესაბამის პარაგრაფში საქონლის შიდა და გარე გადამუშავების ოპერაციებზე საუბრისას გვექნება საუბარი.

• კ) ინფორმაცია პროცედურის მფლობელის უფლებებისა და მოვალეობების სხვა პირისათვის გადაცემის თაობაზე, ასეთი გადაცემის შემთხვევაში;

„კ" ქვეპუნქტთან შებება იყო საბაჟო სამართლის პირველ ნაწილში, იქ, სადაც საბაჟო ზედამხედველობაზე იყო შემოთავაზებული კომენტარი, ამ შემთხვევაშიც ნაწილობრივ შევეხებით ამ საკითხს.

• ლ) განსაკუთრებულ შემთხვევებში, საბაჟო ორგანოს მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია.

ინსტრუქცია „გარე გადამუშავების პროცედურის შესახებ" (დანართი №14) მუხლი 6-ში მოცემულია მონაცემების აღრიცხვის წესები, კერძოდ: *დეკლარანტმა, პროცედურის მფლობელმა ან ნებისმიერმა პირმა, რომელიც ახორციელებს საქონლის გადამუშავებასთან დაკავშირებულ საქმიანობას, საქართველოს საბაჟო კოდექსის საკომენტარო 112-ე მუხლის შესაბამისად უნდა აწარმოოს შემდეგი მონაცემების აღრიცხვა:*

- ა) გარე გადამუშავების საბაჟო დეკლარაციის ნომერი და ინფორმაცია საბაჟო პროცედურის დასრულების შესახებ;
- ბ) საბაჟო დოკუმენტების, საქონლის საბაჟო პროცედურაში მოქცევასთან და პროცედურის პირობების შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა დოკუმენტის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები;
- გ) მონაცემები საქონლის იდენტიფიკაციისთვის საჭირო ნიშნების, საიდენტიფიკაციო ნომრების, შეფუთვის რაოდენობისა და სახეობის, საქონლის რაოდენობისა და ნორმალური კომერციული ან ტექნიკური აღწერილობისა და კონტეინერის საიდენტიფიკაციო ნიშნების შესახებ;
- დ) ინფორმაცია საქონლის ადგილმდებარეობის შესახებ;
- ე) საქონლის საბაჟო სტატუსი;

ვ) ინფორმაცია საქონლის მიმართ საბაჟო კოდექსის 116-ე მუხლის შესაბამისად განხორციელებული ქმედებ(ებ)ის და ამ ქმედებ(ებ)ის შედეგად სეს ესნ-ის კოდის ცვლილების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

საბაჟო კოდექსის 116-ე მუხლის - „საქონლის მიმართ დასაშვები ქმედებები"-ს შესახებ, როგორც ზემოთ აღნიშნე, ქვემოთ, შესაბამის პარაგრაფში შემოგთავაზებთ.

- ზ) ინფორმაცია გადამუშავების ოპერაცი(ებ)ის შესახებ;
- თ) გამოსავლიანობის ნორმა ან მისი გაანგარიშების მეთოდი;

საქონლის გარე გადამუშავებისას გამოსავლიანობის ნორმაზე და მისი გამოანგარიშების მეთოდზე საქონლის შიდა და გარე გადამუშავების ოპერაციებზე საუბრისას გვექნება საუბარი.

- ი) დეტალური ინფორმაცია ეკვივალენტური საქონლის გამოყენების თაობაზე, ასეთის გამოყენების შემთხვევაში;

ეკვივალენტური საქონლის გამოყენებაზე გადამუშავების ოპერაციების გამოყენებისას როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ქვემოთ, შესაბამის პარაგრაფში საქონლის შიდა და გარე გადამუშავების ოპერაციებზე საუბრისას გვექნება საუბარი.

• კ) ინფორმაცია პროცედურის მფლობელის უფლებებისა და მოვალეობების სხვა პირისათვის გადაცემის თაობაზე, ასეთი გადაცემის შემთხვევაში;

„კ" ქვეპუნქტთან შეხება გვქონდა საბაჟო სამართლის პირველ ნაწილში, იქ, სადაც საბაჟო ზედამხედველობაზე იყო შემოთავაზებული კომენტარი, ამ შემთხვევაშიც ნაწილობრივ შევეხებით ამ საკითხს.

• ლ) განსაკუთრებულ შემთხვევებში, საბაჟო ორგანოს მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია.

ინსტრუქციის „თავისუფალი ზონის შესახებ" (დანართი №10), მე-6 მუხლის („თავისუფალ ზონაში მოთავსებული საქონლის აღრიცხვა") მიხედვით, „პირი, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას თავისუფალ ზონაში, ვალდებულია, იქონიოს და ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით აწარმოოს საქონლის მიღების და საქონლის გაცემის ჟურნალები (შემდგომში – ჟურნალები), როდესაც მის მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე ხდება საქონლის მიღება, შენახვა ან გაცემა. იმ შემთხვევაში, თუ პირს გააჩნია ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების რამდენიმე ადგილი თავისუფალ ზონაში, უფლებამოსილია ყოველი ადგილის მიხედვით გახსნას და აწარმოოს ცალ-ცალკე ჟურნალები ან თავისი შეხედულებისამებრ მხოლოდ რამდენიმე ადგილის მიხედვით გახსნას და აწარმოოს ცალ-ცალკე ჟურნალები, ხოლო დანარჩენი ადგილებისთვის გახსნას და აწარმოოს საერთო ჟურნალები.

თავისუფალი ზონის საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების სხვადასხვა ადგილებს შორის, რომელთათვისაც ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით აღებულია ცალ-ცალკე ჟურნალები, საქონლის მიწოდებისას გამოიყენება ჟურნალების შევსების ამ ინსტრუქციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული წესები.

ინსტრუქციის მე-8 მუხლში მოცემულია ჟურნალების შევსების წესები, კერძოდ, ყოველი ახალი ჟურნალი უნდა გაიხსნას წინა შესაბამისი ჟურნალის სრულად შევსების შემდეგ... [588].

აღნიშნული ინსტრუქციით დადგენილი წესით ჟურნალებში ქრონოლოგიური (დღეების მიხედვით) თანმიმდევრობით წარმოებული ჩანაწერები უნდა იძლეოდეს სრულ და ნათელ ინფორმაციას ზონაში რეგისტრირებული საწარმოს (შემდგომში – ზონის საწარმო) საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული საქონლის მოძრაობის შესახებ. პირები, რომელთა ეკონომიკური საქმიანობა ძირითადად დაკავშირებულია თზ-ში საქონლის მიღებასთან და მის გადაცემასთან (მაგ.: ტვირთების გადაზიდვების განმახორციელებელი, საშემნახველო/სასაწყობო მეურნეობის ორგანიზატორი პირები და სხვა), ასეთ საქონელზე საკუთრების უფლების მიღება/გადაცემის გარეშე, ვალდებულნი არიან, იქონიონ და აწარმოონ ჟურნალები საქონლის მიღების, შენახვის ან გადაცემის ადგილების მიხედვით იმ შემთხვევაში, თუ ეს ადგილი (ადგილები) არის მომსახურების გამწევი პირის მფლობელობაში არსებული სტაციონარული ობიექტები.

ჟურნალები მუდმივად უნდა ინახებოდეს და მათი შევსება უნდა ხორციელდებოდეს იმ ტერიტორიის ფარგლებში, სადაც ხდება საქონლის მიღება, შენახვა ან გაცემა. დაუშვებელია ჟურნალების ეკონომიკური საქმიანობის ადგილის გარდა სხვა ადგილას შენახვა.

დროის შესაბამისი პერიოდების მიხედვით არსებული და დახურული ყველა ჟურნალი მათი დახურვიდან **3 კალენდარული წლის** განმავლობაში უნდა ინახებოდეს თზ-ის ტერიტორიაზე ზონის საწარმოში და ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი საბაჟო ორგანოსათვის.

ზონის იმ საწარმოებმა, რომლებიც ბუღალტრულ აღრიცხვა-ანგარიშგებას აწარმოებენ ელექტრონული სისტემების (კომპიუტერ(ებ)ის) მეშვეობით ან/და სურვილი აქვთ გამოიყენონ კომპიუტერი ჟურნალების წარმოებისათვის, ჟურნალების წარმოება უნდა განახორციელონ სამსახურის მიერ შემუშავებული ელექტრონული

---

[588] დეტალურად აღრიცხვის ჟურნალების შევსების წესები იხ. ინსტრუქციაში „თავისუფალი ზონის შესახებ" (დანართი №10), მ.8.

(კომპიუტერული) ფორმების მეშვეობით, რომლის ჩატვირთვას გადამხდელის კომპიუტერში უზრუნველყოფს შესაბამისი საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი. ამასთან, ზონის ასეთ საწარმოს კომპიუტერი უნდა ჰქონდეს და მისი მეშვეობით აწარმოოს ჟურნალები ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად, ყველა იმ ადგილას, სადაც ხდება საქონლის მიღება, შენახვა ან მიწოდება. ასეთ ფორმებში შეტანილი ინფორმაციის რედაქტირება ბლოკირებულია. შეცდომით შეტანილი მონაცემის გასწორების შესახებ ჩანაწერი უნდა გაკეთდეს ველში „შენიშვნა“. ასეთი გადამხდელები ვალდებული არიან, რომ ამ ინსტრუქციით დადგენილი წესითა და ვადებში უზრუნველყონ კომპიუტერულ ფორმებში შესაბამისი მონაცემების შეტანა და შესაბამისი საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირ(ებ)ის მოთხოვნის შემთხვევაში – ამობეჭდვა, ხელმოწერით დამოწმება და მისთვის გადაცემა.

1.4. სპეციალური პროცედურის დასრულება. პროცედურის მფლობელის უფლებებისა და მოვალეობების გადაცემა

სპეციალური პროცედურის დასრულება. სპეციალურ პროცედურად მოიაზრება საქონლის მოთავსება მხოლოდ ტრანზიტში; საბაჟო საწყობში; თავისუფალი ზონაში; დროებით შემოტანში; მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებაში; საქონლის შიდა გადამუშავებაში: საქონლის გარე გადამუშავებაში.

მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურის გამოყენების გათვალისწინებით[589], სპეციალური პროცედურა, გარდა ტრანზიტის პროცედურისა, დასრულდება, თუ ამ პროცედურაში მოქცეული საქონელი ან გადამუშავებული პროდუქტი მოექცა სხვა საბაჟო პროცედურაში ან გატანილ იქნა საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ან განადგურდა ნარჩენის გარეშე ან პროცედურის მფლობელმა ან საქონლის მფლობელმა უცხოური საქონელი და

[589] იხ. საბაჟო კოდექსის 141-ე მუხლის კომენტარი.

მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონელი საბაჟო ორგანოსთან წინასწარი შეთანხმებით საკუთრებაში გადასცა სახელმწიფოს ან/და მუნიციპალიტეტს, რომლის გადაცემის წესი ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით განისაზღვრება[590].

საბაჟო კოდექსის 113-ე მუხლი გამოიყენება 104-ე და 141-ე მუხლებთან მიმართებაში.

რაც შეეხება ტრანზიტის პროცედურას, მის კომენტარს შემოგთავაზებთ საბაჟო კოდექსის თავი XIX-ის „ტრანზიტის პროცედურა" - კომენტირებისას, აქ კი საბაჟო კოდექსის 113-ე მუხლის მიზნებისათვის (ნ.2). მხოლოდ ავღნიშნავთ, რომ: ტრანზიტის პროცედურა დასრულდება, თუ:

- ა) საქონელი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები წარედგინა დანიშნულების საბაჟო ორგანოს ან ისინი წარდგენილ იქნა საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ სხვა ადგილზე;
- ბ) საქონელი მოექცა სხვა საბაჟო პროცედურაში;

მაგ; საბაჟო საწყობის პროცედურაში ან შენახულ იქნეს დროებით კანონმდებლობით დადგენილი წესით.

- გ) განხორციელდა საქონლის განკარგვა საბაჟო კოდექსის XV თავის („საქონლის განკარგვა") შესაბამისად.საბაჟო კოდექსის 113-ე მუხლის მე-2 ნაწილის ზემოთ აღნიშნული „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში[591] საბაჟო ორგანო ტრანზიტის პროცედურას დაასრულებს, თუ საქონლის გაგზავნის საბაჟო გამშვებ პუნქტსა და დანიშნულების საბაჟო გამშვებ პუნქტში ან საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ სხვა ადგილზე არსებული მონაცემების შედარებით დადასტურდა, რომ ეს პროცედურა საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის დაცვით განხორციელდა.

ამ საკითხებს ჩვენ ფართოდ დავიბრუნდებით ტრანზიტის პროცედურის მარეგულირებელი ნორმების კომენტირებისას, შემდეგ თავში.

---

[590] იხ. საბაჟო კოდექსის 104-ე მუხლის კომენტარი.

[591] ტრანზიტის პროცედურა დასრულდება, თუ: საქონელი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები წარედგინა დანიშნულების საბაჟო ორგანოს ან ისინი წარდგენილ იქნა საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ სხვა ადგილზე.

იმ შემთხვევაში, თუ სპეციალური პროცედურა არ სრულდება დადგენილი პირობების შესაბამისად, საბაჟო ორგანომ უნდა მიიღოს ნებისმიერი საჭირო ზომა საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად. სპეციალური პროცედურის დასრულების წესი და ვადა განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „ტრანზიტის პროცედურის შესახებ“ (*დანართი №7*).

ტრანზიტის პროცედურასთან დაკავშირებული საკითხები შესაბამის თავში იქნება სიღრმისეულად წარმოდგენილი.

პროცედურის მფლობელის უფლებებისა და მოვალეობების გადაცემა. პროცედურის მფლობელის უფლებები და მოვალეობები, რომლებიც დაკავშირებულია სპეციალურ პროცედურაში მოქცეულ საქონელთან, გარდა ტრანზიტის პროცედურაში მოქცეული საქონლისა, შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ გადაეცეს სხვა პირს, რომელიც ასრულებს ამ საბაჟო პროცედურასთან დაკავშირებულ პირობებს. პროცედურის მფლობელის უფლებებისა და მოვალეობების სხვა პირისთვის გადაცემის წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების შესახებ“ (დანართი №1), რომლის თანახმად, „პირს საბაჟო ურთიერთობებში პირადად მონაწილეობა არ ართმევს უფლებას, ჰყავდეს წარმომადგენელი (პირდაპირი ან ირიბი), ისევე, როგორც წარმომადგენლის მონაწილეობა არ ართმევს პირს უფლებას, პირადად მიიღოს მონაწილეობა აღნიშნულ ურთიერთობებში“[592]. საბაჟო ორგანოსათვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა ხორციელდება ელექტრონული (გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის მეშვეობით) ან მატერიალური ფორმით. წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირი ასახავს (ატვირთავს) მონაცემთა დამუშავების

---

[592] ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების შესახებ“ (დანართი №1), მ.6. პ.1.

ელექტრონული საშუალების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მინდობილობის შენახვისა და გაუქმების საშუალებას[593].

1.5. საქონლის გადაადგილება. საქონლის მიმართ დასაშვები ქმედებები

საქონლის გადაადგილება. სპეციალურ პროცედურაში მოქცეული საქონელი გადაადგილდება ტრანზიტის პროცედურის შესაბამისად.

საბაჟო კოდექსის 115-ე მუხლის გამოყენებისას კანონმდებელი მიუთითებს 118-ე მუხლის, კერძოდ, ტრანზიტის პროცედურის გამოყენებაზე.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ტრანზიტის პროცედურაში საქონლის მოქცევაზე მომდევნო თავში იქნება ვრცელი კომენტარი, ამიტომ ამ საკითხებს აქ ალარ შევეხებით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე" განსაზღვრულ შემთხვევებში, სპეციალურ პროცედურაში მოქცეული საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე განლაგებულ სხვადასხვა ადგილს შორის შეიძლება გადაადგილდეს იმავე ბრძანებით დადგენილი განსხვავებული პირობებით (საბაჟო კოდექსის 115-ე მუხლის მეორე ნაწილი).

ამ საკითხებზეც ცალკეული პროცედურების განხილვისას ვრცლად მეტნება საუბარი.

115-ე მუხლის მე-3 ნაწილის შემთხვევაში, ამავე მუხლის ზემოთ აღნიშნული მე-2 ნაწილი არ ვრცელდება ტრანზიტის ან თავისუფალი ზონის პროცედურაში მოქცეული საქონლის გადაადგილებაზე, რომლის შესახებაც ვრცელი კომენტარი იქნება შემოთავაზებული ტრანზიტისა და თავისუფალი ზონის პროცედურების

[593] ინსტრუქცია „საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების შესახებ" , მ.6. პ.5-6.

მარეგულირებელი ნორმების ანალიზისას, თუმცა თავისუფალ ზონაზე ვრცელი კომენტარი უკვე იყო შემოთვაზებული საბაჟო სამართლის პირველ ნაწილში[594] იმ თავში, სადაც საბაჟო სამართლის სუბიექტებზე გავამახვილეთ თქვენი ყურადღება.

ამ საკითხებს მოგვიანებით ისევ შევეხებით.

საქონლის მიმართ დასაშვები ქმედებები. საბაჟო საწყობის, შიდა გადამუშავების, გარე გადამუშავების ან თავისუფალი ზონის პროცედურაში მოქცეული საქონლის მიმართ შეიძლება განხორციელდეს მისი შენახვის უზრუნველყოფისთვის ანდა სასაქონლო სახის ან მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის აუცილებელი ქმედებები ან საქონლის გაყიდვისთვის/ტრანსპორტირებისთვის მოსამზადებელი ქმედებები. საქონელი უნდა დარჩეს უცვლელ მდგომარეობაში, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთით, შენახვის ნორმალური პირობებისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი დანაკარგებით ან ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებებით.

საბაჟო საწყობის, შიდა გადამუშავების, გარე გადამუშავებისა და თავისუფალი ზონის პროცედურებში მოქცეული საქონლის მიმართ დასაშვები ქმედებების ნუსხა განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციებით: „საბაჟო საწყობის პროცედურის შესახებ“ (დანართი №9); „შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ“ (დანართი №13); „გარე გადამუშავების პროცედურის შესახებ“ (დანართი №14); „თავისუფალი პროცედურის შესახებ“ (დანართი №10).

ან ინსტრუქციების შესახებ შესაბამის თავებში ვრცელ კომენტარს შემოგთავაზებთ და ამ შემთხვევაში მის განმეორებას არ შევეცდებით. აღვნიშნავ, რომ საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია დაადგინოს ზემოთაღნიშნულისაგან განსხვავებული შემთხვევები.

---

[594] ავტ. ხარაზი ი; 2021.

1.6. ეკვივალენტური საქონელი

ეკვივალენტური საქონელი არის საქართველოს საქონელი, რომელიც შეიძლება შენახულ, გამოყენებულ ან გადამუშავებულ იქნეს სპეციალურ საბაჟო პროცედურაში მოქცეული საქონლის ნაცვლად.

გარე გადამუშავების პროცედურის შემთხვევაში ეკვივალენტური საქონელი არის უცხოური საქონელი, რომელიც შეიძლება გადამუშავდეს გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქართველოს საქონლის ნაცვლად.

ეკვივალენტურ საქონელს უნდა ჰქონდეს იგივე სეს ესნ-ის კოდი რვანიშნა დონეზე, ხარისხი და ტექნიკური მახასიათებლები, რომლებიც აქვს იმ საქონელს, რომელსაც იგი ანაცვლებს, გარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით განსაზღვრული შემთხვევებისა.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის №275 წლის ბრძანების „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ (დანართი #1)-ის შესახებ ვრცელი კომენტარია შემოთავაზებული საბაჟო სამართლის პირველ ნაწილში[595], აქ კი მოკლედ აღვნიშნავდით, რომ: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს საბაჟო კოდექსის 35-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის საფუძველზე დამტკიცდა: ა) „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა (სეს ესნ)“ თანდართული რედაქციით (დანართი №1); ბ) „საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული რიგი საქონლის „საქონლის აღწერის და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის 2017 წლის რედაქციის საფუძველზე მომზადებულ „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურასთან (სეს ესნ)“ კორელაციის ცხრილი“ თანდართული რედაქციით (დანართი №2).

საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა (სეს ესნ) მომზადებულია „საქონლის აღწერის და კოდირების ჰარმონიზებული სისტემის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის 2017 წლის

[595] ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, 2021.

რედაქციის საფუძველზე. აღნიშნული ნომენკლატურა დეტალიზებულია თერთმეტი ნიშნით, ეროვნული ეკონომიკის სპეციფიკის გათვალისწინებით. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურა (სეს ესნ) გამოიყენება საბაჟო ან/და საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრისათვის, ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებების, აკრძალვებისა და შეზღუდვების ღონისძიებების განსაბორციელებლად, სტატისტიკური აღრიცხვის წარმართვის და სტატისტიკური ინფორმაციის გაცვლის სრულყოფისათვის და ა.შ[596].

საბაჟო ორგანო პირის განცხადების საფუძველზე და იმ პირობით, რომ საბაჟო ზედამხედველობის მიზნისთვის უზრუნველყოფილი იქნება პროცედურის სათანადო განხორციელება, გასცემს ავტორიზაციას:

- ა) ეკვივალენტური საქონლის საბაჟო საწყობის, თავისუფალი ზონის, მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების, შიდა გადამუშავების ან გარე გადამუშავების პროცედურაში გამოყენებაზე;
- ბ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ შემთხვევებში ეკვივალენტური საქონლის დროებით შემოტანის პროცედურაში გამოყენებაზე;
- გ) შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად ეკვივალენტური საქონლისგან მიღებული გადამუშავებული პროდუქტის ჩასანაცვლებელი საქონლის შემოტანამდე გატანაზე;
- დ) გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად ეკვივალენტური საქონლისგან მიღებული გადამუშავებული პროდუქტის ჩასანაცვლებელი საქონლის გატანამდე შემოტანაზე.

აქაც იგივეს გავიმეორებდით, რომ ამ საკითხებს სილრმისეულად მივუბრუნდებით თავისუფალი ზონის, მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების, შიდა გადამუშავების ან გარე გადამუშავების პროცედურებზე შესაბამისი ნორმების კომენტირებისას.

---

[596] სრული სახით იხ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის ბრძანება №275 წლის „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ დანართი #1, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3.

საბაჟო კოდექსის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილი მიუთითებს აღნიშნული მუხლის მიზნობრივად გამოყენებისათვის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის გამოყენებაზე, კერძოდ: ოპერატორი უზრუნველყოფს პროცედურის სათანადო განხორციელებას, თუ მის მიერ განსახორციელებელი ოპერაციები, რომლებშიც ეკვივალენტური საქონელი გამოიყენება, მითითებულია ამ კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად გაცემულ ავტორიზაციაში, კერძოდ, „ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსი მოიცავს ორი სახის ავტორიზაციას: ავტორიზაცია საბაჟო გამარტივებისთვის, რომელიც, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესაბამისად, მის მფლობელს აძლევს გარკვეული გამარტივებული საბაჟო ფორმალობებით სარგებლობის საშუალებას“.

ეკვივალენტური საქონლის გამოყენებაზე ავტორიზაცია არ შეიძლება გაიცეს, თუ:

- ა) შიდა გადამუშავების პროცედურაში გამოიყენება მხოლოდ საბაჟო კოდექსის 116-ე მუხლით გათვალისწინებული საქონლის მიმართ დასაშვები ქმედებები;

საუბარია საქონლის მიმართ დასაშვებ ქმედებებზე, რომლის დაწვრილებითი ანალიზი იხ. ამავე თავში, 116-ე მუხლის კომენტარში.

- ბ) საქართველოს მიერ უცხო ქვეყანასთან ან უცხო ქვეყნების ჯგუფთან გაფორმებული პრეფერენციული საერთაშორისო შეთანხმება ითვალისწინებს იმპორტის გადასახადის დაბრუნების ან მისგან გათავისუფლების აკრძალვას შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული ისეთი გადამუშავებული პროდუქტის საწარმოებლად გამოყენებული საქართველოს წარმოშობის სტატუსის არმქონე საქონლისთვის, რომლისთვისაც იმავე შეთანხმების შესაბამისად გაიცემა ან გამოიწერება საქონლის წარმოშობის სერტიფიკატი;

საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის შესახებ ვრცელი კომენტარია შემოთავაზებული საბაჟო სამართლის პირველ ნაწილში[597]*; ასევე აღნიშნულ*

[597] ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021.

სახელმძღვანელოში[598], ამიტომ ნაშრომის მოცულობიდან გამომდინარე ამ საკითხებს ალარ მივუბრუნდებით.

• გ) ეს გამოიწვევს იმპორტის გადასახადზე გაუმართლებელ შეღავათს ან დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით.

ეკვივალენტური საქონლის გამოყენების წესი და პირობები, აგრეთვე შემთხვევები, როდესაც ეკვივალენტური საქონელი არ გამოიყენება, განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციებით. კონკრეტული ინსტრუქციების შესახებ, რომელსაც აღნიშნული შეეხება, ქვემოთ, ცალკეული პროცედურების განხილვისას შემოგთავაზებთ.

A. დასამახსოვრებელი დებულებები!

საბაჟო კონტროლი – საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის, აგრეთვე საქართველოს საბაჟო ტერიტორიასა და უცხო ქვეყანას შორის გადაადგილებული საქონლის შემოტანის, ტრანზიტის, გადაადგილების, შენახვის, მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებისა და გატანის, აგრეთვე უცხოური საქონლის და მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე განთავსებისა და გადაადგილების მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დაცვის უზრუნველსაყოფად საბაჟო ორგანოს მიერ განსახორციელებელი ცალკეული ქმედებები.

საბაჟო ფორმალობა – დაინტერესებული პირის ან/და საბაჟო ორგანოს მიერ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის შესასრულებლად განსახორციელებელი სავალდებულო ქმედება.

საბაჟო დეკლარაცია - დოკუმენტი/ქმედება, რომლითაც პირი დადგენილი ფორმითა და წესით აცხადებს, რომ განზრახული აქვს საქონლის მიმართ შესაბამისი საბაჟო პროცედურის გამოყენება, და რომელშიც საჭიროების შემთხვევაში დამატებით პირობას უთითებს.

საქონლის მფლობელი - საქონლის მესაკუთრე, საქონლის განკარგვის უფლების მქონე პირი ან პირი, რომლის ფიზიკური კონტროლის ქვეშაც არის საქონელი.

საქონლის წარდგენა - საბაჟო ორგანოში, საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილზე ან მასთან შეთანხმებულ სხვა ადგილზე (შემდგომ

---

[598] ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, მეორე ნაწილი, თბილისი, 2022.

- საბაჟო ორგანოსთვის) საქონლის მიტანის შესახებ ინფორმაციის საბაჟო ორგანოსთვის მიწოდება.

გამოსავლიანობის ნორმა – გადამუშავებული პროდუქტის ოდენობა ან ამ ოდენობის პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც მიღებულია შიდა გადამუშავების პროცედურაში ან გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული, განსაზღვრული რაოდენობის საქონლის გადამუშავების შედეგად.

საბაჟო გამშვები პუნქტი – საქართველოს საბაჟო საზღვართან მდებარე საბაჟო კონტროლის ზონა, სადაც მგზავრის, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების მიმართ ხორციელდება ამ კოდექსით დადგენილი პროცედურები.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შიდა გადამუშავების ოპერაციაში უნდა მოთავსდეს იმპორტული საქონელი.

საბაჟო ორგანომ დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე შეიძლება გასცეს ავტორიზაცია უკუქცევითი ძალით, თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა: დადასტურებულია შესაბამისი საბაჟო პროცედურის ეკონომიკური საჭიროება; განცხადება არ უკავშირდება საბაჟო ორგანოს მოტყუების მცდელობას; დაინტერესებული პირის საბუღალტრო ჩანაწერებით დასტურდება: შესაძლებელია საქონელთან დაკავშირებით განხორციელდეს ყველა საჭირო ფორმალობა, მათ შორის, საბაჟო დეკლარაციის გათვალისწინებით ცნობა, თუ ეს აუცილებელია; განცხადების მიღებამდე 3 წლის განმავლობაში განმცხადებელზე არ არის გაცემული ავტორიზაცია უკუქცევითი ძალით; არ მოითხოვება ეკონომიკური პირობების შესწავლა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განმცხადებელი ითხოვს იმავე სახის ოპერაციასა და საქონელზე მანამდე გაცემული ავტორიზაციის ვადის გაგრძელებას; იმავე სახის ოპერაციასა და საქონელზე მანამდე გაცემული ავტორიზაციის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებული განცხადება წარდგენილია პირველადი ავტორიზაციის გაცემიდან 3 წლის ვადაში.

თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ავტორიზაციის მფლობელმა, პროცედურის მფლობელმა (გარდა ტრანზიტის პროცედურის მფლობელისა) ან ნებისმიერმა პირმა, რომელიც ახორციელებს საქონლის შენახვასთან ან გადამუშავებასთან დაკავშირებულ საქმიანობას ანდა თავისუფალ ზონაში საქონლის გაყიდვას ან შეძენას, უნდა აწარმოოს აღრიცხვა გულისხმობს ისეთი მონაცემისა და სხვა ინფორმაციის შენახვას, რომლებიც საბაჟო ორგანოს საშუალებას მისცემს, ზედამხედველობა გაუწიოს შესაბამის საბაჟო პროცედურას,

კერძოდ, ამ პროცედურაში მოქცეული საქონლის იდენტიფიკაციასთან, საბაჟო სტატუსთან და გადაადგილებასთან დაკავშირებით.

ეკვივალენტური საქონელი არის საქართველოს საქონელი, რომელიც შეიძლება შენახულ, გამოყენებულ ან გადამუშავებულ იქნეს სპეციალურ საბაჟო პროცედურაში მოქცეული საქონლის ნაცვლად.

გარე გადამუშავების პროცედურის შემთხვევაში ეკვივალენტური საქონელი არის უცხოური საქონელი, რომელიც შეიძლება გადამუშავდეს გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქართველოს საქონლის ნაცვლად.

B. კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის:

ჩამოთვალეთ სპეციალური ოპერაციები

განმარტეთ გამოსავლიანობის ნორმა

რისთვისაა აუცილებელი საბაჟო ორგანოს მიერ გაცემული ავტორიზაცია?

რას გულისხმობს DC FTA?

როგორ ვითარდება საქართველოს საბაჟო პოლიტიკა?

2019 წლის საბაჟო კოდექსში რა პრიორიტეტულ მომენტებსა და თავისებურებებს გამოყოფდით?

როგორი საქონელი უნდა მოთავსდეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შიდა გადამუშავების ოპერაციაში?

რა ნიშნებით შეიძლება მოვახდინოთ სპეციალური ოპერაციების კლასიფიკაცია?

რომელი საბაჟო ოპერაციების დროსაა აუცილებელი ავტორიზაცია?

როდის დასრულდება ტრანზიტის პროცედურა?

განმარტეთ ეკვივალენტური საქონლის ცნება.

C. ტესტები:

საქონელი შეიძლება მოექცეს ნებისმიერ შემდეგ სპეციალურ პროცედურაში:

ა. ტრანზიტი; საბაჟო საწყობი; თავისუფალი ზონა; დროებით შემოტანა; მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენება; შიდა გადამუშავება; გარე გადამუშავება

ბ. ტრანზიტი; საბაჟო საწყობი

გ. თავისუფალი ზონა; დროებით შემოტანა

დ. მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენება; შიდა გადამუშავება; გარე გადამუშავება.

საბაჟო ორგანომ დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე შეიძლება გასცეს ავტორიზაცია უკუქცევითი ძალით, თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

ა. დადასტურებულია შესაბამისი საბაჟო პროცედურის ეკონომიკური საჭიროება;განცხადება არ უკავშირდება საბაჟო ორგანოს მოტყუების მცდელობას; დაინტერესებული პირის საბუღალტრო ჩანაწერებით დასტურდება შესაძლებელია საქონელთან დაკავშირებით განხორციელდეს ყველა საჭირო ფორმალობა, მათ შორის, საბაჟო დეკლარაციის მათილად ცნობა, თუ ეს აუცილებელია

ბ. დადასტურებულია შესაბამისი საბაჟო პროცედურის ეკონომიკური საჭიროება;განცხადება არ უკავშირდება საბაჟო ორგანოს მოტყუების მცდელობას; დაინტერესებული პირის საბუღალტრო ჩანაწერებით დასტურდება შესაძლებელია საქონელთან დაკავშირებით განხორციელდეს ყველა საჭირო ფორმალობა, მათ შორის, საბაჟო დეკლარაციის მათილად ცნობა, თუ ეს აუცილებელია; განცხადების მიღებამდე 3 წლის განმავლობაში განმცხადებელზე არ არის გაცემული ავტორიზაცია უკუქცევითი ძალით; არ მოითხოვება ეკონომიკური პირობების შესწავლა. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განმცხადებელი ითხოვს იმავე სახის ოპერაციასა და საქონელზე მანამდე გაცემული ავტორიზაციის ვადის გაგრძელებას; იმავე სახის ოპერაციასა და საქონელზე მანამდე გაცემული ავტორიზაციის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებული განცხადება წარდგენილია პირველადი ავტორიზაციის გაცემიდან 3 წლის ვადაში

გ. განცხადების მიღებამდე 3 წლის განმავლობაში განმცხადებელზე არ არის გაცემული ავტორიზაცია უკუქცევითი ძალით; არ მოითხოვება ეკონომიკური პირობების შესწავლა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განმცხადებელი ითხოვს იმავე სახის ოპერაციასა და საქონელზე მანამდე გაცემული ავტორიზაციის ვადის გაგრძელებას

დ. იმავე სახის ოპერაციასა და საქონელზე მანამდე გაცემული ავტორიზაციის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებული განცხადება წარდგენილია პირველადი ავტორიზაციის გაცემიდან 3 წლის ვადაში.

საბაჟო ორგანომ დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე შეიძლება გასცეს ავტორიზაცია უკუქცევითი ძალით, თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

ა. დადასტურებულია შესაბამისი საბაჟო პროცედურის ეკონომიკური საჭიროება; განცხადება არ უკავშირდება საბაჟო ორგანოს მოტყუების მცდელობას; დაინტერესებული პირის საბუღალტრო ჩანაწერებით

დასტურდება: შესაძლებელია საქონელთან დაკავშირებით განხორციელდეს ყველა საჭირო ფორმალობა, მათ შორის, საბაჟო დეკლარაციის ბათილად ცნობა, თუ ეს აუცილებელია; განცხადების მიღებამდე 3 წლის განმავლობაში განმცხადებელზე არ არის გაცემული ავტორიზაცია უკუქცევითი ძალით; არ მოითხოვება ეკონომიკური პირობების შესწავლა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განმცხადებელი ითხოვს იმავე სახის ოპერაციასა და საქონელზე მანამდე გაცემული ავტორიზაციის ვადის გაგრძელებას; იმავე სახის ოპერაციასა და საქონელზე მანამდე გაცემული ავტორიზაციის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებული განცხადება წარდგენილია პირველადი ავტორიზაციის გაცემიდან 3 წლის ვადაში

ბ. დადასტურებულია შესაბამისი საბაჟო პროცედურის ეკონომიკური საჭიროება; განცხადება არ უკავშირდება საბაჟო ორგანოს მოტყუების მცდელობას; დაინტერესებული პირის სამუღალტრო ჩანაწერებით დასტურდება: შესაძლებელია საქონელთან დაკავშირებით განხორციელდეს ყველა საჭირო ფორმალობა, მათ შორის, საბაჟო დეკლარაციის ბათილად ცნობა, თუ ეს აუცილებელია

გ. განცხადების მიღებამდე 3 წლის განმავლობაში განმცხადებელზე არ არის გაცემული ავტორიზაცია უკუქცევითი ძალით; არ მოითხოვება ეკონომიკური პირობების შესწავლა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განმცხადებელი ითხოვს იმავე სახის ოპერაციასა და საქონელზე მანამდე გაცემული ავტორიზაციის ვადის გაგრძელებას

დ. იმავე სახის ოპერაციასა და საქონელზე მანამდე გაცემული ავტორიზაციის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებული განცხადება წარდგენილია პირველადი ავტორიზაციის გაცემიდან 3 წლის ვადაში

ტრანზიტის პროცედურა დასრულდება, თუ:

ა. საქონელი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები წარედგინა დანიშნულების საბაჟო ორგანოს ან ისინი წარდგენილ იქნა საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ სხვა ადგილზე

ბ. საქონელი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები წარედგინა დანიშნულების საბაჟო ორგანოს ან ისინი წარდგენილ იქნა საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ სხვა ადგილზე; საქონელი მოექცა სხვა საბაჟო პროცედურაში; განხორციელდა საქონლის განკარგვა საბაჟო კოდექსის XV თავის („საქონლის განკარგვა") შესაბამისად

გ. საქონელი მოექცა სხვა საბაჟო პროცედურაში;განხორციელდა საქონლის განკარგვა საბაჟო კოდექსის XV თავის („საქონლის განკარგვა") შესაბამისად

დ. საქონელი მოექცა ნებისმიერ პროცედურაში.

D. სამართლებრივი აქტები:

საერთაშორისო აქტები:

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0

საკანონმდებლო აქტები:

საქართველოს კონსტიტუცია, მ.19,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

საქართველოს საბაჟო კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=5

საქართველოს საგადასახადო კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/32842?publication=69

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/19024?publication=0

კანონქვემდებარე აქტები:

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის #453 დადგენილება „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4657381?publication=0

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“, ინსტრუქცია „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ“ (დანართი #5), https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის ბრძანება №275 წლის „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ დანართი #1, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3

ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ“ (დანართი #13), https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „გარე გადამუშავების პროცედურის შესახებ“ (დანართი №14,), https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ტრანზიტის პროცედურის შესახებ“, (დანართი №7), https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ“, დანართი №11, https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

ინსტრუქცია „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ“, https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=48

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია (დანართი №2) „საბაჟო კონტროლის შესახებ“, https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს #257 ბრძანება „საქართველო საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“, დანართი #3, ინსტრუქცია „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“, https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“, https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/1167887/285/ge/pdf

ფინანსთა მინისტრის #257 ბრძანება (დანართი №1), ინსტრუქცია „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“, https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება (#257 2019 წლის 29 აგვისტო) „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ინსტრუქცია (დანართი №12) „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ“

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ექსპორტის პროცედურის შესახებ(დანართი №15), https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

E. გამოყენებული ლიტერატურა:

ქართულ ენაზე:

ბარაზი ია, საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, დამხმარე სახელმძღვანელო, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2021

ბარაზი ია, საერთაშორისო საბაჟო სამართალი, თბილისი, 2013

ბარაზი ია. საბაჟო სამართლი, თბილისი, 2007

ბარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2010

ბარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2019, ლექციების კურსი, https://www.sou.edu.ge

ბარაზი ია; საქართველოს საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2015

ბარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბილისი, 2014

ბარაზი ი; გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება, მონოგრაფია, თსუ, 2006

ბარაზი ია, აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტ. თანაავტ. „საგადასახადო და საბაჟო სამართალი ქართულ სასამართლო სივრცეში (სასამართლო პრაქტიკის მასალები იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის)“, გამომც. ქუთაისის უნივერსიტეტი, თბილისი, 2019

როგავა ზ; საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, წიგნი მესამე, გამომცემლობა ურისტების სამყარო“, თბილისი, 2017

ნადარაია, როგავა, რუხაძე, ბოლქვაძე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, §§ 156-310, 47-ე მუხლ. ავტ. ნადარაია, 331, https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00J1P6.pdf

გონერ ურიდია, ფრიდონ არახამია, საბაჟო საქმის თეორია, თბილისი, 2009

ურიდია გ; საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები, გამოცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011

ლორთქიფანიძე ვ; საბაჟო საქმის საფუძვლები, თბილისი, 2002

ჯგერენაია ემზარ, საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 2022

გ. ურიდია, მ. არახამია, ფ. რუხაია, საბაჟო რეჟიმები, თბილისი, 2005

უცხოენაზე:

Борисов К. Г. Международное Таможенное право, Учеб, пособие – М; изд. ун-та дружби народов 1997

Козырин А. Н. Таможенное право Росии, Учеб, пособие – М; фирма СПАРК. 1995

Бахрах Д. Н. Кивалов С. В. Таможенное право Росии, Екатеринбург, Диамант, 1995, 217-220

F. სამეცნიერო ნაშრომები:

ბარაზი ია, „გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება“, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, დისერტაცია, თსუ, 2006

G. ლექსიკონი:

მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე] - თბ., 2004 - 483 გვ.: ცხრ.; 24სმ. - (საჯარო მოსამსახურის ბ-კა). - ISBN 99940-0-063-2: [ფ.ა.]; http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=17983

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1962

H. ვებრესურსები:

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=5

http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=17983

https://www.rs.ge

ქვეთავი VIII1. ტრანზიტის პროცედურა

1. ტრანზიტის პროცედურის გამოყენება. ტვირთის უფლებამოსილი მიმღები

ტრანზიტის პროცედურის გამოყენება. „საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ტრანზიტს ისეთივე მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, როგორც თავად საერთაშორისო ვაჭრობას. XVIII-XIX საუკუნეებში, როცა სერიოზული კონტურები ჩამოყალიბდა, როდესაც ქვეყნებს შორის ვაჭრობის და ბიზნესის განვითარების სერიოზული მოთხოვნა გაჩნდა, ქვეყნები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ტრანზიტი არ უნდა დაბეგრილიყო და მას ხელშეწყობა უნდა ჰქონოდა. აქედან უკვე დაიწყო სხვადასხვა შეთანხმებები სხვადასხვა ქვეყნებს შორის, მაგრამ ძირითადი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების თანამედროვე ეტაპი ეს არის მე-20 საუკუნე, როცა ქვეყნები პირველ სავაჭრო შეთანხმებებს დებენ და იწყებენ ლაპარაკს რაღაც საერთაშორისო კავშირების შექმნაზე ტრანზიტის და საერთო ტვირთმიმოქცევის დარეგულირებისათვის, როცა ქვეყნები იწყებენ საბაჟო დოკუმენტბრუნვის და საბაჟო ტექნოლოგიის უნიფიცირებაზე, თავსებადობაზე ლაპარაკს და ამასთან დაკავშირებით იქმნება პირველი კავშირები. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც არის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი ვაჭრობის ხელშეწყობისა და განვითარების ორგანიზაციები, იქმნება **GATT-ი (გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ),** თუ სხვები, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდითა შეიქმნა და ასევე შემდგომ უკვე ვენის კონვენციით დაგვირგვინდა, რომელიც მის წევრ ყველა ქვეყანას აღიარებს, რომ ერთი და იგივე მოთხოვნები ჰქონდეთ ტრანზიტის მიმართ, როგორც დოკუმენტალურად, ისე პროცედურულ ნაწილში. დღეს საერთაშორისო-საფინანსო ორგანოების იბრძვიან, რომ ტრანზიტი არ დაიბეგროს. აქედან გამომდინარე, დღეს ჩამოყალიბებული სურათის მიხედვით, ტრანზიტი ეს არის

საქონლის გადაადგილება ქვეყნის ტერიტორიაზე, მასზე ყოველგვარი ეკონომიკური პოლიტიკის ზემოქმედების გარეშე"[599].

რომელია მწარმოებელი და რომელი დანიშნულების ქვეყანა? მწარმოებელი არის ქვეყანა, რომელიც საქონელს აწარმოებს, არა მარტო ვთქვათ მის თავდაპირველ ვარიანტში, არამედ საბოლოო კომპლექტაციით, რომელიც წარმოების ანუ წარმოშობის ქვეყანაა. მომხმარებელი ქვეყანაა საბოლოო დანიშნულება ამ საქონლისა, სადაც იგი მოიხმარება როგორც საქონელი. ასე, რომ, ყველა საქონლის დანიშნულება საბოლოო მოხმარებაა.

მე-18 საუკუნის ბოლო წლამდე ტრანზიტული საქონელი იბეგრებოდა ისეთივე წესით, როგორც იმპორტი და ექსპორტი, სანამ ასეთი პრაქტიკის ეკონომიურმა წინააღმდეგობებმა არ მიიყვანა მოვაჭრე ქვეყნები ტრანზიტის დაბეგვრისაგან გათავისუფლების ობიექტურ საჭიროებამდე[600].

„ვინაიდან საქონლის ტრანზიტზე საბაჟო გადასახდელები არ არსებობს, ტრანზიტი ვერ იქნება საქართველოს ბიუჯეტის შევსების პირდაპირი საშუალება და იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს სწრაფვა იქცეს მნიშვნელოვან სტრანზიტო ქვეყნად ქვეყნად მოკლებულია ეკონომიკურ საფუძველს. სინამდვილეში ქვეყანას შეუძლია ტრანზიტისაგან მიიღოს მნიშვნელოვანი ამონაგები, კერძოდ: სატრანსპორტო და საექსპორტო მომსახურების და ტვირთების დამუშავების სფეროში; სატრანსპორტო ბრუნვის მოცულობასთან პირდაპირ კავშირშია ნავსადგურების და საპორტო ქალაქების ეკონომიკური ზრდა; დიდ შემოსავალს და სამუშაო ადგილებს იძლევა სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტი; ვითარდება და მოქმედი ხდება აეროპორტები; დიდ შემოსავალს უქადის ქვეყანას მასზე გამავალი მოლსადენების მომსახურება. შეიძლება ითქვას, რომ თავისი შინაარსით ტრანზიტის მომსახურება წარმოადგენს მომსახურების ექსპორტს[601].

---

[599] ჯგერენაია ემზარ, საბაჟო ტექნოლოგიის საფუძვლები. თბილისი, 2002. 154.

[600] ჯგერენაია ე; დასახ. ნაშრ; 154.

[601] ლორთქიფანიძე ვ; საბაჟო საქმის საფუძვლები. 2002. 133.

საბაჟო ორგანოები გარკვეულწილად პასუხისმგებელნი არიან ტრანზიტის პროცედურის განხორციელებისას საქონლის ქვეყნის ტერიტორიაზე გავლით უდანაკარგოდ და უცვლელად გატარებისათვის და, აქედან გამომდინარე, უფლება აქვთ ტრანზიტის ოპერაციაში საქონლის მოქცევისათვის მოითხოვონ მოთავსების გარანტიის ისეთი პირობები, როგორიცაა სატრანსპორტო საშუალებებისა და ტარა-შეფუთვის წინასწარი მოწესრიგება ან ტრანზიტის განხორციელება საბაჟო გადამზიდველის მიერ. ამასთან დაკავშირებით დამატებითი ხარჯები საქონლის გადამზიდველს ეკისრება; საბაჟო ორგანოს ასევე უფლება აქვს უარი უთხრას გადამზიდველს საქონლის ტრანზიტის სპეციალურ ოპერაციაში მოთავსებაზე, თუ ამ საქონლის ტრანზიტი აკრძალულია საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით ან სატრანსპორტო საშუალება მისი სახეობის ან ტექნიკური მდგომარეობის გამო შეუთავსებელია საერთაშორისო გადაზიდვასთან.

მიუხედავად, რომ ტრანზიტი არ იბეგრება, იგი მაინც სერიოზული კონტროლის ობიექტად განიხილება, რამეთუ დაკავშირებულია პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთერთობებთან და ტენდენციებთან მსოფლიოში, რადგანაც ტრანზიტად შეიძლება გაიარონ ვთქვათ პროდუქტებმა, ასევე რადიაქტიურმა ნაერთებმა, ნარკოტიკულმა საშუალებებმა, რომლებმაც შეიძლება დიდ ზიანი მიაყენოს ქვეყნის გარემოს, ეკონომიკურ ინტერესებს, უსაფრთხოებას, -ასევე გაიარონ სტრატეგიული მნიშვნელობის საქონელმა, მაგ; ავიასაწვავი; და ა.შ[602].

---

[602] ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, თბილისი, 2010, 676-677; ასევე იხ. ხარაზი ი; საერთაშორისო საბაჟო სამართალი, თბილისი, 2013; ხარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბილისი, 2014; ნადარაია, როგავა, რუხაძე, ბოლქვაძე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, §§ 156-310, 47-ე მუხლ. ავტ. ნადარაია, 331, https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00J1P6.pdf ;გონერ ურიდია, ფრიდონ არახამია, საბაჟო საქმის თეორია, თბილისი, 2009; ურიდია გ; საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები, გამოცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011.

ვიდრე ტრანზიტის სპეციალური ოპერაციის შესახებ საბაჟო კანონმდებლობის ანალიზს მოვახდენთ, შესავალში აუცილებლად უნდა მიმოვიხილოთ „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ საქართველოსა და მეორეს მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“[603], კერძოდ ის ფუნდამენტური დებულებები, რომლებიც მხარეთა ურთერთიერთობებს აწესრიგებენ ტრანზიტის დარგში. *შეთანხმების 71-ე მუხლის („საბაჟო თანამშრომლობა“) თანახმად, „მხარეები გააძლიერებენ თანამშრომლობას საბაჟო სფეროში რათა ეფექტიანი კონტროლის, უსაფრთხოების და თაღლითობის თავიდან აცილების უზრუნველყოფასთან ერთად უზრუნველყონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების განხორციელება და ვაჭრობის შემდგომი ხელშეწყობა....განავითარებენ ერთობლივ ინიციატივებს იმპორტის, ექსპორტის და ტრანზიტის პროცედურებთან დაკავშირებით.....“. შეთანხმების 211-ე მუხლის („ტრანზიტი“) მიხედვით, „მხარეები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ ტრანზიტის განხორციელება მათ მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, რომელსაც ითვალისწინებს 1994 წლის ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმებისა და ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულების დებულებები“. მუხლის 213-ე ითვალისწინებს ასოცირების ხელშეკრულების მხარეთა მიერ შეუფერხებელი ტრანზიტი-ს განხორციელებას, კერძოდ: მხარეს ეკრძალება მის ტერიტორიაზე ტრანზიტით გამავალი ენერგოპროდუქტების მითვისება ან სხვა რაიმე სახით ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ამგვარი მითვისება ან ჩარევა განსაკუთრებულად არის გათვალისწინებული კონტრაქტით ან სხვა ხელშეკრულებით, რომელიც ეხება ტრანზიტს; ან, როცა ენერგიის ტრანსპორტირების საშუალებების უწყვეტი მუშაობა სათანადო ჩარევის გარეშე წარმოადგენს გაუმართლებელ საფრთხეს საზოგადოების უსაფრთხოების, კულტურული მემკვიდრეობის, ჯანმრთელობის ან გარემოსთვის; ასეთი ჩარევა მისაღებია, თუკი ის არ წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობისადმი თვითნებურ და გაუმართლებელ შერჩევით მიდგომას ან მის ფარულ შეზღუდვა-დაბრკოლებას. მხარეების ან ერთ-ერთი მხარის კონტროლისა თუ იურისდიქციის ქვეშ მყოფი ერთი ან მეტი იურიდიული პირის მონაწილეობით ნებისმიერი სახის დავის შემთხვევაში მხარეს, რომლის ტერიტორიაზეც ხორციელდება ენერგოპროდუქტების ტრანზიტი, შესაბამისი*

[603] ძალაშია 2016 წლის 1 ივლისიდან.

კონტრაქტის საფუძველზე დავების მოგვარების პროცედურის ან წინამდებარე შეთანხმების XVIII დანართით გათვალისწინებული საგანგებო სიტუაციის პროცედურის ან მეოთხე კარის მე-14 თავით გათვალისწინებული პროცედურის დასრულებამდე ეკრძალება ენერგოპროდუქტების ტრანზიტის პროცესის შეწყვეტა ან მისი მოცულობის შემცირება, ასევე, მისი კონტროლისა თუ იურისდიქციის ქვეშ მყოფი ნებისმიერი იურიდიული პირის, მათ შორის სახელმწიფო სავაჭრო საწარმოსათვის, ამგვარი ტრანზიტის შეწყვეტის ან მისი მოცულობის შემცირების ნების დართვა, გარდა პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. მხარე არ არის პასუხისმგებელი წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ტრანზიტის შეწყვეტასა თუ მოცულობის შემცირებაზე, თუ ამ მხარეს არ შეუძლია ენერგოპროდუქტების მიწოდება და მისი ტრანზიტის განხორციელება მესამე მხარის ან მესამე მხარის კონტროლისა თუ იურისდიქციის ქვეშ მყოფი იურიდიული პირის მოქმედებების შედეგად და ა.შ[604].

საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ კიოტოს (1973 წელი) თანახმად, ტრანზიტის ოპერაცია გამოიყენება საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის ტრანსპორტირებისათვის:

- ა) შემოტანის პუნქტიდან გატანის პუნქტამდე;
- შემოტანის პუნქტიდან შიდა საბაჟო ორგანომდე;
- შიდა საბაჟო ორგანოდან გატანის პუნქტამდე;
- ერთი შიდა საბაჟო ორგანოდან - მეორე შიდა საბაჟო ორგანომდე.

აღსანიშნავია, რომ კიოტოს კონვენციიის თანახმად, ტრანზიტის დეკლარაცია წარედგინება შემოსავლების საბაჟო ორგანოს (რაც საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით არ არის გამოკვეთილი); ამასთან ტრანზიტის რეჟიმში მოქცევა დასაშვებია მხოლოდ

[604] სრული სახით იხ. „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ საქართველოსა და მეორეს მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის", https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0

გამგზავნი (შემოსვლის) საბაჟო ორგანოს უფროსის წერილობითი ნებართვით[605].

ტრანზიტის სპეციალურ ოპერაციას არეგულირებს ძირითადად **საბაჟო კოდექსის თავი XIX-ე („ტრანზიტის პროცედურა", მ. 118-121) და ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ტრანზიტის პროცედურის შესახებ", (დანართი №7).** საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის „ტრანზიტის პროცედურის შესახებ" განსაზღვრულ შემთხვევებში, საქართველოს საქონელი უნდა მოექცეს ტრანზიტის პროცედურაში.ტრანზიტის პროცედურა საშუალებას იძლევა უცხოური საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გავლით გადაადგილდეს სატარიფო ღონისძიებების განხორციელების გარეშე, საბაჟო კონტროლის ქვეშ.

ინსტრუქციის **„ტრანზიტის პროცედურის შესახებ"(დანართი №7), 1-ლი მუხლის** თანახმად, **„უცხოური საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ტრანზიტის პროცედურის შესაბამისად გადაადგილდება:**

- ა) უცხო ქვეყნებს შორის (ან უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე) საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გავლით, გამგზავნი საბაჟო გამშვები პუნქტიდან დანიშნულების საბაჟო გამშვებ პუნქტამდე;
- ბ) გამგზავნი საბაჟო ორგანოდან/ერთი საბაჟო კონტროლის ზონიდან/საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული სხვა ადგილიდან – დანიშნულების საბაჟო ორგანომდე/სხვა საბაჟო კონტროლის ზონამდე/საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ სხვა ადგილამდე (გარდა ამ პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა).

---

[605] სრულად იხ. კიოტოს 1973 წლის კონვენცია „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ", საქართველოს აღნიშნულ კონვენციას შეუერთდა 2018 წლის 20 ივლისს, საქართველოს პარლამენტის დადგენილებით.https://matsne.gov.ge/ka/document/view/4270130?publication=0; ასევე იხ. ურიდია გონერ, არახამია მერაბ, რუხაია ფრიდონ, საბაჟო რეჟიმები, თბილისი, 2005.

ტრანზიტის პროცედურაში შეიძლება მოექცეს როგორც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი, ასევე ნებისმიერ პროცედურაში (დროებითი შემოტანის, ექსპორტის, შიდა გადამუშავების და გარე გადამუშავების გარდა) მოქცეული უცხოური საქონელი, თუ წარდგენილია კანონმდებლობით გათალისწინებული დოკუმენტები, რომლის შესახებაც მოგვიანებით ვისაუბრებთ.

აქვე შენიშვნის სახით: გამგზავნი საბაჟო ორგანო (საბაჟო გამშვები პუნქტი ან გაფორმების ორგანო) არის საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ადგილი, საიდანაც იწყება ტრანზიტო გადაზიდვა, ბოლო დანიშნულების საბაჟო ორგანო (საბაჟო გამშვები პუნქტი ან გაფორმების ორგანო) - საქართველოს საბაჟო ტერიტორიის ადგილი, სადაც მთავრდება ტრანზიტო გადაზიდვა.

ტრანზიტის პროცედურა საშუალებას იძლევა, უცხოური საქონელი გადაადგილდეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე მდებარე ორ პუნქტს შორის. ტრანზიტის პროცედურის გამოყენება არ იწვევს:

- ა) იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულების წარმოშობას;
- გ) საქონლის მიმართ ვაჭრობაში დამცავი ღონისძიების გამოყენებას, თუ ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალული არ არის[606].

საბაჟო კოდექსის ზემოთ აღნიშნული 118-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გადაადგილება შეიძლება განხორციელდეს:

- ა) ტრანზიტის პროცედურის შესაბამისად;
- გ) „TIR კარნეტის ფარგლებში საქონლის საერთაშორისო გადაზიდვის შესახებ“ ჟენევის 1975 წლის 14 ნოემბრის საბაჟო კონვენციის (TIR კონვენცია) შესაბამისად, თუ გადაზიდვა იწყება ან სრულდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ;

[606] საბაჟო კოდექსი, მ.118.ნ.1.

TIR-კარნეტის შესახებ ვრცელი კომენტარია შემოთავაზებული საბაჟო სამართლის პირველ ნაწილში, ამ შემთხვევაში აღვნიშნავ-დით, რომ: *„აბრევიატურა TIR (Transports International Routiers) ნიშნავს - საერთაშორისო საგზაო გადაზიდვებს"... 1993 წლის 2 დეკემბერს საქართველომ მიმართა გაეროს TIR -კარნეტის კონვენციასთან მიერთების შესახებ, ხოლო 1994 წლის 24 სექტემბრიდან საქართველო მიეერთდა ამ კონვენციას (რატიფიცირების გარეშე). ეს კონვენცია აწესრიგებს ევრო ქვეყნებს შორის საერთაშორისო საგზაო გადაზიდვებს, როგორც საბაჟო, ასევე ტექნიკური პროცედურების ასპექტებით. კერძოდ, კონვენციის დებულებები აიოლებენ და ამარტივებენ საბაჟო გაფორმების პრიცედურებს მონაწილე ქვეყნებში საავტომობილო ტრანსპორტით საქონლის გადაზიდვების დროს. ეს ეხება, როგორც საქონლის დათვალიერებას, დოკუმენტების შემოწმებას, ასევე, განსაკუთრებით საბაჟო გადასახდელების გადახდის საგარანტიო უზრუნველყოფას."*[607]

„1975 წლის ნოემბერში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის ეგიდით ჩატარებულ შემაჯამებელ კონფერენციაზე წარდგენილ იქნა ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების შესახებ 1975 წლის კონვენცია, რომელიც ძალაში შევიდა 1978 წელს. ამ პერიოდიდან დაწყებული, კონვენციებიდან ოგი ყველაზე უფრო მოქნილი საერთაშორისო სატრანსპორტო კონვენციაა და, ფაქტიურად, ტრანზიტის ერთადერთი უნივერსალური სისტემაა.

TIR საბაჟო სატრანზიტო სისტემის ჩამოყალიბების სამუშაოები ევროპის ეკონომიკური კომისიის ეგიდით მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დაიწყო. TIR პირველი შეთანხმება ხელმოწერილ იქნა რამდენიმე ევროპული სახელმწიფოს მიერ 1949 წელს. ამ შეთანხმების წარმატებამ წინასწარ განსაზღვრა ევროპის ეკონომიკური კომისიის სატრანსპორტო კომიტეტის მიერ TIR კონვენციის მიღება 1953 წელს. 1960 წელს კონვენცია ძალაში შევიდა. 1975 წლის TIR კონვენციამ ძალაში შესვლის შემდეგ შეცვალა 1949 წლის TIR კონვენცია, მიუხედავად ამისა, ძველი ვერსიის კონვენცია კვლავ რჩება ძალაში, იმის გამო, რომ ზოგიერთი 1949 წლის TIR კონვენციის მონაწილე მხარე დღემდე არ არის მიერთებული 1975 წლის TIR კონვენციას. TIR სისტემა შემუშავებულ იქნა იმ სიძნელეების შემცირებისათვის, რომლებიც ხვდება გადამზიდავებს. ამასთან, საბაჟო ორგანოებს განკარგულებაში გადაეცა კონტროლის საერთაშორისო სისტემა, რომელსაც

---

[607] ურიდია გონერ, რუხაია ფრიდონ, არახამია მერაბ, საბაჟო გაფორმება TIR და ATA (CPD) კარნეტის პრინციპებით, თბილისი, 2004, 8-9.

შეუძლია შეცვალოს ტრადიციული ნაციონალური პროცედურები, იმავდროულად, ტრანზიტული სახელმწიფოები დაიცვას ტვირთების არალეგალური შემოსვლისაგან"[608].

TIR-კარნეტის სისტემა შედგება ოთხი ძირითადი სტრუქტურული ერთეულისაგან:

1. *საბაჟო გადასახდელებზე საერთაშორისო გარანტიები;*
2. *TIR-კარნეტის შესაბამისი წიგნაკი (კარნეტი);*
3. *საბაჟო კონტროლის პრინციპების ურთიერთცნობა;*
4. *სატრანსპორტო საშუალებების (კონტეინერების) სტანდარტულობა და უსაფრთხოება.*

„TIR წიგნაკი მხოლოდ ერთ გადაზიდვაზეა მოქმედი. ამასთან შესაძლებელია, რომ TIR-ის წიგნაკის სატვირთო მანიფესტში დაფიქსირებული და კონტეინერებში რეალურად არსებულ საქონელს შორის იყოს უმნიშვნელო განსხვავება, რაც არ ითვლება TIR-კარნეტის პრინციპების დარღვევად. ამდენად ეს მომენტი საბაჟო ორგანოს მხრიდან არ უნდა იქცეს საბაჟო გაფორმების შეფერხების საფუძვლად (ან TIR-ის ოპერაციების დარღვევების საფუძვლად)"[609].

რა პრინციპებით ხდება სატრანსპორტო საშუალებების დაშვება TIR რეჟიმში?

ყოველი სატარანსპორტო საშუალება, რომელიც აწარმოებს საერთაშორისო ტვირთზიდვას, საბაჟო ორგანოების მიერ დაშვებულ უნდა იქნეს ამ სახის გადაზიდვისათვის. ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვებზე საბაჟო უზრუნველყოფით (ბეჭედი და ლუქები) დაიშვებიან მხოლოდ ისეთი სატრანსპორტო საშუალებანი, რომელთა სატვირთო განყოფილება იმგვარად არის კონსტრუირებული, რომ:

- *შეუძლებელია სატრანსპორტო საშუალების დაბეჭდილი ნაწილიდან ტვირთის ამოღება ან ჩატვირთვა საბაჟო ბეჭდის ან ლუქის გატეხვის ან დაზიანების შესამჩნევი კვალის დატოვების გარეშე;*
- *საბაჟო ბეჭედი და ლუქები იდება მარტივად და საიმედოდ;*
- *სატვირთო განყოფილებაში არ არის ტვირთის შესანახი ფარული ადგილი;*
- *ტვირთის დასაწყობი ნებისმიერი ადგილი მისაწვდომია საბაჟო კონტროლისათვის.*

---

[608] TIR სისტემის შესახებ, http://girca.org/TIR_სისტემის_შესახებ/m125 .

[609] ურიდია, რუხაია, არახამია, დასახ. ნაშრ. 26.

როგორი ვალდებულებები ეკისრება გადამზიდველს TIR-კარნეტით სარგებლობისას?

TIR -კარნეტის გამოყენებით გადამზიდველი პასუხისმგებლობას იღებს წარუდგინოს ტვირთი საბაჟო ორგანოს დანიშნულების პუნქტში, ან გადაიბადოს ტვირთთან დაკავშირებული ყველა გაჟი, გადასახადი, პენია და ჯარიმა, თუ კარნეტი სწორად არ არის დახურული. მიუხედავად იმისა, რომ TIR-კარნეტების დიდი უმრავლესობა ყოველგვარი პრობლემის გარეშე გამოიყენება, მაინც არსებობს ფინანსური რისკი მფლობელისთვის და ამიტომ TIR ოპერაციებში მონაწილე პირებმა აუცილებელია იცოდნენ რამდენად მნიშვნელოვანია პროცედურების სწორად შესრულება და ტვირთზიდვების ზუსტად აღრიცხვის წარმოება.

ინსტრუქციის „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“ მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, TIR წიგნაკით გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შემთხვევაში გამგზავნი საბაჟო ორგანო ან სისტემაში დაშვებული პირი უზრუნველყოფს TIR წიგნაკის შესახებ მონაცემების ელექტრონულად შეტანას მოწმობის ელექტრონულ ფორმატში. წიგნაკის შესაბამის (თეთრ და მწვანე) ფურცლებზე და ყუაზე აღინიშნება „eCustoms"-ის მიერ მინიჭებული „D" ნომერი. საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი, მონაცემთა დადატურების მიზნით, აწერს ხელს, მიუთითებს შევსების თარიღს და სვამს პირადნომრიან ბეჭედს ან საბაჟო დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის/ქვედანაყოფის მრგვალ ბეჭედს.

TIR წიგნაკის მოსახევი (მწვანე) ფურცლის უკანა გვერდი გამოიყენება სხვადასხვა მაკონტროლებელი ორგანოების შენიშვნების, აღნიშვნებისა და დამღებისათვის, ხოლო საქონლის დაბრუნებისას საბაჟო ორგანოს მიერ დამღის – „დაბრუნებულია საქონელი" დასმისთვის(პ.2.).

TIR წიგნაკს კონტროლიდან ხსნის დანიშნულების საბაჟო ორგანო, გარდა მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. კონტროლიდან მოხსნის მიზნით, TIR წიგნაკის 27-ე გრაფაში მიეთითება „eCustoms"-ის მიერ მინიჭებული „R" ნომერი; 28-ე გრაფაში დაესმება საბაჟო ორგანოს დამღა „მოხსნილია კონტრო-

ლიდან“, ხოლო დამღაში შესაბამის ადგილზე მიეთითება კონტროლიდან მოხსნის თარიღი, საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის ხელმოწერა და პირადნომრიანი ბეჭედი ან საბაჟო დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის/ქვედანაყოფის მრგვალი ბეჭედი. ამასთან, მოწმობის ელექტრონულ ფორმატში „I“ გრაფის განყოფილებაში „შენიშვნა“ საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომელი უთითებს ტრანზიტული ტვირთის გადამზიდავი სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის/მძღოლის მიერ წარდგენილი, ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი დოკუმენტის მონაცემებს:

- *ა) გზათსარგებლობის საფასურის საბანკო დაწესებულებაში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (რომლის შესახებ ელექტრონული ინფორმაციაც წარდგენილია შემოსავლების სამსახურში);*
- *ბ) გზათსარგებლობის საფასურის ბარათი;*
- *გ) საქართველოს საბმელეთო სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთის საბაჟო გამშვებ პუნქტთან განთავსებულ M2, M3, N2 და N3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების (ცალკე, ნახევარმისაბმელით ან მისაბმელით) ავტოსადგომში, „საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ა(ა)იპ „სავალდებულო დაზღვევის ცენტრის“ პუნქტში ან საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ ავტოგასამართ სადგურში/კომპლექსში გზათსარგებლობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (რომლის შესახებ ელექტრონული ინფორმაციაც წარდგენილია შემოსავლების სამსახურში).*

განსაკუთრებული საბაჟო ფორმალობები წინასწარ დეკლარირებული და TIR-წიგნაკით გადაადგილებული საქონლის გაშვებისას. *იმ შემთხვევაში, როდესაც წინასწარ დეკლარირებული და TIR წიგნაკით გადაადგილებული საქონლის (მათ შორის, ოქროს სიის მონაწილის კუთვნილი) გაშვება ხორციელდება საბაჟო გამშვები პუნქტიდან, საბაჟო გამშვები პუნქტი უზრუნველყოფს TIR წიგნაკის მონაცემების შეტანას მოწმობის ელექტრონულ ფორმატში და საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მიეთითება ინსტრუქციის „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ მე-18 მუხლით გათვალისწინებული მონაცემები. კერძოდ, TIR წიგნაკის პირველი (თეთრი) და მეორე (მწვანე) მოსახვი*

ფურცლების მე-18 გრაფაში – საბაჟო გამშვები პუნქტის დასახელება; მე-19 გრაფაში – ადრე დადებული იდენტიფიკაციის საშუალებების მთლიანობის დადასტურების შემთხვევაში, კვადრატში აღინიშნება სიმბოლო „X"; მე-20 გრაფაში – საბაჟო გამშვები პუნქტიდან საქონლის გაშვების თარიღი; 21-ე გრაფის პირველ ნაწილში – საბაჟო გამშვები პუნქტის კოდი ამ წესით დამტკიცებული „დეკლარირების კლასიფიკატორის" (დანართი №19) (შემდგომში – კლასიფიკატორი) მე-2 ნაწილის შესაბამისად; 21-ე გრაფის მეორე ნაწილში – მონაცემთა დამუშავების ელექტრონულ საშუალების - „eCustoms"-ის მიერ მინიჭებული „D" ნომერი; 22-ე გრაფაში – გაფორმების საბაჟო ორგანოს კოდი; 23-ე გრაფაში დაესმება დამღა –„აყვანილია კონტროლზე", ხოლო დამღაში შესაბამის ადგილზე მიეთითება საბაჟო გამშვებ პუნქტში საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენის (კონტროლზე აყვანის) თარიღი, უფლებამოსილი თანამშრომლის ხელმოწერა და პირადნომრიანი ბეჭედი და ა.შ[610].

იმ შემთხვევაში, როდესაც TIR წიგნაკით გადაადგილებული საქონლის გაშვება არ ხორციელდება საბაჟო გამშვები პუნქტიდან, გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების TIR წიგნაკის შესახებ მონაცემები კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიტანება ელექტრონულ ბაზაში და ა.შ[611].

• გ) „საქონლის დროებითი დაშვების ATA კარნეტის შესახებ" ბრიუსელის 1961 წლის 6 დეკემბრის საბაჟო კონვენციის (ATA კონვენცია) და „დროებითი დაშვების შესახებ" სტამბოლის 1990 წლის 26 ივნისის კონვენციის შესაბამისად.

ATA-კარნეტი გამოიყენება საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო პროცედურის პირობებში (აგრეთვე ტრანზიტის დროსაც). „ATA-კარნეტი, ანუ დროებითი შემოტანის დოკუმენტი წარმოადგენს ისეთ საერთაშორისო დოკუმენტს, რომელიც გათანაბრებულია სატვირთო-საბაჟო დეკლარაციასთან. ეს იმას ნიშნავს, რომ ATA-კარნეტის წარმოდგენის დროს საბაჟო საბაჟო ორგანოს უფლება არ აქვს მოითხოვოს სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია[612].

---

[610] დაწვრ. იხ. ინსტრუქციის „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ," მ.18.

[611] ვრცლად იხ. ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021.

[612] ურიდია გონერ, რუხაია ფრიდონ, არახამია მერაბ, საბაჟო გაფორმება TIR და ATA (CPD) კარნეტის პრინციპებით, თბილისი, 2004, 34

ATA-კარნეტი გამოიყენება საქონლის დროებითი შემოტანის დროს, რაც შეეხება სატრანსპორტო საშუალების დროებით შემოტანას - გამოიყენება CPD-კარნეტი (აბრევიატურა CPD (Carnet de passages en douane), ფრანგ. ნიშნავს- საზღვრის გავლის წიგნაკს).

ATA-კარნეტისა და CPD-კარნეტის გამოყენების პრინციპებს შორის მთელი რიგი განსხვავებებია.

ATA-კარნეტს ნაციონალური სავაჭრო-სამრეწველო პალატა გასცემს, რომელიც საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო პალატების ბიუროსთანაა დაკავშირებული. „ნაციონალური სავაჭრო-სამრეწველო პალატა იმ შემთხვევაში გასცემს რეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე ATA-კარნეტს, თუ პირს საქონელი დროებით გააქვს ATA-კარნეტის წევრ ქვეყნებში (ან ტრანზიტით გადაადგილებს საქონელს)[613].

ინსტრუქციის „საბაჟო ზედამხდეელობის შესახებ“ მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, „საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ“ სტამბოლის 1990 წლის 26 ივნისის კონვენციის ან „საქონლის დროებითი შემოტანისათვის ATA წიგნაკის შესახებ“ ბრიუსელის 1961 წლის 6 დეკემბრის საბაჟო კონვენციის (ATA კონვენცია) შესაბამისად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის ტრანზიტის ან იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან სრულად გათავისუფლებით უცხოური საქონლის დროებით შემოტანის ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ამ საქონლის რეექსპორტის განხორციელების მიზნით ATA წიგნაკის წარდგენის შემთხვევაში საბაჟო ორგანო ან სისტემაში დაშვებული პირი უზრუნველყოფს ATA წიგნაკის შესახებ მონაცემების ელექტრონულად შეტანას მოწმობის ელექტრონულ ფორმატში (გარდა ფიზიკური პირის მიერ ATA წიგნაკის გამოყენებით საქონლის საქართველოს საბაჟო საზღვარზე ბარგით ან/და ხელბარგით გადაადგილებისა, რა დროსაც ATA წიგნაკის შესახებ მონაცემები ელექტრონულად აისახება ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციაში).

---

[613]ურიდია გონერ, რუხაია ფრიდონ, არახამია მერაბ, საბაჟო გაფორმება TIR და ATA (CPD) კარნეტის პრინციპებით, თბილისი, 2004. 3.

ამავე-18 მუხლის პირველ პუნქტში საუბარია მოწმობისათვის „eCustoms"-ის მიერ მინიჭებული „D" ნომერი მითითების შემთხვევებზე.

ATA წიგნაკის გამოყენებით საქონლის დროებით შემოტანის წინასწარ განსაზღვრული ვადის გასაგრძელებლად საბაჟო ორგანოსათვის „საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ" სტამბოლის 1990 წლის 26 ივნისის კონვენციის „A დანართის" მე-14 მუხლის შესაბამისად გაცემული „შემცვლელი დოკუმენტის" (ახალი ATA წიგნაკის) წარმოდგენის შემთხვევაში, მისი დადასტურების მიზნით საბაჟო ორგანო იღებს გადაწყვეტილებას საქონლის დროებით შემოტანის წინასწარ განსაზღვრული ვადის გაგრძელების მიზანშეწონილობის თაობაზე და **თანხმობის შემთხვევაში:**

- ა) *„შეცვლილი დოკუმენტის" (თავდაპირველი ATA წიგნაკის) „რეექსპორტის" (თეთრი ფერის) ვაუჩერის (მოსახევი ფურცლის) „H.f" გრაფაში უთითებს შემცვლელი დოკუმენტის (ახალი ATA წიგნაკის) ნომერსა და გაცემის თარიღს, ამ ვაუჩერის „H" გრაფას ადასტურებს უფლებამოსილი თანამშრომლის ხელმოწერითა და პირადნომრიანი ბეჭდით/დამღით და ახორციელებს ამ მონაცემების ელექტრონულად შეტანას მოწმობის ელექტრონულ ფორმატში, მის კონტროლიდან მოხსნასა და ახალი მოწმობის გამოწერას შემცვლელი დოკუმენტის (ახალი ATA წიგნაკის) მონაცემების მიხედვით. ამ შემთხვევაში, „შეცვლილი დოკუმენტით" (თავდაპირველი ATA წიგნაკით) განხორციელებული საბაჟო პროცედურა ითვლება დასრულებულად;*
- ბ) *„შემცვლელი დოკუმენტის" (ახალი ATA წიგნაკის) „იმპორტის" (თეთრი ფერის) ვაუჩერის (მოსახევი ფურცლის) „H.b" გრაფაში უთითებს ინფორმაციას გაგრძელებული ვადის შესახებ, ხოლო „H.d" გრაფაში – „შეცვლილი დოკუმენტის" (თავდაპირველი ATA წიგნაკის) ნომერს, მის გაცემის თარიღსა და „შეცვლილი დოკუმენტით" განსაზღვრული თავდაპირველი ვადის შესახებ.*

„საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ" სტამბოლის 1990 წლის 26 ივნისის კონვენციის ან „საქონლის დროებითი შემოტანისათვის ATA წიგნაკის შესახებ" ბრიუსელის 1961 წლის 6 დეკემბრის საბაჟო კონვენციის (ATA კონვენცია) *შესაბამისად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქართველოს საქონლის დროებით დაბრუნების პირობით გატანისა (ექსპორტის პროცედურის გამოყენების) და ამ საქონლის*

უკან დაბრუნების მიზნით ATA წიგნაკის წარდგენის შემთხვევაში, ATA წიგნაკის შევსება და მის შესახებ მონაცემების ელექტრონულად შეტანა საბაჟო დეკლარაციაში ხორციელდება ფინანსთა მინისტრის ბრძანებით (#25)7 დამტკიცებული „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რექსპორტში დეკლარირების და გაფორმების შესახებ" ინსტრუქციისა (დანართი №8) და „ექსპორტის პროცედურის შესახებ" ინსტრუქციის (დანართი №15) შესაბამისად.

ბუნებრივია ATA კარნეტის სისტემის დანერგვამ საქართველო უფრო მიმზიდველი უნდა გაბადოს, როგორც სატრანზიტო ქვეყანა და უთუოდ შეეწყობა ხელი სატრანზიტო მოცულობის გაზრდას, ასევე, მაქსიმალურად დაცულ უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკური ინტერესი.

საქართველოში ATA კარნეტის სისტემა ეფექტურად შეიძლება იქნეს გამოყენებული საქონლისთვის, რომელიც დროებით არის შემოტანილი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ზემოთ აღნიშნული კონვენციების ფარგლებში, ეს იქნება საერთაშორისო გამოფენებზე საპრეზენტაციოდ საქონლის წარდგენა, ასევე სხვადასხვა ტექნიკა-დანადგარების, ნავთობპროექტების ან სხვა პროექტების ეფექტურად გასაბორციელებლად. აღნიშნული ინსტიტუტი, რომელიც მსოფლიოშია აღიარებული, მიმზიდველს გახდის გარემოს საქართველოს საინვესტიციო-საგამოფენო კლიმატის ჩამოსაყალიბებლად, კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საქართველოს საერთაშორისო ინტეგრაციას.

ზემოთ აღნიშნული „სტამბულის კონვენცია "მიერთებულ მხარეს უფლებას აძლევს ATA კარნეტი გამოიყენოს დროებით შემოტანილი საქონლისათვის დროებითი შემოტანის სხვა საერთაშორისო კონვენციის ფარგლებში ან საქონლის დროებითი შეტანისათვის ნაციონალური კანონმდებლობისა და წესების შესაბამისად, ასევე, ქვეყნის ტერიტორიაზე ტრანზიტით გამავალი ტვირთებისათვის. კონვენცია განსაზღვრავს დროებითი შეტანის საბაჟო პროცედურების გამარტივების მინიმალურ პირობებს და არ ეწინააღმდეგება სხვა ისეთი გამარტივებული პროცედურების გამოყენებას, რასაც კონვენციას მიერთებული ქვეყანა დაუშვებს ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

ამავე დროს, სტამბულის კონვენცია ნაციონალურ გარანტ ასოციაციებს ავალდებულებს სავაჭრო-სამრეწველო პალატების სახით, გააკონტროლონ საქონლის დროებითი შეტანის პირობები და აუნაზღაურონ საბაჟოს გადახდას დაკვეთდებარებული ნებისმიერი ის თანხები, რომლებიც დაკავშირებულია დროებითი შეტანის ან ტრანზიტის პირობების დარღვევასთან. ამასთანავე,

ტრანზიტის კონვენცია არ ეწინააღმდეგება მიერთებული ქვეყნის გაერთიანებას საბაჟო თუ ეკონომიკურ კავშირებში და არ მოითხოვს ასეთი კავშირების არსებობის შემთხვევაში ქვეყნის კანონმდებლობაში რაიმე ცვლილებების და დამატებების შეტანას.

ATA კარნეტის გამოყენება ნაკლებ ადმინისტრაციულ სამუშაოს გულისხმობს, რაც თავისთავად გულისხმობს ფინანსური სახსრების დაზოგვას ბიუჯეტის სასარგებლოდ, ქვეყნის საბაჟოების უსაფრთხოების გარანტორია, რამეთუ იმპორტის საბაჟო გადასახდელების საჭიროების დროებითი შემოტანისათვის გარანტირებულია გარანტი ასოციაციების მიერ, რომელიც არის IBCC/ATA საგარანტიო ჯაჭვის წევრი. ასეთი გარანტია ავტომატურია და არ საჭიროებს შემდგომ ადმინისტრაციულ შემოწმებას საბაჟოს მიერ.

ATA კარნეტით ტვირთების ტრანზიტული გატარება გათვალისწინებული სტატიების კონვენციით გარანტიაა ამ ტვირთების გამარტივებული ფორმალობებით საქართველოს საბაჟო საზღვარზე გატარებისა და უზრუნველყოფილია ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვა.

და ბოლოს რა მიზანია აქვს ATA კარნეტის სისტემას?

მისი მიზანი უპირველესად საჭიროებითი შემოტანის პროცედურების გამარტივებაა, კერძოდ: ქვეყნის ტერიტორიაზე საჭიროების დროებითი შეტანის დროს საბაჟო დეკლარაციების გაფორმება და ნებისმიერი საბაჟო გადასახადების ამოღების უზრუნველყოფა, იმ შემთხვევისათვის, თუკი საქონელი, რომელიც დროებით შემოდის ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე კანონით გათვალისწინებულ ვადებში არ დატოვებს მას; ATA კარნეტის სისტემა პრაქტიკულ უპირატესობას ანიჭებს საბაჟო წარმომადგენლებს და მეწარმეებს, ცვლის რა ადგილობრივ საბაჟო დეკლარაციას, არ ავალდებულებს პირებს ყველა საბაჟოზე საბაჟო დოკუმენტის გაფორმების აუცილებლობაზე და ა.შ.

ამ საკითხებზე საუბარს განვაგრძობთ დროებითი შემოტანის და ტრანზიტის შესახებ პარაგრაფებში.

• დ) თუ გადაზიდვა, მსოფლიო საფოსტო კავშირის შესაბამისი აქტების მიხედვით, არის საფოსტო გადაზიდვა[614].

მსოფლიო საფოსტო კონვენციის მიხედვით „ტრანზიტის თავისუფლების პირობები მოყვანილია წესდების პირველ მუხლში. ამ პრინციპის მიხედვით, თითოეული საფოსტო ადმინისტრაცია ვალდებულია სხვა ადმინისტრაციის მიერ ღია ტრანზიტით გადმოგზავნილი დაბურული

[614] საბაჟო კოდექსი, მ.118.ნ.3.

დეპეშები და წერილობითი კორესპონდენციის გზავნილებები ყოველთვის გაგზავნოს რაც შეიძლება ჩქარი გზებით და ისეთივე საიმედო საშუალებებით, რომელთაც იყენებს საკუთარი გზავნილებების გასაგზავნად".

სახმელეთო ან საზღვაო გზებით გაგზავნილი საფოსტო ამანათების ტრანზიტის თავისუფლება შემოიფარგლება ამ სამსახურში მონაწილე ქვეყნების ტერიტორიით. ავიაამანათების ტრანზიტის თავისუფლება გარანტირებულია კავშირის მთელ ტერიტორიაზე, მაგრამ წევრი-ქვეყნები, რომელთაც არ მოაწერეს ხელი ხელშეკრულებას საფოსტო ამანათების შესახებ, არ არიან ვალდებულნი მიიღონ მონაწილეობა ავიაამანათების სახმელეთო გზით გაგზავნაში. თუ რომელიმე წევრი-ქვეყანა არ იცავს ტრანზიტის თავისუფლების პირობებს, სხვა წევრ-ქვეყნებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ამ ქვეყანასთან საფოსტო კავშირი. სხვადასხვა საერთაშორისო საფოსტო მომსახურების ტარიფები დგინდება კონვენციასა და დადგენილებებში. ტარიფების დადგენა პრინციპში უნდა განხორციელდეს წარმოდგენილი მომსახურების შესაბამისი ფასის საფუძველზე.

გამოყენებული ტარიფები, აქტებში ორიენტირების მიზნით მოყვანილი ტარიფების ჩათვლით, უნდა იყოს შიდა რეჟიმში გამოყენებული იმავე მახასიათებლების მქონე (კატეგორია, რაოდენობა, დამუშავების ვადები და სხვა.) გზავნილების ტარიფებთან მიახლოებული.

საფოსტო ადმინისტრაციები უფლებამოსილნი არიან ამაღლონ კონვენციასა და ხელშეკრულებებში მოყვანილი ყველა ტარიფები, იმ ტარიფების ჩათვლით, რომლებიც არაა მოყვანილი როგორც საორიენტაციო:

თუ ტარიფები, რომელთაც ისინი იყენებენ შიდა რეჟიმში იმავე სამსახურისათვის უფრო მაღალია, ვიდრე დადგენილი; თუკი ეს აუცილებელია, საექსპლუატაციო ხარჯების დასაფარად, ან სხვა მიზნებით.

აკრძალულია კლიენტებისაგან სხვადასხვა საფოსტო ტარიფების ამოღება, გარდა კონვენციით და ხელშეკრულებებით გათვალისწინებულისა. გარდა კონვენციით და ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, თითოეული საფოსტო ადმინისტრაცია მის მიერ ამოღებულ ტარიფებს იტოვებს თავის სასარგებლოდ და ა.შ[615].

ინსტრუქციის „ტრანზიტის პროცედურის შესახებ" მე-2 მუხლის „ტრანზიტის დეკლარირება" თანახმად, საქართველოს საბაჟო კოდექსის 118-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს

---

[615] სრული სახით იხ. მსოფლიო საფოსტო კონვენცია, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1208332?publication=0

საბაჟო ტერიტორიაზე უცხოური საქონლის გადაადგილება შესაძლებელია განხორციელდეს:

- ა) ტრანზიტის პროცედურის შესაბამისად – ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტის გამოყენებით:
  - ა.ა) საქონლის საბაჟო დეკლარაცია, ინსტრუქციის ტრანზიტის პროცედურის შესახებ" მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში[616];
  - ა.ბ) რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობა (შემდგომში – ელექტრონული მოწმობა) – საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე სარკინიგზო ტრანსპორტით გადაადგილებული საქონლის შემთხვევაში;
  - ა.გ) სატრანსპორტო საშუალების თანმხლები დოკუმენტი – თავისი სვლით გადაადგილებული ცარიელი ავტოსატრანსპორტო საშუალების, მისაბმელის, ნახევრადმისაბმელის შემთხვევაში;
  - ა.დ) ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია – განსახილველი პირველი პუნქტის „ა.გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადასატანი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტით[617] განსაზღვრულ დაუბეგრავ რაოდენობასა და ღირებულებაზე მეტი საქონლის შემთხვევაში;
  - ა.ე) ავტოსატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობა – ამ ბრძანებით დამტკიცებული „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ" ინსტრუქციის (დანართი №3) მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ბ" და „ბ" ქვეუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში[618];

---

[616] რომლის შესახებაც ქვემოთ შემოგთავაზებთ ანალიზს.

[617] საუბარია იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლების შემთხვევებზე. დეტალურად იხ. ხარაზი ი; საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, მეორე ნაწილი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2020.

[618] დანართების შესახებ იხ. ინსტრუქციაში „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ".

ინსტრუქციის საბაჟო ზედამხედველობის შესახებ" მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „.ბ" და „ბ" ქვეპუნქტის მიხედვით: ავტოსატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობით (დანართი №3-02) ბორციელდება: ა.ბ) გაყიდვის ხელშეწყობის მიზნით საბაჟო საწყობიდან ან საქონლის დროებით შენახვის სხვა ადგილიდან დროებით (არაუმეტეს 48 საათისა) გატანის ან/და სხვა საბაჟო საწყობამდე ან დროებით შენახვის სხვა ადგილამდე გადაადგილების საბაჟო კონტროლი და აღრიცხვა, გარდა ამ ბრძანებით დამტკიცებული „საქონლის დროებით შენახვის შესახებ" ინსტრუქციის (დანართი №6) მე-2 მუხლის 5ª პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ბ) სეს ესნ-ის 8429 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო საწყობიდან ან საქონლის დროებით შენახვის სხვა ადგილიდან სხვა საბაჟო საწყობამდე ან დროებით შენახვის სხვა ადგილამდე გადაადგილების საბაჟო კონტროლი და აღრიცხვა[619].

- ა.ვ) საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობა (შემდგომში – მოწმობა) – ამ პუნქტის „ა.ა"–„ა.ე" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულის გარდა სხვა შემთხვევებში.

ბ) TIR კონვენციის შესაბამისად – თუ გადაზიდვა იწყება ან სრულდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ – TIR-წიგნაკის გამოყენებით;

გ) „საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ" სტამბოლის 1990 წლის 26 ივნისის კონვენციის ან „საქონლის დროებითი შემოტანისათვის ATA წიგნაკის შესახებ" ბრიუსელის 1961 წლის 6 დეკემბრის საბაჟო კონვენციის (ATA კონვენცია) შესაბამისად – თუ გადაზიდვა იწყება და სრულდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ – ATA წიგნაკის გამოყენებით.

ATA წიგნაკის შესახებ" ზემოთ გვქონდა საუბარი და ამ საკითხს ამ შემთხვევაში არ განვავრცობთ[620].

საქონელი, რომელიც გადაიზიდება ტრანზიტის პროცედურის შესაბამისად, უნდა დარჩეს უცვლელ მდგომარეობაში, გარდა ამ

---

[619] ინსტრუქცია „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ" (დანართი №3).

[620] იხ. ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021.

ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთით, ტრანსპორტირებით ან შენახვის ნორმალური პირობებისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი დანაკარგებით.

ტრანზიტის პროცედურაში საქონლის საბაჟო დეკლარაციის გამოყენებით ხორციელდება მხოლოდ:

- ა) საქართველოდან ტრანზიტით გასატანი საქონლის დეკლარირება, იმ შემთხვევაში, როცა საქონლის მიმართ წინმსწრები საბაჟო პროცედურა განხორციელდა საბაჟო დეკლარაციის გამოყენებით;
- ბ) მილსადენი და ელექტროგადამცემი ხაზებით ტრანზიტით გადაადგილებული საქონლის დეკლარირება;
- გ) საქართველოდან საზღვაო ტრანსპორტით გასატანი საქონლის ტრანზიტის დასრულება (გარდა კონტეინერებში და სხვა სატრანსპორტო საშუალებებში განთავსებული საქონლისა).

რაც შეეხება ინსტრუქციის „ტრანზიტის პროცედურის შესახებ“ მე-2 მუხლის ზემოთ მოცემული პირველი ნაწილის პირველი პუნქტის „ა.ბ“–„ა.ვ“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტებს, ამავე ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ითვლება საბაჟო დეკლარაციად.

სახმელეთო გზით შემოტანილი და საქართველოდან ტრანზიტით, საზღვაო ტრანსპორტით გასატანი საქონლის გადაადგილება ხორციელდება გამგზავნ საბაჟო გამშვებ პუნქტში გამოწერილი მოწმობით ან ელექტრონული მოწმობით, ხოლო საქონლის (გარდა კონტეინერებში და სხვა სატრანსპორტო საშუალებებში განთავსებული საქონლისა) ტრანზიტის პროცედურის დასრულების მიზნით, დანიშნულების საბაჟო ორგანოში დამატებით წარედგინება საქონლის საბაჟო დეკლარაცია.

საკომენტარი ინსტრუქციის ნოვაციური 5[1] პუნქტის თანახმად, „ფოთის/ბათუმის საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებულ საბაჟო საწყობში არსებული, ტრანზიტისათვის განკუთვნილი საყარი საქონლის (მათ შორის, ე.წ. „ბიგ-ბეგებში“ განთავსებული, წონით არანაკლებ 300 კგ-ისა), ფოლადის/პლასტიკის არმატურის ან ლითონის წნულების შეკვრის

(სიგრძით არანაკლებ 12 მ-ისა და წონით არანაკლებ 500 კგ-ისა), ლითონის რულონების (წონით არანაკლებ 500 კგ-ისა) ან ავზების (არანაკლებ 500 ლიტრი ტევადობისა), ლითონის ან პლასტმასის მილების, ალუმინის სხმულების (წონით არანაკლებ 500 კგ-ისა) და ლითონის ბრტყელი ნაგლინის (შეკვრით ან შეკვრის გარეშე, წონით არანაკლებ 500 კგ-ისა) საქართველოდან საზღვაო გზით გასატანად საბაჟო დეკლარაციის წარდგენა შესაძლებელია სატრანსპორტო საშუალებაში მათ ჩატვირთვამდეც, თუ დეკლარანტი უზრუნველყოფს საქონლის რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე სურვეირული კომპანიის აქტის წარდგენას".

საზღვაო გზით შემოტანილი და საქართველოდან სახმელეთო ტრანსპორტით გასატანი (რაც დასტურდება საქონლის თანმხლები ან/და სხვა დოკუმენტებით) საყარი საქონლის ტრანზიტის პროცედურაში დეკლარირება მოწმობის ან ელექტრონული მოწმობის გამოწერით შესაძლებელია საზღვაო სატრანსპორტო საშუალებიდან საქონლის ჩამოტვირთვამდეც.

საქართველოდან ტრანზიტის პროცედურით გასატან საქონელზე, რომელზეც წინმსწრები საბაჟო პროცედურა განხორციელდა საბაჟო დეკლარაციით, საქონლის საბაჟო დეკლარაცია წარედგინება გაფორმების იმ ორგანოში, სადაც განხორციელდა წინმსწრები საბაჟო პროცედურა და, საქონლის სარკინიგზო ტრანსპორტით გადაზიდვის შემთხვევაში, ამავე ორგანოს მიერ გაიცემა მოწმობა ან ელექტრონული მოწმობა.

მოწმობის, ელექტრონული მოწმობისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის შევსება და გაცემა, მოწმობაში ცვლილების შეტანა, საქონლის დანიშნულების ადგილზე წარდგენის დადასტურება, მოწმობის კონტროლიდან მოხსნა და TIR-წიგნაკის რეგისტრაცია ხორციელდება ამ ბრძანებით დამტკიცებული „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ" ინსტრუქციის (დანართი №3) შესაბამისად.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ATA წიგნაკის გამოყენებით საქონლის ტრანზიტის პროცედურაში დეკლარირების შემთხვევაში, საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი:

• ა) ამოწმებს ATA წიგნაკის „ტრანზიტის“ (ცისფერი) ვაუჩერის (მოსახევი ფურცლის) „A“ – „G“ გრაფებში მითითებულ ინფორმაციას და ადარებს მას „საქონლის საერთო ჩამონათვალში“ ასახულ მონაცემებს;

• ბ) ATA წიგნაკის „ტრანზიტის“ (ცისფერი) ვაუჩერის (მოსახევი ფურცლის) „H“ გრაფასა და ამ წიგნაკის ცისფერი ძირითადი გვერდის (ყუის) „ტრანზიტის“ განყოფილებას ავსებს, ადასტურებს და არეგისტრირებს ამ ბრძანებით დამტკიცებული „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“ ინსტრუქციით (დანართი №3) დადგენილი წესით;

• ATA წიგნაკიდან ხევს და ინახავს ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად შევსებულ, „ტრანზიტის“ (ცისფერ) ვაუჩერს.

ინსტრუქციის „ტრანზიტის პროცედურის შესახებ“ ზემოთ მითითებული პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ტრანზიტული გადაადგილებისას გამოიყენება შემდეგი ვადები:

• ა) თუ ამ პუნქტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ერთი საბაჟო კონტროლის ზონიდან მეორე საბაჟო კონტროლის ზონამდე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების მიტანის ვადა განისაზღვრება **100 კმ-ზე ერთი დღის გათვლით, მაგრამ არა უმეტეს 10 კალენდარული დღისა;**

• ბ) სარკინიგზო ტრანსპორტით საქონლის გადაზიდვის შემთხვევაში, გაფორმების ადგილამდე ან სხვა საბაჟო კონტროლის ზონამდე მიტანის ვადა, მიუხედავად გადაზიდვის მანძილისა, შეადგენს **10 კალენდარულ დღეს;**

• გ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი და სპეციალური ანგარიშ-ფაქტურით გადაადგილებული ნავთობპროდუქტების საბაჟო გამშვები პუნქტიდან გაფორმების ადგილამდე მიტანის ვადა შეადგენს **5 კალენდარულ დღეს;**

• დ) საბაჟო დეკლარაციის წარდგენით საბაჟო საწყობის პროცედურიდან ტრანზიტში დეკლარირებული საქონელი საბაჟო გამშვებ პუნქტს უნდა წარედგინოს საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციიდან **10 კალენდარული დღის ვადაში;**

• ე) საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საზღვაო ტრანსპორტით გასატანი საქონლის საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილ საზღვაო ნავსადგურში განსაზღვრულ ტერიტორიაზე (ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების შენახვისათვის განკუთვნილი ტერიტორიის გარდა) ან საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებულ საბაჟო საწყობში დროებით შენახვის შემთხვევაში, საკომენტარო მე-3 პუნქტის პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვადის დინება ჩერდება საქონლის დროებით შენახვის ვადით და განახლდება დროებით შენახვის დასრულებისთანავე;

• ვ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი, საქართველოში არარეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების (აგრეთვე ამ ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებული, კანონმდებლობით განსაზღვრულ დაუბეგრავ მინიმუმზე მეტი რაოდენობისა და ღირებულების საქონლის) გაფორმების ადგილამდე ან სხვა საბაჟო კონტროლის ზონამდე მიტანის ვადა (გარდა ამ პუნქტის „ზ“–„ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) განისაზღვრება 60 კალენდარული დღით, ხოლო სეს ესნ-ის 8429 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე – 30 კალენდარული დღით;

• ზ) სეს ესნ-ის 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ3-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელის და ნახევრადმისაბმელის საბაჟო საწყობში დროებით შენახვის შემთხვევაში, საქონლის გაფორმების ადგილზე მიტანის 60-დღიანი ვადა იზრდება დროებით შენახვის (ფაქტობრივი) ვადით;

სეს ესნ-ის სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული კოდების მიხედვით მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების სახეების შესახებ იხ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის ბრძანება

(№275 წლის) „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ დანართი #1 [621].

• თ) შემოსავლების სამსახურის მიერ, ამ პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე საბაჟო დეკლარაციის წარდგენის ვადის გაგრძელების შემთხვევაში (საბაჟო საწყობში დროებით დასაწყობების გარეშე), გაფორმების ადგილამდე ან არასაბაჟო ორგანომდე აღნიშნული სატრანსპორტო საშუალების მიტანის ვადა განისაზღვრება დეკლარაციის წარდგენის თარიღით;

• ი) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქის (მათ შორის, უცხო ქვეყნის მოქალაქის, რომელიც იმავდროულად საქართველოს მოქალაქეა) მიერ შემოტანილი, უცხოეთში რეგისტრირებული მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალების, მისი მისაბმელის ან ნახევრად მისაბმელის, ავტობუსის ან მოტოციკლეტის (რომლის ძრავას მუშა-მოცულობა 50 სმ3-ზე მეტია), აგრეთვე ამ ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებული, კანონმდებლობით განსაზღვრულ დაუბეგრავ მინიმუმზე მეტი რაოდენობისა და ღირებულების საქონლის გაფორმების ადგილამდე მიტანის ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანიდან მის გატანამდე ვადა შეადგენს **90 კალენდარულ დღეს;**

• კ) ავტოსატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის გამოყენებით, საბაჟო საწყობიდან ან დროებით შენახვის სხვა ადგილიდან დროებით გატანილი მექანიკური სატრანსპორტო საშუალების უკან დაბრუნების ან საბაჟო კონტროლის სხვა ზონამდე მიტანის ვადა განისაზღვრება **48 საათით;**

• ლ) ფოთის/ბათუმის საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებული საბაჟო საწყობის ან გაფორმების ეკონომიკური ზონა „ფოთის“/„ბათუმის“ დანიშნულებით გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების მიტანის ვადა შეადგენს 12 საათს, რომელიც აითვლება სპეციალური ელექტრონული კონტროლის საშუალებით რეგისტრაციის

---

[621] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3

მომენტიდან/მოწმობის რეგისტრაციის მომენტიდან და დასრულდება გამოცხადებისას საბაჟო საწყობის ან გაფორმების ეკონომიკური ზონის მიერ ელექტრონულად დადასტურებით, ამ ბრძანებით დამტკიცებული „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“ ინსტრუქციით (დანართი №3) განსაზღვრული წესით;

• მ) ფოთის/ბათუმის საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებული საბაჟო საწყობიდან ან გაფორმების ეკონომიკური ზონა „ფოთიდან“/„ბათუმიდან“ ფოთის/ბათუმის საზღვაო ნავსადგურის დანიშნულებით გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების მიტანის ვადა (გარდა ამ პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა) შეადგენს 12 საათს, რომელიც აითვლება საბაჟო საწყობიდან ან გაფორმების ეკონომიკური ზონიდან სატრანსპორტო საშუალების გაშვების ელექტრონულად დადასტურების მომენტიდან და დასრულდება ფოთის/ბათუმის საზღვაო ნავსადგურში გამოცხადების ელექტრონულად დადასტურებით;

• ნ) ფოთის/ბათუმის საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებული ერთი საბაჟო საწყობიდან იმავე რადიუსში განლაგებულ მეორე საბაჟო საწყობამდე გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების მიტანის ვადა შეადგენს 1 საათს, რომელიც აითვლება საბაჟო საწყობიდან სატრანსპორტო საშუალების გაშვების ელექტრონულად დადასტურების მომენტიდან და დასრულდება მეორე საბაჟო საწყობში გამოცხადების ელექტრონულად დადასტურებით;

• ო) საქართველოდან საზღვაო გზით გასატანი, საზღვაო სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვამდე საბაჟო დეკლარაციის წარდგენით ტრანზიტში დეკლარირებული საყარი საქონლის (მათ შორის, ე.წ. „ბიგ-ბეგებში“ განთავსებული, წონით არანაკლებ 300 კგ-ისა), ფოლადის/პლასტიკის არმატურის ან ლითონის წნულების შეკვრის (სიგრძით არანაკლებ 12 მ-ისა და წონით არანაკლებ 500 კგ-ისა), ლითონის რულონების (წონით არანაკლებ 500 კგ-ისა) ან ავზების (არანაკლებ 500 ლიტრი ტევადობისა), ლითონის ან პლასტმასის მილების, ალუმინის სხმულების (წონით არანაკლებ 500 კგ-ისა) და ლითონის

ბრტყელი ნაგლინის (შეკვრით ან შეკვრის გარეშე, წონით არანაკლებ 500 კგ-ისა) ფოთის/ბათუმის საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებული საბაჟო საწყობიდან (გარდა ნავსადგურის მომიჯნავედ განლაგებულისა) ფოთის/ბათუმის საზღვაო ნავსადგურში მიტანის ვადა შეადგენს **24 საათს**, რომელიც აითვლება სპეციალური ელექტრონული კონტროლის საშუალებით რეგისტრაციის მომენტიდან და დასრულდება საზღვაო ნავსადგურში გამოცხადების ელექტრონულად დადასტურებით.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი და ტრანზიტისათვის განკუთვნილი საქონელი, დეკლარანტის, პროცედურის მფლობელის ან/და გადამზიდველის მოთხოვნით, შეიძლება მოექცეს საბაჟო საწყობის პროცედურაში ან შენახულ იქნეს დროებით კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ტრანზიტისათვის განკუთვნილი საქონლის დროებით შენახვის ადგილიდან დანიშნულების საბაჟო ორგანოს მიმართულებით გადაადგილება განახლდება დროებით შენახვის ვადის გასვლამდე ახალი მოწმობის გაცემით ან ელექტრონული მოწმობის შევსებით, გარდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში რეგისტრირებული ცარიელი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა, რომელთა გადაადგილება განახლდება იმავე ბაზაში მონაცემების ასახვით.

პროცედურის მფლობელის/დეკლარანტის მოთხოვნის შემთხვევაში, საბაჟო ორგანო უფლებამოსილია დაადასტუროს, რომ ტრანზიტისათვის განკუთვნილი საქონელი არ ყოფილა გამოყენებული და გადამუშავებული საქართველოს ტერიტორიაზე. ამ მიზნით, საბაჟო ორგანო ადასტურებს პროცედურის მფლობელის/დეკლარანტის მიერ 3 ეგზემპლარად წარდგენილ, ამ ინსტრუქციის დანართი №7-01-ით გათვალისწინებულ დოკუმენტს, რის შემდეგაც ორი ეგზემპლარი უბრუნდება პროცედურის მფლობელს/დეკლარანტს, ხოლო ერთი რჩება საბაჟო ორგანოს.

ATA წიგნაკის გამოყენებით საქონლის ტრანზიტული გადაადგილებისას საგადასახადო/საბაჟო ვალდებულების წარმოშობის შემთხვევაში, თუ ამ ვალდებულების შესაბამისი იმპორტის

გადასახდელების ოდენობა აღემატება ATA წიგნაკით გათვალისწინებული საგარანტიო თანხის ოდენობას, სხვაობის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება საქონლისა და შესაბამისი სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებაზე პასუხისმგებელ პირს.

ტვირთის უფლებამოსილი მიმღები. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ შემთხვევებში საბაჟო ორგანომ დაინტერესებულ პირს მისი განცხადების საფუძველზე შეიძლება მისცეს „TIR კარნეტის ფარგლებში საქონლის საერთაშორისო გადაზიდვის შესახებ“ ჟენევის 1975 წლის 14 ნოემბრის საბაჟო კონვენციის (TIR კონვენცია) შესაბამისად გადაადგილებული საქონლის საბაჟო ორგანოსთან წინასწარ შეთანხმებულ ადგილზე მიღების უფლება, თუ ამ საქონლის გადაზიდვა ხორციელდება იმავე კონვენციის პირველი მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. ამ უფლების მიღების შემთხვევაში დაინტერესებული პირი არის ტვირთის უფლებამოსილი მიმღები.

TIR კარნეტის ფარგლებში საქონლის საერთაშორისო გადაზიდვის შესახებ“ ჟენევის 1975 წლის 14 ნოემბრის საბაჟო კონვენციის (TIR კონვენცია)შესახებ ვრცელი კომენტარია შემოთავაზებული ამავე თავში და ამ შემთხვევაში მის განვრცობას არ შევეცდები.

2. ტრანზიტის პროცედურის მფლობელის, გადამზიდავისა და საქონლის მიმღების ვალდებულებები

ტრანზიტის პროცედურის მფლობელი ვალდებულია:

- ა) საქონელი და მისი თანმხლები დოკუმენტები დადგენილ ვადაში და უცვლელ მდგომარეობაში წარუდგინოს დანიშნულების საბაჟო ორგანოს ან წარადგინოს საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ სხვა ადგილზე იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) დაუზიანებლად;
- ბ) თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საბაჟო ორგანოს წარუდგინოს გარანტია, რომლის წარდგენის ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას გადასაზიდ საქონელთან დაკავშირებით;

მოქმედი საბაჟო კანონმდებლობით, ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების ტრანზიტის დროს საბაჟო ორგანოებში წარდგენილ უნდა იქნეს საბანკო გარანტია, ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისი ან ფულადი დეპოზიტი იმ თანხის ოდენობით, რომელიც გადაიბდებოდა იმპორტის პროცედურის შემთხვევაში. საქართველოდან აღნიშნული საქონლის გატანისას უქმდება საბანკო გარანტია, ფინანსური რისკის დაზღვევის პოლიზი ან ბრუნდება ფულადი დეპოზიტი გატანილი საქონლის ოდენობის შესაბამისად.

გარანტიის შესახებ ვრცელი კომენტარია შემოთავაზებული საბაჟო სამართლის პირველ ნაწილში და ასევე მეორე ნაწილშიც, ამიტომ მის განმეორებას ამ შემთხვევაში არ მოვახდენ.[622]

- გ) შეასრულოს ტრანზიტის პროცედურასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

ტრანზიტის პროცედურის მფლობელის ვალდებულება შესრულდება და ტრანზიტის პროცედურა დასრულდება, თუ ამ პროცედურაში მოქცეული საქონელი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი წესით წარედგინა დანიშნულების საბაჟო ორგანოს ან წარდგენილ იქნა საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ სხვა ადგილზე.

ინსტრუქციის „ტრანზიტის პროცედურის შესახებ" მე-4 მუხლის (ტრანზიტის პროცედურის დასრულება") თანახმად, ტრანზიტის პროცედურის დასრულების მიზნით, ხორციელდება:

- ა) საქონლის, შესაბამისი საქონლის საბაჟო დეკლარაციისა და საქონლის თანმხლები სხვა დოკუმენტების წარდგენა დანიშნულების საბაჟო ორგანოსათვის ან წარდგენა საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ სხვა ადგილზე;
- ბ) საქონლის, შესაბამისი მოწმობისა და საქონლის თანმხლები სხვა დოკუმენტების წარდგენა დანიშნულების საბაჟო ორგანოსათვის ან წარდგენა საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ სხვა ადგილზე და შესაბამისი მოწმობის კონტროლიდან მოხსნა

---

[622] იხ. ხარაზი ია, საბაჟო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, პირველი ნაწილი, 2021; ხარაზი ია, საბაჟო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, მეორე ნაწილი, 2022.

(გარდა იმ შემთხვევისა, როცა დანიშნულების საბაჟო ორგანოს წარედგინება საქონლის საბაჟო დეკლარაცია);

• გ) საქონლის მოქცევა სხვა საბაჟო პროცედურაში;

• დ) TIR კონვენციით გათვალისწინებული დოკუმენტის (TIR-წიგნაკი) წარდგენა საბაჟო დეკლარაციის ნაცვლად;

TIR კონვენციით გათვალისწინებული დოკუმენტების შესახებ ამავე თავში ზემოთ იყო საუბარი.

• დ[1]) ATA წიგნაკის წარდგენა საბაჟო დეკლარაციის ნაცვლად;

ATA წიგნაკის შესახებ ვრცელი ინფორმაციაა შემოთავაზებული ამავე თავში.

• ე) საკომენტარო ინსტრუქციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ“ და „ა.დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვა;

საქართველოს საბაჟო კოდექსის 118-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე უცხოური საქონლის გადაადგილება შესაძლებელია განბორციელდეს: სატრანსპორტო საშუალების თანმხლები დოკუმენტი – თავისი სვლით გადაადგილებული ცარიელი ავტოსატრანსპორტო საშუალების, მისაბმელის, ნახევრადმისაბმელის შემთხვევაში (ა.გ. ქვეპუნქტი);

ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია – ამ პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადასატანი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დაუბეგრავ რაოდენობასა და ღირებულებაზე მეტი საქონლის შემთხვევაში „ა.დ“. ქვეპუნქტი).

რაც შეეხება საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს, საუბარია იმპორტის გადასახადის გადახდისაგან გათავისულების კონკრეტულ შემთხვევაზე, რომლის შესახებაც ამავე სახელმძღვანელოში ზემოთ გვქონდა საუბარი და ვრცლად იხ. ია ბარაზი, საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, მეორე ნაწილი, 2020.

შევნიშნავთ, რომ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით ტრანზიტის მარეგულირებელი დებულებების შესახებ შეიძლება ითქვას, რომ იგი არ ითვალისწინებს იდენტიფიკაციის ღონისძიებებს ტრანზიტის პროცედურაში მოქცეული საქონლის მიმართ.

საბაჟო კოდექსის 120-ე მუხლის მე-3 ნაწილში მხოლოდ ზოგადაა საუბარი იმის შესახებ, რომ: „გადამზიდავი და საქონლის მიმღები, რომლებისთვისაც ცნობილია, რომ საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ტრანზიტის პროცედურის საფუძველზე გადაადგილდება, ვალდებული არიან საქონელი და მისი თანმხლები დოკუმენტები დადგენილ ვადაში და უცვლელ მდგომარეობაში წარუდგინონ საბაჟო ორგანოს ან წარადგინონ საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ სხვა ადგილზე იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) დაუზიანებლად“.

იდენტიფიკაციის საკითხი ფართოდ არის წარმოდგენილი კიოტოს კონვენციაში, რომლის თანახმად:

- ა) გაგზავნის (შემოსვლის) საბაჟო ორგანომ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა დანიშნულების (გასვლის) საბაჟო ორგანომ შეძლოს საქონლის იდენტიფიცირება;
- ბ) საბაჟო ორგანომ არ უნდა მოითხოვოს იმ სატრანსპორტო საშუალებებზე წინასწარი ნებართვა, რომლებიც განკუთვნილია დალუქული საქონლის ტრანსპორტირებისათვის;
- გ) თუ ტრანზიტული საქონელი გადაადგილდება სატრანსპორტო ერთეულებით (კონტეინერი, მისაბმელი, ნახევრადმისაბმელი და სხვა), მაშინ საბაჟო ლუქები იდება პირდაპირ სატრანსპორტო ერთეულზე, თუ ეს ოპერაცია უზრუნველყოფს ლუქის დაუზიანებლად სხვა პირების მიერ საქონლამდე მიღწევის შესაძლებლობას;
- დ) იმ შემთხვევაში, თუ საქონლის თანმხლები დოკუმენტები ერთმნიშვნელოვნად იძლევა საქონლის საქონლი იდენტიფიცირების საშუალებას, მაშინ საბაჟო ლუქები სატრანსპორტო ერთეულებზე არ დაიდება;
- ე) იმ შემთხვევაში თუ საქონელი უნდა დაილუქოს საბაჟო ლუქით, მაგრამ ვერ ხერხდება სატრანსპორტო ერთეულის საიმედო დალუქვა, მაშინ უნდა მოხდეს საქონლის მთლიანი დათვალიერება და მისი დაწვრილებითი აღწერა სატრანსპორტო დოკუმენტებში ან საბაჟო ლუქის დადება საქონლის თითოეულ შეკვრაზე ან შესაბამისი მკაცრი მარშრუტისა და ვადების დაწესება ან საბაჟო თანხლებით საქონლის გადაადგილება.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ კიოტოს დასახელებული კონვენციით ტრანზიტის პროცედურის დროს საბაჟო ორგანო ცნობს (აღიარებს) უცხო ქვეყნის საბაჟო ორგანოს მიერ დადებულ ლუქს და იდენტიფიკაციის სხვა საშუალებებს, იმ გამონაკლისი გარდა:

- ა) როცა იდენტიფიკაციის საშუალებები ჩათვლილია არასაკმარისად;
- ბ) როცა ისინი ითვლებიან არასაიმედოდ;
- გ) როცა საბაჟო ორგანო ახორციელებს საქონლის კონტროლს.

ქვემოთ მოგვყავს კიოტოს დასახელებული კონვენციით გათვალისწინებული მინიმალური მოთხოვნები, რომელიც წარედგინება საიდენტიფიკაციო საშუალებების საიმედოობას ტრანზიტის პროცედურის დროს:

- ა) საიდენტიფიკაციო საშუალებები უნდა იყოს მყარი და ცვეთამედეგი;
- ბ) მათი დადება საქონელზე ან სატრანსპორტო საშუალებებზე შესაძლებელი უნდა იყოს მარტივი და სწრაფი წესით;
- გ) უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი შემოწმებისა და იდენტიფიკაციის შესაძლებლობა;
- დ) შეუძლებელი უნდა იყოს მათი მოხსნა ან მოშორება დაზიანების გარეშე;
- ე) ისინი უნდა იყოს ერთჯერადი, გარდა მრავალჯერადი გამოყენების ლუქებისა (მაგ; ელექტრონული ლუქები);
- ვ) ისინი უნდა იყოს ისეთნაირად კონსტრუირებული, რომ მაქსიმალურად გაძნელებული იყოს მათი კოპირება ან გაყალბება;
- ზ) ლუქების ფორმა და ზომა უნდა უზრუნველყოფდეს განსხვავებას სხვა საიდენტიფიკაციო მარკირებებთან;
- თ) გამოსაყენებელი მასალა უნდა იყოს მყარი და მედეგი ატმოსფერული მოვლენების, ქიმიური ნივთიერებების მიმართ;
- ი) ლუქს ან სამაგრ მოწყობილობას უნდა ჰქონდეს შესაბამისი მარკირება, რომელზეც ამოტვიფრული იქნება სიტყვა „საბაჟო“ ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე;
- კ) ლუქსა ან სამაგრ მოწყობილობაზე აგრეთვე უნდა იყოს იმ ქვეყნის საცნობარო ნიშანი, სადაც ხორციელდება მოცემული საიდენტიფიკაციო საშუალებების დადება;

• ლ) ლუქსა და სხვა საიდენტიფიკაციო საშუალებებზე ასევე უნდა იყოს მინიშნებული იმ საბაჟო ორგანოს ნიშანი, რომლის სამოქმედო ზონაშიც მოხდა საქონლის იდენტიფიკაცია (შესაბამისი იდენტიფიკაცია შესაძლებელია ციფრული ან ასოითი კოდით).

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა ითვალისწინებს ტრანზიტული საქონლის იდენტიფიკაციის იმ მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია კიოტოს კონვენციით. გარდა ამისა, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობაში მოცემულია იდენტიფიკაციის განსხვავებული დეტალებიც, მაგ; შტამპის დასმა; სინჯებისა და ნიმუშების აღება; ნახაზების, მასშტაბური გამოსახულების, ფოტოგრაფიის, ვიდეო-ჩანაწერების და ილუსტრაციების გამოყენება, სატრანსპორტო საშუალებების ნიშანდება და ა.შ.

იხ. ინსტრუქციის „ საბაჟო კონტროლის შესახებ“ (დანართი №2) თავი IV -„ვიდეო– და აუდიოჩაწერა“, თავი V - „საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალება, მისი გამოყენება და აღრიცხვა“.

იდენტიფიკაციის საშუალებების შესახებ ამავე სახელმძღვანელოში ზემოთ იყო ვრცელი კომენტარი შემოთავაზებული და ასევე იხ. ბარაზი ი; საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021.

3. გამარტივებული ტრანზიტის პროცედურა

საბაჟო ორგანომ დაინტერესებულ პირს მისი განცხადების საფუძველზე შეიძლება მისცეს ტრანზიტის პროცედურაში საქონლის გამარტივებული წესით მოქცევის და ტრანზიტის პროცედურის გამარტივებულად დასრულების უფლება, კერძოდ:

• ა) მიანიჭოს ტვირთის უფლებამოსილი გამგზავნის სტატუსი, რაც მას შესაძლებლობას აძლევს, საქონელი ტრანზიტის პროცედურაში საბაჟო ორგანოსთვის წარდგენის გარეშე მოაქციოს;

• ბ) მიანიჭოს ტვირთის უფლებამოსილი მიმღების სტატუსი, რაც მას შესაძლებლობას აძლევს, ტრანზიტის პროცედურაში მოქცეული საქონელი საბაჟო ორგანოსთან წინასწარ შეთანხმებულ ადგილზე მიიღოს, რათა დასრულდეს ტრანზიტის

პროცედურა საბაჟო კოდექსის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, რაც მიუთითებს იმაზე, რომ, „ტრანზიტის პროცედურის მფლობელის ვალდებულება შესრულდება და ტრანზიტის პროცედურა დასრულდება, თუ ამ პროცედურაში მოქცეული საქონელი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი წესით წარედგინა დანიშნულების საბაჟო ორგანოს ან წარდგენილ იქნა საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ სხვა ადგილზე";

- გ) მისცეს საბაჟო იდენტიფიკაციის სპეციალური საშუალების გამოყენების უფლება, თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა ტრანზიტის პროცედურაში მოქცეული საქონლის საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების გამოყენებით ნიშანდებას მოითხოვს;

საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებებზე წინა პარაგრაფში იხ. საუბარი, ასევე საკომენტარო თავში ზემოთ და საბაჟო სამართლის პირველ ნაწილში (ავტ. ბარაზი ი.).

- დ) მისცეს შესაძლებლობა, საქონელი ტრანზიტის პროცედურაში გამარტივებული საბაჟო დეკლარაციით მოაქციოს;
- ე) მისცეს შესაძლებლობა, საბაჟო დეკლარაციის ნაცვლად წარადგინოს ტრანსპორტირების ელექტრონული დოკუმენტი, თუ ის შეიცავს საბაჟო დეკლარაციის მონაცემებს და ეს მონაცემები ხელმისაწვდომია გაგზავნის საბაჟო ორგანოსა და დანიშნულების საბაჟო ორგანოსთვის, რათა მათ უზრუნველყონ საქონლის მიმართ საბაჟო ზედამხედველობის განხორციელება და ტრანზიტის პროცედურის დასრულება.

გადამზიდველის ვალდებულებები ტრანზიტის პროცედურის განხორციელების დროს. საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით, საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალებების ტრანზიტის განხორციელების ვალდებულება ეკისრება გადამზიდველს. იმ შემთხვევაში, თუ გადამზიდველი საქართველოს რეზიდენტია და ახორციელებს ტრანზიტის ოპერაციას, იგი უნდა ფლობდეს საბაჟო გადამზიდველის ლიცენზიას.

ტრანზიტის გადადგილების ვადა შეადგენს 20 დღეს.

ფორსმაჟორული სიტუაციების დროს (ავარია ან დაზღვეული ძალა) საქონლის გადმოტვირთის შემთხვევაში გადამზიდველი ვალდებულია:

- ა) მიიღოს საწირო ზომები საქონლისა დ/ან სატრანსპორტო საშალებების დასაცავად და არ დაუშვას მისი არასწორი გამოყენება;
- ბ) დაუყოვნებლივ აცნობოს უახლოეს საბაჟო ორგანოს საქმის გარებოება და საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალებების ადგილსამყოფელი;
- გ) უზრუნველყოს საქონლის მიტანა უახლოეს საბაჟო ორგანოში ან საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირთა მიყვანა საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალებების განლაგების ადგილზე;
- დ) გაიღოს ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელების ხარჯები.

ამასთან, საქართველოს საბაჟო ორგანოს უნებართვოდ საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალების გაცემის, დაკარგვის ან გამშვებ საბაჟო ორგანოში მიუტანლობის შემთხვევაში გადამზიდველი ვალდებულია გადაიხადოს საბაჟო გადასახდელები საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურის შესაბამისად (ეს არ ეხება იმ გამონაკლის შემთხვევას, როცა დანაკლისი გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთის, ტრანსპორტირების ან შენახვის ნორმალურ პირობებში დანაკარგების შედეგად, ან საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები განადგურდა ფორს-მაჟორული სიტუაციების დროს.

კიოტოს კონვენციის მიხედვით, გადამზიდველის მიერ ტრანზიტის ვადებისა და მარშრუტის დარღვევა არ წარმოადგენს შესაბამისი საბაჟო გადასახდელების გადახდის საფუძველს, თუ ყველა სხვა პირობა დაცულია.

ტრანზიტის პროცედურაში გაცხადებული საქონლის საბაჟო ზედამხედველობიდან მოხსნა, როგორც წესი ხორციელდება საბაჟო გამშვებ პუნქტში, საიდანაც ხდება საქონლის საბაჟო საზღვრის გარეთ გატანა (დანიშნულების საბაჟო ორგანო), ხოლო სპეციალური ოპერაციის ან სატრანსპორტო საშუალების შეცვლისას ან კიდევ

საქონლის გადამისამართებისას - იმ საბაჟო ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაზე, სადაც ხდება სპეციაპური ოპერაციის ან სატრანსპორტო საშუალების შეცვლა ან საქონლის გადამისამართება.

საინტერესოა როგორ ხდება ავტომობილის გადამზიდი ავტოსატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში TIR-წიგნაკის კონტროლიდან მოხსნა?

TIR-წიგნაკს კონტროლიდან ხსნის დანიშნულების საბაჟო ორგანო - საბაჟო გამშვები პუნქტი, რომლის გავლითაც ტოვებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიას ცარიელი ავტოსატრანსპორტო საშუალება. კონტროლიდან მოხსნის მიზნით TIR-წიგნაკის 27-ე გრაფაში მიეთითება „ASYCUDA"-ს მიერ მინიჭებული „R "ნომერი; 28-ე გრაფაში დაესმება საბაჟო ორგანოს დამღა „მოხსნილია კონტროლიდან", ხოლო დამღაში შესაბამის ადგილზე მიეთითება კონტროლიდან მოხსნის თარიღი, საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის ხელმოიწერა და პირადნომრიანი ბეჭედი ან საბაჟო დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის/ქვედანაყოფის მრგვალი ბეჭედი.

მოწმობის ელექტრონულ ფორმატში „I" გრაფის განყოფილებაში „შენიშვნა" საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომელი უთითებს ტრანზიტული ტვირთის გადამზიდავი სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის/მძღოლის მიერ წარდგენილი გზათსარგებლობის საფასურის საბანკო დაწესებულებაში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ან გზათსარგებლობის საფასურის ბარათის მონაცემებს.

ტრანზიტის პროცედურაში საქონლის მოქცევისა და ამ პროცედურის დასრულების წესები, აგრეთვე გამარტივებული ტრანზიტის პროცედურით სარგებლობის წესი და პირობები როგორც საკომენტარო თავის შესავალშივე აღვნიშნეთ განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „ტრანზიტის პროცედურის შესახებ" და დამხმარე

სხვა ინსტრუქციებით, რომელთა შესახებაც ზემოთ იყო შემოთავაზებული კომენტარი[623].

A. დასამახსოვრებელი დებულებები!

აბრევიატურა TIR (Transports International Routiers) ნიშნავს - საერთაშორისო საგზაო გადაზიდვებს"... 1993 წლის 2 დეკემბერს საქართველომ მიმართა გაეროს TIR -კარნეტის კონვენციასთან მიერთების შესახებ, ხოლო 10994 წლის 24 სექტემბრიდან საქართველო მიუერთდა ამ კონვენციას (რატიფიცირებების გარეშე). ეს კონვენცია აწესრიგებს წევრ ქვეყნებს შორის საერთაშორისო საგზაო გადაზიდვებს, როგორც საბაჟო, ასევე ტექნიკური პროცედურების ასპექტებით. კერძოდ, კონვენციის დებულებები აიოლებენ და ამარტივებენ საბაჟო გაფორმების პრიცედურებს მო-

---

[623] საკითხის გაღრმავებისათვის დამატ. იხ. ია ხარაზი, გელა ცინცაძე, გიორგი ირემაშვილი, „საბაჟო რეჟიმების სტრუქტურა და შინაარსი (საქართველოს საბაჟო კოდექსის მიხედვით)", ჟურნალი „სამართალი", # 1-2, 2007, გვ. 17-23; ია ხარაზი, ქეთინო ხარაზი, „გადამუშავების საბაჟო რეჟიმების ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა", ჟურნალი „სამართალი", #3-4, 2007, გვ. 42-45; უერთაშვილი ნატო, ხარაზი ია, „საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტები", საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომათა კრებული, I, თბილისი, 2010, გვ. 194-212; ია ხარაზი, ქეთევან კვინიკაძე, „სასაქონლო ოპერაციები", „მართლმსაჯულება და კანონი," #4(31), 2011, გვ.148-160 ; ია ხარაზი, ნატო უერთაშვილი, თემურ გერგედავა, „საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტების თავისებურებათა შესახებ", ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", #1(24), 2010; ია ხარაზი, ნატო უერთაშვილი, მაკა ორჯონიკიძე, „საბაჟო სამართლის ნორმათა განმარტების თავისებურებანი", ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი",#4)27), 2010, გვ. 56-67; И. В. Харази, Е. Д. Мчедлишвили, Д. Х. Чагунава, И. М. Леонидзе, „Правовые аспекты классификации таможенных режимов", AIR TRANSPORT, ВОЗДУШНЫЙ ТРАНСПОРТ, Aviation University of Georgia, Авиационный Университет Грузии, Тбилиси, #2(5), 2010, стр. 125-137; И. В. Харази, М. И. мосулишвили ,Е. Д. Мчедлишвили, Проблемы и своеобразия Таможенного кодекса Грузии", AIR TRANSPORT, ВОЗДУШНЫЙ ТРАНСПОРТ, Aviation University of Georgia, Авиационный Университет Грузии, Тбилиси, 2009, #1(3), стр. 119-130 .

ნაწილე ქვეყნებში საავტომობილო ტრანსპორტით საქონლის გადაზიდვების დროს. ეს ეხება, როგორც საქონლის დათვალიერებას, დოკუმენტების შემოწმებას, ასევე, განსაკუთრებით საბაჟო გადასახდელების გადახდის საგარანტიო უზრუნველყოფას.

ATA-კარნეტი გამოიყენება საქონლის დროებითი შემოტანის დროს, რაც შეეხება სატრანსპორტო საშუალების დროებით შემოტანას - გამოიყენება CPD-კარნეტი (აბრევიატურა CPD (Carnet de passages en douane), ფრანგ. ნიშნავს- საზღვრის გავლის წიგნაკს).

მოქმედი საბაჟო კანონმდებლობი, ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების ტრანზიტის დროს საბაჟო ორგანოებში წარდგენილ უნდა იქნეს საბანკო გარანტიის, ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისი ან ფულადი დეპოზიტი იმ თანხის ოდენობით, რომელიც გადაიხდებოდა იმპორტის პროცედურის შემთხვევაში. საქართველოდან აღნიშნული საქონლის გატანისას უქმდება საბანკო გარანტია, ფინანსური რისკის დაზღვევის პოლიზი ან ბრუნდება ფულადი დეპოზიტი გატანილი საქონლის ოდენობის შესაბამისად.

B. კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის:

განმარტეთ აბრევიატურა TIR

განმარტეთ აბრევიატურა ATA-კარნეტი

რა მოქმედებების განხორციელებაზეა ვალდებული ტრანზიტის პროცედურის მფლობელი?

როდის სრულდება ტრანზიტის პროცედურა?

C. ტესტები:

ტრანზიტის პროცედურა საშუალებას იძლევა, უცხოური საქონელი გადაადგილდეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე მდებარე ორ პუნქტს შორის. ტრანზიტის პროცედურის გამოყენება არ იწვევს:

ა. იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულების წარმოშობას; საქონლის მიმართ ვაჭრობაში დამცავი ღონისძიების გამოყენებას, თუ ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალული არ არის

ბ. იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულების წარმოშობას

გ. საქონლის მიმართ ვაჭრობაში დამცავი ღონისძიების გამოყენებას, თუ ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალული არ არის

დ. საქონლის მიმართ ვაჭრობაში დამცავი ღონისძიების გამოყენებას, თუ ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა აკრძალული არ არის.

საქონლის გადაადგილება გადაადგილება შეიძლება განხორციელდეს:

ა. ტრანზიტის პროცედურის შესაბამისად; „TIR კარნეტის ფარგლებში საქონლის საერთაშორისო გადაზიდვის შესახებ" ჟენევის 1975 წლის 14 ნოემბრის საბაჟო კონვენციის (TIR კონვენცია) შესაბამისად, თუ გადაზიდვა იწყება ან სრულდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ

ბ. ტრანზიტის პროცედურის შესაბამისად; „TIR კარნეტის ფარგლებში საქონლის საერთაშორისო გადაზიდვის შესახებ" ჟენევის 1975 წლის 14 ნოემბრის საბაჟო კონვენციის (TIR კონვენცია) შესაბამისად, თუ გადაზიდვა იწყება ან სრულდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ; „საქონლის დროებითი დაშვების ATA კარნეტის შესახებ" ბრიუსელის 1961 წლის 6 დეკემბრის საბაჟო კონვენციის (ATA კონვენცია) და „დროებითი დაშვების შესახებ" სტამბოლის 1990 წლის 26 ივნისის კონვენციის შესაბამისად; თუ გადაზიდვა, მსოფლიო საფოსტო კავშირის შესაბამისი აქტების მიხედვით, არის საფოსტო გადაზიდვა

გ. „საქონლის დროებითი დაშვების ATA კარნეტის შესახებ" ბრიუსელის 1961 წლის 6 დეკემბრის საბაჟო კონვენციის (ATA კონვენცია) და „დროებითი დაშვების შესახებ" სტამბოლის 1990 წლის 26 ივნისის კონვენციის შესაბამისად

დ. თუ გადაზიდვა, მსოფლიო საფოსტო კავშირის შესაბამისი აქტების მიხედვით, არის საფოსტო გადაზიდვა.

TIR-კარნეტის სისტემა შედგება ოთხი ძირითადი სტრუქტურული ერთეულისაგან:

ა. საბაჟო გადასახდელებზე საერთაშორისო გარანტიები; TIR-კარნეტის შესაბამისი წიგნაკი (კარნეტი); საბაჟო კონტროლის პრინციპების ურთიერთცნობა; სატრანსპორტო საშუალებების (კონტეინერების) სტანდარტულობა და უსაფრთხოება

ბ. საბაჟო გადასახდელებზე საერთაშორისო გარანტიები

გ. საბაჟო კონტროლის პრინციპების ურთიერთცნობა

დ. სატრანსპორტო საშუალებების (კონტეინერების) სტანდარტულობა და უსაფრთხოება.

ტრანზიტის პროცედურის მფლობელი ვალდებულია:

ა. საქონელი და მისი თანმხლები დოკუმენტები დადგენილ ვადაში და უცვლელ მდგომარეობაში წარუდგინოს დანიშნულების საბაჟო

ორგანოს ან წარადგინოს საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრული სხვა ადგილზე იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) დაუზიანებლად თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საბაჟო ორგანოს წარუდგინოს გარანტია, რომლის წარდგენის ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას გადასაზიდ საქონელთან დაკავშირებით; შეასრულოს ტრანზიტის პროცედურასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები

ბ. საქონელი და მისი თანმხლები დოკუმენტები დადგენილ ვადაში და უცვლელ მდგომარეობაში წარუდგინოს დანიშნულების საბაჟო ორგანოს ან წარადგინოს საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ სხვა ადგილზე იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) დაუზიანებლად თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებულ,

გ. საბაჟო ორგანოს წარუდგინოს გარანტია, რომლის წარდგენის ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას გადასაზიდ საქონელთან დაკავშირებით; შეასრულოს ტრანზიტის პროცედურასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები

დ. საქონელი და მისი თანმხლები დოკუმენტები დადგენილ ვადაში და უცვლელ მდგომარეობაში წარუდგინოს დანიშნულების საბაჟო ორგანოს ან წარადგინოს საბაჟო ორგანოს მიერ განსაზღვრულ სხვა ადგილზე იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) დაუზიანებლად თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საბაჟო ორგანოს წარუდგინოს გარანტია, რომლის წარდგენის ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას გადასაზიდ საქონელთან დაკავშირებით; შეასრულოს ტრანზიტის პროცედურასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

საბაჟო ორგანომ დაინტერესებულ პირს მისი განცხადების საფუძველზე შეიძლება მისცეს ტრანზიტის პროცედურაში საქონლის გამარტივებული წესით მოქცევის და ტრანზიტის პროცედურის გამარტივებულად დასრულების უფლება, კერძოდ:

ა. მიანიჭოს ტვირთის უფლებამოსილი გამგზავნის სტატუსი, რაც მას შესაძლებლობას აძლევს, საქონელი ტრანზიტის პროცედურაში საბაჟო ორგანოსთვის წარდგენის გარეშე მოაქციოს

ბ. მიანიჭოს ტვირთის უფლებამოსილი გამგზავნის სტატუსი, რაც მას შესაძლებლობას აძლევს, საქონელი ტრანზიტის პროცედურაში საბაჟო ორგანოსთვის წარდგენის გარეშე მოაქციოს; მიანიჭოს ტვირთის უფლებამოსილი მიმღების სტატუსი, რაც მას შესაძლებლობას აძლევს, ტრანზიტის

პროცედურაში მოქცეული საქონელი საბაჟო ორგანოსთან წინასწარ შეთანხმებულ ადგილზე მიიღოს, რათა დასრულდეს ტრანზიტის პროცედურა ამ კოდექსის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად;მისცეს საბაჟო იდენტიფიკაციის სპეციალური საშუალების გამოყენების უფლება, თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა ტრანზიტის პროცედურაში მოქცეული საქონლის საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების გამოყენებით ნიშანდებას მოითხოვს მისცეს შესაძლებლობა, საქონელი ტრანზიტის პროცედურაში გამარტივებული საბაჟო დეკლარაციით მოაქციოს; მისცეს შესაძლებლობა, საბაჟო დეკლარაციის ნაცვლად წარადგინოს ტრანსპორტირების ელექტრონული დოკუმენტი, თუ ის შეიცავს საბაჟო დეკლარაციის მონაცემებს და ეს მონაცემები ხელმისაწვდომია გაგზავნის საბაჟო ორგანოსა და დანიშნულების საბაჟო ორგანოსთვის, რათა მათ უზრუნველყონ საქონლის მიმართ საბაჟო ზედამხედველობის განხორციელება და ტრანზიტის პროცედურის დასრულება

გ. მიანიჭოს ტვირთის უფლებამოსილი მიმღების სტატუსი, რაც მას შესაძლებლობას აძლევს, ტრანზიტის პროცედურაში მოქცეული საქონელი საბაჟო ორგანოსთან წინასწარ შეთანხმებულ ადგილზე მიიღოს, რათა დასრულდეს ტრანზიტის პროცედურა ამ კოდექსის 120-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად; მისცეს საბაჟო იდენტიფიკაციის სპეციალური საშუალების გამოყენების უფლება, თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა ტრანზიტის პროცედურაში მოქცეული საქონლის საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების გამოყენებით ნიშანდებას მოითხოვს მისცეს შესაძლებლობა, საქონელი ტრანზიტის პროცედურაში გამარტივებული საბაჟო დეკლარაციით მოაქციოს

დ. მისცეს შესაძლებლობა, საბაჟო დეკლარაციის ნაცვლად წარადგინოს ტრანსპორტირების ელექტრონული დოკუმენტი, თუ ის შეიცავს საბაჟო დეკლარაციის მონაცემებს და ეს მონაცემები ხელმისაწვდომია გაგზავნის საბაჟო ორგანოსა და დანიშნულების საბაჟო ორგანოსთვის, რათა მათ უზრუნველყონ საქონლის მიმართ საბაჟო ზედამხედველობის განხორციელება და ტრანზიტის პროცედურის დასრულება.

D. სამართლებრივი აქტები:

საერთაშორისო აქტები:

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის,

https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0

შეთანხმება „საერთაშორისო სარკინიგზო სატვირთო მიმოსვლის შესახებ (СМГС)" 1951 წლის 1 ნოემბრის შეთანხმების (ძალაშია 1951 წლის 1 ნოემბრიდან 2015 წლის 1 ივლისის ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით), https://matsne.gov.ge/ka/document/view/3279556?publication=0

მსოფლიო საფოსტო კონვენცია,
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1208332?publication=0

კიოტოს 1973 წლის კონვენცია „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ", საქართველოს აღნიშნულ კონვენციას შეუერთდა 2018 წლის 20 ივლისს, საქართველოს პარლამენტის დადგენილებით. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4270130?publication=0

საკანონმდებლო აქტები:

საქართველოს კონსტიტუცია, მ.19.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

საქართველოს საბაჟო კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=5

საქართველოს საგადასახადო კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/32842?publication=69

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/19024?publication=0

კანონქვემდებარე აქტები:

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის #453 დადგენილება „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ",
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4657381?publication=0

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე", ინსტრუქცია „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ" (დანართი #5), https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის ბრძანება (№275 წლის) „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე" დანართი #1, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3

ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ტრანზიტის პროცედურის შესახებ“, (დანართი №7), https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

ინსტრუქცია „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ“, https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=48

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია (დანართი №2) „საბაჟო კონტროლის შესახებ“,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“ ინსტრუქცია (დანართი №1),
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს #257 ბრძანება „საქართველო საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“, დანართი #3, ინსტრუქცია „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“,
https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/1167887/285/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება (#257 2019 წლის 29 აგვისტო) „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“,
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0
ინსტრუქცია (დანართი №12) „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ“

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ექსპორტის პროცედურის შესახებ (დანართი №15),
https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №241 (2012 წლის 11 ივლისი) „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“;
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1697179?publication=0

E. გამოყენებული ლიტერატურა:

ქართულ ენაზე:

ბარაზი ია, საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, დამხმარე სახელმძღვანელო, გამომცემლობა „გეორგიკა", თბილისი, 2021

ბარაზი ია, საერთაშორისო საბაჟო სამართალი, თბილისი, 2013

ბარაზი ია, საბაჟო სამართლი, თბილისი, 2007

ბარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2010

ბარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2019, ლექციების კურსი, https://www.sou.edu.ge

ბარაზი ია; საქართველოს საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა", თბილისი, 2015

ბარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბილისი, 2014

ბარაზი ი; საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, მეორე ნაწილი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2020

ბარაზი ია, აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტ. თანაავტ. „საგადასახადო და საბაჟო სამართალი ქართულ სასამართლო სივრცეში (სასამართლო პრაქტიკის მასალები იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის)", გამომც. ქუთაისის უნივერსიტეტი, თბილისი, 2019

როგავა ზ; საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, წიგნი მესამე, გამომცემლობა ურისტების სამყარო", თბილისი, 2017

ნადარაია, როგავა, რუხაძე, ბოლქვაძე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, §§ 156-310, 47-ე მუხლ. ავტ. ნადარაია, 331, https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00J1P6.pdf

გონერ ურიდია, ფრიდონ არახამია, საბაჟო საქმის თეორია, თბილისი, 2009

ურიდია გ; საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები, გამოცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2011

ლორთქიფანიძე ვ; საბაჟო საქმის საფუძვლები, თბილისი, 2002

ჯგერენაია ემზარ, საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 2022

გ. ურიდია, მ. არახამია, ფ. რუხაია, საბაჟო რეჟიმები, თბილისი, 2005

ურიდია გონერ, რუხაია ფრიდონ, არახამია მერაბ, საბაჟო გაფორმება TIR და ATA (CPD) კარნეტის პრინციპებით, თბილისი, 2004

ურიდია გონერ, არახამია მერაბ, რუხაია ფრიდო, საბაჟო რეჟიმები, თბილისი, 2005.

უცხო ენაზე:

Борисов К. Г. Международное Таможенное право, Учеб, пособие – М; изд. ун-та дружби народов 1997

Козирин А. Н. Таможенное право Росии, Учеб, пособие – М; фирма СПАРК, 1995

Бахрах Д. Н. Кивалов С. В. Таможенное право Росии, Екатеринбург, Диамант, 1995, 217-220

F. სამეცნიერო ნაშრომები:

ხარაზი ია, „გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება“, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, დისერტაცია, თსუ, 2006

ი. ხარაზი „გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება“(მონოგრაფია), 2006

G. ლექსიკონი:

მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე] - თბ., 2004 - 483 გვ.: ცხრ.; 24სმ. - (საჯარო მოსამსახურის ბ-კა). - ISBN 99940-0-063-2: [ფ.ა.]; http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=17983

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1962

H. ვებრესურსები:

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=5

http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=17983

TIR სისტემის შესახებ, http://girca.org/TIR_სისტემის_შესახებ/m125

ქვეთავი VIII2. საბაჟო საწყობის პროცედურა

1. საბაჟო საწყობის პროცედურის გამოყენება. საბაჟო საწყობის პროცედურის ვადა

ვიდრე უშუალოდ გადავიდოდეთ საბაჟო საწყობის, როგორც სპეციალური პროცედურის მარეგულირებელი ნორმების კომენტარზე, მოკლედ საბაჟო საწყობის ისტორიისა და მისი, როგორც ეკონომიკური ხასიათის პროცედურის შესახებ.

საბაჟო საწყობების შექმნის ისტორია. საბაჟო საწყობების შექმნას თავისი ისტორია აქვს. სახელმწიფოები აარსებდნენ და აარსებენ საბაჟო საწყობებს. საქმე იმაშია, რომ შენახვის ფუნქციის მიღმა ხშირად დგას ქვეყანაში სტრატეგიული სასაქონლო მარაგების შექმნის სურვილი სტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური კატაკლიზმების (ომები, მოუსავლიანობა, ეკონომიკური კრიზისი, ემბარგოს გამოცხადება და ა.შ.) შემთხვევებისათვის. აქ ყველაზე უკეთ ჩანს საბაჟო საწყობების განსხვავება ჩვეულებრივი საწყობებისაგან. თუ ჩვეულებრივ საწყობებში საზღვარგარეთიდან საქონლის შემოტანა და მარაგის დაწყობა აუცილებლად დაკავშირებულია შესაბამისი გადასახდელებით დაბეგვრასთან, საბაჟო საწყობში საქონლის მოთავსება ემყარება გარკვეულ ადმინისტრაციულ ფიქციას, საწყობში მოთავსებული უცხოური საქონელი საბაჟო და საგადასახადო თვალსაზრისით ითვლება ჯერ კიდევ საზღვარგარეთ მყოფად, რადგან თავად საბაჟო საწყობის ტერიტორია ითვლება საბაჟო ტერიტორიის გარეთ ტერიტორიად. ამრიგად, სახელმწიფოს ეძლევა საშუალება დააგროვოს უცხოური საქონლის სტრატეგიული მარაგი შემოტანაზე გადასახადების გადაუხდელად.

გარკვეულ შემთხვევებში საბაჟო საწყობში საქონლის მოთავსება ასევე მომგებიანია მეწარმე პირისათვის იმითაც, რომ მის მიერ საბაჟო საწყობში შემოტანილი საქონელი ლეგიტიმურია, კანონიერია და საზღვრის გადმოლახვა მომხდარია საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობის ფარგლებში. მეორეს მხრივ, მეწარმეს საშუალება ეძლევა საქონლის საწყობში შენახვის პირობებში აუჩქარებლად

აწარმოოს სავაჭრო და სხვა მოქმედებები: უფრო მეტიც, თუ ქვეყანაში შესაბამისი გარიგება არ მოხდა ან სხვა ქვეყანაში უკეთესი პირობებია და მეწარმემ გადაწყვიტა იქ გადააგზავნოს საქონელი, მას საშუალება ეძლევა თავი აარიდოს მთელ რიგ საბაჟო პროცედურებს იმდენად, რამდენადაც ეს საქონელი საბაჟო თვალსაზრისით ამ ქვეყანაში თითქოს ჯერ არ შემოსულა[624].

საბაჟო საწყობის ეკონომიკური ხასიათის პროცედურის შესახებ. საბაჟო საწყობის ოპერაცია ეკონომიკური ხასიათის ოპერაციაა და ნიშნავს საქონლის შემოტანის ან გატანისათვის მოსამზადებელ სიტუაციას, როდესაც საქონელმფლობელს ეკონომიკურად ხელს აძლევს შემოტანილი ან გასატანი საქონლის მოთავსება ისეთ პირობებში, როდესაც მას არ უწევს სრული საბაჟო ფორმალობების ჩატარება, რაც დაკავშირებულია იმპორტის ან ესპორტის პროცედურებთა (მაგ; გადასახადების გადახდა იმპორტის დროს, არასატარიფო ღონისძიებები და ა.შ.). საქონელმფლობელს შეუძლია საიმპორტოდ გათვალისწინებული საქონელი მოათავსოს საბაჟო საწყობში, ხოლო შემდგომ გარკვეული ვადის გასვლისას ფინანსური საბრუნავი სახსრების არსებობის შესაბამისად განახორციელოს მოცემული საქონლის ნაწილ-ნაწილ ან მთლიანად მოქცევა იმპორტის (ან სხვა) პროცედურაში.

საბაჟო საწყობი 2 სახისაა: ღია და დახურული. ღია საბაჟო საწყობი ნიშნავს ისეთ დაწესებულებას, რომელიც განკუთვნილია ნებისმიერი საქონელმფლობელისათვის, ხოლო **დახურული ტიპის საბაჟო საწყობი** - მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული პირებისათვის[625].

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ **ჯერ ერთი ტერმინი „საბაჟო საწყობი“** გარკვეულ ობიექტს, ან/და დაცულ ტერიტორიას წარმოადგენს, რომელშიც გარკვეული პროცედურის ქვეშ მყოფი საქონელი შეინახება; **მეორეც, „საწყობი“** კონკრეტული სპეციალური ოპერაციაა, გარკვეული საბაჟო პროცედურაა. ეს არის კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის მოძრაობა საქონლის მწარმოებლიდან მის

---

[624] ლორთქიფანიძე ვ; საბაჟო საქმის საფუძვლები; თბილისი, 2002. 136-137.

[625] ურიდია გ; არახამია მ; რუხაია ფ; საბაჟო რეჟიმები, თბილისი, 2005, 42.

შემნახველამდე, ანუ ეს არის შუალედური რგოლი წარმოებასა და მოხმარებას შორის. საქონელს, რომელიც საწყობში იმყოფება, არა აქვს ჯერ საქართველოს საბაჟო საზღვარი გადალახული (ანუ ამ შემთხვევაში მოქმედებს საბაჟო პრეზუმფცია[626]), ის განკუთვნილია ნებისმიერი საბაჟო პროცედურის მისაღებად, შეიძლება გადავიდეს იმპორტში, ან კიდევ გატანილ იქნეს რეექსპორტად და ა.შ. საწყობში შენახული საქონელი ინახება კოტროლის ქვეშ და გადასახდელების გადახდის გარეშე[627].

საწყობის ოპერაციის ფუნქციას წარმოადგენს მეწარმე იმპორტიორი პირების ხელშეწყობა დაუბეგრავად შემოიტანონ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე უცხოური საქონელი და შესაბამისი საბრუნავი სახსრების მოპოვების შემთხვევაში პერიოდულად აწარმოონ მოცემული საქონლის გაშვება იმპორტში ან განახორციელონ სხვა ქვეყნების ბაზრების ათვისება ამ საქონლის საწყობიდან რეექსპორტის მიზნით[628]. საბაჟო საწყობის გახსნის უფლება ნებისმიერ პირს აქვს, კანონის „მეწარმეთა შესახებ" შესაბამისად, თუ საბაჟო საწყობის მფლობელი შემოსავლების სამსახური არაა. ღია ან დახურული საბაჟო საწყობის გახსნის გადაწყვეტილება საბაჟო საწყობის დაარსების შესახებ მიიღება ერთი ან რამდენიმე სპეციალურად გამოყოფილ და მოწყობილ სათავსოზე, ღია მოედანზე ან სხვა ადგილზე, რომელიც საბაჟო საწყობის ოპერაციის შესაბამისად განკუთვნილია საქონლის შესანახად, თუ მოცემული საცავი არის პირის მფლობელობაში და განლაგებულია ერთი საბაჟოს მოქმედების ზონაში.

---

[626]იხ. ხარაზი ი; „საგადასახადო სამართლებრივ რეგულირებაში პრეზუმპტიული მეთოდების გამოყენების შესახებ", „დიპლომატია და სამართალი", #1(4), 2018, გვ. 46-68.

[627] ხარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბილისი, 2014, 446; ასევე იხ. ჯგერენაია ე; საბაჟო ტექნოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 2002, 161.

[628] ხარაზი ი; დასახ. ნაშრ; 447.

საბაჟო საწყობის პროცედურის გამოყენება. საბაჟო საწყობის პროცედურა საშუალებას იძლევა, უცხოური საქონელი დასაწყობდეს საბაჟო საწყობში, საბაჟო ორგანოს საწყობში ან შენახვის სხვა ადგილზე, რაც არ იწვევს:

- ა) იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულების წარმოშობას;
- ბ) საქონლის მიმართ ვაჭრობაში დამცავი ღონისძიების გამოყენებას, თუ ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალული არ არის[629].

საბაჟო საწყობში, საბაჟო ორგანოს საწყობში ან შენახვის სხვა ადგილზე დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად დაზიანებული ან გაფუჭებული საქონელი საბაჟო პროცედურაში ექცევა იმავე წესით, რომლითაც მოექცეოდა ამ სახით არსებული საქონელი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „საბაჟო საწყობის პროცედურის შესახებ“ (დანართი №9), დადგენილი წესით საქართველოს საქონელი შეიძლება მოექცეს საბაჟო საწყობის პროცედურაში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში ან ამ საქონელზე გადახდილი იმპორტის გადასახადის დაბრუნების მიზნით.

საბაჟო საწყობის პროცედურაში საქონლის დეკლარირება ხორციელდება:

- ა) საქონლის საბაჟო დეკლარაციის წარდგენით;
- ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) სტრუქტურული ერთეულების სარეგისტრაციო სამსახურებში განთავსებულ გაფორმების ადგილებში – ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციის წარდგე-

---

[629] საბაჟო კოდექსი, მ. 122. ნ.1; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბაჟო საწყობის პროცედურის შესახებ“ (დანართი №9), მ.1.პ.1.

ნით – საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (შემდგომში – სეს ესნ) 8429, 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებზე (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ^3-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელებზე და ნახევრადმისაბმელებზე.

სეს ესნ-ის 8429, 8701, 8702, 8703, 8704, 8705, 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალება (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ^3-ზე მეტი, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) და 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელი და ნახევრადმისაბმელი, საბაჟო საწყობის საბაჟო დეკლარაციის წარდგენამდე, საექსპერტო შემოწმებისათვის უნდა წარედგინოს სააგენტოს, რომელიც ადგენს „მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერების აქტს (ფორმა 2).

საქონლის კოდების შესახებ იხ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის ბრძანება (№275 წლის) „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე" დანართი #1[630].

ზემოთ აღნიშნული განსაზღვრული ვალდებულებები არ ვრცელდება იმ სატრანსპორტო საშუალებებზე:

- ა) რომელიც შემოყვანილია იურიდიული პირის მიერ და რომელიც რეგისტრირებული არ ყოფილა;
- ბ) რომელსაც წინმსწრები საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის დეკლარირებისას სააგენტოს თანამშრომლის მიერ უკვე ჩაუტარდა სავალდებულო საექსპერტო შემოწმება.

საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქართველოს საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის მიზნით

[630] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3

ხორციელდება მისი რეექსპორტი, რაც წარმოადგენს ამ საქონელზე გადახდილი იმპორტის გადასახადის დაბრუნების საფუძველს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით საქართველოს საქონელი შეიძლება მოექცეს საბაჟო საწყობის პროცედურაში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში ან ამ საქონელზე გადახდილი იმპორტის გადასახადის დაბრუნების მიზნით[631].

ინსტრუქცია „საბაჟო საწყობის პროცედურის შესახებ" მე-3 მუხლის („**საბაჟო საწყობის პროცედურაში საქართველოს საქონლის მოქცევა**") მიუთითებს საბაჟო კოდექსის ზემოთ აღნიშნული 122-ე მუხლის მე-3 ნაწილის გამოყენების შემთხვევაში: „საბაჟო საწყობის პროცედურაში შესაძლებელია მოექცეს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული საქონელი, რომელსაც აქვს დეფექტი ან რომლის რაოდენობა, ხარისხი, შეფუთვა ან აღწერილობა არ შეესაბამება საგარეო-ეკონომიკური გარიგების პირობებს და ამის გამო იგი უბრუნდება მომწოდებელს ან მის მიერ მითითებულ სხვა პირს. **ამასთან, დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს შემდეგი პირობები:**

- ა) საქონელი არ უნდა იქნეს გამოყენებული და გადამუშავებული საქართველოს ტერიტორიაზე;
- ბ) შესაძლებელი უნდა იყოს საბაჟო ორგანოს მიერ საქონლის იდენტიფიცირება;
- გ) საქონელი საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეულ უნდა იქნეს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების დღიდან 6 თვეში;
- დ) საქონლის საბაჟო დეკლარაციასთან ერთად წარდგენილ უნდა იქნეს:
- დ.ა) პირის განცხადება საქონლის დეფექტის არსებობის, რაოდენობის, ხარისხის, შეფუთვისა და აღწერილობის საგარეო – ეკონომიკური გარიგების პირობებთან შეუსაბამობის შესახებ;
- დ.ბ) მომწოდებლისათვის ან მის მიერ მითითებული სხვა პირისათვის საქონლის დაბრუნებაზე მომწოდებლის თანხმობის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტი.

---

[631] საბაჟო კოდექსი, მ.122. ნ.3.

საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცევის მომენტიდან საქონელი კარგავს საქართველოს საქონლის სტატუსს და იძენს უცხოური საქონლის სტატუსს.

საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქართველოს საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის მიზნით ხორციელდება მისი რეექსპორტი, რაც წარმოადგენს ამ საქონელზე გადახდილი იმპორტის გადასახადის დაბრუნების საფუძველს. მაგალითისათვის, როცა ხდება საწყობში ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ3-ზე მეტია, ხოლო ელექტრომძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელის და ნახევრადმისაბმელის, დეკლარირების ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადის გაგრძელება შესაძლებელია **„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებით** გათვალისწინებული საფასურის გადახდით, არა უმეტეს 30 კალენდარული დღით“.

აღნიშნული დადგენილებით გაწერილია შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის თანდართული საფასურები და მათი განაკვეთები.

სიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის დადგენილი საფასურის გადახდისაგან თავისუფლდებიან:

- *ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;*
- *ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური;*
- *გ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭო;*
- *დ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი ვადაგადაცილებულ საგადასახადო და სასესხო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი კომისია;*
- *ე) საქართველოს პროკურატურა;*
- *ვ) საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;*
- *ზ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;*
- *თ) საქართველოს ეროვნული ბანკი;*
- *ი) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.*

დადგენილების მუხლი 1[10] -ის თანახმად, „საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებებსა და გაფორმების ეკონომიკურ ზონებში „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების" 54-ე, 54[9], 82[8] და 82[9] გრაფებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის დადგენილი ტარიფები ორმაგდება საქონლის არასამუშაო დროს დეკლარირების განხორციელების შემთხვევაში, გარდა ქ. ბათუმში, ბაქოს ქ. №11-ში მდებარე გაფორმების ადგილზე „ბათუმის" გაფორმების ეკონომიკური ზონის მიერ საბაჟო დეკლარაციის – ფორმა 4-ის ან კონტეინერით შემოტანილ სატრანსპორტო საშუალებაში განთავსებული საქონლის გაფორმების მიზნით საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის დეკლარაციის შევსებისას".

არასამუშაო დროს მომსახურების გაწევისათვის დადგენილი ტარიფები არ ორმაგდება იმ პირისათვის, რომელსაც „ოქროს სიის" მონაწილის სტატუსი მინიჭებული აქვს სსიპ – შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. აღნიშნული დადგენილების მიზნებისთვის, არასამუშაო დროა:

- *ა) საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებებსა და გაფორმების ეკონომიკურ ზონებში (გარდა გაფორმების ეკონომიკური ზონა „ფოთისა") ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით – 18 საათიდან მომდევნო დღის 10 საათამდე პერიოდი, შაბათს – 18 საათიდან ორშაბათის 10 საათამდე პერიოდი და უქმე დღეები;*
- *ბ) გაფორმების ეკონომიკურ ზონა „ფოთში" ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით – 21 საათიდან მომდევნო დღის 10 საათამდე პერიოდი, შაბათს – 21 საათიდან ორშაბათის 10 საათამდე პერიოდი და უქმე დღეები.*

დაინტერესების შემთხვევაში შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურები და მათი განაკვეთების სრულად იხ. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ"[632].

საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონლის მიმართ დასაშვები ქმედებები. საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონლის მიმართ დასაშვებია საქონლის შენახვის უზრუნველყოფ-

[632] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2800?publication=103.

ის, სასაქონლო სახის/მდგომარეობის გაუმჯობესების, ტრანსპორტირებისა და გაყიდვის ხელშეწყობის მიზნით ოპერაციების განხორციელება, კერძოდ:

• ა) ვენტილაცია, განიავება, გამოშრობა, მტვრის მოცილება, გასუფთავება, შეფუთვა, დამცავ შეფუთვაში მოთავსება, შეფუთვის მწყობრში მოყვანა, პარტიის დანაწილება, დახარისხება, გზავნილების ფორმირება, დამცავი საფენისა და კონსერვანტის ჩატანება, დამცავი მოწყობილობის შეყვანა;

• ბ) მარტივი ოპერაციების ფარგლებში, ტრანსპორტირების ან შენახვის დროს გამოწვეული დაზიანებების ელემენტარული შეკეთება,

• გ) ანტიკოროზიული საფენის ჩატანება ტრანსპორტირების წინ;

• დ) შენახვის ოპტიმალური ტემპერატურული რეჟიმის შექმნა (გაციება, გაყინვა, გახურება);

• ე) სატრანსპორტო საშუალებაზე დამცავი საფარის დატანა ან/და მოშორება;

• ვ) ტრანსპორტირების შემდეგ საქონლის რეკონსტრუქცია;

• ზ) ინვენტარიზაცია, სინჯის/ნიმუშის აღება, დახარისხება, გაცრა, მექანიკური გაფილტვრა და საქონლის აწონვა;

• თ) დაზიანებული ან დაბინძურებული/დასნებოვნებული კომპონენტების/დეტალების მოშორება;

• ი) შენახვა, პასტერიზაციის, სტერილიზაციის, დასხივების ან დამცავი საშუალებების დამატებით;

• კ) დატვირთვა/გადმოტვირთვა/გადატვირთვა;

• ლ) საქონლის განთავსება სადემონსტრაციო სტენდებზე;

• მ) დაკომპლექტებასთან ან სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებული მარტივი ოპერაციები;

• ნ) რაციონალურად განლაგების მიზნით საქონლის გადაადგილება საბაჟო საწყობში;

• ო) ტესტირება (გამოცდა);

• პ) საქონლის დემონსტრირება საბაჟო კონტროლის ზონაში;

• ჟ) სეს ესნ-ის 8701, 8702, 8703, 8704, 8705, 8711 (რომლის ძრავას მუშა-მოცულობა 50 სმ³ -ზე მეტია) ან 8716 (მისაბმელები და ნახევრადმისაბმელები) სასაქონლო პოზიციებში აღწერილი და კლასიფიცირებული სატრანსპორტო საშუალება, საქონლის მესაკუთრის მიერ დროებით (არაუმეტეს 48 საათისა) გატანილ იქნეს საბაჟო საწყობიდან. ამასთან, საქონლის დროებით გატანა ხორციელდება ამ ბრძანებით დამტკიცებული „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი

№3) შესაბამისად გამოწერილი ავტოსატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობით;

- რ) პარაზიტების საწინააღმდეგოდ დამუშავება;
- ს) ყანგსაწინააღმდეგო დამუშავება (მათ შორის, შეღებვა);
- ტ) დამუშავება:
  - ტ.ა) ტემპერატურის მარტივი მატებით, შემდგომი დამუშავების ან დისტილაციის პროცესების გარეშე; ან
  - ტ.ბ) ტემპერატურის მარტივი დაკლებით;

შენიშვნა: „ტ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედებები დასაშვებია იმ შემთხვევაშიც, თუ აღნიშნული გამოიწვევს საქონლის სეს ესნ-ის თერთმეტნიშნა კოდის ცვლილებას.

- უ) ელექტროსტატიკური დამუშავება, ქსოვილების გაუთოვება/გასწორება;
- ფ) დამუშავება, რომელიც შედგება შემდეგი ოპერაციებისაგან:
  - ფ.ა) ბილის გასუფთავება ან/და დაკურკვა, გამომშრალი ბილისა და ბოსტნეულების დაჭრა ან დამტვრევა, ბილის ხელახალი დატენიანება/რეჰიდრაცია, ან
  - ფ.ბ) ბილის დეჰიდრაცია, იმ შემთხვევაშიც, თუ იგი გამოიწვევს საქონლის სეს ესნ-ის თერთმეტნიშნა კოდის ცვლილებას;
- ქ) ტყავების გამტკნარება, გაწმენდა და დაჩხვლეტა;
- ღ) საქონლის დამატება ან დამხმარე კომპონენტების დამატება ან შეცვლა, მანამ, სანამ ასეთი დამატება ან შეცვლა შედარებით შეზღუდულია ან გამიზნულია ტექნიკური სტანდარტების დაკმაყოფილებისთვის და არ ცვლის ან აუმჯობესებს პირვანდელი საქონლის მუშაობას, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს იწვევს საქონლის სეს ესნ-ის თერთმეტნიშნა კოდის ცვლილებას დამატებული ან გამოცვლილი საქონლისთვის;
- ყ) სითხეების გაზავება ან კონცენტრირება, დამატებითი დამუშავების ან გამოხდის პროცესის გარეშე, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს იწვევს საქონლის სეს ესნ-ის განსხვავებული თერთმეტნიშნა კოდის წარმოქმნას;
- შ) ერთი და იმავე სახის, მაგრამ განსხვავებული ხარისხის საქონლის შერევა სტაბილური ხარისხის ან დამკვეთის/მყიდველის მიერ, საქონლის ტიპის ცვლილების გარეშე, მოთხოვნილი ხარისხის მისაღებად;
- ჩ) სეს ესნ-ის 27-ე თავში კლასიფიცირებული, ბიოდიზელის შემცველი ბუნებრივი აირის ან საწვავის შერევა ისეთ ბუნებრივ აირთან ან საწვავთან, რომელიც არ შეიცავს ბიოდიზელს, თუ აღნიშნული ოპე-

რაციის მიზანია საქონლის სტაბილური ხარისხის ან დამკვეთის/მყიდველის მიერ, საქონლის ტიპის ცვლილების გარეშე მოთხოვნილი ხარისხის მისაღება. ამასთან, ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ოპერაცია დასაშვებია იმ შემთხვევაშიც, როცა ეს იწვევს საქონლის სეს ესნ-ის თერთმეტნიშნა კოდის ცვლილებას;

• ც) ბუნებრივი აირის/საწვავისა და ბიოდიზელის შერევა, როდესაც ნარევი შეიცავს 0,5%-ზე ნაკლებ ბიოდიზელს ან ბუნებრივ აირს/საწვავს;

• ძ) საქონლის დაყოფის ან ამოჭრის მარტივი ოპერაციები;

• წ) შეფუთვა, შეფუთვიდან ამოღება, შეფუთვის შეცვლა, გადასხმა და ჭურჭელში გადატანის მარტივი ოპერაციები, იმ შემთხვევაშიც, როცა ეს გამოიწვევს საქონლის სეს ესნ-ის თერთმეტნიშნა კოდის ცვლილებას;

• ჭ) მარკირება (მ.შ. აქციზური მარკების დაკვრა), მარკის, ლუქის, იარლიყის/ეტიკეტის, ფასის ნიშნულის ან სხვა მსგავსი განმასხვავებელი ნიშნების დამაგრება, მოხსნა ან შეცვლა;

• ხ) ტექნიკურ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, მარტივი ოპერაციებით მექანიზმების, აპარატურის ან/და სატრანსპორტო საშუალებების ტესტირება, მორგება, მოწესრიგება, რეგულირება;

• ჯ) მილების საერთების დაბლაგვება, კონკრეტული ბაზრებისთვის მოსამზადებლად;

• ჰ) დენატურირება, იმ შემთხვევაშიც, თუ აღნიშნული იწვევს საქონლის სეს ესნ-ის თერთმეტნიშნა კოდის ცვლილებას;

• ჰ') საქონლის შენახვის უზრუნველყოფის, ტრანსპორტირებისა და გაყიდვის ხელშეწყობის მიზნით საჭირო სხვა ისეთი ოპერაციები, რომლებიც არ ცვლის და არ აუმჯობესებს საქონლის პირვანდელ ბუნებას/ტიპს

იხ. ინსტრუქციის „საბაჟო საწყობის პროცედურის შესახებ", მე-5 მუხლი - „საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონლის მიმართ დასაშვები ქმედებები", მ.1.

საკომენტარო ინსტრუქციის აღნიშნული მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, განხორციელებულმა ოპერაციებმა არ უნდა გამოიწვიოს სასაქონლო კლასიფიკაციის შეცვლა სეს ესნ-ის მიხედვით, ციფრული კოდის მეთერთმეტე ნიშნის დონემდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ცვლილება დაშვებულია ამავე პუნქტის შესაბამისი ქვეპუნქტით.

ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბაჟო საწყობიდან დროებით გატანილი საქონლის მიმართ თავისუფალი მიმოქცევის პროცედურის ან რეექსპორტის გამოყენების შემთხვევაში (მათ შორის, საკუთრების უფლების გადაცემისას) ან საბაჟო საწყობის პროცედურის გამოყენებით სხვა საბაჟო საწყობში ან დროებით შენახვის სხვა ადგილზე განთავსებისას, მისი დაბრუნება საბაჟო საწყობში სავალდებულო არ არის.

საბაჟო საწყობის მფლობელი უფლებამოსილია, საქონლის მესაკუთრის თანხმობით ერთ სათავსში განათავსოს განსხვავებული წარმოშობის ქვეყნისა და ხარისხის ნავთობი ან ნავთობპროდუქტები, ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა *(საუბარია „საბაჟო საწყობის პროცედურის დეკლარირება“-ზე)* გათვალისწინებით. ამასთან, დანაკლისის აღმოჩენის შემთხვევაში, საგადასახადო ან/და საბაჟო ვალდებულება გამოითვლება ერთ სათავსში დასაწყობებული საქონლიდან უდიდესი ერთეულის ფასის საფუძველზე.

საბაჟო საწყობის ან შენახვის სხვა ადგილის მფლობელი უფლებამოსილია, საქონლის ტრანსპორტირებისათვის ან შეფუთვისათვის გამოყენებული ნაწარმი, რომელიც საბაჟო საწყობში ან შენახვის სხვა ადგილზე რჩება სატრანსპორტო საშუალების გახსნისა და საქონლის გადმოტვირთვის, ან ამ მუხლის პირველი პუნქტების შესაბამისად განხორციელებული ოპერაციების შემდეგ, მოაქციოს შესაბამის საბაჟო პროცედურაში ან განახორციელოს რეექსპორტი ან საქართველოს საბაჟო კოდექსის XV თავით განსაზღვრული განკარგვის ღონისძიება, რომელზედაც ვრცელი კომენტარი იყო შემოთავაზებული საბაჟო სამართლის პირველ ნაწილში და ამავე სახელმძღვანელოს შესაბამის პარაგრაფებში განსახილველ საკითხებთან კავშირში. ამასთან, აღნიშნული ნაწარმის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება ექვემდებარება იმპორტის გადასახდელის გადახდას ისევე, როგორც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ასეთი მდგომარეობის საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება.

თუ საბაჟო საწყობში შენახული საქონლის დანაკლისი არ აღემატება დეკლარირებული რაოდენობის 3 პროცენტს, საბაჟო

ორგანო საბაჟო დეკლარაციაში შესაბამის ცვლილებებს ახორციელებს დეკლარანტის მიერ გაცხადებული და საბაჟო საწყობის მიერ დადასტურებული საქონლის რაოდენობის გათვალისწინებით.

რა შემთხვევაშია შესაძლებელი საბაჟო საწყობიდან საქონლის გატანა? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ინსტრუქციის „საბაჟო საწყობის პროცედურის შესახებ“ მ.7, კერძოდ, „საბაჟო საწყობიდან საქონლის გატანისას საბაჟო ორგანოს წარედგინება საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობა (შემდგომში – აღრიცხვის მოწმობა) ან საქონლის საბაჟო დეკლარაცია ან რეექსპორტის დეკლარაცია ან საბაჟო ორგანოსთვის მისაღები სხვა დოკუმენტი (TIR წიგნაკი, ATA წიგნაკი, საქონლის განკარგვის აქტი ან სხვ.).

საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, უზრუნველყოს სეს ესნ-ის 8429, 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებზე (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ³-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) და 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებულ მისაბმელებზე და ნახევრადმისაბმელებზე რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციის, აგრეთვე საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული ინფორმაციის საბაჟო საწყობისათვის მიწოდება წერილობითი ან/და ელექტრონული (მათ შორის, მონაცემთა ბაზის ერთიანი ელექტრონული დამუშავებისა და გადაცემის სისტემის გამოყენებით) ფორმით. ამასთან, ელექტრონულ დოკუმენტს და მის ამონაბეჭდს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც წერილობით დოკუმენტებს. საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონელი, საბაჟო ორგანოს თანხმობით, შესაძლებელია დროებით ან სრულად გადატანილ იქნეს სხვა საბაჟო საწყობში ან ამ ინსტრუქციით განსაზღვრულ შენახვის სხვა ადგილზე. ამასთან, საქონლის დროებით გადატანა ხორციელდება გაფორმების საბაჟო ორგანოში იმპორტის გადასახდელის ოდენობის გარანტიის წარდგენით და აღრიცხვის მოწმობის გაცემით, ხოლო სრულად გადატანა – აღრიცხვის მოწმობის გაცემით და

დანიშნულების საბაჟო ორგანოში ახალი საქონლის საბაჟო დეკლარაციის წარდგენით.

საბაჟო საწყობიდან ტრანზიტში გაცხადებული საქონლის გატანისას დეკლარანტის წარმომადგენელს უფლება აქვს, განახორციელოს საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონლისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების/კონტეინერის ნიშანდება საბაჟო ორგანოს მიერ გაცემული იდენტიფიკაციის საშუალების გამოყენებით.

საბაჟო საწყობი უფლებამოსილია განახორციელოს საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების ნიშანდება საბაჟო ორგანოს მიერ გაცემული იდენტიფიკაციის საშუალებების გამოყენებით.

საბაჟო საწყობი/დეკლარანტის წარმომადგენელი ვალდებულია მომდევნო სამუშაო დღის ბოლომდე შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე (www.rs.ge) გადასახადის გადამხდელის პირადი გვერდის მეშვეობით ასახოს ინფორმაცია განხორციელებული ნიშანდების თაობაზე.

რაც შეეხება ინსტრუქციის მე-7 პუნქტში მითითებულ TIR წიგნაკს და ATA წიგნაკს, საქონლის განკარგვის აქტს, სასაქონლო კოდებს პოზიციების და სუბპოზიციების მიხედვით, გარანტიის წარდგენას, ამ თემებზე საკმაოდ ვრცელი კომენტარია შემოთავაზებული, არა მარტო საბაჟო სამართლის პირველ ნაწილში[633], ასევე აღნიშნულ სახელმძღვანელო და ამ საკითხების განვრცობას სახელმძღვანელოს ფართო ფორმატიდან გამომდინარე აქ ალარ შემოგთავაზებთ.[634]

---

[633] ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021.

[634] ხარაზი ია, საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021; ხარაზი ია; საბაჟო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, 2022; როგავა ნადარაია, როგავა, რუხაძე, ბოლქვაძე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, §§ 156-310, 47-ე მუხლ. ავტ. ნადარაია, 331, https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00J1P6.pdf; გონერ ურიდია, ფრიდონ არახამია, საბაჟო საქმის თეორია, თბილისი, 200; ურიდია გ; საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები, გამოცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2011; ლორთქიფანიძე ვ; საბაჟო საქმის საფუძვლები, თბილისი, 2002; ჯგერენაია ემზარ, საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, თბილისი,

აღრიცხვის წარმოება. დეკლარანტმა, პროცედურის მფლობელმა ან ნებისმიერმა პირმა, რომელიც ახორციელებს საქონლის შენახვასთან დაკავშირებულ საქმიანობას, საქართველოს საბაჟო კოდექსის 112-ე მუხლის[635] შესაბამისად, **უნდა აწარმოოს შემდეგი მონაცემების აღრიცხვა და შენახვა:**

- ა) საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცევის საბაჟო დეკლარაციის ნომერი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სპეციალური პროცედურა დასრულებულია საქართველოს საბაჟო კოდექსის 113-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, აგრეთვე ინფორმაცია პროცედურის დასრულების შესახებ;

იხ. საბაჟო კოდექსის 123-ე მუხლის - „სპეციალური პროცედურის დასრულება" კომენტარი.

2002; გ ურიდია, მ. არახამია, ფ. რუხაია, საბაჟო რეჟიმები, თბილისი, 2005; ურიდია გონერ, რუხაია ფრიდონ, არახამია მერაბ, საბაჟო გაფორმება TIR და ATA (CPD) კარნეტის პრინციპებით, თბილისი, 2004; ურიდია გონერ, არახამია მერაბ, რუხაია ფრიდონ, საბაჟო რეჟიმები, თბილისი, 2005; ხარაზი ია; საქართველოს საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა", თბილისი, 2015; ხარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბილისი, 2014; ხარაზი ი; საერთაშორისო საბაჟო სამართალი, თბილისი, 2013; ხარაზი ია, აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტ. თანაავტ. „საგადასახადო და საბაჟო სამართალი ქართულ სასამართლო სივრცეში (სასამართლო პრაქტიკის მასალები იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის)", გამომც. ქუთაისის უნივერსიტეტი, თბილისი, 2019; Борисов К. Г. Международное Таможенное право, Учеб, пособие – М; изд. ун-та дружби народов 1997; Козирин А. Н. Таможенное право Росии, Учеб, пособие – М; фирма СПАРК, 1995; Бахрах Д. Н. Кивалов С. В. Таможенное право Росии, Екатеринбург, Диамант, 1995, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის ბრძანება (№275 წლის) „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე" დანართი #1, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3

[635] იხ. საბაჟო კოდექსისი 112-ე მუხლის კომენტარი.

• ბ) საბაჟო დოკუმენტების, მათ შორის, საქონლის სპეციალურ პროცედურაში მოქცევასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტისა და პროცედურის შესაბამის შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები;

• გ) დეტალები საქონლის იდენტიფიკაციისთვის საჭირო ნიშნების, საიდენტიფიკაციო ნომრების, შეფუთვის რაოდენობისა და სახეობის, საქონლის რაოდენობისა და ნორმალური კომერციული ან ტექნიკური აღწერილობისა და, საჭიროების შემთხვევაში, კონტეინერის საიდენტიფიკაციო ნიშნების შესახებ;

• დ) საქონლის ადგილმდებარეობისა და მისი ნებისმიერი გადაადგილების შესახებ ინფორმაცია;

• ე) საქონლის საბაჟო სტატუსი;

• ვ) საქონლის მიმართ გამოყენებული დასაშვები ქმედებების და ამ ქმედებების შედეგად საქონლის კლასიფიკაციის ცვლილების შესახებ მონაცემები;

• ზ) საქართველოს საბაჟო კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საქონლის დასაწყობების ან/და საქონლის მიმართ დასაშვები ქმედებების ხარჯი;

• თ) მონაცემები, რომლებიც უზრუნველყოფს ეკვივალენტური საქონლის გამოყენების საბაჟო ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას;

• ი) საჭიროების შემთხვევაში, პროცედურის მფლობელის უფლებებისა და მოვალეობების სხვა პირისათვის გადაცემის შესახებ მონაცემები;

• კ) განსაკუთრებული შემთხვევებში, საბაჟო ორგანოს მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია.

საბაჟო ორგანოს მიერ შესაძლებელია არ იქნეს მოთხოვნილი ამავე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია, თუ ასეთი ინფორმაციის არარსებობა არ დააბრკოლებს სპეციალური პროცედურის გამოყენებაზე საბაჟო ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელებას.

ეკვივალენტური საქონლის გამოყენება. პროცედურის მფლობელის მოთხოვნის შემთხვევაში, საბაჟო ორგანო უფლებამოსილია გასცეს ავტორიზაცია საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული

უცხოური საქონლის ნაცვლად ქართული საქონლის, როგორც ეკვივალენტური საქონლის გამოყენების შესახებ.

ეკვივალენტური საქონლის საბაჟო საწყობის პროცედურაში გამოყენების ავტორიზაციის მინიჭების მიზნებისათვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს ეკვივალენტური საქონლის გამოყენება სისტემატურია თუ არა.

საბაჟო საწყობის პროცედურაში ეკვივალენტური საქონლის გამოყენება დაუშვებელია, თუ:

- ა) საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონელი თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას დაექვემდებარებოდა ანტიდემპინგურ ღონისძიებას;
- ბ) ეკვივალენტურ საქონლად გამოყენება შეეხება იმ საქონელსა და პროდუქტებს, რომლებზეც გენეტიკური მოდიფიცირება განხორციელდა ან რომლებიც შეიცავენ ელემენტებს, რომლებზეც გენეტიკური მოდიფიკაცია განხორციელდა.

ეკვივალენტურ საქონელს უნდა გააჩნდეს იგივე სეს ესნ-ის კოდი თერთმეტნიშნა დონეზე, იგივე ხარისხი და ტექნიკური მახასიათებლები, რაც აქვს საქონელს, რომელსაც იგი ანაცვლებს. საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონლის ნაცვლად ეკვივალენტური საქონლის შენახვის შემთხვევაში, ეკვივალენტური საქონელი განიხილება როგორც უცხოური საქონელი, ხოლო მის მიერ ჩანაცვლებული, საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონელი განიხილება როგორც საქართველოს საქონელი.

საბაჟო ვალდებულების სპეციალური წესით გაანგარიშება. როდესაც საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონლის მიმართ დასაშვები ქმედებების განხორციელების შედეგად[636] შეიცვალა საქონლის სეს ესნ-ის კოდი, საქართველოს **საბაჟო კოდექსის 54-ე მუხლის მე-4 ნაწილის** შესაბამისად, საბაჟო ვალდებულება გაანგარიშდება საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონლის თავდაპირველი სეს ესნ-ის კოდის გათვალისწინებით, იმ

---

[636] შესაბამისად იხ. ინსტრუქციის „საბაჟო საწყობის პროცედურის შესახებ“ მ.5 („საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონლის მიმართ დასაშვები ქმედებები“).

შემთხვევაში, თუ საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონელი თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში დეკლარირებისას დაექვემდებარებოდა ანტიდემპინგურ ღონისძიებას.

საბაჟო საწყობის პროცედურის ვადა. საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონლის შენახვის ვადა **2 წელს** არ უნდა აღემატებოდეს. დეკლარანტმა შეიძლება გააგრძელოს ეს ვადა შეუზღუდავი რაოდენობით, იმ პირობით, რომ თითოეული გაგრძელებული ვადა **2 წელს** არ აღემატება.

ინსტრუქციის „საბაჟო საწყობის პროცედურის შესახებ" მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის შემთხვევაში: **საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონლის შენახვის ვადის გაგრძელების შემთხვევაში:**

- ა) წინასწარ განსაზღვრული ვადის გასვლამდე თავდაპირველ საქონლის საბაჟო დეკლარაციაში შედის ცვლილება და მიეთითება საქონლის შენახვის გაგრძელებული ვადა დღეებში, ხოლო ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციაში მიეთითება საქონლის შენახვის ვადის ამოწურვის ახალი თარიღი;
- ბ) წინასწარ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, რაც წარმოადგენს საბაჟო პროცედურის პირობების დარღვევას, წარმოდგენილი უნდა იქნეს ახალი საბაჟო დეკლარაცია.

განსაკუთრებულ შემთხვევაში საბაჟო ორგანოს შეუძლია დაადგინოს საბაჟო საწყობის პროცედურის დასრულების ვადა იმ საქონლისთვის, რომლის ხანგრძლივად დასაწყობებამ, მისი სახეობიდან და მახასიათებლიდან გამომდინარე, შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობას, მცენარეს ან გარემოს.

2. საბაჟო საწყობი, საბაჟო ორგანოს საწყობი და საქონლის შენახვის სხვა ადგილი[637]

საბაჟო საწყობში შესაძლებელია: საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონლის შენახვა.

საბაჟო ორგანოს საწყობში შესაძლებელია განთავსდეს[638]:

- ა) დროებით შენახული ან საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონელი;
- ბ) საბაჟო კონტროლის ზონის ტერიტორიაზე აღმოჩენილი უპატრონო (მიტოვებული) საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება;
- გ) ჩამორთმეული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება საბაჟო სამართალდარღვევის საქმის განხილვამდე, კანონმდებლობით დადგენილი ზოგიერთი კატეგორიის საქონლის მიმართ დაწესებული შენახვის განსაკუთრებული რეჟიმის გათვალისწინებით;
- დ) მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად დაგირავებული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება[639];
- ე) უსასყიდლოდ ჩამორთმეული ან სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადაცემული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება უფლებამოსილი ორგანოსათვის გადაცემამდე, კანონმდებლობით დადგენილი ზოგიერთი კატეგორიის საქონლის მიმართ დაწესებული შენახვის განსაკუთრებული რეჟიმის გათვალისწინებით;

ამ საკითხებზე საბაჟო სამართლის პირველ ნაწილში (ავტ. ხარაზი ი., 2021) და აღნიშნულ სახელმძღვანელოში ზემოთ უკვე იყო საუბარი.

- ვ) საბაჟო გამშვები პუნქტის სამოქმედო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი, რომელზეც საბაჟო ორგანოში არ არის წარმოდგენილი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემდგომი

---

[637] საბაჟო კოდექსი, მ.124.

[638] ინსტრუქცია „საბაჟო საწყობის პროცედურის შესახებ", მ.8.

[639] ამ საკითხის შესახებ დაწვრ. იხ. ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, 2021.

გადაადგილებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტი (ნებართვა, სერტიფიკატი და სხვა);

• ზ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანას ან განადგურებას დაქვემდებარებული, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე უკვე შემოტანილი აკრძალული საქონელი, რომლის შემოტანა იკრძალება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე;

საქონლის გატანისა და განადგურების შესახებ ვრცლად იხ. ბარაზი ი; საბაჟო სამართალი, 2021.

• თ) საქონელი, რომლის მიმღებს ან იმპორტიორს წარმოადგენს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტრო ან მის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო;

• ი) დროებით დასაწყობებული საქონელი, მის მიმართ საბაჟო პროცედურის სახის განსაზღვრის დასრულებამდე ან რექსპორტამდე;

რექსპორტის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი და მოგვიანებით გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით ისევ დავუბრუნდებით, რაც შეეხება დროებით დასაწყობებულ საქონელს, ამ თავში ზემოთ იყო საუბარი და მოგვიანებით, ამავე თავში ბოლოს ისევ მივუბრუნდებით ამ საკითხს.

• კ) საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონელი.

მგზავრის მომართვის საფუძველზე საბაჟო ორგანოს საწყობი უფლებამოსილია, საქონელი შეინახოს **20 კალენდარული დღის განმავლობაში**, რომელიც შესაძლებელია გააგრძელდეს 10 კალენდარული დღით[640].

• ბ) საქონლის დროებით შენახვა;

საბაჟო ორგანოს საწყობში საქონლის დროებით შენახვა ხორციელდება:

• ა) საკომენტარო ინსტრუქციის მე-8 მუხლის მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებით და მე-2 პუნქტით *(„მგზავრის მომართვის საფუძველზე საბაჟო ორგანოს საწყობი უფლებამოსილია, საქონელი შეინახოს 20 კალენდარული დღის განმავლობაში, რომელიც*

---

[640] ინსტრუქცია „საბაჟო საწყობის პროცედურის შესახებ“ მ.8.პ.1.

შესაძლებელია გაგრძელდეს 10 კალენდარული დღით") გათვალისწინებულ შემთხვევებში – დეკლარანტის მიერ დროებით შენახვის დეკლარაციის წარდგენით;

• ბ) სხვა შემთხვევებში – საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით და დროებით შენახვის დეკლარაციის შევსებით, გარდა ქვემოთ მითითებული მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. მე-4 პუნქტის მიხედვით, კი: „საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონლის საბაჟო ორგანოს საწყობში დროებით დასაწყობებისას დროებით შენახვის დეკლარაცია არ წარედგინება და საქონელი აღირიცხება მონაცემთა დამუშავების ავტომატიზებული სისტემის მეშვეობით, შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად".

საბაჟო ორგანოს საწყობში სატრანსპორტო საშუალების განთავსებისას სატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება დამატებით სავალდებულო დალუქვას. დამატებითი ლუქის დადება დალუქულ სატრანსპორტო საშუალებაზე არ იწვევს საბაჟო ორგანოს შესაბამისი თანამშრომლის პასუხისმგებლობას დეკლარანტის მიერ წარმოდგენილი სატრანსპორტო დოკუმენტების ან მოწმობის საფუძველზე შევსებულ დროებით შენახვის დეკლარაციაში ასახული მონაცემების ფაქტობრივი სიზუსტის მიმართ.

• გ) საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დროებით შენახვა;

დასაშვებია საბაჟო საწყობში შენახულ საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა.

საბაჟო კანონმდებლობა დასაშვებად მიიჩნევს საბაჟო საწყობში შენახულ საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემას ინსტრუქციის საბაჟო საწყობის პროცედურის შესახებ" მე-6 მუხლის თანახმად, კერძოდ: საბაჟო საწყობში შენახულ, საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეულ საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა დასაშვებია საქონლის მესაკუთრესა და ნებისმიერ სხვა პირს შორის წერილობით გაფორმებული ხელშეკრულების ან საქონლის ნასყიდობის სხვა დოკუმენტის საფუძველზე (პ.1). ამავე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქონლის შემძენის მიერ ნებისმიერი საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის გამოყენებამდე, ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, საქონლის გამსხვისებელს უნარჩუნდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული უფლება. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება საბაჟო ორგანოს.

ამავე მუხლის ზემოთ აღნიშნული პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქონლის ახალი მესაკუთრე ვალდებულია, ხელშეკრულების ან

საქონლის ნასყიდობის სხვა დოკუმენტის შესაბამისად, საკუთრების უფლების შეძენიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა განახორციელოს ამ საქონლის დეკლარირება შესაბამის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში. ამასთან, შიდა გადამუშავების შედეგად მიღებულ გადამუშავებულ პროდუქტზე, გადაუმუშავებელ საქონელზე, ნარჩენზე ან/და ჯართზე საკუთრების უფლების გადაცემის შემთხვევაში შესაბამისი საქონელი შესაძლებელია მოექცეს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების, ექსპორტის ან საბაჟო საწყობის პროცედურაში, ან განხორციელდეს საქონლის რეექსპორტი ან განკარგვა.

საბაჟო საწყობში შენახული, საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონელი (შიდა გადამუშავების შედეგად მიღებული გადამუშავებული პროდუქტის, გადაუმუშავებელი საქონლის, ნარჩენის ან/და ჯართის და საქართველოში მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონლის გარდა) შესაძლებელია დაგირავდეს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად, საქონლის მესაკუთრესა და ნებისმიერ სხვა პირს შორის წერილობით დადებული გარიგებისა და ამ გარიგებით განსაზღვრული გირავნობის უფლების საჯარო რეესტრში („საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სატრანსპორტო საშუალებასა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე – სააგენტოში) რეგისტრაციის საფუძველზე, კერძოდ, *კანონის „საგზაო მოძრაობის შესახებ“ 53-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულია: საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას დადგენილი წესით რეგისტრაციას ექვემდებარება:*

- *ა) მექანიკური სატრანსპორტო საშუალება (გარდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ განსაზღვრული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებებისა);*
- *ბ) მისაბმელი, რომელიც განკუთვნილია ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებით მისი ბუქსირებისთვის;*
- *გ) სპორტული დანიშნულების ავტომობილი;*
- *დ) ამ პუნქტის „ა“–„გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალებების ნომრიანი აგრეგატები;*
- *ე) სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალება;*
- *ვ) ინდივიდუალური (თვითნაკეთი) წესით დამზადებული ან გადაკეთებული ამ პუნქტის „ა“–„ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული*

სატრანსპორტო საშუალებები, მათი ნომრიანი აგრეგატები და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალება.

დაგირავებული საქონლის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 260[1] მუხლის *(„დაგირავებული ნივთის გადასვლა კრედიტორის (მოგირავნის) საკუთრებაში", რომლის თანახმად, „დაგირავებული ნივთი შეიძლება გადავიდეს კრედიტორის (მოგირავნის საკუთრებაში სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ საფუძველზე მხოლოდ რეგისტრირებული გირავნობის შემთხვევაში და ამის შესახებ პირდაპირ უნდა აღინიშნოს ბელშეკრულებაში")* შესაბამისად, მოგირავნის საკუთრებაში გადასვლის შემთხვევაში, მოგირავნე ვალდებულია, საკუთრების უფლების შეძენიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, განახორციელოს ამ საქონლის დეკლარირება შესაბამის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში.

დაგირავებული საქონლის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 283-ე მუხლის შესაბამისად რეალიზაციის შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია, საკუთრების უფლების შეძენიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, განახორციელოს ამ საქონლის დეკლარირება შესაბამის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში.

სამოქალაქო კოდექსის 283-ე მუხლში („გირავნობის საგნის რეალიზაცია") საუბარია: „მოგირავნე უფლებამოსილია უშუალოდ მოაბდინოს გირავნობის საგნის რეალიზაცია, თუ არსებობს ამის შესახებ მოგირავნისა და დამგირავებელის შეთანხმება. უშუალოდ მოგირავნის მიერ გირავნობის საგნის პირდაპირი მიყიდვის გზით რეალიზაციის შემთხვევაში მოგირავნე ვალდებულია, გირავნობის საგანი გაასხვისოს სამართლიან და გონივრულ ფასში თავისი, დამგირავებლისა და სხვა მოგირავნეების ინტერესების გათვალისწინებით, ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოგირავნე პასუხს აგებს დამგირავებლისა და სხვა მოგირავნეებისთვის მიყენებული ზიანისათვის. თუ გირავნობის საგანს აქვს საბირჟო ან საბაზრო ფასი, მოგირავნეს შეუძლია გირავნობის საგნის გაყიდვა მიანდოს სპეციალურ სავაჭრო დაწესებულებას. თუ დაგირავებული მოთხოვნის რეალიზაცია ხორციელდება მოვალის მიერ მოგირავნის სასარგებლოდ შესრულებით, მოგირავნე ვალდებულია წარუდგინოს დამგირავებელს ანგარიში მოვალის მიერ თავის სასარგებლოდ განხორციელებული შესრულების შესახებ".

ინსტრუქციის მე-6 მუხლის მე-3, მე-5 და მე-6 პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში, შესაბამისი ინფორმაცია შეიტანება წინმსწრებ საქონლის საბაჟო დეკლარაციაში, რომელიც ჩათვლება ძალადაკარგულად.

საბაჟო ორგანოს საწყობში შეიძლება საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონლის გარდა საბაჟო ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული სხვა საქონელიც განთავსდეს.

საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონლის შენახვის სხვა ადგილები და მისი შენახვის შემთხვევები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „საბაჟო საწყობის პროცედურის შესახებ".

საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონლის შენახვა შესაძლებელია საბაჟო საწყობში, საბაჟო ორგანოს საწყობში და გაფორმების ეკონომიკურ ზონაში, აგრეთვე შენახვის სხვა ადგილას, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

სხვა ადგილას საქონლის შენახვა შესაძლებელია:

- ა) როცა არ არსებობს საბაჟო საწყობი, რომელიც აკმაყოფილებს საქონლის შენახვისათვის აუცილებელ პირობებს (რადიაციული, საშიში ტვირთი, არაგაბარიტული და სხვა) და საქონლის მიმღების მიერ გაფორმების საბაჟო ორგანოში წარდგენილია იმპორტის გადასახდელის ეკვივალენტური თანხის ოდენობის გარანტია;
- ბ) როცა საქონლის შენახვის უზრუნველყოფისათვის ან/და გაყიდვისა და ტრანსპორტირების ხელშეწყობის მიზნით, საკომენტარო ინსტრუქციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის[641] შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება საბაჟო საწყობის ტერიტორიაზე შეუძლებელია და საქონლის მიმღების მიერ გაფორმების საბაჟო ორგანოში წარდგენილია იმპორტის გადასახდელის ეკვივალენტური თანხის ოდენობის გარანტია;
- გ) როცა საქონლის მიმღებს წარმოადგენს **„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონით**[642] გათვალისწინებული სამინისტრო ან მის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო

---

[641] საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონლის მიმართ დასაშვებ ქმედებებზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

[642] სრული სახით იხ. საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ". https://matsne.gov.ge/ka/document/view/2062?publication=41

საქვეუწყებო დაწესებულება ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო;

• დ) საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილ საზღვაო ნავსადგურში განსაზღვრულ ტერიტორიაზე;

• ე) როცა საქონლის შენახვა ხორციელდება საქონლის მიმღების/იმპორტიორის საწყობში, ხოლო საქონელი წარმოადგენს გადამზიდი სატრანსპორტო საშუალების მეშვეობით შემოტანილ:

• ე.ა) სეს ესნ-ის 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებულ საქონელს;

• ე.ბ) ახალ (საქართველოში შემოტანამდე დაურეგისტრირებელ), სეს ესნ-ის 8429, 8701, 8702, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებს (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ³-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) და 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელებს და ნახევრადმისაბმელებს;

• ვ) შემოსავლების სამსახურის თანხმობით, საქონლის მიმღების/იმპორტიორის საწყობში ავტონაწილების შენახვისას;

• ზ) იდენტიფიცირებული ავტოსადგომის ტერიტორიაზე, არა უმეტეს 30 კალენდარული დღით – სეს ესნ-ის 8702 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი ავტომობილის (რომლის დასასხდომი ადგილების რაოდენობა, გარდა მძღოლის ადგილისა, აღემატება 8-ს, მაგრამ არ აღემატება 16-ს და რომლის სიგრძე არ აღემატება 8 მეტრს, აგრეთვე გადაბმულისა მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 750 კგ-ს), 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ³-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია),

8704 21 და 8704 31 სასაქონლო სუბპოზიციებით[643] გათვალისწინებული ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებებისა, თუ ამოიწურა საბაჟო დეკლარაციის წარდგენისათვის ამ ბრძანებით დამტკიცებული **„საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქციით (დანართი №8) მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის** შესაბამისად გაგრძელებული ვადა და წარდგენილია არანაკლებ იმპორტის გადასახდელის თანხის შესაბამისი გარანტია[644].

3. საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვა

საბაჟო საწყობის საქმიანობა ხორციელდება საბაჟო ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბაჟო ორგანო თავად ახორციელებს საბაჟო საწყობის საქმიანობას.

საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვა გაიცემა საქართველოში დაფუძნებულ პირზე. აკრძალულია ამ ნებართვის სხვა პირისთვის გადაცემა.

საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მისაღებად დასაკმაყოფილებელი პირობები განისაზღვრება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

საქართველოს კანონის ლიცენზიებისა[645] და ნებართვების[646] შესახებ“ 24-ე მუხლის („ნებართვის სახეები“) 33-ე პუნქტით

---

[643] საბაჟო კოდექსი, მ.122. ნ.3.

[644] იხ. ინსტრუქცია „საბაჟო საწყობის პროცედურის შესახებ“, მ. 4.

[645] ლიცენზია – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე პირისათვის კანონით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე მინიჭებული განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების უფლება.

[646] ნებართვა – ამ კანონით გათვალისწინებული, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით ქმედების განხორციელების უფლება, რომელიც უკავშირდება ობიექტს და ადასტურებს ამ განზრახვის კანონით დადგენილ პირობებთან შესაბამისობას. შესაძლებელია ნებართვის გადაცემა სხვა

განსაზღვრულია „საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვა“ ამ საქმიანობის კანონიერი უფლების მოპოვებაზე[647].

ნებართვის მაძიებელმა საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მისაღებად საბაჟო ორგანოს უნდა წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინტრუქციის „გარანტიის შესახებ“ (დანართი #4) განსაზღვრული ოდენობის გარანტია. ინსტრუქციის „გარანტიის შესახებ“ 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, **თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, გარანტიის წარდგენა სავალდებულოა** ...საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მისაღებად.... . ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შემთხვევაში გარანტიის წარდგენა ასევე სავალდებულოა: ...საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონლის საბაჟო ორგანოს თანხმობით დროებით (ამავე ადგილზე დაბრუნების პირობით) სხვა საბაჟო საწყობში ან შენახვის სხვა ადგილზე გადატანისას („ბ“ ქვეპუნქტი). პირიქით, **გარანტია არ წარედგინება:** „საბაჟო საწყობში გადამუშავებისთვის განკუთვნილი უცხოური საქონლის – სეს ესნ-ის 2603 00 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში შემავალი სპილენძის კონცენტრატების, სეს ესნ-ის 2616 სასაქონლო პოზიციაში შემავალი ძვირფასი ლითონების კონცენტრატებისა და 2617 90 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციებში შემავალი კონცენტრატების შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცევისას“[648].

საგარანტიო თანხის ოდენობა შეადგენს: ერთი პირის საბაჟო საწყობის (საბაჟო საწყობების) საქმიანობის ნებართვის (ნებართვების) მისაღებად – 200 000 ლარს[649]; საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული სეს ესნ-ის 8702 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი ავტომობილის

პირისთვის, თუ ეს კანონით არ არის აკრძალული ან ნებართვა არსობრივად არ არის დაკავშირებული მის მფლობელთან.

[647] საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ, მ.4. პ.33. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/26824?publication=91

[648] ინსტრუქცია „გარანტიის შესახებ“, მ.1. პ.3. „გ“ ქვეპუნქტი.

[649] ინსტრუქცია „გარანტიის შესახებ“, მ. 2.პ.1. „ე“ ქვეპუნქტი.

(რომლის დასასხდომი ადგილების რაოდენობა, გარდა მძღოლის ადგილისა, აღემატება 8-ს, მაგრამ არ აღემატება 16-ს და რომლის სიგრძე არ აღემატება 8 მეტრს, აგრეთვე გადაბმულისა მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 750 კგ-ს), 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ³-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია), 8704 21 და 8704 31 სასაქონლო სუბპოზიციებით გათვალისწინებული ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების იდენტიფიცირებული ავტოსადგომის ტერიტორიაზე შენახვისას – იმპორტის გადასახდელის შესაბამის თანხას, რომელიც გადაიხდევინებოდა ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას[650].

გარანტიის მოქმედების ვადა: ...საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მისაღებად – არ უნდა იყოს შესაბამისი განცხადების რეგისტრაციიდან **ერთ კალენდარულ წელზე ნაკლები.** ამასთან, საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მფლობელის პასუხისმგებლობა გარანტიით უნდა იყოს უზრუნველყოფილი საქმიანობის მთელი ვადის განმავლობაში, ამ მიზნით წარდგენილი ყოველი მომდევნო გარანტიის მოქმედების ვადაც არ უნდა იყოს **ერთ კალენდარულ წელზე ნაკლები..**"[651].

იმპორტის გადასახდელისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებით საქონლის დროებით შემოტანისას, ან იმპორტის გადასახდელისაგან სრულად გათავისუფლებით სეს ესნ-ის 8703 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მსუბუქი ავტომობილის ან/და 8711 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მოტოციკლის (მოპედის ჩათვლით) საქართველოს მოქალაქის მიერ დროებით შემოტანისას, ან შიდა გადამუშავებისას იმპორტის ან ექსპორტის გადასახდელის გადახდა უზრუნველყოფილი უნდა იყოს გარანტიით საბაჟო პროცედურაში საქონლის მოქცევის მთელი ვადის განმავლობაში. ამასთან: იმ შემთხვევაში, როცა ხორციელდება საბაჟო საწყობის ან თავისუფალი

---

[650] ინსტრუქცია „გარანტიის შესახებ", მ. 2.პ.1. „კ" ქვეპუნქტი.

[651] ინსტრუქცია „გარანტიის შესახებ", მ. 2.პ. 3 „დ" ქვეპუნქტი.

ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის მფლობელის საფირმო სახელწოდების შეცვლა, ნებართვის მფლობელი ვალდებულია, საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების განხორციელებიდან 7 დღის ვადაში წარუდგინოს შემოსავლების სამსახურს გარანტია, სადაც აისახება ნებართვის მფლობელის საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემებში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად სრული საფირმო სახელწოდება[652].

საერთო გარანტიის წარდგენის უფლება მიეცემა იმ პირს, რომელიც აკმაყოფილებს ყველა შემდეგ პირობას: ... იგი მუდმივად სარგებლობს საბაჟო პროცედურით, ან აქვს საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვა, ან აკმაყოფილებს კომპეტენციის პრაქტიკული სტანდარტი ან განხორციელებულ საქმიანობასთან

ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მისაღებად აუცილებელი პირობებია: „ავტორიზაციის“ შემთხვევაში, სტატუსის მაძიებელს უნდა ჰქონდეს საქონლის გაფორმების გამოცდილება ან/და იგი/მის მიერ დაქირავებული, საბაჟო საკითხებზე პასუხისმგებელი პირი უნდა აკმაყოფილებდეს პროფესიული კვალიფიკაციის მოთხოვნებს. აღნიშნული პირობა ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, თუ სრულდება ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილთაგან: სტატუსის მაძიებელს აქვს „განაცხადის“ რეგისტრაციის თარიღიდან **წინა უწყვეტი 3 წლის** განმავლობაში საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებასთან ან/და გაფორმებასთან დაკავშირებული საქმიანობის გამოცდილება; სტატუსის მაძიებელთან დასაქმებულ საბაჟო საკითხებზე პასუხისმგებელ პირს აქვს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებასთან ან/და გაფორმებასთან დაკავშირებული საქმიანობის არანაკლებ **3 წლიანი გამოცდილება** ან/და აღნიშნული მიმართულებით განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი, დიპლომი ან სხვ.); სტატუსის მაძიებელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებასთან ან/და გაფორმებასთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელებს ხელშეკრულების საფუძველზე

[652] ინსტრუქცია „გარანტიის შესახებ“, მ. 2.3.5.

სხვა ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის მეშვეობით, რომელიც არის „ავტორიზაციის“ მფლობელი.

საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის გაცემის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის №455 დადგენილებით „საბაჟო საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესებისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, რომლის 1-ლი მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, განმარტებულია: **„საბაჟო საწყობი** – საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე არსებული, ტერიტორიულად განცალკევებული შენობა-ნაგებობების ან/და მიწის ნაკვეთისაგან შემდგარი ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ან განხორციელდება ნებართვით განსაზღვრული საქმიანობა. აღნიშნული ტერიტორია უნდა იყოს ერთიანი და შემოსაზღვრული იმდაგვარად, რომ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ამ ტერიტორიაზე შეტანა/ტერიტორიიდან გატანა შესაძლებელი იყოს მხოლოდ ამისათვის სპეციალურად მოწყობილი ერთი ან რამდენიმე დამოუკიდებელი შესასვლელის და გასასვლელის საშუალებით. საყარი ან/და თხევადი საქონლის შემთხვევაში, საბაჟო საწყობის ტერიტორიას განეკუთვნება აგრეთვე შესაბამისი სათავსი და მასთან დაკავშირებული მიწისზედა და მიწისქვეშა საკომუნიკაციო და სხვა დანიშნულების სისტემები/ინფრასტრუქტურა; **საბაჟო საწყობის საქმიანობა** – საბაჟო საწყობში **საქონლის შენახვა**, რომელიც მოქცეულია საბაჟო საწყობის პროცედურაში.

„საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის გაუქმებისა და ამ ნებართვით განსაზღვრულ ტერიტორიაზე საბაჟო საწყობის საქმიანობის ახალი ნებართვის სხვა პირზე გაცემის, ან საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვით განსაზღვრული ტერიტორიის ცვლილების და ამ ტერიტორიის ნაწილზე საბაჟო საწყობის საქმიანობის ახალი ნებართვის სხვა პირზე გაცემის შესახებ შესაბამისი მომართვისას, ნებართვის გაუქმება და ახალი ნებართვის გაცემა ან/და ნებართვაში ცვლილება ხორციელდება ერთდროულად. ამასთან, ახალი ნებართვა ან/და ნებართვაში ცვლილება ძალაში შედის ამ ინსტრუქციის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი

ვალდებულებების შესრულების, ან აღნიშნული მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საქონლის განკარგვის ღონისძიებების განხორციელების მომდევნო კალენდარულ დღეს“[653].

ნებართვის მაძიებლის მიერ ამ ინსტრუქციის შესაბამისად წარდგენილი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე, შემოსავლების სამსახური „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას ნებართვის გაცემის ან ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტი და ფორმდება შესაბამისი ბრძანებით, რომელსაც თან უნდა ერთოდეს სანებართვო მოწმობა და დანართი. გადაწყვეტილების სათანადოდ დამოწმებული ასლი გადაეცემა ნებართვის მფლობელს, ხოლო საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე განთავსებული თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის შემთხვევაში – აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს. ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების დანართი არის: საბაჟო საწყობის შემთხვევაში – ამავე ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით[654] გათვალისწინებული დოკუმენტები; წერილობითი ინფორმაცია საბაჟო საწყობის, მის ტერიტორიაზე არსებული სათავსის (სათავსში განთავსებული

---

[653] საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის №455 დადგენილება „საბაჟო საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესებისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, მ.პ. პ.6.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4657414?publication=4

[654] საბაჟო საწყობის საქმიანობის შემთხვევაში, ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტებთან ერთად, განცხადებას თან უნდა ერთოდეს: ...საბაჟო საწყობისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობის ან/და ასაშენებელი შენობა-ნაგებობის, მიწის ნაკვეთის კომპიუტერული ტექნოლოგიის გამოყენებით შედგენილი, ქაღალდზე ამობეჭდილი ან/და ელექტრონული დეტალური სიტუაციური გეგმა (ნახაზი), შესაბამისი განმარტებებით (დამოწმებული ნახაზის შემდგენლის ხელმოწერითა და, არსებობის შემთხვევაში, ასევე ორგანიზაციის ბეჭდით) და ტექნოლოგიური სქემა....

სათავსების გარდა) შესასვლელისა და გასასვლელის, აგრეთვე დათვალიერების, სინჯის ან/და ნიმუშის აღების განხორციელების, გადატვირთვის ოპერაციების განხორციელების ადგილის გამოსახულების ვიდეოჩამწერი საშუალებებით აღჭურვის შესახებ, ხოლო თუ საბაჟო საწყობში შეინახება მხოლოდ სეს ესნ-ის 8701, 8702, 8703, 8704, 8705 ან/და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებები (რომელთა შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ³-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან/და 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელები და ნახევრადმისაბმელები – მხოლოდ საბაჟო საწყობის შესასვლელისა და გასასვლელის გამოსახულების ვიდეოჩამწერი საშუალებებით აღჭურვის შესახებ....

საბაჟო საწყობის ან თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის მფლობელს უფლება აქვს, შემოსავლების სამსახურის თანხმობით შეცვალოს ნებართვით განსაზღვრული ტერიტორიის ან/და შენობა-ნაგებობის ფართობი, ან/და ნებართვით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ააგოს ახალი შენობა-ნაგებობა ან/და დაანგრიოს არსებული შენობა-ნაგებობა.

„საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მფლობელი ნებართვის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში ვალდებულია:

- ა) დაიცვას საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მიღებისათვის დადგენილი პირობები და შეასრულოს საბაჟო ორგანოს მოთხოვნები;
- ბ) საბაჟო საწყობის საქმიანობის განხორციელება დაიწყოს არაუგვიანეს ნებართვის მიღებიდან 12 თვის განმავლობაში და დაწყებული საქმიანობა არ შეაჩეროს უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში;
- გ) ხელი არ შეუშალოს საბაჟო კონტროლის განხორციელებას;
- დ) მოაწყოს საბაჟო საწყობი ისე, რომ გამოირიცხოს საქონლის, სატრანსპორტო საშუალების შემოტანა ან/და გატანა კონტროლის გვერდის ავლით და დაიცვას საბაჟო საწყობში შენახვის სათანადო პირობები;

• ე) გადატვირთვის ოპერაციების განხორციელებამდე შეამოწმოს საქონელზე ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე დადებული იდენტიფიკაციის საშუალებების მთლიანობა და მათი რეკვიზიტები თანმხლები დოკუმენტების მიხედვით, ხოლო იდენტიფიკაციის საშუალებების მთლიანობის დარღვევის (მათ შორის, მოხსნა/მოცილების) ან/და მათი რეკვიზიტების თანმხლებ დოკუმენტებთან შეუსაბამობის ფაქტის დაფიქსირებისთანავე, შესაბამისი შეტყობინება დაუყოვნებლივ გაუგზავნოს საბაჟო ორგანოს, ამასთან არ განახორციელოს გადატვირთვის ოპერაციები და იმოქმედოს საბაჟო ორგანოს მითითების შესაბამისად;

• ვ) საბაჟო საწყობში საქონლის (შესაბამის სათავსში განთავსებული საყარი და თხევადი საქონლის გარდა) შენახვა უზრუნველყოს ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი იდენტიფიცირება საქონლის მფლობელის ან/და სასაქონლო პარტიის შესაბამისად;

• ზ) დაიცვას საბაჟო საწყობში შესაბამისი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები, გამორიცხოს დაბინძურების ყველა პოტენციური წყაროს არსებობა, სურსათის, ფიტოსანიტარიულ ან/და ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული ან სხვა სპეციფიკური საქონლის შენახვის შემთხვევაში – უზრუნველყოს აღნიშნული საქონლის სხვა პროდუქტებისაგან განცალკევებულ ადგილზე შენახვა და შენახვისათვის საჭირო სათანადო პირობების დაცვა;

• თ) საქონლის დაკარგვის ან დანაკლისის (რომელიც აღემატება საქონლის ბუნებრივი ცვეთით, ტრანსპორტირებით ან შენახვის ნორმალურ პირობებში დანაკარგებით დაშვებულ ნორმებს) აღმოჩენის შემთხვევაში, დანაკლისის შესახებ საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული აქტის შესაბამისად, გადაიხადოს იმპორტის გადასახდელი იმ ოდენობით, რა ოდენობითაც გადაიხდებოდა იმპორტის გადასახდელი ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მოქცევისას;

• ი) საბაჟო ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში, საბაჟო ორგანოს უსასყიდლოდ გამოუყოს საბაჟო კონტროლის პროცედურებისათვის აუცილებელი სათავსი, მოწყობილობები და კავშირგაბმულობის საშუალებები;

• კ) საბაჟო საწყობის, აგრეთვე მის ტერიტორიაზე არსებული სათავსის (სათავსში განთავსებული სათავსების გარდა) შესასვლელი და გასასვლელი აღჭურვილი ჰქონდეს გამოსახულების ვიდეოჩამწერი საშუალებებით. გამოსახულების ვიდეოჩამწერი საშუალებებით უწყვეტად უნდა ფიქსირდებოდეს (უნდა იძლეოდეს ზუსტი იდენტიფიცირების საშუალებას დღე-ღამის განმავლობაში) ნებართვის მფლობელის მიერ სათავსისათვის მინიჭებული ნომერი, სათავსის შესასვლელი ან/და გასასვლელი, იმ სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი (სანომრე ნიშანი), რომლითაც გადაიზიდება საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი. ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატების შენახვისათვის განკუთვნილი საბაჟო საწყობის შემთხვევაში, გამოსახულების ვიდეოჩამწერი საშუალებებით უნდა ფიქსირდებოდეს: საბაჟო საწყობის შესასვლელში ან/და გასასვლელში გადაადგილებული სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი (სანომრე ნიშანი), გადატვირთვის ოპერაციების განხორციელების ადგილი და საბაჟო კონტროლის ზონაში შემავალი და გამავალი – ნავთობპროდუქტების გამტარი მილსადენ(ებ)ის დამცავი (ჩამკეტი და გამშვები) მოწყობილობები;

• ლ) საბაჟო საწყობის ტერიტორიაზე საქონლის (სეს ესნ-ის 8701, 8702, 8703, 8704, 8705 ან/და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების (რომელთა შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ³-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან/და 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელებისა და ნახევრადმისაბმელების გარდა) დათვალიერების, სინჯის ან/და ნიმუშის აღების განხორციელების, გადატვირთვის ოპერაციების განხორციელების ადგილი იმგვარად ჰქონდეს აღჭურვილი გამოსახულების ვიდეოჩამწერი საშუალებებით, რომ აღნიშნული

ადგილები უწყვეტად ფიქსირდებოდეს (იძლეოდეს ზუსტი იდენტიფიცირების საშუალებას დღე-ღამის განმავლობაში). ამასთან, ტერიტორიულად განცალკევებული შენობა-ნაგებობისაგან (მათ შორის, საყარი ან/და თხევადი საქონლის შესანახი სათავსი და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა) შემდგარ საბაჟო საწყობის ტერიტორიაზე გადატვირთვის ოპერაციების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, გადატვირთვის ოპერაციების რეალურად განხორციელების ადგილიდან საბაჟო საწყობის ტერიტორიამდე არსებული ტერიტორიაც ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს მუდმივი (უწყვეტი) ვიდეოკონტროლით[655];

• მ) ამავე მუხლის „კ" და „ლ" ქვეპუნქტების შესაბამისად განხორციელებული ვიდეოჩანაწერები შეინახოს 6 თვის განმავლობაში და, მოთხოვნისამებრ, წარუდგინოს საბაჟო ორგანოს. მონაცემების (ინფორმაციის) ამოღება შესაძლებელი უნდა იყოს DVD, HDD, USB ან Ethernet ინტერფეისით avi, vcv ან mp4 ფორმატის ფაილებში. ვიდეოჩანაწერები უნდა ინახებოდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს კონკრეტული თარიღის ან/და კონკრეტული საათის შესაბამისი ვიდეოჩანაწერის ნახვა. ვიდეოჩაწერის შეწყვეტის (ტექნიკური ან სხვა მიზეზის გამო) შემთხვევაში, ნებართვის მფლობელმა საბაჟო ორგანოს უნდა გაუგზავნოს შესაბამისი შეტყობინება ვიდეოჩაწერის შეწყვეტის ფაქტის დადგომისთანავე ელექტრონულად ავტომატურ რეჟიმში, ხოლო აღნიშნულისა და, მასთან ერთად, ვიდეოჩაწერის სავარაუდო აღდგენის ვადის შესახებ შეტყობინება – სხვა საშუალებით, ფაქტის დადგომიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა და იმოქმედოს საბაჟო ორგანოს მითითებისამებრ. ამასთან, შეტყობინება დამატებით უნდა შეიცავდეს: საბაჟო საწყობის დანიშნულების ადგილის კოდს, სანებართვო მოწმობით განსაზღვრული ვიდეოჩამწერი საშუალების ნომერს, ვიდეოჩაწერის შეწყვეტის თარიღსა და დროს. ვიდეოჩაწერის აღდგენისას, შესაბამისი ფაქტის დადგომიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, ნებართვის მფლობელმა აღნიშნულზე ასევე უნდა აცნობოს

[655] იხ. სეს ესნ.

საბაჟო ორგანოს – საბაჟო საწყობის დანიშნულების ადგილის კოდის, სანებართვო მოწმობით განსაზღვრული ვიდეოჩამწერი საშუალების ნომრის, ვიდეოჩაწერის აღდგენის თარიღისა და დროის მითითებით;

• ნ) საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მფლობელის პასუხისმგებლობა უზრუნველყოფილი ჰქონდეს გარანტიით;

• ო) საბაჟო საწყობისათვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობის სარგებლობის ექსკლუზიური უფლების დამადასტურებელი (ოჯარა, უზუფრუქტი და სხვ.) ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, ნებართვის გამცემს მოთხოვნისთანავე წარუდგინოს აღნიშნული ხელშეკრულება (რომლის მოქმედების ვადაც უნდა უზრუნველყოფდეს საბაჟო საწყობისათვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობის სარგებლობის ექსკლუზიურ უფლებას ნებართვის მოქმედების პერიოდში) და მხარის საკუთრების უფლების დამადასტურებელი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ნებართვის გამცემს;

• პ) საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში განახორციელოს საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ნიშანდება იდენტიფიკაციის საშუალებებით, დადგენილი წესის შესაბამისად;

• ჟ) გენმოდიფიცირებული ორგანიზმების, სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ან/და გენმოდიფიცირებული პროდუქტის, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ფიტოსანიტარიულ ან/და ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის შენახვის შემთხვევაში, გამოყოს სპეციალური სათავსი, რომელშიც დაცულია შესაბამისი კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პირობები, ხოლო ასეთი სათავსის არარსებობის შემთხვევაში, უზრუნველყოს მხოლოდ იმ საქონლის შენახვა, რომელზეც დასრულებულია გენმოდიფიცირებული ორგანიზმების, სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ან/და გენმოდიფიცირებული პროდუქტის, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობისა და ფიტოსანიტარიული/ვეტერინარული კონტროლის პროცედურები;

• რ) გამორიცხოს საბაჟო საწყობში შენახული, საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების უკანონო განკარგვა, დაკარგვა ან განადგურება;

• ს) სახიფათო საქონლის ან ისეთი საქონლის შენახვის შემთხვევაში, რომელმაც შესაძლებელია დააზიანოს/გააფუჭოს სხვა საქონელი ან რომელიც სხვა მიზეზის გამო მოითხოვს შენახვის სპეციალურ პირობებს, უზრუნველყოს სათანადოდ აღჭურვილი სათავსის არსებობა;

• ტ) შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის საბაჟო საწყობში გადამუშავების შემთხვევაში, გააჩნდეს საქონლის გადამუშავებისათვის შესაბამისი საწარმოო კომპლექსი;

უ) იმ შემთხვევაში, თუ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების საბაჟო საწყობში მიღებისას გარეგნული მახასიათებლების მიხედვით სახეზეა საქონლის დაზიანების ან გაფუჭების ფაქტი, ან საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალების ან/და მათზე დადებული იდენტიფიკაციის საშუალების მონაცემების აღრიცხვის მოწმობაში ან ზოგადი დეკლარირების სხვა ფორმაში ასახულ მონაცემებთან შეუსაბამობა, დარღვეულია იდენტიფიკაციის საშუალების მთლიანობა ან მოხსნილია/მოცილებულია იდენტიფიკაციის საშუალება, ამის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს (არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა) საბაჟო ორგანოს და იმოქმედოს მისი მითითებისამებრ;

ფ) აწარმოოს საბაჟო საწყობში არსებული საქონლის ნაშთების აღრიცხვა ამ ინსტრუქციის №5 დანართის შესაბამისად და წელიწადში ორჯერ, შესაბამისი ელექტრონული პროგრამის მეშვეობით ან ელექტრონულ მატარებლებზე ჩაწერილი, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის გამოყენებით წარუდგინოს საბაჟო ორგანოს შემდეგი პერიოდულობით:

ფ.ა) ყოველი წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთების შესახებ ინფორმაცია წარუდგინოს არაუგვიანეს 20 იანვრისა;

ფ.ბ) ყოველი წლის 1 ივლისის მდგომარეობით არსებული ნაშთების შესახებ ინფორმაცია წარუდგინოს არაუგვიანეს 20 ივლისისა;

ფ[1]) აწარმოოს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული (მათ შორის, საქართველოში რეგისტრირებული) ან საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი, სეს ესნ-ის 8701, 8702, 8703, 8704, 8705 ან/და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების (რომელთა შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ³-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან/და 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელებისა და ნახევრადმისაბმელების გაფორმების ადგილამდე ან სხვა საბაჟო კონტროლის ზონამდე მიტანის ვადის ამოწურვამდე საბაჟო საწყობში შეტანისა და საბაჟო საწყობიდან გატანის აღრიცხვა და ინფორმაციის მიწოდება საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებული ფორმითა და წესით[656];

ქ) უზრუნველყოს საქართველოს საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების ჯეროვნად შესრულება"[657].

საბაჟო საწყობის საქმიანობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის სანებართვო პირობების შესრულების კონტროლს ახორციელებს შემოსავლების სამსახური, შესაბამისი საბაჟო ორგანოს მეშვეობით. საბაჟო ორგანო სანებართვო პირობების შესრულების კონტროლს ახორციელებს შერჩევითი შემოწმებით. საბაჟო ორგანოს მიერ შერჩევითი შემოწმების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით, რომელიც წარედგინება ნებართვის მფლობელს.

---

[656] იხ. სეს ესნ.

[657] საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის №455 დადგენილება „საბაჟო საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესებისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე",
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4657414?publication=4, მ.8.

საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის გაუქმებამდე, შესაბამისი საფუძვლის (მათ შორის, ნებართვის მფლობელის მომართვა) არსებობისას:

• ა) საბაჟო საწყობში საქონლის არსებობის შემთხვევაში, საბაჟო ორგანო წერილობით (რომელიც იგზავნება დაზღვეული ფოსტით) ატყობინებს:

• ა.ა) საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მფლობელს საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის გაუქმების განზრახვის თაობაზე და საქონლის დამსაწყობებელთან სამართლებრივი ურთიერთობების დასრულებისთვის, აგრეთვე საქონლის უპატრონოდ ცნობისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებისთვის განუსაზღვრავს ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს **180 კალენდარულ დღეს**;

• ა.ბ) იდენტიფიცირებულ დამსაწყობებელს ამ პუნქტის „ა.ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული განზრახვის თაობაზე და საქონლის სხვა საბაჟო საწყობში გადატანის ან შესაბამისი საბაჟო პროცედურის გამოყენების ან რეექსპორტის განხორციელების ვალდებულების შესახებ;

• ბ) საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია, უზრუნველყოს ამავე ინსტრუქციის მე-8 მუხლის „თ" ქვეპუნქტით[658] დადგენილი ვალდებულების შესრულება;

• გ) საქონლის სხვა საბაჟო საწყობში გადატანისას, დამსაწყობებელს უფლება აქვს, საქონლის გადატანის ხარჯების ანაზღაურება მოსთხოვოს საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მფლობელს.

---

[658] საბაჟო ორგანოს საწყობში შეიძლება განთავსდეს: საქონელი, რომლის მიმღებს ან იმპორტიორს წარმოადგენს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტრო ან მის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.

საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის გაუქმებისა და ამ ნებართვით განსაზღვრულ ტერიტორიაზე საბაჟო საწყობის საქმიანობის ახალი ნებართვის სხვა პირზე გაცემის, ან საბაჟო საწყობის ნებართვით განსაზღვრული ტერიტორიის ცვლილების და ამ ტერიტორიის ნაწილზე საბაჟო საწყობის საქმიანობის ახალი ნებართვის სხვა პირზე გაცემის მიზნით შესაბამისი მომართვისას გავრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები[659].

საბაჟო საწყობის საქმიანობის ან თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვის მფლობელის მიერ „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს საბაჟო კოდექსით, საქართველოს საგადასახადო კოდექსითა და ამ ინსტრუქციით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან მათი არაჯეროვნად შესრულება წარმოადგენს სანებართვო პირობების დარღვევას და გამოიწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას, გარდა შემთხვევისა, როცა ნებართვის მფლობელს სანებართვო პირობების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა არ დაეკისრება ვიდეოჩაწერის შეწყვეტის შესახებ საბაჟო ორგანოსათვის დაგვიანებით შეტყობინების გამო, თუ აღნიშნული შეტყობინება საბაჟო ორგანოსათვის გაგზავნილია ელექტრონულად ავტომატურ რეჟიმში.

4. საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცევის გარეშე საქონლის საბაჟო საწყობში მოთავსება

ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, საბაჟო ორგანოს თანხმობით, თუ ეს უარყოფითად არ იმოქმედებს საბაჟო ზედამხედველობის განხორციელებაზე, შესაძლებელია:

---

[659] საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის №455 დადგენილება „საბაჟო საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესებისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე", https://matsne.gov.ge/ka/document/view/4657414?publication=4, მ.15.

• ა) საბაჟო საწყობში შენახულ იქნეს საქართველოს საქონელი;

ამ თემაზე ზემოთ, ინსტრუქციის „საბაჟო საწყობის პროცედურის შესახებ" მე-5 მუხლის შესახებ საკმაოდ ვრცელი კომენტარია შემოთავაზებული.

• ბ) შიდა გადამუშავების პროცედურაში ან მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში მოქცეული საქონელი გადამუშავდეს საბაჟო საწყობში ამ პროცედურით განსაზღვრული პირობებისა და შესაბამისი შემთხვევებისთვის საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის სპეციალური ნორმების დაცვით[660].

კერძოდ, ინსტრუქციის „შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ" (დანართი №13), „გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონელი შესაძლებელია გადამუშავდეს საბაჟო საწყობში, შიდა გადამუშავების პროცედურით განსაზღვრული პირობებისა და საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული სპეციალური ნორმების დაცვით, თუ აღნიშნული უარყოფითად არ იმოქმედებს საბაჟო ზედამხედველობის განხორციელებაზე. ამ შემთხვევაში საქონელი არ განიხილება საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეულად"[661].

დეტალურად აღნიშნული საკითხი იხ. შიდა გადამუშავების პროცედურის განხილვის პროცედურის შესაბამის თავში.

დამატ.იხ. ინსტრუქცია „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ", დანართი №12; ასევე. „ინსტრუქცია შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ", დანართი №13.

ზემოთ აღნიშნული საბაჟო კოდექსის საკომენტარო 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქონელი არ მიიჩნევა საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეულად.

---

[660] საბაჟო კოდექსი, მ.126.ნ.1.

[661] ინსტრუქცია „შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ", მ.2.პ.8.

5. საბაჟო საწყობის მფლობელისა და საბაჟო საწყობის პროცედურის მფლობელის ვალდებულებები

საბაჟო საწყობის მფლობელი და საბაჟო საწყობის პროცედურის მფლობელი ვალდებული არიან:

- ა) არ დაუშვან საბაჟო საწყობში მოთავსებული საქონლის საბაჟო ზედამხედველობიდან გატანა საბაჟო ორგანოსთან შეუთანხმებლად;
- ბ) შეასრულონ საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონლის დასაწყობებიდან გამომდინარე მოთხოვნები.

საბაჟო საწყობის პროცედურის მფლობელი ვალდებულია შეასრულოს საბაჟო საწყობის პროცედურაში საქონლის მოქცევასთან დაკავშირებული მოთხოვნები, კერძოდ: „საბაჟო საწყობის პროცედურაში შესაძლებელია მოექცეს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული საქონელი, რომელსაც აქვს დეფექტი ან რომლის რაოდენობა, ხარისხი, შეფუთვა ან აღწერილობა არ შეესაბამება საგარეო-ეკონომიკური გარიგების პირობებს და ამის გამო იგი უბრუნდება მომწოდებელს ან მის მიერ მითითებულ სხვა პირს. ამასთან, **დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს შემდეგი პირობები:**

- ა) საქონელი არ უნდა იქნეს გამოყენებული და გადამუშავებული საქართველოს ტერიტორიაზე;
- ბ) შესაძლებელი უნდა იყოს საბაჟო ორგანოს მიერ საქონლის იდენტიფიცირება;
- გ) საქონელი საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეულ უნდა იქნეს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების დღიდან 6 თვეში;
- დ) საქონლის საბაჟო დეკლარაციასთან ერთად წარდგენილ უნდა იქნეს:
  - დ.ა) პირის განცხადება საქონლის დეფექტის არსებობის, რაოდენობის, ხარისხის, შეფუთვისა და აღწერილობის საგარეო – ეკონომიკური გარიგების პირობებთან შეუსაბამობის შესახებ;
  - დ.ბ) მომწოდებლისათვის ან მის მიერ მითითებული სხვა პირისათვის საქონლის დაბრუნებაზე მომწოდებლის თანხმობის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტი.

საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცევის მომენტიდან საქონელი კარგავს საქართველოს საქონლის სტატუსს და იძენს უცხოური საქონლის სტატუსს.

საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქართველოს საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის მიზნით ხორციელდება მისი რექსპორტი, რაც წარმოადგენს ამ საქონელზე გადახდილი იმპორტის გადასახადის დაბრუნების საფუძველს და ა.შ[662].

აქვე არ შეიძლება არ შევეხოთ **საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონლის მიმართ დასაშვებ ქმედებებს, კერძოდ: საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონლის მიმართ დასაშვებია საქონლის შენახვის უზრუნველყოფის, სასაქონლო სახის/მდგომარეობის გაუმჯობესების, ტრანსპორტირებისა და გაყიდვის ხელშეწყობის მიზნით ოპერაციების განხორციელება, კერძოდ:**

- ა) ვენტილაცია, განიავება, გამოშრობა, მტვრის მოცილება, გასუფთავება, შეფუთვა, დამცავ შეფუთვაში მოთავსება, შეფუთვის მწყობრში მოყვანა, პარტიის დანაწილება, დახარისხება, გზავნილების ფორმირება, დამცავი საფენისა და კონსერვანტის ჩატანება, დამცავი მოწყობილობის შეყვანა;
- ბ) მარტივი ოპერაციების ფარგლებში, ტრანსპორტირების ან შენახვის დროს გამოწვეული დაზიანებების ელემენტარული შეკეთება,
- გ) ანტიკოროზიული საფენის ჩატანება ტრანსპორტირების წინ;
- დ) შენახვის ოპტიმალური ტემპერატურული რეჟიმის შექმნა (გაციება, გაყინვა, გახურება);
- ე) სატრანსპორტო საშუალებაზე დამცავი საფარის დატანა ან/და მოშორება;
- ვ) ტრანსპორტირების შემდეგ საქონლის რეკონსტრუქცია;
- ზ) ინვენტარიზაცია, სინჯის/ნიმუშის აღება, დახარისხება, გაცრა, მექანიკური გაფილტვრა და საქონლის აწონვა;
- თ) დაზიანებული ან დაბინძურებული/დასნებოვნებული კომპონენტების/დეტალების მოშორება;
- ი) შენახვა, პასტერიზაციის, სტერილიზაციის, დასხივების ან დამცავი საშუალებების დამატებით;

---

[662] საბაჟო საწყობში საქონლის მოქცევასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე, ზემოთ, ამავე თავში უკვე იყო ვრცელი კომენტარი შემოთავაზებული.

• კ) დატვირთვა/გადმოტვირთვა/გადატვირთვა;

• ლ) საქონლის განთავსება სადემონსტრაციო სტენდებზე;

• მ) დაკომპლექტებასთან ან სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებული მარტივი ოპერაციები;

• ნ) რაციონალურად განლაგების მიზნით საქონლის გადაადგილება საბაჟო საწყობში;

• ო) ტესტირება (გამოცდა);

• პ) საქონლის დემონსტრირება საბაჟო კონტროლის ზონაში;

• ჟ) სეს ესნ-ის 8701, 8702, 8703, 8704, 8705, 8711 (რომლის ძრავას მუშა-მოცულობა 50 სმ³-ზე მეტია) ან 8716 (მისაბმელები და ნახევრადმისაბ-მელები) სასაქონლო პოზიციებში აღწერილი და კლასიფიცირებული სატრანსპორტო საშუალება, საქონლის მესაკუთრის მიერ დროებით (არაუმეტეს 48 საათისა) გატანილ იქნეს საბაჟო საწყობიდან. ამასთან, საქონლის დროებით გატანა ხორციელდება ამ ბრძანებით დამტკი-ცებული „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ" ინსტრუქციის (დანართი №3) შესაბამისად გამოწერილი ავტოსატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობით;

• რ) პარაზიტების საწინააღმდეგოდ დამუშავება;

• ს) ჟანგსაწინააღმდეგო დამუშავება (მათ შორის, შეღებვა);

• ტ) დამუშავება:

  • ტ.ა) ტემპერატურის მარტივი მატებით, შემდგომი დამუშავების ან დისტილაციის პროცესების გარეშე; ან

  • ტ.ბ) ტემპერატურის მარტივი დაკლებით;

შენიშვნა: „ტ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედებები დასა-შვებია იმ შემთხვევაშიც, თუ აღნიშნული გამოიწვევს საქონლის სეს ესნ-ის თერთმეტნიშნა კოდის ცვლილებას.

• უ) ელექტროსტატიკური დამუშავება, ჭოვილების გაუთოვება/გას-წორება;

• ფ) დამუშავება, რომელიც შედგება შემდეგი ოპერაციებისაგან:

  • ფ.ა) ხილის გასუფთავება ან/და დაკურკვა, გამომშრალი ხილისა და ბოსტნეულების დაჭრა ან დამტვრევა, ხილის ხელახალი დატენიანება/რეჰიდრაცია, ან

  • ფ.ბ) ხილის დეჰიდრაცია, იმ შემთხვევაშიც, თუ იგი გამოიწვევს საქონლის სეს ესნ-ის თერთმეტნიშნა კოდის ცვლილებას;

• ქ) ტყავების გამტკნარება, გაწმენდა და დაჩხვლეტა და ა.შ[663].

სრული სახით საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონლის მიმართ დასაშვები ქმედებების შესახებ იხ. ინსტრუქცია „საბაჟო საწყობის პროცედურის შესახებ", მ.5.

საბაჟო საწყობის მფლობელი ვალდებულია დაიცვას საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვით გათვალისწინებული სანებართვო პირობები.

საბაჟო საწყობის მფლობელის მიერ საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვით გათვალისწინებულ სანებართვო პირობებზე ზემოთ, ამავე თავში უკვე ვისაუბრეთ.[664]

---

[663] სრული სახით იხ. ინსტრუქცია „საბაჟო საწყობის პროცედურის შესახებ", მ.

[664] საკითხის გაღრმავებისათვის დამატ. იხ. ია ხარაზი, გელა ცინცაძე, გიორგი ირემაშვილი, „საბაჟო რეჟიმების სტრუქტურა და შინაარსი (საქართველოს საბაჟო კოდექსის მიხედვით)", ჟურნალი „სამართალი", #1-2, 2007, გვ. 17-23; ია ხარაზი, ქეთინო ხარაზი, „გადამუშავების საბაჟო რეჟიმების ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა", ჟურნალი „სამართალი", #3-4, 2007, გვ. 42-45; უერთაშვილი ნატო, ხარაზი ია, „საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტები", საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომათა კრებული, I, თბილისი, 2010, გვ. 194-212; ია ხარაზი, ქეთევან კვინიკაძე, „სასაქონლო ოპერაციები", „მართლმსაჯულება და კანონი," #4(31), 2011, გვ.148-160; ია ხარაზი, ნატო უერთაშვილი, თემურ გერგედავა, „საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტების თავისებურებათა შესახებ", ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", #1(24), 2010; ია ხარაზი, ნატო უერთაშვილი, მაკა ორჯონიკიძე, „საბაჟო სამართლის ნორმათა განმარტების თავისებურებანი", ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი",#4)27), 2010, გვ. 56-67; И. В. Харази, Е. Д. Мчедлишвили, Д. Х. Чагунава, И. М. Леонидзе, „Правовые аспекты классификации таможенных режимов", AIR TRANSPORT, ВОЗДУШНЫЙ ТРАНСПОРТ, Aviation University of Georgia, Авиационный Университет Грузии, Тбилиси, #2(5), 2010, стр. 125-137; И. В. Харази, М. И. мосулишвили ,Е. Д. Мчедлишвили, Проблемы и своеобразия Таможенного кодекса Грузии", AIR TRANSPORT, ВОЗДУШНЫЙ ТРАНСПОРТ, Aviation University of Georgia, Авиационный Университет Грузии, Тбилиси, 2009, #1(3), стр. 119-130.

A. დასამახსოვრებელი დებულებები/

საბაჟო საწყობის პროცედურა საშუალებას იძლევა, უცხოური საქონელი დასაწყობდეს საბაჟო საწყობში, საბაჟო ორგანოს საწყობში ან შენახვის სხვა ადგილზე, რაც არ იწვევს იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულების წარმოშობას; საქონლის მიმართ ვაჭრობაში დამცავი ღონისძიების გამოყენებას, თუ ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალული არ არის.

საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონლის შენახვის ვადა 2 წელს არ უნდა აღემატებოდეს.

საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცევის მომენტიდან საქონელი კარგავს საქართველოს საქონლის სტატუსს და იძენს უცხოური საქონლის სტატუსს.

გარანტიის წარდგენა სავალდებულოა ... საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მისაღებად.

B. კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის:

რამდენი სახისაა საბაჟო საწყობი?

როგორი საქონელი შეიძლება განთავსდეს საბაჟო საწყობში?

რა პროცედურების ჩატარებაა შესაძლებელი საბაჟო საწყობში მოთავსებულ საქონელზე?

რა ვადას არ უნდა აღმატებოდეს საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის ვადა?

რა შემთხვევაშია სავალდებულო გარანტიის წარდგენა?

C. ტესტები:

საბაჟო საწყობის პროცედურა საშუალებას იძლევა, უცხოური საქონელი დასაწყობდეს საბაჟო საწყობში, საბაჟო ორგანოს საწყობში ან შენახვის სხვა ადგილზე, რაც არ იწვევს:

ა. იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულების წარმოშობას; საქონლის მიმართ ვაჭრობაში დამცავი ღონისძიების გამოყენებას, თუ ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალული არ არის

ბ. იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულების წარმოშობას

გ. საქონლის მიმართ ვაჭრობაში დამცავი ღონისძიების გამოყენებას, თუ ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა აკრძალული არ არის

დ. საქონლის მიმართ ვაჭრობაში დამცავი ღონისძიების გამოყენებას, თუ ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალული არ არის.

საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონლის შენახვის ვადის გაგრძელების შემთხვევაში:

ა. წინასწარ განსაზღვრული ვადის გასვლამდე თავდაპირველ საქონლის საბაჟო დეკლარაციაში შედის ცვლილება და მიეთითება საქონლის შენახვის გაგრძელებული ვადა დღეებში, ხოლო ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციაში მიეთითება საქონლის შენახვის ვადის ამოწურვის ახალი თარიღი

გ. წინასწარ განსაზღვრული ვადის გასვლამდე თავდაპირველ საქონლის საბაჟო დეკლარაციაში შედის ცვლილება და მიეთითება საქონლის შენახვის გაგრძელებული ვადა დღეებში, ხოლო ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციაში მიეთითება საქონლის შენახვის ვადის ამოწურვის ახალი თარიღი; წინასწარ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, რაც წარმოადგენს საბაჟო პროცედურის პირობების დარღვევას, წარმოდგენილი უნდა იქნეს ახალი საბაჟო დეკლარაცია

გ. წინასწარ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, რაც წარმოადგენს საბაჟო პროცედურის პირობების დარღვევას, წარმოდგენილი უნდა იქნეს ახალი საბაჟო დეკლარაცია

დ. წინასწარ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, რაც წარმოადგენს საბაჟო პროცედურის პირობების დარღვევას, წარმოდგენილი უნდა იქნეს განმეორებითი საბაჟო დეკლარაცია.

საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონლის შენახვის ვადა:

ა. 1 წელს არ უნდა აღემატებოდეს

გ .3 წელს არ უნდა აღემატებოდეს

გ. 2 წელს არ უნდა აღემატებოდეს

დ. 4 წელს არ უნდა აღემატებოდეს.

საბაჟო ორგანოს საწყობში შესაძლებელია განთავსდეს:

ა. დროებით შენახული ან საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონელი; საბაჟო კონტროლის ზონის ტერიტორიაზე აღმოჩენილი უპატრონო (მიტოვებული) საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება; ჩამორთმეული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება საბაჟო სამართალდარღვევის საქმის განხილვამდე, კანონმდებლობით დადგენილი ზოგიერთი კატეგორიის საქონლის მიმართ დაწესებული შენახვის

განსაკუთრებული რეჟიმის გათვალისწინებით; მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად დაგირავებული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება; უსასყიდლოდ ჩამორთმეული ან სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადაცემული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება უფლებამოსილი ორგანოსათვის გადაცემამდე, კანონმდებლობით დადგენილი ზოგიერთი კატეგორიის საქონლის მიმართ დაწესებული განსაკუთრებული რეჟიმის გათვალისწინებით; საბაჟო გამშვები პუნქტის სამოქმედო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი, რომელზეც საბაჟო ორგანოში არ არის წარმოდგენილი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემდგომი გადაადგილებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტი (ნებართვა, სერტიფიკატი და სხვა); საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანას ან განადგურებას დაქვემდებარებული, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე უკვე შემოტანილი აკრძალული საქონელი, რომლის შემოტანა იკრძალება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე; საქონელი, რომლის მიმღებს ან იმპორტიორს წარმოადგენს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტრო ან მის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო; დროებით დასაწყობებული საქონელი, მის მიმართ საბაჟო პროცედურის სახის განსაზღვრის დასრულებამდე ან რეექსპორტამდე; საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონელი

ბ. დროებით შენახული ან საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეული საქონელი; საბაჟო კონტროლის ზონის ტერიტორიაზე აღმოჩენილი უპატრონო (მიტოვებული) საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება; ჩამორთმეული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება საბაჟო სამართალდარღვევის საქმის განხილვამდე, კანონმდებლობით დადგენილი ზოგიერთი კატეგორიის საქონლის მიმართ დაწესებული შენახვის განსაკუთრებული რეჟიმის გათვალისწინებით; მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად დაგირავებული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება; უსასყიდლოდ ჩამორთმეული ან სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადაცემული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება უფლებამოსილი ორგანოსათვის გადაცემამდე, კანონმდებლობით დადგენილი ზოგიერთი კატეგორიის საქონლის მიმართ დაწესებული შენახვის განსაკუთრებული რეჟიმის გათვალისწინებით

გ. საბაჟო გამშვები პუნქტის სამოქმედო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონელი, რომელზეც საბაჟო ორგანოში არ არის წარმოდგენილი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემდგომი გადაადგილებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტი (ნებართვა, სერტიფიკატი და სხვა); საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანას ან განადგურებას დაქვემდებარებული, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე უკვე შემოტანილი აკრძალული საქონელი, რომლის შემოტანა იკრძალება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე; საქონელი, რომლის მიმღებს ან იმპორტიორს წარმოადგენს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტრო ან მის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო

დ. დროებით დასაწყობებული საქონელი, მის მიმართ საბაჟო პროცედურის სახის განსაზღვრის დასრულებამდე ან რეექსპორტამდე; საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონელი.

ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, საბაჟო ორგანოს თანხმობით, თუ ეს უარყოფითად არ იმოქმედებს საბაჟო ზედამხედველობის განხორციელებაზე, შესაძლებელია:

ა. საბაჟო საწყობში შენახულ იქნეს საქართველოს საქონელი

ბ. შიდა გადამუშავების პროცედურაში ან მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში მოქცეული საქონელი გადამუშავდეს საბაჟო საწყობში ამ პროცედურით განსაზღვრული პირობებისა და შესაბამისი შემთხვევებისთვის საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის სპეციალური ნორმების დაცვით

გ. საბაჟო საწყობში შენახულ იქნეს საქართველოს საქონელი; შიდა გადამუშავების პროცედურაში ან მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში მოქცეული საქონელი გადამუშავდეს საბაჟო საწყობში ამ პროცედურით განსაზღვრული პირობებისა და შესაბამისი შემთხვევებისთვის საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის სპეციალური ნორმების დაცვით

დ. საქონელი გადამუშავდეს საბაჟო საწყობში ამ პროცედურით განსაზღვრული პირობებისა და შესაბამისი შემთხვევებისთვის საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის სპეციალური ნორმების დაცვით.

D. სამართლებრივი აქტები:

საერთაშორისო აქტები:

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელწიფოებს შორის,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0

კიოტოს 1973 წლის კონვენცია „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ", *საქართველოს აღნიშნულ კონვენციას შეუერთდა 2018 წლის 20 ივლისს, საქართველოს პარლამენტის დადგენილებით. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4270130?publication=0*

საკანონმდებლო აქტები:

საქართველოს კონსტიტუცია, მ.19.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

საქართველოს საბაჟო კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=5

საქართველოს საგადასახადო კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/32842?publication=69

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/19024?publication=0

საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ"
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2062?publication=41

საქართველოს კანონი „საგზაო მოძრაობის შესახებ",
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2169396?publication=23

საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ, მ.4. 3.33. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/26824?publication=91

კანონქვემდებარე აქტები:

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის #453 დადგენილება „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ",
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4657381?publication=0

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ",
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2800?publication=103

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის №455 დადგენილება „საბაჟო საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესებისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4657414?publication=4

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის №257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“. ინსტრუქცია „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ“ (დანართი №5). https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის ბრძანება (№275 წლის) „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ დანართი №1, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3

ფინანსთა მინისტრის №257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ტრანზიტის პროცედურის შესახებ“. (დანართი №7),
https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია (დანართი №2) „საბაჟო კონტროლის შესახებ“,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანება „საქართველო საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“. დანართი №3, ინსტრუქცია „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“.
https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/1167887/285/ge/pdf

ფინანსთა მინისტრის №257 ბრძანება (დანართი №1). ინსტრუქცია „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება (№257 2019 წლის 29 აგვისტო) „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“.
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0
ინსტრუქცია (დანართი №12) „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში

გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ"

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ექსპორტის პროცედურის შესახებ(დანართი №15),
https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ" (დანართი №8),
https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „გარანტიის შესახებ", დანართი №4.
https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

Ე. გამოყენებული ლიტერატურა:

ქართულ ენაზე:

ბარაზი ია, საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, დამხმარე სახელმძღვანელო, გამომცემლობა „გეორგიკა", თბილისი, 2021

ბარაზი ია, საერთაშორისო საბაჟო სამართალი, თბილისი, 2013

ბარაზი ია, საბაჟო სამართლი, თბილისი, 2007

ბარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2010

ბარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2019, ლექციების კურსი, https://www.sou.edu.ge

ბარაზი ია; საქართველოს საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა", თბილისი, 2015

ბარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბილისი, 2014

ბარაზი ი; საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, მეორე ნაწილი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2020

ბარაზი ია, აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტ. თანაავტ. „საგადასახადო და საბაჟო სამართალი ქართულ სასამართლო სივრცეში (სასამართლო პრაქტიკის მასალები იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის)", გამომც. ქუთაისის უნივერსიტეტი, თბილისი, 2019

როგავა ზ; საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, წიგნი მესამე, გამომცემლობა ურისტების სამყარო", თბილისი, 2017

ნადარაია, ჩოგავა, რუხაძე, ბოლქვაძე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, §§ 156-310, 47-ე მუხლ. ავტ. ნადარაია, 331, https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00J1P6.pdf

გონერ ურიდია, ფრიდონ არახამია, საბაჟო საქმის თეორია, თბილისი, 2009

ურიდია გ; საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2011

ლორთქიფანიძე ვ; საბაჟო საქმის საფუძვლები, თბილისი, 2002

ჯგერენაია ემზარ, საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 2022

გ. ურიდია, მ. არახამია, ფ. რუხაია, საბაჟო რეჟიმები, თბილისი, 2005

ურიდია გონერ, რუხაია ფრიდონ, არახამია მერაბ, საბაჟო გაფორმება TIR და ATA (CPD) კარნეტის პრინციპებით, თბილისი, 2004

ურიდია გონერ, არახამია მერაბ, რუხაია ფრიდონ, საბაჟო რეჟიმები, თბილისი, 2005.

უცხოენაზე:

Борисов К. Г. Международное Таможенное право, Учеб, пособие – М; изд. ун-та дружби народов 1997

Козирин А. Н. Таможенное право Росии, Учеб, пособие – М; фирма СПАРК, 1995

Бахрах Д. Н. Кивалов С. В. Таможенное право Росии, Екатеринбург, Диамант, 1995, 217-220

F. სამეცნიერო ნაშრომები:

ია ბარაზი, „საგადასახადო სამართლებრივ რეგულირებაში პრეზუმპტიული მეთოდების გამოყენების შესახებ", „დიპლომატია და სამართალი", #1(4), 2018, გვ. 46-68

ია ბარაზი, გელა ცინცაძე, გიორგი ირემაშვილი, „საბაჟო რეჟიმების სტრუქტურა და შინაარსი (საქართველოს საბაჟო კოდექსის მიხედვით)", ჟურნალი „სამართალი", #1-2, 2007, გვ. 17-23

ია ბარაზი, ქეთინო ბარაზი, „გადამუშავების საბაჟო რეჟიმების ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა", ჟურნალი „სამართალი", #3-4, 2007, გვ. 42-45

უერთაშვილი ნატო, ბარაზი ია, „საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტები", საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომათა კრებული, I, თბილისი, 2010, გვ. 194-212

ია ბარაზი, ქეთევან კვინიკაძე, „სასაქონლო ოპერაციები“, „მართლმსაჯულება და კანონი,“ #4(31), 2011, გვ.148-160

ია ბარაზი, ნატო უერთაშვილი, თემურ გერგედავა, „საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტების თავისებურებათა შესახებ“, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, #1(24), 2010

ია ბარაზი, ნატო უერთაშვილი, მაკა ორჯონიკიძე, „საბაჟო სამართლის ნორმათა განმარტების თავისებურებანი“, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“,#4)27), 2010, გვ. 56-67

И. В. Харази, Е. Д. Мчедлишвили, Д. Х. Чагунава, И. М. Леонидзе, „Правовые аспекты классификации таможенных режимов“, AIR TRANSPORT, ВОЗДУШНЫЙ ТРАНСПОРТ, Aviation University of Georgia, Авиационный Университет Грузии, Тбилиси, #2(5), 2010, стр. 125-137

И. В. Харази, М. И. мосулишвили ,Е. Д. Мчедлишвили, Проблемы и своеобразия Таможенного кодекса Грузии“, AIR TRANSPORT, ВОЗДУШНЫЙ ТРАНСПОРТ, Aviation University of Georgia, Авиационный Университет Грузии, Тбилиси, 2009, #1(3), стр. 119-130

G. ლექსიკონი:

მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე] - თბ., 2004 - 483 გვ.: ცხრ.; 24სმ. - (საჯარო მოსამსახურის ბ-კა). - ISBN 99940-0-063-2: [ფ.ა.]; http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=17983

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1962

H. ვებრესურსები:

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=5

http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=17983

თავი VIII3. თავისუფალი ზონის პროცედურა

1. თავისუფალი ზონის არსი. თავისუფალი ზონის შექმნა

თავისუფალი ზონის არსი. „თავისუფალი ეკონომიკური ზონები მსოფლიო ეკონომიკაში ბოლო სამ ათწლეულში გავრცელდა. თუმცა მსოფლიოს ეკონომიკურ ისტორიას თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ მას შორეულ წარსულშიც ჰქონია ადგილი, კერძოდ, მე-10-11-ე საუკუნეებში ევროპის ქვეყნებში"[665]. „გარკვეულ ტერიტორიებზე იმართებოდა ე.წ. თავისუფალი ბაზრობები და მოქმედებდა „შეღავათიანი" კანონები. ამ ტერიტორიებზე მცხოვრები ყველა პირი, მათ შორის ყმები ცხადდებოდა თავისუფალ მოქალაქედ, აკრძალული იყო ამ ტერიტორიაზე დამნაშავეთა დაკავება, რომლებსაც დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი სხვა ტერიტორიაზე, მოქმედებდა გადასახადების შეღავათიანი რეჟიმი. მოგვიანებით კი, მე-15 საუკუნიდან სახელმწიფოებს შორის საზღვრებთან იქმნებოდა თავისუფალი საბაჟო ზონები, სადაც შეტანილი ყველა საქონელი თავისუფლდებოდა საბაჟო გადასახადებისაგან". [666]

პირველი თავისუფალი ზონა შეიქმნა ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე მე-16 საუკუნის ბოლოს. თავისუფალი საბაჟო ზონა (პორტო ფრანკო) ოქტომბრის რევოლუციამდე ბათუმშიც არსებობდა. კიოტოს კონვენციის (1973 წელი) – „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ" მერვე დანართის განმარტებაში აღნიშნულია, რომ „თავისუფალი ზონის ქვეშ იგულისხმება ქვეყნის ნაწილი, რომელშიც შემოტანილი საქონელი ჩვეულებრივ განიხილება, როგორც საქონელი, რომელიც იმყოფება საბაჟო ტერიტორიის

---

[665] ხარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბილისი, 2014, 463; ხარაზი ი; საერთაშორისო საბაჟო სამართალი, თბილისი, 2013.

[666] ამილახვარი ზ; საქართველოს საბაჟო სამართალი, თბილისი, 2007, 421

გარეთ და შესაბამისი გადასახადების მიმართ არ ექვემდებარება ჩვეულებრივ საბაჟო კონტროლს"[667].

თავისუფალი ზონა არის ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი, რომელშიც ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიასთან შედარებით ეკონომიკური რეგულირების გამარტივებული რეჟიმი მოქმედებს. შესაძლებელია თავისუფალი ზონა დაწესდეს არა ტერიტორიული, არამედ დარგობრივი პრინციპით ანუ შეღავათიანი ეკონომიკური რეჟიმი გარკვეული სახის სამეწარმეო საქმიანობებს დაუწესდეს.

გამარტივებული ეკონომიკური რეჟიმი შეიძლება გულისხმობდეს გამარტივებულ საგადასახადო წესებს და სხვა. შესაბამისად არსებობს: თავისუფალი ეკონომიკური ზონები, თავისუფალი სავაჭრო ზონები, ოფშორული ზონები, სამრეწველო-საწარმო ზონები, სამეცნიერო-ტექნიკური ზონები, სერვისული ზონები, თავისუფალი საბანკო ზონები, კომპლექსური ზონები, თავისუფალი პორტები (სადაც ძირითადად წარმოებს საქონლის დასაწყობება დაუბეგრავად ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების მიზნით), ტურისტული ზონები და სხვ.

დღეს მსოფლიოში 3 ათასზე მეტი თავისუფალი ზონაა, თუმცა მხოლოდ 20% თუ არის ნამდვილად ეკონომიკურად წარმატებული. თავისუფალი ზონების ფუნქციონირების ერთ-ერთ ეფექტურ მაგალითს დუბაის თიზ-ი „ჯებელ-ალი" ე.წ. „დუბაის სასწაული" წარმოადგენს, რომელიც მსოფლიოს უმსხვილეს ხელოვნურ ნავსადგურში, სპარსეთის ყურის რეგიონშია შექმნილი. „ჯებელ ალში" მოქმედებს 58 ქვეყნის 700-მდე კომპანია 1.1. მლრდ დოლარის ინვესტიციების საერთო მოცულობით.

თავისუფალი ზონები მსოფლიოს მრავალ კონტინენტზეა განლაგებული, მაგალითად, კარიბის ზღვის აუზში - ბაჰამის, კაიმანისა და ვირჯინიის კუნძულები (ეს ზონები აქვს აგრეთვე ბარბადოსს და გრენადას); არაბეთის ოფშორული ზონები - ლივანი, გაერთიანებული არაბეთის ემირატები, ბაჰრეინი; აფრიკაში - სეიშელის კუნძულები; ლიბერია; აზიაში - წყნარი ოკეანის რეგიონის

---

[667] საქართველოს პარლამენტის 2018 წლის დადგენილებით (20 ივლისი 2018 წ. (N3161-რს) საქართველო შეუერთდა კიოტოს კონვენციას.

რეგიონული ოფშორული ზონები - აომანი; სიანგარი (ყოფილი ჰონკონგი); სინგაპური, ფილიპინები; ევროპაში - შვეიცარია, ლუქსემბურგი, ლიხტენშტეინი, ირლანდია და ა. შ.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (თზ-ი) **უპირველესად „ეს არის მეწარმეობისა და გადასახადების შეღავათიანი საბაჟო პროცედურის ადგილი.** ...აუცუილებელია აღინიშნოს, რომ თზ-ი როგორც ეკონომიკური ურთიერთობა და მოვლენა, ეყრდნობა სამ მთავარ პოსტულატს, ძირითად პრინციპს, ასე ვთქვათ, საყრდენ ბოძს.

საწყისი ამოსავალი წერტილი, საიდანაც თიზ-ი შეიქმნა, როგორც რეგიონალური საყრდენი ბერკეტი საერთაშორისო ინტეგრაციის პროცესში, როგორც რეგიონალური ბაზრის დაპყრობის პლაცდარმი, ეკონომიკური ურთიერთობების საქონლის, მომსახურების და ინვესტიციების გავრცელების ეპიცენტრი ამა თუ იმ რეგიონში - ეს არის **პორტო-ფრანკოს პრინციპი,** ანუ საბაჟო საწყობი[668], რომელიც თავისუფალი იქნებოდა გადასახადებისაგან. ამავე ტერიტორიაზე შეიძლებას არსებობდეს ეკონომიკური ზონა, რომელიც იძლევა საქონლის წარმოებისა და რეწვის საშუალებას ამ ზონაში გადასახადების გარეშე მოცემული საქონლის ნედლეულის მაკომპლექტებელი მოწყობილობების და ტექნოლოგიების დაუბეგრავად. ეს არის სწორედ თავისუფალი საბაჟო საწარმოს ზონა და, შესაბამისად, აქ ნაწარმოები საქონელი თავისუფლად გადის როგორც ექსპორტზე, ისე შიდა ბაზარზე. ეს არის სწორად შენახვის, წარმოების და რეალიზაციის თავისუფლების პრინციპი.

კაპიტალის და მოგების მეორე პრინციპია რეპატრიაცია, რომელიც შეიქმნება საბაჟო ზონაში. ეს აუცილებელი მონეტია, რამეთუ ეკონომიკური საქმიანობის მიზანი ამ ზონაში მოგების მიღებაა და მიმღებ ინვესტორს უნდა ჰქონდეს ქვეყნიდან მისი გატანის შესაძლებლობა. ამდენად, აუცილებელია კაპიტალის რეპატრიაციის თავისუფლების პრინციპის დაცვა. ყოველივე ეს კი თავისთავად მოითხოვს ვალუტის თავისუფალ კონვერტირებადობას, მის შეუზღუდავ მიმოქცევას.

---

[668] დღეს მოქმედი საბაჟო კოდექსით სპეციალური ოპერაცია, საბაჟო პროცედურააა.

მესამე პრინციპი საგადასახადო პრეფერენციები და შეღავათებია. ანუ ის ე.წ. „საგადასახადო ოაზისი“, რაც გულისხმობს დღგ-ისაგან გათავისუფლებას და სხვა შეთავათების მინიჭებას. ამ სამი ფუნდამენტური მიმართულების ერთიანობა არის სწორედ თიზ-ი“[წწ].

როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში?

[წწ] ჯგერენაია ე; საბაჟო ტექნოლოგიის საფუძვლები; 2002, 176-177; ასევე იხ. ხარაზი ია, საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, დამხმარე სახელმძღვანელო, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2021; ხარაზი ია, საერთაშორისო საბაჟო სამართალი, თბილისი, 2013; ხარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2007; ხარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2010; ხარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2019, ლექციების კურსი, https://www.sou.edu.ge; ხარაზი ია; საქართველოს საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2015; ხარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბილისი, 2014 ; ხარაზი ი; საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, მეორე ნაწილი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2020; ხარაზი ია, აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტ. თანაავტ. „საგადასახადო და საბაჟო სამართალი ქართულ სასამართლო სივრცეში (სასამართლო პრაქტიკის მასალები იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის)“, გამომც. ქუთაისის უნივერსიტეტი, თბილისი, 2019; როგავა ზ; საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, წიგნი მესამე, გამომცემლობა ურისტების სამყარო“, თბილისი, 2017; ნადარაია, როგავა, რუხაძე, ბოლქვაძე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, §§ 156-310, 47-ე მუხლ. ავტ. ნადარაია, 331, https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00J1P6.pdf; გონერ ურიდია, ფრიდონ არახამია, საბაჟო საქმის თეორია, თბილისი, 2009;ურიდია გ; საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები, გამოცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011;ლორთქიფანიძე ვ; საბაჟო საქმის საფუძვლები, თბილისი, 2002; გ ურიდია, მ. არახამია, ფ. რუხაია, საბაჟო რეჟიმები, თბილისი, 2005; ურიდია გონერ, რუხაია ფრიდონ, არახამია მერაბ, საბაჟო გაფორმება TIR და ATA (CPD) კარნეტის პრინციპებით, თბილისი, 2004; ურიდია გონერ, არახამია მერაბ, რუხაია ფრიდონ, საბაჟო რეჟიმები, თბილისი, 2005; ამილახვარი ზ; საქართველოს საბაჟო სამართალი, თბილისი, 2007.

თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება საქართველოს კანონით „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“, საქართველოს საბაჟო კოდექსით, საქართველოს საგადასახადო კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტებით (სხვა ნორმატიულ აქტებში იგულისხმება ფინანსთა მინისტრის 2010 წლის ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“, საქართველოს მთავრობის დადგენილება (№11, 2011 წლის 5 იანვარი) „თავისუფალი ზონის შექმნისათვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის შექმნის პირობებისა და საქონლის შენახვის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის ბრძანება (№257) „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“[670], საქართველოს მთავრობის 2009 წლის 14 აპრილის დადგენილება (№7) „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 5 ივნისის დადგენილება (№106) „ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 მაისის № 203 დადგენილება „ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შესახებ“ და ა.შ.

საბაჟო კოდექსის თავი XXI-ში თავისუფალი ზონა ახლებურად დარეგულირდა, როგორც თავისუფალი ზონის პროცედურა, ნაცვლად ადრე მოქმედი საბაჟო კოდექსისა, სადაც თავისუფალი ზონა მოიაზრებოდა, როგორც საბაჟო რეჟიმი, შემდგომ სასაქონლო ოპერაცია (2011 წლის საგადასახადო კოდექსით (მ. 227.ნ.1. „ზ“ ქვეპუნქტი, მ.332-ე „თავისუფალი ზონა“).

---

[670] ამ ინსტრუქციების ამოქმედებით ძალადაკარგულად გამოცხადდა ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის #290-ე ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, რაც გამოწვეულია ახალი საბაჟო კოდექსის ძალაში შესვლით.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ კანონის მე-2 ნაწილით კანონმდებელი ამ კანონის მიზნად მიიჩნევს შეიქმნას მიმზიდველი გარემო ეკონომიკური საქმიანობისათვის, ხელი შეეწყოს კაპიტალისა და ტექნოლოგიების შემოსვლას საქართველოში. კანონის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილით და საგადასახადო კოდექსის 25-ე მუხლის თანახმად, **„თავისუფალი ინდუსტრიული ზონა** არის საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული თავისუფალი ზონის სახეობა, სადაც მოქმედებს დამატებითი პირობები და საგადასახადო შეღავათები".

საქართველოს კანონის „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ" მე-3 მუხლის თანახმად, „თავისუფალი ინდუსტრიული ზონა არის საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული თავისუფალი ზონის სახეობა, სადაც მოქმედებს დამატებითი პირობები და საგადასახადო შეღავათები. თავისუფალი ინდუსტრიული ზონა არის საქართველოს ტერიტორიის ნაწილი განსაზღვრული საზღვრებითა და კანონით მინიჭებული სპეციალური სტატუსით. თავისუფალი ინდუსტრიული ზონა განსაზღვრული ვადით გამოიყოფა ეკონომიკური საქმიანობისათვის და მის ფარგლებში პირები ექვემდებარებიან სპეციალურ ეკონომიკურ და სამართლებრივ რეჟიმს, რომელიც დადგენილია საბაჟო კოდექსით. თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაზე არ ვრცელდება მუნიციპალიტეტის ორგანოების უფლებამოსილებანი".

საბაჟო კოდექსის 128-ე მუხლით, რომელიც გამოიყენება 132-ე მუხლთან *(სადაც საუბარია „თავისუფალ ზონაში ნებადართულ საქმიანობაზე, რომლის კომენტარსაც მოგვიანებით, ამავე თავში შემოგთავაზებთ)* კავშირში, დადგენილია, რომ: „თავისუფალი ზონა საშუალებას იძლევა, მისი ტერიტორია გამოყენებულ იქნეს ამავე კოდექსის **132-ე მუხლით** გათვალისწინებული ნებადართული საქმიანობისთვის. **თავისუფალ ზონაში:**

- ა) იმპორტის გადასახდელის გადახდისა და ვაჭრობაში დამცავი ღონისძიებების განხორციელებისთვის უცხოური საქონლის შეტანა არ მიიჩნევა საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მოქცევად და, შესაბამისად, ამ საქონელზე იმპორტის გადასახდელი არ გადაიხდევინება;

• ბ) საქართველოს საქონლის მოთავსებისას გამოიყენება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის ის ნორმები, რომლებიც გამოიყენება ექსპორტის პროცედურაში ანალოგიური საქონლის მოქცევისას (მათ შორის, საქართველოს საქონელს ენიჭება უცხოური საქონლის სტატუსი)".

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის №257 ბრძანების „საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე", ინსტრუქციის „თავისუფალი ზონის პროცედურების შესახებ" (დანართი #10), 1-ლი მუხლის თანახმად, თავისუფალ ზონაში შეიძლება მოთავსდეს:

• ა) უცხო ქვეყნიდან შეტანილი საქონელი;

• ბ) საქართველოს სხვა საბაჟო ტერიტორიიდან შეტანილი უცხოური საქონელი;

• გ) უცხოური საქონელი, რომელიც მოქცეული იყო საბაჟო პროცედურაში, რომელიც დასრულდა თავისუფალ ზონაში საქონლის შეტანით;

• დ) საქართველოს საქონელი.

ინსტრუქციის ამავე მუხლის ზემოთ მითითებული პირველი პუნქტის „ა"–„გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უცხოური საქონლის თავისუფალ ზონაში მოთავსებისას, საქონლის მიმართ განისაზღვრება საბაჟო პროცედურის სახე – თავისუფალი ზონა, ხოლო „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქართველოს საქონლის მოთავსება თავისუფალ ზონაში ხორციელდება ექსპორტის პროცედურის შესაბამისად.

თავისუფალი ზონის შექმნა. თავისუფალი ზონა არის საქართველოს საბაჟო ტერიტორიის სპეციალურად გამოყოფილი ნაწილი. იგი კონტროლის ზონაა.

თავისუფალი ზონის შექმნის შესახებ რეგულაციებს გვაწვდის საქართველოს კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ" და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 14 იანვრის #25 დადგენილება „თავისუფალი ზონის შექმნის პირობების, მისი შექმნისთვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის ფუნქციონი-

რების, მასში საქონლის შენახვისა და საბაჟო კონტროლის განხორციელების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე", ასევე ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „თავისუფალი ზონის პროცედურის შესახებ" (დანართი №10).

დაინტერესებული პირის განცხადებისა და შესაბამისი გარანტიის წარდგენის საფუძველზე თავისუფალი ზონის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა[671].

მთავრობის აღნიშნული დადგენილების შესახებ ამავე პარაგრაფში, ქვემოთ შემოგთავაზებთ ანალიზს.

თავისუფალ ზონაში ნებისმიერი შენობა-ნაგებობის ან კონსტრუქციის მშენებლობა წინასწარ უნდა შეთანხმდეს საბაჟო ორგანოსთან.

თავისუფალი ზონა სპეციალური ზღუდით უნდა იყოს შემოსაზღვრული და უნდა განისაზღვროს თავისუფალ ზონაში შესასვლელი ან/და გამოსასვლელი.

თავისუფალი ზონის შექმნის პირობები, მისი შექმნისთვის წარსადგენი გარანტიის ოდენობა, თავისუფალი ზონის ფუნქციონირების, მასში საქონლის შენახვისა და საბაჟო კონტროლის განხორციელების წესები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2020 წლის 14 იანვრის #25 დადგენილებით „თავისუფალი ზონის შექმნის პირობების, მისი შექმნისთვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის ფუნქციონირების, მასში საქონლის შენახვისა და საბაჟო კონტროლის განხორციელების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე".[672]

თავისუფალი ინდუსტრიული ზონა შეიძლება შეიქმნას:

- ა) საქართველოს მთავრობის ინიციტივით;

---

[671] კანონმდებელს მხედველობაში აქვს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 14 იანვრის #25 დადგენილება „თავისუფალი ზონის შექმნის პირობების, მისი შექმნისთვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის ფუნქციონირების, მასში საქონლის შენახვისა და საბაჟო კონტროლის განხორციელების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე", https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/4772532/1/ge/pdf.

[672] https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/4772532/1/ge/pdf .

• ბ) ფიზიკური ან იურიდიული პირის – ორგანიზატორის (შემდგომში – ორგანიზატორი) მოთხოვნით[673].

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნა ორგანიზატორის მოთხოვნით. ორგანიზატორი საქართველოს მთავრობას წარუდგენს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს:

• ა) პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებს;

• ბ) თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საზღვრების აღწერას;

• გ) თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მოწყობის გეგმას;

• დ) მიწაზე ორგანიზატორის ან სხვა პირის/პირების საკუთრების უფლების შესახებ საჯარო რეესტრის ამონაწერს. სხვა პირის/პირების საკუთრებაში არსებულ მიწაზე თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მოწყობისათვის აუცილებელია აგრეთვე მესაკუთრის/მესაკუთრეების თანხმობა, რომ შესაბამის მიწის ნაკვეთზე განსაზღვრული ვადით შეიქმნას თავისუფალი ინდუსტრიული ზონა;

• ე) მტკიცებულებას, რომ დაკმაყოფილებულია თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პირობები, ან ვალდებულებას, რომ იგი დააკმაყოფილებს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნისათვის დადგენილ მოთხოვნებს საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრულ ვადაში[674].

„ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებამდე თავისუფალი ინდუსტრიული ზონა არ ფუნქციონირებს.

საქართველოს მთავრობა აღნიშნული განცხადების მიღებიდან **50 დღის ვადაში** განიხილავს მას და იღებს დადგენილებას თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ ან ორგანიზატორს ეუბნება დასაბუთებულ უარს.

---

673 საქართველოს კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“, მ.4. პ.1-2.

674 საქართველოს კანონის „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“, მ. 5.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო შეიძლება ასევე შეიქმნას საქართველოს მთავრობის ინიციატივით. საქართველოს მთავრობა ან მის მიერ უფლებამოსილი სხვა სახელმწიფო ორგანო ატარებს ტენდერს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ორგანიზატორის შესარჩევად.

საქართველოს მთავრობა ან მის მიერ უფლებამოსილი სხვა სახელმწიფო ორგანო განსაზღვრავს ტენდერის პირობებსა და სატენდერო კომისიის შემადგენლობას. საქართველოს მთავრობის ინიციატივის შემთხვევაში თავისუფალი ინდუსტრიული ზონა იქმნება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწაზე ან/და მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებით – მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწაზე.

თზ-ისათვის მიწის ნაკვეთი გაიცემა იჯარით ვადით არა უმეტეს 59 წლისა[675] ან გადაეცემა პირს საკუთრების ან აღნაგობის უფლებით.

კანონით „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ განსაზღვრულია თზ-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, კერძოდ კანონის **მე-7 მუხლის („თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო“) თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო** შეიძლება იყოს ნებისმიერი ორგანიზაციულ- სამართლებრივი და საკუთრების ფორმის საწარმო, რომელიც რეგისტრირებულია თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საწარმოთა რეგისტრაციის ნორმების შესაბამისად. თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საქმიანობას ახორციელებენ ამ ზონაში რეგისტრირებული საწარმოები. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის გარეთ რეგისტრირებული საწარმოები (როგორც საქართველოსი, ისე უცხოური) თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საქმიანობას ახორციელებენ ამ ზონაში რეგისტრირებული მუდმივი

---

[675] მიმაჩნია, რომ იჯარის 59-წლიანი ვადა უნდა გაიზარდოს, რამეთუ აღნიშნული ინსტიტუტი მეწარმე სუბიექტების მიერ იქმნება და აღნიშნული ვადა არ იქნება საკმარისი ამ ინსტიტუტის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, რაც შეეხება აღნაგობას, ალბათ კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს, როგორც ეს სამოქალაქო კანონმდებლობითაა განსაზღვრული 99 წლიანი ვადით.

დაწესებულებების მეშვეობით, გარდა თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ელექტროენერგიის, წყლის, ბუნებრივი აირის განაწილების, კავშირგაბმულობისა და კანალიზაციის მომსახურებების და მათთან დაკავშირებული საქმიანობის განმახორციელებელი საქართველოს საწარმოებისა. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო საქართველოს სხვა ტერიტორიაზე (თავისუფალი ინდუსტრიული ზონის გარეთ) საქმიანობას ახორციელებს, როგორც უცხოური საწარმოს მუდმივი დაწესებულება. ორგანიზატორი ან/და ადმინისტრატორი არ წარმოადგენს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს და რეგისტრირებული უნდა იქნეს საქართველოს სხვა ტერიტორიაზე (თავისუფალი ინდუსტრიული ზონის გარეთ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

*რა მახასიათებელები გააჩნია თავისუფალი ინდუსტრიულ ზონას?*1. თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ანგარიშსწორება ხორციელდება ნებისმიერი ვალუტით. 2. საქართველოს მთავრობის დადგენილებით შესაძლებელია თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში განხორციელებულ ცალკეულ საქმიანობებზე გაუქმდეს ლიცენზიის/ნებართვის აღების ვალდებულება ან დაწესდეს ლიცენზიის/ნებართვის აღების გამარტივებული წესი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. 3. თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში დაუშვებელია შენობის საცხოვრებლად გამოყენება.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნისათვის ორგანიზატორმა უნდა წარადგინოს გარანტია, რომლის ოდენობა და პირობები განისაზღვრება თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის, მოწყობისა და ფუნქციონირების წესების შესახებ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 14 იანვრის #25 დადგენილების „თავისუფალი ზონის შექმნის პირობების, მისი შექმნისთვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის ფუნქციონირების, მასში საქონლის შენახვისა და საბაჟო კონტროლის განხორციელების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე", შესაბამისად, კერძოდ: საქართველოს მთავრობის 2020 წლის 14 იანვრის #25 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის „თავისუფალი ზონის შექმნის პირობების, მისი შექმნისთვის

წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის ფუნქციონირების, მასში საქონლის შენახვისა და საბაჟო კონტროლის განხორციელების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" (თავი II გარანტია) თანახმად (მ.1), „თავისუფალი ზონის შექმნის პირობების, მისი შექმნისთვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის ფუნქციონირების, მასში საქონლის შენახვისა და საბაჟო კონტროლის განხორციელების წესების შესახებ" ინსტრუქცია (შემდგომში – ინსტრუქცია) განსაზღვრავს თავისუფალი ზონის (შემდგომში – თზ) შექმნის, მოწყობის, მისი შექმნის პირობების და ფუნქციონირების, თზ-ის შექმნისათვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის გაანგარიშების, გარანტიის სახეების განსაზღვრისა და წარდგენის წესს, თზ-ში შესატანი ან თზ-დან გასატანი საქონლის მიმართ თზ-ის პერიმეტრზე არსებულ შესასვლელებსა და გამოსასვლელებში განთავსებულ საბაჟო გამშვებ პუნქტში გადაადგილებული საქონლის, აგრეთვე თზ-ში საქონლის შენახვის წესებს, თზ-ში მოთავსებული საქონლის აღრიცხვისათვის ვალდებული პირების – საქონლის მომთავსებლის (თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო) მოვალეობებსა და პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

თზ-ის ორგანიზატორს ევალება გარანტიის წარდგენა. გარანტიის ოდენობა განისაზღვრება წარდგენილი თზ-ის მოწყობის გეგმის შესაბამისად თზ-ის მიწის ნაკვეთის ფართობის ყოველ 1 კვადრატულ მეტრზე 2 ევროს ოდენობით, **არაუმეტეს 500 000 ევროს ოდენობისა.**

გარანტია წარმოადგენს:

- ა) „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - შემოსავლების სამსახურთან (შემდგომში – სამსახური) შეთანხმებულ თზ-ის მოწყობის გეგმაში ასახული საბაჟო კონტროლის პროცედურების განხორციელებისათვის საჭირო შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურის, ტექნიკა-დანადგარების სამუშაო რეჟიმში ფუნქციონირების უზრუნველყოფის საშუალებას;

• ბ) თზ-ის ფუნქციონირების პერიოდში შესაძლო წარმოქმნილი საბაჟო ან/და საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას.

გარანტიის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს **ერთ კალენდარულ წელზე ნაკლები.** ამასთან, თზ-ის პასუხისმგებლობა გარანტიით უნდა იყოს უზრუნველყოფილი თზ-ის ფუნქციონირების მთელი პერიოდის განმავლობაში.

თზ-ის ორგანიზატორმა გარანტია უნდა წარადგინოს თზ-ის ფუნქციონირების დაწყებიდან **არაუგვიანეს 1 თვეში.**

გარანტიის ვადის ყოველი შემდგომი გაგრძელების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასევე არანაკლებ ერთი წლის ვადით, მაგრამ არაუმეტეს თზ-ის სტატუსის მოქმედების დარჩენილი ვადისა) წარმოდგენილი უნდა იქნეს მიმდინარე გარანტიის ვადის ამოწურვამდე.

მიმდინარე გარანტიის ვადის ამოწურვის მომდევნო დღიდან ახალი გარანტიის წარმოდგენამდე იკრძალება თზ-ში საქონლის შეტანა და თზ-დან საქონლის გატანა.

გარანტიის შესრულების (რეალიზაციის) შემდეგ **არაუგვიანეს ერთი თვისა ორგანიზატორმა უნდა უზრუნველყოს გარანტიის პირველად ოდენობამდე შევსება.** ყოველ **10 წელიწადში** გარანტიის ზემოთ აღნიშნული თანხის ოდენობა შეიცვლება ინფლაციისა და ვალუტის კურსის ცვლილებების გათვალისწინებით.

გარანტია წარედგინება სამსახურს.

გარანტიის სახეებია:

• ა) საბანკო გარანტია, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

• ა.ა) გარანტის სრული დასახელება და იურიდიული მისამართი;

• ა.ბ) პრინციპალის სრული დასახელება და იურიდიული მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი;

• ა.გ) ბენეფიციარი;

• ა.დ) გარანტიის ობიექტი და გარანტის ვალდებულება;

• ა.ე) გარანტიის მოქმედების ტერიტორია;

- ა.ვ) გარანტიის თანხა და გარანტიის მოქმედების პერიოდი;
- ა.ზ) დადასტურებას, რომ გარანტი იღებს გამოუწვევად ვალდებულებას, ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების უფლების გარეშე გადაუხადოს ბენეფიციარს ნებისმიერი თანხა ან თანხები, მაგრამ არაუმეტეს გარანტიით გათვალისწინებული თანხისა, მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე;

• ბ) დეპოზიტი სახელმწიფო ხაზინაში. ამასთან:

- ბ.ა) ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებად დეპოზიტის გამოყენების შემთხვევაში, ორგანიზატორი სათანადო თანხას შეიტანს სახელმწიფო ხაზინაში კომერციული ბანკის მეშვეობით ბიუჯეტის შემოსულობების ერთიან ანგარიშზე – დეპოზიტების საბიუჯეტო შემოსულობების სახაზინო კოდზე, რის შესახებაც სახელმწიფო ხაზინა სამსახურს მიაწვდის შესაბამის ინფორმაციას ერთდროულად ელექტრონული და წერილობითი ფორმით;
- ბ.ბ) ორგანიზატორი საბაჟო ორგანოს წარუდგენს საგადახდო დავალებას, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს **„გადახდის ოპერაციის შესრულების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 22 იანვრის №8/04 ბრძანებით** განსაზღვრული წესით;

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 22 იანვრის №8/04 ბრძანება „გადახდის ოპერაციის შესრულების წესის დამტკიცების შესახებ“, განსაზღვრავს ლარით და უცხოური ვალუტით საკრედიტო საგადახდო დავალებისა და საინკასო დავალების საფუძველზე გადახდის ოპერაციების შესრულების საკითხებს; უცხოური ვალუტით დასაშვები გადახდის ოპერაციების ჩამონათვალს და მასთან დაკავშირებულ დებულებებს. ეს წესი არ ვრცელდება ნაღდი ფულით შემოსავლის და გასავლის ოპერაციების, საგადახდო ბარათით განხორციელებული ოპერაციების (საბარათე ოპერაციების), ასევე ელექტრონული ფულით გადახდის ოპერაციების შესრულების საკითხებზე, გარდა ამ წესის თავი IV-ით განსაზღვრული უცხოური ვალუტით გადახდის ოპერაციების წარმოების საკითხებისა.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის აღნიშნული ბრძანების მე-3 მუხლის თანახმად, „საქართველოს ეროვნული ბანკი და კომერციული ბანკი (შემდგომში - „ბანკი“) უფლებამოსილია განახორციელოს პირის საკრედიტო გადახდის ოპერაცია შესაბამისი საკრედიტო საგადახდო დავალების საფუძველზე პირის საგადახდო ანგარიშზე ხელმისაწვდომი მისი ფულადი სახსრების, ასევე სესხისა და/ან ოვერდრაფტის ფარგლებში, ან მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით[676] განსაზღვრულ შემთხვევაში. გადამხდელის ანგარიშზე საკრედიტო საგადახდო დავალებების შესასრულებლად საკმარისი ხელმისაწვდომი თანხების არარსებობისას, გადამხდელის ბანკი ვალდებულია პირველ რიგში შეასრულოს ის საგადახდო დავალება, სადაც მიმღების ბანკის რეკვიზიტებში მითითებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური (შემდგომში „სახელმწიფო ხაზინა“), ხოლო შემდეგ სხვა საკრედიტო საგადახდო დავალებები გადამხდელის მიერ განსაზღვრული რიგითობით. გადამხდელის პროვაიდერი უფლებამოსილია გადამხდელის მიერ ერთჯერადად გაცემული მუდმივი დავალების საფუძველზე განახორციელოს რეგულარული საკრედიტო გადახდის ოპერაციები. გადამხდელი უფლებამოსილია მორიგი საკრედიტო გადახდის ოპერაციის შესრულებამდე (ოპერაციის თანხით მისი ანგარიშის დადებეტებამდე) გააუქმოს მუდმივი დავალება. ბანკი, როგორც გადამხდელი, გადახდის ოპერაციას სხვა იურიდიულ პირთან ახორციელებს მხოლოდ უნაღდო გადახდის ფორმით - საკრედიტო საგადახდო დავალების საფუძველზე.

თუ რეზიდენტი ფიზიკური პირის გადახდის ოპერაციის განხორციელება ხდება მისი საიდენტიფიკაციო მონაცემების სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში გადამოწმების საფუძველზე, ბანკი ვალდებულია მოახდინოს კლიენტის იდენტობის დადგენა აღნიშნულ ბაზაში არსებული ფოტოსურათის შემცველი მონაცემების საფუძველზე. საკრედიტო საგადახდო დავალების დისტანციური საშუალებით გაცემის/მიღების მიზნით სავალდებულოა, გადამხდელის ბანკსა და გადამხდელს შორის გაფორმებული იყოს ხელშეკრულება

---

[676] ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს არამეწარმე ფიზიკური პირის გადახდის ოპერაციები, საკრედიტო საგადახდო დავალების საფუძველზე: ა) ამ ფიზიკური პირის ანგარიშზე ხელმისაწვდომი თანხის (მათ შორის სესხის და/ან ოვერდრაფტის) ფარგლებში; ბ) ერთჯერადი გადახდის ოპერაციის სახით, თუ ოპერაციის თანხა არ აღემატება 1500 ლარს ან მის ეკვივალენტს უცხოურ ვალუტაში.

ელექტრონული, საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ან სხვა ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით საკრედიტო საგადახდო დავალებების მიღების/გაცემის თაობაზე. აღნიშნული ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს გადამხდელსა და ბანკს შორის დისტანციური საშუალებებით ინფორმაციის გაცვლასთან, საკრედიტო საგადახდო დავალების გაცემასთან, მიღებასთან და უარყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დისტანციური საშუალებით კლიენტების მომსახურებისას, ბანკი ვალდებულია უზრუნველყოს აღნიშნული საშუალებებით ინფორმაციის გაცვლის უსაფრთხოება. პროვაიდერის შიდა სააღრიცხვო სისტემაში მომხმარებლის ყველა გადახდის ოპერაციას უნდა გააჩნდეს უნიკალური კოდი..... ბანკის მიერ ელექტრონული ფორმით (ინტერნეტბანკით, მობილური ბანკით და სხვა ელექტრონული საშუალებით) საგადახდო დავალების მიღების შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს გადამხდელის მიერ წარსადგენი საგადახდო დავალების სტრუქტურა და რეკვიზიტები, რომლებიც უზრუნველყოფს საგადახდო დავალების შესრულებას...

თუ საკრედიტო საგადახდო დავალების ინიციირება ხდება ელექტრონულად, საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ან სხვა ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით, როდესაც არ ხდება გადამხდელის იდენტიფიცირება გადამხდელისა და საგადახდო მომსახურების პროვაიდერის უშუალო კონტაქტის საფუძველზე, საგადახდო მომსახურების პროვაიდერის მიერ შესრულებული ერთჯერადი გადახდის ოპერაციის **თანხა არ უნდა აღემატებოდეს 1500 ლარს (ან მის ეკვივალენტს უცხოურ ვალუტაში).** ზემოთ გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადახდო მომსახურების პროვაიდერი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს საკრედიტო საგადახდო დავალების რეკვიზიტები, რომლის საფუძველზეც უზრუნველყოფილი იქნება გადახდის ოპერაციის შესრულება. ამ შემთხვევაში გადახდის ოპერაციის დამადასტურებელი ქვითარი ან კლიენტისთვის ხელმისაწვდომი ელექტრონული ჩანაწერი უნდა შეიცავდეს ყველა იმ რეკვიზიტს, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება გადახდის ოპერაციის სხვა გადახდის ოპერაციებისგან გამორჩევა და ა.შ.

დაწვრ. იხ. „გადახდის ოპერაციის შესრულების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 22 იანვრის №8/04 ბრძანება, თავი II – „საკრედიტო საგადახდო დავალების საფუძველზე გადახდის ოპერაციის შესრულება"[677].

[677] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2692106?publication=4.

• ბ.გ) სახელმწიფო ხაზინაში ბიუჯეტის შემოსულობის ერთიან ანგარიშზე დეპოზიტის სახით კომერციული ბანკის მეშვეობით თანხის შეტანა შეიძლება როგორც ნაღდი ფულით, ისე უნაღდო ანგარიშსწორების გზით;

• ბ.დ) დეპოზიტზე ყოფნის დროს თანხაზე პროცენტის დარიცხვა, აგრეთვე თანხის ინდექსაცია არ ხდება;

• გ) დაზღვევის პოლისი, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

• გ.ა) მზღვეველის სრული დასახელება და იურიდიული მისამართი;

• გ.ბ) დამზღვევის სრული დასახელება და იურიდიული მისამართი;

• გ.გ) დაზღვეული (მოსარგებლე);

• გ.დ) დაზღვევის ობიექტი;

• გ.ე) სადაზღვევო თანხა;

• გ.ვ) დაზღვევის მოქმედების ტერიტორია;

• გ.ზ) დაზღვევის მოქმედების პერიოდი;

• გ.თ) დადასტურება, რომ გარანტი (მზღვეველი) იღებს გამოუწვევად ვალდებულებას, ყოველგვარი უარყოფისა და გასაჩივრების უფლების გარეშე გადაუხადოს დაზღვეულს (მოსარგებლეს) ნებისმიერი თანხა ან თანხები, მაგრამ არაუმეტეს გარანტიით გათვალისწინებული თანხისა, მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

გარანტიის დეპოზიტის სახით წარდგენის შემთხვევაში:

• ა) საბაჟო ორგანო ახორციელებს სახელმწიფო ხაზინის მიერ გაცემული ინფორმაციისა და ვალდებული პირის მიერ წარდგენილი საგადახდო დავალების ურთიერთშედარებას. კერძოდ, ამოწმებს, თუ რამდენად შეესაბამება საგარანტიო თანხა ამ ინსტრუქციით განსაზღვრული წესით გაანგარიშებულ ოდენობას. შეუსაბამობის შემთხვევაში საგადახდო დავალება არ მიიღება;

• ბ) თანხის შემტანის მიერ თანხის განკარგვა ხორციელდება სახელმწიფო ხაზინის შესაბამისი ანგარიშიდან. შესაბამისი საბაჟო ორგანოს მიერ სახელმწიფო ხაზინისათვის წერილობითი

თანხმობის გარეშე აკრძალულია დეპოზიტზე თანხის შემტანის მიერ მისი განკარგვა;

• გ) საგადახდო დავალების ამ ინსტრუქციით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენისას მისი რეგისტრაცია ხორციელდება იმ საბაჟო ორგანოს მიერ, რომელიც განახორციელებს თზ-ის პერიმეტრზე განთავსებული საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით გადაადგილებული საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლს.

გარანტიის საბანკო გარანტიის ან დაზღვევის პოლისით წარდგენის შემთხვევაში:

• ა) სამსახური განიხილავს საბანკო გარანტიას/დაზღვევის პოლისს ამ ინსტრუქციით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;

• ბ) საბანკო გარანტიის/დაზღვევის პოლისის შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში სამსახური ახდენს გარანტიის რეგისტრაციას და იტოვებს მის დედანს, ხოლო დამოწმებულ ასლს გადასცემს ორგანიზატორს.

გარანტია წარმოადგენს განსახილველი ინსტრუქციით დადგენილი მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას და თზ-ის ფუნქციონირების დაწყებისას ამ გარანტიის მიმართ ბენეფიციარის სტატუსი გააჩნია სამსახურს.

ტექნიკური, საორგანიზაციო და სხვა მოთხოვნები თზ-ის მოწყობისას. ინსტრუქციის „თავისუფალი ზონის შექმნის პირობების, მისი შექმნისთვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის ფუნქციონირების, მასში საქონლის შენახვისა და საბაჟო კონტროლის განხორციელების წესების შესახებ“, სავალდებულოა, თზ-ს ჰქონდეს კაპიტალურად დამონტაჟებული მასალის **არანაკლებ 2 მეტრი სიმაღლის ღობე,** გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პერიმეტრის გეოგრაფიული მდებარეობა (უშუალოდ ზღვის, მდინარის, ჭაობის, კლდის მომიჯნავედ არსებული პერიმეტრი) შეუძლებელს ხდის ღობის აღმართვას, ან როდესაც არსებული პერიმეტრის მომიჯნავედ განთავსებულია ვიდეოთვალთვალის სისტემით აღჭურვილი **2 მეტრი სიგანისა და სიღრმის თხრილი,** ან როდესაც თზ-ის პერიმეტრის ზღუდეზე მდებარეობს შენობა-

ნაგებობა, რომელსაც, როგორც ცალკე უფლების ობიექტს, მინიჭებული აქვს უძრავი ნივთის უნიკალური საიდენტიფიკაციო (საკადასტრო) კოდი და რომელიც თზ-ის პერიმეტრს ემიჯნება ვიდეოთვალთვალის სისტემით აღჭურვილი უღობო (ყრუ) კედლით. ღობეს მთელ სიგრძეზე უნდა გასდევდეს გარე განათება. ღობეზე ან შენობა-ნაგებობის კედელზე გარე მხრიდან ყოველი **200 მეტრის შუალედში** უნდა იყოს მიმაგრებული ტოლგვერდა სამკუთხედის ფორმის, „მანათობელი“ საღებავის გამოყენებით დამზადებული ფირნიში (სამკუთხედის გვერდის სიგრძე უნდა იყოს არანაკლებ 50 სანტიმეტრისა), რომელზეც მწვანე ფერის ფონზე თეთრი ფერით ქართულ და ინგლისურ ენებზე უნდა იყოს წარწერა: **„საბაჟო კონტროლის ზონა“ – „Customs Control Zone“.**

თზ-ის ტერიტორიაზე არსებული მიწისზედა და მიწისქვეშა შენობა-ნაგებობები და სხვა ნებისმიერი კონსტრუქცია (გარდა შესასვლელ-გამოსასვლელი საბაჟო გამშვები პუნქტებისა, ასევე წყალმომარაგების, კავშირგაბმულობის ელექტრო- და გაზმომარაგების კონსტრუქციებისა) არ უნდა კვეთდეს თზ-ის ღობის ვერტიკალურ სიბრტყეს.

თზ-ში კანონმდებლობით დადგენილი წესით (ორგანიზატორის მიერ და მისივე ხარჯით) მოეწყობა თზ-ში შესასვლელები და გამოსასვლელები – საბაჟო გამშვები პუნქტები. საბაჟო გამშვები პუნქტების მოწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურით და ტექნიკადანადგარით აღჭურვა მოიცავს:

- ა) საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიის, მასზე შენობა-ნაგებობების, სპეციალური ტექნიკის განთავსების პროექტის შეთანხმებას სამსახურთან;
- ბ) სპეციალიზებული საავტომობილო და სხვა სახის (რაოდენობის, სიმძლავრის და ა.შ. განსაზღვრისთვის საჭირო) სასწორის განთავსებას;
- გ) საქონლის (მათ შორის, რადიაციული, იარაღის (ფეთქებადი მასალა), ნარკოტიკული საშუალების) მალულად გადაადგილების აღკვეთისა და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით სატრანსპორტო საშუა-

ლების გახსნის გარეშე საქონლის დათვალიერების, რადიაციული, იარაღის, ნარკოტიკულ საშუალებათა გამომვლენი საშუალებების (რენტგენულ გამოსხივებაზე დამყარებული) რაოდენობის, სიმძლავრის განსაზღვრას და საბაჟო გამშვები პუნქტის აღჭურვას. სპეციალურ საშუალებებში იგულისხმება, აგრეთვე, სპეციალიზებული კინოლოგიური მომსახურება;

• დ) საქონლის დათვალიერების ადგილის გამოყოფასა და შესაბამისად აღჭურვას (სასწორი, გადმოტვირთვა-დატვირთვის სპეციალური ტექნიკა);

• ე) საბაჟო ორგანოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზასთან სამსახურის მიერ განსაზღვრული სიმძლავრის კავშირის უზრუნველყოფას;

• ვ) საბაჟო დეკლარაციის, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის (შემდგომში – აღრიცხვის მოწმობა) შევსებას, გამოწერას, კონტროლის დაწესებას, მოხსნისთვის აუცილებელი კომპიუტერული ტექნიკის, ქსელის არსებობას;

• ზ) საბაჟო გამშვებ პუნქტში გამოსახულების მიმდინარე რეჟიმში ელექტრონული საშუალებით საბაჟო ორგანოსათვის გადაცემის ტექნიკური საშუალების არსებობას;

• თ) ნებართვას დაქვემდებარებული საქონლის იდენტიფიცირებისათვის აუცილებელი, თზ-ში საქმიანობის სავარაუდო გეგმის მიხედვით შესაბამისი მასშტაბის ლაბორატორიის მოწყობას;

• ი) სახელმწიფო სანიტარიულ-საკარანტინო, სახელმწიფო ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო, სახელმწიფო ფიტოსანიტარიული სასაზღვრო საკარანტინო კონტროლის განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურისა და ტექნიკა-დანადგარების რაოდენობის, სახეობის განსაზღვრასა და საბაჟო გამშვები პუნქტის აღჭურვას (პ.3.).

ზემოთ აღნიშნული **მე-3 პუნქტით** განსაზღვრული საბაჟო გამშვები პუნქტის მოწყობის პირობების და მოთხოვნების შემცირების ან გაზრდის უფლებამოსილება აქვს სამსახურს. შესაძლებელია შეიცვალოს თზ-ის ფუნქციონირებისათვის დადგენილი პირობები, რის შესახებაც **ერთი წლით ადრე** ეცნობება

ორგანიზატორს ფუნქციონირების ახალ პირობებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ორგანიზატორის წინააღმდეგობის შემთხვევაში სათანადო პასუხისმგებელი ორგანო თავად უზრუნველყოფს მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას, ამისათვის საკმარისი ფუნქციონირების ვალდებულებების უზრუნველმყოფი გარანტიის სახელმწიფოს სასარგებლოდ რეალიზაციის საშუალებით[678].

თზ-ის შექმნის პირობები და ფუნქციონირების წესი. საქართველოს მთავრობისათვის თზ-ის შექმნის ინიციატივით ორგანიზატორის მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის (შემდგომში – სამინისტრო) დასკვნის მომზადების მიზნით წარდგენილ განცხადებას სამინისტრო თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად უგზავნის სამსახურს. თანდართული დოკუმენტაციის სახით წარდგენილი უნდა იქნეს ის ინფორმაცია, რაც საკმარისია საბაჟო კონტროლის პროცედურების განხორციელებისათვის საჭირო სრული ინფრასტრუქტურის ელემენტების, ტექნიკა-დანადგარების სახეობის, სიმძლავრის, უსაფრთხოების, რაოდენობის, განლაგების, დაპროექტების, სამუშაო რეჟიმში ფუნქციონირებისათვის, ასევე სხვა პარამეტრების შესახებ სამსახურის მიერ მოთხოვნების განსაზღვრისათვის, აგრეთვე ვალდებულებას ფუნქციონირების დაწყების ვადის ფარგლებში ამ მოთხოვნების შესრულების თაობაზე, ან მტკიცებულებებს, რომ დაკმაყოფილებულია თზ-ის შექმნისათვის სამსახურის მიერ განსაზღვრული მოთხოვნები. იმ შემთხვევაში, როცა თზ-ისათვის განკუთვნილი ტერიტორიის საზღვრების განლაგების მიხედვით ან/და ორგანიზატორის სურვილით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე პირის შესვლა, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების შეტანა, ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან პირის გასვლა,

---

[678] ინსტრუქცია „თავისუფალი ზონის შექმნის პირობების, მისი შექმნისთვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის ფუნქციონირების, მასში საქონლის შენახვისა და საბაჟო კონტროლის განხორციელების წესების შესახებ“, მ.6.

საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების გატანა განხორციელდება უშუალოდ თზისათვის განკუთვნილი ტერიტორიიდან, აუცილებელია წარდგენილ იქნეს ინფორმაცია სანიტარიულ-საკარანტინო, სახელმწიფო ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო, სახელმწიფო ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო, ტექნიკური სტანდარტებისადმი შესაბამისობისა და ხარისხის ან/და სხვა კონტროლის განხორციელებისათვის საჭირო სრული ინფრასტრუქტურის ელემენტების, ტექნიკა-დანადგარების სახეობის, სიმძლავრის, უსაფრთხოების, რაოდენობის, განლაგების, დაპროექტების, სამუშაო რეჟიმში ფუნქციონირების, აგრეთვე, სხვა პარამეტრების შესახებ მოთხოვნების განსაზღვრისათვის.

ზემოთ მოცემულ საფუძველზე, თზ-ის შექმნისათვის საჭირო პირობების მომზადების მიზნით განცხადების რეგისტრაციიდან **ერთი დღის ვადაში** სამსახურის უფროსი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლითაც განისაზღვრება სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა. სამსახურის უფროსს უფლება აქვს, ჯგუფის შემადგენლობაში ექსპერტის სტატუსით მოიწვიოს სხვა პირი. ზემოთ აღნიშნული განცხადების საფუძველზე თზ-ის შექმნისათვის საჭირო პირობების განსაზღვრის თაობაზე ან განსაზღვრაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადაა განცხადების რეგისტრაციიდან **25 კალენდარული დღე** (პ.7). საკომენტარო **ინსტრუქციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით** გათვალისწინებული განცხადების საფუძველზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით სამუშაო ჯგუფი იწყებს მარტივ ადმინისტრაციულ წარმოებას. გადაწყვეტილება მიიღება საქართველოს ზოგადი **ადმინისტრაციული კოდექსის VI თავის[679] - „ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ ორგანოში“** შესაბამისად. სამუშაო ჯგუფი ვალდებულია, საქართველოს

---

[679] თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, კოლეგიურ ორგანოში ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს ადმინისტრაციული ზოგადი კოდექსის VI დადგენილი წესის შესაბამისად და ამ თავში აღნიშნული დებულებების გათვალისწინებით. 1¹. თუ კანონით სხვა რამ არ არის

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული წესით, გარკვეული პერიოდულობით გამართოს ზეპირი მოსმენა. ზეპირი მოსმენის გამართვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ჯგუფის უფროსი საკუთარი ინიციატივით, ან განმცხადებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე სხდომის ხელმძღვანელი ვალდებულია, სხდომა გამოაცხადოს დახურულად. დამატებითი ინფორმაციის წარდგენის საჭიროებისას სამუშაო ჯგუფი მართავს ზეპირი მოსმენის სხდომას და განმცხადებელთან შეთანხმებით განსაზღვრავს გონივრულ ვადას, რომლის ფარგლებშიც განმცხადებელი ვალდებულია, წარადგინოს ინფორმაცია. ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს განცხადების სამსახურში რეგისტრაციიდან **10 კალენდარულ დღეს**. ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმით დადგენილ ვადაში ინფორმაციის წარუდგენლობა არის თზ-ის შექმნისათვის საჭირო პირობების განსაზღვრაზე უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველი. აღნიშნული წესით განსაზღვრული ვადის თაობაზე ეცნობება სამინისტროს.

დადგენილი. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისას გამოიყენება საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესები. [1], კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების მიმართ ვრცელდება საქართველოს კონსტიტუციით, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს, საბაჟო კოდექსითა და სხვა საკანონმდებლო, აგრეთვე მათ საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტებით გათვალისწინებული წესები. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, კოლეგიურ ორგანოში შეტანილ განცხადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო. გამონაკლისს წარმოადგენს კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირის უფლება – გადაგზავნოს განცხადება უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ან დაუბრუნოს იგი განმცხადებელს, თუ მასში დასმული საკითხების გადაწყვეტა კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას არ განეკუთვნება.

თზ-ის შექმნის შესახებ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით უნდა განისაზღვროს თზ-ის ფუნქციონირების დაწყების ვადა, რომელიც მოიცავს თზ-ის შექმნის საკომენტარო ინსტრუქციით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების, საქართველოს მთავრობის, საქართველოს მინისტრის სამართლებრივ აქტებში თზ-ის ფუნქციონირების დაწყებისათვის აუცილებელი ცვლილებისა და დამატებების მიღების, საბაჟო გამშვები პუნქტების შექმნის, შესაბამისი კადრებით დაკომპლექტების, საბაჟო კონტროლის პროცედურების განხორციელების ტექნოლოგიური სქემის მომზადების ვადას.

თზ-ის შექმნის შესახებ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით განსაზღვრული ფუნქციონირების დაწყებამდე ორგანიზატორს უფლება აქვს, დაიწყოს შეზღუდული საქმიანობა თზ-ის შექმნის შესახებ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან საკომენტარო ინსტრუქციის გათვალისწინებული წესით თზ-ის შესაბამისობის დადასტურების გარეშე.

ზემოთ აღნიშნული უფლების რეალიზაციისათვის ორგანიზატორი წერილობით მიმართავს სამინისტროს თზ-ის შექმნასთან დაკავშირებულ ურთიერთვალდებულებათა შესახებ ორგანიზატორსა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების შეტანის წინადადებით, აგრეთვე, სამსახურს – თზ-ის ტერიტორიაზე საბაჟო კონტროლის განხორციელების ტექნოლოგიური სქემის შემუშავების თხოვნით.

ტექნოლოგიური სქემით განისაზღვრება:

- ა) თზ-ში შესატანი ან/და თზ-დან გასატანი საქონლის საბაჟო ფორმალობების განხორციელების ადგილები;
- ბ) საბაჟო ფორმალობების განხორციელების ადგილიდან თზ-ში ან პირიქით გადაადგილების წესი;
- გ) თზ-ის შესასვლელსა და გასასვლელში საბაჟო კონტროლის ქვეშ გადაადგილების დაწყებისა და დასრულებისათვის აუცილებელი მინიმალური აღჭურვილობის ჩამონათვალი და საბაჟო კონტროლის განხორციელების წესი.

საბაჟო ორგანო უფლებამოსილია ამ მუხლით განსაზღვრული წესით შემუშავებული ტექნოლოგიური სქემის შესაბამისად განახორციელოს საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული

საბაჟო კონტროლის ნებისმიერი ღონისძიება თზ-ის მთელ ტერიტორიაზე. **თზ-ის ფუნქციონირებამდე შეზღუდული საქმიანობის დაწყებისათვის უნდა შესრულდეს შემდეგი პირობები:**

- ა) სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ტექნოლოგიური სქემის დამტკიცება;
- ბ) ორგანიზატორის მიერ თზ-ის შესასვლელსა და გასასვლელში საბაჟო კონტროლის ქვეშ გადაადგილების დაწყებისა და დასრულებისათვის აუცილებელი ტექნოლოგიური სქემით განსაზღვრული მინიმალური აღჭურვილობის დამონტაჟება და მისი სამუშაო რეჟიმში ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- გ) საკომენტარო ინსტრუქციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტითა და მე-3 პუნქტის „ე“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები;
- დ) ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული **გარანტიის 10%-ის ოდენობით** სამსახურისათვის წარდგენა;
- ე) თზ-ის შექმნასთან დაკავშირებულ ურთიერთვალდებულებათა შესახებ ორგანიზატორსა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების შეტანა.

ორგანიზატორს უფლება აქვს, სამსახურისათვის ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული **გარანტიის 50%-ის ოდენობით** წარდგენის შემთხვევაში, ამავე მუხლით გათვალისწინებული შეზღუდული საქმიანობის დაწყებისათვის დადგენილი აუცილებელი პირობებიდან არ შეასრულოს მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობები.

თზ-ის ფუნქციონირების დაწყების მზადყოფნის შესახებ შეტყობინების გამოცემამდე აკრძალულია თზ-ის ტერიტორიაზე შეტანილი საქონლის ან/და ამ საქონლის გადამუშავებული საქონლის (მათ შორის, ნარჩენის) თზ-ის ტერიტორიიდან გატანა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხორციელდება თზ-ში შეტანილი საქონლის უკან დაბრუნების მიზნით გატანა, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა, ან განადგურება.

თზ-ის შექმნის შესახებ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით განსაზღვრული ფუნქციონირების ვადის დაწყების ამოწურვამდე **20 კალენდარული დღით ადრე,** ან ვადამდე ორგანიზატორის განცხადების საფუძველზე სამსახურის უფროსი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლითაც განისაზღვრება სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა. იმ შემთხვევაში, როცა ჯგუფი იქმნება ორგანიზატორის განცხადების საფუძველზე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტი გამოიცემა განცხადების სამსახურში რეგისტრაციიდან **3 დღის ვადაში.**

სამსახურის უფროსს უფლება აქვს, ჯგუფის შემადგენლობაში ექსპერტის სტატუსით მოიწვიოს სხვა პირი. ჯგუფის ამოცანაა, დაადასტუროს ან უარყოს თზ-ის შექმნის შესახებ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თზ-ის შესაბამისობა. სამუშაო ჯგუფი განსაზღვრავს თზ-ის დათვალიერების თარიღს და აღნიშნულის შესახებ ატყობინებს ორგანიზატორს.

თზ-ის დათვალიერებისას დგება დათვალიერების შედეგების ამსახველი აქტი, რომელსაც ხელს აწერს ჯგუფის ყველა წევრი.

თზ-ის შექმნის შესახებ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თზ-ის შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში ორგანიზატორსა და სამინისტროს სამსახური უგზავნის მოთხოვნას ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული გარანტიის შესაბამის საბაჟო ორგანოში დარეგისტრირების თაობაზე, ხოლო გარანტიის რეგისტრაციის მეორე სამუშაო დღეს ორგანიზატორსა და სამინისტროს სამსახური უგზავნის შეტყობინებას თზ-ის ფუნქციონირების დაწყების მზადყოფნის შესახებ. თზ-ის შექმნის შესახებ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თზ-ის შესაბამისობის უარყოფის შემთხვევაში თზ-ის დათვალიერების შედეგების ამსახველ აქტში ფიქსირდება ინფორმაცია ნაკლოვანებებისა და მათი აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ. ზემოთ გათვალისწინებულ ინფორმაციას სამინისტროს უგზავნის სამსახური. სამსახურის მიერ გაგზავნილი ინფორმაციის საფუძველზე სამინისტრო იწყებს მარტივ ადმინისტრაციულ წარმოებას და ზეპირი მოსმენის გამართვის შემდგომ

ადგენს დათვალიერების შედეგების ამსახველ აქტში დაფიქსირებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის ვადას.

ინსტრუქციის მე-13 მუხლით გათვალისწინებული წესით განსაზღვრული ვადის ფარგლებში თზ-ის შექმნის შესახებ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თზ-ის შესაბამისობის უარყოფის დამადასტურებელი თზ-ის დათვალიერების შედეგების ამსახველ აქტში დაფიქსირებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისას ორგანიზატორი წერილობით ატყობინებს სამსახურსა და სამინისტროს. განსაზღვრული ვადის ფარგლებში თზ-ის შექმნის შესახებ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თზ-ის შესაბამისობის უარყოფის დამადასტურებელ თზ-ის დათვალიერების შედეგების ამსახველ აქტში დაფიქსირებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის თაობაზე ორგანიზატორის წერილობითი შეტყობინების მიუღებლობისას სამსახური აყენებს საკითხს თზ-ის ლიკვიდაციის (საქმიანობის შეწყვეტის) შესახებ.

სამსახურისა და სამინისტრისადმი წერილობითი შეტყობინების სამსახურში რეგისტრაციიდან მეორე სამუშაო დღეს სამსახურის უფროსი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლითაც განისაზღვრება სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა. სამსახურის უფროსს უფლება აქვს, ჯგუფის შემადგენლობაში ექსპერტის სტატუსით მოიწვიოს სხვა პირი ჯგუფის ამოცანაა, დაადასტუროს ან უარყოს თზ-ის შექმნის შესახებ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თზ-ის შესაბამისობის უარყოფის დამადასტურებელი თზ-ის დათვალიერების შედეგების ამსახველ აქტში დაფიქსირებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა სამუშაო ჯგუფი განსაზღვრავს თზ-ის დათვალიერების თარიღს და ატყობინებს აღნიშნულის შესახებ ორგანიზატორს. თზ-ის დათვალიერებისას დგება თზ-ის დათვალიერების შედეგების ამსახველი აქტი, რომელსაც ხელს აწერს ჯგუფის ყველა წევრი. თზ-ის შექმნის შესახებ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თზ-ის შესაბამისობის უარყოფის დამადასტურებელი თზ-ის დათვა-

ლიერების შედეგების ამსახველ აქტში დაფიქსირებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის დადასტურების შემთხვევაში ორგანიზატორსა და სამინისტროს სამსახური უგზავნის მოთხოვნას ამ ინსტრუქციით გათვალისწინებულ გარანტიის შესაბამის საბაჟო ორგანოში დარეგისტრირების თაობაზე, ხოლო გარანტიის რეგისტრაციის მეორე სამუშაო დღეს ორგანიზატორსა და სამინისტროს სამსახური უგზავნის შეტყობინებას თზ-ის ფუნქციონირების დაწყების მზადყოფნის შესახებ. იმ შემთხვევაში, როცა ამ ინსტრუქციის მე-16 მუხლში მითითებული დათვალიერების აქტით არ დადასტურდება თზ-ის შექმნის შესახებ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თზ-ის შესაბამისობის უარყოფის დამადასტურებელი თზ-ის დათვალიერების შედეგების ამსახველ აქტში დაფიქსირებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა, სამსახური აყენებს საკითხს თზ-ის ლიკვიდაციის (საქმიანობის შეწყვეტის) შესახებ.

თზ-ის ფუნქციონირების ვადის განმავლობაში ორგანიზატორი ვალდებულია, უზრუნველყოს თზ-ის ფუნქციონირების დაწყებამდე არსებული ინფრასტრუქტურის, ტექნიკა-დანადგარების სამუშაო რეჟიმში ყოფნა, ინფრასტრუქტურაში შემავალი ელემენტების, ტექნიკა-დანადგარების მიმდინარე, კაპიტალური რემონტი, შეცვლა, მათი განახლება. **ინსტრუქციის მე-19 მუხლში** მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობისას თზ-ის საწარმოების მომსახურების/ზედამხედველობის განმახორციელებელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანო ვალდებულია, ორგანიზატორს ან თზ-ის შემთხვევაში საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – თზ-ის სააგენტოს (შემდგომში – თზ-ის სააგენტო) წარუდგინოს წერილობითი მოთხოვნა ინფრასტრუქტურაში შემავალი ელემენტების ან/და ტექნიკა-დანადგარების სამუშაო რეჟიმში ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით მათი მიმდინარე, ან კაპიტალური რემონტის, ან შეცვლის თაობაზე. თზ-ის სააგენტო წერილობითი მოთხოვნის რეგისტრაციიდან ერთი დღის ვადაში მოთხოვნის წარმდგენ სახელმწიფო ორგანოსთან შეთანხმებით განსაზღვრავს მოთხოვნის შესრულების გონივრულ ვადას და ატყობინებს ზემოაღნიშნულის შესახებ ორგანიზატორს.

როგორ ხდება თზ-ისათვის დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა და გარანტიიდან თანხის ჩამოჭრა? ამ კითხვაზე პასუხს გაგვცემს ინსტრუქციის თავი V – „თზ-ისათვის დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა და გარანტიიდან თანხის ჩამოჭრა“, კერძოდ: საკომენტარო მიზნებისათვის თზ-ისათვის დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობად ითვლება თზ-ის შექმნის თაობაზე საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების მიღების შემდგომ პერიოდში ნებისმიერი წესის/პირობის დარღვევა (მათ შორის, ორგანიზატორის მიერ საბაჟო ან/და საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობა), რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია თზ-ის შექმნისა და ფუნქციონირებისათვის.

თზ-ისათვის დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის, რომელზეც წარდგენილია ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული გარანტია, გარანტიის შესრულების (რეალიზაციის) მოთხოვნას ან გარანტიიდან საჭირო ოდენობის ფულადი თანხის ჩამოჭრას ახორციელებს სამსახური. ერთი დღის ვადის განმავლობაში მოთხოვნის შეუსრულებლობისას წერილობითი მოთხოვნის წარმდგენი სახელმწიფო ორგანო უფლებამოსილია, განსაზღვროს მოთხოვნის შესრულებისათვის საჭირო ფულადი თანხის ოდენობა და გაუგზავნოს საბაჟო ორგანოს წერილობითი შეტყობინება გარანტიიდან ამ თანხის ჩამოჭრის თაობაზე. საბაჟო ორგანო ვალდებულია, წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 3 დღის ვადაში გარანტს მოსთხოვოს თანხის ჩამოჭრა.

ზემოთ განსაზღვრულ შემთხვევაში მოთხოვნის შესრულების უზრუნველყოფას გარანტიიდან ჩამოჭრილი ფულადი თანხის ფარგლებში ახორციელებს თზ-ის სააგენტო, ხოლო თზ-ის არსებობის შემთხვევაში აღნიშნული თანხა უნდა დაუბრუნდეს ორგანიზატორს. ინსტრუქციაში მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობისას სამსახური მიმართავს სამინისტროს თზ-ის ლიკვიდაციის (საქმიანობის შეწყვეტის) მოთხოვნით. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება გარანტიიდან მოთხოვნილი თანხის მიღება, ორგანიზა-

ტორი ვალდებულია, წარმოადგინოს ახალი გარანტია ან უზრუნველყოს მოთხოვნილი თანხის დაფარვა ერთი თვის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახური მიმართავს სამინისტროს თზ-ის ლიკვიდაციის (საქმიანობის შეწყვეტის) მოთხოვნით. ორგანიზატორის მიერ ფუნქციონირების ვადის განმავლობაში თზ-ის საწარმოების მომსახურების/ზედამხედველობის განმახორციელებელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მოთხოვნის განხორციელებისათვის გარანტიიდან ჩამოჭრილი თანხის თზ-ის სააგენტოს მიერ განკარგვის წესის შემუშავებას ერთობლივად უზრუნველყოფენ სამინისტრო და საქართველოს ფინანსთა სამინისტრო თზ-ის ფუნქციონირების დაწყებამდე. თზ-ის შექმნის შესახებ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ან/და თზ-ის ფუნქციონირების პერიოდში, თუ სამსახური აღმოაჩენს, რომ თზ-ში განსხვავებული საქმიანობის დაწყების ან სხვა გარემოების გამო საჭიროა თზ-ისათვის დადგენილი მოთხოვნებისაგან განსხვავებული მოთხოვნის დამატებით შესრულება, იგი ვალდებულია, ამის შესახებ გონივრულ ვადაში წერილობით აცნობოს ორგანიზატორს, ხოლო ამ უკანასკნელმა წერილის მიღებიდან 6 თვის ვადაში უნდა უზრუნველყოს აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება. ამ ვადის განმავლობაში მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში მისი იძულების წესით შესრულება ხორციელდება ამ ინსტრუქციის 21-ე მუხლის მიხედვით (ზემოთ აღნიშნული თავი V „თზ-ისათვის დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა და გარანტიიდან თანხის ჩამოჭრა“).

2. თავისუფალი ზონის პროცედურის ვადა

თავისუფალი ზონის პროცედურების განხორციელებასთან დაკავშირებულ ვადებზე ზემოთ გვქონდა ვრცელი საუბარი, აქ კი მხოლოდ **საბაჟო კოდექსის 130-ე მუხლის** მიზნებისათვის ავღნიშნავდით, რომ: თავისუფალი ზონის პროცედურაში საქონელი შეიძლება მოექცეს უვადოდ. განსაკუთრებულ შემთხვევაში საბაჟო ორგანოს შეუძლია დაადგინოს თავისუფალი ზონის პროცედურის

დასრულების ვადა იმ საქონლისთვის, რომლის ხანგრძლივად დასაწყობებამ, მისი სახეობიდან და ბუნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობას, მცენარეს ან გარემოს.

3. თავისუფალ ზონაში საბაჟო კონტროლის განხორციელება

თავისუფალი ზონის პერიმეტრები გარკვეულ საბაჟო ორგანოს მიერ გარკვეულ ზედამხედველობასა და კონტროლს ექვემდებარება, კერძოდ: თავისუფალი ზონის შესასვლელსა და გამოსასვლელს, თავისუფალი ზონის პერიმეტრს აკონტროლებს საბაჟო ორგანო[680], ხოლო ინსტრუქციის „თავისუფალი ზონის პროცედურის შესახებ" (დანართი №10) 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია:

- ა) განახორციელოს კონტროლი თავისუფალი ზონის პერიმეტრზე პირის, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებაზე;
- გ) მოითხოვოს და მიიღოს თავისუფალ ზონაში არსებული საქონლის დოკუმენტების ასლები;
- გ) საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას, დაათვალიეროს თავისუფალ ზონაში შენახული საქონელი.

თავისუფალ ზონაში შესატან (მათ შორის, სხვა საბაჟო პროცედურაში მოქცეულ) უცხოურ საქონელზე საბაჟო ორგანოს წარედგინება გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია, თუ საქართველოს საბაჟო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.

თავისუფალი ზონის ტერიტორიაზე თავისუფალი ზონის შექმნამდე შეტანილი საქართველოს საქონლის მიმართ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ექსპორტის პროცედურა, თუ დეკლარანტი

[680] საბაჟო კოდექსი, მ. 131.ნ.1.

გაფორმების საბაჟო ორგანოში წარადგენს საქონლის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოზე გასხვისების დოკუმენტს.

ინსტრუქციის „თავისუფალი ზონის შექმნის პირობების, მისი შექმნისთვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის ფუნქციონირების, მასში საქონლის შენახვისა და საბაჟო კონტროლის განხორციელების წესების შესახებ“ თავი VI -ის („საქონლის მიმართ საბაჟო კონტროლის ღონისძიებების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისა და აღსრულების, თზ-ში საქონლის შენახვის წესები“) თანახმად, თზ-ის შესასვლელებსა და გამოსასვლელებზე, თზ-ის საზღვრებზე (პერიმეტრის ზღუდეზე) პირის, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების, თზ-ში არსებული ან/და შენახული საქონლის კონტროლს ახორციელებს საბაჟო ორგანო. საბაჟო კონტროლის პროცედურები ხორციელდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

თზ-ის შესასვლელებსა და გამოსასვლელებზე განთავსებული საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე საბაჟო კონტროლის განხორციელების ტექნოლოგიურ სქემას შეიმუშავებს სამსახური. იმ შემთხვევაში, როცა თზ-ში შესატანი ან თზ-დან გასატანი საქონლის მიმართ საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის განსაზღვრის მიზნით საბაჟო დეკლარაციის/რეექსპორტის შეტყობინების წარდგენა ხორციელდება თზ-ის შესასვლელებსა და გასასვლელებზე განთავსებული საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიის გარდა საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის განხორციელების სხვა ადგილებში, ამ საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე თზ-ში შესატანი ან თზ-დან გასატანი საქონლის საბაჟო კონტროლი ხორციელდება ტექნოლოგიური სქემის შესაბამისად. საქონლის შენახვის ადგილის მფლობელი ვალდებულია, უზრუნველყოს ინვენტარიზაციის დაუბრკოლებლად განხორციელების შესაძლებლობა და ამ მიზნით საწყობში განთავსებული საქონლის შესაბამისი განლაგება.

იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზატორი განაცხადებს, რომ თზ გამოყენებული იქნება არსებითად მომსახურების გაწევის მიზნით, საქართველოს ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს, დაადგინოს ამავე ინსტრუქციის მე-3 თავით („ტექნიკური, საორგანიზაციო და სხვა

მოთხოვნები თზ-ის მოწყობისას") გათვალისწინებული მოთხოვნებისაგან განსხვავებული უფრო გამარტივებული მოთხოვნები. თზში არსებითად სხვა საქმიანობაზე გადასვლის შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უფლება აქვს ორგანიზატორს მოსთხოვოს, გონივრულ ვადაში[681] დააკმაყოფილოს ამ ინსტრუქციით განსაზღვრული პირობები.

საბაჟო ორგანო უფლებამოსილია:

- ა) გააკონტროლოს პირის, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების თავისუფალ ზონაში შესვლა/თავისუფალი ზონიდან გასვლა;
- ბ) აკრძალოს თავისუფალ ზონაში იმ პირის შესვლა და საქმიანობა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების სათანადოდ შესრულებას;
- გ) მოითხოვოს თავისუფალ ზონაში არსებული საქონლის დოკუმენტების ასლები;
- დ) საჭიროების შემთხვევაში დაათვალიეროს თავისუფალ ზონაში შენახული საქონელი.

4. თავისუფალ ზონაში ნებადართული საქმიანობა

თავისუფალ ზონაში დასაშვები ქმედებები მოცემულია **საბაჟო კოდექსის 132-ე მუხლში** და **ინსტრუქციის „თავისუფალი ზონის პროცედურის შესახებ" მე-4 მუხლში. საბაჟო კოდექსის 132-ე მუხლის** თანახმად, დასაშვებია თავისუფალ ზონაში ნებისმიერი საქონლის შეტანა, შენახვა, გადამუშავება, მიწოდება ან/და მომსახურების

---

[681] გონივრული ვადა შეფასებითი კატეგორიაა ამ შემთხვევაში საბაჟო ორგანოსათვის და მისი განსაზღვრა ინსტრუქციის „თავისუფალი ზონის შექმნის პირობების, მისი შექმნისთვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის ფუნქციონირების, მასში საქონლის შენახვისა და საბაჟო კონტროლის განხორციელების წესების შესახებ" 26-ე მუხლის მიზნებისათვის მის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს.

გაწევა, აგრეთვე თავისუფალი ზონიდან ნებისმიერი საქონლის გამოტანა, თუ საბაჟო კოდექსის საკომენტარო 132-ე მუხლის მიზნებისათვის სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

თავისუფალ ზონაში აკრძალულია:

- ა) იარაღისა და საბრძოლო მასალის წარმოება, იარაღითა და საბრძოლო მასალით ვაჭრობა;
- ბ) ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების წარმოება, ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებებით ვაჭრობა;
- გ) ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების შეტანა, შენახვა, წარმოება ან/და რეალიზაცია;
- დ) თამბაქოს ნაწარმის ან/და თამბაქოს ნედლეულის შეტანა (გარდა ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა {აქ ნაგულისხმევია ადგილზე მოხმარებისათვის შეტანილი საქონელი, მაგ; თზ-ში აქციზური საქონლის წარმოება იკრძალება, შესაბამისად სიგარეტისა, მაგრამ ადგილზე მოხმარებისათვის მისი შეტანა იქ მომუშავე პირთათვის დასაშვებია}, შენახვა, წარმოება ან/და რეალიზაცია.

თავისუფალ ზონაში დასაშვებია ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის შეტანა ადგილზე მოხმარებისთვის მისი შეტანა საქონლის ექსპორტად არ მიიჩნევა.

შესაბამისად იხ. „დ“ ქვეპუნქტი.

თავისუფალ ზონაში ნებადართულ საქმიანობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილებით შეიძლება დაწესდეს აკრძალვები ან შეზღუდვები.

მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის „თავისუფალი ზონის შექმნის პირობების, მისი შექმნისთვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის ფუნქციონირების, მასში საქონლის შენახვისა და საბაჟო კონტროლის განხორციელების წესების შესახებ“ თავი VI-ის: „საქონლის მიმართ საბაჟო კონტროლის ღონისძიებების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისა და აღსრულების, თზ-ში საქონლის შენახვის წესები“-ს შესახებ ამავე პარაგრაფში ზემოთ უკვე იყო საუბარი.

ინსტრუქციის „თავისუფალი ზონის პროცედურის შესახებ“ მუხლი 4-ე საბაჟო კოდექსის 132-ე მუხლთან კავშირში აფართოებს

რეალს თავისუფალი ზონის პროცედურაში მოქცეული საქონლის მიმართ დასაშვები ქმედებების ჩამონათვალის შესახებ, კერძოდ: თავისუფალი ზონის პროცედურაში მოქცეული საქონლის მიმართ შესაძლებელია განხორციელდეს საქონლის შენახვის უზრუნველყოფისათვის, მისი სასაქონლო სახის ან მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის აუცილებელი ან გაყიდვისათვის, ტრანსპორტირებისათვის მოსამზადებელი შემდეგი ქმედებები:

- ა) ვენტილაცია, განიავება, გამოშრობა, მტვრის მოცილება, გასუფთავება, შეფუთვა, დამცავ შეფუთვაში მოთავსება, შეფუთვის მწყობრში მოყვანა, პარტიის დანაწილება, დახარისხება, გზავნილების ფორმირება, დამცავი საფენისა და კონსერვანტის ჩატანება, დამცავი მოწყობილობის შეყვანა;
- ბ) მარტივი ოპერაციების ფარგლებში, ტრანსპორტირების ან შენახვის დროს გამოწვეული დაზიანებების ელემენტარული შეკეთება,
- გ) ანტიკოროზიული საფენის ჩატანება ტრანსპორტირების წინ;
- დ) შენახვის ოპტიმალური ტემპერატურული რეჟიმის შექმნა (გაციება, გაყინვა, გახურება);
- ე) სატრანსპორტო საშუალებაზე დამცავი საფარის დატანა ან/და მოშორება;
- ვ) ტრანსპორტირების შემდეგ საქონლის რეკონსტრუქცია;
- ზ) ინვენტარიზაცია, სინჯის/ნიმუშის აღება, დახარისხება, გაცრა, მექანიკური გაფილტვრა და საქონლის აწონვა;
- თ) დაზიანებული ან დაბინძურებული/დასნებოვნებული კომპონენტების/დეტალების მოშორება;
- ი) შენახვა, პასტერიზაციის, სტერილიზაციის, დასხივების ან დამცავი საშუალებების დამატებით;
- კ) დატვირთვა/გადმოტვირთვა/გადატვირთვა;
- ლ) საქონლის განთავსება სადემონსტრაციო სტენდებზე;
- მ) დაკომპლექტებასთან ან სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებული მარტივი ოპერაციები;
- ნ) რაციონალურად განლაგების მიზნით საქონლის გადაადგილება საბაჟო საწყობში;
- ო) ტესტირება (გამოცდა);
- პ) პარაზიტების საწინააღმდეგოდ დამუშავება;
- ჟ) ჟანგსაწინააღმდეგო დამუშავება (მათ შორის, შეღებვა);
- რ) დამუშავება:

- რ.ა) ტემპერატურის მარტივი მატებით, შემდგომი დამუშავების ან დისტილაციის პროცესების გარეშე; ან
- რ.ბ) ტემპერატურის მარტივი დაკლებით;

ინსტრუქციის მე-4 მუხლის შენიშვნის მიზნებისათვის: „რ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედებები დასაშვებია იმ შემთხვევაშიც, თუ აღნიშნული გამოიწვევს საქონლის სეს ესნ-ის თერთმეტნიშნა კოდის ცვლილებას.

- ს) ელექტროსტატიკური დამუშავება, ქსოვილების გაუთოვება/გასწორება;
- ტ) დამუშავება, რომელიც შედგება შემდეგი ოპერაციებისაგან:
  - ტ.ა) ხილის გასუფთავება ან/და დაკურკვა, გამომშრალი ხილისა და ბოსტნეულების დაჭრა ან დამტვრევა, ხილის ხელახალი დატენიანება/რეჰიდრაცია, ან
  - ტ.ბ) ხილის დეჰიდრაცია, იმ შემთხვევაშიც, თუ იგი გამოიწვევს საქონლის სეს ესნ-ის თერთმეტნიშნა კოდის ცვლილებას;
- უ) ტყავების გამტკნარება, გაწმენდა და დაჩხვლეტა;
- ფ) საქონლის დამატება ან დამხმარე კომპონენტების დამატება ან შეცვლა, მანამ, სანამ ასეთი დამატება ან შეცვლა შედარებით შეზღუდულია ან გამიზნულია ტექნიკური სტანდარტების დაკმაყოფილებისთვის და არ ცვლის ან აუმჯობესებს პირვანდელი საქონლის მუშაობას, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს იწვევს საქონლის სეს ესნ-ის თერთმეტნიშნა კოდის ცვლილებას დამატებული ან გამოცვლილი საქონლისთვის;
- ქ) სითხეების გაზავება ან კონცენტრირება, დამატებითი დამუშავების ან გამოხდის პროცესის გარეშე, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს იწვევს საქონლის სეს ესნ-ის განსხვავებული თერთმეტნიშნა კოდის წარმოქმნას;
- ღ) ერთი და იმავე სახის, მაგრამ განსხვავებული ხარისხის საქონლის შერევა სტაბილური ხარისხის ან დამკვეთის/მყიდველის მიერ, საქონლის ტიპის ცვლილების გარეშე, მოთხოვნილი ხარისხის მისაღებად;
- ყ) სეს ესნ-ის 27-ე თავში კლასიფიცირებული, ბიოდიზელის შემცველი ბუნებრივი აირის ან საწვავის შერევა ისეთ ბუნებრივ აირთან ან საწვავთან, რომელიც არ შეიცავს ბიოდიზელს, თუ აღნიშნული ოპერაციის მიზანია საქონლის სტაბილური ხარისხის ან დამკვეთის/მყიდველის მიერ, საქონლის ტიპის ცვლილების გარეშე მოთხოვნილი ხარისხის მისაღება. ამასთან, ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული

ოპერაცია დასაშვებია იმ შემთხვევაშიც, როცა ეს იწვევს საქონლის სეს ესნ-ის თერთმეტნიშნა კოდის ცვლილებას;

• შ) ბუნებრივი აირის/საწვავისა და ბიოდიზელის შერევა, როდესაც ნარევი შეიცავს 0,5%-ზე ნაკლებ ბიოდიზელს ან ბუნებრივ აირს/საწვავს;

• ჩ) საქონლის დაყოფის ან ამოჭრის მარტივი ოპერაციები;

• ც) შეფუთვა, შეფუთვიდან ამოღება, შეფუთვის შეცვლა, გადასხმა და ჭურჭელში გადატანის მარტივი ოპერაციები, იმ შემთხვევაშიც, როცა ეს გამოიწვევს საქონლის სეს ესნ-ის თერთმეტნიშნა კოდის ცვლილებას;

• ძ) მარკირება (მ.შ. აქციზური მარკების დაკვრა), მარკის, ლუქის, იარლიყის/ეტიკეტის, ფასის ნიშნულის ან სხვა მსგავსი განმასხვავებელი ნიშნების დამაგრება, მოხსნა ან შეცვლა;

• წ) ტექნიკურ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, მარტივი ოპერაციებით მექანიზმების, აპარატურის ან/და სატრანსპორტო საშუალებების ტესტირება, მორგება, მოწესრიგება და რეგულირება;

• ჭ) მილების საერთების დაბლაგვება, კონკრეტული ბაზრებისთვის მოსამზადებლად;

• ხ) დენატურირება, იმ შემთხვევაშიც, თუ აღნიშნული იწვევს საქონლის სეს ესნ-ის თერთმეტნიშნა კოდის ცვლილებას;

• ჯ) საქონლის შენახვის უზრუნველყოფის, ტრანსპორტირებისა და გაყიდვის ხელშეწყობის მიზნით საჭირო სხვა ისეთი ოპერაციები, რომლებიც არ ცვლის და არ აუმჯობესებს საქონლის პირვანდელ ბუნებას/ტიპ (პ.1.).

ინსტრუქციის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად განხორციელებულმა ოპერაციებმა არ უნდა გამოიწვიოს სასაქონლო კლასიფიკაციის შეცვლა სეს ესნ-ის მიხედვით, ციფრული კოდის მეთერთმეტე ნიშნის დონემდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ცვლილება დაშვებულია ამავე პუნქტის შესაბამისი ქვეპუნქტით.

სეს ესნ-ის შესახებ იხ. ბარაზი ი; საბაჟო სამართალი, 2010; ბარაზი ი; საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის ბრძანება (№275 წლის) „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ერთეული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე" დანართი #1[682].

[682] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3 .

5. თავისუფალ ზონაში საქონლის წარდგენა და დეკლარირება

თავისუფალ ზონაში შესატან საქონელზე საბაჟო ორგანოს წარედგინება მხოლოდ გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია, თუ საბაჟო კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

თავისუფალ ზონაში შესატანი საქონელი ექვემდებარება საბაჟო ორგანოსთვის წარდგენას და საბაჟო ფორმალობების განხორციელებას, თუ:

- ა) იგი მოქცეული იყო სხვა საბაჟო პროცედურაში, რომელიც თავისუფალ ზონაში საქონლის შეტანით დასრულდა. ამასთანავე, საქონლის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენა სავალდებულო არ არის, თუ ამ საბაჟო პროცედურის მარეგულირებელი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებულია საქონლის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენის ვალდებულებისგან გათავისუფლება;
- ბ) იგი შეტანილ იქნა თავისუფალ ზონაში იმპორტის გადასახდელის დაბრუნების ან მისი გადახდისგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე;
- გ) მის მიმართ გამოიყენება ექსპორტის პროცედურაში მსგავსი საქონლის მოქცევისთვის გათვალისწინებული ღონისძიებები[683].

ინსტრუქციის „თავისუფალი ზონის პროცედურის შესახებ“ მუხლი 2-ის („თავისუფალ ზონაში საქონლის შეტანა“) თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანილი უცხოური საქონლის მიმართ თავისუფალი ზონის პროცედურის გამოყენების დროს ხორციელდება:

- ა) საქონლის წარდგენა;

საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის მომენტიდან ექვემდებარება საბაჟო ზედამხედველობას და, შესაბამისად, სავალდებულოა მისი წარდგენა[684].

- ბ) ზოგადი დეკლარირება;

---

[683] საბაჟო კოდექსი, მ. 133.

[684] ინსტრუქცია „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ“ (დანართი #5)

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის ზოგადი დეკლარირება ბორციელდება საბაჟო გამშვებ პუნქტში, სასაზღვრო კონტროლის განხორციელების დასრულებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

გაფორმების ეკონომიკური ზონის დანიშნულებით სხვა სატრანსპორტო საშუალებით (მათ შორის, კონტეინერით) გადაადგილებული, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ3-ზე მეტია, ბოლო ელექტროძრავას შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელის და ნახევრადმისაბმელის, აგრეთვე ამ სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებული, კანონმდებლობით განსაზღვრულ დაუბეგრავ მინიმუმზე მეტი რაოდენობისა და ღირებულების საქონლის ზოგადი დეკლარირება ბორციელდება გაფორმების ეკონომიკური ზონის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ სატრანსპორტო საშუალების შესახებ ინფორმაციის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ასახვისას, მაგრამ არაუგვიანეს 60 კალენდარული დღისა, რომელიც აითვლება აღრიცხვის მოწმობის რეგისტრაციის ან სპეციალური ელექტრონული კონტროლის საშუალებით კონტეინერის რეგისტრაციის ან საბაჟო საწყობის მიერ საბაჟო ორგანოსათვის აღნიშნული ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის ელექტრონულად მიწოდების მომენტიდან.

ინსტრუქციის „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ" მე-3 მუხლის მე-3 პუნქტში საუბარია: „საბაჟო საწყობში წარდგენილი, კონტეინერით გადაადგილებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ზოგადი დეკლარირება ასევე შესაძლებელია განხორციელდეს საბაჟო ორგანოსათვის შესაბამისი საბაჟო საწყობის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების საფუძველზე ელექტრონულად მიწოდებული ინფორმაციის გამოყენებით."

აღნიშნული ინსტრუქციის მიზნებისათვის სამუშაო დღე ემთხვევა კალენდარულ დღეს, გარდა შაბათისა, კვირისა და საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული უქმე დღეებისა. თუ ვადის ბოლო დღე ემთხვევა

არასამუშაო დღეს, ვადა გრძელდება შემდეგი სამუშაო დღის დამთავრებამდე.

ზოგადი დეკლარირება ნიშნავს საქონელზე იმ ზოგადი მონაცემების წარდგენას, რომლებიც აუცილებელია საბაჟო ზედამხედველობის, საბაჟო კონტროლისა და საბაჟო ფორმალობების განხორციელებისათვის.

ზოგად დეკლარირებას ახორციელებს: *საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემომტანი ან საქონლის ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელი პირი; საქონლის მესაკუთრე/მიმღები ან მისი წარმომადგენელი; პირი, რომელსაც შეუძლია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის საბაჟო გამშვებ პუნქტში წარდგენა ან რომელმაც წარადგინა იგი აღნიშნულ პუნქტში.*

ზოგადი დეკლარირება ხორციელდება ელექტრონულად ან წერილობით.

- გ) საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის (შემდგომში – აღრიცხვის მოწმობა) გაცემა/დახურვა;

საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობისგაცემა/დახურვაზე ზემოთ იყო საუბარი და ამ საკითხის გაღრმავებას აქ აღ მოვახდენ.

- დ) გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის წარდგენა.

ინსტრუქციის „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ (დანართი №8), მე-11 მუხლის თანახმად, „გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია შესაძლებელია გამოყენებული იქნეს: ....„თავისუფალ ზონაში მოთავსების მიზნით საქართველოს საქონლის ექსპორტის პროცედურის გამოყენებისას და უცხოური საქონლის თავისუფალ ზონაში გადატანისას".

თავისუფალი ზონის პროცედურაში წინასწარ დეკლარირებული საქონლის მიმართ თავისუფალი ზონის საბაჟო გამშვებ პუნქტში ხორციელდება:

- ა) სატრანსპორტო საშუალების, საქონლის გამომგზავნისა და მიმღების იდენტიფიცირება, ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე იდენტიფიკაციის საშუალებების შემოწმება;
- გ) სატრანსპორტო საშუალების ან/და საქონლის გარეგნული დათვალიერება;
- გ) თუ ამ პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საბაჟო კონტროლის ღონისძიებების შედეგად ადგილი არა აქვს საბაჟო კანონმდებლობის დარღვევას, მონაცემთა

ავტომატიზებული სისტემა „eCustoms“-ის გამოყენებით საქონლის საბაჟო დეკლარაციის დამუშავება და საბაჟო ფორმალობები შესაბამისი დერეფნის გამოყენებით (ჲ.1[1]).

2. საბაჟო ორგანოს უფლება აქვს საქონლის წარდგენიდან **3 დღის განმავლობაში** დადგენილი წესით უკან დააბრუნოს საქონელი, რომელიც არ შეიძლება მოთავსდეს თავისუფალი ზონის ტერიტორიაზე ან/და რომლის შემოტანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე აკრძალულია მოქმედი კანონმდებლობით ან/და რომელზეც არ არის წარმოდგენილი კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზია, ნებართვა ან/და სერტიფიკატი.

თავისუფალ ზონაში საქონლის **აღრიცხვის მოწმობით** წარდგენისას, თუ აღნიშნული მომენტისათვის წარდგენილი არაა **გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია,** შესაძლებელია საქონლის გაშვება განხორციელდეს აღრიცხვის მოწმობით.

იმ შემთხვევაში, როდესაც გაფორმების საბაჟო ორგანო არ წარმოადგენს დანიშნულების ადგილს, დეკლარირებული საქონლის თავისუფალ ზონამდე გადაადგილება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, აღრიცხვის მოწმობის გაცემით.

თავისუფალ ზონაში საქართველოს საქონლის მოთავსების მიზნით, თავისუფალი ზონის საბაჟო გამშვებ პუნქტში საქონლის წარდგენისას, დეკლარანტს უფლება აქვს:

- ა) განახორციელოს საქონლის დეკლარირება სასაქონლო ზედნადების/ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების ან საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის საგადასახადო დოკუმენტის (შემდგომში – საგადასახადო დოკუმენტი) წარდგენით, ან;
- ბ) წარადგინოს გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია.

თავისუფალ ზონაში ექსპორტის პროცედურით მოთავსებულ საქონელს უნარჩუნდება საქართველოს საქონლის სტატუსი.

6. თავისუფალი ზონიდან საქონლის გატანის პირობები და თავისუფალი ზონიდან გატანილი საქონლის საბაჟო სტატუსი

საქონლის თავისუფალი ზონიდან გატანის პირობებს და გატანილი საქონლის საბაჟო სტატუს ეხება საბაჟო კოდექსის 134-ე და ინსტრუქციის „თავისუფალი ზონის პროცედურის შესახებ“ მე-3 მუხლები.

საბაჟო კოდექსის 134-ე მუხლის თანახმად: თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, თავისუფალი ზონიდან გასატანი საქონელი შეიძლება:

- ა) გატანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ექსპორტის პროცედურით ან განხორციელდეს მისი რეექსპორტი;

ექსპორტისა და რეექსპორტის შესახებ მოგვიანებით, ქვემოთ ცალკე თავში იქნება საუბარი და ნაშრომის ვრცელი მოცულობიდან გამომდინარე ამ საკითხს დაწვრილებით ამ შემთხვევაში არ შევეხებით.

- ბ) გატანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის სხვა ადგილზე.

თავისუფალი ზონიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიის სხვა ადგილზე გატანილ საქონელზე ვრცელდება საბაჟო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლები.

საბაჟო კოდექსის 70-78-ე მუხლების დეტალური ანალიზი შემოთავაზებულია საბაჟო სამართლის დამხმარე სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში. შეხსენებისათვის მოკლედ აღვნიშნავდით, რომ აღნიშნული მუხლები ეხება: მ.70 - „საბაჟო ზედამხედველობა“; მ.71 – „საქონლის განსაზღვრულ ადგილზე გადაზიდვა/გადატანა“; მ.72 – „დაუძლეველი ძალის მოქმედების დროს განსაბორციელებელი ღონისძიებები“; მ.73 – „საქონლის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენა“; მ. 74- „საქონლის გადმოტვირთვა და გახსნა“; მ.75 – „უცხოური საქონლის შენახვა და საქონლის შენახვის დეკლარაცია; მ. 76 – „დროებითი შენახვის დეკლარაციაში ცვლილების შეტანა ან მათი ლად ცნობა; მ.77 - „საქონლის დროებით შენახვასთან დაკავშირებული პირობები და მოვალეობები“; მ.78 – „საქონლის დროებითი შენახვის დასრულება“[685].

---

[685] ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021.

7. საქონლის საბაჟო სტატუსი. თავისუფალი ზონის საქმიანობის შეწყვეტა

საქონლის საბაჟო სტატუსი. თუ საქონელი თავისუფალი ზონიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიის სხვა ადგილზე შეიტანება, ის მიიჩნევა უცხოურ საქონლად, ვიდრე არ დადასტურდება მისი, როგორც საქართველოს საქონლის სტატუსი.

თუ საქონელი თავისუფალი ზონიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ გაიტანება, საქონლის ექსპორტთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელების მიზნისთვის ეს საქონელი მიიჩნევა საქართველოს საქონლად, თუ არ დადასტურდება, რომ მას არ აქვს საქართველოს საქონლის სტატუსი[686].

ინსტრუქციის „თავისუფალი ზონის პროცედურის შესახებ" მესამე მუხლის (**„თავისუფალი ზონიდან საქონლის გატანა"**) მიხედვით, თავისუფალი ზონიდან საქონლის გატანა ხორციელდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან მისი გატანით ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიის სხვა ადგილზე გადატანით.

თავისუფალი ზონიდან საქონლის სხვა ქვეყანაში გატანა შესაძლებელია:

- ა) ექსპორტის პროცედურით[687] – თავისუფალ ზონაში ექსპორტის პროცედურით მოთავსებული საქონლის ან თავისუფალ ზონაში წარმოებული საქონლის შემთხვევაში;
- ბ) რეექსპორტით[688] – თავისუფალი ზონის პროცედურაში მოქცეული საქონლის შემთხვევაში.

„ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საბაჟო ორგანოს წარედგინება რეექსპორტის შეტყობინება.

---

[686] საბაჟო კოდექსი, მ. 135.

[687] ექსპორტის პროცედურის შესახებ მოგვიანებით გვექნება ვრცელი კომენტარი შემოთავაზებული.

[688] რეექსპორტის პროცედურის შესახებ მოგვიანებით გვექნება ვრცელი კომენტარი შემოთავაზებული.

თავისუფალ ზონაში არსებული საქონლის, როგორც უცხოური საქონლის, საქართველოს სხვა საბაჟო ტერიტორიაზე გადატანის დროს ხორციელდება საბაჟო კანონმდებლობით (მათ შორის, საბაჟო პროცედურის განსაზღვრისათვის) საქართველოში უცხოური საქონლის შემოტანისათვის დადგენილი ფორმალობები.

საქართველოში უცხოური საქონლის შემოტანისათვის დადგენილ ფორმალობებზე ზემოთ უკვე იყო ვრცელი კომენტარი შემოთავაზებული.

დავების გადაწყვეტის წესი. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის წესებით (წესდებით) შეიძლება განისაზღვროს,რომ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში დავებს, რომლებშიც სახელმწიფო არ გამოდის ერთ-ერთ მოდავე მხარედ, განიხილავს და გადაწყვეტს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში მოქმედი საერთაშორისო არბიტრაჟი.

თავისუფალი ზონის საქმიანობის შეწყვეტა. თავისუფალი ზონის საქმიანობა წყდება:

- ა) ამ საქმიანობის ვადის გასვლისთანავე;
- ბ) თავისუფალი ზონის მფლობელის განცხადების საფუძველზე;
- გ) საქართველოს მთავრობის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ თავისუფალი ზონა აღარ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ან ეს მოთხოვნები არ სრულდება.

8. საბაჟო ვალდებულების სპეციალური წესით გაანგარიშება. თავისუფალ ზონაში მოთავსებული საქონლის აღრიცხვა

საბაჟო ვალდებულების სპეციალური წესით გაანგარიშება. როდესაც თავისუფალი ზონის პროცედურაში მოქცეული საქონლის მიმართ განხორციელდა ინსტრუქციის „თავისუფალი ზონის პროცედურის შესახებ“ მიხედვით საქონლის შენახვის უზრუნველყოფისათვის, მისი სასაქონლო სახის ან მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის აუცილებელი ან გაყიდვისათვის, ტრანსპორტირებისათვის მოსამზადებელი გარკვეული ქმედებები *(მაგ; ვენტილაცია,*

განიავება, გამოშრობა, მტვრის მოცილება, გასუფთავება, შეფუთვა, დამცავ შეფუთვაში მოთავსება, შეფუთვის მწყობრში მოყვანა, პარტიის დანაწილება, დაბარისხება, გზავნილების ფორმირება, დამცავი საფენისა და კონსერვანტის ჩატანება, დამცავი მოწყობილობის შეყვანა; მარტივი ოპერაციების ფარგლებში, ტრანსპორტირების ან შენახვის დროს გამოწვეული დაზიანებების ელემენტარული შეკეთება, ანტიკოროზიული საფენის ჩატანება ტრანსპორტირების წინ და სხვ;)[689] და აღნიშნული ქმედებების განხორციელების შედეგად შეიცვალა საქონლის სეს ესნ-ის კოდი, საქართველოს საბაჟო კოდექსის 54-ე მუხლის მე-4 ნაწილის[690] შესაბამისად, საბაჟო ვალდებულება გაანგარიშდება თავისუფალი ზონის პროცედურაში მოქცეული საქონლის თავდაპირველი სეს ესნ-ის კოდის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, თუ თავისუფალი ზონის პროცედურაში მოქცეული საქონელი თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში დეკლარირებისას დაექვემდებარებოდა ანტიდემპინგურ ღონისძიებას.

თავისუფალ ზონაში მოთავსებული საქონლის აღრიცხვა. პირი, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას თავისუფალ ზონაში, ვალდებულია, იქონიოს და ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით აწარმოოს საქონლის მიღების და საქონლის გაცემის ჟურნალები (შემდგომში – ჟურნალები), როდესაც მის მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე ხდება საქონლის მიღება, შენახვა ან გაცემა. იმ შემთხვევაში, თუ პირს გააჩნია ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების რამდენიმე ადგილი თავისუფალ ზონაში, უფლებამოსილია ყოველი ადგილის მიხედვით გახსნას და აწარმოოს ცალ-ცალკე ჟურნალები ან თავისი შეხედულებისამებრ მხოლოდ რამდენიმე ადგილის მიხედვით გახსნას და აწარმოოს ცალ-ცალკე ჟურნალები, ხოლო დანარჩენი ადგილებისთვის გახსნას და აწარმოოს საერთო ჟურნალები. ჟურნალებში ქრონოლოგიური (დღეების მიხედვით) თანმიმდევრობით წარმოებული ჩანაწერები

---

[689] აღნიშნული ქმედებების შესახებ, რომელიც ინსტრუქციის მე-4 მუხლშია მოცემული, ზემოთ იხილეთ კომენტარი.

[690] საბაჟო კოდექსის 54-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესახებ იხ. ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021.

უნდა იძლეოდეს სრულ და ნათელ ინფორმაციას ზონაში რეგისტრირებული საწარმოს (შემდგომში – ზონის საწარმო) საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული საქონლის მოძრაობის შესახებ. პირები, რომელთა ეკონომიკური საქმიანობა ძირითადად დაკავშირებულია თზ-ში საქონლის მიღებასთან და მის გადაცემასთან (მაგ.: ტვირთების გადაზიდვების განმახორციელებელი, საშემნახველო/სასაწყობო მეურნეობის ორგანიზატორი პირები და სხვა), ასეთ საქონელზე საკუთრების უფლების მიღება/გადაცემის გარეშე, ვალდებულნი არიან, იქონიონ და აწარმოონ ჟურნალები საქონლის მიღების, შენახვის ან გადაცემის ადგილების მიხედვით იმ შემთხვევაში, თუ ეს ადგილი (ადგილები) არის მომსახურების გამწევი პირის მფლობელობაში არსებული სტაციონარული ობიექტები.

ჟურნალები მუდმივად უნდა ინახებოდეს და მათი შევსება უნდა ხორციელდებოდეს იმ ტერიტორიის ფარგლებში, სადაც ხდება საქონლის მიღება, შენახვა ან გაცემა. დაუშვებელია ჟურნალების ეკონომიკური საქმიანობის ადგილის გარდა სხვა ადგილას შენახვა.

დროის შესაბამისი პერიოდების მიხედვით არსებული და დახურული ყველა ჟურნალი მათი დახურვიდან **3 კალენდარული წლის განმავლობაში** უნდა ინახებოდეს თზ-ის ტერიტორიაზე ზონის საწარმოში და ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი საბაჟო ორგანოსათვის.

ზონის იმ საწარმოებმა, რომლებიც ბუღალტრულ აღრიცხვა-ანგარიშგებას აწარმოებენ ელექტრონული სისტემების (კომპიუტერ(ებ)ის) მეშვეობით ან/და სურვილი აქვთ გამოიყენონ კომპიუტერი ჟურნალების წარმოებისათვის, ჟურნალების წარმოება უნდა განახორციელონ სამსახურის მიერ შემუშავებული ელექტრონული (კომპიუტერული) ფორმების მეშვეობით, რომლის ჩატვირთვას გადამხდელის კომპიუტერში უზრუნველყოფს შესაბამისი საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი. ამასთან, ზონის ასეთ საწარმოს კომპიუტერი უნდა ჰქონდეს და მისი მეშვეობით აწარმოოს ჟურნალები ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად, ყველა იმ ადგილას, სადაც ხდება საქონლის მიღება, შენახვა ან მიწოდება. ასეთ ფორმებში შეტანილი ინფორმაციის რედაქტირება ბლოკირებულია.

შეცდომით შეტანილი მონაცემის გასწორების შესახებ ჩანაწერი უნდა გაკეთდეს ველში „შენიშვნა“. ასეთი გადამხდელები ვალდებული არიან, რომ ამ ინსტრუქციით დადგენილი წესითა და ვადებში უზრუნველყონ კომპიუტერულ ფორმებში შესაბამისი მონაცემების შეტანა და შესაბამისი საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი პირ(ებ)ის მოთხოვნის შემთხვევაში – ამობეჭდვა, ხელმოწერით დამოწმება და მისთვის გადაცემა.

რაც შეეხება ჟურნალების ზოგად მოთხოვნებს: საქონლის მიღების ჟურნალი (დანართი №10-01) წარმოადგენს ქაღალდის ყდაში ჩასმულ საქონლის მიღების აღრიცხვის ფორმების 100-ის ჯერადი ოდენობის ერთობლიობისაგან შემდგარ ზონარგაყრილ, დანომრილ, ზონის საწარმოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირისა და შესაბამისი საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი თანამშრომლის მიერ ხელმოწერილ და საბაჟო ორგანოს მიერ ბეჭედდასმულ ჟურნალს, სადაც ყდის გარე ზედაპირზე განთავსებულია ჟურნალის თავსართი.

საქონლის გაცემის ჟურნალი (დანართი №10-02)[691] წარმოადგენს ქაღალდის ყდაში ჩასმულ საქონლის გაცემის აღრიცხვის ფორმების **100-ის ჯერადი ოდენობის** ერთობლიობისაგან შემდგარ ზონარგაყრილ, დანომრილ, ზონის საწარმოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირისა და შესაბამისი საბაჟო ორგანოს პასუხისმგებელი თანამშრომლის ხელმოწერილ და საბაჟო ორგანოს მიერ ბეჭედდასმულ ჟურნალს, სადაც ყდის გარე ზედაპირზე განთავსებულია ჟურნალის თავსართი.

ჟურნალები შეძენილ ან დამზადებულ უნდა იქნეს ზონის საწარმოს მიერ. ზონის საწარმო ვალდებულია, ზემოაღნიშნული თანმიმდევრობით აკინძული და ზონარგაყრილი, გვერდებდანომრილი და თავსართზე საწარმოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი (იურიდიული პირის შემთხვევაში, მისი საიდენტიფიკაციო ნომერი) ჟურნალ(ებ)ი დასამოწმებლად მიიტანოს შესაბამის საბაჟო ორგანოში. თუ ჟურნალი აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ

[691] დანართების შესახებ იხ. ინსტრუქცია „თავისუფალი ზონის პროცედურის შესახებ“.

კრიტერიუმებს, საბაჟო ორგანოს შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა მოახდინოს მისი დამოწმება თავისი ხელმოწერითა და საბაჟო ორგანოს ბეჭდით. ჟურნალების დამოწმებისათვის აუცილებელია, რომ შევსებული იყოს ჟურნალის თავსართის ყველა რეკვიზიტი. დამოწმება წარმოებს ჟურნალის უკანა ყდის გარე გვერდზე ზონრის ბოლოების გადაბმის (კვანძის) ადგილას დაწებებულ კვადრატული ფორმის სუფთა ფურცელზე, რომელიც მთლიანად ფარავს კვანძის ბოლოებს და მჭიდროდ ეკვრის უკანა ყდას. დამოწმებისას ფურცელზე უნდა მიეთითოს შესაბამისი თარიღი. დამოწმების შემდეგ ჟურნალი უბრუნდება ზონის საწარმოს. საბაჟო ორგანოს მიერ ხდება თითოეული ჟურნალის რეგისტრაცია და მას ენიჭება ცალკე ნომერი.

ჟურნალების შევსების წესის შესახებ იხ. ინსტრუქციის „თავისუფალი ზონის პროცედურის შესახებ", მ.8 – „ჟურნალების შევსება".

გადასახადები თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში. 2019 წლის 1 სექტემბიდან გარკვეული ცვლილებები შევიდა კანონში „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ", რაც განპირობებულია ახალი საბაჟო კოდექსის მიღებასთან დაკავშირებით, კერძოდ, მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილი, ნაცვლად ადრე არსებული ჩანაწერისა „თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში გადასახადებთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს საგადასახადო კოდექსით", დღეს ეს მუხლი ასე გამოიყურება: „თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში გადასახადებთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება საქართველოს საგადასახადო კოდექსითა და საქართველოს საბაჟო კოდექსით". ნაწილობრივ თავისუფალი ზონის საგადასახადო შეღავათების შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი, ფართოდ კი მას შესაბამის თავებში შევეხებით. აქ კი მოკლედ ავღნიშნავდით, რომ: თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულია თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს მიერ მიღებული მოგება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, გარდა იმავე კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევისა.

თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში უცხოური საქონლის შეტანა არ იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით.

თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში განხორციელებული ოპერაციები არ იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით.

თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში არსებული ქონება გათავისუფლებულია ქონების გადასახადისაგან.

თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში უცხოური საქონლის შეტანა გათავისუფლებულია იმპორტის გადასახადისაგან.

თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში წარმოებული საქონლის თავისუფალი ინდუსტრიული ზონიდან შეტანა (იმპორტი) საქართველოს სხვა ტერიტორიაზე (თავისუფალი ინდუსტრიული ზონის გარეთ) გათავისუფლებულია იმპორტის გადასახადისაგან. თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საშემოსავლო გადასახადს დაქირავებული იხდის შემოსავლის დეკლარირების საფუძველზე[692].

ასევე, საგადასახადო კოდექსის დღგ-ისაგან გათავისუფლებულია: საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-10 წიგნის შესაბამისად იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებული საქონლის იმპორტი, გარდა თიზ-იდან საქონლის იმპორტისა.

კიდევ რა უნდა ვიცოდეთ თავისუფალი ზონის შესახებ? საწყისი, ამოსავალი წერტილი, საიდანაც თავისუფალი ეკონომიკური ზონები შეიქმნა, როგორც რეგიონალური საყრდენი ბერკეტი საერთაშორისო ინტეგრაციის პროცესში, როგორც რეგიონული ბაზის დასაყრდენი პლაცდარმი, ეკონომიკური ურთიერთობების, საქონლის მომსახურების და ინვესტიციების გავრცელების ეპიცენტრი ამა თუ იმ რეგიონში, - ეს არის **პორტო-ფრანკოს[693] პრინციპი,** ანუ საბაჟო საწყობი, რომელიც თავისუფალი იქნებოდა გადასახადებისაგან; მეორე პრინციპი - რეპატრიაცია, რომელიც შეიქმნება საბაჟო ზონაში და ეს აუცილებელი მომენტია, რამეთუ ეკონომიკური საქმიანობის მიზანი ამ ზონაში მოგების მიღებაა და ინვესტორს უნდა ჰქონდეს ქვეყნიდან მისი გატანის შესაძლებლობა; მესამე

---

[692] საქართველოს კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ", მ.9. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/21994?publication=8.

[693] პორტო-ფრანკო: ნავსადგურის ტერიტორიის ნაწილი, სადაც ნებადართულია საქონლის შეტანა და გატანა უბაჟოდ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=32261.

პრინციპი - საგადასახადო პრეფერენციები და შეღავათებია ანუ ის ე.წ. „საგადასახადო ოაზისი“, რაც გულისხმობს დღგ-ისაგან გათავისუფლებას და სხვა შეღავათების მინიჭებას“ ამ სამი ფუნდამენტური მიმართულების ერთიანობა არის სწორედ თიზ-ი“[694].

საერთაშორისო გამოცდილება გვასწავლის, რომ ამგვარი ზონები წარმატებულია ისეთ ქვეყნებში, სადაც ინვესტიციები თანაბრადაა განაწილებული ქვეყნის ყველა რეგიონში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინვესტორი კაპიტალდაბანდებას განახორციელებს მხოლოდ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში, ანუ იქ, სადაც მოქმედებს ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა. თავიდანვე სპეციალისტთა გარკვეული კატეგორიის მოსაზრება არსებობდა, იმის შესახებ, რომ საქართველო მდებარეობს მსხვილი საფინანსო და ინდუსტრიული ცენტრებისაგან მოშორებით. ფოთი საინტერესო იქნებოდა მეზობელი ქვეყნებისათვის, მაგრამ საეჭვოდ მიაჩნდათ ტვირთების ტრანზიტის განხორციელება საქართველოს გზის გავლით ისეთი მსხვილი მოთამაშეების მიერ, როგორიცაა: ჩინეთი, ინდოეთის და ევროპის ქვეყნები. გარდა ამისა, ფოთის ერთ-ერთ სუსტ მხარედ მიიჩნევდნენ და დღესაც მიიჩნევენ წყალმარჩხ აკვატორიას[695]. ისინი თვლიან, რომ კონკურენტებთან შედარებით ეს სისუსტედ შეიძლება ჩაითვალოს. თუმცაღა, აკვატორიის განახლება-გაღრმავება დაკავშირებული იქნება სერიოზულ ინვესტიციებთან. აღსანიშნავია, რომ დუბაიში მთავრობის მიერ მრავალმილიარდიანი ინვესტიცია განორციელდა.

---

[694] ჯგერენაია ე; საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 2002, 176-177.

[695] ფონდი - „ღია საზოგადოება-საქართველო“. საქართველოს მთავრობის „50 დღიანი პროგრამა“ ანალიზი და შეფასებები 2008, #15. www.nplg.govge/gsdl/cgi-bin/library.exe

9. თავისუფალი ეკონომიკური ზონები საქართველოს ტერიტორიაზე

თავისუფალი ეკონომიკური ზონები მსოფლიო ეკონომიკაში ბოლო ოთხ ათწლეულში გავრცელდა. ამჟამად 3 ათასზე მეტი[696] სხვადასხვა სახეობის თავისუფალი ეკონომიკური ზონაა, რომელზეც მოდის მსოფლიო ტვირთბრუნვის 20%-ზე მეტი. კიოტოს (1973 წელი) კონვენციის „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ" მერვე დანართის განმარტებაში აღნიშნულია, რომ „თავისუფალი ზონის ქვეშ იგულისხმება ქვეყნის ნაწილი, რომელშიც შემოტანილი საქონელი ჩვეულებრივ განიხილება, როგორც საქონელი, რომელიც იმყოფება საბაჟო ტერიტორიის გარეთ იმპორტისა და შესაბამისი გადასახადების მიმართ და არ ექვემდებარება ჩვეულებრივ საბაჟო კონტროლს[697].

---

[696] ზოგიერთ ავტორთა მოსაზრებით 3 მილიონზე მეტი (მაგ. ამილახვარი ზ; საბაჟო სამართალი, თბილისი, 2007), თუმცა ბევრი მათგანი მთელი დატვირთვით ვერ მუშაობს და შესაბამისად ორიენტირებულიც ვერ არიან მოგების მიღებაზე. ზუსტი ციფრის მოძიება თუ რამდენია ასეთი ზონა მსოფლიოში სამწუხაროდ მოძიებული არ არის.

[697] ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, 746-747; თბილისი, 2010. ასევე იხ. ხარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბილისი, 2014; ჯგერენაია ე; საბაჟო ტექნოლოგიის საფუძვლები, თბ; 2002; უერთაშვილი ნატო, ხარაზი ია, „საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტები", საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომათა კრებული, I, თბილისი, 2010, გვ. 194-212

ია ხარაზი, ქეთევან კვინიკაძე, „სასაქონლო ოპერაციები", „მართლმსაჯულება და კანონი," #4(31), 2011, გვ.148-160

ია ხარაზი, ნატო უერთაშვილი, თემურ გერგედავა, „საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტების თავისებურებათა შესახებ", ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", #1(24), 2010; ია ხარაზი, ნატო უერთაშვილი, მაკა ორჯონიკიძე, „საბაჟო სამართლის ნორმათა განმარტების თავისებურებანი", ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი",#4)27), 2010, გვ. 56-67; И. В. Харази, Е. Д. Мчедлишвили, Д. Х. Чагунава, И. М. Леонидзе, „Правовые аспекты классификации таможенных режимов", AIR

ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 14 აპრილის №72 დადგენილებით „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ", ფოთის ინდუსტრიული ზონა შეიქმნა ქ. ფოთში, ნავსადგურის ყოფილი ექსტენსიური განვითარების ზონის ტერიტორიაზე 3 046 037 კვ მიწის ნაკვეთზე, ნავსადგურის ყოფილ ტერიტორიაზე. მისი ორგანიზატორის/ადმინისტრატორის ფუნქციას ახორციელებდა შპს „რაკია-საქართველო". ფოთის ინდუსტრიული ზონა მოიცავს 300 ჰექტარს და განლაგებულია აბრეშუმის გზაზე, ფოთის პორტის მახლობლად, რაც მის ტერიტორიაზე დასაქმებულ კომპანიებს საშუალებას აძლევს, ისარგებლონ ექსპორტისა და იმპორტის დაბალი ფასებით. ეს კი ხდება იმის გამო, რომ იქ მოქმედებს დაბალი სატარიფო სისტემა. ეს ტერიტორია სარკინიგზო სისტემასთანაა დაკავშირებული[698]. ინვესტორები წარმოდგენილი არიან ისეთი ქვეყნებიდან, როგორიცაა: აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, თურქეთი, არაბეთის გაერთიანებული საემიროები, ირანი და სხვ. ინვესტორები საღებავების, საკვები ზეთების, ავეჯისა და ფეროშენადნობთა წარმოებით, აგრეთვე სხვა ინდუსტრიებით არიან წარმოდგენილი.[699]

ორგანიზატორი/ადმინისტრატორი მთავრობის დადგენილებით ვალდებულებას კისრულობდა ფუნქციონირების დაწყებამდე წარმოედგინა შესაბამისი გარანტია „თავისუფალი ზონის შექმნისათვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის შექმნის პირობების, მათი ფუნქციონირების, საქონლის შენახვისა და საბაჟო კონტროლის წესის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს

TRANSPORT, ВОЗДУШНЫЙ ТРАНСПОРТ, Aviation University of Georgia, Авиационный Университет Грузии, Тбилиси, #2(5), 2010, стр. 125-137; И. В. Харази, М. И. мосулишвили ,Е. Д. Мчедлишвили, Проблемы и своеобразия Таможенного кодекса Грузии", AIR TRANSPORT, ВОЗДУШНЫЙ ТРАНСПОРТ, Aviation University of Georgia, Авиационный Университет Грузии, Тбилиси, 2009, #1(3), стр. 119-130 .

[698] ხარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, 2014, 493-494

[699] დაწვრ. იხ. საქართველოს მთავრობის დადგენილება (№72. 2009 წლის წლის 14 აპრილი) „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ", https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5068?publication.

მთავრობის 2008 წლის 9 ივლისის №157 დადგენილებით განსაზღვრული ოდენობითა და წესით. სახელმწიფო მომსახურება და ზედამხედველობა ფოთის თზ-ში ხორციელდება თზ-ის ფარგლებს გარეთ განთავსებული სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით[700].

რა შეიძლება ითქვას ფოთის შესახებ? რატომ მაინცდამაინც ფოთი? რატომ არის იგი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი? რა პრობლემები არსებობს ფოთში? ან კიდევ, რამ შეიძლება შექმნას თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ინვესტორებისთვის სასურველი ბიზნესგარემო? შესაძლებელია თუ არა რომ მსხვილი საერთაშორისო კაპიტალი დაინტერესდეს ფოთის ინდუსტრილი ზონით? საინტერესოა, არის თუ არა კაპიტალის მოზიდვისათვის აუცილებელი წინაპირობის შექმნისათვის საგადასახადო შეღავათები? საინტერესოა არის თუ არა საგადასახადო შეღავათები კაპიტალის მოზიდვისათვის აუცილებელი წინაპირობა? საჭიროა ინფრასტრუქტურა, რომელიც უნდა არსებობდეს იმისათვის, რომ მოიზიდოს ინვესტორები. მთავარ სტიმულად ჩაითვლება ასევე ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: პოლიტიკური სტაბილურობა, ინვესტიციური გარანტიები, ინფრასტრუქტურის ხარისხი და ადმინისტრაციული პროცედურის სიმარტივე. ინვესტორები დიდ ყურადღებას აქცევენ შიდა ბაზარზე შედარებით იაფი კრედიტების მიღების შესაძლებლობას.

რა იყო ფოთში ინდუსტრიული ზონის შექმნის მიზანი? ემსახურება თუ არა იგი ქვეყნის რეგიონული განვითარების ხელშეწყობას? შესაძლებელია გარკვეული სარგებელი ჰქონდეს ზონას თავად ქალაქისათვის, მაგრამ არა მთელი ქვეყნისათვის. ნებისმიერ შემთხვევაში, მთავრობის მიერაც უნდა განხორციელდეს კაპიტალდაბანდება ფოთის ინფრასტრუქტურაში.

„ფოთის ინდუსტრიული ზონა როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მოიცავს **300 ჰექტარს** და განლაგებულია აბრეშუმის გზაზე. ინდუსტრიული ზონა განლაგებულია ფოთის პორტის მახლობლად, რაც

---

[700]საქართველოს მთავრობის 2009 წლის 14 აპრილის №72 დადგენილება „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ", https://www.matsne.gov.ge/document/view/5068?publication=0.

მის ტერიტორიაზე დასაქმებულ კომპანიებს საშუალებას აძლევს, ისარგებლონ ექსპორტისა და იმპორტის დაბალი ფასებით. ეს კი ხდება იმის გამო, რომ იქ მოქმედებს დაბალი სატარიფო სისტემა. ეს ტერიტორია დაკავშირებულია სარკინიგზო სისტემასთან"[701].

ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საქმიანობა 2011 წლის სექტემბერში დაიწყო **ამერიკულმა კომპანიამ „ბულსაი ტრეიდინგმა"**. მას საბავშვო საქონელი აშშ-დან შემოჰქონდა და მის რეალიზაციას ინდოეთსა და სამხრეთ კავკასიაში ახდენდა[702].

ფოთში ინვესტორები წარმოდგენილი არიან ისეთი ქვეყნებიდან, როგორებიცაა: აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი, არაბეთის საემიროები, უკრაინა, ირანი და ა.შ. ინვესტორები საღებავების, საკვების, ზეთების, ავეჯისა და ფეროშენადნობთა წარმოებით, აგრეთვე სხვა ინდუსტრიებით არიან წარმოდგენილი.

ფოთი, რომელიც საპორტო ქალაქია, განლაგებულია ჩვენი ქვეყნის დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ზონის სავარაუდო სფეროებია: წარმოება, მცირე-საშუალო საწარმოები, საწყობი, ტრანსპორტი, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება.

რაც შეეხება სამუშაო ძალას, ფოთში და არა მარტო ფოთში, საქართველოში შეინიშნება იაფი მუშახელის ნაკლებობა. აღსანიშნავია ასევე, კვალიფიციური პერსონალის არარსებობა. ამის გამო კი ხდება უცხოური მუშახელის ჩამოყვანა ისეთი ქვეყნებიდან, როგორიცაა ინდოეთი და ჩინეთი. ეს კი ხელს უწყობს სამწუხაროდ რეგიონში უმუშევრობას. თუკი შეიქმნება სამუშაო ადგილები, მოხდება მათი არაპროპორციულად გადანაწილება არამომუშავე მოსახლეობაზე.[703]

ექსპერტები ყოველთვის გამოთქვამდნენ ვარაუდს იმის შესახებ, რომ ფოთში ინვესტიციების მოზიდვა მხოლოდ მეზობელი

---

[701] ხარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, 2014, 494.

[702] გოჭორიძე მარიკა, „თავისუფალი ინდუსტრიული ზონები - გაცრუებული იმედები თუ პროგნოზირებული არაეფექტიანობა. 2012 წელი, იანვარი, http://gfsis.org/index.php/

[703] ხარაზი ია; საქართველოს საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, 2014,4 95-496.

ქვეყნებიდან იქნებოდა გონივრული, რასაც ვერ დავეთანხმები, რამეთუ, ფოთი არის ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი რგოლი. ფოთის ნავსადგური ყოველთვის უნდა იყოს მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტი.

ფოთის ინდუსტრიული ზონის შექმნა ბუნებრივია გარკვეულ რისკებთან იყო დაკავშირებული, რამეთუ მთავრობას გარკვეული დანახარჯების გაწევა უხდებოდა, აუცილებელიც კი იყო ფოთის მიმართ ფინანსური მხარდაჭერის გაწევა საქართველოს მთავრობის მხრიდან. ინფრასტრუქტურის მშენებლობა კი ბუნებრივია ძვირი ჯდება, ვიდრე მოზიდული ინვესტიციები. მაგალითად, ჩინეთში თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში განხორციელებულმა ინვესტიციებმა შეადგინა 4 მილიარდი აშშ დოლარი, მაშინ როდესაც თავად ჩინეთის მთავრობის მიერ განხორცილებულმა ხარჯებმა გადააჭარბა 22 მლრდ ამერიკულ დოლარს[704].

„ფონდი „ღია საზოგადოება - „საქართველო" მიიჩნევდა, რომ უმჯობესი იქნებოდა, ინდუსტრიულ ზონასთან მიახლოებული კანონმდებლობის მეშვეობით განხორციელებულიყო მთელი ქვეყნის ეკონომიკური ლიბერალიზაცია"[705]. ამასთან, პრეფერენციული რეჟიმის შექმნა ქვეყნის ერთ რომელიმე რეგიონში გამოიწვევს სოციალურ უთანასწორობას მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამან კი შეიძლება მომავალში შეაფერხოს ეკონომიკური ზრდა. ასევე, თავისუფალმა ზონამ შეიძლება გამოიწვიოს ინვესტიციების დაგროვება მხოლოდ თავისუფალ ზონაში და არა მაგალითად, მომიჯნავე

---

[704] საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. პაპავა ვლადიმერ, „თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა - „უკვდავი იდეა". აპრილი, 2007. http://gfsis.org/media/download/library/articles/EXPERT OPINION VPADIMER PAPAVA ENG.pdf.

[705] ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო" საქართველოს მთავრობის „50"-დღიანი პროგრამა" ანალიზი და შეფასებები, 2008, №15. იხ. Htt://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe.

რეგიონებში. ავტორთა აზრით, ხელოვნურად შექმნილ პრივილეგიებს შედეგად მოსდევს ინვესტიციების პრეფიციტი[706] ერთ რეგიონში და, მეორეს მხრივ, გამოიწვევს დეფიციტს სხვა რეგიონებში. ავტორები თვლიან, რომ ინვესტიციების თანაბარი გადანაწილება ოპტიმალური იქნებოდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და მთლიანი შიდა პროდუქტის შექმნის თვალსაზრისით[707].

საერთაშორისო გამოცდილება გვასწავლის, რომ ამგვარი ზონები წარმატებულია მხოლოდ ისეთ ქვეყნებში, სადაც ინვესტიციები თანაბრადაა გადანაწილებული ქვეყნის ყველა რეგიონში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინვესტორი კაპიტალდაბანდებას განახორციელებს მხოლოდ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში, ანუ, იქ სადაც მოქმედებს ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა.

ავტორთა აზრით, საქართველო მდებარეობს მსხვილი საფინანსო და ინდუსტრიული ცენტრებისაგან მოშორებით. ფოთი საინტერესო იქნება მეზობელი ქვეყნებისათვის, მაგრამ საეჭვოდ მიაჩნიათ ტვირთების ტრანზიტის განხორციელება საქართველოს გზის გავლით ისეთი მსხვილი მოთამაშეების მიერ, როგორებიცაა ჩინეთი, ინდოეთის და ევროპის ქვეყნები. გარდა ამისა, ავტორები ფოთის ერთ-ერთ სუსტ მხარედ მიიჩნევენ წყალმარჩხ აკვატორიას[708]. ისინი თვლიან რომ კონკურენტებთან შედარებით ეს სისუსტედ შეიძლება ჩაითვალოს. თუმცაღა, აკვატორიის განახლება - გაღრმავება დაკავშირებული იქნება სერიოზულ ინვესტიციებთან. აღსანიშნავია, რომ დუბაიში მთავრობის მიერ მრავალმილიარდიანი ინვესტიცია განხორციელდა და ა.შ.

---

[706] ბიუჯეტის პრეფიციტი (budget surplus) ერთის მხრივ, ბიუჯეტის შემოსავლებსა და დაკრედიტებას შორის შორის დადებითი სხვაობა (საქართველოს კანონი „საბიუჯეტო სისტემის შესახებ"), მ.15. https://matsne.gov.ge/ka/document/view/14638?publication=20

[707] ხარაზი ი; საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, 2014, 497.

[708] ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო" საქართველოს მთავრობის „50"-დღიანი პროგრამა" ანალიზი და შეფასებები, 2008, №15. იხ. Htt://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe.

„ყულევის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 12 სექტემბრის №376 დადგენილებით „ყულევის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ", ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ყულევში, 599 970.00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (მიწის ნაკვეთის მისამართი: მუნიციპალიტეტი ხობი, სოფელი ყულევი, ზონა - ხობი - 45, სექტორი - ყულევი - 15, კვარტალი - 22, ნაკვეთი - 020, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №45.15.22.020) შეიქმნას ყულევის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (შემდგომში - ყულევის თიზი) 5 წლის ვადით. ყულევის თიზის ორგანიზატორის/ადმინისტრატორის უფლებამოსილებას განახორციელებს შპს „Socar Georgia Investments"-ი.

დადგენილებით განისაზღვრა, რომ: **ყულევის თიზის ფუნქციონირების დაწყების მიზნით, ორგანიზატორი/ადმინისტრატორი ვალდებულია, არაუგვიანეს 2021 წლის 31 დეკემბრამდე უზრუნველყოს:**

- ა) ყულევის თიზისათვის განკუთვნილ 599 970 კვ.მ ტერიტორიაზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №45.15.22.020) საქონლის, სატრანსპორტო საშუალებებისა და ფიზიკურ პირთა შესვლა-გამოსვლა სიტუაციური გეგმით გათვალისწინებული საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით;
- ბ) საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე ფეხით მოსიარულეთა და საავტომობილო, სარკინიგზო ან/და სხვა ტიპის ტრანსპორტის გადაადგილება;
- გ) საბაჟო კონტროლის პროცედურების განხორციელებისათვის საჭირო შენობა-ნაგებობასთან, ინფრასტრუქტურის ელემენტებთან, ტექნიკა-დანადგარების სახეობასა და რაოდენობასთან, უსაფრთხოების მოთხოვნებთან დაკავშირებული პარამეტრების შესრულება;
- დ) შენობა-ნაგებობების აღჭურვა სსიპ – შემოსავლების სამსახურთან შეთანხმებული საოფისე ტექნიკა-აღჭურვილობით, კომპიუტერული ტექნიკით, მონაცემების ელექტრონული გადაცემის ქსელური კავშირით.

მთავრობის დადგენილებით დაუშვებლად იქნა მიჩნეული ყულევის თზ-ის ტერიტორიაზე განთავსდეს ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო, ფიტოსანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი და ა.შ[709].

ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა შეიქმნა საქართველოს მთავრობის 2009 წლის 5 ივნისის №106 დადგენილების „ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ“ საფუძველზე. ქუთაისი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა შეიქმნა საქართველოს მთავრობის დადგენილებით[710]. იგი მდებარეობს ქუთაისის ყოფილი საავტომობილო ქარხნის ტერიტორიაზე. შექმნის ინიციატორი იყო ტერიტორიის მეპატრონე, შპს „ჯორჯიან ინტერნეიშნლ ჰოლდინგი“, რომელიც ამავდროულად ადმინისტრატორიც იყო. იგი შექმნილია 100%-იანი კერძო კაპიტალით და დაფუძნდა საქართველოს მოქალაქე კერძო პირების მიერ. მისი საქმიანობა შემდეგი მიმართულებით ხორციელდებოდა: საყოფაცხოვრებო ელექტროტექნიკის გამოშვება-რეალიზაცია, ტექსტილის ნაწარმის დამზადება, ნათურების წარმოება და სხვ. კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის ექსპორტი ახლო აღმოსავლეთში და აფრიკის ქვეყნებში განხორციელდება. საქართველოში პირველად ქარხანამ საბნები, მატრასები, გადასაფარებლები და სხვადასხვა პროდუქცია გამოუშვა.

ქუთაისი თზ-ი ამჟამად განვითარების პროცესშია. ხდება სამრეწველო ინფრასტრუქტურის განახლება და ა. შ. გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს მიმზიდველი საინვესტიციო და ბიზნეს გარემო გააჩნია, ასევე სტრაგეგიული გეოგრაფიული მდებარეობა, მარტივად ხელმისაწვდომია რეგიონული და ევროპული ბაზრები, **„ჰუალინგის ინდუსტრიულმა ზონამ“** 2015 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებით მიიღო „თავისუფალი ინდუსტრიული

---

[709] დაწვრ. იხ. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 12 სექტემბრის №376 დადგენილება „ყულევის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ“, https://www.matsne.gov.ge/document/view/1741604?publication=3

[710] საქართველოს მთავრობის დადგენილება (№106 2009 წლის 5 ივნისი) „ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ“,

ზონის სტატუსი"(36 ჰექტარი ფართობით, პროექტი მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი მაგისტრალია თბილისსა და შავი ზღვის ქალაქებს (ფოთი, ბათუმი) შორის. ქუთაისის თიზ-ი წარმოადგენს ინდუსტრიულ, ლოგისტიკურ და სავაჭრო ცენტრს შავი ზღვისა და კასპიის ზღვის ქვეყნებში.

ქუთაისი თზ-ი დღესაც განვითარების პროცესშია. ხდება სამრეწველო ინფრასტრუქტურის განახლება და ა.შ. გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს მიმზიდველი საინვესტიციო და ბიზნეს გარემო გააჩნია, ასევე სტრაგეგიული გეოგრაფიული მდებარეობა, მარტივად ხელმისაწვდომია რეგიონული და ევროპული ბაზრები, „ჰუალინგის ინდუსტრიულმა ზონამ" 2015 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებით მიიღო „თავისუფალი ინდუსტრიული ზონის სტატუსი" (36 ჰექტარი ფართობით, პროექტი მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი მაგისტრალია თბილისსა და შავი ზღვის ქალაქებს (ფოთი, ბათუმი) შორის. ქუთაისის თიზ-ი წარმოადგენს[711].

ჰუალინგ თიზ -ის უპირატესობები:

• 100%-ით გათავისუფლება: ყველა ტიპის პროდუქტის იმპორტ/ექსპორტის გადასახადისგან, ნედლეულის, ტექნიკა-დანადგარებისა და ძირითადი საშუალებების ჩათვლით;

• ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები მრავალ ქვეყანასთან;

• თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი დსთ-სა და თურქეთთან;

• ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება – გადასახადებისგან თავისუფალი იმპორტი ევროპის ქვეყნებში;

• თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი ჩინეთთან;

• თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი EFTA-ს (თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის) ქვეყნებთან (შვეიცარიაში, ლიხტენშტეინში, ისლანდიასა და ნორვეგიაში);

---

[711] დამატ. იხ. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 5 ივნისის №106 დადგენილება „ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ", https://www.matsne.gov.ge/document/view/5158?publication=0; ასევე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 მარტის #109 დადგენილება „ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ", https://www.matsne.gov.ge/document/view/2765458?publication=0.

• *პრეფერენციალური სავაჭრო შეთანხმებები (განსაკუთრებული სავაჭრო პირობები აშშ-სთან, კანადასთან და იაპონიასთან);*

ბიზნესის წამოწყება – მარტივი და სწრაფი;

• *კომპანიის რეგისტრაცია 1 დღეში;*

• *დასაშვებია 100% უცხოურ საკუთრებაში მყოფი კომპანია;*

• *არ საჭიროებს საწყის კაპიტალს;*

• *არ საჭიროებს კაპიტალდაბანდებას;*

• *არ ხორციელდება ვალუტის კონტროლი;*

• *სახელმწიფოს მხრიდან არ ხორციელდება აუდიტორული შემოწმება;*

• *საბანკო ანგარიშის შექმნის სწრაფი და მარტივი შესაძლებლობა*

• *ბიზნესის ოპერირება – გადასახადებისგან თავისუფალი გარემო*

100% -ით გათავისუფლება: დღგ-ს, მოგების, დივიდენდის და ქონების გადასახადებისგან;

• *100%-ით გათავისუფლება: ყველა ტიპის პროდუქტის იმპორტ/ექსპორტის გადასახადისგან, ნედლეულის, ტექნიკა-დანადგარებისა და ძირითადი საშუალებების ჩათვლით;*

• *ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები მრავალ ქვეყანასთან;*

• *თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი დსთ-სა და თურქეთთან;*

• *ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება – გადასახადებისგან თავისუფალი იმპორტი ევროპის ქვეყნებში;*

ჰუალინგი – დამხმარე ადამიანური რესურსების მოძიების საკითხში[712].

აქვე ავღნიშნავდით, რომ ქუთაისის და, ზოგადად თავისუფალი ინდუსტრიული ზონების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუ როგორი იქნება საკუთრების უფლებები დაცული ბიზნესგარემოში.

„ჰუალინგის საერთაშორისო ეკონომიკური ზონის" პროექტი „თბილისის ზღვის ახალი ქალაქი" მდებარეობს თბილისში, განთავსებულია თბილისის ზღვის მიმდებარედ 420 ჰექტარ მიწის

---

[712] დაწვრ. იხ. საქართველოს მთავრობის დადგენილება (№109 2015 წლის 10 მარტი) „ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ",
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2765458?publication=0.

ნაკვეთზე. იგი წარმოადგენს ჰუალინგ ჯგუფის ყველაზე დიდ პროექტს საქართველოში. ჰუალინგი - თბილისის ზღვის ახალი ქალაქი" სამშენებლო ფართის მოცულობა შეადგენს 4 მილიონ კვადრატულ მეტრს, რომელთაგან 2 მილიონი განკუთვნილია საცხოვრებელი ზონის მშენებლობისათვის, ხოლო დარჩენილი 2 მილიონი კვადრატული მეტრი კი განსაზღვრულია კომერციული ფართებისთვის და სარეკრეაციო ზონებისთვის. საცხოვრებელი ზონა მოიცავს: მაღალსართულიან, მრავალბინიან საცხოვრებელ ზონას და სააგარაკო სახლების კერძო დასახლებას. კომერციული ზონა კი სხვადასხვა ობიექტებს, როგორიცაა სავაჭრო, ლოჯისტიკური, გასართობი და გამაჯანსაღებელი ცენტრები. ჰუალინგ ჯგუფმა" საქართველოში ინვესტირება 2007 წლიდან დაიწყო და 5 მსხვილი საინვესტიციო პროექტი განახორციელა. შეიქმნა 3000–ზე მეტი სამუშაო ადგილი. პროექტებს შორის აღსანიშნავია მასშტაბური დეველოპერული პროექტი – "ჰუალინგი. თბილისის ზღვის ახალი ქალაქი", სადაც განთავსებულია "თბილისი 2015"-ის ოლიმპიური სოფელი, სავაჭრო კომპლექსი "ჰუალინგი. თბილისის ზღვის პლაზა", "ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა", "ბაზისბანკი", 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო "ჰოთელს & პრეფერენს ჰუალინგ თბილისი" და ა.შ.

და ბოლოს, დასკვნის სახით დავსვამდით კითხვას: მაინც რა გამოკვეთილი დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფუნქციონირებას?

„დადებით ფაქტორად მივიჩნევდით: თავისუფალ ზონაში, როგორც უცხოური, ისე ეროვნული კაპიტალის მოზიდვა, რაც განაპირობებს ზონის მოქმედების ამ რეგიონში და მთლიანობაში ქვეყნის ეკონომიკის, სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას; ქვეყანა ამ ზონების მოქმედებით გარკვეულწილად იქმნის მყარ საფუძველს რეგიონების განვითარებისა, მსოფლიო გლობალურ ეკონომიკურ ცხოვრებაში აქტურად ჩართვისა; რეალური ხდება ხარისხიანი, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, იზრდება საქონლის ექსპორტი და შესაბამისად - ბაზრიდან ანალოგიური პროდუქციის გაძევებით მცირდება ქვეყანაში იმპორტი. ერთი სიტყვით, დადებითი თანაფარდობა მყარდება ექსპორტ-

იმპორტს შორის, რაც ხელს უწყობს საგარეო ვაჭრობის განვითარებას; მოსახლეობის დასაქმების პრობლემის დადებითად გადაწყვეტის ტენდენცია (ყველაზე მთავარი: იქმნება ბევრი სამუშაო ადგილი); ხელი ეწყობა ინფრასტრუქტურის განვითარებას გზების, მაგისტრალების, სასტუმროების სხვადასხვა ობიექტების მშენებლობით და სხვა"[713].

უარყოფითი ფაქტორები. სახელმწიფოები თიზ-ების შექმნით ხელს უწყობენ ინვესტორების მხრიდან გადასახადებისაგან თავის არიდებას და ხშირ შემთხვევაში „შავი ფულის" გათეთრებას, რითაც ზარალდება მრავალი სახელმწიფო და ზოგადად, მსოფლიო ეკონომიკა. მსოფლიოს წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებით მსგავსი ზონების გამო განვითარებადი ქვეყნები ვერ იღებენ დაახლოებით 50 მლრდ ამერიკული დოლარის გადასახადებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით „შავი ფული" სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას. აღნიშნული ორგანიზაციის მონაცემებით. „შავი ფული" მსოფლიოს მთლიან შიდა პროდუქტში 2-5%-ს შორის მერყეობს. ამის საილუსტრაციოდ აგრეთვე მოვიყვანდით „ოფშორულ ზონებში" ფულის გათეთრების მცდელობების მაგალითს, რაც არც თუ ისე ცოტა როდია. **ოფშორული ზონა** ეკონომიკური ზონის განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს, რომლის ძირითადი საქმიანობის საგანი არა სამეწარმეო, არამედ საშუამავლო საქმიანობაა. ოფშორულ ზონებში მოქმედ ბანკებში კომპანიები, რომლებიც იქ ფულს რიცხავენ, არ არიან ვალდებული წარმოადგინონ ბუღალტრული ანგარიშები. ასეთ ზონებში გარანტირებულია სახელმწიფოს ჩაურევლობის პრინციპი. კანონმდებლობით მათი კონფიდენციალურობა მკაცრად არის დაცული, რაც ბევრ მეწარმეს ხელს უწყობს ე.წ. „გათეთრებული" ფული ასეთ ზონებში დარეგისტრირებულ ბანკებში მოათავსონ. გაეროს ექსპერტების დასკვნით, ოფშორულ ზონებში ჩადებული კაპიტალი აჭარბებს 9 ტრილიონ აშშ დოლარზე მეტს, რომლის თითქმის ნახევარი ნარკობიზნესსა და იარაღის

---

[713] ხარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბილისი, 2014. 486

ვაჭრობით სპეციალიზებულ სინდიკატებზე მოდის. ამ თანხებით კი ხშირ შემთხვევებში კრიმინალური ფორმირებები ფინანსდება და მიზეზი ხდება სხვადასხვა ტერორისტული აქტების განხორციელებისა; სამწუხაროდ, თავისუფალი ზონის ტერიტორიები ხშირად ხდება ნარკოტიკების, იარაღის უკანონო წარმოების ადგილებად; თავისუფალი ზონებისათვის დაწესებული საგადასახადო შეღავათები გარკვეულ თანხებს აცლის სახელმწიფო ბიუჯეტს, თავისუფალ ზონებში არაკონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებით საწარმოები ვერ უძლებენ კონკურენციას და ხდება მათი გაკოტრება; ხშირ შემთვევებში წარმოების დაბალი ტექნოლოგიების გამოყენებით ზიანი ადგება ბუნებრივ გარემოს, გამოშვებული პროდუქტი კი დადგენილ სტანდარტებს არ შეესაბამება[714]; „გარდა ამისა თავისუფალი ზონები ხშირად იწვევენ ინვესტიციების „გაქცევას" მომიჯნავე რეგიონებიდან და თავისუფალ ზონებში მათ დაგროვებას. ამგვარად, ხელოვნურად შექმნილ პრივილეგიებს შედეგად მოსდევს ინვესტიციების პრეფიციტი[715] ერთ რეგიონში და დეფიციტის წარმოქმნა სხვა რეგიონებში. მაშინ, როდესაც ერთგვაროვანი, გამჭვირვალე ეკონომიკური პოლიტიკისა და თავისუფალი ბაზრის პირობებში ყველა რეგიონში ინვესტიციები თანაბრად გადანაწილდებოდა, ინფრასტრუქტურისა და მთლიანი დოვლათის დაგროვების თვალსაზრისით"[716].

ვფიქრობთ, გადასახედია სტრატეგია და მიდგომა ამ ზონებისადმი. ფაქტია, რომ საქართველოში სადღეისოდ მოქმედი ზონებიდან (ფოთი, ქუთაისი, თბილისი და სხვ.) რეალურად წარმატებულად არც ერთი არ ფუნქციონირებს.

ტურისტული საწარმო. საგადასახადო კოდექსის მუხლი 26₁-ე მუხლი და საქართველოს მთავრობის №279 2015 წლის 23 ივნისის დადგენილება „პირისათვის ტურისტული საწარმოს

---

[714] ხარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, 2014, 486-487.

[715] პრეფიციტი - შემოსავლების გადამეტება ხარჯებზე.

[716] გაზეთი „ბანკები და ფინანსები", 2014, #355, 10. წყარო: ხარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, 2014, 487.
https://www.facebook.com/bankebidafinansebi

სტატუსის მინიჭების, ფუნქციონირებისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“, სამართლებრივად აწესრიგებენ ტურისტული საწარმოს სტატუსს. **ტურისტული საწარმო არის იურიდიული პირი,** რომელიც აშენებს სასტუმროს, ახორციელებს სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის მიწოდებას (გამოსყიდვის უფლებით ან უამისოდ) და ამ ქონების შემძენთან გაფორმებული სასყიდლიანი ხელშეკრულების (მათ შორის, იჯარის, სარგებლობის უფლების, მართვის უფლების, საკუთრების მინდობის, საშუამავლო ან/და სხვა მსგავსი სახელშეკრულებო პირობით) საფუძველზე უზრუნველყოფს სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის სასტუმრო ნომრებად/აპარტამენტებად გამოყენებას. სასტუმრო შენობა ან შენობის ნაწილია, რომელშიც განთავსებულია ერთ სისტემაში გაერთიანებული მომიჯნავე იზოლირებული ან არაიზოლირებული ინდივიადუალური საკუთრების ფართობები თავისი ინფრასტრუქტურით (სპორტულ-გამაჯანსაღებელი, გასართობი, კვების, სავაჭრო და მომსახურების სხვა ობიექტები). **სასტუმრო ნომერი/აპარტამენტი** კი არის სასტუმროში განთავსებული იზოლირებული ფართობი, რომელიც განკუთვნილია პირის ნებისმიერი მიზნით (მათ შორის, დასვენების, გაჯანსაღების, საქმიანი) მოკლევადიანი ან გრძელვადიანი მიღებისათვის/განთავსებისათვის. ამასთან, ტურისტული საწარმოს მიერ სასტუმრო ნომერში/აპარტამენტში, მისი სასტუმრო ნომრად/აპარტამენტად, გამოყენების დაწყების მომენტამდე განხორციელებული სარემონტო სამუშაოები წარმოადგენს სასტუმრო ნომრის/აპარტამენტის შემადგენელ/განუყოფელ ნაწილს. რაც შეეხება **სასტუმროს აქტივებს,** მასში მოიაზრება გარემონტებული და ავეჯით/ინვენტარით აღჭურვილი სასტუმრო ნომერი/აპარტამენტი. სასტუმროს აქტივების ნაწილი არის ამ აქტივების შემადგენელი ნებისმიერი ნაწილი (გაურემონტებელი ფართობი, რემონტი, ინვენტარი, ავეჯი, ტექნიკა, თეთრეული, აქსესუარი და ა.შ.),რომელიც განკუთვნილია სასტუმრო ნომრისათვის/აპარტამენტისათვის, თუ ამ ქონების მიწოდება ხორციელდება ერთდროულად ან ცალ-ცალკე სასტუმრო ნომრის/აპარტამენტის ფართობთან ერთად გამოყენებისათვის.

„ტურისტული საწარმოს სტატუსი თავისი ინიციატივით შეიძლება მიენიჭოს იურიდიულ პირს, რომელიც აშენებს სასტუმროს, ახორციელებს სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის მიწოდებას (გამოსყიდვის უფლებით ან უამისოდ) და ამ ქონების შემძენთან გაფორმებული სასყიდლიანი ხელშეკრულების (მათ შორის, იჯარის, სარგებლობის უფლების, მართვის უფლების, საკუთრების მინდობის, საშუამავლო ან/და სხვა მსგავსი სახელშეკრულებო პირობით) საფუძველზე უზრუნველყოფს სასტუმროს, აქტივების/მათი ნაწილის სასტუმრო ნომრებად/აპარტამენტებად გამოყენებას[717]“. **სასტუმროს ინფრასტრუქტურა** თავის თავში მოიცავს სასტუმროში არსებული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა/ქსელს, საერთო საკუთრების (სადარბაზო, კიბის უჯრედი, დერეფანი, ლიფტი და ა.შ) ან/და საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცეებს, მათ შორის, სპორტულ-გამაჯანსაღებელ, გასართობ, კვების, სავაჭრო და მომსახურების სხვა ობიექტებს.

პირს ტურისტული საწარმოს სტატუსი ენიჭება კონკრეტული ობიექტის (სასტუმროს) მიხედვით, რომელიც სამშენებლო დოკუმენტის პროექტით გათვალისწინებულია სასტუმროდ.

ტურისტული საწარმოს სტატუსის მინიჭების მიზნით დაინტერესებული იურიდიული პირი შენობის (სასტუმროს) მშენებლობის დასრულებამდე განცხადებით მიმართავს შემოსავლების სამსახურს. სტატუსის მინიჭება ხორციელდება საგადასახადო ორგანოს უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ***განცხადება უნდა შეიცავდეს:***

- ა) საწარმოს საფირმო სახელწოდებას;
- ბ) პირის სარეგისტრაციო მონაცემებს (საიდენტიფიკაციო კოდი, დასახელება, მისამართი);
- გ) საქმიანობის მოკლე აღწერას.

განცხადებას თან უნდა ერთოდეს:

---

[717] საქართველოს მთავრობის №279 2015 წლის 23 ივნისის დადგენილება „პირისათვის ტურისტული საწარმოს სტატუსის მინიჭების, ფუნქციონირებისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2881801?publication=0.

• ა) მშენებლობის ნებართვა/სანებართვო მოწმობა;

• ბ) მიწის საკუთრების/სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და იმ ტერიტორიის საკადასტრო რუკა, სადაც მიმდინარეობს მშენებლობა;

• გ) სამშენებლო დოკუმენტის პროექტი.

შემოსავლების სამსახური ვალდებულია, განცხადების მიღებიდან **10 სამუშაო დღის ვადაში** განიხილოს განცხადება და მიიღოს გადაწყვეტილება პირისათვის ტურისტული საწარმოს სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე. **ტურისტული საწარმოს სტატუსის მინიჭებასთან ერთად შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია, პირს მოსთხოვოს შემდეგი უზრუნველყოფის საშუალებების წარდგენა:**

• ა) საბანკო გარანტია;

• ბ) დაზღვევის პოლისი;

• გ) ქონების (მათ შორის, მესამე პირის საკუთრებაში არსებული) გირავნობით/იპოთეკით დატვირთვა.

ტურისტულ საწარმოს უფლება აქვს:

• ა) უზრუნველყოფის საშუალებების ღირებულება შეამციროს კონკრეტული ობიექტ(ებ)იდან (სასტუმრო(ები)დან) ჯამურად, მის მიერ ან/და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ობიექტის/მისი ნაწილის სასტუმროდ ფუნქციონირებისთვის/ოპერირებისთვის მოწვეული პირის/პირების მიერ დეკლარირებული (მათ შორის, საგადასახადო ორგანოს მიერ აღნიშნული ობიექტის მიხედვით შესაბამის პერიოდში დამატებით დარიცხული) და გადახდილი დღგ-ის თანხით;

• ბ) წარდგენილი უზრუნველყოფის საშუალებები ჩაანაცვლოს სხვა უზრუნველყოფის საშუალებებით, იმ პირობით, რომ დაცული იქნება მთავრობნის დადგენილეის მოთხოვნები;

• გ) უძრავი/მოძრავი ქონების უზრუნველყოფის საშუალებებად წარდგენის შემთხვევაში, ამ ქონებაზე საგადასახადო იპოთეკა/გირავნობის მოქმედების პერიოდში გადააფასოს ეს ქონება „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვ-

ნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით დამტკიცებული ნუსხებიდან ერთ-ერთი პირის მიერ და ეს დასკვნა წარუდგინოს შემოსავლების სამსახურს საგადასახადო გირავნობა/იპოთეკით დატვირთული

სასტუმროს მშენებლობის დასრულების შემდეგ ტურისტული საწარმო ვალდებულია:

- ა) დადგენილი ოდენობის ფართობი გამიზნული ჰქონდეს სასტუმრო ნომრებად/აპარტამენტებად გამოსაყენებლად;
- ბ) უზრუნველყოს, რომ შენობის (სასტუმროს) ექსპლუატაციაში მიღებიდან არაუმეტეს **10 კალენდარული წლის განმავლობაში** კონკრეტული ობიექტიდან (სასტუმროდან) ტურისტული საწარმოს მიერ ან/და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ობიექტის/მისი ნაწილის სასტუმროდ ფუნქციონირებისთვის/ოპერირებისთვის მოწვეული პირის/პირების მიერ დეკლარირებული (მათ შორის, საგადასახადო ორგანოს მიერ აღნიშნული ობიექტის მიხედვით შესაბამის პერიოდში დამატებით დარიცხული) დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვა ჯამურად (გარდა დღგ-ისგან გათავისუფლებული ოპერაციებისა) არ იყოს სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის მიწოდების შედეგად ამ კოდექსის 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ქ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული ბრუნვის 1.18-ზე გაყოფის შედეგად მიღებულ თანხაზე ნაკლები.

საგადასახადო კოდექსის 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ქ“ ქვეპუნქტის თანახმად, „დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით, ასევე გათავისუფლებულია: ტურისტული საწარმოს მიერ სასტუმროს აქტივების ან ამ აქტივების ნაწილის სხვა პირისთვის მიწოდება ამ ქონების უკან მიღების მიზნით. თუ ტურისტული საწარმო სასტუმროს აქტივების ან ამ აქტივების ნაწილის სხვა პირისთვის მიწოდებიდან 2 წლის განმავლობაში სასყიდლიანი ხელშეკრულებით უკან მიიღებს იმავე აქტივებს, ოპერაცია ასევე თავისუფლდება დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით და ეს არის დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირების საფუძველი. ამ შემთხვევაში ტურისტულ საწარმოს უფლება აქვს, განახორციელოს დასაბეგრი ოპერაციის კორექტირება ამ კოდექსის 179-ე მუხლით დადგენილი წესით. („დღგ-ის თანხის კორექტირება“) მის

თანხმად: „დღგ-ით დასაბეგრი თანხა და, შესაბამისად, დღგ-ის ჩასათვლელი თანხა კორექტირდება, თუ შეიცვალა ის გარემოებები/ფაქტორები, რომელთა საფუძველზეც დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროს განისაზღვრა დღგ-ით დასაბეგრი თანხა. დასაბეგრი ოპერაციის თანხის კორექტირება ხორციელდება კორექტირების გამომწვევი გარემოების დღგ-ის ჩასათვლელი თანხა არ უქმდება და არ კორექტირდება ამ კოდექსით დადგენილი წესით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ჩამოწერის ან საქონლის დანაკარგის არსებობის შემთხვევაში. დღგ-ით დასაბეგრი თანხის კორექტირების შემთხვევებს, აგრეთვე დოკუმენტის გამოწერისა და წარდგენის წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი"[718].

„პირს ტურისტული საწარმოს სტატუსს კონკრეტული ობიექტის (სასტუმროს) მიხედვით ანიჭებს შემოსავლების სამსახური, რომელიც უფლებამოსილია ტურისტულ საწარმოს მოსთხოვოს უზრუნველყოფის საშუალებების წარდგენა, რომელთა ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ამ კოდექსის 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ქ" ქვეპუნქტით განსაზღვრული დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული **ბრუნვის 1.18- ზე** გაყოფის შედეგად მიღებული თანხის **18 პროცენტს**"[719].

ტურისტული საწარმოს სტატუსი უქმდება:

- ა) შემოსავლების სამსახურის ინიციატივით, ტურისტული საწარმოს მხრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 26[1] მუხლით და ამ დადგენილებით გათვალისწინებული საქმიანობის პირობების დარღვევის შემთხვევაში; ამასთან, თუ ტურისტული საწარმოს მიერ წარდგენილი უზრუნველყოფის საშუალებების ღირებულება ნაკლებია ამ დადგენილების მე-2 მუხლის მე-11 და მე-13 პუნქტებით განსაზღვრულ ოდენობაზე, აღნიშნული საფუძვლით ტურისტული საწარმოს სტატუსი უქმდება მხოლოდ იმ შემთხვე-

---

[718] იხ. ფინანსთა მინისტრის 996 ბრძანება გადასახადების ადმინისტრირების შესახებ",
https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/1167887/285/ge/pdf.

[719] საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მ. 261 „ტურისტული საწარმო".ნ. 3.

ვაში, თუ ტურისტული საწარმო საგადასახადო ორგანოს წერილობითი შეტყობინების ჩაბარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში აღნიშნულ ხარვეზს არ აღმოფხვრის;

• ბ) ტურისტული საწარმოს ინიციატივით, განცხადების საგადასახადო ორგანოში წარდგენის საფუძველზე, თუ:

• ბ.ა) მას სრულად აქვს შესრულებული ამ წესის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები;

• ბ.ბ) აღარ სურს ტურისტული საწარმოს სტატუსით სარგებლობა;

• ბ.გ) შეეცვალა ის ფაქტობრივი გარემოება, რის საფუძველზეც მინიჭებული ჰქონდა ტურისტული საწარმოს სტატუსი.

ვირტუალური ზონა. რას ნიშნავს ვირტუალური ზონა? ასეთი ზონის შექმნის შემთხვევაში რა სახის სამეწარმეო საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს? საქართველოს მთავრობის 2011 წლის დადგენილებით (#49) „ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მინიჭების წესისა და პირობების და ვირტუალური ზონის პირის მიმნიჭებელი პირის განსაზღვრის შესახებ“[720], განსაზღვრულია ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მინიჭების წესი და პირობები ვირტუალური ზონის პირის სტატუსის კანდიდატისათვის სტატუსის მინიჭების წესი და პირობები.

ვირტუალური ზონის პირი - იურიდიული პირია, რომელიც ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიურ საქმიანობას და რომელსაც მინიჭებული აქვს შესაბამისი სტატუსი[721].

საინფორმაციო ტექნოლოგიები – კომპიუტერული საინფორმაციო სისტემების, კერძოდ, პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტებისა და კომპიუტერული მოწყობილობების შესწავლა, პროექტირება, შემუშავება, დანერგვა, მხარდაჭერა და მენეჯმენტი.

ვირტუალური ზონის პირის სერტიფიკატი (შემდგომში – სერტიფიკატი) – ვირტუალური ზონის პირის სტატუსის დამადას-

---

[720] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1198594?publication=3

[721] დამატ. იხ. საქართველოს კანონი „საინფორმაციო ტექნოლოგიური ზონების შესახებ“, მ.2. პ. „ა“ ნანახია: 15/1/2020

ტურებელი ელექტრონული სერტიფიკატი, რომლითაც დასტურდება ვირტუალური ზონის პირის სტატუსი. **ვირტუალური ზონის პირის სტატუსის კანდიდატი (შემდგომში – კანდიდატი)** – იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიურ საქმიანობას და სტატუსის მოსაპოვებლად მიმართავს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურს (შემდგომში – საფინანსო - ანალიტიკური სამსახური).

მოქნილი საგადასახადო სისტემა, კორუფციის არაარსებობა, მაკროეკონომიკური გარემო, ლიბერალური და თავისუფალ ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა, - ეს ის პოსტულატებია, რომელიც აუცილებელ გარემოს ქმნის უკეთესი ბიზნეს-გარემოს შესაქმნელად და 21-ე საუკუნის ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი ბერკეტის - საინფორმაციო ტექნოლოგიების დასანერგად.

ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მისაღებად კანდიდატმა განცხადებით უნდა მიმართოს ანალიტიკური სამსახურის ვებგვერდზე (**www.fas.ge**) განთავსებული განცხადების ფორმას, რომელსაც აგზავნის საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურში. განცხადებას უნდა დაერთოს უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში საინფორმაციო - ტექნოლოგიური პროექტების ჩამონათვალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). საფინანსო-ანალიტიკური სამსახური უფლებამოსილია დამატებით მოითხოვოს ინფორმაცია კანდიდატის მიერ საინფორმაციო-ტექნოლოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებით.

საფინანსო-ანალიტიკური სამსახური კანდიდატს სტატუსს ანიჭებს „საინფორმაციო ტექნოლოგიური ზონების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში.

საქართველოს კანონის „საინფორმაციო ტექნოლოგიური ზონების შესახებ“, მე-5 მუხლის თანახმად, „ვირტუალური ზონის პირის სტატუსს დაინტერესებულ პირს ანიჭებს საქართველოს მთავრობის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირი. დაინტერესებულ პირს ვირტუალური ზონის პირის სტატუსი ენიჭება სტატუსის მინიჭებისათვის მიმართვიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღისა. სტატუსის მინიჭების წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის №49 დადგენილებით **„ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მინიჭების წესისა და პირობების და ვირტუალური**

ზონისპირის სტატუსის მიმნიჭებელი პირის განსაზღვრის შესახებ“. ვირტუალური ზონის პირის სტატუსის დამადასტურებელი ელექტრონული სერტიფიკატი გაიცემა სტატუსის მინიჭებიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

სტატუსის მინიჭებიდან **არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა** საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის მიერ ვირტუალური ზონის პირზე გაიცემა ელექტრონული სერტიფიკატი, რომელიც ქვეყნდება საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ვებგვერდზე (www.fas.ge). ინფორმაცია კანდიდატისათვის ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მინიჭების თაობაზე სტატუსის მინიჭებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის მიერ წერილობით ეცნობება სსიპ - შემოსავლების სამსახურს.

ვირტუალურ ზონაში საქმიანობას მიეკუთვნება იურიდიული პირის მიერ განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მიმართული იქნება საინფორმაციო ტექნოლოგიების შექმნასთან.

ვირტუალური ზონის პირისათვის დაწესდა საგადასახადო შეღავათებიც. **საქართველოს კანონი „საინფორმაციო ტექნოლოგიური ზონების შესახებ“** განსაზღვრავს ვირტუალური ზონის პირის საშეღავათო საკითხებს, რომელიც საგადასახადო კოდექსით რეგულირდება, კერძოდ, **არ იბეგრება ვირტუალური ზონის პირის მიერ შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიების:**

- ა) საქართველოს ფარგლებს გარეთ მიწოდებით მიღებული მოგება[722];
- ბ) საქართველოს ფარგლებს გარეთ მიწოდება დამატებული ღირებულების გადასახადით;
- გ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა ექსპორტის გადასახდელით. ვირტუალური ზონის პირის მიერ შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიების საქართველოს ტერიტორიაზე

[722] აღნიშულ საკითხები დაწვრილებით მოგების გადასახადის თავში იხილეთ: ხარაზი ია, საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, მეორე გადამუშავებული გამოცემა, მეორე ნაწილი, თბილისი, 2020.

და საქართველოს ფარგლებს გარეთ მიწოდებით მიღებულ შემოსავლებზე ხარჯები გამოიქვითება ერთობლივ შემოსავალში[723] საქართველოს ტერიტორიაზე მიწოდებით მიღებული შემოსავლის ხვედრითი წილის პროპორციულად. რაც შეეხება ვირტუალური ზონის პირის რეგულატორული შეღავათებს, - ვირტუალური ზონის პირი გათავისუფლებულია ყოველგვარი სპეციალური რეგულირებისაგან. ვირტუალური ზონის პირს საქმიანობის განსახორციელებლად არ ესაჭიროება ლიცენზიები, ნებართვები და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები.

რა შემთხვევებში უქმდება ვირტუალური ზონის სტატუსი?

საფინანსო-ანალიტიკური სამსახური აუქმებს ვირტუალური ზონის პირის სტატუსს შემდეგ შემთხვევებში:

- ა) თუ ვირტუალური ზონის პირის მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული სტატუსი გამოყენებული იქნება გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების მიზნით;
- ბ) ვირტუალური ზონის პირის ელექტრონული განცხადების საფუძველზე, რომელიც იგზავნება საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ვებგვერდის (www.fas.ge) საშუალებით. ზემოთ აღნიშნული „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საფინანსო - ანალიტიკური სამსახური სტატუსს აუქმებს შესაბამისი ორგანოს მიერ მისთვის მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ინფორმაცია კანდიდატისათვის ვირტუალური ზონის პირის სტატუსის გაუქმების თაობაზე სტატუსის გაუქმებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის მიერ

---

[723] საგადასახადო კოდექსის მე-100 მუხლის მიხედვით, რეზიდენტის ერთობლივი შემოსავალი შედგება საქართველოში არსებული წყაროდან და საქართველოს ფარგლების გარეთ მიღებული შემოსავლებისაგან. არარეზიდენტის ერთობლივი შემოსავალი შედგება საქართველოში არსებული წყაროებიდან მიღებული შემოსავლებისაგან. ერთობლივ შემოსავალს განეკუთვნება ნებისმიერი ფორმით ან/და საქმიანობით მიღებული შემოსავალი, კერძოდ: ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები; ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები, რომლებიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან სხვა შემოსავლები, რომლებიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან.

წერილობით ეცნობება სსიპ - შემოსავლების სამსახურს. ვირტუალური ზონის პირის სტატუსის გაუქმების შემთხვევაში უქმდება შესაბამისი ელექტრონული სერტიფიკატი[724].

საქართველოში საინფორმაციო-ტექნოლოგიური სფერო ჯერ კიდევ არ არის სათანადო დონეზე განვითარებული, მაგრამ პერსპექტიული დარგია ქვეყნისათვის. ამ სფეროს განვითარება მოითხოვს არა მარტო ინტელექტუალური პოტენციალის არსებობას, არამედ ამ დარგის ქვეყანაში დანერგვას ფინანსებიც სჭირდება. მიგვაჩნია, რომ ამ კუთხით მეტი ინვესტიციების მოზიდვაა საჭირო. საერთაშორისო კომპანიებიც ჯერჯერობით ნაკლებად ინტერესდებიან, ამის მიზეზი ისიცაა, რომ ეს სფერო ძალიან მაღალტექნოლოგიურია და აღნიშნულ სფეროში დიდი კონკურენციაცაა. ამ დარგში დიდ წარმატებებს მიაღწიეს ისლანდიამ, ფინეთმა, ისრაელმა, რომლებმაც დიდი ოდენობით კერძო ინვესტიციები მოიზიდეს და დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს.

დასკვნის სახით, რა შეიძლება ითქვას კიდევ თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ საქართველოში? არის კი ეკონომიკური ფონი ამ ზონების შექმნისა და განვითარებისათვის საქართველოში? ამ კუთხით აზრთა სხვადასხვაობაა. ერთნი ამტკიცებენ, რომ საქართველო ამისათვის მზად იყო, ხოლო მეორენი კი -

---

[724] დაწვრ. ვირტუალური ზონის შესახებ იხ. საქართველოს მთავრობის დადგენილება №49 (2011 წლის 26 იანვარი) „ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მინიჭების წესისა და პირობების და ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მიმნიჭებელი პირის განსაზღვრის შესახებ"; https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1198594?publication; ხარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, 2014; ხარაზი ი; საერთაშორისო საბაჟო სამართალი, 2013; ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021; ია ხარაზი, გულნარა იმედაშვილი, „თავისუფალი ზონა და თავისუფალი საწყობი", ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის იურიდიულ-ეკონომიკური ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომები, #1, თბილისი, 2008; ია ხარაზი, ირაკლი ლეონიძე, „თავისუფალი ზონა და თავისუფალი საწყობი", ჟურნალი „სამართალი", #1-2, 2008, გვ.20-23; ია ხარაზი, ქეთევან კვინიკაძე, „სასაქონლო ოპერაციები", „მართლმსაჯულება და კანონი," #4(31), 2011, გვ.148-160 .

პირიქით, ამტკიცებდნენ, რომ საქართველოში ასეთი ზონების შექმნა უარყოფითი შედეგების მომტანი იქნებოდა.

საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონის საწყისად უნდა ჩაითვალოს 1878 წელი, როდესაც ბერლინის კონგრესზე განიხილებოდა თურქეთის მიერ ბათუმის რუსეთისათვის გადაცემის საკითხი. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მარკიზ სოლაბერის მოთხოვნით რუსეთმა ბათუმი „პორტო ფრანკოდ" გამოაცხადა. „პორტო ფრანკო" თავისუფალ ნავსადგურს ნიშნავს. სწორედ ასე ეწოდებოდა ბათუმს 1878-1886 წლებში, რომელიც შედიოდა რუსეთის შემადგენლობაში, ბერლინში დადებული ხელშეკრულების მიხედვით, რუსეთს ბათუმი „პორტო ფრანკო"-ს სტატუსით გადაეცა. რუსეთის იმპერიაში ბათუმი მესამე „პორტო ფრანკო" იყო ოდესისა და ვლადივასტოკის შემდეგ. ბათუმის პორტო ფრანკო 8 წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა. როგორც ისტორიული ქრონიკები იუწყებიან, ბათუმში ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა საქონელბრუნვა და მეორე ადგილი ეკავა შავი ზღვის სანაპიროზე ოდესის შემდეგ. თუმცა დადებითთან ერთად ბევრი უარყოფითიც მოუტანა პორტო ფრანკომ ბათუმს, კერძოდ, მებაჟეების მხრივ უხეშობა, მექრთამეობა, მათი მხრივ ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და სხვ. მაგრამ ბათუმს გარკვეული მომხიბვლელობა შესძინა პორტო ფრანკომ. ყოველწლიურად მატულობდა შემოსული უცხოელების ნაკადი. შემონახული წყაროების მიხედვით, 1885 წელს ბათუმში 34 500 უცხოელი ყოფილა შემოსული[725].

10. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს მიერ დაქირავებულისათვის გადახდილი ხელფასის დაბეგვრის წესის დამტკიცების შესახებ

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შემქმნელები გარკვეული საგადასახადო პრეფერენციებით სარგებლობენ და ეს გასაგებიცაა, რამეთუ ყველა ქვეყნის მთავრობაა დაინტერესებული იმით, რომ ჯერ

[725] ხარაზი ი; საერთაშორისო საბაჟო სამართალი, თბილისი, 2013, 83-84

ერთი, ქვეყანაში რაც შეიძლება მეტი ინვესტიცია მოიზიდონ და მეორეც გადაწყვიტონ ქვეყნაში უმუშევრობის პრობლემა. *რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში ასეთ ზონებში მუშა-მოსამსახურეების მიერ მიღებული ხელფასების დაბეგვრის კუთხით?* ამ კითხვაზე პასუხს გაგვცემს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 ივნისის #291 დადგენილება „თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს მიერ დაქირავებულისათვის გადახდილი ხელფასის დაბეგვრის წესის დამტკიცების შესახებ“, რომლის თანახმად, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს მიერ დაქირავებული საქართველოს არარეზიდენტი ფიზიკური პირისათვის ხელფასის სახით განაცემის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის წესი განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

საუბარია საგადასახადო კოდექსის 79-82-ე მუხლებზე, რომლებიც საშემოსავლო გადასახადით ფიზიკური პირების ხელფასის დაბეგვრას ითვალისწინებენ[726].

აღნიშნული დადგენილების ტერმინთა განმარტებით: **დაქირავებული** – საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც დაქირავებულია თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს მიერ. ამასთან, დაქირავებულად არ ითვლება ფიზიკური პირი, რომელიც ამ საწარმოსათვის ახორციელებს ხელშეკრულების ფარგლებში მომსახურების მიწოდებას, მათ შორის, ქონების იჯარით (ქირით) გადაცემას; **ხელფასი** – საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოში დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული ნებისმიერი საზღაური (სარგებელი), რომელიც საკასო მეთოდით განისაზღვრება საქართველოს **საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის**[727] შესაბამისად და საგადასახადო მიზნებისათვის მიიჩნევა ხელფასის სახით მიღებულ

---

[726] დაწვრ. იხ. ხარაზი ი; საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახემძღვანელო, პირველი ნაწილი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2020.

[727] „ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები“. დამატ. იხ. ხარაზი ი; საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, პირველი ნაწილი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, 2020.

შემოსავლად.დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებში განსაზღვრული ხელფასის მიმართ თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს (შემდგომში – საწარმო) არ ეკისრება საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი საგადასახადო აგენტის ფუნქციის შესრულება. დაქირავებულის მიერ საწარმოში მიღებულ შემოსავალზე საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

დაქირავებული ვალდებულია, ყოველწლიურად, საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. საწარმო ვალდებულია, საგადასახადო წლის დამთავრებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო ლიკვიდაციის შემთხვევაში – ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს ინფორმაცია დაქირავებულზე გაცემული ანაზღაურების თანხების, დაქირავებულების გვარის, სახელისა და საიდენტიფიკაციო ნომრის თაობაზე (დანართი №1)[728].

დადგენილებით განსაზღვრული ხელფასის მიმართ საგადასახადო ვალდებულების ცენტრალიზებულად შესრულების მიზნით, საწარმოს შეუძლია, დაქირავებულის თანხმობით, ნებაყოფლობით შეასრულოს გადასახადის გამოანგარიშების, დაკავებისა და ბიუჯეტში გადახდის ვალდებულებები, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. საწარმომ საგადასახადო აგენტის ფუნქციების დაკისრების შესახებ წინასწარ უნდა აცნობოს საგადასახადო ორგანოს. ამასთან, ამ ფუნქციის შესრულებასთან დაკავშირებული საგადასახადო სამართალდარღვევისათვის მის მიმართ არ გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსის XL

---

[728] დანართის შესახებ იხ. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 ივნისის #291 დადგენილება „თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს მიერ დაქირავებულისათვის გადახდილი ხელფასის დაბეგვრის წესის დამტკიცების შესახებ“,
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3702886?publication=1

თავით განსაზღვრული პასუხისმგებლობის ზომები, მათ შორის, საგადასახადო სანქციები. ასეთ შემთხვევაში, საგადასახადო პასუხისმგებლობის სუბიექტად ითვლება დაქირავებული, რომლის მაგივრადაც საწარმომ შეასრულა საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულება (მ.4.პ.3.).

დადგენილების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, საწარმომ წინასწარ აცნობა თუ არა საგადასახადო ორგანოს საგადასახადო აგენტის ფუნქციების დაკისრების შესახებ, დაქირავებულის მიმართ საქართველოს საგადასახადო კოდექსის XL თავით[729] განსაზღვრული საგადასახადო პასუხისმგებლობის ზომები არ გამოიყენება, თუ საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად ფაქტობრივად შესრულებულია გადასახადის გამოანგარიშების, დაკავებისა და ბიუჯეტში გადახდის ვალდებულებები (მათ შორის, ამ დადგენილების ამოქმედებამდე პერიოდში) და ამ ვალდებულებებთან დაკავშირებით საგადასახადო დეკლარაციის წარდგენა განხორციელდა დაგვიანებით, მაგრამ შესაბამისი საკითხის ან/და პერიოდის შემოწმების მიზნით საწარმოსათვის ან დაქირავებულისათვის საგადასახადო შემოწმების ჩატარების შესახებ სასამართლოს ან საგადასახადო ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილების/შეტყობინების ჩაბარებამდე, ან საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენამდე.

[729] „საგადასახადო სამართალდარღვევათა სახეები და პასუხისმგებლობა“.

11. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს საგადასახადო ანგარიშგება. თზ-ის საწარმოს მიერ განხორციელებულ დასაბეგრ ოპერაციებზე გადასახადის გაანგარიშების შევსება

ფინანსთა მინისტრის #996 ბრძანების „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ 411 მუხლის თანახმად, „თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო (შემდგომში - თიზ-ის საწარმო) ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პირისათვის (გარდა თიზ-ის საწარმოსი) საქონლის მიწოდების შემთხვევაში გადაიხადოს საქონლის მიწოდებით მიღებული/მისაღები შემოსავლის (საქონლის უსასყიდლოდ მიწოდებისას - ამ საქონლის საბაზრო ფასის) 4 პროცენტი არაუგვიანეს საქონლის მიწოდების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა (პ.1.).

საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პირის მიერ (გარდა თიზ-ის საწარმოსი) თიზ-ის საწარმოსთვის საქონლის (გარდა ადგილზე მოხმარებისათვის ან/და წარმოებისათვის განკუთვნილი ელექტროენერგიისა, წყლისა და ბუნებრივი აირისა) მიწოდებისას თზ-ის საწარმო ვალდებულია გადაიხადოს მიწოდებული **საქონლის საბაზრო ფასის 4 პროცენტი არაუგვიანეს საქონლის მიწოდების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა** (პ.2.). მე-3 პუნქტი შეიცავს მითითებას 1-ლი და მე-2 პუნქტების გამოყენების შემთხვევებზე, კერძოდ: ამავე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული ოპერაციების განხორციელების შემთხვევაში, თზ-ის საწარმო ვალდებულია, საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს მის მიერ განხორციელებულ დასაბეგრ ოპერაციებზე გადასახადის გაანგარიშება №II-091 დანართის ფორმით[730], არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

იმავე **ბრძანების მუხლი 412-ე მუხლით** განსაზღვრულია **„თზ-ის საწარმოს მიერ განხორციელებულ დასაბეგრ ოპერაციებზე გადასახადის გაანგარიშების შევსება“**, კერძოდ, პირველ ნაწილში

---

[730] დანართების ფორმაზე იხ. ფინანსთა მინისტრის #996 ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“.
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1167887?publication=0.

აისახება ინფორმაცია თზ-ის საწარმოს რეკვიზიტებისა (დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი) და საანგარიშო პერიოდის შესახებ და ა.შ.

დეტალურად თზ-ის საწარმოს მიერ განხორციელებულ დასაბეგრ ოპერაციებზე გადასახადის გაანგარიშების შევსების წესის შესახებ იხ. ფინანსთა მინისტრის 996-ე ბრძანების 412-ე მუხლი „თზ-ის საწარმოს მიერ განხორციელებულ დასაბეგრ ოპერაციებზე გადასახადის გაანგარიშების შევსება“.

აქვე, ფინანსთა მინისტრის 996-ე ბრძანების 65-ე მუხლის („საგადასახადო აგენტის მიერ უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის ანგარიშგების საგადასახადო ორგანოში წარდგენის და ბიუჯეტთან ანგარიშსწორების წესი“-ს შესახებ, მე-2 ნაწილის თანახმად: საგადასახადო აგენტი ვალდებულია: 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“[731] და „დ“[732] ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახადო აგენტი ვალდებულია:.... „საბაჟო საწყობში ან თიზ-ის საწარმოსგან უცხოური საქონლის შესყიდვის ღირებულებასა და საქონლის იმპორტის თანხას შორის დადებითი

---

[731] უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის თანხის გაანგარიშებას (შემდგომში – გაანგარიშება) „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციის №III-19 დანართის ფორმით საგადასახადო ორგანოს წარუდგენს პირი (საგადასახადო აგენტი), რომელიც არ არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად, კერძოდ:დასაბეგრი პირი, რომელიც საბაჟო საწყობში საქართველოს საგადასახადო კოდექსის 1641 მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირისგან შეძენილ უცხოურ საქონელს აქცევს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო პროცედურაში, რომლის მიწოდება არ არის გათავისუფლებული დღგ-ისგან („გ“ ქვეპუნქტი.

[732] უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის თანხის გაანგარიშებას (შემდგომში – გაანგარიშება) „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციის №III-19 დანართის ფორმით საგადასახადო ორგანოს წარუდგენს პირი (საგადასახადო აგენტი), რომელიც არ არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად, კერძოდ:დასაბეგრი პირი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 1641 მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში თიზ-ის საწარმოსაგან შეძენილ უცხოურ საქონელს აქცევს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო პროცედურაში, რომლის მიწოდება არ არის გათავისუფლებული დღგ-ისგან.

სხვაობის თანხაზე, თუ საქონლის იმპორტი და მიწოდება არ არის დღგ-სგან გათავისუფლებული" („გ.ა." ქვეპუნქტი; „საბაჟო საწყობში ან თზ-ის საწარმოსგან უცხოური საქონლის შესყიდვის ღირებულებაზე, თუ საქონლის იმპორტი გათავისუფლებულია დღგ-სგან, ხოლო საქონლის მიწოდება დღგ-ით იბეგრება" („გ.ბ." ქვეპუნქტი).

სასამართლო პრაქტიკა:

აღსანიშნავია, რომ თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შემოწმების განხორციელების დროს შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც თიზ-ის დათვალიერების შემდეგ ადგენს დათვალიერების შედეგების ამსახველ აქტს, რომელსაც ხელს აწერს ჯგუფის ყველა წევრი.

თბილისის საქალაქო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში მიუთითებს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის #2/3/406/408 გადაწყვეტილებაზე, რომლითაც სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციაზე. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას, მიუხედავად მისი მრავალფეროვნებისა, აქვს რამდენიმე არსებითი, საერთო მახასიათებელი ნიშანი, რაც განაპირობებს მის მიმართ ერთიანი კონსტიტუციურ-სამართლებრივი პოზიციის ჩამოყალიბების აუცილებლობას. საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას აერთიანებს ისიც, რომ ის თავს იყრის გადასახადების ადმინისტრირების პროცესის შედეგად. სასამართლომ ასევე უმნიშვნელოვანესად მიიჩნია, რომ საგადასახადო საიდუმლოებაში მოაზრებული ნებისმიერი ინფორმაცია დაკავშირებული საგადასახადო ურთიერთობებთან და ასახავს მათ. გადასახადის გადამხდელზე არსებული ყველა მონაცემი იძლევა მისი იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. სასამართლომ გაიზიარა და დასაბუთებულად მიიჩნია ასევე სპეციალისტის მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ გადასახადის გადამხდელზე არსებული ინფორმაცია არის ფინანსებთან დაკავშირებული ინფორმაცია და აქედან გამომდინარე, ფინანსებთან კავშირიც მნიშვნელოვანი საერთო ნიშანია".

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით შესაძლებლად იქნა მიჩნეული საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის დაყოფა რამდენიმე

ჯგუფად. ერთ-ერთ ჯგუფში მოაზრებულ იქნა კონსტიტუციის 41-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია - ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან და სხვა კერძო საკითხებთან. ამასთან, სასამართლომ დაადგინა, რომ საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელზე დაცული ინფორმაცია არის „ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია“, რამდენადაც საგადასახადო ორგანოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული და სახელმწიფო ამოცანების განმახორციელებელი ორგანოებია და იქ თავმოყრილი ნებისმიერი ფორმის ინფორმაციის სრული სპექტრი შეიძლება იქნეს განხილული როგორც „ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია“.

„სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის პირველ ნაწილში არსებულ ჩანაწერზე - „გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია“ - და მიაჩნია, რომ, ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე, „ნებისმიერ ინფორმაციაში“ არ შეიძლება მოაზრებულ იქნას გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ისეთი ინფორმაციაც, რომელიც არ არის დაკავშირებული ფინანსებთან. როგორც აღინიშნა, საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის საერთო მახასიათებელი ნიშნებია: 1) ინფორმაციის მთავარი სუბიექტი - გადასახადის გადამხდელი, რომელსაც უშუალოდ უნდა შეეხებოდეს ნებისმიერი გასაიდუმლოებული მონაცემი; 2) ინფორმაციის საგადასახადო ორგანოში თავმოყრა გადასახადების ადმინისტრირების პროცესის შედეგად (რაც, თავის მხრივ, გულისხმობს გადასახადების გამოანგარიშებასთან, გადახდასთან და დეკლარირებასთან, საგადასახადო კონტროლთან, აგრეთვე გადასახადის გადამხდელთა აღრიცხვასთან, ინფორმირებასთან და საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ფორმების, მეთოდებისა და წესების ერთობლიობას, რომლებსაც საგადასახადო ორგანოები ახორციელებენ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების პროცესში); 3) საგადასახადო საიდუმლოებაში მოაზრებული ნებისმიერი ინფორმაციის კავშირი საგადასახადო ურთიერთობებთან; 4) გადასახადის გადამხდელზე არსებული ყველა მონაცემიდან მისი იდენტიფიკაციის შესაძლებლობა და 5) გადასახადის გადამხდელზე არსებული ინფორმაციის კავშირი ფინანსებთან, მისი გაიგივება ფინანსებთან დაკავშირებულ ინფორმაციასთან“.

„სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ მოსარჩელის (*იგულისხმება IDFI*) მიზანს არ წარმოადგენს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის ორგანიზატორი პირის - გადასახადის გადამხდელად აღრიცხული

მეწარმე სუბიექტის ფინანსური მდგომარეობის, მისი გადახდისუნარიანობის ამსახველი ინფორმაციის მიღება. ადმინისტრაციულ ორგანოში მოსარჩელის მიერ წარდგენილი განცხადება ინფორმაციის გაცემის თაობაზე, თავისი შინაარსით, არ იძლევა იმგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მან გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებულ მეწარმესთან დაკავშირებული (რაც მოცემულ ურთიერთობაში შეიძლება წარმოადგენდეს ორგანიზატორს) გადასახადების ადმინისტრირების პროცესში მოპოვებული ფინანსური ინფორმაცია მოითხოვა".

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობით თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ორგანიზატორს, ასევე, ევალება გარანტიის წარდგენა, რომელიც თიზ-ის მოწყობის გეგმაში ასახული საბაჟო კონტროლის პროცედურების განხორციელებისათვის საჭირო შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურის, ტექნიკა-დანადგარების სამუშაო რეჟიმში ფუნქციონირების უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს. ამავდროულად, აღნიშნული გარანტია არის თიზ-ის ფუნქციონირების პერიოდში შესაძლო წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალება. კანონმდებლობით გათვალისწინებულია, რომ გარანტია თიზ-ის ორგანიზატორმა უნდა დაარეგისტრიროს საგადასახადო ორგანოში.

საბანკო გარანტიასთან დაკავშირებით სასამართლომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ საბანკო გარანტია „არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს გადასახადის გადამხდელის შესახებ პირდაპირი ინფორმაციის შემცველ დოკუმენტთან, რომლის მესამე პირებისთვის გადაცემითაც შეიძლება შეიქმნას გადასახადის გადამხდელის ფინანსური მდგომარეობის ამსახველი ინფორმაციის გამჟღავნების საფრთხე . . . თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ფუნქციონირების დაწყების ეტაპზე, საბანკო გარანტია არ შეიძლება განიხილებოდეს იმგვარ ინფორმაციად, რომლის გაცემითაც, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, შეიძლება დარღვეულ იქნას გადასახადის გადამხდელთან დაკავშირებული ინფორმაციის საიდუმლოება".

სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ სასამართლომ საფუძვლიანად ჩათვალა IDFI-ს სარჩელი და შემოსავლების სამსახურს დაევალა გასცეს ინფორმაცია თავისუფალი ინდუსტრიული

ზონების შემოწმების შესახებ, ისევე როგორც ასეთი შემოწმების ამსახველი დასკვნა ან ოქმი[733].

სასამართლო პრაქტიკა:

აღსანიშნავია, რომ თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შემოწმების განხორციელების დროს შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც თზ-ის დათვალიერების შემდეგ ადგენს დათვალიერების შედეგების ამსახველ აქტს, რომელსაც ხელს აწერს ჯგუფის ყველა წევრი.

თბილისის საქალაქო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში მიუთითებს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის #2/3/406/408 გადაწყვეტილებაზე, რომლითაც სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციაზე. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას, მიუხედავად მისი მრავალფეროვნებისა, აქვს რამდენიმე არსებითი, საერთო მახასიათებელი ნიშანი, რაც განაპირობებს მის მიმართ ერთიანი კონსტიტუციურ-სამართლებრივი პოზიციის ჩამოყალიბების აუცილებლობას. საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას აერთიანებს ისიც, რომ ის თავს იყრის გადასახადების ადმინისტრირების პროცესის შედეგად. სასამართლომ ასევე უმნიშვნელოვანესად მიიჩნია, რომ საგადასახადო საიდუმლოებაში მოაზრებული ნებისმიერი ინფორმაცია დაკავშირებული საგადასახადო ურთიერთობებთან და ასახავს მათ. გადასახადის გადამხდელზე არსებული ყველა მონაცემი იძლევა მისი იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. სასამართლომ გაიზიარა და დასაბუთებულად მიიჩნია ასევე სპეციალისტის მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ გადასახადის გადამხდელზე არსებული ინფორმაცია არის ფინანსებთან დაკავშირებული ინფორმაცია და აქედან გამომდინარე, ფინანსებთან კავშირიც მნიშვნელოვანი საერთო ნიშანია".

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით შესაძლებლად იქნა მიჩნეული საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის დაყოფა რამდენიმე

---

[733] საქართველოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონები და საგადასახადო საიდუმლოება (IDFI VS შემოსავლების სამსახური, https://idfi.ge/ge/free-industrial-zones.

ჯგუფად. ერთ-ერთ ჯგუფში მოაზრებულ იქნა კონსტიტუციის 41-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია - ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან და სხვა კერძო საკითხებთან. ამასთან, სასამართლომ დაადგინა, რომ საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელზე დაცული ინფორმაცია არის „ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია“, რამდენადაც საგადასახადო ორგანოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული და სახელმწიფო ამოცანების განმახორციელებელი ორგანოებია და იქ თავმოყრილი ნებისმიერი ფორმის ინფორმაციის სრული სპექტრი შეიძლება იქნეს განხილული როგორც „ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია“.

„სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის პირველ ნაწილში არსებულ ჩანაწერზე - „გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია“ - და მიაჩნია, რომ, ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე, „ნებისმიერ ინფორმაციაში“ არ შეიძლება მოაზრებულ იქნას გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ისეთი ინფორმაციაც, რომელიც არ არის დაკავშირებული ფინანსებთან. როგორც აღინიშნა, საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის საერთო მახასიათებელი ნიშნებია: 1) ინფორმაციის მთავარი სუბიექტი - გადასახადის გადამხდელი, რომელსაც უშუალოდ უნდა შეეხებოდეს ნებისმიერი გასაიდუმლოებული მონაცემი; 2) ინფორმაციის საგადასახადო ორგანოში თავმოყრა გადასახადების ადმინისტრირების პროცესის შედეგად (რაც, თავის მხრივ, გულისხმობს გადასახადების გამოანგარიშებასთან, გადახდასთან და დეკლარირებასთან, საგადასახადო კონტროლთან, აგრეთვე გადასახადის გადამხდელთა აღრიცხვასთან, ინფორმირებასთან და საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ფორმების, მეთოდებისა და წესების ერთობლიობას, რომლებსაც საგადასახადო ორგანოები ახორციელებენ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების პროცესში); 3) საგადასახადო საიდუმლოებაში მოაზრებული ნებისმიერი ინფორმაციის კავშირი საგადასახადო ურთიერთობებთან; 4) გადასახადის გადამხდელზე არსებული ყველა მონაცემიდან მისი იდენტიფიკაციის შესაძლებლობა და 5) გადასახადის გადამხდელზე არსებული ინფორმაციის კავშირი ფინანსებთან, მისი გაიგივება ფინანსებთან დაკავშირებულ ინფორმაციასთან“.

„სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ მოსარჩელის (*იგულისხმება IDFI*) მიზანს არ წარმოადგენს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის ორგანიზატორი პირის - გადასახადის გადამხდელად

აღრიცხული მეწარმე სუბიექტის ფინანსური მდგომარეობის, მისი გადახდისუნარიანობის ამსახველი ინფორმაციის მიღება. ადმინისტრაციულ ორგანოში მოსარჩელის მიერ წარდგენილი განცხადება ინფორმაციის გაცემის თაობაზე, თავისი შინაარსით, არ იძლევა იმგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მან გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებულ მეწარმესთან დაკავშირებული (რაც მოცემულ ურთიერთობაში შეიძლება წარმოადგენდეს ორგანიზატორს) გადასახადების ადმინისტრირების პროცესში მოპოვებული ფინანსური ინფორმაცია მოითხოვა".

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობით თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ორგანიზატორს, ასევე, ევალება გარანტიის წარდგენა, რომელიც თიზ-ის მოწყობის გეგმაში ასახული საბაჟო კონტროლის პროცედურების განხორციელებისათვის საჭირო შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურის, ტექნიკა-დანადგარების სამუშაო რეჟიმში ფუნქციონირების უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს. ამავდროულად, აღნიშნული გარანტია არის თიზ-ის ფუნქციონირების პერიოდში შესაძლო წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალება. კანონმდებლობით გათვალისწინებულია, რომ გარანტია თიზ-ის ორგანიზატორმა უნდა დაარეგისტრიროს საგადასახადო ორგანოში.

საბანკო გარანტიასთან დაკავშირებით სასამართლომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ საბანკო გარანტია „არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს გადასახადის გადამხდელის შესახებ პირდაპირი ინფორმაციის შემცველ დოკუმენტთან, რომლის მესამე პირებისთვის გადაცემითაც შეიძლება შეიქმნას გადასახადის გადამხდელის ფინანსური მდგომარეობის ამსახველი ინფორმაციის გამჟღავნების საფრთხე . . . თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ფუნქციონირების დაწყების ეტაპზე, საბანკო გარანტია არ შეიძლება განიხილებოდეს იმგვარ ინფორმაციად, რომლის გაცემითაც, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, შეიძლება დარღვეულ იქნას გადასახადის გადამხდელთან დაკავშირებული ინფორმაციის საიდუმლოება".

სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ სასამართლომ საფუძვლიანად ჩათვალა IDFI-ს სარჩელი და შემოსავლების სამსახურს დაევალა გასცეს ინფორმაცია თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შემოწმების შესახებ, ისევე როგორც ასეთი შემოწმების ამსახველი დასკვნა ან ოქმი[734].

[734] https://idfi.ge/ge/free-industrial-zones

საქართველოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონები და საგადასახადო საიდუმლოება (IDFI VS შემოსავლების სამსახური). 2015 წლის 16 აპრილს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა" (IDFI) წერილით მიმართა შემოსავლების სამსახურს და ინფორმაციის საჯაროობის პრინციპის საფუძველზე მოითხოვა ინფორმაციის მიწოდება შემდეგ საკითხზე: განხორციელდა თუ არა შემოსავლების სამსახურის მიერ საქართველოში არსებული თითოეული თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შემოწმება. ასეთი შემოწმების განხორციელების შემთხვევაში IDFI-მ ასევე მოითხოვა შემოწმების ამსახველი დასკვნის ან ოქმის მიწოდება.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონა არის სპეციალური ეკონომიკური ზონის ერთ-ერთი სახე, სადაც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მოქმედებს საგადასახადო შეღავათები და დამატებითი პირობები. სპეციალური ეკონომიკური ზონები მსოფლიოში ფართოდ არის გავრცელებული. მას აქტიურად იყენებენ ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, სამხრეთ კორეა, თურქეთი, არაბთა გაერთიანებული ემირატები, გაერთიანებული სამეფო, ირანი, ინდოეთი, რუსეთი, ჩინეთი, მალაიზია, ფილიპინები და სხვა. სპეციალური ეკონომიკური ზონების შექმნა მიზნად ისახავს ინვესტიციების გაზრდას ბიზნესისთვის მაქსიმალურად მისაღები ეკონომიკური გარემოს შექმნის გზით. სპეციალური ეკონომიკური ზონების ყველაზე უფრო გავრცელებული სახეებია: ურბანული ეკონომიკური ზონა, ინდუსტრიული ზონა, თავისუფალი სავაჭრო ზონა, თავისუფალი ეკონომიკური ზონა და თავისუფალი პორტები. საქართველოში თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შექმნა 2008 წლიდან დაიწყო. შეიქმნა თავისუფალი ინდუსტრიული ზონები ქუთაისში, ფოთში, ყულევში; განისაზღვრა საგადასახადო შეღავათები და სხვა დამატებითი ეკონომიკური წამახალისებელი პირობები თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში დარეგისტრირებული კომპანიებისა და თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ორგანიზატორებისათვის. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ორგანიზატორი შეიძლება იყოს საწარმო, რომელიც არის აღრიცხული გადასახადის გადამხდელად. ორგანიზატორმა უნდა უზრუნველყოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის კანონმდებლობის შესაბამისად აღჭურვა და ფუნქციონირება.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა, თუმცა ინდუსტრიული ზონის შესაქმნელი დოკუმენტაციის შემოწმებაში და ამ ინდუსტრიული ზონის ფუნქციონირების დაწყებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების

სამინისტრო და შემოსავლების სამსახური. კერძოდ, შემოსავლების სამსახური, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მიერ ფუნქციონირების დაწყებამდე, ვალდებულია ფიზიკურად შეამოწმოს, აკმაყოფილებს თუ არა აღნიშნული ინდუსტრიული ზონა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. მხოლოდ ასეთი შემოწმებისა და შემოსავლების სამსახურის მიერ დადებითი დასკვნის შემთხვევაში შეუძლია თავისუფალ ინდუსტრიულ ზონას დაიწყოს ფუნქციონირება და, შესაბამისად, ამოქმედდეს საგადასახადო შეღავათები და დამატებითი პირობები.

შემოსავლების სამსახურმა უარი თქვა IDFI-სთვის მიეწოდებინა ინფორმაცია, განახორციელა თუ არა თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შემოწმება და, შესაბამისად, უარი თქვა გადაეცა ასეთი შემოწმების ამსახველი დასკვნა ან ოქმი. ინფორმაციის გაცემაზე უარის საფუძვლად შემოსავლების სამსახურმა მიუთითა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლი. კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა გადასახადის გადამხდელის სტატუსისა, სახელწოდებისა, მისამართისა, საიდენტიფიკაციო ნომრისა, საგადასახადო დავალიანების შესახებ ინფორმაციისა და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული საჯარო ინფორმაციისა, მისი საგადასახადო აღრიცხვაზე აყვანის მომენტიდან განკუთვნება საგადასახადო საიდუმლოებას. შემოსავლების სამსახურის უარი IDFI-მ გაასაჩივრა ადმინისტრაციული საჩივრით სსიპ - შემოსავლების სამსახურის მედიაციის საბჭოში, თუმცა მედიაციის საბჭომაც უარი თქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე. ამის შემდეგ, IDFI-მ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2016 წლის 4 იანვრის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა IDFI-ს სარჩელი.

კერძოდ, გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი დოკუმენტებით: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საქართველოს საგადასახადო კოდექსი, საქართველოს კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 იანვრის #11 დადგენილებით დამტკიცებული „თავისუფალი ზონის შექმნისათვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის შექმნის პირობებისა და საქონლის შენახვის შესახებ" ინსტრუქცია, საქართველოს მთავრობის 2008 წლის 3 ივნისის #131

დადგენილებით დამტკიცებული „თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის, მოწყობისა და ფუნქციონირების წესები“.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ კანონმდებლობა დეტალურად განმარტავს შემოსავლების სამსახურის მიერ შემოწმების განხორციელების საკითხებს (რაც ასახულია სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში). შემოსავლების სამსახურის ვალდებულებაა, შეამოწმოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის (თიზ) მოწყობის ტექნიკური, საორგანიზაციო და ინფრასტრუქტურული საკითხები. მაგალითად, სავალდებულოა, რომ თიზ-ს გააჩნდეს ტერიტორიის მთელი პერიმეტრის შემომსაზღვრელი და კაპიტალურად დამონტაჟებული არანაკლებ 2 მეტრი სიმაღლის ღობე, რომელსაც მთელ სიგრძეზე უნდა გასდევდეს გარე განათება. კანონმდებლობით გათვალისწინებულია, რომ თიზ-ში, ორგანიზატორის მიერ და მისივე ხარჯით, უნდა მოეწყოს საბაჟო გამშვები პუნქტები. ასევე, ორგანიზატორმა უნდა უზრუნველყოს საბაჟო კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნა, ტექნიკა-დანადგარების სამუშაო რეჟიმში ფუნქციონირება და სხვა საბაჟო კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი საკითხები.

აღსანიშნავია, რომ შემოწმების განხორციელების დროს შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც თიზ-ის დათვალიერების შემდეგ ადგენს დათვალიერების შედეგების ამსახველ აქტს, რომელსაც ხელს აწერს ჯგუფის ყველა წევრი.

თბილისის საქალაქო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში მიუთითებს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის #2/3/406/408 გადაწყვეტილებაზე, რომლითაც სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციაზე. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას, მიუხედავად მისი მრავალფეროვნებისა, აქვს რამდენიმე არსებითი, საერთო მახასიათებელი ნიშანი, რაც განაპირობებს მის მიმართ ერთიანი კონსტიტუციურ-სამართლებრივი პოზიციის ჩამოყალიბების აუცილებლობას. საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას აერთიანებს ისიც, რომ ის თავს იყრის გადასახადების ადმინისტრირების პროცესის შედეგად. სასამართლომ ასევე უმნიშვნელოვანესად მიიჩნია, რომ საგადასახადო საიდუმლოებაში მოაზრებული ნებისმიერი ინფორმაცია დაკავშირებული საგადასახადო ურთიერთობებთან და ასახავს მათ. გადასახადის გადამხდელზე არსებული ყველა მონაცემი იძლევა მისი

იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. სასამართლომ გაიზიარა და დასაბუთებულად მიიჩნია ასევე სპეციალისტის მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ გადასახადის გადამხდელზე არსებული ინფორმაცია არის ფინანსებთან დაკავშირებული ინფორმაცია და აქედან გამომდინარე, ფინანსებთან კავშირიც მნიშვნელოვანი საერთო ნიშანია".

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით შესაძლებლად იქნა მიჩნეული საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის დაყოფა რამდენიმე ჯგუფად. ერთ-ერთ ჯგუფში მოაზრებულ იქნა კონსტიტუციის 41-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია - ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან და სხვა კერძო საკითხებთან. ამასთან, სასამართლომ დაადგინა, რომ საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელზე დაცული ინფორმაცია არის „ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია", რამდენადაც საგადასახადო ორგანოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული და სახელმწიფო ამოცანების განმახორციელებელი ორგანოებია და იქ თავმოყრილი ნებისმიერი ფორმის ინფორმაციის სრული სპექტრი შეიძლება იქნეს განხილული როგორც „ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია".

„სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის პირველ ნაწილში არსებულ ჩანაწერზე - „გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია" - და მიაჩნია, რომ, ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე, „ნებისმიერ ინფორმაციაში" არ შეიძლება მოაზრებულ იქნას გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ისეთი ინფორმაციაც, რომელიც არ არის დაკავშირებული ფინანსებთან. როგორც აღინიშნა, საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის საერთო მახასიათებელი ნიშნებია: 1) ინფორმაციის მთავარი სუბიექტი - გადასახადის გადამხდელი, რომელსაც უშუალოდ უნდა შეეხებოდეს ნებისმიერი გასაიდუმლოებული მონაცემი; 2) ინფორმაციის საგადასახადო ორგანოში თავმოყრა გადასახადების ადმინისტრირების პროცესის შედეგად (რაც, თავის მხრივ, გულისხმობს გადასახადების გამოანგარიშებასთან, გადახდასთან და დეკლარირებასთან, საგადასახადო კონტროლთან, აგრეთვე გადასახადის გადამხდელთა აღრიცხვასთან, ინფორმირებასთან და საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ფორმების, მეთოდებისა და წესების ერთობლიობას, რომლებსაც საგადასახადო ორგანოები ახორციელებენ

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების პროცესში); 3) საგადასახადო სალდოლოგებში მოაზრებული ნებისმიერი ინფორმაციის კავშირი საგადასახადო ურთიერთობებთან; 4) გადასახადის გადამხდელზე არსებული ყველა მონაცემიდან მისი იდენტიფიკაციის შესაძლებლობა და 5) გადასახადის გადამხდელზე არსებული ინფორმაციის კავშირი ფინანსებთან, მისი გაიგივება ფინანსებთან დაკავშირებულ ინფორმაციასთან".

„სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ მოსარჩელის (იგულისხმება IDFI) მიზანს არ წარმოადგენს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის ორგანიზატორი პირის - გადასახადის გადამხდელად აღრიცხული მეწარმე სუბიექტის ფინანსური მდგომარეობის, მისი გადახდისუნარიანობის ამსახველი ინფორმაციის მიღება. ადმინისტრაციულ ორგანოში მოსარჩელის მიერ წარდგენილი განცხადება ინფორმაციის გაცემის თაობაზე, თავისი შინაარსით, არ იძლევა იმგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მან გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებულ მეწარმესთან დაკავშირებული (რაც მოცემულ ურთიერთობაში შეიძლება წარმოადგენდეს ორგანიზატორს) გადასახადების ადმინისტრირების პროცესში მოპოვებული ფინანსური ინფორმაცია მოითხოვა".

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობით თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ორგანიზატორს ასევე, ევალება გარანტიის წარდგენა, რომელიც თიზ-ის მოწყობის გეგმაში ასახული საბაჟო კონტროლის პროცედურების განხორციელებისათვის საჭირო შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურის, ტექნიკა-დანადგარების სამუშაო რეჟიმში ფუნქციონირების უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს. ამავდროულად, აღნიშნული გარანტია არის თიზ-ის ფუნქციონირების პერიოდში შესაძლო წარმოქმნილი საგადასახადო ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალება. კანონმდებლობით გათვალისწინებულია, რომ გარანტია თიზ-ის ორგანიზატორმა უნდა დაარეგისტრირის საგადასახადო ორგანოში.

საბანკო გარანტიასთან დაკავშირებით სასამართლომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ საბანკო გარანტია „არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს გადასახადის გადამხდელის შესახებ პირდაპირი ინფორმაციის შემცველ დოკუმენტთან, რომლის მესამე პირებისთვის გადაცემითაც შეიძლება შეიქმნას გადასახადის გადამხდელის ფინანსური მდგომარეობის ამსახველი ინფორმაციის გამჟღავნების საფრთხე . . . თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ფუნქციონირების დაწყების ეტაპზე, საბანკო გარანტია არ შეიძლება განიხილებოდეს იმგვარ ინფორმაციად, რომლის გაცემითაც, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილიდან

გამომდინარე, შეიძლება დარღვეულ იქნას გადასახადის გადამხდელთან დაკავშირებული ინფორმაციის საიდუმლოება".

სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ სასამართლომ საფუძვლიანად ცნო IDFI-ს საჩელი და შემოსავლების სამსახურს დაევალა გასცეს ინფორმაცია თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შემოწმების შესახებ. ისევე როგორც ასეთი შემოწმების ამსახველი დასკვნა ან ოქმი[735]*.*

A. დასამახსოვრებელი დებულებები!

თავისუფალი ინდუსტრიული ზონა შეიძლება შეიქმნას საქართველოს მთავრობის ინიციტივით; ფიზიკური ან იურიდიული პირის – ორგანიზატორის (შემდგომში – ორგანიზატორი) მოთხოვნით.

გარანტიის ვადის ყოველი შემდგომი გაგრძელების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასევე არანაკლებ ერთი წლის ვადით, მაგრამ არაუმეტეს თზ-ის სტატუსის მოქმედების დარჩენილი ვადისა) წარმოდგენილი უნდა იქნეს მიმდინარე გარანტიის ვადის ამოწურვამდე.

მიმდინარე გარანტიის ვადის ამოწურვის მომდევნო დღიდან ახალი გარანტიის წარმოდგენამდე იკრძალება თზ-ში საქონლის შეტანა და თზ-დან საქონლის გატანა.

საბაჟო ორგანო უფლებამოსილია. გააკონტროლოს პირის, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების თავისუფალ ზონაში შესვლა/თავისუფალი ზონიდან გასვლ:ა აკრძალოს თავისუფალ ზონაში იმ პირის შესვლა და საქმიანობა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების სათანადოდ შესრულებას; მოითხოვოს თავისუფალ ზონაში არსებული საქონლის დოკუმენტების ასლები; საჭიროების შემთხვევაში დაათვალიეროს თავისუფალ ზონაში შენახული საქონელი.

თავისუფალ ზონაში შესატან საქონელზე საბაჟო ორგანოს წარედგინება მხოლოდ გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია, თუ საბაჟო კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

თავისუფალი ზონის საქმიანობა წყდება: ამ საქმიანობის ვადის გასვლისთანავე; თავისუფალი ზონის მფლობელის განცხადების საფუძველზე; საქართველოს მთავრობის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ თავისუფალი ზონა აღარ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ან ეს მოთხოვნები არ სრულდება ამ საქმიანობის ვადის გასვლისთანავე; თავისუფალი ზონის

[735] https://idfi.ge/ge/free-industrial-zones

მფლობელის განცხადების საფუძველზე; საქართველოს მთავრობის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ თავისუფალი ზონა ალარ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ან ეს მოთხოვნები არ სრულდება.

B. კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის:

როგორ იქმნება თავისუფალი ინდუსტრიული ზონა?

რა პირობებს უნდა შეიცავდეს ორგანიზატორის მიერ საქართველოს მთავრობისადმი წარდგენილი განცხადება თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ?

რამდენია თზ-ისთვის გარანტიის თანხა?

კონტროლის როგორი ზომები გამოიყენება თზ-ში?

როგორი საქმიანობა იკრძალება თავისუფალ ზონაში?

რა სახის დეკლარაცია წარედგინება თავისუფალ ზონაში შესატან საქონელზე საბაჟო ორგანოს?

რა შემთხვევებში ხდება თავისუფალი ზონის პროცედურის შეწყვეტა?

რა გამოკვეთილი დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფუნქციონირებას?

C. ტესტები:

თავისუფალი ინდუსტრიული ზონა შეიძლება შეიქმნას:

ა. საქართველოს მთავრობის ინიციტივით; ფიზიკური ან იურიდიული პირის – ორგანიზატორის (შემდგომში – ორგანიზატორი) მოთხოვნით

ბ. საქართველოს მთავრობის ინიციტივით

გ. ფიზიკური პირის მოთხოვნით

დ. იურიდიული პირის – ორგანიზატორის (შემდგომში – ორგანიზატორი) მოთხოვნით.

ორგანიზატორი საქართველოს მთავრობას წარუდგენს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა. პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებს;თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საზღვრების აღწერას;თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მოწყობის გეგმას; მიწაზე ორგანიზატორის ან სხვა პირის/პირების საკუთრების უფლების შესახებ საჯარო რეესტრის ამონაწერს

ბ.პირის საიდენტიფიკაციო მონაცემებს;თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საზღვრების აღწერას;თავისუფალი ინდუსტრიული ზონის

მოწყობის გეგმას; მიწაზე ორგანიზატორის ან სხვა პირის/პირების საკუთრების უფლების შესახებ სახელმწიფო რეესტრის ამონაწერს. სხვა პირის/პირების საკუთრებაში არსებულ მიწაზე თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მოწყობისათვის აუცილებელია აგრეთვე მესაკუთრის/მესაკუთრეების თანხმობა, რომ შესაბამის მიწის ნაკვეთზე განსაზღვრული ვადით შეიქმნას თავისუფალი ინდუსტრიული ზონა; მტკიცებულებას, რომ დაკმაყოფილებულია თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პირობები, ან ვალდებულებას, რომ იგი დააკმაყოფილებს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნისათვის დადგენილ მოთხოვნებს საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრულ ვადაში

გ. სხვა პირის/პირების საკუთრებაში არსებულ მიწაზე თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მოწყობისათვის აუცილებელია აგრეთვე მესაკუთრის/მესაკუთრეების თანხმობა, რომ შესაბამის მიწის ნაკვეთზე განსაზღვრული ვადით შეიქმნას თავისუფალი ინდუსტრიული ზონა

დ. მტკიცებულებას, რომ დაკმაყოფილებულია თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პირობები, ან ვალდებულებას, რომ იგი დააკმაყოფილებს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნისათვის დადგენილ მოთხოვნებს საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრულ ვადაში.

გარანტიის დეპოზიტის სახით წარდგენის შემთხვევაში:

ა. საბაჟო ორგანო ახორციელებს სახელმწიფო ხაზინის მიერ გაცემული ინფორმაციისა და ვალდებული პირის მიერ წარდგენილი საგადახდო დავალების ურთიერთშედარებას.

ბ. საბაჟო ორგანო ახორციელებს სახელმწიფო ხაზინის მიერ გაცემული ინფორმაციისა და ვალდებული პირის მიერ წარდგენილი საგადახდო დავალების ურთიერთშედარებას. კერძოდ, ამოწმებს, თუ რამდენად შეესაბამება საგარანტიო თანხა ამ ინსტრუქციით განსაზღვრული წესით გაანგარიშებულ ოდენობას. შეუსაბამობის შემთხვევაში საგადახდო დავალება არ მიიღება

გ. თანხის შემტანის მიერ თანხის განკარგვა ხორციელდება სახელმწიფო ხაზინის შესაბამისი ანგარიშიდან. შესაბამისი საბაჟო ორგანოს მიერ სახელმწიფო ხაზინისათვის წერილობითი თანხმობის გარეშე აკრძალულია დეპოზიტზე თანხის შემტანის მიერ მისი განკარგვა

დ. საბაჟო ორგანო ახორციელებს სახელმწიფო ხაზინის მიერ გაცემული ინფორმაციისა და ვალდებული პირის მიერ წარდგენილი საგადახდო დავალების ურთიერთშედარებას. კერძოდ, ამოწმებს, თუ რამდენად შეესაბამება საგარანტიო თანხა ამ ინსტრუქციით განსაზღვრული წესით გაანგარიშებულ ოდენობას. შეუსაბამობის შემთხვევაში საგადახდო დავალება არ მიიღება; თანხის შემტანის მიერ თანხის განკარგვა ხორციელდება სახელმწიფო ხაზინის შესაბამისი ანგარიშიდან. შესაბამისი საბაჟო ორგანოს მიერ სახელმწიფო ხაზინისათვის წერილობითი თანხმობის გარეშე აკრძალულია დეპოზიტზე თანხის შემტანის მიერ მისი განკარგვა; საგადახდო დავალების ამ ინსტრუქციით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენისას მისი რეგისტრაცია ხორციელდება იმ საბაჟო ორგანოს მიერ, რომელიც განახორციელებს თზ-ის პერიმეტრზე განთავსებული საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით გადაადგილებული საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების საბაჟო კონტროლს.

საბაჟო ორგანო უფლებამოსილია:

ა. გააკონტროლოს პირის, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების თავისუფალ ზონაში შესვლა/თავისუფალი ზონიდან გასვლა; აკრძალოს თავისუფალ ზონაში იმ პირის შესვლა და საქმიანობა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების სათანადოდ შესრულებას; მოითხოვოს თავისუფალ ზონაში არსებული საქონლის დოკუმენტების ასლები; საჭიროების შემთხვევაში დაათვალიეროს თავისუფალ ზონაში შენახული საქონელი

ბ. გააკონტროლოს პირის, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების თავისუფალ ზონაში შესვლა/თავისუფალი ზონიდან გასვლა; აკრძალოს თავისუფალ ზონაში იმ პირის შესვლა და საქმიანობა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების სათანადოდ შესრულებას

გ. მოითხოვოს თავისუფალ ზონაში არსებული საქონლის დოკუმენტების ასლები

დ. საჭიროების შემთხვევაში დაათვალიეროს თავისუფალ ზონაში შენახული საქონელი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია:

ა. განახორციელოს კონტროლი თავისუფალი ზონის პერიმეტრზე პირის, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებაზე

გ. განაბორციელოს კონტროლი თავისუფალი ზონის პერიმეტრზე პირის, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებაზე; მოითხოვოს და მიიღოს თავისუფალ ზონაში არსებული საქონლის დოკუმენტების ასლები; საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას, დაათვალიეროს თავისუფალ ზონაში შენახული საქონელი

გ. მოითხოვოს და მიიღოს თავისუფალ ზონაში არსებული საქონლის დოკუმენტების ასლები

დ. საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას, დაათვალიეროს თავისუფალ ზონაში შენახული საქონელი.

თავისუფალ ზონაში აკრძალულია:

ა. იარაღისა და საბრძოლო მასალის წარმოება, იარაღითა და საბრძოლო მასალით ვაჭრობა

გ. ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების წარმოება, ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებებით ვაჭრობა

გ. იარაღისა და საბრძოლო მასალის წარმოება, იარაღითა და საბრძოლო მასალით ვაჭრობა; ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების წარმოება, ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებებით ვაჭრობა; ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების შეტანა, შენახვა, წარმოება ან/და რეალიზაცია; თამბაქოს ნაწარმის ან/და თამბაქოს ნედლეულის შეტანა (გარდაადგილზე მოხმარებისათვის), შენახვა, წარმოება ან/და რეალიზაცია

დ. ნარკოტიკული საშუალებისა და ფსიქოტროპული ნივთიერების შეტანა, შენახვა, წარმოება ან/და რეალიზაცია; თამბაქოს ნაწარმის ან/და თამბაქოს ნედლეულის შეტანა (გარდაადგილზე მოხმარებისათვის), შენახვა, წარმოება ან/და რეალიზაცია.

თავისუფალ ზონაში შესატანი საქონელი ექვემდებარება საბაჟო ორგანოსთვის წარდგენას და საბაჟო ფორმალობების განხორციელებას, თუ:

ა. იგი მოქცეული იყო სხვა საბაჟო პროცედურაში, რომელიც თავისუფალ ზონაში საქონლის შეტანით დასრულდა.

გ. საქონლის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენა სავალდებულო არ არის, თუ ამ საბაჟო პროცედურის მარეგულირებელი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებულია საქონლის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენის ვალდებულებისგან გათავისუფლება იგი შეტანილ იქნა თავისუფალ ზონაში იმპორტის გადასახდელის დაბრუნების ან მისი გადახდისგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე

საქონლის მიმართ გამოიყენება ექსპორტის პროცედურაში მსგავსი საქონლის მოქცევისთვის გათვალისწინებული ღონისძიებები

დ. იგი მოქცეული იყო სხვა საბაჟო პროცედურაში, რომელიც თავისუფალ ზონაში საქონლის შეტანით დასრულდა. ამასთანავე, საქონლის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენა სავალდებულო არ არის, თუ ამ საბაჟო პროცედურის მარეგულირებელი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებულია საქონლის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენის ვალდებულებისგან გათავისუფლება იგი შეტანილ იქნა თავისუფალ ზონაში იმპორტის გადასახდელის დაბრუნების ან მისი გადახდისგან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე; მის მიმართ გამოიყენება ექსპორტის პროცედურაში მსგავსი საქონლის მოქცევისთვის გათვალისწინებული ღონისძიებები.

თავისუფალი ზონის საქმიანობა წყდება:

ა. ამ საქმიანობის ვადის გასვლისთანავე: თავისუფალი ზონის მფლობელის განცხადების საფუძველზე; საქართველოს მთავრობის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ თავისუფალი ზონა აღარ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ან ეს მოთხოვნები არ სრულდება

ბ. ამ საქმიანობის ვადის გასვლისთანავე

გ. თავისუფალი ზონის მფლობელის განცხადების საფუძველზე

დ. საქართველოს მთავრობის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ თავისუფალი ზონა აღარ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს ან ეს მოთხოვნები არ სრულდება.

D. სამართლებრივი აქტები:

საერთაშორისო აქტები:

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელწიფოებს შორის,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0

კიოტოს 1973 წლის კონვენცია „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ“, საქართველოს აღნიშნულ კონვენციას შეუერთდა 2018 წლის 20 ივლისს, საქართველოს პარლამენტის დადგენილებით. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4270130?publication=0

შეთანხმება თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ (ძალაში შესვლის თარიღი: 06/12/2002),
https://www.matsne.gov.ge/document/view/1224033?publication=0

საკანონმდებლო აქტები:

საქართველოს კონსტიტუცია, მ.19.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

საქართველოს საბაჟო კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=5

საქართველოს საგადასახადო კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/32842?publication=69

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/19024?publication=0

საქართველოს ადმინისტრაციული ზოგადი კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=39

საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ"
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2062?publication=41

საქართველოს კანონი „საგზაო მოძრაობის შესახებ";
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2169396?publication=23

საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ, მ.4. პ.33. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/26824?publication=91

საქართველოს კანონი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ", https://www.matsne.gov.ge/document/view/21994?publication=9

კანონქვემდებარე აქტები:

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 14 იანვრის #25 დადგენილება „თავისუფალი ზონის შექმნის პირობების, მისი შექმნისთვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის ფუნქციონირების, მასში საქონლის შენახვისა და საბაჟო კონტროლის განხორციელების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე";
https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/4772532/1/ge/pdf

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის #453 დადგენილება „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ";
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4657381?publication=0

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ",
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2800?publication=103

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 5 ივნისის №106 დადგენილება „ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ“, https://www.matsne.gov.ge/document/view/5158?publication=0

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 მარტის #109 დადგენილება „ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ“, https://www.matsne.gov.ge/document/view/2765458?publication=0

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 14 აპრილის №72 დადგენილება „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ“, https://www.matsne.gov.ge/document/view/5068?publication=0

საქართველოს მთავრობის №279 2015 წლის 23 ივნისის დადგენილება „პირისათვის ტურისტული საწარმოს სტატუსის მინიჭების, ფუნქციონირებისა და გაუქმების წესის დამტკიცების შესახებ“, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2881801?publication=0

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 ოქტომბრის #549 დადგენილება „თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ“, https://www.matsne.gov.ge/document/view/3028846?publication=0

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 ივნისის №291 დადგენილება „თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს მიერ დაქირავებულისათვის გადახდილი ხელფასის დაბეგვრის წესის დამტკიცების შესახებ“, https://www.matsne.gov.ge/document/view/3702886?publication=0

საქართველოს მთავრობის დადგენილება №49 (2011 წლის 26 იანვარი) „ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მინიჭების წესისა და პირობების და ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მიმნიჭებელი პირის განსაზღვრის შესახებ“, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1198594?publication=3

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 ივნისის №291 დადგენილება „თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს მიერ დაქირავებულისათვის გადახდილი ხელფასის დაბეგვრის წესის დამტკიცების შესახებ“, https://www.matsne.gov.ge/document/view/3702886?publication=0

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“, ინსტრუქცია „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ“ (დანართი #5), https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის ბრძანება (№275 წლის) „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული

სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე" დანართი #1,
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია (დანართი №2) „საბაჟო კონტროლის შესახებ",

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს #257 ბრძანება „საქართველო საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე", დანართი #3, ინსტრუქცია „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ",
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ",
https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/1167887/285/ge/pdf

ფინანსთა მინისტრის #257 ბრძანება (დანართი №1), ინსტრუქცია „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ",
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება (#257 2019 წლის 29 აგვისტო) „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე",
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0
ინსტრუქცია (დანართი №12) „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ"

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „გარანტიის შესახებ", დანართი №4.
https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „თავისუფალი ზონის პროცედურის შესახებ" (დანართი №10),
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ (დანართი №8),
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 ოქტომბრის #549 დადგენილება „თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრილი ზონის შექმნის შესახებ",

https://www.matsne.gov.ge/document/view/3028846?publication=0

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 22 იანვრის №8/04 ბრძანება „გადახდის ოპერაციის შესრულების წესის დამტკიცების შესახებ“,
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2692106?publication=4

E. გამოყენებული ლიტერატურა:

ქართულ ენაზე:

ბარაზი ია, საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, დამხმარე სახელმძღვანელო, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2021

ბარაზი ია, საერთაშორისო საბაჟო სამართალი, თბილისი, 2013

ბარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2007

ბარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2010

ბარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2019, ლექციების კურსი, https://www.sou.edu.ge

ბარაზი ია; საქართველოს საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2015

ბარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბილისი, 2014

ბარაზი ი; საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, პირველი ნაწილი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2020

ბარაზი ი; საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, მეორე ნაწილი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2020

ბარაზი ია, აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტ. თანაავტ. „საგადასახადო და საბაჟო სამართალი ქართულ სასამართლო სივრცეში (სასამართლო პრაქტიკის მასალები იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის)“, გამომც. ქუთაისის უნივერსიტეტი, თბილისი, 2019

როგავა ზ; საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, წიგნი მესამე, გამომცემლობა ურისტების სამყარო“, თბილისი, 2017

ნადარაია, როგავა, რუხაძე, გოლეძაძე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, §§ 156-310, 47-ე მუხლ. ავტ. ნადარაია, 331, https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00J1P6.pdf

გონერ ურიდია, ფრიდონ არაბამია, საბაჟო საქმის თეორია, თბილისი, 2009

ურიდია გ; საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2011

ლორთქიფანიძე ვ; საბაჟო საქმის საფუძვლები, თბილისი, 2002

ჯგერენაია ემზარ, საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 2022

გ ურიდია, მ. არახამია, ფ. რუხაია, საბაჟო რეჟიმები, თბილისი, 2005

ურიდია გონერ, რუხაია ფრიდონ, არახამია მერაბ, საბაჟო გაფორმება TIR და ATA (CPD) კარნეტის პრინციპებით, თბილისი, 2004

ურიდია გონერ, არახამია მერაბ, რუხაია ფრიდონ, საბაჟო რეჟიმები, თბილისი, 2005

ამილახვარი ზ; საქართველოს საბაჟო სამართალი, თბილისი, 2007

უცხო ენაზე:

Борисов К. Г. Международное Таможенное право, Учеб, пособие – М; изд. ун-та дружби народов 1997

Козырин А. Н. Таможенное право Росии, Учеб, пособие – М; фирма СПАРК, 1995

Бахрах Д. Н. Кивалов С. В. Таможенное право Росии, Екатеринбург, Диамант, 1995, 217-220

F. სამეცნიერო ნაშრომები:

ია ბარაზი, „საგადასახადო სამართლებრივ რეგულირებაში პრეზუმპტიული მეთოდების გამოყენების შესახებ", „დიპლომატია და სამართალი", #1(4), 2018, გვ. 46-68

ია ბარაზი, კახა ქოიავა, „საბაჟო საქმისა და საბაჟო სამართლის კონსტიტუციურსამართლებრივი საფუძვლები", ჟურნალი „სამართალი", #1-2, 2008, გვ. 17-20

ია ბარაზი, ირაკლი ლეონიძე, „თავისუფალი ზონა და თავისუფალი საწყობი", ჟურნალი „სამართალი", #1-2, 2008, გვ.20-23

ია ბარაზი, გულნარა იმედაშვილი, „თავისუფალი ზონა და თავისუფალი საწყობი", ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის იურიდიულ-ეკონომიკური ინსტიტუტი, სამეცნიერო შრომები, #1, თბილისი, 2008

ია ბარაზი, გელა ცინცაძე, გიორგი ირემაშვილი, „საბაჟო რეჟიმების სტრუქტურა და შინაარსი (საქართველოს საბაჟო კოდექსის მიხედვით)", ჟურნალი „სამართალი", #1-2, 2007, გვ. 17-23

ია ბარაზი, ქეთინო ბარაზი, „გადამუშავების საბაჟო რეჟიმების ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა", ჟურნალი „სამართალი", #3-4, 2007, გვ. 42-45

უერთაშვილი ნატო, ხარაზი ია, „საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტები", საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომათა კრებული, I, თბილისი, 2010, გვ. 194-212

ია ხარაზი, ქეთევან კვინიკაძე, „სასაქონლო ოპერაციები", „მართლმსაჯულება და კანონი," #4(31), 2011, გვ.148-160

ია ხარაზი, ნატო უერთაშვილი, თემურ გერგედავა, „საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტების თავისებურებათა შესახებ", ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", #1(24), 2010

ია ხარაზი, ნატო უერთაშვილი, მაკა ორჯონიკიძე, „საბაჟო სამართლის ნორმათა განმარტების თავისებურებანი", ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი",#4)27), 2010, გვ. 56-67

ბოჭორიძე მარიკა, „თავისუფალი ინდუსტრიული ზონები - გაცრუებული იმედები თუ პროგნოზირებული არაეფექტიანობა. 2012 წელი, იანვარი, http://gfsis,org/index.php/

И. В. Харази, Е. Д. Мчедлишвили, Д. Х. Чагунава, И. М. Леонидзе, „Правовые аспекты классификации таможенных режимов", AIR TRANSPORT, ВОЗДУШНЫЙ ТРАНСПОРТ, Aviation University of Georgia, Авиационный Университет Грузии, Тбилиси, #2(5), 2010, стр. 125-137

И. В. Харази, М. И. мосулишвили ,Е. Д. Мчедлишвили, Проблемы и своеобразия Таможенного кодекса Грузии", AIR TRANSPORT, ВОЗДУШНЫЙ ТРАНСПОРТ, Aviation University of Georgia, Авиационный Университет Грузии, Тбилиси, 2009, #1(3), стр. 119-130

G. ლექსიკონი:

მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე] - თბ., 2004 - 483 გვ.: ცხრ.; 24სმ. - (საჯარო მოსამსახურის ბ-კა). - ISBN 99940-0-063-2: [ფ.ა.]; http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=17983

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1962

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კლუბის ფონდი. ჯაბუა ვლადიმერ, „თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა - „უკუდავი იდეა". აპრილი, 2007. http://gfsis, org/media/download/library/articles/EXPERT OPINION VPADIMER PAPA VA ENG.pdf

ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო" საქართველოს მთავრობის „50"-დღიანი პროგრამა" ანალიზი და შეფასებები, 2008, №15. იხ. Htt://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe

H. ვებრესურსები:

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=5

http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=17983

გაზეთი „ბანკები და ფინანსები", 2014, #355, 10. წყარო: ბარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, 2014, 487.

https://www.facebook.com/bankebidafinansebi

საქართველოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონები და საგადასახადო საიდუმლოება (IDFI VS შემოსავლების სამსახური, https://idfi.ge/ge/free-industrial-zones.

https://idfi.ge/ge/free-industrial-zones

https://www.rs.ge.

თავი VIII4. დროებით შემოტანის პროცედურა

1. დროებით შემოტანის პროცედურის გამოყენება. დროებით შემოტანის პროცედურის გამოყენების პირობები

საქონლის დროებითი შემოტანის პირობებს ბირითადად არეგულირებს საბაჟო კოდექსის მ. 137-140-ე და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „დროებითი შემოტანის პროცედურის შესახებ“ (დანართი №11).

დროებით შემოტანის პროცედურის გამოყენება. „საქონლის დროებითი შემოტანის პროცედურაში შეიძლება მოექცეს ნებისმიერი საქონელი, გარდა იმ საქონლისა, რომლის ნუსხასაც ამტკიცებს ფინანსთა მინისტრი“[736] და რომლის შესახებაც აღნიშნულ პარაგრაფში მოგვიანებით იქნება საუბარი.

საბაჟო კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად, „დროებით შემოტანის პროცედურის გამოყენებით უცხოური საქონელი რეექსპორტის განხორციელების პირობით შეიძლება შემოტანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გამოყენების მიზნით, რაც არ იწვევს საქონლის მიმართ ვაჭრობაში დამცავი ღონისძიების გამოყენებას, თუ ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალული არ არის“, ხოლო, ინსტრუქციის **„დროებითი შემოტანის პროცედურის შესახებ“ 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის** თანახმად, **„დროებით შემოტანის პროცედურაში საქონლის დეკლარირება შესაძლებელია განხორციელდეს:**

- ა) საქონლის საბაჟო დეკლარაციით;
- ბ) საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ით[737];
- გ) ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციით[738];

---

[736] ურიდია გ; არახამია მ; რუხაია ფ; საბაჟო რეჟიმები, 2005, 81.

[737] საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ის შესახებ იხ. ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, პირველი ნაწილი, 2021; ასევე აღნიშნულ სახელმძღვანელოში.

[738] იხ. სქ. 722.

• დ) იმპორტის გადასახდელისაგან სრულად გათავისუფლებული საქონლის დროებით შემოტანისას:

• დ.ა) ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციით – ფიზიკური პირის ბარგით ან ხელბარგით გადაადგილებული საქონლის საბაჟო გამშვებ პუნქტში დეკლარირებისას;

• დ.ბ) საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის (შემდგომში – მოწმობა) გაცემით – უცხო ქვეყნის მოქალაქის/რეზიდენტის მიერ საქონლის ავტოსატრანსპორტო საშუალებით შემოტანისას;

• დ.გ) ATA წიგნაკით – „საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ" სტამბოლის 1990 წლის 26 ივნისის კონვენციით ან „საქონლის დროებითი შემოტანისათვის ATA წიგნაკის შესახებ" ბრიუსელის 1961 წლის 6 დეკემბრის საბაჟო კონვენციით (ATA კონვენცია) გათვალისწინებული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან სრულად გათავისუფლებით დროებით შემოტანისას.

ATA წიგნაკის შესახებ ვრცელი კომენტარია შემოთავაზებული: ბარაზი ი; საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021; ასევე ამავე სახელმძღვანელოში.

ადრე მოქმედი საბაჟო კანონმდებლობით მოიაზრებოდა „საქონლის შემოტანა და/ან გატანა." სამწუხაროდ 2011 წლის საგადასახადო კოდექსში, როდესაც მოხდა საგადასახადო-საბაჟო კოდექსების გაერთიანება და საბაჟო კოდექსი ძალადაკარგულად გამოცხადდა რაც ჩემის აზრით, არასწორი იყო, კანონმდებლობიდან გაქრა ტერმინი საქონლის შემოტანა, და არც დღეს მოქმედ საბაჟო კოდექსში გვხვდება ეს ტერმინი.

კიოტოს კონვენციით საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ (1973 წელი),[739] დროებითი შემოტანის პროცედურაში დასაშვებია მოექცეს საქონელი, თუ შესაძლებელია მოცემული საქონლის იდენტიფიკაცია მისი უკან დაბრუნების დროს (მაგ. დროებითი შემოტანის ოპერაციაში როგორც წესი არ ექცევა მასალები და ნედლეული).

---

[739] დაწვრ. იხ. კიოტოს კონვენცია „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ". საქართველო შეუერთდა 2018 წლის 20 ივლისის საქართველოს პარლამენტის დადგენილებით. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4270130.

„დროებითი შემოტანის პროცედურას „შეიძლება მართლა ვუწოდოთ სერიოზული რეზერვი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ტექნოლოგიურად ტევად დარგებში; სადაც ტექნოპარკი ძვირადღირებულია, არ არის სწრაფად ცვეთადი. იმიტომ, რომ ეს სწრაფი ამორტიზირებადი არ არის, ამიტომ რაღაც საქმიანობის განხორციელებაში ისინი მეტად საჭირონი არიან"[740].

დროებით შემოტანის პროცედურის გამოყენებით უცხოური საქონელი რეექსპორტის განხორციელების პირობით შეიძლება შემოტანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გამოყენების მიზნით, რაც არ იწვევს საქონლის მიმართ ვაჭრობაში დამცავი ღონისძიების გამოყენებას, თუ ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალული არ არის. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) 8429, 8701, 8702, 8703, 8704, 8705, 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალება (რომლის შიგაწვის ძრავას

---

[740] ჯგერენაია ე; საბაჟო ტექნოლოგიის საფუძვლები, 2002, 185; ასევე დროებითი შემოტანის შესახებ სრულად იხ. ხარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, 2014; ხარაზი ი; საერთაშორისო საბაჟო სამართალი, 2013; ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, 2007; ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, 2010; ია ხარაზი, გელა ცინცაძე, გიორგი ირემაშვილი, „საბაჟო რეჟიმების სტრუქტურა და შინაარსი (საქართველოს საბაჟო კოდექსის მიხედვით)", ჟურნალი „სამართალი", # 1-2, 2007, გვ. 17-23;

ია ხარაზი, ქეთევან კვინიკაძე, „სასაქონლო ოპერაციები", „მართლმსაჯულება და კანონი," #4(31), 2011, გვ.148-160; ია ხარაზი, ნატო უერთაშვილი, თემურ გერგედავა, „საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტების თავისებურებათა შესახებ", ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", #1(24), 2010;ია ხარაზი, ნატო უერთაშვილი, მაკა ორჯონიკიძე, „საბაჟო სამართლის ნორმათა განმარტების თავისებურებანი", ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", #4)27), 2010, გვ. 56-67; И. В. Харази, Е. Д. Мчедлишвили, Д. Х. Чагунава, И. М. Леонидзе, „Правовые аспекты классификации таможенных режимов", AIR TRANSPORT, ВОЗДУШНЫЙ ТРАНСПОРТ, Aviation University of Georgia, Авиационный Университет Грузии, Тбилиси, #2(5), 2010, стр. 125-137.

ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ^3-ზე მეტი, ხოლო ელექტრომძრავას შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) და 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელი და ნახევრადმისაბმელი, დროებით შემოტანის საბაჟო დეკლარაციის წარდგენამდე, საექსპერტო შემოწმებისათვის უნდა წარედგინოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო), რომელიც ადგენს „მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერების აქტს (ფორმა 2)[741].

ზემოთ განსაზღვრული ვალდებულება არ ვრცელდება იმ სატრანსპორტო საშუალებებზე:

- ა) რომელიც შემოყვანილია იურიდიული პირის მიერ და რომელიც რეგისტრირებული არ ყოფილა;
- ბ) რომელსაც წინმსწრები საბაჟო პროცედურის/რექსპორტის გამოყენებისას სააგენტოს სპეციალისტის მიერ უკვე ჩაუტარდა სავალდებულო საექსპერტო შემოწმება.

ATA წიგნაკის გამოყენებით საქონლის დროებით შემოტანის შემთხვევაში, საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი:

- ა) ამოწმებს არის თუ არა ATA წიგნაკი დადასტურებული შესაბამისი კონვენცი(ებ)ის ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ, მოქმედებს თუ არა ეს ATA წიგნაკი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე (მითითებულია წიგნაკის ყდის „P“ გრაფაში) და ხომ არ შეიცავს დროებით შემოტანის პროცედურაში მოსაქცევად აკრძალულ საქონელს;
- ბ) ამოწმებს ATA წიგნაკის „იმპორტის“ (თეთრი ფერის) ვაუჩერის (მოსახევი ფურცლის) „A“ – „G“ გრაფებში მითითებულ ინფორმაციას და ადარებს მას „საქონლის საერთო ჩამონათვალში“ ასახულ მონაცემებს;
- გ) ATA წიგნაკის „იმპორტის“ (თეთრი ფერის) ვაუჩერის (მოსახევი ფურცლის) „H“ გრაფასა და ამ წიგნაკის თეთრი ძირითადი გვერდის (ყუის) „იმპორტის“ განყოფილებას ავსებს, ადასტურებს

[741] აღნიშნული ფორმის შესახებ იხ. ინსტრუქცია „დროებითი შემოტანის პროცედურის შესახებ“.

და არეგისტრირებს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ" ინსტრუქციის (დანართი №3) მე-19 მუხლით დადგენილი წესით;

ფინანსთა მინისტრის №257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ" მე-19 მუხლით დადგენილია „ATA წიგნაკის შევსება, რეგისტრაცია და დადასტურება"-ზე, კერძოდ: 1. *„საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ" სტამბოლის 1990 წლის 26 ივნისის კონვენციის ან „საქონლის დროებითი შემოტანისათვის ATA წიგნაკის შესახებ" ბრიუსელის 1961 წლის 6 დეკემბრის საბაჟო კონვენციის (ATA კონვენცია) შესაბამისად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის ტრანზიტის ან იმპორტის გადასახდელების გადახდისაგან სრულად გათავისუფლებით უცხოური საქონლის დროებით შემოტანის ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ამ საქონლის რეექსპორტის განხორციელების მიზნით ATA წიგნაკის წარდგენის შემთხვევაში საბაჟო ორგანო ან სისტემაში დაშვებული პირი უზრუნველყოფს ATA წიგნაკის შესახებ მონაცემების ელექტრონულად შეტანას მოწმობის ელექტრონულ ფორმატში (გარდა ფიზიკური პირის მიერ ATA წიგნაკის გამოყენებით საქონლის საქართველოს საბაჟო საზღვარზე ბარგით ან/და ხელბარგით გადაადგილებისა, რა დროსაც ATA წიგნაკის შესახებ მონაცემები ელექტრონულად აისახება ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციაში) (3.1.). ინსტრუქციის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილი მიუთითებს პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მოწმობისათვის „eCustoms"-ის მიერ მინიჭებული „D" ნომერი მიეთითება:*

- *ა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის დროებით შემოტანის პროცედურაში დეკლარირების შემთხვევაში – ATA წიგნაკის თეთრი ძირითადი გვერდის (ყუის) „იმპორტის" განყოფილების მე-3 გრაფაში და „იმპორტის" (თეთრი ფერის) ვაუჩერის (მოსახევი ფურცლის) „H.c" გრაფაში;*
- *ბ) დროებით შემოტანის პროცედურაში დეკლარირებული საქონლის უკან დაბრუნების (რეექსპორტის) შემთხვევაში – ATA წიგნაკის თეთრი ძირითადი გვერდის (ყუის) „რეექსპორტის" განყოფილების მე-4 გრაფაში და „რეექსპორტის" (თეთრი ფერის) ვაუჩერის (მოსახევი ფურცლის) „H.d" გრაფაში;*
- *გ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის ტრანზიტის შემთხვევაში – ATA წიგნაკის „ტრანზიტის" (ცისფერი) ძირითადი გვერდის*

(ყუის) პირველი ნაწილის მე-3 გრაფასა და „ტრანზიტის“ (ცისფერი) ვაუჩერის (მოსახევი ფურცლის) „H.c“ გრაფაში.

მე-3 პუნქტის მიზნებისათვის: ATA წიგნაკის გამოყენებით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის დროებით შემოტანის პროცედურაში დეკლარირების შემთხვევაში, საბაჟო გამშვები პუნქტის მიერ ATA წიგნაკის:

• ა) თეთრი ძირითადი გვერდის (ყუის) „იმპორტის“ განყოფილების პირველ გრაფაში აღინიშნება „საქონლის საერთო ჩამონათვალში“ მითითებული იმ საქონლის რიგითი ნომრები, რომლის დროებით შემოტანაც ხდება კონკრეტულ შემთხვევაში, მე-2 გრაფაში – საქონლის დროებით შემოტანისათის განსაზღვრული ვადა, მე-3 გრაფა ივსება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მე-4 გრაფაში მიეთითება საბაჟო კონტროლის განხორციელებისათვის საჭირო სხვა ინფორმაცია, მე-5 გრაფაში – ამ საბაჟო გამშვები პუნქტის კოდი კლასიფიკატორის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მე-6 და მე-7 გრაფებში მიეთითება შევსების ადგილი და თარიღი, ხოლო მე-8 გრაფაში დაესმება უფლებამოსილი თანამშრომლის ხელმოწერა და პირადნომრიანი ბეჭედი/დამღა;

• ბ) „იმპორტის“ (თეთრი ფერის) ვაუჩერის (მოსახევი ფურცლის) „H“ გრაფა ივსება შესაბამისი დასახელებებისა და ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით.

ATA წიგნაკის გამოყენებით დროებით შემოტანის პროცედურაში დეკლარირებული საქონლის უკან დაბრუნების (რეექსპორტის) შემთხვევაში საბაჟო ორგანოს მიერ ივსება ATA წიგნაკის თეთრი ძირითადი გვერდის (ყუის) „რეექსპორტის“ განყოფილება და „რეექსპორტის“ (თეთრი ფერის) ვაუჩერის (მოსახევი ფურცლის) „H“ გრაფა, შესაბამისი დასახელებების მიხედვით, მათ შორის:

• *ა) ATA წიგნაკის თეთრი ძირითადი გვერდის (ყუის) „რეექსპორტის“ განყოფილების პირველ გრაფაში აღინიშნება „საქონლის საერთო ჩამონათვალში“ მითითებული იმ საქონლის რიგითი ნომრები (ATA წიგნაკის „რეექსპორტის“ (თეთრი ფერის) ვაუჩერის (მოსახევი ფურცლის) „F“ გრაფაში მითითებული ინფორმაციის გათვალისწინებით), რომლის რეექსპორტი ხორციელდება; მე-2 გრაფაში მიეთითება ინფორმაცია საბაჟო ორგანოსათვის წარდგენილი იმ საქონლის მიმართ განხორციელებული ქმედებ(ებ)ის (საბაჟო პროცედურაში მოქცევა, საქონლის განკარგვა ან სხვ.) შესახებ, რომლის რეექსპორტიც არ ხორციელდება; მე-3 გრაფაში მიეთითება ინფორმაცია დროებით შემოტა-*

ნილი იმ საქონლის მიმართ განხორციელებული ქმედებ(ებ)ის (საქონლის განკარგვა, საბაჟო სამართალდარღვევის დაფიქსირება, იმპორტის გადასახდელების დარიცხვა ან სხვ.) შესახებ, რომელიც არ არის წარდგენილი საბაჟო ორგანოსათვის და არც მათი შემდგომი რექსპორტი განხორციელდება; მე-5 – მე-8 გრაფები ივსება საბაჟო გამშვები პუნქტის მიერ, რექსპორტის დასრულებისას;

• ბ) ATA წიგნაკის „რექსპორტის" (თეთრი ფერის) ვაუჩერის (მოსახევი ფურცლის) „H" გრაფა ივსება ამ პუნქტის „ა" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბაჟო გამშვები პუნქტის მიერ, რექსპორტის დასრულებისას (ა.4).

ATA წიგნაკის გამოყენებით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის ტრანზიტის შემთხვევაში:

• ა) გამგზავნი საბაჟო ორგანოს მიერ ივსება ATA წიგნაკის „ტრანზიტის" (ცისფერი) ძირითადი გვერდის (ყუის) პირველი ნაწილი და „ტრანზიტის" (ცისფერი) ვაუჩერის (მოსახევი ფურცლის) „H.a" – „H.e" გრაფები დასახელების შესაბამისად (მათ შორის, „H.b" გრაფაში მიეთითება საქონლის ტრანზიტის ვადა, „H.c" ივსება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ხოლო საბაჟო გამშვები პუნქტების კოდები მიეთითება კლასიფიკატორის მე-2 ნაწილის შესაბამისად), რის შემდეგაც დაესმება დამღა „აყვანილია კონტროლზე", დამღაში შესაბამის ადგილზე მიეთითება ამ საბაჟო გამშვებ პუნქტში საქონლის წარდგენის (კონტროლზე აყვანის) თარიღი, უფლებამოსილი თანამშრომლის ხელმოწერა და პირადნომრიანი ბეჭედი;

• ბ) ATA წიგნაკს კონტროლიდან ხსნის დანიშნულების საბაჟო ორგანო, რომელიც ავსებს ATA წიგნაკის „ტრანზიტის" (ცისფერი) ძირითადი გვერდის (ყუის) მეორე ნაწილს და „ტრანზიტის" (ცისფერი) ვაუჩერის (მოსახევი ფურცლის) „H.f" და „H.g" გრაფებს დასახელების შესაბამისად. ATA წიგნაკის კონტროლიდან მოხსნის მიზნით, ATA წიგნაკის „ტრანზიტის" (ცისფერი) ძირითადი გვერდის (ყუის) მე-2 ნაწილში მიეთითება „eCustoms"-ის მიერ მინიჭებული „R" ნომერი, ამავე ნაწილის მე-6 გრაფაში დაესმება საბაჟო ორგანოს დამღა „მოხსნილია კონტროლიდან", ხოლო დამღაში შესაბამის ადგილზე მიეთითება კონტროლიდან მოხსნის თარიღი, საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის ხელმოწერა და პირადნომრიანი ბეჭედი ან საბაჟო დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის/ქვედანაყოფის მრგვალი ბეჭედი. ამასთან, მოწმობის ელექტრონულ ფორმატში „I" გრაფის განყოფილებაში „შენიშვნა" საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომელი უთითებს ტრანზიტული ტვირთის გადამზიდავი სატვირთო

ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის/მძღოლის მიერ წარდგენილი, ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი დოკუმენტის მონაცემებს:

- *გ.ა) გზათსარგებლობის საფასურის საბანკო დაწესებულებაში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (რომლის შესახებ ელექტრონული ინფორმაციაც წარდგენილია შემოსავლების სამსახურში);*
- *გ.გ) გზათსარგებლობის საფასურის ბარათი;*
- *გ.გ) საქართველოს სახმელეთო სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთის საბაჟო გამშვებ პუნქტთან განთავსებული M2, M3, N2 და N3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების (ცალკე, ნახევარმისაბმელით ან მისაბმელით) ავტოსადგომში, „საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ა(ა)იპ „სავალდებულო დაზღვევის ცენტრის" პუნქტში ან საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ ავტოგასამართ სადგურში/კომპლექსში გზათსარგებლობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (რომლის შესახებ ელექტრონული ინფორმაციაც წარდგენილია შემოსავლების სამსახურში) (3.5).*

ATA წიგნაკის გამოყენებით საქონლის დროებით შემოტანის წინასწარ განსაზღვრული ვადის გასაგრძელებლად საბაჟო ორგანოსათვის „საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ" სტამბოლის 1990 წლის 26 ივნისის კონვენციის „A დანართის" მე-14 მუხლის შესაბამისად გაცემული „შემცვლელი დოკუმენტის" (ახალი ATA წიგნაკის) წარმოდგენის შემთხვევაში, მისი დადასტურების მიზნით საბაჟო ორგანო იღებს გადაწყვეტილებას საქონლის დროებით შემოტანის წინასწარ განსაზღვრული ვადის გაგრძელების მიზანშეწონილობის თაობაზე და თანხმობის შემთხვევაში:

- *ა) „შეცვლილი დოკუმენტის" (თავდაპირველი ATA წიგნაკის) „რეექსპორტის" (თეთრი ფერის) ვაუჩერის (მოსახევი ფურცლის) „H.f" გრაფაში უთითებს შემცვლელი დოკუმენტის (ახალი ATA წიგნაკის) ნომერსა და გაცემის თარიღს, ამ ვაუჩერის „H" გრაფას ადასტურებს უფლებამოსილი თანამშრომლის ხელმოწერითა და პირადნომრიანი ბეჭდით/დამღით და ახორციელებს ამ მონაცემების ელექტრონულად შეტანას მოწმობის ელექტრონულ ფორმატში, მის კონტროლიდან მოხსნასა და ახალი მოწმობის გამოწერას შემცვლელი დოკუმენტის (ახალი ATA წიგნაკის) მონაცემების მიხედვით. ამ შემთხვევაში, „შეცვლილი დოკუმენტით" (თავდაპირველი ATA წიგნაკით) განხორციელებული საბაჟო პროცედურა ითვლება დასრულებულად;*

• *ბ) „შემცვლელი დოკუმენტის“ (ახალი ATA წიგნაკის) „იმპორტის“ (თეთრი ფერის) ვაუჩერის (მოსახევი ფურცლის) „H.b“ გრაფაში უთითებს ინფორმაციას გაგრძელებული ვადის შესახებ, ხოლო „H.d“ გრაფაში – „შეცვლილი დოკუმენტის“ (თავდაპირველი ATA წიგნაკის) ნომერს, მის გაცემის თარიღსა და „შეცვლილი დოკუმენტით“ განსაზღვრული თავდაპირველი ვადის შესახებ.*

„საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ“ სტამბოლის 1990 წლის 26 ივნისის კონვენციის ან „საქონლის დროებითი შემოტანისათვის ATA წიგნაკის შესახებ“ ბრიუსელის 1961 წლის 6 დეკემბრის საბაჟო კონვენციის (ATA კონვენცია) შესაბამისად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქართველოს საქონლის დროებით დაბრუნების პირობით გატანისა (ექსპორტის პროცედურის გამოყენების) და ამ საქონლის უკან დაბრუნების მიზნით ATA წიგნაკის წარდგენის შემთხვევაში, ATA წიგნაკის შევსება და მის შესახებ მონაცემების ელექტრონულად შეტანა საბაჟო დეკლარაციაში ბორციელდება ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქციისა (დანართი №8) და „ექსპორტის პროცედურის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №15) შესაბამისად.

აღნიშნული შესახებ ვრცელი კომენტარი იყო შემოთავაზებული: ბარაზი ი; საბაჟო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, პირველი ნაწილი, 2021 და ამ საკითხების განვრცობას ამ შემთხვევაში არ შემოგთავაზებთ.

• დ) ATA წიგნაკიდან ხევს და ინახავს ზემოთ აღნიშნული„გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად შევსებულ „იმპორტის“ (თეთრი ფერის) ვაუჩერს.

დროებით შემოტანისას საქონელი სრულად ან ნაწილობრივ თავისუფლდება იმპორტის გადასახადისგან.

იმპორტის გადასახადისგან სრულად გათავისუფლებული საქონლის ნუსხა, აგრეთვე იმ საქონლის ნუსხა, რომლის დროებით შემოტანა აკრძალულია, განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის №257-ე ბრძანებით საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის შემოტანისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ ინსტრუქციით „დროებითი შემოტანის პროცედურის შესახებ“(დანართი №11) კერძოდ, ინსტრუქციის „საქონლის დროებითი შემოტანის პროცედურის შესახებ“ მუხლი 3 („დროებით შემოტანის პროცედურაში მოსაქცევად აკრძალული საქონელი“) მიუთითებს საბაჟო კოდექსის 173-ე მუხლის მე-3 ნაწილის

გამოყენებაზე, საქართველოს საბაჟო კოდექსის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დროებით შემოტანის პროცედურაში არ დაიშვება შემდეგი საქონლის მოქცევა:

- ა) აქციზური საქონელი (საგადასახადო კოდექსის 188-ე[742] და 188[1][743] მუხლების შესაბამისად), გარდა სეს ესნ-ის 8703 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მსუბუქი ავტომობილებისა, 8711 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მოტოციკლებისა (მოპედების ჩათვლით) და ამ მუხლის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული ღონისძიებებისათვის განკუთვნილი თამბაქოსი და ალკოჰოლური ნაწარმისა;

სეს ესნ-ის დასახელებული პოზიციების შესახებ იხ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის №275 ბრძანება საგარეოეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე".[744]

- ბ) მასალები, ნედლეული, ნახევარფაბრიკატები და მაკომპლექტებელი ნაწილები (გარდა გამოფენების, საჩვენებლად და გამოსაცდელად, სარეკლამო, სასწავლო, სამეცნიერო, სხვადასხვა სახის შეხვედრების და მსგავსი ღონისძიებებისათვის განკუთვნილი საქონლისა);
- გ) კვების პროდუქტები (გარდა ამ მუხლის „ბ" ქვეპუნქტში მითითებული მიზნებით შემოტანილისა);
- დ) აკრძალული ან მკაცრად შეზღუდული საშიში ქიმიური ნივთიერებები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ე) საქონლის ადგილწარმოშობის დასახლებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლების დარღვევით წარმოებული ან/და

---

[742] საუბარია: აქციზის განაკვეთებზე აქციზურ საქონელზე (გარდა ალკოჰოლიანი სასმელებისა). დაწვრ. იხ. აღნიშნულ სახელმძღვანელოში.

[743] საუბარია: აქციზის განაკვეთები ალკოჰოლიან სასმელებზე. დაწვრ. იხ. სქ. 742.

[744] სეს ესნ-ის დასახელებული პოზიციების შესახებ იხ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის №275 ბრძანება საგარეოეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე",
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3

კონტრაფაქციული საქონელი;

• ვ) სახიფათო ნარჩენები;

• ზ) არასახიფათო ნარჩენები;

• თ) რადიოაქტიური ნარჩენები;

• ი) საქართველოში რეგისტრირებული სამკურნალო საშუალების უკანონო ასლი, ფალსიფიცირებული სამკურნალო საშუალებები;

• კ) პესტიციდები და აგროქიმიკატები (გარდა ამ მუხლის „ბ" ქვეპუნქტში მითითებული მიზნებით შემოტანილისა);

• ლ) სასაქონლო ნიშნის მფლობელის ნებართვის გარეშე მესამე პირის მიერ ამ სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი ნიშნით ნიშანდებული შესაფუთი მასალა ან შეფუთვა;

• მ) ფუტკრის ოჯახი, დედა ფუტკარი, ფუტკრის ამონაყარი, ფუტკრის სპერმა, ფუტკრის ჭია და კვერცხი;

• ნ) ასაფეთქებელი ნივთიერებები, სამრეწველო დანიშნულების დენთი და პიროტექნიკური ნაკეთობები (გარდა საკომენტარო ინსტრუქციის საკომენტარო მე-3 მუხლის „ბ" ქვეპუნქტში მითითებული მიზნებით შემოტანილისა), უტილიზებული საბრძოლო მასალები, მათი წარმოების ნარჩენები;

• ო) **„ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნარკოტიკული საშუალებები, ფსიქოტროპული ნივთიერებები და პრეკურსორები;**

საქართველოს კანონის „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ" მიხედვით: ნარკოტიკული საშუალება – ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერება, ამ ნივთიერების შემცველი მცენარე ან პრეპარატი, რომელიც გაერის შესაბამისი კონვენციების საფუძველზე შეტანილია საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნარკოტიკულ საშუალებათა I და II სიაში; ფსიქოტროპული ნივთიერება – ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერება, ამ ნივთიერების შემცველი მცენარე ან პრეპარატი, რომელიც გაერის შესაბამისი კონვენციების საფუძველზე შეტანილია საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფსიქოტროპულ ნივთიერებათა III სიაში; პრეკურსორი – ბუნებრივი ან სინთეზური

წარმოშობის ნივთიერება, რომელიც გაეროს შესაბამისი კონვენციების საფუძველზე შეტანილია საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა IV სიის №1 და №2 ცხრილებში; ფსიქოაქტიური ნივთიერება – ბუნებრივი ან სინთეზური წარმოშობის ნივთიერება, რომელიც მოქმედებს ადამიანის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, იწვევს მისი ფსიქიკური მდგომარეობის ცვლილებას და შეტანილია სიებში"[745].

- პ) ნავთობი და ნავთობპროდუქტები;
- ჟ) ოზონდამშლელი ნივთიერებები „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 7^2 პუნქტის შესაბამისად;

საქართველოს კანონის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" 24-ე მუხლის („ნებართვის სახეები") 7^2 პუნქტი ითვალისწინებს „ოზონდამშლელი ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის პროცედურის განხორციელებისათვის ნებართვას.

იმპორტის გადასახადისგან ნაწილობრივ გათავისუფლებით დროებით შემოტანის პროცედურაში შეიძლება მოექცეს მხოლოდ ის უცხოური საქონელი, რომელიც არ შედის იმპორტის გადასახადისგან სრულად გათავისუფლებული საქონლის ნუსხაში.

ინსტრუქციის „დროებითი შემოტანის პროცედურის შესახებ" მეოთხე მუხლი („იმპორტის გადასახდელისაგან სრულად გათავისუფლებული საქონელი") ჩამოთვლის დროებით შემოტანის პროცედურაში იმპორტის გადასახდელისაგან სრულად გათავისუფლებით მოსაქცევად საქონელს და მასში შესაძლებელია მოექცეს ქვემოთ ჩამოთვლილი შემდეგი უცხოური საქონელი და მას მიეკუთვნება:

- ა) გამოფენებზე, ჩვენებებზე, შეხვედრებზე ან მსგავს ღონისძიებებზე გამოსაყენებელი საქონელი:
  - ა.ა) გამოფენაზე ან სხვა ღონისძიებაზე წარსადგენად გამიზნული საქონელი, მათ შორის ის მასალები, რომლებიც მოხსენიებულია „საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული მასალების შემოტანის შესახებ" ნიუ-იორკის (იუნესკოს) 1950

---

[745] აღნიშნული სიების შესახებ იხ. საქართველოს კანონი „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ",
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1670322

წლის 22 ნოემბრის შეთანხმების დანართებსა და ნაირობის 1976 წლის 26 ნოემბრის შეთანხმების ოქმში;

- ა.ბ) საქონელი, რომელიც გამიზნულია ღონისძიებაზე უცხოური პროდუქციის დემონსტრირებისათვის, მათ შორის:
- ა.ბ.ა) საქონელი რომელიც საჭიროა უცხოური მანქანა-დანადგარების და აპარატურის დემონსტრირებისათვის;
- ა.ბ.ბ) სამშენებლო-დეკორაციული მოწყობილობები, რომელიც მოიცავს ელექტროდანადგარებს უცხოური გამოსაფენი საქონლის დროებითი სტენდებისათვის;
- ა.ბ.გ) სარეკლამო-საჩვენებელი მოწყობილობა, ჩვენებაზე გამოტანილი უცხოური საქონლის რეკლამირების მიზნით, მაგალითად, აუდიო-ვიდეო ჩანაწერები, ფილმები და დიაპოზიტივები, აგრეთვე მათი გამოყენებისათვის საჭირო აპარატურა;
- ა.გ) ხელსაწყო დანადგარები სინქრონული თარგმანის განხორციელებისათვის, ხმის და გამოსახულების ჩაწერისთვის, აგრეთვე საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ხასიათის ფილმები, რომლებიც გამოიყენება საერთაშორისო შეხვედრებსა და კონფერენციებზე;

• **ბ) პროფესიული მოწყობილობები:**

- ბ.ა) პრესისათვის განკუთვნილი მოწყობილობა;
- ბ.ბ) რადიომაუწყებლობისათვის განკუთვნილი მოწყობილობა;
- ბ.გ) სატელევიზიო მაუწყებლობისათვის განკუთვნილი მოწყობილობა
- ბ.დ) სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც შექმნილი ან სპეციალურად მოწყობილია ზემოხსენებული მიზნებისათვის, როგორიცაა სატრანსპორტო საშუალებები;
- ბ.ე) კინემატოგრაფიისათვის განკუთვნილი მოწყობილობა;
- ბ.ვ) სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც შექმნილი ან სპეციალურად მოწყობილია ზემოთ ხსენებული მიზნებისათვის;

• ბ.ზ) სხვა მოწყობილობა:

• **გ) კომერციულ ოპერაციებთან დაკავშირებით შემოტანილი** (მაგ; შესაფუთი მასალა, რომელიც შემოტანილი იყო საქონლით,

შემდგომში საქონლით ან მის გარეშე გატანის მიზნით, ან შესაფუთი მასალა, რომელიც შემოტანილი იყო საქონლის გარეშე, შემდგომში საქონლით გატანის მიზნით; კონტეინერები ცარიელი ან საქონლით დატვირთული, და დროებით შემოტანილი კონტეინერების აქსესუარები და ხელსაწყოები, რომლებიც შემოტანილი იყო კონტეინერთან ერთად და შემდეგ გატანილი იყო ცალკე ან სხვა კონტეინერით, ან რომლებიც შემოტანილი იყო ცალკე, და გატანილი იყო კონტეინერთან ერთად; სათადარიგო ნაწილები, რომლებიც გამიზნულია დროებით შემოტანილი კონტეინერების შესაკეთებლად;

• **დ) საწარმოო ოპერაციასთან დაკავშირებით შემოტანილი საქონელი** (მაგ; მატრიცები, სტერეოტიპები, ყალიბები, ნახაზები, გეგმები, მოდელები და სხვა მსგავსი საგნები; გაზომვის, ტესტირების და შემოწმების ხელსაწყოები და სხვა მსგავსი საგნები; სპეციალური იარაღები და ხელსაწყოები, რომლებიც შემოტანილია საწარმოო პროცესის განმავლობაში გამოყენების მიზნით; „წარმოების ჩანაცვლებადი საშუალებები“ – ინსტრუმენტები, აპარატურა და მანქანა-დანადგარები, რომლებიც მომხმარებელს მიეწოდება შემკეთებლის ან მომწოდებლის მიერ და გამიზნულია მსგავსი საქონლის შესაცვლელად ან შესაკეთებლად);

• **ე) საგანმანათლებლო, სამეცნიერო ან კულტურული მიზნებისთვის შემოტანილი საქონელი** (მაგ; სამეცნიერო მოწყობილობა და პედაგოგიური მასალა – ნებისმიერი ტიპის მოდელები, ხელსაწყოები, აპარატურა, მანქანა-დანადგარები ან აქსესუარები, რომლებიც გამოიყენება სამეცნიერო კვლევის, საგანმანათლებლო ან პროფესიული სწავლების მიზნებისათვის, მათ შორის, ისეთი პედაგოგიური მასალა, როგორიცაა: ხმის ან გამოსახულების ჩამწერი და აღმწარმოებელი აპარატები: პროექტორები გამოსახულებების და სლაიდების ჩვენებისთვის, კინოპროექტორები, უკუპროექტორები და ეპისკოპები, მაგნიტოფონები, ვიდეომაგნიტოფონები და ვიდეოაპარატურა, საკაბელო ტელევიზიის ხელსაწყოები; ხმის და გამოსახულების მატარებლები: დიაპოზიტივი, დიაფილმი და მიკროფილმი, კინომატოგრაფიული ფილმები, ხმოვანი ჩანაწერი (მაგნიტური ფირები, დისკები), ვიდეოფირი და ა.შ);

• ვ) მგზავრის პირადი მოხმარებისათვის და სპორტული მიზნებისათვის შემოტანილი საქონელი (მაგ; მგზავრის პირადი ნივთები – ყველა ახალი ან ნახმარი ნივთი, რომლებიც შესაძლებელია მგზავრს დასჭირდეს მგზავრობის განმავლობაში პირადი გამოყენებისათვის, ზომიერი ოდენობით, მგზავრობის გარემოებების გათვალისწინებით, კომერციული მიზნებისათვის შემოტანილი საქონლის გამორიცხვით. კერძოდ: ტანსაცმელი; პირადი ჰიგიენის საშუალებები პირადი სამკაულები; ფოტო და კინო კამერები, მათი ფირების, დისკების და აქსესუარების ზომიერი რაოდენობით და ა.შ.);

• ზ) ტურისტული სარეკლამო მასალა – საქონელი, რომელიც შემოტანილია საზოგადოებაში ტურიზმის სტიმულირების მიზნით, რაც გულისხმობს აღნიშნული საზოგადოების მიერ უცხო ქვეყნის მონახულებას, კერძოდ, იქ ორგანიზებულ კულტურულ, რელიგიურ, ტურისტულ, სპორტულ, ან პროფესიულ შეხვედრებზე ან დემონსტარციებზე დასწრებას;

• თ) საქონელი დიპლომატიური და ტურისტული მიზნებისათვის (გარდა ამ მუხლის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულისა), თუ საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის დროს რჩება უცხოური საწარმოს/ორგანიზაციის ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის საკუთრებაში;

• ი) ჰუმანიტარული მიზნით შემოტანილი საქონელი – სამედიცინო, ქირურგიულ და ლაბორატორიულ მოწყობილობა და სამაშველო ტვირთი (ბუნებრივი სტიქიის ან მსგავსი კატასტროფების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის დახმარების სახით გაგზავნილი საქონელი, როგორიცაა ავტომობილები და სხვა სატრანსპორტო საშუალებები, საბნები, კარვები, ასაწყობი სახლები და პირველადი მოხმარების სხვა საგნები);

• კ) სატრანსპორტო საშუალება – გემი (მათ შორის, ბორანი, ბარჟა და წყალქვეშა ფრთიანი ხომალდი), საჰაერო საფრენი საშუალება, საჰაერო ხომალდი, სახმელეთო ტრანსპორტი (მათ შორის, ძრავიან ველოსიპედი, ტრაილერი, ნახევრადტრაილერი და ტრანსპორტის სხვადასხვა კომბინაცია) და სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობა; ეს ტერმინი ასევე მოიცავს აღნიშნული

სატრანსპორტო საშუალების სათადარიგო ნაწილებს, აქსესუარებს და ხელსაწყოებს, რომლებიც იმყოფება ტრანსპორტზე (მათ შორის, ტვირთის დატვირთვასთან, ჩამოტვირთვასთან, დამუშავებასთან და დაცვასთან დაკავშირებულ სპეციალურ მოწყობილობებს);

• **ლ) ნებისმიერი სახის ცოცხალი ცხოველები (მათ შორის, თევზები), რომელთა შემოყვანის მიზანია:** წვრთნა, ვარჯიში, მოშენება, დაჭედვა, აწონვა, ვეტერინალური მკურნალობა, შემოწმება (მაგალითად, შეძენის მიზნით); წარმოდგენაში, გამოფენაში, შეჯიბრებაში/კონკურსში ან ჩვენებაში მონაწილეობა; გართობა (ცირკის ცხოველები და სხვ.), მოგზაურობა (მოგზაურთა შინაური ცხოველების ჩათვლით); სპეციალური სამუშაოების შესრულება (პოლიციის ძაღლები ან ცხენები, მეძებარი ძაღლები, ძაღლები უსინათლოებისათვის და სხვ.);სამაშველო ოპერაციების ჩატარება; ლ.ვ) ძოვება; სამუშაოების შესრულება ან ტრანსპორტირება; სამედიცინო დანიშნულებით გამოყენება (გველის შხამის მიღება და სხვა);

• **მ) „საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობებს შორის „ბაქო-თბილისი-ყარსის“** ახალი სარკინიგზო ხაზის პროექტის რეალიზაციის ფარგლებში მარაბდა-თურქეთის რესპუბლიკის საზღვრამდე (კარწახი) სარკინიგზო მონაკვეთის ფინანსირების, პროექტირების, მშენებლობის, რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციისა და ექსპლაუტაციის პირობებისა და პრინციპების შესახებ“ შეთანხმების ფარგლებში სარკინიგზო ხაზის მშენებლობის/ რეაბილიტაციის/ რეკონსტრუქციის უზრუნველსაყოფად საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის დროებით შემოტანა;

• **ნ) „შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“** საქართველოს მთავრობის 2011 წლის 22 თებერვლის №460 განკარგულების შესაბამისად, ქ. ქუთაისში საქართველოს პარლამენტის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მხოლოდ ამ სამშენებლო სამუშაოების შეუფერხებლად განხორციელებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე დროებით

შემოტანილი საქონელი.

იმპორტის გადასახდელისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებული საქონლის მიმართ გადასახდელი თანხის გადახდის განრიგი. დროებით შემოტანის პროცედურაში მოქცეულ, იმპორტის გადასახდელის გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებულ საქონელზე დეკლარანტი ავსებს „დროებით შემოტანისას გადასახდელი თანხის გადახდის განრიგს" („დროებითი შემოტანის პროცედურის შესახებ" ინსტრუქციაზე თანდართული ფორმით), **რისთვისაც განსაზღვრავს:**

- იმპორტის გადასახადის ოდენობას – იმპორტის გადასახადის თანხის **3 პროცენტს** საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე;
- თანხის გადახდის ვადებს.

იმ შემთხვევაში, როდესაც დროებით შემოტანის პროცედურაში საქონლის დეკლარირება ხორციელდება ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციით და დეკლარანტი შესაბამისი თხოვნით მიმართავს სააგენტოს, „დროებით შემოტანისას გადასახდელი თანხის გადახდის განრიგს" ავსებს სააგენტო.

განრიგი (დანართი №11–01)[746] ივსება 2 ეგზემპლარად, რომლებიც თან ერთვის საბაჟო დეკლარაციას ან ამავე ინსტრუქციის პირველი მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სხვა დოკუმენტს. საბაჟო დეკლარაციის ან ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სხვა დოკუმენტის შემოწმებისა და საქონლის გაშვების შემდეგ განრიგის 1 ეგზემპლარი საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის ხელმოწერისა და ბეჭდის დასმით უბრუნდება დეკლარანტს, ხოლო მეორე ეგზემპლარი რჩება საბაჟო ორგანოს. განრიგში აღნიშნული თანხა გადახდილ უნდა იქნეს ყოველთვიურად, არა უგვიანეს საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველი თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, ხოლო ბოლო გადახდა – საქონლის დროებით შემოტანის პროცედურის დასრულების დღეს. დეკლარანტს უფლება აქვს, მთელი გადასახდელი თანხა ერთდროულად გადაიხადოს.

---

[746] დანართი №11–01-ის შესახებ იხ. ინსტრუქციაში „დროებითი შემოტანის პროცედურის შესახებ"

განრიგი ექვემდებარება გაუქმებას საბაჟო/საგადასახადო ორგანოს დასკვნის საფუძველზე, თუ არსებობს ერთი ან რამდენიმე შემდეგი პირობა:

- ა) ხორციელდება საქონლის ხელახალი დეკლარირება დროებით შემოტანის წინასწარ განსაზღვრული ვადის გაგრძელების მიზნით და წარედგინება ახალი განრიგი;
- ბ) მე-6 მუხლის[747] შესაბამისად, საქონელი სარგებლობაში გადაეცემა სხვა პირს;
- გ) დეკლარანტის მიერ სრულად იფარება განრიგის მიხედვით გადასახდელი თანხა;
- დ) დროებით შემოტანის პროცედურა დასრულდა მე-9 მუხლის[748] შესაბამისად.

განრიგი ექვემდებარება შეცვლას საბაჟო/საგადასახადო ორგანოს დასკვნის საფუძველზე, თუ არსებობს ერთი ან რამდენიმე შემდეგი პირობა:

- ა) საქონლის ნაწილი გატანილ იქნა დროებით შემოტანის წინასწარ განსაზღვრული ვადის გასვლამდე;
- ბ) საქონლის ნაწილი მოექცა სხვა საბაჟო პროცედურაში/რეექსპორტში ან მის მიმართ გამოყენებულ იქნა სხვა საბაჟო პროცედურა/რეექსპორტი;
- გ) საქონლის ნაწილი განადგურდა ავარიის ან დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად, რის შესახებაც დეკლარანტმა საბაჟო ორგანოს წარუდგინა სათანადო მტკიცებულება.

პროცედურის მფლობელის უფლებებისა და მოვალეობების გადაცემა. საბაჟო ორგანოს და საქონლის მესაკუთრის თანხმობით, დასაშვებია დროებით შემოტანის პროცედურაში მოქცეული საქონელი ან/და მასთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები სრულად ან ნაწილობრივ გადაეცეს სხვა პირს. ამ შემთხვევაში

---

[747] მე-6 მუხლის - „პროცედურის მფლობელის უფლებებისა და მოვალეობების გადაცემა“ - შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ ამავე პარაგრაფში.

[748] მე-9 მუხლის - „დროებით შემოტანის პროცედურის დასრულება“ - შესახებ მოგვიანებით იქნება კომენტარი შემოთავაზებული ამავე პარაგრაფში.

საქონლის გადაცემა ხორციელდება საქონლის ახალი მფლობელის მიერ საბაჟო დეკლარაციის წარდგენით, რომელსაც თან ერთვის საქონლის მესაკუთრის წერილობითი თანხმობა. დროებით შემოტანის პროცედურის მფლობელის უფლებებისა და მოვალეობების სხვა პირისათვის სრულად ან ნაწილობრივ გადაცემის შემთხვევაში, პირს წარმოეშობა საქონლის დეკლარირების ვალდებულება.

აღრიცხვის წარმოება. დროებით შემოტანის პროცედურის მფლობელმა საქართველოს საბაჟო კოდექსის 112-ე მუხლის შესაბამისად უნდა აწარმოოს შემდეგი მონაცემების აღრიცხვა:

- ა) დროებით შემოტანის საბაჟო დეკლარაციის ნომერი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო პროცედურა დასრულებულია საქართველოს საბაჟო კოდექსის 113-ე მუხლის[749] პირველი ნაწილის შესაბამისად – ინფორმაცია საბაჟო პროცედურის დასრულების შესახებ;
- ბ) საბაჟო დოკუმენტების, საქონლის სპეციალურ პროცედურაში მოქცევასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა დოკუმენტის და პროცედურის შესაბამის შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა დოკუმენტის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები;
- გ) დეტალები საქონლის იდენტიფიკაციისთვის საჭირო ნიშნების, საიდენტიფიკაციო ნომრების, შეფუთვის რაოდენობისა და სახეობის, საქონლის რაოდენობისა და ნორმალური კომერციული ან ტექნიკური აღწერილობის შესახებ;
- დ) ინფორმაცია საქონლის ადგილმდებარეობისა და მისი ნებისმიერი გადაადგილების შესახებ;
- ე) საქონლის საბაჟო სტატუსი;

---

[749] საბაჟო კოდექსის 113-ე მუხლის („სპეციალური პროცედურის დასრულება“) შესახებ ამ სახელმძღვანელოში, ზემოთ უკვე იყო კომენტარი გაკეთებული. აქ კი მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავდით, რომ ნორმაში საუბარია შემთხვევაზე, როცა ტრანზიტის პროცედურის გარდა სხვა პროცედურაში მოქცეული საქონელი ან გადამუშავებული პროდუქტი მოექცა სხვა საბაჟო პროცედურაში, ან გატანილ იქნა საქართველოს ტერიტორიიდან ნარჩენის გარეშე ან კიდევ გადაეცა სახელმწიფოს. შესაბამისად დამატ. იხ. საბაჟო კოდექსის 113-ე მუხლთან კავშირში 141 და 104 მუხლები.

• ვ) დეტალური ინფორმაცია ეკვივალენტური საქონლის გამოყენების თაობაზე, ასეთის გამოყენების შემთხვევაში;

• ზ) ინფორმაცია საქონლის ან/და პროცედურის მფლობელის უფლებებისა და მოვალეობების სხვა პირისათვის გადაცემის თაობაზე, ასეთი გადაცემის შემთხვევაში;

• თ) განსაკუთრებული შემთხვევებში, საბაჟო ორგანოს მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია.

დროებით შემოტანის პროცედურაში მოსაქცევი საქონელი უნდა დარჩეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ დაფუძნებული პირის საკუთრებაში.

თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დროებით შემოტანის პროცედურის მფლობელი უნდა იყოს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ დაფუძნებული პირი, ანუ ის არ უნდა იყოს საქართველოს რეზიდენტი საწარმო.

დროებით შემოტანის პროცედურის გამოყენების პირობები. დროებით შემოტანის პროცედურაში საქონლის მოქცევისთვის აუცილებელია:

• ა) არსებობდეს საქონლის საიმედო იდენტიფიკაციის შესაძლებლობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:

• ა.ა) საქონლის იდენტიფიკაციის შეუძლებლობა, მისი მახასიათებლისა და გამოყენების მიზნის გათვალისწინებით, არ გამოიწვევს ამ პროცედურის პირობების დარღვევას;

• ა.ბ) საბაჟო კოდექსის 117-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როცა კანონმდებლობით დასაშვებია ეკვივალენტური საქონლის (**რომელიც საქართველოს საქონელია და საბაჟო ორგანო პირის განცხადების საფუძველზე და იმ პირობით, რომ საბაჟო ზედამხედველობის მიზნისთვის უზრუნველყოფილი იქნება პროცედურის სათანადო განხორციელება, გასცემს ავტორიზაციას საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ შემთხვევებში ეკვივალენტური საქონლის დროებით შემოტანის პროცედურაში გამოყენებაზე**) - შესაძლებელია ეკვივალენტურ საქონელთან დაკავშირებული პირობების შესრულების შემოწმება;

• ბ) წარდგენილ იქნეს გარანტია, გარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული შემთხვევისა;

ინსტრუქციის „გარანტიის შესახებ" (დანართი №4) 1-ლი მუხლის თანახმად, თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, გარანტიის წარდგენა სავალდებულოა: იმპორტის გადასახდელისაგან სრულად გათავისუფლებით საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (შემდგომში – სეს ესნ) 8703 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მსუბუქი ავტომობილის ან/და 8711 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მოტოციკლის (მოპედის ჩათვლით) საქართველოს მოქალაქის მიერ დროებით შემოტანისას; („ი" ქვეპუნქტი).

საგარანტიო თანხის ოდენობა შეადგენს: იმპორტის გადასახდელისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებით საქონლის დროებით შემოტანისას – იმპორტის გადასახდელის შესაბამის თანხას, რომელიც გადაიხდევინებოდა დროებით შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მოქცევისას[750]; იმპორტის გადასახდელისაგან სრულად გათავისუფლებით სეს ესნ-ის 8703 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მსუბუქი ავტომობილის ან/და 8711 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მოტოციკლის (მოპედის ჩათვლით) საქართველოს მოქალაქის მიერ დროებით შემოტანისას – იმპორტის გადასახდელის შესაბამის თანხას, რომელიც გადაიხდევინებოდა დროებით შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას[751].

იმპორტის გადასახდელისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებით საქონლის დროებით შემოტანისას, ან იმპორტის გადასახდელისაგან სრულად გათავისუფლებით სეს ესნ-ის 8703 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მსუბუქი ავტომობილის ან/და 8711 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მოტოციკლის (მოპედის ჩათვლით) საქართველოს მოქალაქის მიერ დროებით შემოტანისას, ან შიდა გადამუშავებისას იმპორტის ან ექსპორტის გადასახდელის გადახდა უზრუნველყოფილი უნდა იყოს გარანტიით საბაჟო პროცედურაში საქონლის მოქცევის მთელი ვადის განმავლობაში. ამასთან:

---

[750] ინსტრუქცია „გარანტიის შესახებ" (დანართი №4), მ. 2.3.1. „ა" ქვეპუნქტი.

[751] ინსტრუქცია „გარანტიის შესახებ" (დანართი №4), მ. 2.3.1. „ი" ქვეპუნქტი.

• ა) გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ **10 კალენდარული** დღით უნდა აღემატებოდეს საბაჟო პროცედურაში საქონლის მოქცევის ვადას, გარდა ქვემოთ მითითებული „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

• ბ) საქონლის შიდა გადამუშავების პროცედურაში ან იმპორტის გადასახდელისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებით საქონლის დროებით შემოტანის პროცედურაში წინასწარ დეკლარირებისას, გარანტიის მოქმედების ვადა **არანაკლებ 60 კალენდარული** დღით უნდა აღემატებოდეს საბაჟო პროცედურაში საქონლის მოქცევის ვადას.

გარანტიის გაუქმების სპეციალურ საფუძვლას შეიძლება მიჩნეულ იქნეს: იმპორტის გადასახდელისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებით დროებით შემოტანილი საქონლის, ან საქართველოს მოქალაქის მიერ იმპორტის გადასახდელისაგან სრულად გათავისუფლებით დროებით შემოტანილი სეს ესნ-ის 8703 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მსუბუქი ავტომობილის ან/და 8711 სასაქონლო პოზიციაში შემავალი მოტოციკლის (მოპედის ჩათვლით) რექსპორტით გატანისას რექსპორტის დეკლარაციის კონტროლიდან მოხსნა, ან სხვა საბაჟო პროცედურის განსაზღვრა ან საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული განკარგვის ღონისძიების განხორციელება[752].

• გ) დროებით შემოტანილი საქონელი უკან იქნეს გატანილი უცვლელ მდგომარეობაში, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია ექსპლუატაციით, ტრანსპორტირებით ან შენახვის ნორმალური პირობებისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი დანაკარგებით;

• დ) შესრულდეს საქონლის იმპორტის გადასახადისგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლებისთვის საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

[752] ინსტრუქცია „გარანტიის შესახებ“, მ.4.ა.4.

2. საქონლის დროებით შემოტანის ვადები

დეკლარანტი განსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც დროებით შემოტანის პროცედურაში მოქცეული საქონელი უნდა მოექცეს სხვა საბაჟო პროცედურაში ან უნდა განხორციელდეს მისი რეექსპორტი.

თუ საბაჟო კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ერთი ავტორიზაციის მფლობელმა საქონელი დროებით შემოტანის პროცედურაში შეიძლება მოაქციოს **არაუმეტეს 3 წლისა.** თუ ერთი ავტორიზაციის მფლობელი დროებით შემოტანის პროცედურას საქონლის სხვა სპეციალურ პროცედურაში მოქცევით ასრულებს და შემდეგ ეს საქონელი ისევ ექცევა დროებით შემოტანის პროცედურაში, დროებით შემოტანის პროცედურაში საქონლის მოქცევის **ჯამური ვადა 3 წელს** არ უნდა აღემატებოდეს.

განსაკუთრებულ შემთხვევაში საბაჟო ორგანო უფლებამოსილია ავტორიზაციის მფლობელის მოტივირებული განცხადების საფუძველზე გაზარდოს დეკლარანტის მიერ დროებითი სემოტანის პროცედურაში საქონლის მოქცევის **3 წლით** განსაზღვრული ვადა ან/და ჯამურად დადგენილი 3-წლიანი ვადა.

შესაბამისად საკომენტარი 139-ე მუხლის მესამე ნაწილის მიზნებისათვის გამოიყენება ამავე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები. დროებით შემოტანის პროცედურაში საქონლის მოქცევის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს **10 წელს,** გარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „დროებითი შემოტანის პროცედურის შესახებ“ განსაზღვრული შემთხვევისა. კერძოდ, ინსტრუქციის მე-8 მუხლის შემთხვევაში საქონლის დროებით შემოტანის პროცედურაში მოქცევის კონკრეტული ვადა განისაზღვრება დეკლარანტის მიერ, **არაუმეტეს 3 წლით.**

აქვე გვინდა დავაფიქსირო მოსაზრება ამ პროცედურასთან დაკავშირებით. კერძოდ, ცხადია ვადის გასვლის შემდეგ, დაუბრუნებელი, დროებით შემოტანილი საქონელი აუცილებლად უნდა მოექცეს სხვა პროცედურაში, ეს კანონმდებლის იმპერატივია ჩადებული საბაჟო კანონმდებლობაში, მაგრამ რამდენიმე კითხვა იკვეთება პასუხგაუცემელი. კერძოდ, დროებით შემოტანილი საქონელი, პირველ რიგში არ უნდა განიცდიდეს

არავითარ ცვლას, კანონმდებლობით იგი უკან უნდა იქნეს გატანილი უცვლელ მდგომარეობაში, ცხადია ბუნებრივი ცვლილებების გარდა (მაგ. მზის დაბუნება, ან კიდევ შენახვის ნორმალური პირობების მიუხედავად ბუნებრივი დანაკარგი განიცადა საქონელმა და სხვ.). რა გამოდის? კოდექსის პირდაპირი განმარტებით აღნიშნული ჩანაწერი, უაზროს ხდის ამ პროცედურის არსებობას ეკონომიკური ბუნებით. მაგ; საქართველოში შემოტანილია ნავთობის მოპოვების ძვირადღირებული მოწყობილობა, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში გამოიყენებოდა, არის ძვირადღირებული, როგორც აღვნიშნეთ და მისი შეძენა დიდი ფუფუნებაა, იგი ქვეყანაში შეიძლება დროებითი პროცედურით იუწას შემოტანილი, გამოდის, რომ ის თავისუფალ მიმოქცევაშია, მაგრამ იმავდროულად არც არის, გამოდის, რომ მოხმარებაშია როგორც საქონელი. ხდება ნაწილობრივი იმპორტი. მაშინ რა აზრი აქვს მის დროებით შემოტანას? იყო შემთხვევა, როცა საქართველოში სხვა უცხოური საერთაშორისო ფირმების მიერ მანქანები დროებითი შემოტანის პროცედურით შემოჰქონდათ, 3 თვე იყო ექსპლოატაციაში, შემდეგ კი გადიოდა, ტოვებდა საქართველოს საბაჟო სივრცეს. იბადება კითხვა: ამ კონკრეტულ შემთხვევაში როგორ უნდა გატარდეს იგი დროებითი შემოტანის ოპერაციაში? შეიძლება რომ იგი არ იყოს ექსპლოატაციაში? იგი ხომ ამ მიზნით შემოიტანეს? ან კიდევ ცვლა არ განიცადოს? ის ტექნიკა არ მუშაობდეს და ა.შ.[753] ბაჟის შემთხვევაში გარკვეულწილად ჭირს კიდევ ამ პროცედურის სრული არსის გაგება, რამეთუ ზემოთ მოტანილი მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, ხომ შეიძლება რომ ამ ტექნიკამ განიცადოს დემონტაჟი, ან კიდევ ვთქვათ სხვა ქვეყანაში გადაიტანეს, რათა მოხდეს მისი თავისუფალ მიმოქცევაში გაშვება. გამოდის, რომ, ჯერ ერთი, დიდი თანხები იბარჯება, რომელიც ტექნოლოგიურად აბსოლუტურად არაბუნებრივს და მიუღებელს ხდის პროცესს. რაც შეეხება ლიზინგს, ამ პროცედურის შემთხვევაში, ეს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის და ამ პროცედურის არშეცვლის პირობებში ეს მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენის განვითარების შეფერხებაა. „თუ ჩვენ ამ პროცეს ასე არ გავაანალიზებთ, მაშინ შეუძლებელი გახდება აღქმა თვითონ ამ პროცესისა, მაშინ რა საჭიროა დროებითი შემოტანა? დაგვედო საწყობში, მოგვეთავსებინა საბაჟო საწყობის პროცედურაში[754] და ა.შ.

---

[753] ამ საკითხების შესახებ ვრცლად იხ. ჯგერენაია, საბაჟო ტექნოლოგიის საფუძვლები, 2002. 186.

[754] იქვე

1[1] ნაწილის შესაბამისად, ATA წიგნაკის გამოყენებით საქონლის დროებით შემოტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ამ წიგნაკის ან „საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ“ სტამბოლის 1990 წლის 26 ივნისის კონვენციის „A დანართის“ მე-14 მუხლის შესაბამისად გაცემული და საბაჟო ორგანოს მიერ დადასტურებული „შემცვლელი დოკუმენტის“ ძალაში ყოფნის პერიოდს.

საქართველო შეუერთდა სტამბოლის 1990 წლის 26 ივნისის კონვენციას „საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ“ 2010 წლის 12 თებერვლის საქართველოს პარლამენტის დადგენილებით.

თუ ერთი პროცედურის მფლობელი დროებით შემოტანის პროცედურას საქონლის სხვა სპეციალურ პროცედურაში მოქცევით ასრულებს და შემდეგ ეს საქონელი ისევ ექცევა დროებით შემოტანის პროცედურაში, დროებით შემოტანის პროცედურაში საქონლის მოქცევის **ჯამური ვადა 3 წელს** არ უნდა აღემატებოდეს.

საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, განსაკუთრებულ შემთხვევაში, პირის მოტივირებული განცხადების საფუძველზე, გაზარდოს ამ მუხლის პირველი ან/და მეორე პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ვადა. დროებით შემოტანის ვადა აითვლება დროებით შემოტანის პროცედურაში უცხოური საქონლის მოქცევის დღიდან. დროებით შემოტანის წინასწარ განსაზღვრული ვადა შეიძლება გაგრძელდეს რამდენჯერმე, იმ პირობით, რომ საქონლის დროებით შემოტანის პროცედურაში მოქცევის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს საბაჟო კოდექსის 139-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრულ **10-წლიან ვადას**, გარდა ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

საკომენტარო ინსტრუქციის 5[1]-ქვეპუნქტის შესაბამისად, ATA წიგნაკის გამოყენებით საქონლის დროებით შემოტანის წინასწარ განსაზღვრული ვადის გაგრძელება შესაძლებელია:

- ა) „საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ“ სტამბოლის 1990 წლის 26 ივნისის კონვენციის „A დანართის“ მე-14 მუხლის შესაბამისად გაცემული „შემცვლელი დოკუმენტის“ წარდგენის შემთხვევაში. საბაჟო ორგანოს მიერ „შემცვლელი დოკუმენტის“ (ახალი ATA წიგნაკის) შევსება, დადასტურება და „შეცვლილი

დოკუმენტით“ (თავდაპირველი ATA წიგნაკით) განხორციელებული საბაჟო პროცედურის დასრულება ხორციელდება ამ გრძანებით დამტკიცებული „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“ ინსტრუქციის (დანართი №3) მე-19 მუხლით დადგენილი წესით;

• ბ) საბაჟო დეკლარაციის წარდგენით საქონლის ხელახალი დეკლარირებით – ზემოთ აღნიშნული „ა“ ქვეპუნქტით გათალისწინებული დოკუმენტის წარდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში.

საქონლის დროებით შემოტანის წინასწარ განსაზღვრული ვადის გაგრძელების შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს საქონლის ხელახალი დეკლარირება.

. დროებით შემოტანილი საქონლის მიმართ სანქციის აღსრულების უზრუნველყოფის ან საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების, ან/და ამ საქონლის ჩამორთმევის/ამოღების შემთხვევაში, თუ განსაზღვრულ ვადაში ვერ ხორციელდება ინსტრუქციის საკომენტარო მე-8 მუხლის მე-5 პუნქტით[755] გათვალისწინებული ღონისძიებები, საქონლის დროებით შემოტანის წინასწარ განსაზღვრული ვადის დინება ჩერდება შესაბამისი გარემოების აღმოფხვრამდე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ შემთხვევებში არ მოქმედებს დროებით შემოტანის პროცედურაში საქონლის მოქცევის საერთო ვადის საქართველოს საბაჟო კოდექსის 139-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი 10-წლიანი შეზღუდვა, თუ აღნიშნული საქონელი გამოიყენება:

• ა) ქვეყნისთვის სტრატეგიული პროექტის განსახორციელებლად;

• ბ) მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად;

---

[755] დროებით შემოტანის წინასწარ განსაზღვრული ვადა შეიძლება გაგრძელდეს რამდენჯერმე, იმ პირობით, რომ საქონლის დროებით შემოტანის პროცედურაში მოქცევის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს საბაჟო კოდექსის 139-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრულ 10-წლიან ვადას, გარდა ამავე მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

• გ) მნიშვნელოვანი სოციალური პროექტის განსახორციელებლად;

• დ) სასწავლო-სამეცნიერო მიზნით.

3. ნაწილობრივ გათავისუფლებით დროებით შემოტანილ საქონელზე იმპორტის გადასახადის ოდენობა

იმპორტის გადასახადისაგან საქონლის დროებითი შემოტანისას ზემოთ უკვე იყო საუბარი, აქ კი **საბაჟო კოდექსის 140-ე მუხლის** მიზნებისათვის აღვნიშნავდით, რომ: იმპორტის გადასახადისგან ნაწილობრივ გათავისუფლებით დროებით შემოტანილი საქონელი საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე იბეგრება იმპორტის გადასახადის **იმ თანხის 3 პროცენტით,** რომელიც გადაიხდევინებოდა დროებით შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას. აღნიშნული თანხა გადახდილი უნდა იქნეს არაუგვიანეს საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის **ყოველი თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა,** ხოლო ბოლო გადახდა უნდა განხორციელდეს დროებით შემოტანის პროცედურის დასრულების დღეს. დეკლარანტს უფლება აქვს, კუთვნილი გადასახდელი თანხა ერთდროულად, ამ ნაწილით დადგენილ ვადაში გადაიხადოს[756].

საბაჟო კოდექსის 140-ე მუხლის მე-2 ნაწილი მოითხოვს 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ვადის გამოყენებას, როცა მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გადასახდელი თანხების ჯამური ოდენობა (საურავის გარეშე) არ უნდა აღემატებოდეს იმპორტის გადასახადის იმ თანხას, რომელიც გადაიხდევინებოდა დროებით შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს შესაბამისი საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას.

დამატებით: ამასთანავე, **საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების** თანახმად, თანახმად, „საქართველოს

---

[756] საბაჟო კოდექსი, მ. 140.ნ.1.

საბაჟო ტერიტორიაზე დროებით შემოტანილი საქონელი საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულკალენდარულ თვეზე იბეგრება იმპორტის გადასახადის **იმ თანხის 3 პროცენტით**, რომელიც გადაიხდევინებოდა დროებით შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის იმპორტში მოქცევისას. აღნიშნული თანხა გადახდილი უნდა იქნეს არაუგვიანეს ყოველი თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, ხოლო ბოლო გადახდა უნდა განხორციელდეს საქონლის დროებით შემოტანის პროცედურის დასრულების დღეს. დეკლარანტს უფლება აქვს, მთელი გადასახდელი თანხა ერთდროულად გადაიხადოს (ნ.4). მე-5 ნაწილის თანახმად, კი: 197-ე მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნული, გადახდას დაქვემდებარებული თანხების ჯამური ოდენობა (საურავის გარეშე) არ უნდა აღემატებოდეს იმპორტის გადასახადის იმ თანხას, რომელიც გადაიხდევინებოდა დროებითი შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის იმპორტში მოქცევისას.

4. დროებით შემოტანის პროცედურის დასრულება

ინსტრუქციის „დროებითი შემოტანის პროცედურის შესახებ“ მე-9 მუხლით გათვალისწინებულია **დროებით შემოტანის პროცედურის დასრულება**, კერძოდ, დროებით შემოტანის ვადის გასვლამდე (თუ გაგრძელებული არ იქნება დროებით შემოტანის წინასწარ განსაზღვრული ვადა) დროებით შემოტანის პროცედურა დასრულებულ უნდა იქნეს ამავე მუხლის ქვემოთ მოცემული მე-2 პუნქტის შესაბამისად, რომლის შესახებაც ამავე პარაგრაფში მოგვიანებით ვისაუბრებთ.

1[1] პუნქტის მიხედვით, ATA წიგნაკის გამოყენებით დროებით შემოტანილ საქონელზე პროცედურის დასრულების მიზნით, დროებით შემოტანის ვადის გასვლამდე (თუ გაგრძელებული არ იქნება დროებით შემოტანის წინასწარ განსაზღვრული ვადა):

• ა) საქონლის სრულად გატანის შემთხვევაში საქონელი უნდა წარედგინოს საბაჟო გამშვებ პუნქტს, საიდანაც მოხდება საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა საბაჟო ფორმალობების დაცვით;

• ბ) საქონლის ნაწილის გატანის შემთხვევაში ეს საქონელი უნდა წარედგინოს უახლოეს გაფორმების საბაჟო ორგანოს, სადაც ხორციელდება დროებით შემოტანილი საქონლის ნაწილის რეექსპორტში დეკლარირება, ხოლო საქონლის დანარჩენი ნაწილი ექცევა სხვა საბაჟო პროცედურაში ან მის მიმართ ხორციელდება საქონლის განკარგვის ღონისძიებები.

დროებით შემოტანის პროცედურა დასრულებულად ითვლება, თუ:

• ა) საქონელი გატანილია საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან შესაბამისი საბაჟო ფორმალობების დაცვით. ამასთან, საქონელი შეიძლება გატანილ იქნეს ნაწილ-ნაწილ, პარტიების სახით. დასაშვებია საქონელი გატანილ იქნეს ნებისმიერი საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით;

• ბ) საქონელი მოექცა სხვა საბაჟო პროცედურაში;

• გ) საქონელი განადგურდა ნარჩენების გარეშე;

• დ) დროებით შემოტანილი საქონელი გადაცემულია სახელმწიფოსთვის პროცედურის მფლობელის ან საქონლის მფლობელის მიერ.

შესაბამისად გამოიყენება საბაჟო კოდექსის 104-ე მუხლის დებულებები.

დროებით შემოტანილი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის დამადასტურებელ დოკუმენტებს წარმოადგენს სათანადოდ გაფორმებული: საქონლის საბაჟო დეკლარაცია/საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4, ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია, ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაცია ან/და კონტროლიდან მოხსნილი აღრიცხვის მოწმობა.

მე-4 პუნქტის მიზნებისათვის, ATA წიგნაკის გამოყენებით დროებით შემოტანილი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის დამადასტურებელ მტკიცებულებას, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, წარმოადგენს სათანადო წესით შევსებული და დამოწმებული ATA წიგნაკის

თეთრი ძირითადი გვერდის (ყუის) „რეექსპორტის“ განყოფილება. ზემოთ აღნიშნული მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში საბაჟო ორგანო უფლებამოსილია, შესაბამისი საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის დამადასტურებელ მტკიცებულებად ჩათვალოს „საქონლის დროებითი შემოტანის შესახებ“ სტამბოლის 1990 წლის 26 ივნისის კონვენციის „A დანართის“ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები[757].

---

[757] დროებითი შემოტანის პროცედურის შესახებ იხ. ხარაზი ია, საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, დამხმარე სახელმძღვანელო, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2021; ხარაზი ია, საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, დამხმარე სახელმძღვანელო, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2021; ხარაზი ია, საერთაშორისო საბაჟო სამართალი, თბილისი, 2013; ხარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2007; ხარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2010; ხარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2019, ლექციების კურსი, https://www.sou.edu.ge; ხარაზი ია; საქართველოს საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2015; ხარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბილისი, 2014 ;ხარაზი ი; საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, მეორე ნაწილი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2020;ხარაზი ია, აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტ. თანაავტ. „საგადასახადო და საბაჟო სამართალი ქართულ სასამართლო სივრცეში (სასამართლო პრაქტიკის მასალები იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის)“, გამომც. ქუთაისის უნივერსიტეტი, თბილისი, 2019; -310, 47-ე მუხლ. ავტ. ნადარაია, 331, https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00J1P6.pdf; გონერ ურიდია, ფრიდონ არახამია, საბაჟო საქმის თეორია, თბილისი, 2009; ურიდია გ; საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები, გამოცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011; ლორთქიფანიძე ვ; საბაჟო საქმის საფუძვლები, თბილისი, 2002; ჯგერენაია ემზარ, საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 2022; გ ურიდია, მ. არახამია, ფ. რუხაია, საბაჟო რეჟიმები, თბილისი, 2005; ურიდია გონერ, რუხაია ფრიდონ, არახამია მერაბ, საბაჟო გაფორმება TIR და ATA (CPD) კარნეტის პრინციპებით, თბილისი, 2004; ურიდია გონერ, არახამია მერაბ, რუხაია ფრიდონ, საბაჟო რეჟიმები, თბილისი, 2005;

A. დასამახსოვრებელი დებულებები!

დროებით შემოტანის პროცედურის გამოყენებით უცხოური საქონელი რექსპორტის განხორციელების პირობით შეიძლება შემოტანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გამოყენების მიზნით, რაც არ იწვევს საქონლის მიმართ ვაჭრობაში დამცავი ღონისძიების გამოყენებას,

---

ამილახვარი ზ; საქართველოს საბაჟო სამართალი, თბილისი, 2007; Борисов К. Г. Международное Таможенное право, Учеб, пособие – М; изд. ун-та дружби народов 1997; Козирин А. Н. Таможенное право Росии, Учеб, пособие – М; фирма СПАРК, 1995; Бахрах Д. Н. Кивалов С. В. Таможенное право Росии, Екатеринбург, Диамант, 1995; ია ხარაზი, „საგადასახადო სამართლებრივ რეგულირებაში პრეზუმპტიული მეთოდების გამოყენების შესახებ", „დიპლომატია და სამართალი", #1(4), 2018, გვ. 46-68; ია ხარაზი, კახა ქოიავა, „საბაჟო საქმისა და საბაჟო სამართლის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები", ჟურნალი „სამართალი", #1-2, 2008, გვ. 17-20; ია ხარაზი, გელა ცინცაძე, გიორგი ირემაშვილი, „საბაჟო რეჟიმების სტრუქტურა და შინაარსი (საქართველოს საბაჟო კოდექსის მიხედვით)", ჟურნალი „სამართალი", #1-2, 2007, გვ. 17-23; ია ხარაზი, ქეთინო ხარაზი, „გადამუშავების საბაჟო რეჟიმების ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა", ჟურნალი „სამართალი", #3-4, 2007, გვ. 42-45; უერთაშვილი ნატო, ხარაზი ია, „საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტები", საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომათა კრებული, I, თბილისი, 2010, გვ. 194-212; ია ხარაზი, ქეთევან კვინიკაძე, „სასაქონლო ოპერაციები", „მართლმსაჯულება და კანონი," #4(31), 2011, გვ.148-160; ია ხარაზი, ნატო უერთაშვილი, თემურ გერგედავა, „საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტების თავისებურებათა შესახებ", ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", #1(24), 2010; ია ხარაზი, ნატო უერთაშვილი, მაკა ორჯონიკიძე, „საბაჟო სამართლის ნორმათა განმარტების თავისებურებანი", ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი",#4)27), 2010, გვ. 56-67; И. В. Харази, Е. Д. Мчедлишвили, Д. Х. Чагунава,И. М. Леонидзе, „Правовые аспекты классификации таможенных режимов", AIR TRANSPORT, ВОЗДУШНЫЙ ТРАНСПОРТ, Aviation University of Georgia, Авиационный Университет Грузии, Тбилиси, #2(5), 2010, стр. 125-137; И. В. Харази, М. И. мосулишвили ,Е. Д. Мчедлишвили, Проблемы и своеобразия Таможенного кодекса Грузии", AIR TRANSPORT, ВОЗДУШНЫЙ ТРАНСПОРТ, Aviation University of Georgia, Авиационный Университет Грузии, Тбилиси, 2009, #1(3), стр. 119-130.

თუ ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალული არ არის.

დროებით შემოტანისას საქონელი სრულად ან ნაწილობრივ თავისუფლდება იმპორტის გადასახადისგან.

იმპორტის გადასახადისგან ნაწილობრივ გათავისუფლებით დროებით შემოტანილი საქონელი საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე იბეგრება იმპორტის გადასახადის იმ თანხის 3 პროცენტით, რომელიც გადაიხდეოდა დროებით შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას. აღნიშნული თანხა გადახდილი უნდა იქნეს არაუგვიანეს საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველი თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, ხოლო ბოლო გადახდა უნდა განხორციელდეს დროებით შემოტანის პროცედურის დასრულების დღეს. დეკლარანტს უფლება აქვს, კუთვნილი გადასახდელი თანხა ერთდროულად, ამ ნაწილით დადგენილ ვადაში გადაიხადოს.

ATA წიგნაკის გამოყენებით დროებით შემოტანილ საქონელზე პროცედურის დასრულების მიზნით, დროებით შემოტანის ვადის გასვლამდე (თუ გაგრძელებული არ იქნება დროებით შემოტანის წინასწარ განსაზღვრული ვადა): საქონლის სრულად გატანის შემთხვევაში საქონელი უნდა წარედგინოს საბაჟო გამშვებ პუნქტს, საიდანაც მოხდება საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა საბაჟო ფორმალობების დაცვით; საქონლის ნაწილის გატანის შემთხვევაში ეს საქონელი უნდა წარედგინოს უახლოეს გაფორმების საბაჟო ორგანოს, სადაც ხორციელდება დროებით შემოტანილი საქონლის ნაწილის რეექსპორტში დეკლარირება. ხოლო საქონლის დანარჩენი ნაწილი ექცევა სხვა საბაჟო პროცედურაში ან მის მიმართ ხორციელდება საქონლის განკარგვის ღონისძიებები.

B. კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის:

განმარტეთ დროებით შემოტანილი საქონლის ცნება

თავისუფლდება თუ არა დროებით შემოტანილი საქონელი საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტის გადასახადისაგან?

რა პროცედურებით ხდება ATA წიგნაკის გამოყენებით დროებით შემოტანილი საქონლის საბაჟო გამშვები პუნქტისათვის წარდგენა?

როგორ იბეგრება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებით შემოტანილი საქონელი?

რა დროიდან ითვლება დროებითი შემოტანის პროცედურა დასრულებულად?

C. ტესტები:

დროებით შემოტანისას საქონელი:

ა. სრულად ან ნაწილობრივ თავისუფლდება იმპორტის გადასახადისგან

ბ. სრულად თავისუფლდება იმპორტის გადასახადისგან

გ. ნაწილობრივ თავისუფლდება იმპორტის გადასახადისგან

დ. არ თავისუფლდება იმპორტის გადასახადისგან.

დროებით შემოტანის პროცედურაში საქონლის მოქცევისთვის აუცილებელია:

ა. არსებობდეს საქონლის საიმედო იდენტიფიკაციის შესაძლებლობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქონლის იდენტიფიკაციის შეუძლებლობა, მისი მახასიათებლისა და გამოყენების მიზნის გათვალისწინებით, არ გამოიწვევს ამ პროცედურის პირობების დარღვევას

ბ. არსებობდეს საქონლის საიმედო იდენტიფიკაციის შესაძლებლობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქონლის იდენტიფიკაციის შეუძლებლობა, მისი მახასიათებლისა და საბაჟო კოდექსის ეკვივალენტური საქონლის გამოყენებისას გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაძლებელია ეკვივალენტურ საქონელთან დაკავშირებული პირობების შესრულების შემოწმება; წარდგენილ იქნეს გარანტია, გარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული შემთხვევისა; დროებით შემოტანილი საქონელი უკან იქნეს გატანილი უცვლელ მდგომარეობაში, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია ექსპლუატაციით, ტრანსპორტირებით ან შენახვის ნორმალური პირობებისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი დანაკარგებით; შესრულდეს საქონლის იმპორტის გადასახადისგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლებისთვის საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები

გ. წარდგენილ იქნეს გარანტია, გარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული შემთხვევისა; დროებით შემოტანილი საქონელი უკან იქნეს გატანილი უცვლელ მდგომარეობაში, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია ექსპლუატაციით, ტრანსპორტირებით ან შენახვის ნორმალური პირობებისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი დანაკარგებით

დ. შესრულდეს საქონლის იმპორტის გადასახადისგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლებისთვის საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

ATA წიგნაკის გამოყენებით საქონლის დროებით შემოტანის შემთხვევაში, საბაჟო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი:

ა. ამოწმებს არის თუ არა ATA წიგნაკი დადასტურებული შესაბამისი კონვენცი(ებ)ის ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ, მოქმედებს თუ არა ეს ATA წიგნაკი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე (მითითებულია წიგნაკის ყდის „P" გრაფაში) და ხომ არ შეიცავს დროებით შემოტანის პროცედურაში მოსაქცევად აკრძალულ საქონელს;

ბ. ამოწმებს არის თუ არა ATA წიგნაკი დადასტურებული შესაბამისი კონვენცი(ებ)ის ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ, მოქმედებს თუ არა ეს ATA წიგნაკი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე (მითითებულია წიგნაკის ყდის „P" გრაფაში) და ხომ არ შეიცავს დროებით შემოტანის პროცედურაში მოსაქცევად აკრძალულ საქონელს; ამოწმებს ATA წიგნაკის „იმპორტის" (თეთრი ფერის) ვაუჩერის (მოსახევი ფურცლის) „A" – „G" გრაფებში მითითებულ ინფორმაციას და ადარებს მას „საქონლის საერთო ჩამონათვალში" ასახულ მონაცემებს; ATA წიგნაკის „იმპორტის" (თეთრი ფერის) ვაუჩერის (მოსახევი ფურცლის) „H" გრაფასა და ამ წიგნაკის თეთრი ძირითადი გვერდის (ყუის) „იმპორტის" განყოფილებას ავსებს, ადასტურებს და არეგისტრირებს ამ ბრძანებით დამტკიცებული „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ" ინსტრუქციის (დანართი №3) მე-19 მუხლით დადგენილი წესით; ATA წიგნაკიდან ხევს და ინახავს ზემოთ აღნიშნული „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად შევსებულ „იმპორტის" (თეთრი ფერის) ვაუჩერს.

გ. ამოწმებს ATA წიგნაკის „იმპორტის" (თეთრი ფერის) ვაუჩერის (მოსახევი ფურცლის) „A" – „G" გრაფებში მითითებულ ინფორმაციას და ადარებს მას „საქონლის საერთო ჩამონათვალში" ასახულ მონაცემებს

დ. ATA წიგნაკის „იმპორტის" (თეთრი ფერის) ვაუჩერის (მოსახევი ფურცლის) „H" გრაფასა და ამ წიგნაკის თეთრი ძირითადი გვერდის (ყუის) „იმპორტის" განყოფილებას ავსებს, ადასტურებს და არეგისტრირებს ამ ბრძანებით დამტკიცებული „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ" ინსტრუქციის (დანართი №3) მე-19 მუხლით დადგენილი წესით; ATA წიგნაკიდან ხევს და ინახავს ზემოთ აღნიშნული „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად შევსებულ „იმპორტის" (თეთრი ფერის) ვაუჩერს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ შემთხვევებში არ

მოქმედებს დროებით შემოტანის პროცედურაში საქონლის მოქცევის საერთო ვადის საქართველოს საბაჟო კოდექსის 139-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი 10-წლიანი შეზღუდვა, თუ აღნიშნული საქონელი გამოიყენება:

ა. ქვეყნისთვის სტრატეგიული პროექტის განსახორციელებლად

ბ. მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად

გმნიშვნელოვანი სოციალური პროექტის განსახორციელებლად; სასწავლო-სამეცნიერო მიზნით

დ. ქვეყნისთვის სტრატეგიული პროექტის განსახორციელებლად; მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად; მნიშვნელოვანი სოციალური პროექტის განსახორციელებლად; სასწავლო-სამეცნიერო მიზნით.

იმპორტის გადასახადისგან ნაწილობრივ გათავისუფლებით დროებით შემოტანილი საქონელი საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე იბეგრება:

ა. იმპორტის გადასახადის იმ თანხის 3 პროცენტით, რომელიც გადაიბდევინებოდა დროებით შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას. აღნიშნული თანხა გადახდილი უნდა იქნეს არაუგვიანეს საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველი თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, ხოლო ბოლო გადახდა უნდა განხორციელდეს დროებით შემოტანის პროცედურის დასრულების დღეს. დეკლარანტს უფლება აქვს, კუთვნილი გადასახდელი თანხა ერთდროულად, ამ ნაწილით დადგენილ ვადაში გადაიხადოს

ბ. იმპორტის გადასახადის იმ თანხის 1 პროცენტით, რომელიც გადაიბდევინებოდა დროებით შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას. აღნიშნული თანხა გადახდილი უნდა იქნეს არაუგვიანეს საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველი თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, ხოლო ბოლო გადახდა უნდა განხორციელდეს დროებით შემოტანის პროცედურის დასრულების დღეს. დეკლარანტს უფლება აქვს, კუთვნილი გადასახდელი თანხა ერთდროულად, ამ ნაწილით დადგენილ ვადაში გადაიხადოს

გ. იმპორტის გადასახადის იმ თანხის 2 პროცენტით, რომელიც გადაიბდევინებოდა დროებით შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას. აღნიშ-

ნული თანხა გადახდილი უნდა იქნეს არაუგვიანეს საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველი თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა. ხოლო ბოლო გადახდა უნდა განხორციელდეს დროებით შემოტანის პროცედურის დასრულების დღეს. დეკლარანტს უფლება აქვს, კუთვნილი გადასახდელი თანხა ერთდროულად, ამ ნაწილით დადგენილ ვადაში გადაიხადოს

დ. იმპორტის გადასახადის იმ თანხის 3,5 პროცენტით, რომელიც გადაიხდევინებოდა დროებით შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას. აღნიშნული თანხა გადახდილი უნდა იქნეს არაუგვიანეს საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველი თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა. ხოლო ბოლო გადახდა უნდა განხორციელდეს დროებით შემოტანის პროცედურის დასრულების დღეს. დეკლარანტს უფლება აქვს, კუთვნილი გადასახდელი თანხა ერთდროულად, ამ ნაწილით დადგენილ ვადაში გადაიხადოს.

D. სამართლებრივი აქტები:

საერთაშორისო აქტები:

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელწიფოებს შორის,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0

კიოტოს 1973 წლის კონვენცია „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ“, საქართველოს აღნიშნულ კონვენციას შეუერთდა 2018 წლის 20 ივლისს, საქართველოს პარლამენტის დადგენილებით. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4270130?publication=0

შეთანხმება თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ (ძალაში შესვლის თარიღი: 06/12/2002),
https://www.matsne.gov.ge/document/view/1224033?publication=0

საკანონმდებლო აქტები:

საქართველოს კონსტიტუცია, მ.19.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

საქართველოს საბაჟო კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=5

საქართველოს საგადასახადო კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/32842?publication=69

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/19024?publication=0

საქართველოს ადმინისტრაციული ზოგადი კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=39

საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ"
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2062?publication=41

საქართველოს კანონი „საგზაო მოძრაობის შესახებ",
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2169396?publication=23

საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ, მ.4. პ.33. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/26824?publication=91

საქართველოს კანონი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ", https://www.matsne.gov.ge/document/view/21994?publication=9

(საქართველოს კანონი „საბიუჯეტო სისტემის შესახებ" მ.15. https://matsne.gov.ge/ka/document/view/14638?publication=20

საქართველოს კანონი „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ", https://matsne.gov.ge/ka/document/view/1670322

კანონქვემდებარე აქტები:

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 14 იანვრის #25 დადგენილება „თავისუფალი ზონის შექმნის პირობების, მისი შექმნისთვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის ფუნქციონირების, მასში საქონლის შენახვისა და საბაჟო კონტროლის განხორციელების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე",
https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/4772532/1/ge/pdf

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის #453 დადგენილება „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ";
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4657381?publication=0

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საქონლის დროებითი შემოტანის პროცედურის შესახებ" (დანართი #11),
https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ექსპორტის პროცედურის შესახებ" (დანართი №15),

https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქციისა (დანართი №8). https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“, ინსტრუქცია „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ“ (დანართი #5), https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის ბრძანება (№275 წლის) „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ დანართი #1, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3

ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია (დანართი №2) „საბაჟო კონტროლის შესახებ“,

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს #257 ბრძანება „საქართველო საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“, დანართი #3, ინსტრუქცია „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“,

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“,

https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/1167887/285/ge/pdf

ფინანსთა მინისტრის #257 ბრძანება (დანართი №1), ინსტრუქცია „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“,

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება (#257 2019 წლის 29 აგვისტო) „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ინსტრუქცია (დანართი №12) „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ“

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ (დანართი №8),
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

E. გამოყენებული ლიტერატურა:

ქართულ ენაზე:

ბარაზი ია, საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, დამხმარე სახელმძღვანელო, გამომცემლობა „გეორგიკა", თბილისი, 2021

ბარაზი ია, საერთაშორისო საბაჟო სამართალი, თბილისი, 2013

ბარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2007

ბარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2010

ბარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2019, ლექციების კურსი, https://www.sou.edu.ge

ბარაზი ია; საქართველოს საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა", თბილისი, 2015

ბარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბილისი, 2014

ბარაზი ი; საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, მეორე ნაწილი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2020

ბარაზი ია, აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტ. თანაავტ. „საგადასახადო და საბაჟო სამართალი ქართულ სასამართლო სივრცეში (სასამართლო პრაქტიკის მასალები იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის)", გამომც. ქუთაისის უნივერსიტეტი, თბილისი, 2019

როგავა ზ; საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, წიგნი მესამე, გამომცემლობა ურისტების სამყარო", თბილისი, 2017

ნადარაია, როგავა, რუხაძე, ბოლქვაძე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, §§ 156-310, 47-ე მუხლ. ავტ. ნადარაია, 331, https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00J1P6.pdf

გონერ ურიდია, ფრიდონ არახამია, საბაჟო საქმის თეორია, თბილისი, 2009

ურიდია გ; საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები, გამოცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2011

ლორთქიფანიძე ვ; საბაჟო საქმის საფუძვლები, თბილისი, 2002

ჯგერენაია ემზარ, საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 2022

გ. ურიდია, მ. არახამია, ფ. რუხაია, საბაჟო რეჟიმები, თბილისი, 2005

ურიდია გონერ, რუხაია ფრიდონ, არახამია მერაბ, საბაჟო გაფორმება TIR და ATA (CPD) კარნეტის პრინციპებით, თბილისი, 2004

ურიდია გონერ, არახამია მერაბ, რუხაია ფრიდონ, საბაჟო რეჟიმები, თბილისი, 2005

ამილახვარი ზ; საქართველოს საბაჟო სამართალი, თბილისი, 2007

უცხოენაზე:

Борисов К. Г. Международное Таможенное право, Учеб, пособие – М; изд. ун-та дружби народов 1997

Козырин А. Н. Таможенное право Росии, Учеб, пособие – М; фирма СПАРК, 1995

Бахрах Д. Н. Кивалов С. В. Таможенное право Росии, Екатеринбург, Диамант, 1995

F. სამეცნიერო ნაშრომები:

ია ბარაზი, „საგადასახადო სამართლებრივ რეგულირებაში პრეზუმპტიული მეთოდების გამოყენების შესახებ", „დიპლომატია და სამართალი", #2571(4), 2018, გვ. 46-68

ია ბარაზი, კახა ქოიავა, „საბაჟო საქმისა და საბაჟო სამართლის კონსტიტუციურსამართლებრივი საფუძვლები", ჟურნალი „სამართალი", #1-2, 2008, გვ. 17-20

ია ბარაზი, გელა ციხცაძე, გიორგი ირემაშვილი, „საბაჟო რეჟიმების სტრუქტურა და შინაარსი (საქართველოს საბაჟო კოდექსის მიხედვით)", ჟურნალი „სამართალი", #1-2, 2007, გვ. 17-23

ია ბარაზი, ქეთინო ბარაზი, „გადამუშავების საბაჟო რეჟიმების ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა", ჟურნალი „სამართალი", #3-4, 2007, გვ. 42-45

უერთაშვილი ნატო, ბარაზი ია, „საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტები", საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომათა კრებული, I, თბილისი, 2010, გვ. 194-212

ია ბარაზი, ქეთევან კვინიკაძე, „სასაქონლო ოპერაციები", „მართლმსაჯულება და კანონი," #4(31), 2011, გვ.148-160

ია ბარაზი, ნატო უერთაშვილი, თემურ გერგედავა, „საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტების თავისებურებათა შესახებ", ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", #1(24), 2010

ია ბარაზი, ნატო უერთაშვილი, მაკა ორჯონიკიძე, „საბაჟო სამართლის ნორმათა განმარტების თავისებურებანი", ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი",#4)27), 2010, გვ. 56-67

И. В. Харази, Е. Д. Мчедлишвили, Д. Х. Чагунава, И. М. Леонидзе, „Правовые аспекты классификации таможенных режимов", AIR TRANSPORT, ВОЗДУШНЫЙ ТРАНСПОРТ, Aviation University of Georgia. Авиационный Университет Грузии, Тбилиси, #2(5), 2010, стр. 125-137

И. В. Харази, М. И. мосулишвили ,Е. Д. Мчедлишвили, Проблемы и своеобразия Таможенного кодекса Грузии", AIR TRANSPORT, ВОЗДУШНЫЙ ТРАНСПОРТ, Aviation University of Georgia, Авиационный Университет Грузии, Тбилиси, 2009, #1(3), стр. 119-130

G. ლექსიკონი:

მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე] - თბ., 2004 - 483 გვ.: ცხრ.; 24სმ. - (საჯარო მოსამსახურის ბ-კა). - ISBN 99940-0-063-2: [ფ.ა.]; http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=17983

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1962

H. ვებრესურსები:

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. პაპავა ვლადიმერ, „თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა - „უკვდავი იდეა". აპრილი, 2007. http://gfsis, org/media/download/library/articles/EXPERT OPINION VPADIMER PAPAVA ENG.pdf

ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო" საქართველოს მთავრობის „50"-დღიანი პროგრამა" ანალიზი და შეფასებები, 2008, №15. იხ. Htt://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=5

http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=17983

WWW. https://www.rs.ge/.

თავი VIIIs. მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურა

1. მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურის გამოყენება

მიზნობრივი დანიშნულებით საქონლის შემოტანას ძირითადად არეგულირებს საბაჟო კოდექსის მ. 141 - „მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურის გამოყენება“ და საქართველოს ფინანსთა მინისტრის #257 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ“ (დანართი №12), თავი II – „მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურა“.

საბაჟო კოდექსის 141-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში საქონელი, მისი სპეციალური გამოყენების გათვალისწინებით, შეიძლება გაშვებულ იქნეს თავისუფალ მიმოქცევაში იმპორტის გადასახდელისგან გათავისუფლების პირობით.

ინსტრუქციის „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ“ მუხლი 3-ის მიხედვით, მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების სპეციალური პროცედურა საშუალებას იძლევა, მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონელი გაშვებულ იქნეს თავისუფალ მიმოქცევაში იმპორტის გადასახდელისაგან გათავისუფლების პირობით.

მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში მოსაქცევი საქონლის კატეგორიას მიეკუთვნება: **იმპორტის დღგისაგან გათავისუფლებული:** განძეულობის ან/და სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული მოძრავი ნივთის იმპორტი[758]; საქართველოს ეროვნული ბანკისთვის გადასაცემი ოქროს იმპორტი“[759]; „იმპორტის

[758] საგადასახადო კოდექსი, მ.173.ნ.1.„კ“ ქვეპუნქტი.

[759] საგადასახადო კოდექსი, მ.173.ნ.1. „უ“ ქვეპუნქტი.

დღგ-ისაგან გათავისუფლებული პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების იმპორტი, რომლებიც განკუთვნილია ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სამუშაოებში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების(მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისთვის"[760]. სამკურნალო/ფარმაცევტული მიზნისთვის განკუთვნილი სეს ესნ-ის 28-ე და 29-ე ჯგუფებით გათვალისწინებული ნედლეულის ან/და სუბსტანციების იმპორტი[761] – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი ნუსხის მიხედვით სამკურნალო (ფარმაცევტული) მიზნებისათვის განკუთვნილი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე და 29-ე ჯგუფებით[762] გათვალისწინებული ნედლეული და სუბსტანციები; სამკურნალო/სამედიცინო მიზნისთვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი[763] – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი ნუსხის მიხედვით სამკურნალო/სამედიცინო მიზნებისათვის განკუთვნილი, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2804 40 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში[764] კლასიფიცირებული ჟანგბადი; ასევე, იმპორტის დღგ-ისაგან გათავისუფლებული: სტიქიური უბედურების, ავარიისა და კატასტროფის ლიკვიდაციისთვის, ჰუმანიტარული და-

---

[760] საგადასახადო კოდექსი, მ.173.ნ.1.„ძ" ქვეპუნქტი.

[761] საგადასახადო კოდექსი, მ.173. ნ.1. „ა.ა." ქვეპუნქტი.

[762] საქონლის ნომენკლატურების შესახებ იხ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის ბრძანება (№275 წლის) „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე" დანართი #1, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3 .

[763] საგადასახადო კოდექსი, მ.173. ნ.1.„ა.ბ." ქვეპუნქტი

[764] იხ. სქ. 747.

ხმარების მიზნით საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის გადასაცემი საქონლის იმპორტი[765]; საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების ქონების იმპორტი[766]; იმ საქონლის იმპორტი, რომელიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომატიური ან მასთან გათანაბრებული წარმომადგენლობის ოფიციალური სარგებლობისთვის, აგრეთვე ამ წარმომადგენლობის დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისთვის, იმ სახით, რა სახითაც ასეთი გათავისუფლება გათვალისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო[767];„ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოებისთვის განკუთვნილი მოწყობილობა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების, სათადარიგო ნაწილებისა და მასალების, აგრეთვე ზემოაღნიშნული კანონით განსაზღვრული ხელშეკრულებების ან/და ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად გაცემული ლიცენზიების შესაბამისად ინვესტორებისა და საოპერაციო კომპანიებისთვის ნავთობისა და გაზის ოპერაციების განსახორციელებლად საქონლის იმპორტი[768] და საერთაშორისო საავიაციო რეისებისა და საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებისთვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი ან/და მიწოდება, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფარგლებში სამოქალაქო საავიაციო რეისებისა და საავიაციო სამუშაოების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებისთვის განკუთვნილი საწვავის, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებების იმპორტი; ასევე **ჩათვლის უფლების გარეშე აქციზისაგან გათავისუფლებული**: საერთაშორისო საავიაციო რეისებისა და საერთაშორისო საზღვაო

---

[765] საგადასახადო კოდექსი, მ.173. ნ.1.„ქ“ ქვეპუნქტი.

[766] საგადასახადო კოდექსი, მ.173. ნ.1.„ღ“ ქვეპუნქტი.

[767] საგადასახადო კოდექსი, მ.173.ნ1.„წ“ ქვეპუნქტი.

[768] საგადასახადო კოდექსი, მ.173.ნ.1.„ჯ“ ქვეპუნქტი.

რეისების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებისთვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი ან/და მიწოდება, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფარგლებში სამოქალაქო საავიაციო რეისებისა და საავიაციო სამუშაოების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებისთვის განკუთვნილი საწვავის, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებების იმპორტი ან/და მიწოდება[769]; „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების განსახორციელებლად ნავთობპროდუქტების იმპორტი ან/და მიწოდება[770] და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალება, რომელიც ქარხნულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ გამოყენებისათვის, თუ სატრანსპორტო საშუალების იმპორტის განმახორციელებელი არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელიც სავარძელ-ეტლით გადაადგილებას საჭიროებს. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით[771] და **იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებული:** საქონლის იმპორტი სტიქიური უბედურებისა და კატასტროფის ლიკვიდაციის, აგრეთვე ჰუმანიტარული დახმარების მიზნით[772]; იმ საქონლის იმპორტი, რომელიც გათვალისწინებულია გრანტის შესახებ ხელშეკრულებით, საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად განსაზღვრული წესით[773]; იმ საქონლის იმპორტი, რომელიც ფინანსდება გრანტებით ან უცხო ქვეყნის სახელმწიფო ორგანოს ან/და საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გაცემული შეღავათიანი კრედიტით, რომელიც არანაკლებ 25 პროცენტის ოდენობით შეიცავს გრანტის ელემენტს. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გრანტის

[769] საგადასახადო კოდექსი, მ.194. ნ.5. „ე“ ქვეპუნქტი.
[770] საგადასახადო კოდექსი, მ.194. ნ.5. „ვ“ ქვეპუნქტი.
[771] საგადასახადო კოდექსი, მ.194. ნ.5. „ლ“ ქვეპუნქტი.
[772] საგადასახადო კოდექსი, მ.199. ნ.1. „ა“ ქვეპუნქტი.
[773] საგადასახადო კოდექსი, მ,.199. ნ.1. „ბ“ ქვეპუნქტი.

ელემენტს გაიანგარიშებს საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად[774]; საერთაშორისო საავიაციო რეისებისა და საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებისთვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფარგლებში სამოქალაქო საავიაციო რეისებისა და საავიაციო სამუშაოების განსახორციელებლად ბორტზე მიწოდებისთვის განკუთვნილი საწვავის, საპოხი და სხვა დამხმარე საშუალებების იმპორტი[775]; და „ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოებისათვის განკუთვნილი მოწყობილობა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების, სათადარიგო ნაწილებისა და მასალების იმპორტი[776]; საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე იმპორტის გადასახდელისაგან გათავისუფლებული და მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონელი.

პროცედურის მფლობელი ვალდებულია, მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში მოქცეული საქონელი გამოიყენოს იმპორტის გადასახდელისაგან გათავისუფლების გამოყენებისთვის განსაზღვრული მიზნით.

მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში საქონლის დეკლარირება შესაძლებელია განხორციელდეს:

- ა) საქონლის საბაჟო დეკლარაციით;
- ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციით.;
- გ) საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ით.

საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) 8429, 8701, 8702, 8703, 8704, 8705, 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალება (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ^3-ზე მეტი, ხოლო ელექტროძრავას შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) და 8716

---

[774] საგადასახადო კოდექსი, მ,.199. ნ.1. „გ" ქვეპუნქტი.

[775] საგადასახადო კოდექსი, მ,.199. ნ.1. „ვ" ქვეპუნქტი.

[776] საგადასახადო კოდექსი, მ,.199. ნ.1. „ზ" ქვეპუნქტი.

სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელი და ნახევრადმისაბმელი, დროებით შემოტანის საბაჟო დეკლარაციის წარდგენამდე, საექსპერტო შემოწმებისათვის უნდა წარედგინოს საჯარო სამართლის იურიდიული პირს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, რომელიც ადგენს „მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერების აქტს (ფორმა 2)[777].

მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერების აქტის წარდგენის ვალდებულება არ ვრცელდება იმ სატრანსპორტო საშუალებებზე:

- ა) რომელიც შემოყვანილია იურიდიული პირის მიერ და რომელიც რეგისტრირებული არ ყოფილა;
- ბ) რომელსაც წინმსწრები საბაჟო პროცედურის/რექსპორტის გამოყენებისას სააგენტოს სპეციალისტის მიერ უკვე ჩაუტარდა სავალდებულო საექსპერტო შემოწმება.

საქონლისათვის საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შეღავათების გამოყენების პირობას წარმოადგენს:

- ა) ჰუმანიტარული დახმარების სტატუსისა და გრანტის სტატუსის მინიჭების თაობაზე შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილება;
- ბ) სხვა შემთხვევებში:
  - ბ.ა) უცხოეთის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლის, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათა და საკონსულო დაწესებულებათა ქონების თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების დროს – შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;

---

[777] დანართების შესახსებ იხ. ინსტრუქცია „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ“ (დანართი №12).

• გ.ბ) „ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციებში დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრები ოჯახის წევრების ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი პირადი მოხმარების საგნებისა და საყოფაცხოვრებო ნივთების თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების დროს – აღნიშნული კანონის მიხედვით საოპერაციო კომპანიის (ინვესტორის) მიერ გაცემული ნავთობისა და გაზის ოპერაციებში დასაქმების დამადასტურებელი დოკუმენტი;

• გ.გ) „ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად განკუთვნილი მოწყობილობა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების, სათადარიგო ნაწილების, მასალების და ნავთობპროდუქტების თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების დროს – აღნიშნული კანონის მიხედვით საოპერაციო კომპანიის (ინვესტორის) მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი;

• გ.დ) საერთაშორისო საავიაციო ან საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებელი საწვავის ან/და საპოხი საშუალებების, ან ასეთი რეისების განხორციელებისას მგზავრებზე და ეკიპაჟის წევრებზე სარეალიზაციოდ განკუთვნილი სამომხმარებლო საქონლის, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფარგლებში სამოქალაქო საავიაციო რეისების ან საავიაციო სამუშაოების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებელი საწვავის ან/და საპოხი საშუალებების თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების შემთხვევაში – აღნიშნული საქონლის ბორტზე ფაქტობრივად მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტები და „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის №IV-08, №IV-09 და №IV-091 დანართებით გათვალისწინებული ანგარიშგებები;

• გ.ე) საქართველოს ეროვნული ბანკისათვის გადასაცემი ოქროსა და ოქროს ზოდების თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების დროს – საქართველოს ეროვნული ბანკისათვის ოქროს

გადაცემის დამადასტურებელი, ბანკის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი;

- ბ.ვ) ელექტროენერგიის წარმოებისათვის ბუნებრივი აირის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების დროს – თბოელექტროსადგურების მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი;
- ბ.ზ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი ნუსხის მიხედვით სამკურნალო (ფარმაცევტული) მიზნებისათვის განკუთვნილი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე და 29-ე ჯგუფებით გათვალისწინებული ნედლეულის ან/და სუბსტანციების თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების დროს – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემული ფარმაკოლოგიური საშუალების კლინიკური კვლევის ან ფარმაცევტული წარმოების ან ავტორიზებული აფთიაქის ნებართვა, ან იმპორტიორის მიერ გაფორმებული ხელშეკრულება აღნიშნული ნებართვის მქონე პირთან ნედლეულის მიწოდების თაობაზე;
- ბ.თ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული, ქარხნულად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ გამოყენებისათვის ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალების თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების დროს:
- ბ.თ.ა) სეს ესნ-ის 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების ქარხანა-დამამზადებლის/მისი ოფიციალური წარმომადგენლობის ან სატრანსპორტო საშუალების ქარხნულად ადაპტირების განმახორციელებელი სხვა პირის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ აღნიშნული სატრანსპორტო საშუალება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ გამოყენებისათვის ქარხნულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ სატრანსპორტო საშუალების დამოუკიდებლად მართვის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის გადაადგილების მიზნით;

- ბ.თ.ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების გათვალისწინებით გაცემული „სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტი (ფორმა NIV-50/2)“, რომელიც ადასტურებს მისი სავარძელეტლით გადაადგილების საჭიროებას და ამავე ბრძანებით გათვალისწინებული, აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე გაცემული „სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის აქტის ამონაწერი (ფორმა NIV-50/4)“, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ამ პირისათვის შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მინიჭებისა და სტატუსის მინიჭების ვადის შესახებ;
- ბ.ი) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი ნუსხის მიხედვით სამკურნალო/სამედიცინო მიზნებისათვის განკუთვნილი, საგარეოეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2804 40 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში კლასიფიცირებული ჟანგბადის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების დროს – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემული სამედიცინო საქმიანობის ლიცენზია ან/და

სტაციონარული დაწესებულების ან/და ფარმაცევტული წარმოების ნებართვა, ან აღნიშნული ლიცენზიის ან/და ნებართვის მქონე პირთან იმპორტიორის მიერ გაფორმებული ხელშეკრულება საქონლის მიწოდების თაობაზე.

„იმ შემთხვევაში, თუ საქონელი იმყოფება წარმოების ისეთ ეტაპზე, რომელიც მხოლოდ მისი საბოლოო მოხმარების შესაძლებლობას უზრუნველყოფს, საბაჟო ორგანოს შეუძლია ავტორიზაციაში მიუთითოს ის პირობები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც მიიჩნევა, რომ საქონელი გამოყენებულ იქნა იმ მიზნობრივი დანიშნულებით, რომლისთვისაც გათავისუფლდა იმპორტის გადასახდელისგან“[778].

თუ შესაძლებელია მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონლის მრავალჯერადი გამოყენება და საბაჟო ორგანო საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის თავიდან აცილების მიზნით საჭიროდ მიიჩნევს მის მიმართ საბაჟო ზედამხედველობის გაგრძელებას, იგი უნდა გაგრძელდეს საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით პირველად გამოყენების დღიდან **არაუმეტეს 3 წლით.** იმ საქონლის ნუსხა, რომლის მიმართაც საბაჟო ზედამხედველობა არ სრულდება ამ ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით.

დაუშვებელია საბაჟო ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონლის საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე გასხვისება, დაგირავება, სხვა პირისთვის თხოვება ან სარგებლობაში გადაცემა ან სხვაგვარად გამოყენება[779].

ინსტრუქციის **„საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ“ მე-5 მუხლის („საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებული გამონაკლისები“) თანახმად,** მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში მოქცეუ-

[778] საბაჟო კოდექსი, მ. 141. ნ.2.

[779] საბაჟო კოდექსი, მ.141. ნ. 4.

ლი საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილდება საბაჟო ფორმალობების გარეშე. მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში მოქცეულ საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა დასაშვებია საქართველოს საბაჟო კოდექსის 141-ე მუხლის მე-7 ნაწილით *(„თუ მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონელი გასხვისდა იმ პირზე, რომელიც მას იყენებს იმ მიზნობრივი დანიშნულებით, რომლისთვისაც საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მოქცევისას იმპორტის გადასახდელზე შეღავათები იქნებოდა გამოყენებული, ამ საქონელზე ისევ გავრცელდება აღნიშნული შეღავათები და იგი ახალი მიზნობრივი დანიშნულებითდარჩება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ)"* გათვალისწინებულ შემთხვევაში, წერილობით გაფორმებული ხელშეკრულების ან საქონლის ნასყიდობის სხვა დოკუმენტის საფუძველზე.

ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში, საქონლის ახალ მფლობელი (მესაკუთრე) ვალდებულია, საკუთრების უფლების შეძენიდან **არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა** განახორციელოს ამ საქონლის დეკლარირება. ამასთან, სხვა პირზე საქონლის სრულად გასხვისებისას წინმსწრები საბაჟო დეკლარაციის ელექტრონულ ვერსიაში კეთდება აღნიშვნა „ძალადაკარგულია" და მიეთითება ახალი საბაჟო დეკლარაციის ნომერი და თარიღი, ხოლო სხვა პირზე საქონლის ნაწილის გასხვისებისას წინსმწრებ საბაჟო დეკლარაციაში ხორციელდება შესაბამისი ცვლილება და მიეთითება ახალი საბაჟო დეკლარაციის ნომერი და თარიღი.

მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში მოქცეული საქონელი შესაძლებელია დაგირავდეს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად, საქონლის მესაკუთრესა და ნებისმიერ სხვა პირს შორის წერილობით დადებული გარიგებისა და ამ გარიგებით განსაზღვრული გირავნობის უფლების საჯარო რეესტრში („საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით[780] განსაზღვრულ სატრანსპორტო

[780] საუბარია: სატრანსპორტო საშუალების, მისი ნომრიანი აგრეგატებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალების რეგისტრაცია და რეგისტრაციის გაუქმება-ზე, კერძოდ: **საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას დადგენილი**

საშუალებასა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე – სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში) რეგისტრაციის საფუძველზე.

დაგირავებული საქონლის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 260[1] მუხლის[781] შესაბამისად მოგირავნის საკუთრებაში გადასვლის შემთხვევაში, მოგირავნე ვალდებულია, საკუთრების უფლების შეძენიდან **არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა,** განახორციელოს ამ საქონლის დეკლარირება შესაბამის საბაჟო პროცედურაში ან წარადგინოს რექსპორტის დეკლარაცია/შეტყობინება. დაგირავებული საქონლის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 283-ე მუხლის შესაბამისად რეალიზაციის შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია, საკუთრების უფლების შეძენიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, განახორციელოს ამ საქონლის დეკლარირება შესაბამის საბაჟო პროცედურაში ან წარადგინოს რექსპორტის დეკლარაცია/შეტყობინება.

სამოქალაქო კოდექსის 283-ე მუხლის („გირავნობის საგნის რეალიზაცია") თანახმად: „მოგირავნე უფლებამოსილია უშუალოდ მოახდინოს გირავნობის საგნის რეალიზაცია, თუ არსებობს ამის შესახებ

წესით რეგისტრაციას ექვემდებარება: ა) მექანიკური სატრანსპორტო საშუალება (გარდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ განსაზღვრული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებებისა); ბ) მისაბმელი, რომელიც განკუთვნილია ამ პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებით მისი ბუქსირებისთვის; გ) სპორტული დანიშნულების ავტომობილი; დ) ამ პუნქტის „ა"–„გ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალებების ნომრიანი აგრეგატები; ე) სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალება; ვ) ინდივიდუალური (თვითნაკეთი) წესით დამზადებული ან გადაკეთებული ამ პუნქტის „ა"–„ე" ქვეპუნქტებით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალებები, მათი ნომრიანი აგრეგატები და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალება.

[781] დაგირავებული ნივთი შეიძლება გადავიდეს კრედიტორის (მოგირავნის) საკუთრებაში ამ კანონით გათვალისწინებულ საფუძველზე მხოლოდ რეგისტრირებული გირავნობის შემთხვევაში და ამის შესახებ პირდაპირ უნდა აღინიშნოს ხელშეკრულებაში.

მოგირავნისა და დამგირავებელის შეთანხმება. უშუალოდ მოგირავნის მიერ გირავნობის საგნის პირდაპირი მიყიდვის გზით რეალიზაციის შემთხვევაში მოგირავნე ვალდებულია, გირავნობის საგანი გაასხვისოს სამართლიან და გონივრულ ფასში თავისი, დამგირავებლისა და სხვა მოგირავნეების ინტერესების გათვალისწინებით, ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოგირავნე პასუხს აგებს დამგირავებლისა და სხვა მოგირავნეებისთვის მიყენებული ზიანისათვის. თუ გირავნობის საგანს აქვს საბირჟო ან საბაზრო ფასი, მოგირავნეს შეუძლია გირავნობის საგნის გაყიდვა მიანდოს სპეციალურ სავაჭრო დაწესებულებას.თუ დაგირავებული მოთხოვნის რეალიზაცია ბორციელდება მოვალის მიერ მოგირავნის სასარგებლოდ შესრულებით, მოგირავნე ვალდებულია წარუდგინოს დამგირავებელს ანგარიში მოვალის მიერ თავის სასარგებლოდ განხორციელებული შესრულების შესახებ".

იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონელი განადგურდა ან დაზიანდა, საქონლის მფლობელი ვალდებულია შეატყობინოს საბაჟო ორგანოს დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის შესახებ და წარუდგინოს საქონლის განადგურების ან დაზიანების უტყუარი, უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული მტკიცებულებები. სხვა შემთხვევაში საქონელი უკანონოდ განკარგულად მიიჩნევა.

მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში მოქცეული საქონელი რჩება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ აღნიშნული პროცედურის დასრულებამდე.

საბაჟო ზედამხედველობა სრულდება, თუ:

- ა) შესრულდა საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პირობა;
- ბ)გაუქმდა მიზნობრივი სტატუსი და საქონელი მოექცა თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში;
- გ) საქონელი დეკლარირებულ იქნა ექსპორტის პროცედურაში;
- დ) საბაჟო ორგანოს თანხმობით საქონელი სხვა მიზნით იქნა გამოყენებული და გადახდილ იქნა იმპორტის გადასახდელის შესაბამისი თანხა;

• დ) განხორციელდა საქონლის განკარგვა საბაჟო კოდექსის XV თავის[782] შესაბამისად.

საბაჟო კოდექსის 141-ე მუხლის მე-6 ნაწილი გამოყენება ინსტრუქციის „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ" მე-7 პუნქტთან კავშირში.

პროცედურის მფლობელმა საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პირობის შესრულების დამადასტურებელი ინფორმაცია საბაჟო ორგანოს უნდა წარუდგინოს საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების დასრულებიდან **30 დღის** ვადაში.

პროცედურის მფლობელის დასაბუთებული მოთხოვნისას, **30 დღიანი** ვადა საბაჟო ორგანომ შეიძლება გააგრძელოს **60 დღემდე.**

მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილ, მრავალჯერადი გამოყენების საქონელზე საბაჟო ზედამხედველობისა და, შესაბამისად, მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურის დასრულების ვადა განისაზღვრება საქონლის სახეობისა და მისი შემოტანის მიზნის გათვალისწინებით, მაგრამ არა უმეტეს **3 წლით** ამ საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით პირველად გამოყენების დღიდან.

3 წლიანი ვადის გასვლის შემდეგ საბაჟო ზედამხედველობა არ დასრულდება „მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო რეგისტრაციის წესების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 31 იანვრის №150 ბრძანებით გათვალისწინებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებზე.

როდესაც მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურა დასრულდება, იმ შემთხვევაში, თუ: განხორციელდა საქონლის განკარგვა საქართველოს საბაჟო კოდექსის XV თავისა და ამ ბრძანებით დამტკიცებული – „საქონლის განკარგვის შესახებ ინსტრუქციის" (დანართი №18) შესაბამისად[783], მაშინ მიზნობრივი

---

[782] საქონლის განკარგვის შესახებ ვრცლად იხ. ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, პირველი ნაწილი, 2021; ასევე, აღნიშნული სახელმძღვანელოს შესაბამის თავებში.

[783] იხ. 767 სქოლიო.

დანიშნულებით გამოყენების სპეციალური პროცედურა სრულდება საქონლის სხვა საბაჟო პროცედურაში მოქცევით ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანით ან ნარჩენების გარეშე განადგურებით ან საქართველოს საბაჟო კოდექსის 104-ე მუხლის შესაბამისად სახელმწიფოსათვის გადაცემით.

საბაჟო კოდექსის 104-ე მუხლის შესახებ ვრცელი კომენტარია გაკეთებული: ბარაზი ი; საბაჟო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, პირველი ნაწილი, 2021; ბარაზი ი; ასევე აღნიშნულ სახელმძღვანელოში, შესაბამის პარაგრაფში.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, იმ შემთხვევაში თუკი მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონელი გასხვისდა იმ პირზე, რომელიც მას იყენებს იმ მიზნობრივი დანიშნულებით, რომლისთვისაც საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მოქცევისას იმპორტის გადასახდელზე შეღავათები იქნებოდა გამოყენებული, ამ საქონელზე ისევ გავრცელდება აღნიშნული შეღავათები და იგი ახალი მიზნობრივი დანიშნულებით დარჩება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ.

საჭიროების შემთხვევაში მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში გამოიყენება საბაჟო კოდექსის 143-ე მუხლით გათვალისწინებული გამოსავლიანობის ნორმა.

რადგან გამოსავლიანობის ნორმების შესახებ მომდევნო თავებში იქნება საუბარი საქონლის შიდა და გარე გადამუშავების მარეგულირებელი ნორმების ანალიზისას, ამ შემთხვევაში ამ საკითხს აღარ განვავრცობთ.

მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონლის გამოყენების ან დამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენი ან/და ჯართი, მისი მიზნობრივი დანიშნულებისა და ბუნებრივი დანაკარგების გათვალისწინებით, იმავე მიზნით გამოსაყენებელ საქონლად მიიჩნევა.

მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონლის განადგურების შედეგად მიღებული ნარჩენი ან/და ჯართი საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეულად მიიჩნევა. საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში მოქცევისა და ამ პროცედურის დასრულების წესები და პირობები როგორც ამ თავის შესავალშივე აღვნიშნეთ, განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „საქონლის

თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ“ (*დანართი №1).*

აღნიშნული ინსტრუქციის მე-6 მუხლის („მიზნობრივი სტატუსის გაუქმება და საბაჟო ან/და საგადასახადო ვალდებულების წარმოშობა“) თანახმად, მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში მოქცეული საქონლის მიზნობრივი სტატუსის (კერძოდ, გრანტისა და ჰუმანიტარული დახმარების სტატუსი) გაუქმების შემთხვევაში, გარდა ამავე ქვემოთ მითითებული მუხლის მე-2 პუნქტითა და საქართველოს საბაჟო კოდექსის 141-ე მუხლის მე-7 ნაწილით[784] გათვალისწინებულისა:

- ა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის დატოვების შემთხვევაში, იგი უნდა მოექცეს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში, ამასთან:
  - ა.ა) თუ მიზნობრივი სტატუსი გაუქმდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებული საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის ან საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებისას იმპორტის გადასახდელისაგან გათავისუფლების შესაბამისი პირობის დარღვევის შედეგად, საბაჟო ან/და საგადასახადო ვალდებულება წარმოიშობა საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან;
  - ა.ბ) თუ მიზნობრივი სტატუსი გაუქმდა საქონლის მფლობელის განცხადების საფუძველზე, საბაჟო ან/და საგადასახადო ვალდებულება წარმოიშობა საქონლისათვის აღნიშნული სტატუსის გაუქმების დღიდან.

---

[784] თუ მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონელი გასხვისდა იმ პირზე, რომელიც მას იყენებს იმ მიზნობრივი დანიშნულებით, რომლისთვისაც საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მოქცევისას იმპორტის გადასახდელზე შეღავათები იქნებოდა გამოყენებული, ამ საქონელზე ისევ გავრცელდება აღნიშნული შეღავათები და იგი ახალი მიზნობრივი დანიშნულებით დარჩება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ.

„საქართველოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის აზერბაიჯანის რესპუბლიკის, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიების გავლით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ" საქართველოს მთავრობასა და საექსპორტო მილსადენის პროექტის მონაწილეებს შორის 1999 წლის 18 ნოემბრის სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებით და „საქართველოს და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სამხრეთკავკასიური მილსადენის სისტემის მეშვეობით საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიებზე და ამ ტერიტორიების ფარგლებს გარეთ ბუნებრივი გაზის ტრანზიტის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის შესახებ" 2001 წლის 12 ოქტომბრის სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის ფარგლებში საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის მიწოდების (გარდა მითითებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საქმიანობის ფარგლებში მიწოდებისა) შემთხვევაში გაუქმდება საქონლის მიზნობრივი სტატუსი. ამასთან, არ დაირიცხება და გადაიხდება იმპორტის გადასახდელი და მყიდველის მიერ გადახდილი ან გადასახდელი დღგ, მაგრამ არანაკლებ დადგენილი განაკვეთისა, რომელიც დარიცხულია კომპენსაციის ფაქტობრივ თანხაზე, გადაიხდება გამყიდველის მიერ ამ საქონლის მიწოდების სანაცვლოდ მიღებული კომპენსაციიდან და გადაირიცხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ლარობით **15 დღის განმავლობაში,** იმ თვის დამთავრებიდან, როდესაც მოხდა საქონლის მიწოდება ან განაღდება, იმის გათვალისწინებით, რომელი უფრო ადრე მოხდა. თუ თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებული საქონელი, რომელიც დაიბეგრებოდა დღგ-ით ამ პუნქტის შესაბამისად, გასხვისებულია ნულოვანი ღირებულებით სახელმწიფო ორგანოებზე, დღგ არ გადაიხდება.

A. დასამახსოვრებელი დებულებები!

მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში საქონელი, მისი სპეციალური გამოყენების გათვალისწინებით, შეიძლება გაშვებულ იქნეს თავისუფალ მიმოქცევაში იმპორტის გადასახდელისგან გათავისუფლების პირობით.

მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში საქონლის დეკლარირება შესაძლებელია განხორციელდეს: საქონლის საბაჟო დეკლარაციით; ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციით.; საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ით.

დაუშვებელია საბაჟო ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონლის საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე გასხვისება, დაგირავება, სხვა პირისთვის თხოვება ან სარგებლობაში გადაცემა ან სხვაგვარად გამოყენება.

მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში მოქცეული საქონელი რჩება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ აღნიშნული პროცედურის დასრულებამდე.

B. კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის:

როგორი საქონელი შეიძლება შემოტანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე მიზნობრივი დანიშნულებით?

მიზნობრივი დანიშნულებით საქონლის შემოტანისას გადაიხდება თუ არა საბაჟო გადასახდელები?

კანონმდებლობით დასაშვებია თუ არა საბაჟო ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონლის საბაჟო ორგანოს თანხმობის გარეშე გასხვისება, დაგირავება, სხვა პირისთვის თხოვება ან სარგებლობაში გადაცემა ან სხვაგვარად გამოყენება?

როდემდე რჩება მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში მოქცეული საქონელი საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ?

C. ტესტები:

მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში საქონლის დეკლარირება შესაძლებელია განხორციელდეს:

ა. საქონლის საბაჟო დეკლარაციით; ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციით.; საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ით

ბ. საქონლის საბაჟო დეკლარაციით

გ. ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციით

დ. საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ით.

მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერების აქტის წარდგენის ვალდებულება არ ვრცელდება იმ სატრანსპორტო საშუალებებზე:

ა. რომელიც შემოყვანილია იურიდიული პირის მიერ და რომელიც რეგისტრირებული არ ყოფილა

ბ. რომელიც შემოყვანილია იურიდიული პირის მიერ და რომელიც რეგისტრირებული არ ყოფილა; რომელსაც წინმსწრები საბაჟო პროცედურის/რექსპორტის გამოყენებისას სააგენტოს სპეციალისტის მიერ უკვე ჩაუტარდა სავალდებულო საექსპერტო შემოწმება

გ. რომელსაც წინმსწრები საბაჟო პროცედურის/რეექსპორტის გამოყენებისას სააგენტოს სპეციალისტის მიერ უკვე ჩაუტარდა სავალდებულო საექსპერტო შემოწმება

დ. რომელსაც წინმსწრები საბაჟო პროცედურის/ექსპორტის გამოყენებისას სააგენტოს სპეციალისტის მიერ უკვე ჩაუტარდა სავალდებულო საექსპერტო შემოწმება.

საბაჟო ზედამხედველობა სრულდება, თუ:

ა. შესრულდა საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პირობა

ბ. საქონელი დეკლარირებულ იქნა ექსპორტის პროცედურაში

გ. შესრულდა საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პირობა; საქონელი დეკლარირებულ იქნა ექსპორტის პროცედურაში; საბაჟო ორგანოს თანხმობით საქონელი სხვა მიზნით იქნა გამოყენებული და გადახდილ იქნა იმპორტის გადასახდელის შესაბამისი თანხა; განხორციელდა საქონლის განკარგვა ამ კოდექსის XV თავის შესაბამისად

დ. საბაჟო ორგანოს თანხმობით საქონელი სხვა მიზნით იქნა გამოყენებული და გადახდილ იქნა იმპორტის გადასახდელის შესაბამისი თანხა; განხორციელდა საქონლის განკარგვა ამ კოდექსის XV თავის შესაბამისად.

D. სამართლებრივი აქტები:

საერთაშორისო აქტები:

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელწიფოებს შორის,

https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0

კიოტოს 1973 წლის კონვენცია „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ“, *საქართველოს აღნიშნულ კონვენციას შეუერთდა 2018 წლის 20 ივლისს, საქართველოს პარლამენტის დადგენილებით. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4270130?publication=0*

შეთანხმება თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ (ძალაში შესვლის თარიღი: 06/12/2002),

https://www.matsne.gov.ge/document/view/1224033?publication=0

საკანონმდებლო აქტები:

საქართველოს კონსტიტუცია, მ.19.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

საქართველოს სამაჟო კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=5

საქართველოს საგადასახადო კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/32842?publication=69

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/19024?publication=0

საქართველოს ადმინისტრაციული ზოგადი კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=39

საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ"
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2062?publication=41

საქართველოს კანონი „საგზაო მოძრაობის შესახებ",
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2169396?publication=23

საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ, მ.4. პ.33. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/26824?publication=91

საქართველოს__კანონი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ", https://www.matsne.gov.ge/document/view/21994?publication=9

(საქართველოს კანონი „საბიუჯეტო სისტემის შესახებ" მ.15.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/14638?publication=20

საქართველოს კანონი „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ", https://matsne.gov.ge/ka/document/view/1670322

საქართველოს კანონი „ნავთობისა და გაზის შესახებ",
https://matsne.gov.ge/ka/document/view/18424?publication=30

საქართველოს კანონი „საგზაო მოძრაობის შესახებ",
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2169396?publication=23

კანონქვემდებარე აქტები:

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 14 იანვრის #25 დადგენილება „თავისუფალი ზონის შექმნის პირობების, მისი შექმნისთვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის ფუნქციონირების, მასში საქონლის შენახვისა და საბაჟო კონტროლის განხორციელების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე",
https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/4772532/1/ge/pdf

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის #453 დადგენილება „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“;

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4657381?publication=0

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ“, (დანართი №12),

https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საქონლის დროებითი შემოტანის პროცედურის შესახებ“ (დანართი #11),

https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“, ინსტრუქცია „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ“ (დანართი #5), https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის ბრძანება (№275 წლის) „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ დანართი #1, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3

ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია (დანართი №2) „საბაჟო კონტროლის შესახებ“;

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს #257 ბრძანება „საქართველო საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“, დანართი #3, ინსტრუქცია „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“,

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“,

https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/1167887/285/ge/pdf

ფინანსთა მინისტრის #257 ბრძანება (დანართი №1), ინსტრუქცია „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“,

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ (დანართი №8),
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

E. გამოყენებული ლიტერატურა:

ქართულ ენაზე:

ბარაზი ია, საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, დამხმარე სახელმძღვანელო, გამომცემლობა „გეორგიკა", თბილისი, 2021

ბარაზი ია, საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, დამხმარე სახელმძღვანელო, გამომცემლობა „გეორგიკა", თბილისი, 2021

ბარაზი ია, საერთაშორისო საბაჟო სამართალი, თბილისი, 2013

ბარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2007

ბარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2010

ბარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2019, ლექციების კურსი, https://www.sou.edu.ge

ბარაზი ია; საქართველოს საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა", თბილისი, 2015

ბარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბილისი, 2014

ბარაზი ი; საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, მეორე ნაწილი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2020

ბარაზი ია, აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტ. თანაავტ. „საგადასახადო და საბაჟო სამართალი ქართულ სასამართლო სივრცეში (სასამართლო პრაქტიკის მასალები იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის)", გამომც. ქუთაისის უნივერსიტეტი, თბილისი, 2019

როგავა ზ; საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, წიგნი მესამე, გამომცემლობა ურისტების სამყარო", თბილისი, 2017

ნადარაია, როგავა, რუხაძე, ბოლქვაძე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, §§ 156-310, 47-ე მუხლ. ავტ. ნადარაია, 331, https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00J1P6.pdf

გონერ ურიდია, ფრიდონ არაბამია, საბაჟო საქმის თეორია, თბილისი, 2009

ურიდია გ; საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები, გამოცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011

ლორთქიფანიძე ვ; საბაჟო საქმის საფუძვლები, თბილისი, 2002

ჯგერენაია ემზარ, საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 2022

გ. ურიდია, მ. არახამია, ფ. რუხაია, საბაჟო რეჟიმები, თბილისი, 2005

ურიდია გონერ, რუხაია ფრიდონ, არახამია მერაბ, საბაჟო გაფორმება TIR და ATA (CPD) კარნეტის პრინციპებით, თბილისი, 2004

ურიდია გონერ, არახამია მერაბ, რუხაია ფრიდონ, საბაჟო რეჟიმები, თბილისი, 2005

ამილახვარი ზ; საქართველოს საბაჟო სამართალი, თბილისი, 2007

უცხოენაზე:

Борисов К. Г. Международное Таможенное право, Учеб, пособие – М; изд. ун-та дружби народов 1997

Козирин А. Н. Таможенное право Росии, Учеб, пособие – М; фирма СПАРК, 1995

Бахрах Д. Н. Кивалов С. В. Таможенное право Росии, Екатеринбург, Диамант, 1995

F. სამეცნიერო ნაშრომები:

ია ბარაზი, „საგადასახადო სამართლებრივ რეგულირებაში პრეზუმპტიული მეთოდების გამოყენების შესახებ“, „დიპლომატია და სამართალი“, #1(4), 2018, გვ. 46-68

ია ბარაზი, კახა ქოიავა, „საბაჟო საქმისა და საბაჟო სამართლის კონსტიტუციურსამართლებრივი საფუძვლები“, ჟურნალი „სამართალი“, #1-2, 2008, გვ. 17-20

ია ბარაზი, გელა ციცქაძე, გიორგი ირემაშვილი, „საბაჟო რეჟიმების სტრუქტურა და შინაარსი (საქართველოს საბაჟო კოდექსის მიხედვით)“, ჟურნალი „სამართალი“, #1-2, 2007, გვ. 17-23

ია ბარაზი, ქეთინო ბარაზი, „გადამუშავების საბაჟო რეჟიმების ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა“, ჟურნალი „სამართალი“, #3-4, 2007, გვ. 42-45

უერთაშვილი ნატო, ბარაზი ია, „საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტები“, საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომათა კრებული, I, თბილისი, 2010, გვ. 194-212

ია ხარაზი, ქეთევან კვინიკაძე, „სასაქონლო ოპერაციები", „მართლმსაჯულება და კანონი," №4(31), 2011, გვ.148-160

ია ხარაზი, ნატო უერთაშვილი, თემურ გერგედავა, „საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტების თავისებურებათა შესახებ", ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", #1(24), 2010

ია ხარაზი, ნატო უერთაშვილი, მაკა ორჯონიკიძე, „საბაჟო სამართლის ნორმათა განმარტების თავისებურებანი", ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", №4)27), 2010, გვ. 56-67

И. В. Харази, Е. Д. Мчедлишвили, Д. Х. Чагунава, И. М. Леонидзе, „Правовые аспекты классификации таможенных режимов", AIR TRANSPORT, ВОЗДУШНЫЙ ТРАНСПОРТ, Aviation University of Georgia, Авиационный Университет Грузии, Тбилиси, #2(5), 2010, стр. 125-137

И. В. Харази, М. И. мосулишвили ,Е. Д. Мчедлишвили, Проблемы и своеобразия Таможенного кодекса Грузии", AIR TRANSPORT, ВОЗДУШНЫЙ ТРАНСПОРТ, Aviation University of Georgia, Авиационный Университет Грузии, Тбилиси, 2009, #1(3), стр. 119-130

G. ლექსიკონი:

მობელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე] - თბ., 2004 - 483 გვ.: ცხრ.; 24სმ. - (საჯარო მოსამსახურის ბ-კა). - ISBN 99940-0-063-2: [ფ.ა.]; http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=17983

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1962

H. ვებრესურსები:

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. პაპავა ვლადიმერ, „თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა - „უკვდავი იდეა". აპრილი, 2007. http://gfsis, org/media/download/library/articles/EXPERT OPINION VPADIMER PAPAVA ENG.pdf

ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო" საქართველოს მთავრობის „50"-დღიანი პროგრამა" ანალიზი და შეფასებები, 2008, №15. იხ. Htt://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=5

http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=17983

https://www.rs.ge/

თავი VIII6. შიდა გადამუშავების პროცედურა

1. შიდა გადამუშავების პროცედურის გამოყენება

გადამუშავების ოპერაციების მარეგულირებელი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა. საერთაშორისო საბაჟო შეთანხმებები (კერძოდ, კიოტოს 1973 წლის კონვენცია), მთელი რიგი ქვეყნების, მათ შორის ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობა[785], იმისდამიხედვით, თუ რომელ ქვეყანაში მიმდინარეობს საქონლის გადამუშავება და რომელია გადამუშავებული საქონლის წარმოშობის ქვეყანა, ასხვავებენ **გადამუშავების ორ ტიპს - აქტიურს და პასიურს. პირველს** მიეკუთვნება შემთხვევა, როცა უცხოური წარმოშობის საქონლის გადამუშავება ხდება ეროვნულ საბაჟო ტერიტორიაზე, ხოლო მეორე, როცა წარმოშობით ეროვნული საქონელი გადამუშავდება ქვეყნის საბაჟო ტერიტორიის გარეთ[786]. ძირითადად საქართველოს საბაჟო

---

[785] The Union Customs Code (UCC), https://taxation-customs.ec.europa.eu/customs-4/union-customs-code_en

[786] ხარაზი ია; „გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება, დისერტაცია, თსუ, 2006; 59; ხარაზი ია; გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება (მონოგრაფია), თბილისი, 2006; ია ხარაზი, „საგადასახადო სამართლებრივ რეგულირებაში პრეზუმპტიული მეთოდების გამოყენების შესახებ", „დიპლომატია და სამართალი", #1(4), 2018, გვ. 46-68; ია ხარაზი, კახა ქოიავა, „საბაჟო საქმისა და საბაჟო სამართლის კონსტიტუციურსამართლებრივი საფუძვლები", ჟურნალი „სამართალი", #1-2, 2008, გვ. 17-20; ია ხარაზი, გელა ცინცაძე, გიორგი ირემაშვილი, „საბაჟო რეჟიმების სტრუქტურა და შინაარსი (საქართველოს საბაჟო კოდექსის მიხედვით)", ჟურნალი „სამართალი", #1-2, 2007, გვ. 17-23; ია ხარაზი, ქეთინო ხარაზი, „გადამუშავების საბაჟო რეჟიმების ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა", ჟურნალი „სამართალი", #3-4, 2007, გვ. 42-45; უერთაშვილი ნატო, ხარაზი ია, „საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტები", საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომათა კრებული, I, თბილისი, 2010, გვ. 194-212; ია ხარაზი, ქეთევან კვინიკაძე, „სასაქონლო ოპერაციები", „მართლმსაჯულება და კანონი," #4(31), 2011, გვ.148-160; ია ხარაზი, ნატო უერთაშვილი, თემურ

კოდექსი, ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანება არეგულირებს საქონლის შიდა და გარე გადამუშავების პროცედურებს.

2019 წლის საბაჟო კოდექსმა დაადგინა გადამუშავების ორი დამოუკიდებელი საბაჟო პროცედურა: **საქონლის შიდა გადამუშავება და საქონლის გარე გადამუშავება,** ნაცვლად, 1998 წლის საბაჟო კოდექსისა, რომელიც ფაქტობრივად იცნობდა გადამუშავების 3 საბაჟო რეჟიმს: საქონლის გადამუშავება საბაჟო ტერიტორიაზე, საქონლის გადამუშავება საბაჟო კონტროლის ქვეშ და საქონლის გადამუშავება საბაჟო ტერიტორიის გარეთ. ჩემს მიერ სამეცნიერო ნაშრომებში არაერთხელ გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ საბაჟო კანონმდებლობით საქონლის გადამუშავების სამი რეჟიმის (დღეს პროცედურა, სპეციალური ოპერაცია) დაწესება საბაჟო კანონმდებლობით საკანონმდებლო ხარვეზი იყო და არა მარტო ხარვეზი, იგი გარკვეულწილად აბნევდა ამ რეჟიმის გამომყენებელთ, საუბარია „საქონლის გადამუშავებაზე საბაჟო ტერიტორიაზე“ და საბაჟო კონტროლქვეშ“, რომლებიც ფაქტობრივად ერთი პრინციპით ახდენდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავებას (თუმცა გარკვეული განსხვავებებით). არსებული ხარვეზი დღეს უკვე გამოსწორებულია და საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავება და საბაჟო კონტროლქვეშ გადამუშავება მოექცა ერთ - შიდა გადამუშავების პროცედურაში.

გერგედავა, „საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტების თავისებურებათა შესახებ“, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, #1(24), 2010; ია ხარაზი, ნატო უერთაშვილი, მაკა ორჯონიკიძე, „საბაჟო სამართლის ნორმათა განმარტების თავისებურებანი“, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“,#4)27), 2010, გვ. 56-67; И. В. Харази, Е. Д. Мчедлишвили, Д. Х. Чагунава, И. М. Леонидзе, „Правовые аспекты классификации таможенных режимов“, AIR TRANSPORT, ВОЗДУШНЫЙ ТРАНСПОРТ, Aviation University of Georgia, Авиационный Университет Грузии, Тбилиси, #2(5), 2010, стр. 125-137; კიოტოს 1973 წლის კონვენცია „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ“, საქართველოს აღნიშნულ კონვენციას შეუერთდა 2018 წლის 20 ივლისს, საქართველოს პარლამენტის დადგენილებით. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4270130?publication=0.

გადამუშავების ოპერაციების რეგლამენტში არჩეული ბევრი საერთოს გათვალისწინებით, საბაჟო კოდექსი შეიცავს რიგ „გამჭვირვალე მუხლებს", რომლებიც ერთდროულად არეგულირებენ გადამუშავების ორივე ტიპს. მხედველობაშია საბაჟო კოდექსის ის მუხლები (142, 143, 145, 148, 150 და ა.შ.), რომლებმაც განამტკიცა გადამუშავების ოპერაციების ზოგადი ნორმები, დამახასიათებელი ორივე პროცედურისათვის. ასევე, გადამუშავების მარეგულირებელ ნორმებში გაწერილია ზოგადი დებულებები ლიცენზიის მიღების, გადამუშავების ვადების, გამოსავლიანობის ნორმების დადგენის და ა.შ. შესახებ.

გადამუშავების შესაძლო ოპერაციების, საქონლის გადამუშავების ლიცენზიის გაცემის, მისი უკან გამოთხოვის ან ანულირების საფუძვლების, გადამუშავების ოპერაციების გამოყენების საბაჟო პირობების, შეზღუდვებისა და მოთხოვნების წრე დარეგულირებულია უშუალოდ **საბაჟო კოდექსით, ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციებით „შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ", (დანართი №13) და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით (დანართი №14), „გარე გადამუშავების პროცედურის შესახებ"**, ასევე სხვა ნორმატიული აქტებით.

ამჟამად მოქმედი გადამუშავების ოპერაციების შესახებ ნორმატიული აქტები კომპლექსური ხასიათისაა.

გადამუშავების პროცედურების გამოყენების აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების დონეზე დარეგულირებული სამართლებრივი აქტებიდან მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება გადამუშავების პროცედურებში მოქცეული საქონლის იდენტიფიკაციის საკითხებს.

საბაჟო დეპარტამენტის რიგი სამართლებრივი აქტები ინდივიდუალური ხასიათისაა, მაგრამ გარკვეული მნიშვნელობა აქვს გადამუშავების ოპერაციების მექანიზმის გაგებისათვის. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ **ინსტრუქცია „შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ", (დანართი №13), რომელიც დამტკიცებულია, ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257-ე ბრძანებით.**

გადამუშავების სპეციალური ოპერაციების საქართველოს სინამდვილეში სრული დატვირთვის ამოქმედება სახელმწიფოსათვის დიდი ეკონომიკური სარგებლის მომტანი იქნება. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ საბაჟო კოდექსის შემდგენლებს გათვალისწინებული აქვთ მათი დიდ ეკონომიკური სარგებლიანობა და მომგებიანობა ქვეყნისათვის და მას საკმაოდ ვრცელი მუხლები აქვს დათმობილი.

მაგრამ მაინც გამოვთქვამდი მოსაზრებას გადამუშავების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის შესახებ, კერძოდ, საჭიროა აღინიშნოს, რომ იგი გამოირჩევა უაღრესი დაქსაქსულობით, ფინანსთა სამინისტროს და კონკრეტულად საბაჟო დეპარტამენტის მიერ მიღებული დიდი რაოდენობის სამართლებრივი აქტები საჭიროებს გარკვეულ სისტემატიზაციას საერთაშორისო საბაჟო შეთანხმებებთან, კერძოდ, საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ საერთაშორისო კონვენციასთან უნიფიკაციას, რომელიც მიღებულ იქნა 1973 წლის 18 მაისს კიოტოში შემდგარი საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს სესიაზე (შემდგომში კიოტოს კონვენცია)[787]. აღნიშნული კონვენცია შედგება ორი ნაწილისაგან. ერთის მხრივ, საკუთრივ კონვენციის ტექსტი, რომელშიც შედის 19 მუხლი. მათში მოცემულია ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ზოგადი დებულებანი, რომლებიც ეხება კონვენციის სტრუქტურას, მოსო გამოყენების წესსა და სფეროებს. დადგენილია მასთან შეერთების[788], შესწორებისა დამატების შეტანის პროცედურა. მეორეს მხრივ, 30 დანართის ტექსტი, რომელთაგან თითოეული ეძღვნება რომელიმე ცალკეული საბაჟო პროცედურის ან საბაჟო პროცედურების კომპლექსის რეგლამენტაციას და წარმოადგენს საერთაშორისოსამართლებრივ დოკუმენტს. კიოტოს კონვენციის დანართები პრაქტიკულად მთლიანად მოიცავენ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ყველა

---

[787] უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო პერიოდში სულ უფრო თვალშისაცემი ხდება საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის მიახლოება ევროპულ საბაჟო კანონმდებლობასთან, კიოტოს კონვენციასთან საქართველოს შეერთებისა და ევროკავშირთად დადებული ასოცირების ხელშეკრულებისა.

[788] საქართველო 2018 წელს შეუერთდა.

საბაჟო პროცედურას, რომლებიც ამჟამად გამოიყენება საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს წევრ ქვეყნებში. ამიტომ მოცემული კონვენცია შეიძლება განხილულ იქნას, როგორც სამართლებრივი დოკუმენტი, რომელსაც გარკვეულწილად სისტემაში მოჰყავს საბაჟო პროცედურების რეგულაცია საერთაშორისო დონეზე.

„გადამუშავების ოპერაციებს ეძღვნება კიოტოს კონვენციის სპეციალური დანართი F, რომელიც შედგება ოთხი თავისაგან და რომელთაგან თითოეული ეძღვნება დამოუკიდებელ:

1. საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების რეჟიმს;
2. საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავების რეჟიმს;
3. დაბრუნების რეჟიმს;
4. თავისუფალი მიმოქცევისათვის გადამუშავების რეჟიმს.

თითოეული განსაზღვრავს გადამუშავების ოპერაციების გამოყენების სფეროს, ოპერაციაში საქონლის მოთავსების, საქონლის ყოფნის და მისი მოქმედების დამთავრების წესს და აგრეთვე ბაჟებისა და გადასახადების გამოყენების წესს[789].

გადამუშავების ოპერაციებისათვის დამახასიათებელი საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. როგორც აღვნიშნეთ საბაჟო კანონმდებლობა იცნობს გადამუშავების 2 ტიპს: შიდა გადამუშავება და გარე გადამუშავება. როგორც იკვეთება, მათთვის დამახასიათებელია საერთო ნიშანი - საქონლის მიერ საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთა მისი საბოლოო გადამუშავებისათვის. ერთ-ერთი დასახელებული ოპერაცია ითვალისწინებს ქართული საქონლის გატანას და გამოყენებას საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადასამუშავებლად, ხოლო მეორე - პირიქით, უფლებამოსილებით აღჭურავენ გადამამუშავებელს გამოიყენოს უცხოური საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადასამუშავებლად. ორივე შემთხვევაში ხდება მხოლოდ საქონლის გადამუშავება, რომელიც საგადასახადო შეღავათებით სარგებლობს. ოროვე ოპერაციისათვის

---

[789] ხარაზი ია; „გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება“, დისერტაცია, თსუ, 2006; 62; ხარაზი ია; გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება (მონოგრაფია), თბილისი, 2006.

საბაჟო კანონმდებლობა მოითხოვს საბაჟო კონტროლის განხორციელებას გადასამუშავებელ საქონელზე. ერთ-ერთ ფორმად ითვლება საბაჟო კონტროლისა დროებითი შენახვის საწყობის, საბაჟო საწყობის, უბაჟო ვაჭრობის მაღაზიის და სხვა ადგილების დათვალიერება, სადაც შეიძლება ინახებოდეს კონტროლს დაქვემდებარებული გადასამუშავებელი საქონელი. არსებითად, ეს ორი ოპერაცია ერთმანეთისაგან განსხვავდება მხოლოდ საგადასახადო რეგულირებით. თუ საქონელი, რომელიც მოთავსებულია გადასამუშავებლად საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე, გათავისუფლებულია შემოტანის საბაჟო გადასახადებისა და სხვა გადასახდელებისაგან. საქონლის გადამუშავებისას საბაჟოტერიტორიაზე საბაჟო გადასახადები გადაიხდევინება მის შესაძლო შემდგომი დაბრუნებით.

გადამუშავების ოპერაციების შესახებ ჩემს მიერ თსუ-ში დაცულ იქნა დისერტაცია „გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება", გამოვიდა იგივე დასახელების მონოგრაფია და სამეცნიერო სტატიები. ამიტომ ამ თემაზე ამ და მომდევნო თავზე - გარე გადამუშავების პროცედურაზე შეიძლება დაუსრულებლად ვისაუბროთ, რასაც ბუნებრივია დამბმარე სახელმძღვანელოს ფორმატი ამის საშუალებას არ მოგვცემს. ამიტომ კონკრეტულად გადავიდეთ შიდა გადამუშავების პროცედურის მარეგულირებელი ნორმების კომენტარზე.

ინსტრუქციის „შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ" (დანართი №13) მუხლი 1-ში მოცემულია შიდა გადამუშავების პროცედურის მიზნებისათვის **ტერმინთა განმარტება**, კერძოდ: აღნიშნულ ინსტრუქციაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) გადამუშავების ოპერაცია:
  - ა.ა) საქონლის დამუშავება, მათ შორის, მონტაჟი, აწყობა ან სხვა საქონელზე მორგება;
  - ა.ბ) საქონლის წარმოება;
  - ა.გ) საქონლის განადგურება;
  - ა.დ) საქონლის შეკეთება, მათ შორის, აღდგენა და მუშა მდგომარეობაში მოყვანა;
  - ა.ე) საქონლის გამოყენება, რომელიც არ იდენტიფიცირდება გადამუშავებულ პროდუქტში, მაგრამ ხელს უწყობს ან

აადვილებს გადამუშავებული პროდუქტის წარმოებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს საქონელი სრულად ან ნაწილობრივ იხარჯება გადამუშავების პროცესში;

• ბ) გადამუშავებული პროდუქტი – შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული საქონელი;

• გ) გადაუმუშავებელი საქონელი – შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონელი, რომელიც არ არის გადამუშავებული ამ პროცედურაში;

• დ) გამოსავლიანობის ნორმა – გადამუშავებული პროდუქტის ოდენობა ან ოდენობის პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც მიღებულია შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული განსაზღვრული რაოდენობის საქონლის გადამუშავების შედეგად;

• ე) ეკვივალენტური საქონელი – საქართველოს საქონელი, რომელიც შიდა გადამუშავების პროცედურაში დეკლარირებული შემოსატანი საქონლის ნაცვლად გამოიყენება გადამუშავების პროდუქტის მისაღებად;

• ვ) ნარჩენი ან/და ჯართი – ღირებულების არმქონე ან მცირე ღირებულების საქონელი ან პროდუქტები, რომლებიც მიიღება გადამუშავების ოპერაციის შედეგად და რომელთა გამოყენება დამატებითი გადამუშავების გარეშე შეუძლებელია.

საბაჟო კოდექსის 117-ე მუხლისა და **ინსტრუქციის „შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ“ მე-2 მუხლის** გათვალისწინებით, **შიდა გადამუშავების პროცედურის გამოყენებით უცხოური საქონლის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს გადამუშავების ერთი ან რამდენიმე ოპერაცია, რაც არ იწვევს:**

• ა) იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულების წარმოშობას;

• ბ) საქონლის მიმართ ვაჭრობაში დამცავი ღონისძიების გამოყენებას, თუ ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალული არ არის.

შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცევის შემთხვევაში საქართველოს საქონელი კარგავს საქართველოს საქონლის სტატუსს და იძენს უცხოური საქონლის სტატუსს.

შიდა გადამუშავების პროცედურაში საქონლის დეკლარირება ხორციელდება საქონლის საბაჟო დეკლარაციის წარდგენით. დეკლარანტი ვალდებულია, შიდა გადამუშავების პროცედურის გამოყენებისას გაითვალისწინოს საქართველოს საკომეტარო საბაჟო კოდექსის 142-ე და 145-ე მუხლებით დადგენილი პირობები და საქონლის საბაჟო დეკლარაციასთან ერთად წარადგინოს:

- ა) „შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ მონაცემები და გამოსავლიანობის ნორმის გაანგარიშება" (დანართი №13-01)[790], რომელშიც საქართველოს საბაჟო კოდექსის 143-ე მუხლისა და 145-ე მუხლის „ბ" და „გ" ქვეპუნქტების შესაბამისად მიეთითება დასაბუთებული ინფორმაცია:

აღნიშნულის შესახებ მომდევნო მუხლების კომენტარისას ვისაუბრებთ.

- ა.ა) იმ პირის შესახებ, რომელიც უშუალოდ ახორციელებს საქონლის გადამუშავების ოპერაციას;
- ა.ბ) შიდა გადამუშავების პროცედურაში მოსაქცევი საქონლის, გადამუშავებული პროდუქტის, ნარჩენის ან/და ჯართის აღწერილობის, ხარისხისა და რაოდენობის შესაავე ინსტრუქციის ზემოთ აღნიშნული პირველი მუხლის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, გადამუშავების ოპერაციების, მათი განხორციელების ვადებისა და საშუალებების შესახებ;

„ნარჩენები, რადგან მათზე არ ვრცელდება გადამუშავების ოპერაციები, ყოველთვის ინარჩუნებენ გადამუშავების ოპერაციაში თავდაპირველად მოთავსებული საქონლის სტატუსს. საწარმოო ნარჩენები შესაძლებელია გაშვებულ იქნას როგორც თავისუფალ მიმოქცევაში იმპორტის პროცედურის შესაბამისად, ასევე მოქცეს სხვა პროცედურაში, ხოლო საწარმოო დანაკარგები ყოველთვის რჩება საბაჟო ტერიტორიაზე და საბაჟო გაფორმებას არ ექვემდებარება. ნაშთი, რომელიც არ იქნა გამოყენებული გადამუშავების პროცესში, შეიძლება

[790] დანართების შესახებ იხ. შესაბამის ინსტრუქციაში.

მოქცეს ნებისმიერ შესაძლო პროცედურაში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა კრძალავს ნარჩენების შემოტანას გადამუშავებისათვის (საქართველო ბაზელის კონვენციის[791] მონაწილე ქვეყანაა, რომლის დებულებაში პირდაპირაა მითითებული, რომ აკრძალულია კონვენციის მონაწილე ქვეყნებში ნარჩენების შეტანა გადასამუშავებლად, რადგან მან შეიძლება გამოიწვიოს გარემოს გაჭუჭყიანება). ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში საბაჟო დეპარტამენტის დონეზე თუ იქნება გარემოს დაცვის სამინისტროს ნებართვა, როცა შეიძლება დაშვებულ იქნეს ნარჩენების შემოტანა საქართველოს ტერიტორიაზე გადასამუშავებლად. ამავე დროს, საბაჟო დეპარტამენტს გააჩნია პრიორიტეტული უფლება იმაზეც, რომ გარემოს დაცვის სამინისტროს თანხმობის შემთხვევაში არ დაუშვას ნარჩენების შემოტანა გადასამუშავებლად, თუ მისი ეკოლოგიური სისუფთავე სათუოა"[792].

- ა.დ) გადამუშავებულ პროდუქტში გადაუმუშავებელი საქონლის იდენტიფიკაციის საშუალების შესახებ:

გადამუშავებულ პროდუქტში გადაუმუშავებელი საქონლის იდენტიფიკაციის საშუალების შესახებ ამავე თავში, შესაბამის პარაგრაფში გვექნება ანალიზი.

- ა.ე) გამოსავლიანობის ნორმის ან გამოსავლიანობის საშუალო ნორმის ან საჭიროებისამებრ მისი გაანგარიშების მეთოდის შესახებ (გარდა იმ შემთხვევისა თუ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია სტანდარტული ნორმა);

გამოსავლიანობის შესახებ შემდეგ პარაგრაფში დეტალურად ვისაუბრებთ.

- ბ) არადეკლარანტთან გაფორმებული ხელშეკრულება საქონლის გადამუშავების შესახებ, იმ შემთხვევაში, როდესაც

---

[791] ბაზელის კონვენცია „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ", https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485058?publication=0

[792] ხარაზი ია, გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება, დისერტაცია, თსუ, 2006.

საქონლის გადამუშავება უნდა განხორციელდეს არადეკლარანტის მიერ;

• გ) დეკლარანტის მიერ შიდა გადამუშავების პროცედურაში მოსაქცევ საქონელზე იმპორტის გადასახდელის გადახდის უზრუნველყოფის შესაბამისი გარანტია (გარდა საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა) [3.4].

ინსტრუქციის „გარანტიის შესახებ" (დანართი №4), პირველი მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, გარანტიის წარდგენა სავალდებულოა: ...„შიდა გადამუშავებისას;..".

გარანტია არ წარედგინება:

გემის მიმართ, ან ალკოჰოლიანი სასმელების საწარმოებლად განკუთვნილი საქონლის მიმართ, ან დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული იურიდიული პირის მიერ სამკერვალო წარმოებისათვის განკუთვნილი საქონლის მიმართ შიდა გადამუშავების პროცედურის გამოყენებისას; საბაჟო საწყობში გადამუშავებისთვის განკუთვნილი უცხოური საქონლის – სეს ესნ-ის 2603 00 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციაში შემავალი სპილენძის კონცენტრატების, სეს ესნ-ის 2616 სასაქონლო პოზიციაში შემავალი ძვირფასი ლითონების კონცენტრატებისა და 2617 90 000 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციებში შემავალი კონცენტრატების შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცევისას; დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული იურიდიული პირის მიერ სეს ესნ-ის 8704 21 310 00 და 8704 22 910 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციებში შემავალი სატრანსპორტო საშუალებების მიმართ შიდა გადამუშავების პროცედურის გამოყენებისას; ნამუშევარი ნავთობპროდუქტების (ლიალური წყალი (ნავთობით დაბინძურებული წყალი) ან/და ნავთობპროდუქტების ბაკ-სავავების ნარევები) მიმართ შიდა გადამუშავების პროცედურის გამოყენებისას.

გარანტიის გამცემი (გარანტორი) აუცილებლად უნდა იყოს საქართველოს რეზიდენტი. გარანტიის წარდგენა ხორციელდება წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

შიდა გადამუშავების მიზნებისათვის გარანტიის სახეებია:

• ა) საბანკო დაწესებულების ან მისი ფილიალის მიერ გაცემული საბანკო გარანტია (დანართი 4-01);

• ბ) დაზღვევის პოლისი (დანართი 4-02);

• ბ[1]) დეპოზიტი – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სახაზინო სამსახურში

(სახელმწიფო ხაზინაში) შემოსავლების სამსახურის სადეპოზიტო ანგარიშზე (სახაზინო კოდი – 302002000) გარანტიის სახით სათანადო თანხის (დეპოზიტი) შეტანა, რაც დასტურდება სახელმწიფო ხაზინის ცნობით;

• გ) პირის საკუთრებაში არსებული შესაბამისი ღირებულების უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვა – მხოლოდ:

• გ.ა) საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მისაღებად. საგადასახადო დავალიანების წარმოშობისას ამ ქონებიდან გადახდევინების უზრუნველყოფის შემთხვევაში, საბაჟო საწყობის მფლობელს საქმიანობის გაგრძელების უფლება მიეცემა ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარანტიის წარდგენისას;

• გ.ბ) შიდა გადამუშავებისას.

• დ) თავდებობა (დანართი 4-03)[793], გარდა ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარანტიებისა:

• დ.ა) საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლისას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.ე“ ქვეპუნქტით[794] გათვალისწინებული საქონლის დეკლარირებისას, როდესაც საქართველოში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი საბუთი არ არის წარდგენილი ან წარდგენილია ხარვეზით;

• დ.ბ) ფიზიკური პირის მიერ საბაჟო საწყობის პროცედურაში გაცხადებული სეს ესნ-ის 8702 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი

---

[793] დანართების შესახებ იხ. ინსტრუქცია „შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ“.

[794] იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებულია: საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემოსვლისას (რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით გაცემული შესაბამისი დოკუმენტით) საქონლის (მათ შორის, ავეჯის, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის, ოჯახზე ერთი სატრანსპორტო საშუალების) იმპორტი, რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის. სრულად იხ. ხარაზი ი; საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, მეორე ნაწილი, თბილისი, 2020.

ავტომობილის (რომლის დასასხდომი ადგილების რაოდენობა, გარდა მძღოლის ადგილისა, აღემატება 8-ს, მაგრამ არ აღემატება 16-ს და რომლის სიგრძე არ აღემატება 8 მეტრს, აგრეთვე გადაბმულისა მისაბმელთან, რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 750 კგ-ს), 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ^3-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია), 8704 21 და 8704 31 სასაქონლო სუბპოზიციებით[795] გათვალისწინებული ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების იდენტიფიცირებული ავტოსადგომის ტერიტორიაზე შენახვისას. ამასთან, ერთი თავდებობით შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ ერთ სატრანსპორტო საშუალებაზე წარმოსაშობი ვალდებულება, დეკლარანტის მიერ თავდებობის გამოყენებით შესაძლებელია ერთდროულად არა უმეტეს 3 ერთეული სატრანსპორტო საშუალების შენახვა, ხოლო პირი ერთდროულად შესაძლებელია წარმოადგენდეს თავდებს მხოლოდ ერთი სატრანსპორტო საშუალების შენახვაზე;

- დ.გ) შიდა გადამუშავებისას.

საგარანტიო თანხის ოდენობა შეადგენს: ...შიდა გადამუშავებისას – იმპორტის გადასახდელის შესაბამის თანხას, რომელიც განისაზღვრება გადაუმუშავებელი საქონლის სახეობისა და საბაჟო ღირებულების საფუძველზე, შიდა გადამუშავების საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს გადაუმუშავებელი საქონლისათვის მოქმედი იმპორტის გადასახდელის განაკვეთებით...".

შიდა გადამუშავებისას ან საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვის მისაღებად იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების საბაზრო ღირებუ-

---

[795] საქონლის სუბპოზუციების შესახებ იხ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის ბრძანება (№275 წლის) „საგარეოეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე" დანართი #1,
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3,

ლება 2-ჯერ უნდა აღემატებოდეს იმპორტის გადასახდელისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებით საქონლის დროებით შემოტანისას – იმპორტის გადასახდელის შესაბამის თანხას, რომელიც გადაიბლოკებოდა დროებით შემოტანის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს ამ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მოქცევისას; შიდა გადამუშავებისას – იმპორტის გადასახდელის შესაბამის თანხას, რომელიც განისაზღვრება გადაუმუშავებელი საქონლის სახეობისა და საბაჟო ღირებულების საფუძველზე, შიდა გადამუშავების საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღეს გადაუმუშავებელი საქონლისათვის მოქმედი იმპორტის გადასახდელის განაკვეთებით განსაზღვრული შესაბამისი საგარანტიო თანხის ოდენობას.

თუ იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულება არ წარმოიშვა ან შესრულდა, ან შეწყდა ამ ვალდებულების წარმოშობის საფუძველი, წარდგენილი გარანტია უქმდება. თუ გარანტიით უზრუნველყოფილი იმპორტის გადასახდელი ნაწილობრივ გადახდილია ან შეიძლება წარმოიშვას იმპორტის გადასახდელის მხოლოდ ნაწილის გადახდის ვალდებულება, შესაბამისი პირის განცხადების საფუძველზე უქმდება წარდგენილი გარანტიის საგარანტიო თანხის შესაბამისი ნაწილი. ამ შემთხვევაში გარანტიის გაუქმების საფუძველია: შიდა გადამუშავების შედეგად მიღებული გადამუშავებული პროდუქტის, გადაუმუშავებელი საქონლის, ნარჩენის ან/და ჯართის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა ან სხვა საბაჟო პროცედურის განსაზღვრა ან ნარჩენის გარეშე განადგურება ან საქართველოს საბაჟო კოდექსის 104-ე მუხლის შესაბამისად სახელმწიფოსათვის გადაცემა.

გარანტიის სახით დეპოზიტის წარდგენის შემთხვევაში, შემოსავლების სამსახურის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული თანხა პირს უბრუნდება გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულების განხორციელებიდან არაუგვიანეს 3 დღისა. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ არ შესრულდა გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულება, საგარანტიო თანხა გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში[796].

გარანტიის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოწოდებულია: ბარაზი ი; საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი (2021) და აღნიშნულ დამხმარე სახელმძღვანელოში.

ზემოთ აღნიშნული მუხლის მე-4-ის პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტში მითითებული მონაცემების ცვლილების შემთხვევაში დეკლარანტი ვალდებულია, საბაჟო ორგანოს

[796] ინსტრუქცია „გარანტიის შესახებ“, (დანართი №4).

წარუდგინოს ახალი „შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ მონაცემები და გამოსავლიანობის ნორმის გაანგარიშება“, რომლის შესახებაც დეტალურად მოგვიანების ვისაუბრებთ.

შიდა გადამუშავების საბაჟო დეკლარაციის (მათ შორის, მასთან ერთად წარდგენილი, ინსტრუქციით გათვალისწინებული დოკუმენტის) შემოწმებისას საბაჟო ორგანოს უფლება აქვს მოითხოვოს ან/და გაითვალისწინოს უფლებამოსილი პირის (მათ შორის, საექსპერტო ორგანიზაციის/ლაბორატორიის) დასკვნა, რომელიც ეფუძნება საქონლის გადამუშავების კონკრეტულ ტექნოლოგიურ პროცესს.

შიდა გადამუშავების პროცედურის მფლობელის უფლებებისა და მოვალეობების სხვა პირისათვის სრულად ან ნაწილობრივ გადაცემის შემთხვევაში, საქონლის ახალ მესაკუთრეს წარმოეშობა საქონლის დეკლარირების ვალდებულება[797]. ამასთან:

- ა) პროცედურის მფლობელის უფლებებისა და მოვალეობების სხვა პირისათვის სრულად გადაცემის (სხვა პირზე საქონლის სრულად გასხვისების) შემთხვევაში, წინმსწრები საბაჟო დეკლარაციის ელექტრონულ ვერსიაში კეთდება აღნიშვნა „ძალადაკარგულია“ და მიეთითება ახალი საბაჟო დეკლარაციის ნომერი და თარიღი;
- ბ) პროცედურის მფლობელის უფლებებისა და მოვალეობების სხვა პირისათვის ნაწილობრივ გადაცემის (სხვა პირზე საქონლის

[797] შესაბამისად იხ. საბაჟო კოდექსის 114-ე მუხლი - „პროცედურის მფლობელის უფლებებისა და მოვალეობების გადაცემა“, რომლის თანახმად, „პროცედურის მფლობელის უფლებები და მოვალეობები, რომლებიც დაკავშირებულია სპეციალურ პროცედურაში მოქცეულ საქონელთან, გარდა ტრანზიტის პროცედურაში მოქცეული საქონლისა, შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ გადაეცეს სხვა პირს, რომელიც ასრულებს ამ საბაჟო პროცედურასთან დაკავშირებულ პირობებს და, პროცედურის მფლობელის უფლებებისა და მოვალეობების სხვა პირისთვის გადაცემის წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით და, რომლის შესახებაც საუბარი იყო საბაჟო კოდექსის 114-ე მუხლის კომენტირებისას.

ნაწილის გასხვისების) შემთხვევაში, წინსმწრებ საბაჟო დეკლარაციაში ხორციელდება შესაბამისი ცვლილება და მიეთითება ახალი საბაჟო დეკლარაციის ნომერი და თარიღი.

ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, საბაჟო ორგანოს თანხმობით, შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონელი შესაძლებელია გადამუშავდეს საბაჟო საწყობში, შიდა გადამუშავების პროცედურით განსაზღვრული პირობებისა და საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული სპეციალური ნორმების დაცვით, თუ აღნიშნული უარყოფითად არ იმოქმედებს საბაჟო ზედამხედველობის განხორციელებაზე. ამ შემთხვევაში საქონელი არ განიხილება საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეულად.

იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებულ საქონელს აქვს დეფექტი ან მისი რაოდენობა, ხარისხი, შეფუთვა ან აღწერილობა არ შეესაბამება საგარეო ეკონომიკური გარიგების პირობებს და ამ მიზეზით უბრუნდება მომწოდებელს ან მის მიერ მითითებულ სხვა პირს, დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, საბაჟო კოდექსის 160-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად საბაჟო ორგანო აძლევს პირს უფლებას საქონელი მოაქციოს შიდა გადამუშავების (მათ შორის განადგურების მიზნით) პროცედურაში.

საბაჟო კოდექსის 160-ე მუხლი ითვალისწინებს, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის გამოყენებაზე („თუ დადგინდა, რომ თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებულ საქონელს აქვს დეფექტი ან მისი რაოდენობა, ხარისხი, შეფუთვა ან აღწერილობა არ შეესაბამება საგარეო-ეკონომიკური გარიგების პირობებს და ამის გამო იგი მომწოდებელს ან მის მიერ მითითებულ სხვა პირს უბრუნდება, შეიძლება ეს საქონელი დაექვემდებაროს რეექსპორტს. ამ შემთხვევაში თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებულ საქონელს ჩამოერთმევა საქართველოს საქონლის სტატუსი და მისი რეექსპორტის განხორციელების შემდეგ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო დეკლარაცია გათიშად იქნება ცნობილი“) და შესაბამისად, საბაჟო ორგანო დაინტერესებულ პირს მისი განცხადების საფუძველზე აძლევს უფლებას, საქონელი მოაქციოს შიდა გადამუშავების პროცედურაში (მათ შორის, განადგურების მიზნით) ან ტრანზიტის, საბაჟო საწყობის ან თავისუფალი ზონის პროცედურაში.

საქონლის მიმართ დასაშვები ქმედებები. ვიდრე კონკრეტულად შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის

მიმართ საბაჟო კანონმდებლობით დასაშვებ ქმედებებზე ვისაუბრებთ, მანამ შევეხოთ ზოგადად საქონლის მიმართ დასაშვებ ქმედებებს, კერძოდ: საბაჟო საწყობის, შიდა გადამუშავების, გარე გადამუშავების ან თავისუფალი ზონის პროცედურაში მოქცეული საქონლის მიმართ შეიძლება განხორციელდეს მისი შენახვის უზრუნველყოფისთვის ანდა სასაქონლო სახის ან მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის აუცილებელი ქმედებები ან საქონლის გაყიდვის/ტრანსპორტირებისთვის მოსამზადებელი ქმედებები. საქონელი უნდა დარჩეს უცვლელ მდგომარეობაში, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთით, შენახვის ნორმალური პირობებისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი დანაკარგებით ან ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებებით. საბაჟო საწყობის, შიდა გადამუშავების, გარე გადამუშავებისა და თავისუფალი ზონის პროცედურებში მოქცეული საქონლის მიმართ დასაშვები ქმედებების ნუსხა განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით. საქართველოს მთავრობას უფლება აქვს დაადგინოს ამავე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულისგან განსხვავებული შემთხვევები“.

საქართველოს საბაჟო კოდექსის ზემოთ მითითებული 116-ე მუხლის შესაბამისად, საქონლის შენახვის უზრუნველყოფისათვის, მისი სასაქონლო სახის ან მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ან გაყიდვისათვის/ტრანსპორტირებისათვის მოსამზადებლად შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის მიმართ **დასაშვებია შემდეგი ქმედებების განხორციელება:**

- ა) ვენტილაცია, გამოშრობა, მტვრის მოშორება, დასუფთავების მარტივი ოპერაციები, შეფუთვის შეკეთება, ტრანსპორტირების ან შენახვის დროს გამოწვეული დაზიანებების ელემენტალური შეკეთებები, რომლებიც არ სცდება მარტივი ოპერაციების ფარგლებს, ტრანსპორტზე დამცავი საღებავი ფენის დატანა და მოშორება;
- ბ) საქონლის რეკონსტრუქცია ტრანსპორტირების შემდეგ;
- გ) ინვენტარიზაცია, სინჯვა, სორტირება, გაცრა, მექანიკური გაფილტვრა და საქონლის აწონვა;
- დ) დაზიანებული ან დაბინძურებული კომპონენტების მოშორება;

• ე) შენახვა პასტერიზაციით, სტერილიზაციით, დასხივებით ან დამცველი საშუალებების დამატებით;

• ვ) პარაზიტების საწინააღმდეგოდ დამუშავება;

• ზ) ჟანგის საწინააღმდეგოდ დამუშავება;

• თ) დამუშავება ტემპერატურის მარტივი მატებით, დამატებითი დამუშავების ან გამოხდის პროცესების გარეშე, ან ტემპერატურის მარტივი დაკლებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (შემდგომში – სეს ესნ-ის) კოდის თერთმეტნიშნა დონეზე ცვლილებას გამოიწვევს;

• ი) ელექტროსტატიკური დამუშავება, ქსოვილების გაუთოვება;

• კ) დამუშავება, რომელიც მოიცავს:

– ხილის გასუფთავებასა ან/და დაკურკვას, გამომშრალი ხილისა და ბოსტნეულების დაჭრას ან დამტვრევას, ხილის ხელახალი რეჰიდრატაციას, ან

– ხილის გამოშრობას, იმ შემთხვევაშიც, თუ აღნიშნული სეს ესნ-ის კოდის თერთმეტნიშნა დონეზე ცვლილებას გამოიწვევს;

• ლ) ტყავების გამტკნარება, გაწმენდა და დაჩხვლეტა;

• მ) საქონლის დამატება ან დამხმარე კომპონენტების დამატება ან გამოცვლა, თუ ასეთი მატება ან გამოცვლა შედარებით შეზღუდულია ან გამიზნულია ტექნიკური სტანდარტების დაკმაყოფილებისთვის და არ ცვლის ან აუმჯობესებს პირვანდელი საქონლის მუშაობას, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს იწვევს სეს ესნ-ის კოდის თერთმეტნიშნა დონეზე ცვლილებას დამატებული ან გამოცვლილი საქონლისთვის;

• ნ) სითხეების გაზავება ან კონცენტრირება, დამატებითი დამუშავების ან გამოხდის პროცესის გარეშე, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს იწვევს სეს ესნ-ის თერთმეტნიშნა დონეზე ცვლილებას;

• ო) ერთი და იმავე სახის, მაგრამ განსხვავებული ხარისხის საქონლის შერევა, სტაბილური ხარისხის ან ისეთი ხარისხის მისაღებად, როგორიც მოითხოვა მომხმარებელმა, საქონლის სახეობის ცვლილების გარეშე;

• პ) ისეთი ბუნებრივი აირის ან საწვავის, რომელიც არ შეიცავს ბიოდიზელს, შერევა ისეთ ბუნებრივ აირთან ან საწვავთან, რომელიც შეიცავს ბიოდიზელს, (კლასიფიცირებულია სეს ესნ-ის 27-ე თავში[798]), სტაბილური ხარისხის ან ისეთი ხარისხის მისაღებად, როგორიც კლიენტმა მოითხოვა, საქონლის ტიპის ცვლილების გარეშე, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს იწვევს სეს ესნ-ის კოდის თერთმეტნიშნა დონეზე ცვლილებას;

• ჟ) ბუნებრივი აირისა და საწვავის შერევა ბიოდიზელთან, როცა ნაზავი შეიცავს 0.5%-ზე ნაკლებს ბიოდიზელს, ასევე ბიოდიზელის შეზავება ბუნებრივ აირთან და საწვავთან, როცა ნაზავი შეიცავს **0.5%-ზე ნაკლებ** ბუნებრივ აირს ან საწვავს;

• რ) საქონლის დაყოფა ან ამოჭრა, თუ გამოიყენება მხოლოდ მარტივი ოპერაციები;

• ს) შეფუთვა, შეფუთვიდან ამოღება, ერთი ჭურჭლიდან მეორეში გადასხმა და მარტივი ტრანსფერი კონტეინერებში, იმ შემთხვევაშიც კი როცა ეს გამოიწვევს სეს ესნ-ის კოდის თერთმეტნიშნა დონეზე ცვლილებას, მარკების, ლუქების, იარლიყების, ფასის ნიშნულების ან სხვა გამორჩეული მანიშნებლების მიმაგრება, მოხსნა ან რედაქტირება;

• ტ) მექანიზმების, აპარატებისა და სატრანსპორტო საშუალებების ტესტირება, რეგულირება და მუშაობაში გაშვება, კონკრეტულად იმ მიზნით, რომ მოხდეს ტექნიკური სტანდარტების დაკმაყოფილება, თუ გამოიყენება მხოლოდ მარტივი ოპერაციები;

• უ) მილების საერთების დაბლაგვება, კონკრეტული ბაზრებისთვის მოსამზადებლად;

• ფ) დენატურირება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს იწვევს სეს ესნ-ის კოდის თერთმეტნიშნა დონეზე ცვლილებას;

---

[798] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის ბრძანება (№275 წლის) „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ დანართი #1, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3.

• ქ) დამუშავების ყველა ჩვეული გზა, გარდა ზემოთმოხსენებულებისა, იმპორტირებული საქონლის გარეგნული ან გაყიდვადი ხარისხის გასაუმჯობესებლად ან დისტრიბუციისთვის/გადაყიდვისთვის მოსამზადებლად, იმ შემთხვევაში, თუ ეს ოპერაციები არ ცვლის პირვანდელი საქონლის ტიპს ან არ აუმჯობესებს მუშაობას.

აღნიშნული ქმედების განხორციელება არ უნდა იწვევდეს საქონლის სეს ესნ-ის თერთმეტნიშნა დონეზე ცვლილებას[799], გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული შესაბამისი ქვეპუნქტით.

საქონლის შეკეთებისა და საქონლის განადგურების გარდა, სხვა შემთხვევაში შიდა გადამუშავების პროცედურა გამოიყენება, თუ არსებობს ამ პროცედურაში მოქცეული საქონლის *(„გარდა იმ საქონლის გამოყენებისა, რომელიც არ იდენტიფიცირდება გადამუშავებულ პროდუქტში, მაგრამ რომელიც ხელს უწყობს ან აადვილებს გადამუშავებული პროდუქტის წარმოებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს საქონელი გადამუშავების პროცესში მთლიანად“*[800]) გადამუშავებულ პროდუქტში იდენტიფიკაციის შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში უნდა არსებობდეს გამოყენებულ ეკვივალენტურ საქონელთან დაკავშირებული პირობების შესრულების შემოწმების შესაძლებლობა.

„ეკვივალენტური საქონელი არის საქართველოს საქონელი, რომელიც შეიძლება შენახულ, გამოყენებულ ან გადამუშავებულ იქნეს სპეციალურ საბაჟო პროცედურაში მოქცეული საქონლის ნაცვლად.... ეკვივალენტურ საქონელს უნდა ჰქონდეს იგივე სეს ესნ-ის კოდი რვანიშნა დონეზე, ხარისხი და ტექნიკური მახასიათებლები, რომლებიც აქვს იმ საქონელს, რომელსაც იგი ანაცვლებს, გარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით განსაზღვრული შემთხვევებისა“[801].

---

[799] იხ. სქ. 775.

[800] საბაჟო კოდექსის საკომენტარო 142-ე მუხლის მე-2 ნაწილი მიუთითებს მე-6 მუხლის „ც.ე“ ქვეპუნქტიდ დადგენილისაგან განსხვავებული წესის გამოყენებაზე.

[801] ამ შემთხვევების შესახებ საბაჟო კოდექსის 117-ე მუხლის კომენტარისას იყო საუბარი.

საბაჟო ორგანო პირის განცხადების საფუძველზე და იმ პირობით, რომ საბაჟო ზედამხედველობის მიზნისთვის უზრუნველყოფილი იქნება პროცედურის სათანადო განხორციელება, გასცემს ავტორიზაციას: ა) ეკვივალენტური საქონლის საბაჟო საწყობის, თავისუფალი ზონის, მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების, შიდა გადამუშავების ან გარე გადამუშავების პროცედურაში გამოყენებაზე; ბ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ შემთხვევებში ეკვივალენტური საქონლის დროებით შემოტანის პროცედურაში გამოყენებაზე; გ) შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად ეკვივალენტური საქონლისგან მიღებული გადამუშავებული პროდუქტის ჩასანაცვლებელი საქონლის შემოტანამდე გატანაზე; დ) გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად ეკვივალენტური საქონლისგან მიღებული გადამუშავებული პროდუქტის ჩასანაცვლებელი საქონლის გატანამდე შემოტანაზე.

სრულად იხ. საბაჟო კოდექსის 117-ე მუხლის კომენტარი.

ამასთანავე, ინსტრუქციის „შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ“ მე-4 მუხლი ითვალისწინებს შიდა გადამუშავებისას **ეკვივალენტური საქონლის გამოყენების შემთხვევებს**, კერძოდ: პირის განცხადების საფუძველზე, როდესაც „საბაჟო ორგანო პირის განცხადების საფუძველზე და იმ პირობით, რომ საბაჟო ზედამხედველობის მიზნისთვის უზრუნველყოფილი იქნება პროცედურის სათანადო განხორციელება, **გასცემს ავტორიზაციას** ეკვივალენტური საქონლის საბაჟო საწყობის, თავისუფალი ზონის, მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების, შიდა გადამუშავების ან გარე გადამუშავების პროცედურაში გამოყენებაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ შემთხვევებში ეკვივალენტური საქონლის დროებით შემოტანის პროცედურაში გამოყენებაზე; შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად ეკვივალენტური საქონლისგან მიღებული გადამუშავებული პროდუქტის ჩასანაცვლებელი საქონლის შემოტანამდე გატანაზე; გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად ეკვივალენტური საქონლისგან მიღებული

გადამუშავებული პროდუქტის ჩასანაცვლებელი საქონლის გატანამდე შემოტანაზე[802]". შესაბამისად, საბაჟო ორგანომ შესაძლებელია გასცეს თანხმობა ეკვივალენტური საქონლის შიდა გადამუშავების პროცედურაში გამოყენებაზე.

შიდა გადამუშავების პროცედურაში ეკვივალენტური საქონლის გამოყენება დაუშვებელია, თუ:

- ა) შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონელი დაექვემდებარებოდა ანტიდემპინგურ ღონისძიებას თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მისი დეკლარირების შემთხვევაში;
- ბ) აღნიშნული საქონელი არის გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმი ან გენმოდიფიცირებული პროდუქტი ან შეიცავს ასეთ საქონელს.

ეკვივალენტური საქონლის გამოყენება არ ექვემდებარება საქონლის სპეციალურ პროცედურაში მოქცევისათვის გათვალისწინებულ ფორმალობებს.

საბაჟო კოდექსის საკომენტარო 142-ე მუხლის აღნიშნული პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, **შიდა გადამუშავების პროცედურა შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე:**

- ა) საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების მიზნით მისი ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენი ოპერაციის განსახორციელებლად;
- ბ) იმ საქონლის მიმართ, რომელზედაც უნდა განხორციელდეს საქონლის მიმართ დასაშვები ქმედებები, კერძოდ, საბაჟო საწყობის, შიდა გადამუშავების, გარე გადამუშავების ან თავისუფალი ზონის პროცედურაში მოქცეული საქონლის მიმართ შეიძლება განხორციელდეს მისი შენახვის უზრუნველყოფისთვის ანდა სასაქონლო სახის ან მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის აუცილებელი ქმედებები ან საქონლის გაყიდვისთვის/ტრანსპორტირებისთვის მოსამზადებელი ქმედებები. საქონელი უნდა დარჩეს უცვლელ მდგომარეობაში, გარდა იმ ცვლილებებისა,

[802] იხ. საბაჟო კოდექსი, მ.117. ნ.4.

რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთით, შენახვის ნორმალური პირობებისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი დანაკარგებით ან ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებებით. საბაჟო საწყობის, შიდა გადამუშავების, გარე გადამუშავებისა და თავისუფალი ზონის პროცედურებში მოქცეული საქონლის მიმართ დასაშვები ქმედებების ნუსხა განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული შესაბამის ინსტრუქციებით (საქონლის შიდა, გარე გადამუშავების და ა.შ.), რომლის კომენტარებსაც ამ თემების განხილვისას გთავაზობთ).

საბაჟო კოდექსის სკომენტარო 142-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის შესახებ იხ. მითითებითი 116-ე მუხლიც.

2. შიდა გადამუშავებისას გამოსავლიანობის ნორმის განსაზღვრა

გამოსავლიანობის ნორმა – გადამუშავებული პროდუქტის ოდენობა ან ამ ოდენობის პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც მიღებულია შიდა გადამუშავების პროცედურაში ან გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული, განსაზღვრული რაოდენობის საქონლის გადამუშავების შედეგად[803].

„გადამუშავების პროდუქტების გამოსავლიანობის რაოდენობა წარმოადგენს იმ საქონელს, რომელიც გადამუშავების საგანს წარმოადგენს და განმცხადებლის მიერ მითითებული საწარმოო პროცესის მიხედვით დამხმარე საქონლის გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი პროდუქტების რაოდენობას განსაზღვრავს და საბაჟო ოპერაციის განმცხადებლის მიერ განისაზღვრება საბაჟო ორგანოში ლიცენზიის მისაღებად საბუთების პაკეტის შეტანისას. საბაჟო მიზნებისათვის გადამუშავების პროდუქტების გამოსავლიანობის რაოდენობის დასადგენად განმცხადებელი საბაჟოში წარადგენს

[803] საბაჟო კოდექსი, მ. 6. „ტერმინთა განმარტება", „ბ" ქვეპუნქტი.

გადამუშავების პროდუქტების ხარჯვის ნორმებიდან ან გამოსავლიანობის ნორმებიდან გამომდინარე გადამუშავებიდან წარმოქმნილი პროდუქტების რაოდენობის ანგარიშს.

გადამუშავების პროდუქტების გამოსავლიანობის რაოდენობის დასაანგარიშებლად გადამუშავების გამოსავლიანობის ნორმის ან ხარჯვის ნორმის გამოყენება განპირობებულია მხოლოდ და მხოლოდ განმცხადებლისათვის ანგარიშის პრაქტიკულობით. ამასთან, ხარჯვის ნორმა განისაზღვრება როგორც საწარმოო პროცესში გამოყენებული საქონლის (რომელიც გადამუშავების საგანს წარმოადგენს) და დამხმარე საქონლის რაოდენობა. აბსოლუტური მნიშვნელობით სასაქონლო პროდუქციის ერთეულის მისაღებად. **გამოსავლიანობის ნორმა** არის საწარმოო პროცესის შესაბამისად, საქონლის (რომელიც გადამუშავების საგანს წარმოადგენს) და დამხმარე საქონლის ერთი ერთეულიდან მიღებული გადამუშავების პროდუქტების რაოდენობა აბსოლუტური მნიშვნელობით ან პროცენტულად[804].

გამოსავლიანობის ნორმის გამოყენებისას საწარმოოო პროცესში წარმოშობილი გადამუშავების თითოეული პროდუქტის რაოდენობა იანგარიშება საქონლის (რომელიც გადამუშავების საგანს წარმოადგენს) რაოდენობის გადამრავლებით გადამუშავების მოცემული პროდუქტის გამოსავლიანობის ნორმაზე. ხარჯვის ნორმის გამოყენებისას საწარმოო პროცესში წარმოქმნილი გადამუშავების თითოეული პროდუქტის გამოსავლიანობის რაოდენობა გამოიანგარიშება საქონლის გადამუშავების საგნის რაოდენობაზე გაყოფით, ერთეული სასაქონლო პროდუქციის წარმოებისათვის გამოყენებული საქონლის ხარჯვის ნორმაზე[805].

გადამუშავების ლიცენზიის გამცემ საბაჟოს, თუ მას აქვს საფუძველი განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გამოსავლიანობის ხარჯვის ნორმები უსაფუძვლოდ ჩათვალოს, მიიღებს რა

---

[804] ხარაზი ი; „გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება“, დისერტაცია, თსუ, 2006, 92-93.

[805] იქვე.

მხედველობაში საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, ექსპერტებისა და საბაჟო ლაბორატორიების გამოკვლევების დასკვნებს და ასევე გამოსავლიანობის ნორმების შესახებ დაინტერესებული საქართველოსა და უცხოური სამეცნიერო - კვლევითი ორგანიზაციებისა და ანალოგიური და/ან იდენტური საქონლის მწარმოებელი ორგანიზაციების ინფორმაციას, შეუძლია საბაჟო მიზნებისათვის დაადგინოს გამოსავლიანობის (ხარჯვის) სავალდებულო ნორმები. თუ სასაქონლო პროდუქციის წარმოების პროცესში გამომჭღავნდება გამოსავლიანობის გაცხადებული რაოდენობის შეუსაბამობა ფაქტობრივთან, განმცხადებელმა ამის შესახებ უნდა აცნობოს გადამუშავების ლიცენზიის გამცემ საბაჟო ორგანოს. ამ შემთხვევაში გადამუშავების პროდუქტების გამოსავლიანობის რაოდენობა შეიძლება იქნას შესწორებული[806].

როდესაც საბაჟო დეპარტამენტს ეჭვი შეეპარება განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ნორმების საფუძვლიანობაში ან/და უტყუარობაში, შეუძლია აუცილებელი ნორმების დასადგენად გადამამუშავებლისაგან მოითხოვოს საქართველოს სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების, დამოუკიდებელი ან სახელმწიფო ექსპერტიზის, საბაჟო ლაბორატორიის, ანალოგიური ან იდენტური საქონლის მწარმოებელი ორგანიზაციების, საქართველოს და უცხო ქვყნის კომპეტენტური სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების დასკვნა.

კიოტოს კონვენცია ასევე განამტკიცებს დებულებას, რომ საბაჟო სამსახურებმა უნდა დაადგინონ ან შეათანხმონ პროდუქციის გამოსავლიანობის ნორმა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელზე ტარდება წარმოების ან გადამუშავების ოპერაციები. ამასთან, კიოტოს კონვენციით გათვალისწინებულია გამოსავლიანობის სტანდარტული ნორმის დადგენის შესაძლებლობა ერთობლივად შემდეგი პირობების დაცვისას:

- შიდა გადამუშავებისპროცედურაში მოთავსებულ საქონელს პრაქტიკულად მუდმივი მახასიათებელი აქვს;
- გადამუშავების ოპერაციებიჩვეულებრივ ხორციელდება ზუსტად განსაზღვრული ტექნიკური პირობების შესაბამისად;

---

[806] იქვე.

• გადამუშავების ოპერაციები იწვევს უცვლელი რაოდენობის საკომპენსაციო პროდუქტების გამოსავლიანობას (სპეციალური Fდანართის 1-ლი თავის პუნქტი 13)[807].

გამოსავლიანობის ნორმების დადგენა დღეს საქართველოში „აქილევსის ქუსლია" საკანონმდებლო ნორმის არარსებობის გამო (რომელიც ერთ სივრცეში დაარეგულირებდა გამოსავლიანობის ნორმების განსაზღვრებას გადამუშავების ოპერაციებისთვის), რომელიც შესაძლებლობას აძლევს გადამამუშავებელ საწარმოებს თვითონ განსაზღვრონ მათთვის მისაღები გამოსავლიანობის ნორმები, რაც უარყოფითად აისახება სახელმწიფო ბიუჯეტზე. მიმაჩნია, რომ ეკონომიკის სამინისტროს მიერ უნდა აღიწეროს თითოეული გადამამუშავებელი საწარმოს წარმადობა და ამის შემდეგ კონკრეტული გადამამუშავებლისათვის კონკრეტული გამოსავლიანობის ნორმა დადგინდეს.

თუ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი არ არის გამოსავლიანობის სტანდარტული ნორმა, შიდა გადამუშავების პროცედურის გამოყენებისას დეკლარანტი საბაჟო ორგანოს უთანხმებს გამოსავლიანობის ნორმას ან გამოსავლიანობის საშუალო ნორმას ან, საჭიროების შემთხვევაში, მისი გაანგარიშების მეთოდს.

მაგალითი:

მაგ; საქართველოში შემოტანილია შიდა გადამუშავებისათვის 1 ტონა სპირტი, რომლის გადამუშავების შემდეგ მიღებულ უნდა იქნეს ვთქვათ, 800 ლიტრი არაყი.

გამოსავლიანობის ნორმის შეთანხმებისას საბაჟო ორგანოს შეუძლია მოითხოვოს უფლებამოსილი პირის დასკვნა.

გამოსავლიანობის ნორმა ან გამოსავლიანობის საშუალო ნორმა უნდა განისაზღვროს იმ ფაქტობრივი გარემოების საფუძველზე, რომელშიც ხორციელდება ან განხორციელდება გადამუშავების პროცესი. საჭიროების შემთხვევაში, ეს ნორმა შეიძლება შეიცვალოს საბაჟო კოდექსის მე-19 მუხლის შესაბამისად.

---

[807] იხ. კიოტოს 1973 წლის კონვენცია „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ".

შესაბამისად იხ. საბაჟო კოდექსის მე-19 მუხლის („აღმჭურველ გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა ან მისი ძალადაკარგულად გამოცხადება“) კომენტარი სახელმძღვანელოში: ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021.

დანართი №13-01

დეკლარანტის დასახელება ----------
საიდენტიფიკაციო ნომერი ----------
იურიდიული მისამართი ----------
წარმომადგენელი ----------
პირადი ნომერი ----------
ტელეფონი ----------

შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ მონაცემები და გამოსავლიანობის ნორმის გაანგარიშება

საქონელი:

(მიუთითეთ გადასამუშავებელი საქონლის დასახელება, აღწერილობა და რაოდენობა)

ექცევა შიდა გადამუშავების პროცედურაში შემდეგი მონაცემების გათვალისწინებით:

1. საქონელზე განსახორციელებელი გადამუშავების ოპერაციის აღწერილობა:

(მიუთითეთ დაწვრილებითი ინფორმაცია გადამუშავების ტექნოლოგიური სქემის, გადამუშავების შედეგად მისაღები გადამუშავებული პროდუქტის, ნარჩენის ან/და ჯართის აღწერილობის, ხარისხის, დამატებითი ზომის ერთეულის და რაოდენობის/ბრუტო/ნეტოს წონის შესახებ, მისაღებ გადამუშავებულ პროდუქტში გადაუმუშავებელი საქონლის იდენტიფიკაციის საშუალებების

თაობაზე. ამასთან, გადამუშავების ტექნოლოგიური სქემა და გადამუშავებულ პროდუქტში გადასამუშავებელი საქონლის იდენტიფიკაციისათვის გამოსაყენებელი საშუალებების თაობაზე ინფორმაცია შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს დანართის მეშვეობით)

_____

_____

_____

_____

_____

2. მისაღები გადამუშავებული პროდუქტის გამოსავლიანობის ნორმა ან გამოსავლიანობის საშუალო ნორმა (რაოდენობა ან პროცენტული მაჩვენებელი) ან საჭიროებისამებრ მისი გაანგარიშების მეთოდი:

_____

3. მიღებული გადამუშავებული პროდუქტის რაოდენობის შესაძლო ცდომილების პროცენტული მაჩვენებელი:

_____

4. გადამუშავების განხორციელების პერიოდი:

____ _____ _____-დან – _____ _____ _____-მდე

5. პირი, რომელიც უშუალოდ ახორციელებს საქონლის გადამუშავების ოპერაციებს (თუ საქონლის გადამუშავება ხორციელდება არადეკლარანტის მიერ მიეთითება ამ პირის რეკვიზიტები):

ა) დასახელება _____

ბ) საიდენტიფიკაციო ნომერი _____

გ) საწარმოს მისამართი _____

ჩვენთვის ცნობილია, რომ:

ა) საბაჟო ორგანო უფლებამოსილია აღნიშნული მონაცემების შემოწმების მიზნით დამატებით მოითხოვოს ან/და გაითვალისწინოს

უფლებამოსილი პირის (მათ შორის, საექსპერტო ორგანიზაციების/ლაბორატორიების) შესაბამისი დასკვნები;
გ) შიდა გადამუშავების პროცედურის პირობების დარღვევა, გამოიწვევს საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

დეკლარანტის (წარმომადგენლის) ხელმოწერა:

_____

თარიღი: _____

3. შიდა გადამუშავების პროცედურაში მოსაქცევი საქონლის იდენტიფიკაცია

გადასამუშავებელი საქონლის იდენტიფიკაცია სასაქონლო პროდუქციასთან ნიშნავს იმ ფაქტის დადგენის საშუალებას, რომელიც დაადასტურებს, რომ სასაქონლო პროდუქციის მიღების მიზნით გადამუშავების ოპერაციებში მონაწილეობდა უშუალოდ გადასამუშავებელი საქონელი.

შიდა გადამუშავების პროცედურაში მოსაქცევი საქონლის იდენტიფიკაციისთვის გამოიყენება შემდეგი საშუალებები:

- ა) საქონლის შტამპით ან ციფრული ან სხვაგვარი მარკირებით მონიშვნა;
- ბ) საქონლის დაწვრილებითი აღწერა, ფოტოგადაღება ან მასშტაბურად გამოსახვა;
- გ) საქონლის სინჯის ან/და ნიმუშის გამოკვლევა ან ანალიზი მისი შედეგების შემდგომ შედარების მიზნით;
- დ) საქონელზე მწარმოებლის მიერ გამოსახული სერიული ნომრების ან სხვაგვარი მარკირება;
- ე) დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების ოპერაციების განხორციელება;
- ვ) იდენტიფიკაციის სხვა საშუალებები, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას ითვალისწინებს.

იმ შემთხვევაში, თუ გადამუშავების ოპერაცია მიმდინარეობს რამდენიმე ეტაპად, სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესების გამოყენებით, როგორც ერთ, ასევე სხვადასხვა გადამამუშავებელთან, მაშინ ზემოთხსენებული საშუალებები შეიძლება გამოყენებულ იქნას ყველა ეტაპისათვის ცალ-ცალკე (ინსტრუქცია „საბაჟო კონტროლის შესახებ“).

გადასამუშავებელი საქონლის სასაქონლო პროდუქციასთან იდენტიფიკაციის მიზნით, საბაჟო ორგანოს თანამდებობის პირებს უფლება აქვთ დაესწრონ საწარმოო პროცესებს.

ზემოთხსენებული იდენტიფიკაციის საშუალებების გამოყენების შეუძლებლობის შემთხვევაში განმცხადებელს უფლება აქვს წარადგინოს დამოუკიდებელი საექსპერტო ორგანიზაციისა და სასაქონლო პროდუქციაში გადამუშავების საგნის იდენტიფიკაციის შესაძლო საშუალებების განსაზღვრის ლაბორატორიის დასკვნა. ამასთან იმის საბოლოო დამოწმებას, რომ ეკვივალენტური საქონელი არის გადასამუშავებლად შემოტანილი ან გატანილი საქონლის გადამუშავების პროდუქტი, იძლევა საბაჟო ლაბორატორია.

როგორც ვიცით, ამჟამად, შეუძლებელია გადამუშავების ისეთ პროდუქტებში ქართული საქონლის იდენტიფიკაციის ჩატარება, როგორიცაა ავეჯი, სახერხი მასალები, მერქნის ფილები, ნატურალური და ხელოვნური ტყავის ნაწარმი ფეხსაცმლის ჩათვლით, საიუნ ველირო ნაკეთობანი.

უნდა აღინიშნოს, რომ საბაჟო დეპარტამენტმა შეიძლება დაადგინოს შემთხვევები და პირობები, როდესაც გადამუშავების ოპერაციები ეძლევათ იდენტიფიკაციის ჩატარების შესაძლებლობის მიუხედავად. ასე მაგალითად, შიდა გადამუშავების ოპერაციის გამოყენებისას სასაქონლო პროდუქციაში გადამუშავების საგნის იდენტიფიკაცია არ არის საჭირო იმ შემთხვევაში, როდესაც გადამამუშავებელი იყენებს ტექნოლოგიურ პროცესს, რომელიც მიეკუთვნება წარმოების უწყვეტ ციკლებს, ან უნიკალურ ტექნოლოგიურ პროცესს, რომელიც გამორიცხავს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ანალოგიური და/ან იდენტური სასაქონლო პროდუქციის წარმოებას.

საკომპენსაციო პროდუქტებში შემოტანილი საქონლის არსებობის დადგენის შესაძლებლობა განხილულია ასევე კიოტოს კონვენციაში, როგორც გადამუშავების პროცედურაში საქონლის მოთავსების აუცილებელი პირობა. ამასთან ერთად შიდა გადამუშავების პროცედურის რეკომენდირებული წესების სახით განმტკიცებულია, რომ საკომპენსაციო პროდუქტებში შემოტანილი საქონლის არსებობის დადგენის შესაძლებლობა არ უნდა იქნას განხილული, როგორც შიდა გადამუშავების აუცილებელი პირობა, როდესაც საქონლის იდენტიფიკაცია შეიძლება საკომპენსაციო პროდუქტების წარმოების დახარჯული რესურსებისა და ტექნოლოგიის შესახებ დაწვრილებითი მონაცემების წარდგენის გზით, ან გადამუშავების ოპერაციების ჩატარების დროს საბაჟო კონტროლის განხორციელების გზით, აგრეთვე, როდესაც სპეციალური ოპერაცია მთავრდება საბაჟო ტერიტორიაზე შიდა გადამუშავების პროცედურაში გადასამუშავებლად მოსაქცევი საქონლის აღწერით, ხარისხითა და ტექნიკური მასალებით იდენტური, გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტების გატანით (**კიოტოს კონვენციის სპეციალური F დანართის თავი1, პუნქტი 7)**[808].

---

[808] განხილულ საკითხებთან დაკავშირებით იხ. კიოტოს 1973 წლის კონვენცია „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ“; ინსტრუქცია „საბაჟო კონტროლის შესახსებ“; ასევე, ხარაზი ი; „გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება დისერტაცია, 2006; ხარაზი ი; „გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება“ (მონოგრაფია) 2006; ხარაზი ია, საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, დამხმარე სახელმძღვანელო, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2021; ხარაზი ია, საერთაშორისო საბაჟო სამართალი, თბილისი, 2013; ხარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2007; ხარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2010; გონერ ურიდია, ფრიდონ არახამია, საბაჟო საქმის თეორია, თბილისი, 2009; ურიდია გ; საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები, გამოცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011; ლორთქიფანიძე ვ; საბაჟო საქმის საფუძვლები, თბილისი, 2002; ჯგერენაია ემზარ, საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 2022; გ ურიდია, მ. არახამია, ფ. რუხაია, საბაჟო რეჟიმები, თბილისი, 2005; ია ხარაზი, გელა ცინცაძე, გიორგი ირემაშვილი, „საბაჟო რეჟიმების

საბაჟო ორგანო უფლებამოსილია აირჩიოს ზემოთ, საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული, მისთვის მისაღები ერთი ან რამდენიმე საშუალება.

შიდა გადამუშავების პროცედურის ავტორიზაციის მფლობელის მოთხოვნითა და საბაჟო ორგანოს თანხმობით საქონლის იდენტიფიკაცია შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს საქონლის გადამუშავების ოპერაციაში გამოყენებული ნედლეულის, მასალებისა და მაკომპლექტებელი ნაწილების, აგრეთვე გადამუშავებული პროდუქტის წარმოების ტექნოლოგიის შესახებ წარდგენილი დეტალური მონაცემების გამოკვლევით.

საბაჟო იდენტიფიკაციის შესახებ ვრცელი კომენტარია შემოთავაზებული: ბარაზი ი; საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, 2021; ასევე ,აღნიშნულ სახელმძღვანელოში; დამატ. იხ. ინსტრუქციაში „საბაჟო კონტროლის შესახებ", თავი III – „დათვალიერება, სინჯის ან/და ნიმუშის აღება, ექსპერტიზა", ამიტომ ამ შემთხვევაში საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებებს ვრცლად არ მიმოვიხილავთ და ზემოთ აღნიშნულის შემოვისაზღვრებით, განმეორება რომ არ გამოგვივიდეს.

სტრუქტურა და შინაარსი (საქართველოს საბაჟო კოდექსის მიხედვით)", ჟურნალი „სამართალი", # 1-2, 2007, გვ. 17-23; ია ხარაზი, ქეთინო ხარაზი, „გადამუშავების საბაჟო რეჟიმების ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა", ჟურნალი „სამართალი", #3-4, 2007, გვ. 42-45; უერთაშვილი ნატო, ხარაზი ია, „საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტები", საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომათა კრებული, I, თბილისი, 2010, გვ. 194-212; ია ხარაზი, ქეთევან კვინიკაძე, „სასაქონლო ოპერაციები", „მართლმსაჯულება და კანონი," #4(31), 2011, გვ.148-160; ია ხარაზი, ნატო უერთაშვილი, თემურ გერგედავა, „საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტების თავისებურებათა შესახებ", ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", #1(24), 2010; ია ხარაზი, ნატო უერთაშვილი, მაკა ორჯონიკიძე, „საბაჟო სამართლის ნორმათა განმარტების თავისებურებანი", ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი",#4)27), 2010, გვ. 56-67; И. В. Харази, Е. Д. Мчедлишвили, Д. Х. Чагунава, И. М. Леонидзе, „Правовые аспекты классификации таможенных режимов", AIR TRANSPORT, ВОЗДУШНЫЙ ТРАНСПОРТ, Aviation University of Georgia, Авиационный Университет Грузии, Тбилиси, #2(5), 2010, стр. 125-137.

ეკვივალენტური საქონლის გამოყენების შესახებ. ინსტრუქციის შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ" მე-4 მუხლის („ეკვივალენტური საქონლის გამოყენება") თანახმად, პირის განცხადების საფუძველზე, საქართველოს საბაჟო კოდექსის 117-ე მუხლის მე-4 ნაწილის[809] შესაბამისად, საბაჟო ორგანომ შესაძლებელია გასცეს თანხმობა ეკვივალენტური საქონლის შიდა გადამუშავების პროცედურაში გამოყენებაზე.

ეკვივალენტური საქონელი არის საქართველოს საქონელი, რომელიც შეიძლება შენახულ, გამოყენებულ ან გადამუშავებულ იქნეს სპეციალურ საბაჟო პროცედურაში მოქცეული საქონლის ნაცვლად.

შიდა გადამუშავების პროცედურაში ეკვივალენტური საქონლის გამოყენება დაუშვებელია, თუ:

- ა) შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონელი დაექვემდებარებოდა ანტიდემპინგურ ღონისძიებას თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მისი დეკლარირების შემთხვევაში;
- ბ) აღნიშნული საქონელი არის გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმი ან გენმოდიფიცირებული პროდუქტი ან შეიცავს ასეთ საქონელს.

---

[809] საბაჟო ორგანო პირის განცხადების საფუძველზე და იმ პირობით, რომ საბაჟო ზედამხედველობის მიზნისთვის უზრუნველყოფილი იქნება პროცედურის სათანადო განხორციელება,გასცემს ავტორიზაციას: ა) ეკვივალენტური საქონლის საბაჟო საწყობის, თავისუფალი ზონის, მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების, შიდა გადამუშავების ან გარე გადამუშავების პროცედურაში გამოყენებაზე; ბ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ შემთხვევებში ეკვივალენტური საქონლის დროებით შემოტანის პროცედურაში გამოყენებაზე გ) შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად ეკვივალენტური საქონლისგან მიღებული გადამუშავებული პროდუქტის ჩასანაცვლებელი საქონლის შემოტანამდე გატანაზე;დ) გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად ეკვივალენტური საქონლისგან მიღებული გადამუშავებული პროდუქტის ჩასანაცვლებელი საქონლის გატანამდე შემოტანაზე.

ეკვივალენტური საქონლის გამოყენება არ ექვემდებარება საქონლის სპეციალურ პროცედურაში მოქცევისათვის გათვალისწინებულ ფორმალობებს.

4. შიდა გადამუშავების პროცედურის გამოყენების პირობები

შიდა გადამუშავების პროცედურის გამოყენებისთვის აუცილებელია:

- ა) გადამუშავებული პროდუქტის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა არ იყოს ეკონომიკურად მოგებიანი;
- ბ) დეკლარანტმა წარადგინოს დასაბუთებული მონაცემები:
  - ბ.ა) იმ პირის შესახებ, რომელიც უშუალოდ ახორციელებს საქონლის გადამუშავების ოპერაციას;
  - ბ.ბ) შიდა გადამუშავების პროცედურაში მოსაქცევი საქონლის, გადამუშავებული პროდუქტის, ნაშთისა და ნარჩენის აღწერილობის, ხარისხისა და რაოდენობის შესახებ;

გადამუშავების ობიექტებისა და გადამუშავებული პროდუქტების, ასევე ნაშთის საბაჟო გაფორმება ხორციელდება ლიცენზიის მოქმედების პერიოდში, მხოლოდ იმ საბაჟო ორგანოს მიერ, რომელიც მითითებულია ლიცენზიაში. გადამუშავებისას გამოყენებული სამამულო საქონლის საბაჟო გაფორმება საჭიროებას არ წარმოადგენს.

რიგ შემთხვევაში გადამუშავების საგანი მთლიანად არ გამოიყენება, რასაც მოსდევს ნარჩენების წარმოქმნა, რომელშიც მოიაზრება გადამუშავების პროცედურაში მოთავსებული იმ საქონლის ნაწილი, რომელიც არ იყო გამოყენებული გადამუშავების პროდუქტის დასამზადებლად და კლასიფიცირებულია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურით იმავე სასაქონლო პოზიციაში, როგორც საბაჟო პროცედურაში თავდაპირველად მოქცეული საქონელი.

გადამუშავების განხილული პროცესი ეთანხმება მტკიცებას, რომელიც გვხვდება ლიტერატურაში, რომლის შესაბამისად, სამეწარმეო საქმიანობის შედეგს წარმოადგენს საქონელი, ნარჩენები და ფინანსური სახსრები (მოცემულ შემთხვევაში ფინანსები არ არის შეტანილი საქონლის გადამუშავების პროცესში, ვინაიდან ისინი გადამუშავების პროცედურის გამოყენებასთან დაკავშირებით ალმოცენებულ ურთიერთობათა მიღმა რჩება).

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა იცნობს ზემოთმოყვანილი გადამუშავების საერთო აქტებიდან გადაბეჭდვის შემთხვევებსაც. ასე მაგალითად, ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 257-ე ბრძანებით „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე", ინსტრუქცია „შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ", ან კიდევ ინსტრუქცია „გარე გადამუშავების პროცედურის შესახებ".

ეს ინსტრუქციები ითვალისწინებს, რომ გადამუშავებულ საქონელს აფორმებენ საბაჟო ორგანოები ექსპორტის პროცედურისათვის გათვალისწინებული წესით, საქართველოს ტერიტორიის გარეთ მისი ფაქტობრივად გატანის გარეშე, რის შედეგად იგი მოთავსდება საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების პროცედურაში შემოსატანი საბაჟო გადასაბადებისა და სხვა გადასახდელების გადახდის გარეშე და საბაჟო კონტროლქვეშ საქონლის მიტანის წესის შესაბამისად ხდება მისი გადაზიდვა გადამუშავების ადგილას. ამასთან, ექსპორტიორად იცნობა საქართველოს პირი, რომელმაც უცხოელ პირს მიჰყიდა ნედლეული საქონელი მის შემდგომი შიდა გადამუშავებისათვის. უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთმა ოპერაციამ მიიღო „საშინაო ტოლინგის" სახელწოდება. ამ წესის მოქმედება ვრცელდება ისეთ საქონელზე, როგორიცაა ფერადი ლითონები და მათი შენადნობები, მათი წარმოება, ნედლეული, ფერადი ლითონების ნაგლინი, მადანი და რკინის კონცენტრატები, მანგანუმის კონცენტრატები, ქვანახშირი, შავი ლითონების ნაჩენები და ჯართი და ა.შ.

ამ საკითხებზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ და მის განვრცობას ამ შემთხვევაში არ მოვახდენთ.

- ბ.გ) საქონლის გადამუშავების ოპერაციების, მათი განხორციელების ვადებისა და საშუალებების შესახებ;

ვადების შესახებ შემდეგ პარაგრაფში იქნება საუბარი.

- ბ.დ) გადამუშავებულ პროდუქტში გადაუმუშავებელი საქონლის იდენტიფიკაციის საშუალებისშესახებ;

იდენტიფიკაციის შესახებ წინა პარაგრაფში გვქონდა საუბარი.

- გ) გამოსავლიანობის ნორმა შეთანხმებული იყოს საბაჟო ორგანოსთან;

გამოსავლიანობის ნორმების შესახებ ზემოთ ვრცელი კომენტარია გაკეთებული.

• დ) დეკლარანტმა წარადგინოს შიდა გადამუშავების პროცედურაში მოსაქცევ საქონელზე იმპორტის გადასახდელის გადახდის უზრუნველყოფის შესაბამისი გარანტია, გარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ 257-ე ბრძანებით განსაზღვრული შემთხვევისა დარ ომელზედაც ამ თავის შესავალშივეა შემოთავაზებული ვრცელი კომენტარი.

5. შიდა გადამუშავების პროცედურის ვადა (ლიცენზიის მოქმედების ვადა). მონაცემების აღრიცხვა

შიდა გადამუშავების (როგორც გარე გადამუშავების) პროცედურის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა გადამუშავების ვადების დაცვა.

შიდა გადამუშავების ვადებს (იგივე გადამუშავების ლიცენზიის მოქმედების ვადებს) განსაზღვრავს საბაჟო კოდექსის 146-ე მუხლი - „შიდა გადამუშავების პროცედურის ვადა“ და ინსტრუქციის „შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ“ **მუხლი 5. – „საქონლის გადამუშავების ვადები “.**

საბაჟო ორგანო განსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც უნდა დასრულდეს შიდა გადამუშავების პროცედურა. ეს ვადა განისაზღვრება შიდა გადამუშავების პროცედურის ხანგრძლივობისა და მის დასასრულებლად საჭირო დროის გათვალისწინებით.

საქონლის გადამუშავების ვადა აითვლება შიდა გადამუშავების პროცედურაში საქონლის მოქცევის დღიდან, ხოლო ამ პროცედურაში საქონლის ცალკეულ სასაქონლო პარტიებად მოქცევისას – მასში საქონლის პირველი პარტიის მოქცევის დღიდან. წინასწარ განსაზღვრული ვადა შეიძლება გაგრძელდეს დეკლარანტის მოტივირებული განცხადების საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, როცა საბაჟო ორგანო პირის განცხადების საფუძველზე და იმ პირობით, რომ საბაჟო ზედამხედველობის მიზნისთვის უზრუნველყოფილი იქნება პროცედურის სათანადო გან-

ხორციელება, გასცემს ავტორიზაციას შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად ეკვივალენტური საქონლისგან მიღებული გადამუშავებული პროდუქტის ჩასანაცვლებელი საქონლის შემოტანამდე გატანაზე - გადამუშავებული პროდუქტის წინასწარი ექსპორტის განხორციელების შემთხვევაში საბაჟო ორგანომ უნდა განსაზღვროს ვადა, რომლის განმავლობაშიც უნდა განხორციელდეს უცხოური საქონლის შიდა გადამუშავების პროცედურაში დეკლარირება. ეს ვადა უნდა იყოს **არაუმეტეს 6 თვისა.** ამ ვადის განსაზღვრისას გაითვალისწინება უცხოური საქონლის შესყიდვისა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ტრანსპორტირებისთვის საჭირო დრო. აღნიშნული ვადა აითვლება შესაბამისი ეკვივალენტური საქონლისგან მიღებული გადამუშავებული პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან დაკავშირებული ექსპორტის საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან.[810]

საბაჟო ორგანოს შეუძლია შიდა გადამუშავების პროცედურის ავტორიზაციის მფლობელის განცხადების საფუძველზე ამავე მუხლის ზემოთ აღნიშნული 6 თვიანი ვადა გააგრძელოს **არაუმეტეს 12 თვისა,** თუ ეს განცხადება იმავე ვადის ამოწურვამდეა წარდგენილი.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ“, საქონლის გადამუშავებასთან დაკავშირებული მოქმედებისთვის ან ცალკეული საქონლის გადამუშავებისთვის შეიძლება დადგინდეს კონკრეტული ვადები,კერძოდ, ინსტრუქციის „შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ“ მე-5 მუხლის (**„საქონლის გადამუშავების ვადები“**) თანახმად, საბაჟო ორგანო ზემოთ ზემოთ განხილული საქართველოს საბაჟო კოდექსის 146-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრავს შიდა გადამუშავების პროცედურის დასრულების ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს **3 წელს.** ეს ვადა შეიძლება

---

[810] საბაჟო კოდექსი, მ. 146. ნ.4. აღნიშნული ნაწილი გამოიყენება 117-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტთან ერთობლიობაში.

გაგრძელდეს დეკლარანტის მოტივირებული განცხადების საფუძველზე. წინასწარ განსაზღვრული ვადის გაგრძელებისას დეკლარანტის მოტივირებული განცხადების შემთხვევაში:

- ა) გადამუშავების ვადის გასვლამდე თავდაპირველ საქონლის საბაჟო დეკლარაციაში შედის ცვლილება, მიეთითება საქონელზე გადამუშავების ახალი ვადა და წარდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი საგარანტიო უზრუნველყოფა;

საგარანტიო უზრუნველყოს შესახებ ვრცელი კომენტარია გაკეთებული ამ თავის შესავალშივე და მის განვრცობას სახელმძღვანელოს ფორმატიდან გამომდინარე აქ ალარ შევეცდები.

ბ) გადამუშავების ვადის გასვლის შემდეგ, რაც წარმოადგენს საბაჟო პროცედურის პირობების დარღვევას, წარედგინება ახალი საბაჟო დეკლარაცია ახალი საგარანტიო უზრუნველყოფით.

აქვე ლიცენზიის მოქმედების ვადის შესახებ. საბაჟოს მიერ დადგენილი ლიცენზიის მოქმედების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ზღვრულ ვადას (შიდა გადამუშავების ზღვრული ვადა **3 წელს შეადგენს**). იმ შემთხვევაში, თუ საწარმო პროცესის ხანგრძლივობა აჭარბებს დადგენილ ზღვრულ ვადას, ლიცენზიის მოქმედების სხვა ვადის დადგენის გადაწყვეტილებას იღებს საბაჟო დეპარტამენტი განმცხადებლის კონკრეტულ მომართვაზე დართული დასაბუთებით. დადგენილ ვადებში გადამუშავების ოპერაციების ჩატარების შეუსრულებლობისას განმცხადებლის წერილობითი მოტივირებული მიმართვით ლიცენზიის მოქმედების ვადა შეიძლება გაგრძელდეს. თუ ლიცენზიის მოქმედების ვადა ნაკლებზღვრულადაა დადგენილი, მაშინ ამ ვადის გაგრძელებას ახორციელებს გადამუშავების ლიცენზიის გამცემი საბაჟო. ამ შემთხვევაში, ლიცენზიის მოქმედების ვადა შეიძლება ზღვრულამდე გაგრძელდეს. დადგენილი ზღვრული ვადის ზევით ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებას ახდენს საბაჟო დეპარტამენტი.

აქვე აღვნიშნავდით, რომ ლიცენზიაში მითითებული გადამუშავების ვადა ამავე დროს არის ლიცენზიის მოქმედების ვადა და შეიცავს დროს, რომელიც საჭიროა:

- გადასამუშავებელი საქონლის საბაჟო გაფორმებისათვის;

• საწარმოო პროცესში გადამუშავების ობიექტის ჩართვისა და მოზიდვისათვის, სასაქონლო პროდუქტის(გადამუშავების პროდუქტის) სრულ დამზადებამდე);

• გადამუშავების პროდუქტების ექსპორტისა და/ან სხვა პროცედურაში მოსაქცევად.

გადამუშავების ვადის დასადგენას საქონლის გადამაადგილებელ პირს, გადამუშავების ლიცენზიის მიღებაზე განცხადებასთან ერთად საბაჟოში შეაქვს საწარმოო პროცესის აღწერა ძირითადი ტექნოლოგიური პროცესების ხანგრძლივობისა და გადასამუშავებლად გაანგარიშებული საქონლის სავარაუდო რაოდენობის მითითებით თავისუფალი წერილობითი ფორმით მისი გადამუშავების ვადების დახასიათებით.

საბაჟო ამოწმებს წარმოდგენილ ცნობებს გადამუშავების ვადების დაუსაბუთებელი გაზრდის შემთხვევის გამორიცხვის მიზნით და ადგენს მოქმედების ვადას და საქონლის რაოდენობას, რომელიც შეიძლება გადამუშავდეს ამ ვადაში გაცხადებული საწარმოოო პროცესების გამოყენებით. ეს ვადა დადგენილ ზღვრულ ვადას არ უნდა აღმატებოდეს. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დადგენილ ვადაში გადამუშავების ოპერაციების ჩატარების შეუძლებლობისას, განმცხადებლის წერილობითი მოტივირებული მიმართვით ლიცენზიის მოქმედების ვადა შეიძლება გაგრძელდეს. იმ შემთხვევაში, თუკი ლიცენზიის მოქმედების ვადა ნაკლებზღვრულადაა დადგენილი, მაშინ ამ ვადის გაგრძელებას ახორციელებს გადამუშავების ლიცენზიის გამცემი საბაჟო. ამ შემთხვევაში ლიცენზიის მოქმედების ვადა შეიძლება ზღვრულამდე გაგრძელდეს. დადგენილი ზღვრული ვადის ზევით ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებას ახდებს საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი.

მონაცემების აღრიცხვა. დეკლარანტმა, პროცედურის მფლობელმა ან ნებისმიერმა პირმა, რომელიც ახორციელებს საქონლის გადამუშავებასთან დაკავშირებულ საქმიანობას, საქართველოს

საბაჟო კოდექსის 112-ე მუხლის[811] შესაბამისად უნდა აწარმოოს შემდეგი მონაცემების აღრიცხვა:

- ა) შიდა გადამუშავების საბაჟო დეკლარაციის ნომერი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სპეციალური საბაჟო პროცედურა დასრულებულია – ინფორმაცია საბაჟო პროცედურის დასრულების შესახებ[812];
- ბ) საბაჟო დოკუმენტების, საქონლის საბაჟო პროცედურაში მოქცევასთან და პროცედურის პირობების შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა დოკუმენტის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები;
- გ) მონაცემები საქონლის იდენტიფიკაციისთვის საჭირო ნიშნების, საიდენტიფიკაციო ნომრების, შეფუთვის რაოდენობისა და სახეობის, საქონლის რაოდენობისა და ნორმალური კომერციული ან ტექნიკური აღწერილობისა და კონტეინერის საიდენტიფიკაციო ნიშნების შესახებ;

---

[811] თუ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ავტორიზაციის მფლობელმა, პროცედურის მფლობელმა (გარდა ტრანზიტის პროცედურის მფლობელისა) ან ნებისმიერმა პირმა, რომელიც ახორციელებს საქონლის შენახვასთან ან გადამუშავებასთან დაკავშირებულ საქმიანობას ანდა თავისუფალ ზონაში საქონლის გაყიდვას ან შეძენას, უნდა აწარმოოს სათანადო აღრიცხვა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული ფორმით. აღრიცხვა გულისხმობს ისეთი მონაცემისა და სხვა ინფორმაციის შენახვას, რომლებიც საბაჟო ორგანოს საშუალებას მისცემს, ზედამხედველობა გაუწიოს შესაბამის საბაჟო პროცედურას, კერძოდ, ამ პროცედურაში მოქცეული საქონლის იდენტიფიკაციასთან, საბაჟო სტატუსთან და გადაადგილებასთან დაკავშირებით. მიიჩნევა, რომ საბაჟო გამარტივებასთან დაკავშირებული ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი ასრულებს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ვალდებულებას, თუ მის მიერ წარმოებული აღრიცხვა შეესაბამება სპეციალური პროცედურის მიზნებს.

[812] იხ. საბაჟო კოდექსის 113-ე მუხლის კომენტარი: ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, 2021.

• დ) ინფორმაცია საქონლის ადგილმდებარეობისა და მისი ნებისმიერი გადაადგილების შესახებ;

• ე) საქონლის საბაჟო სტატუსი;

• ვ) ინფორმაცია საქონლის მიმართ საბაჟო კოდექსის 116-ე მუხლის[813] შესაბამისად განხორციელებული ქმედებ(ებ)ის და ამ ქმედებ(ებ)ის შედეგად სეს ესნ-ის კოდის [814]ცვლილების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

• ზ) ინფორმაცია გადამუშავების ოპერაცი(ებ)ის შესახებ;

• თ) გამოსავლიანობის ნორმა ან მისი გაანგარიშების მეთოდი;

გამოსავლიანობისა და მისი გაანგარიშების მეთოდის შესახები ზემოთ უკვე იყო საუბარი.

• ი) დეტალური ინფორმაცია ეკვივალენტური საქონლის გამოყენების თაობაზე, ასეთის გამოყენების შემთხვევაში;

ეკვივალენტური საქონლის შესახებ საუბარი უკვე იყო აღნიშნულ თავში.

---

[813] საბაჟო საწყობის, შიდა გადამუშავების, გარე გადამუშავების ან თავისუფალი ზონის პროცედურაში მოქცეული საქონლის მიმართ შეიძლება განხორციელდეს მისი შენახვის უზრუნველყოფისთვის ანდა სასაქონლო სახის ან მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის აუცილებელი ქმედებები ან საქონლის გაყიდვისთვის/ტრანსპორტირებისთვის მოსამზადებელი ქმედებები. საქონელი უნდა დარჩეს უცვლელ მდგომარეობაში, გარდა იმ ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი ცვეთით, შენახვის ნორმალური პირობებისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი დანაკარგებით ან ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედებებით. საბაჟო საწყობის, შიდა გადამუშავების, გარე გადამუშავებისა და თავისუფალი ზონის პროცედურებში მოქცეული საქონლის მიმართ დასაშვები ქმედებების ნუსხა განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით. საქართველოს მთავრობას უფლება აქვს, დაადგინოს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულისგან განსხვავებული შემთხვევები.

[814] სეს ესნ-ის შესახებ იხ. ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, 2021; ასევე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის ბრძანება (№275 წლის) „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ დანართი #1, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3 .

კ) ინფორმაცია პროცედურის მფლობელის უფლებებისა და მოვალეობების სხვა პირისათვის გადაცემის თაობაზე, ასეთი გადაცემის შემთხვევაში;

ლ) განსაკუთრებულ შემთხვევებში, საბაჟო ორგანოს მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია.

6. საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავება

საბაჟო კოდექსის 147-ე მუხლის ითვალისწინებს განსაკუთრებულ შემთხვევას, - როცა შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონელი, გადამუშავებული პროდუქტი ან/და მისი მაკომპლექტებელი ნაწილები საბაჟო ორგანოსთან შეთანხმებით, როდესაც საბაჟო კოდექსით (მ 146.ნ.1-3) საბაჟო ორგანო განსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც უნდა დასრულდეს შიდა გადამუშავების პროცედურა და ეს ვადა განისაზღვრება შიდა გადამუშავების პროცედურის ხანგრძლივობისა და მის დასასრულებლად საჭირო დროის გათვალისწინებით. ამასთანავე, საქონლის გადამუშავების ვადა აითვლება შიდა გადამუშავების პროცედურაში საქონლის მოქცევის დღიდან, ხოლო ამ პროცედურაში საქონლის ცალკეულ სასაქონლო პარტიებად მოქცევისას – მასში საქონლის პირველი პარტიის მოქცევის დღიდან. წინასწარ განსაზღვრული ვადა შეიძლება გაგრძელდეს დეკლარანტის მოტივირებული განცხადების საფუძველზე - შესაბამისად, ზემოთ მოცემული საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე დაბრუნების პირობით შეიძლება გადამუშავებისთვის დროებით გატანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ. ამ შემთხვევაში გასატან საქონელთან დაკავშირებით მოქმედებს გარე გადამუშავების პროცედურისთვის დადგენილი წესები და პირობები.

7. გადამუშავების პროცედურით გათვალისწინებული სამართლებრივი შეღავათები

ორივე პროცედურისათვის საბაჟო - საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ შეღავათებსა და სხვა უპირატესობებს შორის შეიძლება გამოიყოს სამი კატეგორია: 1. მოცემულ ოპერაციაში მოთავსებული საქონლის მიმართ; 2. მოცემული გადამუშავების პროცედურების მიმართ; 3. მოცემული ნარჩენის მიმართ.

შიდა და გარე გადამუშავების არასაგადასახადო უპირატესობებს შორის უწინარეს ყოვლისა უნდა დასახელდეს: 1. გადამუშავების საგნის; 2. გადამუშავების პროდუქტების და, 3. ნარჩენების მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის გამოუყენებლობა.

ამასთან არ შეიძლება გვერდი ავუაროთ შიდა გადამუშავების პროცედურის დებულებით განმტკიცებულ ნორმას, რომლის შესაბამისად შიდა გადამუშავების პროცედურაში მოსათავსებელი უცხოური საქონლის და ასევე ექსპორტის პროცედურაში მოსათავსებელი გადამუშავებული პროდუქტების მიმართ გამოიყენება არსატარიფო რეგულირების ზომები საქართველოს კანონმდებლობის მოქმედი აქტების შესაბამისად.

ამ დებულების ნორმებს ორმაგი მნიშვნელობა აქვს. ერთის მხრივ, იგი შეიცავს კანონმდებლობის სხვა აქტებზე მითითებას (არასატარიფო რეგულირების[815] ზომების შესახებ, რომელიც გამოიყენება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში), მეორეს მხრივ, იგი შეიცავს სატარიფო ზომების დაცვის მოთხოვნას (გამოიყენება არასატარიფო რეგულირების ის ზომები, რომლებიც დადგენილია კანონმდებლობის აქტებით). მოყვანილის განმარტების სისწორის დადასტურებას წარმოადგენს დებულება, რომელიც ამტკიცებს, რომ შიდა გადამუშავების პროცედურის შესაბამისად საქონლის საბაჟო გაფორმება ხორციელდება ერთდროულად რამდენიმე პირობის შესრულებისას, მათ შორის არასატარიფო რეგულირების ზომების დაცვის დროს.

---

[815] კვოტირება, ლიცენზირება, მინიმალური და მაქსიმალური ფასების დაწესება და ა.შ.

იმის გათვალისწინებით, რომ არასატარიფო რეგულირების ზომები არსებითად წარმოადგენს ეკონომიკური პოლიტიკის ზომებს, რომლებიც არ შეიძლება იქნას გამოყენებული არც შიდა გადამუშავების ოპერაციაში მოსათავსებელი საქონლის მიმართ, არც მისი გადამუშავების პროდუქტების მიმართ, ეწინააღმდეგება საბაჟო კოდექსს და გამოყენებას არ ექვემდებარება.

გადამუშავების პროცედურების გამოყენებასთან დაკავშირებული საგადასახადო შეღავათების სახით დადგენილია შემდეგი:

- გადახდილი საბაჟო გადასახადის დაბრუნება;
- საბაჟო გასახადისაგან გათავისუფლება;
- საბაჟო გადასახადის განაკვეთის შემცირება.

შიდა გადამუშავების და ასევე გარე გადამუშავების პროცედურებში მოქცეული საქონლის მიმართ გათვალისწინებული გადახდილი შემოტანის ან გატანის საბაჟო გადასახადებისა და სხვა გადასახდელების თანხის დაბრუნების სახით შეღავათები პირობითი ხასიათისაა. მისი გამოყენება პირდაპირ იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად „დანიშნულებისამებრ“ იყენებს პირი ამ პროცედურებს და ასევე სხვა პირობების შესრულებაზე.

ასე მაგალითად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიდან გადამუშავების საგნის გატანისას გადახდილი საბაჟო გადასახადების და სხვა გადასახდელების დასაბრუნებლად საკმარისია გადამუშავების ოპერაციების პირობების, შეზღუდვებისა და მოთხოვნების შესრულება (საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოქცევისათვის გაშვების პროცედურაში პროდუქტების მოთავსება, გადამუშავების პროდუქტების გამოსავლიანობის რაოდენობის, გადამუშავების ვადებისა და ა.შ. დაცვა).

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 63-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ გადასახადის გადამხდელის მიერ გადახდილი გადასახადების ან/და სანქციების (მათ შორის, საბაჟო სანქციის) თანხა აღემატება დარიცხული გადასახადების ან/და სანქციების (მათ შორის, საბაჟო სანქციის) თანხას, საგადასახადო ორგანო გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის საფუძველზე, ამ მოთხოვნის წარდგენიდან **არაუგვიანეს 1 თვისა** უბრუნებს გადასახადის გადამხდელს ზედმეტად გადახდილ თანხას. **იმავე მუხლის მე-10**

ნაწილის თანახმად კი: ცალკეულ შემთხვევებში, შემოსავლების სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია გადასახადის გადამხდელს გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის გარეშე დაუბრუნდეს გადასახადის ან/და სანქციის (მათ შორის, საბაჟო სანქციის) ზედმეტად გადახდილი თანხა. ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის (მათ შორის, საბაჟო სანქციის) თანხის გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის წარდგენის გარეშე დაბრუნების შემთხვევებს, წესსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის # 916 ბრძანება „ბიუჯეტის შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ანგარიშსწორების განხორციელებისა და ბიუჯეტში ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობის თანხის დაბრუნების, აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ".[816]

დღგ-ისაგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულია: ...„შიდა გადამუშავების... პროცედურაში მოქცეული საქონლის საქართველოს საბაჟო საზღვრიდან საბაჟო დეკლარაციაში მითითებულ დანიშნულების პუნქტამდე გადაზიდვა და ამ გადაზიდვასთან უშუალოდ დაკავშირებული, ამ მუხლის პირველი ნაწილის „თ" ქვეპუნქტით[817] გათვალისწინებული მომსახურების გაწევა,

---

[816] სრული სახით იხ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის #916 ბრძანება „ბიუჯეტის შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ანგარიშსწორების განხორციელებისა და ბიუჯეტში ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობის თანხის დაბრუნების, აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ", ttps://www.matsne.gov.ge/ka/document/search?quer,

[817] დღგ-ისაგან გათავისუფლებულია: ექსპორტში, რეექსპორტში, გარე გადამუშავებაში ან ტრანზიტში მოქცეული ან ტრანზიტისთვის განკუთვნილი (რაც დასტურდება საქონლის თანმხლები დოკუმენტებით) საქონლის გადაზიდვა და ამ გადაზიდვასთან უშუალოდ დაკავშირებული მომსახურების გაწევა. ასეთ გადაზიდვასთან უშუალოდ დაკავშირებული მომსახურებებია: თ. ა) გადაზიდვისას ტვირთის ან/და სატრანსპორტო და გადაზიდვის საშუალების გაგზავნასთან/მიღებასთან დაკავშირებული მომსახურება, აგრეთვე აეროპორტის, ნავსადგურის, სარკინიგზო ან საავტომობილო სადგურის/ვაგზლის მიერ გაწეული მომსახურება; თ.ბ) აერო- ან

გარდა ტვირთის შენახვის მომსახურებისა; შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების მიზნით აღნიშნული პროცედურის განმახორციელებელი პირის მიერ საქართველოს საბაჟო კოდექსის მე-6 მუხლის[818] პირველი ნაწილის „ც.ა"[819], „ც.ბ[820]", „ც.დ[821]" და „ც.ე[822]" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურებების გაწევა (გარდა იმ შემთხვევისა, თუ შემდგომ განხორციელდა გადამუშავებული საქონლის იმპორტი).

ამასთან, გადახდილი შემოსატანი და გასატანი საბაჟო გადასახადები და სხვა გადასახდელები ექვემდებარება დაბრუნებას გადამუშავების პროცედურაში მოთავსებული საქონლის მხოლოდ იმ ნაწილისათვის, რომელიც იყო გამოყენებული სასაქონლო (გადამუშავების პროდუქტის) დასამზადებლად და ამ დროს საწარმოო პროცესში მიღებული ნარჩენებისათვის.

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოსატანი და შიდა გადამუშავების პროცედურაში მოსათავსებელი საქონელი ექვემდებარება საბაჟო გადასახადებისა და სხვა გადასახდელებისაგან გათავისუფლებას. ***შედარებისათვის:*** საქონლის გარე გადამუშავების

საზღვაო სანავიგაციო, სადისპეტჩერო ან/და საინფორმაციო მომსახურება; თ.გ) საექსპედიტორო მომსახურება; თ.დ) ტვირთის დოკუმენტაციის მომზადების, ინსპექტირების, დათვალიერების, სატრანსპორტო დამუშავების (მათ შორის, დატვირთვისა და გადმოტვირთვის), ტრანსპორტირებისთვის შეფუთვისა და შენახვის მომსახურება; თ.ე) ნავსადგურებში აგენტირების მომსახურება.

[818] „ტერმინთა განმარტება".

[819] საქონლის დამუშავება, მათ შორის, მონტაჟი, აწყობა, სხვა საქონლისთვის მორგება

[820] საქონლის წარმოება.

[821] საქონლის შეკეთება, მათ შორის, მისი აღდგენა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანა.

[822] იმ საქონლის გამოყენება, რომელიც არ იდენტიფიცირდება გადამუშავებულ პროდუქტში, მაგრამ რომელიც ხელს უწყობს ან აადვილებს გადამუშავებული პროდუქტის წარმოებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს საქონელი გადამუშავების პროცესში მთლიანად ან ნაწილობრივ იხარჯება.

პროდუქტების მიმართ არ ხდება საბაჟო გადასახადებისა და სხვა გადასახდელების გადახდევინება.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

თავისუფალი მიმოქცევისათვის გაშვების პროცედურაში მათი მოთავსების დროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადამუშავების მიზანი იყო კანონმდებლობით, ინსტრუქციებით ან ხელშეკრულების ვადით გატანილი საქონლის უსასყიდლოდ განხორციელებული რემონტი (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც თავისუფალ მიმოქცევაში საქონლის თავდაპირველი გაშვებისას ნაკლის არსებობა იყო გათვალისწინებული). სხვა შემთხვევებში (ანაზღაურებითი რემონტის განხორციელება, გადამუშავების სხვა ოპერაციის ჩატარება) გამოიყენება საბაჟო გადასაბადებისა და სხვა გადასახდელების ნაწილობრივი გათავისუფლება. ამასთან, აღნიშნული შეღავათების მისაღებად საბაჟო კანონმდებლობა ადგენს დამატებით პირობას. გადამუშავების პროდუქტები თავისუფალი მიმოქცევისათვის გაშვების პროცედურაში მოსათავსებლად უნდა განაცხადოს გადამუშავების ლიცენზიის მიმღებმა პირმა ან აღნიშნულ პირთან ხელშეკრულებით საბაჟო ბროკერმა.

კიოიტოს კონვენცია განმტკიცებს შემდეგ პრინციპს: „საბაჟო ტერიტორიაზე გადასამუშავებლად დაშვებული საქონელი ყველა შემთხვევაში ექვემდებარება შემოსატანი საბაჟო გადასახადებისა და გადასახდელებისაგან გათავისუფლებას. მაგრამ შემოსატანი საბაჟო გადასახადები და გადასახდელები შეიძლება იქნას გადახდილი ყოველი პროდუქტიდან, შიდა გადამუშავებაში გადასამუშავებლად დაშვებული იმ საქონლის გადამუშავების ან წარმოების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების ჩათვლით, რომელიც არ იქნა გატანილი ან არ გადამუშავდა კომერციულად უვარგის მდგომარეობაში“ (სპეციალური F დანართის 1-ლი თავის პუნქტი - 2).

კიოტოს კონვენციით ასევე განმტკიცებულია ორი სპეციალური წესი, რომელიც ეხება საბაჟო გადასახადებისა და გადასახდელების გამოყენებას, რომლებიც არაა დამახასიათებელი საქართველოს საბაჟო კანონმდებლობისათვის და, რომელზეც ღირს ყურადღების მიქცევა.

ჯერ ერთი, სხვა საბაჟო პროცედურაში გადამუშავების პროდუქტების მოთავსება თავისუფალი მიმოქცევისათვის გაშვების

პროცედურის შესაბამისად მის გაფორმებამდე, არ კარგავს ამ საქონლის გაშვებისას შემოსატანი საბაჟო გადასახადებისა და გადასახდელებისაგან სრული ან ნაწილობრივი გათავისუფლების უფლებას.

მეორე, საგადასახადო შეღავათების მიღების უფლება შენარჩუნებულია ასევე საკომპენსაციო (ეკვივალენტურ) პროდუქტებზე საკუთრების უფლების მქონე მესამე პირისათვის გადაცემის შემთხვევაში თავისუფალ მიმოქცევაში მათ გაშვებამდე (**სპეციალური F დანართის მე-2 თავის პუნქტი 17, 18**).

8. შიდა გადამუშავების პროცედურის დასრულება

საქართველოს საბაჟო კოდექსის 113-ე მუხლის („**სპეციალური პროცედურის დასრულება**"), პირველი ნაწილის გათვალისწინებით *(„რომლის თანახმად, „სპეციალური პროცედურა, გარდა ტრანზიტის პროცედურისა, დასრულდება, თუ ამ პროცედურაში მოქცეული საქონელი ან გადამუშავებული პროდუქტი მოექცა სხვა საბაჟო პროცედურაში ან გატანილ იქნა საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან ან განადგურდა ნარჩენის გარეშე ან ამ კოდექსის 104-ე მუხლის შესაბამისად გადაეცა სახელმწიფოს") და შესაბამისად მითითებითი საბაჟო კოდექსის 104-ე მუხლის („საქონლის სახელმწიფოსთვის ან/და მუნიციპალიტეტისთვის გადაცემა") თანახმად, პროცედურის მფლობელმა ან საქონლის მფლობელმა უცხოური საქონელი და მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონელი საბაჟო ორგანოსთან წინასწარი შეთანხმებით შეიძლება საკუთრებაში გადასცეს სახელმწიფოს ან/და მუნიციპალიტეტს, ხოლო საქონლის სახელმწიფოსთვის ან/და მუნიციპალიტეტისთვის გადაცემის წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით* - გათვალისწინებით, შიდა გადამუშავების პროცედურა დასრულდება, თუ ამ პროცედურაში მოქცეული საქონელი, ან/და გადამუშავებული პროდუქტი ან/და ნარჩენი/ჯართი:

- ა) ექცევა სხვა საბაჟო პროცედურაში, ან
- ბ) გატანილია საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან, ან
- გ) განადგურდება ნარჩენების გარეშე, ან
- დ) გადაცემულია სახელმწიფოსთვის საქართველოს საბაჟო კოდექსის 104-ე მუხლის შესაბამისად.

შიდა გადამუშავების პროცედურის გამოყენებისას გადაუმუშავებელი საქონელი, გადამუშავებული პროდუქტი, ნარჩენი ან/და ჯართი საქონლის გადამუშავების ვადის გასვლამდე უნდა მოექცეს შესაბამის საბაჟო პროცედურაში ან/და გატანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან.

რა შეეხება სპეციფიკურ ტვირთებს: ელექტროენერგიას, გაზს, ნავთობის მსუბუქ, საშუალო და მძიმე დისტილატებს, მილსადენით გატარებულ საქონელს, საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა მათ შიდა გადამუშავების პროცედურით გადამუშავების ნებართვას არ იძლევა. საბაჟო დეპარტამენტის ნებართვის საფუძველზე შეიძლება გადამუშავდეს მხოლოდ გაზი და ისიც მხოლოდ ერთ კონკრეტულ შემთხვევაში - გვარჩილის მისაღებად. სხვა შემთხვევაში სხვა ენერგორესურსების გადამუშავება კანონმდებლობით ნებადართული არ არის.

საქართველოს საკანონმდებლო დონეზე არ არის დარეგულირებული ფერადი ლითონების გადამუშავება შიდა გადამუშავების პროცედურით. მხოლოდ საბაჟო დეპარტამენტის მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე ხდება ჯართის გადამუშავება (და ისიც მკაცრ კონტროლზეა აყვანილი, რადგან გადამუშავების პროცესში არ ჩაერიოს მაღალი რადიაციის მქონე ლითონი).

ამ საკითხების შესახებ ნაწილობრივ წინა პარაგრაფში იყო საუბარი.

გადაუმუშავებელი საქონლის ის ნაწილი, რომელზეც არ გრძელდება გადამუშავების ვადა, შესაძლებელია საქონლის საბაჟო დეკლარაციის წარდგენით გაშვებულ იქნეს თავისუფალ მიმოქცევაში ან მოექცეს საბაჟო საწყობის პროცედურაში, ან განხორციელდეს ამ საქონლის რეექსპორტი ან განკარგვა.

ნარჩენი ან/და ჯართი შესაძლებელია გაშვებულ იქნეს თავისუფალ მიმოქცევაში ან მოექცეს ექსპორტის ან საბაჟო საწყობის პროცედურაში, ან განხორციელდეს ამ საქონლის განკარგვა ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული წესით.

გადამუშავებული პროდუქტის ნარჩენის/ჯართის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის მიზნით წარედგინება საქონლის საბაჟო დეკლარაცია.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, შიდა გადამუშავების პროცედურის გამოყენებისას გადაუმუშავებელი საქონელი, გადამუშავებული პროდუქტი, ნარჩენი ან/და ჯართი საქონლის გადამუშავების ვადის გასვლამდე უნდა მოექცეს შესაბამის საბაჟო პროცედურაში ან/და გატანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან, ხოლო გადამუშავებული პროდუქტის ნარჩენის/ჯართის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანის მიზნით წარედგინება საქონლის საბაჟო დეკლარაცია. ამ საბაჟო პროცედურებით გათვალისწინებული საბაჟო პროცედურებისა და საბაჟო ფორმალობების განხორციელებისას დეკლარანტი ვალდებულია, საბაჟო ორგანოს წარუდგინოს „გამოსავლიანობის აქტი“ (დანართი №13-02).

დანართი №13-02

გამოსავლიანობის აქტი №

დასადეკლარირებელი საქონლის სახელწოდება (გადასამუშავებელი საქონელი /გადამუშავებული პროდუქტი/ ნარჩენი/ჯართი):

№	I		II	III	IV	V	VI
	საქონლის დასახელება	სეს ესხ კოდი	გადასამუშავებელი საქონლის ნაწილი დეკლარირებამდე	მიღებულ პროდუქტში გამოყენებული გადასამუშავებელი საქონელი	გადასამუშავებელი საქონლის ნაწილი დეკლარირების შემდეგ	ნარჩენი ან/და ჯართი დეკლარირების შემდეგ	შენიშვნა

			გამოყენებული წინსწრები დეკლარაციის(ების) A ნომერი/თარიღი	რაოდენობა (ზომის ერთეულის მითითებით)	წონა (ნეტო) კგ-ებში	რაოდენობა (ზომის ერთეულის მითითებით)	წონა (ნეტო) კგ-ებში	რაოდენობა (ზომის ერთეულის მითითებით)	წონა (ნეტო) კგ-ებში		
1											
	სულ										
2											
	სულ										

დეკლარანტის ს/ნ	

დეკლარანტის დასახელება	

წარმომადგენელი (სახელი, გვარი, პ/ნ)	

ხელმოწერა	

თარიღი	

კიდევ რა შეიძლება ვიცოდეთ შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ? როგორია ამ პროცედურის პერსპექტიანობა საქართველოს ეკონომიკისათვის?

გადასამუშავებლად საქონლის შემოტანას საქართველოში შიდა გადამუშავებისათვის გარკვეული სარგებელი მოაქვს, რამეთუ იგი საშუალებას იძლევა დასაქმდეს მუშახელი და მიიღოს დამატებითი მატერიალური რესურსები ქვეყნის შიგნით. ეკონომიკური საფუძველი დღეისათვის კი საქართველოს მუშახელის სიიაფეა.

შიდა გადამუშავებით საქართველოში საქართველოში უკვე მუშაობს 2 000-ზე მეტი დიდი თუ მცირე საწარმო და მათი რაოდენობა თანდათან იზრდება. მაგალითად, „თბილავიამშენი", სს „მადნეული", სს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ქ. ბათუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატი და სხვ.

სს „თბილავიამშენი" შიდა გადამუშავების ოპერაციით მუშაობდა საერთოდ და საკმაოდ ეფექტურადაც. ამ საწარმომ საქართველოში 1500-ზე მეტი მუშახელი დაასაქმა თავის დროზე საქართველოს მძიმე ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე და საკმაოდ მაღალი ანაზღაურებით. ეკონომიკური თვალსაზრისით ასევე წარმატებულია ქ. ბათუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის მუშაობაც შიდა გადამუშავების სპეციალური ოპერაციით. აღნიშნულ კომბინატს ნედლეული - ტყავი შემოაქვს მეზობელი ქვეყნებიდან (შუა აზიიდან), აწარმოებს პროდუქციას და უშვებს თავისუფალ მიმოქცევაში (დასაქმებული ჰყავს 200-ზე მეტი მუშახელი).

შიდა გადამუშავების პროცედურა, სამეურნეო საქმიანობისა და ეკონომიკური კვლავწარმოების პროცესში, მათი რიგისა და ადგილიდან გამომდინარე, წარმოადგენენ **ეკონომიკურ ოპერაციებს,** რომლებიც უშუალოდ პასუხობენ მრეწველობის ინტერესებს (აქვე მინდა აღვნიშნო ფაქტი იმის შესახებ, რომ, ამ პროცედურით მუშაობას დიდი სიფრთხილით უნდა მივუდგეთ, რადგან საქართველოს მუშახელის სიიაფემ უცხოელ ბიზნესმენთა მიერ ქართული ბაზრის წალეკვა არ გამოიწვიოს). განსაკუთრებით ეს ეხება ერთობლივ საწარმოებს. არც თუ იშვიათია შემთხვევა, როცა მეწარმეს საქართველოში შემოაქვს იაფი ნედლეული შიდა გადამუშავებისათვის (შემდგომ ექსპორტზე ან იმპორტში გასაშვებად) და „კაპიკებად"

ამუშავებენ საწარმოებში საქართველოს მუშახელს, სადაც ხშირად უსაფრთხოების ელემენტარული წესებია დარღვეული.

რაც უფრო შრომატევადია წარმოება, მით უფრო ხელსაყრელია უცხო მეწარმისათვის საქართველოში საწარმოების განთავსება (განსაკუთრებით საქართველოს მეწარმეებთან ერთობლივად) და იაფი მუშახელის მოზიდვა ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან და დაუსაქმებლობის მაღალი მაჩვენებლებიდან გამომდინარე, როცა პირს სამუშაოს არჩევის საშუალებაც არ აქვს). იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში გათვალისწინებული იქნება საქართველოს სამეცნიერო პოტენციალიც და უცხოელები საქართველოში განათავსებენ მეცნიერებადტევად საწარმოებსაც.

აქვე, **გადამუშავების რეჟიმის სპეციფიკური თავისებურებების შესახებ.** საკუთრივ საქონლის გადამუშავების და დამუშავების ოპერაციას ახასიათებს საქონლის (რომელიც გადამუშავების საგანს წარმოადგენს) და გამოყენებული დამხმარე საქონლის ინდივიდუალური ხასიათის დაკარგვა და ამ ხასიათის შენარჩუნება გადამუშავების პროდუქტში (სასაქონლო პროდუქცია). სასაქონლო პროდუქციის დამზადების ოპერაციისათვის დამახასიათებელია სასაქონლო პროდუქციაში აღნიშნული საქონლის აღდგენა ან შეცვლა, რომელიც გადამუშავების საგანს წარმოადგენს, რეკლამაციის მიხედვით დეფექტების აღმოფხვრა, ასევე ზოგიერთი საქონლის გამოყენებაში, რომელიც ხელს უწყობს გადამუშავების პროდუქტების წარმოებას ან აადვილებს მას (მასში მოიაზრება სასაქონლო პროდუქციის წარმოების ან ამ პროცესის გასაადვილებლად გადამუშავების პროცედურაში მოთავსებული საქონლის გამოყენება, თუ ეს საქონელი მთლიანად ან ნაწილობრივ გამოიყენება გადამუშავების პროცესში (კატალიზატორები, ფლუსი - მდნობი, ელექტროდები და ა.შ.).

ამასთან, გადამუშავების ოპერაციებს (როგორც შიდა, ასევე გარე გადამუშავებას) არ შეიძლება ეკუთვნოდეს საქონელი, რომლის იდენტიფიკაციაც შეუძლებელია, მათ შორის ელექტრული, თბური და სხვა სახეობის ენერგიები, აგრეთვე ის საქონელი, რომელთა გადამუშავების პროდუქტს წარმოადგენს ელეტრული, თბური და სხვა სახის ენერგია.

საბაჟო დეპარტამენტს ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებით შეუძლია დაადგინოს შეზღუდვები საქონლის გადამუშავების ცალკეული ოპერაციის ჩატარებაზე, ხოლო შიდა გადამუშავების პროცედურისათვის - მათი ჩატარების პირობებზე დამხმარე საქონლის გამოყენების შესაძლებლობისა და წესის ჩათვლით. ასე მაგალითად, შიდა გადამუშავების ტერიტორიაზე გადამუშავების პროცედურის ჩარჩოებში შეზღუდულია საკუთრივ გადამუშავებისა და დამუშავების, **აგრეთვე რემონტის ოპერაციათა გამოყენება შემდეგი საქონლის აღდგენისა და წესრიგში მოყვანის ჩათვლით:**

- ინსტექციდები, ჰერბიციდები, სადეზინფექციო ან მისი ანალოგიური საშუალებები, რომლებიც საცალი გაყიდვისათვის დაფასოებულია ფორმებში ან საფუთავებში ან წარმოდგენილია მზა პრეპარატების ან ნაწარმის სახით;
- რადიაქტიური ნარჩენები.

ჩამოთვლილ საქონელზე აღნიშნული ოპერაციების ჩატარების პირობებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს საბაჟო დეპარტამენტი ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებით.

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა იქედან ამოდის, რომ საქონლის გადამუშავების ნუსხა ერთიანია გადამუშავების ორივე პროცედურისათვის. ამასთან ერთად, საერთაშორისო საბაჟო შეთანხმებებში ოპერაციები დიფერენცირებულია გადამუშავების პროცედურების მიხედვით. ასე მაგალითად, კიოტიოს კონვენციის შესაბამისად, შიდა გადამუშავების ან გარე გადამუშავების პროცედურებში მოთავსებულ საქონელზე შეიძლება ჩატარდეს წარმოების, გადამუშავების ან რემონტის ოპერაციები (ეს გამომდინარეობს აღნიშნული პროცედურების განსაზღვრებებიდან); მაგრამ თავისუფალი მიმოქცევისათვის საქონლის დამუშავების პროცედურის ფარგლებში რემონტის ჩატარება დაუშვებლად მიმაჩნია, რომ ეს დაკავშირებულია ამ პროცედურის თავისებურებებთან, რომელთა შესახებ ზემოთ უკვე არის ნათქვამი. ანალოგიური კონცეფცია შეინიშნება ევროკავშირის (EEC) საბაჟო კოდექსშიც.

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობისაგან საერთაშორისო საბაჟო კანონმდებლობის მნიშვნელოვან განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ იგი უშვებს შიდა გადამუშავების პროცედურის

გამომყენებლის შეცვლას. ასე მაგალითად, კიოტოს კონვენციის სპეციალური F დანართის რეკომენდირებული წესი (1-ლი თავის პუნქტი- 17) გვაუწყებს, რომ შიდა გადამუშავების გასაგრძელებლად გათვალისწინებული უნდა იყოს პირობა შემოსატან საქონელსა და ეკვივალენტურ [823] პროდუქტებზე საკუთრების უფლების მესამე პირისათვის გადაცემის შესახებ, თუ ეს პირი თავის თავზე იღებს იმ პირის ვალდებულებებს, ვისაც მისცეს შიდა გადამუშავების ოპერაციის საქონლის გადამუშავების ნებართვა. მითითებული წესი, ჩემი აზრით ხელს უწყობს სამეწარმეო აქტივობის განვითარებას და შესაძლებლობას აძლევს მეურნე-სუბიექტებს უფრო მოქნილად მოახდინონ რეაგირება სხვადასხვა გარემოებებზე[824].

---

[823] წინა მოქმედი საბაჟო კანონდებლობებით საკომპენსაციო საქონლად იწოდებოდა.

[824] ხარაზი ი; გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება, დისერტაცია, თსუ, 2006; ხარაზი ი; გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება (მონოგრაფია), 2006;

ია ხარაზი; გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულიორება (დისერტაცია), თსუ, 2006.

ია ხარაზი, „საგადასახადო სამართლებრივ რეგულირებაში პრეზუმპტიული მეთოდების გამოყენების შესახებ", „დიპლომატია და სამართალი", #1(4), 2018, გვ. 46-68; ია ხარაზი, კახა ქოიავა, „საბაჟო საქმისა და საბაჟო სამართლის კონსტიტუციურსამართლებრივი საფუძვლები", ჟურნალი „სამართალი", #1-2, 2008, გვ. 17-20; ია ხარაზი, გელა ცინცაძე, გიორგი ირემაშვილი, „საბაჟო რეჟიმების სტრუქტურა და შინაარსი (საქართველოს საბაჟო კოდექსის მიხედვით)", ჟურნალი „სამართალი", #1-2, 2007, გვ. 17-23; ია ხარაზი, ქეთინო ხარაზი, „გადამუშავების საბაჟო რეჟიმების ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა", ჟურნალი „სამართალი", #3-4, 2007, გვ. 42-45; უერთაშვილი ნატო, ხარაზი ია, „საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტები", საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომათა კრებული, I, თბილისი, 2010, გვ. 194-212; ია ხარაზი, ქეთევან კვინიკაძე, „სასაქონლო ოპერაციები", „მართლმსაჯულება და კანონი," #4(31), 2011, გვ.148-160

ია ხარაზი, ნატო უერთაშვილი, თემურ გერგედავა, „საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტების თავისებურებათა შესახებ", ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", #1(24), 2010; ია ხარაზი, ნატო

A. დასაბაჟოვრებელი დებულებები/

შიდა გადამუშავების პროცედურის გამოყენებით უცხოური საქონლის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს გადამუშავების ერთი ან რამდენიმე ოპერაცია, რაც არ იწვევს: იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულების წარმოშობას; საქონლის მიმართ ვაჭრობაში დამცავი ღონისძიების გამოყენებას, თუ ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალული არ არის.

გამოსავლიანობის ნორმა – გადამუშავებული პროდუქტის ოდენობა ან ამ ოდენობის პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც მიღებულია შიდა გადამუშავების პროცედურაში ან გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული, განსაზღვრული რაოდენობის საქონლის გადამუშავების შედეგად.

შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცევის შემთხვევაში საქართველოს საქონელი კარგავს საქართველოს საქონლის სტატუსს და იძენს უცხოური საქონლის სტატუსს.

ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, საბაჟო ორგანოს თანხმობით, შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონელი შესაძლებელია გადამუშავდეს საბაჟო საწყობში, შიდა გადამუშავების პროცედურით განსაზღვრული პირობებისა და საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული სპეციალური ნორმების დაცვით, თუ აღნიშნული უარყოფითად არ იმოქმედებს საბაჟო ზედამხედველობის განხორციელებაზე. ამ შემთხვევაში საქონელი არ განიხილება საბაჟო საწყობის პროცედურაში მოქცეულად.

კიოტოს კონვენცია განამტკიცებს დებულებას, რომ საბაჟო სამსახურებმა უნდა დაადგინონ ან შეათანხმონ პროდუქციის გამოსავლიანობის

უერთაშვილი, მაკა ორჯონიკიძე, „საბაჟო სამართლის ნორმათა განმარტების თავისებურებანი“, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“,#4)27), 2010, გვ. 56-67; *ურიდია გონერ, არახამია მერაბ, რუხაია ფრიდონ, საბაჟო რეჟიმები, თბილისი, 2005;* И. В. Харази, Е. Д. Мчедлишвили, Д. Х. Чагунава, И. М. Леонидзе, „Правовые аспекты классификации таможенных режимов“, AIR TRANSPORT, ВОЗДУШНЫЙ ТРАНСПОРТ, Aviation University of Georgia, Авиационный Университет Грузии, Тбилиси, #2(5), 2010, стр. 125-137;И. В. Харази, М. И. мосулишвили ,Е. Д. Мчедлишвили, Проблемы и своеобразия Таможенного кодекса Грузии“, AIR TRANSPORT, ВОЗДУШНЫЙ ТРАНСПОРТ, Aviation University of Georgia, Авиационный Университет Грузии, Тбилиси, 2009, #1(3), стр. 119-130.

ნორმა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელზე ტარდება წარმოების ან გადამუშავების ოპერაციები.

შიდა გადამუშავების პროცედურის დასრულების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს.

გადამუშავებული პროდუქტის წინასწარი ექსპორტის განხორციელების შემთხვევაში საბაჟო ორგანომ უნდა განსაზღვროს ვადა, რომლის განმავლობაშიც უნდა განხორციელდეს უცხოური საქონლის შიდა გადამუშავების პროცედურაში დეკლარირება. ეს ვადა უნდა იყოს არაუმეტეს 6 თვისა.

შიდა გადამუშავების პროცედურის გამოყენებისას გადაუმუშავებელი საქონელი, გადამუშავებული პროდუქტი, ნარჩენი ან/და ჯართი საქონლის გადამუშავების ვადის გასვლამდე უნდა მოექცეს შესაბამის საბაჟო პროცედურაში ან/და გატანილ იქნეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან.

გადაუმუშავებელი საქონლის ის ნაწილი, რომელზეც არ გრძელდება გადამუშავების ვადა, შესაძლებელია საქონლის საბაჟო დეკლარაციის წარდგენით გაშვებულ იქნეს თავისუფალ მიმოქცევაში ან მოექცეს საბაჟო სანყობის პროცედურაში, ან განხორციელდეს ამ საქონლის რეექსპორტი ან განკარგვა.

გადამუშავების პროცედურების გამოყენებასთან დაკავშირებული საგადასახადო შეღავათების სახით დადგენილია შემდეგი: გადახდილი საბაჟო გადასახადის დაბრუნება; საბაჟო გასახადისაგან გათავისუფლება; საბაჟო გადასახადის განაკვეთის შემცირება.

B. კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის

განმარტეთ საქონლის შიდა გადამუშავების არსი

გამიჯნეთ ერთმანეთისაგან საქონლის შიდა და გარე გადამუშავება

რა ოპერაციების განხორციელებაა საჭირო შიდა გადამუშავების პროცედურის გამოყენებისათვის?

ახსენით გამოსავლიანობის ნორმის არსი

როგორ ხდება გამოსავლიანობის ნორმის განსაზღვრა?

შიდა გადამუშავებისას რა შემთხვევაში კარგავს საქონელი საქართველოს საქონლის სტატუსს?

სად შეიძლება გადამუშავდეს შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონელი?

განმარტეთ ეკვივალენტური საქონელი

რა შემთხვევაშია დაუშვებელი შიდა გადამუშავების პროცედურაში ეკვივალენტური საქონლის გამოყენება?

რამდენია შიდა გადამუშავების პროცედურის ზღვრული ვადა?

გადამუშავების პროცედურების გამოყენებასთან დაკავშირებით რა საგადასახადო შეღავათებია დაწესებული?

C. ტესტები:

შიდა გადამუშავების პროცედურის გამოყენებით უცხოური საქონლის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს გადამუშავების ერთი ან რამდენიმე ოპერაცია, რაც არ იწვევს:

ა. იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულების წარმოშობას; საქონლის მიმართ ვაჭრობაში დამცავი ღონისძიების გამოყენებას, თუ ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალული არ არის

ბ. იმპორტის გადასახდელის გადახდის ვალდებულების წარმოშობას

გ. საქონლის მიმართ ვაჭრობაში დამცავი ღონისძიების გამოყენებას

დ. თუ ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა აკრძალული არ არის

შიდა გადამუშავების პროცედურა შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე:

ა. საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების მიზნით მისი ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენი ოპერაციის განსახორციელებლად

ბ. საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების მიზნით მისი ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენი ოპერაციის განსახორციელებლად; იმ საქონლის მიმართ, რომელზედაც უნდა განხორციელდეს ამ კოდექსის 116-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებები

გ. იმ საქონლის მიმართ, რომელზედაც უნდა განხორციელდეს ამ კოდექსის 116-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებები

დ. ნებისმიერი საქონლის მიმართ.

შიდა გადამუშავების პროცედურაში მოსაქცევი საქონლის იდენტიფიკაციისთვის გამოიყენება შემდეგი საშუალებები:

ა. საქონლის შტამპით ან ციფრული ან სხვაგვარი მარკირებით მონიშვნა; საქონლის დაწვრილებითი აღწერა, ფოტოგადაღება ან მასშტაბურად გამოსახვა;

ბ. საქონლის შტამპით ან ციფრული ან სხვაგვარი მარკირებით მონიშვნა; საქონლის დაწვრილებითი აღწერა, ფოტოგადაღება ან მასშტაბურად გამოსახვა; საქონლის შტამპით ან ციფრული ან სხვაგვარი მარკირებით

მონიშვნა: საქონლის დაწვრილებითი აღწერა, ფოტოგადაღება ან მასშტაბურად გამოსახვა; საქონლის სინჯის ან/და ნიმუშის გამოკვლევა ან ანალიზი მისი შედეგების შემდგომ შედარების მიზნით; საქონელზე მწარმოებლის მიერ გამოსახული სერიული ნომრების ან სხვაგვარი მარკირება დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების ოპერაციების განხორციელება; იდენტიფიკაციის სხვა საშუალებები, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას ითვალისწინებს

გ. საქონლის შტამპით ან ციფრული ან სხვაგვარი მარკირებით მონიშვნა; საქონლის დაწვრილებითი აღწერა, ფოტოგადაღება ან მასშტაბურად გამოსახვა; საქონლის შტამპით ან ციფრული ან სხვაგვარი მარკირებით მონიშვნა; საქონლის დაწვრილებითი აღწერა, ფოტოგადაღება ან მასშტაბურად გამოსახვა; საქონლის სინჯის ან/და ნიმუშის გამოკვლევა ან ანალიზი მისი შედეგების შემდგომ შედარების მიზნით

დ. საქონელზე მწარმოებლის მიერ გამოსახული სერიული ნომრების ან სხვაგვარი მარკირება დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების ოპერაციების განხორციელება; იდენტიფიკაციის სხვა საშუალებები, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას ითვალისწინებს.

შიდა გადამუშავების პროცედურის გამოყენებისთვის აუცილებელია:

ა. გადამუშავებული პროდუქტის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა არ იყოს ეკონომიკურად მოგებიანი; დეკლარანტმა წარადგინოს დასაბუთებული მონაცემები: იმ პირის შესახებ, რომელიც უშუალოდ ახორციელებს საქონლის გადამუშავების ოპერაციას

ბ. შიდა გადამუშავების პროცედურაში მოსაქცევი საქონლის, გადამუშავებული პროდუქტის, ნაშთისადა ნარჩენის აღწერილობის, ხარისხისა და რაოდენობის შესახებ საქონლის გადამუშავების ოპერაციების, მათი განხორციელების ვადებისა და საშუალებების შესახებ

გ. გადამუშავებული პროდუქტის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა არ იყოს ეკონომიკურად მოგებიანი; დეკლარანტმა წარადგინოს დასაბუთებული მონაცემები: იმ პირის შესახებ, რომელიც უშუალოდ ახორციელებს საქონლის გადამუშავების ოპერაციას; შიდა გადამუშავების პროცედურაში მოსაქცევი საქონლის, გადამუშავებული პროდუქტის, ნაშთისა და ნარჩენის აღწერილობის, ხარისხისა და რაოდენობის შესახებ საქონლის გადამუშავების ოპერაციების, მათი განხორციელების ვადებისა და საშუალებების შესახებ; გადამუშავებულ პროდუქტში გადაუმუშავებელი საქონლის იდენტიფიკაციის საშუალების შესახებ; გამოსავლიანობის ნორმა შეთანხმებული იყოს

საბაჟო ორგანოსთან; დეკლარანტმა წარადგინოს შიდა გადამუშავების პროცედურაში მოსაქცევ საქონელზე იმპორტის გადასახდელის გადახდის უზრუნველყოფის შესაბამისი გარანტია, გარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული შემთხვევისა

დ. წარადგინოს შიდა გადამუშავების პროცედურაში მოსაქცევ საქონელზე იმპორტის გადასახდელის გადახდის უზრუნველყოფის შესაბამისი გარანტია, გარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული შემთხვევისა.

შიდა გადამუშავების პროცედურაში ეკვივალენტური საქონლის გამოყენება დაუშვებელია, თუ:

ა. შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონელი დაექვემდებარებოდა ანტიდემპინგურ ღონისძიებას თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მისი დეკლარირების შემთხვევაში; აღნიშნული საქონელი არის გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმი ან გენმოდიფიცირებული პროდუქტი ან შეიცავს ასეთ საქონელს

ბ. შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონელი დაექვემდებარებოდა ანტიდემპინგურ ღონისძიებას თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მისი დეკლარირების შემთხვევაში

გ. აღნიშნული საქონელი არის გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმი

დ. აღნიშნული საქონელი არის გენმოდიფიცირებული პროდუქტი ან შეიცავს ასეთ საქონელს

შიდა გადამუშავების პროცედურის დასრულების ვადა:

ა. არ უნდა აღემატებოდეს 1 წელს

ბ. არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს

გ.არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს

დ. არ უნდა აღემატებოდეს 4 წელს.

შიდა გადამუშავების პროცედურაში მოსაქცევი საქონლის იდენტიფიკაციისთვის გამოიყენება შემდეგი საშუალებები:

ა. საქონლის შტამპით ან ციფრული ან სხვაგვარი მარკირებით მონიშვნა; საქონლის დაწვრილებითი აღწერა, ფოტოგადაღება ან მასშტაბურად გამოსახვა; საქონლის სინჯის ან/და ნიმუშის გამოკვლევა ან ანალიზი მისი შედეგების შემდგომ შედარების მიზნით; საქონელზე მწარმოებლის მიერ გამოსახული სერიული ნომრების ან სხვაგვარი მარკირება; დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება შიდა გადამუშავების პროცედურაში

მოქცეული საქონლის გადამუშავების ოპერაციების განხორციელება; იდენტიფიკაციის სხვა საშუალებები, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას ითვალისწინებს

ბ. საქონლის შტამპით ან ციფრული ან სხვაგვარი მარკირებით მონიშვნა; საქონლის დაწვრილებითი აღწერა, ფოტოგადაღება ან მასშტაბურად გამოსახვა

გ. საქონლის სინჯის ან/და ნიმუშის გამოკვლევა ან ანალიზი მისი შედეგების შემდგომ შედარების მიზნით; საქონელზე მწარმოებლის მიერ გამოსახული სერიული ნომრების ან სხვაგვარი მარკირება; დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება შიდა გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების ოპერაციების განხორციელება

დ. იდენტიფიკაციის სხვა საშუალებები, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას ითვალისწინებს.

გადამუშავების პროცედურების გამოყენებასთან დაკავშირებული საგადასახადო შეღავათების სახით დადგენილია შემდეგი:

ა. გადახდილი საბაჟო გადასახადის დაბრუნება; საბაჟო გასახადისაგან გათავისუფლება; საბაჟო გადასახადის განაკვეთის შემცირება

ბ. გადახდილი საბაჟო გადასახადის დაბრუნება

გ. საბაჟო გასახადისაგან გათავისუფლება

დ. საბაჟო გადასახადის განაკვეთის შემცირება .

იდენტური საქონელი შეიძლება იყოს:

ა. ადიდასის მაისური და პუმას მაისური

ბ. პეპსი-კოლა და კოკა-კოლა

გ. აუდის მარკის მანქანა და მერსედესის მარკის მანქანა

დ. ჯორჯიის შტატში ჩამოსხმული პეპსი-კოლა და ჯორჯიის შტატში ჩამოსხმული პეპსი-კოლა.

D. კაზუსები

X საწარმომ სხვა ქვეყნიდან შემოიტანა 2 ტონა სპირტი შიდა გადამუშავებისათვის 1,5 ტონა არყის დასამზადებლად.

დაადგინეთ გამოსავლიანობის ნორმა.

შპს A-მ საქართველოში შიდა გადამუშავების პროცედურით შემოიტანა 3 ტონა საბრენდე მასალა კონიაკის დასამზადებლად.

როგორ დავადგინოთ გამოსავლიანობის ნორმა?

E. სამართლებრივი აქტები

საერთაშორისო აქტები:

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელწიფოებს შორის,

https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0

კიოტოს 1973 წლის კონვენცია „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ", საქართველოს აღნიშნულ კონვენციას შეუერთდა 2018 წლის 20 ივლისს, საქართველოს პარლამენტის დადგენილებით. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4270130?publication=0

შეთანხმება თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ (ძალაში შესვლის თარიღი: 06/12/2002),

https://www.matsne.gov.ge/document/view/1224033?publication=0

The Union Customs Code (UCC), https://taxation-customs.ec.europa.eu/customs-4/union-customs-code_en

გაზელის კონვენცია„ სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ", https://matsne.gov.ge/ka/document/view/1485058?publication=0

საკანონმდებლო აქტები:

საქართველოს კონსტიტუცია,

https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

საქართველოს საბაჟო კოდექსი,

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=5

საქართველოს საგადასახადო კოდექსი,

https://matsne.gov.ge/ka/document/view/32842?publication=69

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი,

https://matsne.gov.ge/ka/document/view/19024?publication=0

საქართველოს ადმინისტრაციული ზოგადი კოდექსი,

https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=39

საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ"

https://matsne.gov.ge/ka/document/view/2062?publication=41

საქართველოს კანონი „საგზაო მოძრაობის შესახებ",

https://matsne.gov.ge/ka/document/view/2169396?publication=23

საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ, მ.4. პ.3.3. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/26824?publication=91

საქართველოს__კანონი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ"; https://www.matsne.gov.ge/document/view/21994?publication=9

კანონქვემდებარე აქტები:

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 14 იანვრის #25 დადგენილება „თავისუფალი ზონის შექმნის პირობების, მისი შექმნისთვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის ფუნქციონირების, მასში საქონლის შენახვისა და საბაჟო კონტროლის განხორციელების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე";
https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/4772532/1/ge/pdf

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის #453 დადგენილება „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ";
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4657381?publication=0

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია (დანართი №13), „შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ";
https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია (დანართი №14), „გარე გადამუშავების პროცედურის შესახებ",
https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ", (დანართი №12),
https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საქონლის დროებითი შემოტანის პროცედურის შესახებ" (დანართი #11),
https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ექსპორტის პროცედურის შესახებ" (დანართი №15),
https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და

გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე", ინსტრუქცია „საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ" (დანართი #5), https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის ბრძანება (№275 წლის) „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე" დანართი #1, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3

ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია (დანართი №2) „საბაჟო კონტროლის შესახებ", https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „გარანტიის შესახებ", (დანართი №4), https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს #257 ბრძანება „საქართველო საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე", დანართი #3, ინსტრუქცია „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ", https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ", https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/1167887/285/ge/pdf

ფინანსთა მინისტრის #257 ბრძანება (დანართი №1), ინსტრუქცია „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ", https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება (#257 2019 წლის 29 აგვისტო) „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე", https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0 ინსტრუქცია (დანართი №12) „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ"

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ (დანართი №8), https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ" (დანართი #3)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის # 916 ბრძანება „ბიუჯეტის შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ანგარიშსწორების განხორციელებისა და ბიუჯეტში ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობის თანხის დაბრუნების, აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“, ttps://www.matsne.gov.ge/ka/document/search?quer

F. გამოყენებული ლიტერატურა:

ქართულ ენაზე:

ხარაზი ია, საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, დამხმარე სახელმძღვანელო, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2021

ხარაზი ია, საერთაშორისო საბაჟო სამართალი, თბილისი, 2013

ხარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2007

ხარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2010

ხარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2019, ლექციების კურსი, https://www.sou.edu.ge

ხარაზი ია; საქართველოს საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2015

ხარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბილისი, 2014

ხარაზი ი; საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, მეორე ნაწილი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2020

ხარაზი ია, აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტ. თანაავტ. „საგადასახადო და საბაჟო სამართალი ქართულ სასამართლო სივრცეში (სასამართლო პრაქტიკის მასალები იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის)“, გამომც. ქუთაისის უნივერსიტეტი, თბილისი, 2019

როგავა ზ; საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, წიგნი მესამე, გამომცემლობა იურისტების სამყარო“, თბილისი, 2017

ნადარაია, როგავა, რუხაძე, ბოლქვაძე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, §§ 156-310, 47-ე მუხლ. ავტ. ნადარაია, 331, https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00J1P6.pdf

გონერ ურიდია, ფრიდონ არაბამია, საბაჟო საქმის თეორია, თბილისი, 2009

ურიდია გ; საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები, გამოცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011

ლორთქიფანიძე ვ; საბაჟო საქმის საფუძვლები, თბილისი, 2002

ჯგერენაია ემზარ, საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 2022

ურიდია გონერ, რუხაია ფრიდონ. არაბამია მერაბ. საბაჟო გაფორმება TIR და ATA (CPD) კარნეტის პრინციპებით, თბილისი, 2004

ურიდია გონერ, არაბამია მერაბ, რუხაია ფრიდონ, საბაჟო რეჟიმები, თბილისი, 2005

ამილახვარი ზ; საქართველოს საბაჟო სამართალი, თბილისი, 2007

უცხოენაზე:

Борисов К. Г. Международное Таможенное право. Учеб, пособие – М; изд. ун-та дружби народов 1997

Козирин А. Н. Таможенное право Росии, Учеб, пособие – М; фирма СПАРК, 1995

Бахрах Д. Н. Кивалов С. В. Таможенное право Росии, Екатеринбург, Диамант, 1995

G. სამეცნიერო ნაშრომები

ია ხარაზი; გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულიორება (დისერტაცია), თსუ, 2006.

ია ხარაზი, „საგადასახადო სამართლებრივ რეგულირებაში პრეზუმპტიული მეთოდების გამოყენების შესახებ“, „დიპლომატია და სამართალი“, #1(4), 2018, გვ. 46-68

ია ხარაზი, კახა ქოიავა, „საბაჟო საქმისა და საბაჟო სამართლის კონსტიტუციურსამართლებრივი საფუძვლები“, ჟურნალი „სამართალი“, #1-2, 2008, გვ. 17-20

ია ხარაზი, გელა ცინცაძე, გიორგი ირემაშვილი, „საბაჟო რეჟიმების სტრუქტურა და შინაარსი (საქართველოს საბაჟო კოდექსის მიხედვით)“, ჟურნალი „სამართალი“, #1-2, 2007, გვ. 17-23

ია ხარაზი, ქეთინო ხარაზი, „გადამუშავების საბაჟო რეჟიმების ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა“, ჟურნალი „სამართალი“, #3-4, 2007, გვ. 42-45

უერთაშვილი ნატო, ხარაზი ია, „საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტები“, საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომათა კრებული, I, თბილისი, 2010, გვ. 194-212

ია ხარაზი, ქეთევან კვინიკაძე, „სასაქონლო ოპერაციები“, „მართლმსაჯულება და კანონი,“ #4(31), 2011, გვ.148-160

ია ხარაზი, ნატო უერთაშვილი, თემურ გერგედავა, „საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტების თავისებურებათა შესახებ", ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", #1(24), 2010

ია ხარაზი, ნატო უერთაშვილი, მაკა ორჯონიკიძე, „საბაჟო სამართლის ნორმათა განმარტების თავისებურებანი", ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი",#4)27), 2010, გვ. 56-67

И. В. Харази, Е. Д. Мчедлишвили, Д. Х. Чагунава, И. М. Леонидзе, „Правовые аспекты классификации таможенных режимов", AIR TRANSPORT, ВОЗДУШНЫЙ ТРАНСПОРТ, Aviation University of Georgia, Авиационный Университет Грузии, Тбилиси, #2(5), 2010, стр. 125-137

И. В. Харази, М. И. мосулишвили ,Е. Д. Мчедлишвили, Проблемы и своеобразия Таможенного кодекса Грузии", AIR TRANSPORT, ВОЗДУШНЫЙ ТРАНСПОРТ, Aviation University of Georgia, Авиационный Университет Грузии, Тбилиси, 2009, #1(3), стр. 119-130

Н. ლექსიკონი

მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე] - თბ., 2004 - 483 გვ.: ცხრ.; 24სმ. - (საჯარო მოსამსახურის ბ-კა). - ISBN 99940-0-063-2: [ფ.ა.]; http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=17983

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1962

I. ვებრესურსები

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. პაპავა ვლადიმერ, „თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა - „უკვდავი იდეა". აპრილი, 2007. http://gfsis, org/media/download/library/articles/EXPERT OPINION VPADIMER PAPAVA ENG.pdf

ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო" საქართველოს მთავრობის „50"-დღიანი პროგრამა" ანალიზი და შეფასებები, 2008, №15. იხ. Htt://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=5

http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=17983

თავი VIII7. გარე გადამუშავების პროცედურა

1. გარე გადამუშავების პროცედურის გამოყენება. გარე გადამუშავების პროცედურის გამოყენებასთან დაკავშირებული შეზღუდვები

საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავების პროცედურაში მოქცევა ითვალისწინებს საბაჟო დეპარტამენტის გადაწყვეტილებას (და არა ლიცენზიას ან ნებართვას), რაც გულისხმობს წერილობით[825] თანხმობას.

კიოტოს 1973 წლის კონვენციით - „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ", ასევე, ევროკავშირის საბაჟო კოდექსით[826], საბაჟო ტერიტორიის გარეთ გადამუშავების პროცედურაში საქონლის მოქცევა შეუძლიათ იმ პირებსაც, რომლებიც არ არიან ამ საქონლის მესაკუთრე. ამასთან, ეროვნულმა კანონმდებლობამ უნდა გაითვალისწინოს ის შემთხვევები, როცა მოცემულ პროცედურაში საქონლის მოქცევას ესაჭიროება წინასწარი ნებართვა, მაგრამ ასეთი შემთხვევები მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი[827]. საერთოდ, კიოტოს კონვენციით არის ორი რეჟიმი[828] აქტიური და პასიური. გარე გადამუშავებას, როცა წარმოშობით

---

[825] ურიდია გ; არახამია მ; რუხაია ფ; საბაჟო რეჟიმები, 2005, 73.

[826] The Union Customs Code (UCC), https://taxation-customs.ec.europa.eu/customs-4/union-customs-code_en

[827] ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, 2007; ხარაზი ი; საბაჟო სამართალი, 2010; ხარაზი ი; ხარაზი ი; საერთაშორისო საბაჟო სამართალი, 2013; საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, 2014; ჯგერენაია ე; საბაჟო ტექნოლოგიის საფუძვლები, 2002; ურიდია გონერ, არახამია მერაბ, რუხაია ფრიდონ, საბაჟო რეჟიმები, თბილისი, 2005; ამილახვარი ზ; საქართველოს საბაჟო სამართალი, თბილისი, 2007; Борисов К. Г. Международное Таможенное право, Учеб, пособие – М; изд. ун-та дружби народов 1997.

[828] დღს მოქმედი საბაჟო კოდექსით პროცედურა, სპეციალური ოპერაცია.

ეროვნული საქონელი გადამუშავდა ქვეყნის საბაჟო ტერიტორიის გარეთ - უწოდებენ პასიურს[829].

გარე გადამუშავების პროცედურის გამოყენება მოცემულია საბაჟო კოდექსის 148-ე და ინსტრუქციის „გარე გადამუშავების პროცედურის შესახებ" მე-2 მუხლში. ვიდრე გარე გადამუშავების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების კომენტარს მოვახდენთ, განვმარტოთ რა ეკონომიკურ პროცედურებს მოიცავს საქონლის გადამუშავება, კერძოდ: **გადამუშავების ოპერაციაში მოიაზრება:**

- საქონლის დამუშავება, მათ შორის, მონტაჟი, აწყობა ან სხვა საქონელზე მორგება;
- საქონლის წარმოება;
- საქონლის განადგურება;
- საქონლის შეკეთება, მათ შორის, აღდგენა და მუშა მდგომარეობაში მოყვანა;
- საქონლის გამოყენება, რომელიც არ იდენტიფიცირდება გადამუშავებულ პროდუქტში, მაგრამ ხელს უწყობს ან აადვილებს გადამუშავებული პროდუქტის წარმოებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს საქონელი სრულად ან ნაწილობრივ იხარჯება გადამუშავების პროცესში;
- გადამუშავებული პროდუქტი[830] – გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული საქონელი;

გადაუმუშავებელი საქონელი – გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონელი, რომელიც არ არის გადამუშავებული ამ პროცედურაში;

გამოსავლიანობის ნორმა – გადამუშავებული პროდუქტის ოდენობა ან ოდენობის პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც მიღებულია გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული განსაზღვრული რაოდენობის საქონლის გადამუშავების შედეგად;

---

[829] ჯგერენაია ე; საბაჟო ტექნოლოგიის საფუძვლები, 2002; 189.

[830] ადრე მოქმედი საბაჟო კანონმდებლობით გადამუშავების პროდუქტი მოიაზრებოდა, როგორც სასაქონლო პროდუქცია, ანუ გადამუშავების შემდეგ მიღებული მზა პროდუქცია.

ეკვივალენტური საქონელი – უცხოური საქონელი, რომელიც შესაძლებელია გადამუშავებული იქნეს გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქართველოს საქონლის ნაცვლად;

ნარჩენი ან/და ჯართი – ღირებულების არმქონე ან მცირე ღირებულების საქონელი ან პროდუქტები, რომლებიც მიიღება გადამუშავების ოპერაციის შედეგად და რომელთა გამოყენება დამატებითი გადამუშავების გარეშე შეუძლებელია[831].

„გარე გადამუშავების პროცედურის გამოყენებით საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ დროებით გატანილი საქართველოს საქონლის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს გადამუშავების ერთი ან რამდენიმე ოპერაცია. გადამუშავებული პროდუქტი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას შეიძლება იმპორტის გადასახადისგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლებით თავისუფალ მიმოქცევაში მოაქციოს გარე გადამუშავების პროცედურის ავტორიზაციის მფლობელმა ან საქართველოში დაფუძნებულმა პირმა, თუ მას აქვს გარე გადამუშავების პროცედურის ავტორიზაციის მფლობელის შესაბამისი თანხმობა და გარე გადამუშავების პროცედურის გამოყენების ყველა პირობა შესრულებულია“[832].

ინსტრუქციის „გარე გადამუშავების პროცედურის შესახებ“ მე-2 მუხლის („გარე გადამუშავების პროცედურის გამოყენება“) თანახმად, თუ აღნიშნული ინსტრუქციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, გარე გადამუშავების პროცედურა განისაზღვრება ექსპორტის პროცედურის შესაბამისად, ხოლო გადამუშავებული პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას განხორციელდება ის საბაჟო ფორმალობები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანისთვის.

გარე გადამუშავების პროცედურაში საქონლის დეკლარირება ხორციელდება საქონლის საბაჟო დეკლარაციის წარდგენით, ხოლო **3 000 ლარზე ნაკლები** საბაჟო ღირებულების საქონლის

---

[831] ინსტრუქცია „გარე გადამუშავების პროცედურის შესახებ“ (დანართი №14), მ.1.

[832] საბაჟო კოდექსი, მ. 148. ნ.1.

დეკლარირება ასევე შესაძლებელია **საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ის წარდგენით**[833].

გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქართველოს საქონლის გატანისას ხორციელდება ის საბაჟო ფორმალობები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქართველოს საქონლის გატანისთვის, ხოლო გადამუშავებული პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას - ის საბაჟო ფორმალობები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანისთვის.

ამ შემთხვევაში ძირითადად ნაგულისხმევია აღნიშნული საქონლის შემოტანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე თავისუფალ მიმოქცევაში (იმპორტში) გასაშვებად, ამ საბაჟო ფორმალობისათვის დამახასიათებელი გადასახადების გადახდით.

რაც შეეხება გამოსავლიანობის ნორმების განსაზღვრას, ამის შესახებ ვრცელი მასალაა შემოთავაზებული შიდა გადამუშავების პროცედურის თავში და გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გამოსავლიანობის ნორმასთან დაკავშირებით საბაჟო კოდექსის 148-ე მუხლი მიგვითითებს ამავე კოდექსის 143-ე მუხლის გამოყენებაზე, ხოლო გარე გადამუშავების პროცედურაში მოსაქცევი საქონლის იდენტიფიკაციისთვის - ამავე კოდექსის 144-ე მუხლის - „შიდა გადამუშავების პროცედურაში მოსაქცევი საქონლის იდენტიფიკაცია“ - გამოყენებაზე.

მ ა გ ა ლ ი თ ი:

პირმა საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან აზერბაიჯანში გაიტანა 5 ტონა სპირტი, კონიაკის დასამზადებლად და საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე თავისუფალ მიმოქცევაში გასაშვებად. 5 ტონა სპირტისაგან ვთქვათ, მიღებულია 4, 5 ტონა კონიაკი.

შ ე დ ე გ ი:

გამოსავლიანობის ნორმა იქნება 4,5 ტონა გადამუშავების პროდუქტი - კონიაკი.

---

[833] საბაჟო დეკლარაცია – ფორმა 4-ის შევსების წესების შესახებ ზემოთ იყო საუბარი.

რამეთუ, სამაჟო კოდექსის 143-ე და 144-ე მუხლებზე კომენტარი უკვე გაკეთდა შიდა გადამუშავების პროცედურის განხილვისას, გამოსავლიანობისა და საქონლის იდენტიფიკაციის შესახებ, გარე გადამუშავების პროცედურის გამოყენებისას - აღარ შევჩერდებით.

საინტერესოა რა ქმედებებია დასაშვები საქონლის გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცევისას? ამ კითხვაზე პასუხის გაგვცემს ინსტრუქციის „გარე გადამუშავების პროცედურის შესახებ" მე-3 მუხლი 116-ე მუხლთან მითითებით (კერძოდ, *„...გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის მიმართ შეიძლება განხორციელდეს მისი შენახვის უზრუნველყოფისთვის ანდა სასაქონლო სახის ან მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის აუცილებელი ქმედებები ან საქონლის გაყიდვისთვის/ტრანსპორტირებისთვის მოსამზადებელი ქმედებები"...),* რომლის მიხედვითაც, საქონლის შენახვის უზრუნველყოფისათვის, მისი სასაქონლო სახის ან მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ან გაყიდვისათვის/ტრანსპორტირებისათვის მოსამზადებლად გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის მიმართ დასაშვებია შემდეგი ქმედებების განხორციელება:

- ა) ვენტილაცია, გამოშრობა, მტვრის მოშორება, დასუფთავების მარტივი ოპერაციები, შეფუთვის შეკეთება, ტრანსპორტირების ან შენახვის დროს გამოწვეული დაზიანებების ელემენტალური შეკეთებები, რომლებიც არ სცდება მარტივი ოპერაციების ფარგლებს, ტრანსპორტზე დამცავი საღებავი ფენის დატანა და მოშორება;
- ბ) საქონლის რეკონსტრუქცია ტრანსპორტირების შემდეგ;
- გ) ინვენტორიზაცია, სინჯვა, სორტირება, გაცრა, მექანიკური გაფილტვრა და საქონლის აწონვა;
- დ) დაზიანებული ან დაბინძურებული კომპონენტების მოშორება;
- ე) შენახვა პასტერიზაციით, სტერილიზაციით, დასხივებით ან დამცველი საშუალებების დამატებით;
- ვ) პარაზიტების საწინააღმდეგოდ დამუშავება;
- ზ) ჟანგის საწინააღმდეგოდ დამუშავება;
- თ) დამუშავება ტემპერატურის მარტივი მატებით, დამატებითი დამუშავების ან გამოხდის პროცესების გარეშე ან ტემპე-

რატურის მარტივი დაკლებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (შემდგომში – სეს ესნ-ის) კოდის თერთმეტნიშნა დონეზე ცვლილებას გამოიწვევს;

• ი) ელექტროსტატიკური დამუშავება, ქსოვილების გაუთოვება;

• კ) დამუშავება, რომელიც მოიცავს:

– ხილის გასუფთავებისა ან/და დაკურკვას, გამომშრალი ხილისა და ბოსტნეულების დაჭრას ან დამტვრევას, ხილის ხელახალი რეჰიდრატაციას ან

– ხილის გამოშრობას, იმ შემთხვევაშიც, თუ აღნიშნული სეს ესნ-ის კოდის თერთმეტნიშნა დონეზე ცვლილებას გამოიწვევს;

• ლ) ტყავების გამტკნარება, გაწმენდა და დაჩხვლეტა;

• მ) საქონლის დამატება ან დამხმარე კომპონენტების დამატება ან გამოცვლა, თუ ასეთი მატება ან გამოცვლა შედარებით შეზღუდულია ან გამიზნულია ტექნიკური სტანდარტების დაკმაყოფილებისთვის და არ ცვლის ან აუმჯობესებს პირვანდელი საქონლის მუშაობას, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს იწვევს სეს ესნ-ის კოდის თერთმეტნიშნა დონეზე ცვლილებას დამატებული ან გამოცვლილი საქონლისთვის;

• ნ) სითხეების გაზავება ან კონცენტრირება, დამატებითი დამუშავების ან გამოხდის პროცესის გარეშე, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს იწვევს სეს ესნ-ის თერთმეტნიშნა დონეზე ცვლილებას;

• ო) ერთი და იმავე სახის, მაგრამ განსხვავებული ხარისხის საქონლის

შერევა, სტაბილური ხარისხის ან ისეთი ხარისხის მისაღებად, როგორიც მოითხოვა მომხმარებელმა, საქონლის სახეობის ცვლილების გარეშე;

• პ) ისეთი ბუნებრივი აირის ან საწვავის, რომელიც არ შეიცავს ბიოდიზელს, შერევა ისეთ ბუნებრივ აირთან ან საწვავთან, რომელიც შეიცავს ბიოდიზელს, (კლასიფიცირებულია სეს ესნ-ის

27-ე თავში[834]), სტაბილური ხარისხის ან ისეთი ხარისხის მისაღებად, როგორიც კლიენტმა მოითხოვა, საქონლის ტიპის ცვლილების გარეშე, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს იწვევს სეს ესნ-ის კოდის თერთმეტნიშნა დონეზე ცვლილებას;

• ჟ) ბუნებრივი აირისა და საწვავის შერევა ბიოდიზელთან, როცა ნაზავი შეიცავს 0.5%-ზე ნაკლებს ბიოდიზელს, ასევე ბიოდიზელის შეზავება ბუნებრივ აირთან და საწვავთან, როცა ნაზავი შეიცავს 0.5%-ზე ნაკლებ ბუნებრივ აირს ან საწვავს;

• რ) საქონლის დაყოფა ან ამოჭრა, თუ გამოიყენება მხოლოდ მარტივი ოპერაციები;

• ს) შეფუთვა, შეფუთვიდან ამოღება, ერთი ჭურჭლიდან მეორეში გადასხმა და მარტივი ტრანსფერი კონტეინერებში, იმ შემთხვევაშიც კი როცა ეს გამოიწვევს სეს ესნ-ის კოდის თერთმეტნიშნა დონეზე ცვლილებას, მარკების, ლუქების, იარლიყების, ფასის ნიშნულების ან სხვა გამორჩეული მანიშნებლების მიმაგრება, მოხსნა ან რედაქტირება;

• ტ) მექანიზმების, აპარატებისა და სატრანსპორტო საშუალებების ტესტირება, რეგულირება და მუშაობაში გაშვება, კონკრეტულად იმ მიზნით, რომ მოხდეს ტექნიკური სტანდარტების დაკმაყოფილება, თუ გამოიყენება მხოლოდ მარტივი ოპერაციები;

• უ) მილების საერთების დაბლაგვება, კონკრეტული ბაზრებისთვის მოსამზადებლად;

ფ) დენატურირება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს იწვევს სეს ესნ-ის კოდის თერთმეტნიშნა დონეზე ცვლილებას;

ქ) დამუშავების ყველა ჩვეული გზა, გარდა ზემომოხსენებულებისა, საქონლის გარეგნული ან გაყიდვადი ხარისხის გასაუმჯობესებლად ან დისტრიბუციისთვის/ გადაყიდვისთვის მოსამზადებლად, იმ შემთხვევაში, თუ ეს ოპერაციები არ ცვლის პირვანდელი საქონლის ტიპს ან არ აუმჯობესებს მუშაობას.

---

[834]იხ. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის ბრძანება (№275 წლის) „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე" დანართი #1, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3

აღნიშნული ქმედების განხორციელება არ უნდა იწვევდეს საქონლის სეს ესნ-ის თერთმეტნიშნა დონეზე[835] ცვლილებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული ინსტრუქციის „გარე გადამუშავების პროცედურის შესახებ".

გარე გადამუშავების პროცედურის გამოყენებასთან დაკავშირებული შეზღუდვები. ***გარე გადამუშავების პროცედურა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს საქონლის მიმართ, თუ:***

- ა) მისი გატანა გამოიწვევს ამ საქონელზე გადახდილი იმპორტის გადასახადის დაბრუნებას ან ჩათვლას;
- ბ) იგი გატანამდე მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში გაშვებული იყო თავისუფალ მიმოქცევაში იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლების პირობით და ამ შეღავათის გამოყენების პირობა მოქმედებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს საქონელი შეკეთების მიზნით გაიტანება.

ზემოთ აღნიშნული საბაჟო კოდექსის 149-ე მუხლით დადგენილი შეზღუდვებიდან გამონაკლისები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანებით „საქონლის შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ" (დანართი #14), კერძოდ, აღნიშნული ინსტრუქციის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, **გარე გადამუშავების პროცედურა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს საქონლის მიმართ, თუ:**

- ა) მისი გატანა გამოიწვევს ამ საქონელზე გადახდილი იმპორტის გადასახადის დაბრუნებას ან ჩათვლას;
- ბ) იგი გატანამდე მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში გაშვებული იყო თავისუფალ მიმოქცევაში იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლების პირობით და ამ შეღავათის გამოყენების პირობა მოქმედებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს საქონელი შეკეთების მიზნით გაიტანება.

---

[835] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის ბრძანება (№275 წლის) „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე" დანართი #1, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3

გარე გადამუშავების პროცედურის მფლობელის უფლებებისა და მოვალეობების სხვა პირისათვის სრულად ან ნაწილობრივ გადაცემის შემთხვევაში, საქონლის ახალ მესაკუთრეს წარმოეშობა საქონლის დეკლარირების ვალდებულება. ამასთან:

- ა) პროცედურის მფლობელის უფლებებისა და მოვალეობების სხვა პირისათვის სრულად გადაცემის (სხვა პირზე საქონლის სრულად გასხვისების) შემთხვევაში, წინმსწრები საბაჟო დეკლარაციის ელექტრონულ ვერსიაში კეთდება აღნიშვნა „ძალადაკარგულია“ და მიეთითება ახალი საბაჟო დეკლარაციის ნომერი და თარიღი;
- ბ) პროცედურის მფლობელის უფლებებისა და მოვალეობების სხვა პირისათვის ნაწილობრივ გადაცემის (სხვა პირზე საქონლის ნაწილის გასხვისების) შემთხვევაში, წინსმწრებ საბაჟო დეკლარაციაში ხორციელდება შესაბამისი ცვლილება და მიეთითება ახალი საბაჟო დეკლარაციის ნომერი და თარიღი.

გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქართველოს საქონელი ექვემდებარება საბაჟო ზედამხედველობას შესაბამისი საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციიდან ამ საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანამდე ან დეკლარაციის ბათილად ცნობამდე.

2. გარე გადამუშავების პროცედურის გამოყენების პირობები

გარე გადამუშავების პროცედურის გამოყენებისთვის აუცილებელია:

- ა) არსებობდეს გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავებულ პროდუქტში იდენტიფიკაციის შესაძლებლობა, გარდა:
  - ა.ა) საბაჟო კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის „ც.ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლისა;

საბაჟო კოდექსის მე-6 მუხლის „ც.ე“ ქვეპუნქტის თანახმად: საქონლის გადამუშავების ოპერაცია მოიცავს ...იმ საქონლის გამოყენება, რომელიც არ იდენტიფიცირდება გადამუშავებულ პროდუქტში, მაგრამ რომელიც ხელს უწყობს ან აადვილებს გადამუშავებული პროდუქტის

წარმოებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს საქონელი გადამუშავების პროცესში მთლიანად ან ნაწილობრივ იხარჯება..".

- ა.ბ) იმ შემთხვევისა, როდესაც გადამუშავებული პროდუქტი სტანდარტული გაცვლის სისტემით საშუალებას იძლევა, გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მისაღები გადამუშავებული პროდუქტი შეიცვალოს უცხოური საქონლით (შემდგომ – შემცვლელი საქონელი);

შესაბამისად იხ. ქვემოთ, საბაჟო კოდექსის 153-ე მუხლის კომენტარი.

- ა.გ) თუ არსებობს გამოყენებულ ეკვივალენტურ საქონელთან დაკავშირებული პირობების შესრულების შემოწმების შესაძლებლობა;

იხ. საბაჟო კოდექსის კოდექსის 117-ე მუხლის კომენტარი.

- ბ) გადამუშავებული პროდუქტის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა არ იყოს ეკონომიკურად მოგებიანი;
- გ) დეკლარანტმა წარადგინოს დასაბუთებული მონაცემები:
  - გ.ა) იმ პირის შესახებ, რომელიც უშუალოდ ახორციელებს საქონლის გადამუშავების ოპერაციას;
  - გ.ბ) გარე გადამუშავების პროცედურაში მოსაქცევი საქონლის, გადამუშავებული პროდუქტის, ნაშთისა და ნარჩენის აღწერილობის, ხარისხისა და რაოდენობის შესახებ;
  - გ.გ) გადამუშავების ოპერაციების, მათი განხორციელების ვადებისა და საშუალებების შესახებ;

გარე გადამუშავების ვადების შესახებ იხ. მომდევნო პარაგრაფში.

  - გ.დ) გადამუშავებულ პროდუქტში გადაუმუშავებელი საქონლის იდენტიფიკაციის საშუალების შესახებ;
- დ) გამოსავლიანობის ნორმა შეთანხმებული იყოს საბაჟო ორგანოსთან[836].

საბაჟო კოდექსის 150-ე მუხლის მიზნებისათვის, ინსტრუქციის „გარე გადამუშავების პროცედურის შესახებ" მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გარე გადამუშავების პროცედურის გამოყენებისას დეკლარანტი ვალდებულია, გაითვალისწინოს საქართველოს

[836] საბაჟო კოდექსი, მ.150.

საბაჟო კოდექსის 150-ე მუხლით დადგენილი პირობები და საბაჟო დეკლარაციასთან ერთად წარადგინოს:

- ა) „გარე გადამუშავების პროცედურის შესახებ მონაცემები და გამოსავლიანობის ნორმის გაანგარიშება“ (დანართი №14-01), რომელშიც მიეთითება დასაბუთებული ინფორმაცია:

დანართი №14-01

დეკლარანტის დასახელება ----------
საიდენტიფიკაციო ნომერი ----------
იურიდიული მისამართი ----------
წარმომადგენელი ----------
პირადი ნომერი ----------
ტელეფონი ----------

გარე გადამუშავების პროცედურის შესახებ მონაცემები და გამოსავლიანობის ნორმის გაანგარიშება
საქონელი:

(მიუთითეთ გადასამუშავებელი საქონლის დასახელება, აღწერილობა და რაოდენობა)

ექცევა გარე გადამუშავების პროცედურაში შემდეგი მონაცემების გათვალისწინებით:

1. საქონელზე განსახორციელებელი გადამუშავების ოპერაციის აღწერილობა:

(მიუთითეთ დაწვრილებითი ინფორმაცია გადამუშავების ტექნოლოგიური სქემის, გადამუშავების შედეგად მისაღები გადამუშავებული პროდუქტის, ნარჩენის ან/და ჯართის აღწერილობის, ხარისხის, დამატებითი ზომის ერთეულის და რაოდენობის/ბრუტო/ნეტოს წონის შესახებ, მისაღებ გადამუშავებულ პროდუქტში გადაუმუშავებელი საქონლის იდენტიფიკაციის საშუალებების თაობაზე. ამასთან, გადამუშავების ტექნოლოგიური სქემა და გადამუშავებულ პროდუქტში გადასამუშავებელი

საქონლის იდენტიფიკაციისათვის გამოსაყენებელი საშუალებების თაობაზე ინფორმაცია შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს დანართის მეშვეობით)

_____

_____

_____

_____

_____

2. მისაღები გადამუშავებული პროდუქტის გამოსავლიანობის ნორმა ან გამოსავლიანობის საშუალო ნორმა (რაოდენობა ან პროცენტული მაჩვენებელი) ან საჭიროებისამებრ მისი გაანგარიშების მეთოდი: _____

3. მიღებული გადამუშავებული პროდუქტის რაოდენობის შესაძლო ცდომილების პროცენტული მაჩვენებელი: _____

4. გადამუშავების განხორციელების პერიოდი:
____ _____ _____-დან – ____ _____ _____-მდე

5. პირი, რომელიც უშუალოდ ახორციელებს საქონლის გადამუშავების ოპერაციებს (თუ საქონლის გადამუშავება ხორციელდება არადეკლარანტის მიერ მიეთითება ამ პირის რეკვიზიტები):

ა) დასახელება _____
ბ) საიდენტიფიკაციო ნომერი _____
გ) საწარმოს მისამართი _____

ჩვენთვის ცნობილია, რომ:

ა) საბაჟო ორგანო უფლებამოსილია აღნიშნული მონაცემების შემოწმების მიზნით დამატებით მოითხოვოს ან/და გაითვალისწინოს უფლებამოსილი პირის (მათ შორის, საექსპერტო ორგანიზაციების/ლაბორატორიების) შესაბამისი დასკვნები;ბ) გარე გადამუშავების პროცედურის პირობების დარღვევა, გამოიწვევს საქართველოს საბაჟო კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

დეკლარანტის (წარმომადგენლის) ხელმოწერა: _____

თარიღი:_____

- ა.ა) იმ პირის შესახებ, რომელიც უშუალოდ ახორციელებს საქონლის გადამუშავების ოპერაციას;
- ა.ბ) გარე გადამუშავების პროცედურაში მოსაქცევი საქონლის, გადამუშავებული პროდუქტის, ნარჩენის ან/და ჯართის აღწერილობის, ხარისხისა და რაოდენობის შესახებ;
- ა.გ) ამავე ინსტრუქციის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გადამუშავების ოპერაციების, მათი განხორციელების ვადებისა და საშუალებების შესახებ;

ინსტრუქციაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა: გადამუშავების ოპერაცია: საქონლის დამუშავება, მათ შორის, მონტაჟი, აწყობა ან სხვა საქონელზე მორგება; საქონლის წარმოება; საქონლის განადგურება; საქონლის შეკეთება, მათ შორის, აღდგენა და მუშა მდგომარეობაში მოყვანა; საქონლის გამოყენება, რომელიც არ იდენტიფიცირდება გადამუშავებულ პროდუქტში, მაგრამ ხელს უწყობს ან აადვილებს გადამუშავებული პროდუქტის წარმოებას, მიუხედავად იმისა, რომ ეს საქონელი სრულად ან ნაწილობრივ იბარჯება გადამუშავების პროცესში;

- ა.დ) გადამუშავებულ პროდუქტში გადაუმუშავებელი საქონლის იდენტიფიკაციის საშუალების შესახებ;
- ა.ე) გამოსავლიანობის ნორმის ან გამოსავლიანობის საშუალო ნორმის ან, საჭიროებისამებრ, მისი გაანგარიშების მეთოდის შესახებ (გარდა იმ შემთხვევისა, თუ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია სტანდარტული ნორმა);

- ბ) არადეკლარანტთან გაფორმებული ხელშეკრულება საქონლის გადამუშავების შესახებ, იმ შემთხვევაში, როდესაც საქონლის გადამუშავება უნდა განხორციელდეს არადეკლარანტის მიერ.

ზემოთ აღნიშნული „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტში მითითებული მონაცემების ცვლილების შემთხვევაში დეკლარანტი ვალდებულია, საბაჟო ორგანოს წარუდგინოს ახალი „გარე გადამუშავების პროცედურის შესახებ მონაცემები და გამოსავლიანობის ნორმის გაანგარიშება“.

გარე გადამუშავების საბაჟო დეკლარაციის (მათ შორის, მასთან ერთად წარდგენილი, ზემოთ აღნიშნული მე-2 მუხლის მე-3

პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით[837] გათვალისწინებული დოკუმენტის) შემოწმებისას საბაჟო ორგანოს უფლება აქვს მოითხოვოს ან/და გაითვალისწინოს უფლებამოსილი პირის (მათ შორის, საექსპერტო ორგანიზაციის/ლაბორატორიის) დასკვნა, რომელიც ეფუძნება საქონლის გადამუშავების კონკრეტულ ტექნოლოგიურ პროცესს.

ეკვივალენტური საქონლის გამოყენება. საქართველოს საბაჟო კოდექსის 117-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საბაჟო ორგანომ, პირის განცხადების საფუძველზე, შესაძლებელია გასცეს თანხმობა ეკვივალენტური საქონლის გარე გადამუშავების პროცედურაში გამოყენებაზე.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 117-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, „საბაჟო ორგანო პირის განცხადების საფუძველზე და იმ პირობით, რომ საბაჟო ზედამხედველობის მიზნისთვის უზრუნველყოფილი იქნება პროცედურის სათანადო განხორციელება, გასცემს ავტორიზაციას: ეკვივალენტური საქონლის საბაჟო საწყობის, თავისუფალი ზონის, მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების, შიდა გადამუშავების ან გარე გადამუშავების პროცედურაში გამოყენებაზე; საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ შემთხვევებში ეკვივალენტური საქონლის დროებით შემოტანის პროცედურაში გამოყენებაზე; შიდა გადამუშავების

---

[837] გარე გადამუშავების პროცედურის გამოყენებისას დეკლარანტი ვალდებულია, გაითვალისწინოს საქართველოს საბაჟო კოდექსის 150-ე მუხლით დადგენილი პირობები და საბაჟო დეკლარაციასთან ერთად წარადგინოს: ა) „გარე გადამუშავების პროცედურის შესახებ მონაცემები და გამოსავლიანობის ნორმის გაანგარიშება“ (დანართი №14-01), რომელშიც მიეთითება დასაბუთებული ინფორმაცია; ა.ა) იმ პირის შესახებ, რომელიც უშუალოდ ახორციელებს საქონლის გადამუშავების ოპერაციას; ა.ბ) გარე გადამუშავების პროცედურაში მოსაქცევი საქონლის, გადამუშავებული პროდუქტის, ნარჩენის ან/და ჯართის აღწერილობის, ხარისხისა და რაოდენობის შესახებ; ა.გ) ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გადამუშავების ოპერაციების, მათი განხორციელების ვადებისა და საშუალებების შესახებ; ა.დ) გადამუშავებულ პროდუქტში გადაუმუშავებელი საქონლის იდენტიფიკაციის საშუალების შესახებ; ა.ე) გამოსავლიანობის ნორმის ან გამოსავლიანობის საშუალო ნორმის ან, საჭიროებისამებრ, მისი გაანგარიშების მეთოდის შესახებ (გარდა იმ შემთხვევისა, თუ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია სტანდარტული ნორმა).

პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად ეკვივალენტური საქონლისგან მიღებული გადამუშავებული პროდუქტის ჩასანაცვლებელი საქონლის შემოტანამდე გატანაზე; გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად ეკვივალენტური საქონლისგან მიღებული გადამუშავებული პროდუქტის ჩასანაცვლებელი საქონლის გატანამდე შემოტანაზე".

გარე გადამუშავების პროცედურაში ეკვივალენტური საქონლის გამოყენება დაუშვებელია, თუ:

- ა) გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქართველოს საქონლის ნაცვლად გადამუშავებული უცხოური საქონელი დაექვემდებარებოდა ანტიდემპინგურ ღონისძიებას თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მისი დეკლარირების შემთხვევაში;
- ბ) აღნიშნული საქონელი არის გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმი ან გენმოდიფიცირებული პროდუქტი ან შეიცავს ასეთ საქონელს.

ეკვივალენტური საქონლის გამოყენება არ ექვემდებარება საქონლის სპეციალურ პროცედურაში მოქცევისათვის გათვალისწინებულ ფორმალობებს.

3. გარე გადამუშავების პროცედურის ვადა

საბაჟო კოდექსის 151-ე მუხლის გარე გადამუშავების პროცედურაში ვადების დადგენისას მიუთითებს საბაჟო კოდექსის 158-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებაზე, კერძოდ, საბაჟო ორგანო განსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც უნდა განხორციელდეს გადამუშავებული პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა ან ამავე კოდექსის 158-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად გასხვისება(*„რაც გულისხმობს „საქონლის საბაჟო ორგანოსთვის წარდგენის გარეშე ექსპორტის პროცედურა შეიძლება გამოყენებულ იქნეს გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების ვადის გასვლამდე, თუ დეკლარანტი საბაჟო ორგანოს წარუდგენს ამ საქონლის გასხვისების დოკუმენტს"*). ეს ვადა განისაზღვრება გარე

გადამუშავების პროცედურის ხანგრძლივობისა და მის დასასრულებლად საჭირო დროის გათვალისწინებით (საბაჟო კოდექსი, მ. 151.6.1.).

საქონლის გადამუშავების ვადა აითვლება გარე გადამუშავების პროცედურაში საქონლის მოქცევის დღიდან, ხოლო ამ პროცედურაში საქონლის ცალკეულ სასაქონლო პარტიებად მოქცევისას – მასში საქონლის პირველი პარტიის მოქცევის დღიდან.

ზემოთ მითითებული პირველი ნაწილის შესაბამისად განსაზღვრული ვადა შეიძლება გაგრძელდეს დეკლარანტის მოტივირებული განცხადების საფუძველზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით საქონლის გადამუშავებასთან დაკავშირებული მოქმედებისთვის ან ცალკეული საქონლის გადამუშავებისთვის შეიძლება დადგინდეს კონკრეტული ვადები. კერძოდ, **ინსტრუქციის „გარე გადამუშავების პროცედურის შესახებ“ მე-5 მუხლის („საქონლის გადამუშავების ვადები“) თანახმად,** საბაჟო ორგანო საქართველოს საბაჟო კოდექსის საკომენტარო 151-ე მუხლის შესაბამისად, განსაზღვრავს გარე გადამუშავების პროცედურის დასრულების ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს **3 წელს.** აღნიშნული ვადა შეიძლება გაგრძელდეს დეკლარანტის მოტივირებული განცხადების საფუძველზე.

გადამუშავების ვადის გაგრძელების შემთხვევაში:

- ა) გადამუშავების ვადის გასვლამდე – თავდაპირველ საქონლის საბაჟო დეკლარაციაში შედის ცვლილება და მიეთითება საქონელზე გადამუშავების ახალი ვადა;
- ბ) გადამუშავების ვადის გასვლის შემდეგ, რაც წარმოადგენს საბაჟო პროცედურის პირობების დარღვევას, წარედგინება ახალი საბაჟო დეკლარაცია.

4. მონაცემების აღრიცხვა საქონლის გარე გადამუშავებისას

დეკლარანტმა, პროცედურის მფლობელმა ან ნებისმიერმა პირმა, რომელიც ახორციელებს საქონლის გადამუშავებასთან

დაკავშირებულ საქმიანობას, უნდა აწარმოოს შემდეგი მონაცემების აღრიცხვა[838]:

- ა) გარე გადამუშავების საბაჟო დეკლარაციის ნომერი და ინფორმაცია საბაჟო პროცედურის დასრულების შესახებ;
- ბ) საბაჟო დოკუმენტების, საქონლის საბაჟო პროცედურაში მოქცევასთან და პროცედურის პირობების შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა დოკუმენტის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები;
- გ) მონაცემები საქონლის იდენტიფიკაციისთვის საჭირო ნიშნების, საიდენტიფიკაციო ნომრების, შეფუთვის რაოდენობისა და სახეობის, საქონლის რაოდენობისა და ნორმალური კომერციული ან ტექნიკური აღწერილობისა და კონტეინერის საიდენტიფიკაციო ნიშნების შესახებ;
- დ) ინფორმაცია საქონლის ადგილმდებარეობის შესახებ;
- ე) საქონლის საბაჟო სტატუსი;
- ვ) ინფორმაცია საქონლის მიმართ განხორციელებული ქმედებ(ებ)ის და ამ ქმედებ(ებ)ის შედეგად სეს ესნ-ის კოდის ცვლილების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში[839];
- ზ) ინფორმაცია გადამუშავების ოპერაცი(ებ)ის შესახებ;
- თ) გამოსავლიანობის ნორმა ან მისი გაანგარიშების მეთოდი;
- ი) დეტალური ინფორმაცია ეკვივალენტური საქონლის გამოყენების თაობაზე, ასეთის გამოყენების შემთხვევაში;
- კ) ინფორმაცია პროცედურის მფლობელის უფლებებისა და მოვალეობების სხვა პირისათვის გადაცემის თაობაზე, ასეთი გადაცემის შემთხვევაში;
- ლ) განსაკუთრებულ შემთხვევებში, საბაჟო ორგანოს მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია.

---

[838] შესაბამისად იხ. საბაჟო კოდექსის 112-ე მუხლის - „აღრიცხვა“ - კომენტარი.

[839] შესაბამისად იხ. საბაჟო კოდექსის 116-ე მუხლის - „საქონლის მიმართ დასაშვები ქმედებები“ - კომენტარი.

5. სტანდარტული გაცვლის სისტემა საქონლის გარე გადამუშავებისას

სტანდარტული გაცვლის სისტემა საშუალებას იძლევა, გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მისაღები გადამუშავებული პროდუქტი შეიცვალოს უცხოური საქონლით (შემდგომ – შემცვლელი საქონელი) ამ მუხლის მე-2-მე-6 ნაწილების შესაბამისად. მეორე ნაწილის მიხედვით, საბაჟო ორგანო უფლებამოსილია დეკლარანტის მოტივირებული განცხადების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება სტანდარტული გაცვლის სისტემის მხოლოდ დეფექტური საქონლის შეკეთებასთან დაკავშირებით გამოყენების შესახებ. მესამე ნაწილი ითვალისწინებს შემთხვევას, როცა „შემცვლელ საქონელს უნდა ჰქონდეს იგივე სეს ესნ-ის კოდი რვანიშნა დონეზე[840], ხარისხი და ტექნიკური მახასიათებლები, რომლებიც აქვს დეფექტურ შესაკეთებელ საქონელს". თუ დეფექტური საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანამდე იყო გამოყენებული, შემცვლელი საქონელიც გამოყენებული (მეორეული) უნდა იყოს.

„საბაჟო ორგანოს შეუძლია დაუშვას გამონაკლისი ამ მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი მოთხოვნიდან, თუ შემცვლელი საქონელი საწარმოო დეფექტის გამო, სახელშეკრულებო ან საგარანტიო ვალდებულებიდან გამომდინარე, უსასყიდლოდ იქნა მოწოდებული"(ნ.5).

მე-6 ნაწილის შემთხვევაში, გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებულ გადამუშავებულ პროდუქტთან დაკავშირებული საკომენტარო XXV-ე **თავის** („გარე გადამუშავების პროცედურა") დებულებები ვრცელდება აგრეთვე შემცვლელ საქონელზე.

---

[840] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის ბრძანება (№275 წლის) „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე" დანართი #1, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3

ინსტრუქციის „გარე გადამუშავების პროცედურის შესახებ“ მუხლი 7 – „სტანდარტული გაცვლის სისტემის გამოყენება“ ითვალისწინებს, რომ სტანდარტული გაცვლის სისტემა გამოიყენება მხოლოდ დეფექტური საქონლის შეკეთების შემთხვევაში, საქართველოს საბაჟო კოდექსის 153-ე („სტანდარტული გაცვლის სისტემა“) და 154-ე მუხლებით („შემცვლელი საქონლის წინასწარ შემოტანა“) დადგენილი პირობების შესაბამისად.

სტანდარტული გაცვლის სისტემის გამოყენებაზე გადაწყვეტილებას იღებს საბაჟო ორგანო დეკლარანტის მოტივირებული განცხადების საფუძველზე.

დეფექტური საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანილი უნდა იქნეს **2 თვის ვადაში**. ეს ვადა აითვლება შემცვლელი საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან.

შენიშვნის სახით: განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ დეფექტური საქონლის აღნიშნულ ვადაში გატანა შეუძლებელია, საბაჟო ორგანო უფლებამოსილია გარე გადამუშავების პროცედურის ავტორიზაციის მფლობელის მოტივირებული განცხადებით ეს ვადა გონივრულ ვადამდე გააგრძელოს.

სტანდარტული გაცვლის სისტემის გამოსაყენებლად განმცხადებელმა უნდა წარადგინოს შესაბამისი ოდენობის გარანტია.

6. შემცვლელი საქონლის წინასწარ შემოტანა

როგორი საქონელი იგულისხმება შემცვლელ საქონელში?
შემცვლელი საქონელი ეკონომიკაში არის ის საქონელი, რომელიც სხვა საქონლის მსგავსია და თავისუფლად შეიძლება მოიხმაროს მის მაგივრად. თუ ორი საქონელი ურთიერთშემცვლელია, მაშინ ერთ საქონელზე ფასის ზრდა გამოიწვევს მეორე საქონელზე მოთხოვნის ზრდას. შემცვლელი საქონლის კლასიკური მაგალითებია: კარაქი და მარგარინი, კოკა კოლა და პეპსი კოლა და ა.შ. ასევე, **შემცვლელი საქონელი** ეკონომიკაში არის ის საქონელი, რომელიც სხვა საქონლის მსგავსია და თავისუფლად შეიძლება მოიხმაროს მის მაგივრად. თუ

ორი საქონელი ურთიერთშემცვლელია, მაშინ ერთ საქონელზე ფასის ზრდა გამოიწვევს მეორე საქონელზე მოთხოვნის ზრდას. შემცვლელი საქონელი ორიენტირებულია ერთი დაიმავე მიზნის მისაღწევად.

საბაჟო ორგანო უფლებამოსილია დაინტერესებულ პირს მისი განცხადების საფუძველზე მისცეს დეფექტური საქონლის გატანამდე შემცვლელი საქონლის დადგენილი პირობების შესაბამისად შემოტანის უფლება. ამ შემთხვევაში განმცხადებელმა უნდა წარადგინოს შესაბამისი ოდენობის გარანტია.

დეფექტური საქონელი საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანილი უნდა იქნეს **2 თვის** ვადაში. ეს ვადა აითვლება შემცვლელი საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან.

განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ დეფექტური საქონლის **2** თვიან ვადაში გატანა შეუძლებელია, საბაჟო ორგანო დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს გარე გადამუშავების პროცედურის ავტორიზაციის მფლობელის მოტივირებული განცხადების საფუძველზე გააგრძელოს ეს ვადა გონივრულ ვადამდე.

სიტუაციური სახელმძღვანელო:

დღგ-ის ჩათვლა დეფექტურ (მოძველებულ) საქონელზე

ფაქტობრივი გარემოებები:

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულმა პირმა განაბორციელა საქონლის იმპორტი ან/და დღგ-ის გადამხდელი ადგილობრივი მომწოდებლისაგან შეიძინა საქონელი და განაბორციელა დღგ-ის ჩათვლა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შემდგომ პერიოდში შეუძლებელი გახდა მისი რეალიზაცია იგივე ფორმით ან/და იგივე ფასად, ვინაიდან პირის მიერ დადგინდა, რომ აღნიშნული საქონელი დეფექტური (დაზიანებული) ან მოძველებულია (მათ შორის მოდიდან გამოსული).

პირმა განაბორციელა აღნიშნული საქონლის რეალიზაცია შესაძლო სარეალიზაციო ფასით, ამასთან მას არ მოუხდენია ჩათვლილი დღგ-ის თანხის გაუქმება.

რეალიზაციამდე პირის მიერ ჩატარებულია ამავე სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია.

შ ე ფ ა ს ე ბ ა:

მიუხედავად იმისა, რომ საქონელმა შეიცვალა ფორმა ან მოძველდა (მათ შორის მოდიდან გამოვიდა) და შეუძლებელი გახდა მისი დანიშნულებით ან/და იგივე ფასად რეალიზაცია, პირს უფლება ჰქონდა განეხორციელებინა დღგ-ის ჩათვლა, ვინაიდან საქონელი გამოყენებულ იქნა დასაბეგრ ოპერაციაში.

ღ ო ნ ი ს ძ ი ე ბ ე ბ ი:

პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება.

7. გარე გადამუშავების პროცედურის დასრულება

გარე გადამუშავების პროცედურა დასრულდება, თუ ამ პროცედურაში მოქცეული საქონელი ან გადამუშავებული პროდუქტი, ან/და ნარჩენი/ჯართი:

- ა) ექცევა სხვა საბაჟო პროცედურაში[841], ან
- ბ) განადგურდება ნარჩენების გარეშე, ან
- გ) გადაცემულია სახელმწიფოსთვის საქართველოს საბაჟო კოდექსის 104-ე მუხლის შესაბამისად[842] ანუ პროცედურის მფლობელმა ან საქონლის მფლობელმა უცხოური საქონელი და მიზნობრივი დანიშნულებით შემოტანილი საქონელი საბაჟო ორგანოსთან წინასწარი შეთანხმებით შეიძლება საკუთრებაში გადასცეს სახელმწიფოს ან/და მუნიციპალიტეტს.

გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანილი საქონელი გადამუშავების ვადის გასვლამდე შესაძლებელია მოექცეს ექსპორტის პროცედურაში, საქონლის საბაჟო ორგანოსათვის წარდგენის გარეშე, თუ

---

[841] ვთქვათ საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში (იმპორტში) გაშვების პროცედურაში.

[842] საკომენტარო ინსტრუქციის „გარე გადამუშავების პროცედურის შესახებ“ მუხლი 8-ის - „გარე გადამუშავების პროცედურის დასრულება“ 1-ლი ნაწილის მიზნებისათვის იხ. საქართველოს საბაჟო კოდექსის 113-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის შესახებაც ზემოთ შემოთავაზებულია კომენტარი.

დეკლარანტი საბაჟო ორგანოს წარუდგენს ამ საქონლის გასხვისების დოკუმენტს.

გადამუშავებული პროდუქტის, გადაუმუშავებელი საქონლის, ნარჩენისა და ჯართის მიმართ გათვალისწინებული საბაჟო პროცედურებისა და საბაჟო ფორმალობების განხორციელებისას, დეკლარანტი ვალდებულია, საბაჟო ორგანოს წარუდგინოს „გამოსავლიანობის აქტი“ (დანართი №14-02).

დანართი №14-02

გამოსავლიანობის აქტი №

დასადეკლარირებელი საქონლის სახელწოდება (გადასამუშავებელი საქონელი /გადამუშავებული პროდუქტი/ ნარჩენი/ჯართი):

№	I		II	III	IV	V	VI
	საქონლის დასახელება	ეს ესნ კოდი	გადასამუშავებელი საქონლის ნაშთი დეკლარირებამდე	მიღებულ პროდუქტში გამოყენებული გადასამუშავებელი საქონელი	გადასამუშავებელი საქონლის ნაშთი დეკლარირების შემდეგ	ნარჩენი ან/და ჯართი დეკლარირების შემდეგ	შენიშვნა

			გამოყენებული ნიწისწრები დეკლარაციის(ებ)ის A ნომერი/თარიღი	რაოდენობა (ზომის ერთეულის მითითებით)	წონა (ნეტო) კგ-ებში	რაოდენობა (ზომის ერთეულის მითითებით)	წონა (ნეტო) კგ-ებში	რაოდენობა (ზომის ერთეულის მითითებით)	წონა (ნეტო) კგ-ებში		
1											
	სულ										
2											
	სულ										

დეკლარანტის ს/ნ	
დეკლარანტის დასახელება	
წარმომადგენელი (სახელი, გვარი, პ/ნ)	
ხელმოწერა	
თარიღი	

8. გარე გადამუშავებისათვის საგადასახადო კანონმდებლობით დაწესებული პრეფერენციები

საგადასახადო კანონმდებლობით საქონლის გარე გადამუშავების პროცედურის გამომყენებლისათვის გარკვეული საგადასახადო პრეფერენციებია დაწესებული, კერძოდ: **დღგ-ისაგან ჩათვლის უფლებით[843] გათავისუფლებულია:** გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქონლის (რაც დასტურდება საქონლის თანმხლები დოკუმენტებით) გადაზიდვა და ამ გადაზიდვასთან უშუალოდ დაკავშირებული მომსახურების გაწევა.

აღნიშნულ გადაზიდვასთან უშუალოდ დაკავშირებულ მომსახურებას განეკუთვნება:

- გადაზიდვისას ტვირთის ან/და სატრანსპორტო ან/და გადაზიდვის საშუალების გაგზავნასთან/მიღებასთან დაკავშირებული მომსახურება, აგრეთვე, აეროპორტების, ნავსადგურების, სარკინიგზო და საავტომობილო ვაგზლების მიერ გაწეული მომსახურება;
- აეროსანავიგაციო და საზღვაო სანავიგაციო, სადისპეტჩერო ან/და საინფორმაციო მომსახურება;
- საექსპედიტორო მომსახურება;
- ტვირთის დოკუმენტაციის მომზადების, ინსპექტირების, დათვალიერების, სატრანსპორტო დამუშავების (მათ შორის დატვირთვისა და გადმოტვირთვის), ტრანსპორტირებისათვის შეფუთვისა და შენახვის მომსახურება;
- ნავსადგურებში აგენტირების მომსახურება.

კიდევ რა უნდა ვიცოდეთ საქონლის გარე გადამუშავების შესახებ!

1. საქონლის გარე გადამუშავების განსაზღვრისას წარსადგენი დოკუმენტებია:

---

[843] დასაბეგრი ოპერაციები დღგ-ისგან გათავისუფლებულია დღგ-ის ჩათვლის უფლებით, რაც ნიშნავს, რომ ამ ოპერაციების განხორციელების შემთხვევაში დასაბეგრ პირებს, უფლება აქვთ, ამ კოდექსით დადგენილი წესით ჩაითვალონ ამ ოპერაციებზე გაწეულ ხარჯებთან დაკავშირებული დღგ.იხ. საგადასახადო კოდექსი, მ. 169. ნ.3.

სატრანსპორტო დოკუმენტი

- *საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს სატრანსპორტო ზედნადები ან TIR-წიგნაკი;*
- *საზღვაო გადაზიდვის დროს - კონოსამენტი;*
- *საჰაერო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს - ავიაზედნადები;*
- *სარკინიგზო გადაზიდვის დროს - სარკინიგზო ზედნადები.*

2. საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულების ან ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისი) ან სხვა სანგარიშსწორებო დოკუმენტი.

3. „გარე გადამუშავების პროცედურის შესახებ მონაცემები და გამოსავლიანობის ნორმის გამოანგარიშება".

4. შესაბამისი ნებართვა ან/და ლიცენზია ან/და სერტიფიკატი ან/და სხვა დამატებითი დოკუმენტაცია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

5. საქონლის საბაჟო დეკლარაციის წარდგენით გარე გადამუშავებაში დეკლარირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებული საქონელი საბაჟო გამშვებ პუნქტს უნდა წარედგინოს საბაჟო დეკლარაციისათვის შეფასების ნომრის მინიჭებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

6. საგადასახადო კოდექსის 172-ე მუხლის თანახმად, დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულია ...„გარე გადამუშავებაში მოთავსებული (რაც დასრულდება საქონლის თანმხლები დოკუმენტებით) საქონლის გადაზიდვა და ამ გადაზიდვასთან უშუალოდ დაკავშირებული მომსახურების გაწევა. ასეთ გადაზიდვასთან უშუალოდ დაკავშირებული მომსახურებები..". აღნიშნულ გადაზიდვასთან უშუალოდ დაკავშირებულ მომსახურებას განეკუთვნება:

- *გადაზიდვისას ტვირთის ან სატრანსპორტო გადაზიდვის საშუალებების გაგზავნასთან/ მიღებასთან დაკავშირებული მომსახურება, აგრეთვე, აეროპორტების ნავსადგურების, სარკინიგზო და საავტომობილო ვაგზლების მიერ გაწეული მომსახურება;*
- *ტვირთის დოკუმენტაციის მომზადების, ინსპექტირების, დათვალიერების, სატრანსპორტო დამუშავების (მათ შორის, დატვირთვისა და გადმოტვირთვის) ტრანსპორტირებისათვის შეფუთვისა და შენახვის მომსახურება;*
- *ნავსადგურებში აგენტირებისათვის მომსახურება.*

A. დასამახსოვრებელი დებულებები!

გარე გადამუშავების პროცედურის გამოყენებით საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ დროებით გატანილი საქართველოს საქონლის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს გადამუშავების ერთი ან რამდენიმე ოპერაცია. გადამუშავებული პროდუქტი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას შეიძლება იმპორტის გადასახადისგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლებით თავისუფალ მიმოქცევაში მოაქციოს გარე გადამუშავების პროცედურის ავტორიზაციის მფლობელმა ან საქართველოში დაფუძნებულმა პირმა, თუ მას აქვს გარე გადამუშავების პროცედურის ავტორიზაციის მფლობელის შესაბამისი თანხმობა და გარე გადამუშავების პროცედურის გამოყენების ყველა პირობა შესრულებულია.

გარე გადამუშავების პროცედურაში ეკვივალენტური საქონლის გამოყენება დაუშვებელია, თუ: გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქართველოს საქონლის ნაცვლად გადამუშავებული უცხოური საქონელი დაექვემდებარებოდა ანტიდემპინგურ ღონისძიებას თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მისი დეკლარირების შემთხვევაში; აღნიშნული საქონელი არის გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმი ან გენმოდიფიცირებული პროდუქტი ან შეიცავს ასეთ საქონელს. ეკვივალენტური საქონლის გამოყენება არ ექვემდებარება საქონლის სპეციალურ პროცედურაში მოქცევისათვის გათვალისწინებულ ფორმალობებს.

საქონლის გადამუშავების ვადა აითვლება გარე გადამუშავების პროცედურაში საქონლის მოქცევის დღიდან, ხოლო ამ პროცედურაში საქონლის ცალკეულ სასაქონლო პარტიებად მოქცევისას – მასში საქონლის პირველი პარტიის მოქცევის დღიდან.

B. კითხვები ცოდნის შემოწმებისათვის:

განმარტეთ გარე გადამუშავების პროცედურის არსი

როგორი საქონელი შეიძლება მოექცეს გარე გადამუშავების პროცედურაში?

რა კრიტერიუმებს აკმაყოფილებს პირი, რომელიც უფლებამოსილია საქონელი გარე გადამუშავების პროცედურაში მოაქციოს?

რა შემთხვევაში არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს გარე გადამუშავების პროცედურა საქართველოს საქონლის მიმართ?

როგორ აითვლება საქონლის გარე გადამუშავების ვადა?

C. ტესტები:

გარე გადამუშავების პროცედურა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს საქონლის მიმართ, თუ:

ა. მისი გატანა გამოიწვევს ამ საქონელზე გადახდილი იმპორტის გადასახადის დაბრუნებას ან ჩათვლას; იგი გატანამდე მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში გაშვებული იყო თავისუფალ მიმოქცევაში იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლების პირობით და ამ შეღავათის გამოყენების პირობა მოქმედებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს საქონელი შეკეთების მიზნით გაიტანება

ბ. მისი გატანა გამოიწვევს ამ საქონელზე გადახდილი იმპორტის გადასახადის დაბრუნებას ან ჩათვლას

გ. იგი გატანამდე მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში გაშვებული იყო თავისუფალ მიმოქცევაში იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლების პირობით და ამ შეღავათის გამოყენების პირობა მოქმედებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს საქონელი შეკეთების მიზნით გაიტანება

დ. იგი გატანამდე მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში გაშვებული იყო თავისუფალ მიმოქცევაში იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლების პირობით.

გარე გადამუშავების პროცედურა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს საქონლის მიმართ, თუ:

ა. მისი გატანა გამოიწვევს ამ საქონელზე გადახდილი იმპორტის გადასახადის დაბრუნებას ან ჩათვლას

ბ. მისი გატანა გამოიწვევს ამ საქონელზე გადახდილი იმპორტის გადასახადის დაბრუნებას ან ჩათვლას; იგი გატანამდე მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში გაშვებული იყო თავისუფალ მიმოქცევაში იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლების პირობით და ამ შეღავათის გამოყენების პირობა მოქმედებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს საქონელი შეკეთების მიზნით გაიტანება

გ. იგი გატანამდე მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში გაშვებული იყო თავისუფალ მიმოქცევაში იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლების პირობით და ამ შეღავათის გამოყენების პირობა მოქმედებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს საქონელი შეკეთების მიზნით გაიტანება

დ. იგი გატანამდე მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურაში გაშვებული იყო თავისუფალ მიმოქცევაში იმპორტის ნაწილობრივი გადასახადისგან გათავისუფლების პირობით და ამ შეღავათის

გამოყენების პირობა მოქმედებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს საქონელი შეკეთების მიზნით გაიტანება.

გარე გადამუშავების პროცედურის მფლობელის უფლებებისა და მოვალეობების სხვა პირისათვის სრულად ან ნაწილობრივ გადაცემის შემთხვევაში, საქონლის ახალ მესაკუთრეს წარმოეშობა საქონლის დეკლარირების ვალდებულება. ამასთან:

ა. პროცედურის მფლობელის უფლებებისა და მოვალეობების სხვა პირისათვის სრულად გადაცემის (სხვა პირზე საქონლის სრულად გასხვისების) შემთხვევაში, წინმსწრები საბაჟო დეკლარაციის ელექტრონულ ვერსიაში კეთდება აღნიშვნა „ძალადაკარგულია“ და მიეთითება ახალი საბაჟო დეკლარაციის ნომერი და თარიღი

ბ. პროცედურის მფლობელის უფლებებისა და მოვალეობების სხვა პირისათვის ნაწილობრივ გადაცემის (სხვა პირზე საქონლის ნაწილის გასხვისების) შემთხვევაში, წინსმწრებ საბაჟო დეკლარაციაში ხორციელდება შესაბამისი ცვლილება და მიეთითება ახალი საბაჟო დეკლარაციის ნომერი და თარიღი

გ. პროცედურის მფლობელის უფლებებისა და მოვალეობების სხვა პირისათვის სრულად გადაცემის (სხვა პირზე საქონლის სრულად გასხვისების) შემთხვევაში, წინმსწრები საბაჟო დეკლარაციის ელექტრონულ ვერსიაში კეთდება აღნიშვნა „ძალადაკარგულია“ და მიეთითება ახალი საბაჟო დეკლარაციის ნომერი და თარიღი; პროცედურის მფლობელის უფლებებისა და მოვალეობების სხვა პირისათვის ნაწილობრივ გადაცემის (სხვა პირზე საქონლის ნაწილის გასხვისების) შემთხვევაში, წინსმწრებ საბაჟო დეკლარაციაში ხორციელდება შესაბამისი ცვლილება და მიეთითება ახალი საბაჟო დეკლარაციის ნომერი და თარიღი

დ. წინსმწრებ საბაჟო დეკლარაციაში ხორციელდება შესაბამისი ცვლილება და მიეთითება ახალი საბაჟო დეკლარაციის ნომერი და თარიღი.

გარე გადამუშავების პროცედურაში ეკვივალენტური საქონლის გამოყენება დაუშვებელია, თუ:

ა. გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქართველოს საქონლის ნაცვლად გადამუშავებული უცხოური საქონელი დაექვემდებარებოდა ანტიდემპინგურ ღონისძიებას თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მისი დეკლარირების შემთხვევაში

ბ. აღნიშნული საქონელი არის გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმი ან გენმოდიფიცირებული პროდუქტი ან შეიცავს ასეთ საქონელს

გ. ეკვივალენტური საქონლის გამოყენება არ ეწინააღმდეგება საქონლის სპეციალურ პროცედურაში მოქცევისათვის გათვალისწინებულ ფორმალობებს

დ. გარე გადამუშავების პროცედურაში მოქცეული საქარხნეული საქონლის ნაცვლად გადამუშავებული უცხოური საქონელი დაექვემდებარებოდა ანტიდემპინგურ ღონისძიებას თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში მისი დეკლარირების შემთხვევაში; აღნიშნული საქონელი არის გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმი ან გენმოდიფიცირებული პროდუქტი ან შეიცავს ასეთ საქონელს. ეკვივალენტური საქონლის გამოყენება არ ექვემდებარება საქონლის სპეციალურ პროცედურაში მოქცევისათვის გათვალისწინებული ფორმალობებს.

D. კაზუსები:

1. დღგ-ის ჩათვლა დეფექტურ (მოძველებულ) საქონელზე ფაქტობრივი გარემოებები:

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულმა პირმა განაბორციელა საქონლის იმპორტი ან/და დღგ-ის გადამხდელი ადგილობრივი მომწოდებლისაგან შეიძინა საქონელი და განაბორციელა დღგ-ის ჩათვლა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შემდგომ პერიოდში შეუძლებელი გახდა მისი რეალიზაცია იგივე ფორმით ან/და იგივე ფასად, ვინაიდან პირის მიერ დადგინდა, რომ აღნიშნული საქონელი დეფექტური (დაზიანებული) ან მოძველებულია (მათ შორის მოდიდან გამოსული).

პირმა განაბორციელა აღნიშნული საქონლის რეალიზაცია შესაძლო სარეალიზაციო ფასით, ამასთან მას არ მოუხდენია ჩათვლილი დღგ-ის თანხის გაუქმება.

რეალიზაციამდე პირის მიერ ჩატარებულია ამავე სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია.

შ ე ფ ა ს ე ბ ა:

მიუხედავად იმისა, რომ საქონელმა შეიცვალა ფორმა ან მოძველდა (მათ შორის მოდიდან გამოვიდა) და შეუძლებელი გახდა მისი დანიშნულებით ან/და იგივე ფასად რეალიზაცია, პირს უფლება ჰქონდა განებორციელებინა დღგ-ის ჩათვლა, ვინაიდან საქონელი გამოყენებულ იქნა დასაბეგრ ოპერაციაში.

იკვეთება თუ არა პირის ქმედებაში სამართალდარღვევა?

2. პირმა საქართველოდან აზერბაიჯანში კონიაკის დასამზადებლად გაიტანა 4 ტონა სპირტი გარე გადამუშავების მიზნით, საიდანაც მიიღო 3, 5 ტონა კონიაკი.

რამდენია ამ შემთხვევაში გამოსავლიანობის ნორმა და რა მეთოდით გამოიანგარიშება იგი?

E. სამართლებრივი აქტები:

საერთაშორისო აქტები:

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელწიფოებს შორის,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0

კიოტოს 1973 წლის კონვენცია „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ", საქართველოს აღნიშნულ კონვენციას შეუერთდა 2018 წლის 20 ივლისს, საქართველოს პარლამენტის დადგენილებით.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4270130?publication=0

შეთანხმება თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ (ძალაში შესვლის თარიღი: 06/12/2002),
https://www.matsne.gov.ge/document/view/1224033?publication=0

The Union Customs Code (UCC), https://taxation-customs.ec.europa.eu/customs-4/union-customs-code_en

საკანონმდებლო აქტები:

საქართველოს კონსტიტუცია, მ.19.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

საქართველოს საბაჟო კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=5

საქართველოს საგადასახადო კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/32842?publication=69

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/19024?publication=0

საქართველოს ადმინისტრაციული ზოგადი კოდექსი,
https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=39

საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ"
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2062?publication=41

საქართველოს კანონი „საგზაო მოძრაობის შესახებ",
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2169396?publication=23

საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ, მ.4. პ.33. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/26824?publication=91

საქართველოს კანონი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ", https://www.matsne.gov.ge/document/view/21994?publication=9

კანონქვემდებარე აქტები:

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 14 იანვრის #25 დადგენილება „თავისუფალი ზონის შექმნის პირობების, მისი შექმნისთვის წარსადგენი გარანტიის ოდენობის, თავისუფალი ზონის ფუნქციონირების, მასში საქონლის შენახვისა და საბაჟო კონტროლის განხორციელების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“,

https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/4772532/1/ge/pdf

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 სექტემბრის #453 დადგენილება „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფორმის, მისი შევსებისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“,

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4657381?publication=0

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია (დანართი №13), „შიდა გადამუშავების პროცედურის შესახებ“,

https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია (დანართი №14), „გარე გადამუშავების პროცედურის შესახებ“,

https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ“, (დანართი №12),

https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საქონლის დროებითი შემოტანის პროცედურის შესახებ“ (დანართი #11) ,

https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ექსპორტის პროცედურის შესახებ“ (დანართი №15),

https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის #257 ბრძანება „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“, ინსტრუქცია

„საქონლის შემოტანისა და ზოგადი დეკლარაციის წარდგენის შესახებ“ (დანართი #5), https://matsne.gov.ge/ka/document/download/4644552/0/ge/pdf

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 18 ნოემბრის ბრძანება (№275 წლის) „საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) დამტკიცების თაობაზე“ დანართი #1, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5029844?publication=3

ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია (დანართი №2) „საბაჟო კონტროლის შესახებ“;

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „გარანტიის შესახებ“, (დანართი №4),

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს #257 ბრძანება „საქართველო საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“, დანართი #3, ინსტრუქცია „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“,

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“,

https://www.matsne.gov.ge/ka/document/download/1167887/285/ge/pdf

ფინანსთა მინისტრის #257 ბრძანება (დანართი №1), ინსტრუქცია „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების და მოვალეობების შესახებ“,

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება (#257 2019 წლის 29 აგვისტო) „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“, https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ინსტრუქცია (დანართი №12) „საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისა და საქონლის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების პროცედურების შესახებ“

ფინანსთა მინისტრის 257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარირებისა და გაფორმების შესახებ (დანართი №8),

https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4644552?publication=0

ფინანსთა მინისტრის #257-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“ (დანართი #3)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის # 916 ბრძანება „ბიუჯეტის შემოსულობების აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ანგარიშსწორების განხორციელებისა და ბიუჯეტში ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობის თანხის დაბრუნების, აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“, ttps://www.matsne.gov.ge/ka/document/search?quer

F. გამოყენებული ლიტერატურა:

ქართულ ენაზე:

ბარაზი ია, საბაჟო სამართალი, პირველი ნაწილი, დამხმარე სახელმძღვანელო, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2021

ბარაზი ია, საერთაშორისო საბაჟო სამართალი, თბილისი, 2013

ბარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2007

ბარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2010

ბარაზი ია, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2019, ლექციების კურსი, https://www.sou.edu.ge

ბარაზი ია; საქართველოს საგადასახადო სამართალი, პირველი ნაწილი, გამომცემლობა „გეორგიკა“, თბილისი, 2015

ბარაზი ი; საქართველოს საგადასახადო სამართალი, მეორე ნაწილი, თბილისი, 2014

ბარაზი ი; საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, მეორე ნაწილი, მეორე გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2020

ბარაზი ია, აკაკი წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტ. თანაავტ. „საგადასახადო და საბაჟო სამართალი ქართულ სასამართლო სივრცეში (სასამართლო პრაქტიკის მასალები იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის)“, გამომც. ქუთაისის უნივერსიტეტი, თბილისი, 2019

როგავა ზ; საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო, წიგნი მესამე, გამომცემლობა იურისტების სამყარო“, თბილისი, 2017

ნადარაია, როგავა, რუხაძე, ბოლქვაძე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, §§ 156-310, 47-ე მუხლ. ავტ. ნადარაია, 331, https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00J1P6.pdf

გონერ ურიდია, ფრიდონ არაბამია, საბაჟო საქმის თეორია, თბილისი, 2009

ურიდია გ; საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები, გამოცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011

ლორთქიფანიძე ვ; საბაჟო საქმის საფუძვლები, თბილისი, 2002

ჯგერენაია ემზარ, საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 2022

ურიდია გონერ, რუხაია ფრიდონ, არახამია მერაბ, საბაჟო გაფორმება TIR და ATA (CPD) კარნეტის პრინციპებით, თბილისი, 2004

ურიდია გონერ, არახამია მერაბ, რუხაია ფრიდონ, საბაჟო რეჟიმები, თბილისი, 2005

ამილახვარი ზ; საქართველოს საბაჟო სამართალი, თბილისი, 2007

უცხოენაზე:

Борисов К. Г. Международное Таможенное право, Учеб, пособие – М; изд. ун-та дружби народов 1997

Козырин А. Н. Таможенное право Росии, Учеб, пособие – М; фирма СПАРК, 1995

Бахрах Д. Н. Кивалов С. В. Таможенное право Росии, Екатеринбург, Диамант, 1995

G. სამეცნიერო ნაშრომები:

ია ბარაზი; გადამუშავების საბაჟო რეჟიმების სამართლებრივი რეგულირება (დისერტაცია), თსუ, 2006.

ია ბარაზი, „საგადასახადო სამართლებრივ რეგულირებაში პრეზუმპტიული მეთოდების გამოყენების შესახებ", „დიპლომატია და სამართალი", #1(4), 2018, გვ. 46-68

ია ბარაზი, კახა ქოიავა, „საბაჟო საქმისა და საბაჟო სამართლის კონსტიტუციურსამართლებრივი საფუძვლები", ჟურნალი „სამართალი", #1-2, 2008, გვ. 17-20

ია ბარაზი, გელა ცინცაძე, გიორგი ირემაშვილი, „საბაჟო რეჟიმების სტრუქტურა და შინაარსი (საქართველოს საბაჟო კოდექსის მიხედვით)", ჟურნალი „სამართალი", # 1-2, 2007, გვ. 17-23

ია ბარაზი, ქეთინო ბარაზი, „გადამუშავების საბაჟო რეჟიმების ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა", ჟურნალი „სამართალი", #3-4, 2007, გვ. 42-45

უერთაშვილი ნატო, ბარაზი ია, „საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტები", საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომათა კრებული, I, თბილისი, 2010, გვ. 194-212

ია ბარაზი, ქეთევან კვინიკაძე, „სასაქონლო ოპერაციები", „მართლმსაჯულება და კანონი," #4(31), 2011, გვ.148-160

ია ბარაზი, ნატო ურთაშვილი, თემურ გერგედავა, „საბაჟო რეჟიმების კლასიფიკაციის სამართლებრივი ასპექტების თავისებურებათა შესახებ", ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი", #1(24), 2010

ია ბარაზი, ნატო ურთაშვილი, მაკა ორქონიკიძე, „საბაჟო სამართლის ნორმათა განმარტების თავისებურებანი", ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი",#4)27), 2010, გვ. 56-67

И. В. Харази, Е. Д. Мчедлишвили, Д. Х. Чагунава, И. М. Леонидзе, „Правовые аспекты классификации таможенных режимов", AIR TRANSPORT, ВОЗДУШНЫЙ ТРАНСПОРТ, Aviation University of Georgia, Авиационный Университет Грузии, Тбилиси, #2(5), 2010, стр. 125-137

И. В. Харази, М. И. мосулишвили ,Е. Д. Мчедлишвили, Проблемы и своеобразия Таможенного кодекса Грузии", AIR TRANSPORT, ВОЗДУШНЫЙ ТРАНСПОРТ, Aviation University of Georgia, Авиационный Университет Грузии, Тбилиси, 2009, #1(3), стр. 119-130

Н. ლექსიკონი:

მოხელის სამგიდო ლექსიკონი / გაეროს განვითარების პროგრამა; [შემდგ.: სამსონ ურიდია და სხვ.; რედ.: ვაჟა გურგენიძე] - თბ., 2004 - 483 გვ.: ცხრ.; 24სმ. - (საჯარო მოსამსახურის ბ-კა). - ISBN 99940-0-063-2: [ფ.ა.]; http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=17983

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1962

I. ვებრესურსები:

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. პაპავა ვლადიმერ. „თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა - „უკუდავი იდეა". აპრილი, 2007. http://gfsis. org/media/download/library/articles/EXPERT OPINION VPADIMER PAPA VA ENG.pdf

ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო" საქართველოს მთავრობის „50" - დღიანი პროგრამა" ანალიზი და შეფასებები, 2008, №15. იხ. Htt://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4598501?publication=5

http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=17983

https://www.rs.ge/LegalEntityCustomsProcedures?cat=9&tab=1

ფასი სახელშეკრულებო

ტირაჟი: 300

დამკაბადონებელი: ლია ზედგინიძე

კორექტორი: მზიური ხარაზი

გამომცემლობა „გეორგიკა“

1073